




საქართველოს  
ვახის ჯიშები

СОРТА  
ВИНОГРАДНЫХ ЛОЗ  
ГРУЗИИ

II

თბილისი 1953 წელი




# Сорта виноградных лоз Грузии

II

Д. ТАБИДЗЕ

# Сорта виноградных лоз Кахетии

Под редакцией действительного члена  
Академии Наук Грузинской ССР  
проф. Н. КЕЦХОВЕЛИ





ქართული  
მეცნიერებათა


საქართველოს ვაზის  
ჯიშები

II


დ. ტაბიძე

კახეთის ვაზის  
ჯიშები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ნამდვილი წევრის  
პროფ. ნ. ქვიციანიძის რედაქციით



408  
5  
Y



## რ ე ლ ა ქ ტ ო რ ი ს ა ზ ა ნ

საბჭოთა ხალხის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის დიდი ამოცანები დასახა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე დააყენა გრანდიოზული ამოცანა: „ამოცანა ის არის, რომ უახლოეს 2—3 წელიწადში სავსებით დაეკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე და ნედლეულით უზრუნველყოთ მსუბუქი და კვების მრეწველობა“. ამ დიდი ამოცანის წარმატებით გადაჭრის საქმეში მნიშვნელოვანი მოვალეობა ეკისრებათ სამეცნიერო დაწესებულებებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების გაზრდილ მოთხოვნებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმში აღნიშნავს, „რომ მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება ჯერ კიდევ ჩამორჩება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მოთხოვნებს. ბევრი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი და საცდელი სადგური მუშაობას ეწევა პრაქტიკისაგან მოწყვეტით, იფარგლება ლაბორატორიებისა და საცდელი მინდვრების ვიწრო ჩარჩოებით, არ ამდიდრებს მეცნიერებასა და პრაქტიკას ახალი აღმოჩენებითა და წინადადებებით და ნაკლებად ეხმარება კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებაში.“

უკანასკნელ ხანს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებებმა გააცხოველეს მუშაობა. ჩვენი მეცნიერების თავდადებული მუშაობით შეიქმნა მცენარეთა და ცხოველთა ახალი მალაპროდუქტიული, ლალიანი და მალაღმოსავლიანი ჯიშები და სხვ.


შესამჩნევად გარდაქმნა მუშაობა მელვინეობა-მევენახეობის ინსტიტუტის კოლექტივმაც, წარმოებას გადასცა მის მიერ შემუშავებული მრავალი ახალი ღონისძიება, რომელთა სწორად გატარება ერთიორად გაზრდის ვაზის მოსავლიანობას (ვაზის ორმხრივი ქართული გასხვლა, ვაზის გადიდებული დატვირთვა და სხვ.). მიღებულია ახალი შესანიშნავი ჯიშები: ქართული საშამპანე ჯიში, რომელიც 2 კვირით ადრე მწიფდება დღემდე ცნობილ სხვა ჯიშებთან შედარებით, ქართული ადრეულა, წითელი ბუდეშური და სხვ.

მაგრამ იმისათვის, რომ პირნათლად შევასრულოთ სექტემბრის პლენუმის დადგენილება, საჭიროა უფრო ინტენსიური მუშაობა. სექტემბრის პლენუმის დადგენილება სოფლის მეურნეობის მუშაკებს ავალებს:

„მიიღონ საჭირო ზომები ხილ-კენკრის ნარგავთა ყოველი ღონისძიებით გაფართოებისათვის, მიაღწიონ 1953 წელს ახალი ბაღების, ვენახებისა და საკენკრეების გაშენების გეგმის აუცილებელ შესრულებას, რათა 1954-1955 წლებში უზრუნველყონ ხილ-კენკრის ნარგავთა ფართობის მკვეთრი გადიდება.“

წესრიგზე მოიყვანონ არსებული ბაღები, ვენახები და საკენკრეები, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან მათი დაღუპვა ცუდი მოვლის გამო და უზრუნველყონ 1954 წელს ნაყოფის, ყურძნისა და ხილის უხვი მოსავლის მიღება“.

ამ დადგენილების განხორციელების საქმეში ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ. ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს აბეჩხარი ვენახი, რომელიც მცირე მოსავალს იძლევა. არის შემთხვევები, როცა ვენახები რაიონისათვის შეუფერებელი ჯიშითაა გაშენებული, დაბალ-



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## რ ე ლ ა ქ ტ ო რ ი ს ა ზ ა ნ

საბჭოთა ხალხის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის დიდი ამოცანები დასახა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე დააყენა გრანდიოზული ამოცანა: „ამოცანა ის არის, რომ უახლოეს 2—3 წელიწადში სავსებით დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე და ნედლეულით უზრუნველყოთ მსუბუქი და კვების მრეწველობა“. ამ დიდი ამოცანის წარმატებით გადაჭრის საქმეში მნიშვნელოვანი მოვალეობა ეკისრებათ სამეცნიერო დაწესებულებებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების გაზრდილ მოთხოვნებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმში აღნიშნავს, „რომ მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება ჯერ კიდევ ჩამორჩება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მოთხოვნებს. ბევრი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი და საცდელი სადგური მუშაობას ეწევა პრაქტიკისაგან მოწყვეტით, იფარგლება ლაბორატორიებისა და საცდელი მინდვრების ვიწრო ჩარჩოებით, არ ამდიდრებს მეცნიერებასა და პრაქტიკას ახალი აღმოჩენებითა და წინადადებებით და ნაკლებად ეხმარება კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებაში.“

უკანასკნელ ხანს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებებმა გააცხოველეს მუშაობა. ჩვენი მეცნიერების თავდადებული მუშაობით შეიქმნა მცენარეთა და ცხოველთა ახალი მალაპროდუქტიული, ლალიანი და მალაღმოსავლიანი ჯიშები და სხვ.

შესამჩნევად გარდაქმნა მუშაობა მელენეობა-მევენახეობის ინსტიტუტის კოლექტივმაც, წარმოებას გადასცა მის მიერ შემუშავებული მრავალი ახალი ღონისძიება, რომელთა სწორად გატარება ერთიორად გაზრდის ვაზის მოსავლიანობას (ვაზის ორმხრივი ქართული გასბვლა, ვაზის გადიდებული დატვირთვა და სხვ.). მიღებულია ახალი შესანიშნავი ჯიშები: ქართული საშამპანე ჯიში, რომელიც 2 კვირით ადრე მწიფდება დღემდე ცნობილ სხვა ჯიშებთან შედარებით, ქართული ადრეულა, წითელი ბუდეშური და სხვ.

მაგრამ იმისათვის, რომ პირნათლად შევასრულოთ სექტემბრის პლენუმის დადგენილება, საჭიროა უფრო ინტენსიური მუშაობა. სექტემბრის პლენუმის დადგენილება სოფლის მეურნეობის მუშაკებს ავალებს:

„მიიღონ საჭირო ზომები ხილ-კენკრის ნარგავთა ყოველი ღონისძიებით გაფართოებისათვის, მიაღწიონ 1953 წლის ახალი ბაღების, ვენახებისა და საკენკრეების გაშენების გეგმის აუცილებელ შესრულებას, რათა 1954-1955 წლებში უზრუნველყონ ხილ-კენკრის ნარგავთა ფართობის მკვეთრი გადიდება.“

წესრიგზე მოიყვანონ არსებული ბაღები, ვენახები და საკენკრეები, არაერთარ შემთხვევაში არ დაუშვან მათი დაღუპვა ცუდი მოვლის გამო და უზრუნველყონ 1954 წელს ნაყოფის, ყურძნისა და ხილის უბვი მოსავლის მიღება“.

ამ დადგენილების განხორციელების საქმეში ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ. ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს აბეჩხარი ვენახი, რომელიც მცირე მოსავალს იძლევა. არის შემთხვევები, როცა ვენახები რაიონისათვის შეუფერებელი ჯიშითაა გაშენებული, დაბალ-

მოსავლიანია და სხვ. საჭიროა ისეთი მეთოდების დამუშავება და მევენახეობაში დანერგვა, რომლებიც უმოკლეს ვადაში გამოასწორებს ზემოდასახელებულ ნაკლს. უეჭველად დიდი პრობლემაა ქლოროზის პრობლემა. ქლოროზის სწრაფად მოსპობისათვის ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს ისიც, რომ ჩვენს ცნობილ ჯიშთა შორის გამოენახოთ ქლოროზის გამძლე ჯიში.

საქართველო მთავორიანი ქვეყანაა, იგი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება, ამის გამო საჭიროა მიკრორაიონების მიხედვით შესაფერის ჯიშთა დაგეგმვა ქვეყნის საერთო ეკონომიკის განვითარების გათვალისწინებით და სხვ. ყოველივე ამისათვის კი საჭიროა კარგად ვიცოდეთ ქვეყნის მდებარეობის ჯიშები. 1948 წელს გამოიცა პროფ. მ. რამიშვილის გურიის, აჭარის და სამეგრელოს ვაზის ჯიშები („საქართველოს ვაზის ჯიშები“, ტ. I). ამ სერიის მეორე ტომი დ. ტაბიძის შრომა უნდა გამოცემულიყო 1950 წელს, მაგრამ მისი გამოცემა სხვადასხვა მიზეზის გამო დაგვიანდა. იმედია, შემდეგი ტომები (III ტ. „ქართლის ვაზის ჯიშები“, IV ტ. „იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის ვაზის ჯიშები“ და V ტ.) გამოცემული იქნება თავის დროზე.

## О Т Р Е Д А К Т О Р А

Для дальнейших растущих материальных и культурных потребностей Советского народа имеет огромное значение постановление Сентябрьского пленума ЦК КПСС—„О мерах дальнейшего развития сельского хозяйства СССР“. Для дальнейшего подъема развития социалистического сельского хозяйства нашей республики также намечены большие задачи Октябрьским пленумом ЦК КП Грузии.

Для осуществления этих задач многое возлагается на научные учреждения. Пленум ЦК КПСС отмечает, „что несмотря на известные достижения, сельскохозяйственная наука все еще отстает от запросов колхозного и совхозного производства. Многие научно-исследовательские институты и опытные станции ведут работу в отрыве от практики, замыкаются в узких рамках лабораторий и опытных полей, не обогащают науку и практику новыми открытиями и предложениями и мало помогают колхозам, МТС и совхозам в подъеме культуры земледелия и животноводства“.

Правда, за последнее время работа научных учреждений Грузии оживилась. Выведены высокоурожайные и продуктивные породы животных и растений, переданы с/х-хозяйству мероприятия по повышению урожайности сельскохозяйственных культур. Научно-исследовательский институт виноградарства и виноделия АН Грузинской ССР внес свою лепту в дело подъема нашего виноградарства и виноделия. Уже переданы производству оптимальные формы нагрузки виноградной лозы, новые сорта вин, новые сорта виноградной лозы (шампанские сорта, столовые сорта). Но, конечно, это еще не достаточно для решения тех проблем, которые стоят перед нашими учеными.


В постановлении Сентябрьского пленума сказано:

„Принять необходимые меры к всемерному расширению плодово-ягодных насаждений, добиться безусловного выполнения в 1953 году плана закладки новых садов, виноградников и ягодников с тем, чтобы в 1954—1955 г.г. обеспечить резкое увеличение площади под плодово-ягодными насаждениями.“

Привести в порядок существующие сады, виноградники и ягодники, не допуская ни в коем случае их гибели от плохого ухода, и обеспечить получение в 1954 г. высокого урожая плодов, винограда и фруктов“.

В области виноградарства работа должна продолжаться по вопросам повышения урожайности, над проблемой хлороза, по установлению типов виноградников в связи с вопросами механизации, микрорайонирования с учетом экономики страны, по разработке устойчивой технологии вин, технологии грузинского коньяка, выявлению новых уникальных сортов вин и т. д. и т. д. В свете этих вопросов большое значение приобретает полная инвентаризация нашего богатого ассортимента виноградных лоз.

В этом направлении проделана следующее: в 1948 г. была выпущена книга М. Рамишвили — „Сорта виноградных лоз Гурия, Мингрелии и Аджария“ т. I. С опозданием выходит II-й том Д. Табидзе — („Сорта виноградных лоз Кахетии“), в ближайшие годы будут изданы III-й том („сорта виноградных лоз Картлинии“), IV-й том („сорта виноградных лоз Имеретии и Рача-Лечхуми“) и V том.



წ ი ნ ა ს ი ტ უ მ ა ო ზ ა

საქართველო სამართლიანად ითვლება ვაზის სამშობლოდ და მევენახეობა-მელენეობის ერთ-ერთ უძველეს კერად.

ეს რომ ასეა, ამას მოწმობს, ძირითადად, გარეული და კულტურული ვაზის ჯიშების გასაოცარი სიმრავლე და მრავალფეროვნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ჰავისა და ნიადაგის მხრივ შეტად ხელისშემწყობი პირობები ჩვენში და აგრეთვე ისტორიული ხასიათის მრავალმხრივი ცნობები.

ხალხის მრავალსაუკუნოვანი შეგნებული მუშაობის შედეგად ამ მრავალფეროვანი ჯიშებისაგან შეირჩა და ჩამოყალიბდა საქართველოს ცალკეული მხარეების გარეშე პირობებთან კარგად შეგუებული ვაზის დიფერენცირებული ასორტიმენტი ქართლის, კახეთის, იმერეთის, გურჯისტანის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმისა და აფხაზეთის ჯიშების სახით.

ვაზის ჯიშების ამ შესანიშნავი კრებულიდან ფართო სამრეწველო მნიშვნელობა, გავრცელება და ისტორიული აღიარება მოიპოვა ვაზის მრავალმა ჯიშმა. ამ ჯიშთა შორის აღსანიშნავია: საფერავი, რქაწითელი, ციცქა, ცოლიკოური, კრახუნა, კახური მწვანე, ჩინური, გორული მწვანე, ალექსანდრეული, ხიხვი, ჩხავერი, ოჯალეში, ჯანი, თავკვერი, უსახელოური, ოცხანური საფერე, თეთრი კაპისტონი, ავასირხვა, ამლახუ, კალხური ხარისთვალა, კლარჯული, თითა, ქიშური და სხვები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც საბჭოთა კავშირში და არც საბჭოთა კავშირის ფარგლების გარეთ მევენახეობის არც ერთ კუთხეში არ მოიპოვება ისეთი მდიდარი და მრავალფეროვანი ჯიშები ვაზისა, როგორც საქართველოშია წარმოდგენილი. ამასთან, საქართველოს ვაზის მთავარი საწარმოო ჯიშები თავიანთი მაღალი სამეურნეო და ტექნოლოგიური თვისებებით სელექციური მუშაობის შედეგებს წარმოადგენს. ზოგი მათგანი, მაგალითად, კახური საფერავი და რქაწითელი, დიდი ხანია გაშორდა საქართველოს ფარგლებს და ფართოდ გავრცელდა საბჭოთა კავშირის მევენახეობის სხვა რაიონებში. მევენახეობის საკავშირო აღწერის მასალების მიხედვით რქაწითელს საბჭოთა კავშირში გავრცელებულ ჯიშებს შორის ყველაზე დიდი ფართობი (15069 ჰექტ.) უჭირავს და ამ მხრივ პირველი ადგილი უკავია, ხოლო საფერავს — მეექვსე ადგილი (3876,87 ჰექტ.). რქაწითელის შემდეგ მეორე ადგილი უკავია ცოლიკოურს (9461,5 ჰექტ.), მესამე — ციცქას (5739,3 ჰექტ.), მეოთხე — თეთრ შასლას და მეხუთე — რისლინგს (5469 ჰექტ.).

მეტის თქმაც შეიძლება: საფერავს მსოფლიოში არსებულ წითელ ვაზის ჯიშებს შორის სამეურნეო დადებით ნიშან-თვისებათა ჯამის მიხედვით (ღვინის ხარისხი, მოსავლიანობა, ყინვების მიმართ გამძლეობა, გარეშე პირობებთან შეგუება და სხვ.) ბადალი არა ჰყავს; იგი უდავოდ წითელი ვაზის ჯიშების მეთაურად უნდა ვიგულოვოთ. საბჭოთა კავშირის ფარგლების გარეთაც საფერავმა საერთო მოწონება და კარგი შეფასება დაიმსახურა. ფრანგი ამპელოგრაფი პიულა (Pulliat) საფერავის შესახებ შემდეგს წერს: „მოსავლიანობა მუდმივი აქვს, ამასთან უხვი და კარგი ღვინისა“. თუმცა ღვინის ხარისხის მხრივ რქაწითელს ბევრი მეტოქე ჰყავს, ამისდა მიუხედავად, თავისი მაღალი მოსავლიანობისა და გარეშე პირობებთან კარგად შეგუებისა და გამძლეობის გამო, იგი მაინც პირველობას ინარჩუნებს საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვა რაიონების ვაზის ჯიშებს შორის.

ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ 1955 წლისათვის დაბლარი ვენახის ფართობი აყვანილი იქნეს 60000 ჰექტარამდე. ახალ ვენახებში საქართველოს საღვინე ვაზის ჯიშებიდან მხოლოდ გარკვეული უძვირფასესი სამრეწველო ჯიშები რქაწითელი, მწვანე, ცოლიკოური, საფერავი, ალექსანდრეული, ოჯალეში, უსახელოური, ციცქა, გორული მწვანე, ჩინური, ხიხვი, ჩხავერი, კრახუნა, ხოლო უცხოურებიდან

კაბერნე, პინო, მუხრანული (ალიგოტე) და სხვ. უნდა შევიტანოთ სარაიონო სტანდარტულ ასორტიმენტში მათი უფრო ფართოდ გავრცელებისათვის.

რიგი უძვირფასესი ჯიშებისა გადასროლილი იქნება მათი პირვანდელი წარმოშობისა და გავრცელების რაიონებიდან—ახალ, მათთვის შესაფერ რაიონებში გასავრცელებლად.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ვაზის ჯიშებს საბჭოთა კავშირში მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის. დღესდღეობით საბჭოთა კავშირში მხოლოდ რამდენიმე ჯიშია ფართოდ გამოცდილი. მხოლოდ უკანასკნელ წლებში დიდად გაიზარდა ინტერესი ქართული ვაზის ჯიშებისადმი და დღეს ჩვენი ჯიშები დიდი რაოდენობით გააქვთ საბჭოთა კავშირის მევენახეობის სხვადასხვა რაიონში გამოსაცდელად და ფართოდ გასავრცელებლად.

ჩვენი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი შეგნებული მუშაობის შედეგად შექმნილი და დღემდე შემონახული ქართული ვაზის 450-მდე ჯიში დიდ განძს წარმოადგენს. მათი დიდი უმრავლესობა (350) დღეს შეგროვილი და დარგულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის დიდ საკოლექციო ნაკვეთზე ქ. თელავში. ქართული ვაზის დანარჩენი ჯიშები გაშენებულია საქარის მევენახეობის საცდელ სადგურში ქ. ზესტაფონში და მევენახეობის ინსტიტუტის აფხაზეთის დასაყრდენ პუნქტზე ს. ბომბორში (გუდაუთის რაიონი). ქართული ვაზის შეგროვებული ჯიშების რაოდენობა სულ 400-ს აღწევს. შეუსწავლელი დარჩა სამხრეთ საქართველოს ვაზის ჯიშები, რომლებიც ახლო მომავალში იქნება შეგროვებული ქართული ვაზის ჯიშების ფონდის შევსების მიზნით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და საკავშირო ამპელოგრაფიის რედაქციის დავალებით ქართული საწარმოო და პერსპექტიული ვაზის ჯიშები უკვე აღწერილია, გაფორმებულია მონოგრაფიების სახით რუსულ ენაზე და ქვეყნდება „სსრ კავშირის ამპელოგრაფიაში“, რომლის პირველი ტომი უკვე გამოვიდა ქ. მოსკოვში.

საქართველოს ამპელოგრაფიის (ვაზის მკვლევების) გამოცემის საკითხი პირველად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფ. ნიკო კეცხოველმა წამოჭრა 1938 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში საქართველოს კულტურული ფლორის თერთმეტტომიანი ატლასის გამოცემასთან დაკავშირებით. მაშინვე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გამოცემულიყო გურია-აჭარის, სამეგრელო-აფხაზეთის, რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის, ქართლის, კახეთისა და სხვა რაიონების ჯიშების აღწერილობანი ცალ-ცალკე.

აღნიშნული გეგმის შესაბამისად უკვე გამოქვეყნდა გურიის, სამეგრელოსა და აჭარის ვაზის ჯიშების აღწერილობა, ქვეყნდება კახეთის ვაზის ჯიშების აღწერილობა და მზადდება გამოსაცემად ქართლის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და აფხაზეთის ვაზის ჯიშების აღწერილობანი.

ქართული ამპელოგრაფიის წინაშე თავიდანვე შემდეგი ამოცანები იყო დასმული:

ა) საქართველოს მევენახეობის რაიონებში გავრცელებული ვაზის ყველა ჯიშის გამოვლინება, მათი სწორი სახელწოდების დადგენა (სინონიმების აღრიცხვით) ვაზის ჯიშთა სახელწოდებების აღრევის თავიდან ასაცილებლად;

ბ) ვაზის ჯიშების ზუსტი ბოტანიკური აღწერილობის შესრულება საბჭოთა კავშირში მიღებული ერთიანი მეთოდით, რათა შესაძლებელი იყოს ჯიშის შეუცდომლად გამოცნობა მისი გავრცელების სხვადასხვა რაიონში;

გ) ჯიშების ბიოლოგიურ თავისებურებათა შესწავლა და, ამის საფუძველზე, ცალკეული ჯიშისათვის უფრო შესაფერისი (ჰაეისა და ნიადაგის მხრივ) რაიონების შერჩევა;

დ) ჯიშის სამეურნეო და ტექნოლოგიური თვისებების შესწავლა და, ამის საფუძველზე, ცალკეული ჯიშისათვის უფრო მიზანშეწონილი გამოყენების განსაზღვრა მეღვინეობის ამა თუ იმ მიმართულებისათვის;

ე) ჯიშების მოსავლიანობის შემდგომი გადიდება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება ჯიშისათვის შესაფერისი რაიონების შერჩევით და ვენახების მოვლა-დამუშავების მოწინავე აგროწესების გამოყენებით.

დასახული ამოცანების შესაბამისად ავტორი შეეცადა, რაც შეიძლება ყოველმხრივ და მასთან მოკლედ დაეხასიათებინა ცალკეული ვაზის ჯიშები, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მასზე სრული წარმოდგენის მიღება. მიუხედავად ამისა, ჯიშების დიდი უმრავლესობის მცირედ გავრცელების გამო ეს განზრახვა ზოგჯერ მთლიანად ვერ შესრულდა. მაგრამ, რადგანაც, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავდა აკადემიკოსი სოლომონ ჩოლოყაშვილი (1939 წ.), „საქართველოს ჯიშებზე მთლიანი ამპელოგრაფიული შრომა ჯერ არ არსებობს“, მხოლოდ „მოიპოვება ზოგიერთი ამპელოგრაფიული ნაშრომი ცალკეული




ჯიშების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში ჯიშები აღწერილია სამეურნეო ღირსების აღუნიშნავად, სინონიმების ანგარიშგაუწველად და მრავალი ღირსშესანიშნავი ჯიშის გამოტოვებით, ამიტომ წინამდებარე შრომა შეავსებს აღნიშნულ ნაკლს და მისცემს მკითხველს შედარებით უფრო სრულ წარმოდგენას კახური ვაზის ჯიშების რაობის შესახებ.

პრაქტიკული მუშაობა მევენახეობაში ავტორმა დაიწყო 1924 წლიდან კახეთის საბჭოთა მევენახეობის განყოფილებაში (წინანდალში, ნაფარეულსა და მუკუზანში) უფროს მევენახე-მელენის თანამდებობაზე, ხოლო კვლევითი მუშაობა — ვაზისუბანში, ხოლო 1932 წლიდან თელავში, მევენახეობა-მელენეობის ინსტიტუტში. ამ ხნის მანძილზე მას დაუგროვდა მდიდარი და საინტერესო მასალა კახური ვაზის ჯიშების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დავალებით ეს მასალები გაფორმდა მონოგრაფიების სახით 1939—1942 წლებში ქართულ და რუსულ ენებზე. შემდეგში 1948—1949 წლებში დაემატა რამოდენიმე ახალი თავი. ეს თავებია: კახეთის გეომორფოლოგიური და ეკოლოგიური დახასიათება, მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები და ჯიშების დარაიონება მელენეობის მთავარ მიმართულებათა მიხედვით.

ჯიშების ბოტანიკური აღწერა, აგრობიოლოგიური და სამეურნეო აღრიცხვები შესრულებულია ვაზისუბნისა და თელავის საკოლექციო ნაკვეთებზე და აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ვენახებში. კახური 32 ჯიშის ყურძნის მექანიკური ანალიზები შესრულებულია ენოქიმიკოს ვალერიან ბურჯანაძის მიერ მევენახეობის ინსტიტუტის დავალებით 1937—1940 წლებში. დანარჩენი ჯიშების ყურძნის ანალიზები შესრულებულია ავტორის მიერ 1941—1948 წლების მანძილზე. ღვინის ქიმიური ანალიზები შესრულებულია უფრ. ლაბორანტ ტასო შიუკაშვილის მიერ მევენახეობის ინსტიტუტში დოც. გ. ბერიძისა და ა. სესიაშვილის ხელმძღვანელობით. ვაზის სტანდარტული ჯიშების: საფერავის, მწვანისა და რქაწითელის ტექნოლოგიური დახასიათებანი შედგენილია ავტორის მიერ ძირითადად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის მიერ დაყენებული (გ. ბერიძე, ა. სესიაშვილი) საცდელი ღვინოების და აგრეთვე საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების ღვინის ნიმუშების დახასიათებათა საფუძველზე, ხოლო კახური ვაზის დანარჩენი ჯიშების ყურძნის ნიმუშები შეგროვებულია ავტორის მიერ და საცდელი ღვინოები დამზადებულია ძირითადად მევენახეობის ინსტიტუტის სარდაფში, ნაწილობრივ აგრეთვე ვაზისუბნის ექსპერიმენტალურ ბაზაზე და წინანდლისა და მუკუზნის საბჭოთა მეურნეობებში.

ვაზის ჯიშების ფოტოსურათები გადაღებულია ფოტოგრაფების: გ. სოშალკის, ვასო როინაშვილისა და ისაკ ტორის-მიერ, ხოლო ყვავილის სურათები — შესრულებულია ე. დერევიცკაიას მიერ.





## ПРЕДИСЛОВИЕ

Грузия является родиной виноградной лозы и колыбелью древнейшего виноградарства. Об этом свидетельствуют поразительное богатство и многообразие диких и культурных форм винограда, исключительно благоприятные почвенно-климатические условия виноградных районов Грузии (влажные субтропики), памятники хозяйственной истории страны и данные древних историков и путешественников.

Указанное многообразие диких и культурных форм винограда и многовековой сознательный отбор обусловили создание высокоценных сортов винограда и последующую дифференциацию их на эндемичные группы сортов хорошо приспособленных к почвенно-климатическим условиям отдельных виноградных районов Грузии. К ним принадлежат сорта Карталинии, Кахетии, Имеретии, Мегрелии, Аджарии, Гурии, Рача-Лечхуми и Абхазии.

В результате непрекращающегося на протяжении веков сознательного отбора были созданы редкие высококачественные сорта винограда, создавшие славу виноградным районам Грузии.

К ним принадлежат: Саперави, Мцване, Ркацители, Хихви и Киси—в Кахетии; Горули Мцване, Чинури, Шавкашито и Будешури—в Карталинии; Цицка, Цоликоури, Крахуна, Кацистоли, Оцханури Сапере, Хариствала Колхури (Додреляби)—в Имеретии; Оджалепи, Чечинепи, Панепи и Чвитибури—в Мегрелии; Чхавери, Джани, Мтевандиди, Камури, Кларджули, Джавахетура и Схилатубани—в Гурии и Аджарии; Александрюли, Муджуретули, Цулукидзе тетра, Усахелоури и Мцвивани—в Рача-Лечхуми и Амлаху, Авасирхва, Качичи—в Абхазии.

Богатству, разнообразию и высокому качеству промышленных сортов винограда Грузии могут позавидовать самые передовые винодельческие страны Европы.

По комплексу хозяйственно ценных признаков (урожайность, качество продукции, устойчивость против грибных болезней, морозов и приспособительным свойствам к различным экологическим условиям среды) большинство промышленных сортов винограда Грузии является лучшими в Союзе. Этим объясняется значительное распространение и все усиливающийся интерес к грузинским сортам винограда в виноградных районах СССР.

По данным переписи 1940 года виноградных насаждений СССР наибольшие площади под виноградниками в союзном масштабе занимают грузинские сорта винограда. Так, например, первое место в СССР по площади занимает сорт Ркацители (15,069 га), за ним идут сорта: Цоликоури (9,461 га) и Цицка (5,739 га), четвертое и пятое места занимают Шасли белая и Рислинг (5,469 га), а шестое место по площади занимает Саперави (3876 га).

За пределами Грузинской ССР наибольшее распространение в виноградных районах союзных республик получили сорта Саперави, Ркацители, Тавквери, Хариствала Колхури (Додреляби), Будешури, Мцване, Буера и другие.

В отдельных виноградных районах СССР, исключая Грузию, грузинские сорта винограда недостаточно изучены и испытаны. В прошлом этому мешали излишнее увлечение западноевропейскими сортами и противофилоксерные карантинные мероприятия в незараженных районах виноградарства.

В настоящее время интерес к грузинским сортам винограда значительно усилился; грузинские сорта винограда в большом количестве вывозятся в соседние республики, а также на Украину, в Молдавию и отчасти в среднеазиатские республики.

В Грузии насчитывается свыше 450 сортов винограда. Из них 400 сортов уже собраны, инвентаризированы и представлены в виде живых коллекций в г. Телави при Институте виноградарства и виноделия; в городе Зестафони на Сакарской опытной станции, в селе Бомбори на Абхазском укрупненном опорном пункте, на районных пунктах Института виноградарства и виноделия Академии Наук Груз. ССР. Только по одной Кахетии собраны более шестидесяти местных кахетинских сортов винограда и инвентаризированы на коллекционных участках Института в гор. Телави и в Вазисубани.

Однако не все сорта винограда Грузии представлены на коллекционных участках Института. Некоторые древние и новые перспективные районы виноградарства Грузии (Месхетия, Джавахетия, Квемо-Сва-

нетия, Дманиси и др.) не обследованы, также как не выявлено полностью все богатство сортового состава винограда.

В Грузии имеются большие перспективы для дальнейшего развития виноградарства. Даже в наиболее виноградарственной части Грузии — в Кахетии — удельный вес виноградников составляет не более 1,2% к общей площади земельных угодий всей Кахетии. Эти данные указывают на большие возможности в деле дальнейшего развития виноградарства в Кахетии, как за счет имеющихся в районах свободных земель (не занятых и занятых кустарниками), так и за счет высотных зон за чертой современного распространения виноградников, где обычно местные стандартные сорта винограда не всегда и полностью вызревают. Эту зону высотой от 800 до 1200 метров над уровнем моря свободно можно освоить подбором наиболее ранних и морозостойких сортов винограда, как это ныне успешно проводится в виноградарственных районах Месхетии.

Неоценимую услугу в освоении новых виноградных районов оказал нашему виноградарству великий преобразователь природы И. В. Мичурин.

Мичурин выработал оригинальные творческие методы переделки наследственных свойств растений и создал ряд ценных ранних морозостойких сортов, разрушив этим веками установленные границы распространения плодовых и винограда, продвинув плодоводство и виноградарство за пределы средней зоны далеко на север — Урал и Сибирь.

Последователи Мичурина еще дальше продвинули культуру винограда на Север, и уже в подмосковных районах (сел. Кучино и др.) успешно растут и плодоносят Мичуринские и некоторые ранние западно-европейские сорта винограда.

Путем применения творческих методов Мичурина — планомерных скрещиваний и направленного воспитания молодых гибридных сеянцев — открываются еще большие перспективы для получения ранних, морозостойких, качественных сортов винограда для развития виноградарства в новых районах Грузии, в частности, в высотных зонах Кахетии.

Необходимость изучения сортов винограда, распространенных в Кахетии, давно назрела. По поручению Академии Наук Груз. ССР и редакции „Ампелография СССР“, были составлены монографии основных промышленных и перспективных сортов винограда Кахетии и переданы редакции для издания в трудах „Ампелография СССР“.

Вопрос о составлении и издании ампелографии грузинских сортов винограда впервые был поднят в 1938—1939 гг. в Сельскохозяйственном Институте редактором атласа плодов Грузии профессором Н. Н. Кецховели.

Тогда же было решено издать серию работ по „Описанию и географии культурных растений Грузии“ и начать ее с сортов виноградных районов Грузии — Гурии и Аджарии, Мегрелии и Абхазии, Рача-Лечхуми, Имеретии, Карталинии, Кахетии и т. д.

В соответствии с указанным планом уже издан доктором с/х наук проф. М. А. Рамишвили „Сорта виноградных лоз Мегрелии, Гурии и Аджарии“; издаются „Сорта винограда Кахетии“ и готовятся к изданию сорта винограда Карталинии, Имеретии, Рача-Лечхуми и Абхазии.

Перед ампелографией Грузии с самого начала были поставлены следующие задачи: а) выявление и точное описание всех сортов винограда, распространенных в виноградных районах Грузии, б) агробиологическое и хозяйственно-технологическое изучение сортов винограда Грузии, в) подбор районов и сортов для дальнейшего развития виноградарства и г) выработка основ сортовой агротехники в целях повышения урожайности виноградников и улучшения качества вина.

Автор настоящего труда поставил своей задачей кратко, но с достаточной подробностью охарактеризовать сорта винограда и дать о них возможно полное представление. Однако эта задача, в связи с значительным распространением многих сортов, в ряде случаев не вполне разрешена.


Производственную работу по виноградарству автор начал с 1924 года в совхозах Самтреста — Цинандали, Напареули и Мукузани в должности старшего виноградаря-винодела, а научную — с 1928 года в Вазисубани, и с 1932 г. в Телави в Институте виноградарства и виноделия АН Груз. ССР. В продолжение этого времени автор накопил большой фактический материал по кахетинским сортам винограда, который был оформлен в виде отдельных монографий кахетинских сортов винограда.

Настоящая работа выполнена в 1948-1949 годах. В ней, помимо монографий сортов винограда, дано краткое геоморфологическое описание Кахетии с краткой характеристикой климата и почв виноградных районов Кахетии, и приводятся данные по характеристике современного состояния виноградарства с пометкой перспектив на будущее. Сортосостав виноградных насаждений приведен в порайонном разрезе. В конце работы дается краткая характеристика виноградных районов Кахетии с разбивкой их на макрорайоны и районы, а в пределах последних — на зоны в зависимости от высоты над уровнем Алазани; по каждой отдельной

зоне дается основное направление использования и переработки винограда с указанием основных и перспективных сортов винограда.

Ботаническое описание, агробиологическая и хозяйственно-технологическая характеристика распространённых сортов винограда произведена, в основном, на коллекционных виноградниках Института виноградарства в Телави и Вазисубани. Хозяйственные и технологические свойства стандартных и перспективных сортов винограда дополнительно изучались в характерных для сорта совхозах и колхозах Кахетии.





## შესავალი

მევენახეობას საქართველოში უხსოვარი დროიდან მისდევენ. მისი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ჩვენს სოფლის მეურნეობაში მეტად დიდია. საქართველოს მთელ რიგ რაიონებში მევენახეობა სოფლის მეურნეობის ძირითადსა და წამყვან დარგს და მოსახლეობის ეკონომიური და კულტურული კეთილდღეობის წყაროს წარმოადგენს.

ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქართველი ხალხი მუდამ დიდი სიყვარულით ეკიდებოდა მევენახეობა-მელღინეობის განვითარება-აღორძინების საქმეს.

ღვინო ქართველი ხალხისათვის ცხოვრებაში, მის ჭირსა და ღვინოში, განუყრელი მეგობარი იყო. იგი აღაგზნებდა ხალხს შრომისა და ბრძოლისათვის, ეკონომიური და კულტურული შემოქმედებისათვის.

ეს გარემოება კარგად ესმოდათ საქართველოს მტრებსაც. ასე, მაგალითად, თემურ-ლენგის ისტორიკოსი წერდა: „ქართველები უღვინოდ და უხილ-მწვანალოდ, პურს არ სჭამენ და ცხოვრების სიამოვნებას ვერ ჰგრძნობენ“.

ამიტომ თურქი და სპარსელი დამპყრობლები ხშირად ანადგურებდნენ ვენახებსა და ხეხილის ბაღებს, რომ ამით მოესპოთ ქართველი ხალხისათვის არა მარტო ცხოვრების სიამოვნება, არამედ დაენგრიათ ის საძირკველი, რომელზედაც აშენებული იყო ხალხის ეკონომიური კეთილდღეობა.

მაგრამ უცხოელმა დამპყრობლებმა ვერ მოუსპეს ხალხს ვაზისადმი სიყვარული: როგორც კი ქართველები განდევნიდნენ მტრებს თავისი საკუთარი მიწა-წყლიდან, უმაღვე შეუდგებოდნენ ბალ-ვენახების აღდგენას, ახლის გაშენებას.

ასეთი იყო ჩვენი მევენახეობის ბედი შორეულ წარსულში. მევენახეობის ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, სამხრეთ საქართველოში (მესხეთში), სადაც თურქები ხანგრძლივად იყვნენ დამკვიდრებული, მევენახეობა მოისპო და მხოლოდ ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, მიმდინარეობს მისი აღდგენა-განვითარება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე დიდი მუშაობაა ჩატარებული მევენახეობის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარების საქმეში, იზრდება ჩვენი ვენახების ფართობი.

ფართობის ზრდასთან ერთად საგრძნობლად დიდდება ყურძნის მოსავალი ფართობის ერთეულზე. ვენახების გაშენება-მოვლის მოწინავე წესების გამოყენებამ უკვე გამოიღო თავისი შედეგი და ისახება მოსავლიანობის კიდევ მეტად გაზრდის პერსპექტივები.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951—1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემდგომ საგრძნობ ზრდას, კერძოდ, ყურძნის პროდუქციის წარმოების 55—60 პროცენტით გადიდებას.

დირექტივებში აღნიშნულია: „ხუთწლიელის მანძილზე გადიდდეს ბაღებისა და საკენკრეების ფართობი კოლმეურნეობებში დაახლოებით 70 პროცენტით, ვენახებისა—50 პროცენტით, ჩაის პლანტაციებისა 60 პროცენტით და ციტრუსოვანი კულტურებისა—4,5-ჯერ“.

1936 წლიდან მოყოლებული 20000 ჰექტარამდე ახალი ვენახები გაშენდა და ამასთან ერთად მნიშვნელოვნად იმატა ყურძნის მოსავალმა. განსაკუთრებით დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ომის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიულმა დადგენილებამ.

ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს რიგმა რაიონებმა 1948 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ვენახების მოვლა-დამუშავება და შედეგებიც საუკეთესო მიიღეს. მაგალითად, გურჯა-

ანის რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანა 40 ცენტნ. ყურძენი, წითელწყაროს რაიონში—44,4 ცენტნ., ზესტაფონისამ—48 ცენტნ., მაიაკოვსკის რაიონში—48,7 ცენტნ., ორჯონიკიძისამ—52 ცენტნ. ცაგერისამ—55 ცენტნ. და ა. შ. ბევრმა კოლმეურნეობამ, ბრიგადამ და რგოლმა დიდ ფართობზე მიიღო 60-დან 120 ცენტნერამდე ყურძენი ჰექტარზე. მაგალითად, ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ურწყავი ვენახების 4000 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე მოიყვანეს 4,6 ცენტნერი ყურძენი. ამავე რაიონის სოფ. ცხრაწყაროს კოლმეურნეობის ბრიგადირმა იტყუებულად მისი ბრიგადისათვის მოსავლელად მინდობილი 8 ჰექტარი ვენახის თითოეულ ჰექტარზე მოიღო 105 ცენტნერი ყურძენი. ყვარლის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ილია იმნაძის რგოლმა 3,2 ჰექტარი ვენახიდან 72 ცენტნერი ყურძენი მიიღო თითოეულ ჰექტარზე. სტალინის რაიონის სოფ. თამარშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ლადო დათაშვილმა 5 ჰექტარი ფართობიდან მიიღო თითოეულ ჰექტარზე 100,2 ცენტნერი ყურძენი. გურჯაანის რაიონის ს. კარდნახის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ 40 ჰექტარი ვენახის ფართობიდან მიიღო ჰექტარზე 42 ცენტნერი ყურძენი, ამავე რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის რევოლუციის“ მერგოლურმა გიგა ბაცაშვილმა მიიღო ჰექტარზე 73 ცენტნერი 2,3 ჰექტარი ვენახის ფართობიდან და ა. შ.

უხვი მოსავლის გამოჩენილი ოსტატების გამოცდილების ფართო დანერგვა მნიშვნელოვანი პირობაა მევენახეობაში შემდგომი აღმავლობის მისაღწევად.

საქართველოს მევენახეობის მნიშვნელობა საბჭოთა კავშირისათვის მეტად დიდია. ყურძენის მოსავლიანობის შემდგომი გადიდება ვენახების ფართობის განუხრეკლ ზრდასთან ერთად ჩვენს საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს.

ვენახების ფართობის შემდგომი ზრდა საქართველოში შესაძლებელია როგორც თავისუფალი ადგილების ათვისების საშუალებით, ისე მევენახეობის ახალი ფართობების გამოვლინების გზით. დიდი შესაძლებლობა არსებობს აგრეთვე მევენახეობის განსავითარებლად ვენახების გაფრცელების ახლანდელი ზოლის ზემოთ, იქ, სადაც ადგილობრივი სტანდარტული ვაზის ჯიშები კარგად ვერ მწიფდება. ვენახების გაფრცელების ზედა ზოლის ათვისება და გამოყენება თავისუფლად შეიძლება ვაზის შესაფერი საადრეო ჯიშების შერჩევით და გაფრცელების საშუალებით. ამ მხრივ საქართველოში ახალი დამატებითი ფართობების გამონახვის დიდი შესაძლებლობა არსებობს.

ამ მიმართულებით საბჭოთა კავშირში დიდი მიღწევებია მიღებული ხეხილისა და ვაზის ჯიშების ჩრდილოეთ ზონებსა და მაღალ მთიან ადგილებში გაფრცელების საქმეში.

ჩვენი ქვეყნის სახელოვანმა მეცნიერმა, ბუნების დიდმა გარდამქმნელმა ი. ვ. მიჩურინმა და მისმა მოწაფეებმა ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად დაარღვიეს საუკუნეებით დაკანონებული საზღვარი ხეხილისა და ვაზის გაფრცელებისა და შორს გადასწიეს იგი ჩრდილოეთისაკენ.

ი. მიჩურინის მიერ აღმოჩენილ კანონზომიერებათა საფუძველზე გამომუშავებული მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი შეიქნა მცენარის ბუნების სასურველი მიმართულებით გარდაქმნა და მიღებულ საადრეო და ყინვაგამძლე ჰიბრიდების გამოყენებით მეხილეობის გაფრცელება ახალ რაიონებში: ჩრდილოეთში, ურალზე და ციმბირში.

ვაზის, ალუბლის, ნუშის, რენკლოდის და თხილი-ფუნდუკის გაფრცელება საბჭოთა კავშირის შუა ზონისა და მასზე უფრო ჩრდილოეთი რაიონების ჰავის პირობებში ნათლად მოწმობს ივანე მიჩურინის უდიდეს დამსახურებას მცენარეთა აღზრდისა და მისი ბუნების გეგმაშეწონილი გარდაქმნის საქმეში.

ი. მიჩურინის მეთოდების ფართო გამოყენებით მისმა მოწაფეებმა კიდევ უფრო ჩრდილოეთით გადასწიეს ვენახების გაფრცელების საზღვარი და უკვე მოსკოვის გარეუბნებში—სოფ. კუჩინოში და სხვაგან—მოჰყავთ კარგი ღირსების სადესერტო ყურძენი.

ჩამოყალიბებულია და მუშაობს ჩრდილოეთის მევენახეობის დასაყრდენი პუნქტები, სადაც ფართო მასშტაბით წარმოებს მიჩურინის ჯიშების: „მალენგრის თესლნერგის“, „შავი-ტკბილის“, „შორეულ-აღმოსავლური № 60-სა და ევროპული ჯიშების მალენგრის, მადლენანევეინის, საბოს მარგალიტის, საადრეო პინოს, ისკიასა და სხვათა გამოცდა.

საქართველოშიაც საადრეო, შედარებით ყინვაგამძლე ჯიშების შერჩევისა და გამოვლინების გზით უკვე ხდება მევენახეობის აღდგენა-განვითარება მევენახეობის ძველ რაიონებში (მესხეთში). კარგი პერსპექტივები აქვს აგრეთვე მევენახეობის განვითარებას თიანეთის, ზემო სვანეთისა და საქართველოს სხვა მაღალმთიან რაიონებში. განსაკუთრებით პერსპექტივანია მევენახეობის განვითარების თვალსაზრისით თიანეთ-

თისა და ზემო სვანეთის რაიონები, სადაც საცდელ ნაკვეთებზე ვაზის საადრეო ჯიშები თავისუფლად მწიფდება 1100—1300 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

საერთოდ, საქართველოს მდებარეობა სამხრეთით, მისი ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება და სიმდიდრე ახალ დიდ პერსპექტივებს ქმნის მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის.

კერძოდ, კახეთის მდიდარი ბუნებრივი პირობები, მისი ცალკეული ადგილების განსაკუთრებით ხელსაყრელი ჰავა და ნიადაგები მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი აღმავლობის დიდ შესაძლებლობას იძლევა. მევენახეობის დღევანდელი მდგომარეობით (ფართობი ღვინის არსებული ტიპები და მარკები) ამ მხრივ კახეთის შესაძლებლობანი ამოწურული არაა.

კახეთის მთელი მიწებიდან (1280428 ჰექტ.), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1948 წლის ცნობით, მრავალწლოვან ნარგავებს 1,5% უჭირავს. აქედან 1,1% უჭირავს ვენახს და 0,4% ხეხილის ბაღებს. მიწის უმეტესი ნაწილი უკავია საძოვრებს და ტყეებს (50%-მდე), სახნავებს (16,9%), და პირობითად უვარგის მიწებს (16%). აუთვისებელ ვარგის მიწას და ბუჩქნარებს თითქმის თანაბარი ფართობი (სულ 8,1%) უჭირავს. ვენახის ფართობის 1%-ით გადიდება თუნდაც უკანასკნელი ჯგუფის ხარჯზე ერთიორად გაზრდის ვენახების არსებულ ფართობს და უდავოდ წარმოშობს მეღვინეობის ახალ რაიონებს, წარმოქმნის ღვინის კარგ ტიპებსა და მარკებს.

კახეთი საბჭოთა კავშირის მეღვინეობის მარგალიტია; იგი ყველა მის რაიონთა შორის გამოირჩევა ღვინის მაღალი ღირსებით. კახური ღვინო, განსაკუთრებით წითელი, თავისი ინტენსიური შეფერვით, ზომიერი ალკოჰოლიანობით, სხეულიანობით, გემოს სისრულით, ჯიშური არომატით და სიძველეში ძლიერ ნაზი ბუკეტით დამსახურებულად ითვლება საბჭოთა კავშირის სიამაყედ.

ვენახების ფართობი კახეთის ყველა რაიონში უნდა გადიდდეს, განსაკუთრებით იმ კუთხეებში, რომლებიც ისტორიულად ცნობილია მევენახეობის ადგილებად, პირველ რიგში კი მთებისა და გორაკების კალთებზე და ფერდობებზე, რომ ღვინის მაღალი ხარისხი უზრუნველყოფილ იქნეს.

ვენახების მოსავლიანობის გადიდებისა და ღვინის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის აუცილებელია მევენახეობის რაიონებისა და ვაზის ადგილობრივი ჯიშების ყოველმხრივი შესწავლა. ეს იმიტომ, რომ სწორად იქნეს შერჩეული ვაზის ჯიშები ცალკეული რაიონების ჰავისა და ნიადაგის პირობების შესაბამისად. ჯიშის სწორი შერჩევა გულისხმობს რაიონის ბუნებრივი პირობების სრულ და რაციონალურ გამოყენებას ვაზისაგან უმაღლესი ხარისხის პროდუქტის მიღების მიზნით.

კახეთში გავრცელებული ჯიშების შესწავლის საქმეობა დიდი ხანია მომწიფდა. მისი სრული ამპელოგრაფიის შედგენისა და გამოცემის საქმეს საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩაეყარა საფუძველი და დღეს იგი წარმატებით სრულდება.


ქართული ამპელოგრაფიის გამოცემის საქმეობა დღითიდღე უფრო საგრძნობი ხდება, რადგანაც მთავრობის დაეალება შესრულება მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების საქმეში მოითხოვს ჯიშების სწორ შერჩევას და მათს მიზანშეწონილ განაწილებას მეღვინეობის ცალკეული რაიონების მიხედვით ღვინის ტიპებისა და ხარისხის შესაბამისად. ამ დაეალება წარმატებით შესრულება შეუძლებელია ჯიშების დარაიონებისა და რაიონების სწორი სპეციალიზაციის გარეშე.

წინამდებარე შრომაში შეჯამებულია კახეთის ვაზის ჯიშებზე წარმოებული მრავალი წლის დაკვირვებებისა და მათი გამოკვლევის შედეგები.

მთავარი საწარმოო და ფართოდ გავრცელებული ვაზის ჯიშების მონოგრაფიები შედგენილია სრული სქემით, დანარჩენი ჯიშებისა — მოკლე სქემით, ხოლო ძალზე იშვიათად გავრცელებული ვაზის ჯიშები დახასიათებულია მოკლედ, ძირითადი ნიშნების მიხედვით.

ჯიშის სრული მონოგრაფიის პირველ ნაწილში მოცემულია ძირითადი სახელწოდება, მისი სინონიმები და ცნობები ჯიშის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ. ფართობები ნაჩვენებია უკანასკნელ აღწერათა მიხედვით. მეორე ნაწილში მოცემულია ჯიშის ბოტანიკური აღწერა ძირითადი და ნაკლებად ცვალებადი ნიშნების გამოყენებით, რათა შესაძლებელი იყოს ჯიშის ადვილად გამოცნობა, მისი გავრცელების ყველა პირობებში.

ჯიშის აგრობიოლოგიურ დახასიათებაში მოცემულია ჯიშის განვითარების ძირითადი ფაზების მსვლელობა წლის მეტეოროლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებით, ცნობები ჯიშის მოსავლიანობის შესახებ (მსხმოიარობის კოეფიციენტი, მტევნის საშუალო წონა, მოსავალი ძირზე და ჰექტარზე გაანგარიშებით), ცნობები ავადმყოფობათა და მავნებლების მიმართ შედარებითი გამძლეობისა და გარემო პირობებისადმი დამოკიდებულების (ყინვის, გვალვის და სხვა ფაქტორების მიმართ გამძლეობის) შესახებ.



## კახეთი

**გეოგრაფიული მდებარეობა და რელიეფი.** კახეთი საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილია. იგი მდებარეობს დაახლოებით ჩრდილოეთ განედის  $41^{\circ}$ -სა და  $42^{\circ}20'$  შორის და აღმოსავლეთი გრძედის  $45^{\circ}$ -დან  $42^{\circ}30'$ -მდე გრინვიჩის მერიდიანიდან.

ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კახეთი შემოფარგლულია მთავარი კავკასიონის ქედით, დასავლეთიდან ქართლის ქედით, სამხრეთიდან გარეჯის მაღლობით და შირაქის ზეგნით, ხოლო აღმოსავლეთით კახეთს საზღვრავს აზერბაიჯანისა და ზაქათალის დაბლობები.

კახეთი დაყოფილია: გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, ყვარლის, საგარეჯოს, ახმეტის, კაჭრეთის, ლაგოდებისა და წითელწყაროს ადმინისტრაციულ რაიონებად.

აკად. ალ. ჯავახიშვილის მიხედვით კახეთის ქედი იწყება კავკასიონის მთავარ ქედზე მდებარე ბორბალოს მთიდან ( $H=3295$  მ) და მიემართება ჯერ სამხრეთისაკენ, შემდეგ ცოვის მთასთან მიახლოებისას უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით და ცივ-გომბორის ქედის სახელწოდებით გრძელდება იმავე მიმართულებით მთავარი კავკასიონის ქედის თითქმის პარალელურად, ოღნავ სამხრეთისაკენ გადახრით. კახეთის ქედის სიმაღლე ჩრდილოეთ ნაწილში აღწევს 3000 მეტრს, ცოვის მთას მადამუბში იგი თანდათან დაბლდება 2000 მეტრამდე, შემდეგ ცივ-გომბორის ქედი უფრო მეტად, 1000 მეტრამდე, დაბლდება და სიღნაღის იქით წითელწყაროსთან შეუმჩნეველად ერთვის ივრის ზეგანს.

კახეთის ბარს უჭირავს მდინარე ალაზისა და ივრის შუა დინების ვაკე ადგილები, რომელიც კახეთისა და ცივ-გომბორის ქედით გაყოფილია ალაზნის და ივრის ველად — შიგნიკახეთად და გარეკახეთად. ალაზნის ხეობა იწყება ბორბალოს მთის აღმოსავლეთით — მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთ-დასავლეთი კალთებიდან და მიემართება ალაზნის ორივე ნაპირის გასწვრივ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ კავკასიონის მთავარი ქედის თითქმის პარალელურად.

ალაზნის ხეობა ყველაზე უფრო დიდი ველია კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარე ველებს შორის. მისი სიგრძე 160 კილომეტრს შეადგენს, ხოლო განი 5 კილომეტრს უდრის ველის დასაწყისში, შემდეგ თანდათან ფართოვდება და ს. ლაგოდებთან უკვე 40 კილომეტრამდე აღწევს.

ალაზნის ველის ზედაპირი ორი მიმართულებით არის დაქანებული. პირველი დაქანება ემთხვევა ალაზნის დინებას და მიემართება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ამ მიმართულებით დაქანება საკმაოდ მკვეთრია. ასე, მაგალითად, ალაზნის ველის სიმაღლე დასაწყისში, სოფ. ბახტრიონთან, 740 მეტრს უდრის, შემდეგ სწრაფად ეცემა და ნაფარეულის ბოლოზე ველის ფუძის სიმაღლე 365 მეტრს შეადგენს, ხოლო ველის ბოლოში, საინგილოს საზღვართან, მისი სიმაღლე 200 მეტრამდე ეცემა.

ასეთი დიდი დაქანება იწვევს მდინარე ალაზნის ძლიერ ეროზიულ მოქმედებას, რამაც ხელი შეუწყო ალაზნის ძველი ტერასების ალუვიალური ნიადაგების წარმოქმნას.

მეორე დაქანება ალაზნის ველს აქვს მთავარი კავკასიონის, კახეთისა და ცივ-გომბორის ფერდობების დაქანების მიმართულებით ალაზნისაკენ. ალაზნის ველის მარცხენა მხარე ალაზნის ნაპირიდან კავკასიონის ქედის მიმართულებით თანდათან მაღლდება და მისი კალთების ფუძესთან აღწევს 400—450 მეტრს, ხოლო მთავარი კავკასიონის სამხრეთი კალთები ძირს, მისი ფუძისაკენ, ძლიერ დაქანებული და მეტად ციცაბოა, რის გამოც მთავარი კავკასიონიდან ჩამონადენი მდინარეები: სტორი, ლოპოტა, ინწობა, ჩელთი, დურუჯი, შაროხევი, კაბალი და სხვ. ისეთი დიდი სისწრაფით მოედინებიან დაბლა ველისაკენ, რომ იწვევენ ძლიერ ეროზიულ მოქმედებას — მთის ქანების ნგრევას, — რის შედეგად ჩამოაქვთ ველში უზარმაზარი ლოდები, ქვები, ლორღი, მიწა, ლამი, ქვიშა და სხვ.



ალაზნის ველის მარჯვენა მხარის დაქანების სიდიდე ალაზნისაკენ თვით ფერდობების სიმაღლის შე-  
საბამისად სხვადასხვაა. ამ მხარის ზემო ნაწილი მდებარეობს 740—800 მეტრზე ზღვის დონიდან, რის  
გამოც ამ ნაწილის დაქანება ალაზნისაკენ მეტია და საშუალოდ  $12^{\circ}$  აღწევს, ზოგან კიდევ, მაგალითად,  
ვეჯინის, კარდანახისა და ვაქირის ზოლზე, დაქანება გაცილებით მეტია და აღწევს 20—40 და მეტ გრა-  
დუსს. სუსტი დაქანება აქვს იმ ადგილებს, რომელთა კალთები 400 მეტრზე დაბლა მდებარეობენ ზღვის  
დონიდან.

კახეთისა და ცივ-გომბორის ქედიდან იწყება ბევრი მდინარე-ხევი: თურდო, კისისხევი, მდინარე-ხევი,  
ქერემისხევი, ფაფრისხევი და სხვა მრავალი, რომლებიც გაზაფხულობით დიდდება და დაბლობისაკენ  
და ძლიერებით ეშვება ძირს. ამ მდინარეებსა და ხევებს თან მოაქვს მთის ჯიშების დიდძალი ნამტვრევები,  
ქვები, ლორღი, ქვიშა და ლამი. ამ მდინარე-ხევების დიდი ნაწილი ვერ აღწევს ალაზნამდე და ჩამონატან  
ქვა-ლორღს დინების მიმართულებით გზაზე ტოვებს.

ალაზნის მარჯვენა ნაპირის მდინარეები წყლის მცირე დებეტით ხასიათდება. მათი უმრავლესობა  
ზაფხულობით შრება, ამიტომ მათ მდინარის ნაცვლად ხევებს ეძახიან. განსაკუთრებით მცირეწყლიანია  
ქიზიყის მდინარე-ხევი.

კახეთის ვენახების მთავარი მასივები განლაგებულია ალაზნის მარჯვენა მხარეზე ცივ-გომბორის  
ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ, ხოლო ალაზნის მარცხენა ნაპირზე მთავარი კავკასიონის ქე-  
დის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებზე.

ივრის ველი წარმოადგენს მდინარე ივრის ხეობის გაგრძელებას. იგი მდებარეობს სამგორის მაღლო-  
ბისა და კახეთისა და ცივ-გომბორის ქედებს შორის დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით.  
ჩრდილოეთით იგი აღწევს კახეთისა და ცივ-გომბორის ქედების სამხრეთ ფერდობებს, ხოლო სამხრე-  
თით — გარეჯის მთებს. ამ ველის დაბლობში დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიედინება მდინარე იო-  
რი. ივრის მარცხენა ნაპირი სად. საგარეჯოდან დაწყებული დაახლოებით სოფ. კაკაბეთამდე ცნობილია  
გარეკახეთის დაბლობის სახელწოდებით. ივრის ველის ეს ნაწილი საკმაოდ სწორია. მისი დაქანება ივრის  
დინების მიმართულებით არ აღემატება  $1-2^{\circ}$ . ხეობიდან გამოსვლის შემდეგ იორი თანდათან ფართოვდე-  
ბა და მისი სიგანე სოფ. მანავთან 8 კილომეტრს აღწევს. სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ველი თანდათან  
ვიწროვდება და უახლოვდება ივრის ნაპირებს. აღმოსავლეთით მას უერთდება მდ. ლაკბეს ველის ქვემო  
ნაწილი.

ამავე მიმართულებით სართიქალიდან დაწყებული შენაკად ლაკბეს იორთან შერთვის ადგილამდე  
ივრის ველი 700 მეტრიდან 480 მეტრამდე დაბლდება. ივრის ველი მდებარეობს ივრის ორივე მხარეზე.  
მისი სიგრძე საგარეჯოდან დაწყებული ივრის შენაკად ლაკბემდე დაახლოებით 30 კილომეტრს უდრის.  
ამის შემდეგ მას ერთვის ლაკბეს ველის ქვემო ნაწილი.

ივრის ველის შემადგენელი ადგილები კახეთისა და ცივ-გომბორის ქედის ფერდობების გასწვრივ  
უფრო გრილია, ტყიანია და მოფენილია გარეკახეთის სოფლებით, დაბლობი ადგილები მდ. იორის ნა-  
პირის გასწვრივ ნაკლებ დასახლებულია და საძოვრებადაა გამოყენებული.

გარეკახეთის ვენახები განლაგებულია ძირითადად ცივ-გომბორის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ  
ფერდობებზე, უმთავრესად 600—850 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

**გეოლოგიური პირობები და გეომორფოლოგია.** კახეთისა და ცივ-გომბორის ქედის შემადგენე-  
ლი დედა ჯიშები მესამეულისა და მასზე უფრო ადრინდელი სისტემის დანალექებს მიეკუთვნება, სახელ-  
დობრ: სარმატის, ქვემო მიოცენის, ოლიგოცენის, პალეოცენის, ეოცენისა და ზემო ცარცისას. დანალექი  
ქანების გარდა გვხვდება ვულკანური წარმოშობის ანდეზიტები, ბაზალტები, პორფირიტები და მათი  
ტუფები.

კახეთის ქედი მთავარი კავკასიონის განტოტების ადგილიდან დაწყებული შემდგარია ცარცის დრო-  
ინდელი დედა ჯიშებისაგან (ქანებისაგან). შემდეგ მის აგებულებაში მონაწილეობდა ეოცენის თიხები,  
სილნარები და თეთრი და ყვითელი ტკილები. მისი გაგრძელება — ცივ-გომბორის ქედი — ლაკბეს მთამდე  
შემდგარია ოლიგოცენის და ქვემო მიოცენის თიხებისაგან, ტკილებისა და სილნარებისაგან, ხოლო მისი  
სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის შემადგენლობაში მონაწილეობდა აგრეთვე სარმატის თიხები  
და სილნარები. ლაკბეს მთიდან წითელწყაროს მაღლობებამდე ცივ-გომბორის ქედი შემდგარია უფრო ახა-  
ლი ასაკის კონგლომერატებისაგან და ლიოსისმაგვარი ყვითელი და ფერადი თიხებისაგან. წითელწყაროს  
მაღლობი შემდგარია ცარცის სისტემის ჯიშებისაგან, რომელთაც ჩრდილოეთი მხრიდან ემატება ზემო  
მიოცენის ჯიშები, შემდგარი თაბაშირშემცველი თიხებისაგან და კონგლომერატებისაგან.

ვულკანური წარმოშობის ჯიშები: ანდეზიტები, ბაზალტები, პორფირიტები და მათი ტუფები გვხვდება ლაკებს მთასთან და თხილისხევის, ჩაილურის, თურდოსა და კისისხევის სათავეებში.

ალაზნის ველის მარჯვენა მხარის მთის წინა ზოლი და მისი დაბლობი ნაწილი შედგება მესამეული და მისი შემდგომი სისტემების ჯიშებისა და ახალგაზრდა ასაკის დანალექებისაგან.

კახეთის გამოღმა მხარის მთის წინა ზოლის შუა ნაწილი შედგარია თიხებისა და კონგლომერატებისაგან. თვით კონგლომერატები შედგება ქვაკირის, სილნარების, კვარციტების და ვულკანური ჯიშების ნამსხვრევებისაგან, რომლებიც შეკავშირებულია კირით, რკინით ან თიხით, ხოლო თიხებიდან მის შემადგენელ გენლობაში შედის ლიოსისმაგვარი ყვითელი, აგრეთვე რუხი, წითელი და ქრელი თიხები.

ალაზნის ველის სწორი ქვემო ნაწილი და მდინარეების ნაპირები შედგენილია ადგილობრივი ლიოსისა და სილნარ-ქვიშარის ალუვიალური დანალექებისაგან.

ალაზნის ველის მარცხენა მხარის შემალღებულ მთის წინა ზოლი და მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთი ფერდობები შედგენილია პალეოზოისა და იურის ჯიშებისაგან, ხოლო პალეოზოის ჯიშები შედგენილია თიხის ფიქალებისაგან და მდებარეობს კავკასიონის ქედის შემალღებულ ფერდობებზე. მათ ქვემოთ განლაგებულია იურის ჯიშები — ჯერ იურის თიხის ფიქალები და შემდეგ ველის შემალღებულ ადგილებზე და მთის წინა ზოლზე, ზემო იურის ფიქალები.

ამავე ველის მარცხენა მხარის ქვემო სწორი ნაწილი შედგება ახალგაზრდა ასაკის ადგილობრივი ლიოსისაგან, რომლის ქვეშ შეფერილია კონგლომერატები. გარდა ამისა, ველის ვაკე ადგილის შემადგენლობაში შედის მთავარი კავკასიონის მთებიდან მდინარეების მიერ ჩამოტანილი სილა, ქვიშა, ლორღი და მთის ჯიშების ნამსხვრევები.

**ნიადაგები:** კახეთის მდებარეობა სამხრეთით, მისი ზედაპირის სირთულე, დედა ჯიშების მრავალფეროვნება, მისი მასივების ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობა, ფერდობების სხვადასხვა დაქანება, ექსპოზიცია და თვით ალაზნისა და მისი მარცხენა და მარჯვენა უამრავი შენაკადის ეროზიული მოქმედება წინასწარ პირობას ქმნიან კახეთის ნიადაგების ძლიერი სიჭრელისათვის. და მართლაც, ცალკეული მასივების მდებარეობის პორიზონტალური და ვერტიკალური ზონალობის შესაბამისად იცვლება როგორც ჰავის, ისე ნიადაგის თვისებები (ტიპი, მექანიკური შედგენილობა, ქიმიური შედგენილობა და სხვ.).

ამასთან დაკავშირებით კახეთის ნიადაგის ძირითადი ტიპები დაახლოებით შემდეგნაირადაა განაწილებული:

ალაზნის ველის შემალღებულ ნაწილში და მთის ზოლში გავრცელებულია გადამპალა კარბონატული, ტყის ყავისფერი, მუქი რუხი და დელუვიალური ნიადაგები.

ამავე ველის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შედარებით უფრო მცირედ დაქანებულ ფერდობებზე განვითარებულია შავმიწა, მუქი წაბლისფერი და შავმიწამაგვარი ნიადაგები.

ველის ვაკე ადგილებში, უმთავრესად მის მარჯვენა მხარეზე, ძირითადად გავრცელებულია ალუვიალური ჯგუფის ალუვიალურ-კარბონატული ახალგაზრდა ნიადაგები, ხოლო ველის მარცხენა მხარეზე ძირითადად ალუვიალურ-არაკარბონატული და ძველი ალუვიალურ-არაკარბონატული ნიადაგების სხვაობანი. ალაზნის ველის ქვემო ვაკე ზოლში, სადაც ნიადაგი სწორია და გრუნტისა და ნიადაგის წყალი ახლოსაა მის ზედაპირთან, ხდება ნიადაგების დაქაობება, ხოლო ველის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, განსაკუთრებით დაბლობ ადგილებში, გვხვდება სხვადასხვა სიძლიერის დამარილებული და მლაშე ნიადაგები. კახეთში, მისი ბუნებრივი პირობების (ჰავა, მდებარეობა ზღვის დონიდან, ფერდობების ექსპოზიცია და სხვ.) შესაბამისად გამოიჩინება მევენახეობის ოთხი მაკრორაიონი:

- ა) ალაზნის ველის მარჯვენა მხარის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი;
- ბ) ალაზნის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი (ქიზიყი);
- გ) ალაზნის ველის მარცხენა მხარე და
- დ) გარეკახეთი (ივრის ველი).

აღნიშნულ მაკრორაიონებში საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტ პროფ. მ. საბაშვილისა და პროფ. ა. სანიკიძის გამოკვლევებით გავრცელებულია შემდეგი ტიპის ნიადაგები:

ა) ალაზნის ველის მარჯვენა მხარის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ნიადაგები საგრძობლად განსხვავდება მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის (ქიზიყის) ნიადაგებისაგან. პირველი ხასიათდება უფრო ზომიერი და ტენიანი ჰავით და ნალექების მეტი რაოდენობით მაშინ, როდესაც ქიზიყის ჰავა უფრო

მშრალია და თითქმის ტრამალეების ჰაერის ხასიათისაა. თავისთავად ცხადია, რომ ბუნებრივი პირობების შესაბამისად განსხვავებულია ნიადაგის თვისებებიც: ველის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ნიადაგები უფრო ხშირად ტყის ბუნებისაა, ამიტომაც იქ ძირითადად გვხვდება ტყის ყავისფერი და ტყის რუხი ნიადაგები.

ტყის ყავისფერი ნიადაგები გავრცელებულია ძირითადად ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-დასავლეთი ფერდობის მთისწინა ზოლზე და შემალლებულ ადგილებში, განსაკუთრებით, სოფ. ვანთის გულში, ქვემო ხოდაშნის, წინანდლის, კურდღელაურის, ვარდისუბნისა და მუკუხნის ნაკვეთებზე.

ნიადაგი ხასიათდება მუქად შეფერილი ჰუმუსის ჰორიზონტით, რომლის სისქე 25—30 სანტიმეტრს აღწევს, კარგად გამოსახული მარცვლოვანი და გორბოვანი აგებულებით და ხშირად ზედა ფენების უკირობით. ქვედა ფენა ლიოსისმაგვარი ბუნებისაა: ღია ყავისფერია, ან ყავისფერია კირი ჩარეცხილია კონკრეციების, ძირითადად კირთვლების, სახით 60—120 სანტიმეტრისა და მეტ სიღრმეზე. ნიადაგი ხშირად ჩონჩხიანია, განსაკუთრებით ქვედა ფენებში. მექანიკური შედგენილობით იგი საშუალო და მძიმე თიხნარია. ჰუმუსის შედგენილობა არ აღემატება 3—3,5%-ს, კალციუმის კარბონატები ზედა ფენებში თითქმის არ გვხვდება, იგი თანდათან მატულობს და აღწევს ქვევით 20%-მდე. ნიადაგის რეაქცია მთელ ჭრილზე სუსტტუტიაანია.

ამავე ზონის შემალლებულ ნაწილში, ტყის ყავისფერ და ალუვიალურ-კარბონატულ ნიადაგებს შორის, ცალკე ზოლებსა და კუნძულებს სახით გავრცელებულია მუქი რუხი ტყის ნიადაგები. ეს ნიადაგები გამოირჩევა ზედა ფენების რუხი შეფერვით, მსხვილი გორბოვანი სტრუქტურით და გაწვრების ოდნავი ნიშნებით. კირი ჩარეცხილია 40—70 სმ სიღრმეზე, ხოლო ქვევით იგი გვხვდება კონკრეციების, კირთვლებისა და ძარღვების სახით. მექანიკური შედგენილობით ეს ნიადაგი მძიმე ქვეთიხნარი ან თიხნარია.

ამავე ზოლში ზღვის დონიდან 400 მეტრის სიმაღლეზე და ამის ზემოთ, ძირითადად ჩუმლაყის, ახაშნის, ვაზისუბნის, კისისხევის, წინანდლის, ნასომხრის და იყალთოს ნაკვეთებზე, გავრცელებულია გადამპალა კარბონატული ნიადაგები.

ეს ნიადაგები, განსაკუთრებით დაბლა ფენებში, ხასიათდება მაღალი კარბონატულობით (კირიანობით) და ძლიერი ჩონჩხიანობით, რაც ხშირად ნიადაგის ზედა ფენებშია მოქცეული. მიუხედავად თითქმის შავი ფერისა, ჰუმუსის რაოდენობა ამ ნიადაგებში იშვიათად აღწევს 5—6%-ს. კარბონატულობის შესაბამისად ამ ნიადაგების ტუტეიანობა დიდია, განსაკუთრებით ქვედა ფენებში. ამ ნიადაგების წმინდა მიწის ნაწილი საშუალო და მძიმე ქვეთიხნარი ან თიხნარია. მაღალი ჩონჩხიანობის გამო ეს ნიადაგები კარგი ფიზიკური თვისებების მქონე და ნოყიერია.

ველის ჩრდილო-დასავლეთი ვაკე ნაწილის ნიადაგების ზედაპირი მდინარეების მოქმედების გამო არათანაბარია. აქ დიდ მასივებადაა გავრცელებული სხვადასხვა მექანიკური შედგენილობისა და სინოყიერის ალუვიალურ-კარბონატული ნიადაგები, წარმოქმნილი მდ. ალაზნისა და მისი შენაკადების (თურდო, კისისხევი, ჭვრპისხევი) მიერ ჩამონატანი დანალექებისაგან (ნაფენებისაგან). ზოგან ეს ნიადაგები დამარხულია და დაფარულია ამავე მდინარეების ახალი ნაფენებით (დანალექებით).

ველის მდინარისპირა ნაწილში ალუვიალურ-კარბონატული ნიადაგები დიდი სიღრმისაა. მათში ჰუმუსის რაოდენობა არ აღემატება 2,5%-ს. მექანიკური შედგენილობის მიხედვით ეს ნიადაგები მსუბუქი ან საშუალო ქვეთიხნარია და საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიცავს კირს. უფრო ხშირად ეს ნიადაგები ღარიბია ორგანული ნივთიერებით, ჩონჩხიანია და მსუბუქი მექანიკური შედგენილობისაა.

ბ) ალაზნის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის — ქიზიყის — ნიადაგები ამ მხარის სიმშრალის გამო განირჩევა კახეთის დანარჩენი ნიადაგებისაგან და ტრამალის ბუნებისაა. ქიზიყის მთის წინა ზოლზე და შემალლებულ ადგილებში, ისე როგორც ველის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გავრცელებულია გადამპალა კარბონატული და ტყის ყავისფერი ნიადაგები.

მათ ქვემოთ, ნაკლებ დაქანებულ ფერდობებზე, შავი მიწისმაგვარი ნიადაგებია განლაგებული საკმაოდ ფართო ზოლად სოფ. ძველი ანაგიდან სოფ. ყარაგაჩამდე. ეს ნიადაგები ხასიათდება ზედა ფენის დიდი სიღრმით და მკვიდრი მარცვლოვან-გორბოვანი სტრუქტურით. მექანიკური შედგენილობის მიხედვით აღნიშნული ნიადაგები ქიზიყის ფარგლებში (ძველი ანაგა, ხირსა, ყარაღაჩი) ქვეთიხნარი და მძიმე ქვეთიხნარებია. ნიადაგის შავი ფერის მიუხედავად ჰუმუსის შემადგენლობა ამ ნიადაგებში 3—4%-ს შეადგენს, ხოლო იშვიათად 5—6,5%-ს აღწევს. ეს ნიადაგები აზოტით მდიდარია და ნიადაგების ზედა ფენ-



რქაწითელის უხვმოსავლიანი ვაზი — Обильно-урожайный куст сорта Ркацители



საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

როველი კახეთში — Сбор винограда в Кахетии

ნაში შეიცავს აზოტის 0,19—0,39%-ს. საერთოდ საკვები ნივთიერებების შემადგენლობით ეს ნიადაგები მეტად მდიდარია და თავისუფლად უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალ მოსავალს. კირის შემადგენლობა ამ ნიადაგებში ფენების მიხედვით მერყეობს ზედა ფენებში, იგი შეადგენს 1,17%-ს და აღწევს 15,85%-მდე ქვემო ფენებში.

ქიზიყში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული აგრეთვე წაბლისფერა-შავმიწა ნიადაგები და წაბლისფერი ნიადაგები.

წაბლისფერა-შავმიწა ნიადაგები განლაგებულია წნორის წყლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით უმთავრესად მთავარი მოსეს ორივე მხარეზე, დამარილებული ნიადაგების ზემოთ. ეს ნიადაგები ხასიათდება მუქი, თითქმის შავი შეფერვით, მარცვლოვანი სტრუქტურით და ჰუმუსოვანი ჰორიზონტის დიდი სიღრმით. ნიადაგის ზედა ფენებში კირი ხშირად არ გვხვდება, იგი ჩარეცხილია ნიადაგის ქვემო ფენებში 40—70 სანტიმეტრის სიღრმემდე. ჰუმუსის შემადგენლობა ამ ნიადაგებში საშუალოდ 4—6,3%-ს არ აღემატება და მისი რაოდენობა სიღრმეში მცირდება. საკვები ნივთიერების სიმდიდრისა და კარგი ფიზიკური თვისებების გამო ეს ნიადაგები დიდად ნოყიერია და ძალიან ხელსაყრელია მევნახეობისათვის.

წაბლისფერი ნიადაგები განლაგებულია გრძელ ზოლად კარდანახიდან საინგილომდე, უმთავრესად ალაზნის შემადგენელი ნაპირის გასწვრივ, დამარილებული ნიადაგების ქვემოთ. მას უკავია ალაზნის ძველი ტერასა. ეს ნიადაგი მდიდარია საკვები ნივთიერებით. კირის რაოდენობა მასში მატულობს სიღრმის მიხედვით და აღწევს უდიდეს რაოდენობას 60—70 სმ სიღრმეზე, ხოლო შემდეგ ისევ კლებულობს.

წაბლისფერ-შავმიწა ნიადაგებსა და წაბლისფერ ნიადაგებს შორის საკმაოდ ფართო ზოლად, წნორის წყლიდან საინგილოს საზღვრამდე, შარაგზის ქვემოთ, განლაგებულია სხვადასხვა სიძლიერის დამარილებული ნიადაგები. მათ უკავიათ დაბლობი ადგილი დაახლოებით 200—210 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მათი დამარილება გამოწვეულია ადგილის დადაბლებით, გრუნტის წყლის სიანლოვით და ადვილად ხსნადი მარილების დაგროვებით დაბლობ ადგილებში. ყველაზე მეტად დამარილებულია ვაკის შუა დაბალი ზოლი, ნაპირებისაკენ დამარილება შედარებით სუსტია. ამ ნიადაგების დიდი ნაწილი გამოყენებულია მარცვლოვანი და ბალახეული კულტურებისათვის. ვენახებისათვის ეს ნიადაგები ნაკლებ გამოსადეგი ან სულ უფარგისია.

ამავე ზოლზე, საქობო-ვაქირის ბოლოებზე, გვხვდება დაქაობებული ნიადაგები, რომელთა წარმოქმნა გამოწვეულია ძირითადად ადგილის ჩაღრმავებით, წყლის გასადენის უქონლობით და თვით ნიადაგის მძიმე თიხნარი შემადგენლობით. ეს ნიადაგები ძირითადად გამოსადეგია სათიბებისა და, ნაწილობრივ, ბოსტნეული კულტურებისათვის.

გ) ალაზნის მარცხენა მხარეზე ძირითადად შემდეგი ტიპის ნიადაგებია გავრცელებული: მთისა და მთისწინა ზოლზე, მთავარი კავკასიონის ქედის გასწვრივ, ტყის ყავისფერი არაკარბონატული ნიადაგებია; ფერდობების ფუძის გასწვრივ და ველის შემადგენელ ადგილებში განიერი ზოლის სახით წარმოდგენილია დელუვიალური კარბონატული ნიადაგები. ველის ალაზნისაკენ დაქანებულ ფერდობებზე გავრცელებულია დიდი მასივებით ალუვიალურ-არაკარბონატული ნიადაგები და მათ ქვემოთ, მთავარი შარაგზის ორივე მხარეზე, უფრო მეტად კი მის დაბლა, სუსტად დაქანებულ ფერდობებზე, გავრცელებულია ძველი ალუვიალურ არაკარბონატული ტყის ნიადაგები.

ტყის ყავისფერი არაკარბონატული ნიადაგები გავრცელებულია მთავარი კავკასიონის ქედის მთელ სიგრძეზე მთის და მისი წინა ზოლის ფერდობებზე, რომელთა დაქანება ზოგან 15°-მდე აღწევს. ეს ნიადაგები წარმოდგენილია ორი—ღია და მუქი ყავისფერი—სახესხვაობის სახით, ღია ყავისფერი ტყის ნიადაგები ნაკლებ ღრმაა (15—17 სმ), ხშირად უჩონჩხია, მექანიკური შემადგენლობით უმთავრესად ქვეთიხნარი და მძიმე ქვეთიხნარია, კირს არ შეიცავს, მათ უკავიათ ქვემო, უფრო სუსტი დაქანების ფერდობები.

მუქი ყავისფერი ნიადაგები უფრო შემადგენელ ფერდობებზეა განლაგებული. მექანიკური შემადგენლობის მიხედვით ეს ნიადაგები მძიმე ქვეთიხნარი და თიხნარია. სტრუქტურა მსხვილოვანოვანი აქვს. კირი ნიადაგის სიღრმეზე არ არის წარმოდგენილი, იგი გვხვდება 70—80 სმ და ამის ქვემოთ ცალკე ნაწილების სახით. ეს ნიადაგები მეავე რეაქციისაა და შეიცავს საკმაოდ დიდი რაოდენობით ჰუმუსს (5—6%-მდე), აზოტს (0,3%-მდე) და საკმაოდ რაოდენობით ფოსფორს.

ამავე ამ ნიადაგების შემადგენელი ნაწილი უკავია ტყეს, ხოლო შედარებით უფრო ვაკე ადგილები, გამოყენებულია სახნავ-სათესად. ვენახებისათვის უფრო გამოსადეგია სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის სუსტად დაქანებული ადგილები ჩონჩხიანი, ქვეთიხნარი ნიადაგებით.

მის



დელუვიალური კარბონატული ნიადაგები გავრცელებულია საკმაო განიერი ზოლის სახით მთავარი კავკასიონის ქედის ძირში, ველის შემადგენელ ნაწილში. ეს ნიადაგები ხასიათდება ჰუმუსის საკმაო შემადგენლობით (6%-მდე). სიღრმეზე ჰუმუსის შემადგენლობა კლებულობს, თუმცა 70—80 სმ სიღრმეზე მაინც საკმაო რაოდენობითაა (0,91%) წარმოდგენილი. ჰუმუსთან ერთად ზედა ფენებში აზოტის საკმაო რაოდენობითაა (0,22%) კალციუმის კარბონატები ჩარეცხილია 28—30 სმ სიღრმეზე. ქვედა ფენებში მათი რაოდენობა მატულობს და 70—80 სმ სიღრმეზე 15,4%-ს აღწევს. ეს ნიადაგები დიდი ჩონჩხიანობით ხასიათდება, ამასთან ნიადაგის სიღრმეზე ჩონჩხი მატულობს 12,7 პროცენტიდან (ზედა ფენებში) 65,6%-მდე აღის (ქვედა ფენებში). დელუვიალური კარბონატული ნიადაგები კარგი ფიზიკური და ქიმიური თვისებებით ხასიათდება, შეიცავს საკმაო რაოდენობის კირს და ამასთან კარგი (სამბრეთ, სამბრეთ-აღმოსავლეთის) ექსპოზიციის გამო სავსებით გამოსადეგია ხარისხოვანი მევენახეობის განსაფართოებლად.

ალუვიალურ-არაკარბონატული ნიადაგები მხოლოდ ალაზნის მარცხენა მხარეზეა გავრცელებული. ეს ნიადაგები ძირითადად მთავარ კავკასიონის ქედიდან მდინარეების მიერ ჩამონატანი ნაფენებისაგანაა შედგენილი და საკმაოდ დიდი მასივები უჭირავს. მეტწილად ეს ნიადაგები მცირე ან საშუალო ჩონჩხიანობით ხასიათდება. ჩონჩხიანობა სიღრმეზე მატულობს და ზოგჯერ 80—90 სმ სიღრმეზე 80%-მდე აღწევს. მსუბუქი მექანიკური შემადგენლობისა და ჩონჩხიანობის გამო ეს ნიადაგები წყალს კარგად ატარებს და დასამუშავებლად ადვილია, მაგრამ უკარბონატობისა და ჰუმუსის მცირე შემცველობის გამო არამკვიდრი სტრუქტურით ხასიათდება, წვიმების შემდეგ გადაილესება და ადვილად იკეთებს ქერქს, რის გამო წყალი ნიადაგიდან ადვილად იკარგება. ჰუმუსის შემცველობა ამ ნიადაგებში დიდი არ არის. ზედა ფენებში მისი შემადგენლობა მერყეობს 2,41%-დან 3,61%-მდე, ჰუმუსის სიმცირის გამო აზოტის შემადგენლობაც ამ ნიადაგებში 0,13—0,17%-ს არ აღემატება. მხოლოდ ტყიდან ახლად გამოსული ნიადაგებია უფრო მდიდარი ჰუმუსით და მასთან ერთად აზოტითაც.

ეს ნიადაგები მათ მთელ სიღრმეზე უკირობისა, ნალექების დიდი რაოდენობისა და მორწყვის შესაძლებლობის გამო მყავე და ნეიტრალური რეაქციისაა. ამასთან ერთად ეს ნიადაგები მდიდარია ფოსფორის სიმკვებით, რკინითა და კალიუმით, მევენახეობის განვითარების თვალსაზრისით ეს ნიადაგები უდავოდ საყურადღებოა, რადგანაც იძლევა მაღალხარისხოვან თეთრ და წითელ სუფრის ღვინოებს (ართანა, ნაფარეული, ყვარელი, ენისელი და სხვ.). ღვინის კარგი ხარისხი გამოწვეული უნდა იყოს ძირითადად ნიადაგის ჩონჩხიანობით და მასში ფოსფორის, რკინისა და კალიუმის დიდი რაოდენობით არსებობით.

ძველი ალუვიალურ-არაკარბონატული ტყის ნიადაგები გავრცელებულია უმთავრესად ალაზნის ველის მარცხენა მხარეზე და უკავია მისი სუსტად დაქანებული ნაწილი, მთავარი შარავის ორივე, მომეტებულიად კი მის ქვემო მხარეზე. ეს ნიადაგები ფართო ზოლად მიემართება ალაზნის ველის მარცხენა მხარის მთელ სიგრძეზე მატან-ალავერდიდან ლაგოდუხამდე. ეს ნიადაგები უმთავრესად მსუბუქი ან საშუალო მექანიკური შემადგენლობისაა, სახელობრ, მსუბუქი და საშუალო თიხნარებია, ხოლო აგებულებით ფხვიერია, უმთავრესად, უჩონჩხო ან მცირეჩონჩხიანია. ამ ნიადაგების სტრუქტურა არამკვიდრია, იგი გორბოვანი ან კაკლოვანია, ქიმიური შემადგენლობა საკმაოდ მდიდარია. ჰუმუსის რაოდენობა ზედა ფენებში 2,82%-დან 4,25%-მდე აღწევს, ხოლო ქვედა ფენებში 0,79%-დან 1,37%-მდე მერყეობს. ჰუმუსის დიდ რაოდენობასთან დაკავშირებით საერთო აზოტის რაოდენობაც ამ ნიადაგებში დიდია და აღწევს ზედა ფენებში 0,31%-ს. განსაკუთრებით მდიდარია ეს ნიადაგები ფოსფორის მკვებით. მევენახეობის განვითარების თვალსაზრისით ამ ნიადაგებიდან ყველაზე უფრო საყურადღებოა მისი ჩონჩხიანი სახესხვაობანი. დანარჩენი სახესხვაობები უფრო გამოსადეგია ხარისხოვანი მეთამბაქოეობის განვითარებისათვის.

დ) გარეკახეთის ნიადაგები უახლოვდება მშრალი ტრამალეების ზონის ნიადაგებს. ცივ-გომბორის ქედის სუსტად დაქანებულ ფერდობებზე, ზემოთ, ტყის ზონის დასაწყისში, გავრცელებულია დელუვიალური ჩონჩხიანი ნიადაგები; თვით ველზე, მის ოდნავ ტალღისებრ ნაწილში გავრცელებულია მუქი წაბლისფერი და წაბლისფერი შავმიწა ნიადაგები; ივრის ველის ორივე მხარეზე გავრცელებულია ალუვიალურ-კარბონატული ნიადაგები, უფრო ვაკე ადგილებში გვხვდება შავმიწისმგვარი ნიადაგები, ხოლო ვაკის დაბლობ ადგილებში გავრცელებულია სხვადასხვა სიძლიერით დამარილებული და დაქობებული ნიადაგები.

წაბლისფერი შავმიწა და მუქი წაბლისფერი ნიადაგები გავრცელებულია ივრის ველის ორივე მხარეზე. მარცხენა მხარეზე იგი გვხვდება კაკაბეთისა და ჩაილურს შორის, შემდეგ სად. ბაღიაურთან და მის აღმოსავლეთით იგი მიემართება ვიწრო ზოლად რკინიგზის გასწვრივ სად. მელაანამდე. მას უკავია აგრეთვე გარეკახეთის თითქმის მთელი ზეგანი მდ. ლაკბეს სამბრეთ-აღმოსავლეთით. ივრის მარჯვენა მხარეზე იგი გვხვდება გარეჯის მთების ოდნავ დაქანებულ ფერდობებზე. ტალღისებრი რელიეფის გამო შავმიწა ნიადაგები და მუქი ყავისფერი ნიადაგები ცვლის ერთმანეთს. მუქი წაბლისფერი ნიადაგები ზედა ფენებშივე შეიცავს საკმაო რაოდენობით კირს, ხოლო ქვედა ფენებში გვხვდება კალციუმის სულფატებიც, რის გამო ნიადაგი ოდ-

ნავ დამარილებულია. ჰუმუსის რაოდენობა ამ ნიადაგებში 3<sup>0</sup>/<sub>0</sub>-დან 5<sup>0</sup>/<sub>0</sub>-მდე მერყეობს და სიღრმეში თანდათანობით კლებულობს. აზოტისა და ფოსფორის სიმკვავით ეს ნიადაგები საკმაოდ მდიდარია და ფაფი-სუფლად უზრუნველყოფს მაღალი მოსავლის მიღებას.



წაბლისფერა შავმიწა ნიადაგებიც კირს უმთავრესად ზედა ფენებში შეიცავს. ჰუმუსის შემადგენლობა ამ ნიადაგებში არ აღემატება 6<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს. ქვევით ფენებში ჰუმუსის შემადგენლობა კლებულობს, თუმცა ერთი მეტრის სიღრმეზე იგი 2,51<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს მაინც უდრის. მექანიკური შემადგენლობით შავმიწა და მუქი ყავისფერი ნიადაგები მძიმე ან საშუალო ქვეთიხნარებია, იშვიათად აგრეთვე მსუბუქი ქვეთიხნარი ნიადაგებიც გვხვდება. უფრო ხშირად, განსაკუთრებით შემადგენულ ადგილებში, ეს ნიადაგები ჩონჩხიანია, ხოლო დაბლობებში, უმთავრესად ზედა ფენებში, მცირეჩონჩხიანია. მძიმე მექანიკური შემადგენლობის მიუხედავად ეს ნიადაგები მარცვლოვან-გორიანობიანი სტრუქტურისაა, რის გამოც კარგი ფიზიკური თვისებების მქონეა. კირის რაოდენობა ამ ნიადაგებში ფენების მიხედვით მერყეობს 2,86<sup>0</sup>/<sub>0</sub>-დან 26,7<sup>0</sup>/<sub>0</sub>-მდე. ამ ნიადაგების შავმიწა სახეობისათვის დამახასიათებელია კირის გავრცელება ზედა ფენებში. საერთოდ, ეს ნიადაგები ნოყიერია და შეუძლია უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლიანობა.

შავმიწამაგვარი ნიადაგები გავრცელებულია მხოლოდ ივრის მარცხენა ნაპირზე. მათ უკავიათ ვაკე ადგილები მანავის, ჩაილურის, კაკაბეთის, ბადიაურის, კაჭრეთის და სხვა სოფლების ნაკვეთებზე. ვაკე ადგილებში მდებარეობის გამო ეს ნიადაგები ხშირად ღრმაა. ზედა ფენებში ჩონჩხი იშვიათია, ხოლო ქვედა ფენებში იგი საკმაოდ ხშირად გვხვდება. ამ ნიადაგების დამარილება აღნიშნულია ზოგიერთი კრილის ღრმა ფენებში გაჯის ნაფენის სახით. ამავე ფენებში საგრძნობია კირის არსებობაც. მექანიკური შემადგენლობით ეს ნიადაგები ხშირად მძიმე ან საშუალო ქვეთიხნარებია. ჰუმუსის საკმაოდ რაოდენობის (6<sup>0</sup>/<sub>0</sub>-მდე) გამო ეს ნიადაგები მარცვლოვან-გორიანობიანი სტრუქტურისაა და კარგი ფიზიკური თვისებების მქონეა. კირი ზედა ფენებში მცირეა, იგი ჩარეცხილია ქვემო ფენებში, სადაც ზოგან 66<sup>0</sup>/<sub>0</sub>-მდე აღწევს. საზოგადოდ, ეს ნიადაგები შედარებით საკმაოდ ნოყიერია.

ალუვიალური-კარბონატული ნიადაგები საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ივრის ორივე ნაპირზე. ეს ნიადაგები შედარებით ახალი წარმოშობისაა, რის გამოც მათი გენეტიკური პორიზონტები სუსტადაა დიფერენცირებული. ეს ნიადაგები ჰუმუსის სიმცირით ხასიათდება, რუხი შეფერვისაა, ჩონჩხიანია, განსაკუთრებით ქვედა ფენებში, სუსტი სტრუქტურისა და კარგი მექანიკური შემადგენლობისაა. ეს ნიადაგები უფრო ხშირად მსუბუქი ქვეთიხნარები და სილნარებია. ჰუმუსის რაოდენობა ამ ნიადაგებში 2<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს არ აღემატება და ამასთან იგი საკმაოდ რაოდენობითაა (0,65—0,9<sup>0</sup>/<sub>0</sub>) გავრცელებული ერთ მეტრზე და ამაზე უფრო ღრმად. კირის რაოდენობა ზემო ფენებიდანვე საგრძნობია, ხოლო ქვედა ფენებში იგი 28—30<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს აღწევს. საერთოდ ეს ნიადაგები საკვები ნივთიერებით არ არის მდიდარი და საჭიროებს ორგანული სასუქების შეტანას. ვენახებისათვის ეს ნიადაგები სასურველია, რადგანაც მაღალი ღირსების ღვინოებს იძლევა (მანავის რქაწითელი, მწვანე).

დელუვიალური ნიადაგები გავრცელებულია ცივ-გომბორისა და გარეჯის მთების ფერდობების ძირში. ეს ნიადაგები ზედა ფენებშივე ჩონჩხიანია, ხოლო სიღრმეზე მათი ჩონჩხიანობა კიდევ უფრო მატულობს. მექანიკურა შემადგენლობით ეს ნიადაგები საშუალო და მსუბუქი ქვეთიხნარია, ხოლო ქვედა ფენებში, მეტრზე ღრმად, ხშირად მსუბუქი ქვეთიხნარია. ჰუმუსის რაოდენობა ამ ნიადაგებში 3<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს არ აღემატება და სიღრმეში თანდათან მცირდება. კირის რაოდენობა ნიადაგის სიღრმეში 12<sup>0</sup>/<sub>0</sub>-დან 30<sup>0</sup>/<sub>0</sub>-მდე მერყეობს, ამასთან ზედა ფენებშიც საკმაოდ რაოდენობითაა. დელუვიალური ნიადაგები, ისე როგორც ალუვიალური-კარბონატული ნიადაგები, სასურველია ვენახებისათვის, რადგანაც კარგი ღირსების ღვინოებს იძლევა.

დამარილებული და დაქაობებული ნიადაგები გავრცელებულია ივრის ვაკე და დაბლობ ადგილებში, ეს ნიადაგები ვენახებისათვის მელიორაციული სამუშაოების ჩატარებამდე გამოუსადეგარია, რომლის შემდეგ შეიძლება მათი გამოყენება.

კახეთში ყველაზე უკეთესი, უმთავრესად წითელი და ნაწილობრივ თეთრი ღვინოები დგება იმ ადგილებში, სადაც გავრცელებულია გადამბალა-კარბონატული ნიადაგები, მაგალითად: ახაშნის, მუკუზნის, ურიათუბნის, შაშიანის, წინანდლის, ზემო ხოდაშნის და სხვ. ნაკვეთებზე. არანაკლები ღირსების ღვინოები, უმთავრესად თეთრი, დგება ახმეტის, ქისტაურის, რუისპირის, წინანდლის (თელიანის), მუკუზნის (დედოფლის ზვარი) და მანავის ნაკვეთებზე, სადაც ალუვიალური-კარბონატული ნიადაგებია. მდიდარი შეფერვის სრული წითელი ღვინოები დგება აგრეთვე ყავისფერ და მუქ ყავისფერ ტყის ნიადაგებიან ნაკვეთებზე, მაგალითად, კარდანახის მეურნეობის საფერავი ახოების ნაკვეთიდან. დასასრულ, თავისი მაღალი ღირსებით ცნობილი



სანიორის, ართანის, ნაფარეულის, ენისლის, საბუეს და ყვარლის თეთრი და წითელი ღვინოები დგება, ძირითადად, ალუვიალურ-არაკარბონატულ ნიადაგიან ნაკვეთებზე.

**კახეთის ტერიტორიის აგროკლიმატური დახასიათება.** ვაზის ზრდა-განვითარება, მისი მოსავლიანობა და პროდუქციის ხარისხი დამოკიდებულია მრავალი ფაქტორის ურთიერთმოქმედებაზე. ამ ფაქტორებიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჰავას, რადგანაც, ერთი მხრით, იგი საზღვრავს შევსებულობის განვითარებას და, მეორე მხრით, მხოლოდ ადგილის კლიმატური პირობების ცოდნის საფუძველზე შეიძლება სასოფლო-სამეურნეო კულტურების სწორი შერჩევა ჰავის შესაძლებლობის უკერძოდ დასაყვებად გამოყენება და მანვე მეტეოროლოგიური მოვლენების თავიდან აცდენა ან შერბილება.

საერთოდ ჰავის ხასიათი დამოკიდებულია ადგილის გეოგრაფიულ მდებარეობაზე და მის ტოპოგრაფიულ პირობებზე. კერძოდ, კახეთისათვის აღსანიშნავია მზიური რადიაციის დიდი ინტენსივობა, რაც კახეთის დაბალ განედზე ( $41^{\circ}$ — $42^{\circ}$ ) მდებარეობითაა გამოწვეული, და ადგილის მთავარიანი რელიეფი, რომელიც ახდენს ამ რადიაციის მოქმედების დიფერენცირებას და წარმოშობს ხეობების, ვაკისა და ფერდობების მიკროჰავას. ნიადაგის ზედაპირი და მისი საფარი კიდევ უფრო ასხვავებებს მას და ქმნის მეტად რთულ მიკროკლიმატურ პირობებს, რაც ძირითადად განსაზღვრავს საბჭოთა კავშირში განთქმული კახური წითელი და თეთრი სამარკო ღვინოების მრავალფეროვნებასა და მათ მაღალ ღირსებას.

კახეთის ჰავა, ვ. კეპენის, ი. გაჩეჩილაძის, კ. კელენჯერიძის, ნ. დომბროვსკის, და სხვათა დახასიათებით, ეკუთვნის სუბტროპიკული კლიმატის სახესხვაობას, მისგან იგი განიჩევა ძირითადად ჰაერის ცივი მასების შემოჭრით, განსაკუთრებით საგრძნობლად ზამთრის პერიოდში.

ნ. დომბროვსკის დახასიათებით, კახეთის ჰავას აქვს ხმელთაშუა ზღვის სუბტროპიკული ჰავის ხასიათი ზღვის გავლენის სიჭარბის გამო. ამიტომ ზამთარი აქ რბილია, გაზაფხული —  $1 - 1\frac{1}{2}$  გრადუსით უფრო ცივია, ვიდრე შემოდგომა, ხოლო ზაფხული — ცხელი.

კახეთის ჰავა ძირითადი ელემენტებია (ტემპერატურა, ნალექები) მსვლელობით თვისობრივად თითქმის თანაბარია, ხოლო მისი რაოდენობრივი გამოსახულება იცვლება მისი ტერიტორიის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზონალობის შესაბამისად.

კახეთის ზარის ჰავა, თვით ალაზნისა და მის ირგვლივ განლაგებული მთების ქვემო და შუა კალთების ჩათვლით, ვ. კეპენის მიხედვით, წარმოადგენს ზომიერ-თბილ, თითქმის უყინვო და უთოვლო ჰავას.

მთების მაღალ ზოლში ჰავა უფრო გრილია, ნალექები წლის განმავლობაში საკმარისად მოდის, თოვლის საბურველი უფრო ხანგრძლივია, ხოლო ზამთარი და ზაფხული უფრო ცივია, ვიდრე ქვემო ზოლში.

ქვევით, ალაზნის დინების მიმართულებით — ქიზიყში — ალაზნის ველის ზომიერ-თბილი ჰავა თბიერების გადიდებისა და ნალექების შემცირების გამო იძენს მშრალი ტრამალეების ჰავის ხასიათს, უახლოვდება სუბტროპიკული ტრამალეების ჰავას და განსხვავდება მისგან უფრო ცივი ზამთრით. ვ. კეპენის შედარებით, ჰავის ეს ტიპი დამახასიათებელია შექსიკისა და ტეხასისათვის.

კახეთი, განსაკუთრებით შიგნიკახეთი, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, სამი მხრით (ჩრდილოეთიდან, ჩრდილო-დასავლეთიდან და დასავლეთიდან) შემოფარგლულია მაღალი ქედებით, რომლებიც იცვენ მას ჰაერის ცივი მასების ველის ზედაპირზე უშუალო შემოჭრისაგან. შორეული ჩრდილოეთის პოლარული ოლქებიდან ჰაერის ცივი მასების შემოჭრა კახეთში ზოგიერთ წლებში ხდება უმთავრესად შავი ზღვიდან, მთავარი კავკასიონის სამხრეთი ფერდობების გასწვრივ; ალაზნის ველის ზედაპირიდან 2—3 კილომეტრის სიმაღლეზე და იწვევს ჰაერის ძლიერ გაცივებას. მოსალოდნელი იქნებოდა ჰაერის უფრო მეტად გაცივება, რომ კახეთს არ ჰქონდეს თავისუფალი და ფართო გასასვლელი აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. ეს გარემოება მეტად ხელსაყრელია, იგი საკმაოდ ანელებს როგორც შემოჭრილი, ისე მაღალი მთების სიცივის გავლენას, რადგანაც მთებიდან ძირს დაშვებული ცივი ჰაერი ველში არ ჩერდება და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიედინება. ყოველივე ამის შედეგია კახეთის ჰავის ერთგვარი ზომიერება.

ჰაერის ტემპერატურა. ცნობილია, რომ ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური ოდენობა, მისი განაწილება და მსვლელობა დროის მანძილზე ძირითადად დამოკიდებულია ადგილის გეოგრაფიულ მდებარეობაზე და მისი ზედაპირის ტოპოგრაფიულ პირობებზე.

ვაკე ადგილებში ჰაერის ტემპერატურა ბევრად არის დამოკიდებული მის გარშემო მდებარე მთებისაგან. მაღალი მთები, ერთი მხრით, იფარავენ მას ქარისაგან, მაგრამ, მეორე მხრით, თუ ველს არა აქვს თავისუფალი გასავალი, ხელს უწყობენ ცივი ჰაერის დაგროვებას დაბლობში, რაც ძლიერ გავლენას ახდენს სითბოს ბრუნვაზე.

მეტეოროლოგიური სადგურების მრავალწლიური მონაცემები საშუალებას იძლევა დავასწავლოთ, რომ ალაზნის ველის ჰავა თვისობრივად თანაბარია, ხოლო ტემპერატურის რაოდენობრივი ცვალებადობა დამოკიდებულია ადგილის პორიზონტალური და ვერტიკალური ზონალობისაგან. ამის დასაბუთებენ ტემპერატურის წლიური და საშუალო ოდენობანი: ჰაერის ყველაზე მაღალი წლიური ტემპერატურა არის წნორისწყალში ( $H=273$  მეტრი), ყველაზე მცირე საგარეჯოში ( $H=803$  მეტრი). ზღვის დონიდან დაახლოებით 600 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ადგილების საშუალო წლიური ტემპერატურა  $12^{\circ}$  ფარგლებში ემსხვერპნება, 600 მეტრზე მაღლა მდებარე ადგილების ტემპერატურა კლებულობს დაახლოებით  $1/2^{\circ}$ -ით ყოველ 100 მეტრზე, ხოლო 600 მეტრზე ქვევით მდებარე ადგილებისა მატულობს მეტად უმნიშვნელოდ. ცხადია, ამ მონაცემების საფუძველზე ძნელია ტემპერატურის დაცემის ვერტიკალური გრადიენტის გამოყვანა, რადგანაც ტემპერატურის დაცემის სიდიდის მხრივ ჩვენ სადგურების ორ ჯგუფთან გვაქვს საქმე, სახელდობრ, ერთია წინანდალი, მუკუზანი, ნაფარეული, ცოდნის კარი, სადაც ტემპერატურის დაცემის გრადიენტი მეტად მცირეა და უდრის  $0,18^{\circ}$  და მეორე — საგარეჯო, იყალთო, ურიათუბანი, აბტალა, წნორისწყალი, სადაც გრადიენტი თითქმის ნორმალურია და უდრის  $0,42^{\circ}$  ყოველ 100 მეტრ სიმაღლეზე. ამ მოვლენას ა. შატსკი ხსნის ორი პირობის ურთიერთმოქმედებით, სახელდობრ, ტემპერატურის მატებით განედის მიმართულებით და ტემპერატურული ინვერსიების (მთებიდან ღამის განმავლობაში ჰაერის ცივი მასების შემოჭრის) გავლენით.

ზოგადად კახეთის ჰავა ზომიერ თბილია, იგი მეტად ხელშემწყობია მევენახეობისა და სხვა ტექნიკური კულტურების განვითარებისათვის. ჰაერის თბიერების მიხედვით კახეთის მევენახეობის ძირითადი რაიონები საკმაოდ განსხვავდებიან ურთიერთისაგან. ჰაერის ეს განსხვავება დიდ გავლენას ახდენს ვაზის მოსავლიანობაზე, ღვინის ხარისხზე და მის მრავალფეროვნებაზე. ალაზნის დინების მიმართულებით, ე. ი. ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ჰაერის თბიერება კანონზომიერად მატულობს. ასე, მაგალითად, პანკისის ხეობა, ჯოყალოში მოპოვებულ მონაცემების მიხედვით, უფრო გრილია, ვინემ ახმეტა, განსხვავება ჰაერის თბიერებაში მათ შორის საშუალოდ  $0,5^{\circ}$  აღწევს. თელავის რაიონის ჰავა დიდად არ განსხვავდება ახმეტის ჰაერისაგან, მაგრამ თბიერების ოდნავი მატება აქ მაინც შესამჩნევია, იგი უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, რომ იყალთოს შემადგენელი ზონა არ ამცირებდეს მას. ამ ზონის სიმაღლე 740 მეტრს აღწევს ზღვის დონიდან, რის გამო მისი ჰაერის წლიური ტემპერატურა დაახლოებით  $0,5$  უფრო ნაკლებია, ვინემ თელავის, ან ახმეტისა. გურჯაანის რაიონი საგრძობლად უფრო თბილია, ვინემ თელავისა, ჰაერის მრავალწლიური საშუალო ტემპერატურა დაახლოებით ერთი გრადუსით მეტია, ვინემ თელავში. შემდეგი რაიონი სიღნაღისა წნორისწყლის ზონაში ყველაზე უთბილესია, ხოლო საგარეჯოს შემადგენელი ზონა ყველაზე უფრო გრილია კახეთში. ალაზნის მარცხენა მხარე, ფერდობების სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობის გამო, მის თავში (ნაფარეულის ზონა) უფრო თბილია, ვინემ მისი მოპირისპირე თელავის ზონა, მაგრამ ალაზნის მარცხენა მხარეზე თბიერების საერთო მატება ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ უფრო მკრთლად არის გამოსახული, ვინემ მარჯვენა მხარეზე, რადგან ნალექების რაოდენობა ამ მხარეზე კი არ მცირდება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, არამედ მატულობს. ამიტომ ამ მხარის მოსახლეობა ზაქათალის რაიონშიაც კი ჰაერის მრავალწლიური საშუალო ტემპერატურა საშუალოდ მხოლოდ  $0,2$  გრადუსით მეტია, ვინემ ნაფარეულში. დაახლოებით ასეთივე თბიერება გვაქვს ჩვენ თბილისშიაც.

ჰაერის თბიერების მომატება და შემცირება კახეთში ცალკეული თვეების მიხედვით შემდეგნაირად მიმდინარეობს: იანვარი ყველაზე ცივი თვეა, თებერვალში იწყება თბიერების ოდნავი მატება, თუმცა იგი თითქმის ისეთივეა, როგორც იანვარში. შემდეგ იწყება თბიერების სწრაფი მატება, ოდენობრივ თითქმის თანაბრად, მარტსა, აპრილსა და მაისში, ხოლო ივნისსა და ივლისში თბიერების მატების ტემპი თანდათან ნელდება და აგვისტოში იგი სრულიად წყდება. სექტემბრიდან ნოემბრამდე (ამის ჩათვლით) იწყება უფრო სწრაფი დაცემა თბიერებისა, ვიდრე გაზაფხულის მატება იყო, ხოლო დეკემბერში დაცემა თბიერებისა ნელდება.

ზამთრის პერიოდის საშუალო თვიური ტემპერატურა, მიუხედავად არქტიკული ცივი ჰაერის უარყოფითი მოქმედებისა, მრავალი წლის მანძილზე თითქმის ერთი კილომეტრის სიმაღლეზედაც კი არ არის უარყოფითი. საერთოდ, მრავალი წლის მანძილზე წელიწადის არც ერთ თვეში ჰაერის საშუალო ტემპერატურა არ ეცემა  $0^{\circ}$  ქვევით, მხოლოდ ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში ეცემა იგი  $0^{\circ}$  ქვევით. საერთოდ, კახეთში ხანგრძლივი ყინვები არ იცის, ჩვეულებრივ, რაც ღამის განმავლობაში იყინება, ღღვება

დღისით. ულელმო დღეთა რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობს 3-დან 12-მდე და ძირითადად მოდის იანვარსა, თებერვალსა და დეკემბერზე, ისიც უფრო ხშირად მაღლობ, ვიდრე დაბლობ ზოლში.

აბსოლუტური მინიმუმების მრავალწლიური საშუალო ტემპერატურები იწყება ნოემბრიდან და თანდათან ძლიერდება მარტამდე, ხოლო მარტში იგი წყდება. ტემპერატურის ყველაზე მაღალი საშუალო აბსოლუტური მინიმუმები მოდის თებერვალში — 10° (ნაფარეული, ცოდნისკარი) და — 7° (წნორისწყალი). ზოგიერთ წლებში შესაძლებელია ტემპერატურის დაცემა — 13° დან — 18°-მდე.

ნალექები. კახეთში ატმოსფერული ნალექების რაოდენობაზე და მის განაწილებაზე გადაწყვეტილებას ახდენს მთავარი კავკასიონისა და ცივ-გომბორის ქედების სიახლოვე. ნალექების განაწილება კახეთში შემდეგია: უფრო მეტი რაოდენობის ატმოსფერული ნალექები ალაზნის მარცხენა მხარეზე მოდის. ალაზნის მარჯვენა მხარე ნალექების უფრო მცირე ჯამით ხასიათდება, ხოლო გარე კახეთს საშუალო ადგილი უჭირავს მათ შორის.

ალაზნის მარცხენა მხარეზე ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ თანდათან მატულობს. ყველაზე მცირე რაოდენობის ატმოსფერული ნალექები ნაფარეულის ზონაში მოდის, შემდეგ იგი თანდათან მატულობს და ყვარელში საშუალოდ 80 მმ-ით უფრო მეტი რაოდენობის ნალექები მოდის, ვინემ ნაფარეულში. ლაგოდების რაიონში ატმოსფერული ნალექების ჯამი უდიდეს რაოდენობას აღწევს: აქ იგი 100-120 მმ-ით მეტია, ვინემ ნაფარეულში, ხოლო მოსახლვრე ზაქათალის რაიონში დაახლოებით 100 მილიმეტრით უფრო მეტი ნალექები მოდის, ვინემ ლაგოდებში.

ალაზნის მარჯვენა მხარეზე ნალექების წლიური ჯამი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ მატულობს. ყველაზე მცირე რაოდენობის ნალექები სიღნაღისა და წნორისწყლის ზონაში მოდის. ზევით ალაზნის დინების წინააღმდეგ, ნალექების რაოდენობა მატულობს. კარდანახში უკვე 100 მილიმეტრით მეტი ნალექები მოდის, ვინემ წნორისწყალში. მუკუხნისა და წინანდლის მიმართულებით ატმოსფერული ნალექების ჯამი მატულობს და აღწევს უდიდეს რაოდენობას თეთრწყლებში.

გარე კახეთს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საშუალო ადგილი უჭირავს. ალაზნის მარცხენა მხარეზე გაცილებით უფრო მეტი რაოდენობის ნალექები მოდის, ვინემ გარე კახეთში. ალაზნის მარჯვენა მხარის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშიაც უფრო მეტი რაოდენობის ნალექები მოდის, ვინემ გარე კახეთში. ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამის მიხედვით გარე კახეთი ყველაზე მეტად ქიზიყს უახლოვდება ასე, მაგალითად, საგარეჯოში და წნორისწყალში მოსულ ნალექების წლიურ ჯამს შორის განსხვავება საშუალოდ არ აღემატება 24 მილიმეტრს, აღნიშნულის მიუხედავად, გარე კახეთში მოსული ნალექების ჯამი მეტია თბილისისაზე და იგი სავსებით საკმარისია ვაზის კულტურისათვის.

როგორც მოყვანილ მონაცემებიდან ჩანს, ნალექების განაწილება კახეთის ძირითადი მაკრორაიონების მიხედვით ერთგვარ კანონზომიერებას ამჟღავნებს, სახელობრ, ნალექების რაოდენობა ალაზნის მარჯვენა მხარის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილიდან მოკიდებული სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, თანდათან კლებულობს და ქიზიყში ნალექების რაოდენობა საგრძნობლად მცირდება. ალაზნის მარცხენა ნაპირზე, პირიქით, ნალექების რაოდენობა მატულობს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მდ. ალაზნის დინების მიმართულებით, ნაფარეულიდან ლაგოდებამდე.

ივრის ველი გაცილებით უფრო ნაკლებ ნალექებს იღებს წლის განმავლობაში, ვიდრე ალაზნისა.

ნალექების წლიური განაწილება ალაზნისა და ივრის ველზე თითქმის თანაბარია: ნალექების ყველაზე მცირე რაოდენობა იანვარში მოდის. გაზაფხულისათვის ნალექების რაოდენობა თანდათანობით მატულობს და მაისში მაქსიმუმს აღწევს. შემდეგ თანდათან კლებულობს აგვისტოს დამლევამდე; სექტემბერში ისევ მატულობს, შემდეგ კიდევ ხელახლა კლებულობს და მინიმუმამდე ეცემა იანვარში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული წლების მანძილზე ნალექების წლიური მსგელოება ძლიერ მკვეთრად ირღვევა ნაფარეულში საგრძნობლად მერყეობს მაშინ, როდესაც მისი საშუალო შედარებით უფრო მყარია. ეს გარემოება იმით არის გამოწვეული, რომ ნალექები კახეთში ადგილობრივი — ღრუბლოვანი ხასიათისაა. ხანგრძლივი, მძიმე და წვრილი წვიმა კახეთში თითქმის არ იცის. კახეთის ნალექები უფრო ხშირად დამახასიათებელია ჰაერის არამყარი ცივი მასებისათვის, რის გამოც ზამთრობით ხშირია დიდი თოვლიანობა, ხოლო ზაფხულში კოკისპირული წვიმები ელვა-ქუხილით და სეტყვით. წვიმიან დღეთა უდიდესი რიცხვი, წლის ყველა თვის განმავლობაში, მაისის გამოკლებით, საშუალოდ აღწევს 8—10-ს, ხოლო მაისში 20-სა და მეტს.

ყველაზე გვალვიანი თვეებია კახეთში ივლისი და აგვისტო. უფრო მეტად გვალვა ქიზიყში იცის. ამ თვეებში გვალვიანობა გამოწვეულია როგორც ნალექების სიმცირით, ისე მაღალი ტემპერატურებით, მცენარეულობის მიერ წყლის გადიდებული აორთქლებით და ჰაერის დაბალი შეფარდებითი სინოტივით. ამასთან, მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ზაფხულის წვიმები ძირითადად კოკისპირულია, რელიეფის

მთავარიანობის გამო ნალექები მიედინება დაბლობ ადგილებში ალაზნისაკენ და არ ქმნის წყლის მარაგს ნიადაგში.

სეტყვა კახეთისათვის ყველაზე დიდი უბედურებაა. იგი აზიანებს თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურას, განსაკუთრებით მრავალწლიურ ნარგავებს. ვენახს, ხეხილის ბაღებს და სხვ. უფრო ხშირად სეტყვა კახეთში იწყება აპრილიდან და მოდის ძირითადად მთის ფერდობებზე, ხოლო მაისიდან ოქტომბრამდე იგი მოსალოდნელია მთელ კახეთში როგორც ფერდობებზე, ისე ბარშიაც. ნოემბერში, დეკემბერში, იანვარსა და თებერვალში სეტყვა სრულიად არ მოდის.

მრავალი წლის დაკვირვების შედეგად გამორკვეულია, რომ სეტყვა ყველაზე ხშირად მაისსა და ივნისში მოდის და, ამასთან, უფრო ხშირად ისეტყვება იყალთო, ახმეტა, კარდანახი, ხოლო შედარებით ნაკლებ — თელავი და ახტალა. საერთოდ, უფრო ხშირად და უფრო ძლიერად ისეტყვება მთის ფერდობები, ვიდრე ვაკე ადგილები.

ჩვეულებრივად, გაზაფხულის უკანასკნელი ყინვები კახეთში აპრილში თავდება (საშუალოდ მარტის ბოლო რიცხვებში), ხოლო შემოდგომის პირველი ყინვები ნოემბერში იწყება (საშუალოდ ნოემბრის მე-სამე დეკადაში). ეს ყინვები უფრო ხშირად ძლივს აღწევს ერთ გრადუსამდე. ყინვა წარმოიშობა მოწმენდილ და მშრალ ამინდში, როცა ჰაერის წნევა მაღალია და სითბოს აფრქვევა სივრცეში გაადვილებულია. ეს ყინვები შეიძლება იყოს ადგილობრივი ან ატმოსფეროს შორეული დინამიკური აღშფოთებით გამოწვეული. ადგილობრივი წარმოშობის ყინვები, წარმოქმნილი ჰაერის მიწისპირა ფენების რადიაციური გაცივების გამო, უფრო ხშირად მოსალოდნელია ოქტომბრიდან 1 აპრილამდე. ამის შემდეგ, აპრილის ყინვები ჩვეულებრივ არ არის ადგილობრივი წარმოშობისა და გამოწვეულია შორეული მხარეებიდან ჰაერის ცივი მასების შემოჭრით. შემოდგომის უკანასკნელი თვეების ყინვები უფრო ხშირად ადგილობრივი წარმოშობისაა.

**სავეგეტაციო პერიოდი.** სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის დადგენის საერთოდ მიღებული წესები (+5°-დან გაზაფხულზე +5°-მდე შემოდგომით) კახეთში ნაკლებ გამოსადეგია, რადგანაც ამ პერიოდში როგორც გაზაფხულზე, ისე შემოდგომით, ხშირად მოსალოდნელია ყინვები — 8°-დან — 14 გრადუსამდე (ა. შატსკი). ამიტომ სავეგეტაციო პერიოდის დასაწყისად გაზაფხულზე და მის დამთავრებად შემოდგომით უკანასკნელ ხანებში თვლიან საშუალო დღელამური ტემპერატურის +5 გრადუსიან მინიმუმის დადგომას გაზაფხულზე და მის დამთავრებას შემოდგომით. ეს პერიოდი კახეთში იწყება დაახლოებით 5 აპრილიდან და მთავრდება 5 ნოემბერს, შეადგენს 210 დღეს და თავისუფალია გაზაფხულის ყინვებისაგან. ჰაერის საშუალო ტემპერატურა ამ პერიოდში აღწევს +18,5°, რაც საერთო ჯამში 3,885° სითბოს შეადგენს. ეს ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდი, შეზავებული ნალექების საკმაო რაოდენობასთან, დიდ შესაძლებლობას იძლევა ძვირფასი ტექნიკური კულტურების: ვაზის, ბამბის, თამბაქოს, ზეთისხილის და სხვ. გავრცელებისას კახეთში.

სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით ჰაერის შეფასებისათვის საერთო წესები და მეთოდები არ არსებობს. ერთი მხრით ეს გასაგებიც არის, რადგანაც ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია არა მარტო გარემოს ფიზიკური თვისებებისაგან (ჰაერისაგან), არამედ, ამასთან ერთად, თვით ამ გარემოში აღზრდილი ობიექტის (მცენარის) ბიოლოგიური თვისებებისაგან. ამიტომ ჰაერის მონაცემების გამოსაყენებლად სოფლის მეურნეობაში შემუშავებულია მეტეოროლოგიური მონაცემების დამუშავების სხვადასხვა სქემები. მათში თავისი სიმარტივეთა და სიზუსტით გამოირჩევა საბჭოთა მეცნიერის პროფ. სელიანინოვის კლიმატური დარაიონების სქემა, დამყარებული ცალკეული კულტურების მიხედვით ძირითადად აქტიურ ტემპერატურათა ჯამის, ჰიდროთერმული კოეფიციენტისა და მცენარის დაზამთრების პირობების აღრიცხვის საჭიროებაზე. როგორც ცნობილია, მცენარის სიცოცხლისათვის აუცილებელია სინათლე, ჰაერი, სითბო და წყალი. გარემოს დანარჩენ ფაქტორებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მათ მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც აღწევენ უმაღლეს ინტენსივობას.

ჰაერი, როგორც ვიცით, საკმარისია დედამიწის ყველა კუთხეში და ყველა ღრის მანძილზე, ამიტომ მისი აღრიცხვა არ არის საჭირო. სინათლის ინტენსივობის დონე დამოკიდებულია მზის სიმაღლეზე პორიზონტიდან, ჰაერის გამჭვირვალობაზე, მოღრუბლულობაზე და სხვ. სინათლის ინტენსივობის სიმცირე ან სიჭარბე სავეგეტაციო პერიოდის მანძილზე შედარებით მკვეთრად გამოსახულია დედამიწის მხოლოდ განსაზღვრულ ნაწილში, მაგალითად, ღრუბლიან ინგლისში და ყირგიზეთის კაშკაშა ტრამალებში. მთელ დედამიწის ზურგზე, პოლუსებიდან დაწყებული ეკვატორამდე, მცენარე უზრუნველყოფილია სინათლით. სინათლის ინტენსივობის ცვალებადობა ხშირად იფარება ადგილის რელიეფისა ან ექსპოზიციის

გავლენით, ამიტომ მისი ინტენსივობის აღრიცხვა სავალდებულო არ არის, რადგანაც იგი უფრო ხშირად მიკროკლიმატურ ხასიათს იღებს. ხოლო სინათლის ხანგრძლიობის აღრიცხვა მეტად მარტივია, რადგან დღისა და ღამის ხანგრძლიობა დამოკიდებულია მხოლოდ ადგილის განედზე — მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე. სითბოს მნიშვნელობა მცენარისათვის ისევე დიდია, როგორც ჰაერისა და სინათლისა, მხოლოდ მათგან განსხვავებით მისი ოდენობის ცვალებადობა როგორც დროის მანძილზე, ისე ადგილის გეოგრაფიული მდებარეობისა და ტოპოგრაფიული პირობების მიხედვით მეტად დიდია. ამის გაქროფებული აღრიცხვა სავსებითაა პერიოდის მანძილზე და მცენარის მასზე რეაგირების შესწავლა პირობას და საფუძველს წარმოადგენს აგროკლიმატური დარაიონებისათვის. წყალი მცენარის ზრდისას აუცილებელ პირობას წარმოადგენს, მაგრამ მას არ შეუძლია მცენარის განვითარების წარმართვა-რეგულირება, ეს მთლიანად დამოკიდებულია სითბოსა და სინათლეზე. გარდა ამისა, აუცილებელია აღრიცხოს მრავალწლიანი მცენარეების და საშემოდგომო კულტურების დაზამთრების პირობებიც.

ამრიგად, ჯიშების შერჩევა და განლაგება ცალკეული ადგილების ჰაერის მაჩვენებლების მიხედვით პირველ რიგში მოითხოვს: 1. სავსებითაა პერიოდის თბიერების რესურსების აღრიცხვას, 2. იმავე პერიოდის წყლით უზრუნველყოფის საკითხის გადაჭრას და 3. მცენარის გამოზამთრების პირობების სწორ შეფასებას.

ა) თბიერების რესურსების აღრიცხვა. ვაზის ვეგეტაციის დადგომისა და დამთავრების ყველაზე საიმედო საზომად ითვლება ჰაერის საშუალო ტემპერატურის მყარი დადგომა  $10^{\circ}$ -ს ზევით. ამ ტემპერატურაზე ვაზი იწყებს ვეგეტაციას გაზაფხულზე და ამთავრებს შემოდგომით. ვაზისათვის  $10^{\circ}$  ტემპერატურა ითვლება განვითარების, სიცოცხლის დასაწყისად, ამაზე დაბალი ტემპერატურის დროს იგი არ ვითარდება. ტემპერატურები  $10$  გრადუსს ზევით ითვლება ვაზისათვის აქტიურად, ხოლო ეფექტურად ითვლება ის ტემპერატურები, რომლის დროს მცენარე გაივლის განვითარების ამა თუ იმ ფაზას და გადადის განვითარების შემდგომ ფაზაში. თუ ტემპერატურა არ არის საკმარისი, შემდგომი ფაზის გავლა ფერხდება, ჩერდება. მრავალ ადგილას ჩატარებული დაკვირვებებით დადასტურდა, რომ საშუალო ხარისხის მოსავლის მისაღებად ვაზისათვის საჭიროა, რომ აქტიური ტემპერატურების ჯამი  $2500$  გრადუსს უდრიდეს. აქტიური ტემპერატურების ჯამი უნდა აერთებდეს ოპტიმუმამდე მზარდი ჰაერის ტემპერატურის დონეს და ვაზის განვითარების სრული ციკლის დამთავრებისათვის საჭირო დროს. მხოლოდ ასეთი ჯამი ტემპერატურისა არის საჭირო მცენარისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქტიურ ტემპერატურათა ჯამში შემავალი ტემპერატურის დონის სიმალლეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რა სიდიდისაც არ უნდა იყოს აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, ვაზის განვითარების სტადიების გავლა ჩერდება, თუ რომ ტემპერატურის დონის (ყველაზე თბილი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა) სიმალლის საჭირო მინიმუმი არ არის მოცემული (ვაზისათვის ტემპერატურის დონის მინიმუმი  $16^{\circ}$ -ს უდრის). ასე, მაგალითად, ფ. დავითაიას ცნობით სან-ფრანცისკოს უბის სანაპიროზე, მიუხედავად იმისა, რომ აქტიური ტემპერატურების ჯამი აღწევს  $4900$ -ს, მხოლოდ ზოგიერთი ვაზის ჯიში მწიფდება საესებით, რადგანაც ტემპერატურის დონის სიმალლე (ყველაზე თბილი თვის ტემპერატურა) არ აღემატება  $16,1^{\circ}$ -ს.

ბ) ნალექების რაოდენობის აღრიცხვის დღემდე არსებული წესები არ იძლეოდა სწორ წარმოდგენას წყლის მარაგზე და მის საჭიროებაზე მცენარის განვითარების ფაზების მიხედვით. მართლაც, ნალექების ჯამში არ არის მოცემული ნალექების მსვლელობა მცენარის განვითარების ფაზების მიხედვით და მისი ხარჯვა რელიეფის არასწორი მოხაზულობის, ნიადაგისა და მცენარის მიერ აორთქლებაზე ტემპერატურის სიდიდესთან და დაქანების სიძლიერესთან დაკავშირებით და სხვ. ყველა ამის გამო შეეცადნენ მცენარის მიერ წყლის ხარჯვა საკვები ნივთიერებების გადანაცვლებასა და აორთქლებაზე შეფარდებინათ ნალექების რაოდენობასთან და ამ შეფარდებას უწოდეს ჰიდროთერმული კოეფიციენტი. პროფ. გ. სელიანინოვის ემპირიული დაკვირვების შედეგად დადასტურდა, რომ ტემპერატურათა ჯამი, ათწლილი  $8^{\circ}$ -ს ზევით წლის თბილ ნახევარში და გაყოფილი ათზე, ძალზე უახლოვდება ამავე პერიოდში ვილდეს ეკაპარომეტრით გაზომილ წყლის აორთქლებას. ამის საფუძველზე გ. სელიანინოვმა შემოიღო ჰიდროთერმული კოეფიციენტი, რომელიც წარმოადგენს ნალექების ჯამს გაყოფილს ათჯერ შემცირებულ ტემპერატურის ჯამზე. ეს კოეფიციენტი შედარებით კარგად გამოსახავს წყლის პირობითს ბალანსს. ასე, მაგალითად, კოეფიციენტი  $1$  ნიშნავს, რომ ნალექების რაოდენობა უდრის მცენარის ხარჯვას.  $1$ -ზე ნაკლები კოეფიციენტი ნიშნავს ნალექების სიმცირეს და, პირიქით,  $1$ -ზე მეტი ნალექების სიჭარბეს მცენარის ხარჯვასთან შედარებით. ვაზისათვის კოეფიციენტი  $0,5$  მიღებულია საზღვრად. ამ კოეფიციენტის შემცირების შემთხვევაში ვაზის ვეგეტაცია სუსტდება და მას მორწყვა სჭირდება.

გ) ვაზის მრავალწლიანობის გამო წლიურ საშუალოებს ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმებიდან დიდი მნიშვნელობა აქვს ვაზისათვის, რადგანაც იგი საზღვრავს მევენახეობის გავრცელების შესაძლებლობას ჩრდილოეთით და მაღალმთიან რაიონებში. უკანასკნელ გამოკვლევათა მიხედვით (ფ. დავითაია), მევენახეობის თავისუფალი გავრცელების საზღვრად ითვლება იზონი/მინუს 15° ტემპერატურების აბსოლუტური მინიმუმებიდან, ხოლო მინუს 35° გრადუსი წყვეტს დასაშვებ ვენახების გავრცელების საზღვარს ვენახების დამარხვის თანამედროვე აგროტექნიკის პირობებში.

მოთხოვნილებებს ჰაერის მიმართ კახეთი მთლიანად აკმაყოფილებს, პირიქით, მევენახეობის ძირითად რაიონებში ჰაერის შესაძლებლობანი ჭარბადაც არის წარმოდგენილი. ასე, მაგალითად, მევენახეობის ძირითად რაიონებში ჯამი აქტიური ტემპერატურებისა, ათვლილი 10°-ს ზევით, ცალკეული წლების მიხედვით მერყეობს 3000°-დან 4000°-მდე, წყლის პირობითი ბალანსი, გამოსახული ჰიდროთერმული კოეფიციენტით, მერყეობს 0,8-დან 1,8-მდე, ხოლო წლიური საშუალოები ტემპერატურების აბსოლუტური მინიმუმიდან არ ეცემა მინუს 15-ს ქვევით; მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და ზოგიერთ წლებშია შესაძლებელი აბსოლუტური მინიმუმის საშუალოს 18°-მდე დაცემა.

ზემოაღნიშნულის ნათელსაყოფად, სახელდობრ, კახეთის ძირითადი მევენახეობის რაიონების ჰაერის პირობების დასახასიათებლად, ქვემოთ მოყვანილია კ. კელენჯერიძის შრომიდან ჰაერის საშუალო ტემპერატურები მაისიდან სექტემბრამდე (ამის ჩათვლით), ამ პერიოდისათვის აქტიურ ტემპერატურათა ჯამისა და ჰიდროთერმული კოეფიციენტის გამოყვანით. იქვე შესადარებლად მოყვანილია აგრეთვე ვაზის კულტურის ძირითადი კლიმატური მაჩვენებლები აქტიურ ტემპერატურათა ჯამის გამოყვანით ვაზის სავეგეტაციო პერიოდთან შეფარდებით აპრილიდან ოქტომბრამდე (ამის ჩათვლით), რადგანაც 10° ზევით ტემპერატურები კახეთში იწყება აპრილის პირველი დეკადიდან და გრძელდება ნოემბრის პირველ დეკადამდე. ამასთან დაკავშირებით კახეთისათვის უფრო დამახასიათებელია აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, ათვლილი აპრილიდან ოქტომბრამდე (ამის ჩათვლით), რადგანაც ეს ჯამი (3692,8—4311,0°) უკეთ გამოხატავს კახეთის თერმულ შესაძლებლობას, კახეთის საწარმოო ვაზის ჯიშები ჰაერის თერმულ შესაძლებლობას მთლიანად და ყოველწლიურად ვერ იყენებს, რადგანაც შედარებით ადრე, მესამე პერიოდში მწიფდება. კახეთში თავისუფლად შეიძლება დამწიფდეს სიმწიფის მეოთხე პერიოდის ვაზის ჯიშებიც, ამისათვის, ეს ჯიშები 10—12 დღით უფრო გვიან უნდა დაიკრიფოს, ვიდრე რქაწითელი, მაგალითად, ცოლიკოური კარგად მწიფდება ლაგოდების რაიონში და თელავშიც, მაგრამ ის 10—12 დღით უფრო გვიან უნდა დაიკრიფოს რქაწითელთან შედარებით.

ამასთან დაკავშირებით ქვემოთ მოყვანილია კახეთის შთავარი საწარმოო ვაზის ჯიშების სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა თელავში. როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, საფერავის სრული დამწიფებისათვის საკმარისია ცალკეული წლების მიხედვით ჯამი აქტიურ ტემპერატურებისა 2758°—3173,9 გრადუსი, ხოლო საშუალოდ იგი მწიფდება 2942° ტემპერატურის დროს. რქაწითელისათვის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ცოტა უფრო მეტია საჭირო. საშუალოდ მისთვის საკმარისია 3051°. წყლის პირობითი ბალანსი, გამოსახული ჰიდროთერმული კოეფიციენტით, სავსებით საკმარისია წლის თბილ მეორე ნახევარში, ერთგვარ სინაკლულეს წყლისას ვაზი განიცდის მხოლოდ ივლის-აგვისტოს განმავლობაში.

✓ საერთოდ, ვაზის კულტურის კლიმატური მაჩვენებლები განსაზღვრავს მევენახეობის განვითარებას, მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ვაზის მოსავლიანობისა და პროდუქციის ხარისხის თვალსაზრისით. ამ მაჩვენებლებში შთავარია: აქტიური ტემპერატურების ჯამი, ჰაერის საშუალო ტემპერატურის დონე (ყველაზე თბილი თვის ტემპერატურა არ უნდა იყოს 17°-ზე დაბალი), ნალექების რაოდენობა და საშუალო წლიურები ჰაერის აბსოლუტური მინიმუმებიდან. ამ მაჩვენებლებიდან აქტიურ ტემპერატურათა ჯამი წყლის პირობითს ბალანსთან ერთად განსაზღვრავს ყურძნის ხარისხს და მეღვინეობის მიმართულებას. ასე, მაგალითად, რაც უფრო ჩრდილოეთით ან რაც უფრო მაღლა მდებარეობს ადგილი ზღვის დონიდან, მით უფრო ნაკლებია ამ ადგილის ტემპერატურათა ჯამი და მით უფრო მსუბუქი სუფრის მიმართულების ღვინოების მიღებაა შესაძლებელი. სამხრეთისაკენ გადანაცვლებით ან ადგილის დადაბლების შედეგად ტემპერატურის ჯამი მატულობს და ღვინო უფრო სხეულიანი და ხარისხოვანი დგება, კიდევ უფრო სამხრეთისაკენ გადანაცვლებით ღვინოში მატულობს ალკოჰოლი და სხეული, იგი მძიმე, მაგარი და სადესერტო მიმართულებისა დგება. ამის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია საბჭოთა კავშირის მევენახეობის რაიონების კლიმატური მაჩვენებლები ამ რაიონების ძირითადი მიმართულების ჩვენებით.

ვაზის კულტურის ძირითადი კლიმატური მაჩვენებლები

მეტ. სადგურის ადგილმდებარეობა	100 სმ-ის ტემპერატურის ღრუბლობის დასაწყისი და დასასრული	აქტიური ტემპერატურის ჯამი V-X	საშუალო ხანგრძლივობა	აქტიური ტემპერატურის ჯამი IV-X	შენიშვნა
საგარეჯო . . . . .	13/4—23/10	3377,8	194	3692,8	
წინანდალი . . . . .	7/4— 4/11	3544,3	211	3892,4	
მუკუზანი . . . . .	4/4— 4/11	3593,5	214	3923,5	
ნაფარეული . . . . .	4/4— 5/11	3645,3	215	4011,3	
წნორისწყალი . . . . .	—	3897,0	—	4311,0	

კახეთის მთავარი საწარმოო ვაზის ჯიშების სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დაწყების ვადები				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში	აქტიური ტემპერატურის ჯამი კვირტის გაშლიდან სრულ სიმწიფემდე	მიდროთერმული კოეფიციენტი
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			

1. ს ა გ რ ა ვ ი

კახეთი	წელი	კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე	სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში	აქტიური ტემპერატურის ჯამი კვირტის გაშლიდან სრულ სიმწიფემდე	მიდროთერმული კოეფიციენტი
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1943	28/4	13/6	19/8	5/10	161	3173,9	1,51
	1944	25/4	7/6	28/8	20/9	148	2941,8	1,33
	1945	5/5	15/6	24/8	20/9	138	2834,5	1,22
	1946	26/4	12/6	23/8	10/9	137	2758,4	1,96
	1947	5/4	8/6	15/8	5/9	153	2900,2	1,69
	1948	26/4	9/6	14/8	18/9	145	3045,7	1,69
საშუალო . . . . .		24/4	11/6	20/8	18/9	147	2942,4	1,56

2. რ ქ ა წ ი თ ე ლ ი

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დაწყების ვადები				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში	აქტიური ტემპერატურის ჯამი კვირტის გაშლიდან სრულ სიმწიფემდე	მიდროთერმული კოეფიციენტი
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			
კახეთი	1943	30/4	13/6	20/8	5/10	159	3133,4	1,53
	1944	26/4	8/6	25/8	25/9	153	3006,3	1,31
	1945	4/5	16/6	13/8	30/9	150	3036,1	1,14
	1946	27/4	10/6	24/8	20/9	147	2950,8	1,96
	1947	5/4	5/6	15/8	15/9	164	3068,5	1,75
	1948	28/4	8/6	9/8	23/9	149	3105,9	1,67
საშუალო . . . . .		25/4	10/6	17/8	24/9	153	3,051,0	1,41

ამ მაჩვენებლების მიხედვით სუფრის მსუბუქი ხარისხოვანი ღვინოები დგება იმ რაიონებში, სადაც ჯამი აქტიური ტემპერატურებისა მაისიდან ოქტომბრამდე (ამ თვის ჩათვლით) მერყეობს 3,076<sup>0</sup>-დან 3,382<sup>0</sup>-მდე, ნალექების რაოდენობა 360-დან 640 მ/მ-მდე, ხოლო ყველაზე თბილი თვის საშუალო ტემპერატურა უდრის 22—23<sup>0</sup>ს. სუფრის სრული სხეულიანი ღვინოები დგება იმ რაიონებში, სადაც ჯამი აქტიური ტემპერატურებისა მერყეობს საშუალოდ 3,480-დან 3,645 გრადუსამდე, ნალექების წლი-



ური საშუალოები 423-დან 740 მილიმეტრამდე, ხოლო ჰაერის საშუალო ტემპერატურა ყველაზე თბილი თვისა შეადგენს 23,2°—24,2° გრადუსს.

მაგარი და სადესერტო ღვინოები დგება იმ რაიონებში, სადაც ჯამი აქტიური ტემპერატურებისა სავეგეტაციო პერიოდში (V—X) მერყეობს საშუალოდ 3750-დან 3900 გრადუსამდე, ყველაზე თბილი თვის საშუალო ტემპერატურის დონე უდრის 23,9—26,8°, ხოლო წლიური ნალექების ჯამი მერყეობს 252-დან 368 მილიმეტრამდე (საქარის გამოკლებით, სადაც ნალექების ჯამი აღნიშნულზე საგრძნობლად დიდია). ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქარა იძლევა არა მაგარ და სადესერტო ტიპის ღვინოებს, არამედ სუფრის მშრალ ხარისხოვან ღვინოებს. საერთოდ, აქტიურ ტემპერატურათა ჯამსა და ნალექებს შორის გარკვეული დამოკიდებულება არსებობს. სახელდობრ, რაც უფრო მეტია ნალექების რაოდენობა ვაზის სიმწიფის დროს, მით უფრო მეტი ტემპერატურული ჯამია საქარო განსახლებურული ხარისხის ღვინის მი-

**ვაზის კულტურის კლიმატური მაჩვენებლები**

(შედგენილია ა. შატსკის ნაშრომის და მსოფლიო აგროკლიმატური ცნობარის გამოყენებით)

მეტ. სადგურის ადგილმდებარეობა	გეოგრაფიული განედი	სიმაღლე ზღვის დონიდან	ათ-ბევითი გრადუსიანი ტემპერატურის დასაწყისის და დასასრულის ვადები	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 6 თვის მანძილზე V—X	სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში	ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის წლიური საშუალო %	აქტიურ ტემპერატურების ჯამი 7 თვის მანძილზე (IV—X)	შენიშვნა
-------------------------------	--------------------	-----------------------	---	---	---	--	---	----------

**ა) სუფრის მსუბუქი ხარისხოვანი ღვინის რაიონები:**

1. საგარეჯო . . . . .	41°44	804	13/IV—23/X	3377,8	194	66	3692,8	
2. მუხრანის . . . . .	41°56	548	—	3393,3	—	—	3711,3	
3. ოცეა . . . . .	46°30	50	24/IV—19/X	3216,4	179	79	3456,4	
4. ალმა-ატა . . . . .	43°16	825	17/IV—5/X	3077,5	170	69	3365,5	
5. დონის როსტოვი . . . . .	47°13	48	19/IV—15/X	3381,5	180	72	3651,5	

**ბ) სუფრის ხრული სხეულიანი მაღალხარისხოვანი ღვინოების რაიონები**

6. შინანდალი . . . . .	41°53	602	7/IV—4/XI	3544,3	214	69	3892,3	
7. მუკუხანი . . . . .	41°48	469	4/IV—4/XI	3493,4	224	72	3553,4	
8. იალტა . . . . .	44°30	4	13/IV—11/XI	3630,5	213	68	3939,5	
9. კრასნოდარი . . . . .	45°02	34	12/V—27/X	3480,5	199	76	3798,5	
10. ნაფარული . . . . .	42°33	423	4/IV—5/XI	3645,3	215	74	4011,3	

**გ) მაგარი და სადესერტო ღვინოების რაიონები**

11. წნორისწყალი . . . . .	41°36	273	—	3897,0	—	—	4311,0	
12. დერბენდი . . . . .	42°04	8	17/IV—8/XI	3789,3	206	80	4077,3	
13. ტაშენტი . . . . .	41°20	479	27/III—27/X	3899,4	213	60	4328,4	
14. კოროვანდალი . . . . .	40°41	442	6/IV—4/XI	3749,9	213	71	4100,9	
15. საქარა . . . . .	42°08	148	26/III—15/XI	3805,0	235	73	4195,0	

საღებად და, პირიქით, ნალექების შემცირების შემთხვევაში ვაზი აქტიურ ტემპერატურათა ნაკლები ჯამით კმაყოფილდება. ყველა ამის გამო აუცილებელი შეიქნა წყლის პირობითი ბალანსის დადგენა, რადგანაც ნალექების ჯამი არ იძლევა წარმოდგენას ნალექების მსვლელობაზე და მის ხარჯზე—აორთქლებაზე ნიადაგისა და მცენარის მიერ ჰაერის ტემპერატურის, სინოტივისა და ქარების სიძლიერის მიხედვით. გარდა ამისა, ადგილის მთაგორიანი რელიეფი და ქვენიადგის ძლიერი წყალგამტარიანობა ადიდებს ნალექების უმიზნო ხარჯს და ამცირებს მის მარაგს ნიადაგში. ყველა ამის გამო შემოღებულია ჰიდროთერმული კოეფიციენტი, რომელიც შედარებით კარგად გამოსახავს წყლის პირობითს ბალანსს, ოპტიმუმად ითვლება ბალანსი 1,0—1,5 როცა ხარჯი უდრის ნალექების მარაგს ან ოდნავ მასზე მეტია.

**1) მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები**

საქართველოს მევენახეობას უძველესი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 431 წელს ახალ ერამდე, ქსენოფონტეს ცნობით, ღვინო საქართველოში ყველგან იყო ცნობილი და ინახებოდა ქვევრებში. პირველ საუკუნეში ახალ ერამდე სტრაბონის გეოგრაფიაში აღნიშნულია მელენეობის ფართო განვითარება გორ-ზენში (ქართლსა) და ალბანიაში (კახეთში) ვენახები აქ არ იბარებოდა და ექვს წელში ერთხელ ისხვლებოდა. დარგის მიორე წლიდან იაზი მოსაიაოს იძლიოდა. ხოლო ძალი იაზიების მოსაიაოიანობა იმდენ-



ნად უხვი იყო, რომ საგრძნობი ნაწილი ყურძნისა დაუკრეფავი რჩებოდათ. საგრძნობლად უფრო გვიან, მეჩვიდმეტე საუკუნეში, ფრანგი მოგზაურის შარდენის ცნობით, საქართველოში ღვინო უხვად იყო. მისი სიტყვით, „არც იმისთანა ქვეყანა მოიპოვება, სადაც იმდენსა და ისეთ კარგ ღვინოს სვამდნენ... ვაზი აქ ხეებზე აღის, როგორც კოლხეთში. ტფილისიდან ბლომად გააქვთ ღვინო სასომხეთში, შიდაში და ისპაჰანში მეფეთა სუფრისათვის“.

მევენახეობა კახეთში საბატოო დარგს და ხალხის ეკონომიური კეთილდღეობის წყაროდ აღიქვამდნენ. მოსახლეობა მას დიდი სიყვარულით ეკიდებოდა. ვაზის მოვლა-გაშენებას მეფეებმა ყურადღებას მიაქციეს. მათ დიდი ზვრები და მარნები ჰქონდათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ცნობილი იყო მეფის ზვრები კახეთში, ქართლში, ბორჩალოში, სოფ. შულავერში დიდი ზვარი გააშენა ვახტანგ მეფემ 1784 წელს. ცნობილი იყო აგრეთვე „ბერების ზვარი“ სოფ. ხოდაშენში, „დედოფლის ზვარი“ მანავში და სხვ.

კახეთში მევენახეობა ძველად ფართოდ იყო გავრცელებული. სტევენისა (1811 წ.) და გამბას (1820 წ.) ცნობით, ვენახებს იმ დროს უდიდესი ფართობი ეჭირა, მათი გადმოცემით, მთელ ალაზნის ხეობაში ვენახები ერთი მეორეზე ჯაჭვის რგოლებივით ყოფილა გადაბმული. მათი მოსავლიანობის შესახებ მოიპოვება ვ. ლენცის (1846 წ.) ცნობა, რომლის მიხედვით კახეთში ღვინის მთლიანი მოსავალი 2 მილიონზე მეტ ვედროს შეადგენდა, ხოლო მეღვინეობის ნარჩენებიდან (ქაჭიდან) ყოველწლიურად იხდებოდა 50000 ვედრო არაყი.

ადგილობრივი ღვინოებიდან, სტევენისა და გამბას ცნობით, გამოირჩეოდნენ ახმეტის, კონდოლისა და წინანდლის მსუბუქი თეთრი ღვინოები და სიღნაღის მაზრის ზოგიერთი სოფლის ძლიერ მაგარი ღვინოები.

კახეთის ღვინოების უფრო სრული დახასიათება, ძველი წყაროების მიხედვით, მოყვანილი აქვს საქ. ნეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს პროფ. ნ. კეცხოველს პროფ. მ. რამიშვილის შრომის „გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები“ წინასიტყვაობაში. მას აღნიშნული აქვს ბოდბისხევისა და ველისციხის, კონდოლისა და ახმეტის ღვინოების მაღალი ხარისხი, ავტორი ძირითადად ეყრდნობა ხალხურ თქმულებებსა და გადმოცემებს და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებს. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნული სოფლის ღვინოებს შემდეგნაირად ახასიათებს: „აქავ ღვინო კონდოლისა წარჩინებული“, „ახმეტისა ღვინო კეთილი“...

ამათ გარდა, კახეთში ცნობილი იყო აგრეთვე სოფელ ზემო ხოდაშენის ღვინო, რომელიც შემდეგნაირად არის დახასიათებული: „მეფის სასახლის ქება რო დავწერე, ის ღვინო იყო ზემო ხოდაშენის ზვრისა, რომელიც რუსებმა გაჰყიდეს და ერთმა გამყრელიძემ იყიდა“ (ბ. ქობულაშვილის წერილი. პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 61).

ვენახები კახეთში განლაგებულია ცივ-გომბორის მთების ჩრდილო-აღმოსავლეთ და მთავარკავკასიონის სამხრეთ-დასავლეთ სუსტად დაქანებულ ფერდობებზე. ძველად ვენახების მომეტებული ნაწილი მთის კლდოვან ფერდობებამდე იყო გავრცელებული, ხოლო ალაზნის ველის ტერასებსა და ალაზნისპირა ვაკე ადგილებში ვენახები თითქმის არ იყო გაშენებული. მოსახლეობა გაურბოდა ამ ადგილებში ვენახების გაშენებას, რადგანაც ალაზნის ახლო მდებარე ვაკე და ტაფობ ადგილებში ვენახები ხშირად ისეტყვებოდა, აგრეთვე ზიანდებოდა ზამთრის ყინვებისაგან, ღვინოც მაღალხარისხოვანი არ დგებოდა, თუმცა ყურძნის მოსავალი დიდი მოდიოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კახეთში ახლაც ბევრია ფერდობები და საუკეთესო ადგილები, რომლებზედაც ვენახები ჯერ კიდევ არ არის გაშენებული. როგორც ცნობილია, მსოფლიოში საუკეთესო ღვინოები უმთავრესად მთის ფერდობებზე მოჰყავთ. საერთოდ მთის ფერდობები და შემადლებული ადგილები საუკეთესოა მაღალი ღირსების ღვინოების მისაღებად. ამ თვალსაზრისით რომ შევაფასოთ კახეთი, დავრწმუნდებით, რომ ამ მხრივ იქ დიდი შესაძლებლობებია მოცემული ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარებისათვის. ასე, მაგალითად, კახეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი — პანკისის ხეობა — დღეს უვენახოა, აქ სავსებით შესაძლებელია მევენახეობის აღდგენა-განვითარება. პირველ რიგში აქ უნდა შეიჩეს მდინარე ალაზნის ორივე ნაპირის შეფერდებული ადგილები. ცივ-გომბორის მთების გასწვრივ, ახმეტრიდან მოყოლებული კისისხევამდე, მთავარი შარავზის ზემოთ, საუკეთესო სავენახე ადგილები, გარდა რამდენიმე სოფლის მცირე ვენახებისა (ზემო ხოდაშენის, ახშაანის და ნასომბრის ვენახის გამოკლებით) უვენახოა. ასევე უვენახოა ალაზნის მარცხენა ნაპირზე მთავარი კავკასიონის ქედის ფერდობი ადგილები, ზოგიერთი სოფლის: ართანის, შაქრიანის, შილდის, ენისელის ვენახების გამოკლებით. გურჯაანიდან დაწყებული წითელ წყარომდე, მთავარი შარავზის ზევით მთის ზოლის დიდ ნაწილზე აგრეთვე არაა გა-

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, 1936 წელს საქართველოში ჩატარდა ვენახების მთლიანი აღწერა, რომლის თანახმად კახეთში 1937 წლის პირველი იანვრისათვის ირიცხებოდა 11,159,22 ჰექტარი ვენახი. 1936 წლიდან, საქართველოში მევენახეობისა და ხარისხოვანი მღვინეობის განვითარებასთან დაკავშირებით, სწრაფი ტემპით დაიწყო ვენახების აღდგენა ფილოქსერის გამძლე საძირებზე და 1 იანვრისათვის კახეთის ვენახების მთლიანმა ფართობმა 16,132 ჰექტარს მიაღწია. სამამულო-სამშენებლო რიოდში მუშახელის, საჭირო კომიკატების და აპარატების ნაკლებობის გამო დროულად და ხარისხიანად არ ტარდებოდა ვენახებში და ამერიკული ვაზის სადედეებში ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებანი, რის შედეგად აღგილი ჰქონდა ყურძნის მოსავლიანობის საგრძობლად შემცირებას და ვენახების ფართობის ნაწილის დაღუპვას.

ვენახების ფართობის ნაწილის შემცირება მოხდა ძირითადად უცხოეთიდან შემოტანილი, ჩვენს პირობებთან ნაკლებად შეგუებული, წამბანური ვაზის ჯიშების ხარჯზე.

ვენახების არსებული ფართობის დასახუსტებლად და ვაზის საწარმოო ჯიშების გაადგილების გამსარკვევად 1947 წლის შემოდგომაზე ჩატარდა ვენახების მთლიანი აღრიცხვა. ქვემოთ მოყვანილია ჩატარებული აღრიცხვის შედეგები:

**ვენახების ფართობის გაადგილება კახეთის ადმინისტრაციული რაიონებისა და სექტორების მიხედვით 1948 წლის 1 იანვრისათვის**

	ადმინისტრაციული რაიონის დასახელება	საბაღიშორეო ვენახების ფართობი	საერთო ფართობის %	მომწოდებელის ფართობი	საერთო ფართობის %	კოლფურცების საბაღიშორეო ვენახების ფართობი	საერთო ფართობის %	სულ ფართობი	საერთო ფართობის %
1	გურჯაანის რაიონი . . . . .	286,18	18,34	1,567,48	27,29	2709,99	38,43	4513,60	22,05
2	თელავის " . . . . .	510,0	39,62	1350	23,51	1040	14,75	2900	20,60
3	სიღნაღის " . . . . .	295,0	22,92	610,3	10,63	908,18	12,88	1813,48	12,88
4	ყვარლის " . . . . .	201,29	15,64	678,07	11,81	616,02	8,74	1495,38	10,62
5	საგარეჯოს " . . . . .	42,76	8,32	421,58	7,34	546,70	7,75	1010,84	7,18
6	ახმეტის " . . . . .	0,9	0,07	429,18	7,47	381,45	4,70	761,53	5,40
7	ლაგოდეხის " . . . . .	1,2	0,09	130,46	2,27	588,58	8,35	720,24	5,11
8	კაქრეთის " . . . . .	—	—	312,85	5,44	208,01	2,95	520,86	3,70
9	წითელწყაროს " . . . . .	—	—	243,64	4,24	103,21	1,45	346,85	2,46
	<b>ს უ ლ . . . . .</b>	<b>1287,28</b>	<b>100%</b>	<b>5743,36</b>	<b>100%</b>	<b>7052,14</b>	<b>100%</b>	<b>14082,73</b>	<b>100%</b>
	<b>%-ით . . . . .</b>	<b>9,14</b>	<b>—</b>	<b>40,78</b>	<b>—</b>	<b>50,08</b>	<b>—</b>	<b>100</b>	<b>—</b>

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ვენახების საერთო ფართობი ცალკეული რაიონების მიხედვით არათანაბრადაა განაწილებული. ასე, მაგალითად, მთელი ფართობის ნახევარზე მეტი (7.400 ჰექტ.) მარტო გურჯაანისა და თელავის რაიონებშია მაშინ, როდესაც კახეთის დანარჩენ შვიდ რაიონზე ნახევარზე ნაკლები ფართობი მოდის. თუმცა ბუნებრივი პირობები მევენახეობის განვითარებისათვის კახეთის თითქმის ყველა რაიონში ხელსაყრელია, მაგრამ ვენახების ფართობების გაადგილება, გარდა ამისა, დამოკიდებულია აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების (მესაქონლეობის, მეთამბაქოეობის და სხვ.) ეკონომიური მნიშვნელობისაგან.

კახეთის თითქმის ყველა რაიონში საკმაოდ დიდი ფართობი მემინდვრეობას უჭირავს, ხოლო ზოგი რაიონში წამყვან დარგს მევენახეობა და ზოგანაც მესაქონლეობა წარმოადგენს.

ვენახების ფართობის სიდიდის მიხედვით პირველი ადგილი კახეთში გურჯაანის რაიონს უჭირავს (4514 ჰექტ.), შემდეგ მოდის თელავის (2900) და სიღნაღის (1814 ჰექტ.) რაიონები, ხოლო ყველაზე მცირე ფართობზეა (720 ჰექტ.) გაშენებული ვენახები ლაგოდეხის რაიონში.

ახალი რაიონებიდან ყველაზე დიდ ფართობზეა გაშენებული ვენახები ახმეტის რაიონში (762 ჰექტ.), ხოლო უკანასკნელი ადგილი ვენახების რაოდენობით წითელწყაროს რაიონს უჭირავს (347 ჰექტ.).

ვენახების 1940 წლის მთლიანი აღწერის მასალების მიხედვით კახეთში 273,7 ჰექტარი ფილოქსერაგამძლე საძირეების სადღეე ირიცხებოდა. ამ ფართობის ნახევარზე მეტი რიპარიაXრუბესტრის № 3309-ს ეჭირა შემდეგი აღვლები ფართობის მიხედვით 101/14-სა და რიპარიაXბერლანდიერი 420 ბ-ს, 3306-ს, რუბესტრის დიულოს, რიპარიაXბერლანდიერი 5 ბ-ს, შასლაXბერლანდიერი 41 ბ-ს და ყველაზე მცირე ფართობი სოლონისXრიპარია № 1616-ს ეჭირა. აღნიშნული ფართობის განაწილება/აღმინისტრაციული რაიონებისა ჯიშების მიხედვით მოცემულია ქვემოთაღვანილ ცხრილში.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ფილოქსერის გამძლე ამერიკული ვაზის სადღეეების ჯიშობრივი შემადგენლობა  
ვენახების 1940 წლის მთლიანი აღწერის მიხედვით

		რიპარია X რუბესტ- რისი № 3309	რიპ X რუბ. № 3306	რიპ. X რუბ. 101/14	რიპ. X ბერ- ლან. 420 ა	რიპ. X ბერლ. 5 ბ	შასლა X ბერლ. 41 ბ	სოლონის X რიპ. 1616	რუბესტრის დიულო	სხვადასხვა	წ მ ა
1	გურჯაანის რაიონი . . . . .	68,89	1,64	15,04	20,8	0,23	1,34	0,15	1,92	1,04	111,33
2	სიღნაღის „ . . . . .	22,51	1,25	7,49	17,8	—	1,34	0,70	0,24	—	40,51
3	წითელწყაროს „ . . . . .	3,47	0,15	2,78	0,06	—	0,03	—	—	0,06	6,55
4	თელავის „ . . . . .	23,86	4,18	8,81	5,8	4,24	0,01	—	0,58	0,12	41,5
5	ყვარლის „ . . . . .	33,63	0,32	0,91	—	—	0,06	—	6,63	4,64	40,19
6	ლაგოდეზის „ . . . . .	1,81	0,64	0,57	1,16	—	—	—	3,32	—	7,50
7	საგარეჯოს „ . . . . .	11,5	2,16	3,46	1,12	1,54	—	—	0,24	—	20,2
	სულ კახეთში . . . . .	165,61	15,34	38,76	30,0	6,02	3,28	0,85	6,93	1,86	273,7
	სულ საქართველოში . . . . .	414,45	90,9	159,9	63,63	16,04	6,85	4,6	43,53	15,53	514,96

სამამულო ომის პერიოდში სადღეის ფართობი, როგორც ზემოთაღვ იყო აღნიშნული, ნაწილობრივ შემცირდა. 1947 წლის შემოდგომის აღწერის მიხედვით 1948 წლის პირველ იანვრისათვის კახეთში ირიცხებოდა 259 ჰექტ. ფილოქსერაგამძლე საძირეების სადღეე ვენახი. ამ ვენახების დაახლოებით ორი მესამედი კოლმეურნეობებშია გაშენებული, ხოლო ერთი მესამედი — საბჭოთა მეურნეობებში.

სადღეეებში ჯიშების განაწილება დაახლოებით ისეთივეა, როგორც ეს 1940 წლის აღწერის მასალებშია ნახვენები, სახელდობრ, რიპარიაXრუბესტრის ჰიბრიდებს (3309-სა და 101/1-ს) უჭირავს დაახლოებით მთელი ფართობის სამი მეოთხედი, ბერლანდიერის ჰიბრიდებს 20% და დანარჩენი 5% დანარჩენ ჯიშებს.

მევენახეობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით საქართველოში 1949—1950 წლებში შენდება დამატებით 500 ჰექტარი ფილოქსერაგამძლე საძირეების სადღეე ვენახი, ძირითადად, რიპარიაXბერლანდიერის ჰიბრიდებით. ამოცანაა დასახული ფართობის გადიდებასთან ერთად სადღეეების მოსავლიანობის გაზრდა ახლანდელ 20000 მეტრიდან 30—40000 მეტრამდე ჰექტარზე.

ახალი ვენახები კახეთში შენდება 5—60 სმ სიღრმის პლანტაჟზე დაფესვიანებული ერთწლიანი ნაშენებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნაშენი ვაზის წესიერ დახარისხებას, რადგანაც ახალ ნარგავებში ნაშენი ვაზის გაცდენისა და ვენახების საზიანო სიმეჩხრის ძირითადი მიზეზი ნაშენების ცუდად დახარისხებაა.

საბჭოთა მეურნეობების ვენახების დიდი უმრავლესობა, ხოლო კოლმეურნეობების ვენახების თითქმის ნახევარი განარაუდულია სარ-მავთულზე, დანარჩენი ფართობიც ახლო მომავალში გაიმართება სარ-მავთულზე.

ვენახების მექანიკურ (ტრაქტორებით) დამუშავებასთან დაკავშირებით 1932 წლიდან მანძილები რიგთა შორის გადიდება 2 მეტრამდე, ხოლო ვაზთა შორის დატოვებულია 1,5 მეტრი მანძილი.

ასეთი (3 კვ. მეტრიანი) კვების არის შემთხვევაში ჰექტარზე მოდის 3330 ვაზი, ე. ი. ვაზთა რაოდენობა ჰექტარზე საგრძნობლად მცირდება მაშინ, როდესაც ვაზების დატვირთვა კვირტებით შესაბამისად არ გაიზარდა.

აქამდე ვენახები შენდებოდა როგორც რიგებს, ისე ვაზებს შორის ორი არშინი მანძილის დატოვებით, ამ შემთხვევაში ერთ დესიატინაზე მოდიოდა 5,486 ძირი ვაზი, ანუ ჰექტარზე დაახლოებით 5000-მდე ვაზი ჩვეულებრივ ისხვლებოდა ერთ, ორ ან სამკვირტიან ნეკზე და ერთ 7—8 კვირტიან ბელზე. ამ წესით გასხვლის დროს ჰექტარზე საშუალოდ მოდიოდა 45—50 ათასი კვირტი და მოსავალი საშუალოდ 60—65 ცენტნერს აღწევდა.

ამჟამად კახეთში საბჭოთა მეურნეობების ვენახების დაახლოებით ნახევარზე მეტი და კოლმეურნეობების ვენახების ერთი მესამედი გაშენებულია ძირითადად რიგთა შორის 2,0 მეტრის და ვაზთა შორის 1,5 მეტრის დატოვებით და თავისუფლად შეიძლება დამუშავდეს ტრაქტორით „კიროვეც 35“. კოლმეურნეობებისა და მუშა-მოსამსახურეების პირად სარგებლობაში მყოფ საკარმიდამო ნაკვეთებზე ვაზი დარგულია გაცილებით უფრო მჭიდროდ (1,0 x 0,75, 1,0 x 1,0, იშვიათად 1,25 x 1,0 მეტრზე), რის შესაბამისად ჰექტარზე მოდის 8000-დან 12000-მდე ვაზი. დიდმა (3 კვ. მეტრიანმა) კვების არემ (2 x 1,5 მეტრზე) კახეთის ნიადაგების პირობებში მომეტებულ შემთხვევებში ვერ მოგვეცა მოსავლიანობის მატება გადიდებული კვების არის შესაბამისად. ამიტომ 1946 წლიდან კახეთში ახალი ვენახები მექანიზაციის ზოლში შენდება რიგთა შორის 1,5 მეტრის და ვაზთა შორის 1,25 მეტრის დატოვებით (1,5 x 1,25), ხოლო დანარჩენ ადგილებში 1,25 მეტრის დატოვებით როგორც რიგთა, ისე ვაზთა შორის (1,25 x 1,25 მეტრზე).

კვების არის სიდიდის შესაბამისად ვენახების გასხვლა და ფებზე დაყენება სხვადასხვაგვარია. ძველად კახეთში, როცა ვენახები უმყენი და უფრო ხშირი იყო, ვაზი მისი ღონისდა მიხედვით ისხვლებოდა ერთ, ორ ან სამკვირტიან ნეკზე (სამამულეზე) და ერთ 6—8 კვირტიან საკავებელზე (სანაყოფეზე, მოსახვევზე). ვაზის გასხვლისა და ფებზე დაყენების (ფორმირების) აღნიშნული წესი ძველთაგანვე იყო ცნობილი საქართველოში ქართული წესის სახელწოდებით. ამჟამად კი მევენახეობის თითქმის ყველა ქვეყანაში გასხვლისა და ფორმირების ეს წესი ცნობილია ფრანგი მეცნიერის გუიოს ფორმის სახელწოდებით. იგი განსხვავდება ქართული ფორმისაგან ვაზის ტანის სიმაღლითა და საყრდენის გამოყენებით. ქართული წესი ხასიათდება ვაზის მაღალი ტანით (60—80 სანტიმეტრი) და ვაზის ნაზარდის სარზე დაკავებით.

ახალ (ნამყენ) ვენახებში ვაზის კვების არის გადიდებასთან (3 კვ. მეტ-მდე) დაკავშირებით ვენახების გასხვლისა და ფორმირების წესები შეიცვალა. სამ კვადრატულ მეტრიან კვების არეზე ვაზებს ეძლევა 2 ორ-ორ კვირტიანი ნეკი და ორი 7 ან 8 კვირტიანი სანაყოფე, რაც შეადგენს ძირზე 18—20 ან ჰექტარზე 59—66000 კვირტს, ნაცვლად 45—50000 კვირტისა ორ კვადრატულ მეტრიან კვების არეზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვაზის უცვლელი, მრავალსაუკუნოვანი კულტურის შედეგად სავენახე ნიადაგები მეტად მოაღლილია და ხშირ შემთხვევაში ვაზი დიდ დატვირთვას ვერ იტანს, რის გამო აუცილებელია ორგანული და მინერალური სასუქების სისტემატური შეტანა ვენახებში.

კახეთის ზოგიერთ ადგილებში (მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში), სადაც ღონიერი და სარწყავი ნიადაგებია, საჭიროა ორმხრიანი გუიოს ნაცვლად უფრო ძლიერი დატვირთვის ფორმების ცალმხრიანი და ორმხრიანი კორდონების შემოღება. კახეთის დანარჩენ ნაწილში, გადიდებული კვების არის რაციონალურად გამოყენების მიზნით, აუცილებელია ვენახებში სისტემატურად შეტანა ორგანული და მინერალური სასუქებისა მორიგეობით ვაზის დატვირთვისა და მოსავლიანობის გასადიდებლად.

კახეთის თანამედროვე მევენახეობის სხვა თავისებურებათაგან აღსანიშნავია, ფილოქსერის გარდა, სოკოვან ავადმყოფობათა და სხვა მავნებლების, მათ შორის პირველ რიგში ავადმყოფობებიდან ჭრაქის, (მილდიუმის), ნაცრის, თეთრი და შავი სიდამბლის, ხოლო მავნებელთაგან კრუფარიანას, ყურძნის ჭიის მარმარილოს ღრაქას და სხვათა გავრცელება. ამათგან ერთიანად და სისტემატურადაა გავრცელებული ჭრაქი და ნაცარი. მათ წინააღმდეგ არსებობს ნაცადი, მეტად ეფექტური საშუალება — შაბიამნის ხსნარის შესხურება ჭრაქის წინააღმდეგ და გოგირდის შეფრქვევა — ნაცრის წინააღმდეგ. მაგრამ თუ წამლობა თავის დროზე არ იქნება ჩატარებული, ამ ავადმყოფობებს შეუძლია დიდი ზარალის მოტანა ჩვენი მევენახეობისათვის. შავი და თეთრი სიდამბლე იჩენს თავს ზოგიერთ ტენიან წლებში, ხშირად სეტყვის შემდეგ. მის წინააღმდეგ იხმარება დიდი კონცენტრაციის (2—3%) შაბიამნის ხსნარი.

ვაზის მავნებელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია ყველაზე საშიში მწერი კრუფარიანა, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გავრცელდა ძირითადად გურჯაანის და სიღნაღის რაიონში. ამ



ასეთი (3 კვ. მეტრიანი) კვების არის შემთხვევაში ჰექტარზე მოდის 3330 ვაზი, ე. ი. ვაზთა რაოდენობა ჰექტარზე საგრძობლად მცირდება მაშინ, როდესაც ვაზების დატვირთვა კვირტებით შესაბამისად არ გაიზარდა.

აქამდე ვენახები შენდებოდა როგორც რიგებს, ისე ვაზებს შორის ორი არშინი მანძილის დატოვებით, ამ შემთხვევაში ერთ დესიატინაზე მოდიოდა 5,486 ძირი ვაზი, ანუ ჰექტარზე დაახლოებით 5000 ვაზი ჩვეულებრივ ისხვლებოდა ერთ, ორ ან სამკვირტიან ნეკზე და ერთ 7—8 კვირტიან ნეკზე. ამ წესით გასხვლის დროს ჰექტარზე საშუალოდ მოდიოდა 45—50 ათასი კვირტი და მოსავალი საშუალოდ 60—65 ცენტნერს აღწევდა.

ამჟამად კახეთში საბჭოთა მეურნეობების ვენახების დაახლოებით ნახევარზე მეტი და კოლმეურნეობების ვენახების ერთი მესამედი გაშენებულია ძირითადად რიგთა შორის 2,0 მეტრის და ვაზთა შორის 1,5 მეტრის დატოვებით და თავისუფლად შეიძლება დამუშავდეს ტრაქტორით „კიროვეც 35“. კოლმეურნეობებისა და მუშა-მოსამსახურეების პირად სარგებლობაში მყოფ საკარმიდამო ნაკვეთებზე ვაზი დარგულია გაცილებით უფრო მჭიდროდ (1,0 x 0,75, 1,0 x 1,0, იშვიათად 1,25 x 1,0 მეტრზე), რის შესაბამისად ჰექტარზე მოდის 8000-დან 12000-მდე ვაზი. დიდმა (3 კვ. მეტრიანმა) კვების არემ (2 x 1,5 მეტრზე) კახეთის ნიადაგების პირობებში მომეტებულ შემთხვევებში ვერ მოგვეცა მოსავლიანობის მატება გადიდებული კვების არის შესაბამისად. ამიტომ 1946 წლიდან კახეთში ახალი ვენახები მექანიზაციის ზონაში შენდება რიგთა შორის 1,5 მეტრის და ვაზთა შორის 1,25 მეტრის დატოვებით (1,5 x 1,25), ხოლო დანარჩენ ადგილებში 1,25 მეტრის დატოვებით როგორც რიგთა, ისე ვაზთა შორის (1,25 x 1,25 მეტრზე).

კვების არის სიდიდის შესაბამისად ვენახების გასხვლა და ფებზე დაყენება სხვადასხვაგვარია. ძველად კახეთში, როცა ვენახები უმყენი და უფრო ხშირი იყო, ვაზი მისი ღონისდა მიხედვით ისხვლებოდა ერთ, ორ ან სამკვირტიან ნეკზე (სამამულეზე) და ერთ 6—8 კვირტიან საკავებელზე (სანაყოფეზე, მოსახვევზე). ვაზის გასხვლისა და ფებზე დაყენების (ფორმირების) აღნიშნული წესი ძველთაგანვე იყო ცნობილი საქართველოში ქართული წესის სახელწოდებით. ამჟამად კი მევენახეობის თითქმის ყველა ქვეყანაში გასხვლისა და ფორმირების ეს წესი ცნობილია ფრანგი მეცნიერის გუიოს ფორმის სახელწოდებით. იგი განსხვავდება ქართული ფორმისაგან ვაზის ტანის სიმაღლითა და საყრდენის გამოყენებით. ქართული წესი ხასიათდება ვაზის მაღალი ტანით (60—80 სანტიმეტრი) და ვაზის ნაზარდის სარზე დაკავებით.

ახალ (ნამყენ) ვენახებში ვაზის კვების არის გადიდებასთან (3 კვ. მეტ-მდე) დაკავშირებით ვენახების გასხვლისა და ფორმირების წესები შეიცვალა. სამ კვადრატულ მეტრიან კვების არეზე ვაზებს ეძლევა 2 ორ-ორ კვირტიანი ნეკი და ორი 7 ან 8 კვირტიანი სანაყოფე, რაც შეადგენს ძირზე 18—20 ან ჰექტარზე 59—66000 კვირტს, ნაცვლად 45—50000 კვირტისა ორ კვადრატულ მეტრიან კვების არეზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვაზის უცვლელი, მრავალსაუკუნოვანი კულტურის შედეგად სავენახე ნიადაგები მეტად მოღლილია და ხშირ შემთხვევაში ვაზი დიდ დატვირთვას ვერ იტანს, რის გამო აუცილებელია ორგანული და მინერალური სასუქების სისტემატური შეტანა ვენახებში.

კახეთის ზოგიერთ ადგილებში (მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში), სადაც ღონიერი და სარწყავი ნიადაგებია, საჭიროა ორმხრიანი გუიოს ნაცვლად უფრო ძლიერი დატვირთვის ფორმების ცალმხრიანი და ორმხრიანი კორდონების შემოღება. კახეთის დანარჩენ ნაწილში, გადიდებული კვების არის რაციონალურად გამოყენების მიზნით, აუცილებელია ვენახებში სისტემატურად შეტანა ორგანული და მინერალური სასუქებისა მორიგეობით ვაზის დატვირთვისა და მოსავლიანობის გასადიდებლად.

კახეთის თანამედროვე მევენახეობის სხვა თავისებურებათაგან აღსანიშნავია, ფილოქსერის გარდა, სოკოვან ავადმყოფობათა და სხვა მავნებლების, მათ შორის პირველ რიგში ავადმყოფობებიდან ჭრაქის, (მილდიუმის), ნაცრის, თეთრი და შავი სიდამპლის, ხოლო მავნებელთაგან კრუფარიანას, ყურძნის ჭიის მარმარილოს ღრაქას და სხვათა გავრცელება. ამათგან ერთიანად და სისტემატურადაა გავრცელებული ჭრაქი და ნაცარი. მათ წინააღმდეგ არსებობს ნაცადი, მეტად ეფექტური საშუალება — შაბიამნის ხსნარის შესხურება ჭრაქის წინააღმდეგ და გოგირდის შეფრქვევა — ნაცრის წინააღმდეგ. მაგრამ თუ წამლობა თავის დროზე არ იქნება ჩატარებული, ამ ავადმყოფობებს შეუძლია დიდი ზარალის მოტანა ჩვენი მევენახეობისათვის. შავი და თეთრი სიდამპლე იჩენს თავს ზოგიერთ ტენიან წლებში, ხშირად სეტყვის შემდეგ. მის წინააღმდეგ იხმარება დიდი კონცენტრაციის (2—3%) შაბიამნის ხსნარი.

ვაზის მავნებელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია ყველაზე საშიში მწერი კრუფარიანა, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში საგრძობლად გავრცელდა ძირითადად გურჯაანის და სიღნაღის რაიონში. ამ

მწერის წინააღმდეგ იყენებენ ნავთკირის ან მინერალური ზეთების ენულსიებს და მის გამანადგურებელ მწერს კრიბტოლემუსს, რომელსაც უშვებენ ცრუფარიანათი დაავადებულ ვენახში ივლისის შუა რიცხვებში ან აგვისტოს დასაწყისში. ყურძნის ჭია გავრცელებულია ძირითადად გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების ვენახებში. მის წინააღმდეგ ხმარობენ დარიშხანულ კალციუმს ან საბჭოთა მერიტოლს 3-ჯერ ვეგეტაციის განმავლობაში. მარმარილოს ღრუბა გავრცელებულია ლამიან ნიადაგებში. ვენახის დამუშავების დროს (სხვლა, ბარვა, თოხნა) ამ მავნებლებს აგროვებენ და სპობენ.

ვენახების ფართობის გადიდებასთან ერთად დასახულია ამოცანად ვენახების მოსავლიანობის შემდგომი გადიდება. სამამულო ომის წინა პერიოდში ვენახების მოსავლიანობა საგრძნობლად გაიზარდა. საბჭოთა მეურნეობებში უკვე მიღებული იყო საშუალოდ 50 ცენტნერი, ხოლო კოლმეურნეობებში საშუალოდ 35 ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე. 1948 წლიდან იწყება ჩვენში დიდი გარდატეხა მოსავლიანობის ზრდის საქმეში.

ზოგიერთმა რაიონმა კახეთში მიიღო საშუალოდ 32—34 ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებმა საშუალოდ 35 ცენტნერი მიიღეს. ცალკეულმა მეურნეობებმა 1948 წელს მიიღეს საკმაოდ დიდ ფართობებზე საშუალოდ 79 ცენტნერი (გურჯაანი), 70 ცენტნერი (ხირსა), 62 ცენტნერი (მანავი), ხოლო მერგოლოურებმა ცალკეულ ნაკვეთებზე 100 და მეტი ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე. ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ვენახების დროული და კარგი მოვლა-დამუშავებით თავისუფლად შეიძლება ახლანდელი საშუალო მოსავლის ერთიორად გადიდება და ჰექტარზე საშუალოდ 60—70 ცენტნერი ყურძნის მიღება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა მევენახეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის პროექტი. აღნიშნული პროექტის მიხედვით კახეთში 1949—1955 წლებში უნდა გაშენდეს 9350 ჰექტარი ახალი ვენახი.

აღნიშნული პროექტის მიხედვით 1955 წლისათვის, 1949 წლამდე გაშენებული ვენახების ჩათვლით, კახეთში იქნება 24 ათას ჰექტარამდე ვენახი.

რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება კახეთში მევენახეობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობანი, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, კახეთში მთავარი კავკასიონის და ცივ-გომბორის ქედის კალთებზე უხვად მოიპოვება ჯერ კიდევ აუთვისებელი, ძეძვითა და ჯაგრცხილით დაფარული, საუკეთესო სავენახე ადგილები, რომელთა შემდგომი ათვისებით თავისუფლად შეიძლება ვენახის ფართობის 50000 ჰექტარამდე აყვანა, რაც კახეთის მთლიანი ტერიტორიის მხოლოდ 2,5%-ს შეადგენს.

### ახალი ვენახების გაშენების გეგმის პროექტი

	მევენახეობის რაიონები	1948 წლის ფართობი	დაპროექტებულია გაშენება 1949-1955 წწ.	იქნება 1956 წლისათვის	შენიშვნა
1	გურჯაანის რაიონის . . . . .	4513,6	2000,0	6513,6	
2	თელავის " . . . . .	2900,0	2000,0	4900,0	
3	სიღნაღის " . . . . .	1813,48	1300,0	3113,48	
4	ყვარლის " . . . . .	1495,88	1200,0	2695,88	
5	საგარეჯოს " . . . . .	1010,84	800,0	1810,84	
6	ახმეტის " . . . . .	761,53	600,0	1361,53	
7	ღავაძენის " . . . . .	720,24	100,0	820,24	
8	კაჭრეთის " . . . . .	520,86	1100,0	1520,86	
9	წითელ წყაროს " . . . . .	846,85	850,0	696,85	
	ს უ ლ . . . . .	14082,78	9,850	23432,78	

ვენახების ჯიშობრივი შემადგენლობა. კახური ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია, ჯიშების საერთო რაოდენობა 60-ს აღწევს.

კახური ვაზის ჯიშების დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მიუხედავად ძველად მათს შეგროვება შესწავლას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, განსაკუთრებით მევენახეობის საცდელი სადგურის დაარსებიდან (ს. ურიათუბანში, 1924 წელს), პირველად დაიწყო კახეთში გავრცელებული ვაზის ჯიშების შეგროვება-ინვენტარიზაცია. სადგურმა შეძლო მუშაობაში 40 კახური ვაზის ჯიშის შეგროვება. შემდეგ ეს მუშაობა საქართველოს მასშტაბით განხორციელდა ხეობა-მეღვინეობის სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტმა (ქ. თელავი).

1932 წელს მევენახეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფ. სოლომონ ჩოლოყაშვილის ინიციატივით მოეწყო საქართველოს მევენახეობის ძირითადი რაიონების გამოკვლევა ქართული ვაზის ჯიშების აღგილზე ასაწერად და შესავსოვებლად. ქართული ვაზის ჯიშების შეგროვებაში მონაწილეობდნენ: მ. რამიშვილი, არ. ფირანიშვილი, დ. ტაბიძე, მ. ლაზარესკი, ბ. ჩხაიძე, ზ. სიბაშვილი და ვ. სუშკოვი. ექსპედიციების მუშაობის შედეგად შეგროვებულ იქნა 400-მდე ქართული ვაზის ჯიში. მარტო კახეთში ჯიშების საერთო რაოდენობამ, წინათ შეგროვებულთან ერთად, 75-ს მიაღწია.

ამ რაოდენობიდან 12 სახელწოდება სინონიმი (დამატებით შერქმეული სახელი), ხოლო სანი ჯიში ქართლური აღმოჩნდა. დანარჩენი 60 ჯიში კახური ვაზის ჯიშების ფონდს შეადგენს. მათგან 40 ჯიში შედარებით უფრო მეტად არის გავრცელებული და შესწავლილიც, ხოლო 20 ჯიში დამატებით გამოკვლევებს, შესწავლას და სახელწოდებების დაზუსტებას მოითხოვს.

აღნიშნული ჯიშები გაშენებულია საქ. მეცნ. აკადემიის მევენახეობის კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე ს. ურიათუბანში თითოეული ჯიში 32 ძირის რაოდენობით და მევენახეობის ინსტიტუტის მთავარ საკოლექციო ნაკვეთზე ქ. თელავში ათ-ათი ძირის რაოდენობით.

მიუხედავად იმისა, რომ კახეთის ჯიშობრივი ასორტიმენტი მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია, მათგან ფართო სამრეწველო გავრცელება მხოლოდ რქაწითელმა, საფერავმა და, ნაწილობრივ, მწვანემ მოიპოვა. ამ სამ ჯიშს უკავია კახეთის მთელი ვენახების თითქმის 98%, დანარჩენი ჯიშების დიდი უმრავლესობა გვხვდება, ძირითადად, პატარა ნაკვეთების ან უფრო ხშირად ძირითად საწარმოო ჯიშებთან მინარევს სახით.) ჯიშების მცირე ნაწილმა უკვე დაკარგა საწარმოო მნიშვნელობა და შემონახული და დაცულია მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო და სარეპროდუქციო ნაკვეთებზე.

უკანასკნელ ხანებში ჩვენში ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარებასთან დაკავშირებით ჩვენი საწარმოო სტანდარტული ასორტიმენტი შეიქმნა ვაზის ახალი ჯიშებით: ჯანანურათი (ხიხვი) და კაბერნე სოვინიონით.

კახეთის ვენახების ჯიშობრივი შემადგენლობისა და მისი დინამიკის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია 1936 და 1940 წლებში ვენახების მთლიანი აღრიცხვის მასალები (იხ. ცხრილები).

კახეთის საწარმოო ვაზის ჯიშებიდან ფართოდ გავრცელებულია რქაწითელი, მას უკირავს მთელი ფართობის ორი მესამედი (77,34%), შემდეგ საფერავი (15,23) და, ნაწილობრივ, მწვანე (5,34%), იშვიათია ჯანანურა (0,22%) და კაბერნე სოვინიონი (0,38%), ხოლო დანარჩენი ჯიშები კიდევ უფრო იშვიათად გვხვდება.

ძველად, სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გავრცელებამდე, ვაზის საწარმოო ასორტიმენტი გაცილებით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი იყო, რადგანაც ვაზის ჯიშების შერჩევა ძირითადად მხოლოდ ორი მთავარი ნიშნის — მოსავლიანობის და ხარისხის — მიხედვით წარმოებდა. ახალ ვითარებაში ვაზის ჯიშების შერჩევა საგრძნობლად გართულდა, რადგანაც მთავარი ყურადღება მოსავლიანობასა და ხარისხთან ერთად, გადატანილი იქნა ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობაზე, გარემოსა და აგროტექნიკის ახალი წესებისადმი შეგუებაზე და სხვ. ამრიგად, ვაზის ჯიშების შერჩევას რიგი სამეურნეო და ბიოლოგიურ თვისებათა კომპლექსი დაედო საფუძვლად. თუ აღნიშნული კომპლექსის მიხედვით მივუდგებით წარმოებაში გავრცელებული ჯიშების შეფასებას, ადვილად დაერწმუნდებით, რომ რქაწითელი ყველა ჯიშზე უფრო სრულად აკმაყოფილებს ამ კომპლექსს: მან უხვი მოსავალი იცის და ღვინო კარგი უდგება, გარემო პირობებს (ჭევა, ნიადაგები) კარგად ეგუება, სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მიმართ შედარებით კარგი გამძლეა, ყინვებს კარგად იტანს და სხვ. ყველაფერი ამის გარდა, რქაწითელი უნივერსალური ჯიშია: იგი გამოსადეგია სუფრის, მაგარი და საღვსურტო ღვინოებისა და სუფრის ყურძნის დასამზადებლად.

ასეთივე მაღალი მაჩვენებლები ახასიათებს საფერავსაც: იგი რქაწითელზე გაცილებით უფრო მაღალი ღირსების ღვინოს იძლევა, ნაკარს რქაწითელზე უკეთ უძლებს, ოღონდ რქაწითელს საგრძნობლად ჩამორჩება ფილოქსერის და ყინვების მიმართ გამძლეობასა და ნაწილობრივ გარემო პირობებისადმი შეგუე-

ბაში, ძირითადად ამით შეიძლება აიხსნას რქაწითელის საფერავზე უფრო მეტად გავრცელება ჩვენს ვენახებში.

ვენახების ჯიშობრივი შემადგენლობა რაიონების მიხედვით 1936 წლის აღრიცხვის მასალების მიხედვით

ადმინისტრაციული რაიონების დასახელება	რქაწითელი	მწვანე	საფერავი	ბუნებური თეთრი	გორული-მწვანე თავისებური და ჩიხური	ალუგატე	ბუნება	სუფრის ჯიშები	რქაწითელი ჯიშები: ციციკა, ცოლიკოური	რისლინი	კაბერნე	ბიხვი	სხვადასხვა ჯიშები	სულ ჯიშები	%-ბით
1 გურჯაანის . . . . .	2908,84	30,36	574,4	7,33	2,13	2,93	1,53	4,92	6,52	—	3,91	1,24	4,37	3543,38	33,73
2 თელავის . . . . .	1539,65	295,57	680,3	5,32	0,9	1,44	—	2,65	1,51	1,49	26,89	8,32	12,95	2377,06	24,54
3 სიღნაღის . . . . .	1558,62	14,62	0,59	42,57	0,59	17,0	—	7,08	—	—	—	0,21	1,55	1624,84	15,45
4 ყვარლის . . . . .	575,63	1,19	497,71	—	1,5	—	—	—	—	—	3,05	—	1,05	1080,13	10,23
5 საგარეჯოს . . . . .	493,15	61,43	203,23	11,79	6,95	1,24	0,62	8,15	82,89	0,35	—	—	53,27	928,07	8,84
6 ლაგოდეხის . . . . .	713,35	—	0,07	—	—	—	—	—	21,12	—	—	—	17,63	752,17	7,16
ს უ ლ . . . . .	7784,24	403,07	1961,36	66,61	11,48	5,61	2,15	22,81	112,04	1,84	33,85	9,77	90,82	10505,65	100
%/ა . . . . .	74,10	3,84	18,67	0,63	0,11	0,05	0,02	0,22	1,03	0,02	0,32	0,09	0,87	100%	

ვაზის ჯიშების გაადგილება ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით ვენახების 1940 წ. საკავშირო აღწერის მასალების მიხედვით

ადმინისტრაციული რაიონების დასახელება	რქაწითელი	საფერავი	მწვანე	კაბერნე	ბიხვი (ჯანანურა)	თითა (ბანჯური)	ჩიხური	ალუგატე	თავანური	ოჯალეში	ცოლიკოური, ციციკა და კობურა	გორული-მწვანე	პინო-ფრანი	ალექანდრეული და იველიანი	პირდაპირ მწარმოებელი პობრილები	სხვადასხვა ჯიშები	ს უ ლ
გურჯაანის . . . . .	4,036,58	628,86	85,79	0,94	1,05	0,18	2,21	0,11	0,02	—	0,55	0,01	—	—	0,01	29,31	4816,07
თელავის . . . . .	2502,07	793,41	536,21	35,82	5,32	0,15	0,07	0,74	0,42	0,78	0,17	0,07	—	0,02	0,39	74,64	3949,49
სიღნაღის . . . . .	1789,77	90,09	24,51	0,84	1,76	6,79	—	0,92	0,22	0,67	—	—	0,7	—	—	15,99	1931,63
ყვარლის . . . . .	1182,44	491,06	2,28	3,87	2,38	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	17,63	1700,85
საგარეჯოს . . . . .	806,31	362,31	253,22	—	—	—	—	—	0,08	—	—	—	—	—	—	30,41	1527,33
ლაგოდეხის . . . . .	620,54	13,93	13,93	0,19	—	—	—	—	—	—	1,33	0,05	0,02	0,02	3,06	128,78	768,68
წითელწყაროს . . . . .	425,77	16,52	49,47	—	—	1,44	—	—	0,04	—	—	—	0,03	—	—	13,02	506,52
ს უ ლ . . . . .	11393,48	2391,72	967,27	41,47	10,96	8,55	2,28	1,77	0,78	1,45	0,65	0,13	0,17	0,04	3,46	370,0	15200,57
%/ა საერთო ფართობის მიხედვით . . . . .	74,962	15,765	6,363	0,270	0,072	0,032	0,014	0,011	0,005	0,009	0,004	0,001	0,00045	0,0002	0,022	2,430	—

ის ფაქტი, რომ რქაწითელს ამჟამად მოკარბებით დიდი ფართობი უჭირავს, აიხსნება იმითაც, რომ ძველ ვენახებში საფერავი, ფილოქსერისადმი სუსტი გამძლეობის გამო, მთლიანად მოიხპო მაშინ, როდესაც რქაწითელი ამავე ვენახებში მხოლოდ ნაწილობრივ დაიღუბა და ახლაც ვენახების მთელი ფართობის თითქმის 38% ანუ 4600 ჰექტარი უმყნობ რქაწითელს უჭირავს. სულ ნამყენი ვენახები კაბერნეში 7540 ჰექტარია. აქედან რქაწითელია 4767 ჰექტარი (63,2%), საფერავი — 1835 ჰექტარი (24,5%), მწვანე — 647,6 ჰექტარი (8,5%), ხოლო დანარჩენი ჯიშები — 3,8%. ამრიგად, საფერავს ნამყენი ვენახების ერთი მეოთხედი უჭირავს, ხოლო მთლიანი ფართობის მხოლოდ 15%, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში საფერავის ხვედრითი წონა მეტად მცირეა. საჭიროა საფერავს ახალ ნარგავებში გაცილებით მეტი ფართობი (არანაკლები 40%-სა) დაეთმოს, რადგანაც წითელი ღვინის ჯიშებში საფერავს მეტოქე არ ჰყავს არამც თუ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოშიაც კი. მსოფლიოში წითელ ჯიშებს შორის საუკეთესოდ კაბერნე და პინო-ფრანი ითვლება, მაგრამ კაბერნე და პინო, ჯერ ერთი, ყველგან როდით იძლევა მაღალი ღირსების ღვინოს [მაგალითად, მთელ საბჭოთა კავშირში კაბერნემ მხოლოდ თელიანში (თელავის რაიონი) და უკრაინაში ს. კაზაჩილაგერში (დნებრის მარჯვენა ნაპირი) მოგვცა მაღალი ღირსების ღვინო] და მეორე, მოსავლიანობით და ყინვის ამტანობითაც იგი ჩამორჩება საფერავს. ღვინის



კვერმა უხვი მოსავალი არ იცის. აღრიცხვის ჩატარების შემდეგ გამოირკვა, რომ იგი საშუალო მოსავლის მომცემ ვაზის ჯიშებს მიეკუთვნება. ჯიში მსხმოიარობის კარგ მაჩვენებლებს გვაძლევს. თელავში მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი 0,64-სა და 1,43-ს შორის მერყეობს, ხოლო საშუალოდ 1,0-ს უდრის. მტევნის საშუალო წონა მერყეობს საშუალოდ 160—200 გრამის ფარგლებში. ამრიგად, ერთი რქა ისხამს 160—200 გრამს, ხოლო ერთი ძირი ვაზი, თუ საშუალოდ ვაზზე 10 რქაა დატოვებული, 1,6—2,0 კილოგრამს. ამის შესაბამისად, თუ ჰექტარზე 3,300 ვაზია, ერთ ჰექტარზე უნდა ვივარაუდოთ 53,0—66 ცენტნერი ყურძენი. ჯიშის მოსავლიანობის უფრო ზუსტად დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია სათანადო აღრიცხვის შედეგები.

**საფერავისებრი თავკვერის მსხმოიარობა**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	ნაყოფიანი ყლორტების პროცენტი				მტევნების რაოდენობა ნაყოფიან ყლორტებზე	მტევნების საშუალო რაოდენობა ერთ რქაზე	მტევნის საშუალო წონა გრამობით	ერთი რქის მოსავალი გრამობით	დატოვებული რქების რაოდენობა ჰექტარზე	გამონაგარიშე-ბული მოსავალი ჰექტარზე
		ერთ-მტევნიანი	ორ-მტევნიანი	სამ-მტევნიანი	სულ						
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის ვენახი ს. კურდღელაურში, ქ. თელავის მახლობლად	1941	53,77	27,36	—	81,13	1,33	1,08	182,0	196,5	34,000	66,8
	1943	67,80	14,95	—	82,75	1,18	0,97	202,0	196,0	30,000	58,8

როგორც ცხრილში მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ჯიშს მსხმოიარე რქები საკმაოდ დიდი რაოდენობით აქვს (81—82%). თელავში მისი მოსავალი ცხრილში მოყვანილი გაანგარიშების საფუძველზე აღწევს 58—66 ცენტნერ ყურძენს ჰექტარზე. შედარებით მეტ მოსავალს იძლევა ჯიში ვაზისუბანში. იქ ჩატარებული აღრიცხვის მიხედვით მისი საშუალო მოსავალი ძირზე შეადგენს 1,34 კილოგრამს, რაც იმ შემთხვევაში, თუ ჰექტარზე 5,000 ძირი ვაზია, შეადგენს 67 ცენტნერ ყურძენს ჰექტარზე. კახეთის პირობებში საფერავისებრი თავკვერის საშუალო მოსავლად უნდა მივიჩნიოთ 55—65 ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე.

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

მტევნის და მარცვლების გარეგნული შეხედულების მიხედვით საფერავისებრი თავკვერი სადესერტო ყურძენია, ხოლო ყურძნის მექანიკური შედგენილობით და ნაწილობრივ მარცვლის გემოსა და წვენის ქიმიური შედგენილობის მიხედვით იგი საღვინე ვაზის ჯიშებისაკენ იხრება.

ნათქვამის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია ცნობები ჯიშის მექანიკური და ქიმიური შედგენილობის შესახებ.

**ცნობები საფერავისებრი თავკვერის ყურძნის მექანიკური შედგენილობის შესახებ**

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მტევნის საშუალო წონა	მარცვლების რაოდენობა მტევანში	მტევნის შემადგენელი ნაწილები პროცენტებით					100 მარცვლის წონა გრამობით	100 წიპწის წონა გრამობით
				წენი და რაიონი	კლურტი	მარცვალი	კანი	წიპწა		
კახეთი, გურჯაანის რაიონი, ს. ვაზისუბანი.	1937	190,6	60	82,62	3,50	96,50	10,9	2,98	239,5	4,67
იგივე	3 წლის საშუალო	199,2	85	85,19	3,62	96,38	7,64	3,55	224,9	5,49
თელავის რაიონი, ს. კურდღელაური	1940	267,7	152	84,6	3,27	96,73	8,92	3,21	170,0	4,32

ღირსებით საფერავი და კაბერნე (თელიანის ნაკვეთიდან) ერთმანეთს არ ჩამოუყარდებიან. საფერავი სრულ ვაკეცურ ღვინოს, ხოლო კაბერნე უფრო ნაზ პარმონიულ ღვინოს იძლევა. მათი ღვინოები ერთიმეორეს ვერ შეცვლის, ამიტომ კაბერნე უკვე შეტანილია კახეთის საწარმოო სტანდარტულ ასორტიმენტში და ორასი ჰექტარი ახალი ვენახი შენდება სოფ. წინანდალში, თელიანის ნაკვეთზე, ხოლო 1956 წლისათვის ამ ჯიშის ვენახის ფართობი კახეთში 372 ჰექტარს მიაღწევს.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**ვენახის ჯიშობრივი შემადგენლობა რაიონობრივად 1940 წლის შემოდგომის აღრიცხვის მასალების მიხედვით (ჯიშები ნაჩვენებია შემჭიდროებული ფართობით)**

ადმინისტრაციული რაიონების დასახელება	რქაწითელი	საფერავი	მწვანე	კაბერნე	ხიხვი	თითა (კანჯური)	ბოლნისური თეთრი	ბუნია	შლა	მსხვილფეხა თეთრი	თავკვეთი ქართლისა	ქისი	მცვენი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
გურჯაანის . . . . .	3980,75	446,87	81,63	1,03	4,27	2,93	8,10	4,97	0,03	—	2,65	—	0,19
თელავის . . . . .	1597,52	520,32	232,48	41,49	15,42	0,90	7,01	0,06	0,32	—	0,44	1,45	2,37
სიღნაღის . . . . .	1519,77	77,28	20,00	—	0,36	8,75	0,87	4,70	0,01	—	0,76	—	—
ყვარლის . . . . .	696,51	481,11	22,72	3,80	3,21	0,75	0,71	0,12	0,11	—	—	—	3,20
საგარეჯოს . . . . .	523,45	176,62	107,49	0,01	—	0,53	1,91	1,13	11,89	10,61	3,63	—	—
ახმეტის . . . . .	548,93	58,22	111,49	0,69	3,52	0,11	0,11	—	0,03	—	0,02	6,15	—
ლაგოდეშის . . . . .	490,04	32,01	5,87	—	—	7,71	0,08	—	—	—	—	—	—
კაკრეთის . . . . .	377,22	26,22	45,31	—	0,24	1,63	0,75	4,10	0,04	—	0,27	—	—
წითელწყაროს . . . . .	273,51	16,64	20,22	0,01	0,30	0,46	0,56	0,89	—	—	0,56	—	—
<b>ს უ ლ . . . . .</b>	<b>9867,55</b>	<b>1835,29</b>	<b>647,62</b>	<b>41,03</b>	<b>27,32</b>	<b>23,77</b>	<b>20,10</b>	<b>15,97</b>	<b>12,48</b>	<b>10,61</b>	<b>8,23</b>	<b>7,60</b>	<b>5,76</b>
%-ბით საერთო ფართობთან	77,32	15,23	5,34	0,38	0,22	0,19	0,16	0,13	0,11	0,10	0,07	0,06	0,05

გავრძელება

ადმინისტრაციული რაიონების დასახელება	კუშტი თეთრი	ჩინური	ალაგოტი	ხარისთვალა	უბაკური	კოლიკური	ციცქა	ქიშინი, იზაბელა, შალა მუსკარი	დანარჩენი ჯიშები	ს უ ლ	ნაღლარი	ჩაბრიუბი	სულ დაბ-სარი და ნაღლარი
1	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27
გურჯაანის . . . . .	0,95	2,42	0,14	0,12	—	0,01	0,89	3,65	2,75	3944,30	—	0,19	3944,49
თელავის . . . . .	—	0,06	0,54	0,85	—	0,35	0,10	4,61	2,89	2450,71	—	—	2450,71
სიღნაღის . . . . .	—	—	1,20	—	0,19	—	—	0,13	7,64	1641,66	—	0,48	1642,14
ყვარლის . . . . .	—	—	0,15	0,71	—	—	—	0,16	0,46	1213,52	—	—	1213,52
საგარეჯოს . . . . .	—	—	0,40	—	—	0,05	—	0,06	3,65	841,34	—	2,38	844,22
ახმეტის . . . . .	—	—	—	0,02	—	—	—	0,08	0,51	639,93	—	—	639,93
ლაგოდეშის . . . . .	—	—	—	—	—	10,52	0,98	12,55	0,06	559,80	86,50	32,88	679,18
კაკრეთის . . . . .	—	—	—	—	—	—	—	—	0,13	455,91	—	—	455,91
წითელწყაროს . . . . .	3,08	—	0,04	0,24	0,28	—	—	0,01	0,83	317,77	—	—	317,77
<b>ს უ ლ . . . . .</b>	<b>4,03</b>	<b>2,48</b>	<b>2,47</b>	<b>1,97</b>	<b>0,41</b>	<b>10,96</b>	<b>1,95</b>	<b>21,25</b>	<b>39,92</b>	<b>1214,92</b>	<b>86,50</b>	<b>36,27</b>	<b>12247,69</b>
%-ბით საერთო ფართობთან	0,03	0,02	0,02	0,01	—	0,10	0,02	0,17	0,33	100%	—	—	—

მწვანე მეტად მაღალხარისხიან სუფრის თეთრ ღვინოს იძლევა. იგი სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელებამდე უფრო ხშირად იყო გაშენებული ძირითადად ალაზნის მარჯვენა ნაპირზე და გარეკახეთში როგორც წმინდა ნარგავების, ისე რქაწითელთან მინარევის სახით. იგი იძლევა მეტად ნაზ, არომატულ, მაღალი ღირსების სუფრის თეთრ ღვინოს, ხოლო რქაწითელთან მიმატებისას იგი საგრძნობლად აუმჯობესებს მის ხარისხს: მატებს რქაწითელის ღვინოს სინაზეს, არომატულობას და უკარგავს მას იმ მცირედენ სიმწარეს, რომელიც ჩვეულებრივ ახლავს რქაწითელის ახალგაზრდა ღვინოებს.

+ ✓ ახმეტის, იყალთოს, რუისპირის, მანავის, წინანდლის (გრძელი მინდვრები) ღვინის მაღალი ღირსება მწვანის რქაწითელთან მიმატებითაა გამოწვეული. ახალ ნარგავებში მწვანე მცირედაა გავრცელებული. ეს გამოწვეულია ძირითადად იმით, რომ მწვანე სუსტად უძლებს ნაცარს და ამასთან გარემო პირობე-

ბისადმი შეტი მოთხოვნა აქვს. საერთოდ, მწვანე მისთვის შესაფერ რაიონებში ირჩევს შემალღებულ ფერდობ ადგილებს შედარებით უფრო გრილი ჰავით (თელავ-აბშეთის ზოლი, გარეკახეთი), სადაც ნაცარი მას შედარებით ნაკლებ აზიანებს. მოსავლიანობით მწვანე არ ჩამოუვარდება რქაწითელს და ზოგ რაიონებში აჭარბებს კიდევაც ამ უკანასკნელს. ღვინის ხარისხითა და ფილოქსერის მიმართ გამძლეობით იგი სჯობნის რქაწითელს.

ახალ ვენახებში მწვანის ზვედრითი წონა აუცილებლად 10%-მდე მაინც უნდა გადელდეს ძველი რქაწითელის ხარჯზე. ამ უკანასკნელის ზვედრითი წონა 35%-ზე უნდა იქნეს შეჩერებული. მწვანე მწიკელები მოუპოვოთ მასზე უფრო მაღალხარისხოვან და ამასთან მისი ღვინის ხარისხის გამაუმჯობესებელ ჯიშებს — ნწვანეს, ხიხეს, ქისს და სხვებს.

ასევე მცირედაა გავრცელებული მეტად მაღალხარისხოვანი ჯიში ჯანანურა (ხიხვი). იგი იძლევა სუფრის მეტად ნაზ და მაღალი ღირსების საღვსურ ტიპის ღვინოს. მისი მცირედ გავრცელება გამოწვეულია იმით, რომ სუსტად უძლებს ნაცარს და, გარდა ამისა, რქაწითელზე და მწვანეზე უფრო ნაკლები მოსავალი იცის.

ასევე იშვიათადაა გავრცელებული ქისი, კაბერნე, ჩიტისთვალა და სხვები. მათი მცირე გავრცელება ამავე მიზეზებით — სუსტი გამძლეობით ან შედარებით მცირე მოსავლიანობით უნდა აიხსნას.

მეორე მხრით, კახეთის ვენახებში არაა ფართოდ გავრცელებული აგრეთვე მეტად მაღალმოსავლიანი, მაგრამ დაბალხარისხიანი ღვინის ჯიშები — ელია, კუმის ყვითელი, თავკვერი პატალანთეული, შავი ყურძენი, საფერავი ფახხა და სხვ. ასევე არაა ფართოდ გავრცელებული სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ შედარებით გამძლე ჯიშები, როგორებიცაა: ელია, სირგულა, კუმის თეთრი და სხვები.

ყველაფერი ეს შეიძლება აიხსნას ვაზის ჯიშების შერჩევის ძველად მიღებული წესით, რომლის მიხედვით მოსახლეობა არჩევდა ფართო სამრეწველო მიზნებისათვის ისეთ ჯიშებს, რომლებიც უბე მოსავალს იძლეოდა, ღვინოც მაღალი ხარისხისა უდგებოდა და ამასთან ერთად ფილოქსერასა და სოკოვან ავადმყოფობებს შედარებით კარგად უძლებდა.)

უნდა აღინიშნოს, რომ ძველად მაშინდელი მოთხოვნებისათა მიხედვით ვაზის ჯიშები სამრეწველო განვითარებისათვის კარგად იყო შერჩეული. ვაზის ჯიშების შერჩევის ეს წესი ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. ჩვენში ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარებასთან დაკავშირებით ვაზის ჯიშების შერჩევის ძველი წესი, რომლის დროს მთავარი ყურადღება დადებით ნიშან-თვისებათა ჯამს ექცეოდა, უნდა შეიცვალს. უნდა აღვნიშნავთ, რომ უნდა გამოიყოს. ამჟამად ჩვენთვის წამყვანია ღვინის მაღალი ხარისხი, ამიტომ შედარებით მცირე მოსავლიანობა ან შედარებით სუსტი გამძლეობა ავადმყოფობათა მიმართ საფუძვლად კი არ უნდა დაედოს მაღალხარისხოვანი ჯიშის დაწინაურებას, არამედ უნდა დაისაბოს ღვინის ხარისხის ადრინდელი ნაკლის გამოსასწორებლად — შესაფერი ადგილმდებარეობის შერჩევისა და მოვლა-დამუშავების მოწინავე აგროწესების გამოყენების საშუალებებით.

საერთოდ სელექციური ჯიშები უფრო მეტად მოსთხოვნი არიან, რაც უფრო მაღალხარისხოვანია ჯიში, მით უფრო ფაქიზ მოვლა-დამუშავებას მოითხოვს იგი.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს აკადემიკოს ტ. ლისენკოს მითითება იმის შესახებ, რომ „წარმოებაში მცენარეებისა და ცხოველების კარგი ჯიშები მუდამ გამოაყვანდათ და გამოაყვანთ მხოლოდ კარგი აგროტექნიკის და კარგი ზოოტექნიკის პირობებში. ცუდი აგროტექნიკის პირობებში არამც თუ ცუდი ჯიშებისაგან არ შეიძლება უკეთესების მიღება, არამედ ხშირ შემთხვევაში კარგი კულტურული ჯიშებიც კი რამდენიმე თაობის შემდეგ უარესდება“.

ვენახების მოვლა - დამუშავების მოწინავე წესების გამოყენებით თავისუფლად შეიძლება გავაძლიეროთ მაღალხარისხოვანი ჯიშების გამძლეობა ავადმყოფობათა მიმართ და ავამაღლოთ მათი მოსავლიანობა. ამის გამოა, რომ ვაზის საწარმოო ასორტიმენტში შეტანილია ჯიშები: ჯანანურა და კაბერნე.

უკანასკნელი წლების მუშაობის შედეგად მევენახეობის ინსტიტუტის მიერ ადგილობრივი ჯიშებისაგან გამოვლენილია რიგი მაღალხარისხოვანი ჯიში, რომელთა გამრავლება უკვე ხდება წარმოების პირობებში (საბჭოთა მეურნეობებში) ფართოდ გამოსაცდელად და მათი მოსავლიანობისა და ღვინის ხარისხის შესამოწმებლად. ამის შემდეგ ეს ჯიშები წარდგენილი იქნება საწარმოო სტანდარტში შესატანად და ვენახებში გასაერცელებლად.

ეს ჯიშებია: ქისი, ინსტიტუტის გრძელმტევანა და ჩიტისთვალა, რომლებიც იძლევიან მაღალხარისხოვან თეთრ სუფრის ღვინოს. ადრინდელი ჯიშების გრცელი სამეურნეო დახასიათება სრული ბოტანიკური აღწერით მოცემულია შრომის მეორე ნაწილში.

სადვინე ჯიშებს ვარდა კახეთის საწარმოო ასორტიმენტში შეტანილია აგრეთვე სასუფრე ვაზის ჯიშები მოსახლეობის, — ძირითადად, სანრეწველო ცენტრების, დასასვენებელი სახლების და კურორტების — ახლად მოკრეფილი ყურძნით მომარაგების მიზნით. სასუფრე ყურძნის დასამზადებლად საწარმოო სტანდარტში შეტანილია საადრეო ჯიშში შესლა თეთრი, თითა (განჯური) და ადგილობრივი ჯიშებისაგან წითელი ბუდეშური და რქაწითელი.

დანარჩენი ჯიშების დახასიათებაზე აქ არ შეეჩერდებით, რადგანაც მათი დახასიათება რეწვით ნაწილშია მოცემული.

შეეჩერდებით კახური ვაზის ჯიშების განლაგების საკითხზე ცალკეულ რაიონების მიხედვით. როგორც შემომოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, კახეთის ვაზის ჯიშები სხვადასხვაგვარად არიან გავრცელებული ცალკეული რაიონების მიხედვით.

ჯიშების განლაგების დახასიათებლად ზემოთ მოყვანილია ჯიშების გავრცელება ცალკეული რაიონების მიხედვით. მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, რომ ჯიშები ცალკეული რაიონების მიხედვით შემდეგნაირად არიან განლაგებული:

1. გურჯაანის რაიონი, შეიძლება ითქვას, რქაწითელის რაიონია. რქაწითელს ამ რაიონში მთელი ფართობის 86% (4816 ჰექტ.) უჭირავს, ხოლო დანარჩენ ჯიშებს მხოლოდ 14% ამათში 450 ჰექტარი მოლის საფერავზე და 85 ჰექტარი მწვანესა და ხიხვზე და ისიც ძირითადად საბჭოთა მეურნეობებში.

ჯიშების ასეთი განაწილება რაიონში არ არის მიზანშეწონილი. რაიონში, სადაც საფერავი მეტად მაღალხარისხიან ღვინოს იძლევა (ახაშენი (ფაფრის მინდვრები), მუკუხანი, შაშიანი, ურიათუბანი, კარდანახი და სხვ.), აუცილებლად საჭიროა საფერავის ხვედრითი წონის 40%-მდე მაინც აყვანა. იგივე შეიძლება ითქვას მწვანესა და ხიხვზე, რომლებიც ამ რაიონში მაღალი ხარისხის ღვინოს იძლევიან.

2. თელავის რაიონში ჯიშები შედარებით უკეთაა განაწილებული. მართალია, რქაწითელს აქაც დიდი ფართობი (75%) უჭირავს, მაგრამ მასთან ერთად სხვა ჯიშებიც საკმაოდაა წარმოდგენილი. მაგალითად, გურჯაანის რაიონთან შედარებით საფერავს 50 ჰექტარით მეტი ფართობი უჭირავს, მწვანესა და ჯანანურას სამჯერ მეტი, კაბერნეს 40-ჯერ და ა. შ. ახალი გვემის პროექტით რაიონში საგრძნობლად დიდდება საფერავის, მწვანის, ჯანანურისა და კაბერნეს ხვედრითი წონა.

3. სიღნაღის რაიონიც ძირითადად რქაწითელის გავრცელების რაიონია. დანარჩენ ჯიშებს მთელი ფართობის მხოლოდ 7,2% უჭირავს. საფერავს რაიონში მხოლოდ 77 ჰექტარი და მწვანეს 20 ჰექტარი უკავია. ამის გამო აუცილებლად საჭიროა 40%-მდე მაინც გადიდდეს საფერავის, მწვანეს და ჯანანურის (ხიხვის) ხვედრითი წონა ამ რაიონის ღვინოების ხარისხის ასამაღლებლად.

4. ყვარლის რაიონი ერთადერთი რაიონია კახეთში, სადაც საფერავის ხვედრითი წონა რქაწითელისას უახლოვდება. მაგრამ სხვა ხარისხიანი ვაზის ჯიშები, როგორცაა: მწვანე, ჯანანურა, კაბერნე და სხვა, ძალიან მცირედაა წარმოდგენილი და ისიც ძირითადად ფაქმასურის საბჭოთა მეურნეობაში. საჭიროა აღნიშნული ჯიშების ხვედრითი წონის გაზრდა რქაწითელის ხარჯზე, საფერავის გავრცელების ახლანდელი პროცენტის შენარჩუნებით.

5. საგარეჯოს რაიონში, მსგავსად თელავის რაიონისა, შედარებით უკეთ არის განაწილებული ჯიშები. რქაწითელს მთელი ფართობის დაახლოებით 60% უჭირავს, ხოლო საფერავს და მწვანეს — 35% დანარჩენი ფართობი სხვა ჯიშებს უჭირავს. საგარეჯოს რაიონი ხარისხიან ღვინოს იძლევა, განსაკუთრებით ცნობილია ამ რაიონის მაღალხარისხიანი მწვანე (მანაფი). საჭიროა ამ რაიონში საერთოდ გაიზარდოს ვენახის ფართობი და პირველ რიგში მწვანისა და საფერავის (ხაშში) ნარგავებით.

ახალი გვემის პროექტით საგარეჯოს რაიონში ვენახის ფართობი თითქმის ერთიორად იზრდება.

6. ახმეტის რაიონი ძველადვე ცნობილი იყო მაღალი ღვინოების ღვინით. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახმეტის მწვანე და ჯანანურა. ამჟამად ამ ორ ჯიშს რაიონში მთელი ფართობის 25% უჭირავს, დანარჩენი რქაწითელია. ამ რაიონშიაც პერსპექტიული გვემის პროექტით თითქმის ერთიორად დიდდება ვენახების ფართობი, ძირითადად, მწვანის, ჯანანურასა და საფერავის ხვედრითი წონის გადიდების გზით.

7. ლაგოდეხის რაიონში ძირითადად გავრცელებულია რქაწითელი, საფერავს და მწვანეს მთელი ფართობის დაახლოებით 7% უჭირავს. ამ რაიონში გავრცელებულია აგრეთვე იმერული ვაზის ჯიშები და ნაწილობრივ პირდაპირ მწარმოებელი პიბრიდები. მევენახეობის ფართო გავრცელება ამ რაიონში ჯეროვობით არ არის გათვალისწინებული, რადგან ღვინის ხარისხი მაღალი არ არის და, ამასთან, რაიონში მთავარპროცენტს საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს. ახალი პერსპექტიული გვემით რაიონში გათვალისწინებულია 100 ჰექტარის გაშენება და მთელი ფართობის 820 ჰექტარამდე აყვანა.

8. კაქეთის რაიონი მევენახეობის ახალი რაიონია, ვენახების მთელი ფართობი 456 ჰექტარს შეადგენს. პირველი ადგილი რქაწითელს უჭირავს (81<sup>0</sup>/<sub>100</sub>); შემდეგ მოდის მწვანე და საფერავი. მევენახეობის განვითარების თვალსაზრისით რაიონი უდავოდ პერსპექტიულია. ახალი პერსპექტიული გეგმის პროექტით რაიონის ფართობი ერთსამად დიდდება. 1955 წლისათვის ვენახის ფართობი რაიონში 200 ჰექტარს მიაღწევს. რაიონში რქაწითელის, მწვანის და საფერავის გარდა, სასურველია მალღობის კულტურების გავრცელება და მუხრანულის (ალიგოტეს) გავრცელება.

9. წითელწყაროს რაიონიც მევენახეობის ახალი რაიონია. აქ ძირითადად რქაწითელია გავრცელებული. საფერავსა და მწვანეს მეტად მცირე ფართობი (ორივეს 36 ჰექტარი) უჭირავს. ახალი გეგმით რაიონში გათვალისწინებულია 350 ჰექტარი ახალი ვენახის გაშენება. საფერავისა და მწვანის ხვედრითი წონა ახალ ნარგავებში საგრძნობლად გადიდებული იქნება.

ჯიშების არსებული განაწილება რაიონების მიხედვით ბევრ შემთხვევაში მევენახეობის სტიქიური განვითარების შედეგი უნდა იყოს. სხვაგვარად ძნელია აიხსნას ის გარემოება, რომ ისეთ დიდ რაიონში, როგორცაა გურჯაანისა და სიღნაღის რაიონი, მარტო რქაწითელი იყოს რაიონის ყველა ადგილებში საუკეთესო როგორც მოსავლიანობით, ისე ხარისხით. გაკვირვებას იწვევს ის ამბავიც, რომ მთელ ყვარლის რაიონში, გარდა ფაქმასურის მეურნეობისა, არსად მწვანე არ არის გავრცელებული.

შემდეგ მიუხედავად იმისა, რომ ყვარლის რაიონში საფერავი გაცილებით უფრო მაღალხარისხოვანი დგება, ვიდრე რქაწითელი, საფერავი მაინც რქაწითელზე ნაკლებ არის გავრცელებული. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მკვიფანი ძირითადად მხოლოდ ყვარლის რაიონშია გავრცელებული რქაწითელში მინარევის სახით, დანარჩენ რაიონებში იგი თითქმის არსად გვხვდება.

მწვანე რქაწითელთან ერთად გავრცელებულია კახეთის ძირითად რაიონებში, უმთავრესად ალაზნის მარჯვენა ნაპირზე. მიუხედავად იმისა, რომ ალაზნის ვაღმა (მარცხენა ნაპირზე) მწვანე მეტად მაღალხარისხოვან ღვინოს იძლეოდა (სანიორე, ართანა, ნაფარეული), იგი მცირედაა გავრცელებული. მას ამ ადგილებში ძველად ქისი ცვლიდა. ამჟამად მწვანე ძირითადად გავრცელებულია ახმეტის, თელავისა და საგარეჯოს რაიონებში.

საფერავი ამჟამად უფრო მეტად არის გავრცელებული ყვარლის, თელავისა და საგარეჯოს რაიონებში.)

ჯიშების ახლანდელი განაწილება რაიონების მიხედვით მთლიანად დამაკმაყოფილებელი არაა, იგი მოითხოვს შესწორებას და დაზუსტებას დაგროვილი მონაცემებისა და დაკვირვებების გამოყენებით. გაუმართლებელია საფერავის, მწვანის, ხიხვის და სხვათა ფართობის ასეთი შემცირება. ნაბიჯები ამის გამოსასწორებლად უკვე გადადგმულია. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული მევენახეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის პროექტის მიხედვით საგრძნობლად დიდდება საფერავის, მწვანის, ხიხვის, კაბერნეს და სხვა ჯიშების ხვედრითი წონა. აღნიშნული პროექტის მიხედვით 1955 წლისათვის კახეთის მთავარი ჯიშები შემდეგი ფართობებით იქნება წარმოდგენილი:

ვენახების გაშენების გეგმის პროექტი

ჯიშების დასახელება	ფართობი 1948 წ. 1 იანვარი- სათვის	შენდება 1949—1955 წწ.	იქნება 1956 წლის 1 იანვარი- სათვის	შ ე ნ ი შ ვ ნ ა
1. რქაწითელი . . . . .	9367,55	5305,0	14672,55	
2. საფერავი . . . . .	1835,29	2310,0	4145,29	
3. მწვანე . . . . .	647,62	1140,0	1787,62	
4. ჯანანურა (ხიხვი) . . . . .	27,32	230,0	257,32	
5. კაბერნე . . . . .	47,03	325,0	372,03	
6. დანარჩენი ჯიშები . . . . .	202,0	40,0	242,0	
ს უ ლ . . . . .	12126,81	9550	21476,91	

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, საგრძნობლად დიდდება ფართობი ისეთი მაღალხარისხოვანი ჯიშებისა, როგორცაა: საფერავი, მწვანე, ჯანანურა, კაბერნე და სხვები. მაგრამ ეს გადიდება არ არის მაინც დამაკმაყოფილებელი. გასაშენებლად დაპროექტებული 9350 ჰექტარიდან საფერავის, მწვანის,

ჯანანურას, კაბერნესა და სხვა ჯიშების გაშენება გათვალისწინებულია 4045 ჰექტარის რაოდენობით მაშინ, როდესაც მარტო რქაწითელი 5305 ჰექტარზე უნდა გაშენდეს.

აღნიშნული პროექტის მიხედვით, რქაწითელის ფართობი 1956 წლის 1 იანვრისათვის 4112 ჰექტარს შეადგენს, რაც მთლიანი ფართობის 68% შეადგენს მაშინ, როდესაც საფერავის ფართობი სხვა ჯიშებს რომ თავი დაგანებოთ, მხოლოდ 4145 ჰექტ. ანუ მთელი ფართობის მხოლოდ 19% შეადგენს. ასეთი შეფარდება რქაწითელსა და საფერავს შორის არასდროს არ ყოფილა და გამოწვეულია, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, რქაწითელის ფილოქსერისადმი შედარებით უკეთესი გამძლეობით. მოსახლეობა საკარნიდამო ნაკვეთებზე რქაწითელს ამგვარად, მომეტებულ შემთხვევაში, საკუთარ ძირზე აშენებს. პროექტის განხილვა-დამტკიცების დროს საჭიროა ზემოაღნიშნულის გათვალისწინება და საფერავისა და სხვა მაღალხარისხოვანი ჯიშების ხვედრითი წონის უფრო გაბედულად გადიდება.

**კახეთის ვაზის ჯიშების დარაიონება და რაიონების სპეციალიზაცია შურაძის მოხმარება-გადაშუშავების მიმართულებათა მიხედვით**

საუკუნეთა მანძილზე გამოამუშავებული დარაიონება ჯიშებისა და რაიონების სპეციალიზაცია მეღვინეობის მთავარ მიმართულებათა მიხედვით შედეგია მევენახეობა-მეღვინეობის ძველად არსებულ მოთხოვნილებათა შესაბამისად განვითარებისა. წინათ კახეთში ძირითადად კახური ტიპის და ზოგიერთ რაიონში ნახევრადსადესერტო ტიპის (ქინძმარაული, ბერების წითელი, ახაშის წითელი) სუფრის ღვინოები მზადდებოდა.

კახეთის მევენახეობის რაიონების განსაკუთრებით მდიდარი ბუნებრივი პირობები რაციონალურად არ იყო გამოყენებული, მიღებული პროდუქცია როგორც რაოდენობით, ისე ხარისხობრივად, ვერ ამოწურავდა კახეთის შესაძლებლობებს.

და მართლაც, ნიადაგისა და ჰაერის ისეთი მდიდარი მრავალფეროვნება, როგორც კახეთშია, იძლევა განსხვავებული ტიპისა და მარკის ღვინის მიღების შესაძლებლობას ცალკეული მიკრორაიონების მიხედვით, მაგრამ ამ მიმართულებით ჩვენში დღემდე შედარებით ცოტაა გაკეთებული. ჩვენ მხოლოდ დაახლოებით შეგვიძლია ვთქვათ და ისიც საფერავის, რქაწითელის და ნაწილობრივ მწვანის შესახებ, თუ რომელ რაიონში და რა პირობებში იძლევა ეს ჯიშები მაღალხარისხოვან ღვინოს.

ხალხის მრავალსაუკუნოვანი დაკვირვება, თუ რომელ რაიონში ან რომელ სოფელში და რომელ ნაკვეთზე რომელი ჯიშები იძლეოდა საუკეთესო ღვინოს, ზოგიერთი გამოჩაყლისის გარდა, დავიწყებულია. არსებულ ლიტერატურულ წყაროებში ზოგადაა დასახელებული მაღალხარისხოვანი ღვინის მომცემი სოფლები: ახმეტა, კონდოლი, კარდანახი, მეფის ზვრები მანავში, სანკლესიო მამულები ზემო ხოდაშენში (ბერების ზვარი) და ცალკეული ნემამულებების ზვრების ღვინოები: ჭავჭავაძის საფერავი (წინანდალი, ნაფარეული, ყვარელი), ანდრონიკაშვილების ღვინო (გურჯაანი, ბაკურციხე); ვაჩნაძეებისა და აფხაზებისა (კარდანახი), ჯანდიერებისა (შრომა), ვახვახიშვილებისა (კურდღელაური), ჯორჯაძეებისა (ენისელი, საბუე), ჩოლოყაშვილებისა (ახმეტა) და სხვ. ამათგან, მ. ბალასის ცნობით, ყველაზე უფრო ცნობილი იყო ჭავჭავაძის ღვინო (წინანდალი, მუკუხანი), შემდეგ კონდოლისა და კარდანახის ღვინოები (აფხაზების ზვრიდან). სხვა უფრო ზუსტი და დეტალური ცნობები გერჯერობით ლიტერატურულ წყაროებში, არ მოიპოვება.

თითქმის 1925 წლამდე კახეთში მხოლოდ კახური და ევროპული ტიპის სუფრის ღვინოები მზადდებოდა იმისდა მიუხედავად, რომ ზოგიერთ ადგილებში ღვინის სიმაგრე ჩვეულებრივად 14 — 15° აღწევდა და ხშირად ღვინო სრულად არ დუღდებოდა. საბჭოთა მეურნეობის ტრესტის საქმიანობის შედეგად, ძირითადად კი ამ ტრესტის მთავარი მეღვინის ვალერიან კანდელაკის ინიციატივით, საგრძნობლად გამდიდრდა კახური ღვინის ასორტიმენტი. კახეთის თითქმის ყველა საბჭოთა მეურნეობაში 1926 წლიდან დაიწყო საწარმოო მასშტაბით ყურძნის უალკოჰოლო წვენის დამზადება პირველად საქართველოში. წარმატებით დამთავრდა ცდა მაგარ და სადესერტო ღვინოების დამზადებისა კარდანახში. დღეს ყველას მოსწონს კახური „ანაგა“ მადერის ტიპისა, „საამო“, „კარდანახი“ და „ხირსა“ პორტვინის ტიპისა და შესანიშნავი „ხიხვი“ სადესერტო ტიპისა. მევენახეობის ინსტიტუტში ჩატარებული ცდების შედეგად დადასტურდა კახეთში გავრცელებული ზოგიერთი ჯიშისაგან შამპანურის მიღების შესაძლებლობა. კახეთის ზოგიერთი მასივი თავისი ბუნებრივი პირობებით მეტად შესაფერისია შამპანური მევენახეობის განვითარებისათვის — სახელდობრ, მთავარი შარავხის ზემოთ მდებარე ზოლი, პანკისის ხეობიდან დაწყებული თელავამდე, სადაც მცირე გამოჩაყლისის გარდა ახლაც არაა გაშენებული ვენახები; შემდეგ, უკანა მხარე კაკა-

ბეთიდან ჩალაუბნამდე (ახლანდელი კაჭრეთის რაიონი, ძირითადად, ივრის მარცხენა ნაპირის შემადგენელ ადგილები) სავსებით გამოსადეგია შამპანური შეფენისგან განვითარებისათვის. კახეთში გამოვლენილი იქნა აგრეთვე ადგილები, სადაც სავსებით შესაძლებელია მაღალხარისხოვანი საკონიაკე მასალის დაზოგვა. ალაზნის მარცხენა ნაპირზე მდებარე ზოგიერთი ადგილი (ენისელი-შილდა) მეტად გამოსადეგი აღმოჩნდა ამ მიზნისათვის, ამასთან ერთად საგრძობლად გადიდდა ევროპული და კახური ტიპის მარკო ღვინოების წარმოება და მათი ასორტიმენტი.

ამჟამად კახეთში შენდები ტიპის ღვინოები მზადდება:

1. ევროპული ტიპის სუფრის ღვინო. ამ ტიპის ღვინო მზადდება ძირითადად რქაწითელისა და მწვანისაგან. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა რქაწითელის სამარკო ღვინოები: „ნაფარეული“, „წინანდალი“, „მუკუზანი“, „ენისელი“, „გურჯანი“ და „მანავი“ და მწვანის ღვინოები: „მწვანე“ და „მანავის მწვანე“. ამავე ტიპის სუფრის წითელი ღვინოები მზადდება ძირითადად საფერავისაგან. ამათგან გამოირჩევა „ნაფარეული“, „წინანდალი“, „მუკუზანი“, „ყვარელი“ და „თელიანი“ (ჯიშ კაბერნესაგან).

2. კახური, ანუ ადგილობრივი ტიპის სუფრის ღვინო. კახური ტიპის ღვინო მზადდება ძირითადად რქაწითელისა და საფერავისაგან. მათგან ცნობილია ორი სამარკო ღვინო: „რქაწითელი“ და „საფერავი“. ორივე ღვინო მზადდება ადგილობრივი წესით. ეს წესი განსხვავდება ევროპული წესისაგან იმით, რომ მის დაზოგვაში მონაწილეობს ყურძნის ყველა შემადგენელი ნაწილი (კლერტი, მარცვალი თავისი კანით, ხორციით და წიბწით).

3. მაგარი და სადესერტო ღვინო. ამ ტიპის ღვინოებიდან ცნობილია: „საამო“, „კარდანახი“ და „ხირსა“ პორტვინის ტიპისა, „ანავა“ — მადერის ტიპისა და „ხიხვი“ — სადესერტო ტიპისა.

4. საბჭოთა კონიაკები. ამათგან აღსანიშნავია ორდინარული (სამ, ოთხ და ხუთვარსკვლავიანი) და სამარკო კონიაკები. უკანასკნელისაგან არჩევენ დავარგებულ კონიაკს, უმაღლესი ხარისხის დავარგებულ კონიაკსა და ძველ კონიაკს. უკანასკნელ წლებში ჩვენი კონიაკების ასორტიმენტი გამდიდრდა სტალინის პრემიის ლაურეატ ციციშვილის მიერ შემუშავებული კონიაკის ახალი მარკით, რომელსაც „ენისელი“ ეწოდა.

5. კონიაკის გარდა კახეთში ბლომად მზადდება, ძირითადად კოლმეურნეობებში, არაყი, რომელიც ბაზარზე „კახური არაყის“ ან „ჭაქის არაყის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

6. ყურძნის უალკოჰოლო წვენი მზადდება ძირითადად ჯიშ რქაწითელისაგან პასტერიზაციის წესით.

აღნიშნული ტიპის ღვინოთაგან წამყვანი მაინც სუფრის ღვინოებია, რადგანაც კახეთი თავისი ბუნებრივი პირობებით ამ ტიპის ღვინის საუკეთესო მზარეა. უფრო მეტი მუშაობაა საჭირო ამ მიმართულებით — თავისებური, ევროპული და კახური ტიპის ღვინოების შესაქმნელად. ამ საწარმოო დავალებათა სწორად გადაჭრისათვის საჭიროა ჯიშების გაადგილება ყურძნის მოხმარება-გადამუშავების მთავარ მიმართულებათა მიხედვით საფუძვლად დაედოს ჰავისა და ნიადაგის პირობები, ჯიშების ბიოლოგიური თავისებურებანი და საწარმოო გამოცდილება, რომ ვაზის ჯიშს შევუქმნათ უფრო შესაფერი პირობები მისგან მაღალხარისხოვანი პროდუქტის მიღების მიზნით.

ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა გაძნელებულია კახეთის ტერიტორიის რთული რელიეფით, რომელიც მკირე მანძილზედაც კი იწვევს ნიადაგებისა და ჰავის დიდ ცვალებადობას, რის გამო მოითხოვს ცალკეულ მიკრორაიონისადმი დიფერენცირებულ მიდგომას მეღვინეობის მიმართულებისა და ვაზის შესაფერი ჯიშების შესარჩევად.

რიგ შემთხვევაში ჩვენ მოკლებული ვართ ცნობებს ცალკეული მიკრორაიონების ჰავის, ნიადაგებისა და გავრცელებული ჯიშების სამეურნეო თვისებების შესახებ. ეს ნაკლი უნდა შევისოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილების შესწავლით და ლიტერატურაში მოყვანილი ცნობების გამოყენებით.

სპეციალურ ლიტერატურაში უფრო მდიდრადაა წარმოდგენილი კახეთის მეღვინეობის რაიონების ზოგადი დახასიათება, ვიდრე ჯიშობრივი დარაიონებისა და რაიონების სპეციალიზაციის მასალები.

მასალები კახეთის დარაიონებისა და სპეციალიზაციის შესახებ წარმოდგენილია ძირითადად აკად. ს. ჩოლოყაშვილის, პროფ. კ. მოდებაძის, მეღვინე ა. ეგოროვის, ვ. ბურჯანაძისა და ი. რცხილაძის ნაშრომებში, რომლებშიც მოცემულია დარაიონების ზოგადი სქემები და კახეთის მეღვინეობის რაიონები და მისი ცალკეული მიკრორაიონების დახასიათება ძირითადად აქაური ღვინის დაქაზნიკების საფუძველზე. მათ შორის შედარებით უფრო სრულადაა მოცემული დარაიონების სქემები პროფ. კ. მოდებაძისა და ა. ეგოროვის ნარკვევებში.

სამწუხაროდ ამ ნარკვევებში კახეთის დარაიონების სქემები ძირითადად ღვინის იმ მცირეოდენი ნიმუშების საფუძველზეა დადგენილი, რომლებიც დამხადებულია უმთავრესად საბჭოთა მეურნეობებში და ღვინით განთქმულ ისტორიულად ცნობილ ადგილებში. ამის გამო უნებლიეთ რჩება ისეთი შიშველი ლეგა, თითქოს მთელს კახეთში მალახარისხოვანი ღვინოები მხოლოდ საბჭოთა მეურნეობებში, სახელ-დობრ წინანდალში, ნაფარცულში, მტკუზანში, იყალითოში, ყვარელსა და კარდანახში და მალახარისხოვანი ღვინით ისტორიულად ცნობილ ადგილებში: მანავში და ახმეტაში დგებოდეს. ამასთან ~~სამწუხაროდ~~ <sup>სამწუხაროდ</sup> თი და იგივე მეღვინეობის მიკრორაიონი ორი ცნობილი სპეციალისტის პროფ. კ. მოდებაძისა და მეღვინე ა. ეგოროვის მიერ საგრძნობლად განსწავებულადაა დახასიათებული მაგალითისათვის მოვიყვანთ ახმეტის მიკრორაიონს. იგი პროფ. კ. მოდებაძის მიერ დახასიათებულია, როგორც „მხატვ, მცირესხეულიანი, ნაკლებ ალკოჰოლიანი, მაგრამ ხალისიანი თეთრი ღვინის მომცემი მიკრორაიონი“, მაშინ, როდესაც ა. ეგოროვი იგივე მიკრორაიონის ღვინოს ახასიათებს, როგორც „შესამჩნევს“ მეტად სქელს როგორც შეფერვით, ისე ექსტრაქტით, მაგარს და არომატულს, რომელიც ძლიერ უახლოვდება მის შორეულ მეზობელს — კარდანახის ღვინოს“. ასეთი წინააღმდეგობა აიხსნება ძირითადად ჯიშების თავისებურების შეფასებლობით და აგრეთვე იმით, რომ ახმეტის „მიკრორაიონი“ მეტად დიდია და მის ფარგლებში ახმეტიდან — თურდამდე თავისუფლად შეიძლება ცალკეული ადგილების ღვინოებში უფრო მეტი სხვაობის დაქვანა. ა. ეგოროვი ახმეტის მიკრორაიონის დახასიათების დროს გამოდიოდა უმთავრესად ძველი ვენახების ყურანისაგან დამხადებული ღვინოების ხარისხის შეფასებიდან, ეს ღვინოები კი, როგორც ცნობილია, მხადდებოდა მწვანის, რქაწითელისა და ჯანანურისაგან და აგრეთვე მათი ერთმანეთთან შერევის გზით.

ახლაც, მაგალითად, სოფ. რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენთავთავში“ რქაწითელის ძველ ნარკვევებში ჯანანურა (ხიხვი), მწვანე და სხვა ჯიშები რქაწითელის თითქმის ნახევარს შეადგენს. ცნობილია, რომ მწვანე, ჯანანურა, ქისი და სხვა ჯიშები ამშვენებენ რქაწითელის ღვინოს,მატებს მას არომატს, სხეულს, ფერს, სინაზეს და სიმაგრეს. სხვაგვარად ძნელი ასახსნელია ერთსა და იმავე ჯიშის — რქაწითელის — ყურძენისაგან კახეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში — ახმეტაში — და მის მოპირდაპირე სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში — კარდანახში — დაყენებული ღვინის ძლიერი სიახლოვე ერთმანეთთან, როგორც ეს ა. ეგოროვს აქვს აღნიშნული. მთლიანად არც პროფ. კ. მოდებაძეს შეიძლება დავეთანხმოთ, რადგანაც ახმეტის მიკრორაიონი რქაწითელისაგან ძირითადად ევროპული ტიპის ხარისხოვან სუფრის ღვინოს იძლევა, ხოლო ალაგ-ალაგ (იყალითო) კიდევ მალახარისხოვან ღვინოს. ამავე მიკრორაიონში მთავარი შარავხის ქვემოთ, დაახლოებით ნახევარი — ერთი კილომეტრის დაშორებით, ხარისხოვანი კახური ტიპის ღვინოები დგება (ახმეტა, ქისტაური, რუისპირი), ხოლო ამავე ადგილებში ჯანანურასა და მწვანისაგან როგორც ცალკე, ისე რქაწითელთან ერთად დგება მალახარისხოვანი კახური ტიპის ღვინო. ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა რაიონების სპეციალიზაციის საკითხში ძირითადად დარაიონების საკითხისადმი არასწორი მიდგომითაა გამოწვეული.

ზოგიერთი უბნიდან აღებული ღვინის მცირეოდენი ნიმუშების ხარისხის შეფასების საფუძველზე შეუძლებელია რაიონების სწორი სპეციალიზაცია მეღვინეობის ამა თუ იმ მიმართულებით.

საქმე ისაა, რომ ღვინის ხარისხი დამოკიდებულია რიგი ფაქტორის კომპლექსზე, რომელთაგან წამყვანია ჯიში, ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა, მისი სომატლე ზღვის დონიდან, ჰავა, ნიადაგები, ვენახების მოვლისა და ყურძნის გადამუშავების ტექნიკა და სხვა.

როგორც ცნობილია, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ან ფუძიდან ზევით მთებში გადანაცვლებისას კანონზომიერად აცვლება ჰავა, ნიადაგები, ჯიშები, ვენახების მოვლა-გაშენების აგროტექნიკა და, ამასთან დაკავშირებით, ღვინის ტიპი და ხარისხიც.

ამიტომ მეღვინეობის თვალსაზრისით რაიონების სწორ სპეციალიზაციას საფუძველად უნდა დაედოს ჯიშის თავისებურება, ჰავისა და ნიადაგის პირობები, ვენახების მოვლისა და ყურძნის გადამუშავების ტექნიკა და მეღვინეობის პრაქტიკა — რაიონში მიღებული ღვინოების შეფასებით. ავიღოთ, მაგალითად, ალაზნის მარჯვენა ნაპირი, რომელიც იწყება პანკისის ხეობიდან და მიემართება კახეთისა და ცუვ-გომბორის ქედის გასწვრივ სოფ. ძველ ანაგამდე. ამ მხარის სიგრძე დაახლოებით 100 კილომეტრს უდრის. ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ეს მხარე თანდათან დაბლდება 665 მეტრიდან ჯოყოლო) 567 მეტრამდე (ახმეტა), შემდეგ თანდათან მაღლდება იყალითო-თელავის ზოლზე (700 — 740 მ), ხოლო თელავიდან ისევ დაბლდება — წინანდალი (602 მ), გურჯაანი (484 მ), კარდანახი (600 მ) და წნორისწყალი (273 მ.). ნალექების რაოდენობაც ამ ზონის ზღვის დონიდან დაბლობების შესაბამისად კლებულობს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით იყალითოდან წნორის-



წყლამდე. ამრიგად, ამ ზოლის ზღვის დონიდან სიმაღლის საერთო დადაბლებასთან და ნალექების შემცირებასთან დაკავშირებით კანონზომიერად მატულობს თბიერებაც.

ეს კანონზომიერება იდნავ რთულდება ვერტიკალური ზონალობის ირსებობით. სახელობრ, ალაზნის ველი ზევით მთის ფერდობებისაკენ, ხშირად მკვეთრად, ხოლო იშვიათად თანდათან მალდება. ამ ზონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ფერდობების დაქანება 8 — 12°-ს უფროს და აღწევს იკალთო-თელავთან 700 — 740 მ სიმაღლეს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ვეჯინი, კარდანახი, ვაჭირი) იგი უფრო მკვეთრად მალდება, აქ დაქანება 20°-დან 40°-მდე მკვეთრად, ფერდობების სიმაღლე კარდანახთან აღწევს 600 მეტრის სიმაღლეს ზღვის დონიდან. ადგილმდებარეობის სიმაღლის ცვალებადობასთან დაკავშირებით იცვლება ჰაერის ტემპერატურაც. ადგილის ამალეობა ყოველ 100 მეტრზე იწვევს ჰაერის ტემპერატურის დაცემას საშუალოდ 0,45 გრადუსით. ვერტიკალურ ზონალობასთან დაკავშირებით იცვლება აგრეთვე ნიადაგის ტიპებიც: დაბლობში (ალაზნის ძველი ტერასა), შუა ნაწილში და შემალეებულ ფერდობებზე სხვადასხვა ტიპის ნიადაგებია განლაგებული.

ალაზნის ველის მთისწინა ზოლზე და შემალეებულ ადგილებში ძირითადად გადამხალი-კარბონატული, ტყის ყავისფერი და ტყის მუქი რუხი ნიადაგებია გავრცელებული. ველის შუა ნაწილში ძირითადად გავრცელებულია ალუვიალურ-კარბონატული, მუქი ყავისფერი და შავმიწამაგვარი ნიადაგები, განსაკუთრებით ველის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ქიზიყი). დაბლობ ზოლში თითქმის ყველგან ალუვიალურ-კარბონატული ნიადაგები, ხოლო ამ ზოლის დადაბლებულ ადგილებში — დაქობებული ნიადაგებია გავრცელებული.

პორიზონტალურ და ვერტიკალურ ზონალობასთან დაკავშირებით შედარებით კანონზომიერად იცვლება ნალექების რაოდენობა, ჰაერის ტემპერატურა, ნიადაგების ტიპი, ხოლო უკანასკნელთან დაკავშირებით ღვინის ტიპი და ხარისხი.

ასე, მაგალითად, ჩრდილო-დასავლეთიდან (პანკისის ხეობა), სამხრეთ-აღმოსავლეთის (წითელი წყაროს) მიმართულებით გადანაცვლებისას ღვინის ტიპი და ხარისხი შემდეგნაირად იცვლება: პანკისის ხეობის ის მკირეოდენი ვენახები, რომლებიც ამჟამად იქ მოიპოვება (ბირკიანი, ჯოყოლო, დუისი, ყვარელიწყლები და სხვა), იძლევა მსუბუქ, მკირე და საშუალო სხეულიან ღვინოებს, რომლებიც ძირითადად გამოსადგვია შამპანური ღვინისა და მსუბუქი ტიპის სუფრის ღვინის დასამზადებლად.

ალაზნის დინების მიმართულებით შემდგომი გადანაცვლებით, ასმეტიდან თელავამდე, ღვინოები უფრო შინაარსიანი და სხეულიანი დგება. ეს ზოლი იძლევა ძირითადად ხარისხოვან ევროპული ტიპის ღვინოებს, ხოლო მთავარი შარაგზის ქვემოთ, მისგან ნახევრიდან ერთ კილომეტრამდე დაშორებულ ადგილებში დგება კახური ტიპის ხარისხოვანი სუფრის ღვინო.

შემდგომი გადანაცვლებით, თელავიდან მუკუზნამდე, ღვინის შინაარსი კიდევ უფრო მდიდრდება. ეს ზოლი იძლევა ევროპული და კახური ტიპის მაღალხარისხოვან სუფრის თეთრ და წითელ ღვინოს.

ხოლო შემდგომი გადანაცვლებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ — მუკუზნიდან ძველ ანაგამდე (ამის ჩათვლით) — ღვინოები კიდევ უფრო ალკოჰოლიანი, სხეულიანი და მძიმე დგება. ამიტომ ამ ზონის ღვინოები უმჯობესია გამოყენებულ იქნეს ძირითადად კახური ტიპის სუფრის ღვინოების და მაგარი ან სადესერტო ღვინოების დასამზადებლად. მართლაც, ყველაზე უკეთესი კახური ტიპის, მაგარი თუ სადესერტო ღვინო ამ ზონაში დგება.

დაახლოებით ამგვარადვე იცვლება ღვინის ტიპი და ხარისხი ვერტიკალური მიმართულებითაც — მთისწინა ზოლიდან ქვევით, ალაზნისაკენ. ასე, მაგალითად, მთისწინა ზოლი, მთავარი შარაგზისა და რკინიგზის ლიანდაგის ზემოთ, ძირითადად ევროპული ტიპის, საშუალო სხეულიან, ხალისიან, ნაზ სუფრის ღვინოს იძლევა. შუა ზონა, მთავარი შარაგზისა და რკინიგზის ლიანდაგის შუა და მის ქვემოთ (ალაზნის ხეობის თავში 1/2 — 1 კილომეტრის, შუაში 1,5 — 2,0 კილომეტრის და ბოლოში 3 — 4 კილომეტრის დაშორებით) იძლევა მაღალხარისხოვან თეთრ და წითელ ევროპული და კახური ტიპის ღვინოს. ქვედა ზონაში, ალაზნის არხის გასწვრივ და მის ქვემოთ მდებარე ადგილებში, ძირითადად კახური ტიპის საშუალო და დაბალი ლირსების ღვინო დგება.

შემოაღნიშნულის გათვალისწინებით რაიონის სპეციალიზაციას მევენახეობა-მეღვინეობის თვალსაზრისით საფუძვლად უნდა დაედოს კომპლექსი ფაქტორებისა, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია:

ნაკვეთის ადგილმდებარეობა (განედი, ზღვის დონიდან სიმაღლე), ჰავა და ჯიშის ბიოლოგიური და სამეურნეო თვისებები.

ამის მიხედვით პირველ რიგში უნდა გამოიყოს ბუნებრივი და ისტორიული პირობებით განსხვავებული მხარეები, მათ შიგნით — განსხვავებული რაიონები და ზონები და, ბოლოს, ის პატარა უბნები („მიკრორაიონები“), რომლებიც განსხვავებული ტიპის ან ხარისხის ღვინოს იძლევა.

**კახეთის მევენახეობის რაიონები.** მთავარ კავკასიონის ქედს, ბორბალოს მთის მახლობლად, გომბორის ყოფა და თითქმის მის პარალელურად, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, მიემართება კახეთისა და ცივ-გომბორის ქედი. იგი ყოფს კახეთს ორ დიდ ნაწილად: წინა და უკანა მხარედ.

1. წინა მხარე ანუ შიგნიკახეთი მოქცეულია მთავარი კავკასიონისა და ცივ-გომბორის ქედებს შორის. იგი წარმოადგენს მდინარე ალაზნის საკმაოდ განიერ ხეობას, რომელიც სამკუთხედის მსგავსად თანდათან განიერდება თავიდან ბოლოსაკენ მდინარე ალაზნის დინების მიმართულებით.

2. უკანა მხარე, ანუ გარეკახეთი, მოქცეულია ცივ-გომბორის ქედისა და სამგორისა და გარეჯის მთებს შორის. მის შუაში, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ჩამოუდის მდინარე იორი, რის გამოც გარეკახეთი, ზედაპირის აგებულებით, მდინარის ხეობას წარმოადგენს.

წინა მხარე, ანუ შიგნიკახეთი, თავის მხრივ, ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი ცნობილია საკუთრივ კახეთის სახელწოდებით და მდებარეობს ალაზნის ხეობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ხოლო მეორე მდებარეობს ხეობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და ცნობილია ქიზიყის სახელწოდებით. საკუთრივ კახეთი მდინარე ალაზნის მიერ იყოფა ორ: გამოღმა (ალაზნის მარჯვენა) და გაღმა (ალაზნის მარცხენა) მხარედ.

ამრიგად, კახეთი თავისი ბუნებრივ-ისტორიული პირობების გათვალისწინებით შეიძლება გაიყოს მევენახეობის ოთხ დიდ, ურთიერთისაგან საკმაოდ განსხვავებულ, მხარედ. ყოველი მხარე მაკრორაიონად გაიყოფა კიდევ. ეს მხარეებია:

- 1. გამოღმა, ანუ ალაზნის მარჯვენა მხარე;
- 2. გაღმა, ანუ ალაზნის მარცხენა მხარე;
- 3. ქიზიყი, ანუ წინა მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი.
- 4. გარეკახეთი, ანუ ივრის ხეობა.

1. მარჯვენა მხარე. ალაზნის გამოღმა, ანუ მარჯვენა მხარე მდებარეობს ალაზნის ველის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. იგი იწყება ბირკიანიდან (ბანკისის ხეობა) და მიემართება ცივ-გომბორის ქედის ფერდობებისა და მდ. ალაზნის გასწვრივ ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ სოფ. ანაგამდე (სიღნაღის რაიონი). ამ მხარეში შედის ახმეტის, თელავისა და გურჯაანის ადმინისტრაციული რაიონების ვენახები, რომლებიც ალაზნის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს. ამ მხარის სიგრძე 100 კილომეტრამდე აღწევს, ხოლო სიგანე, მდინარე ალაზნიდან სავენახე ფერდობების ბოლომდე, ხეობის თავში უდრის 1 — 2 კილომეტრს, ხოლო ბოლოში, სოფ. ანაგასთან 8 — 10 კილომეტრს. სავენახე ადგილების მდებარეობა ზღვის დონიდან, ალაზნიდან დაწყებული სავენახე ფერდობების ჩათვლით, თანდათანობით მალდება და აღწევს 700 — 750 მეტრს სოფ. იყალთოსა და ქ. თელავის მიდამოებში.

ამ ზონის დანარჩენი სოფლების ვენახები მდებარეობს 400 — 600 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ამ მხარის ზედაპირი ტალღისებრად დაბლდება 700 მეტრიდან (ბირკიანი) 500 მეტრამდე (ახმეტა); შემდეგ იგი მალდება იყალთო-თელავის ზოლზე 740 მეტრამდე და შემდეგ ისევ დაბლდება 500 — 600 მეტრამდე (გურჯაანი-კარდანახი).

ამ მხარის ჰავა შედარებით მშრალია. ცივ-გომბორიდან ჩამონადენი მდინარეები ზაფხულობით მრება, რის გამოც ვენახები ამ მხარეზე იშვიათად ირწყვება. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მცირდება 750 — მილიმეტრიდან 600 — 650 მილიმეტრამდე.

საერთოდ, ამ მხარის ჰავა მეტად ხელსაყრელია ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარებისათვის. ვაზისათვის საშიში ყინვები იშვიათად იცის (დაახლოებით 15 — 20 წელში ერთხელ).

ნიადაგები მრავალფეროვანია. უფრო მეტად მხარეში შემდეგი ტიპის ნიადაგებია გავრცელებული: მთავარ შარავზისა და რკინიგზის ლიანდაგის ზემოთ გავრცელებულია ძირითადად გადამჰალა-კარბონატული ნიადაგები. რკინიგზის ლიანდაგის ქვემოთ ძირითადად ალუვიალურ-კარბონატული ნიადაგებია. ალაგ-ალაგ გვხვდება აგრეთვე შავმიწაშავგვარი ნიადაგები (კონდოლი) და ტყის ყავისფერი ნიადაგები (აკურა).

ამ მხარეში ძირითადად გავრცელებულია რქაწითელი (76<sup>0</sup>/<sub>100</sub>-მდე), საფერავი (15<sup>0</sup>/<sub>100</sub>-მდე), მწვანე (8<sup>0</sup>/<sub>100</sub>-მდე), ჯანანურა (ხიხვი) (0,5<sup>0</sup>/<sub>100</sub>), ხოლო ნაწილობრივ ქისი, ჩიტისთავა და სხვა, უმთავრესად ნარევის სახით.

ამ მხარის ღვინოების მაღალი ხარისხი გამოწვეულია, ხელსაყრელი ჰავისა და ნიადაგების გარდა, თვით ვენახების ჯიშობრივი შემადგენლობით. ამ მხარეში სხვებთან შედარებით უფრო მეტადაა გავრცელებული მწვანე, ჯანანურა და ქისი როგორც ცალკე ნარგავების სახით, ისე რქაწითელთან ერთად (ახმეტა, ქისტაური, იყალთო, რუისპირი და სხვ.). მცირე რაოდენობით გვხვდება აგრეთვე მწვანე და მწვანე-მურის შური და ბურა. დასავლეთ ევროპის ჯიშებიდან ამ მხარეში გავრცელებულია, ძირითადად საბჭოთა მეურნეობებში, კაბერნე (წინანდალი, ნაფარეული, კურდღელაური) და ნაწილობრივ, ალიგოტე.

მხარის სპეციალიზაცია. ალაზნის მარჯვენა მხარე, ხარისხოვანი მეღვინეობის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო ძვირფასია. კახეთში საუკეთესო მაღალი ღირსების თეთრი და წითელი ღვინოები როგორც ევროპული, ისე კახური ტიპისა, და აგრეთვე მაღალი ღირსების მავარი და სადესერტო ღვინოები ამ მხარეში დგება. ამ მხარის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ჰავა და ნიადაგები მეტად ხელსაყრელია შამპანური მევენახეობის განვითარებისათვის, ხოლო მიღებული ღვინო მასალები უფრო გამოსადეგია შამპანურისათვის, ვიდრე სუფრის ღვინოებისათვის.

ამ მხარეში ყველაზე მაღალხარისხოვანი ღვინო შემალღებულ ადგილებში და მთისწინა ზოლში, ძირითადად ვადაშალა-კარბონატული ტიპის ნიადაგებზე დგება. ნაზი, ხალისიანი, ევროპული ტიპის ღვინოები ამ მხარის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დგება, ხოლო მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი სრული, სხეულიანი კახური და მავარი ან სადესერტო ტიპის ღვინოებით ხასიათდება. მათ შორის მდებარე შუა ზონის—წინანდალ-ურიათუბნის—როგორც თეთრი, ისე წითელი ღვინოები ხასიათდება სინაზით, სისრულით, სხეულით და ძლიერი ჯიშური ბუკეტით. ეს ზონა იძლევა მაღალხარისხოვან თეთრ და წითელ ღვინოებს, როგორც ევროპული (ზედა ზოლში), ისე კახური (ქვემო ზოლში) ტიპისას.

2. მარცხენა მხარე. ალაზნის გაღმა, ანუ მარცხენა მხარე შეადგენს ალაზნის ველის ნაწილს და მდებარეობს ალაზნის მარცხენა ნაპირზე. მდინარე ალაზანი პანკისის ხეობიდან გამოსვლის შემდეგ იერთებს მარჯვენა მხრიდან შენაკად ილტოს და წარმოქმნის ალვანის ველს. ამ ველიდან, სოფ. ბორბალოს მახლობლად იწყება ალაზნის ველის მარცხენა მხარე და მიემართება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ საინგილომდე. ამ მხარის შემადგენლობაში შედის თელავის, ყვარლისა და ლაგოდების ადმინისტრაციული რაიონების მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე მდებარე ვენახები. ალაზნის მარცხენა მხარის სიგრძე სოფ. ბორბალოდან დაწყებული საინგილომდე დაახლოებით 100 კილომეტრს შეადგენს, ხოლო მისი სიგანე თანდათან მატულობს: თუ მხარის დასაწყისში იგი 2—3 კილომეტრს უდრის, მის ბოლოში ლაგოდებს იქით 26 კილომეტრამდე აღწევს, ხოლო ყვარელთან 8—10 კილომეტრს შეადგენს.

ალაზნის მარცხენა მხარე შემოუარგულია სამხრეთიდან მდინარე ალაზნით, ჩრდილოეთიდან მთავარი კავკასიონის ქედით, აღმოსავლეთიდან ზაქათალის დაბლობით და დასავლეთიდან ალაზნის მარჯვენა ნაპირის სოფლებით.

ალაზნის მარცხენა ნაპირზე მთავარი კავკასიონის ქედის ფერდობები ნაკლებ ციკაბოა და მდებარეობს ცივ-გომბიარის ქედის ფერდობებთან შედარებით 100—150 მეტრით დაბლა. ველის სიმაღლე ზღვის დონიდან დასაწყისში სოფ. ბორბალოსთან, დაახლოებით 740 მეტრს შეადგენს, ხოლო შემდეგ იგი შედარებით სწრაფად დაბლდება და უკვე სოფ. ნაფარეულთან 423 მეტრია. სოფ. ცოდნის კართან ველის სიმაღლე 327 მეტრამდე ეცემა, ხოლო საინგილოს საზღვართან იგი გადადის დაბლობში, რომელიც ზღვის დონიდან 200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. მდ. ალაზნიდან ზევით, სავენახე ფერდობებისაკენ, ველი თანდათან მაღლდება და მთავარი კავკასიონის ქედის ფუძესთან აღწევს 450—500 მეტრს ზღვის დონიდან. ამ ციკაბო ქედების ფუძესთან განლაგებული სოფლები ალაზნის მარცხენა მხარისა: ფშაველი, ართანა, გრემი, ზემოგავაზი, ყვარელი და ლაგოდები ამ სიმაღლეზე (450—600 მ) მდებარეობენ ზღვის დონიდან.

ალაზნის მარცხენა მხარე მდიდარია მთავარი კავკასიონის ქედის თოვლიანი მწვერვალებიდან ჩამონადენი დიდი და პატარა მდინარეებით.

ჰავის პირობები მეტად ხელის შეწყობია მევენახეობის განვითარებისათვის. ჰაერის მრავალწლიანი საშუალო ტემპერატურა მარცხენა მხარეზე უფრო მეტია, ვიდრე მარჯვენაზე. ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამიც მეტია და, ამასთან, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ნალექების ჯამი კი არ კლებულობს, როგორც მარჯვენა მხარეზე, არამედ მატულობს.

ვენახები განლაგებულია მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებზე საშუალოდ 450—500 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

ნიადაგები ძირითადად ორი ტიპისაა: ა) ტყის ალუვიალური ძველი ნიადაგები, განლაგებული უკარბონატო ალუვიალურ და პრაალუვიალურ დანალექებზე და ბ) არაკარბონატულ-ალუვიალური ნიადაგები წარმოშობილი ძირითადად მთავარი კავკასიონიდან ჩამონადენი მდინარეების მოქმედებით. ამათ გარდა მთავარ შარავზის ზემოთ, ვიწრო ზოლის სახით მდ. ლოპოტიდან მდ. ბურსამდე, უმთავრესად ზემო-დასავლეთ ვანისა და ძველი გაეაზის ზემოთ, გვხვდება ვადამპალა-კარბონატული და ტყის მოყავისფრო ნიადაგები.

ვენახების ჯიშობრივი შემადგენლობა. ეს მხარე განსხვავდება მარჯვენა მხარისაგან მწვანისა და ჯანანურას საგრძნობლად ნაკლები და საფერავის შედარებით უფრო მეტი გავრცელებით (ყვარლის რაიონი). ამასთან ერთად აღსანიშნავია ყვარლის რაიონში მკვიფანის გავრცელება ძირითადად რქაწითელის ნარგავებში და დანარჩენ რაიონებში ქისის, საფენას, ბუდეშურისა და სხვათა გავრცელება ძირითადად მინარევის სახით. ლაგოდეხის რაიონში აღსანიშნავია იმერული ჯიშების: ცოლიკოურის, ციკქას და სხვების და მალაარად იზაბელას გავრცელება. დასავლეთ ევროპის ჯიშებიდან გავრცელებულია, ძირითადად, საბჭოთა მეურნეობებში (ნაფარეული, ყვარელი) ჯიში კაბერნე.

ალაზნის მარცხენა მხარე მეღვინეობის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა. ვენახების განწყობა მხარეების მიმართ აქ უფრო ხელსაყრელია. ამასთან ჰაერის თბიერება და ტენიცი ამ მხარეში მეტია. ამიტომ ამ მხარის ღვინოები უდავოდ განსხვავდება ალაზნის მარჯვენა მხარის ღვინოებისაგან. ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ამ მხარის დადაბლებასთან დაკავშირებით მატულობს ჰაერის თბიერება; ამასთან ერთად საგრძნობლად მატულობს აგრეთვე ატმოსფერული ნალექების რაოდენობაც, რის გამოც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადანაცვლებისას ღვინის ხარისხის მკვეთრი ცვალებადობა აქ შესამჩნევი არ არის. მხოლოდ მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ლაგოდეხის რაიონი) ადგილმდებარეობის მკვეთრ დადაბლებასთან და ნალექების ჯამის ზრდთან დაკავშირებით ღვინის ხარისხი ეცემა. ეს ეხება განსაკუთრებით მთავარი შარავზის ქვემოთ მდებარე ადგილების ვენახებს.

ვენახების უხვი მორწყვის შესაძლებლობა, რაც მარჯვენა მხარისაგან განსხვავებით აქვს ამ მხარეს საკმაო გავლენას ახდენს ღვინის ხარისხზე. თუ ვენახები საჭიროებისამებრ 1—2-ჯერ ირწყვება ზაფხულის განმავლობაში და, ამასთან, თუ მორწყვა რთველის დაწყებამდე ერთი თვით ადრე მთავრდება, ეს არა თუ ამცირებს, პირიქით, აუმჯობესებს ღვინის ხარისხს, ხოლო უაზრო, ხშირი მორწყვა ვაზის მოთხოვნილების ანგარიშგაუწევლად, ცხადია, ამცირებს ღვინის ხარისხს.

ამის გამო იმ ადგილებში, სადაც ვენახები კარგად მუშავდება და მხოლოდ საჭიროებისამებრ ირწყვება, ღვინოც მაღალი ხარისხისა დგება. აღსანიშნავია ნაფარეულის, ართანის, სანიორის, ენისლის, გრემის, საბუისა და ყვარლის ღვინის მაღალი ხარისხი. ამ ადგილებში დგება მაღალი ღვინების თეთრი და წითელი ღვინოები, ძირითადად ევროპული ტიპისა. ამ მხარის კახური ტიპის ღვინოები ნაკლები შეფერვისა და სხეულის მქონეა, სამაგიეროდ მეტი სირბილითა და პარმონიულობით ხასიათდება; განსაკუთრებით გამოირჩევა ნაფარეულის, ართანის, სანიორისა და ენისლის თეთრი და ნაფარეულის, საბუის, გრემისა და ყვარლის წითელი ღვინოები.

ამ მხარის სხვა ადგილების ყურძენი იმისდა მიხედვით, თუ როგორ მუშავდება და ირწყვება ვენახები იძლევა ხარისხოვან ან ორდინარული ტიპის ღვინოებს. ამ უკანასკნელთ ძირითადად საკონიაკე სპირტის დასამზადებლად იყენებენ.

მხარის ძირითადი მიმართულებაა ევროპული და კახური ტიპის ხარისხოვანი თეთრი და წითელი ღვინოების, ალაგ-ალაგ კი (ნაფარეული, ართანა, ენისელი) ძირითადად ევროპული, იშვიათად კახური ტიპის მაღალხარისხოვანი თეთრი და წითელი ღვინოების მიღება. ეს მხარე იძლევა აგრეთვე საუკეთესო მასალას ხარისხოვანი კონიაკების დასამზადებლად.

ამ მხარის შუაგულში (ყვარელი) დგება აგრეთვე ადგილობრივი ორიგინალური ტიპის ნახევრადსადესერტო წითელი ღვინო „ქინსმარაულის“ სახელიწოდებით.

მ. ქიზიყი. ქიზიყი წინა მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი წარმოადგენს ალაზნის გამოღმა მარჯვენა მხარის გავრცელებას სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ქიზიყი იწყება სოფ. ანავიდან და გრძელდება ქვემო ქედამდე. ამ მხარეში შედის სიღნაღის და წითელწყაროს ადმინისტრაციული რაიონების ვენახები.

ქიზიყი შემოთვარგლულია ჩრდილოეთიდან წინა მხარით და მდ. ალაზნით, სამხრეთით იგი უწყვეს

ახერბაიჯანის საზღვრამდე. აღმოსავლეთიდან ისაზღვრება მდ. ალაზნით და დასავლეთით ეკვრის გარეკახეთს.

ცივ-გომბორის ქედი ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაბლდება და ბოლოში, წითელწყაროს მახლობლად, გორაკებით და მალღობებით უერთდება გარეკახეთის ზეგანს, რომელიც 900 - 1000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ზღვის დონიდან. სიღნაღის მახლობლად მთა გარეკახეთისაკენ დაწყებული, ცივ-გომბორის ქედი ბრტყელდება და ეშვება სუსტად დაქანებულ ფერდობებით კახეთის დაბლობისაკენ და გარე კახეთის ზეგნისაკენ, ამის გამო ქიზიყი იყოფა მთიან ველებად და დაბლობად. მთიანი ნაწილი მოთავსებულია ცივ-გომბორის ქედის მალღობსა და ფერდობებზე 600—700 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მას აქვს ტალღისებრი რელიეფი, რომელიც დასერილია ხევებით და ბეჭობებით. მევენახეობას ამ მთიან ზოლში დიდი სამრეწველო მნიშვნელობა არა აქვს.

ქიზიყის ბარი ეკვრის კარდანახის ზოლის სოფელ ანაგასთან და გრძელდება ყარაღაჩამდე. ქიზიყის მთავარი ვენახები ბარშია გაშენებული.

ქიზიყის ჰავა მშრალია. ატმოსფერული ნალექების ჯამი აქ მცირეა, მდინარეებიც ცოტა მოიპოვება. ჰავის მხრივ პირობები, მაღალი მთიანი ზოლის გამოკლებით, ხელის შემწყობია მევენახეობის განვითარებისათვის. ვენახების გავრცელების საზღვრად ამ მხარეში უნდა მივიჩნიოთ 750—800 მეტრი ზღვის დონიდან. ამ საზღვრის ზემოთ (1000 მეტრის სიმაღლემდე) კახეთის სტანდარტული ვაზის ჯიშები მთლიანად ვერ მწიფდება ყოველ წელს (მაგალითად, რქაწითელი ნუკრიანში, კოტორსა, მალაროში და სხვაგან). მალღობ ზოლში 800-დან 1200-მეტრამდე შესაძლებელია მევენახეობის განვითარება ისეთ საადრეო ვაზის ჯიშების შერჩევის გზით, როგორცაა: გორული მწვანე, ჩინური, ალიგოტე, პინო, შარდონე და სხვები.

ნიადაგები მთიან ზოლში უმთავრესად გადაშალა-კარბონატულია, გვხვდება აგრეთვე შავმიწამაგვარი და წაბლა ნიადაგები. ქიზიყის ბარში ძირითადად ტყის მუქი რუხი ნიადაგებია გავრცელებული. მათ ქვემოთ წაბლა ნიადაგებია, ხოლო ყარაღაჩისაკენ დამარილებული ნიადაგებიც გვხვდება.

ვაზის ჯიშებიდან ქიზიყში უმთავრესად რქაწითელია გავრცელებული. იგი შეადგენს მთელ ვენახების 90%/ს. საფერავი და მწვანე ქიზიყში ძლიერ ცოტაა და ისიც ძირითადად საბჭოთა მეურნეობებშია გაშენებული. საფერავის მთლიანი ფართობი 100 ჰექტარს არ აღემატება, ხოლო მწვანისა—50 ჰექტარს. სხვა ჯიშებიდან გვხვდება ბუერა, ბუდეშური, თავკვერი, ხიხვი, თეთრი კუმსი, უბაკლური, უმთავრესად პატარა ნაკვეთების ან, უფრო ხშირად ნარევის სახით. უცხო ჯიშებიდან შეხვდებით ალიგოტეს, რომელიც ქიზიყში კარგ შედეგს იძლევა.

მელვინგობის მიმართულება. ქიზიყის მთავორაკიანი ზოლი, ვენახების ზღვის დონიდან მალღობ მდებარეობის გამო, იძლევა ევროპული ტიპის მსუბუქ ხალისიან ღვინოებს, განსაკუთრებით კარგი ღირსების ღვინოები დგება ანაგა-ვაქირისა და საქაბო-ბოდბისხევის მალღობ ზოლში. ამ ზოლში კარგი ღირსების ღვინოები დგება ალიგოტესაგან. მევენახეობის ძირითად რაიონს ქიზიყის ბარი წარმოადგენს, თბიერების დიდი რაოდენობის გამო ქიზიყის ბარი სრულ, მუქად შეფერილ, მაღალ ალკოჰოლიან, ძირითადად კახური ტიპის და მაგარი და სადესერტო ტიპის ღვინოებს იძლევა, განსაკუთრებით კარგი ღირსების კახური და მაგარი და სადესერტო ტიპის ღვინოები დგება ქიზიყის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ანაგა, ვაქირი, წნორი), უმთავრესად, რკინიგზის ლიანდაგისა და მთავარი შარაგზის ზემოთ მდებარე ნაკვეთებში. კარგი ღირსების კახური ტიპის ღვინოები დგება აგრეთვე ტაბაან-ძველი ანაგის ფერდობ ზოლზე. მთავარი შარაგზის ქვემოთ ვაკე ადგილებში (ხირსის მეურნეობა, ძველი ანაგა, ტიბაანი და სხვ.) საშუალო ღირსების კახური და მაგარი და სადესერტო ტიპის ღვინოები დგება.

ამრიგად, ქიზიყში ვენახების ადგილმდებარეობის მიხედვით შეიძლება დამზადდეს მაღალხარისხიანი და ხარისხიანი სუფრის თეთრი და წითელი ღვინო, ხარისხიანი მასალა მაგარი და სადესერტო ღვინოებისათვის და მთიან ქიზიყსა და შემალლებულ ადგილებში ევროპული ტიპის თეთრი და წითელი სუფრის ღვინო.

4. გარეკახეთი. გარეკახეთის მხარე მდებარეობს უკანა მხარეში ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებზე. ეს ფერდობები მდინარე ივრისაკენაა დაქანებული და ძირითადად მდინარე ივრის მარცხენა ნაპირზეა მოთავსებული.

გარეკახეთის ველი წარმოადგენს ივრის ხეობის გავრცელებას. იგი იწყება სოფ. უჯარმის ქვემოთ და მიემართება მდინარე ივრის გასწვრივ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ამ მიმართულებით იგი თანდათან განიერდება და სოფ. საგარეჯოს ქვევით, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, დაახლოებით 50 კილომეტრის მანძილზე იშლება. ამ ველს ბოლოზე უერთდება ივრის შენაკადის ლაკბეს ველი.

გარეკახეთის დასავლეთი ნაწილი შეადგენს საგარეჯოს, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი კაქრეთის ადმინისტრაციულ რაიონს. გარეკახეთის ველი შემოთარგლულია ჩრდილოეთიდან ცივ-გომბორის სამხრეთი

კალთებით, სამხრეთიდან გარეჯის მთებით, აღმოსავლეთიდან ცივ-გომბორის აღმოსავლეთი ფერდობებით და დასავლეთიდან სამგორის მთებით.

ნიადაგები გარეკახეთში, მათი ზონალური განლაგების შესაბამისად, სხვადასხვაგვარია. ქვემო ზოლში გავრცელებულია ძირითადად ალუვიალურ-კარბონატული ნიადაგები, რომლებიც 30%-მდე კირს შეიცავს; შუა ზოლში გავრცელებულია უმთავრესად წაბლა და წაბლისფერი შავმიწა ნიადაგები.

ზედა ზოლში, ძირითადად ფერდობებზე, გავრცელებულია დელუვიალური ჩონჩხიანი ნიადაგები. ალაგ-ალაგ ზოლების სახით გვხვდება გადამპალა კარბონატული ნიადაგებიც.

ჯ ი შ ე ბ ი. გარეკახეთში ძირითადად რქაწითელია გავრცელებული. მისი ფართობი ვენახების მთელი ფართობის 78%-ს შეადგენს, საფერავს დაახლოებით 16% უჭირავს, ხოლო მწვანეს — 12%-მდე. აღნიშნული ჯიშების გარდა მცირე ფართობზე, პატარა ნაკვეთებისა და ნარევის სახით, გვხვდება თეთრი ბუდე-შური, ბუერა, ჟღია, თავკვერი და სუფრის ჯიშებიდან მსხვილთვალა თეთრი. უცხოური ჯიშებიდან უმთავრესად ალიგოტე გვხვდება.

მ ე ლ ვ ი ნ ე ო ბ ი ს მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა. გარეკახეთი მელვინეობის თვალსაზრისით საინტერესო მხარეა. მხარის დასავლეთი ნაწილი, ხაშმიდან ჩაილოურამდე, იძლევა სუფრის ხარისხოვან თეთრ და წითელ ღვინოებს, ხოლო ზოგიერთ ადგილას (მანავი, პატარძეული, სავარჯჯო) მიიღება მაღალხარისხოვანი ევროპული ტიპის თეთრი სუფრის ღვინო, განსაკუთრებით მწვანისაგან ანდა რქაწითელის და მწვანის ნარევისაგან. ამ მხარის შუა ნაწილი (კაკაბეთიდან კაჭრეთამდე, საშუალო ღირსების უმთავრესად ევროპული ტიპის სუფრის თეთრ და წითელ ღვინოს იძლევა. ზოგიერთ ადგილას (კაკაბეთი) ევროპული ტიპის ხარისხოვანი ღვინოც დგება. მხარის აღმოსავლეთ ნაწილში, არაშენდიდან ჩალაუბნამდე, შემალლებული და მთავორიანი ადგილებია, აქ ევროპული ტიპის სუფრის მსუბუქი ხალისიანი თეთრი ღვინოები დგება. გარეკახეთის ამ ნაწილში, შესაფერი ჯიშებიდან (პინო, ალიგოტე, გორული მწვანე) შეიძლება მივიღოთ ხარისხოვანი ღვინის მასალა საბჭოთა შემპანურისათვის. გარეკახეთის დაბლობ ადგილებში (სართიჭალა, იორ-მულანლო) შეიძლება დამზადდეს ძირითადად საკონიაკე ღვინო.

მევენახეობის მხარეების შემდგომი სპეციალიზაცია გულისხმობს მათ ფარგლებში, ძირითადად სავენახე მასივების ზღვის დონიდან მდებარეობისა და ამისგან დამოკიდებული ჰავისა და ნიადაგების ცვალებადობის მიხედვით, ცალკეული რაიონების და ამათ ფარგლებში კიდევ ძირითადი ზონების გამოყოფას.

ამგვარი დარაიონების საწყისები თვით ხალხში შეიძლება დაიძებნოს. კახეთში ძველთაგანვე ასხვავებდნენ არა მარტო მევენახეობის რაიონებს, არამედ ცალკეულ სოფლებსა და ზვრებს, რომლებიც ცნობილი იყვნენ ღვინის მაღალი ხარისხით. ხალხის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება დაკვირვება დარაიონების უფრო დეტალიზაციის (მიკრორაიონიზაციის) თვალსაზრისით (სახელდობრ, რომელ ცალკეულ სოფელში ან რომელი ცალკეული უბნის რომელი ვენახიდან ან რომელი ჯიშებიდან რა ხარისხის ღვინო დგებოდა, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა), შემონახული არ არის.

ღვინის მაღალი ღირსებით კახეთში ძველთაგანვე ცნობილი იყო: ახმეტის, ზემო ხოდაშნის (ბერეების ზვარი), კანდოლის, მანავის (დედოფლის ზვარი) და სიღნაღის რაიონის ზოგიერთი სოფლის ღვინო.

უკანასკნელ წლებში ჩატარებული მუშაობის შედეგად კახეთში გამოვლინდა ხარისხოვანი მელვინეობის რიგი ახალი რაიონი და ამის გამო საგრძნობლად გამდიდრდა ძველი და ახალი ტიპის სამარკო ღვინოების ასორტიმენტი.

ზემომოყვანილი დებულების გათვალისწინებით კახეთის მევენახეობის მხარეებისა და რაიონების სპეციალიზაცია ყურძნის მოხმარება-გადამუშავების მთავარ მიმართულებათა მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება: კახეთის მევენახეობის მთავარი მხარეები (მაკრორაიონები): ალაზნის მარჯვენა მხარე, ქიზიყი, ალაზნის მარცხენა მხარე და გარეკახეთი ჰორიზონტალური ზონალობის მიხედვით იყოფა მელვინეობის 20 სხვადასხვა რაიონად, ხოლო თითოეული რაიონი ევრტიკალური ზონალობის მიხედვით სამ ძირითად (ზემო, საშუალო და ქვემო) ზონად. ცალკეული რაიონებისა და ზონების მიხედვით მოცემულია ყურძნის მოხმარება-გადამუშავების მიმართულება შესაფერი სტანდარტული და პერსპექტიული ჯიშების დასახელებით.


კახეთის მხარეებისა და რაიონების სპეციალიზაციის პროექტი უურძნის მოხმარება-გადამუშავების მთავარ მიმართულებათა მიხედვით

მევენახეობის მხარეები	მევენახეობა-მეღვინეობის რაიონები	რაიონების ზონები	უურძნის მოხმარება-გადამუშავების ძირითადი მიმართულება	უურძნის სპეციალიზაციის ტიპი და პერსპექტიული მიმართულება
<p>1. ალაზნის მარჯვენა მხარე ს. ბოკიანიდან (პანკისის ხეობა) ს. ა. აგაძემდე (სიღნაღის რაიონი) შიდაკავს. სემეტიისა და თელავის რაიონის მარჯვენა ნაილია და გურჯაანის მთელ რაიონს.</p> <p>2. ახმეტის რაიონი: მატანი, ახმეტა ქისტარის ახშანი, არ შენდა, კორუბანი და ხემო ხოდაშენი.</p> <p>3. იყალთოს რაიონი: აწყურის, თეთო, იყალთო, თოღლაური, რუისპირი, ვარდისუბანი, კოდლოთო, ახარელი, აფლგალა, ყარაჯალა და სხვ. სოფლები.</p> <p>4. წინანდლის რაიონი: კურდღლაური, შალაური, კისისხევი, ბუშატი, ვანთა, ქვემო ხოდაშენი, წინანდალი, კონდოლი, აკურა და სხვ. სოფლები.</p> <p>5. მუკუხნის რაიონი: სოფ. შრომიდან ფაფრის ხევამდე (შრომი, კალაური, შაშანი, ურითუბანი, ხგანი, მუკუხანი და ახაშენი).</p>	<p>1. დედისუფრულის რაიონი: დედისუფრული (კაკლიანი), ბირკიანი, ჯოყოლო, დუისი, ყვარულყალი, საკობიანი და სხვ. სოფლები.</p> <p>2. ახმეტის რაიონი: მატანი, ახმეტა ქისტარის ახშანი, არ შენდა, კორუბანი და ხემო ხოდაშენი.</p> <p>3. იყალთოს რაიონი: აწყურის, თეთო, იყალთო, თოღლაური, რუისპირი, ვარდისუბანი, კოდლოთო, ახარელი, აფლგალა, ყარაჯალა და სხვ. სოფლები.</p>	<p>ა) მთისწინა ზოლი შემადგენელი ადგილებით და ფერდობებით.</p> <p>ბ) ალაზნის გასწვრივ მდებარე ფერდობები და ვაკე ადგილები.</p> <p>ა) ხემო ზონა, მთისწინა ზოლი და ვაკის შარაგზის ზემოთ მდებარე ფერდობებით.</p> <p>ბ) ქვემო ზონა მთავარი შარაგზიდან ერთი კილომეტრი დაშორებით მდებარე ფერდობები და ვაკე ადგილები.</p> <p>ა) ხემო ზონა, მთავარი შარაგზის ზემოთ მდებარე ფერდობები (აწყურის, იყალთო, ვარდისუბანი და სხვ.)</p> <p>ბ) შუა ზონა, მთავარი შარაგზის ქვემოთ მდებარე, მისკახ დაახლოებით ერთი კილომეტრით დახორბებული ფერდობები და ბარი ადგილები (თეთო, ხორხელი, რუისპირი და სხვ.).</p> <p>გ) ქვემო ზონა მთავარი შარაგზიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის ქვემოთ ალაზნისაგან მდებარე ვაკე ადგილები (კოდლოთო, ახარელი და სხვ.).</p> <p>ა) ხემო ზონა, მთავარი შარაგზის ზემოთ მდებარე ფერდობები (შალაური, კისისხევი, ბუშატი, ვანთა ქვემო ხოდაშენი და სხვ.).</p> <p>ბ) შუა ზონა, მთავარი შარაგზისა და რკინიგზის ლიხთაგის შუა მდებარე ზოლი დაახლოებით 1—1.5 კილომეტრს დაშორებით შარაგზიდან (კურდღლაური კონდოლი, წინანდალი, აკურა და სხვ.).</p> <p>გ) ქვემო ზონა, რკინიგზის ლიხთაგის ქვემოთ ალაზნის დაახლოებით მდებარე ბარი ადგილები (კონდოლი, ტოდნიაი, აკურა და სხვ.).</p> <p>ა) ხემო ზონა, მთისწინა ზოლი მთავარი შარაგზის ზემოთ მდებარე ადგილებით (შრომი, კალაური, შაშანი, ურითუბანი, ხგანი, ახაშენი, და სხვ.).</p>	<p>1. შამპანური ღვინის მასალების წარმოება.</p> <p>2. მუხბუქი, საშუალო ღირსების, ძირითადად ევროპული ტიპის სუფრის თეთრი და წითელი ღვინოების წარმოება.</p> <p>ევროპული ტიპის, ძირითადად ხარისხოვანი თეთრი სუფრის ღვინოებისა და შამპანური ღვინოს მასალების წარმოება.</p> <p>ევროპული და კახური ტიპის ძირითად და მაღალ ხარისხოვანი თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.</p> <p>სუფრის ევროპული ტიპის, ძირითადად, ხარისხოვანი თეთრი და წითელი ღვინოებისა და შამპანური ღვინოს მასალების წარმოება.</p> <p>ევროპული და კახური ტიპის მაღალხარისხოვანი, ძირითადად თეთრი სუფრის ღვინოების წარმოება.</p> <p>ძირითადად კახური ტიპის თეთრი და წითელი ორდინარული სუფრის ღვინოებისა და შუა ზოლის დაახლოებით ხარისხოვანი თეთრი სუფრის ღვინოების წარმოება.</p> <p>ძირითადად ევროპული ტიპის ხარისხოვანი თეთრი და წითელი სუფრის ღვინოს წარმოება.</p> <p>1. სუფრის უურძნის წარმოება კალაქისა და დასასვენებელ სახლების ახლო მდებარე უურძნით მომარაგება მიზნით.</p> <p>2 ძირითადად ევროპული და ნაწილობრივ კახური ტიპის მაღალხარისხოვანი თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.</p> <p>1. ძირითადად კახური ტიპის ორდინარული თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.</p> <p>1. მაღალხარისხოვანი, ძირითადად ევროპული ტიპის თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.</p>	<p>ჯანანურა (ჩიხვი) პინო ს. რანი, მუხრანული (ალიგოტე).</p> <p>ჯანანურა, რქაწითელი, გორული მწვანე, ალიგოტე, კანტარხე და საფერავი.</p> <p>ჯანანურა, მწვანე, რქაწითელი, გორული მწვანე, ალიგოტე.</p> <p>ჯანანურა, მწვანე, რქაწითელი, ქისი, ჩიტისთვალა, საფერავი, კაბერხე და ბუდეშორისებური საფერავი.</p> <p>ჯანანურა, ალიგოტე, მწვანე, რქაწითელი, შარდონე, კაგოაე და ბუდეშორისებური საფერავი.</p> <p>ჯანანურა, მწვანე, რქაწითელი, ქისი, ჩიტისთვალა, კაბერხე და საფერავი.</p> <p>რქაწითელი, მწვანე, ქისი, საფერავი.</p> <p>ჯანანურა, ქისი, ჩიტისთვალა, რქაწითელი, კაბერხე, ბუდეშორისებური საფერავი და საფერავი.</p> <p>კახური საადრეო, შალა, თამარული განჯური და რქაწითელი.</p> <p>მწვანე, რქაწითელი, ქისი, ჩიტისთვალა, ინსტიტუტის გოდემტევანა, საფერავი და კაბერხე.</p> <p>რქაწითელი, ჩიტისთვალა, საფერავი.</p> <p>მწვანე, ჩიტისთვალა, ჩიხვი, რქაწითელი, საფერავი და კაბერხე.</p>

მევენახეობის მხარეები	მევენახეობა-მეღვინეობის რაიონები	რაიონების ზონები	ყურძნის მოხმარება-გადამუშავების ძირითადი ნიშარტულება	ვახის სტანდარტული და პერსპექტიული ჯიშები
<p>2. ალაზნის მთა ცვენა მხარე სოფ. ქორთაბუდიდან ბაკურიანი ხეობა) ს. თამარიალის (ლაგოდეხის რაიონი) ჩათვლით საინჟინორო სახელმძღვანელო და თელავის რაიონების შარტულება ნაწილი და მთელი ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონები).</p>	<p>6. გურჯაანის რაიონი: ჩუქლაიდან ბაკურიანამდე (ჩუქლაყი, კოხვი, კოტხი, გურჯაანი, ვეჯინა და კოლაგი).</p> <p>7. კარდანახის რაიონი: მდინარე ორხევიდან სოფ. ანაგამდე (ბაკურიანი და კარდანახი).</p> <p>8. ხალაწანის რაიონი: პანკისის ხეობის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფლები: ქორთაბუდი, ხემო, ქვემო და შუა ხალაწნები, წინაუბანი და ქორეთი.</p> <p>9. ფშავლის რაიონი: სოფლები: მალრანის, არგოზი, ფიხოვანის, ზორბალო, ხემო და ქვემო ალვანი, ბაბანეური, ლალისყური და ფშაველი.</p>	<p>ბ. შუა ზონა. ფერდობები მთავარი შარაგზის და რკინიგზის ლიანდაგის შუა და მის ქვემოთ ვაკე ადგილებამდე (მრომა, კალაური, ურიათუბანი, მუყუნანი და აზაშენი).</p> <p>გ) ქვემო ზონა. შევარდბული ადგილები ალაზნის არხის წინ და მის უკან მდებარე ვანაგობით (შაშიაი, გელიციხე, შრომა).</p> <p>ა) ხემო ზონა. მთისწინა ზოლი მთავარი შარაგზის ხემოთ მდებარე ვენახებით (ჩუქლაყი, კოხვი, კოტხი).</p> <p>ბ) შუა ზონა. მთის ფერდობები მთავარი შარაგზის და გურჯაან-წორისწყლის რკინიგზის ლიანდაგის შუა მდებარე ადგილები (ჩუქლაყი, გურჯაანი, ვეჯინა, კოლაგი).</p> <p>გ) ქვემო ზონა. ვაკე ადგილები ალაზნის არხისა და გურჯაან-წორისწყლის რკინიგზის ლიანდაგის ქვემოთ მდებარე ვენახებით (გურჯაანი, ჩუქლაყი, ნაწილობრივ ვეჯინი).</p> <p>ა) ხემო ზონა. მთისწინა ზოლი ბაკურიანიდან ანაგამდე მთავარი შარაგზისა და რკინიგზის ლიანდაგის შორის მდებარე ვენახებით.</p> <p>ბ) ქვემო ზონა. ბაკურიანიდან ანაგამდე გურჯაან-წორისწყლის რკინიგზის ქვემოთ მდებარე ბარი და სუსტად დაქანებული ფერდობები.</p> <p>მთისწინა ზოლი და ვაკე ადგილები ალაზნის გასწვრივ ქორთაბუდიდან ქორეთამდე (ამის ჩათვლით).</p> <p>ა) ხემო ზონა. მთისწინა ზოლი და შემალლებული ადგილები სოფ. ბაბანეურიდან ს. ფშაველამდე (ძირითადად მალრანის, არგოზის, ბაბანეურის, ფიხოვანის, ლალისყურის და ფშავლის მთავარი შარაგზის ხემოთ მდებარე ვენახები)</p>	<p>ხარისხოვანი, ძირითადად კახური ტიპის თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.</p> <p>ორდინარული კახური ტიპის თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.</p> <p>1. კახური და ევროპული ტიპის ხარისხოვანი თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.</p> <p>კახური ტიპის მაღალხარისხოვანი თეთრი და წითელი ღვინოების წარმოება. ნაწილობრივ, ფაფარისხვევის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე (სოფ. ჩუქლაყი და სხვ.) ევროპული ტიპის ხარისხოვანი ღვინოების წარმოება.</p> <p>2. სუფრის ყურძნის წარმოება ქალაქისა და კურორტების ახლად მოკრეფილი ყურძნით მომარაგების მიზნით.</p> <p>კახური ტიპის ორდინარული თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.</p> <p>კახური ტიპის მაღალხარისხოვანი თეთრი და წითელი სუფრის ღვინოებისა და მაღალხარისხოვანი მავარი და სადესერტო ღვინოების წარმოება.</p> <p>კახური ტიპის, ძირითადად თეთრი ხარისხოვანი სუფრის ღვინოების წარმოება.</p> <p>მსუბუქი, ძირითადად, თეთრი სუფრის ღვინოების და შამპანური ღვინის მასალების წარმოება.</p> <p>1. ზომიერი მორწყვის პირობებში: მსუბუქი, ხალისიანი კარგი ღვინოების თეთრი და წითელი სუფრის ღვინოებისა და შამპანური ღვინის მასალების წარმოება.</p>	<p>მწვანე, რქაწითელი, ხიხვი, საფერავი.</p> <p>რქაწითელი და საფერავი.</p> <p>ხიხვი, მწვანე, ჩიტისთვალა, რქაწითელი, კაბერხე და საფერავი.</p> <p>ხიხვი, მწვანე, რქაწითელი და საფერავი.</p> <p>კახური საადრეო, შასლა, განჯური, თამარეული, რქაწითელი.</p> <p>1. რქაწითელი და საფერავი.</p> <p>1. ხიხვი, ჩიტისთვალა, მწვანე, რქაწითელი, კაბერხე და საფერავი.</p> <p>2. ხიხვი, თეთრი მუსკატი, რქაწითელი და საფერავი.</p> <p>რქაწითელი, მწვანე და საფერავი.</p> <p>ალივოტე, გორული მწვანე, რქაწითელი, კაბერხე და ბუდეშურისებური საფერავი.</p> <p>ჯანანურა, ქისი, მწვანე ალივოტე, რქაწითელი, საფერავი და კაბერხე.</p>




შეგენახულობის მხარეები	შეგენახულობა-მედიცინების რაიონები	რაიონების ზონები	ყურძნის მოხმარება-გადაწესებულების ძირითადი მიმართულება	ვახის სტანდარტული და პერსპექტიული ჯიშები
		ბ) ქვემო ზონა. მთავარი შარავხის ქვემოთ მდებარე ფერდობები და ვაკე ადგილები ზორბალოს, ზემო ალაგის, ქვემო ალაგის, ნაწილობრივ ფინხოვანისა და ფშავლისა.	ორდინარული, შემალღებულ ადგილებში ხარისხოვანი, ძირითადად ევროპული ტიპის თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.	მწვანე, რქაწითე, კაბერნე, საფერავი
10. ნაფარეულის რაიონი: ჯულაანი, სანიორე, ართა-ნა, ნაფარეული და ლაფან-ყური.	ა) ზემო ზონა. მთისწინა ზოლი მთავარი შარავხის ზემოთ მდებარე ვენახებით. ჯულაანის, ართანის, სანიორის, ნაფარეულისა და ლაფანყურის ვენახები. ბ) ქვემო ზონა. მთავარი შარავხის ქვემოთ მდებარე ვენახები, ძირითადად სანიორისა და ნაფარეულის ვენახები შარავხიდან 1—1,5 კილომეტრის დაშორებით.	ა) ზემო ზონა. მთისწინა ზოლი მთავარი შარავხის ზემოთ მდებარე ადგილები ს. შაქრიანის, გრემის, საბუის, ალმატის, ნაწილობრივ ვისლისა და შილდაში მთავარი შარავხის ზემოთ მდებარე ვენახები. ბ) იმავე სოფლების მთავარი შარავხის ქვემოთ მდებარე ადგილები და მათ ქვემოთ ყოფ. სოფლების ალდგომა, ტურის ციხისა და სხვ. ვენახები.	ზომიერი მორწყვის პირობებში, ძირითადად ევროპული ტიპის მაღალხარისხოვანი თეთრი და წითელი ღვინოების წარმოება. ევროპული და კახური ტიპის სუფრის ხარისხოვანი და ალაგ-ალაგ-ზომიერ მორწყვის პირობებში მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინოების წარმოება.	ჯანანურა, ქისი, მწვანე, რქაწითელი, კაბერნე და საფერავი. მწვანე, ქისი, რქაწითელი, კაბერნე და საფერავი.
11. ენისლის რაიონი (შაქრიანი, ვნისელი, საბუე, გრემი, ალმატი, და შილდა).	ა) ზემო ზონა. მთისწინა ზოლი და შემალღებულ ადგილები ს. შაქრიანის, გრემის, საბუის, ალმატის, ნაწილობრივ ვისლისა და შილდაში მთავარი შარავხის ზემოთ მდებარე ვენახები. ბ) იმავე სოფლების მთავარი შარავხის ქვემოთ მდებარე ადგილები და მათ ქვემოთ ყოფ. სოფლების ალდგომა, ტურის ციხისა და სხვ. ვენახები.	ა) ზემო ზონა. მთისწინა ზოლის მთავარი შარავხის ზემოთ და მისგან დაახლოებით 1 კილომეტრის დაშორებით მდებარე ვენახები ყვარლისა, საცხენისის, ახალსოფლისა და სხვათა. ბ) ქვემო ზონა. მთავარი შარავხიდან დაახლოებით 1 კილომეტრის ქვემოთ მდებარე სუსტად დაქანებული ფერდობებისა და ვაკე ადგილების ვენახები კუჭატისა, ოქტომბრისა, ახალსოფლისა, გავაზისა, სანავარდოსი და სხვათა.	ზომიერი მორწყვის პირობებში ევროპული ტიპის ხარისხოვანი და ალაგ-ალაგ მაღალხარისხოვანი წითელი და თეთრი სუფრის ღვინოების წარმოება. ორდინარული, ალაგ-ალაგ ხარისხოვანი ევროპული და კახური ტიპის თეთრი და წითელი სუფრის ღვინოსა და ვაკე ადგილებში ალაგის მახლობლად, ხარისხოვანი საკონიაკე ღვინოს წარმოება.	ჯანანურა, მწვანე, ქისი, რქაწითელი, კაბერნე და საფერავი. რქაწითელი, მწვანე და საფერავი.
12. ყვარლის რაიონი. სოფლები: ყვარელი, ახალსოფელი, საცხენისი, ხიმობიანი და სხვ.	ა) ზემო ზონა. მთისწინა ზოლის მთავარი შარავხის ზემოთ და მისგან დაახლოებით 1 კილომეტრის დაშორებით მდებარე ვენახები ყვარლისა, საცხენისის, ახალსოფლისა და სხვათა. ბ) ქვემო ზონა. მთავარი შარავხიდან დაახლოებით 1 კილომეტრის ქვემოთ მდებარე სუსტად დაქანებული ფერდობებისა და ვაკე ადგილების ვენახები კუჭატისა, ოქტომბრისა, ახალსოფლისა, გავაზისა, სანავარდოსი და სხვათა.	ა) ზემო ზონა. მთისწინა ზოლის მთავარი შარავხის ზემოთ და მისგან დაახლოებით 1 კილომეტრის დაშორებით მდებარე ვენახები ყვარლისა, საცხენისის, ახალსოფლისა და სხვათა. ბ) ქვემო ზონა. მთავარი შარავხიდან დაახლოებით 1 კილომეტრის ქვემოთ მდებარე სუსტად დაქანებული ფერდობებისა და ვაკე ადგილების ვენახები კუჭატისა, ოქტომბრისა, ახალსოფლისა, გავაზისა, სანავარდოსი და სხვათა.	ხარისხოვანი, ალაგ-ალაგ მაღალხარისხოვანი წითელი და თეთრი სუფრის ღვინოების წარმოება. ორდინარული, ფერდობ ადგილებზე ხარისხოვანი, ძირითადად ევროპული ტიპის თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.	მწვანე, რქაწითელი, კაბერნე და საფერავი. რქაწითელი და საფერავი.
13. ლავოდების რაიონი. სოფლები: კაბალი, მხალგორი, ბაისუბანი, ლავოდები, ცოდნა, ყარსუბანი, ორჯონიკიძე, აფენი, ლელიანი და სხვ.	ა) ზემო ზონა. მთისწინა ზოლი და შემალღებულ ადგილები მთავარი შარავხის ზემოთ და მისგან ერთი კილომეტრის დაშორებით ფონას, კაბლის, მხალგორის, ბაისუბნის, გურგეიანის, შრომის, ლავოდების, ცოდნის და სხვათა ვენახები. ბ) ქვემო ზონა. მთავარი შარავხიდან დაახლოებით 1 კილომეტრის ქვემოთ მდებარე ფერდობები და ვაკე ადგილები შემდეგი სოფლებისა: ლელიანის, კაპუციანის, აფენის, ყარსუბნის, თელის, ცოდნის-კარისა და სხვ.	ა) ზემო ზონა. მთისწინა ზოლი და შემალღებულ ადგილები მთავარი შარავხის ზემოთ და მისგან ერთი კილომეტრის დაშორებით ფონას, კაბლის, მხალგორის, ბაისუბნის, გურგეიანის, შრომის, ლავოდების, ცოდნის და სხვათა ვენახები. ბ) ქვემო ზონა. მთავარი შარავხიდან დაახლოებით 1 კილომეტრის ქვემოთ მდებარე ფერდობები და ვაკე ადგილები შემდეგი სოფლებისა: ლელიანის, კაპუციანის, აფენის, ყარსუბნის, თელის, ცოდნის-კარისა და სხვ.	ორდინარული, ძირითადად ევროპული ტიპის ალაგ-ალაგ (შემალღებულ და ფერდობ ადგილებზე) ხარისხოვანი თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება. ორდინარული თეთრი და წითელი სუფრის ღვინოსა და საკონიაკე მასალის წარმოება.	მწვანე, რქაწითელი, კაბერნე, საფერავი. რქაწითელი და საფერავი.

მუდგანახების მხარეები	მუდგანახება-მეღვინეობის რაიონები	რაიონების ზონები	ყურძნის მოხმარება-გადამუშავების ძირითადი მიმართულება	ვახის სტანდარტული და პერსპექტიული ჯიშები
<p>3. ქიზიყი, ალაზნის მარჯვენა მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი სოფ. ნაგიდან ზემო ქედამდე სიღნაღისა და წითელწყაროს ადმინისტრაციული რაიონები).</p>	<p>14. ანაგის რაიონი, სოფლები: ჰნაგა, ვაქირი და მაშნაარი.</p>	<p>ა) ზემო ზონა. მთისწინა ზოლი და შემადგენელი ადგილები რკინიგზის ლიანდაგის ზემოთ მდებარე ვენახებით.</p> <p>ბ) ქვემო ზონა. ფერდობები და ვაკე ადგილები რკინიგზის ლიანდაგის ქვემოთ მდებარე ვენახებით.</p>	<p>ვერობული და კახური ტიპის ხარისხოვანი თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.</p> <p>ძირითადად კახური ტიპის ორდინარული თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების და მაგარი ღვინომასალის წარმოება.</p>	 <p>ჩიტისთვალა, მწვანე, რქაწითელი და საფერავი.</p> <p>რქაწითელი და საფერავი.</p> <p>ზიხვი, მწვანე, რქაწითელი და საფერავი.</p>
<p>4. უკანა მხარე (ივრის ხეობა), ანუ გარეკახეთი. ცივ-გომბორის კალთები უჯარმიდან მელანამდე (საგარეჯოსა და კაპრუთის ადმინისტრაციული რაიონები).</p>	<p>15. ძველი წნორის რაიონი, სოფლები: წნორი, საქობო, ქუმბათი, ტიბაანი, ძველი ახაგა, ხირსა.</p>	<p>ა) ზემო ზონა. მთის ფერდობები და შემადგენელი ადგილები წნორ-ტიბაანის გასწვრივ.</p> <p>ბ) ქვემო ზონა. მთავარ შარავის ქვემოთ მდებარე ფერდობები და ვაკე ადგილები.</p>	<p>ძირითადად კახური ტიპის ხარისხოვანი თეთრი და წითელი სუფრის ღვინომასალის წარმოება.</p> <p>კახური ტიპის ორდინარული თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.</p>	<p>რქაწითელი და საფერავი.</p> <p>ზიხვი, ალიგოტე, ჩიტისთვალა, გორული მწვანე, პინო ყრანო რქაწითელი და საფერავი.</p>
<p>16. ბოდბისხევის რაიონი, სოფლები: ზემო და ქვემო მაჩხაანი, ბოდბისხევი, მირზაანი, არბოშიკი, ჯულაანი, მადარო, ნუკრიანი და სხვ.</p>	<p>17. ხაშმის რაიონი, სოფლები: ხაშმი, პატარძელი, სართიკალა, მულანლო და სხვ.</p>	<p>ა) ზემო ზონა. ზღვის დონიდან 700—800 მეტრის ზემოთ მდებარე შემადგენელი ადგილები.</p> <p>ბ) ქვემო ზონა. ფერდობები და ვაკე ადგილები კაპრუთ-წითელწყაროს შარავის ზემოთ და ქვემოთ მდებარე ვენახებით.</p>	<p>ადგილობრივი მოხმარების მსუბუქი, ვერობული ტიპის თეთრი და წითელი სუფრის ღვინოს წარმოება.</p> <p>1. სუფრის ყურძნის წარმოება.</p> <p>2. კახური და ვერობული ტიპის ორდინარული, ალაგ-ალაგ ხარისხოვანი, ვერობული ტიპის სუფრის ღვინოების წარმოება.</p>	<p>ზიხვი, ალიგოტე, ჩიტისთვალა, გორული მწვანე, პინო ყრანო რქაწითელი და საფერავი.</p> <p>შასლა, განჯური, ბუდეშური, რქაწითელი, რქაწითელი, მწვანე და საფერავი.</p>
<p>18. საგარეჯოს რაიონი, ნინოწმინდა, გიორგიწმინდა, ღრვიძე, საგარეჯო, თობლიაური, ანთოკი, მარიამჯვარი და ბერთუბანი.</p>	<p>19. მანავის რაიონი, თარაქი, ბურდიანი, მანავი, ჩაილური და კაკაბეთი.</p>	<p>ა) ზემო ზონა. ივრის მარცხენა ნაპირის ფერდობები და შემადგენელი ადგილები ნაშმის სართიკალისა და სხვა სოფლებისა.</p> <p>ბ) ქვემო ზონა. ფერდობები და ვაკე ადგილები ხაშმის, პატარძელის, სართიკალის, მულანლოსა და სხვა სოფლებისა.</p>	<p>ძირითადად ვერობული ტიპის ხარისხოვანი თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.</p> <p>1. სუფრის ყურძნის წარმოება.</p> <p>2. ორდინარული თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების და საკონიაკე მასალის წარმოება.</p>	<p>მწვანე, ჩიტისთვალა, ალიგოტე, რქაწითელი, საფერავი და ბუდეშურისებური საფერავი.</p> <p>1. შასლა, თეთრი მსხვილთვალა, თამარული, განჯური და რქაწითელი.</p> <p>1. გორული მწვანე, რქაწითელი, ალიგოტე, ბუდეშურისებური საფერავი და საფერავი.</p>
<p>18. საგარეჯოს რაიონი, ნინოწმინდა, გიორგიწმინდა, ღრვიძე, საგარეჯო, თობლიაური, ანთოკი, მარიამჯვარი და ბერთუბანი.</p>	<p>18. საგარეჯოს რაიონი, ნინოწმინდა, გიორგიწმინდა, ღრვიძე, საგარეჯო, თობლიაური, ანთოკი, მარიამჯვარი და ბერთუბანი.</p>	<p>ა) ზემო ზონა. ცივ-გომბორის ქედის გასწვრივ მდებარე ფერდობი და შემადგენელი ადგილები.</p> <p>ბ) ქვემო ზონა. სუსტად დაქანებული ფერდობები და ბარის ადგილები.</p>	<p>ძირითადად ვერობული ტიპის ხარისხოვანი თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.</p> <p>ვერობული და კახური ტიპის ორდინარული, ალაგ-ალაგ ხარისხოვანი, თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.</p>	<p>ალიგოტე, გორული მწვანე, მწვანე, რქაწითელი ბუდეშურისებური საფერავი და საფერავი.</p> <p>ალიგოტე, რქაწითელი, მწვანე და საფერავი.</p>
<p>19. მანავის რაიონი, თარაქი, ბურდიანი, მანავი, ჩაილური და კაკაბეთი.</p>	<p>19. მანავის რაიონი, თარაქი, ბურდიანი, მანავი, ჩაილური და კაკაბეთი.</p>	<p>ა) ზემო ზონა. ცივ-გომბორის კალთების გასწვრივ მდებარე შემადგენელი და ფერდობი ადგილები.</p> <p>ბ) ქვემო ზონა. სუსტად დაქანებული ფერდობები და ვაკე ადგილები.</p>	<p>1. ვერობული და კახური ტიპის მაღალხარისხოვანი თეთრი და ნაწილობრივ წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.</p> <p>კახური და ვერობული ტიპის ორდინარული და ალაგ-ალაგ ხარისხოვანი თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.</p>	<p>მწვანე, პისი, ალიგოტე, რქაწითელი, ბუდეშურისებური საფერავი და საფერავი.</p> <p>ალიგოტე, მწვანე, რქაწითელი და საფერავი.</p>

მევენახეობის მხარეები	მევენახეობა-მელეინობის რაიონები	რაიონების ზონები	ყურძნის მოხმარება-გადამუშავების ძირითადი მიმართულება	ვახის სტანდარტული და პერსპექტიული ჯიშები
	<p>20. კაკრეთის რაიონი. ყანდაურადან ჩალაუბნამდე სოფლები: ყანდაურა, შიბლიანი, კაკრეთი, ჯიშითი, ნანიანი, ქოდალო, ხიარი, ფხოველი, მელაანი და ჩალაუბანი.</p>	<p>ა) ზემო ზონა ციფ-ვომბორის ქედის ივრისაკენ დაქანებული წიმაღლებული და ფურდობი ადგილები.                  ბ) ქვემო ზონა, ივრისაკენ სუსტად დაქანებული ფურდობები და ბარი ადგილები.</p>	<p>წამბანური ღვინო-მასალების და მსუბუქი ვერობული ტიპის ღვინოს წარმოება.</p> <p>1. ვერობული ტიპის ორდინარული, ალაგ-ალაგ ნარისხვეანი, თეთრი და წითელი სუფრის ღვინოების წარმოება.                  2. სუფრის ყურძნის წარმოება.</p>	<p>ალეგოტი, გორული მწვანე, მწვანე-წითელი, მწვანე-წითელი და ბუდეშურისებური საფერავი.                  ალიგოტი, მწვანე, რქაწითელი, და საფერავი.                  თეთრი შასლა, თეთრი მსხვილთვალა, განჯური და რქაწითელი.</p>





## КРАТКИЙ ОЧЕРК ВИНОГРАДАРСТВА КАХЕТИИ

Виноградарство Грузии имеет многовековую давность. Оно является одним из главных отраслей сельского хозяйства и источником экономического благосостояния страны. Этим объясняется исключительная любовь населения к виноградной культуре и постоянная забота партии и правительства о дальнейшем развитии и процветании этой ценнейшей отрасли сельского хозяйства.

Значение виноградарства в экономике нашей страны хорошо было известно и врагам Грузии, которые, в целях экономического порабощения, нередко прибегали к варварскому способу уничтожения виноградников путем их силошной корчевки. Указанные факты приведены в капитальном труде акад. И. А. Джавахишвили („Экономическая история Грузии“, Тбилиси, 1934 г.). „Но,—как указывает акад. Н. П. Кецохели, — благодаря богатству и своеобразию природных условий, разнообразию возделываемых культур, трудолюбию народа и высокому культурному уровню, Грузия, обычно, быстро оправлялась от вторжений и восстанавливала хозяйство...“

О том же мы читаем „...по Грузии (Картли)—хорошая страна, она быстро устроится“, —не без основания сказал в своем докладе Никифор Ирбах великому князю Руей Алексею Михайловичу, спустя недолго после разорения Картлинии и Кахетии повелителем Ирапа Шах-Абасом. Небезинтересны в этом отношении также сведения французского купца Шардена, путешествовавшего в XVII веке в странах ближнего Востока и, в частности, по Грузии: „Можно с уверенностью сказать, что нет другой страны, где найдутся столь прекрасные фрукты, как в Грузии. Не найдется также страны, в которой пьют в таком количестве и такое прекрасное вино. Лоза здесь вьется по деревьям так же, как и в Колхиде. Из Тбилиси доставляется вино в большом количестве для шаха в Армению, Мидию, Исфаган“ (проф. М. А. Рамшвили, „Сорта виноградных лоз Грузии, Мегрелии и Абхазии“, Тбилиси, 1948 г., предисловие действ. члена АН Груз. ССР проф. Н. П. Кецохели).

Вино в обиходе грузина было незаменимой утехой в радости и в горе, во время работы и отдыха. Образованная обработка виноградников и приготовление высококачественного вина считалось делом чести—район с районом, деревня с деревней, виноградарь с виноградарем соревновались на первенство. В современных условиях производства, при сплошной коллективизации деревни и плановом ведении хозяйства, эти традиции еще более углубились, стали массовыми и эффективными. После установления советской власти в Грузии проведена большая работа в деле восстановления погибающих от филлоксеры виноградников и дальнейшего его развития.

Совнарком СССР и ЦК ВКП(б) 28 июля 1936 г. и 25 апреля 1940 г. приняли историческое постановление о развитии виноградарства и качественного виноделия в Грузинской ССР. После этого намечился коренной перелом в развитии виноградарства в Грузии.

Вместе с ростом площадей намечено значительное увеличение урожайности винограда. Применение передовой агротехники уже дало свои результаты.

Директивы XIX съезда Партии по пятому пятилетнему плану развития СССР на 1951—1955 годы предусматривают дальнейший значительный рост сельскохозяйственной продукции. Пятилетним планом рост виноградной продукции предусмотрен на 55—60 процентов. В директивах указано: „Увеличить за пятилетие площади садов и ягодников в колхозах, примерно, на 70 процентов, виноградников—на 50 процентов, чайных плантаций—на 60 процентов и цитрусовых культур—в 4,5 раза“.

С 1936 г. по сегодняшний день уже заложены более 20000 га новых виноградников, из них более 2600 га шампанскими сортами винограда. Для выпуска советского шампанского выстроен большой шампанский завод в г. Тбилиси (Авчальский завод), который уже выпускает более 4 миллионов бутылок шампанского в год.

Успешно развивается виноградарство и в новых высотных зонах Грузии—в Ахалцихском, Аспиндзском и Адигенском районах Месхетия.

Целый ряд районов Грузии в продолжение 1948 и 1949 гг. значительно улучшил уход за виноградниками и получил очень хорошие результаты. Так, например, в 1948 г. Гурджаанский район получил в среднем 40 центнеров винограда на га; Цителцхаройский—44,4 цент.; Зестафонский—48 цент.; Маяковский—48,7 цент., Орджоникидзеvской—52 цент., Цагерский—48,7 цент. и т. д. Еще более высокие урожаи получены в 1949 г. Укажем на некоторые: Гурджаанский район получил в среднем по району 54 центнера винограда на га, Телавский—54 цент., Цителцхаройский—75,2 цент., Зестафонский—53 цент., Маяковский—50,8 цент., Орджоникидзеvский—57,6 цент. винограда и т. д. Отдельные колхозы получили еще больше урожая; например, колхоз Цителцхаройского района получил со всей площади в среднем на га 121 центнер винограда.

Значительные урожаи получены звеньевыми, бригадирами, героями социалистического труда на закрепленных за ними участках—120—150 цент. винограда на га.

«...» Секреты» высоких урожаев уже раскрыты мастерами высоких урожаев... Урожай теперь находится в руках колхозников, владеющих агротехникой. Колхозники-стахановцы, ефремовцы хорошо понимают, что растение строит само себя из пищи его окружающей. Агротехника учит тому, как пужно давать растению больше и лучшего качества пищу и получать высокие урожаи» (авад. Т. Лысенко, Агробиология, 1949 г.).

Обобщение достижений нашей передовой агро биологической науки и передовиков социалистического сельского хозяйства явится верным залогом для дальнейшего повышения урожайности и улучшения качества продукции.

**Кахетия.** Кахетия является жемчужиной советского виноделия. Среди всех винодельческих районов Советского Союза, она является наиболее ценной.

Столовые вина Кахетии, в особенности красные, получаемые на перетнойно-карбонатных и алювиально-карбонатных почвах пологих склонов Цивгомборского и строгов Главного Кавказского хребтов по своей интенсивной темно-гранатовой окраске, умеренной спиртуозности, энергии, свежести и полноте вкуса, при целом сортовом аромате и сильном букете вы держки заслуженно создали славу Кахетии. Вина некоторых микрорайонов Кахетии по своим высоким качествам не уступают винам мирового сортамента—Бордо, Бургундия.

Кахетия расположена в северо-восточной части Грузии, примерно, между 41° и 42°20' северной широты и 45° и 46°31' восточной долготы по Гринвичу. С северо-востока Кахетия ограничена Главным Кавказским хребтом, с юга—возвышенностями Гареджи и Ширакской степью, с запада—Карталинским хребтом, а с востока—граничит с Азербайджанской ССР.

Кахетинская долина занимает склоны гор и низ местности по среднему течению рек Алазани и Иори, которые Кахетинским или Цивгомборским хребтом делятся на Алазанскую и Иорскую долины—на внутреннюю и внешнюю Кахетию. Алазанская долина имеет в длину 160 километров, а в ширину 5 км в начале долины и 40 км в конце, у села Загодехи. Территория Кахетии имеет основной уклон с северо-запада на юго-восток в направлении Главного Кавказского хребта, а второй уклон с строгов Главного Кавказского и Цивгомборского хребтов в сторону реки Алазани.

Иорская долина лежит между Цивгомборским хребтом и Гареджерской возвышенностью в направлении с запада на восток на протяжении, примерно, 30 километров.

В состав Кахетии входят Гурджаанский, Телавский, Сигнахский, Гварельский, Сагареджойский, Ахметский, Качретский, Загодехский и Цителцхаройский административные районы.

Основная масса виноградников в правобережной Кахетии расположена на северо-восточных склонах Цивгомборского хребта, а в левобережной Кахетии—по южным и юго-восточным склонам отрогов Главного Кавказского хребта; в Иорской же долине—по южным и юго-западным склонам Цивгомборского хребта.

**Почвы.** Почвы Кахетии довольно разнообразны. Причины указанного разнообразия почвенного покрова Кахетии кроются: в сложности рельефа территории, в нестрате почвообразующих материнских пород, в расположении основных массивов на разной высоте над уровнем моря, в различной экспозиции склонов и в эрозионном действии рек Алазани и Иори и их многочисленных притоков.

И действительно, в зависимости от вертикальной и горизонтальной зональности расположения отдельных виноградных массивов значительно меняются типы почв и их физико-механический состав. В соответствии с указанным основные типы почв Кахетии, по данным проф. М. Сабашвили и проф. А. Сапикидзе, распределены следующим образом: в возвышенной части и в предгорной после Алазанской долины распространены, в основном, перетнойно-карбонатные, коричневые лесные, темносерые и деллювиальные

Весенние и осенние заморозки возможны в Кахетии с третьей декады ноября по апрель месяц. Эти заморозки часто не превышают одного градуса, обычно с октября по март месяц заморозки бывают местного происхождения, а в апреле месяце они могут быть только в результате вторжения извне холодных масс воздуха.

Вегетационный период. Начало вегетационного периода и его конец в Кахетии более совпадают с моментом перехода среднесуточного минимума температуры воздуха через  $+5,0$  градусов, весной и осенью. На основании учета этих моментов длина вегетационного периода в Кахетии в среднем составляет около 210 дней со среднесуточной температурой этого периода  $+18,5$  градусов. Этот период в Кахетии начинается с 5 апреля и кончается 5 ноября, он практически свободен от утренников, температура почвы в эти моменты на глубине 40 см. в апреле уже выше 10 гр., а в ноябре—даже около 13 гр. Сумма активных температур за этот период составляет около 3885 гр. Указанный вегетационный период с довольно высокой температурой при наличии достаточного количества атмосферных осадков дает богатые возможности для культивирования разнообразного ассортимента сельскохозяйственных растений—полевых, огородных, технических, разнообразных плодовых, винограда и др.

### Современное состояние и перспективы развития виноградарства Кахетии

Виноградарство в Кахетии является основной ведущей отраслью сельского хозяйства и основой экономического благосостояния трудящихся. Поэтому население всегда с большой любовью относится к виноградной культуре, даже грузинские цари в прошлом владели обширными виноградниками в разных районах Грузии. Виноградарство и виноделие в Кахетии было широко развито. По данным Стевана (1811 г. и Гамба (1820 г.) виноградники тянулись сплошной цепью по обе стороны Алазанской долины.

Урожайность этих виноградников по данным В. Ленца (1846 г.) в переводе на вино достигала свыше двух миллионов ведер, а из остатков виноделия ежегодно выкуривали до 50000 ведер воды. По данным М. Балласа, основанным на приблизительных подсчетах, произведенных филлоксерными партиями, в Кахетии площадь виноградников составляла 12492 десятины. Более точные данные приведены в учетно-статистических материалах 1898—1900 годов. По этим данным общая площадь виноградников в Грузии определялась цифрой 75000 га. Из этой площади в тогдашних административных уездах Кахетии—Телавском, Сягнахском и Тиопетском, без Гаре-Кахетии, входящей тогда в Тбилисский административный уезд, числилось 17778 га виноградников. С появлением грибных болезней и филлоксеры площадь виноградников значительно сократилась. Гибель виноградников еще больше усилилась в период первой империалистической войны и господства меньшевиков в Грузии. В результате всего этого значительно сократилась площадь виноградников в Грузии. С установлением советской власти в Грузии, а в особенности после принятого по инициативе великого Сталина известного постановления Совета Народных Комиссаров СССР и ЦК ВКП(б) от 28 июля 1936 г. начинается возрождение виноградарства путем систематического восстановления погибающих виноградников на филлоксероустойчивые подвой. К январю 1937 г. площадь виноградников Кахетии возрасла до 11160 га, а к 1941 г. общая площадь виноградников Кахетии достигла цифры 15132 гектаров.

В августе 1947 года была проведена перепись виноградников для выяснения фактического состояния виноградников и намечки перспектив на будущее. По этой переписи площади виноградников распределены по отдельным районам Кахетии следующим образом:

№ п/п.	Наименование административных районов	Площадь в га	№ п/п.	Наименование административных районов	Площадь в га
1	Гурджаанский р-н . . . . .	4513,60	6	Ахметский р-н . . . . .	761,53
2	Телавский „ . . . . .	2900,0	7	Лагодехский „ . . . . .	720,24
3	Сягнахский „ . . . . .	1813,0	8	Качретский „ . . . . .	520,36
4	Кварельский „ . . . . .	1495,38	9	Цителцхаройский „ . . . . .	846,85
5	Сагареджойский „ . . . . .	1010,84			
В с е г о . . . . .					14,082,78

Указанная площадь по секторам распределена следующим образом: колхозы занимают 40,8% всей площади, совхозы—9,1%, колхозники—46,6% и 3,5%—прочие группы населения. Основная масса виноградников Кахетии привита на филлоксероустойчивых подвоях. Тут же необходимо отметить, что несмотря на то, что Грузия является очагом сплошного филлоксерного заражения, и по сей день в Кахетии значи-

тельная площадь (до 38%) виноградников произрастает на собственных корнях. Около 90% корнесобственных виноградников приходится на приусадебные участки колхозников. В совхозах корнесобственные виноградники почти не встречаются, а в колхозах они составляют около 10%. На корнесобственных виноградниках распространены, главным образом, сорта Ркацители и изредка — Мцване. Корнесобственные виноградники Санерави почти не встречаются, благодаря его слабой устойчивости против филлоксеры. Относительно малое распространение сорта Мцване объясняется его чувствительностью к оидиуму и экологическими условиями среды. Наличие значительной площади непривитых корнесобственных виноградников объясняется относительно хорошей устойчивостью сортов Ркацители и Мцване и условиями культуры — основная масса корнесобственных виноградников (Гурджаанский, Сигнахский районы) заложена, в основном, на поливных, аллювиальных почвах нижней зоны Адазанской долины.

С появлением грибных болезней и филлоксеры способы разведения и ухода за виноградниками значительно изменились. Виноградники в Кахетии разводятся привитыми однолетними саженцами. Наибольшее распространение в Кахетии получают основные промышленные сорта винограда — Санерави, Ркацители, Мцване, Хихви и Каберне. Закладка новых виноградников в Кахетии зависит, главным образом, от наличия черенков филлоксероустойчивых подвойных сортов винограда. По данным переписи 1940 г., в Кахетии числились 274 га маточников филлоксероустойчивых лоз. Больше половины площади в этих маточниках занимал сорт Ринария × Рупестрис 3309, за ним по площади следовали сорта № 101/14, № 3306, Рупестрис дю Ло, сорт Ринария × Берландиери 5-ВВ, Шасля Берландиери 41-В и самую меньшую площадь занимал Солонис Ринария № 1616.

По переписи виноградников, проведенной в августе 1947 г., площадь маточников составляет около 260 га. Для обеспечения плана закладки новых виноградников предусматривается увеличение площади маточников на 85 га в основном гибридами Берландиери: Ринария Берландиери № 5-ВВ и 420-А.

Плантаж для закладки новых виноградников производится механическим способом на глубину 55—60 см. Основной недостаток привитого виноградарства — изреженность кустов — вызвана, главным образом, плохой сортировкой прививок.

Поэтому главное внимание при закладке новых виноградников уделяется правильной сортировке прививок, а также правильному ведению питомнического и маточного хозяйств в целях увеличения выхода первосортных привитых саженцев.

С 1932 г., в целях механизации обработки и ухода за виноградниками, ширина междурядий виноградников увеличена на 2 метра, а между кустами в ряду — до 1,5 метров, т. е. около 3330 кустов на га. Примерно больше половины совхозных и около одной трети колхозных виноградников имеет расстояние между рядами 2 метра и 1,5 метра между кустами, которые свободно могут быть обрабатываемы трактором „Кировец 35“.

Остальная половина совхозных и две трети колхозных виноградников, в большинстве случаев, имеют в междурядьях и в ряду между кустами  $1,42 \times 1,42$  см, т. е. вмещают около 5000 кустов на га. Основная масса приусадебных виноградников засажена лозами значительно гуще. Чаще всего эти виноградники имеют в междурядьях 1 метр, реже 1,25 см, а в ряду между кустами — 0,75 см, реже 1 метр, т. е. вмещают от 8 тысяч до 12 тысяч кустов на га.

С 1946 г. в Кахетии новые виноградники в полосе механизации закладываются междурядьями шириной в 2 метра, а между кустами — 1,25 метра, т. е. вмещают около 4000 кустов на га.

В зависимости от физико-химического состава почвы, ее плодородия и величины площади питания меняется длина подрезки и способы формирования кустов. На обычных почвах северо-западной части Кахетии, при площадях питания от одного до 2 квадратных метров, наиболее подходящей формой ведения кустов нужно признать ныне применяемую грузинскую, либо идентичную с ней, но с ведением плетей на проволоке — одноплечей шпалере с подрезкой, в зависимости от силы роста кустов, на 2—3 глазковый сучек замещения и 6—10 глазковую плодую плеть.

При больших площадях питания 2,5—3 кв. метра кустам дается форма двуплечей шпалеры с подрезкой на два двуглазковых сучка и две 6—8 глазковые плети. На мощных черноземных, черноземовидных и каштановых почвах поливной зоны юго-восточной части Кахетии при сильном росте кустов им даются кордонные формы — двусторонний короткий кордон с 4 формовочными элементами и кордон Казегава с 5—6 формовочными элементами с нагрузкой на куст от 40 до 60 глазков, реже кустам дают двухсторонние и двухрусные кордонные формы с нагрузкой кустов от 80 до 100 глазков на куст.

Виноградники Кахетии при хорошем качестве продукции характеризуются хорошей урожайностью. Урожай винограда в Кахетии за 1938—1942 годы по колхозам составил в среднем на га 35 цент., а в совхозах — 50 цент. Урожайность кахетинских виноградников значительно повысилась в послевоенные годы, в особенности в 1948 и 1949 годах. В эти годы целый ряд районов Кахетии получил в среднем по 50—60, а некоторые — 75 и более центнеров на га. В некоторых совхозах и колхозах урожайность поднялась до 120 центнеров, а на отдельных участках и до 150 центнеров на га. Все эти данные говорят о возможности еще большего повышения урожайности наших виноградников.

Перспективы дальнейшего развития виноградарства в Кахетии колоссальны. Нынешняя площадь виноградников Кахетии составляет всего лишь 1,2% ко всей территории Кахетии. Беглый взгляд на современное распределение виноградников по административным районам Кахетии говорит о большой ненасыщенности их виноградниками. Из девяти районов Кахетии только Гурджаанский и Телавский районы имеют—первый 4,5 тысяч га а второй—2900 га, остальные районы имеют лишь от 350 до 1800 га виноградников. В связи с механическим под'емом плантажа под новые виноградники в первую очередь освоены нижние ровные и более пологие склоны гор, в то время как наиболее ценные, с точки зрения качественного виноделия, участки по склонам гор не заняты виноградниками. Так, например, в северо-западной части Кахетии, в Панкисском ущелье почти нет виноградников. В этом ущелье в первую очередь должны быть освоены предгорья и склоны гор по обе стороны реки Алазани. Вслед за этим ущельем вдоль Цвгомборского хребта от села Ахмета до села Кисисхеви вся предгорная полоса выше главного шоссе, за исключением незначительных виноградников сел. Земо-Ходашени, Ахшаани и Насомхари, почти свободна от виноградников. Продолжение этой полосы на юго-восток от города Гурджаани до Цители-Цкаро выше шоссе в большей части также не занято виноградниками. Вся предгорная полоса левобережной Кахетии от Пшавели до Кварели выше главного шоссе, за исключением небольших виноградников сел. Напареули, Артана, Шакриави, Шильда и Еписели, также не занято виноградниками. Таким образом, наиболее ценные виноградные участки предгорной зоны выше шоссе как в Шигнит-Кахетии (внутренней), так и на Гаре-Кахетии (внешней) в большей части не заняты виноградниками. Значительные площади не заняты виноградниками и в предгорной полосе ниже-кахетинского шоссе. Общая площадь этих участков достигает нескольких тысяч га, в данное время они заняты кустарниками. Если даже освоить половину этих массивов, то площадь виноградников Кахетии свободно достигнет 50000 га—небывалая цифра, даже в дофилоксерном периоде.

В соответствии с постановлением Совета Министров Грузинской ССР и ЦК КП(б) Грузии от 29 сентября 1949 г. площадь виноградников Грузии к 1955 г. возрастет до 75000 га. За указанный период в Кахетии будет заложено 9350 га, что вместе с существующими виноградниками к концу 1955 г. составит около 23,5 тыс. га.

Сортовой состав виноградных насаждений Кахетии. Ассортимент виноградных лоз в Кахетии довольно богат и многообразен. Выявлены более 60 местных сортов и инвентаризованы на коллекционном участке Института виноградарства и виноделия в г. Телави и Уриатубани. Несмотря на указание богатства сортового состава, широкое промышленное распространение получили только некоторые, а именно: Ркацители, Саперави и Мцване, из них особенно большое распространение получил Ркацители, занимающий от всей площади 77,34%; второе место по площади занимает Саперави—15,23%, затем Мцване—5,34%. Значительно менее распространены сорта: Джананура (Хихви)—0,22% и Каберне совиньон—0,38%.

Вторая группа сортов в составе Киси, Мцвивани, Кумси тетри, Буера, Убаклури, Жгия и др. распространена по отдельным районам Кахетии, в основном, в виде незначительных участков, либо примеси к основным промышленным сортам винограда. Третья—остальная группа сортов—еще менее распространена и встречается, в основном, в виде примеси в количестве нескольких кустов на старых производственных участках колхозников.

В прошлом, до появления грибных болезней и филлоксеры, промышленный ассортимент винограда Кахетии был значительно богаче, так как сорта подбирались лишь по урожайности и качеству вина—при этом все урожайные и качественные сорта широко размножались. После появления грибных болезней и филлоксеры требования к сортам для промышленного распространения значительно возросли—помимо урожайности и качества, они должны были обладать хорошей относительной устойчивостью к грибным болезням, отчасти против филлоксеры и к экологическим условиям среды. Только те сорта, которые обладали комплексом хозяйственно-ценных признаков, широко распространялись в производстве. Этим подходом и можно объяснить современное размещение сортов по площади. И действительно, наибольшее распространение сорта Ркацители объясняется его высокой урожайностью, хорошим качеством вина, хорошей приспособляемостью к экологическим условиям среды (почва, климат), относительно хорошей устойчивостью против грибных болезней, филлоксеры и зимних морозов.

Такими же высокими хозяйственно ценными свойствами обладает сорт Саперави—вино из Саперави намного выше других вин по качеству. Саперави значительно более устойчив против оидиума, несколько менее устойчив против зимних морозов и значительно менее против филлоксеры. Отчасти этим объясняется его меньшее распространение в сравнении с Ркацители. Значительно большее распространение Ркацители объясняется также и тем, что старые корнесобственные виноградники, ввиду слабой устойчивости Саперави к филлоксере, почти не сохранились, в то время как корнесобственные виноградники Ркацители занимают около 38% (4600 га) всей площади. К сожалению, и в привитых виноградниках удельный вес Саперави в сравнении с Ркацители не велик,—24,5% против 63,2%.



Крайне необходимо в планируемых закладках увеличить удельный вес Саперави с доведением его до 40% к общей площади виноградников Кахетии.

Среди красных сортов винограда Саперави по комплексу хозяйственно ценных признаков не имеет себе равного не только в СССР, но и за границей. Лучшие красные вина мирового ассортимента из Каберне и Пино фран получают в ограниченном количестве в некоторых микрорайонах Бордо, Бургундии, к тому же эти сорта более требовательны и менее урожайны, в то время как Саперави почти во всех виноградных районах СССР (Грузия, Крым, Украина, Узбекская ССР, Азербайджанская ССР и др.) дает большие урожаи высокого качества. Вино из Саперави некоторых микрорайонов Кахетии не уступает лучшим образцам зарубежных вин, к тому же оно совершенно самостоятельное, особого типа — густоокрашенное, полное, содержательное — могучее красное вино, развивающее при выдержке тонкий, сильный, сортовой букет.

Сорт Мцване дает высококачественное ароматное белое столовое вино. До появления грибных болезней он был значительно распространен, главным образом в правобережной и Гаре-Кахетии как в виде чистых насаждений, так и в смеси, в основном, с Ркацители. Мцване дает нежное содержательное столовое белое вино с сильно выраженным сортовым ароматом, а в смеси с Ркацители (от одной четверти до половины) — значительно улучшает его качество, сообщая нежность, ароматичность и устраняя ту незначительную горечь, которая характерна для молодых вин из Ркацители. Его сравнительно малое распространение объясняется лишь его слабой устойчивостью к оидиуму и большей чувствительностью к экологическим условиям среды. По урожайности и устойчивости к филлоксеру он не уступает Ркацители, а по качеству вина значительно его превосходит. Марочные вина из Мцване, „Манавис Мцване“ и „Мцване“ хорошо известны широкому кругу потребителей. По этим данным в планируемых посадках удельный вес Мцване значительно должен быть увеличен — не менее 25% к общей площади Ркацители.

За ним следует высококачественный сорт Джананура (Хихви), его малое распространение объясняется теми же причинами — слабой устойчивостью к оидиуму и несколько меньшей урожайностью. Однако высокое качество вин Джананура как в чистом, так и в смеси с Ркацители — общеизвестно. Главным виноделом Сактреста В. А. Канделаки из этого сорта в Карданахском районе создана новая марка десертного вина „Хихви“, которая по своему высокому качеству и характерному букету токайского вина резко выделяется среди прочих вин этого типа.

То же самое можно сказать и о других качественных сортах Кахетии — Киси, Читиствала, Грдзелмтевана Института, Магранули и др.

В сорimente Кахетии числятся также много высокоурожайных сортов Жгия, Убаклур, Кумей тетри, Кумей квити, Буэра, Тавквер, паталантеули, Сеперави пачха, Вардиспера, Шави курдзени и другие, но ни один из них не получил широкого распространения в виду низкого качества вина. Обычно в производстве широко распространялись лишь сорта, совмещающие урожайность и качество продукции с относительно хорошей устойчивостью к грибным болезням и к экологическим условиям среды.

В связи с развитием качественного виноделия в Грузинской ССР в стандартный ассортимент винограда Кахетии введены сорта Ркацители, Саперави, Мцване, Джананура и Каберне совиньон, а для десертного винограда — Шасля, Тита, Тамареули и Будешури.

За последние годы Институтом виноградарства и виноделия Академии Наук Груз. ССР (Д. Табидзе) выявлены из местных сортов лучшие сорта винограда для качественного виноделия — в составе: Киси, Грдзелмтевана Института, Читиствала и для десертного винограда — Тамареули. Эти сорта, вместе с новыми сортами — гибридами, усиленно размножаются для широкого сортоиспытания в производственных условиях и передачи производству.

Полная агробиологическая и хозяйственно-технологическая характеристика этих сортов приведена во второй части настоящего труда.

### **Районирование сортов и специализация районов по типам использования и переработки винограда.**

Размещение сортов по районам и специализация последних по типам производства отображают существовавшие в прошлом спрос и состояние виноградо-винодельческой промышленности.

Как известно, в прошлом в Кахетии готовились, в основном, сухие столовые вина кахетинского типа, а в некоторых микрорайонах — полудесертные вина местного типа (Киндзмараули, Беремис цители, Ахашенис цители, Ахобис гвино и др.).

Особо благоприятные почвенно-климатические условия виноградарственных районов Кахетии нерационально использовались, получаемая продукция ни в качественном, ни в количественном отношении не исчерпывала потенциальных возможностей Кахетии.

И действительно, богатое многообразие почвенно-климатических условий Кахетии указывает на возможность получения в различных микрорайонах отличных по качеству и различных по типам вин.

В этом направлении у нас сравнительно мало сделано—мы можем сказать приблизительно, и то в отношении, может быть, Ркацители, Саперави и Мцване, где и при каких условиях они могут дать продукт высшего качества.

Многовековой опыт населения по выявлению микрорайонов—где, какой участок из какого сорта давал вино высшего качества, за некоторыми исключениями, не сохранился.

В литературных источниках находим названия сел, а позднее—фамилии князей-землевладельцев, у которых получались вина высшего качества. В прошлом особенно славились вина сел Ахметиа, Кюндולי, Манави, Земо-Ходашени и вина отдельных владельцев—вина Чавчавадзе (Саперави из Цинандали, Напареули и Кварели), вина Андрониковых (из Гурджаани и Бакурцихе), вина Абхази, Вачнадзе (из Карданахи), вина Джандиери (из Вачнадзиани, ныне Шрома), вина Вахваховых (Саперави из Курдгелаури), вина Джорджадзе (из Енисели, Сабуге), вина Чолокашых (Мцване из Ахметы) и др.

Почти до 1925 г. в Кахетии готовились лишь столовые вина кахетинского и европейского типа, несмотря на то, что в некоторых микрорайонах юго-восточной части Кахетии, ввиду значительно большого накопления сахара в соке винограда, он полностью не выражался, крепость этих вин достигала 14—15°. По инициативе главного винодела В. А. Канделаки Самтрест начал готовить в этих микрорайонах крепкие и десертные вина. Опыт увенчался успехом—высокое качество крепких и десертных вин Карданахской полосы сейчас общезвестно—пять марочных вин выпускает Самтрест в указанной полосе. Массовое производство безалкогольных соков берет свое начало (1926 г.) также в совхозах Самтреста. Значительно обогатился ассортимент марочных столовых вин Самтреста новыми типами и марками вин. Хорошие результаты были получены также в опытах Научно-исследовательского Института виноградарства по производству шампанского в Икалтойском микрорайоне Кахетии.

Наиболее подходящими по климатическим условиям районами для производства Советского шампанского в Кахетии являются вся предгорная полоса Цивгомборского хребта выше главного шоссе, начиная с Панкисского ущелья (с. Биркиани) вплоть до города Телави, которая в большей своей части не занята виноградниками, и в Кабретском районе Гаре-Кахетии—предгорная полоса левого берега р. Иори от села Какабети до Чалоубани. В Кахетии выявились также подходящие районы для производства качественных коньяков, в основном, в левобережной Кахетии по полосе сел. Енисели-Шильда.

В настоящее время в Кахетии готовятся следующие типы и марки вин:

1. Столовые вина европейского типа. Белые вина этого типа получают из сортов Ркацители и Мцване. Среди них особенно выделяются марочные вина Самтреста „Напареули“, „Цинандали“, „Мукузани“, „Гурджаани“, „Манави“ и „Енисели“, а из сорта Мцване—„Миване“ и „Манавие Мцване“. Красные столовые вина готовятся из сортов Саперави и Каберне, из них особо выделяются марочные вина Саперави, „Напареули“, „Цинандали“, „Мукузани“, „Кварели“ и „Телвани“ из Каберне.

2. Столовые вина местного, кахетинского типа. Вина этого типа готовятся, в основном, из Ркацители и Саперави. Самтрест Грузии выпускает четыре марки этого вина: „Тибаани“, „Царапсби“, „Ркацители“ и „Саперави“. Почти во всех коллективных хозяйствах Кахетии вина готовятся, в основном, по кахетинскому способу, который отличается от европейского тем, что в создании вина кахетинского типа принимают участие во время брожения все составные части винограда (лозина, мякоть, сок и семена).

3. Крепкие и десертные вина. Вина указанного типа готовятся в юго-восточной части Кахетии (Гурджаанский и Сигнахский районы). Лучшие вина этого типа—крепкие и десертные—получаются в Карданахском микрорайоне; среди них наиболее известны марочные вина „Саамо“, „Карданахи“ и „Хирса“—типа портвейн; „Анага“—типа мадеры и замечательное „Хихви“—десертного типа.

Кроме указанных типов и марок вин, в Кахетии готовятся качественные коньячные материалы, из которых готовятся обычные и марочные коньяки. Среди марочных коньяков выделяются коньяки выдержанные, высшего качества и старые коньяки. В последнее время ассортимент марочных коньяков пополнился новой маркой „Енисели“, созданной лауреатом Сталинской премии В. Цицишвили.

В Кахетии широко известна также виноградная водка, которая в большом количестве готовится в колхозах Кахетии из выжимок винограда. Эта водка под названием „Кахетинской водки“ пользуется большим спросом на местных рынках.

Виноградные безалкогольные соки готовятся, в основном, в совхозах Самтреста из сортов Ркацители, реже Мцване.

Из перечисленных типов вин, в почвенно-климатических условиях большинства районов Кахетии, наиболее перспективным является столовое виноделие. И действительно, Кахетия является классической страной столового виноделия. Поэтому больше внимания и труда следует уделить созданию новых лучших марок вин по отдельным районам Кахетии.

Для правильного разрешения этой задачи в основу размещения сортов и специализации районов необходимо положить условия климата, почвы, биологические свойства сортов и опыт по виноделию с тем, чтобы поставить отдельные сорта винограда в наиболее благоприятные условия для получения больших урожаев качественной продукции. Но эта задача несколько усложняется чрезмерной чистотой почвенно-климатических условий Кахетии, требующей дифференцированного подхода к отдельным ее районам.

В ряде случаев мы не располагаем достаточными данными по характеристике климата и хозяйственно-технологических свойств культивируемых сортов, но этот пробел успешно может быть заполнен использованием богатого опыта наших совхозов и колхозов, накопленного по культуре и переработке многих сортов винограда, а также критическим использованием специальной литературы по указанным вопросам.

По районированию и специализации виноградарственных районов Кахетии имеются работы акад. С. Чолошавиди, проф. К. Модебадзе, гл. винодела А. А. Егорова, В. Бурджанадзе и И. Рихвадзе. Из них наиболее полные схемы районирования приведены в работах проф. Модебадзе и гл. винодела А. А. Егорова. К сожалению, характеристика микрорайонов Кахетии дана в основном на основе дегустационной оценки ограниченного количества образцов, которые, главным образом, приготовлены в совхозах и исторически известных селах Кахетии. В результате этого невольно создается впечатление, будто высококачественные вина получают только лишь в совхозах и исторически известных местах Кахетии. К тому же некоторые микрорайоны Кахетии, например Ахметский, проф. Модебадзе и гл. виноделом Егоровым охарактеризованы совершенно различно: первый из них характеризует белые вина Ахметского микрорайона как легкие, недостаточно экстрактивные, малоалкогольные, но свежие, а второй — как „великоценное, очень густое и по окраске и по экстракту, очень крепкое ароматичное, близко подходящее к самому дальнему своему соседу Карданахскому вину“. Указанное противоречие можно объяснить недооценкой сортового состава виноградников и недоучетом вертикальной и горизонтальной зональности расположения отдельных виноградников, которые и определяют, в основном, качество вин. В частности, в указанном микрорайоне в прошлом и сейчас распространены, наряду с Ркацителли как отдельно, так и в смеси с ним, несколько более ранние высокоценные сорта винограда: Мцване, Джананура (Хихви), Киси и другие, которые отдельно, чаще в смеси с Ркацителли, дают густо окрашенные, полные содержательные вина как кахетинского, так и европейского типов, разумеется, в зависимости от зонального расположения виноградных участков.

Поэтому в основу размещения сортов и специализации районов по типам производства необходимо положить биологические особенности сорта, условия климата и почвы, технику обработки виноградников и переработки винограда, с оценкой типа и качества получаемых вин в микрорайоне. Для примера возьмем правобережную часть Кахетии. Она начинается с Панкисского ущелья и тянется параллельно Цивгомборскому хребту с северо-запада на юго-восток, вниз по течению реки Алазани до села Дзвели-Анага на протяжении около 100 километров. В указанном направлении полоса эта постепенно понижается с 665 метров (с. Джоколо) до 273 метров (у села Цнорие-Цхали), за исключением полосы Икалто-Телави, где она опять повышается до 700 метров.

В соответствии с указанным меняются тип и качество вин: в северо-западной части этой полосы, в Панкисском ущелье, из имеющихся там незначительных виноградников (Биркиани, Джоколо, Дуиси, Ква-релцхлеби и др.) получают нежные, мало и средне-экстрактивные, легкие столовые вина в основном шампанского направления. Продолжение этой полосы с северо-запада на юго-восток от Ахметы до Телави дает более содержательные и экстрактивные вина. В этой полосе выше шоссе получают, в основном, качественные, преимущественно, белые столовые вина европейского типа; а ниже шоссе, от половины до одного километра в сторону Алазани, качественные столовые вина кахетинского типа.

При дальнейшем перемещении в том же направлении от Телави до Мукузани, вниз по течению реки Алазани, вина становятся еще более содержательными, полными. В этой полосе получают, в основном, высококачественные белые и красные столовые вина европейского и кахетинского типов.

В конечной — юго-восточной части полосы от Мукузани до Дзвели-Анага включительно вина становятся несколько более тяжелыми, высокоалкогольными и более экстрактивными. В этой полосе получают, в основном, столовые белые и красные вина кахетинского типа и материал для крепких и десертных вин. И действительно, самые высококачественные вина кахетинского типа и лучшие крепкосладкие и десертные вина Кахетии получают, в основном, в этой полосе.

Указанная закономерность изменения типов и качества вин с северо-запада на юго-восток значительно усложняется наличием в этой же полосе поперечной — вертикальной зональности от нижней террасы реки Алазани вверх по склонам гор, примерно, до высоты 700—800 метров над уровнем моря. Наличие этой зональности таким же образом влияет на изменение типов и качества вин, как и горизонтальной. Так, например, верхняя предгорная зона выше шоссе и железнодорожного полотна даст качественные

содержательные, свежие столовые вина, в основном, европейского типа. Средняя зона, расположенная ниже шоссе и полотна железной дороги — в начале долины на 0,5—1,0 километр, посередине на 1,5—2,0 километра и в конце на 3—4 километра в сторону Алазани — дает высококачественные белые и красные столовые вина кахетинского и европейского типов. Нижняя зона, расположенная вдоль Алазанского канала и ниже его, дает ординарные и среднекачественные, малогармоничные вина, в основном, кахетинского типа.

Нижеприведенная схема размещения сортов и специализации виноградарственных районов по основным видам использования и переработки винограда, при чрезвычайной пестроте почвенно-климатических условий, не может претендовать на особую точность специализации отдельных районов, но правильный подход к специализации районов, основанный на учете основных компонентов среды (сорт, климат, почва, техника производства и др.), в значительной степени может предостеречь нас от грубых ошибок.

В силу изложенного, Кахетия разбивается на естественные макрорайоны, последние — на ряд районов с учетом горизонтальной зональности их расположения, а районы — на нижнюю, среднюю и верхнюю зоны, начиная с нижней террасы реки Алазани вверх по склонам гор до современной черты распространения виноградников (800 метров) в Кахетии. Дальнейшая детализация их на отдельные микрорайоны требуют более подробного изучения и на основе его выделения сходных по микроклиматическим, почвенным, сортовым и другим условиям участков, дающих на протяжении ряда лет вина определенного типа и качества.

Виноградарственные макрорайоны Кахетии. Цивгомборский хребет, отходя от главного Кавказского хребта у горы Борбало и направляясь с северо-запада на юго-восток параллельно главному Кавказскому хребту, делит всю Кахетию на Цина Мхаре (переднюю сторону) и Укана Мхаре (заднюю сторону).

1. Цина Мхаре или Шигни Кахети (внутренняя Кахетия) расположена между главным Кавказским и Цивгомборским хребтами. Она представляет довольно широкую долину, которая расширяется наподобие треугольника от вершины к основанию вниз по течению реки Алазани.

2. Укана Мхаре или Гаре Кахети (внешняя Кахетия) расположена между Цивгомборским хребтом и Самгорской и Гареджской возвышенностями. Посередине этой долины в направлении с запада на восток протекает река Иори.

Цина Мхаре или Шигни Кахети, в свою очередь, делится на две части. Первая известна под названием Сакутрив Кахети (собственно Кахетия) и расположена в северо-западной части Алазанской долины, а вторая в юго-восточной части долины и известна под названием Кизикия (Кизикия).

Сакутрив Кахети делится рекой Алазанью:

- а) на Гамогма Мхаре или правобережную Кахетию и
- б) на Гагма Мхаре или левобережную Кахетию.

Таким образом, Кахетия по естественно-историческим и почвенно-климатическим условиям разбивается на следующие четыре крупные виноградарственные районы (макрорайоны):

1. Гамогма Мхаре или правобережная часть Кахетии,
2. Гагма Мхаре или левобережная часть Кахетии,
3. Кизикия или юго-восточная часть внутренней Кахетии,
4. Гаре Кахетия или Иорская долина (внешняя Кахетия).

Каждый из указанных макрорайонов, с учетом горизонтальной зональности, разбиваются на ряд (20) следующих виноградных районов:

1. Гамогма Мхаре в составе Дедисперульского, Ахметского, Икалтского, Цинандальского, Мукузанского, Гурджаанского и Карданахского районов,
2. Гагма Мхаре в составе Халацанского, Пшавельского, Напарсульского, Енисельского, Кварельского и Лагодехского районов,
3. Кизикия в составе Анагского, Дзвели Цнорского и Бодбисхевского районов,
4. Гаре Кахетия в составе Хашмского, Сагареджойского, Манавского и Качретского районов.

Каждый из приведенных 20 районов, в свою очередь, разбивается, в зависимости от вертикального расположения участков, на зоны — верхнюю, среднюю и нижнюю. По каждой зоне района указаны основное направление использования и переработки винограда с указанием стандартных и перспективных сортов винограда (см. таблицу).

РАЗМЕЩЕНИЕ СОРТОВ И СПЕЦИАЛИЗАЦИЯ ВИНОГРАДАРСТВЕННЫХ РАЙОНОВ КАХЕТИИ ПО ОСНОВНЫМ ТИПАМ ИСПОЛЬЗОВАНИЯ И ПЕРЕРАБОТКИ ВИНОГРАДА


Макрорайоны Кахетии	Виноградо-винодельческие районы	Основные зоны виноградо-винодельческих районов	Основное направление использования и переработки винограда	Основные и перспективные сорта винограда
1. Правобережная сторона Кахетии от села Биркиани (Панкисское устье) до с. Дзвели Анага (Сигнахский район) в составе Ахметского, Телавского и Гурджаанского административных районов.	1. Делнеперульский район в составе сел: Делнеперуля (Кавлвани), Биркиани, Дзюлоло, Дуиси, Кварелдхлеби, Сакобиано и др.  2. Ахметский район в составе сел: Матзани, Ахмета, Кистаури, Ахшани, Арашевда, Корубани, Земо-Ходашени и др.  3. Икалтинский район в составе сел: Анкури, Ожло, Икалто, Тогдури, Рунспари, Когото, Ахатели, Гулгула, Вардисубани и др.	а) Предгорья и склоны гор выше шоссе.  б) Склоны и равнинные места ниже шоссе.	Производство шампанских виноделий.  Среднекачественные, легкие белые и красные столовые вина, в основном, европейского типа.	Джанаура, Миване, Ркацители, Каберне, Шардоне, Фран и Шардоне.
		а) Верхняя зона. Предгорные склоны выше шоссе.  б) Нижняя зона. Склоны и ровные места до 1 километра ниже шоссе.	В основном, качественные, преимущественно, белые вина европейского типа и шампанские виноделия.  В основном, высококачественные белые и красные столовые вина европейского и казахского типов.	Джанаура, Миване, Ркацители, Горули Миване, Алготте, Ркацители, Каберне и Саперави.  Джанаура, Миване, Ркацители, Горули Миване, Алготте, Киси и Каберне.
		а) Верхняя зона. Склоны гор, расположенные выше шоссе (Ацкури, Икалто, Вардисубани и др.)  б) Средняя зона. Склоны и ровные места ниже шоссе до 1 километра: (Ожло, Хорхели, Рунспари).  в) Нижняя зона. Слабопокатые склоны и ровные места ниже средней зоны.	Белые и красные столовые вина европейского типа, в основном, качественные и производственно шампанских виноделий.  Преимущественно белые, в основном, высококачественные столовые вина европейского и кахетинского типов.  Ординарные, местами качественные, белые и красные столовые вина, в основном, кахетинского типа.	Джанаура, Миване, Алготте, Саперави, Каберне и Саперави бузешурисебури.  Джанаура, Миване, Ркацители, Киси, Читиствала, Каберне и Саперави.  Ркацители, Миване, и Саперави.
	4. Цинандальский район в составе сел: Курдгелаури, Шалаури, Кисисхеви, Бушати, Ванта, Квемо-Ходашени, Цинандали, Акура, Кондоли и др.	а) Верхняя зона. Предгорная полоса выше шоссе (Шалаури, Кисисхеви, Бушати, Ванта, Квемо-Ходашени и др.)  б) Средняя зона. Склоны и слабопокатые места, расположенные ниже шоссе на 1-1,5 килом. (Цинандали, Кондоли, Курдгелаури, Акура и др.)  в) Нижняя зона. Склоны и равнинные места ниже средней зоны в сторону Алазани (Кондоли, Тоглвани, Акура)	Качественные белые и красные столовые вина, в основном, европейского типа.  а) Производство столового винограда для снабжения городского населения и домов отдыха свежим виноградом б) Высококачественные белые и красные столовые вина, в основном, европейского типа.  Ординарные столовые белые и красные вина, в основном, кахетинского типа.	Джанаура, Миване, Читиствала, Ркацители, Каберне, Саперави и Саперави бузешурисебури.  Кахури-Садрео, Шаури, Бузешури, Гваджури и Ркацители.  Миване, Ркацители, Читиствала, Гривелутевана, Саперави и Каберне.  Ркацители, Читиствала и Саперави.
	5. Мукузанский район в составе сел: Шрома, Калаури, Шашвани, Уриатубани, Зегани, Мукузани, Ахашени и др.	а) Верхняя зона. Предгорные склоны выше шоссе (Шрома, Калаури, Шашвани, Уриатубани, Ахашени и др.)  б) Средняя зона. Склоны гор, расположенные ниже шоссе до равнины (Шрома, Калаури, Шашвани, Уриатубани, Зегани, Ахашени и др.)	Высококачественные белые и красные столовые вина европейского типа.  Качественные белые и красные столовые вина, в основном, кахетинского типа.	Джанаура, Миване, Читиствала, Ркацители, Саперави и Каберне.  Джанаура, Миване, Ркацители и Саперави.

Макрорайоны Кахетии	Виноградо-винодельческие районы	Основные зоны виноградо-винодельческих районов	Основное направление использования и переработки винограда	Основные и перспективные сорта винограда
	<p>6. Гурджаанский район в составе сел: Чумлаки, Кошки, Котеки, Гурджаани, Веджини, Колаги и др.</p> <p>7. Карданахский район в составе сел: Бакурцихе и Карданахи.</p>	<p>в) Нижняя зона. Слабопокатые и равнинные места вдоль и возле Алазанского канала.</p> <p>а) Верхняя зона. Склоны предгорной полосы выше шоссе (Чумлаки, Кошки, Котеки).</p> <p>б) Средняя зона. Склоны гор, расположенные между шоссе и полотною жел. дороги Цюри-Телави (Чумлаки, Веджини, Гурджаани, Колаги).</p> <p>в) Нижняя зона. Слабопокатые склоны и равнинные места между полотною железной дороги и Алазанским каналом (Гурджаани, Чумлаки, частично Веджини).</p>	<p>Ординарные белые и красные столовые вина кахетинского типа.</p> <p>Качественные белые и красные столовые вина европейского и кахетинского типов.</p> <p>а) Производство столового винограда для снабжения г. Гурджаани свежим виноградом.</p> <p>б) Высококачественные белые и красные столовые вина, в основном, кахетинского типа.</p> <p>Ординарные белые и красные столовые вина кахетинского типа.</p>	<p>Ркацители и Саперави</p> <p>Джанапура (Хлхви) Мивано, Читиствала, Киси, Саперави и Каберне.</p> <p>Кахури саадро, Шасли Ганджура, Будешури цители и Ркацители.</p> <p>Ркацители, Джанапура Мивано Киси и Саперави.</p> <p>Ркацители и Саперави.</p>
<p>2 Левобережная часть Кахетии от села Кортабуда (панзесское ущелье, до с. Тамариани (Лагодехской район) включительно в составе: Ахметского, Телавского, Кларельского и Лагодехского административных районов.</p>	<p>8. Халцанский район в составе сел: Кортабуда, Земо Халцани, Квемо-Халцани, Циубани, Корети и др.</p> <p>9. Пшавельский район в составе сел: Маграани, Аргохи, Пичхони, Хорбало, Земо-Алвани, Квемо-Алвани, Бабаеури, Лалискури, Пшавели и др.</p> <p>10. Напареульский район в составе сел: Джугаани, Артава, Саниоре, Напареули, Лананкури и др.</p>	<p>а) Верхняя зона. Предгорные склоны между шоссе и полотною жел. дороги.</p> <p>б) Нижняя зона. Слабо покатые склоны и равнинные места, расположенные ниже полотноя жел. дороги Телави Цюрис Цхали.</p> <p>Склоны предгорной полосы до равнины от села Кортабуда до села Керети.</p> <p>а) Верхняя зона. Склоны предгорной полосы и возвышенные места выше шоссе.</p> <p>б) Нижняя зона. Слабо покатые склоны и ровные места ниже шоссе (Хорбало, Земо-Алвани, Квемо-Алвани, Пшавели).</p> <p>а) Верхняя зона. Склоны предгорий, лежащие выше шоссе.</p> <p>б) Нижняя зона. Склоны и равнинные места, отстоящие до 1—1,5 км. от шоссе в сторону Алазани.</p>	<p>а) Высококачественные белые и красные вина кахетинского типа.</p> <p>б) Качественные крепкие и десертные вина.</p> <p>Качественные, в основном, белые столовые вина кахетинского типа.</p> <p>Легкие, в основном, белые столовые вина и материалы для советского шампанского.</p> <p>Качественные, легкие, свежие, в основном, белые столовые вина европейского типа и материал для шампанских вин.</p> <p>Ординарные, но склонам гор качественные белые и красные столовые вина, в основном, европейского типа.</p> <p>В основном высококачественные белые и красные с оловие вина, преимущественно, европейского типа.</p> <p>Качественные, местами ближе к шоссе высококачественные белые и красные столовые вина, в основном, европейского типа.</p>	<p>Джанапура, Мивано, Ркацители, Читиствала, Каберне и Саперави.</p> <p>Джанапура, Читиствала, Мускат белый, Ркацители.</p> <p>Мивано, Ркацители и Саперави.</p> <p>Алиготе, Горули Мивано, Ркацители, Каберне и Саперави будешури сабури.</p> <p>Джанапура, Алиготе, Мивано, Киси, Ркацители, Саперави и Каберне.</p> <p>Мивано, Киси, Ркацители и Саперави.</p> <p>Джанапура, Мивано, Киси, Ркацители, Каберне и Саперави.</p> <p>Киси, Мивано, Ркацители, Каберне и Саперави.</p>

Макрорайоны Кахетии	Виноградо-винодельческие районы	Основные зоны виноградо-винодельческих районов	Основное направление использования и переработки винограда	Основные и перспективные сорта винограда
	<p>11. Евисельский район в составе сел: Шарквани, Евисели, Сабуе, Грени, Азмати, Шилди и др.</p> <p>12. Кварельский район в составе сел: Кварели, Сацхенеси, Ахалсопели и Знобцани.</p> <p>13. Лагодехский район в составе сел: Кабали, Мхалгори, Бансубани, Лагодехи, Цодна, Карсубани, Орджоникидзе, Ацви, Делвани и др.</p>	<p>а) Верхняя зона. Возвышенные места и склоны предгорной полосы выше шоссе.</p> <p>б) Нижняя зона. Пологие склоны и равнинные места ниже шоссе в сторону Алазани (виноградники бывших сел Агдгома, Турвсидхе и др.).</p> <p>а) Верхняя зона. Слабо покатые склоны выше шоссе и ниже него до 1 км в сторону реки Алазани.</p> <p>б) Нижняя зона. Склоны и равнинные места, расположенные ниже верхней зоны.</p> <p>а) Верхняя зона. Возвышенные места и склоны гор, расположенные выше шоссе и ниже его до 1 км в сторону Алазани (Цодна, Кабали, Мхалгори, Бансубани, Гургениани, Широа, Лагодехи, Цодна и др.).</p> <p>б) Нижняя зона. Слабо и катые склоны и равнинные места, расположенные ниже верхней зоны в сторону Алазани.</p>	<p>Качественные, местами высококачественные, белые и красные столовые вина, в основном, европейского типа.</p> <p>Ординарные, местами ближе к шоссе, качественные, белые и красные столовые вина, в основном, европейского типа.</p> <p>Качественные, по возвышенным местам и склонам гор высококачественные красные и белые столовые вина европейского и отчасти кахетинского типов.</p> <p>Ординарные, местами ближе к верхней зоне качественные, белые и красные столовые вина в основном, европейского типа.</p> <p>Ординарные, по возвышенным местам и склонам гор качественные, белые и красные столовые вина, в основном, европейского типа.</p> <p>Ординарные красные и белые столовые вина и материал для производства ковяка.</p>	<p>Джанаура, Чистетвала, Ркацители, Каберне и Саперави.</p> <p>Мцване, Гюлцотли и Саперави.</p> <p>Мцване, Ркацители, Каберне и Саперави.</p> <p>Ркацители и Саперави.</p> <p>Мцване, Ркацители, Саперави и Каберне.</p> <p>Ркацители и Саперави.</p>
<p>3. Кизикви—юго-восточная часть правобережной Кахетии от сел Анага до села Беда в составе: Сигнахового и Цителухаройского административных районов.</p>	<p>14. Анагский район в составе сел Анага, Вакири, Машвард и др.</p> <p>15. Давали - Цворский район в составе сел: Цвори, Сакобе, Гужбати, Давали-Анага, Хирва и др.</p> <p>16. Болблехевский район в составе сел: Земо-Мачхаани, Квемо-Мачхаани, Болблехеви, Мирзаани, Арбошиси, Джугаани, Магаро, Нукриани и др.</p>	<p>а) Предгорные склоны выше полотна жел. дороги.</p> <p>б) Нижняя зона. Слабо покатые склоны и равнинные места ниже полотна железной дороги.</p> <p>а) Верхняя зона. Возвышенные места и склоны гор по шоссе Цвори-Табзани.</p> <p>б) Нижняя зона. Слабо покатые склоны и равнинные места ниже шоссе.</p> <p>а) Предгорные склоны и возвышенные места высотой 700—800 метров над уровнем моря.</p>	<p>Качественные белые и красные столовые вина, в основном, кахетинского типа.</p> <p>Ординарные красные и белые столовые вина, в основном, кахетинского типа и материал для крепко-сладких вин.</p> <p>Качественные белые и красные столовые вина, в основном, кахетинского типа и материал для крепко-сладких вин.</p> <p>Ординарные белые и красные столовые вина кахетинского типа.</p> <p>Легкие белые и красные столовые вина европейского типа.</p>	<p>Джанаура, Чистетвала, Ркацители и Саперави.</p> <p>Ркацители и Саперави.</p> <p>Джанаура (Хакви), Мцване, Ркацители и Саперави.</p> <p>Ркацители и Саперави.</p> <p>Алготе, Джанаура, Горули-Мцване, Чистетвала, Ркацители и Саперави.</p>

Макрорайоны Кавказа	Виноградо-винодельческие районы	Основные зоны виноградо-винодельческих районов	Основное направление использования и переработки винограда	Основные и перспективные сорта винограда
4. Гаре Кавказа (Норская долина) от Уджармы до Мелани вдоль южных склонов Цивилемборского хребта в составе Качретского и Сагареджинского административных районов	17. Хашмский район в составе сел: Хашми, Патардзеули, Сартичала, Муганло и др.	<p>б) Слабо покатые склоны и равнинные места по обе стороны Качрети - Цителцхаройского шоссе.</p> <p>а) Верхняя зона. В основном, южные склоны и возвышенные места по долине Хашми-Сартичала.</p> <p>б) Нижняя зона. Пологие склоны и равнинные места в сторону реки Алазани.</p>	<p>Ординарные, местами качественные, белые и красные столовые вина европейского и кавказского типов.</p> <p>Качественные белые и красные столовые вина, в основном, европейского типа.</p>	<p>Аляготе, Мцване, Ркацители, Саперави.</p> <p>Мцване, Чителцвала, Аляготе, Ркацители, Саперави, Бугеширсебури.</p>
	18. Сагареджинский район в составе сел: Ниноцминда, Гиорциминда, Дреидзе, Сагареджо, Тохлаури, Антхи, Мариамджвари, Бергубани и др.	<p>а) Верхняя зона. Предгорные склоны и возвышенные места вдоль Цивилемборского хребта.</p> <p>б) Нижняя зона. Слабо покатые склоны и равнинные места, расположенные ниже верхней зоны.</p>	<p>а) Производство столового винограда для снабжения близких промышленных центров (Тбилиси).</p> <p>б) Ординарные белые и красные столовые вина и материал для коньяков.</p> <p>Качественные белые и красные столовые вина, в основном, европейского типа.</p>	<p>Шавли, Мехвильцвала, Бугешири, Гауджури и Ркацители.</p> <p>Горули Мцване, Аляготе, Саперави и Саперави Бугеширсебури.</p> <p>Аляготе, Горули-Мцване, Мцване, Ркацители, Саперави и Саперави Бугеширсебури.</p>
	19. Манавский район в составе сел: Тараки, Бурдвани, Манави, Чайлури, Какабети и др.	<p>а) Верхняя зона. Возвышенные места и предгорные склоны вдоль Цивилемборского хребта.</p> <p>б) Слабо покатые склоны и равнинные места, расположенные ниже верхней зоны.</p>	<p>Ординарные, местами качественные, белые и красные столовые вина европейского и кавказского типов.</p> <p>Высококачественные, в основном, белые столовые вина европейского типа.</p> <p>Ординарные, местами качественные, белые и красные столовые вина европейского типа.</p>	<p>Аляготе, Ркацители, Мцване и Саперави.</p> <p>Мцване, Киси, Аляготе, Ркацители, Саперави и Саперави Бугеширсебури.</p> <p>Аляготе, Мцване, Ркацители и Саперави.</p>
	20. Качретский район в составе сел: Кандаура, Шиблани, Качрети, Джимити, Нанцани, Кодадо, Звари, Иховели, Мелвани, Чалаубани и другие.	<p>а) Верхняя зона. Склоны и возвышенные места вдоль Цивилемборского хребта.</p> <p>б) Нижняя зона. Слабо покатые и равнинные места в сторону реки Иори.</p>	<p>Производство шампанских виноматериалов и легких столовых вин.</p> <p>а) Ординарные, местами качественные, белые и красные столовые вина.</p> <p>б) Столовый виноград для вывоза в ближайшие центры (Тбилиси).</p>	<p>Аляготе, Нинофран, Горули-Мцване, Ркацители, Саперави и Саперави Бугеширсебури.</p> <p>Аляготе, Мцване, Ркацители и Саперави.</p> <p>Шавли, Мехвильцвала, Бугешири, Гауджури и Ркацители.</p>





## ს ა ფ ე რ ა ვ ი

საფერავი ვაზის მთავარი საწარმოო ჯიშია კახეთში. იგი საუკეთესო წარმომადგენელია ვაზის წითელი ჯიშების მსოფლიო ასორტიმენტისა. განსაკუთრებით მაღალი ღირსების წითელ სუფრის ღვინოს იგი იძლევა თავის სამშობლოში, კახეთში, ხოლო საუკეთესო მაგარ და სადესერტო ღვინოს—ყირიმსა და უზბეკეთში.

ს ი ნ ო ნ ი მ ე ბ ი. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივი მევენახეთა გადმოცემით, საფერავი ცნობილია აგრეთვე სხვადასხვა დამატებითი სახელწოდებით. ეს აიხსნება იმით, რომ საფერავი მეტად ძველი ჯიშია, რის გამოც იგი მდიდარია სახეშეცვლილი ფორმებით—ვარიაციებით. სწავლული მევენახეები: ზ. ჯორჯაძე, ს. ქვარციანი და პ. ავერკინი ასხვავებდნენ მართალ, კრუ, მამალ, დედალ, ბუდეშურისებურ, მსხვილმარცვალა და წვრილმარცვალა საფერავს. რუსი მეცნიერი ფ. კოლენატი ასხვავებდა ერთმანეთისაგან დიდ, პატარა და საადრეო საფერავს. ამათ გარდა ფრანგულ ამპელოგრაფებში (პიულია, ოდარი, ვიალა და ვერმორელი) მოხსენებულია აგრეთვე დიდი საფერავი, პატარა საფერავი, კახეთის საფერავი და საფერავი კრიკინა (ალბათ უნდა იყოს კრიკინა დ. ტ.)

ამ ვარიაციების მომეტებული ნაწილი გადარჩენილია და შეგროვილი და დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო და სარეპროდუქციო ნაკვეთებზე.

ჯ ი შ ი ს ი ს ტ ო რ ი ა. საფერავი ქართული ვაზის ჯიშია. იგი წარმოშობილია ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოქმნის ადგილობრივი კერიდან. პირდაპირი მითითებანი საფერავის წარმოშობის დროისა და ადგილის შესახებ, ისევე როგორც საერთოდ სხვა ქვეყნების ძველი ჯიშების შესახებ, დაცული არაა. აკად. ივანე ჯავახიშვილის ცნობით, საქართველოს სამეურნეო ისტორიის ძეგლები XIII საუკუნემდე თითქმის არ არის დაცული. მიუხედავად ამისა, სხვა არაპირდაპირ მონაცემებზე დაყრდნობით მიახლოებით მაინც შესაძლებელია საფერავის წარმოშობის ადგილისა და დროის გარკვევა.

ამ მხრივ აღსანიშნავია ჯიშის ბიოლოგიური თავისებურებანი, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა იქნეს მოხსენებული ჯიშის არაჩვეულებრივი სიმდიდრე ვარიაციებით, რაც საფერავის გარდა არც ერთ ქართულ ჯიშს არ ახასიათებს.

ეს სიმდიდრე შეიძლება აიხსნას საფერავის კულტურის დიდი სიძველით. დროთა განმავლობაში ადგილი ჰქონდა გარემო პირობების ხშირსა და ძლიერ ცვლებადობას, რასაც შეეძლო გამოეწვია ამ განსხვავებული ფორმების წარმოქმნა.

საფერავის უძველეს ჯიშად გულისხმობენ იძლევა აგრეთვე მისი შემკვიდრობითი ნიშნების—ფოთლის ქვედა მხარის სქელი აბლაბუდისებური (ქეჩისმაგვარი) შებუსუსების, მარცვლის მუქი ინტენსიური შეფერვის და სხვ.—დომინირება. საფერავის თვითგანაყოფიერებული თესლებიდან ჩვეულებრივი ვაზისაგან განსხვავებული ზოგაერთი დატოტვილი და მომრგვალო ფორმის ნათესარის აღმოცენებამ ნება მისცა პროფ. ა. მ. ნეგრულს გამოეთქვა შეხედულება, რომ „ზოგაერთი ახლა გავრცელებული ჯიში შეიძლება წარმოადგენდეს იმ ძველ ფორმას, რომელიც იღებს თავის საწყისს რამდენიმე ათასი წლის წინათ წარმოქმნილი ნათესარისაგან“.

ამავე შეხედულებას, ოღონდ სულ სხვა საბუთიანობით, სახელდობრ, გარეული და კულტურული ვაზის ჯიშების ყვავილის ტიპის შესწავლის საფუძველზე, გამოთქვამენ აკად. ს. ჩოლოყაშვილი და დოც. ნ. ჩახნაშვილი. მათი დასკვნით, „ეს ჯიშები (ლაპარაკია საფერავსა, რქაწითელსა და ჭყაპზე დ. ტ.) შესაძლოა წარმოადგენდნენ პროტოტიპს იმ ჯიშებისას, რომლებიც დგანან გარდამავალ საფეხურზე გარეულ და კულტურულ ვაზებს შორის და ამის მიხედვით ერთი უძველეს ჯიშთაგანი არიან“.

დასასრულ, ძველი ისტორიკოსების: ქსენოფონტეს, ჰეროდოტეს, სტრაბონის და სხვათა გადმოცემით, ევროპულ სახელმწიფოთა პოლიტიკური ცხოვრების გარიჟრაჟზე საქართველოში ფართოდ იყო განვითარებული

რებული და ყვაოდა მევენახეობა და მეღვინეობა. ყოველივე ეს გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ზოგერთი ახლა გავრცელებული ჯიში მომდინარეობს იმ დროიდან ან წარმოადგენს უძველესი ჯიშების უახლოეს შთამომავალს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველი, განსაკუთრებით უცხოური, ცნობები საფერავის წარმოშობის შესახებ არასწორია და ზოგჯერ დამახინჯებულად წარმოგვიდგენენ საქმის ვითარებას. მეცნიერ-მკვლევართვის საკმარისია დავასახელოთ გერმანული ჟურნალი „Die Weinlaube“, რომელშიაც დაბეჭდილია შემდეგი ნაწილი და არასწორი ცნობის თანახმად, საფერავი რეკომენდებულია გერმანიისათვის, „როგორც საბერძნეთის და ყირიმის ჯიში, გავრცელებული კახეთის ნიებში“.

სამწუხაროდ, აკად. ს. კორეინსკის „ყირიმის ამპელოგრაფიაშიც“ არაა სწორად გაშუქებული საფერავის წარმოშობის საკითხი. იქ საფერავის შესახებ შემდეგი სწერია: „საფერავი დასავლეთ აზიის ჯიშია. იგი ძლიერ გავრცელებულია კავკასიაში, გუბონმა იგი მიიღო პალესტინიდან. მასმა და პიულამ საფერავის სახელწოდებით მიიღეს კავკასიიდან 5 სხვადასხვა, მაგრამ მონათესავე ვარიაციები“-ო.

მოყვანილი ცნობები საფერავის წარმოშობის შესახებ იმდენად მცდარი და უსუსურია, რომ მათს გაბათილებას ჩვენ არ შევუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საფერავის მასობრივი გავრცელება კახეთში, ის ფაქტი, რომ მას აქვს ქართული სახელი, აღვნიშნული ჯიშის დამახასიათებელი თვისებისა, ჯიშის დიდი სიმდიდრე განსხვავებული ფორმებით და აგრეთვე ადგილობრივი ჯიშების უმრავლესობასთან მსგავსი მორფოლოგიური და სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებები ნათლად ადასტურებენ საფერავის ადგილობრივ წარმოშობას და მის დიდ სიძველეს.

აკად. ი. ჯავახიშვილის ცნობით თავდაპირველად საფერავი ძველ ქართულ პროვინცია შავშეთ-კლარჯეთში ყოფილა გავრცელებული. აქ იგი რამდენიმე საუკუნით უფრო ადრე ჩანს გავრცელებული, ვიდრე ქართლში, სადაც საფერავი, წყაროების მიხედვით, მხოლოდ XVI საუკუნის დასაწყისშია მოხსენიებული. საფერავი „ვახტანგ VI-ის დასტურლამალში გვხვდება იტენის ზერების შესახებ დებულებაში, მაგრამ, სახელს ვაჩნდა არაფერი მოიპოვება“. ამის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ საფერავის წარმოშობის მერად შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო, ძველი კოლხეთი უნდა ვიგულოთ. შემდეგ მას გადმოუნაცვლებია აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ქართლზე გავლით იგი საბოლოოდ მკვიდრდება კახეთში უკვე XVII საუკუნის ბოლოს. ამ დებულების სასარგებლოდ დაპირაკობს აგრეთვე ჯიშის ბოტანიკური ნიშნებიც (ფოთლის ქვედა მხარის სქელი ქერისმაგვარი შებუსება და სხვა), რომელთა მიხედვით იგი უფრო ახლო დგას კოლხეთის, ვიდრე ალაზნის ხეობის ფორაათა წარმოშობის კერის ჯიშებთან.

საქართველოდან საფერავი თანდათან გავრცელდა მეზობელ ქვეყნებში. აზერბაიჯანში იგი გავრცელდა ძირითადად ძველ ქართულ პროვინცია საინგილოდან, სადაც საფერავი და რქაწითელი ახლაც ბლომად მოიპოვება საკუთარ ძირზე როგორც დაბლარის, ისე ნაწილობრივ მაღლარის სახითაც. სომხეთში საფერავი უფრო ნაკლებად გავრცელებული; იქ იგი ძირითადად გვხვდება საქართველოს მოსაზღვრე — ალავერდის, შამშადილის და იჯევანის რაიონებში, დაღესტანში საფერავი კახეთიდან გავრცელდა ძირითადად დარუბანდისა და მაზაჩყალის რაიონებში.

ყირიმში საფერავი უშუალოდ საქართველოდან არის შეტანილი. გ. ცაბელის ცნობით, საფერავი პირველად მაგარაჩში გაუშენებიათ 80—100 ძირას რაოდენობით 1853 წელს. ჩვენის აზრით, საფერავი ყირიმში უფრო ადრე უნდა იყოს შეტანილი. აკად. ი. ჯავახიშვილს თავის კაპიტალურ ნაშრომში აღვნიშნული აქვს, რომ იასე ცინცაძეს მეფისნაცვლის არქივში უპოვნია საქმე № 1759, საიდანაც ირკვევა რომ 1847 წელს ყირიმიდან საქართველოში მოვლინებული ყოფილან მებაღეები: ი. ფრიკი და ს. ფედოროვი თესლებისა და მცენარეების შესაგროვებლად. მათვე პქონდათ დავალებული ქართული ვახის ჯიშების აღწერა, დახასიათება, სახელწოდებათა ფიქსირება და სხვ. როგორც იქვეა აღვნიშნული, ეს პირები დაბრუნებულან იალტაში 1847 წლის 14 ნოემბერს და თან წაუღლიათ 5 დიდ ყუთში ჩალაგებული შეგროვილი მასალა.

საფიქრებელია, რომ სწორედ ფრიკისა და ფედოროვის მიერ უნდა იყოს საფერავი პირველად ყირიმში ჩატანილი 1847 წელს. მ. ცაბელის მიერ მითითებული 1853 წელი უნდა იყოს საფერავის არა პირველად შეტანის, არამედ მისი შემდგომი გამრავლების თარიღი, რადგანაც სავარაუდოა, რომ 80—100 ძირის რაოდენობით უცნობ ჯიშს არ გააოცდიდნენ.

საქართველოდან და ყირიმიდან საფერავი თანდათან ვრცელდებოდა ყოფილი რუსეთის იმპერიის მევენახეობის დანარჩენ რაიონებში. კრასნოდარის მხარეში საფერავი გავრცელებულია ძირითადად შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, დონზე საფერავი პირველად გაშენდა რაზორის მევენახეობის სკოლის ნაკვეთზე

ხუტორ პუბლიკაციაში დაახლოებით 1906 წელს. შუა აზიაში საფერავი შეტანილია ევროპულ ჯიშებთან ერთად დაახლოებით 1860 წლიდან.

საზღვარგარეთ, ძირითადად საფრანგეთში, საფერავი მოხვდა ქუთაისში მცხოვრები ფრანგი ლონგეილის მეოხებით. ლონგეილი სისტემატურად უგზავნიდა საფრანგეთში ქართული ვაზის ჯიშებს ამპელოგრაფ პიულას. ასე, მაგალითად, 1868 წელს ლონგეილმა იმერეთის ვაზის 25 ჯიშში გაუგზავნა პიულას. ამათ შორის საფერავი წარმოდგენილი იყო 3 სხვადასხვა სახესხვაობით. 1875 წელს გუგუნიძემ ამათში საფერავის ორი სახესხვაობა ერია, სახელდობრ, კახეთის საფერავი და საფერავი კრიკინა (ალბათ კრიკინა უნდა იყოს დ. ტ.). პიულას გარდა საფერავი ჰქონდათ გაშენებული გუილონს, ოდარს და სხვებსაც. ამპელოგრაფ ოდარის ცნობით, ჯერ კიდევ 1874 წელს საფერავის ნერგების შექმნა შეიძლებოდა ბორდოში Chartons-თან, მონპელიეში Mares თან და ბელგიაში Papeleu-სთან.

საფერავის შეღარებით ფართო გავრცელება როგორც საბჭოთა კავშირის მევენახეობის რაიონებში, ისე ნაწილობრივ საზღვარგარეთაც გამოიწვევლია ამ ჯიშის უდავოდ მაღალი სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებებით (მოსავლიანობა, ღვინის ხარისხი, ყინვის გამძლეობა და სხვ.).

ნიკიტის ბაღის დირექტორი პარტვისი, გ. ცაბელი, ფრანგი ამპელოგრაფი ოდარი და სხვები საფერავს მეტად მაღალ შეფასებას აძლევენ. მაგალითად, ამპელოგრაფი ოდარი პარტვისის ცნობაზე დაყრდნობით შემდეგს სწერს: „ყველაფერი უფლებას მაძლევს ვიფიქრო, რომ წითელი ღვინის დასაყენებლად საფერავი ყველა არსებულ ყურძნის ჯიშს სჯობია და შემოდია იგი სრულიად შეგნებულად გირჩიოდ ფართოდ საცდელად“-ო.<sup>1</sup>

ჯიშის გავრცელების თანამედროვე არეალი. საფერავი გავრცელებულია საბჭოთა კავშირში მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში. ჯიშის ძირითადი მასივები საქართველოში, უმთავრესად კახეთისა და ქართლის რაიონებშია თავმოყრილი.

ვენახების მთლიანი პასპორტიზაციისა და აღრიცხვის მასალების მიხედვით 1940 წლის პირველ სექტემბრისათვის საფერავს ექირა 2737,6 ჰა ვენახი. საფერავის ვენახების ხვედრითი წონა საქართველოს ვენახების მთელ ფართობთან შედარებით შეადგენს მხოლოდ 4%-ს, ხოლო კახეთში მისი ხვედრითი წონა არ აღემატება 16%-ს. ძველად ფილოქსერის გავრცელებამდე, კახეთში საფერავის ხვედრითი წონა გაცილებით უფრო დიდი იყო და 25%-ს აღწევდა. რადგანაც საფერავი ფილოქსერას სუსტად უძლებს, იგი აღრე ამოვარდა და ამის გამო უნებლიეთ გაიზარდა ხვედრითი წონა რქაწითელისა, რომლის უმყნობი ვენახები ახლაც საკმაოდ დიდი რაოდენობითაა კახეთში. დღეს აუცილებელია გაიზარდოს ამ ძვირფასი ჯიშის ხვედრითი წონა ახალ ვენახებში მომეტებულად საფერავის გაშენების საშუალებით.

საქართველოს მეზობელ რესპუბლიკებში ყველაზე მეტად საფერავი აზერბაიჯანშია გავრცელებული. იქ იგი ძირითადად კახის, ზაქათალის, შამქორისა და კიროვანადის რაიონებში მოიპოვება დაახლოებით 75 ჰა ფართობზე.

სომხეთში საფერავი გავრცელებულია ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში შედარებით მცირე ფართობზე. 1927 წლიდან დაიწყო საფერავის ფართო მასშტაბით გაშენება არარატის ტრესტის საბჭოთა მეურნეობაში. გვეგმით განსრავებული იყო საფერავის გაშენება 253 ჰა ფართობზე 1944 წლის ბოლოსათვის. დაღესტანში საფერავი გაშენებულია ძირითადად საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში დაახლოებით 33,6 ჰექტარ ფართობზე ძირითადად დარუბანდისა და მახაჩყალის რაიონებში.

ყველაზე მეტად საფერავი გავრცელებულია ყირიმში. იქ მას ვენახების მთელი ფართობის 3% უჭირავს. 1940 წლის 1 იანვრისათვის საფერავის ფართობი ყირიმში 300 ჰექტარს აღწევდა. საფერავის ძირითადი ფართობი განლაგებულია ყირიმის სამხრეთ სანაპირო ზედა ტრამალიანი ყირიმის კოლმეურნეობებში.

შუა აზიის რესპუბლიკებში საფერავი ყველაზე უფრო გავრცელებულია უზბეკეთში — ორჯონიკიძის, კალინინის, ზემო ჩირჩიკის, იანგი-ულის, ჩიპაზისა და ბულუნგურის რაიონებში. 1940 წლის ვენახების აღწერის მიხედვით საფერავს უზბეკეთში 255,2 ჰექტარი უჭირავს. აქედან უზბეკდენოს 10 საბჭოთა მეურნეობაში მას ექირა 147 ჰექტარი ვენახი. ყაზახეთში მას 61,3 ჰექტარი უჭირავს. შუა აზიის დანარჩენ რესპუბლიკებში საფერავი ნაკლებადაა გავრცელებული და შედარებით მცირე ფართობი უჭირავს.

რუსეთის საბჭოთა ფედ. სოც. რესპუბლიკაში საფერავი უფრო გავრცელებულია ორჯონიკიძისა და კრასნოდარის მხარეში — შავი ზღვის სანაპირო რაიონებში დაახლოებით 156 ჰექტარზე. ამ მხარის დანარჩენ რაიონებში იგი მოიპოვება 20 ჰექტარამდე. დონზე საფერავი სუსტად არის გავრცელებული და

1. აკად. ი. ჯავახიშვილი, 1935 წ.

**საფერავის ფართობის განლაგება საქართველოს ადმინისტრაციულ რაიონებში**

(1940 წლის აღრიცხვის მასალების მიხედვით)

ცხრილი

მევენახეობის რაიონები	ადმინისტრაციული რაიონები	საფერავის ფართობი ჰექტარებში	ვენახების საერთო ფართობი ჰექტარებში	საფერავის ნარგავის % მთელ ფართობთან შედარებით
1	2	3	4	5

**ა. აღმოსავლეთ საქართველო**

I კახეთი	1. თელავის რაიონი	793,41	3949,49	20,09
	2. გურჯაანის "	628,86	4816,07	13,0
	3. ყვარლის "	491,6	1700,85	28,90
	4. საგარეჯოს "	362,31	1527,33	23,72
	5. სიღნაღის "	90,09	1981,63	4,66
	6. წითელწყაროს რაიონი	16,52	506,52	3,26
	7. ლაგოდეხის "	13,53	768,68	1,81
	სულ . . . . .		296,72	15200,57
II ქართლი	1. მცხეთის რაიონი	45,41	1,089,41	4,17
	2. თბილისის "	40,54	342,64	11,83
	3. კასპის "	21,60	1,344,07	1,61
	4. დუშეთის "	16,29	196,75	8,28
	5. თეთრიწყაროს რაიონი	6,44	302,12	2,13
	6. გორის "	4,27	2,226,52	0,19
	7. ქარელის "	1,43	553,51	0,23
	8. ხაშურის "	—	746,82	—
სულ . . . . .		135,89	6.801,82	2,0
III სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	1. სტალინის რაიონი	4,18	245,02	1,7
	2. ლენინგორის "	0,09	93,65	0,10
სულ . . . . .		4,27	556,65	0,77
IV მარნეულისა და ბოლნისის რაიონები	1. ბოლნისის რაიონი	31,8	1721,11	1,85
	2. მარნეულის "	14,26	502,50	2,84
	3. გარდაბნის "	0,99	180,24	0,55
სულ . . . . .		47,05	2403,85	1,96
V მესხეთ-ჯავახეთი	1. ანაღვიზის რაიონი	0,01	2,33	0,42
	2. დმანისის "	6,55	17,5	37,43
სულ . . . . .		6,56	20,28	32,35
სულ აღმოსავლეთ საქართველოში		2590,58	24982,65	10,37

**ბ. დასავლეთ საქართველო**

VI იმერეთი	1. ზესტაფონის რაიონი	18,77	4574,05	0,41
	2. ბაღდადის "	5,38	2174,76	0,25
	3. ტყიბულის "	4,34	801,05	0,54
	4. ქუთაისის "	1,81	1157,50	0,16
	5. ვანის "	0,75	1896,55	0,4
	6. წყალტუბოს "	0,04	451,04	0,009
სულ . . . . .		31,09	20862,68	0,149

VII სამგრაელო	1. ჩხოროწყუს რაიონი	0,07	1519,66	0,005	
VIII გურია	1. ლანჩხუთის რაიონი	5,58	839,70	0,66	
	2. შაჩხაძის "	0,13	1273,41	0,01	
	4. ჩონატაურის "	0,04	1784,18	0,002	
	სულ . . . . .		5,75	3,897,29	0,15
IX რაჭა-ლეჩხუმი	1. ონის რაიონი	57,15	560,79	10,19	
	2. ამბროლაურის რაიონი	26,88	1718,96	0,56	
	3. ცაგერის "	11,97	2260,55	0,53	
	სულ . . . . .		96,0	4,540,25	2,11%
X აფხაზეთის ასსრ.	1. სოხუმის რაიონი	7,83	1097,89	0,71	
	2. გუდაუთის "	5,48	1075,25	0,51	
	3. გაგრის "	0,76	388,98	0,20	
	სულ . . . . .		14,07	4858,38	0,29
XI აჭარის ასსრ.	1. ქედის რაიონი	0,03	114,67	0,03	
	სულ დასავლეთ საქართველოში		147,01	42047,77	0,35
	სულ საქართველოში		2737,59	67,030,42*	4,084



\* მთლიან ფართობში შედის აგრეთვე მალლარი ვენახები.

ძირითადად საკოლექციო და ჯიშთა გამოცდის ნაკვეთებზე გვხვდება. დაახლოებით ასეთსავე მცირე ფართობზეა (12,7 ჰა) გაშენებული საფერავი უკრაინაშიაც.

მთლიანად საბჭოთა კავშირში 1940 წლის 1 სექტემბრისათვის საფერავს ეჭირა 3653,68 ჰექტარი ფართობი. ეს ფართობი ცალკეული რესპუბლიკების მიხედვით შემდეგნაირად იყო განაწილებული (იხილეთ ცხრ. 2).

**საფერავის ფართობის განლაგება საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში**  
(1940 წლის 1 სექტემბრისათვის)

№ რიგ.	შევენახვობის მხარის დასახელება	ფართობი ჰექტარებში
1.	საქართველოს სსრ	2737,59
2.	რუჟეთის "	472,40
3.	უზბეკეთის "	255,24
4.	აზერბაიჯანის "	74,35
5.	ყაზახეთის "	61,30
6.	დაღესტანის ასსრ	33,60
7.	უკრაინის სსრ	12,70
8.	სომხეთის სსრ	6,5

სულ საბჭოთა კავშირში 3653,68 ჰა.

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, მთელი ფართობის დაახლოებით 80% მოდის საქართველოზე, დანარჩენი 20% საბჭოთა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებზე.

**ჯიშის ბოტანიკური აღწერა**

საფერავის ბოტანიკური აღწერა შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტულ ბაზაზე ს. ურიათუბანში. საკოლექციო ვენახი გაშენებულია ცივ-გომბორის მთის კალთაზე 556 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ნიადაგი გადამპალა-კარბონატულია და კალცი

მის კარბონატების საკმაოდ დიდ რაოდენობას შეიცავს (20%-დან A ჰორიზონტში 65%-მდე C ჰორი-  
ზონტში). მექანიკური შემადგენლობით იგი მძიმე ქვეთიხნარია და ზედა ჰორიზონტში ჩონჩხის საშუალო  
რაოდენობას შეიცავს. ვენახი დაბლარია, გაშენებულია 1926 წელს, ვაზი გაფორმებულია ცალხრივი  
შპალერის წესით მავთულსე. ვაზის კვების არე უდრის 2,15 კვად მეტრს. შტამბის სიმაღლე უდრის 50—55  
სანტიმეტრს.

**ახალგაზრდა ყლორტი.** ახალგაზრდა, 15—20 სმ სიგრძის მოზარდი ყლორტები გვირ-  
გვინით და ბარველი ორი, ჯერ კიდევ გაუშლელი, ფოთოლაკით შეზუსტულია სქელბიჭვანულა ბუსუ-  
სით და შეუყრილია თეთრი ფლანელის ფერად ღია ვარდისფერი არშიით ახალგაზრდა ფოთოლაკების  
ირგვლივ და მათი ყუნწის გასწვრივ, მეორე (ქვედა) იარუსის ფოთლებზე (3—4) შებუსვა ზედა მხრიდან  
მცირდება და ისინი იღებენ მოყვითალო მწვანე ფერს, ქვედა მხრიდან კი შებუსვის შეუმცირებლობის  
გამო ისინი ინარჩუნებენ მორუხო თეთრ ფერს სუსტი მოვარდისფრო ფერდაკრულობით. ახალგაზრდა  
ყლორტი თავის ფუძისაკენ გადანაცვლებისას თანდათან კარგავს შებუსვას და იღებს ბაც მწვანე ფერს.  
ფოთლის ილღობში მსხდარი ახალგაზრდა კვირტების წვეროები შეფერილია აგრეთვე მკვეთრი ვარდის-  
ფერი არშიით.

**ერთწლიანი რქა.** შემოსული ერთწლიანი რქა საკმაოდ მსხვილია (7,5—8,0 მმ) და აქვს ჯი-  
ნისათვის დამახასიათებელი ფხვიერი მეტქანი. შემოდგომით, ყურძნის საესებით დამწიფების შემდეგ, რქა  
იღებს მოწითალო ვარდისფერ შეფერვას. მუხლთაშორისები საშუალო (8—10 სმ) სიგრძისაა, მუხლები  
კარგადაა გამოსახული და უფრო სქელი და მუქად შეფერილია, ვიდრე მუხლთაშორისები.

**ფოთლი.** ზრდადამთავრებული, შუა იარუსის (9—12) ფოთლები საშუალო ზომისაა (20—22 სმ).  
ფოთლის ფორფიტა მომრგვალო, იშვიათად კვერცხისებრია, ღია მწვანე ფერისაა და საკმაო უხეშია შე-  
ხებისას. უფრო ხშირად ფოთლები სამნაკეთიანია (სამყურთიანია), იშვიათად გვხვდება ხუთნაკეთიანი ან ოდ-  
ნავ დანაკეთილი, თითქმის მთლიანი ფოთლებიც. ფოთლის ზედაპირი ბადისებრ დანაკეთებულია, იშვიათად  
იგი წვრილბუთბუთებია. ფოთლის ნაკვეთები განიერია და ოდნავ წამოწეულია ზევით.

ზედა ამონაკვეთები საშუალო სიღრმისაა ან ხშირად უფრო ზეზეურია, ვიდრე ღრმა. ამონაკვეთების  
ფორმა უფრო ხშირად ჩანგისებურია, ვიწროყელიანი და მახვილფუძიანი ან ოვალურია და მახვილ-  
ფუძიანი. იშვიათად ამონაკვეთი ღიაა, ოდნავ შესამჩნევი, ან, პირიქით, დახურულია მომრგვალო თვლით.

ქვედა ამონაკვეთები უფრო სუსტადაა განვითარებული. ჩვეულებრივ იგი ზედაზე უმცროსია, ან ხან-  
დახან სულ არ არის წარმოდგენილი. ამონაკვეთის ფორმა ნაპრაღისებური ან ჩანგისებურია პარალელურ  
გვერდებთან, იშვიათად იგი ოდნავ შესამჩნევი და შეჭრილია კუთხისებრ.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა ცვალებადობს ღია თაღისებრიდან დახურულ ვიწრო ელიფსურ თაღე-  
ბიან ამონაკვეთამდე. უფრო ხშირად გვხვდება ვიწროყელიანი, მახვილფუძიანი ჩანგისმაგვარი ამონაკვე-  
თები, უფრო იშვიათია დახურული ამონაკვეთები თითისტარისებური (ოვალური) ფორმის თვლით. თა-  
ვისუფალ მღვომარეობაში, გვერდითი ნაკვეთების წინ (ზეზე) წამოწევის გამო, ყუნწის ამონაკვეთი ხში-  
რად დახურული გვეჩვენება.

ფოთლის მთავარი ძარღვები უფრო ხშირად ბოლოვდება განოხნეკილგვერდებთან, მახვილწვერიან  
სამკუთხედისებრი ან გუმბათისმაგვარი კბილებით. დანარჩენი კბილები ჩვეულებრივ ამოხნეკილგვერდებთან,  
მახვილწვერიანი სამკუთხედისებრი ფორმისაა ან, უფრო იშვიათად, ხერხბილისებრ-სამკუთხედისებრია.  
ფოთლის ქვედა მხარის შებუსვა საკმაო სქელია, იგი უფრო ქერისებურია, ვინემ აბლაბუდისებური. ქერი შემ-  
დგარია ჰორიზონტალურად განლაგებული აბლაბუდისებური ბეწვისა და ვერტიკალურად აღმართული  
ჯაგრისმაგვარი ბუსუსებისაგან. ფოთლის ზედა მხარე შიშველია, ოდნავ შესამჩნევი აბლაბუდისებრი ბეწ-  
ვით ძარღვების გასწვრივ.


ფოთლის ყუნწი შიშველია, ოდნავ შესამჩნევი აბლაბუდისებური ბეწვით, უფრო იშვიათად, და ისიც  
ქვედა იარუსის ფოთლებზე, იგი დაფარულია თხელი ჯაგრისებური ბუსუსით. ყუნწი ჩვეულებრივ მოკლეა  
ფოთლის მთავარ ძარღვზე ან, უფრო იშვიათად, მისი ტოლია. ყუნწი მომწვანო ფერისაა ჩვეულებრივ,  
უფრო იშვიათად იგი მოწითალო ღვინისფერისაა.

**ყვავილი.** ყვავილი ორქესიანია, კარგად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით. ყვავილში  
ხუთი მტვრიანაა, იშვიათად გვხვდება ექვს და უფრო იშვიათად ოთხმტვრიანის ყვავილებიც. მტვრიანები  
ოდნავ გრძელია ბუტკოზე. მტვრიანის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან უდრის 1,0—1,2-ს.  
იშვიათ შემთხვევაში ეს შეფარდება აღწევს 1,5-სა და მეტსაც. ნასკვი პატარა და სურისმაგვარი ფორ-  
მისაა. დიხვი კარგადაა გამოსახული, სვეტი კი მოკლეა.

**მტევანი.** საფერავის მტევანი საშუალო ზომისაა, მისი სიგრძე მერყეობს საშუალოდ 13--21 სანტიმეტრს შორის, ხოლო სიგანე 7,5-დან 12 სანტიმეტრამდე აქვს. მტევნის ფორმა დიდად არ ცვალბადობს. ჩვეულებრივ, მტევანი განიერი კონუსისებურია, ფუძესთან დატოტვილი, იშვიათ შემთხვევაში, მტევნის ცალკეული მხრების გადაზრდის გამო, მტევანი კარგავს თავის ფორმას. მტევნილად საფერავის მტევანი თხელია, იშვიათად კი იგი საშუალო სიმკვრივისაა ხდება. მტევანში საშუალოდ 100-120 მარცვალია. მტევნის საშუალო წონა კახეთში 140—160 გრამს აღწევს. მტევნის ყუნწის სიგრძე მერყეობს 4—6 სანტიმეტრს შორის, საშუალოდ იგი 4—5 სანტიმეტრს უდრის. ყუნწი მკვრივსებური, გაუზვევებელია, მოსაწყვეტად ადვილი, მწვანე ფერისა, ბოლოში ხევდება და იღებება რქის ფერად. მარცვლის ყუნწი წყრილი, მოგრძო (6—8 მმ) და გლუვია. მარცვლის საჯდომი ბალიში ვიწრო კონუსისებურია, იშვიათად, განიერ კონუსისებურ, ხშირად - ხორკლებიანი, იშვიათად გლუვი. მარცვლის საჯდომი ბალიში შეფერილია ღია წითლად; ეს შეფერილობა მარცვლების დამწიფებისას გადადის აგრეთვე მარცვლის ყუნწედაც.

**მარცვალი.** მარცვალი საშუალო ზომისაა, მისი სიგრძე მერყეობს 13—20 მილიმეტრს, ხოლო სიგანე 12-დან 18,5 მილიმეტრს შორის. საშუალო მარცვლის ზომა შეადგენს 16×14,5 მმ. მარცვლის ფორმა ოვალურია, შუა წელში იგი განიერია, ბოლო კი მომრგვალო აქვს. მარცვლის ფერი მუქი ლურჯი, თითქმის შავია. ცვილისებური ფიფქი მარცვალზე კარგადაა განვითარებული. მარცვლის კანი თხელია, მაგრამ მაგარი. რბილი ნაწილი წვნიანია, ადვილად დნება, ოღონდ ოღნავ მაგარია მარცვლების ირგვლივ. მარცვლის გემო სასიამოვნო ტკბალია, ოღნავ ხალისიანი. წიბების რიცხვი მარცვალში ცვალბადობს 1-დან 4-მდე; ათას მარცვალზე ერთწიბვიანები შეადგენენ 20%-ს, ორწიბვიანები 56%-ს, სამწიბვიანები 21%-ს და ოთხწიბვიანები 3%-ს. ამრიგად, საშუალოდ მარცვალზე მოდის 2,07 წიბვა.

**წიბვა.** წიბვის სხეული მოგრძო-მომრგვალო ფორმისაა და ნისკარტისავენ თანდათან ვიწროვდება. წიბვის სიგრძე საშუალოდ შეადგენს 7,0 მმ, განი 4,0 მმ. წიბვის სხეული ღია ყავისფერია, მაგრამ ნისკარტისაგან განაჯცვლებისას მოყვითალო ფერი დაპკრავს, ქალაქა მომრგვალოა და ოღნავ ჩაზნექილია შიგნით. ღარტაფი ქალაქიდან ნისკარტისაკენ სუსტადაა გამოსახული. წიბვის მუცლის მხარე ქედლიანია. ღარები მუცლის მხარეზე საკმაოდ რძაა და ყვითელი ფერისაა. ნისკარტის სიგრძე საშუალოდ შეადგენს 2 მმ. იგი ზემოდან ღია ყავისფერია, ქვემოდან კი ოღნავ წარინჯისფერი. ნისკარტი მეკეკებიანია, მისი წვერი მიხრილია მუცლის მხარეს.



სურ. 1  
საფერავის ყვავილი.

**ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება**

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, რომელიც გაშენებულია ცივგომბორის სუსტად დაქანებულ ფერდობზე 540 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან და მდებარეობს ს. კურდღელაურში, 3—4 კილომეტრის დაშორებით ქ. თელავიდან. ფენო ფაზები დაკავშირებულია მეტეოროლოგიურ მონაცემებთან. საფერავი სიმწიფის საშუალო პერიოდის ვახის ჯიშია. კახეთში საფერავი ცალკეული წლების მიხედვით მწიფდება სექტემბრის მეორე ნახევრიდან ოქტომბრის პირველ ნახევრამდე. ყველაზე ადრე საფერავი უზბეკეთში მწიფდება. აქ მას კრეფენ სუფურის ღვინისათვის აგვისტოს ბოლო რიცხვებში და მაგარი და სადესერტო ღვინის დასამზადებლად სექტემბრის დასაწყისში. სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობა ჰაერის პირობებთან დაკავშირებით მოცემულია ქვემოთ მოყვანილ მე-3 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა (კვირტის გაშლიდან ყურძნის სრულ სიმწიფემდე) ცალკეული რაიონების ჰაერის პირობებთან დაკავშირებით საგრძნობლად ცვალბადია. რაც უფრო ჩრდილოეთით მდებარეობს მევენახეობის რაიონი, მით უფრო გრძელდება სავეგეტაციო პერიოდი, რადგანაც ძნელდება ჯიშისათვის საჭირო აქტიურ ტემპერატურათა ჯამის დაგროვება. სამხრეთ განედებზე, პირიქით, დღეღამური ტემპერატურის მაღალი დონის გამო, სავეგეტაციო პერიოდი საგრძნობლად მოკლდება. მაგალითად, უკრაინის ჰაერის პირობებში საფერავის სავეგეტაციო პერიოდი გრძელდება 164 დღემდე მაშინ, როდესაც შუა აზიის რესპუბლიკებში იგი 26 დღით უფრო მოკლეა და გრძელდება 148 დღეს.

საფერავის მარცვლების სრულ მომწიფებისათვის საჭირო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ჩრდილოეთ რაიონებში განისაზღვრება საშუალოდ 3200 გრადუსით (ნოვოჩერკასკი—3037°, ოდესა—3180°), სამხ-

**საფერავის საფეგეტაციო ფაზების მსვლელობა მევენახეობის სხვადასხვა რაიონში**

ცხრილი 3

№ რიცხვი	მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წ ი ლ ი	მევენახეობის ფაზების დაწყების თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დღეებში	ჯამი ტემპერატურისა მეორეისა და მესამეისა დასაწყისიდან	საშუალო ტემპერატურა
			მარტის გაშლა	აპრილი	სინჯიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			
1	კახეთი, საქ. მეც. აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტი, ქ. თელავი	1940—1945	17/4	11/6	20/8	23/9	155	3 182°	6 წლის საშ.
2	ხესტაფონი, საქარის საცდელი სადგ. ქ. ნოეთნერკასკი, მევენახეობის ინსტიტუტი	1943—1948	24/4	11/6	22/8	18/9	143	2 980,9°	
3	ქ. თელავი, მევენახეობის ინსტიტუტი	1940—1945	13/4	4/6	13/8	21/9	162	3 382°	6 წლის საშ.
4	ქ. თელავი, მევენახეობის ინსტიტუტი	1938—1940	25/4	12/6	14/8	16/9	141	3 037°	
5	ქ. კიროვობაძე, მევენ. ზონ. სადგური	1932—1937	25/4	11/6	14/8	14/10	164	3 189	6 წლის საშ.
6	ქ. კიროვობაძე, მევენ. ზონ. სადგური	1940	9/4	1/6	1/8	16/9	160	3 500	
7	ქ. აღმატა, ყაზახეთის მიწათ მოქ. ინსტიტუტი	1940	27/4	14/6	14/9	23/9	148	3 242	—
8	ქ. აღმატა, ყაზახეთის მიწათ მოქ. ინსტიტუტი	1927—1937	18/4	8/6	7/8	19/9	150	—	
9	ქ. კრასნოდარი, რსფსრ	1940	4/4	17/5	20/7	20/8	138	—	—
	ქ. კრასნოდარი, რსფსრ	3 წლის საშ.	25/4	30/5	26/8	10/9	137	—	—

რეთ რაიონებში კი, თბიერების სწრაფ დაგროვებასთან დაკავშირებით, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი იზრდება 3500 გრადუსამდე ალბათ, ვაზის მიერ გამოუყენებელი თბიერების ხარჯზე.

ამასთან დაკავშირებით, საფერავის ახალ რაიონებში გავრცელების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყურძნის სრული დამწიფებისათვის საჭირო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, რომელიც ადვილი დასადგენია მევენახეობის ჩრდილო რაიონებში და რომელიც საფერავისათვის საშუალოდ შეადგენს 3200°-ს.

კახეთის პირობებში საფერავის ერთწლიანი რქები ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდისათვის სავსებით ასწრებენ მომწიფებას. ყველგან, სადაც კი საფერავის მარცვლები სრულად მწიფდება, მისი რქებიც ფოთოლცვენის მომენტისათვის თავისუფლად ასწრებენ მომწიფებას 100—120 სმ სიგრძეზე.

საფერავი ზრდის ღონის მიხედვით უნდა მიეკუთვნოს საშუალო ზრდის მქონე ჯიშების ჯგუფს. ზოგიერთი რაიონის ჰავისა და ნიადაგის პირობებში, მაგალითად, შუა აზიის რესპუბლიკებში, კრასნოდარის მხარეში, დონზე, ძირითადად ღონიერ და ნოყიერ ნიადაგებზე საფერავი უფრო ღონიერად იზრდება.

მოსავლიანობა. საფერავი, სხვა ქართულ ჯიშებთან ერთად, ადრე იძლევა პირველ მოსავალს. დირველ ნიშანს საფერავი იძლევა დარგვიდან მეორე წელს, მესამე წელს იგი იხამს თითქმის ნახევარს სრული მოსავლისას, სრულ მოსავლიანობას კი საფერავი აღწევს დარგვის მეოთხე წელს. კახეთის პირობებში საფერავი საშუალოზე მეტ მოსავალს იძლევა. ძველად კახეთის საუფლისწულო მამულებში საფერავის უმცრობი ვენახები 2 კვად. მეტრ კვების არის პირობებში საშუალოდ იძლეოდნენ 65—70 ცენტნერ ყურძენს. ყველაზე დიდ მოსავალს საფერავი იძლეოდა მუკუზნის, შემდეგ კი წინანდლისა და ნაფარეულის მეურნეობებში. ზოგიერთი ნოყიერნიადაგიანი ნაკვეთი 100—150 ცენტნერ ყურძენს იძლეოდა ერთ ჰექტარზე, ასეთი იყო მუკუზნის ჯგუფში—ჩუმლაყი და კიკიანთეული და ნაფარეულის ვენახების ჯგუფში ფურბანთეული და სანიორე.

ამავე საბჭოთა მეურნეობების ნამყენი ვენახები უკანასკნელ წლამდე შედარებით უფრო ნაკლებ მოსავალს იძლეოდა, ხირსის, გურჯაანისა და ყულარის საბჭოთა მეურნეობის გამოკლებით. ეს აიხსნება, ერთი მხრივ, იმით, რომ ასეთი წლის მანძილზე ვაზის უცვლელმა კულტურამ გამოიწვია ნიადაგის გაღარიბება და, მეორე მხრივ, იმით, რომ ვაზის კვების არე ზედმეტად იქნა გადიდებული, ხოლო ამის შესაბამისად არ წარმოებდა მოსავლიანობის ზრდისათვის საჭირო სხვა ფაქტორების გადიდება.

უკანასკნელ წლებში გადამწყვეტ აგროლონისძიებათა გატარებით მკვეთრად გაუმჯობესდა ვენახების მოვლა-დაწესება. ამის შედეგად მოსავლიანობამ საგრძნობლად გადააჭარბა ომის წინაღობინდელ დონეს.

საფერავის მოსავლიანობის დასახარისხებლად მოგვყავს მონაცემები საფერავის მოსავლიანობის შესახებ სამტრედიის საბჭოთა მეურნეობებში (ცხრილი 4).

როგორც ცხრილიდან ჩანს, კახეთში საფერავი კარგ მოსავალს იძლევა. მაღალ მოსავალს იძლევა საფერავი მევენახეობის სხვა რაიონებშიაც. ყირიმში, კ. ხონინის ცნობით, საფერავმა გამოკვილი 15 ჯიშს შორის მოსავლიანობით მე-4 ადგილი დაიჭირა, ხოლო წითელ ჯიშებს შორის მეორე ადგილი. კრასნოდარის მხარეში საფერავის მოსავლიანობა მერყეობს 35, 2 ცენტნერიდან (პრასკოვის სკოლა) 70—78,4 ცენტნერამდე (მისხაკო, ორჯონიკიძის მხარე).



პროფ. გოგოლ-იანოვსკის ცნობით, საბჭოთა მეურნეობა „აბრეუ დურსო“-ში საფერავმა 1924 წელს პირველი ადგილი დაიკავა მოსაველიანობით (118 ცენტნ.) და გადაჭარბა მოსაველით აბრეუდურსოს პირუბებში ისეთი მაღალმოსაველიან ჯიშს, როგორცაა ალიგოტე. კარგი მოსაველის იძლევა საფერავი აზერბაიჯანშიაც. აზერბაიჯანის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ცნობით, საფერავის მოსაველი საბჭოთა მეურნეობა ყარაეჩიში 5 წლის მანძილზე საშუალო იყო 70,92 ცენტნერი ჰექტარზე. უფრო მეტ მოსავლას იძლევა

საფერავის მოსაველიანობა სამტრესტის საბჭოთა მეურნეობებში

(1938-1941 წლები)

ცხრილი 4

საბჭოთა მეურნეობის დასახელება	1938 წ.			1939 წ.			1940 წ.			1941 წ.			შენიშვნა
	ფართობი ჰექტარში	მოსაველი ჰექტ-ზე	მთლიანი მოსაველი	ფართობი ჰექტ-ში	მოსაველი ჰექტ-ზე	მთლიანი მოსაველი	ფართობი ჰექტ-ში	მოსაველი ჰექტ-ზე	მთლიანი მოსაველი	ფართობი ჰექტ-ზე	მოსაველი ჰექტ-ზე	მთლიანი მოსაველი	
1 წინანდლის საბჭოთა მეურნეობა	58,26	16,6	967,6	65,69	41,8	2747,1	65,69	18,3	1202,3	68,53	43,3	2748,7	ზოგიერთ წლებში მოსაველის არანორმალური შემცირება გამოწვეულია სეტყვისგან
2 ნაფარეულის " "	57,54	35,0	2,006,2	57,34	58,7	3363,2	57,34	2,8	129,4	57,34	51,5	2954,1	
3 მუკუბნის " "	50,45	23,1	1,165,7	50,45	15,3	774,4	50,45	22,6	1,136,9	50,45	38,2	1926,4	
4 კარდანაზის " "	7,72	40,6	313,4	7,72	8,4	64,7	7,72	15,2	117,5	7,72	56,7	438,0	
5 ყვარლის " "	110,93	11,3	1,259,0	110,93	26,9	2965,0	110,93	3,1	314,0	110,93	17,5	1936,4	
6 ხირსის " "	26,85	56,5	1,516,2	29,14	109,9	3,202,9	29,16	64,9	1891,4	30,21	82,8	2502,6	
7 " 4 წლიანი ვენახი	2,29	60,7	138,9	0,02	385,0	7,7	1,0	50,1	52,6	—	—	—	
8 მანაეის საბჭოთა მეურნეობა.	6,4	51,6	330,3	6,4	73,8	472,5	6,4	34,5	229,8	6,4	52,8	338,0	
9 ყულარის " "	11,96	60,6	724,8	11,96	67,5	807,3	11,96	76,8	918,3	11,96	78,2	395,1	
10 გიაურ არხის " "	0,89	33,9	30,2	0,89	25,5	22,6	0,87	19,5	17,0	0,89	38,7	34,4	
11 გურჯაანის " "	3,35	52,0	174,2	3,35	108,8	364,5	3,35	68,3	228,9	3,35	72,0	241,3	
12 თელავის " "	1,62	65,8	105,8	1,62	17,8	28,8	1,62	3,3	5,4	1,62	34,6	56,0	
სულ . . .	364,67	—	9208,9	36572	—	153974	36572	—	69095	344,4	41,0	14111,6	

ლევა საფერავი დაღესტანში. მევენახეობის ზონალური სადგურის ცნობით, დარუბანდში სამი წლის მანძილზე (1937-1939) საფერავის საშუალო მოსაველი უდრიდა 102,1 ცენტნერს, ხოლო ყიზლარის რაიონში საბჭოთა მეურნეობა „პროლეტარ“-ში ორი წლის 1937-1938 წ. საშუალო მოსაველი — 140 ცენტნერს. ყველაზე მაღალ მოსაველს საფერავი შუა აზიის რესპუბლიკებში იძლევა. უზბეკეთში აკკოვაციის საცდელ სადგურზე მევენახე რიზამატ მუსაბუხამედოვმა თითოეულ ჰექტარზე მიიღო 1931 წელს 164 ცენტ., 1935 წ. 230 ცენტ., ხოლო 1936 წელს 100 ცენტნერი ყურძენი.

ამრიგად, როგორც მოყვანილ მონაცემებიდან ირკვევა, საფერავი მოსაველიანობის მხრივ პირველ ადგილს იჭერს მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში.

ყვავილცვენა და წვერილმარცვლიანობა. ყვავილცვენა ჩვეულებრივი მოვლენაა ვაზის ჯიშებში, ხოლო ზოგიერთმა ჯიშმა ნორმალურზე ჭარბი ყვავილცვენა იცის. საფერავიც ამ ჯიშთა წყებას ეკუთვნის. მისი ყვავილცვენის პროცენტი საგრძნობლად ცვალებადობს რაიონის, ჰავის საძირის, ასაკისა და სხვა ფაქტორთა გავლენით. ქვემოთ მოგვყავს მარცვლის გამონასკვის პროცენტები მევენახეობის სხვადასხვა რაიონის მიხედვით.

მევენახეობის რაიონის დასახელება	ადგილის დასახელება	მარცვლების გამონასკვის ცვალებადობა %-ში	მარცვ. გამონასკვის მოტ. საშ. პროცენტები	შენიშვნა
1 საქართველოს სსრ, ვახეთი	ს. ურიასუბანი	33,2 - 47,5	40,3	
2 " " " "	ქ. თელავი	21,6 - 27,0	24,3	
3 " " " ქართლი	ს. მუხრანი	40,0 - 51,3	45,65	
4 რუსეთის სფსრ, კრასნოდარის მხარე	ანაპა	21,0 - 33,0	27,0	
5 " " " " ყირიმი	მაგარანი	35,0 - 55,0	45,0	

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, მარცვლის გამონასკვის პროცენტი მერყეობს საშუალოდ 24,30%-დან 45,65%-მდე. შედარებით დაბალი გამონასკვის % თელავში უნდა მიეწეროს საძირის რუბესტრის დულოს-გავლენას. ამ მონაცემების საფუძველზე საფერავი შეიძლება მიეკუთვნოს ჯიშების იმ ჯგუფს, რომელთაც ახასიათებს დაყვავილების საშუალო პროცენტი (35-55% მ. ლაზარესკის მოხელის).

წვრილმარცვლიანობა საფერავს არ ახასიათებს, იშვიათად, არახელსაყრელი ამინდის შემთხვევაში საფერავის წვრილმარცვლიანობა საშუალოდ არ აღემატება 5-6%-ს, თუ ყვავილცვენაში წვრილმარცვლიანობის პროცენტი ნორმალურს ასცილდა, ამის საწინააღმდეგოდ გამოყენებული უნდა იქნეს მობარდი ყლორტების წაწყვეტა ყვავილობის წინ ან მის დასაწყისში.

ჯიშის გამძლეობა სხვა დასხვა ფაქტორების მიმართ. მილდიუსა და ნაცარს საფერავი შედარებით კარგად უძლებს. განსაკუთრებით კარგად უძლებს საფერავი ნაცარს. ამ მხრივ იგი პირველ ადგილს იკერს კახეთის სტანდარტული ვახის ჯიშების — რქაწითლის, მწვანის, ხიხვისა და კაბერნეს შორის. შედარებით სუსტად უძლებს საფერავი მილდიუსს დასავლეთ საქართველოში და ნაცარს ყირიმსა და დაღესტანში. მევენახეობის ყველა დანარჩენ რაიონში საფერავი შედარებით კარგი გამძლეა. ფილოქსერას საფერავი თითქმის ვერსად (საქართველო, აზერბაიჯანი, უკრაინა) ვერ უძლებს და იღუპება მისგან პირველ რიგში.

ყინვას საფერავი შედარებით კარგად უძლებს. როგორც ცნობილია, ყინვებისადმი გამძლეობა დამოკიდებულია ჯიშზე, ნაკვეთის ექსპოზიციასა და რელიეფზე, ერთწლიანი რქების მომწიფებისა და კვების ხარისხზე, ნიადაგის თვისებებზე და სხვა ფაქტორების გავლენაზე. თავის სამშობლოში, კახეთში, მთავარ საწარმოო ჯიშებთან — რქაწითელთან და მწვანესთან — შედარებით საფერავი ნაკლებ გამძლეა და მათთან შედარებით უფრო მეტად ხიანდება ყინვებისაგან. მევენახეობის სხვა რაიონებში დასავლეთ ევროპის ჯიშებთან შედარებით საფერავი ყინვისადმი გამძლეობის მიხედვით საპატიო ადგილს იკერს. პროფ. ბოლგარევის ცნობით, ყირიმის მთიან რაიონებში 1933-1934 წ. წ. განსაკუთრებით ცივ ზამთარში მინუს 18,9° C პირობებში საფერავმა გამძლეობით სხვა ჯიშებთან შედარებით მეოთხე ადგილი დაიკირა. ნ. ხილკევიჩის ცნობით, იმავე ყირიმში, ალუშტის მეურნეობაში, 1939-1940 წლის ზამთარში, როცა ტემპერატურა მინუს 27°-მდე დაეცა, გამძლეობის მხრივ საფერავმა პირველი ადგილი დაიკირა (კვირტის დაზიანება 28%-ით) ყველაზე უფრო ყინვის გამძლე ჯიშის რისლინგის შემდეგ (კვირტების დაზიანება 20%-ით) კიროვადის რაიონში (ა. გუკასოვის ცნობით), ანაპაში (ნ. ბაპონოვის ცნობით), დარუბანდში (მ. პეტელის ცნობით), შუა აზიის რესპუბლიკებში (ი. კონდოს ცნობით) საფერავი ყინვებს კარგად უძლებს. პროფ. ა. ნეგრულისა და ი. კონდოს მიერ ჩატარებული სპეციალური ცდების შედეგად (ვაზის სხვადასხვა ჯიშების ხელოვნური გაყინვა 8 დღელამის განმავლობაში მინუს 20° ყინვის დროს) საფერავმა პირველი ადგილი დაიკირა ყველაზე ყინვაგამძლე ჯიშ რილინგის შემდეგ.

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

საფერავი ტიპური საღვინე ჯიშია. მისი გადამამუშავების მთავარი მიმართულება განისაზღვრება, ძირითადად, რაიონის ეკოლოგიური პირობებით: ზომიერ-თბილპავიან რაიონებში — ყურძნის წვენიის ქიმიური შემადგენლობის შესაბამისად — ამზადებენ წითელ სუფრის ღვინოს, ხოლო ცხელპავიან რაიონებში — ძირითადად, მაგარ და საღვინეტო ღვინოს.

ყურძნის მექანიკური შემადგენლობის ქვემოთ მოყვანილი მაჩვენებლები უფლებას იძლევა მივაკუთვნოთ საფერავი წმინდა საღვინე ვახის ჯიშების ჯგუფს.

მიუხედავად იმისა, რომ ყურძნის მექანიკური და ქიმიური შემადგენლობის მაჩვენებლები საგრძნობლად ცვალებადია ადგილმდებარეობის, წლის მეტეოროლოგიური პირობების, რთვლის ვადის და სხვა მონენტების გავლენით, მაინც ძირითადად წყვეტს ჯიშის გადამამუშავების ამა თუ იმ მიმართულების ამორჩევის საკითხს. მასალები ყურძნის მექანიკური შემადგენლობის გასაცნობად და მევენახეობის რაიონებში მისი ცვალებადობის შესასწავლად მოცემულია მე-მ ცხრილში.

საგრძნობლად ცვალებადია აგრეთვე ყურძნის წვენიის ქიმიური შემადგენლობა ცალკეული რაიონების და წლების ეკოლოგიური პირობების შესაბამისად. ცნობები ცალკეული წლებისა და რაიონების მიხედვით ყურძნის წვენიის ქიმიური შემადგენლობის ცვალებადობის შესახებ მოყვანილია მე-მ ცხრილში. ცხრილიდან ჩანს, რომ საფერავი თითქმის ყველა რაიონში კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება: მაღალმაქრიანობასთან ერთად ინარჩუნებს ზომიერ სიმკვავიანობას.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. საფერავი საუკეთესო ჯიშია მღვინეობისათვის. იგი საუკეთესო მასალას იძლევა თითქმის ყველა ტიპის ღვინისათვის, თავის მაღალ თვისე-

ბებს საფერავი მათლიანად მხოლოდ განსაზღვრულ მაკრო და მიკრორაიონის ნიადაგებისა და ჰაერის პირობებში ამჟღავნებს.

ეს პირობები მალაღმარისხოვანი ღვინის მისაღებად სრულად არის მოცემული სუფრის ღვინისათვის კახეთში, ხოლო სადესერტო ღვინისათვის—უზბეკეთში. კახეთის წითელი ღვინოები თავისი ინტენსიური მუქი ბროწეულის ფერით, ზომიერი სიმკვრივით, ენერგიით, სისრულითა, სიხალისით, თავისებურად მკვრივად არ გამოატიოთ და სიძველის ძლიერი ბუკეტით არ ჩამოუვარდება მსოფლიოში საუკეთესოდ მიჩნეულ ბორდოს და ბურგუნდიის ღვინოებს.

იგივე შეიძლება ითქვას საფერავისაგან დამზადებულ კავორის ტიპის უზბეკურ სადესერტო ღვინოზედაც. და მართლაც, სამარკო ღვინო „უზბეკისტანი“ თავისი ინტენსიური მუქილალისფერი შეფერვით, სისრულით, ჰარმონიულობით, ხავერდოვნებით, დამახასიათებელი ჯიშური არომატით და ძლიერი ბუკეტით რომელშიაც გამოსტევივს შავი მოცხარის იერი, ცხადია, არ ჩამოუვარდება მსოფლიოს საუკეთესო კავორებს—ამ მარკის ცნობილ საზღვარგარეთულ ნიმუშებს.

საფერავის მტევნის მექანიკური შემადგენლობის მაჩვენებლები მევენახეობის სხვადასხვა რაიონში ცხრილი 5

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების დეილი	წელი	მტევნის საშ. წონა	მარცვლების საშ. რაოდენობა მტევანში	მტევნის შემადგენელი ნაწილები %						100 მარცვლის წონა გრამებში	100 წიპწის წონა გრამებში	შენიშვნა
				მტევნის საფრთხე		მტევნის სიხარბე		მტევნის მკვრივე				
				წვენი	წვენი და სიხარბის მაგარი ნაწ.	კლერტი	კლერტის დაობილების მაგარი ნაწ.	კანი	წიპა			
<b>საქართველოს სსრ</b>												
კახეთი, ქ. თელავი	1941	135,2	92,4	83,88	86,75	8,25	19,37	10,01	3,36	141,2	4,10	6 წლის სამ.
ს. ურიათუბანი	საშე	157,73	109,0	81,70	85,79	3,34	13,70	10,31	3,09	148,2	4,25	
<b>რუსეთის სსრ</b>												
ყარბონი, მაგარაჩი	1930	161,0	121,0	83,1	88,3	2,7	10,8	7,6	3,2	129,0	—	
დონი, ქ. ნოვოჩერკასკი	1940	93,0	52,0	81,3	85,4	3,5	14,3	10,2	4,1	170,2	—	
დაღესტანი, ქ. დარუბანდი	1940	172,7	185,0	81,54	85,74	2,4	15,26	11,03	4,2	92,0	—	
<b>უკრაინის სსრ</b>												
ქ. ოდეშა, ინსტიტუტი	1938	165,0	117,0	82,6	86,3	3,4	14,2	10,3	3,7	97,1	—	
<b>აჭრბაიჯანის სსრ</b>												
ქ. კირთაბადი	1944	112,72	83,6	84,0	88,2	2,8	13,2	9,0	4,2	127,0	—	
<b>შუა აზია</b>												
მეშენარეობის ინსტიტუტის შუა აზიის სადგურა	1935	121,8	74,5	85,7	89,21	4,78	9,48	5,97	3,51	156,3	3,29	
	1939	230,8	167,0	89,6	92,58	2,79	7,45	4,47	2,98	134,15	2,20	
<b>ყაზახეთის სსრ</b>												
ქ. ალმა-ატა, მიწათმოქმედების ინსტიტუტი	1940	115	93,0	87,0	90,6	3,5	8,13	5,9	3,4	120,0	2,95	

ბურგუნდიის ტიპის საუკეთესო სუფრის წითელი ღვინოებს იძლევა კახეთში საფერავი ალაზნის მარჯვენა მხარეზე ცაკ-ვოშოვარის მთების სუსტად დაქანებულ კალთებზე, ძირითადად, საშუალო და ძლიერ ლიწიან გადმალა კარბონატულ ნიადაგებზე. ასეთია ზემო ხოლაშნის, წინანდლის, შაშიანის, ურიათუბნის, ახაშნის, მუყუზნის, გურჯაანის და სხვა კლასიკური წითელი ღვინოები.

ბორდოს ტიპის შედარებით უფრო რბილ, სრულ, ჰარმონიულ ხავერდოვან ღვინოებს იძლევა საფერავი ალაზნის მარცხენა მხარეზე მთავარ კავკასიონის მთის წინა ზოლში, ძირითადად, საშუალო ჩონჩიან ალუვიალურ-კარბონატულ და ალუვიალურ-არაკარბონატულ ნიადაგებზე. ასეთია ყვარლის (ქინძმარაულის), ნაფარეულის, საბუის, ართანის (სანავარდო) და სხვ. მაღალი ღირსების წითელი ღვინოები.

ადგილობრივი ტიპის საუკეთესო, ძლიერ, სხეულიან, მეტად მდიდარ, სრულ, წითელ ღვინოებს

საფერავი იძლევა კარდანახისა და ბაკურციხის მიკრორაიონში, ძირითადად, ყავისფერ და მუქ ყავისფერ ტყის ნიადაგებზე. მექანიკური შემადგენლობით ეს ნიადაგები არ არის შიშვე, ამასთან საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიცავს კალციუმის კარბონატებს, რკინას და კაჟნარს, რომლებიც მატებენ ლენოს ინტენსიურ შეფერვას, სხეულს, სისრულეს, ჰარმონიულობას და ძლიერ ბუკეტს.

**საფერავის ყურძნის წვენი შაქრიანობა და მჟავიანობა მევენახეობის სხვადასხვა რაიონში**

ქვემოთაღნიშნული 6

	მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	წელი	თარიღი	შაქრიანობა %/‰-ით	მჟავიანობა %/‰-ით	განმარტების წესი
I	<b>საქართველოს სსრ</b>	1940—1944	—	21,4	9,4	ხუთი წლის საშუალო
1.	თელავი, მევენახეობის ინსტიტუტი . . . . .	1946	15/IX	21,6	9,51	
2.	ს. ურიათუბანი, ინსტ-ტის ბაზა . . . . .	1945	1/X	22,5	11,2	
3.	კარდანახის საბჭოთა მეურნეობა . . . . .	1944—1945	18/IX	24,1	8,23	ორი წლის საშუალო
4.	ხესტაფონი, საქარის საცდელი სადგური . . . . .	1940—1942	—	25,1	5,2	სამი წლის საშუალო
		1943—1944	30/X	27,9	7,1	ორი წლის საშუალო
II	<b>რუსეთის სსრ</b>					
5.	ყირიმის სამხრეთ სანაპირო	1903	21/9	27,9	7,5	
6.	ყირიმის სამხრეთ, მაგარაჩი . . . . .	1939	22/9	27,0	6,0	
7.	საბჭოთა მეურნეობა გურზუფი . . . . .	1939	21/9	24,8	9,8	
8.	საბ. მეურნეობა „პროლეტარი“ ორჯ. მხ. . . . .	—	—	21,4	7,7	სამი წლის საშუალო
9.	ქ. დარუბანდი, დაღესტანი . . . . .	1934—1937	—	22,2	9,8	ოთხი წლის საშუალო
10.	დაღესტნის მევენახ. სადგური . . . . .	1938—1939	28/9	20,8	7,45	ორი წლის საშუალო
11.	დონი, ნოვოჩერქასკი . . . . .	1939—1940	2/10	20,3	10,65	" "
III	<b>უკრაინის სსრ</b>					
12.	ქ. ოლევა, მევენახეობის ინსტ-ტი . . . . .	1933—1936	—	21,75	10,20	ოთხი წლის საშუალო
13.	" " " " " . . . . .	1937—1938	8/X	21,65	8,6	ორი წლის საშუალო
IV	<b>აზერბაიჯანის სსრ</b>					
14.	ქ. კირვანბადი, საბჭ. მეურნ. № 2 . . . . .	1934—1936	22/9	22,9	7,52	" "
15.	" " " " № 1 . . . . .	1935—1936	15/9	24,38	7,94	" "
V	<b>სომხეთის სსრ</b>					
16.	ერევანი, თეოროვის საბ. მეურნეობა . . . . .	—	—	24,0	5,83	
VI	<b>უზბეკეთის სსრ</b>					
17.	საბჭოთა მეურნეობა № 1 . . . . .	1925—1938	—	27,46	6,85	ექვსი წ. საშ. (1925—26,— 1931—32,—36—38 წ.)
18.	" " " " . . . . .	1939—1940	—	24,6	7,12	
19.	ტაშკენტის ოლქი, კიბრაი . . . . .	1943	27/8	23,4	9,9	ორი წლის საშუალო
20.	ქ. სამარყანდი . . . . .	1940	20/9	29,66	5,58	
VII	<b>თურქმენეთის სსრ</b>					
21.	ქ. აშხ.ბადის მ. გეოკ ტეპე . . . . .	1943	18/8	20,2	9,8	
VIII	<b>ყირგიზეთის სსრ</b>					
22.	ქ. ფრუნზე, „მაგარაჩის“ დასავლ. პუნქ. . . . .	1943	24/9	23,0	7,1	

საფერავის ლენის განსაკუთრებით მაღალი თვისებები აღნიშნული აქვთ ჩვენი ქვეყნის ცნობილ მეღვინეებს. პროფ. კ. მოდებაძე ეხასიათებს საფერავის ლენოს, როგორც „ინტენსიურად შეფერილს, სრულს, სიძველეში ხავერდოვანს, რომელიც ევროპულად დაყენებისას არ ჩამოუვარდება საფრანგეთის საუკეთესო ლენოებს“. სამტრედიის ყოფილი მთავარი მეღვინის ე. კანდელაკის შეფასებით „კახეთის წითელი ლენოები საუკეთესოა კავშირში, ისინი ინტენსიურად შეფერილია, სრულია, ხავერდოვანია და სიძველეში ძალიან უახლოვდება ბორდოს და ბურგუნდიის ლენოებს“. ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევენ საფერავის ლენოს პროფესორები: მ. ხოვრენკო, გ. გოგოლ-იანოვსკი, მ. გერასიმოვი და მეღვინე პ. ეგოროვი.



საფერავი — Саперави

და მართლაც, საფერავი თავისი მაღალი ორგანოლექტიური თვისებებით — ინტენსიური შეფერვით, სირბილით, ენერგიით, სისრულით, შემადგენელი ნაწილების ჰარმონიული შეზავებით და ძლიერი სიძველის ბუკეტით პირველ ადგილს იჭერს მსოფლიოს საუკეთესო წითელ ღვინოთა შორის.

საფერავის ღვინის გემოვნებითი თვისებებისა და, საერთოდ, მისი ხარისხის დასახასიათებლად მე-7 ცხრილში მოყვანილია ამონაწერები ოფიციალურ სადეგუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან. მაღალ ორგანოლექტიურ თვისებებთან ერთად საფერავის ღვინო ხასიათდება ქიმიური შემადგენელი ნაწილების კარგი შერწყმით — მაღალ ალკოჰოლიანობასთან ერთად, მას ახასიათებს საკმაო მყავიანობა და სხეულის სხვა შემადგენელი ნაწილები. კახური საფერავის ქიმიური ბუნების დასახასიათებლად მე-8 ცხრილში მოცემულია მაჩვენებლები სხვადასხვა ადგილებიდან აღებული ღვინის ნიმუშების ქიმიური შემადგენლობის შესახებ.

**ამონაწერი სადეგუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან საფერავის ღვინის ხარისხის შეფასების შესახებ.**

ცხრილი 7

№ რიგზე	სადეგუსტაციო კომისიების დასახელება	№ რიგზე	ღვინის ნიმუშების დასახელება	მოსავლის წელი	საშუალო ბალი	ღვინის ორგანოლექტიური შეფასება
1	საკავშირო სასოფ. სამეურნეო გამოვენაზე 1940 წელს წარდგენილი ღვინის ნიმუშების შეფასებელი სადეგუსტაციო კომისია, ქ. მოსკოვი	1	წინანდალი №45 საბჭოთა მეურნეობიდან	1934	9,3	
		2	ნაფარეული № 47 " "	1934	9,3	
		3	საფერავი, კახური ტიპისა . . . . .	1934	9,5	
2	ცენტრალური სადეგუსტაციო კომისია, 3/IX 1941 წ. ქ. მოსკოვი	4	საფერავი, ყვარლის მეურნეობიდან . . . . .	1939	8,6	შეფერვა ინტენსიური, ღვინო სრული ჰარმონიული კარგად განვითარებული ბუკეტით და არომატით. შეფერვა ინტენსიური, გემო უფრო ფაქიზი, ბუკეტი უფრო ძლიერი და ნაზი. მაღალი ხარისხის ღვინო.
		5	საფერავი იმავე მეურნეობიდან . . . . .	1939	9,2	
3	ცენტრალური სადეგუსტაციო კომისიის გადართობული სხდომა ღვინისა და კონიაკების შესაფასებლად. 1940 წელი. მაისი, ქ. მოსკოვი	6	საფერავი არგვეთის საბჭოთა მეურნეობიდან (საქ. შამპანკომბინატი) . . . . .	1941	8,2	ღია ბროწეულის ფერი, დამახასიათებელი ჯიშური არომატით, საკმაო სხეულიანი. ნაზი სასიამოვნო ღვინო.
		7	საფერავი, მევენახეობის ინსტიტუტისა ქ. თელავი . . . . .	1945	7,8	რბილი, ჰარმონიული ღვინო, კარგად გამოსაშული ჯიშური არომატით.
		8	საფერავი, კახური ტიპისა, კარდახანი . . . . .	1944	8,6	დამაბრუნებელი არომატი, სრული ღვინო საკმაო სიმწკლარტით.
		9	კონტროლი. „ბორღო“ სახლგარეგნული . . . . .	—	8,2	არაპირვილი კლასისა, სავესებით დამაკმაყოფილებელი ღვინო.
		10	საფერავი „სანავარდო“, ნაფარეულის მეურნეობა . . . . .	1943	7,8	კარგად შეფერილი, სრული, სხეულიანი ღვინო.
4	რესპუბლიკური სადეგუსტაციო კომისიის სხდომა. 1944 წელი. ქ. თბილისი	11	საფერავი ყვარლისა, კახური ტიპის საქ. მეც. აკადემიისა . . . . .	1943	7,7	შეფერვა საკმაო. არაუაბრუნებელი ტიპისა და რაიონისათვის.
		12	ნაბალარი, ყვარლის რაიონიდან . . . . .	1943	7,9	ძლიერ შეფერილი. სრული და მდიდარი ღვინო.
		13	საფერავი, „სანავარდო“, ნაფარეულის მეურნეობა . . . . .	1943	7,8	კარგად შეფერილი, სრული, სხეულიანი ღვინო.
		14	საფერავი „ქინძმარაული“ (ყვარელი) . . . . .	1943	8,0	ძნელი, სრული ღვინო, ნაკლებ დამახასიათებელი ინტენსიულობის.

საფერავს გარეშო პირობებისადმი შეგუების კარგი უნარი აქვს. იგი მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში ხარობს, იძლევა კარგ მოსავალს და შედარებით მაღალხარისხიან ღვინოს.

ყირიმში საფერავი შესანიშნავ სადესერტო და სუფრის ღვინოს იძლევა; მისგან იქ ოთხი სამარკო ღვინო მზადდება: 1. სადესერტო ღვინო „აიუ-დავი“ კავორის ტიპისა, შეიცავს 18—20% შაქარს და 16° სპირტს; 2. კავორი — ყირიმის ღვინის მრეწველობის ტრესტისა; 3. სუფრის წითელი ღვინო „მასანდრა“ და 4. სუფრის წითელი ღვინო „საფერავი“.

პროფ. მ. ხოვრენკოს შეფასებით საფერავი ყირიმში იძლევა პროდუქტს, რომელშიაც ყველა პირობაა მოცემული თავისებური ტიპის ნაზ სუფრის ღვინის მისაღებად, რომელიც ერთ პირობებში გვაგონებს ბურგუნდიის ღვინოს (ყვარელი) და მეორე პირობებში მას ბორდოს იერი გადაკრავს (ყირიმი, ორენა).

მშენიერ შედეგებს იძლევა საფერავი უზბეკეთში. აქ საფერავი იძლევა მსოფლიოში საუკეთესო კავორს „უზბეკისტანს“. მან უკვე მოიხვეჭა სახელი, როგორც მაღალხარისხიანმა სადესერტო ღვინომ. მოსკოვში 1942 წ. 5 აგვისტოს სადეგუსტაციო კომისიის სხდომაზე ამ ღვინომ — 10 ბალიანი სისტემის დროს მიიღო 9,5 საშუალო ბალი. ზოგიერთების მიერ იგი შეფასებული იყო 9,8 ბალით.

6. დ. ი. ტაბიძე.

კარგ შედეგებს იძლევა საფერავი უკრაინაშიაც. მელვინე ნ. ოხრემენკოს შეფასებით „ჯიში ხასიათდება ხარისხის დიდი სიმკვიდრით: შაქრის დიდი რაოდენობით დაგროვების შემთხვევაშიაც მასში სინაზე შერწყმულია სისრულესთან, ღვინის ხასიათი კი ორიგინალობასთან და მთლიანობასთან“.

მელვინე ელექტის შეფასებით, დონზე „საფერავი იძლევა მუქად შეფერილ, სრულ პარმონიულ, საკმაო სხეულიან და ხალისიან სუფრის ღვინოს“. დონური საფერავის კარგი ღვინოს მკვლევარ-ფილოზოფის 12—13<sup>0</sup>-ს, მეავიანობა 5,7<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ს.



### საფერავის ღვინის ქიმიური შემადგენლობა

ცხრილი 8

სოფლის და ადგილის დასახელება	მოსავლის წელი	ახალიზის გაბეჭდვის წელი	კუთრი წონა 15 <sup>0</sup>	ალკოჰოლი ნოცულობით %/100-ით	გრამები ლიტრში										
					საერთო სიმკვლე	შქროლავი სიმკვლე	ღვინის სიმკვლე	არამქროლავი სიმკვლე	მსტრატატი 100 <sup>0</sup> დროს	შაქარი	ტანინი	ხლოცინი	ნაცარი	ნაცრის ტუტთან.	
1	წინანდალი, ნასამხარი, ვერობ. ტიპ. ღვინო	1940	1941	0,9957	11,4	5,48	0,90	—	—	27,6	0,08	0,75	—	2,3	—
2	ვახისუბანი, ინსტ-ტის, ვერ. ტიპისა.	1932	1946	0,9925	10,8	6,24	1,20	1,32	—	23,76	0,54	1,76	10,05	—	—
3	ივალთო, ბერების ზვარი	1942	1944	0,9932	11,6	7,6	1,65	2,2	5,54	24,31	1,4	3,02	5,79	—	—
4	გურჯაანი, კახური ტიპისა . . . . .	1909	1913	0,9952	13,82	6,1	1,56	—	4,15	32,2	3,3	3,30	7,65	2,63	—
5	კარდანაზი, ახთუბი, კახური ტიპისა .	1943	1944	0,9969	14,6	7,6	1,57	1,66	5,64	44,09	4,5	4,78	10,1	—	—
6	ყვარელი, ქინძმარაულის ტიპისა . . . . .	1942	1944	0,9933	12,6	7,0	1,25	1,47	5,44	28,89	2,3	2,79	7,99	—	—
7	საგარეჯოს საფერავი . . . . .	1935	1936	0,9968	10,7	4,81	0,53	1,84	4,15	23,04	0,76	2,4	7,42	2,33	2,68
8	ხაშმის საფერავი „ . . . . .	1935	1936	0,9905	9,4	4,66	0,75	1,48	3,28	20,13	0,56	2,56	5,34	3,44	3,42
9	პატარაფელის საფერავი . . . . .	1935	1936	0,9970	12,1	4,48	0,67	1,64	3,64	31,2	0,57	3,06	8,16	3,26	3,27
10	საგურამო, ი. ქაჯკვაძისეული ნავეთი .	1939	1940	0,9938	11,7	5,09	1,09	1,59	3,79	23,8	0,029	2,09	5,85	1,12	2,1
11	მუზრანი, ვახიანი . . . . .	1939	1940	0,9959	13,63	4,79	0,75	2,57	4,66	32,7	1,552	2,64	6,15	3,22	4,36
12	წინამძღვრიანთკარი . . . . .	1909	1940	0,9962	12,73	5,85	0,94	1,36	6,91	31,7	1,096	1,98	5,06	3,26	4,28
13	ზესტაფონი, საქარის სადღელი სადგური	1928	1929	0,9963	12,78	5,41	1,45	—	3,70	32,27	1,48	2,91	10,95	2,8	—
14	არგვეთა, საბჭოთა მეურნეობა . . . . .	1912	1913	0,9946	14,59	5,70	0,91	—	4,56	33,4	1,3	—	—	—	—
15	ვარციხე, საბჭოთა მეურნეობა . . . . .	1908	1911	0,9837	12,59	5,77	1,25	—	4,20	31,9	2,0	—	—	—	—
16	კუთაისი, სასოფლო-სამეურნეო სკოლა .	1910	1911	0,9946	13,06	6,15	0,95	—	6,0	27,2	0,5	—	—	—	—

აზერბაიჯანში და სომხეთში საფერავი მუქი შეფერვის კარგ ღვინოს იძლევა, თუმცა ამ ღვინოებს აკლია სისრულე და პარმონიულობა.

ყაზახეთში საფერავისაგან მშრალი და სადესერტო ღვინოები მზადდება. საფერავის სუფრის ღვინო მეურნეობა „ისიკ“-იდან შეფასებულ იქნა სადევუსტაციო კომისიის მიერ მოსკოვში 7,3 და 7,5 ბალით. ყაზახეთის ღვინო მუქი ბროწეულის ფერისაა, სხეულიანია და ჯიშური არომატი აქვს, მაგრამ, როგორც სუფრის ღვინო, ცოტა მძიმეა.

უკეთესი ღვინოს იძლევა საფერავი ყირგიზეთში. 1942 წ. მან მოგვცა მაღალხარისხიანი მსალა კავორისათვის. მას ჰქონდა შავი მოცხარის იერი, ძლიერი არომატი და შემადგენელი ნაწილების პარმონიულობა, სადევუსტაციო კომისიის სადომოზე მან მაღალი შეფასება (9 ბალი) მიიღო. კარგი დადგა აგრეთვე შემდეგ წელშიაც სადესერტო საფერავი. იგი იყო მუქი ღვინოსფერისა, ჰქონდა ჯიშური არომატი, რომელშიაც ჩართული იყო შავი მოცხარის იერი და ნაზი პარმონიული გემო. საფერავი შეძლებს უფრო უკეთ გამოავლინოს ყირგიზეთის შესაძლებლობანი მევენახეობა-მელვინეობის თვალსაზრისით.

ვარიაციები და კლონები. ქართული ვაზის ჯიშებს შორის საფერავი ყველაზე უფრო მდიდარია ვარიაციებით. ძველად ცნობილი მრავალი ვარიაციიდან დღემდე შენარჩუნებულია და ხარობს მევენახეობის ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთებზე:

1. საფერავი—ბუდეშური. ამ სახელწოდებით არის იგი პირველად აღწერილი იერისპირა სოფლებში 1895 წ. სიმონ ქვარიანის მიერ. იგი მეორედ აღმოჩენილია სოფ. ხაშმში უფრ. მეცნიერ მუშაკის ვ. ლოლაძის მიერ. ჩვეულებრივი საფერავისაგან იგი ძირითადად უფრო მოგრძო, ბუდეშურისმაგვარად ბოლოებშიაწვეტილებული მარცვლებით განირჩევა. სამეურნეო ნიშან-თვისების მხრივ ეს ვარიაცია საყურადღებოა: იცის კარგი მოსავალი, აქვს მეტად კარგი შეფერვა და უფრო მეტი სინაზე, ვიდრე ჩვეულებრივ საფერავს. იგი უკვე გამოავლენებულია და 1950 წლიდან შენდება ერთ-ერთ საბჭოთა მეურნეობაში ჩვეულებრივ საფერავთან ერთად მისი პარალელურად გამოცდისა და წარმოებაში დანერგვის მიზნით.

2. დიდ ყვავილედანი საფერავი. ეს ვარიაცია პირველად აღმოჩენილ იქნა 1936 წ. ინსტიტუტის საწარმოო ნაკვეთზე, ქ. თელავში, მ ძირის რაოდენობით. შემდეგ წლებში იგი ვნახეთ აგრეთვე ს. ნასაშხარში, ბელანასუშაზე, შაშიანში. ხშირად გავრცელებული ვარიაციაა. მისი დამახასიათებელი უხარმაზარი, — 38 სანტიმეტრი სიგრძის დატოტვილი ყვავილედი, რომლის ცალკეული ტოტების სიგრძე აღწევს 26 სანტიმეტრს. ყვავილების რაოდენობა ყვავილედში უდრის 15—20 ათასს, ზოგჯერ 30000-მდე აღწევს, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ საფერავში 500—600-ია. ყვავილი ორსქესიანი აქვს, მტკიცის რაოდენობა უდრის ხუთს, იშვიათად გვხვდება ოთხიც.

სამეურნეო თვალსაზრისით ეს ვარიაცია არ არის საინტერესო, რადგანაც მცირე მოსავლიანია. მისი დამახასიათებელია გვიანი და გაქიანურებული ყვავილობა, გარდა ამისა, ძლიერი ყვავილცვენა იცის და დავეიანებით მწიფდება. ნორმალური მარცვლების რაოდენობა მტევანში აღწევს 85-ს, ხოლო წვრილი უწიპწო მარცვლებისა — 150-ს. ვარიაცია საინტერესოა სელექციურ მუშაობაში გამოსაყენებლად.

3. მსხვილმარცვალი საფერავი. ეს ვარიაცია გამოვლინებულია მეცნ. კანდ. ვ. ლოლაძის მიერ 1932 წ. იგი გავრცელებულია საწარმოო ვენახებში შენარევის სახით. განსხვავდება ჩვეულებრივი საფერავისაგან მტევნის აგებულებით და მარცვლის სინსხოთი. ყვავილი ორსქესიანი აქვს. სამეურნეო ნიშან-თვისებით იგი ჩვეულებრივ საფერავს ჩამორჩება. მისი მოსავლიანობა 1 კილოგრამს არ აღემატება ძირზე, მხოლოდ 1945 წელს მიაღწია მისმა მოსავლიანობამ ძირზე 2 კილოგრამს. შაქრიანობა მაღალი აქვს შესაფერისი შეფიანობით (23% — 8,2%<sub>100</sub>). ღვინო კარგი ხარისხისა დგება. მისთვის უფრო შესაფერისი რაიონის შერჩევის მიზნით იგი საჭიროა გამოიკადოს იმ ადგილებში, სადაც ჩვეულებრივი საფერავი ცუდად ხარობს ან უხარისხო ღვინო უდგება.

4. ყვავილმცვენი საფერავი. ეს ვარიაცია გავრცელებულია ყვარლის ვენახებში ნარევის სახით და იქ მამალი საფერავის სახელწოდებითაა ცნობილი. იგი პირველად გამოვლინებულ იქნა აგრონომ შ. სიბაშვილის მიერ ყვარლის ვენახებში. ყვავილი ორსქესიანი აქვს, ყვავილედი პატარა, ყვავილმცვენია. მტევანში უფითარდება 15—30 მარცვალი, რომელთაგან მხოლოდ ერთი მესამედია ნორმალური, დანარჩენი წვრილი და უწიპწოა, მცირე მოსავლიანია, ისხამს ძირზე 130—150 გრამს, ათი წლის მანძილზე მხოლოდ 1945 წ. მიაღწია მისმა მოსავალმა ძირზე 1,5—2,0 კილოგრამს. საინტერესოა სელექციური მუშაობისათვის, როგორც შაქრის დიდი რაოდენობით დამგროვებელი (იძლევა 28%<sub>100</sub> შაქარს — 8%<sub>100</sub> შეფიანობის დროს).

**ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება**

საფერავი მაღალხარისხოვანი ვაზის ჯიშია, იგი გავრცელებულია საბჭოთა კავშირში მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში. მსოფლიო მნიშვნელობის სუფრის წითელ ღვინოს იძლევა იგი კახეთში, ხოლო სადესერტოს — უზბეკეთში.

სამეურნეო და ტექნოლოგიური თვისებების ჯამით საფერავს ბადალი არა ჰყავს მსოფლიო ასორტიმენტის წითელ ჯიშებს შორის. მასში იშვიათად არის შერწყმული ვაზის მაღალი მოსავლიანობა და გამძლეობა ღვინის მაღალ ხარისხთან. მსოფლიოში საუკეთესო წითელი ღვინის მომცემი ჯიშები: კაბერნე — სოვინიონი და პინო-ფრანი საფერავს საგრძნობლად ჩამორჩებიან მოსავლიანობით, ხოლო ღვინის ხარისხით მას მხოლოდ მეტოქეობას უწევენ.

კახეთის საუკეთესო ადგილებში მოყვანილი საფერავის ღვინო არაფრით არ ჩამორჩება ბორდოს, კაბერნეს და ბურგუნდიის პინოს განთქმულ ღვინოებს.

საფერავის მთავარი ღირსება მისი სამეურნეო და ტექნოლოგიური თვისებების მთლიანობაშია: იგი შედარებით მაღალმოსავლიანია, სოკოვან ავადმყოფობებს კარგად უძლებს, ყინვის ამტანია, სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებს კარგად ეგუება, იძლევა მაღალი ხარისხის ღვინოს, თითქმის ყველა ტიპის (სუფრის, მაგარი, სადესერტო) ღვინისათვის ვარგისია, მისი ღვინო გამძლეა და უმჯობესდება ხანგრძლივად დამკვლევისას და, დასასრულ, მას სამეურნეო თვისებების დიდი სიმყარე ახასიათებს.

საფერავის უარყოფით თვისებას წარმოადგენს ის, რომ იგი ნაკლებად უძლებს ფილოქსერას და ზოგიერთ ადგილში ნორმალურზე მეტი ყვავილცვენა იცის. ეს ნაკლოვანებები შედარებით ადვილად შეიძლება გამოსწორებულ იქნეს: პირველი ფილოქსერაგამძლე საძირეებზე მყნობით, ხოლო მეორე ყვავილობის წინ ან მის დასაწყისში მოხარდი ყლორტების წვეროების მოკრეჭვის ან წაწყვეტის საშუალებით.

ასეთმა მაღალმა სამეურნეო თვისებებმა გამოიწვია საფერავის ფართოდ გავრცელება საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მევენახეობის რაიონებში და კიდევ უფრო ფართოდ გავრცელების პერსპექტივას უქმნის მას ახლო მომავალში. ამჟამად საფერავს საბჭოთა კავშირში 3500 ჰექტარი ფართობი უჭირავს.



საკავშირო მინისტრთა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1939 წლის 16 სექტემბრის დადგენილებით საფერავი შეტანილია საკავშირო სტანდარტული ასორტიმენტში მევენახეობის თითქმის ყველა რაიონისათვის და ამის შესაბამისად დაგეგმილია მისი გაშენება დიდ ფართობზე.

საფერავს შემდგომი გავრცელების უფრო ფართო პერსპექტივა აქვს საბჭოთა კავშირის სამხრეთ, სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში, სადაც მაღალ მოსავლიანობასთან ერთად უზრუნველყოფილი იქნება ღვინის კარგი ხარისხიც.

საქართველოში საფერავმა, გარდა კახეთისა, სადაც მისი ხვედრითი წონა აუცილებლად უნდა იქნეს გადამდებული, ფართო გავრცელება უნდა პოვოს ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (თბილისის, მცხეთის და კასპის რაიონები), ხოლო ფართო ცდების სახით იგი უნდა გაშენდეს აგრეთვე ქარაღის დანარჩენ რაიონებშიაც. დასავლეთ საქართველოში ფართო მასშტაბით უნდა გავრცელდეს საფერავი ზემო იმერეთში (ზესტაფონისა და საჩხერის რაიონებში), აფხაზეთში (გუდაუთისა და სოხუმის რაიონებში) და რაჭა-ლეჩხუმში (ამბროლაურისა და ნაწილობრივ, ცაგერის რაიონში). საფერავის ღვინის ნიმუშები (საგურამოს, მუხრანის, არგვეთის, გულრიპშის, ამბროლაურის და სხვ.), რომლებიც ამ ადგილებშია დამზადებული ნათლად გვიკარნახებს ამ რაიონებში საფერავის გავრცელების აუცილებლობას, მით უმეტეს, რომ საფერავზე უკეთესი ჯიშის ვაზი წითელი ღვინოების მისაღებად ჩვენ არ მოგვეპოვება, ხოლო ამ ჯიშისათვის გამოსადეგი ადგილები კი აღნიშნულ რაიონებში უხვად მოიპოვება.

### С А П Е Р А В И

Лист. Вполне развитые листья (9—12 лист от основания) средних размеров (22×20 см.). Пластинка листа по своим очертаниям округлая, реже она бывает яйцевидной формы, но ощупь довольно грубая. Листья в большинстве случаев разрезные—трехлопастные, реже пятилопастные и почти цельные.

Поверхность листовой пластинки складчатая, либо сетчато-морщинистая, реже бывает мелкопузырчатой. Окраска верхней стороны листа бледно-зеленая, тусклая. Лопастей листа широкие, края лопастей приподняты вверх, угол оконечной—средней лопасти—обычно прямой.

Верхние вырезки средней глубины, с более частым колебанием в сторону мелкой, нежели глубокой рассеченности листа. Вырезки по форме варьируют от открытых, едва намеченных—до закрытых с широко эллиптическим или с округлым просветом. Чаще всего встречаются открытые яйцевидные вырезки с острым дном, либо лировидные (вырезки) с суженным устьем и острым дном.

Нижние вырезки обычно слабее выражены, в большинстве случаев они значительно мельче верхних, а иногда совсем отсутствуют. По форме вырезки варьируют от едва намеченных до щелевидных; реже встречаются вырезки в форме входящего угла.

Черешковая выемка варьирует от открытой сводчатой до закрытой с узко—эллиптическим просветом и со значительным налеганием лопастей. Чаще всего встречаются открытые лировидные выемки с суженным устьем и острым дном, реже закрытые вырезки с веретеновидным просветом и острым дном.

В свободном состоянии, благодаря приподнятости боковых лопастей, черешковые выемки чаще кажутся закрытыми.

Оконечные зубцы лопастей чаще треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже они треугольные с острой вершиной; еще реже встречаются куполообразные зубцы. Боковые зубчики обычно пиловидные с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже треугольно-пиловидные.

Опушение листовой пластинки, в связи с яркостью расположения листьев на побеге, бывает различное. С верхней стороны оно голое со следами паутинистого пушка вдоль нервов, а с нижней—довольно густое паутинисто-войлочное. Войлок составлен из горизонтально-расположенных пестрых, паутинистых волосков средней густоты и вертикально торчащих жестких щетинок густо усеянных вдоль расхождения нервов и мелких его разветвлений. Густота опушения листьев увеличивается сверху вниз, в зависимости от места их расположения на побеге.

Черешок листа голый, со следами паутинистого пушка, реже он на листьях нижнего яруса усеян редкими щетинистыми волосками. Черешок обычно короче (0,7-0,8), редко он равен длине главного нерва. Окраска черешка зеленая, реже она слабо винно-красная.

Осенняя окраска листьев ярко винно-красная, антоциановая.

Цветок. Цветок нормального строения—обоенный с хорошо развитым пестиком и тычинками. Тычинки прямостоячие. Тычинок в цветке пять, реже встречаются цветки с шестью, очень редко с четырьмя тычинками. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,0—1,20, в редких случаях

это отношение достигает 1,50 и более. Завязь мелкая, продолговато-округлой формы. Рыльце хорошо выражено, столбик короткий.

Гроздь. Размеры гроздей Саперави в среднем варьируют: длина от 13 до 21 см., ширина от 7,5 до 12,0 см. Средний размер грозди составляет  $17,5 \times 11,5$  см.

Все гроздей варьирует в среднем от 80 до 300 гр., в отдельных случаях он достигает до 500 гр. Кахетии средний вес грозди Саперави равен 140-160 гр. По форме грозди мало варьируют, в большинстве случаев они широко-конические, у основания ветвистые, реже, в виду разрастания крыльев, становятся бесформенными. Обычно грозди рыхлые, реже они бывают среднеплотными. Среднее число ягод в грозди составляет 100-120 шт. Ножка грозди по длине варьирует в среднем от 4 до 6 см., у гроздей средней величины она составляет 4-5 см. Ножка травянистая, ломкая, зеленая или лишь со середины она деревенеет и окрашивается в цвет чубука. Ножка ягоды длинная (6-8 мм.), тонкая, довольно гладкая. Подушечка усюконической, реже ширококонической формы, бородавчатая, иногда она гладкая. Подушечка окрашена в пурпуровый цвет. Эта окраска при полной зрелости винограда переходит частично и на ножки ягод.

Ягода. Ягоды средних размеров; длина их варьирует от 13 до 20 мм., ширина от 12 до 18,5 мм. Размер средней ягоды равен  $16 \times 14,5$  мм. Форма ягод овальная. Ягоды слабо ассиметричны; наибольшая ширина ягод падает на среднюю часть, конец ягоды закруглен. Окраска ягод темно-синяя. Прунн на ягодах хорошо выражен и придает ягодам сизый оттенок. Кожица тонкая, но довольно прочная. Мякоть сочная, расплывающаяся с незначительным комом вокруг семян. Сок густой, окрашен в розоватый цвет. Вкус ягод приятный, несколько кислотный, без особого специфического привкуса. Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4. На 1000 ягод—ягоды с 1 семенем составляют 20%, с 2 семенами 56%, с 3 семенами 21% и 4 семенами—3%. В среднем на ягоду приходится 2,07 семени.

Семя. Тело семени продолговато-округлой формы, с постепенным сужением к клювику. Длина семени в среднем равна 7,0 мм, а ширина 4,0 мм. Окраска тела семени светло-коричневая с желтоватым оттенком—при переходе к клювику. Халаза округлой формы, несколько вдавленная внутрь с неглубокой бороздкой по краям. Ложбинка от халазы к клювику слабо выражена. Брюшная сторона семени килеватая. Бороздки на брюшной стороне довольно глубокие. Семенной шов тонкий, но хорошо выраженный. Длина клювика в среднем равна 2 мм. Окраска клювика сверху светло-коричневая, снизу слегка оранжевая. Клювик бородавчатый, его кончик косо загнут на брюшную сторону.

Саперави—высококачественный, стандартный сорт красных столовых вин Кахетии. Происходит из местного очага формообразования культурных сортов винограда Грузии. Распространен почти во всех виноградных районах Союза. На 1 сентября 1940 года он занимал в СССР—3 500 га, около 80% из этой площади приходится на районы Грузии.


Сорт характеризуется постоянной относительно высокой урожайностью; высоким качеством продукции (богатая окраска, полнота, энергия, свежесть и гармония составных частей при хорошо выраженном сортовом аромате и сильно развитом букете выдержки); пригодностью для различных типов вин (столовых, крепких, десертных); значительной долговечностью вина; сравнительно-хорошей устойчивостью к грибным болезням (оидиум), к зимним морозам, относительной стойкостью его хозяйственно-ценных признаков и, наконец, хорошей приспособляемостью к различным экологическим условиям районов его распространения.

К недостаткам сорта относятся слабая устойчивость к филлоксеру и местами сверхнормальное осыпание цвета, которые свободно могут быть устранены—первый—прививкой на филлоксероустойчивые подвои, а второй—прищипыванием верхушек побегов до или в начале цветения винограда.

Классические красные столовые вина Саперави дает на своей родине—в Грузии—Кахетии, а десертные—в Узбекской ССР.

По комплексу хозяйственно-ценных признаков Саперави не имеет равного в мировом сорimente красных вин. В нем изумительно сочетаются урожайность с высоким качеством продукции, устойчивостью против грибных болезней и неблагоприятных условий среды. Лучшие сорта мирового соримента красных вин: Каберне—Совиньон и Пино-фран по урожайности значительно уступают Саперави, а по качеству вина состязаются с ним. Красные вина Саперави с лучших местностей Кахетии не уступают прославленным винам Бордосского Каберне и Бургундского Пино. Сорт перспективен для южных, юго-западных и юго-восточных районов СССР.





## რქაწითელი

რქაწითელი კახეთის ვაზის მთავარი საწარმოო ჯიშია, იძლევა მაღალხარისხოვან თეთრ სუფრის ღვინოს, მაღალი ღირსების კახური ტიპის ღვინოს, მაგარ და საღვსურტო ღვინის მასალას და ადგილობრივი მოხმარების კარგი ღირსების სუფრის ყურძენს.

**სინონიმები.** რქაწითელი სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის ცნობილია რიგი დამატებითი სახელწოდებით. რქაწითელის გავრცელების ცალკეული რაიონების მიხედვით ეს სახელწოდებები სხვადასხვაა. ზოგჯერ სინონიმური სახელწოდებები წარმომდგარია თვით ჯიშის განსხვავებული ფორმების არსებობის შედეგად. მაგალითად, კახეთში ძველად ნამღვილი რქაწითელის გარდა არჩევდნენ მამალი და დედალ რქაწითელს (ზ. ჯორჯაძე 1876 წ.); მარნეულ—ბოლნისის რაიონში რქაწითელი ცნობილი იყო აგრეთვე „ხანლუგისა“, და „ასანლუგის“ სახელწოდებით, ხოლო საინგილოში — „კუკურას“ სახელწოდებით (გვეესკი და შარერი 1885 წ.); რუსეთში, ორჯონიკიძის მხარის ლევოკუშის რაიონში რქაწითელის სახელებია: „ტობოლოკი“ (ალეისხე), „გრუზინსკი“ (ქართული), ხოლო ბუდიონოვსკის რაიონში — „კოროლიოკი“ და „ბუდაშური“ (ტ. ორლოვა, 1940 წ.) საზღვარგარეთულ ამბლოგრაფიებში გვხვდება სახელწოდებანი: რქაწითელი გელბ (ყვითელი) (პ. გოეტე 1887 წ.), რქაწითელი (გუიონი, 1896 წ.), რქაწითელი გიალო (ვიალა და ვერმორელი 1901—1910 წ.).

**ჯიშის ისტორია.** რქაწითელი ვაზის ადგილობრივი ჯიშია, იგი წარმოშობილია კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოქმნის იმ კერაში, რომელიც მდებარეობს ალაზნის ხეობაში, უფრო მის აღმოსავლეთ ნაწილში. თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით რქაწითელი ძალიან ახლო დგას ამ კერაში წარმოშობილი ვაზის ჯიშების მომეტებულ ნაწილთან და ამ ჯგუფის ძირითად წევრს წარმოადგენს.

რქაწითელის წარმოშობის ადგილობრივობა სხვა მხრივაც დასტურდება, შორეულ წარსულში რქაწითელს კუკურას უწოდებდნენ. ეს ფაქტი არ გამოჰპარვიათ გვესკისა და შარერს (1885 წელი), რომელთაც თავიანთ ნაშრომში ამის შესახებ ნათქვამი აქვთ, რომ „ძველი მისი სახელწოდება კუკურა წარმოებულა სოფ. კაკისაგან (ხაქათლის ოლქი)“. რასაკვირველია შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ კუკურა „კუკურადანაა“ წარმოშობილი, მაგრამ რასაკვირველია ეს მხოლოდ შერეული მსგავსება იქნება. „კუკურა“ კუკურისაგანაა ნაწარმოები. კულტურული ჯიშების ფორმათა წარმოქმნის ალაზნის დიდ კერაში ვაზის ჯიშების უფრო ინტენსიური წარმოქმნა მის შუა და ქვემო ნაწილში—ვითვალისწინებთ რა ბუნებრივ პირობებს, წარსულ ისტორიას უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ჯიშის წარმოქმნა უნდა მომხდარიყო ყვარელენისელის, ლაგოდეხის და ქვემო მხარის პირობებში. საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადასტურდა, რომ სოფ. კახში, ამჟამადაც ბლომად (200 ჰექტარამდე) მოიპოვება რქაწითელის ძველი—უმყნობი ვენახები. მნახველს აცვიფრებს აქ რქაწითელის ნარგავების მაღალი ჯიშობრივი სიწმინდე.

ამრიგად, რქაწითელის წარმოშობის ადგილი სავსებით გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო რაც შეეხება წარმოშობის დროს, ამის შესახებ სანდო ცნობები ამჟამად არ მოგვეპოვება. როგორც წინათაც იყო აღნიშნული, სამეურნეო ისტორიის ძეგლები XIII საუკუნის უწინარესი ხანისა დასული არ არის. ამის გამოა, რომ აკად. ი. ჯავახიშვილი (1934 წ.) ქართული ვაზის ჯიშების წარმოშობის ხნიერების დადგენისას იყენებს ჯიშის სახელწოდების ენობრივ ანალიზს და ამ ანალიზის საფუძველზე ადგენს ჯიშის წარმოშობის დაახლოებების სიძველეს. ამ გზით აკად. ი. ჯავახიშვილის მიერ რქაწითელის წარმოშობის თარიღად ნაფარაუდებია ახალი ერის პირველი ხუთი და მათი მომდევნო საუკუნეები. თუ რქაწითელის მორფოლოგიურ ნიშნებს და ბიოლოგიურ თვისებებს გავითვალისწინებთ, იგი უფრო გვიანდელ ჯიშად უნდა ვიგულოვოთ. ამის საფუძველს გვაძლევს მისი ძირითადი მორფოლოგიური ნიშნე-

ბის სიახლე (სუსტად შეზღუდული, თითქმის შიშველი ფოთოლი, ოვალური მარცვალი, თეთრი ფერი და სხვა), შემდეგ, შედარებითი სიღარიბე საბეჭდო ფორმებისა და, დასასრულ, თვითგანაყოფიერებული წიპწებიდან მიღებული ნათესარების დიდი თანაბრობა მშობელთან. ყველა ამ ნონაცემის საფუძველზე რქაწითელი სხეებთან შედარებით უფრო ახალგაზრდა ჯიშად უნდა იქნეს მიჩნეული.

ჯიშის გავრცელების თანამედროვე არეალი. რქაწითელი გავრცელებულია საბჭოთა კავშირში მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში. მაგრამ ყველაზე უფრო რქაწითელი გავრცელებულია კახეთში, სადაც მას უჭირავს 11394 ჰექტარი, ანუ ვენახების მთელი ფართობის თითქმის 75%. 1940 წლის აღწერის მასალების მიხედვით რქაწითელის ვენახებს საქართველოში 13,967 ჰექტარი ფართობი უჭირავს, ანუ საქართველოს ვენახების მთლიანი ფართობის თითქმის 21%. ფართობის მიხედვით რქაწითელს პირველი ადგილი უჭირავს როგორც საქართველოში, ისე საბჭოთა კავშირშიც. საბჭოთა კავშირში გავრცელებულ ჯიშებს შორის იგი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ჯიშია. მას ჯერ კიდევ 1940 წლის ბოლოსათვის, აღწერის მასალების მიხედვით, უკვე 15069 ჰექტარი ფართობი ეჭირა. უფრო დაწვრილებითი ცნობები რქაწითელის გავრცელების შესახებ, საქართველოს ცალკეული რაიონების მიხედვით, მოცემულია 1 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, რქაწითელი ყველაზე მეტად გავრცელებულია კახეთში, შემდეგ ბოლნის-მარნეულის რაიონებში, ქართლში და შედარებით მცირედ იმერეთსა და რაქა-ლენხუბში.

რქაწითელი აღმოსავლეთ საქართველოს უნივერსალური ჯიშია. იგი მის თითქმის ყველა რაიონშია გავრცელებული ისე, როგორც ცოლიკოური დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში და, ამასთან, საკმაოდ დიდ ფართობზე.

საქართველოს ფარგლების გარეთ რქაწითელი ყველაზე უფრო ფართოდაა გავრცელებული მეზობელ რესპუბლიკებში: აზერბაიჯანში, სომხეთში და დაღესტანში. აზერბაიჯანში რქაწითელი გავრცელებულია ძირითადად საქართველოს მოსაზღვრე—აქსტაფის, ზაქათლის, კახის, შამქორისა და თაუზის რაიონებში. მარტო საინგილოში—ზაქათლის და კახის რაიონებში მას 300 ჰექტარამდე ფართობი უჭირავს. 1940 წლის აღწერის მასალების მიხედვით, აზერბაიჯანის განსაზოგადოებულ სექტორში (საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში) რქაწითელს 708 ჰექტარი ფართობი ეჭირა, მთელი ფართობი კი 733,6 ჰექტარს აღწევდა.

სომხეთში რქაწითელი უფრო ნაკლებადაა გავრცელებული. რქაწითელის ძველი უმყნობი ვენახები გვხვდება ალავერდის, კაფანის და შამშადილის რაიონებში. ახალი ვენახები ძირითადად შენდება არარატის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში. 1940 წლის აღწერის მასალების მიხედვით, რქაწითელს სომხეთში 110,3 ჰექტარი ფართობი ეჭირა. გეგმით 1949 წლისათვის რქაწითელის ფართობი სომხეთში 500 ჰექტარამდე უნდა გაიზარდოს.

დაღესტანში რქაწითელი გაშენებულია დარუბანდის რაიონში 48 ჰექტარზე, ხოლო მაბაჩყალის რაიონში 10 ჰექტარზე. მცირე რაოდენობით რქაწითელის ვენახები გვხვდება აგრეთვე კუმტორკალინის და ხასავიურტის რაიონებში, სულ რქაწითელის ვენახების მთლიანი ფართობი დაღესტანში 105,8 ჰექტარს შეადგენს. უზბეკეთში რქაწითელი იშვიათადაა, იგი გვხვდება ძირითადად საბჭოთა მეურნეობაში. 1940 წლის აღრიცხვის მიხედვით უზბეკდინოს საბჭოთა მეურნეობებში ირიცხებოდა 12 ჰექტარი ვენახი, ხოლო „უზბსადსოვნოზტრესტის“ მეურნეობებში დაახლოებით 4 ჰექტარი ვენახი რქაწითელისა. ბატარა ნაკვეთების საბით რქაწითელი გვხვდება აგრეთვე აკ-კოვაკის საცდელ სადგურზე. მთლიანი ფართობი რქაწითელისა უზბეკეთში 25 ჰექტარს შეადგენს.

რუსეთში რქაწითელი გავრცელებულია ორჯონიკიძის მხარეში, ბუდიონოვსკის, ლევოკუშკის და ჩერვლიონსკის რაიონებში, დაახლოებით 29,2 ჰექტარ ფართობზე. დონზე და ყირიმში რქაწითელი გვხვდება საკოლექციო და ჯიშთა გამოცდის ნაკვეთებზე. ამრიგად, საქართველოს გარეთ რქაწითელს ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს. ეს ფართობი მევენახეობის ცალკეულ რაიონებს შორის შემდეგნაირადაა განაწილებული:

**რქაწითელის გავრცელება საბჭოთა კავშირის მევენახეობის რაიონებში 1940 წლის 1/IX-სათვის**

№№ რიგზე	მევენახეობის რაიონი	ფართობი ჰექტ-ში	№№ რიგზე	მევენახეობის რაიონი	ფართობი
1	საქართველოს ს ს რ	13,967,0	5	უზბეკეთის ს ს რ . . . . .	25,0
2	აზერბაიჯანის „ „	733,6	6	ყაბარდოს ასსრ და გროზნოს ოლქში . .	62,5
3	სომხეთის „ „	110,0	7	რუსეთის ს ფ ს რ ორჯონიკიძის მხარეში .	29,2
4	დაღესტანის ა ს ს რ	105,8			
				სულ საბჭოთა კავშირში . . . . .	15,033,1 ჰ.

**რქაწითელის ვენახების განლაგება საქართველოს ადმინისტრაციულ რაიონებში 1940 წლის მთლიანი პასპორტიზაციისა და აღრიცხვის მასალების მიხედვით**

ცხრილი 1

მევენახეობის რაიონები		ადმინისტრაციული რაიონები		რქაწითელის ფართობი ჰექტ.	ვენახების მთლიანი ფართობი	წილი საერთო ფართობთან
ა. აღმოსავლეთ საქართველო	I კახეთი	1	გურჯაანის რაიონი . . . . .	4,066,58	4,816,07	84,44
		2	თელავის " . . . . .	2,502,07	3,619,49	63,85
		3	სიღნაღის " . . . . .	1,789,77	1,931,63	92,66
		4	ყვარლის " . . . . .	1,182,44	1,700,85	69,52
		5	საგარეჯოს " . . . . .	806,31	1,527,33	52,79
		6	ლაგოდეხის " . . . . .	620,54	768,68	80,73
		7	წითელწყაროს " . . . . .	425,77	506,52	84,06
			<b>ს უ ლ . . . . .</b>		11,303,48	15,200,57
II ქართლი	1	მცხეთის რაიონი . . . . .	252,68	1,089,41	23,19	
	2	კასპის " . . . . .	168,37	1,344,07	12,53	
	3	თბილისის " . . . . .	132,16	342,64	38,60	
	4	თეთრი წყაროს " . . . . .	100,44	302,12	33,24	
	5	დუშეთის " . . . . .	68,98	196,75	35,06	
	6	ქარელის " . . . . .	0,44	553,51	0,08	
	7	გორის " . . . . .	0,42	2,226,5	0,002	
	8	თიანეთის " . . . . .	0,1	0,32	3,12	
	<b>ს უ ლ . . . . .</b>		723,5	6,201,82	10,61	
III სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	1	ლენინგორის რაიონი . . . . .	5,23	93,65	5,52	
	2	ზნაურის " . . . . .	3,3	216,37	1,58	
		<b>ს უ ლ . . . . .</b>		8,53	556,13	1,53
IV ქვემო ქართლი	1	ბოდბისის რაიონი . . . . .	1,181,95	1,721,11	68,67	
	2	მარნეულის " . . . . .	389,08	502,5	77,42	
	3	გარდაბნის " . . . . .	98,99	180,24	54,9	
V ჯავახეთი და მესხეთი	1	ღმანისის რაიონი . . . . .	10,95	17,5	62,5	
	2	აზალციხის " . . . . .	0,09	2,36	3,8	
		<b>ს უ ლ . . . . .</b>		11,04	20,28	54,4
<b>სულ აღმოსავლეთ საქართველოში . . . . .</b>				13,806,57	24,983,65	55,26
ბ. დასავლეთ საქართველო	VI იმერეთი	1	ტყიბულის რაიონი . . . . .	31,44	801,05	3,92
		2	ზესტაფონის " . . . . .	2,98	4,573,09	0,05
		3	საჩხერის " . . . . .	1,47	1,803,50	0,08
		4	ჭიათურის " . . . . .	0,71	2,699,37	0,04
		5	მაიაკოვსკის " . . . . .	0,58	174,76	0,03
		6	წყალტუბოს " . . . . .	0,39	1,451,04	0,09
		7	ქუთაისის " . . . . .	0,37	157,5	0,03
		8	საბურთალოს " . . . . .	0,33	612,83	0,05
		9	წულუსკის " . . . . .	0,02	785,55	0,002
		10	ვანის " . . . . .	0,1	1,896,55	0,0005
			<b>ს უ ლ . . . . .</b>		38,3	20,862,68
VII სამეგრელო	1	ჩხოროწყუს რაიონი . . . . .	0,02	1,519,66	0,001	
		<b>ს უ ლ . . . . .</b>		0,02	6,993,89	0,0003
VIII აღზაზეთის ასსრ	1	სოხუმის რაიონი . . . . .	4,76	1,097,89	0,43	
	2	გუდაუთის " . . . . .	2,79	1,075,25	0,76	
	3	გაგრის " . . . . .	0,31	388,98	0,008	
	<b>ს უ ლ . . . . .</b>		7,86	4,858,38	0,18	

მევენახეობის რაიონები		ადმინისტრაციული რაიონები		რქაწითელი ფართობი ჰექტ	ვენახების მთლიანი ფართობი	%-ში საერთო ფართობთან.	
IX	რქა-ლეჩხუმი	1	ამბროლაურის რაიონი . . . . .	26,53	1,718,91	1,54	
		2	ონის რაიონი . . . . .	15,39	560,79	2,74	
		3	ცაგორის რაიონი . . . . .	4,53	6,260,55	0,20	
		ს უ ლ . . . . .			46,45	8,540,25	1,02
X	გურია	1	ლანჩხუთის რაიონი . . . . .	0,22	839,70	1,03	
		2	მხარაძის " . . . . .	0,04	1,273,41	0,008	
		3	ჩოხატაურის " . . . . .	0,01	1,784,18	0,0006	
		ს უ ლ . . . . .			0,27	3,897,29	0,007
XI	აჭარის ასსრ	1	ჭედის რაიონი . . . . .	0,1	114,67	0,009	
		ს უ ლ . . . . .			0,1	640,52	0,002
		სულ დასაეღეთ საქართველოში . . . . .			160,86	42,047,77	0,38
სულ საქართველოში . . . . .			13,966,93	67,030,42	20,84		

XI მთლიან ფართობში შედის აგრეთვე მალღარი ვენახები

ამრიგად, რქაწითელის მთლიანი ფართობი საბჭოთა კავშირში 15 ათას ჰექტარს აღემატება და ამ მხრივ მას პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის ვაზის ჯიშებს შორის. რქაწითელის ასეთი ფართო გავრცელების მიზეზია მისი უხვმოსავლიანობა, პროდუქციის კარგი ღირსება და გარემოს ცვალებადი პირობების კარგი ამტანობა. ამ თვისებებმა უზრუნველყო რქაწითელის საერთო მოწონება და მას უფრო ფართოდ გავრცელების პერსპექტივა შეუქმნა ახლო მომავალში. ამჟამად რქაწითელი შეტანილია საწარმოო სტანდარტულ ასორტიმენტში აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, აჭერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის სს რესპუბლიკებში და რუსეთის სფსრ ორჯონიკიძის მხარეში და დაღესტნის ასსრ-ში. ეკონომიური საბჭოს 1939 წლის 16 ნოემბრის № 1303 დადგენილების თანახმად 1940—1943 წლების მანძილზე რქაწითელი კოლმეურნეობებში უნდა გაშენებულიყო 1045,0 ჰექტარ ფართობზე. ეს ფართობი ასე იყო განაწილებული:

№ რიგზე	მევენახეობის რაიონები	ფართობი ჰექტარებში	№ რიგზე	მევენახეობის რაიონები	ფართობი ჰექტარებში
1	რსფს ორჯონიკიძის მხარე	385,0	5	ტაჯიკეთის სსრ	50,0
2	დაღესტნის ასსრ	125,0	6	ყაზახეთის სსრ	195,0
3	სომხეთის სსრ	55,0	7	ყირგიზეთის სსრ	55,0
4	თურქმენეთის სსრ	30,0			
სულ . . . . .					1045,0

გარდა ამისა, რქაწითელის გაშენება გვემთ ნავარაუდები იყო აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებშიაც. მთლიანად საბჭოთა კავშირში დაგეგმილია ზემოთ მოყვანილი დადგენილებით 10,000 ჰექტარი ვენახის გაშენება, რაც უკვე არსებულ ფართობთან ერთად შეადგენს 25,000 ჰექტარს.

რქაწითელის ასეთი ფართო გავრცელება აიხსნება მისი განსაკუთრებით მაღალი სამეურნეო და ტექნოლოგიური თვისებებით.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიშის აღწერა შესრულებულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტურ ბაზაზე ს. ვაზისუბანში.

ახალგაზრდა ყლორტი. ჩვეულებრივ 15—20 სმ სიგრძის ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინით და ჯერ კიდევ გაუშლელი პირველი ორი ფოთოლაკით შებუსუსებულია საშუალო სისქის აბლაბუდისებრი ბეწვით და შეფერილია მორუხო თეთრად, სუსტი მოვარდისფრო არშიით გვირგვინის ფოთოლაკების ირგვლივ. მეორე იარუსის (4 და 5) ფოთლები გაცილებით უფრო სუსტადაა შებუსუსებული განსაკუთრებით ზემო მხრიდან და შეფერილია მოწითალო ღვინისფრად, თანაც მოწითა-

ლო ბრინჯაოს იერი დაჰკრავს, ხოლო ფოთლების ქვემო მხარე რუხი თეთრი ფერისაა, მოვარდის-  
ფრო იერიანი. ახალგაზრდა ყლორტი მუქი მწვანეა.

ერთწლიანი რქები სწორად მოზარდი და საშუალოზე წვრილია, შემოტვლით  
იგი მოწითალო წაბლისფერია. მუხლთაშორისები საშუალო სიგრძისაა (მერყეობენ 7,5-დან 14 სანტიმეტ-  
რამდე), მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი, ვიდრე მუხლთაშორისები. გასწვრივი <sup>საფეხურებზე</sup>  
სუსტად არის გამოხატული.

ფოთლი. შუა იარუსის ფოთლები (9—12) მუქი მწვანე ფერისაა, ზომით საშუალოა (19×18 სმ),  
ფოთლის ფირფიტის მოყვანილობა მომრგვალოა და უმნიშვნელოდ გადახრილია, უფრო ხშირად ოვალუ-  
რი, ვიდრე გარდიგარდმო ოვალური ფორმისაა. უფრო ხშირად ფოთალი სამნაკეთიანია, იშვიათად  
გვხვდება ხუთნაკეთიანი და უფრო იშვიათად—დაუნაკეთავი, თითქმის მთლიანი ფოთლები. ფოთლის ფირ-  
ფიტა ბადისებრ-დანაოჭებული ან წვრილბურთულეობიანია. ხშირად ნაკეთების ზევით წამოწვევის გამო  
ფოთალი ძაბრისმაგვარ ფორმას იღებს.

ზედა ამონაკეთები ხშირად საშუალო სიღრმისაა, გვხვდება აგრეთვე უფრო ღრმა და ზეზეური ამო-  
ნაკეთებიც. ამონაკეთების ფორმა დანაკეთის სიღრმის მიხედვით ცვალებადობს. ჩვეულებრივ, ღრმა ამო-  
ნაკეთები დახურული ოვალურაფელიანებიანია; ზეზეური ამონაკეთები, პირიქით, ღია ნაპრალისებრია. უფრო  
ხშირად გვხვდება საშუალო სიღრმის ღია ჩანგისმაგვარი ამონაკეთები, იშვიათად—პარალელურგვერდებიანი  
ნაპრალისებური. იშვიათად—ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკეთების ფუძე ცალკებილიანია.

ქვედა ამონაკეთები სიღრმის მიხედვით ნაკლებცვალებადია. უფრო ხშირად ამონაკეთები ზეზეუ-  
რია და იშვიათად აღწევენ საშუალო სიღრმეს. ფორმით ეს ამონაკეთები ნაპრალისებრი ან შეკრილ-  
კუთხისებრია.


ყურძნის ამონაკეთი ჩვეულებრივ ღრმაა, ფორმის მიხედვით იგი ცვალებადობას განიცდის: ზოგ-  
ჯერ ღია ჩანგისმაგვარია, ზოგჯერ კიდევ გაშლილი შვილდისმაგვარი. უფრო ხშირად ყუნწის ამონაკეთი  
ჩანგისმაგვარია, უფრო იშვიათად განიერი თალისმაგვარია წამწვეტებული ან მომრგვალო ფუძით.

კბილები, რომლებითაც ბოლოვდება ფოთლის მთავარი ძარღვები, უფრო ხშირად სამკუთხედისებრია  
ახვილი წვერით, ხოლო უფრო იშვიათად სამკუთხედისებრია გამოზნექილი გვერდებით და მახვილი წვერით.  
გვერდითი კბილები ხერხკბილისებრ-სამკუთხედისებრია, ცალ გვერდგამოზნექილი ან ორმხრივ გამოზნექი-  
ლია, მახვილი წვერით.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება აბლაბუდისებრია. თხელ აბლაბუდასმაგვარ ბეწვებთან ერთად, უმთავ-  
რესად ძარღვების გასწვრივ, უფრო ინტენსიურად ქვედა იარუსის (სართულის) ფოთლებზე გვხვდება აგრეთვე  
თხელი ჯაგრისებრი ბუსუსიც. მექანიკური შეხებისას აბლაბუდისებური ბეწვები ხშირად ფიფქის ფორმას იღებენ.

ფოთლის ყუნწი ჩვეულებრივ მოკლეა, იშვიათად იგი მთავარი ძარღვის სიგრძისაა. ყუნწი უბუსუსოა  
და შეფერილია მთელ სიგრძეზე მოწითალო-ღვინისფრად და ჩართული აქვს მწვანე ზოლები. იშვიათად  
ეს შეფერვა გადადის ფოთლის ძარღვებზედაც.

ყვავილი. ნორმალური აგებულების ყვავილი ორსქესიანია, კარგად განვითარებული აქვს მტვრიან-  
ნები და ბუტკო. მტვრიანები სწორდგომია და ყვავილში უფრო ხშირად ხუთი, იშვიათად ექვსი ცალია.  
მტვრიანათა ძაფების სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან უდრის 1,0-ს, იშვიათად კი 1,25-საც  
აღწევს. ბუტკო კონუსისებრი ფორმისაა, კარგად განვითარებული აქვს სვეტი და ღინგი, ხანდახან ბუტ-  
კოს სვეტი ცალმხარეზეა წაბრილი (სურ. 2).



სურ. 2.  
რქაწითელის ყვავილი

მტვეანი. რქაწითელის მტვენები ჩვეულებრივ სა-  
შუალო ზომისაა, მათი სიგრძე 12—24 სანტიმეტრია, ხო-  
ლო სიგანე 5—12 სანტიმეტრს შორის მერყეობს. საშუ-  
ალო მტვენის ზომა უდრის 16×8 სანტიმეტრს. კარგად  
განვითარებული მტვენის სიგრძე აღწევს 22 სანტიმეტრამდე,  
ხოლო განი 10 სანტიმეტრამდე. მტვენის ფორმა საგრძნობ-  
ლად ცვალებადია. უფრო ხშირად გვხვდება ცილინდრულ-  
კონუსისებრი და ცილინდრული ფორმის მტვენები, იშვიათად  
მხრიანი და კონუსისებრი ფორმის მტვენებიც. მტვენის მხრე-

ბის სიგრძე ხშირად ძირითადი მტვენის ორ მესამედს აღწევს. ხანდახან მხარი იწყება მტვენის ყუნწის ფუძიდან,  
რის გამო მტვენი ორმაგი აკილოსმაგვარი ხდება. უფრო ხშირად მტვენები საშუალო სიმკვრივისაა, მაგრამ  
იშვიათად მკვრივი და თხელი მტვენებიც გვხვდება. მტვენის საშუალო წონა შეადგენს 160—200 გრამს,

ცალკეული, კარგად განვითარებული, მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 300—400 გრამს. წერილი, უწყობწო მარცვლები მტევანში დამახასიათებელია ჯიშისათვის. მათი რაოდენობა ცალკეული წლების მიხედვით არ აღემატება 5—10%-ს, მაშინაც ცალკეულ მოდგმებში იგი აღწევს 25 და მეტ პროცენტსაც. მტევნის ყუნწის სიგრძე მერყეობს 3—5 სანტიმეტრს შორის. ყურძნის დამწიფებისას ყუნწი ფუძესთან ხვდება და იღებება რქისფერად. მარცვლის ყუნწი მწვანეა, სიგრძე 3,5—7,0 მმ აქვს. ყუნწის საკვლეობაში ხორკლიანი და განიერი კონუსისებრი ფორმისაა.

მარცვალი. მარცვლების დიდი უმრავლესობა მტევანში საშუალო ზომისაა, სიგრძე აქვს საშუალოდ 1,68-დან 1,92 სმ-მდე, ხოლო განი 1,56-დან 1,80 სმ-მდე. მსხვილი მარცვლების სიგრძე აღწევს 2,0 სმ-ს, ხოლო განი 1,8 სმ-ს. მარცვლების ფორმა ოვალურია, შუა წელში იგი განიერია, ხოლო ბოლო მომრგვალო აქვს; იშვიათად გვხვდება ძლიერ ასიმეტრიული და მომრგვალო ფორმის მარცვლებიც. მარცვლების შეფერვა მოოქროსფერო-ყვითელია. ზოგიერთ ურწყავ ფერდობ ადგილებზე (ანაგა, კარდანახი და სხვ.) რქაწითელის მარცვლები სრული სიმწიფისას მეტად ლამაზადაა შეფერილი მოვარდისფერად. მარცვლის კანი თხელია და მკვრივი. იგი დაფარულია საშუალო სისქის ცვილისებრი ფიფქით. რბილობი ხორციან-წვნიანია, წვენი უფერულია. გემო სასიამოვნო და ჰარმონიული აქვს, ჯიშური არომატი კარგადაა გამოხატული. წიბწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 4-მდე. საშუალოდ 1000 მარცვალზე ერთწიბწიანები შეადგენენ 30%-ს, ორწიბწიანები 50%-ს, სამწიბწიანები 16,6%-ს, ხოლო ოთხწიბწიანები—3,4%-ს. საშუალოდ ერთ მარცვალზე დაახლოებით 2 წიბწა მოდის.

წიბწა. წიბწის სხეული მოგრძო ოვალური ფორმისაა და ნისკარტისაკენ თანდათან დაეწროებულია. სხეულის სიგრძე უდრის 6—7 მილიმეტრს, სიგანე კი 3—4 მილიმეტრს. ქალაძა ამოხსნილია და თითქმის ოვალური ფორმისაა, გული კი შიგნით აქვს შეწეული. სხეულის ზედა ღარი ვიწრო და ღრმაა, იგი სხეულის განიერ ნაწილს ორად ყოფს. ქალაძიდან ნისკარტისაკენ მიმართული ღარტაფი კარგადაა გამოხატული. მუცლის მხარე ქედიანია. მუცლის მხარის ღარები საკმაოდ ღრმაა და პარალელურადაა განლაგებული. ნისკარტის სიგრძე 1,5 მმ-ს უდრის, განი 1,0 მმ-ს, წიბწის სხეული მონაცრისფერო-ყვითელია, ნისკარტი ნარინჯისფერია. ნისკარტი ვიწრო ცილინდრული ფორმისაა, წაწვეტებული და მუცლის მხარეზე წახრილია.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

ფენოდაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებულა მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე, ქ. თელავში.

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობის დახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია თარიღები ცალკეული ფაზების დადგომის, მთელი პერიოდის ხანგრძლიობისა და საჭირო აქტიური ტემპერატურების ჯამის ჩვენებით მევენახეობის მთავარი რაიონების მიხედვით (იხ. ცხრილი 2).

ცხრილიდან ჩანს, რომ სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მევენახეობის ცალკეული რაიონების შავის შესაბამისად მერყეობს 136 დღიდან (უზბეკეთი) 171 დღემდე (აზერბაიჯანი). შედარებით იმავე ფარგლებში იცვლება ჯამი ტემპერატურისა სავეგეტაციო პერიოდში. ეს მერყეობა 3,005-დან 3,338-მდე ნორმალურად უნდა ჩაითვალოს, თუ მხედველობაში მივიღებთ ცალკეული რაიონების ტემპერატურების ღონეს და ნალექების რაოდენობას სავეგეტაციო პერიოდში.

ამ მონაცემების გათვალისწინებით შეიძლება რქაწითელის გავრცელების თანამედროვე საზღვარი საგრძნობლად გადაიწიოს უფრო ჩრდილოეთით და მალლა მთებისაკენ, სადაც კი ჯამი აქტიური ტემპერატურისა აღწევს საშუალოდ 3000—3100 გრადუსს.

ერთწლიანი რქები კახეთში ყურძნის სრული სიმწიფის მომენტისათვის თავისუფლად ასწრებს მომწიფებას. უფრო ცივ რაიონებში (საყარაულო—თიანეთის რაიონში, ნუკრიანი—სიღნაღის რაიონში), სადაც რქაწითელი ყოველ წელს სრულად ვერც კი მწიფდება, ვაზის ერთწლიანი რქები ერთი მეტრის სიგრძეზე თავისუფლად ასწრებს მომწიფებას. ამის გამო ჯიშის დარაიონების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ძირითადად ყურძნის სრული დამწიფებისათვის საჭირო ჯამი აქტიური ტემპერატურისა, რომლის დროს საესებით უსრუნველყოფილი იქნება ერთწლიანი რქების საჭირო სიგრძეზე მომწიფებაც.

კახეთის პირობებში და მის გარეთაც (დარუბანდში, ოდესაში, შუა აზიის რესპუბლიკებში და სხვაგანაც) რქაწითელი სხვა ჯიშებთან შედარებით საშუალო ზრდის ღონეს იჩენს. ნიადაგის სინოყვირის მიხედვით, ცხადია, რქაწითელის ზრდის ღონე არა მარტო რაიონების, არამედ ერთი რაიონის ფარგლებშიც,



რქაწითელის სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა მევენახეობის სხვადასხვა რაიონში

ცხრილი 2

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	დაკვირვების წლები	კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვევლობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე	სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დღეებში	ჯამი ტემპერატურა კვირტის გაშლიდან სრულ სიმწიფემდე	ნალექები			შენიშვნა
								სარეზერვუარული	სრული	სავეგეტაციო	
1 კახეთი, საქ. მეცნ. აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტი, ქ. თელავი . . . . .	1943—1948	25/4	10/6	19/8	23/9	157	3018,0	91,1	473,3	6 წ. საშ.	
	1936—40	22/4	10/6	19/8	30/9	161	3247,2	90,7	619,4	5 წ. საშ.	
2 უკრაინა, უკრაინის მევენახეობის ინსტიტუტი, ქ. ოდესა	1939	28/4	10/6	30/8	7/8	161	3111,0	—	—	—	
3 აზერბაიჯანი, აზერბაიჯანის მევენახეობის ზონალური სადგური, კიროვობადი	1938—40	19/4	31/5	29/8	7/9	171	3085,2	—	—	3 წ. საშ.	
4 შავი ზღვის სანაპირო, იაკობნაია წხელი, სოხის რაიონი	1939—40	13/4	9/6	13/8	10/9	151	3005,5	—	—	2 წ. საშ.	
5 რსფსრ, ორჯონიკიძის მხარე, ბუდიონოვსკის დასავრდენი პუნქტი . . . . .	1939	25/4	7/6	12/8	23/9	151	3338,1	—	—	—	
6 ყირიმი, ქ. იალტა „მაგარაი“	1932—37	24/4	12/6	15/8	25/9	154	3240,7	—	—	6 წ. საშ.	
7 დაღესტანი, დარუბანდის მევენახეობის საცდ. სადგური	1937—40	28/4	10/6	12/8	14/9	139	3041,2	—	—	4 წ. საშ.	
8 უზბეკეთი, მევენ. საცდ. სადგური, მემცენარეობის ინსტიტუტის ბაზა . . . . .	1934—37 1940	22/4 8/4	27/5 18/5	24/8 21/7	6/9 1/9	136 146	— —	— —	— —	4 წ.	
9 თურქმენეთი, აშხაბადი, გეოქტეპეს საბჭ. მეურნეობა . . . . .	1942	1/4	30/4	5/7	20/8	142	—	—	—	—	

ცალკეულ ნაკვეთებზედაც, საგრძნობლად მერყეობს, ხოლო მისი შეფარდებითი ზრდის ღონე მისი გერცელების თითქმის ყველა რაიონში საშუალოა.

ჯიშის მოსავლიანობა, რქაწითელი, ისე როგორც მომეტებული ნაწილი ქართული ვაზის ჯიშებისა, ადრე იძლევა პირველ მოსავალს. პირველ ნიშანს რქაწითელი იძლევა დარგვის მეორე წელს, მესამე წელს იგი იძლევა სრული მოსავლის ერთი მეოთხედიდან ნახევრამდე, ხოლო მეოთხე-მეხუთე წლიდან უკვე ნორმალურ მოსავალს გვაძლევს. ღონიერ ნიადაგებზე (ხირსა-გუმბათი) და სარწყავ ნაკვეთებზე,

რქაწითელის ვენახების მოსავლიანობა სამტრედიის მეურნეობებში 1938—1940 წლებში

ცხრილი 3

მეურნეობის დაახელება	1938 წელი			1939 წელი			1940 წელი			შენიშვნა
	ფართობი ჰექტ-ში	მოსავლი ჰექტ-ზე	მთლიანი მოსავალი	ფართობი ჰექტ-ში	მოსავლი ჰექტ-ზე	მთლიანი მოსავალი	ფართობი ჰექტ-ში	მოსავლი ჰექტ-ზე	მთლიანი მოსავალი	
1 წინანდლის მეურნეობა . . . . .	93,63	19,0	1,780,8	99,02	41,5	4,106,1	107,84	28,3	3,053,1	*) მოსავლის მეტორი წინტორება სეტყვითაა გამოწვეული
"   4 წლიანი ნარგავი	5,39	17,7	95,2	8,82	0,9	8,1	—	—	—	
2 ნაფარეულის მეურნეობა . . . . .	83,5	23,6	1,937,3	83,5	29,0	2,420,5	83,5	1,3*)	110,2	
3 მუკუხნის " . . . . .	48,56	36,2	1,756,2	48,56	40,8	1,932,5	48,56	35,1	1,705,0	
4 კარდანახის " . . . . .	18,16	49,0	889,7	18,16	16,0*)	290,6	18,16	54,2	984,2	
5 ხვარლის " . . . . .	66,8	11,7*)	782,4	66,8	23,2	1,898,9	63,8	7,7*)	514,2	
6 ხირსის სრულმოსავლიანი ვენახი	41,22	89,1	3,672,5	80,63	123,1	9,930,4	140,32	115,7	16,239,0	
"   4 წლიანი ვენახი . . . . .	39,41	64,2	2,531,9	59,69	59,1	3,526,1	67,76	46,4	3,143,0	
"   3 წლიანი ვენახი . . . . .	59,69	23,4	1,396,7	67,76	11,6	783,2	—	—	—	
7 მანავის მეურნეობა . . . . .	21,02	50,2	1,056,7	21,02	77,6	1,628,8	21,02	93,2	1,959,4	
8 ყულარის " . . . . .	103,99	36,8	3,823,2	103,99	49,0	5,092,9	103,99	100,5	10,444,5	
9 გიაურ-არხის " . . . . .	2,92	39,2	114,1	2,92	25,8	75,3	2,92	59,0	171,9	
10 არგვეთის " . . . . .	2,29	18,3	42,0	2,29	17,2	39,3	2,29	16,1	33,9	
11 გურჯაანის " . . . . .	9,70	63,5	616,3	9,70	111,3	1,080,0	9,70	86,5	838,6	
12 თელავის " . . . . .	1,47	31,9	46,9	1,47	18,6	27,3	1,47	33,2	56,1	



ბია. სამტრედიის მეურნეობებში იგი მერყეობს 63-დან 66 დეკალიტრამდე ერთ ტონაზე, უზბეკეთში იგი შეადგენს 70 დეკალიტრს, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საშუალო გამოსავლიანობა შეადგენს 70,2% რუსეთში — ორჯონიკიძის მხარის ჩერვლენსკის რაიონში იგი მერყეობს 70,80-დან 73,4 დეკალიტრამდე, ერთ ტონა ყურძენზე.

**რქაწითელის ყურძნის მექანიკური შემადგენლობის მაჩვენებლები მევენახეობის სხვადასხვა რაიონში**



მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მტვენის საშუალო წონა	მტვენის შემადგენელი ნაწილები %/ო-ში საერთო წონიდან					100 მარცხლის წონა გრამებში	100 წიპწის წონა გრამებში
			კლერტი	მარცვლი	კანი	წიპა	წვენი და რბილობი		
1 კახეთი, საქ. მეცნ. აკად. მევენახეობის ინსტ-ტი, ქ. თელავი	1940	165	3,35	96,65	12,16	3,25	81,24	174	3,9
	1941	180	3,40	96,6	11,10	3,5	82,0	178	3,8
2 მევენახ. ინსტ-ტის ექსპ. ბაზა ს. ვახიუბანში	5 წ. საშ. 1933-36	190,7	3,49	96,51	11,21	3,55	81,75	210	4,0
	1933-36	—	3,53	96,47	23,29*	2,95	70,23	—	—
3 აზერბაიჯანი, მევენახ. საცდ. სადგური, ქ. კიროვბადი	1940	147,84	2,71	27,29	10,55	2,70	84,04	150	—
4 უკრაინა, ქ. ლუესა, უკრაინის მევენახ. ინსტ-ტი	1939	162,2	2,52	97,48	11,11	4,37	82,0	—	—
5 რსფსრ, ორჯონიკიძის მხარე, ლეოკუმსკის რაიონი	1939	206,65	2,45	97,55	9,66	3,76	84,13	178	4,2
6 უზბეკეთი, ქ. ტაშკენტი	1939	164,54	2,11	97,89	5,64	3,38	88,87	—	—
7 სომხეთი, ქ. ერევანი	1940	200,6	2,3	97,7	—	3,80	—	180,8	—
8 ქ. სოჩა, დასაყრდენი პუნქტი	1938	155,0	2,2	97,8	15,1	4,0	78,7	—	—
9 ყირიმი, მავარაჩი	1940	58,0	3,3	96,7	6,0	2,3	88,4	—	—
10 დაღესტანი, ქ. დარუბანდი	1940	275,0	2,18	97,82	—	4,0	—	165	—

\* ნაჩვენებია ტაქის პროცენტი.

ყურძნის წვენი სიმკვრივე შემადგენლობა. რქაწითელი ყურძნის წვენი კარგი ქიმიური შემადგენლობით ხასიათდება. ფიზიოლოგიური სიმწიფის დადგომიდან თითქმის გადამწიფებამდე იგი ნარჩუნებს შაქრიანობა-მეაფიანობის სასურველ შეფარდებას. ამასთან ერთად, რქაწითელი დიდი რაოდენობით ავროვებს შაქარს (30% -მდე) საჭირო მეაფიანობის შენარჩუნებით; ამ შემთხვევაში იგი იშვიათად ეცემა 5% -ზე ქვევით. სამხრეთ რაიონებში ყურძნის ფიზიოლოგიური სიმწიფიდან მის გადამწიფებამდე, დაახლოებით ერთი თვის მანძილზე, რქაწითელიდან შესაძლებელია თითქმის ყველა ტიპის ღვინის დამზადება.

**რქაწითელის ყურძნის წვენი შაქრიანობა და მეაფიანობა რთველის პერიოდში**

ცხრილი 5

რაიონის და ანალიზის წარმოების ადგილის დასახელება	მოსავლის წელი	რთველის თარიღი	შაქრიანობა %/ო-ბით	მეაფიანობა %/ო-ბით	შენიშვნა
1 კახეთი, საქ. მეცნ. აკადემიის მევენახეობის ინსტ-ტი, ქ. თელავი	1946	13/IX	21,5	10,8	
	1947	12/IX	20,0	8,84	
	1948	20/IX	21,5	7,95	
	1950	12/IX	24,0	9,41	
2 მევენახეობის ინსტ-ტის ექსპერიმენტალური ბაზა ს. ურიათუბანში	5 წ. საშუალო	—	21,56	7,68	
	1929	—	22,4	6,7	
3 სამტრედიის კარდანახის საბჭ. მეურნეობა	1940	20/IX	23,6	6,58	
4 ახმეტის სააღაპტაციო ნაკვეთი	1937	17/IX	18,8	7,0	
5	1937	25/IX	20,0	8,9	
6 აზერბაიჯანი, მევენახეობის საცდელი	1934	10/X	23,3	6,57	
7 სადგური, ქ. კიროვბადი	1939	9/X	22,4	5,5	
8 " " აგდაშის რაიონი	1935	25/IX	23,3	5,22	
9 " " საბჭოთა. მეურნეობა. "ყარაჩანახი"	1935	9/X	25,5	4,91	
10 რსფსრ, ორჯონიკიძის მხარე, სოფ. პრასკოვია	1938	20/IX	19,2	7,1	
	1939	25/IX	24,7	5,7	
11 ლეოკუმსკის საბჭოთა მეურნეობა	1940	29/IX	21,0	8,0	
12 უზბეკეთი, ტაშკენტის ოლქი	1936	—	26,9	6,0	
13 " " სამარკანდის	1932	—	31,7	5,1	
14	1933	—	26,4	5,7	
15 უკრაინა, ქ. ლუესა	10 წ. საშ.	1/X	20,94	9,33	10 წ. საშუალო უდიდესი
16	—	24/X	27,8	11,30	
17 ყირიმი, "მავარაჩი"	1939	4/X	24,9	7,2	
18 მევენახეობის ინსტ-ტის შუა აზიის	1943	21/VIII	19,0	9,8	
19 საცდელი სადგური "კიბრაი"	—	27/VIII	22,0	8,3	
20 კრასნოდარის მხარე, ქ. სოჩა	1940	—	18,2	9,8	

რაიონის ჰავის შესაბამისად შაქრის შედარებით დიდი რაოდენობით დაგროვების უნარი და მისი ცვალებადობა წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ მე-5 ცხრილში.

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რქაწითელის წვეწვანობა ცალკეული აღებულების და წლების მიხედვით საგრძობლად მერყეობს, სახელდობრ, 18%-დან 31,7%-მდე, საუმალო შეფერვაობის შენარჩუნებით.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. რქაწითელი ყურძნის ცხრილში აღებული ჯიშია. იგი იძლევა თითქმის ყველა ტიპის ღვინოს, მაღალი ღირსების ყურძნის უაღკოპოლო წვენს და ადგილობრივი მოხმარების კარგ სადესერტო ყურძენს.

მაღალი ღირსების თეთრი სუფრის ღვინოებს რქაწითელი თავის სამშობლო — კახეთში იძლევა. აქ ცალკეული მასივების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ზონალობასთან დაკავშირებით საგრძობლად იცვლება ღვინის ტიპი და მისი ხარისხი.

ამ მხრივ კახეთში გამოირჩევა მევენახეობის ორი დიდი მასივი — ალაზნის მარჯვენა მხარე ცივგომბორის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობებზე გაშენებული ვენახებით და ალაზნის მარცხენა მხარე მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე გაშენებული ვენახებით.

ალაზნის მარჯვენა მხარის ღვინოები ჩრდილო-დასავლეთითან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადანაცვლებისას, ვენახების ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობის გამო, საგრძობლად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. შედარებით უფრო ნაკლებ განსხვავდება ერთმანეთისაგან ალაზნის მარცხენა მხარეზე ამავე მიმართულებით მდებარე ვენახების ღვინოები.

ალაზნის მარჯვენა ნაპირი, კერძოდ, მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი — აბმეტა — იყალთოს ზონა იძლევა ღია ჩალისფერ-მომწვანო იერის, ნაზ, ჰარმონიულ, მსუბუქ, ევროპული ტიპის სუფრის ღვინოს. ამავე ზონაში კახური წესით დამზადებულ ღვინოებს, როცა განსაკუთრებით რქაწითელში შერეულია მწვანე ან ხიხვი, ახასიათებს ღამაზი ჩაის ფერი, სისრულე, ჰარმონიულობა და გაცილებით მეტი სინაზე ამავე ტიპის ბაკურციხის კარდანახის ან გურჯაანის ღვინოებთან შედარებით. შემდეგი ზონა — იყალთოდან მუკუზნამდე (ამის ჩათვლით) — უფრო შინაარსიან, ევროპული ტიპის სუფრის ღვინოებს იძლევა. ამ ღვინოებიდან გამოირჩევა კონდოლის, წინანდლის, კისისხვევის, ქვემო ხოდაშნის, ვაზისუბნის და მუკუზნის თეთრი სუფრის ღვინოები. ამ ღვინოებს ახასიათებს ღია მოოქროსფერ-მომწვანო იერი, სისრულე, ხილის ბუკეტი, სინაზე, ჰარმონიულობა, სიხალისე და მცირეოდენი პიკანტური სიმწარე გემოს მხრივ. ამ ღვინოების სიმაგრე უდრის 11—20%-ს და შეფერვაობა 6—8%-ს. დაახლოებით ამნაირი კონდიციის, მხოლოდ უფრო ნაზ, ევროპული ტიპის თეთრ ღვინოს იძლევა რქაწითელი ალაზნის მარცხენა მხარეზე — ნაფარცულში, სანიორეში, ართანაში, ენისელში და სხვაგან. ეს ღვინოები თავისი სინაზითა და სიმსუბუქით უფრო უახლოვდება რკინის და შაბლის ცნობილ თეთრ ღვინოებს.

სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ კიდევ შემდეგი გადანაცვლების შედეგად — მუკუზნიდან ანაგამდე — ღვინოები იმდენად მდიდრდება სხეულითა და ალკოჰოლით, რომ ევროპული ტიპისათვის შეუფერებელი ხდება. ეს ზონა იძლევა მაღალხარისხოვან კახური ტიპის ღვინოს. განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი ღვინო კარდანახის მიკრორაიონში დგება. მას ახასიათებს მუქი ჩაისფერი, ძლიერი ჯიშური არომატი და თავისებური ბუკეტი, სისრულე, სიძლიერე, ჰარმონიულობა და ოდნავი სიმწკლარტე გემოს მხრივ. ამ ტიპის ღვინის სიმაგრე აღწევს 13—14%-ს ხოლო შეფერვაობა 4—5%-ს არ აღემატება.

შაქრის დიდი რაოდენობით დაგროვების გამო ამავე ბაკურციხე — კარდანახისა და ანაგის ზონაში ხშირად ღვინო დაუღუღლარი რჩება, რის გამოც აქ სამტრედი უფრო ხშირად მაგარსა და სადესერტო ღვინოებს ამზადებს. მათ შორის აღსანიშნავია სამარკო ღვინო „ანაგა“ მადერის ტიპისა. იგი შეიცავს 19% ალკოჰოლს, 4% შაქარს და 5—7% სიმკვავეს, აქვს კარგი მუქი ქარვისფერი შეფერვა და ტიპისათვის დამახასიათებელი გემო და არომატი. შემდეგ აღსანიშნავია „საამო“ და „კარდანახი“ პორტვინის ტიპისა. ეს ღვინოები მზადდება კარდანახის რქაწითელისაგან. პირველი შეიცავს 17% ალკოჰოლს, 13% შაქარს, 5—7% სიმკვავეს, მეორე — 18% ალკოჰოლს, 10% შაქარს და 5—6% სიმკვავეს და ხასიათდებიან მუქი ქარვისფერით, ტიპისათვის დამახასიათებელი გემოთი და თავლის ძლიერი იერით ბუკეტში. დაახლოებით ასეთივე თვისებების მქონეა „ხირსაც“. იგი მზადდება ხირსის რქაწითელისაგან.

გარეკახეთში მაღალხარისხოვან სუფრის ღვინოს იძლევა რქაწითელი საგარეჯოს რაიონში. აქ განსაკუთრებით გამოირჩევა მანავის მიკრორაიონის ევროპული ტიპის მსუბუქი სუფრის ღვინოები. მანავის რქაწითელი ხასიათდება მოოქროსფერო მომწვანო იერით, თავისებური ხილის ბუკეტით, სინაზით, სიმსუბუ-



რქაწითელი — Ркацели

ით, ჰარმონიულობით და სასიამოვნო გემოთი. თავისი ტიპით მანაგის რქაწითელი მეტად ახლოს დგას-  
ქამავე ჯიშის ნაფარეულ-ართანა-ენისელისა და იყალთოს უბნის ღვინოებთან, რომლებიც თავისი სიმ-  
სუბუქით, სინაზითა და ძლიერი არომატით უფრო ახლოს დგანან შაბლის ცნობილ თეთრ ღვინოებთან.

რქაწითელი მეტად მაღალი ღირსების უალკოჰოლო ყურძნის წვენს იძლევა. ამ მხრივ გამოცდილი  
მრავალი ჯიშისაგან იგი პირველია მწვანესთან ერთად თავისი ლამაზი მოყვითალო-ოქროსფერი, სასი-  
ამონო გემოთი და ძლიერი ჯიშური არომატით. ასეთივე მაღალი ღირსების ყურძნის წვენს იძლევა რქა-  
წითელი უკრაინასა და აზერბაიჯანში. კიროვბადში, მევენახეობის საცდელ სადგურზე, 1933-1934 წლებ-  
ში გამოცდილ ჯიშთაგან რქაწითელის ოთხმა ნიმუშმა მიიღო ხუთბალიანი შეფასების დროს 4,4 ბალი,  
რის საფუძველზედაც სადგური თვლის რქაწითელს ერთ-ერთ საუკეთესო ჯიშად სუფრისა და სადესერტო  
მაღალხარისხიანი ყურძნის წვენის დასამზადებლად. ასეთივე მაღალი შეფასება მიიღო რქაწითელი უკრაინაში.  
1934 და 1936 წელს დამზადებულმა ყურძნის წვენმა მიიღო 8 და 7,75 ბალი და მაღალი დეგუსტაციური შეფა-  
სება: შეფერვა მოოქროსფერო-ყვითელი, თავისებური სასიამოვნო არომატი, გემო სრული და მეტად სასიამოვნო.

დასასრულ, აღმოსავლეთ საქართველოში რქაწითელი ძირითადი სადესერტო (სუფრის) ჯიშია. იგი  
იხმარება მთელი სეზონის განმავლობაში არა მარტო როგორც საქმელი ყურძენი, არამედ დიდი რაოდე-  
ნობით ინახება საზამთროდაც. რქაწითელისაგანვე მზადდება საოჯახოდ ბადაგი, ჩამიჩი, ჩურჩხელა, თათა-  
რა და სხვადასხვა ტკბილეული.

საერთოდ, რქაწითელი, რომელსაც ლამაზი გარეგნული შეხედულება (მოზრდილი, საშუალო სიმკვ-  
რივის მტევნები, საშუალო ზომის ოვალური მოვარდისფერო-ყვითელი მარცვლებით) და სასიამოვნო ჰარ-  
მონიული გემო აქვს, არამც თუ არ ჩამოუვარდება საყოველთაოდ ცნობილ სუფრის ყურძნის ჯიშს შას-  
ლას, არამედ სჯობნის კიდევ მას ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ერთადერთი ნაკლი რქაწითელისა ისაა,  
რომ იგი აღრე მწიფდება. ყველა ამის გამო, რქაწითელი თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ადგილო-  
ბრივი მოხმარების კარგ სადესერტო ყურძნის ჯიშადაც.

აზერბაიჯანში, ძირითადად კიროვბადისა და შამქორის რაიონებში, რქაწითელი იძლევა მაღალხარის-  
ხიან მშრალ სუფრის ღვინოს. აზერბაიჯანის სამტრედიის მეურნეობებში კარგი ღირსების მშრალი სუფ-  
რის ღვინო დგება საბჭოთა მეურნეობა „პროვანსალნოეში“, „ყარაჩანახში“ და მესამე საბჭოთა მეურნეო-  
ბაში. ამ მეურნეობათა ღვინოებიდან ყველაზე მაღალი შეფასება (6,9 ბალი) მიიღო მესამე საბჭოთა მეურ-  
ნეობის რქაწითელი. იგი დახასიათებულია, როგორც „გამჭვირვალე, ლამაზი-მოოქროსფერო, სრული, ჰარ-  
მონიული, რქაწითელისათვის დამახასიათებელი ღვინო“. აზერბაიჯანის მშრალ სუფრის ღვინოებს, კახეთის  
ამავე ტიპის ღვინოებთან შედარებით, აკლიათ სისრულე და ღვინის შემადგენელი ნაწილების ჰარმო-  
ნიულობა.

რქაწითელის ქაქას აზერბაიჯანში წარმატებით იყენებენ კახური ტიპის ღვინის მისაღებად. ამ მიზნით  
მთავარი ჯიშის ბოიან-შარეის წვენს აღუღებენ რქაწითელის ქაქაზე და იღებენ კარგად გამოსახული კახუ-  
რი ტიპის ორდინარულ ღვინოს.

უკეთეს შედეგებს იძლევა რქაწითელი მაგარი და სადესერტო ღვინოების დამზადებისას. ამათგან აღ-  
სანიშნავია სადესერტო ღვინო „ყარა-ჩანახი“. იგი მზადდება ნაგვიანვე დაკრეფილი რქაწითელისაგან საბ-  
ჭოთა მეურნეობა ყარაჩანახში. ღვინო ტოკაის ტიპისაა, შეიცავს 16% ალკოჰოლს, 18% შაქარს და  
5-6% სიმკვავეს და აქვს ღია ჩალისფერი, დამახასიათებელი ბუკეტი, სისრულე, ჰარმონიულობა და თაფ-  
ლის იერი გემოს მხრივ. ბაიიან-შირეისთან ნარევ რქაწითელს იყენებენ მეორე სამარკო ღვინის „აქსტა-  
ფის“ დასამზადებლადაც.

სომხეთში რქაწითელი ერთ-ერთ საუკეთესო ჯიშად ითვლება მშრალ და სადესერტო სუფრის ღვინო-  
ების დამზადებისათვის. მშრალი სუფრის ღვინოების დასამზადებლად რქაწითელს კრეფენ აღრე, როცა მი-  
სი შაქრიანობა 19-20%-ს უდრის, ხოლო მეავიანობა არანაკლებია 5-6%-ისა. მაღალი ღირსების  
სუფრის ღვინოები დგება ძირითადად სომხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ (საქართველოს მომიჯნავე) რაიონებ-  
ში. არარატის ვაკეზე რქაწითელი იძლევა კარგი სადესერტო ტიპის ღვინოებს. ამ მხრივ რქაწითელს სომ-  
ხეთში კარგი პერსპექტივა აქვს.

უკრაინაში რქაწითელი ძირითადად მევენახეობის ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთებზეა გაშენებული.  
ამ ნაკვეთებიდან დამზადებული მშრალი სუფრის ღვინო ხასიათდება „მოოქროსფერო-მომწვანო იერით, სა-  
სიამოვნო ჯიშური არომატით, საკმაო სისრულით, ჰარმონიულობით და სიხალისით, ხანდახან შესამჩნევია  
ხედმეტი ალკოჰოლიანობა.“ საერთოდ, სხვადასხვა დროს დაკრეფილი რქაწითელი იძლევა მასალას სხვა-

დასხვა ტიპის ღვინისათვის: ნაადრევად დაკრეფილი ყურძენი იძლევა მასალას სუფრის ღვინოებისათვის და ნაგვიანვად დაკრეფილი სადესერტო ღვინოებისათვის.

რქაწითელის ღვინის მაღალი ხარისხი, მისი სინაზე და კარგად გამოსახული ჯიშური არომატი პერსპექტიულად ზღის მას უკრაინაში შამპანურის წარმოებისათვის. ამ მიზნით რთვლის ნაადრევად დაკრეფამ 1937 წლის 13/IX შედეგად მოგვცა 18,9% შაქარი და 10,65%<sup>0/00</sup> სიმჟავე, ხოლო 1939 წლის 11/IX — 18,9%<sup>0/00</sup> შაქარი და 12,50%<sup>0/00</sup> სიმჟავე. 1937 წლის მოსავლის საშამპანურე მასალა სადესერტო ღვინო კომისიამ ასე შეაფასა: „შეფერვა კარგია, კიუვეს და ტაის ბუკეტში კარგად გამოსახულია ჯიშის ძლიერი არომატი. კიუვეს ბუკეტი ემსგავსება რაინის ახალგაზრდა ღვინის ბუკეტს. მჟავიანობა საკმარისია. გემო ჰარმონიული და ნაზი, თავისებური ძვირფასი ორიგინალობით. არატიპური შამპანური მასალა“.

1936 წლის მოსავლის წმინდა რქაწითელისაგან უკრაინის მევენახეობის ინსტიტუტის მიერ დამზადებული მზა შამპანური სადესერტო ღვინო კომისიამ შეკვდივნიად შეაფასა: „რქაწითელიდან დამზადებული შამპანური ღვინო ხასიათდება სპეციფიკური ბუკეტით. ჯიში უდავოდ საყურადღებოა. ბალი 6,9“.

კარგ შედეგებს იძლევა რქაწითელი რუსეთში. ორჯონიკიძის მხარეში დაკრეფის დროის შესაბამისად რქაწითელისაგან მზადდება სუფრის მშრალი და სადესერტო ღვინო. ადრე დაკრეფილი ყურძენისაგან დგება ოდნავ მომწვლარტო, სრული, ჰარმონიული მჟავიანობის მქონე ხარისხოვანი სუფრის ღვინო, ხოლო გვიან დაკრეფილი ყურძენისაგან ამზადებენ ტოკაის ტიპის მაღალხარისხოვან სადესერტო ღვინოს, რადგანაც ტკბილის შაქრიანობა თავისუფლად აღწევს 25%<sup>0/00</sup>-ს, ხოლო მჟავიანობა 5—6%<sup>0/00</sup>-ზე ქვევით არ ეცემა. ორჯონიკიძის მხარეში რქაწითელისაგან ძირითადად მაღალხარისხოვანი სადესერტო ღვინო მზადდება. ამ მხარეში კარგად ცნობილი სამარკო ღვინო „სადესერტო რქაწითელი“ მზადდება წმინდა რქაწითელისაგან. იგი, ჭაჭაზე დაყენებული და შემდეგ დასპირტული, იძლევა ნამდვილ ტოკაის ტიპის ღვინოს. იყენებენ რქაწითელს, დაახლოებით 10—15%<sup>0/00</sup>-ის რაოდენობით, აგრეთვე მაღალი ღირსების თეთრი პორტვინის დამზადებისას.

უზბეკეთში რქაწითელისაგან სადესერტო და მშრალი სუფრის ღვინო მზადდება. სუფრის ღვინო, ყურძენში შაქრის დიდი რაოდენობით (31,7%<sup>0/00</sup>-მდე) დაგროვების გამო, არ გამოდის მაღალხარისხოვანი: იგი სრულად ვერ დუღდება და მძიმეა, რადგანაც ზედმეტად მდიდარია სხეულით. ამიტომ უზბეკეთში რქაწითელისაგან უმთავრესად მზადდება სადესერტო ღვინო, რომელიც აღნიშნული მიზეზების გამო მაღალხარისხოვანი დგება. ღვინო შეიცავს 15—16%<sup>0/00</sup> ალკოჰოლს, 16—20%<sup>0/00</sup> შაქარს და აქვს ლამაზი მოოქსროსფრო შეფერვა, ჯიშისათვის დამახასიათებელი სურნელოვანება და სრული ჰარმონიულობა გემოსი. დაძველებისას ღვინის ხარისხი საგრძნობლად უმჯობესდება: შეფერვა ხდება უფრო მუქი და ბუკეტში თავლის იერი ვითარდება. ღვინო უდავოდ მაღალი ღირსებისაა და სადესერტო ღვინო კომისიების სხდომებზე ხშირად იღებდა მაღალ შეფასებას (9 ბალს).

ყირიშში რქაწითელი იშვიათია. მისგან ამზადებენ სადესერტო ღვინოს, მაგრამ მისი ხარისხი საშუალოზე მაღალი არაა.

რქაწითელის ღვინის მაღალი ღირსების, სხვადასხვაგვარობის და მისი ქიმიური ბუნების გაცნობის მიზნით ქვემოთ მოყვანილია მაჩვენებლები ჯიშის გავრცელების ადგილებში დამზადებული ღვინის ქიმიური შემადგენლობის შესახებ. ეს მაჩვენებლები მოყვანილია ღვინის ძირითადი ტიპების: შამპანურის, სუფრისა და სადესერტო მიმართულების ღვინოების ქიმიური ბუნების დასახასიათებლად. როგორც ცხრილიდან ჩანს (იხ. გვ. 92 ცხრ. 6), რქაწითელის ღვინოები, ცალკეული ტიპების მიხედვით, საგრძნობ ცვალებადობას განიცდიან იმის მიხედვით, თუ რაიონის როგორ ეკოლოგიურ პირობებში არიან დამზადებული. ამასთან ერთად, აღსანიშნავია ჯიშის მდიდარი ქიმიური ბუნება: სხეულთან შეფარდებული ალკოჰოლიანობა და მჟავიანობა.

მდიდარი ქიმიური ბუნების შესაბამისად მაღალია რქაწითელის ღვინოების ორგანოლექტიკური თვისებებიც. როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო სადესერტო ღვინო კომისიის მთელ რიგ სხდომებზე რქაწითელი მუდამ მაღალ შეფასებას იღებდა. თქმულის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერი ცენტრალური სადესერტო ღვინო კომისიის იმ სხდომის ოქმიდან, რომელიც შედგა 1946 წლის 11 აპრილს ქ. მოსკოვში საქ. მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამზადებული ღვინოების შესაფასებლად (იხ. გვ. 99. ცხრ. 7).

ჯიშური არომატი რქაწითელის ახალგაზრდა ღვინოებში სუსტად არის გამოსახული, მხოლოდ დაძველებისას ღვინოებში ვითარდება ნაზი, სასიამოვნო ძლიერი ბუკეტი, საწყისი მაღალი გემოვნური ჰარმონიისა. ასევე იცვლება დაძველებისას ღვინის შეფერვა, იგი მომწვანო-ჩალისფერის ნაცვლად იძენს მოოქროსფრო იერს.

რქაწითელის ღვინის ქიმიური ანალიზების მაჩვენებლები

ცხრილი 6

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	ტენორი წონა	ალკოჰოლი შოტლანდით %/სმ <sup>3</sup>	ფ ა მ ე ბ ი ლ ი ტ რ შ ი												შენიშვნა
				საერთო ტიტრ-ობა რეზერვული სიმ-ვაგე	მქროლავი სიმეგე	მქსტრაქტი	ღვინის სიმეგე	შაქარი	მთარბილავი ნივთიერება	ნაცარი	ნაცრის ტენორი	გოგირდის მარილები	ფოსფორის მარილები	კალციუმის მარილები	მანკანის მარილები	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	

ა. შამპანური ღვინო—მასალები

1	ქართლი, ს. ქსოვისი	1938	—	11,2	6,59	0,55	24,96	—	1,5	—	—	—	—	—	5,36
2	" " ალაიანი	1938	—	11,1	6,89	0,77	19,68	—	0,75	0,2	—	—	—	—	4,9
3	კახეთი, ახმეტა . . . . .	1937	0,9931	11,9	6,9	0,86	22,0	—	0,74	0,31	1,24	—	—	—	8,4
4	" იყალთო . . . . .	1937	0,9953	10,7	7,9	0,88	21,0	—	0,92	0,21	1,52	—	—	—	8,3
5	უკრაინა, ოდესა, კიუვე	1937	0,9947	11,2	9,8	0,66	24,5	4,58	1,5	0,21	—	—	—	—	—
6	" " ტაი	1937	0,9920	13,0	8,6	0,59	22,5	3,88	1,0	0,24	—	—	—	—	—
7	" " კოუპო	1939	0,9945	10,5	9,35	0,56	21,9	—	0,7	—	—	—	—	—	—

ბ. სუფრის მშრალი ღვინოები

8	კახეთი, 3 წლის საშ.		0,9938	11,98	5,01	0,92	21,6	1,92	0,67	2,20	2,17	2,92	—	—	5,79
9	" " მაქსიმუმი . . . . .		0,9949	15,34	9,17	1,67	43,1	4,6	1,12	7,65	6,97	6,22	—	—	12,85
10	" " მინიმუმი . . . . .		0,9900	8,20	2,07	0,11	16,0	0,34	0,0	0,31	1,06	1,12	—	—	3,94
11	რქაწითელი გურჯაანისა	1938	0,9943	11,30	6,30	0,5	24,1	0,50	0,095	2,91	0,6	—	0,184	0,29	7,85
12	" " წინანდლისა . . . . .	1939	0,9941	11,55	6,28	0,6	24,78	1,70	0,100	2,47	0,91	—	0,211	0,32	7,75
13	" " ნაფარეულისა	1932	0,9940	10,58	6,12	0,94	20,58	2,09	0,49	2,18	2,53	2,31	—	—	6,17
14	უკრაინა, ოდესა, საშუალ. 5 წლის		0,9923	12,2	7,1	0,70	21,0	3,25	1,23	0,21	—	—	—	—	—
15	უკრაინა მაქსიმუმი . . . . .		0,9938	14,9	8,1	1,32	25,6	3,72	1,90	0,25	—	—	—	—	—
16	" " მინიმუმი . . . . .		0,9910	10,8	5,2	0,33	16,3	2,77	1,00	0,17	—	—	—	—	—
17	დაღესტანი, დერბენდისა საშუალ.	8 წლ.	0,9977	11,0	6,6	0,53	21,6	1,98	1,63	0,32	—	—	—	—	7,0
18	აზერბაიჯანი, კიროვბადი 5 წ.საშ.		0,9933	12,6	6,9	0,79	22,9	2,64	—	0,79	2,08	2,45	0,39	0,203	—
19	" " მაქსიმუმი . . . . .		0,9958	15,3	9,2	1,09	28,2	4,43	—	1,83	2,96	3,16	0,53	0,393	—
20	" " მინიმუმი . . . . .		0,9913	9,6	4,9	0,48	17,9	1,28	—	0,32	1,45	1,47	0,14	0,114	—
21	სომხეთი, ალავერდის რ-ნი 5 წ.საშ.		0,9928	11,3	6,4	0,61	22,0	1,36	0,84	0,25	1,73	2,40	—	—	9,2

გ. საღებურთო ღვინოები

22	კახეთი, საამო № 4 . . . . .	1940	1,038	17,0	5,8	0,79	13,50	0,5	132,00	0,75	3,9	—	0,225	0,43	4,8
23	" " " . . . . .	1941	1,036	16,9	3,5	0,9	14,72	1,23	130,00	1,33	1,00	—	0,223	—	4,0
24	" " " . . . . .	1943	1,036	17,4	3,9	0,9	14,47	1,30	132,0	1,38	1,40	—	0,293	0,8	5,0
25	აზერბაიჯანი, კიროვბადი 5წ.საშ.		1,0667	15,6	4,7	0,36	21,7	2,04	196,9	0,55	2,03	2,69	0,304	0,270	—
26	" " " მაქსიმუმი		1,0851	19,7	6,9	0,87	32,7	3,83	257,7	1,19	3,0	3,76	0,467	0,555	—
27	" " " მინიმუმი		1,0465	14,1	3,3	0,13	14,7	0,93	150,4	0,14	1,21	1,51	0,112	0,155	—
28	უზბეკეთი, სამარყანდი . . . . .	1931	1,0720	15,3	2,9	0,59	—	1,25	228,3	—	0,21	—	—	—	—
29	" " " . . . . .	1931	1,0240	16,1	3,5	0,92	—	1,28	108,0	—	0,44	—	—	—	—

ამონაწერი სადევუსტაციო კომისიის 1946 წ. 11 აპრილის სხდომის ოქმიდან რქაწითელის ღვინის ხარისხის შეფასების შესახებ

ცხრილი № 7

ღვინის ჯიშის და ადგილის დასახელება	მოსავლის წელი	საშუალო ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური შეფასება
1 რქაწითელი იყალთოდან კახურად . . . . .	1944	8,8	ღია ვარდისფერი, არომატი ჯიშური, გემო ნაზი, რბილი სასიამოვნო სიმწკლარტით . . . . .
2 რქაწითელი იყალთოსი--არტაზანის ნაკვეთიდან	1943	8,2	ჩალისფერი მოვარდისფრო იერით, დამაბასიათებელი არომატი, გემო რბილი კარგი ტანიანობით . . . . .
3 რქაწითელი ახმეტიდან . . . . .	1945	8,5	იშვიათი არომატი, გემო არაპარმონიული . . . . .
4 " კარდანახისა, წარაფიდან კახური ტიპისა . . . . .	1945	7,8	შეფერვა მუქი ოქროსფერი, არომატი დამაბასიათებელი, სასიამოვნო გემო, პარმონიული, სასიამოვნო სიმწკლარტით, . . . . .
5 რქაწითელი კარდანახის წარაფიდან ძველებური წესით . . . . .	1944	8,9	ღია ვარდისფერი, არომატი სასიამოვნო ჯიშური, სრული რბილი გემოსი, მქროლავის ოდნავი იერით . . . . .



ზოგიერთ წლებში ცალკეულ ადგილებში რქაწითელი იძლევა უაღრესად მაღალხარისხოვან ევროპული ტიპის ღვინოს, რომელიც თავისი მაღალი ღირსებით არ ჩამოუვარდება მსოფლიოში განთქმულ რაინისა და ბორდოს ღვინოს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ზოგიერთ რაიონში რქაწითელის ღვინის განსაკუთრებული სიმსუბუქე, სინაზე და სიხალისე, რაც იძლევა საშუალებას მისი ფართოდ გამოყენებისას შამპანურ მეღვინეობაში. ასეთ რაიონებად ითვლება საქართველოს გარეთ უკრაინა, საქართველოში კი ქართლი, გათქმულია, ნაწილობრივ, შიგა კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი — თელავ-იყალთო-ახმეტის ზონის მხარეში მევენახეობის ინსტიტუტის მიერ დამზადებულმა საცდელმა შამპანურმა მაღალი შეფასება (8,4 ბალი) მიიღო 1946 წ. ქ. მოსკოვში.

ვარიაციები და კლონები. რქაწითელი ღვინო ვარიაციებით საუერავსა და მწვანესთან შედარებით. ზ. ჯორჯაძის მიერ 1876 წ. მითითებული ვარიაციები დედალი და მამალი რქაწითელის სახელწოდებით, მისივე დახასიათებაზე დაყრდნობით, შეიძლება გაიგივებულ იქნეს პირველი ახლა გავრცელებულ ჩვეულებრივ რქაწითელთან, ხოლო მეორე წვრილმარცვალა ვარიაციასთან. ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მევენახეობის ინსტიტუტში მეცნ. კანდ. ვ. ლოლაძის მიერ გამოვლინებულია და გამრავლებულია კლონთა გამოსაცდელ ნაკვეთზე შემდეგი ვარიაცია და კლონები:

1. ვარიაცია. წვრილმარცვალა რქაწითელი ხასიათდება პატარა ზომის სამნაკეთიანი ფოთლებით, მტევანი საშუალო ზომისა აქვს, მარცვალი წვრილი, მცირემოსავლიანი ვარიაციაა. გვხვდება თითო-ორთა ვაზის საბით საწარმოო ვენახებში.

2. კლონი № 67. ხასიათდება ძლიერ წვრილი მარცვლებით; ჩვეულებრივი სიგრძის მტევანზე ივითარებს 5-6 ნორმალური ზომის მარცვალს, დანარჩენები წვრილი, განუვითარებელი რჩება. ამ წვრილმარცვლიანობას იგი მკვეთრად ინარჩუნებს და მესამე თაობაშიაც იგივე თვისებები შერჩა, როგორც საწარმოო ვენახში ჰქონდა. უარყოფითი მოდგმა, სელექციის ჩატარებით განდევნილი უნდა იქნეს ჩვენი ვენახებიდან.

3. კლონი № 68. ხასიათდება პატარა ზომის სამნაკეთიანი ფოთლებით, განირჩევა სხვა მოდგმებისაგან ნემსისებრ წაწვეტებული კბილანებით და არანორმალური ყვავილობით, რომლის შედეგად მტევანზე რჩება მხოლოდ რამდენიმე მარცვალი. ძლიერ მცირემოსავლიანია, სელექციის წარმოებით განდევნილი უნდა იქნეს ჩვენი ვენახებიდან.

4. კლონი № 48. მაღალმოსავლიანი მოდგმა. მორფოლოგიური ნიშნებით არ განსხვავდება ჩვეულებრივი რქაწითელისაგან და ახასიათებს ყოველწლიურად მაღალი მოსავლიანობა. კლონთა დადგენის ნაკვეთიდან იგი გადატანილია კლონთა გამოსაცდელ ნაკვეთზე, სადაც განმეორებით დადასტურდა მისი მაღალი სამეურნეო თვისებები. ეს მოდგმა მრავლდება და 1950 წლიდან გადატანილი იქნება წარმოებაში საბოლოოდ შესამოწმებლად და წარმოების პირობებში დასაწერვად.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

რქაწითელი კახეთის ვაზის მთავარი საწარმოო ჯიშია, იგი გავრცელებულია საბჭოთა კავშირში მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში. მარტო კახეთში, 1940 წლის აღწერის თანახმად, მას ეჭირა 11,394 ჰექტარი, ანუ მთელი ფართობის 75%, ხოლო საბჭოთა კავშირში 15000 ჰექტარზე მეტი.

რქაწითელის ასეთი ფართო გავრცელება გამოწვეულია მისი მაღალი სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებებით, რომელთა შორის აღსანიშნავია: ჯიშის შედარებითი მაღალი მოსავლიანობა, რასაც იგი ინარჩუნებს მისი გავრცელების თითქმის ყველა რაიონში; გარემო პირობებისადმი შეგუების კარგი უნარი, რამაც გამოიწვია მისი მეტად ფართოდ გავრცელება; ზამთრის ყინვების მიმართ დიდი გამძლეობა, რითაც რქაწითელი არ ჩამოუვარდება ყინვების მეტად გამძლე, მევენახეობის ჩრდილოეთი რაიონების ჯიშებს: რისლინგს, პინოს და სხვებს; მილდიუმის მიმართ შედარებით კარგი გამძლეობა; დიდი გამძლეობა ფილოქსერის მიმართ. ევროპულ ჯიშებს შორის იგი ამ მხრივ ყველაზე მეტად გამძლე ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება; პროდუქციის მაღალი ღირსება და მისი მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობა: იგი იძლევა მაღალი ხარისხის ევროპული ტიპის მშრალ სუფრის ღვინოს (საქართველოში — კახეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, სომხეთი), იშვიათი ღირსების კახური ტიპის ღვინოს (კახეთი: იყალთო, ქისტაური, კარდანახი), მაღალი ღირსების სადესერტო ღვინოს (საქ. — კახეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ორჯონიკიძის მხარე), კარგ მასალას საბჭოთა შამპანურისათვის (უკრაინა, საქ. — ქართლი, ნაწილობრივ კახეთი) და ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძენს (ძიითადად აღმოსავლეთ საქართველოში).

განსაკუთრებით მაღალხარისხოვან ევროპული ტიპის მშრალ სუფრის ღვინოს, რომელმაც ასახელა

კახეთი, რქაწითელი იძლევა ახმეტის, იყალთოს, წინანდლის, ვახისუბნის, ართანის, ნათარგულის, ვნი-  
სელის და მანავის მიკროუბნებში, ხოლო საუკეთესო კახური ტიპის ღვინოს — თელავ-ახმეტის ზოლზე და  
კარდანახის მიკრორაიონში. ზოგიერთ წლებში ამ ადგილებში რქაწითელი იძლევა ევროპული ტიპის ღვი-  
ნის იშვიათ ნიმუშებს, რომლებიც არაფრით არ ჩამოუვარდებიან მსოფლიოში ცნობილ რაინისა და ბორ-  
დოს თეთრ ღვინოებს.

ჯიშის უარყოფით თვისებებს შორის დასაბეღებელი უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ მსგავსების  
სუსტად უძლებს ნაცარს, განსაკუთრებით აზერბაიჯანისა და დაღესტნის სარწყავ ვენახებში, და ახალი  
ღვინოების ოდნავი პიკანტური სიმწარე და შედარებით სუსტი არომატიულობა. ეს ნაკლოვანებები შე-  
დარებით ადვილი გამოსასწორებელია. პირველის გამოსწორება შეიძლება ერთი დამატებითი წამლობის  
ჩატარებით სარწყავ რაიონებში, ხოლო მეორის — ყურძნის უფრო სწრაფი და ფაქიზი გადამუშავებითა და  
მწვანის ყურძნის მიმატებით, რომელიც სიმწარის გაქრობის გარდა შემატებს ღვინოს არომატსა და სინაზეს.

ჯიში უდავოდ პერსპექტიულია საბჭოთა კავშირის რიგი რაიონისათვის. რქაწითელი შეტანილია  
სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, ყაზახეთის, ორჯონიკიძის  
მხარის და ყირგიზეთის სტანდარტულ ასორტიმენტში.

## Р К А Ц И Т Е Л И

Лист. Вполне развитые темно-зеленые листья средних размеров (18—19 см.). Листовая пластинка  
округлая, с незначительным колебанием, чаще в сторону овальной, нежели поперек - овальной формы.  
Поверхность листовой пластинки сетчато-морщинистая, реже она бывает мелкопузырчатой. Число основных  
лопастей три, реже встречаются и пятилопастные, еще реже почти цельные листья. Листовая пластинка,  
благодаря отгибанию лопастей, принимает воронковидно-желобчатую форму.

Верхние вырезки по глубине рассеченности листовой пластинки варьируют от мелких до глубоких.  
Чаще всего встречаются вырезки средней глубины. Форма вырезок, в зависимости от их глубины, также  
варьирует от едва намеченных, щелевидных, до закрытых (вырезок) с яйцевидным просветом и округлым  
дном. Чаще всего встречаются открытые вырезки лировидной формы, реже щелевидные вырезки с почти  
параллельными сторонами, и еще реже встречаются вырезки в виде входящего угла. Очень редко лиро-  
видные вырезки снабжены однозубчатым дном.

Нижние вырезки по глубине рассеченности листа менее варьируют. Обычно, они бывают  
мелкими, реже достигают средних размеров. По форме эти вырезки щелевидные либо имеют форму вхо-  
дящего угла.

Черешковая выемка обычно глубокая. По форме она варьирует от открытой лировидной с острым  
дном до широкой стрелчатой выемки. Чаще всего встречаются лировидные выемки с острым дном, реже  
широкие сводчатые с острым, либо округлым дном.

Зубцы. Оконченные зубцы лопастей, обычно треугольные с острой вершиной, реже они треуголь-  
ные с выгнутыми сторонами и острой вершиной. Краевые зубцы односторонне-выпуклые, пиловидные, реже  
двусторонне-выпуклые с острой вершиной.

Опушение нижней поверхности листа, обычно, слабое, паутинистое легко стирающееся  
пальцем. Наряду со стелющейся паутинкой, вдоль нервов листа рассеяны очень редкие щетинистые воло-  
ски, в особенности на листьях нижнего яруса.

Черешок листа обычно короче, реже он равен длине срединного нерва. Черешок голый, окра-  
шен в слабо винно-красный цвет с прозеленью, иногда эта окраска переходит и на червь листа, в осо-  
бенности у места их расхождения.

Цветок. Цветок обонопольный, нормального строения с хорошо развитой завязью и тычинками. Ты-  
чинки прямостоячие, в количестве пяти, реже шести в цветке. Отношение длины тычиночных нитей к  
высоте пестика составляет 1,0, реже это отношение достигает 1,25.

Пестик правильной — конической формы, постепенно переходящий в столбик с округлым рыльцем.  
Иногда столбик изогнут в одну из сторон.

Гроздь. Обычно, грозди Ркацители бывают средних размеров (16 × 8 см). Отдельные полноценные  
грозди достигают длины 22 см. при ширине 10 см. Форма гроздей значительно варьирует. Чаще всего  
встречаются грозди цилиндро-конические и цилиндрические, реже крылатые и конической формы. Крыло  
грозди достигает от одной до двух третей размера основной грозди. Часто крылья отходят от основания

ножки грозди, вследствие чего получаются как бы двойные грозди. В большинстве случаев грозди средне-плотные, реже встречаются как более плотные, так и рыхлые. Средний вес грозди составляет 160—200 гр.; отдельные, полноценные грозди достигают веса 300—400 гр.

Наличие в грозди партенокарпичных ягод характерно для сорта, в зависимости от метеорологических условий года, процент партенокарпичных ягод не превышает 5—10%. Длина ножки ягоды в среднем варьирует от 3 до 5 см. Ножка грозди к моменту зрелости винограда деревенеет от середины к основанию и окрашивается в цвет тубука. Ножка ягоды зеленая. Длина ножки с подушечкой колеблется в среднем от 3,5 до 7,0 мм. Подушечка бородавчатая, широко-конической формы.

Ягода. В грозди более половины ягод крупного размера. Размер ягод значительно варьирует. В большинстве случаев ягоды бывают средних размеров, с варьированием длины в пределах—от 1,68 до 1,92 см. и ширины от 1,56 до 1,80 см. Размер крупных ягод колеблется в длину от 1,80 до 2,08 см. при ширине 1,70 до 1,80 см. Форма ягод овальная, с наибольшей шириной по середине, ягоды симметричные, конец ягод округлен. В редких случаях встречаются односторонне развитые и округлые ягоды. Окраска ягод золотисто-желтая с коричневыми пятнами загара с солнечной стороны. В некоторых районах (Дзвели-Анага, Карданахи и др.) по нагорной и неполивной полосе, грозди Ркацители принимают красивую красновато-розовую окраску ягод. Кожица ягод тонкая, но прочная, легко отделяющаяся от мякоти. Мякоть среднесочная, рассылающаяся. Сок бесцветный, гармоничный, вкус приятный, без особого сортового аромата. Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4. Так, ягоды с одним семенем составляют 36%, с двумя—50%, с тремя 16,6% и с четырьмя—3,4%. В среднем на ягоду приходится около двух семян.

Семя. Тело семени округло-продолговатой формы постепенно суживающееся к клювику. Окраска семени серо-желтая с оранжевым оттенком к клювику. Длина семени вместе с клювиком равна 6—7 мм. при ширине 3—4 мм. Халаза тела семени выпуклая, округло-продолговатой формы с вдавленной серединой. Верхняя бороздка узкая, глубокая, разделяющая широкую часть семени на две половинки. Дожбинка от халазы к клювику заметна в виде хорошо очерченного углубления. Брюшная сторона семени неравномерно развита—килеватая. Семянной шов тонкий, приподнят в средней части и хорошо заметен на всем протяжении до перехода в клювик. Бороздки на брюшной стороне хорошо заметны, лежат в разной плоскости и идут параллельно одна к другой. Клювик узкоцилиндрической формы, заострен и загнут на брюшную сторону. Длина клювика равна 1,5 мм, при ширине 1,0 мм. Клювик в отличие от тела семени окрашен в оранжевый цвет.

Ркацители—стандартный, высококачественный сорт белых столовых вин Кахетии. Распространен почти во всех виноградных районах СССР. По учетным данным 1940 года только в Кахетии он занимал 11.394 га или 75% всей площади. В Советском Союзе он является наиболее распространенным сортом, занимает более 15.000 га площади. Столь значительное распространение сорта вызвано его высокими хозяйственно-технологическими свойствами, среди которых особо важными являются: его сравнительно высокая урожайность почти во всех районах его распространения, хорошая приспособляемость к различным условиям среды, относительно высокая устойчивость против филлоксеры, причем по этому признаку сорт относится к группе наиболее устойчивых сортов европейского винограда; высокая устойчивость к зимним морозам, не уступающая наиболее холодостойким северным сортам винограда: Рислинг, Пино и др., высокое качество продукции и пригодность сорта для различных типов вин: сухого столового вина европейского типа (Грузия—Кахетия, Азербайджан, Украина); для местного кахетинского типа (Кахетия); для крепких и десертных вин (Грузия—Кахетия, Азербайджан, Узбекия, Орджоникидзевский край и др.); для шампанского производства (Украина, в Грузии Каргли, частично Кахетия) и в качестве десертного винограда местного значения.

К недостаткам сорта относятся относительно слабая устойчивость против оидиума, в особенности в поливных условиях Азербайджана, Дагестана, некоторая пикантная горечь и недостаточная ароматичность молодых вин. Эти недостатки легко могут быть устранены—первый проведением одного дополнительного лечения против оидиума и второй—более тщательной и быстрой переработкой винограда и прибавлением некоторой части (до 1/4) и более винограда Мцване, которым, помимо устранения горечи, можно значительно усилить ароматичность и нежность вина.

Сорт безусловно перспективен для многих районов СССР. Ркацители введен в стандартный ассортимент по Орджоникидзевскому краю РСФСР, Азербайджану, Дагестану, Армении, Туркмении, Таджикики, Киргизии, Казахской ССР.





### ქახური მწვანე

მწვანე კახეთის სტანდარტული ვაზის ჯიშია, იძლევა მაღალხარისხოვან ევროპული და კახური ტიპის მშრალ თეთრ სუფრის ღვინოს. სახელწოდება მიღებული აქვს ნწიფე მარცვლების მოყვითალო-მწვანე შეფერვის გამო.

**სინონიმები.** მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია და ადგილობრივ მევენახეთა ცნობებითაც დასტურდება, რომ მწვანე ძველად რამდენიმე სხვა სახელითაც იყო ცნობილი. სწავლული მევენახე ზ. ჯორჯაძე (1876 წ.) მას იხსენიებს მკენარასა და საფენას სახელწოდებით; აგრონომი ს. ქვარიანი (1895 წ.) ურთიერთისაგან ასხვავებდა მამალ და დედალ მწვანეს; ცნობილი რუსი მკვლევარი ფრ. კოლენატი (1846 წ.) მწვანის სამ სახესხვაობას არჩევდა: Zuanica major-ს, „Z. minor-ს და Z. carris-ს. საზღვარგარეთულ ამპელოგრაფიებში მწვანე იხსენიება Mtzwane-ს, Mtswaani-ს და Mzoanis-ის სახელწოდებით.

**ჯიშის ისტორია.** მწვანე ადგილობრივი ვაზის ჯიშია, იგი წარმოქმნილია კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოქმნის ადგილობრივი კერიდან.

ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ჯიშის მორფოლოგიური, სამეურნეო და აგრეთვე შედარებითი ამპელოგრაფიის მონაცემები, რომელთა მიხედვით იგი ძლიერ ემსგავსება ვაზის სხვა ადგილობრივ ჯიშებს და შეადგენს მათთან ერთ მთლიან ოჯახს.

უფრო მეტ სიძნელეს წარმოადგენს ჯიშის წარმოშობის დროის განსაზღვრა. სამწუხაროდ, საამისოდ აუცილებელი ჩვენებანი მატერიალური კულტურის ძეგლებისა, როგორც წინათაც იყო აღნიშნული, არაა შენახული. მაგრამ ამ საკითხის გადაჭრა სხვა გზითაც არის შესაძლებელი, სახელდობრ, ზოგიერთი მორფოლოგიური ნიშან-თვისების გათვალისწინებით. ცნობილია, რომ, რაც „უფრო ძველია ჯიში, მით უფრო ძლიერ და უფრო ხანგრძლივად განიცდიდა იგი საუკუნეთა განმავლობაში გარემო პირობებისა და ადამიანის ძლიერ გავლენას, რის შედეგად მეტად იცვლებოდა და წარმოქმნიდა განსხვავებულ ფორმებს. ჯიშის ამ ბიოლოგიურ თვისებებს თუ გაეითვალისწინებთ, მწვანე საკმაოდ ძველ ჯიშად უნდა მივიჩნიოთ. დღემდე მწვანის ექვსზე მეტი ვარიაცია და კლონია გამოვლენილი, რაც ამ ჯიშის საკმაოდ დიდ სიძველეს მიგვითითებს. ამის მიხედვით, მწვანე რქაწითელზე უფრო ძველ ჯიშად უნდა ჩავთვალოთ. აკად. ივ. ჯავახიშვილმა ენობრივი ხასიათის ანალიზის შედეგად რქაწითელი ახალი ერის მე-3 და მომდევნო საუკუნეებში წარმოშობილად მიიჩნია. მაშასადამე, მწვანე ამ საუკუნეზე უფრო ადრინდელი ჯიში უნდა იყოს.

ძველად, სოკოვან ავადმყოფობათა გაჩენამდე, კახეთში მე-19 საუკუნეში მწვანე ძლიერ ფართოდ ყოფილა გავრცელებული. აგრონომ ს. ქვარიანის ცნობით „მწვანე ძლიერ გავრცელებულია მთელ კახეთში, თბილისის მაზრაში კი იერისპირა სოფლებში“. ამასვე აღნიშნავენ ვ. გვევსკი და კ. შარერი (1885 წ.) და დასძენენ, რომ ნაცრის მოქმედებით მწვანე თითქმის გადაშენების გზაზე დამდგარი და, რადგანაც კახეთში ნაცრის წინააღმდეგ არაფითარ ზომებს არ იღებენ, ბუნებრივია, მწვანე თანდათან ისპობაო. მიუხედავად იმისა, რომ მწვანე კახურ თეთრ ჯიშებში ყველაზე ძვირფასია და მასთან მოსავლიანი, მოსახლეობა მაინც გაურბოდა მის მოშენებას ნაცრის მიმართ და გარემო პირობებისადმი მისი დიდი მგრძობიარობის გამო. ჩვენში, მევენახეობის და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარებასთან დაკავშირებით, ჯიში 1936 წლიდან შეტანილია კახეთის საწარმოო სტანდარტულ ასორტიმენტში და დაგეგმილია მისი აღდგენა-განვითარება დიდ ფართობებზე.

ამჟამად მწვანე გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. მისი ძირითადი (96%) ფართობი კახეთშია, ხოლო კახეთის მთელი ფართობის 83% — მხოლოდ ორ, თელავისა და საგარეჯოს, რაიონში, დანარჩენი 17% კი დანარჩენ ხუთ რაიონში. ვენახების 1940 წლის აღწერის მასალების მიხედვით საქართველოში მწვანეს უკავია 1,046 ჰექტარი ფართობი, რომელიც ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით ასეა განაწილებული (იხ. ცხრილი 1).

როგორც ცხრილიდან ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოში მწვანის წმინდა ფართობი (სტალინირისა და ხაშურის რაიონების გამოკლებით, რომელთა შესახებ ცნობები საეკვოა), შეადგენს დაახლოებით 1000 ჰექტარს. კახეთში მისი ფართობი უდრის 967,27 ჰექტარს, რაც ვენახების მთელი ფართობის მხოლოდ 0,36%-ს შეადგენს. დასავლეთ საქართველოში მწვანე არ არის გავრცელებული. იქ იგი მხოლოდ საკოლექციო ჯიშია და გამოცდის ნაკვეთებზე გვხვდება. საქართველოს გარეთ მხოლოდ მცირე ფართობებზე, ძირითადად საკოლექციო და ჯიშთა გამოცდის ნაკვეთებზე გვხვდება მწვანე (შუა აზიის რესპუბლიკებში: სომხეთში, ირანში, ყირიმში, სომხეთში, აზერბაიჯანში, დაღესტანში). დაღესტანში იგი გაშენებულია საბჭოთა მეურნეობა „წითელ პარტიზანში“ 1,8 ჰექტარ ფართობზე. ის ფაქტი, რომ მწვანე შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ, ძირითადად იმით აიხსნება, რომ იგი ნაცარს ძნელად უძლებს, მისთვის ჰაერისა და ნიადაგის მზრივ განსაკუთრებული პირობებია საჭირო და აგრეთვე იმითაც, რომ ამ ჯიშს ზოგჯერ სათანადოდ არ აფასებენ.

**მწვანის ფართობის განლაგება აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში 1940 წლის აღრიცხვის მასალებზე მიხედვით**

ცხრილი 1

№ № რიგ.	მევენახეობის რაიონი	ადმინისტრაციული რაიონი	მწვანის ფართობი	საერთო ფართობი	საერთო ფართობის %	შენიშვნა	
I	კახეთი	1	თელავის რაიონი	536,21	3,949,49	13,58	
		2	საგარეჯოს	268,22	1,527,33	17,57	
		3	გურჯაანის	85,79	3,816,07	1,78	
		4	წითელწყაროს	49,47	506,52	9,77	
		5	სიღნაღის	24,51	1,931,63	1,27	
		6	ყვარლის	2,28	1,700,85	0,13	
		7	ლაგოდეხის	0,19	768,63	0,02	
		სულ	967,27	15,200,57	6,33		
II	ქართლი	1	ხაშურის რაიონი *)	96,75	715,59	5,14	
		2	თბილისის	12,06	342,64	3,52	
		3	მცხეთის	4,24	1,089,41	0,39	
		4	კაპის	2,73	1,344,07	0,20	
		5	გორის	1,97	2,226,5	0,09	
		6	ქარელის	1,19	553,51	0,21	
		7	დუშეთის	0,41	196,75	0,21	
		8	თეთრი წყაროს	0,05	302,12	0,02	
		9	თიანეთის	0,01	0,32	3,12	
		სულ	59,41	6,801,82	0,59		
III	სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	1	სტალინირის რაიონი *)	16,12	245,02	2,50	
		2	ლენინგორის	2,6	93,65	2,78	
		სულ	18,72	556,13	3,37		
IV	მარნეულ-ბოლნისის რაიონი	1	გარდაბნის რაიონი	0,13	180,24	0,07	
		2	ბოლნისის	0,1	1,721,11	0,006	
		სულ	0,23	2,403,85	0,01		
V	მესხეთ-ჯავახეთი	1	ახალციხის რაიონი	0,03	2,36	2,54	
			სულ	0,06	20,28	0,3%	
		სულ აღმოსავლეთ საქართველოში	1,045,69	24,982,65	4,19		

\*) ხაშურისა და სტალინირის რაიონებში ნაჩვენებია მწვანე უნდა იყოს გორული მწვანე და არა კახური მწვანე, ამიტომ მისი ფართობი (52 ჰექტარის რაოდენობით) საერთო ფართობს უნდა გამოაკლდეს.

**ჯიშის ბოტანიკური აღწერა**

მწვანის აღწერა ჩატარებულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე ს. ვაზისუბანში.

ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ). მოზარდი ყლორტის წვერო გვირგვინით და ჯერ კიდევ გაუშლელი ორი პირველი ფოთოლაკით შებუსუსებულია ყოველი მხრიდან სქელი ქეჩისმაგვარი ბეწვით და შეფერილია თეთრი ფლანელისფრად, თანაც სუსტი ვარდისფერი არშია აქვს ფოთოლაკების ირგვლივ და ყუნწის გასწვრივ. მეორე ქვედა იარუსის ფოთლები (3, 4, 5) შებუსუსულია ზედა მხრიდან საშუალო სისქის აბლაბუდისებრი ბეწვით და შეფერილია მოყვითალო-მწვანედ და მოვარდისფრო იერი აქვს. ფოთლის ქვედა



კახური მწვანე—Кახური Мцване

გახევებული არაა და მტევნის ხელით მოწყვეტა ადვილია. მარცვლის ყუნწი მწვანეა; მისი სიგრძე 0,4 — 0,6 სმ შორის მერყეობს; მარცვლის საჯდომი ბალიში ხორკლიანია და განიერ კონუსისებრი ფორმისაა; მარცვლები საკმაოდ მაგრადაა ყუნწზე მიმაგრებული.

**მარცვალი.** მარცვლების დიდი უნრავლესობა მტევანში საშუალო ზომისაა. მარცვლის სიგრძე საშუალოდ მერყეობს 1,35-დან 1,8 სანტიმეტრამდე, ხოლო სიგანე 1,2-დან 1,6 სანტიმეტრამდე, საშუალო მარცვლის ზომაა 1,45×1,25 სმ. მარცვლის ფორმა ოვალურია, შუა წელში იგი განიერია, ხოლო ბოლო მომრგვალო აქვს; კანი თხელი აქვს და ადვილად სცილდება რბილობს. რბილობი მკვრივია და მკვრივია, წვენი — უფერული. მარცვლის შეფერვა მოყვითალო-მწვანეა. ცვილისებრი ფიფქი საკმაოდ მკვრივია და ნაზ მომწვანო იერს აძლევს მარცვლებს. წვენი ტკბილი და სასიამოვნოა და მეტად ნაზი ჯიშური პრომატი აქვს. წიბწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს ერთიდან ოთხამდე, ხოლო საშუალოდ ერთ მარცვალზე მოდის 2,28 წიბწა. საშუალოდ მწვანის 100 მარცვალში ერთწიბწიანი მარცვლები შეადგენს 6%-ს, ორწიბწიანი — 64%-ს, სამწიბწიანები — 26%-ს და ოთხწიბწიანები — 4%-ს.

**წიბწა.** წიბწის სიგრძე უდრის 5 — 7 მილიმეტრს, განი 4 — 4,3 მილიმეტრს, ხოლო ნისკარტის სიგრძე 2,0 — 2,5 მილიმეტრს. წიბწის სხეული მომრგვალო-ოვალურია, შეფერილია მოწაბლისფრო-ყვითლად. ქალაძა ძვეს წიბწის ზედა ნაწილში, იგი მომრგვალოა და შიგნით შეზნექილი, სხეულისაგან გამიჯნულია ლილვაკით. ლარტაფი ქალაძიდან წიბწის სხეულის ზედა ნაწილისაკენ კარგადაა გამოსახული. იგი ღრმაა და ყოფს სხეულის ზედა ნაწილს კიდევ ორ თანაბარ ნაწილად. წიბწის მუცლის მხარე ქედია. მუცლის მხარის ღარები ღრმაა და ერთმანეთის პარალელურადაა განლაგებული. ღარის ფუძე ყვითელი ფერისაა. ნისკარტი ზემო ნაწილში ოდნავ განიერია და შუაში გაწვრილებული. ნისკარტი ზედა მხრიდან ღია წაბლისფერია, ქვემო მხრიდან — მოყვითალო-ნარინჯისფერი.

**აგრობიოლოგიური დახასიათება**

ფენოდაკვირვებები სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე. მწვანის ვეგეტაციის ფაზების მსვლელობის დახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია კახეთსა, უკრაინასა და დაღესტანში წარმოებულ დაკვირვებათა შედეგები (იხ. ცხრილი 2).

როგორც მოყვანილ ცხრილიდან ჩანს, სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მოყვანილ სამ პუნქტში დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. განსხვავება თელავსა და ოდესას შორის ერთ კვირას შეადგენს, თელავსა და დერბენდს შორის კი ეს განსხვავება შედარებით უფრო მეტია და უდრის 20 დღეს. ეს გამოწვეულია იმით, რომ დერბენდის მიმართ ნაჩვენებია არა სრული, არამედ ფიზიოლოგიური სიმწიფე, ეს კი 10 — 12 დღით უფრო ადრე იწყება სრულ სიმწიფესთან შედარებით. უფრო ნაკლებ ცვალებადია ეფექტურ ტემპერატურათა ჯამი. თელავისათვის იგი უდრის 3,194,4°-ს, ხოლო უკრაინისათვის 3,192°-ს. რაც შეეხება დერბენდს, იგი იქ შეადგენს 3,018,7°-ს, მაგრამ სრული სიმწიფისათვის შესაბამისად რომ ვიანგარიშოთ, მაშინ განსხვავება მინიმალური იქნება. ამრიგად, ეფექტურ ტემპერატურათა ჯამი თავისუფლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საიმედო დასაყრდენად ჯიშის დარაიონებისას, ახალ რაიონში მისი შეტანისას.

რქის მომწიფების საკითხი კახეთის პირობებში არ დგას მწვავედ, რადგანაც აქ მაღალია აქტიურ ტემპერატურათა ჯამი და შესაბამისად ხანგრძლივია სავეგეტაციო პერიოდი. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მევენახეობის ჩრდილოეთ რაიონებში, მაგალითად, უკრაინაში (ოდესის რაიონში), სადაც ბუნებრივ ფოთოლცვენას ადგილი არა აქვს და ვაზის ვეგეტაცია წყდება შემოდგომის ყინვების დაწყებისთანავე. ამ პირობებშიც მწვანის ერთწლიანი რქები, ლ. კოლენსიკოვის დაკვირვებით, დამაკმაყოფილებლად ასწრებენ მომწიფებას. დერბენდში მწვანე თავისუფლად ასწრებს რქების მომწიფებას, რადგანაც სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა იქ 183 დღეს უდრის, ხოლო ტემპერატურის ჯამი 3,754,4°-ს აღწევს.

ვაზის სხვა ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით მწვანე საშუალო სიძლიერით იზრდება. ასევე მევენახეობის სხვა რაიონებშიაც, სახელდობრ, უკრაინასა და დაღესტანში. შუა აზიის რესპუბლიკებში, კერძოდ უზბეკეთში, 5 კვად. მეტრის კვების არეზე, რა თქმა უნდა, მწვანე ძლიერად იზრდება, მაგრამ ამავე კვების არეზე სხვა ჯიშებთან შედარებით მისი ზრდა მაინც საშუალო სიძლიერისაა. ამრიგად, მწვანის ზრდის სიძლიერე სხვადასხვა პირობებშიაც საშუალოა.

**მოსავლიანობა.** მწვანე, კახეთის ვაზის ჯიშების უმეტესი ნაწილის მსგავსად, ადრე იძლევა პირველ მოსავალს. დარგვის მეორე წელს უკვე იძლევა პირველ ნიშანს, მომდევნო წელს სრული მოსავლის ნახევარს, ხოლო მე-4 — მე-5 წლიდან ნორმალურ მოსავალს გვაძლევს. ამ თვისებას მწვანე ინარჩუნებს

მევენახეობის სხვა რაიონებშიაც. ასე, მაგალითად, უზბეკეთში დარგვის მეორე წელს 157 რქაზე მოიხსა 212 მტევანი, ანუ 1,35 მტევანი თითო რქაზე. იმავე პირობებში სრულმოსავლიანმა მწვანემ 475 რქაზე მოიხსა 740 მტევანი, ანუ 1,55 მტევანი თითო რქაზე. უკრაინაში, ვ. კოლესნიკოვის ცნობით, მწვანე პირველ ნიშანს მესამე წლიდან იძლევა. დერბენდშიაც, მ. პეიტელის ცნობით, პირველ მოსავალს მწვანე მესამე-მეოთხე წლიდან იძლევა. ჩვენი დაკვირვებით კარგ მოვლასა და კვების კარგ პირობებს ამ მხრივ გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც საგრძნობლად აჩქარებს პირველ მოსავალს.

მწვანემ შედარებით მაღალი მოსავალი იცის და პროდუქციაც მაღალი ღირსებისა აქვს. მოსავლის სიუხვით მწვანე არ ჩამოუვარდება რქაწითელს.

სოკოვან ავადმყოფობათა გაჩენის შემდეგ მწვანე შედარებით ნაკლებად გავრცელებული. ეს აიხსნება იმით, რომ ეს ჯიში ნაცრისადმი მგრძობიარეა და გარემო პირობებსაც მეტ მოთხოვნილებებს უყენებს. სხვა ჯიშებთან შედარებით თანაბრად მოვლილი მწვანის მოსავალი საგრძნობლად მცირეა ნაცრის ზემოქმედების გამო, მაგრამ მოწინავე აგროტექნიკის გამოყენების შედეგად მწვანე როგორც მოსავლის რაოდენობით, ისე პროდუქციის ხარისხით სჯობნის მის მეტოქე რქაწითელს. ასე, მაგალითად, ნათარეულის საბჭოთა მეურნეობაში, სანიორის ნაკვეთზე, 6 ჰექტარ ფართობზე მწვანე ყოველწლიურად აქარბებდა რქაწითელს მოსავლის რაოდენობით და იძლეოდა მეტად მაღალი ღირსების ღვინოს. მწვანის მოსავლიანობის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია მისი მოსავლის ცვალებადობა ცალკეულ მეურნეობათა და წლების მიხედვით.

**მწვანის სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა მევენახეობის სხვადასხვა რაიონში** ცხრილი 2

№ რიგ.	მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	დაკვირვების წელი	ვერის ვაზის დასაწყისი	შვრილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე	სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დღეებში	ჯამი ტემპერატურა კვირტების გაშლიდან სრულ სიმწიფემდე.	ნალექები		შენიშვნა
									საოქტომბრულ-მარტო პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში	
I	კახეთი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტ-ტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი	1936	15 4	8 6	18 8	10 10	178	8,347,1	253,8	901,7	
		1937	22 4	10 6	21 9	28 9	159	3,288,8	59,3	571,9	
		1938	24 4	6 6	17 8	12 9	141	2,979,6	0,3	481,0	
		1939	25 4	1 6	24 8	30 9	158	3,183,8	50,9	543,3	
		1940	16 4	8 6	19 3	20 9	157	3,216,1	62,6	595,9	
	საშუალო		20 4	7 6	20 8	26 9	159	3,199,0 <sup>*</sup>	87,4	619,4	
II	დაღესტანი, ქ. ფერბენდი. დაღესტნის მევენახეობის საცდელი სადგურის საკოლექციო ვენახი	1935	16 4	3 6	11 8	2 9 <sup>*</sup>	139	3,039,2	—	—	
		1936	24 4	14 6	8 8	4 9	133	2,788,4	—	—	
		1937	29 4	13 6	9 8	20 9	144	3,186,3	—	—	
		1938	25 4	9 6	8 8	10 9	141	3,051,8	—	—	
		1939	28 4	7 6	4 8	13 9	139	3,090,0	—	—	
	საშუალო	1935-1940	24 4	10 6	9 8	10 9	139	3,018,70	—	—	
III	კახეთი, მევენახეობის ინსტ-ტის საქ. 6 ვენახი (6 წ. საწ. 1943-1948)	1943	24 4	6 6	25 8	24 9	153	3,046,1	80,5	460,8	
		1948									
IV	უკრაინა, თდესა. მევენახეობის ინსტ-ტის საკოლექციო ვენახი	1940	25 4	10 6	7 8	7 9	165	3,213,0	—	—	
		1940	25 4	13 6	5 8	7 9	165	3,171,0	—	—	
	საშუალო		25,4	11,6	6,8	7,9	165	3,192,0	—	—	

\* ნაჩვენებია ფიზიოლოგიური სიმწიფე, ნაცვლად სრული სიმწიფისა.

როგორც მოყვანილი მე-2 ცხრილიდან ჩანს, მწვანე ცალკეული წლებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით საკმაოდ მაღალ მოსავალს იძლევა. კარგ მოსავალს იძლევა იგი მუკუზანში (35,6—52,6 ცენტ. ჰექტარზე), მანავში (46,4—56,9 ცენტ.). საშუალოზე მაღალ მოსავალს (56,2—144 ცენტნერამდე) მწვანე იძლევა ყულარში, გურჯაანში და ხირსის საბჭოთა მეურნეობაში. შედარებით მაღალმოსავლიანობას ინარ-



ჩუნებს მწვანე მევენახეობის სხვა რაიონებშიაც. ასე, მაგალითად, დერბენდში, ჯიშთა გამოცდის ნაკვეთზე, მ. პეიტელის ცნობით, მწვანის მოსავლიანობა მერყეობდა 39,24-დან 92,8 ცენტნერამდე, სამი წლის საშუალომ შეადგინა 59,57 ცენტნერი. საკოლექციო ვენახში მისმა მოსავლიანობამ (გადაანგარიშებით) 1935 წელს მიაღწია 126,4 ცენტნერს. ოდესაში, ჯიშთა გამოცდის ნაკვეთზე, მწვანის საშუალო მოსავლი შეადგენს 60—70 ცენტნერს. უზბეკეთში (ტარნაუში) 1940 წელს მწვანის მოსავალმა (გადაანგარიშებით) 170 ცენტნერს მიაღწია.

ჯიშის მოსავლიანობის დასახასიათებლად ყოველწლიურად ტარდებოდა აღრიცხვა მწვანის ვახეებზე რქების, მტევნების, ნაყოფიანი ყლორტების რაოდენობის დასადგენად და იწონებოდა მტევნები საშუალო წონის გასაგებად. ამ აღრიცხვის მონაცემების მიხედვით ნაყოფიანი ყლორტების რაოდენობა მერყეობს 61,8%-დან (ოდესა) 80%-მდე (დერბენდი); თელავში იგი 75%-ს უდრის. მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 1,24-დან (დერბენდი) — 1,4-მდე (ოდესა); თელავში იგი 1,30-ს უდრის. მტევნის საშუალო წონა 137 გრამიდან (ოდესა) 172 გრამამდე (თელავი). მოსავალი ერთ ჰექტარზე მერყეობს 60,7 ცენტნერიდან (უკრაინა) 124,4 ცენტნერამდე (დერბენდი); თელავში იგი შეადგენს 74,4 ცენტ., რაც საკმაოდ ახლოა საბჭოთა მეურნეობის საშუალო მოსავალთან.

**მწვანის მოსავლიანობა სამტრედიის საბჭოთა მეურნეობაში 1938—1940 წ. წ.**

ცხრილი 3

№ № რიგ.	საბჭოთა მეურნეობის დასახელება	1938 წ.			1939 წ.			1940 წ.		
		ფართობი ჰექტ-ში	მოსავალი 1 ჰექტ-ზე ცენტ-ში	მთლიანი მოსავალი	ფართობი ჰექტ-ში	მოსავალი 1 ჰექტ-ზე ცენტ-ში	მთლიანი მოსავალი	ფართობი ჰექტ-ში	მოსავალი 1 ჰექტ-ზე ცენტ-ში	საერთო მოსავალი
1	წინანდალი, სრულმოსავლ. ვენახი . . . . .	19,660	16,1	315,9	22,21	84,1	756,3	22,58	14,8	335,0
2	"   ოთხწლიანი ვენახი . . . . .	2,55	14,6	37,2	0,37	—	—	—	—	—
3	ნაფარეული სრულმოსავლიანი . . . . .	4,11	8,8	34,3	4,11	23,6	96,9	4,11	1,2	5,5
4	მუკუზანი " " . . . . .	7,84	50,2	393,4	7,84	85,6	27,9	7,84	52,6	412,3
5	კარდანაზი " " . . . . .	0,17	22,9	5,6	0,17	15,9	2,7	0,17	51,11	9,2
	ბირსა, სრულმოსავლიანი ვენახი . . . . .	6,20	55,2	348,3	7,95	93,6	743,8	11,03	114,2	125,9
	"   ოთხწლიანი ვენახი . . . . .	1,75	64,2	112,4	3,08	76,7	236,3	0,34	47,1	16,0
	"   სამწლიანი ვენახი . . . . .	3,08	17,4	53,7	—	—	—	—	—	—
6	მანავი, სრულმოსავლიანი . . . . .	13,67	56,7	775,5	13,67	56,9	778,1	13,67	46,4	634,1
7	ყულარი " " . . . . .	1,96	86,7	72,0	1,96	77,8	152,5	1,96	100,4	196,8
8	გურჯაანი " " . . . . .	0,22	63,6	14,0	0,22	111,4	24,5	0,22	86,3	19,0
9	თელავი " " . . . . .	1,59	55,0	87,5	1,59	19,6	19,5	1,59	15,6	21,3
10	ყვარელი " " . . . . .	2,06	11,8	24,2	2,06	28,0	57,3	2,06	7,7	15,8

შენიშვნა: 1938 წ. ძლიერ გვალვიანი იყო კახეთში; 1940 წელს დაბლობ ადგილებში საგრძნობლად დაზიანდა კვირტები ყინვებისაგან; სამი წლის მანძილზე იყო დასეტყვის შემთხვევები, მაგ., 1939 წელს ძლიერ და სეტყვა თელავი.

ყვავილცვენა და წვრილმარცვლიანობა. მწვანემ ნორმალურზე მეტი ყვავილცვენა იცის.

მწვანის ყვავილცვენის ოდენობის დასადგენად ცდა იყო დაყენებული მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტულ ბაზაზე სოფ. ვაზისუბანში; საცდელი ვაზები აღებული იყო საკოლექციო ვენახში, რომელიც

**მარცვლების გამონასკვის პროცენტის მერყეობა ყვავილედებში**

ცხრილი 4

ჯიშ მწვანის ვაზები	თანაყვავილედების რაოდენობა ძირზე	კვირტების რაოდენობის მერყეობა თანაყვავილედებში			გამონასკული მარცვლების რაოდენობის მერყეობა მტევნებში			კვირტიანი მოლიანი რაოდენობა ძირზე	გამონასკული მარცვლების რაოდენობა ძირზე	გამონასკული მარცვლების %
		-დან	-მდე	საშ.	-დან	-მდე	საშ.			
1 ძირი № 1 . . . . .	17	94	482	320	50	204	120	5,425	2,045	37,6
2 ძირი № 2 . . . . .	12	143	614	708	82	178	148	3,697	1,336	36,1
3 ძირი № 3 . . . . .	10	111	307	230	63	205	150	2,303	1,051	41,2
საშუალოდან ძირზე . . . . .	13	116	468	286	65	196	139	3,808	1,477	38,7

ტიპის მაღალხარისხოვანი ღვინო, ნაწილობრივ, მწვანეს იყენებენ აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის სადესერტო ყურძნად. თავისი მაღალი ღირსების გამო ძველად მწვანეს იყენებდნენ სხვა თეთრი ღვინოების გასაუმჯობესებლად, მათთვის არომატულობისა და სინაზის მისაცემად.

ყურძნის მექანიკური შემადგენლობა. მტევნის გარეგნული შეხედულებითა და ყურძნის მექანიკური ანალიზის მაჩვენებლების მიხედვით და წვენის ქიმიური შემადგენლობით მწვანე ყურძნის ღვინო და საღვინე ვაზის ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს. წარმოებაშიაც მას ძირითადად ამ მხრივ რეკომენდებული მოყვანილ მე-5 ცხრილში მოცემულია მწვანის ყურძნის მექანიკური ანალიზის მაჩვენებლები მევენახეობის სხვადასხვა რაიონიდან.

**ყურძნის მექანიკური შემადგენლობის მაჩვენებლები მევენახეობის სხვადასხვა რაიონში ჯიში მწვანე**

ცხრილი 5

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მტევნის საშუალო წონა	მარცვლების რიცხვი მტევნებში	მტევნების შემადგენელი ნაწილები % <sup>0</sup> % <sup>0</sup> -ში					100 მარცვლის წონა	100 წიპის წონა	შენიშვნა	
				მარცვალი	კლერტი	წვენი და რბილობი	კანი	წიპა				
1	კახეთი. საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტი. ქ. თელავი	1940	161,0	102,0	96,55	3,45	81,93	10,76	3,86	158,4	3,84	
2	" " მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალური ბაზა. ს. ვაზის-უბანი . . . . .	1941	180,4	98,0	96,76	3,24	83,56	9,15	4,05	178,2	4,21	
3	უკრაინა. მევენახეობის ინსტიტუტი ქ. ოდესა . . . . .	1940	204	172	98,0	2,0	84,5	8,4	5,1	—	—	
4	მემცენარეობის ინსტიტუტის შუა აზიის საცდელი სადგური . . . . .	1938	151,7	134,0	98,33	1,67	90,83	5,14	4,03	111,8	3,24	
		1940	114,58	112,23	96,59	3,41	90,76	4,67	4,57	98,44	3,33	

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, მტევნის შემადგენელი ნაწილების — კლერტის, წვენისა და რბილობის, წიპისა და კანის (ჩენჩოს) — პროცენტული შეფარდება ერთხელ კიდევ ადასტურებს მწვანის ღვინისათვის გამოყენების სრულ მიზანშეწონილობას.

მტევნის შემადგენელი ნაწილების პროცენტული შეფარდებიდან ირკვევა, რომ ლაბორატორიულ პირობებში მას წვენისა და რბილობის შედარებით მაღალი გამოსავლიანობა აქვს.

ღვინის გამოსავალი წარმოების პირობებში ყურძნის გადამუშავების დროს უფრო ნაკლებია და ცალკეული წლების და მოკრეფის დროის მიხედვით შეადგენს 70—72 დეკალიტრ ღვინოს ტონა ყურძნიდან. საერთოდ, მწვანეს ღვინის უფრო მეტი (4—6<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ით) გამოსავალი აქვს, ვიდრე რქაწითელს, განსაკუთრებით თუ იგი კახური წესით არის დაყენებული.

ყურძნის წვენის ქიმიური შემადგენლობა. ყურძნის წვენის ქიმიურ შემადგენლობას ყურძნის მექანიკურ შემადგენლობასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც ჯიშის საწარმოო მიმართულებებს დადგენისათვის, ისე ჯიშის მიმართულების ამა თუ იმ ტიპის ღვინის განსაზღვრისათვის.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მწვანეს შაქრის დაგროვების დიდი უნარი აქვს. ამასთან, ყურძნის გადამწიფების შემთხვევაში იგი ადვილად ჩამიჩდება, რითაც საგრძნობლად დიდდება მარცვალში შაქრის რაოდენობა. თელავში მწვანის შაქრიანობა 22,7<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ს აღწევს ჩვეულებრივი რთვლის პირობებში. კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მისი შაქრიანობა მატულობს: კარდანახის საბჭოთა მეურნეობაში იგი 24 და მეტ <sup>0</sup>/<sub>100</sub>-ს აღწევს. უფრო მეტი შაქრის დაგროვების უნარი გამოიჩინა მწვანემ საბჭოთა კავშირის მევენახეობის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში. მაგალითად, უკრაინაში, ოდესის რაიონში, შაქრიანობა ცალკეულ წლებში 25,5<sup>0</sup>/<sub>100</sub>-მდე ავიდა, ხოლო უზბეკეთში 28,66<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ს მიაღწია.

ზემოაღნიშნულის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილ მე-6 ცხრილში მოცემულია მწვანის შაქრიანობა-მეყვანილობა რთვლის პერიოდში.

მევენახეობის რაიონისა და ანალიზის წარმოების ადგილის დასახელება	მოსავლის წელი	თარიღი რთველისა	ხვდრითი წონა	შაქრისა და მარილის %	მევენახეობის %
1 კახეთი. საქ. მცენ. აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი	1941	14/IX	—	21.4	6.17
	1943	11/X	—	18.6	8.5
	1945	3/X	2	22.7	11.4
	1946	24/IX	—	23.3	8.7
	1947	12/IX	—	18.0	5.82
	1948	1/X	—	20.0	6.75
2 უკრაინა, მევენახეობის ინსტიტუტი, ქ. ოდესა	8 წ. საშ. მაქსიმალ.	5/X	1,095	21.86	8.45
	მინიმალ.	24/IX	11,06	25.5	9.9
	1933	19 IX	1,081	19.0	7.05
	"	10/X	+	25.5	9.1
	"	3/X	—	23.75	7.70
	"	1/X	—	19.55	11.58
3 დაღესტანი. დგობენდი. დაღესტნის საცდელი სადგური	1937	20/IX	—	20.92	6.35
	1938	2/X	—	20.8	6.02
	1934	9/X	—	22.3	8.52
	1940	8/IX	1,086	19.9	6.93
4 მევენახეობის საკავშირო ინსტიტუტის მევენახეობის საცდელი სადგური	1937	1/IX	—	22.6	5.9
	1937	14/IX	—	25.6	3.7
	1940	25/VIII	—	21.09	6.5
	1940	25/X	—	28.66	4.8
5 კახეთი. მევენ. ინსტ-ტის ბაზა ს. ვახისუბანში	1929	—	1,098	23.13	6.88
	1930	—	1,096	22.5	6.78



როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, მწვანე მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში ინარჩუნებს დიდი რაოდენობით შაქრის დაგროვების უნარს.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის ხარისხი. მწვანისაგან ძირითადად მზადდება ევროპული და კახური ტიპის მშრალი სუფრის ღვინო. მწვანეს ძველთაგანვე იყენებდნენ აგრეთვე თეთრი ყურძნის სხვა ჯიშების ხარისხის გასაუმჯობესებლად: ან სხვა ჯიშებს მწვანის ყურძენს მიუმატებდნენ, ან მის ქაჭაზე სხვა ჯიშის ყურძნის წვენს დაადუღებდნენ. ორივე შემთხვევაში გასაუმჯობესებელ ჯიშს მწვანე მატებდა სინაზესა და არომატულობას. მწვანის ყურძენს ნაწილობრივ იყენებენ ადგილობრივი მნიშვნელობის სადესერტო (საჭმელ) ყურძნად. შამპანური მასალისათვის კახეთში დამზადებული მწვანე ოდნავ უხეში გამოდგა. სადესერტო კომისიის მიერ შეფასებული იყო 6,4 ბალით და მოწონებული იყო, როგორც საკუბავე მასალა. უკრაინის მწვანე, როგორც შამპანური მასალა, შეფასებული იყო შემდეგნაირად: „ბუკეტი სასიამოვნოა, მაგრამ არატიპურია შამპანურისათვის. სიმკვარე სასიამოვნო, ხალისიანი აქვს. ბალი 7“. მწვანისაგან დამზადებულმა მზა შამპანურმა დამაკმაყოფილებელი შედეგი მოგვცა და შეფასებული იყო 6,7 ბალით. ასე რომ, ამ მხრივ დიდი პერსპექტივები მას არც უკრაინის პირობებში აქვს.

მწვანე ძველთაგანვე შერჩეულია თეთრი მშრალი სუფრის ღვინისათვის და ამ მხრივ მას კახეთის პირობებში ბადალი არ მოეპოვება. ევროპული წესით დამზადებული მწვანე იძლევა მომწვანო ღია ჩალისფერ, ნაზ, ხალისიან, სრულ, ჰარმონიულ ღვინოს. იგი ივითარებს ჯიშისათვის დამახასიათებელ ბუკეტს, რომელშიაც მკაფიოდ გამოსჭვივის ხილის არომატი. კახური წესით დამზადებული მწვანე მუქი ჩალისფერია; იგი უფრო სრული, მდიდარი ღვინოა, არომატი უფრო ძლიერი და სასიამოვნო აქვს. მწვანისაგან სამტრესტი ორ სამარკო ღვინოს ამზადებს, ორივეს ევროპული ტიპისას. პირველი ცნობილია „მწვანის“ სახელწოდებით და მზადდება წინანდლის, ნაფარეულისა და მუკუზნის საბჭოთა მეურნეობების ყურძნისაგან. იგი მომწვანო-ჩალისფერია, ბუკეტი ფაქიზი აქვს და ხილის არომატიანი, გემო ნაზი, საკმაოდ ხალისიანი და ჰარმონიული. შეიცავს 10,5—12% ალკოჰოლს და 6—8% სიმკვარეს. მეორე ცნობილია „მანავის მწვანის“ სახელწოდებით. მომწვანო ჩალისფერია, ნაზი, ხალისიანი და ჰარმონიული. ბუკეტი ნაზი, ჯიშისათვის დამახასიათებელი ხილის ძლიერი არომატიანი აქვს. „მანავის მწვანე“ უფრო მსუბუქი და ნაზია და იმავე კონდიციისა, როგორისაც სამარკო ღვინო „მწვანე“.

არც ისე შორეულ წარსულში, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში, აგრონომ ვ. გევესკინ და გ. შარერის (1885 წ.) ცნობით „კახეთში საუკეთესო ღირსების ღვინო წმინდა მწვანისაგან დგებოდა ახმეტაში წინო ჩოლოყაშვილის, ხოლო ხორხელში თამარ ანდრონიკაშვილის ზვრებიდან. მათი ღვინო ად-

გილზე იყიდებოდა ვედრო ექვს მანეთ-ნახევრად მაშინ, როცა ღვინის საშუალო ფასი კახეთში 2-4 მანეთს არ აღემატებოდა. კახეთში არა მარტო ახმეტასა და ხორხელში, არამედ მთელ ზოლზე, თელავიდან ახმეტამდე, მწვანე, წმინდაც და რქაწითელთან და ჯანანურასთან შერეულიც, მაღალხარისხოვან ღვინოს იძლევა. ამ ზოლზე, დასახლებული სოფლების გარდა, ღვინის მაღალი ღირსებით ცნობილია იყალთო, რუისპირი, ზემო ხოდაშენი, ქისტაური და სხვა სოფლები. ალაზნის ვალში მაღალი ღირსების მწვანე ნაფარეულსა, სანიორესა და ართანაში დგებოდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყურძნის მწვანე ტიხენჭაუზენის ყოფილი ზვრიდან, რომელიც შედიოდა ნაფარეულის მეურნეობის შემადგენლობაში. ცნობილი მელვინე ვ. კანდელაკი მას მუდამ მაღალ შეფასებას აძლევდა. პროფ. გოგოლ-იანოვსკი ამ ღვინის 1927 წლის მოსავლით განცვიფრებული დარჩა და მას ქართული რისლინგი უწოდა. მეორე ზოლი, სადაც მწვანე მაღალი ღირსების ევროპული და კახური ტიპის სუფრის ღვინოებს იძლევა, არის ზოლი თელავიდან მუკუზამდე—კურდღელაურის, კანდოლის, წინანდლის, ვახისუბნისა და მუკუზნის უბნები. ამ რაიონის ვენახების ყურძნისაგან მზადდება ცნობილი სამარკო ღვინო „მწვანე“. დასასრულ, მესამე რაიონი, სადაც მწვანემ განსაკუთრებით გამოჩინა თავი, არის საგარეჯოს რაიონი, ძირითადად მანავის მიკრორაიონი. აქ ძველად მეფეებსაც კი ჰქონდათ ზვრები და შეტად მაღალი ღირსების ღვინოები მზადდებოდა მწვანისაგან. დიდ როლს თამაშობდა მწვანე აგრეთვე სხვა თეთრი ჯიშების, ძირითადად რქაწითლის ღვინის ხარისხის გაუმჯობესებაში. როგორც ძველად, ისე ახლაც, ძველ, უმყნობ ვენახებში რქაწითელთან ერთად გვხვდება მწვანე, ჯანანურა (ხიხვი), ქისი, ჩიტისთვალა და სხვა ჯიშები. ზოგჯერ რამდენიმე ჯიშიც კი ერთად. მაგალითად, ს. რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძნთავთავის“ ძველ უმყნობ ვენახებში რქაწითელთან ერთად გვხვდება ძირითადად მწვანე და ჯანანურა (ხიხვი) სხვადასხვა ნაკვეთზე სხვადასხვა შეფარდებით. მწვანე და ჯანანურა ზოგ ნაკვეთზე რქაწითლის დახლოებით ნახევარს შეადგენს. ცნობილ „გრძელმიდორებზე“ წინანდალში ძირითადად რქაწითელი იყო გაშენებული, ხოლო მწვანე 25%-ს მაინც შეადგენდა ნარგავში.

ძველად მწვანის კაქასაც კი იყენებდნენ სხვა ჯიშების ხარისხის გასაუმჯობესებლად, იგი მატებდა სინახესა და არომატულობას გასაუმჯობესებელ ჯიშს (ზ. ჯორჯაძე 1876 წ. გვესკი და შარერი 1885 წ.).

მწვანის ქიმიური ბუნების გასაცნობად და ღვინის ღირსების ყოველმხრივი შეფასებისათვის ქვემოთ მოყვანილ მე-7 ცხრილში მოცემულია ღვინის ქიმიური ანალიზის მაჩვენებლები ჯიშის გავრცელების სხვადასხვა რაიონიდან.

**მწვანის ღვინის ქიმიური შემადგენლობის მაჩვენებლები**

ცხრილი 7

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მოცულობით % 1%-ში	გ რ ა მ ე ბ ი ე რ თ ლ ი ტ რ ა შ ი										შენიშვნა
				საერთო სიმკვლე	მქროლავი სიმკვლე	მსტრაქტი	ღვინის სიმკვლე	შაქარი	ტანინი	გლიცერინი	არამქროლავი სიმკვლე	ნაცარი		
<b>ა. შამპანურის ხაცდელი ღვინო მასალები</b>														
1 კახეთი, იყალთოს მიკრ.	1938	0,9911	10,7	7,50	0,80	25,40	—	—	0,5	6,3	—	—	—	
2 კახეთი, ვახისუბნის მიკრ.	1938	0,9911	9,80	7,60	0,44	13,80	—	—	0,5	5,2	—	—	—	
3 ჟერაინა, ოდესა მევენახეობის ინსტიტუტი	1939	0,9938	8,63	8,3	—	21,9	—	0,6	—	—	—	—	—	
	1939	0,9938	10,4	7,7	0,63	19,9	—	0,8	—	—	—	—	—	
<b>ბ. სუფრის მშრალი ღვინო</b>														
კახეთი მწვანე წინანდლის საიუბილეო	1939	0,9920	11,8	6,83	1,12	19,69	2,6	0,07	0,27	6,75	—	1,6	—	
„ „ ინსტიტის კურდღელაური	1940	0,9928	10,2	6,84	0,41	20,40	3,3	1,5	0,32	4,91	5,83	2,0	—	
„ „ წინანდალი ნახვრევი	1941	0,9910	12,6	5,61	0,65	18,82	2,5	0,12	0,25	—	—	2,1	—	
მუკუზანი, ზეგახი	1941	0,9913	11,4	4,84	1,0	16,3	2,6	0,11	0,16	—	—	1,97	—	
„ „ მანავი	1946	0,9903	12,1	5,25	0,50	17,18	3,27	0,32	0,44	5,76	—	—	—	
„ „ ხირსა	1946	0,9948	11,6	4,4	0,45	27,52	7,24	0,97	2,74	—	—	—	—	
ვახისუბანი	1931	0,9944	10,9	6,08	1,52	17,56	1,39	0,4	0,44	7,94	—	—	—	
„ „ 6 წ.														
ჯერაინა, ჩვეენახეობის ინსტიტუტი, ოდესა	საშ.	0,9928	12,46	8,81	0,76	23,2	2,6	0,84	0,27	6,8	—	—	3,2	
	მაკსიმ.	0,9932	14,30	12,0	1,06	27,4	—	1,10	0,81	—	—	—	3,3	
	მინიმ.	0,9921	11,0	5,55	0,64	19,4	—	0,50	0,22	—	—	—	3,1	

მე-7 ცხრილში მოყვანილი მონაცემები ნათელყოფენ მწვანის ღვინის ქიმიური ბუნების სიმდიდრეს როგორც ალკოჰოლიანობით, ისე ექსტრაქტივითა და შეავიანობით; ამ მხრივ მწვანის ღვინოები კარგადაა შეხვედრული. დასასრულს, უნდა აღინიშნოს მწვანის ღვინის მაღალი ორგანოლექტიკური (გემოვნებით) თვისებები. სადევუსტაციო კომისიების სხდომებზე როგორც თბილისში, ისე მოსკოვში (მწვანე მუდამ იღებდა და იღებს მაღალ შეფასებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მწვანის ღვინოები უკეთესად დიდი ხანგრძლიობით ხასიათდება. დაძველების პროცესში მწვანე კარგავს სპეციფიკურ გემოვნურ მახასიათებლებს და მის ნაცვლად ივითარებს იშვიათ ნახს და ძლიერი სიძველის ბუკეტს, რომელშიაც მკაფიოდ გამოკრთის ხილის სასიამოვნო არომატი.

**ვარიაციები და კლონები.** მწვანე მდიდარია ვარიაციებით და კლონებით. ძველთაგანვე ცნობილი იყო მწვანის სამი ვარიაცია: ყვითელი ანუ უფიფქო მწვანე, ნაცარა მწვანე და მკენარა მწვანე ამ ვარიაციებიდან გამოვლენილია ყვითელი მწვანე, რომელიც ახლაც გვხვდება ძველ ვენახებში, ხოლო ნაცარა და მკენარა ჯერჯერობით გამოვლენილი არაა. რადგან მწვანე მომეტებულ შემთხვევებში ინა-ცრება და ჭკნება კიდევ გადამწიფებისას, ამ ნიშნებით მკვეთრად განსხვავებული ფორმები ჯერ არ არის შემჩნეული. სამაგიეროდ მევენახეობის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრ. ვ. ლოლაძის მიერ გამოვლენილია დანაკვეთულფოთლიანი, მთლიანფოთლიანი, მოკლემტევანა მწვანე და რამდენიმე კლონი. ამ ვარი-აციათა და კლონთა გასაცნობად ქვემოთ მოყვანილია მათი მოკლე დახასიათება.

1. ყვითელი მწვანე განსხვავდება ძირითადი მწვანისაგან ყვითელი შეფერვით, რაც გამოწვეუ-ლია იმ ცვილისებრი ფიფქის სითბელით, რომლითაც ჩვეულებრივ დაფარულია მარცვალი. სამეურნეო თვისებებით (მოსავლიანობით, ღვინის ხარისხით) იგი ჩამორჩება ჩვეულებრივ მწვანეს. ყვითელი მწვანე კარგ მასალას იძლევა უალკოჰოლო ყურძნის წვენის დასამზადებლად. მთლიანად ეს ვარიაცია ნაკლებ პერსპექტიულია.

2. ღრმად დანაკვეთულფოთლიანი მწვანე. ეს ვარიაცია ხასიათდება ფოთლების ღრმა დანაკვეთით და ყუნწის ღია ამონაკვეთით. მკირემოსავლიანია. სელექციის წარმოების დროს გამოძვეებული უნდა იქნეს ჩვენი ვენახებიდან.

3. მთლიანფოთლიან მწვანეს ძლიერ სუსტად ან სულ დაუნაკვეთავი ფოთლები აქვს, იზრდება ძლიე-რად, პატარა მტევნები იცის და მკირე მოსავალი. უპერსპექტივო ვარიაციაა, გამოძვეებული უნდა იქნეს ვენახებიდან.

4. მოკლემტევანა მწვანე სუსტად იზრდება. ფოთლის კბილები ნემსისებრ აქვს წაწვეტებული, კვირტის გაშლა ნაგვიანევად იცის. მტევნები თხელი და პატარა აქვს. უბერიო ვარიაციაა.

5. ყვავილმცვენი მწვანე ძირითად ფორმისაგან ყვავილის აგებულებით განსხვავდება. იგი კლონია, რომელიც განირჩევა მოზრილი, ტეხილი მტვრიანის ძაფებით. მტევნები მეჩხერი და პატარა აქვს. მტე-ვანზე რამდენიმე მსხვილ მარცვალს ივითარებს, დანარჩენები წვრილი და განუვითარებელი რჩება. უვარ-გისი კლონია და გამოძვეებული უნდა იქნეს ჩვენი ვენახებიდან.

6. მწვანე მოსავლიანი № 12. იგი გამოვლენილია, როგორც მაღალმოსავლიანი კლონი, ხასიათდება ფოთლის საშუალო დანაკვეთით, მეორადი ნაკვეთების განვითარებით და მაღალი მოსავლიანობით: 20 — 25% -ს უფრო მეტს ისხამს, ვიდრე ჩვეულებრივი მწვანე. უდავოდ პერსპექტიული ფორმაა. წარმატე-ბით გაიარა კლონთა გამოცდის საფეხური და 1950 წლიდან გაშენდება ნახევარ ჰექტარ ფართობზე სა-წარმოო პირობებში ფართოდ გამოსაცდელად ჩვეულებრივ მწვანესთან ერთად.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

მწვანე ადგილობრივი მაღალხარისხიანი ვაზის ჯიშია, გავრცელებულია ძირითადად კახეთში, იძლე-ვა მაღალი ღირსების ევროპული და კახური ტიპის თეთრ სუფრის ღვინოს. ევროპულად დაყენებული ღვინო მომწვანო-ჩალისფერია, გემო ნაზი, ხალისიანი და პარმონიული აქვს. ბუკეტი ნაზი ჯიშური, ბი-ლის ძლიერი არომატით. კახურად დაყენებული იგი მუქი ჩაისფერია, სრული სხეულით მდიდარი და ენერგიული ღვინოა. გემო პარმონიული, სასიამოვნო აქვს. არომატი ნაზი ჯიშური, რომელიც სიძველეში წარმოქმნის ნაზ ბუკეტს ხილის ძლიერი არომატით. ღვინის ძლიერი არომატულობისა და სინაზის გამო მეღვინეთა წრეში მას მეტსახელად ქართული რისლინგი შეარქვეს.

მაღალი ღირსების ღვინოს მწვანე იძლევა თელავის, საგარეჯოს, გურჯაანის და ნაწილობრივ სიღნა-ლის რაიონებში, ძირითადად მთისწინა ზოლის შემადგენლებულ და ფერდობ ადგილებზე, უმთავრესად გადა-პალა-კარბონატულ, ალუვიალურ კარბონატულ და ალუვიალურ არაკარბონატულ ნიადაგებზე. განსაკუთ-

რებით გამოირჩეოდა და ცნობილი იყო და არის ახმეტის, მანავის, იყალთოს, რუისპირის, ნათარეულის, სანიორის, წინანდლის, ვახისუბნის და სხვა ადგილების მწვანე. ზოგიერთ წლებში ევროპული წესით დაყენებული მწვანე ამ ადგილებისა არ ჩამოუვარდება მსოფლიოში განთქმულ რაინისა და ბორდოს თეთრ ღვინოს.

მწვანის დადებითი თვისებებია: შედარებით მაღალი მოსავლიანობა მისი გავრცელების თითქმის ყველა რაიონში, ღვინის მაღალი ხარისხი, ვარგისობა ღვინის სხვადასხვა ტიპის დასამზადებლად. შედარებით მაღალი გამძლეობა ფილოქსერისა და კარგი გამძლეობა ზამთრის ყინვებისა და მილდიუსისგან. მწვანე აგრეთვე მწვანის მონაწილეობა სხვა თეთრი ჯიშებისაგან მისაღები ღვინის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში; საყოველთაოდ ცნობილი ღვინოების: ახმეტურას, გორგორების, ალექსაურების, გრძელმიდორების და სხვათა მაღალი ხარისხი შედეგია მწვანის მონაწილეობისა; იგი მუდამ იყო შერეული შესაბამ ვენახებში 25%-ის და ზოგჯერ მეტი რაოდენობითაც.

მწვანის უარყოფითი თვისებებია: შედარებით სუსტი გამძლეობა ნაცრისა, ზოგ ადგილებში ნორმალურზე მეტი ყვავილცვენა, რის გამოც მტევნები ძალზე მეჩხერი გამოდის და გარემო პირობებისადმი ზედმეტი მგრძობიარობა. მწვანის ეს უარყოფითი თვისებები ადვილი დასაძლევია: პირველი — ნაცრიან წლებში ერთი ან ორი დამატებითი წამლობის ჩატარებით ნაცრის წინააღმდეგ, მეორე — ყვავილობის დაწყებამდე ან მის დაწყებისას ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროების წამტვრევის საშუალებით და მესამე — ჯიშისათვის შესაფერი რაიონისა და ადგილმდებარეობის მოთქრებული შერჩევით.

მწვანის შემდგომი გავრცელება უნდა ხდებოდეს კახეთის ყველა რაიონში და ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მისთვის უნდა შეიჩქეს არამშრალნიადაგებიანი ფერდობი ადგილები. საქართველოს გარეთ მწვანე პერსპექტიულია და კარგ შედეგებსაც იძლევა უკრაინაში — ოდესის რაიონში. უფრო უკეთესი იქნება იგი უკრაინის სამხრეთ რაიონებში, საქიროა გამოიყენოს მწვანე მოლდავეთში და ორჯონიკიძის მხარეში ფართო მასშტაბით.

### МЦВАНЕ-КАХУРИ

Лист. Листья среднего яруса (9—12 лист.) матовые, темно-зеленые средних размеров (18,0 × 18,5 см.). Очертание или форма листьев округлая, реже она бывает слабо - овальной. Поверхность листа сетчатоморщинистая, реже мелко - пузырчатая, еще реже она бывает гладкой. Обычно листья пятилопастные встречаются, но редко, и трехлопастные. Вторичные лопасти слабо выражены. Листовая пластинка волнистая, воронковидно-желобчатая, реже она бывает неопределенно-изогнутой формы. Угол оконечной лопасти, обычно, тупой.

Верхние вырезки по глубине рассеченности листа варьируют от мелких до глубоких, чаще встречаются вырезки средних размеров и глубокие. Вырезки по форме варьируют от открытых щелевидных до закрытых с яйцевидным просветом. Обычно вырезки бывают закрытые, с яйцевидным просветом и с округлым либо заостренным дном, реже они бывают открытые лировидные с почти параллельными сторонами и с острым дном. Дно вырезки снабжено часто одним, реже двумя зубцами.

Нижние вырезки, обычно, мельче верхних и достигают средних размеров. В большинстве случаев нижние вырезки бывают открытые. Форма вырезок лировидная с суженным устьем, с округлым, либо заостренным дном, реже вырезки имеют форму входящего угла. Изредка встречаются вырезки с однозубчатым дном.

Черешковая выемка по форме также значительно варьирует, в особенности, в зависимости от расположения листьев по ярусам. У листьев среднего яруса черешковая выемка по своей форме варьирует от закрытых с веретеновидным просветом до открытых сводчатых. Чаще всего встречаются закрытые выемки с эллиптическим просветом либо лировидные вырезки с острым дном. В очень редких случаях встречаются черешковые выемки с одним шпорцем.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей обычно треугольные, прямые, с острой вершиной, реже встречаются треугольные зубцы с выпуклыми сторонами и острой вершиной. Боковые зубцы треугольно-пиловидные либо пиловидные с выпуклыми сторонами и острой вершиной.

Опушение нижней поверхности листа паутиновое средней густоты с подстилающим редким щетинистым пушком. Интенсивность опушения усиливается сверху вниз вдоль оси побега. Листья нижнего яруса опушены густым паутиновым пушком, в основном, за счет усиления густоты щетинистого пушка.

Черешок листа голый, реже на нем можно заметить очень слабое паутиновое опушение. Длина черешка равна длине срединного нерва листа, реже черешок короче длины срединного нерва. Окраска черешка обычно светло-вишневая с прозеленью вдоль черешка. Осенняя окраска листьев светложелтая.

Цветок обоеполюй, нормального строения. Тычинки прамостоящие. Число тычинок равно 5, реже встречаются цветки с шестью тычинками. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,25, реже это отношение достигает 1,5. Пестик правильной округло-конической формы с хорошо выраженным столбиком и большим явственно двураздельным рыльцем.

Гроздь. Грозди Мцване обычно средних размеров. Длина гроздей, в среднем, варьирует от 12 до 17 см. при ширине 9—15 см. Размер средней грозди равен  $14 \times 10,5$  см. Форма грозди широко-коническая, крылатая, реже встречаются и цилиндрико-конической формы. Крылья грозди нередко достигают половины—двух третей размера основной грозди, средний вес грозди в большинстве случаев достигает 165—170 гр. Количество ягод в грозди равно 178, из них крупные ягоды составляют 66, а средние и мелкие 52. Обычно грозди бывают средней плотности, реже они рыхлые. Длина ножки у гроздей средней величины варьирует от 3,5 до 6 см.; в среднем она равна 4,5 см. Ножка грозди зеленая, со середины к основанию она деревенеет и окрашивается в цвет чубука. До места разветвления грозди ножка травянистая и легко отламывается рукой. Ножка ягоды зеленая, с варьирующей длиной от 0,4 до 0,6 см. Подушечка слабо бородавчатая, широко конической формы. Прочность прикрепления к ножке средняя.

Ягода. В грозди большинство ягод средних размеров. В среднем длина ягод варьирует от 1,35 до 1,8 см. при ширине 1,2—1,6 см. Средний размер ягод равен  $1,45 \times 1,25$ . Форма ягод овальная с наибольшей шириной в средней части. Конец ягод округлен. Кожица тонкая, легко отделяющаяся от мякоти. Мякоть сочная, расплывающаяся. Сок бесцветный, сладкий. Окраска ягод желто-зеленая. Пруин обильный. При полной зрелости, благодаря обилию пруина, ягоды принимают характерную для сорта нежно-зеленую окраску. Вкус ягод сладкий, с приятным ароматом. Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4, в среднем на ягоду приходится 2,28 семени. На 100 ягод в среднем приходится с одним семенем 6,0% с двумя—64%, с тремя—26% и с четырьмя семенами—4,0%.

Семя. Семена желто-бурой окраски. Длина семени равна 6—7 м/м, при ширине 4—4,5 м/м. Длина клювика равна 2—2,5 м/м. Тело семени продолговато-округлой формы, при переходе в клювик образует плечики. Халаза вогнутая, округлой формы, лежит в верхней части семени, от тела семени она отграничена валиком. Ложбинка от халазы к верхней части семени глубокая, хорошо заметна и как бы разделяет верхнюю часть тела семени на две равные половинки. Брюшная сторона семени килеватая. Семенной шов узкий, но хорошо заметен по всей длине семени. Бороздки по обе стороны семенного шва узкие, глубокие, тянутся почти параллельно. Дно бороздки окрашено в желтый цвет. Клювик в верхней части несколько расширен и снабжен перетяжкой посередине. Окраска клювика с верхней стороны светложелто-бурая, а с нижней—желто-оранжевая.

Мцване—высококачественный, стандартный сорт белых столовых вин Кахетии. Название свое получил по желто-зеленой окраске спелых ягод. Распространен в Грузии, в основном, в районах Кахетии, на незначительных площадях и сортоиспытательных участках в Дагестане, на Украине, в Средней Азии и в др. виноградных районах СССР. Прекрасные качества вина—нежность, полнота, гармоничность вкуса при сильном сортовом аромате—выдвигают Мцване на первое место среди белых вин Кахетии.

В прошлом Мцване с успехом применяли для улучшения качества других белых вин путем прибавления винограда либо настаиванием сока на выжимках Мцване. Многие из исторически известных белых вин Грузии как Ахметури, Горгореби, Грдзелимидореби, Алексауреби, Манави и др. обязаны либо непосредственно Мцване, либо его значительной примеси (25 и более %) к сорту Ркацителю.

К положительным свойствам сорта относятся—сравнительно высокая урожайность при прекрасном качестве продукции, высокая относительная устойчивость против филлоксеры и достаточная против мильды, пригодность сорта для разных типов вин и в качестве столового винограда местного значения.


К отрицательным свойствам сорта относятся его слабая устойчивость к оидиуму и большая требовательность к экологическим условиям среды, в этом отношении он значительно уступает сорту Ркацителю.

Лучшие вина Мцване получались на аллювиально-карбонатных и не карбонатных почвах склонов гор в Телавском, Сагареджинском, Гурджаанском и отчасти Сигнахском районах.

Особенно славились вина Мцване сел. Ахмета, Хорхели, Манави, Цинандали, Уриатубани и Артап, и Санноре.

Сорт безусловно перспективный, запроектированы значительные площади для его дальнейшего распространения и восстановления его удельного веса на виноградниках Кахетии. Перспективен также и для других винодельческих районов СССР, в особенности южных и юго-восточных.





საქართველოს  
ბიბლიოთეკა

### ხ ი ხ ვ ი

ხიხვი ვაზის ადგილობრივი ჯიშია, რომელიც ფართოდ გავრცელებული არაა, შედარებით იშვიათად გვხვდება. იგი შეტანილია კახეთის საწარმოო ასორტიმენტში, რადგანაც მაღალხარისხოვანია. იძლევა მაღალხარისხოვან თეთრ სუფრის ღვინოს, ზოგიერთ მიკრორაიონში კი (კარდანახი) მაღალხარისხოვან საღვინეო ღვინოს.

სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში ხიხვის სინონიმები ცნობილი არაა. თელავის რაიონში ამ ჯიშს ეძახიან ჯანანურას, ხოლო გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში — ხიხვს. ამათი იგივეობა ჩვენ დავადგინეთ ვიზისუბნის საკოლექციო ნაკვეთზე რუისპირიდან (თელავის რაიონი) და კარდანახიდან (გურჯაანის რაიონი) ჩამოტანილი ნერგების შედარების საშუალებით. უცხოურ ამპელოგრაფიებში (ვიალა და ვერმორელი, 1901—1910 წ.) ეს ჯიში აღწერილია და მოკლედ დახასიათებული, ხოლო სახელად მოხსენიებულია ხიხვი და ხიხვი (მწვანე) Khikva (Mtswané).

ჯიშის ისტორია. ძირითადი მორფოლოგიური ნიშნების (ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება, მრგვალი ფორმის მარცვალი და სხვ.) და შედარებითი ამპელოგრაფიის მონაცემების მიხედვით მტკიცდება, რომ ხიხვი ვაზის ჯიშთა წარმოშობის ადგილობრივი კერიდან არის წარმოქმნილი. საქართველოში ვაზის წარმოშობის ორი ძირითადი კერაა ცნობილი: კოლხეთისა და ალაზნის ველისა. ამ კერებში წარმოშობილი ჯიშები ძირითადი მორფოლოგიური ნიშნებით საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კოლხეთის ვაზის ჯიშებს ფოთლის ქვედა მხარის სქელი აბლაბუდისებრი ან ქეჩისებრი შებუსუსვა, ბატარა ან საშუალო ზომის მტევანი და მრგვალი ფორმის მარცვალი აქვთ, ალაზნის კერის ჯიშებს კი შეუბუსუსავი ან ოდნავ შებუსუსული ქვედა მხარე ფოთლისა, საშუალო და საშუალოზე დიდი ზომის მტევნები და ოვალური ფორმის მარცვალი. ამასთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხიხვის ან მისი მსგავსი სახელით საქართველოში ბევრი ჯიში ყოფილა ცნობილი: კახეთში — ხიხვი, რაქაში — ხიხვა, ლეჩხუმში — ხიხვი, სამეგრელოში — ხემხუ და გურიაში — ხემხო. არსებობს კახეთის, რაქისა და ლეჩხუმის ხიხვის სრული ბოტანიკური აღწერა და სამეურნეო დახასიათება, რის მიხედვითაც ისინი შებუსუსულოთლიანი, მრგვალ და თეთრმარცვლიანი, მაგრამ ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული ჯიშებია. რაც შეეხება ხემხოსა და ხემხუს, მათი საკითხი ღიად რჩება, რადგანაც ეს ჯიშები ჯერ აღმოჩენილი არაა და არც მათი ბოტანიკური აღწერა და სამეურნეო დახასიათება არის შემონახული. აკად. ივ. ჯავახიშვილი (1935 წ.) სახელწოდებების: ხიხვის, ხიხვას, ხემხუსა და ხემხოს ენობრივ ანალიზზე დაყრდნობით გულისხმობდა რომ ესენი ერთი ჯიშის სახელებია, ხოლო სახელწოდებათა შორის არსებულ განსხვავებას საუკუნეთა მანძილზე მასში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებებით ხსნიდა, მაგრამ საჭირო მასალების უქონლობის გამო მან საბოლოო დასკვნისაგან მაინც თავი შეიკავა.

სავსებით დასაშვებია, რომ ხიხვი თავდაპირველად წარმოადგენდა მონათესავე, მაგრამ საკმაოდ განსხვავებულ თესლნერგთა ნარევს. შემდგომში სხვადასხვა რაიონში მისი გავრცელების შედეგად წარმოებდა ნარევის დიფერენციაცია გარემო პირობებთან შეგუებულ ფორმებად. ასე ხდებოდა ნარევის განშტოება გარემო პირობების შესაბამის ჯიშებად, ხოლო ეს განშტოებები თავდაპირველ სახელწოდებას ინარჩუნებდნენ.

ჯიშის ხნიერების განსაზღვრა უფრო გაძნელებულია, რადგანაც საამისო მასალები არ მოიპოვება. ასეთ შემთხვევებში აკად. ივ. ჯავახიშვილი ჯიშის შედარებითი ხნიერების განსაზღვრისათვის ერთ-ერთ საიმედო მეთოდად თელის სახელწოდებათა ენობრივ ანალიზს. ცალკეულ სახელწოდებათა აგებულებისა და დროთა განმავლობაში მათში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით შესაძლებელია შედარებით სწორად განისაზღვროს ვაზის ჯიშების ხნიერება. სახელწოდებების ენობრივი ანალიზის შედეგად აკად. ივ. ჯავახიშვილმა



ხიხვი რქაწითელზე საკმაოდ უფრო ძველ ჯიშად მიიჩნია, ხოლო ამ უკანასკნელის წარმოშობა ახალი ერის V და მომდევნო საუკუნეებშია ნავარაუდები. ამის მიხედვით დასტურდება, რომ ხიხვი უდავოდ ადგილობრივი ჯიშია და მისი წარმოშობა დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის III—IV საუკუნეებს უნდა განეკუთვნოს.

სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გაჩენამდე ხიხვი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული კახეთის რაიონებში. ახმეტაში, რუისპირში, ბაკურციხეში, კოლაკში და სხვ. მაღალხარისხოვანი ჯიშების დგებოდა ძირითადად იმიტომ, რომ ამ სოფლებში გავრცელებული იყო ხიხვი როგორც წმინდა ნარგავების სახით, ისე მწვანესთან და რქაწითელთან შერეულად.

რადგანაც ხიხვი ნაცარს სუსტად უძლებს, ახალ ვენახებში მას აღარ გავლენ და გადაშენების გზაზე დადგა. ამას ადასტურებენ აგრონომები ვ. გეევსკი და შარერი (1885 წ.), რომლებიც წერდნენ: „მეორე ძლიერ მოსავლიანი, მაგრამ ნაზი კახური ჯიში — ხიხვი — ნაცრისაგან უკვე გადაშენდა. მას ჰქონდა ძალიან ტკბილი მარცვალი და ისლევდა არაჩვეულებრივ ნაზ და სუფთა გემოს ღვინოს, მწიფდებოდა სხვა ჯიშებზე ადრე“.

ამჟამად ხიხვი წმინდა ნარგავების სახით ძირითადად სამტრედიის საბჭოთა მეურნეობებშია გავრცელებული, ხოლო მწვანესა და რქაწითელთან შერეული იგი გვხვდება კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ვენახებში.

ვენახების 1940 წლის აღწერის მასალების მიხედვით ხიხვი გაშენებულია აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად კახეთში — თელავის, გურჯაანის, ახმეტის, სიღნაღისა და ყვარლის რაიონებში — დაახლოებით 11 ჰექტარ ფართობზე. უფრო დაწვრილებითი ცნობები ხიხვის გავრცელების შესახებ მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

**ხიხვის ფართობის განლაგება აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში 1940 წ. 1/IX**


მევენახეობის რაიონი	აღმინისტრაციული რაიონი	ფართობი ჰექტ-ში	ვენახების საერთო ფართობი	%-ები საერთო ფართ-თან	შ ე ნ ი შ ე ნ ა
კახეთი	1 თელავის რაიონი . . . . .	5,32	8,949,49	0,13	
	2 ყვარლის „ . . . . .	2,38	1,700,55	0,14	
	3 სიღნაღის „ . . . . .	1,78	1,931,63	0,09	
	4 გურჯაანის „ . . . . .	1,5	4,816,07	0,03	
	ს უ ლ . . . . .	10,96	15,200,87	0,07	
ქართლი	თბილისის რაიონი . . . . .	0,23	6,801,82	0,003	
	მარნეულის „ . . . . .	0,25	502,2	0,05	
	ახალციხის „ . . . . .	0,18	20,28	0,89	
ს უ ლ . . . . .	11,62	24,982,65	0,05		

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ხიხვის 1940 წლისათვის ძალიან მცირე ფართობი ექირა. ეს ფართობი ძირითადად ეკუთვნოდა სამტრედიის საბჭოთა მეურნეობებს. კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეთა ვენახებში ნარგავის სახით გაშენებული ხიხვი არ იყო აღრიცხული. 1947 წლის შემოდგომის აღწერის მიხედვით ხიხვის მთლიანი ფართობი კახეთში შეადგენდა 27,32 ჰექტარს.

ხიხვი საკმაოდ რაოდენობით გვხვდება თელავის, გურჯაანისა და ახმეტის რაიონის ძველ ვენახებში ნარგავის სახით, რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის“ ძველ ვენახებში ხიხვი ნარგავის სახით თითქმის რქაწითელის მესამედია. საქართველოს ფარგლებს გარეთ — საბჭოთა კავშირის მევენახეობის სხვა რაიონებში — ხიხვი არაა გაშენებული. აქა-იქ გვხვდება იგი სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების საკოლექციო და ჯიშთა გამოცდის ნაკვეთებზე, მაგალითად, უკრაინის ინსტიტუტში, დაღესტნის მევენახეობის სადგურში და უზბეკეთში.

საქართველოში მევენახეობის და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების შესახებ საკავშირო მთავრობის დადგენილების შესაბამისად გულდასმით იქნა გადასინჯული საქართველოს ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობა და ისტორიულად ცნობილი მაღალი ღირსების მქონე ყველა ვაზის ჯიში, რომლებიც ძველად რაიმე მიზეზის გამო (მცირე მოსავლიანობა, ავადმყოფობათა მიმართ სუსტი გამძლეობა და სხვა) არ მრავლ-

დებოდნენ, შეტანილ იქნა ვაზის სარაიონო სტანდარტულ ასორტიმენტში მათი აღდგენისა და შემდგომი ფართო გავრცელების მიზნით. ხიხვიც უკვე შეტანილია საწარმოო სტანდარტულ ასორტიმენტში და განზრახულია მისი გაშენება დიდ ფართობზე. მევენახეობის განვითარების გეგმა ითვალისწინებს ხიხვის გაშენებას ქვემოჩამოთვლილ რაიონებში შემდეგი რაოდენობით.



№	რაიონის დასახელება	1941—1945 წ. გეგმით	1947—1950 წ.	ს უ ლ	ს უ ლ ძველთან ერთად	საქართველოს მევენახეობის უნივერსიტეტი
1	თელავის რაიონი . . . . .	28,0	20,0	48,0		
2	გურჯაანის რაიონი	20	7	27,0		
3	წითელწყაროს რაიონი . . . . .	51,0	—	51,0		
4	სიღნაღის რაიონი . . . . .	60	5	65		
5	ახალციხის რაიონი . . . . .	—	10	10		
	ს უ ლ . . . . .	159	42	201,0	212,62	

ხიხვის ფართობის ასეთი სწრაფი ზრდა იმითაა გამოწვეული, რომ იგი მაღალი თვისებების მქონეა: იძლევა ნაზ, ევროპული ტიპის თეთრ სუფრის ღვინოს და ამასთან ერთად იშვიათ მასალას სადესერტო ღვინის „ხიხვის“ დასამზადებლად. როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, უახლოეს დროში ხიხვის ფართობი გაიზრდება 212 ჰექტარამდე. მოწინავე აგროტექნიკის გამოყენების შედეგად ხიხვი სრულად გამოავლინებს თავის მაღალ თვისებებს, რაც საფუძვლად დაედება მის კიდევ უფრო მეტად გავრცელებას დასასრულ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დადგენილ იქნეს ჯიშის ძირითად სახელწოდებად კახურისათვის — „ჯანაურა“ იმ მიზნით, რომ განსხვავებულ იქნეს რაჭა-ლეჩხუმის ხიხვასა და ხიხვისაგან.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიშის ბოტანიკური აღწერა შესრულებულია საქ. მეცნ. აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე ს. ვაზისუბანში (გურჯაანის რაიონი), საკოლექციო ვენახში.

ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ). ახალგაზრდა მოზარდი ყლორტის წვეროები გვირგვინითა და პირველი ორი-სამი, ჯერ კიდევ გაუშლელი ფოთოლაკითუთ შებუსუსებულია ქეჩისებრად ორივე მხრიდან, თეთრი ფლანელის ფერისაა და მორუხო იერი გადაჰკრავს. მეოთხე-მეხუთე ფოთოლაკის შებუსუსება ზემო მხრიდან მცირდება და შეფერვა იცვლება: მოყვითალო-მწვანე ფერისაა და მოწითალო ან მოღვინისფრო იერი ახლავს. ფოთლის ქვედა მხარე მოვერცხლისფრო თეთრია სუსტ-მოვარდისფრო იერიანი ფოთოლაკების ირგვლივ. ფოთლის ზედა მხარის სუსტი აბლაბუდისებრი შებუსუსება შესამჩნევია ახალგაზრდა ყლორტის მთელ სიგრძეზე.

ერთწლიანი რქა. კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შენოდგომით იფერება მონაცრისფრო იერის მქონე ბაც ყვითლად, ასე რომ შორიდან რქები მონაცრისფრო-რუხი ფერისა ჩანს. მუხლთაშორისების სიგრძე საშუალოდ 8—10 სანტიმეტრს უდრის. მუხლთაშორისებზე გასწვრივი ხოლოები სუსტად არის გამოსახული. მუხლები ოდნავ უფრო მუქია, ვიდრე მუხლთაშორისები.

ფოთოლი. შუა იარუსის ფოთლები (9—12) მომრგვალო ფორმისა და საშუალო ან საშუალოზე უფრო დიდი ზომისაა (26 × 26 სმ). ქვედა იარუსის ფოთლები უფრო წაგრძელებულია. ფოთოლი სამ ან, იშვიათად, ხუთნაკვთიანია, მას მეორეული დანაკვთვა არა აქვს. ფოთლის ზედაპირი წვრილბურთულებიანია, იშვიათად ბადისებრ დანაკვებული, ხოლო ქვემო იარუსის ფოთლები მსხვილბურთულებიანია. ფოთლის ნაკვთები, ჩვეულებრივ, ძირსაა დახრილი, რის გამო ფოთოლი ფინჯნისმაგვარ ფორმას იღებს.

ფოთლის ზედა ამონაკვეთები უფრო ხშირად არაღრმა, ზეზეურია, ზოგჯერ საშუალო სიღრმისაა. ფორმა ამონაკვეთებისა ნაბრალისებრი ან ჩანგისებრია, შევიწროებულყელიანი და წაწვეტებულფუძიანი, იშვიათად შეჭრილ კუთხისებრიცაა.

ჩვეულებრივ, ქვედა ამონაკვეთები ზედა ამონაკვეთებზე უმცროსია, ზეზეურია, იშვიათად საშუალო სიღრმისაა. ამონაკვეთების ფორმა ნაბრალისებრია, იშვიათად ჩანგისებრიცაა და შევიწროებულყელიანი.

ყუნწის ამონაკვეთი საკმაოდ დიდ მერყეობას განიცდის — ვიწროფუძიანი ჩანგისებრი ფორმის ამონაკვეთიდან ღრმა ისრისმაგვარ ამონაკვეთამდე. უფრო ხშირად ყუნწის ამონაკვეთი ჩანგისებრია ან ღრმა და თაღისებრი. ყუნწის ამონაკვეთები ხშირად დახურულია ვიწრო ელიფსისებრი თვლით და ერთი ან ორი დეზით, ან ისრისებრია და სწორგვერდებიანი.

ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება სამკუთხედისებრი გამოზნექილგვერდებიანი ან სამკუთხედისებრი მომრგვალებულწვერიანი კბილებით. გვერდითი კბილები უფრო ხშირად ხერხის კბილისებრია, გამობერილგვერდებიანი და მახვილწვერიანი ან ხერხის კბილისებრ-სამკუთხედისებრია.


ფოთლის ქვედა მხარის შებუსვა აბლაბუდისებრია, ბეწვები საკმაო სისქისაა, ქვეშეშებუსვა მკაფიო ბუსუსები. ფოთლის შებუსვის ინტენსიობა მატულობს ზემოდან ქვევითკენ.

ფოთლის ყუნწი ზანდახან შებუსუსებულთა ფიფქისებრი ბეწვებით და მოღვინისფრო-წითელი ფერისაა. მისი სიგრძე უდრის ფოთლის შუა ძარღვის სიგრძეს ან ოდნავ მასზე ნაკლებია. უფრო ხშირად ფოთლის ფირფიტა თავის ყუნწთან აკეთებს სწორ კუთხეს, რაც ერთგვარ კომპაქტურობას აძლევს ვაზს.

ყვავილი. ყვავილი ნორმალური აგებულებისაა და ორსქესიანია. მტვრიანების რაოდენობა ყვავილში 5-6-ს უდრის; მტვრიანები სწორმდგომია. მტვრიანას ძაგის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან უდრის 1,25-1,50-ს. ბუტკო სწორი კონუსისმაგვარია და კარგად გამოსახული ყელი (სვეტი) აქვს. ღინგი ორადაა გაყოფილი, გვხვდება ოთხად გაყოფილი ღინგიც.

მტევანი. ხიხვის მტევნები ზომით საშუალოზე უმცროსია. მტევნების სიგრძე მერყეობს 12-დან 18 სანტ-მდე, განიკი — 7-დან 10 სანტ-მდე. საშუალო მტევნის სიგრძე-სიგანე შეადგენს 13x7 სმ, ხოლო სრული კარგად განვითარებული მტევნებისა — 16,5x8 სმ.

მტევნის ფორმა მაინკლამაინც სხვადასხვაგვარი არაა. უფრო ხშირად მტევნები ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმისაა; ამისგან დამოუკიდებლად მტევნები მხრიანია. მხრების სიგრძე ხშირად ძირითადი მტევნის ნახევარს აღწევს. მტევნები ხშირად შეჩხვრია, იშვიათად კი საშუალო სიმკვრივისაა. მარცვლების რაოდენობა მტევანში მერყეობს 80-დან 160-მდე, საშუალოდ კი უდრის 80. მტევანში ორი მესამედი მარცვლებისა მსხვილია, დანარჩენი წვრილი და საშუალო ზომისაა. მტევნის საშუალო წონა მერყეობს 80 გრამიდან 250 გრამამდე; მრავალი წლის საშუალო შეადგენს 100-120 გრ-ს. მტევნის ყუნწის სიგრძე მერყეობს 3,5-დან 6,0 სანტ-მდე, საშუალოდ კი 4,5-5 სანტ-რს უდრის. ყუნწი ბალახისებრია, მწვანე ფერისა, მხოლოდ შუა ნაწილიდან ფუძისაკენ ხევდება და რქის ფერისა ხდება. მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე მერყეობს 35 მილ-5 90 მილიმეტრამდე. მარცვლის საჯდომი ბალიში განიერკონუსისებრი ფორმისაა და დახორკლილია.



სურ. 4. ხიხვის ყვავილი.

მარცვალი. მარცვალი საშუალო ზომისაა, მისი სიგრძე მერყეობს 1,4 სანტ-დან 1,8 სანტ-მდე, ხოლო განი — 1,35 სანტ-დან 1,76 სანტ-მდე. საშუალო მარცვლის ზომაა 1,60x1,55 სმ. მარცვალი მომეტებულ შემთხვევებში მომრგვალო ფორმისაა, იშვიათად გვხვდება ოვალური ფორმის მარცვლებიც. მარცვალი სიმეტრიულია, წელში განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვალი მომწვანო ყვითელია და მზისკენა მხარეზე სიღამწვრის პატარა ლაქები აყრია. კანი თხელია და ადვილად შორდება რბილობს. რბილობი წვნიანია და მდნარი. ცვილისებრი ფიფქი მარცვალზე, სუსტად არის გამოსახული. წვენი უფერულია და მეტად სასიამოვნო გემო აქვს, თანაც თავისებური ჯიშური არომატითაა შემკული.

წიბწების რაოდენობა მარცვალში 1-დან 3-მდე მერყეობს, საშუალოდ მარცვალზე მოდის 1,6 წიბწა.

წიბწა. წიბწის სხეული მომრგვალო-ოვალურია და ნისკარტისაკენ თანდათან ვიწროვდება. წიბწის სხეული მოყვითალო რუხი ფერისაა, ხოლო ნისკარტი ნარინჯისფერია. წიბწის სიგრძე უდრის 7-8 მმ-ს ხოლო განი — 5-6 მმ-ს. ქალაძა წიბწის შუა ნაწილშია მოთავსებული, იგი მომრგვალო ფორმისაა და ოდნავ ჩახნექილი. წიბწის მუცლის მხარე ქელიანია. ღარები მუცლის მხარეზე არაღრმა და ვიწროა, პარალელურად მიემართება ნისკარტისაკენ და იკარგება ნისკარტში გადასასვლელთან. ღარტაფი ქალაძიდან სხეულის ზედა ნაწილისაკენ კარგად არის გამოსახული. წიბწის ნისკარტი ცილინდრული ფორმისაა, ხორკლიანია, წვერში შევიწროებული და ირიბად შექრილი.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებები სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე მოგახდინეთ საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის მთავარ საკოლექციო ვენახში, სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით.

სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ქ. თელავში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე წარმოებულ დაკვირვებების შედეგები

და აგრეთვე რამდენიმე წლის მონაცემები მიღებული უკრაინის მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტულ ბაზაზე, ქ. ოდესაში.

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ხიხვის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დამოკიდებულია ცალკეული წლის მეტეოროლოგიურ პირობებზე. რაც უფრო მკირვა ნალექები სარებროდუქტო და სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, მით უფრო მოკლეა სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა, აქტიური ტემპერატურის მით უფრო ნაკლები ჯამია ყურძნის საჭირო სრული დამწიფებისათვის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობისა და სრული სიმწიფის დადგომის საშუალო თარიღების მიხედვით ხიხვი შეესაბამება სიმწიფის მეორე პერიოდის ჯიშებს. ხიხვი ერთი პერიოდით უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე რქაწითელი. დაკვირვების იმავე პერიოდში (1943—1948 წ.) რქაწითელის სრული დამწიფება აღნიშნულია 28/IX-ს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა გამოიხატა 152 დღით. ამ ხნის განმავლობაში აღრიცხულ იქნა ჯამი ეფექტური ტემპერატურისა 3,018°. ამრიგად, მრავალწლიური საშუალებების მიხედვით, ხიხვი 9—10 დღით უფრო ადრე შემოდის რქაწითელზე და ჭირდება 126 გრადუსით ნაკლები ჯამი ეფექტური ტემპერატურისა.

**ხიხვის სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა თელავსა და ოდესაში**

ცხრილი 1

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	მოკლე წელი	ფაზების დადგომის თარიღები					სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა კვირტის გამლიდან სრულ სიმწიფემდე	აქტიურ ტემპერატურების ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნალექები	
		კვირტის გამლის დასაწყისი	ყველაობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე	სარებროდუქციო პერიოდში			სავეგეტაციო პერიოდში	
კახეთი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთი ქ. თელავი . . .	1936	14/4	7/6	16/8	8/10	177	3,363,5	253,8	1,163,4	
	1937	20/4	9/6	17/8	26/9	159	3,252,1	59,8	768,4	
	1938	25/4	7/6	10/8	10/9	138	2,934,3	7,1	640,1	
	1939	24/4	1/6	16/8	28/9	157	3,196,2	70,4	761,9	
	1940	14/4	5/6	12/8	10/9	149	3,055,7	0,5	820,1	
საშუალო		19/4	6/6	14/8	22/9	156	3,160,3	78,6	830,8	
კახეთი მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1943	28/4	8/6	15/8	20/9	145	2,918,1	117,4	479,6	
	1944	24/4	4/6	28/8	15/9	144	2,887,5	1,7	349,0	
	1945	4/5	10/6	20/8	15/9	132	2,767,0	47,3	349,3	
	1946	23/4	7/6	26/8	15/9	142	2,871,4	—	539,9	
	1947	4/4	1/6	15/8	30/8	148	2,789,6	17,0	475,5	
	1948	27/4	4/6	19/8	23/9	149	3,119,5	134,2	524,6	
საშუალო		24/4	5/6	20/8	14/9	143	2,892,1	52,9	452,9	
უკრაინის მევენახეობის ინსტიტუტი	1936	28/4	2/6	13/8	29/9	154	—	—	—	
	1937	29/4	4/6	3/8	19/9	142	—	—	—	
	1938	25/4	5/6	12/8	11/9	159	—	—	—	
	1939	25/4	8/6	14/8	10/9	138	—	—	—	
საშუალო		27/4	5/6	11/8	17/9	143	—	—	—	

ამ მონაცემების საფუძველზე ხიხვი ჩვენ გამოსაცდელად დავარგვევინეთ ზემოქართლში — მესხეთის რაიონებში. ახალციხის რაიონში, სოფ. ზიქილიაში, იგი არა მარტო სავსებით დამწიფდა, არამედ 1946 წელს იმდენად გადაწიფდა, რომ ზუნებრივად მოგვცა ნახევრად სადესერტო ტიპის ღვინო. ამის გამო ხიხვი შეტანილია მესხეთის სარაიონო სტანდარტულ ასორტიმენტში და წრიობის საბჭოთა მეურნეობაში (ახალციხის რაიონი) ირგვება იგი 10 ჰექტარ ფართობზე.

კახურ სტანდარტულ ვაზის ჯიშებს შორის ხიხვი ყველაზე უფრო საადრეოა და ამიტომ მისი ერთწლიანი რქების სრულად მომწიფების საკითხი ეჭვს არ იწვევს. უფრო საინტერესოა და მნიშვნელოვანია ხიხვის ერთწლიანი რქების მომწიფების საკითხი მევენახეობის ჩრდილო და მაღალმთიან რაიონებში. ასე, მაგალითად, უკრაინაში, ე. კომაროვას ცნობით, ხიხვი ოდესის რაიონში დამაკმაყოფილებლად მწიფდება. კარგად მწიფდება იგი აგრეთვე ახალციხის რაიონშიაც. ჩვენი დაკვირვებით, ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდის დადგომისათვის ერთწლიანი რქები სავსებით ასწრებს მომწიფებას ერთი მეტრის სიგრძემდე, რომლის ზემოთ, ჩვეულებრივ, მათ წვეროები ეჭრებათ.



სობვი—ХИХВИ

საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემია  
ბიბლიოთეკა

კახეთში, სხვა ჯიშებთან შედარებით, ხიზვს საშუალო ზრდის ღონე აქვს. უკრაინაში (ოდესის რაიონი), ე. კომაროვას ცნობით, იგი ღონიერად იზრდება.

მოსავლიანობა. ხიხვი სხვა კახური ჯიშების მსგავსად ნაადრევად იძლევა პირველ მოსავალს. თელავში წარმოებული დაკვირვების მიხედვით ხიხვის ნამყენებმა სარებროდუქციო ნაკვეთზე დაკვირვებულ შემთხვევაში წელს გვიჩვენა პირველი ნიშანი. მესამე წელს მან მოგვცა სრული მოსავლის ერთი მესამედი, რომელიც მეოთხე წლიდან უკვე ნორმალურ მოსავალს იძლეოდა.

ხიხვის მოსავალი საშუალოზე მცირეა. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა ჯიშის ბიოლოგიურ თვისებებში, არამედ მისთვის შეუფერებელ მოვლა-დამუშავებაში. ხიხვი უდავოდ უკეთეს მოვლას, მეტჯერ წამლობას მოითხოვს ნაცრის წინააღმდეგ. ალბათ, ამით უნდა აიხსნას მისი შედარებით უფრო მაღალი მოსავალი, სოკოვანი ავადმყოფობის (ნაცრის) გავრცელებამდე. ასე, მაგალითად, გვევსკისა და შარერს ხიხვის შესახებ აღნიშნული აქვთ, რომ „დიდმოსავლიანი, მაგრამ ნაზი კახური ჯიში ხიხვი ნაცრის გამო უკვე გადაშენდა“. ჩვენში ნაცრისა და ფილოქსერის გავრცელებამდე ხიხვი უხვ მოსავალს იძლეოდა, რადგანაც მის მოსავალს არ აზიანებდა ნაცარი, ხოლო თვით ვაზს ფილოქსერა. მიუხედავად იმისა, რომ ხიხვს ახლა გაძლე საძირებზე მყნობით ამრავლებენ და ნაცრის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებაც ცნობილია, ხიხვის მოსავალი მაინც არადაამაკმაყოფილებელია. ამის მიზეზი ისაა, რომ ხშირად წამლობის ვადებს არღვევენ და ზოგჯერ არამალბარისხონადაც წამლობენ მას. უკანასკნელ წლებში, როცა ვენახების მოვლა-დამუშავება გაუმჯობესდა, ხიხვის მოსავლიანობამაც იმატა. თუ ჩვენ დავაკვირდებით ხიხვის მოსავლიანობას სამტრესტის მეურნეობებში, შევამჩნევთ წლების მანძილზე მოსავლის ზრდას მოვლა-დამუშავების გაუმჯობესების გამო, რაც უფრო ნაზი და გარემო პირობებისადმი მგრძობიარეა ვაზის ჯიში, მით უფრო ფაქიზ მოვლა-დამუშავებას მოითხოვს იგი. ხიხვის მოსავლიანობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ცნობები ხიხვის მოსავლის შესახებ ჰექტარზე სამტრესტის საბჭოთა მეურნეობებში 1938 წლიდან 1941 წლამდე. მეორე ცხრილში მოყვანილია ცნობები ხიხვის მოსავლის შესახებ სხვა საწარმოო თეორი ჯიშების მოსავალთან შედარებით იმავე წლებში (იხ. ცხრილი 2 და 3).

მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, ჯერ ერთი, მოსავლიანობის ყოველწლიური მატება დასახელებულ საბჭოთა მეურნეობებში და მეორე ის, რომ ხიხვისაგან სხვადასხვა მეურნეობაში სხვადასხვა მოსავალია მიღებული რქაწითელთან შედარებით. მაგალითად, წინანდლისა და კარდანაზის საბჭოთა მეურნეობებში ხიხვის მოსავალი ნაკლებია რქაწითელისაზე, მუკუზნისა და გიაურ-არხის საბჭოთა მეურნეობებში ხიხვისა და რქაწითელის საშუალო მოსავალი თითქმის თანაბარია, ხოლო ყვარლისა და თელავის საბჭოთა მეურნეობებში ხიხვის მოსავალი ოდნავ ჰარბობს რქაწითელისას. ყველაზე მაღალი მოსავალი ხიხვისაგან მიღებულია ხირსის მეურნეობაში, მაგრამ იქ იგი მაინც რქაწითელზე უფრო ნაკლებ მოსავალს იძლევა. ამავე ცხრილებიდან ჩანს, რომ რიგ მეურნეობაში საშუალო მოსავლიანობის მხრივ ხიხვი ჩამორჩა როგორც მწვანეს, ისე რქაწითელს სამი (1938, 1939 და 1940) წლის მანძილზე, სამაგიეროდ 1941 წელს მან საგრძობლად გადააჭარბა მოსავლით როგორც მწვანეს, ისე რქაწითელს. უკრაინაში მწვანე საშუალო მოსავალს იძლევა. ე. კომაროვას ცნობით, ქ. ოდესაში მისი მოსავალი ძირზე 1400 გრამს აღწევს. სამი წლის მოსავლიანობის საშუალო კოეფიციენტი უდრის 1,26-ს, უდიდესი აღწევს 2,0-ს, ანუ ორ მტევანს ერთ რქაზე.

**ხიხვის საშუალო მოსავლიანობა სამტრესტის საბჭოთა მეურნეობებში 1938 წლიდან 1941 წლამდე**

ცხრილი 2

საბჭოთა მეურნეობების დასახელება	ფართობი ჰექტარზე	1938 წ.		1939 წ.		1940 წ.		1941 წ.		შენიშვნა
		მოსავალი 1 ჰექტ-ზე	მთელი ფართობის მოსავალი	მოსავალი 1 ჰექტ-ზე	მთელი ფართობის მოსავალი	მოსავალი 1 ჰექტ-ზე	მთელი ფართობის მოსავალი	მოსავალი 1 ჰექტ-ზე	მთელი ფართობის მოსავალი	
წინანდალი	0,42	28,6	9,9	22,6	9,5	6,7	2,8	41,2	17,3	ზოგიერთ წლებში და ზოგიერთ მეურნეობაში ძალიან მცირე მოსავალი გამოწვეულია ვენახების დასეტყვით
მუკუზანი	0,25	36,0	9,0	40,8	10,2	35,2	8,8	59,2	14,8	
კარდანაზი	1,4	25,9	36,2	4,4	6,2	14,8	20,7	40,7	5,7	
ყვარელი	2,89	17,6	51,0	25,8	74,7	15,1	43,5	57,3	165,6	
ხირსა	0,71	33,0	21,5	31,8	22,6	114,1	81,0	82,5	53,6	
გიაურ-არხი	0,29	39,3	11,4	25,9	7,5	47,6	13,8	102,4	23,7	
თელავი	1,17	55,0	64,4	18,5	21,7	15,6	18,3	61,2	71,6	
<b>საშუალო</b>	<b>17,3</b>	<b>32,91</b>	<b>—</b>	<b>24,25</b>	<b>—</b>	<b>35,58</b>	<b>—</b>	<b>63,50</b>	<b>—</b>	

კახეთის თეთრი სტანდარტული ვაზის ჯიშების შედარებითი მოსავლიანობა  
სამტრესტის საბჭოთა მეურნეობებში

ცხრილი 3

მეურნეობის დასახელება	1938			1939			1940			1941		
	ხიხვი	მწვანე	რქაწითელი	ხიხვი	მწვანე	რქაწითელი	ხიხვი	მწვანე	რქაწითელი	ხიხვი	მწვანე	რქაწითელი
წინანდლი	23,6	16,1	19,0	22,6	34,1	41,5	6,7	14,8	28,0	41,2	49,5	57,0
მუკუხანი	36,0	50,2	36,2	40,8	35,6	40,8	35,6	52,6	35,1	59,2	66,6	59,5
კარდანაზი	25,9	22,9	49,0	4,4	15,9	16,0	14,8	51,1	54,2	40,7	58,8	58,7
ყვარული	17,6	11,8	11,7	25,8	28,0	28,0	15,1	7,7	7,7	57,3	6,7	29,8
ვიაურ-არაზი	39,3	—	39,2	25,9	—	25,8	47,6	—	59,0	102,4	—	47,2
ხირსა	33,0	56,2	89,1	31,8	93,6	123,2	114,1	114,2	115,7	—	—	—
თელავი	55,0	55,0	31,9	18,5	18,6	18,6	15,6	15,6	38,2	61,2	52,2	52,2
საშუალო	32,91	35,36	39,44	24,55	37,63	41,98	34,15	42,66	48,33	63,50	52,73	55,26

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. ნაცრის მიმართ გამძლეობის მიხედვით ხიხვს კახეთის სტანდარტულ ჯიშებში უკანასკნელი ადგილი უკავია. ზოგიერთ მიკრორაიონში, მაგალითად, იყალთოს, რუისპირისა და ნაწილობრივ ახმეტის მიკროუბნებში, ხიხვი თითქმის არ ზიანდება ნაცრისაგან, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი წამლობის პირობებში. ეს აიხსნება იმით, რომ ამ მიკროუბნებში ნაცრის განვითარებისათვის არ არის ისეთი ხელის შეშეშობი პირობები, როგორც სხვაგან. ნაწილობრივ ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ხიხვი ძირითადად გავრცელებული იყო და არის თელავისა და ახმეტის ზოლზე მდებარე სოფლებში. ამ ზოლზე ხიხვის მოსავლიანობა უფრო მაღალია, ვიდრე თელავ-წინანდლის უბანში. მილდიუმის მიმართ გამძლეობა ხიხვს საშუალო აქვს; ამ მხრივ იგი არ განსხვავდება კახური ვაზის დანარჩენი სტანდარტული ჯიშებისაგან. ხიხვი ფილოქსერასაც შედარებით დამაკმაყოფილებლად უძლებს. იყალთო-რუისპირის კოლმეურნეობებში ახლაც საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება ხიხვი საკუთარ ძირზე, უმყნობი, მთელ რიგ ვენახებში. კარგად უძლებს ხიხვი ყურძნის ჭიასაც, იგი, როგორც მებრმტენიანი ჯიშში, მისგან ნაკლებ ზიანდება. ნათქვამის შესაბამისად, ხიხვის წყარი და მაღალი მოსავლის მისაღებად საჭიროა ვენახების კარგი მოვლა-დამუშავება და განსაკუთრებული ყურადღებით წამლობა. ნაცრის წინააღმდეგ ერთი-ორი დამატებითი წამლობა და წამლობის ვადების ზუსტი დაცვა აუცილებელია ყურძნის მოსავლის გადსარჩენად.

ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

მტევნების გარეგნული შეხედულება, ყურძნის მექანიკური შემადგენლობა და აგრეთვე მისი წვენი კიმიური შემადგენლობა ნათლად ადასტურებს ხიხვის საღვინე ჯიშად გამოყენების მიზანშეწონილობას. ყველა მაჩვენებლის მიხედვით ხიხვი უდავოდ საღვინე ჯიშია და იგი ძველთაგანვე ამ მიზნით იყო და ამჟამადაც არის გამოყენებული. მისგან მზადდება როგორც მაღალხარისხიანი მშრალი სუფრის ღვინო, ისე საღვსერტო ტიპის ღვინო „ხიხვის“ სახელწოდებით.

ხიხვის მტევნისა და მარცვლის მექანიკური შემადგენლობის მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ მე-4 ცხრილში.

ხიხვის მტევნის მექანიკური შემადგენლობა

ცხრილი 4

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მტევნის საშ. წონა	მარცვლების რაოდენობა მტევანში	მტევნის შემადგენელი ნაწილები %/0-ში					100 მარცვლის წონა	100 წიპწის წონა
				კლერტი	მარცვლო	კანი	წიპწა	წვენი და ხორცი		
კახეთი, მევენახეობის ინსტიტუტის ბაზა, ს. ვაზის უბანი კახეთი, მევენახეობის ინსტიტუტი, ქ. თელავი	1940	87,72	44	3,53	96,47	10,53	3,32	82,62	188,0	5,1
	1941	102,0	65	3,74	96,26	11,64	3,44	81,18	152	5,2

ცხრილიდან ჩანს, რომ ხიხვის ლაბორატორიულ პირობებში წვეწის კარგი გამოსავალი აქვს. წარმოების პირობებში ტკბილის გამოსავალი შედარებით ნაკლებია: ერთი ტონა ყურძნიდან მიიღება ჭაჭა 234,6 კილო, ხოლო ყურძნის წვეწი — 765,4 კილო.

ყურძნის წვეწის ქიმიური შემადგენლობა, ხიხვის შაქრის დაგროვების მაღალი უნარი ახასიათებს, მასთან იგი მყავიანობასაც საკმაო რაოდენობით ინარჩუნებს. შაქრის დაგროვების განსაკუთრებით დიდ უნარს, ჰავის პირობების გამო, ხიხვი გურჯაანის რაიონში იჩენს. იქ, სახელდებით, გურჯაანის მიკრორაიონში ხიხვის შაქრიანობა საშუალოდ 26 — 27% -ს შეადგენს, ზოგიერთ წლებში კი 30% -ს შეადგენს პროცენტსაც აღწევს. ბლომად აგროვებს შაქარს ხიხვი უკრაინაშიაც: ქ. ოდესის მიდამოებში ცალკეულ წლებში მისი შაქრიანობა 27% -ს აღწევს. შაქრის დაგროვების უნარიანობის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოგვყავს ხიხვის შაქრიანობა-მყავიანობის მაჩვენებლები რაიონისა და წლების მიხედვით.

**ხიხვის შაქრიანობა-მყავიანობა რთვლის პერიოდში**

№ რიგ.	მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	რთვლის თარიღი	კუთრი წონა	შაქრიანობა %/0-ში	მყავიანობა %/0-ში	შენიშვნა
1	კახეთი. საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტი, ქ. თელავი	1941	14/IX	1,070	25,5	6,17	
		1943	20/IX	—	20,0	8,6	
		1944	27/IX	—	21,6	8,7	
		1945	21/IX	—	20,7	8,8	
		1946	20/IX	—	23,3	6,89	
		1947	2/IX	—	20,0	8,78	
		1948	21/IX	—	19,0	5,25	
2	უკრაინა. მევენახეობის ინსტიტუტი, ქ. ოდესა	1922	8/X	—	21,1	5,2	
		1923	10/X	1,1006	23,9	4,5	
		1924	18/IX	1,009	23,4	6,2	
		1925	1/X	1,0962	22,1	8,3	

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის ხარისხი. ხიხვის ყურძნისაგან მზადდება ძირითადად მშრალი სუფრის ღვინო და სადესერტო ღვინო. ხიხვის ღვინო როგორც ევროპული წესით, ისე კახურად და სადესერტოდ დაყენებული, მაღალი ღირსებისაა. ევროპულად დაყენებული სუფრის ღვინო ღია ჩალისფერია, გამჭვირვალე, სასიამოვნო ჯიშური არომატით, გემო ნაზი, სრული და ჰარმონიული აქვს. კახურად დაყენებული იგი ჩალისფერია, საკმაოდ სხეულიანი, სრული და ჰარმონიულია. ავტორიტეტული სადევუსტაციო კომისიების მიერ ხიხვი მუდამ მაღალ შეფასებას იღებდა და იღებს, მაგალითად, ქ. მოსკოვში 1946 წლის 11 აპრილს ცენტრალურმა სადევუსტაციო კომისიამ საქ. მეცნიერებათა აკადემიის მიერ წარდგენილი ღვინის ნიმუში — იყალთოს ჯანანურა 1942 წლის მოსავლისა — დაახასიათა შემდეგნაირად: „ფერი მოოქროსფრო, არომატი დამახასიათებელი, გემო ნაზი, ჰარმონიული, საშუალო ბალი 9,1“. იმავე სადევუსტაციო კომისიის სხდომაზე მევენახეობის ინსტიტუტის მიერ წარდგენილი ევროპული წესით დაყენებული „ხიხვი“ ზიკილიას საცდელი ნაკვეთიდან (ახალციხის რაიონი) დაახასიათებულ იქნა შემდეგნაირად: „ფერი ღია მოოქროსფრო, ორიგინალური ჯიშური არომატი, გემო სასიამოვნო, მოტკბო. სასურველია ხიხვისაგან დამზადდეს ნახევრად სადესერტო (სოტერნის ტიპის) ღვინო. საშუალო ბალი 7,7 (8 ბალიანი შეფასებისას)“.

ასეთივე მაღალი შეფასება მისცეს ხიხვის ღვინოებს თბილისში რესპუბლიკურმა სადევუსტაციო კომისიებმა.

ასეთივე მაღალი ღირსების, მხოლოდ სხვა ტიპის (სადესერტო) ღვინოს იძლევა ხიხვი კარდანახის მიკრორაიონში. ეს ღვინო ცნობილია „ხიხვის“ სახელწოდებით. ეს სამარკო ღვინო შექმნა სამტრედიის მთავარმა მეღვინემ განსვენებულმა ვ. ა. კანდელაკმა. ღვინო მუქი ქარვისფერია, გემო სრული, ჰარმონიული აქვს, ტოკაის ღვინისათვის დამახასიათებელი ბუკეტით. იგი შეიცავს 13% ალკოჰოლს, 5 — 7% საერთო მყავიანობას და 21% შაქარს. სადესერტო „ხიხვი“ თავისი მაღალი საგემოვნო თვისებების გამო მუდამ მაღალ შეფასებას იღებს. მაგალითად, 1940 წლის მოსავლის „ხიხვა“, რომელიც შეიცავდა 14,2% ალკოჰოლს, 4,3% საერთო მყავიანობას, 0,39 მკროლავე მყავიანობას და 25% შაქარს, ცენტრალური სადევუსტაციო კომისიის 1944 წლის 2 იანვრის სხდომაზე მიიღო 9,1 ბალი და დაახასიათებულ იქნა როგორც მეტად მაღალი ღირსების ღვინო. ასეთივე მაღალი შეფასება აქვს მას მიღებული რესპუბლიკური სადევუსტაციო კომისიის სხდომაზე. მაგალითად, სადევუსტაციო კომისიის 1946 წლის მაისის სხდომაზე 1946 წლის მოსავლის „ხიხვა“ მიიღო უმაღლესი ნიშანი — 8 ბალი, ხოლო სადევუსტაციო კომისიის 1947 წლის სხდომაზე 1945 წლის მოსავლის „ხიხვა“ მიიღო 9,5 ბალი.



გარდა ამისა, ხიხეს ფართოდ იყენებდნენ აგრეთვე სხვა ჯიშის ღვინოების გასაუმჯობესებლადაც. თელავ-ახმეტის ზოლის — განსაკუთრებით იყალთო-რუისპირის (გორგორების, არტოზანის, ალექსაურებისა და სხვ.) — ღვინის მაღალი ხარისხი გამოწვეული იყო მწვანისა და ხიხვისაგან, რომელსაც ამ რაიონში ჯანანურას უწოდებენ. ახლაც ამ ადგილების ძველ ვენახებში, ზოგჯერ ახლებშიაც, ხიხვი საკმაოდ დიდი (ერთ მესამედამდე) ნარევის სახით გვხვდება. ამავე მიზნით იყენებდნენ ხიხეს გურჯაანის რაიონშიც. ბაკურციხის, კარდანახის, კოლაგის, ვეჯინისა და სხვა სოფლების თეთრ ღვინოებს ღირსებებს განსაკუთრებულ არომატულობას და სინაზეს ხიხვი მატებდა. ამ სოფლებშიაც ხიხვი საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდებოდა ნარევის სახით. ნაწილობრივ იყენებენ ხიხეს აგრეთვე, როგორც საადრეო სადესერტო ყურძენს ადგილზე მოამარებისათვის.

დასასრულ, ხიხვის ღვინოების ქიმიური ბუნების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია როგორც სუფრის, ისე სადესერტო ტიპის ხიხვის ღვინის სრული ქიმიური ანალიზი ცალკეული რაიონებისა და წლების მიხედვით.

**ხიხვის ღვინის ქიმიური შემადგენლობა**

ცხრილი 5

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	ქუთრი წონა	ალკოჰოლი მოცულობით %/ო-ში	ვ რ ა მ ე ბ ი ლ ი ტ რ შ ი										
				საერთო მჟავიანობა	მჭროლავი მჟავიანობა	შაქარი	ტანინი	ღვინის მჟავა	მასტრაქტი	ნაცარი	ნაცრის ტანინობა	გლიცერინი	აომაკროლავი მჟავიანობა	
<b>ა. სუფრის მშრალი ღვინოები</b>														
1	კახეთი, საქ. მეცნიერებათა	1939	0,9916	12,7	5,25	0,82	20,0	0,23	2,88	22,6	1,77	2,2	6,9	4,23
2	აკადემიის მეჯვ. ინსტიტუტი	1940	0,9941	10,3	6,24	0,86	9,0	0,64	3,6	10,02	2,52	3,16	5,34	5,24
3	ქ. თელავის და ვაზისუბნის	1941	0,9912	14,0	6,59	1,3	—	—	—	23,12	—	—	—	4,97
4	საქ. მეცნ. აკადემიის ღვინო	1942	0,9927	11,4	6,42	2,1	0,68	2,02	0,54	22,42	—	—	5,5	3,82
5	იყალთოს ძველი წესით	1942	0,9931	12,2	5,14	0,83	0,15	1,7	1,8	25,87	—	—	7,69	4,1
6	„ ახალი წესით	1942	0,9939	12,2	6,9	1,69	0,24	2,03	1,6	28,12	—	—	8,39	5,6
7	მესხეთი, ახალციხის რაიონი (ს. ზიკილია)	1946	0,9955	12,9	7,87	0,35	78,20	0,13	—	32,12	—	—	—	—
8	უკრაინა, ქ. ოდესა მევენ.	1925	0,9910	13,58	5,59	0,76	12,0	—	—	20,5	—	—	—	—
9	ინსტიტუტი ლესტდორფი	1927	0,9986	15,0	4,55	0,98	12,0	—	—	18,2	—	—	—	—
<b>ბ. სადესერტო ღვინოები</b>														
10	სამარკო ღვინო „ხიხვი“	1934	1,092	13,0	4,9	0,89	243,0	0,565	0,65	42,0	—	—	—	—
11	კარდანახის საბჭოთა	1937	1,104	12,8	4,5	0,49	269,0	0,798	0,61	—	—	—	—	—
12	მეურნეობიდან	1938	1,0863	12,6	4,8	0,84	228,0	0,764	—	23,88	—	—	—	—

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ხიხვის ალკოჰოლიანობა სუფრის ღვინის ნიმუშებში 10,3<sup>0</sup>-დან 15<sup>0</sup>-მდე აღწევს, ხოლო მჟავიანობა 4,35<sup>0</sup>/<sub>100</sub>-დან 7,87<sup>0</sup>/<sub>100</sub>-მდე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხიხვის ღვინის ნიმუში ახალციხიდან. მას მაღალ მჟავიანობასთან ერთად (7,87<sup>0</sup>/<sub>100</sub>) საკმაოდ დიდი ალკოჰოლიანობა (12,9<sup>0</sup>) ახასიათებს და ამასთან საკმაოდ რაოდენობით აქვს დაუდუღარი შაქარი (7,82<sup>0</sup>/<sub>100</sub>). ასევე მაღალი ალკოჰოლიანობითა და მჟავიანობით გამოირჩევა ოდესის ნიმუში 1921 წლის მოსავლისა: იგი 15<sup>0</sup>/<sub>100</sub> ალკოჰოლთან 1,2<sup>0</sup>/<sub>100</sub> შაქარს შეიცავს. შაქრის ასეთი დიდი რაოდენობით დაგროვება ისეთ შედარებით გრილ მზარეებში, როგორცაა ოდესა და ახალციხის რაიონი, უდავოდ დიდ პერსპექტივას უქმნის ამ ჯიშს. ყველაზე ბევრ შაქარს ხიხვი კარდანახის მიკრორაიონში აგროვებს. იქ ყველა პირობაა მოცემული საშუალოდ 27—28<sup>0</sup>/<sub>100</sub> შაქრის მისაღებად, ზოგიერთ წლებში კი 30 და მეტი პროცენტისაც, რასაც შეუძლია ღვინის ალკოჰოლიანობა შაქრის სრული დადუღების შემთხვევაში 18<sup>0</sup>/<sub>100</sub>-მდე აიყვანოს.

ვარიაციები და კლონები. ხიხვის ფარგლებში ვარიაციები ჯერ არ არის გამოვლინებული. ჯიშის ძირითადად ნარევის სახით გავრცელების გამო მასზე სელექციური მუშაობა საკმარისად არ წარმოებს. კარდანახის ნაკვეთებზე წარმოებული მუშაობის შედეგად გამოვლინებულია მაღალმოსავლიანი მოდგმები. ეს მუშაობა გაგრძელდება. პირველ რიგში საჭიროა ფართოდ გაიშალოს მუშაობა ხიხვის გავრცელების მთავარ რაიონებში — თელავისა და გურჯაანის ვენახებში — ნაკრის უფრო გამძლე და მაღალმოსავლიანი მოდგმების გამოსავლინებლად.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

ხიხვი კახური ვაზის სტანდარტული ჯიშია. იგი იძლევა მაღალხარისხოვან სუფრის ღვინოს და ევროპული, კახური და სადესერტო ტიპის ღვინოს. ხიხვი ძველთაგანვე იხმარებოდა აგრეთვე ძირითადად რქაწითელის ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად. იგი, როგორც ნარევი, მუდამ შედიოდა (ხშირად მწვანესთან ერთად) განსაზღვრული რაოდენობით (ზოგჯერ ერთ მესამედამდე) თელავისა და გურჯაანის რქაწითელის ვენახებში და აუმჯობესებდა მისი ღვინის ხარისხს. ახმეტა-ქისტაურის, იყალთო-რუისში, მწკრივ-ციხე-კარდანახის, კოლაკ-ვეყინის და სხვა სოფლების ღვინის მაღალი ხარისხი — განსაკუთრებული არომატულობა და სინაზე — შედეგი იყო რქაწითელის ვენახებში ხიხვის ან მწვანის ან კიდევ ორივეს ერთად შერევისა.

ჯიშის დადებითი თვისებებია: პროდუქციის მაღალი ხარისხი, მისი ფართო გამოყენების შესაძლებლობა სუფრის ევროპული, კახური და სადესერტო ტიპის ღვინოების დასამზადებლად, შედარებით კარგი გამძლეობა ზამთრის ყინვების, მილდიუმისა და ფილოქსერისა და ნაადრევი მწიფობა, რაც იძლევა მისი უფრო ფართო გავრცელების შესაძლებლობას.

ჯიშის უარყოფითი მხარეებია: ნაცრის სუსტი გამძლეობა, საშუალოზე დაბალი მოსავლიანობა და გარემო პირობებისადმი შედარებით გაზრდილი მგრძობიარობა.

აღნიშნული ნაკლი ჯიშის მაღალ სამეურნეო ღირსებებთან შედარებით არ არის არსებითი და ამასთან ადვილი დასაძლევია. ჯიში თავისი ბუნებით მაღალმოსავლიანია, მაგრამ სინაზის გამო მას განსაკუთრებული მოვლა-დამუშავება ჭირდება. ამისათვის საჭიროა ერთი (ან ძლიერ ნაცრიან წლებში ორი) დამატებითი წამლობა გოგირდით და ყველა სამუშაოს დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულება ჩვენი მოწინავე აგროტექნიკის სრული გამოყენებით. ამასთან ერთად საჭიროა წინასწარ შეირჩეს ჯიშისათვის შესაფერი რაიონები და ადგილმდებარეობა.

ხიხვი პირველ რიგში უნდა გავრცელდეს ახმეტის, თელავისა და გურჯაანის რაიონის იმ ნაკად ადგილებში, სადაც ხელსაყრელი მიკროკლიმატური პირობების გამო მას ნაკლებად აზიანებს ნაცარი. შემდეგ, იგი უნდა გავრცელდეს კახეთის დანარჩენ რაიონებში ჯიშისათვის შესაფერ შესაძლებელ ადგილებში, განსაკუთრებით კი ისეთ ადგილებში, სადაც რქაწითელი წლების მანძილზე სრულად არ მწიფდება.

ხიხვი, როგორც საადრეო (2 პერიოდის) ჯიში, პერსპექტიულია აგრეთვე საბჭოთა კავშირის მევენახეობის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ და მაღალმთიან რაიონებში გასავრცელებლად. უკრაინასა და მესხეთში მიღებული დადებითი შედეგები გვიკარნახებს ჯიშის უფრო ფართოდ გამოცდას ამ და მსგავს რაიონებში გავრცელების მიზნით.

### Х И Х В И

Лист. Листья среднего яруса, по своим очертаниям, обычно, округлые, крупные, больше средних размеров (26 × 26 см). Листья нижних ярусов более вытянуты в длину — овально-почковидные. Число основных лопастей три, реже их пять. Обычно, вторичные лопасти на листьях отсутствуют. Поверхность листа, обычно, мелкопузырчатая, реже она сетчато-морщинистая, еще реже крупно-пузырчатая, преимущественно на нижнем ярусе. Края листовых пластинок, обычно, изогнуты вниз, придавая листу блюдцевидную, характерную для сорта форму.

Верхние вырезки по глубине рассеченности листа незначительно варьируют; обычно, они мелкие, реже — средних размеров. Форма верхних вырезок, в основном, щелевидная или лировидная с суженным устьем и заостренным дном, реже она имеет форму входящего угла.

Нижние вырезки, обычно, слабо выражены и мельче верхних вырезок. Обыкновенно они мелкие, реже средних размеров. Форма вырезок, обычно, в виде входящего угла и щелевидная, реже — лировидная с суженным устьем.

Черешковая выемка по своей форме варьирует значительно от лировидной — с острым дном до глубокой стрельчатой. Обычно, или чаще всего, они лировидные и глубокие, сводчатые с острым дном, реже встречаются закрытые узкоэллиптические с одним или двумя шпорцами и глубокие стрельчатые равносторонние вырезки.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей, обычно, треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже встречаются зубцы треугольные с закругленной вершиной. Краевые зубцы в большинстве случаев пиловидные с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже они треугольно-пиловидные.

Опущение нижней поверхности листа паутиновое, обычно, средней густоты с подстилающим щетинистым пушком также средней густоты. Интенсивность опущения, в зависимости от расположения листьев по ярусам, усиливается сверху вниз.

**Черешок.** Длина черешка в большинстве случаев равна длине главного нерва, реже черешок бывает короче или длиннее главного нерва. Иногда черешок покрыт хлопьевидным пушком и окрашен в винно-красный цвет, переходящий у разветвления главных нервов в слабо-фиолетовый цвет. Обычно, черешок с пластинкой листа образует угол близкий к прямому, что придает кусту своего рода компактный вид.

**Осенняя окраска.** Осенью листья Хихви, наравне с другими белыми сортами винограда, принимают характерную для них бледно-желтую окраску.

**Цветок** нормального строения, обоеполый. Цветки с 5 и 6 тычинками одинаково часто встречаются. Тычинки прямостоячие, отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет  $1,0—1,25$ , реже это отношение достигает 1,5 и более. Пестик правильный, округло конической формы, с хорошо выраженным столбиком. Рыльце явственно двураздельное, нередко можно встретить цветы и с четырьмяраздельным рыльцем.

**Гроздь.** Длина гроздей Хихви ниже средних размеров. Обычно, длина гроздей варьирует в среднем от 12 см. до 18 см., а ширина от 7 см. до 10 см. Размеры средних гроздей, примерно, равны  $13 \times 7$  см, а полноценных —  $16,5 \times 8$  см. Количество ягод в грозди варьирует в среднем от 80 до 160 ягод, составляя в среднем на гроздь 80 ягод. Соотношение крупных ягод к средним в среднем равно 3:1. Вес грозди варьирует в среднем от 80 до 250 гр., составляя в среднем 100 гр.

Форма грозди незначительно варьирует. В большинстве случаев грозди цилиндрические, реже встречаются конической формы. Независимо от формы, часто грозди бывают крылатые; крылья нередко достигают до половины размеров основной грозди. В большинстве случаев грозди бывают рыхлыми, реже они средней плотности. Ножка грозди по длине варьирует от 3,5 до 6 см., составляя в среднем 4,5—5 см. Ножка грозди травянистая, по окраске зеленая, у основания она деревенеет и окрашивается в цвет чубука. Ножка ягоды зеленая, по длине она варьирует от 0,35 до 0,9 см. Подушечка бородавчатая, ширококонической формы.


**Ягода.** Ягоды средних размеров, длина варьирует от 1,4 до 1,8 см., а ширина от 1,35 до 1,76, в среднем составляя  $1,60 \times 1,55$  см. Форма ягод в большинстве случаев округлая, реже она бывает слабо-овальной. Ягоды, обычно, симметричные, с наибольшей шириной по середине, конец ягоды округлен. Окраска ягод зелено-желтая, с пятнами загара с подсолнечной стороны. Кожина ягоды тонкая, легко отделяющаяся от сочной мякоти. Мякоть сочная, расливающаяся. Пруин на ягодах слабо выражен. Вку ягод приятный, со слабо выраженным сортовым ароматом.

Хихви — малораспространенный, стандартный сорт белых вин Кахетии. Сорт дает высококачественное белое столовое и десертное марочное вино „Хихви“. Столовое вино характеризуется светло-золотистым цветом, оригинальным сортовым ароматом и мягким гармоничным вкусом. Десертное вино „Хихви“ — темновинного цвета с приятным гармоничным вкусом и характерным букетом токайского вина. В прошлом Хихви, наряду с Мцване и другими качественными но малораспространенными сортами, входили, в виде определенной примеси, в состав посадочный Ркацители и придавали вину нежность и ароматичность. К положительным свойствам сорта относятся: высокое качество его продукции, пригодность его для разных типов вин, довольно хорошая устойчивость против зимних морозов, милдью и филлоксеры и сравнительно ранее его созревание (2 период), обеспечивающее сорту более широкое распространение.

К недостаткам сорта относятся слабая устойчивость против оидиума, низкая урожайность и значительная чувствительность к экологическим условиям среды. Однако, эти недостатки в сравнении с высоким качеством его продукции не являются существенным; подбором подходящих районов и участков для культуры, а также применением передового комплекса агротехнических мероприятий недостатки свободно могут ослаблены и устранены.

Для дальнейшего распространения сорта в первую очередь могут быть рекомендованы испытанные участки в Ахметском, Телавском и Гурджаанском районах, где в силу микроклиматических условий, сорт слабо поражается от оидиума; во вторую очередь — все остальные районы Кахетии с подбором подходящих для сорта участков, в особенности в тех районах, где Ркацители не всегда в должной степени вызревает. Хихви, как сравнительно ранний сорт, свободно может быть рекомендован для северных и высокогорных виноградных районов ССР. Опыт Украинского Ин-та виноградарства — в условиях Одессы и Грузинского Института — в условиях Месхети — подтверждают возможность более широкой рекомендации сорта Хихви для внедрения в указанные и подобные им районы.





## ინსტიტუტის გრძელმტევანა

ინსტიტუტის გრძელმტევანა ნაკლებ გავრცელებული, მაგრამ პერსპექტული ვაზის ჯიშია. იძლევა მაღალხარისხოვან თეთრ სუფრის ღვინოს.

**სინონიმები.** მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში გრძელმტევანა ცნობილია აგრეთვე ტყის ვაზის სახელწოდებით (აკად. ს. ჩოლოყაშვილი, 1939). ამავე სახელწოდებით არის იგი ცნობილი აგრეთვე სიღნაღის რაიონის ზოგიერთ სოფელში.

**ჯიშის ისტორია.** პირველად გრძელმტევანა გამოვლინებულ იქნა 1933 წელს საქართველოს მევენახეობის რაიონების გამოკვლევისას. ექსპედიციის მიერ იგი აღწერილ იქნა ტყის ვაზის სახელწოდებით სოფ. ბოდბისხევში (სიღნაღის რაიონი) მაგდანა ციბუკაშვილის საკარმიდამო ნაკვეთზე. ამ ვაზიდან აპრილ იქნა საკვირტე მასალა და დამუშავების შემდეგ გაშენდა მევენახეობის ინსტიტუტის დიდ საკოლექციო ნაკვეთზე ქ. თელავში. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ვაზებმა მოსავალი მოგვცა, ტყის ვაზის სახელწოდებით ორი სხვადასხვა ჯიში აღმოჩნდა: ერთი შებუსუსულფოთლიანი გრძელმტევანა, ხოლო მეორე სრულიად შიშველფოთლიანი, საშუალო სიგრძის მტევნიანი, ფართალას მსგავსი, ნაკლებ საინტერესო ჯიში. გაუგებრობის გასარკვევად გასინჯულ იქნა ჯიშის საინვენტარიზაციო ფურცელი, რომელიც აღწერის ადგილზე იყო შედგენილი. ამ ჩანაწერის თანახმად ორ ჯიშთან უნდა გვექნდეს საქმე, რადგანაც შებუსუსების სვეტში ეწერა: „შებუსუსა აბლაბუდისებრი, გვხვდება აგრეთვე სრულიად შიშველი ფოთლებიც“. ამ ჩანაწერის მიხედვით ნათელი გახდა, რომ აღწერის დროს დაშვებული იყო შეცდომა, რადგანაც შეუძლებელია, რომ ერთ ჯიშზე ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე პირობებში შებუსუსულიც და სრულიად შიშველი ფოთლები არსებობდეს. ამის გამო საჭირო შეიქნა ჯიშის ადგილზე შემოწმება. შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ მ. ციბუკაშვილის ოთხვაზიან პატარა ტალავერზე მხოლოდ ერთი ვაზი იყო გრძელმტევანა, დანარჩენი მ ვაზი ფართალასმაგვარი შიშველფოთლიანი იყო. ამ ვაზების ნაზარდი ისე ძლიერ იყო ერთმანეთში გადახლართული, რომ ჯიშის შესწავლის დროს შეცდომაში შეიყვანა მისი აღმწერი.

ციბუკაშვილის გამოკითხვის საშუალებით დადგინდა იქნა ჯიშის წარმოშობის ისტორია: ციბუკაშვილის ეს ვაზები ძველი ანაგიდან, მისი მამის საკარმიდამო ნაკვეთიდან წამოვიდა, ხოლო მამამის, მისივე გადმოცემით, იგი ტყეში ეპოვნა.

სოფ. ძველი ანაგის კოლმეურნეობისაგან გავიგეთ, რომ რამდენიმე ძირი ამ გრძელმტევნიანი ჯიშისა ზოგიერთ კოლმეურნეს ახლაც უდგას საკარმიდამო ნაკვეთზე.

თავდაპირველად ეს ვაზი შეიძლება მართლა ტყიდან იყო მოტანილი, მაგრამ შემდგომში მრავალსაუკუნოვანი კულტურის შედეგად ბუნებისა და ადამიანის ზეგავლენით მას გამოუმუშავდა მაღალი სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებები, რომელთა მიხედვით იგი უდავოდ კულტურულ ვაზთა ჯიშების წყებას უნდა მიეკუთვნოს.

შიშველფოთლიანი ჯიშისაგან განსახვავებლად და ჯიშის აღმოჩენა-გამრავლებაში მევენახეობის ინსტიტუტის წვლილის აღსანიშნავად მას ვუწოდეთ ინსტიტუტის გრძელმტევანა. ამჟამად ინსტიტუტის გრძელმტევანას რამდენიმე ძირი მოიპოვება სიღნაღის რაიონში. იგი გაშენებულია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო და სარეპროდუქციო ნაკვეთებზე 65 ძირის რაოდენობით და აგრეთვე სოფ. ვაზისუბანში, საქარის საცდელ სადგურში (ზესტაფონის მახლობლად) და შაუმიანში—ინსტიტუტის დასაყრდენი პუნქტების საკოლექციო ნაკვეთებზე 10-10—15-15 ძირის რაოდენობით.

1949 წლიდან გრძელმტევანას ამრავლებენ ფართოდ წარმოების პირობებში გამოსაცდელად. იგი გაშენებული იქნება 0,5 ჰექტარის რაოდენობით წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში საბოლოოდ შემოწმებისა და წარმოებაში დანერგვის მიზნით.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიშის აღწერილობა შესრულებულია სოფ. კურდღელაურში მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, რომელიც გაშენებულია ცივ-ვამბორის მთის სუსტად დაქანებულ ფერდობზე 560,0 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ვენახი გამართულია მათეულზე და გაფორმებული ქართული წესით. ვახის კვების არე უდრის 3,0 მ<sup>2</sup>-ს.

**ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ.).** მოზარდი ყლორტის წვეროები გვიწვიან და პირველი ორი-სამი ჯერ კიდევ გაუშლელი ფოთლით ყოველი მხრიდან ქეჩისებრი ბეწვებით შებუსუსებულია, და შეფერილია თეთრი ფლანელისფერად. სუსტი ვარდისფერი არშია აქვს ფოთლებს ირგვლივ და ყუნწის გასწვრივ. მეორე იარუსის (4—5) ფოთლები ზედა მხრიდან კარგავს შებუსუსებას და იღებს მოყვითალო მწვანე ფერს, ხოლო ქვემო მხრიდან შებუსუსების შენარჩუნების გამო იფერება მოვერცხლისფრო-თეთრად და სუსტი მოვარდისფრო იერი დაჰკრავს ფოთლების ირგვლივ.

**ერთწლიანი რქა.** ვახის ერთწლიანი რქები შემოდგომით მოწითალო-ყვითელი ფერისაა და მორყხო იერი დაჰკრავს. მუხლოთშორისები საშუალო ზომისაა, მუხლები უფრო მუქადაა შეფერილი. ზოლები მუხლოთშორისების გასწვრივ სუსტადაა გამოსახული.

**ფოთლი.** ზრდადამთავრებული შუა იარუსის (9—12) ფოთლები საშუალო ზომისაა (18X17 სმ). ფოთლი მომრგვალოა, იშვიათად კი ოვალისებრია. ჩვეულებრივ იგი ხუთნაკვთიანია, ძალიან იშვიათად გვხვდება სამნაკვთიანი ფოთლებიც. ნაკვთები კარგადაა გამოსახული. ფოთლის ზედაპირი გლუვი და სწორია, ოდნავ ზევით წამოწეული ნაპირები აქვს. იშვიათად და ისიც მხოლოდ ქვედა იარუსის ფოთლებზე ზედაპირი ბადისებრაა დანაოქებული. ძარღვები ფოთლის ქვედა მხრიდან შებუსუსებულია ჯაგრისებრი ბუსუსით და განტოტვის ადგილზე ბაცი ვარდისფერია.

ზედა ამონაკვთები საკმაოდ ღრმაა, იშვიათად საშუალო სიღრმის ამონაკვთებიც გვხვდება. ამონაკვთების ფორმა მცირედ ცვალებადობს. ხშირად იგი ჩანგისებრია, შევიწროებულყელიანი ან პარალელურგვერდებიანი და წაწვეტებული, ან მრგვალოფუძიანი. იშვიათად გვხვდება ოვალურთვლიანი დახურული ამონაკვთებიც.

ქვედა ამონაკვთები ნაკლებ ღრმაა, ხშირად საშუალო ზომისაა. ხშირად ამონაკვთების ფორმა ჩანგისებრია, თითქმის პარალელურგვერდებიანი და მახვილოფუძიანი, იშვიათად აგრეთვე ლანცეტისმაგვარი ამონაკვთებიც გვხვდება.


ყუნწის ამონაკვთის ფორმა მცირედ ცვალებადობს. უფრო ხშირად იგი ჩანგისმაგვარი ფორმისაა და მახვილოფუძიანი, უფრო იშვიათად კი ისრისმაგვარი ფორმისაა.

ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება მახვილწვერიანი სამკუთხედისებრი კბილებით. გვერდითი კბილები ხერხის კბილისმაგვარია და ცალ მხარეზე გამოხეტილგვერდებიანი.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება საშუალო სისქისაა. იგი შედგება აბლაბუდისებრი ბეწვებისა და ჯაგრისებრი ბუსუსისაგან, რომელიც ქვემოთ არის მოქცეული.

ფოთლის ყუნწი გლუვია და ადგილ-ადგილ ოდნავ დაფარულია აბლაბუდისებრი ფიფქით. შეფერვა სუსტი ვარდისფერია, თანაც გასწვრივ მომწვანო ზოლები ჩაერთვის. ფოთლი მთავარი ძარღვის სიგრძისა ან ოდნავ მასზე მოკლეა.

**ყვავილი.** ყვავილი ნორმალური აგებულებისაა და ორსქესიანია კარგად განვითარებული ბუტკოთი და მტვრიანებით. ყვავილში 5 ან 6 სწორმდგომი მტვრიანაა. მტვრიანათა ძაფების სიგრძე თითქმის ბუტკოს სიმაღლის თანაბარია. მათი შეფარდება უდრის 1,0-ს ან 1,2-ს. ბუტკო მომრგვალო კონუსისებრი ფორმისაა, ზოგჯერ იგი ხორკლიანია და მოხრილი დინგი აქვს.



სურ 5 ინსტიტუტის გრძელმტევანას ყვავილი.

ული ტოტების სიგრძე ხშირად მტევნის სიგრძის ერთ მესამედს აღწევს. ჩვეულებრივ მტევნები მეჩხერია. ზოგჯერ აგრეთვე საშუალო სიმკვრივის მტევნებიც გვხვდება. მტევანს წვრილმარცვლიანობა არ ახასიათებს.

**მტევანი.** ინსტიტუტის გრძელმტევანა გრძელ დატოტვილ მტევნებს იხამს. მტევნების სიგრძე მერყეობს საშუალოდ 20-დან 30 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის ზომა უდრის 24X12 სმ-ს, ცალკეული მტევნების სიგრძე ხშირად 40—50 სმ-ს აღწევს. სრული მტევანი 35X14 სმ ზომისაა, იწონის 640 გრამს და ასხია 365 მარცვალი. საშუალო მტევნის წონა უდრის 300 გრამს. ასეთი მტევანი შეიცავს 208 მარცვალს. მტევნები კილინდრულ-კონუსისებრი ფორმისაა და დატოტვილია. ცალკეული მტევანის სიგრძე ხშირად მტევნის სიგრძის ერთ მესამედს აღწევს. ჩვეულებრივ მტევნები მეჩხერია. ზოგჯერ აგრეთვე საშუალო სიმკვრივის მტევნებიც გვხვდება. მტევანს წვრილმარცვლიანობა არ ახასიათებს.



მტვენის ყუნწი ბალახისებრია, მწვანე ფერისა, მხოლოდ ფუძესთან ხევდება და იფერება რქისფრად. ყუნწის სიგრძე საშუალოდ 3,5—4 სმ-ს აღწევს. მარცვლის ყუნწი ღია მწვანე ფერისაა და მისი სიგრძე საშუალოდ 0,7—0,8 სმ-ს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში განიერ კონუსისებრი ფორმისაა და ხორკლებითაა დაფარული.

**მარცვალი.** მარცვლები საშუალო ზომისაა; მათი სიგრძე მერყეობს 1,4-დან 2,0 სმ-მდე, განიერი კი 1,3-დან 1,9 სმ-მდე. საშუალო მარცვლის სიდიდე უდრის  $1,64 \times 1,56$  სმ-ს. მარცვლები მრგვალო ან ოდნავ ოვალურია. მსხვილი მარცვლები ოდნავ ოვალურია, საშუალო და წვრილი მარცვლები კი მომრგვალოა, მარცვლები წელში უფრო განიერია და ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვალი მომწვანო-ყვითელია და სიღამწვრის ლაქები ამჩნევია მზისკენა მხარეზე. კანი თხელი, მაგრამ მკვრივი აქვს. რბილობი საშუალო სიმკვრივისა, მდნარი, გემო სასიამოვნო აქვს, ჯიშური არომატი სუსტადაა გამოსახული. მარცვალი დაფარულია თხელი ცვილისებრი ფიფქით. მარცვალი ყუნწზე მკვიდრად მიმაგრებული. წიპწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 3-მდე; საშუალოდ მარცვალზე 2,2 წიპწა მოდის.

**წიპწა.** წიპწები ყველა თანაბარი ფორმისა არ არის. უფრო ხშირად გვხვდება მომრგვალო-მოგრძო ფორმის, ხოლო უფრო იშვიათად თითქმის მრგვალი ფორმისა და მოკლენისკარტიანი წიპწები. წიპწა მომრგვალო-ოვალისებრი ფორმისაა. მისი სიგრძე ნისკარტის ჩათვლით 8 მმ-ს უდრის, განიერი — 4,5 მმ-ს. ნისკარტის სიგრძე უდრის 2,5—3,0 მმ-ს. სხეული ღია შოკოლადისფერია. ქალაზა წიპწის სხეულის ზედა ნაწილში მდებარეობს, იგი ოვალური ფორმისაა და შუაში ჩაზნექილია. ლარტაფები ქალაზიდან ზედა ნაწილისაკენ და ნისკარტისაკენ კარგად გამოსახულია და ვიწრო, მაგრამ ღრმაა. წიპწის მუცლის მხარე ოდნავ ქედანია ან ბრტყელია. მუცლის ღარები არაა ღრმა და პარალელურად მიემართება ნისკარტისაკენ. ღარის ფუძე ღია ყვითელია. ნისკარტი ვიწროკონუსისებრია, მონარინჯისფრო-ყვითელი ფერისაა და წვერწაკვეცილი.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებულ იქნა საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე კურდღელაურში, 4 კმ დაშორებით ქ. თელავიდან. სავეგეტაციო ფაზები დაკავშირებულია მეტეოროლოგიურ პირობებთან.

აღნიშნულ ადგილას სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 124—159 დღის ფარგლებში და საშუალოდ 148 დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობასთან დაკავშირებით აქტიური ტემპერატურების ჯამიც იცვლება 2,575-დან 3,242 გრადუსამდე, ხოლო საშუალოდ 3,013 გრადუსს შეადგენს. ამ მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ზოგიერთ წლებში გრძელმტვენა ასწრებს სავეგეტაციო პერიოდის ვადას 123 დღის განმავლობაში (5 მაისიდან 5 სექტემბრამდე)  $2,575^{\circ}$  აქტიურ ტემპერატურათა ჯამის გამოყენებით.

**გრძელმტვენას სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა საკოლექციო ვენახში. ქ. თელავი**

	დაკვირვების წლები	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დღეებში	ჯამი აქტიურ ტემპერატურებისა
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე		
1	1938	24/4	7/6	19/8	25/9	154	3,258,6
	1939	27/4	12/6	11/8	15/9	144	2,957,5
	1940	14/4	9/6	16/8	20/9	159	3,249,6
	1941	10/4	29/5	5/8	19/9	153	3,365,8
	1942	25/4	12/6	28/8	23/9	156	3,212,1
	საშუალო	19/4	8/6	16/8	19/9	153	3,218,7
2	1943	28/4	11/6	15/8	20/9	145	2,918,1
	1944	25/4	6/6	16/8	15/9	143	2,871,1
	1945	5/5	12/6	15/8	5/9	123	2,575,7
	1946	25/4	8/6	17/8	10/9	138	2,775,0
	1947	4/4	3/6	15/8	5/9	154	2,917,4
	1948	26/4	10/6	19/8	23/9	150	3,132,8
საშუალო	24/4	8/6	16/8	13/9	143	2,865,1	

როგორც ცხრილიდან ჩანს, გრძელმტევანა სრულ სიმწიფეს ცალკეული წლების მიხედვით აღწევს 5-დან 25 სექტემბრამდე 11 წლის მანძილზე სრული დამწიფების საშუალო თარიღია 16 სექტემბერი. ამის მიხედვით გრძელმტევანა სიმწიფის მესამე პერიოდის ჯიშად უნდა ჩაითვალოს. თელავის პირობებში ჯიში მესამე პერიოდის დასაწყისში მწიფდება.

გრძელმტევანას ზრდის საშუალო სიძლიერე ახასიათებს. ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთში მისი ზრდა-განვითარება სხვა ჯიშებთან შედარებით, თანაბარ გარემო პირობებში, საშუალოდ სწრაფია. ამ მხრივ იგი თავისუფლად შეიძლება რქაწითელს შეეადაროს. ზრდის საშუალო სიძლიერისაა გრძელმტევანა ბოლბისხევშია (ტალავერზე აშვებული).

კახეთის პირობებში გრძელმტევანას ერთწლიანი რქები ყურძნის დამწიფების დროისათვის უკვე თავისუფლად ასწრებს მომწიფებას და კარგად გახევებული ხდება ზამთრის ყინვებს.

მოსავლიანობა. გრძელმტევანა კახური ვაშის დანარჩენი ჯიშების მსგავსად აღრე იძლევა პირველ მოსავალს. ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთში წარმოებულ დაკვირვების თანახმად გრძელმტევანამ დარგვიდან მესამე წელს მოიხა პირველი ნიშანი რამოდენიმე მტევნის რაოდენობით. შემდეგ, მეოთხე წელს, მან თითქმის სრული მოსავალი მოგვცა 6 ძირზე 41 მტევანი, რომელთაგან 15 დიდი ზომისა იყო, 19 — საშუალო, ხოლო 7 — პატარა ზომისა. საშუალოდ რქაზე 0,72 მტევანი მოდიოდა, რაც გრძელმტევანასათვის ამ ასაკში ნორმალურად უნდა ჩაითვალოს. ამრიგად, გრძელმტევანა დარგვის შემდგომ მეოთხე-მეხუთე წლიდან სრულ მოსავალს იძლევა.

გრძელმტევანა საშუალო მოსავლიანი ჯიშია. მისი მოსავალი ცალკეულ ნაკვეთებზე მერყეობს ერთიდან ორ კილოგრამამდე ძირზე, ხოლო მტევნის საშუალო წონა 180 გრამიდან 260 გრამამდე. სარეპროდუქციო ნაკვეთის 30 ძირ გრძელმტევანასაგან მიღებული მოსავალი 5 ჯგუფად იყო განაწილებული: დიდი მტევნები შეადგენდა 36% -ს (მათი წონა უდრიდა 500 გრამს), საშუალო მტევნები — 48% -ს (მათი წონა უდრიდა 250 გრამს) და პატარა ზომის მტევნები — 16% -ს (მათი საშუალო წონა უდრიდა 140 გრამს). მსხმოიარობის კოეფიციენტი ცალკეული ძირების მიხედვით მერყეობდა 0,41-დან 1,25-მდე. საერთოდ გრძელმტევანას მოსავლიანობას თუ საშუალო მაჩვენებლების მიხედვით გავიანგარიშებთ, სახელდობრ, მსხმოიარობის კოეფიციენტს თუ 0,72-ს და მტევნის საშუალო წონას 250 გრამს ავიღებთ, მივიღებთ ერთ ათრქიან ვაშზე 1,800 გრამ, ხოლო ჰექტარზე 59—60 ცენტნერ ყურძენს. ჯიშის მოსავლიანობის უფრო ზუსტად დასახასიათებლად 1942—1943 წლებში ჩატარდა საკოლექციო და სარეპროდუქციო ნაკვეთის ვაშებზე ძირობრივი აღრიცხვა და გამოანგარიშება მოსავლიანი და უმოსავლო რქების რაოდენობისა, ცალკეული რქების მოსავლიანობისა და მტევნის საშუალო წონისა. მიღებული შედეგების საფუძველზე გამოანგარიშებულია გრძელმტევანას მოსავლიანობა წლების მიხედვით ჰექტარზე. ეს მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთმოყვანილ ცხრილში.

### მონაცემები გრძელმტევანას მსხმოიარობის შესახებ

მევენახეთბის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	მოსავლიანობა რქები %	მტევნის რაოდენობა მოსავლიან რქაზე	მს. თიარობის კოეფიციენტი	მტევნის საშუალო წონა	ერთი რქის მოსავალი გრამებში	რქების რაოდენობა ჰექტარზე	ჰექტარზე გაანგარიშებული მოსავალი
კახეთი, ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთი	1942	65,0	1,08	0,7	250	175	32,00	56,0
" " " " " "	1943	66,34	1,12	0,73	280	190	30,00	57,0
ინსტიტუტი, სარეპროდუქციო ნაკვეთი	1943	68,10	1,08	0,72	270	194	32,500	63,2

როგორც მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, გრძელმტევანას უნაყოფო რქების საკმაოდ დიდი რაოდენობა აქვს. გამოიჩენება, რომ უნაყოფო რქები 31—35% -ს შეადგენს, ერთმტევნიანი რქები — 58—59% -ს ორმტევნიანები — 5—6% -ს და სამმტევნიანები — 0—2% -ს. რადგან გაანგარიშებული მოსავალი მუდამ მეტია ფაქტიურზე, ამიტომ გრძელმტევანას საშუალო მოსავლად თელავის პირობებში უნდა მივიჩნიოთ 50—60 ცენტნერი. დაახლოებით ამდენი იყო გრძელმტევანას მოსავალი 1947 და 1948 წლებში სარეპროდუქციო ნაკვეთზე.

გრძელმტევანას მოსავლიანობას ძლიერ ამცირებს უნაყოფო რქების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რაც ძირითადად ნექზე და საკავებლის პარეელ სამ რქაზე მოდის. სარეპროდუქციო ნაკვეთის 35 ძირზე ნექების მხოლოდ ერთ მეოთხედს ესხა, ხოლო ფუძის პირველი სამი რქის მსხმოიარობის კოეფიციენტი 0,41-ს



არ ასცილებია. დანარჩენ რქებზე იგი ერთზე მაღალი იყო. სრულიად უნაყოფო ყლორტები 34,4<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს შეადგენდა, ერთმტვენიანები — 61,3<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს, ხოლო ორმტვენიანები — 5,3<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს. ამრიგად, რქების თითქმის ერთი მესამედი უნაყოფო რქება, რაც საგრძნობლად ამცირებს გრძელმტვენას საერთო მოსავალს. ამ ნაკლოვანების გამოსწორების მიზნით საჭიროა გამოამუშავებულ იქნეს ჯიშისათვის შესაფერი წესი ფორმირებისა და ვაზის წესიერი დატვირთვით შემცარებულ უნდა იქნეს უნაყოფო რქების რაოდენობა. ამის მიზნით უნდა მიჩნეულ იქნეს ცალმხრივი კორდონი (კახენავა) ან ორმხრივი მოკლე კორდონი. დანარჩენი აგრეთვე თავიდანვე ვაზის გრძლად გასხვლა და უნაყოფო ყლორტების აღრევე — ნაყოფის გამოჩენისას — გაცლა. ჯერჯერობით ჯიში გამოცდილია ქართული ფორმით 3 მ<sup>2</sup> კვების არეზე ინსტიტუტის ნაკვეთზე და ტალავერის სახით სოფ. ბოდბისხევში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტალავერზე გრძელმტვენას მსხმოიარობის უფრო მაღალი კოეფიციენტი ახასიათებს, უფრო დიდი (40—50 სმ სიგრძის) მტვენები და უფრო მსხვილი (2,1×1,9 სმ) მარცვლები აქვს და უფრო მაღალ მოსავალს იძლევა, ვიდრე ცალმხრივი ან ორმხრივი შბალერის წესით გაფორმებისას. ამ უკანასკნელი წესით გაფორმების შემთხვევაში მტვენების სიგრძე არ აღემატება 35 სმ-ს, ხოლო მარცვლების სიდიდე 1,6×1,5 სმ-ს და შესაბამისად მცირეა მოსავლიანობაც. აღრიცხვა-დაკვირვებების შედეგად გამოარკვეულია, რომ გრძელმტვენა უფრო მეტს ისხამს ფუძიდან მოშორებულ რქებზე, ხოლო ნეკზე განვითარებული თითქმის ყველა რქა მცირე-მოსავლიანია. ასევე მცირემოსავლიანია საკავებლის პირველი სამი რქაც. ეს შეიძლება აიხსნას ვაზის არასათანადო დატვირთვით და დიდი კვების არით. ჯიშის მოსავლის გაზრდისათვის შემდეგი ღონისძიებების გატარებაა საჭირო:

1. ახალ ნარგავებში კვების არე შემცირებულ უნდა იქნეს 2,5 მ<sup>2</sup>-მდე ვაზის საშუალო ზრდის შესაბამისად;
2. ფორმირების შერჩევას უპირატესობა უნდა მიეცეს ისეთ ფორმებს, რომლებიც უფრო უზრუნველყოფს შესაფერ დატვირთვას — ორმხრივი მოკლე კორდონის ან მრავალსაკვებიან კორდონის გამოყენებას;
3. მოხარდ უნდა ყლორტებზე თავების წაჭრა ყვავილობის დაწყებამდე ან ყვავილობის დაწყებისას გააღდიდებს მარცვლების გამოხორბლის პროცენტს, შეამკვრივებს მტვენს და შესაბამისად გააღდიდებს ვაზის მოსავალს.

სოკოვან ავადმყოფობათა და სხვა ფაქტორების მიმართ გამძლეობა. გრძელმტვენა სოკოვან ავადმყოფობებს კარგად უძლებს. ინსტიტუტის საკოლექციო და სარეპროდუქციო ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვებების მიხედვით მისი შედარებითი გამძლეობა მილდიუმის მიმართ საშუალოა, ხოლო ნაცრის მიმართ საშუალოზე მაღალი. ამ მხრივ იგი კახურ საფერავს უახლოვდება. ასეთივე კარგი გამძლეობით ხასიათდება სოფ. ბოდბისხევშიაც — ტალავერზე აყვანილი. როგორც თხელმტვენიან ჯიშს, გრძელმტვენას ყურძნის ჭიაც ნაკლებ აზიანებს.

გრძელმტვენა შედარებით კარგად უძლებს აგრეთვე ზამთრის ყინვებსაც. საკოლექციო ნაკვეთზე წარმოებული დაკვირვების თანახმად 1935 წლის ზამთრის ყინვა მან კარგად გადაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი 10 იანვარს მინუს 16,5<sup>0</sup>-მდე დაეცა და წინა და მომდევნო დღეებშიც ჰაერის ტემპერატურა მინუს 14,5<sup>0</sup>-მდე იყო, გრძელმტვენას კვირტები თითქმის არ დაზიანებულია ყინვებისაგან და მომდევნო 1936 წელს მან სრულიად ნორმალური მოსავალი მოგვცა. ასევე კარგად გაუძლო მან ყინვებს 1940 წელს, როცა აბსოლუტური მინიმუმი მოკლე ხნით, მაგრამ მაინც მინუს 17<sup>0</sup>-მდე დაეცა. საკოლექციო ნაკვეთზე დაკვირვების მიხედვით გრძელმტვენა სხვა ჯიშებთან შედარებით გვალვასაც კარგად იტანს იგი ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზებსაც შედარებით კარგად ეგუება. ჯიში გამოცდილია მხოლოდ რუბესტრის დულოს და რიპარია ბერლანდიერი 5 ბბ-ს საძირეზე. უკეთეს მოსავალს გრძელმტვენა იძლევა 5 ბბ-ზე დამყნილი. საძირეების სხვადასხვა ჰაერისა და ნიადაგების პირობებში შესწავლისა და მიღებული გამოცდილების მიხედვით საძირედ შეიძლება ვურჩიოთ:

ა) კირნარი ნიადაგებისათვის (სადაც კირი 25—30<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს აჭარბებს) ბერლანდიერი X რიპარია 5 ბბ და 420 ა, ხოლო ძლიერ კირიანი ნიადაგებისათვის (როცა კირიანობა 50<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს აჭარბებს) შასლა X ბერლანდიერი 41 ბ. დანარჩენ ნიადაგებში, სადაც კირის შემადგენლობა 25<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ზე დაბალია, გამოსადეგია რიპარია რუბესტრის 3309.

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

მტვენებისა და მარცვლების მექანიკური შემადგენლობა, აგრეთვე წვეწის ქიმიური შემცველობის მაჩვენებლები იმაზე მიგვითითებს, რომ გრძელმტვენას გამოყენება უპირატესად საღვინედაა მიზანშეწონილი. ამასთან ერთად, მტვენების გარეგნული შეხედულების (მტვენის სიმეჩხრის, სიდიდისა და მარცვლების

სიმსხოს) მიხედვით იგი დამატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძენი.

წარმოებული ანალიზების მიხედვით გრძელმტევანას მტევნებისა და მარცვლების მექანიკური შემადგენლობა შემდეგნაირია:



**გრძელმტევანას მექანიკური შემადგენლობის მაჩვენებლები**

საქართველოს  
საგანმანათლებლო  
საზოგადოებრივი  
მეცნიერებათა  
აкадеმიის  
საქართველოს  
საგანმანათლებლო  
საზოგადოებრივი  
მეცნიერებათა  
აкадеმიის

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მტევნის საშუალო წონა	მარცვლების რაოდენობა მტევანში	მტევნის შემადგენელი ნაწილები პოტენციურად					100 მარცვლის წონა	100 წიპის წონა
				კლერტის %	მარცვლის %	კანის %	წიპის %	წვენის და რბილობის %		
კახეთი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო	1940	242,6	132	3,15	96,85	14,02	4,42	78,41	1840	4,7
საქეთი, ქ. თელავი	1941	300,0	180	3,5	96,5	13,0	5,1	78,4	167	4,5

მოყვანილი მაჩვენებლები გვიკარნახებს გრძელმტევანას საღვინე ჯიშად გამოყენების მიზანშეწონილებას. გრძელმტევანას წვენის შედარებით მაღალი, ხოლო მავარი ნაწილების (კანი, კლერტი, წიპა) მცირე გამოსავლიანობა აქვს. ყურძნის გადამუშავების ლაბორატორიულ პირობებში წვენის გამოსავლიანობა 78,4%-ს აღწევს, ხოლო ნახევრად საწარმო პირობებში მისი გამოსავლიანობა რამდენადმე ნაკლებია და შეადგენს წვენისათვის 77,6%-ს, ხოლო ქაქისათვის 22,4%-ს.

წვენის ქიმიური შემადგენლობა. გრძელმტევანა ხასიათდება საკმაოდ მაღალი შაქრიანობით და ზომიერა მჟავიანობით. წვენის ანალიზის მიხედვით, რაც რთულს დროს იყო წარმოებული, ყურძნი წვენის შაქრიანობა-მჟავიანობა ცალკეულ წლებში საგრძნობლად მერყეობს, სახელდობრ, შაქრიანობა 17,3%-დან 22%-მდე, ხოლო მჟავიანობა 5,5%-დან 11,4%-მდე. ზოგიერთ წლებში, სხვადასხვა მიზეზების გამო, ყურძენი ნაადრევად იქნა მოკრეფილი, რის გამოც წვენი ხასიათდებოდა შედარებით მაღალი მჟავიანობით და დაბალი შაქრიანობით, რაც, რა თქმა უნდა, ჯიშისათვის დამახასიათებელი არ შეიძლება იყოს. ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების და რთვლის ვადების მიხედვით გრძელმტევანას წვენის ქიმიური შემადგენლობა შემდეგ ფარგლებში მერყეობს:

**გრძელმტევანას შაქრიანობა-მჟავიანობა რთვლის პერიოდში**

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	რთვლის თარიღი	შაქრი %	მჟავიანობა %	№ რიგ.	მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	რთვლის თარიღი	შაქრიანობა %	მჟავიანობა %
კახეთი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1938	14/9	21,4	6,2	1	კახეთი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1944	23/9	20,1	10,5
	1939	20/9	20,1	6,6	2		"	8/9	17,3	11,4
	1940	15/9	22,5	5,5	3		"	11/9	19,4	7,55
	1941	15/9	21,5	6,0	4		"	10/9	18,0	6,75
	1942	20/9	19,0	6,2	5		"	25/9	13,0	6,5
	1943	22/9	17,6	8,4	6		"			

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ირკვევა, გრძელმტევანას შაქრიანობა-მჟავიანობის შეფარდება კარგია და ხელსაყრელია ევროპული ტიპის ღვინის დასამზადებლად. მაინც ზოგიერთ წლებში (1943—1945) ეს შეფარდება ყურძნის ნაადრევად მოკრეფის გამო დარღვეულია. კახეთისათვის, სადაც რთველი ჩვეულებრივ იწყება სექტემბრის პირველი ნახევრიდან და გრძელდება ოქტომბრის მეორე ნახევრამდე, შაქრის დავროვების მაჩვენებელი პროცენტი არ არის ზღვრული და გრძელმტევანას რქაწითელთან ერთად ან მასზე უფრო გვიან მოკრეფის შემთხვევაში საგრძნობლად შეიძლება გადიდდეს შაქრის რაოდენობა წვენში, თუ გათვალისწინებულია კახური ან სხვა ტიპის ღვინის დამზადება.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. გრძელმტვევანას ყურძნისაგან მზადდება მშრალი სუფრის ღვინო. ნაწილობრივ ყურძენი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი მნიშვნელობის სადესერტო ყურძნადაც.

გრძელმტვევანას საცდელი ღვინო საკმაოდ მაღალი ღირსებისა დადგა. მოსავლის გადამუშავების პირველ წლიდანვე მან მიიპყრო ჩვენი ყურადღება სინაზითა და ჰარმონიული გემოთი. გრძელმტვევანას ღვინო შემდეგი ორგანოლექტიკური თვისებებით ხასიათდება: იგი მოყვითალო ჩაღისფერია, კრიალურ-ნახევარ-სიანი და ჰარმონიული გემოსია. მვევანახობის ინსტიტუტში, სადგვუსტაციო კომისიის სხდომებზე, გრძელმტვევანას ღვინო სისტემატურად მაღალ შეფასებას იღებდა, როგორც ევროპული ტიპის კარგი სუფრის ღვინო.

ნათქვამის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები სადგვუსტაციო კომისიის სხდომების ოქმებიდან.

**ამონაწერი საქართველოს მეც. აკადემიის მვევანახობის ინსტიტუტის სადგვუსტაციო კომისიის სხდომების ოქმებიდან**

ღვინის დამზადების ადგილი და მოსავლის წელი	კომისიის სხდომის თარიღი	ბალი	ორგანოლექტიკური შეფასება
1. ქ. თელავი, მვევანახობა-მეღვინეობის ინსტიტუტი—საკოლექციო ნაკვეთი 1936 წელი. მოსავალი . . . . .	20/XII 1937	7,8	მოჩაღისფრო-ყვითელი, კარგად დაწმენდილი, შინააოსიანი სასიამოვნო ღვინო, საკმაო სინაზის მქონე, ვარგისია შაბანური ღვინის ძასალიათვის
2. . . . . 1939 წ. . . . .	5/XI 1940	6,8	კარგად დაწმენდილი, ღია ჩაღისფერი, ნახი, ჰარმონიული ღვინო
3. . . . . 1940 წ. . . . .	3/1 1941	8,0	მოყვითალო ჩაღისფერი, გამჭვირვალე, სრული, შინააოსიანი, ზაფერდოვანი გემოს ღვინო
4. . . . . 1941 წ. . . . .	10/1 1942	7,8	მოჩაღისფრო-ყვითელი, ნახი, ჰარმონიული, სასიამოვნო ღვინო
5. . . . . 1947 წ. . . . .	18/VI 1948	7,4	ჩაღისფერი, სასიამოვნო არომატიანი ზომიერი სხეულის მქონე, ნახი, ჰარმონიული კარგი სუფრის ღვინო

როგორც ზემოთ მოყვანილი დახასიათებებიდან ჩანს, გრძელმტვევანას ღვინო იმსახურებს საუკეთესო სუფრის ღვინის სახელს. კახეთის დანარჩენ პერსპექტიულ ჯიშებთან, სახელდობრ, ქისტან, ჩიტისთვალასთან და სხვებთან შედარებით გრძელმტვევანა უფრო ევროპული ტიპის სუფრის ღვინის მიმართულები-საა, ვიდრე ქისი, რომელიც გაცილებით უკეთეს ღვინოს იძლევა კახურად დაყენებისას. მოყვანილი დახასიათებები შეეხება ახალგაზრდა ერთწლიან ღვინოებს. ბოთლში შენახული ორ-სამწლიანი ღვინის ხარისხი საგრძნობლად უმჯობესდება, მას უფიქარდება ჯიშისათვის დამახასიათებელი ბუკეტი. ამაზე უფრო ძველი ღვინოები, ვაზების სიმცირის გამო, დღემდე არ გვქონია. ქვემოთ მოყვანილია ღვინის ქიმიური ბუნების მთავარი მაჩვენებლები.

**გრძელმტვევანას ღვინის ქიმიური შემადგენლობა**

მვევანახობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	ალკოჰოლი მ.ც. %-ში	გრამებში ლიტრში					შენიშვნა
			საერთო სიმკვლე	მჭროლავი სიმკვლე	მსტრაქტი	ტანინი	არამჭროლავი სიმკვლე	
კახეთი, მვევანახობა-მეღვინეობის ინსტიტუტი . . . . .	1941	13,3	6,9	1,01	24,57	—	5,53	
" " . . . . .	1947	9,6	5,8	0,56	25,31	20,47	—	
" " . . . . .	1939	11,8	6,0	0,43	23,10	40,36	—	

ცხრილიდან ჩანს, რომ გრძელმტვევანას ღვინო საკმაოდ მდიდარი შემადგენლობისაა. მასში ალკოჰოლი, სხეული და მკვლელები მაღალხარისხის ღვინისათვის საჭირო რაოდენობითაა წარმოდგენილი. ზოგი-

ერთ წლებში ისეთი დიდი რაოდენობით გროვდება ალკოჰოლი ღვინოში, რომ მისგან შესაძლებელია ნახევრად სადესერტო ტიპის ღვინის დამზადება. საერთოდ, გრძელმეტევანა კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც შედარებით უფრო ცხელი ჰავაა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე მაგარი და სადესერტო ტიპის ღვინოების დასამზადებლად. საამისომონაცემები გრძელმეტევანაში საკმაოდაა გამოხატული. დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ჯიშს დიდი პერსპექტივა აქვს უალკოჰოლო ყურძნის წვენის დამზადების თვალსაზრისითაც: გრძელმეტევანას ყურძნის წვენის სასიამოვნო არომატი და გემო მეტად მიმზიდველად ზღის მას მომხმარებლისათვის.

ღვინოდ დაყენების გარდა გრძელმეტევანა კარგია ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძნადაც. როგორც სადესერტო ყურძენს, გრძელმეტევანას შემდეგი თვისებები აქვს:

1. მტევნების გარეგნული შეხედულება საკმაო მიმზიდველი და ლამაზია. კარგად განვითარებული მტევნები (განსაკუთრებით ტალავერზე მოსული) თავისუფლად აღწევს სიგრძით 35—40 სმ-ს და იწონის 400—600 გრამს. საშუალო მტევნების სიგრძე აღწევს 20—30 სმ-ს, ხოლო წონა — 250—300 გრამს. მტევანი მეჩხერია, დატოტვილი, უფრო იშვიათად საშუალო სიმკვრივისაა. მარცვლები თანაბრად მწიფდება და თითქმის თანაბარი ზომისაა ან ორი წილი მაინც მსხვილი ზომისაა.

2. მარცვლები საშუალო და საშუალოზე დიდი ზომისაა. მსხვილი მარცვლების ზომა უდრის  $2,0 \times 1,9$  სმ-ს, საშუალოსი —  $1,63 \times 1,54$  სმ. შეფერვა მომწვანო-ყვითელია, ეტყობა სიღამწვრის ლაქები მზისკენა მხრიდან. მარცვლების ფორმა ოვალურია. ცვილისებრი ფიფქი კანზე თხელი აქვს.

3. მარცვლების გემო სასიამოვნო, ჰარმონიულია. შაქრიანობა საკმაოდ მაღალი აქვს ზომიერ მჟავიანობასთან ერთად. საშუალოდ მისი შაქრიანობა უდრის 20%-ს, ხოლო მჟავიანობა 6,0%-ს. კანი მარცვლისა თხელი, მაგრამ მკვრივია. წიბუების რაოდენობა მარცვალში საშუალოდ 2,2 არ აღემატება და ადვილად ეცლება რბილობს. რბილობი საშუალო სიმკვრივისაა და მდნარი.

4. არომატი მარცვლებში სუსტადაა გამოსახული, მაგრამ იგი უდავოდ ნაზი და სასიამოვნოა.

5. გრძელმეტევანა ტრანსპორტირების თვალსაზრისით ძალიან სუსტია. იგი იტანს მხოლოდ უახლოეს მანძილზე ფრთხილ გადატანას და ამიტომ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ადგილობრივ.

ვარიაციები და კლონები. ვინაიდან ჯიში ახალია და იგი ინსტიტუტის ნაკვეთზე ბოდბისხევიდან მოტანილი ერთი ძირიდან არის გამრავლებული, მისი ვარიაციები ან კლონები ჯერ შემჩნეული არ არის. გრძელმეტევანას თითო-ორი ვაზი გვხვდება ძველ ანაგაში, მაგრამ მასზე სელექციური მუშაობა არ უწარმოებიათ. საჭიროა მომავალში ამ თითო-ორი ვაზის შესწავლა, რამდენადაც შესაძლოა მათგან უკეთესი ფორმების გამოვლინება მოხერხდეს.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

გრძელმეტევანა ადგილობრივი, იშვიათად გავრცელებული ვაზის ჯიშია. იგი იძლევა ევროპული ტიპის მშრალ სუფრის ღვინოს, გამოსადეგია ადგილობრივი მნიშვნელობის სადესერტო ყურძნად. კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში პერსპექტივა აქვს მაგარი და სადესერტო ტიპის ღვინის დამზადების თვალსაზრისითაც.

გრძელმეტევანას მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი იძლევა კარგი ღირსების მშრალ სუფრის ღვინოს. გრძელმეტევანას ღვინო ღია ქარვისფერია, კრიალა. არომატი სასიამოვნო, ჯიშური აქვს, გემო ნაზი და ჰარმონიული. განსაკუთრებით მაღალი ღირსებისაა იგი ევროპული წესით დაყენებული.

ჯიშის დადებითი თვისებაა ღვინის მაღალი ხარისხი, მისი ვარგისობა, როგორც სხვადასხვა ტიპის ღვინის, ისე ყურძნის უალკოჰოლო წვენის დასამზადებლად. გამოიყენება იგი აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის სადესერტო ყურძნადაც. აღსანიშნავია, რომ ჯიში კარგად უძლებს ზამთრის ყინვებსა და სოკოვან ავადმყოფობებს, განსაკუთრებით ნაცარს.

ჯიშის უარყოფით თვისებას წარმოადგენს ის, რომ იგი არამალ და არათანაბარ მოსავალს იძლევა წლების განმავლობაში. ეს ნაკლოვანება ადვილად შეიძლება გამოსწორებულ იქნეს ჯიშისათვის შესაფერი კორდონური ფორმირების შემოდებისა და ვენახების მოვლა-დამუშავებაში მოწინავე აგროწესების გამოყენების საშუალებით. გრძელმეტევანა წლების განმავლობაში შესწავლის შედეგად პერსპექტიულ ჯიშადაა მიჩნეული. ამეამად იგი მრავლდება წარმოების პირობებში ფართო გამოცდა-შემოწმების მიზნით, რის შედეგადაც იგი რეკომენდებული იქნება სარაიონო სტანდარტულ ასორტიმენტში შესატანად და წარმოების პირობებში დასაწერად.

გრძელმტევანა უდავოდ გააუმჯობესებს და გაამდიდრებს ჩვენი სამარკო ღვინოების ასორტიმენტს — ღვინის ახალი ნიმუშით. ამ ასორტიმენტს შეემატება თავისებური იერის მქონე, არომატული, ნაზი სუფრის ღვინო.

ფართო გამოყენება უნდა ექნეს გრძელმტევანას აგრეთვე სხვა თეთრი ღვინოების, ძირითადად რქაწითლის ღვინის, ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. საერთოდ მაღალხარისხიანი ღვინო იშვიათად მზადდებოდა და მზადდება ერთი რომელიმე ჯიშისაგან. გრძელმტევანას განსაზღვრული რაოდენობის მიმატებით საგრძობლად შეიძლება გაუმჯობესდეს რქაწითლის ღვინის ხარისხი: გადიდდეს მისი არომატიზაცია და სინაზე.

გრძელმტევანას გავრცელების დასაჩქარებლად იგი ყოველწლიურად უნდა მრავლდებოდეს კახეთისა და ნაწილობრივ ქართლის მევენახეობის მთავარ რაიონებში ადგილობრივი საწარმოო ვაზის ჯიშებთან ერთად მისი სამეურნეო და ტექნოლოგიური თვისების შესამოწმებლად და წარმოების პირობებში დასაწერად.

## გრძელმტევანა ინსტიტუტა

**Листья.** Виюне развитые листья (9—12 узлов) средних размеров (18×17 см). Очертание пластинки листа округлое, с более частыми колебаниями в сторону овальной, нежели поперек овальной формы. Листья пятилопастные, очень редко встречаются и трехлопастные листья. Лопастии хорошо выражены. Поверхность листа гладкая, реже, на листьях нижнего яруса, она сетчато-морщинистая. В большинстве случаев поверхность листовой пластинки плоская с несколько приподнятыми краями вверху. Главные нервы листа опушены щетинистым пушком и у основания окрашены в розоватый цвет.

Верхние вырезки довольно глубокие, реже встречаются вырезки средних размеров. Форма вырезок незначительно варьирует, чаще всего встречаются лировидные (вырезки) с суженным устьем, либо почти с параллельными сторонами и острым или округлым дном, реже встречаются закрытые вырезки с овальным просветом.

Нижние вырезки менее глубоки, в большинстве случаев средних размеров; по форме они чаще всего лировидные с почти параллельными сторонами и острым дном, реже встречаются вырезки ланцетовидной формы.

Черешковая выемка, обычно, мало варьирует. Чаще всего она имеет лировидную форму с острым дном, реже бывает стрельчатой формы.

**Зубцы.** Оконечные зубцы лопастей треугольные, краевые зубцы пиловидные, односторонне вышуклые.

Опушение нижней поверхности листа паутиновое, средней густоты, с подстилающим щетинистым пушком.

Черешок листа голый либо со следами паутинок. Окраска черешка слабо розовая с прозеленью. Черешок равен или несколько короче (0,8—1,0) длины главной жилки листа.

**Цветок.** Цветки нормального строения, обоеполые. Количество тычинок в цветке 5—6. Тычинки прямостоячие. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,0—1,2. Пестик правильной округло-конической формы, реже он бугорчатый с искривленным рыльцем.

**Гроздь.** Грозди длинные, ветвистые. Длина гроздей в среднем варьирует от 20 до 30 см. Длина средней грозди равна 24×12 см. Отдельные полноценные грозди свободно достигают размера 35—40 см, при ширине 12—14 см. Крупная полноценная гроздь размером 35×14 см весит 640 гр и состоит из 365 ягод. Средний вес грозди равен 300 гр и содержит 208 ягод. Форма грозди цилиндрико-коническая, ветвистая, отдельные ветви достигают одной трети размера основной грозди. Грозди рыхлые и среднеплотные. Они состоят из хорошо развитых ветвей и при помещении их в горизонтальное положение слагаются как бы в отдельные грозди. Горошение ягод в грозди не наблюдается. Пожка грозди травянистая, бледно-зеленая, близко к основанию деревенеет и окрашивается в цвет чубука. Длина ножки в среднем равна 3,5—4 см., длина ножки ягод 0,7—0,8 см. Окраска ножки зеленая. Подушечка бородавчатая, широко конической формы.

**Ягода.** Ягоды средних размеров. Длина ягод варьирует от 1,4 до 2,0 см, при ширине 1,3—1,9 см. Размер средней ягоды равен 1,64×1,56 см. Форма ягод округлая или несколько овальная. Крупные ягоды слабо овальной формы, средние и мелкие округлые. Ягоды довольно симметричные с наибольшей шириной по середине, конец ягоды закруглен. Окраска ягод зелено-желтая с пятнами загара с солнечной стороны. Кожича тонкая, но довольно прочная. Мякоть средне-плотная, расплывающаяся. Вкус приятный, сортовой аромат ягод слабо выражен. Прочность прикрепления ягод к ножке средняя.

Количество семян в ягоде варьирует от одного до трех, составляя в среднем на ягоду 2,2 семени. Семена по форме не однородны, чаще они имеют округло-продолговатую форму, реже встречаются семена почти шаровидной формы с коротким клювиком. Тело семени округло-овальной формы. Длина семени с клювиком равна 8 мм, при ширине 4,5 мм. Длина клювика равна 2,5—3 мм. Окраска тела семени светло-шоколадного цвета. Халаза лежит в верхней части тела семени, она имеет овальную форму и вогнута посредине. Ложбинка от халазы к клювику и к верхней части семени хорошо выражена, она узка и глубока. Брюшная сторона тела семени несколько килеватая либо плоская. Брюшные бороздки не глубокие, тянутся параллельно к клювику. Дно бороздки светло-желтое. Клювик желтый, с оранжевым оттенком, узкоконической формы, усеченный.

Грдзелмтевана — местный малораспространенный сорт белых столовых вин Кахетии.

Вино Грдзелмтевана соломенно-желтое, прозрачное. Аромат приятный, сортовой. Вкус нежный, гармоничный. Лучшее по качеству вино получается при европейском способе выделки.

К положительным свойствам сорта относятся: высокое качество продукции, пригодность его для разных типов вин и в качестве дополнительного десертного винограда местного значения, а также относительно хорошая устойчивость против зимних морозов и против грибных болезней, в особенности против оидиума.


К недостаткам сорта нужно отнести его недостаточно высокую и непостоянную урожайность. Этот недостаток сорта легко может быть устранен подбором более подходящей кордовой формовки и применением передовой агротехники обработки и ухода за насаждением.

На основе многолетнего изучения сорта Грдзелмтевана, он выявлен как перспективный для условий Кахетии. В настоящее время сорт усиленно размножается для широкого производственного испытания и внедрения в производство, с предварительным его введением в районный стандартный сортимент винограда Кахетии.

Введением Грдзелмтевана в стандартный сортимент винограда Кахетии качество марочных вин Грузии значительно улучшится.

В целях ускоренного внедрения сорта в производство, его необходимо ежегодно размножать для более широкого испытания в основных виноградных районах Кахетии и отчасти Карталинии, в сравнении с местными стандартными сортами винограда.





ქ ი ს ი

ქისი ნაკლებგავრცელებულია ადგილობრივ ვაზის ჯიშია. იძლევა მალახარისხოვან თეთრ სუფრის ღვინოს.

სინონიმები. არც ადგილობრივ მევენახეთა შორის და მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში ქისი სხვა სახელწოდებით ცნობილი არ არის, თუ შედევლობაში არ მივიღებთ იმას, რომ თელავის რაიონის ზოგიერთ სოფელში მას შეცდომით ეძახიან წობენურას (ს. ქისტაურში) და დამპალას (ს. ხოდაშენში).

ჯიშის ისტორია. ქისი წარმოქმნილია კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოშობის ადგილობრივი კერიდან. თავისი ბოტანიკური და სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებებით იგი მეტად ახლო დგას კახური ვაზის მთავარ საწარმოო თეთრ ჯიშებთან. შეიძლება მეტიც ითქვას: მას შუალედი ადგილი უჭირავს მწვანესა და რქაწითელს შორის. გარეგნული შეხედულებით, ფოთლის ფორმითა და მისი ფირფიტის მოხაზულობით იგი რქაწითელს ჰგავს, ხოლო მარცვლების შეფერვით და ძლიერი ჯიშური არომატით — მწვანეს. დანარჩენი ნიშნებითაც ქისს შუალედი ადგილი უჭირავს ამ ორ ჯიშს შორის. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ქისი მწვანისა და რქაწითელის ბუნებრივ ჰიბრიდად მივიჩნიოთ. ღვინის ხარისხით ქისი არ ჩამოუვარდება რქაწითელს და ზოგიერთ წლებში მწვანესაც კი სჯობნის. ნაცრისადმი მგრძობიარობა მას მწვანისაგან უნდა ჰქონდეს დაყოლილი.

ამრიგად, მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშნებით ქისი მეტად ახლო დგას კახური ვაზის მთავარ საწარმოო ჯიშებთან, მათთან ერთად ერთ მთლიან ოჯახს ქმნის და წარმოშობაც მათთან საერთო აქვს. ჯიშის ხნიერების განსაზღვრა ძნელი ხდება, რადგანაც სამეურნეო ისტორიის სათანადო ძეგლები, როგორც ეს ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, XIII საუკუნის ადრინდელი ხანისა ჩვენამდე არ არის მოღწეული. ბოტანიკური და სამეურნეო ნიშნებით ქისი უდავოდ უფრო გვიან წარმოშობილი ჯიშია, ვიდრე რქაწითელი, ხოლო ამ უკანასკნელის წარმოშობა აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ ახალი ერის მეხუთე და შემდგომ საუკუნეებში არის ნაყარაუდვეი. ამრიგად, ქისი რქაწითელზე უფრო ახალგაზრდა ჯიშია.

ამყამად ქისი გავრცელებულია კახეთში, უმთავრესად კი თელავისა და გურჯაანის რაიონებში, სადაც იგი ძირითადად ნარევის სახით გვხვდება რქაწითელისა და მწვანის ნარგავებში. იშვიათად იგი გვხვდება აგრეთვე წმინდა ნარგავების სახითაც კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე. თელავის რაიონში უფრო ხშირად იგი გვხვდება თელავ-ახმეტის ზოლზე: იყალთოში, რუისპირში, ქისტაურში, ხოდაშენში, ახმეტასა და სხვა სოფლებში. ალაზნის ვადმა ქისი ნაკლებ გავრცელებულია და გვხვდება სოფელ მაღრანში ბაბანურში, ლალისყურში, ფშაველში, ართანაში და სხვაგან. გურჯაანის რაიონში ქისი გვხვდება ვაზისუბანში, ბაკურციხეში, კარდანახში, კოლაკში, ვეჯინში და სხვაგან. აღნიშნულ სოფლებში ქისი რამოდენიმე ძირიდად გვხვდება და ისიც ძირითადად რქაწითელისა და მწვანის ნარგავებში. ქისის საერთო ფართობი დაახლოებით 8 ჰექტარს შეადგენს. ძველად ქისი უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, ახლაც კი ქისი უმთავრესად ძველ ვენახებში გვხვდება. ფილოქსერის გავრცელების შემდეგ ძველი ვენახების მოსპობასთან ერთად გადაშენდა ქისიც. მის გადაშენებას ხელი შეუწყო იმან, რომ იგი ნაცარს სუსტად უძლებს. ამის გამოა, რომ მის გაშენებას ახლაც ერიდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ქისი ძალიან კარგ ღვინოს იძლევა და ბევრ შემთხვევაში ზოგიერთი ადგილის ღვინის მაღალი ხარისხი ქისის მონაწილეობის შედეგად იყო. ქისს ხიხვთან, ჩიტისთვალასთან და მწვანესთან ერთად მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული ისტორიულად ცნობილი კახური ღვინოების შექმნაში.

ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიშის ბოტანიკური აღწერა შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე სოფ. ვაზისუბანში, კახური ჯიშების საკოლექციო ნაკვეთზე. ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ). მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და

პირველი ორი ჯერ კიდევ გაუშლილი ფოთოლაკითურთ ყოველი მხრიდან სქელი აბლაბუდისებრი ბეწვებითაა შებუსუსებული, შეფერილია თეთრი ფლანელისურად და ბაცი ვარდისფერი არშია აქვს ფოთოლაკებისა და გვირგვინის ირგვლივ და ყუნწის გასწვრივ. მეორე იარუსის ფოთლებს - დაწყებული მესამიდან — ზემო მხრიდან შებუსუსების შესუსტების გამო მომწვანო-ყვითელი ფერი აქვს მიღებული, ხოლო ქვედა მხრიდან შებუსუსების შენარჩუნების გამო მოვერცხლისურო-თეთრადაა შეფერილი.

ერთწლიანი რქები. კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომით მოყვითალო-წაბლისფერია. მუხლთაშორისების სიგრძე 8 — 10 სმ-ს უდრის. მუხლები უფრო მუქადაა შეფერილი, მუხლთაშორისები, ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ მკვეთრად არაა გამოსახული.

ფოთოლი. შუა იარუსის ფოთლები (9 — 12) საშუალო ზომისაა (18,5 × 18,0). ფოთლის ფირფიტის მოხაზულობა მრგვალია, გვხვდება ოდნავ ოვალური ფორმისაც. ფოთოლი მუქი მწვანეა და უფრო ხშირად სამნაკეთიანია; იშვიათად გვხვდება ხუთნაკეთიანი ფოთოლიც. ფოთლის ზედაპირი ბადისებრ დანაოქებულია და, იშვიათად, წვრილობურთულებიანი. ფოთლის ფირფიტა, უმთავრესად ზედა იარუსის ფოთლებისა, მისი ქვედა ნაკეთების ზევით აწევის გამო, ძაბრისებრ ფორმას იღებს.

ზედა ამონაკვეთები ზეზეური (არალრმა) ან საშუალო სიღრმისაა; მათი ფორმა სხვადასხვაგვარია: გვხვდება ამონაკვეთები ღია ჩანგისებრიდან დახურულ ოვალურთვლიანამდე. უფრო ხშირად გვხვდება ჩანგისებური ფორმის ამონაკვეთები, ვიწროყელიანი და წამახვილებულ ან ცალკბილიანფუძიანი. იშვიათად იგი თითქმის პარალელურგვერდებიანი ჩანგისმაგვარია ან კიდევ უფრო იშვიათად შექრილ კუთხიანი ფორმისაა.



ქვედა ამონაკვეთები ჩვეულებრივ უფრო ნაკლებაა გამოსახული, მომეტებულ შემთხვევაში პატარა პატარაა (არალრმა) ან სულ აო არის განვითარებული. ამონაკვეთების ფორმა შექრილ კუთხისებრია ან ნაპრალისებრი ფორმისა.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა თითქმის ერთგვარია. უფრო ხშირად იგი ჩანგისებრი ფორმისაა და წამახვილებული ფუძე აქვს, იშვიათად გვხვდება თლისებრი ფორმის ამონაკვეთებიც. ხანდახან ყუნწის ამონაკვეთი ცალ- ან ორღეზიანია.

ფოთლის მთავარი ძარღვები მთავრდება გამოზნექილგვერდებიან და მახვილწვერიან სამკუთხედისებრი ფორმის კბილებით, იშვიათად გვხვდება გუმბათისმაგვარი და კიდევ უფრო იშვიათად სამკუთხედისებრი ფორმის მომრგვალებული წვერიანი კბილები. გვერდითი კბილების ფორმა უფრო ნაკლებ ცვალებადია, ჩვეულებრივ, ხერხკბილისებრ ცალგვერდ გამობერილია ან ხერხკბილისებრ მომრგვალო წვერიანია. ხშირად ისინი ერთმანეთს ცვლიან.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუვა კარგადაა გამოსახული, იგი აბლაბუდისებრია, რომლის ქვეშ მოფენილია საშუალო სისქის ჯაგრისებრი ბუსუსი. საერთოდ, ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება საშუალო სისქისაა.

ყუნწი ფოთლის მთავარ ძარღვზე მოკლეა ან მისი ტოლია. ყუნწი თხელი აბლაბუდითაა შებუსუსებული და ღია მწვანე ფერისაა ან მოვარდისფრო იერი გადაჰკრავს, უფრო მეტად ფუძისაკენ.



სურ. 6. ქისის ყვავილი.

ყვავილი. ყვავილი ნორმალური აგებულებისაა, ორსქესიანი. ყვავილში ხუთი, იშვიათად ექვსი, მტვრიანაა. მტვრიანები სწორმდგომია. მტვრიანათა ძაფების სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან შეადგენს 1,25-ს, იშვიათად 1,50-მდე აღწევს. ბუტკო ვიწრო კონუსისებრი ან ბოთლისმაგვარი ფორმისაა, ხშირად ორად გაყოფილი დინგი და კარგად გამოსახული სვეტი აქვს.

მტევანი. მტევანი საშუალო ზომისაა. მისი სიგრძე მერყეობს 12-დან 24 სმ-მდე, ხოლო განი 5-დან 12 სმ-მდე. საშუალო მტევნის ზომა 18 × 10 სმ-ს უდრის. მტევნის ფორმა უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა ერთგვარია. უფრო ხშირად მტევნებს კონუსისებრი ფორმა აქვს, უფრო იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრი. ხანდახან მტევანი მხრიანია, მხარის სიგრძე ძირითადი მტევნის სიგრძის ნახევარს აღწევს. მტევნები საშუალო სიმკვრივისაა, უფრო იშვიათად — მეჩხერი და კიდევ უფრო იშვიათად უფრო მკვრივი მტევნებიც გვხვდება. წვრილმარცვლიანობა მტევანში შესამჩნევი არაა. მტევნის წონა შეადგენს 120 — 160 გრამს. მარცვლების რაოდენობა მტევანში მერყეობს 80-დან 300 ცალამდე. კარგად განვითარებულ მტევანში, რომელიც იწონიდა 365 გრამს, მსხვილი მარცვლები იყო 106, ხოლო საშუალო — 90, სულ 196.



მტვენის ყუნწი გახვევებულია და ღია წვანე ფერისაა, ხოლო ფუძისაკენ მოწაბლისფრო ხდება. ყუნწის სიგრძე 1-დან 2,4 სმ მდეა, საშუალოდ უდრის 1,5 სმ-ს. მარცვლის ყუნწი ღია წვანეა, მისი სიგრძე უდრის 0,6—0,8 სმ-ს. მარცვლის საჯდომი ბაღში განიერ კონუსისებრია, იშვიათად ვიწრო კონუსისებრიც გვხვდება.

მარცვალი. მარცვალი საშუალო ზომისაა. მარცვლის სიგრძე მერყეობს 1,5-დან 1,85 სმ-მდე, ხოლო განი—1,45-დან 1,63 სმ-მდე. საშუალო მარცვლის ზომა უდრის  $1,75 \times 1,5$  სმ-ს. მარცვლის ფორმა ოვალურია, იშვიათად გვხვდება მომრგვალო ფორმის მარცვლებიც. მარცვალში უფრო განიერია, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვალი მომწვანო-ყვითელია და მონაცრისფრო იერი დაჰკრავს. მარცვალი დაფარულია საკმაოდ სქელი ცვილისებრი ფიფქით. მზისკენ მიქცეული მარცვლები ხშირად სიღამწვრის ყავისფერი ლაქებითაა დაფარული. კანი თხელი აქვს, რბილობი — საშუალოდ წვნიანი, მდნარი, გემო — სასიამოვნო, ჰარმონიული. ჯიშის სპეციფიური არომატი კარგად ემჩნევა. მარცვლები კარგადაა მიმაგრებული ყუნწზე. მარცვალში 1-დან 3-მდე წიბწაა. საშუალოდ ერთ მარცვალზე 1,30 წიბწა მოდის.

წიბწა. წიბწის სხეული მოყვითალო-წაბლისფერია, ფორმით მოგრძოა, თანაც მომრგვალებული. წიბწის სიგრძე უდრის 7 მმ-ს, განი—3,5 მმ-ს, ნისკარტის სიგრძე უდრის 2 მმ-ს, განი—1,0—1,2 მმ-ს. ქალაქი მკაფიოდ არ არის გამოსახული. იგი ძვეს წიბწის ზედა ნაწილში, ფორმით ოვალურია და შუაში ოდნავ ჩაზნექილი. წიბწის მუცლის მხარე ქედლიანია. მუცლის ღარები საკმაოდ ღრმაა. ისინი პარალელურად მიიმართებიან ნისკარტისაკენ და თანდათან ქრებიან. ნისკარტი ცილინდრული ფორმისაა, წაკვეთილია და ოდნავ მოხრილი მუცლის მხარეზე. ნისკარტი ღია ყვითელია, თანაც ნარინჯისფერი იერი ემჩნევა.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებულ იქნა საქართველოს მეც. აკადემიის მევენახეობა-მელვინეობის ისტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე, სოფ. კურდღელაურში, თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით.

აღნიშნული ადგილმდებარეობის ეკოლოგიურ პირობებში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 125 დღიდან 153 დღემდე და, საშუალოდ, თერთმეტი წლის მანძილზე, უდრის 142 დღეს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც მერყეობს 2,647 გრადუსიდან 3,142,8 გრადუსამდე და შეადგენს საშუალოდ 2,935 გრადუსს.

ასევე მერყეობს, ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად, სავეგეტაციო ფაზების დადგომის ვადებიც. მერყეობის ფარგლების გასაცნობად ქვემოთ მოყვანილია ქისის სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზების საწყისი ვადები, სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დღეებში და აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ამ ხნის განმავლობაში.

ცხრილიდან ჩანს, რომ ცალკეული წლების მიხედვით ყველაზე მეტ ცვალებადობას საწყისი ფაზა განიცდის, დანარჩენი ფაზების მერყეობა 10—15 დღის ფარგლებში ხდება, ხოლო სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა 28 დღემდე აღწევს. სრული დამწიფება ხდება საშუალოდ 5 სექტემბრიდან 20 სექტემბრამდე. თერთმეტი წლის განმავლობაში სრული დამწიფების ხანა საშუალოდ დგება 10 სექტემბერს. ამ მონაცემების მიხედვით ქისი სიმწიფის მეორე პერიოდის ვაზის ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ზოგიერთ წლებში ქისი ასწრებს დამწიფებას 125 დღის განმავლობაში და მისთვის საკმარისია ეფექტურ ტემპერატურათა ჯამი 2,695 გრადუსის რაოდენობით. ის ფაქტი, რომ ქისი მწიფდება საშუალოდ 142 დღის განმავლობაში და საანისოდ საკმარისია აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3,056 გრადუსის რაოდენობით, საფუძველს იძლევა ამ ჯიშის წრეკომენდებისას საქართველოს მაღალმთიან ზოლში, სადაც ადგილობრივი ვაზის ჯიშები სრულ დამწიფებას წლების განმავლობაში ვერ ასწრებენ, და აგრეთვე საბჭოთა კავშირის მევენახეობის ჩრდილოეთ რაიონებში, სადაც ქისის დამწიფება უფრო გარანტირებული იქნება, ვიდრე რქაწითელისა, რომელიც ახლა სულ უფრო და უფრო ვრცელდება ამ რაიონებში.

კახეთში ქისის ერთწლიანი ნაზარდი, თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით, თავისუფლად ასწრებს შემოსვლას ყურძნის სრული დამწიფების მომენტისათვის. სავეგეტაციო ფაზების მსვლელობაზე წარმოებულ დაკვირვებებიდან ნათელია, რომ ქისის ერთწლიან ნაზარდს თავისუფლად შეუძლია მომწიფდეს თელავზე უფრო გრილი ჰავის პირობებშიაც.

ქისის ზრდის დონე სხვა ჯიშებთან შედარებით, თანაბარ ეკოლოგიურ პირობებში შეიძლება საშუა-

ლოდ იქნეს წინწეული. ასეთია ქისის ფაზები თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე. მაგრამ, როგორც ცნობილია, შესაფერი ჰაერისა და კარგი კვების პირობებში ჯიში მძლავრად იზრდება

**ქისის სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა**

ცხრილი 1

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების აღგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის პანგოდლობა დღეებში	აბრეშურ ტემპერატურათა ჯამი
		ფორტის ფლის დასაწყისი	ყვილილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე		
კახეთი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტი, ქ. თელავი	1938	24/4	7/6	7/8	10/9	189	2,958,9
	1939	23/4	1/6	9/8	10/9	140	2,900,2
	1940	15/4	7/6	12/8	15/9	153	3,142,8
	1941	6/4	28/5	8/8	10/9	150	3,213,7
	1942	27/4	8/6	17/8	16/9	142	3,067,6
საშუალო 5 წ.		19/4	4/6	10/8	12/9	145	3,053,6
კახეთი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტი, ქ. თელავი	1943	28/4	10/6	15/8	20/9	145	2,918,1
	1944	15/4	24/6	16/8	20/9	149	2,941,8
	1945	2/5	12/6	13/8	15/9	136	2,781,8
	1946	26/4	8/6	17/8	5/9	132	2,617,6
	1947	5/4	4/6	15/8	5/9	153	2,900,2
1948	27/4	2/6	4/8	29/8	125	2,695,9	
საშუალო 6 წლის	—	23/4	10/6	13/8	9,9	140	2,814,2



და უხვმოსავლიანი ხდება. ამის მაგალითს ვხედავთ ჩვენ ხირსის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ქისი ღონიერად იზრდება და უხვ მოსავალსაც იძლევა.

მოსავლიანობა. ქისი კახეთის სხვა მთავარი ჯიშების მსგავსად ადრე იძლევა პირველ და სრულ მოსავალს. თელავში საკოლექციო ნაკვეთზე წარმოებული დაკვირვების მიხედვით ქისმა დარგვიდან მესამე წელს უკვე მოისხა და მოგვცა დაახლოებით სრული მოსავლის ერთი მესამედი. დარგვიდან მეოთხე წელს მან მოგვცა ნორმალური მოსავალი—96 მტევანი 10 ძირზე. ასევე ნაადრევად, დარგვიდან მე-3—მე-4 წლიდან, მოგვცა ქისმა პირველი და სრული მოსავალი სარებროდუქციო ნაკვეთზედაც.

ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვების მიხედვით ქისი საშუალოზე მცირე მოსავალს იძლევა. რქაწითელთან და მწვანესთან შედარებით ქისი ცოტათი უფრო ნაკლებმოსავლიანია. მისი მოსავალი ძირზე თელავში 1-დან 2,5 კილოგრამამდე მერყეობს, ხოლო საშუალოდ შეადგენს 1,8 კილოგრამს, რაც გადაანგარიშებით მოგვცემს 58 ცენტნერს 1 ჰექტარზე. ვაზისუბანში, უფრო მჭიდრო ნარგავზე, მისი მოსავალი 70 ცენტს აღწევს ჰექტარზე. ქისის მსხმოიარობის დასახასიათებლად ქვემოთ მოგვყავს საკოლექციო და სარებროდუქციო ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვების შედეგები.

ამ მონაცემების მიხედვით მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 0,56 — 1,5-ს შორის და საშუალოდ შეადგენს 1,2-ს. შედარებით უფრო ნაკლებ მერყეობს მტევნის საშუალო წონა; იგი უდრის 120 — 160 გრამს. ამრიგად, ძირის მოსავლიანობა 10 რქაზე შეადგენს საშუალოდ 1,680 გრამს. ჯიშის მოსავლიანობის უფრო სრული დახასიათებისათვის მოგვყავს თელავისა და ვაზისუბნის პირობებში საკვებულზე ცალკეული რქების ნაყოფიანობის აღრიცხვის შედეგები.

**ქისის მსხმოიარობის მონაცემები**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების აღგილი	წელი	მსხმოიარე რქების პროცენტი			მტევნების რაოდენობა 1 მოსავ. რქაზე	მტევნების საშუალო რაოდენობა ერთ რქაზე	მტევნის საშუალო წონა გრამებით	1 რქის მოსავალი გრამებში	რქების რაოდენობა ჰექტარზე და მთლიანი მტევნის შემდეგ	გამოანგარიშებული მოსავალი ჰექტარზე
		1 მტევნით	2 მტევნით	სულ						
კახეთი, ს. ვაზისუბნის საკოლექციო ვენახი	1941	52,64	37,36	90,0	1,52	1,20	170	204	36,000	73,44
ქ. თელავი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1942	59,3	25,6	84,9	1,23	1,04	194	201,7	28,000	56,47
	1943	64,52	24,50	89,02	1,29	1,13	186	210,1	29,000	60,91

ცხრილიდან ჩანს, რომ ქისს ახასიათებს მოსავლიანი რქების საკმაო მაღალი პროცენტი (85—90%) და შედარებით დაბალი მსხმოიარობის კოეფიციენტი. ორმტევნიანი რქები თითქმის ორჯერ ნაკლებია

ერთმეტევნიანებზე, ხოლო სამმეტევნიანი რქები სულ არ არის მოცემული. ამ გაანგარიშებით მიღებული მოსავალი ჰექტარზე თელავში შეადგენს 56—60 ცენტნერს, ხოლო ვაზისუბანში — 73 ცენტნერს.

ვაზისუბანში მეტი მოსავლის მიღება შედეგია, ძირითადად, ვაზების მეტი რაოდენობისა ჰექტარზე. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გაანგარიშებული მოსავალი ყოველთვის მეტია ფაქტიურზე, მაშინ ქისის საშუალო მოსავალი უნდა ვიანგარიშოთ 50—60 ცენტნერი ჰექტარზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბირსის საბჭოთა მეურნეობაში (სიღნაღის რაიონი), ღონიერ ნიადაგებზე ქისი მაღალ მოსავალს იძლევა. წარმოებულ ალრიცხვის მიხედვით, ქისის ვაზებზე, რომლებიც იქ ნარევის სახით გვხვდება, მსხმოიარობის კოეფიციენტი აღწევს 1,6, ხოლო კარგად განვითარებული მტევნების რაოდენობა ორსაკავებლიან ვაზებზე 38—40-მდე აღიარდა და მათი წონა 5—6 კილოგრამს შეადგენდა. ამრიგად, ჯიშის მოსავლიანობა ძირითადად დამოკიდებულია ვაზების კვების არის სიდიდეზე; ფორმირების სახეობაზე და ვენახის დროულად და კარგად მოვლა-დაზრუნვაზე. ქისი გამოცდილია ორი სხვადასხვა ფორმირებისა და კვების არეზე. მათგან უკეთესი შედეგი მოსავლიანობის ზრდის მხრივ მიღებულია ცალმხრივი შპალერის ფორმისაგან 2,15 მ<sup>2</sup>-იანი კვების არეზე, ვიდრე 3,0 მ<sup>2</sup> კვების არეზე ორმხრივი შპალერის ფორმისაგან. ეს აიხსნება ძირითადად იმით, რომ თელავში, ნიადაგის სიმწირის გამო, ჯიშმა სრულად ვერ გამოიყენა დიდი კვების არე. მაგალითად, 1948 წელს ინსტიტუტის სარებროდუქციო ნაკვეთზე ჩატარებული ალრიცხვის მიხედვით ვაზების მხოლოდ 65%-ს ჰქონდა ორი საკავებელი, დანარჩენი 35% ცალ საკავებელზე იყო გასხლული. ამის გამო ვაზის საშუალო დატვირთვა 20 ვაზზე განვითარებულ 267 რქის შემთხვევაში შეადგენდა ძირზე 13,3 რქას. კვების დიდ არეზე (3,0 მ<sup>2</sup>) ასეთი მცირე დატვირთვის გამო უნაყოფო ყლორტების პროცენტი მეტად დიდი იყო (45%). ამან გამოიწვია მსხმოიარობის კოეფიციენტის შემცირება 0,72-მდე მაშინ, როდესაც მოსავლიან რქებზე გადაანგარიშებით იგი 1,32-ს უდრიდა. აღსანიშნავია ნეკისა და საკავებლის პირველი სამი რქის ძალზე მცირე მოსავლიანობა; მათგან მხოლოდ 20—25%-ის ესხა, ხოლო რქების 75—80% სრულიად უნაყოფო იყო. საკავებლის სიგრძეზე უფრო მაღალი მოსავლიანობით ხასიათდებოდა მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 რქები. ამის შედეგად ძირის საშუალო მოსავლიანობა არ აღემატებოდა 1,5 კილოგრამს, რაც ჰექტარზე დაახლოებით 50 ცენტნერს შეადგენს.

ყველა ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მაღალი და მყარი მოსავლის მისაღებად საჭიროა შემდეგი აგროლონისძიებების დაცვა:

1. ახალი ვენახების გასამშენებლად უმჯობესია შეირჩეს ნოყიერი და ღონიერნიადაგებიანი და სუსტად დაქანებული ფერდობები.
2. ვაზის დაყენების ძირითად ფორმად მიღებული უნდა იყოს ორმხრივი შპალერი ან მოკლე კორდონი 1,5×1,5 მეტრიანი კვების არისათვის. საერთოდ კი კვების არის სიდიდე შეფარდებული უნდა იყოს ჰაერის პირობებთან და ნიადაგის სინოყიერესთან, ხოლო ვაზის დატვირთვა მისი ზრდის ღონესთან.
3. ქისს ნოყიერი ნიადაგი უყვარს. ამისათვის საჭიროა სისტემატურად იქნეს შეტანილი მორიგეობით ორგანული და მინერალური სასუქი.
4. დასასრულ, რადგანაც ქისი სუსტად უძლებს სოკოვან ავადმყოფობებს, საჭიროა ერთი დამატებითი წამლობა და წამლობის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებასთან ერთად ვენახების კარგი მოვლა-დაზრუნვა.

სოკოვან ავადმყოფობათა და ზამთრის ყინვების მიმართ გამძლეობა. ვაზისუბნისა და თელავის საკოლექციო და სარებროდუქციო ნაკვეთებზე მრავალი წლის დაკვირვების საფუძველზე ქისის შედარებით გამძლეობა მილდიუმის მიმართ შეფასებულია საშუალოდ, ხოლო ნაცრის მიმართ მისი გამძლეობა საშუალოზე სუსტია. ამ მხრივ ქისი მწვანეს უახლოვდება, თუცა მილდიუმის მიმართ გამძლეობით მას იგი ჩამორჩება. ყველა ამის გამო ერთი დამატებითი წამლობა, როგორც ნაცრის, ისე მილდიუმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ავადმყოფობის განვითარების ყველაზე საშიშ მომენტში, აუცილებელია. ვაზის ნავენებლების მიერ სამეურნეო მნიშვნელობის დაზიანება თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე 15 წლის დაკვირვების მანძილზე აღნიშნული არ ყოფილა.

ქისი ზამთრის ყინვებს შედარებით კარგად უძლებს. 1935 წლის ზამთარში, როცა აბსოლუტური მინიმუმი თელავში 10 იანვარს დაეცა მინუს 16,5 გრადუსამდე და წინა და მომდევნო დღეებში უდრიდა 14,5 გრადუსს, ქისის კვირტები თითქმის არ დაზიანებულა და მომდევნო 1936 წელს ქისმა ნორმალური მოსავალი მოგვცა. 1940 წელს აბსოლუტური მინიმუმი აგრეთვე დაეცა და ერთი დღის განმავლობაში აღწევდა 17<sup>0</sup>-ს, ხოლო ვაზისუბანში — 16<sup>0</sup>-ს. ამას ზედ დაემატა ქირხლიც. მიუხედავად ამისა,

თელავში ქისი თითქმის არ დაზიანებულა, ხოლო ვაზისუბანში მოკლული კვირტების პროცენტი აღწევდა ქისისა 6-ს, ხოლო რქაწითელისა — 4,8-ს. ამავე დროს თელავსა და ვაზისუბანში დასავლეთ ევროპისა და შუა აზიის რიგი ჯიშები საგრძნობლად დაზიანდა უჩვეულისაგან და საგრძნობლადვე შემცირდა მათი მოსავალი.

ქისი სხვა ჯიშებთან შედარებით კარგად უძლებს გვალვას. აღსანიშნავია ზოგიერთი ძლიერი წვიმებიან წელს ქისის მარცვლების დაზიანება სიღამზლისაგან, განსაკუთრებით კი ჯიშისათვის საკონკრეტოდ დაბლობ ადგილებში.

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

მტევნებისა და მარცვლების გარეგნული შეხედულება, მათი მექანიკური შემადგენლობა და აგრეთვე წვეწვანის ქიმიური შემცველობა იმაზე მიგვიჩვენებს, რომ მიზანშეწონილია ქისის გადამუშავება სუფრის ღვინოდ. მართლაც, ქისი როგორც ევროპული, ისე კახური წესით დაყენებისას კარგ სუფრის ღვინოს იძლევა. ამის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია ქისის ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგები. ანალიზი ჩატარებულია მევენახეობის ინსტიტუტში, ქ. თელავში.

**ქისის მტევნის მექანიკური შემადგენლობის მაჩვენებლები**

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მტევნის საშ. წონა	მარცვლების რაოდენობა მტევანში	მტევნის შემადგენელი ნაწილები %/ო-ში					100 მარცვლის წონა	100 წიპწის წონა
				კლუტი	მარცვლები	კანი	წიპწა	წვეწვი და რბილობი		
კახეთი	1941	200,2	150	8,39	56,61	14,81	5,4	76,40	135,4	5,2
მევენახეობის ინსტიტუტი, ქ. თელავი . . . . .	1942	180,4	145	3,85	86,15	13,15	5,2	77,80	125,8	5,15
საკოლექციო ვენახი . . . . .	1943	186,5	120	4,05	95,05	15,50	4,55	75,90	151,6	4,25

როგორც ცხრილიდან ჩანს, ლაბორატორიულ პირობებში ქისმა წვეწვის კარგი გამოსავალი იცის. ცალკეულ წლებში, მეტეოროლოგიური პირობებისა და მოკრეფის დროის შესაბამისად, წვეწვის გამოსავლიანობა მერყეობს 75,9<sup>0</sup>/<sub>ო</sub>-დან 77,8<sup>0</sup>/<sub>ო</sub>-მდე და საშუალოდ შეადგენს 77<sup>0</sup>/<sub>ო</sub>-ს. ყურძნის გადამუშავების ნახევრად საწარმოო პირობებში წვეწვის გამოსავალი ცოტათი უფრო ნაკლებია და შეადგენს საშუალოდ 76<sup>0</sup>/<sub>ო</sub>-ს, ხოლო ჭაჭა — 24<sup>0</sup>/<sub>ო</sub>-ს. ამ მონაცემების მიხედვით ქისი საღვინე ვაზის ჯიშია.

ყურძნის წვეწვის ქიმიური შემადგენლობა. ქისს შაქრის დაგროვების დიდი უნარი აქვს. ამასთან ერთად იგი ინარჩუნებს საკმაოდ მაღალ მჟავიანობას. შეფარდება შაქრიანობასა და მჟავიანობას შორის სავსებით უზრუნველყოფს მისგან ხარისხოვანი ღვინოს მიღებას. მრავალი წლის დაკვირვების მიხედვით ქისის შაქრიანობა თელავსა და ვაზისუბანში მერყეობს 20<sup>0</sup>/<sub>ო</sub>-სა და 24<sup>0</sup>/<sub>ო</sub>-ს შორის, ხოლო მჟავიანობა 6,6<sup>0</sup>/<sub>ო</sub>-სა და 10,8<sup>0</sup>/<sub>ო</sub>-ს შორის.

ყურძნის წვენში შაქრიანობა-მჟავიანობის მერყეობის ფარგლების გასაცნობად, რაც ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობებითაა გამოწვეული, ქვემოთ მოყვანილია ქისის ყურძნის წვენის ანალიზის შედეგები. ანალიზები წარმოებდა მევენახეობის ინსტიტუტის ტერიტორიაზე ქ. თელავში და ნაწილობრივ მის ექსპერიმენტალურ ბაზაზე, სოფ. ვაზისუბანში, თერთმეტი წლის განმავლობაში, 1938 წლიდან 1948 წლამდე (ამის ჩათვლით).

**ქისის შაქრიანობა-მჟავიანობა რთვლის პერიოდში**

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	რთვლის თარიღი	შაქრიანობა %/ო-ით	მჟავიანობა %/ო-ით	შენიშვნა
კახეთი, საქართველოს მეცნ. აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ექსპერიმ. ბაზა ს. ვაზისუბანში, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1938	15/X	21,0	7,8	
	1939	10/IX	19,9	7,1	
	1940	16/IX	21,5	8,0	
	1940	20/IX	23,1	7,2	
	1941	14/IX	24,0	6,6	
	1942	16/IX	20,75	7,6	
	1943	8/X	20,0	8,0	
	1944	28/IX	22,7	9,8	
	1945	23/IX	20,5	10,8	
	1946	9/IX	21,4	7,72	
	1947	8/IX	21,0	7,37	
	1948	1/IX	20,5	7,71	

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ქისი დიდი რაოდენობით აგროვეს შაქარს, მაგრამ ცხრილში მოცემული რაოდენობა შაქრის დაგროვებისა არ არის ქისისათვის ზღვრული. იმ წლებში, რომლებშიც ანალიზია ნაწარმოები, უმრავლეს შემთხვევაში რთველი 10-დან 20 სექტემბრამდე ჩატარებული, მაშინ, როდესაც იგი კახეთში იწყება საშუალოდ 15 სექტემბრიდან და მთავრდება 15 ოქტომბერს, რთვის თუნდაც ორი კვირით გადაწევის გზით საგრძნობლად შეიძლება შაქრიანობის გადიდება და ყურძნის გამოყენება მაგარი და სადესერტო ღვინის დასამზადებლად, თუ ამისი საჭიროება იქნება.

მოყვანილი ცნობები შაქრიანობისა და მკაფიანობის შესახებ იმაზე მიგვითითებს, რომ შინაარსიანობა ქისის გამოყენება საღვინედ, ხოლო მკაფიანობისა და შაქრიანობის შეფარდება ადასტურებს მისგან მალალხარისხოვანი ღვინის მიღების შესაძლებლობას.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. ქისის ყურძნისაგან როგორც სხვა ჯიშის ყურძნის შეურველად, ისე სხვა ჯიშებთან ერთად მზადდებოდა მშრალი სუფრის ღვინო. წმინდა ქისის ღვინო მუდამ მაღალი ხარისხისა დგებოდა. ის ფაქტი, რომ ახმეტის, ქისტაურისა და იყალთოს ღვინოები მაღალი ხარისხისა იყო, აიხსნება იმით, რომ მათ აყენებდნენ მწვანის, ქისისა და ხიხვისაგან, ან კიდევ იმით, რომ მათ ურევდნენ რქაწითელს. ძველად ქისისაგან მზადდებოდა კახური ტიპის ღვინო, რომელიც მაღალი ხარისხისა იყო. ამჟამად ქისი მცირე რაოდენობით მოიპოვება კახეთში და მარტო მისგან იშვიათად მზადდება ღვინო, უფრო ხშირად იგი სხვა ჯიშებთან ერთად მუშავდება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული ცდების შედეგად დადასტურებულია ქისის ღვინის მაღალი ხარისხი როგორც ევროპული, ისე კახური წესით, განსაკუთრებით უკანასკნელი წესით დაყენების შემთხვევაში. ქისის ღვინო უდავოდ მაღალი ღირსებისაა. იგი მოყვითალო-ჩალისფერია, მოოქროსფრო იერი აქვს, კრიალაა. აქვს კარგად გამოსახული არომატი, ნაზი და სასიამოვნოა, გემო სრული აქვს, ჰარმონიულია. კახურად დაყენებული ღვინო უფრო მაღალი ღირსებისაა; იგი მუქი ჩალისფერია, კარგად გამოსახული ჯიშური არომატი აქვს, სრული, შინაარსიანი, ჰარმონიული ღვინოა, ხვერდოვნება ეტყობა გემოს მხრივ. ქისის ღვინო კახური ტიპისა უდავოდ ღირსშესანიშნავია, ქისი ამ ტიპის ღვინის დასამზადებლად სანიმუშოა.

სადეგუსტაციო კომისიების სხდომებზე როგორც ევროპულად, ისე კახურად დაყენებული ქისი მუდამ მაღალ შეფასებას იღებდა, როგორც ნაზი, მაღალხარისხოვანი ღვინო.

აღნიშნულის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის სადეგუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.

**ამონაწერები მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის სადეგუსტაციო კომისიის სხდომების ოქმებიდან**

ღვინის დანზადების ადგილი და მოსავლის წელი	სადეგუსტაციო კომისიის სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური შეფასება
1 კახეთი. ს. ვახისუბანი (გურჯაანის რაიონი). 1937 წ.	20/XII 1937	8,2	სრულიად გამჭვირვალე, მოყვითალო-ჩალისფერი, მოოქროსფრო იერიანი. სრული ჰარმონიული, სასიამოვნო ღვინო, დამახასიათებელი ჯიშური არომატიანი.
2 მევენახეობის ინსტიტუტის ნაკვეთი, ქ. თელავი. 1939 წ.	6/I 1940	7,5	კარგად დაწმენდილი, მოყვითალო-ჩალისფერი, სრული, შინაარსიანი ღვინო, კარგად განვითარებული ჯიშური არომატიანი.
3 ს. ვახისუბანი, ექსპერ. ბაზა, 1940 წ.	15/XII 1940	8,0	გამჭვირვალე, მუქი ჩალისფერი. გემო ნაზი, სრული ჰარმონიული, მაღალხარისხოვანი ღვინო.
4 მევენ. ინსტიტუტის ნაკვეთი, 1941.	10/I 1942	7,0 *	კარგად დაწმენდილი, მოყვითალო ჩალისფერი, ნაზი, შინაარსიანი ღვინო, კარგად გამოსახული ჯიშური არომატიანი.
5 " " 1947 წელი	16/IV 1948	6,5 *	ჩალისფერი, სუფლიანი, მოტკბო. მიდრეკილება აქვს კახური ტიპის ღვინისადმი.

\* შეფასებულია რვაბალიანი სისტემით

სადეგუსტაციო კომისიის შემომოყვანილი შეფასებების მიხედვით ქისი მაღალხარისხოვანი ვახის ჯიშების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს. მშრალი სუფრის ღვინოების გარდა ქისისაგან მზადდება მაღალი ღირსების უალოკოპალიო ყურძნის წვენი და გამოყენებულია აგრეთვე ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძნადაც. ქისი პერსპექტიულია აგრეთვე მაგარი და სადესერტო ღვინოების დასამზადებლად, რადგანაც, თუ რთველს

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ქისი დიდი რაოდენობით აგროვეს შაქარს, მაგრამ ცხრილში მოცემული რაოდენობა შაქრის დაგროვებისა არ არის ქისისათვის ზღვრული. იმ წლებში, რომლებშიც ანალიზია ნაწარმოები, უპრავლეს შემთხვევაში რთველი 10-დან 20 სექტემბრამდეა ჩატარებული, მაშინ, როდესაც იგი კახეთში იწყება საშუალოდ 15 სექტემბრიდან და მთავრდება 15 ოქტომბერს, რთვლის თუნდაც ორი კვირით გადაწვევის გზით საგრძნობლად შეიძლება შაქრიანობის გადიდება და ყურძნის გამოყენება მაგარი და სადესერტო ღვინის დასამზადებლად, თუ ამისი საჭიროება იქნება.

მოყვანილი ცნობები შაქრიანობისა და მყავიანობის შესახებ იმაზე მიგვითითებს, რომ შინაარსიანობა ქისის გამოყენება საღვინედ, ხოლო მყავიანობისა და შაქრიანობის შეფარდება ადასტურებს მისგან მალალხარისხოვანი ღვინის მიღების შესაძლებლობას.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. ქისის ყურძნისაგან როგორც სხვა ჯიშის ყურძნის შეურევლად, ისე სხვა ჯიშებთან ერთად მზადდებოდა მშრალი სუფრის ღვინო. წმინდა ქისის ღვინო მუდამ მალალი ხარისხისა დგებოდა. ის ფაქტი, რომ ახმეტის, ქისტაურისა და იყალთოს ღვინოები მალალი ხარისხისა იყო, აიხსნება იმით, რომ მათ აყენებდნენ მწვანის, ქისისა და ხიხვისაგან, ან კიდევ იმით, რომ მათ ურევდნენ რქაწითელს. ძველად ქისისაგან მზადდებოდა კახური ტიპის ღვინო, რომელიც მალალი ხარისხისა იყო. ამჟამად ქისი მცირე რაოდენობით მოიპოვება კახეთში და მარტო მისგან იშვიათად მზადდება ღვინო, უფრო ხშირად იგი სხვა ჯიშებთან ერთად მუშავდება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული ცდების შედეგად დადასტურებულია ქისის ღვინის მალალი ხარისხი როგორც ევროპული, ისე კახური წესით, განსაკუთრებით უკანასკნელი წესით დაყენების შემთხვევაში. ქისის ღვინო უდავოდ მალალი ღირსებისაა. იგი მოყვითალო-ჩალისფერია, მოოქროსფრო იერი აქვს, კრიალაა. აქვს კარგად გამოსახული არომატი, ნაზი და სასიამოვნოა, გემო სრული აქვს, ჰარმონიულია. კახურად დაყენებული ღვინო უფრო მალალი ღირსებისაა; იგი მუქი ჩალისფერია, კარგად გამოსახული ჯიშური არომატი აქვს, სრული, შინაარსიანი, ჰარმონიული ღვინოა, ხავერდოვნება ეტყობა გემოს მხრივ. ქისის ღვინო კახური ტიპისა უდავოდ ღირსშესანიშნავია, ქისი ამ ტიპის ღვინის დასამზადებლად სანიმუშოა.

სადეგუსტაციო კომისიების სხდომებზე როგორც ევროპულად, ისე კახურად დაყენებული ქისი მუდამ მალალ შეფასებას იღებდა, როგორც ნაზი, მალალხარისხოვანი ღვინო.

აღნიშნულის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის სადეგუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.

**ამონაწერები მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის სადეგუსტაციო კომისიის სხდომების ოქმებიდან**

ლვინის დანზადების ადგილი და მოსავლის წელი	სადეგუსტაციო კომისიის სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური შეფასება
1 კახეთი, ს. ვახისუბანი (გურჯაანის რაიონი), 1937 წ.	20/XII 1937	8,2	სრულიად გამჭვირვალე, მოყვითალო-ჩალისფერი, მოოქროსფრო იერიანი, სრული ჰარმონიული, სასიამოვნო ღვინო, დამახასიათებელი ჯიშური არომატიანი, კარგად დაწმენდილი, მოყვითალო-ჩალისფერი, სრული, შინაარსიანი ღვინო, კარგად განვითარებული ჯიშური არომატიანი.
2 მევენახეობის ინსტიტუტის ნაკვეთი, ქ. თელავი, 1939 წ.	6/I 1940	7,5	სრული, შინაარსიანი ღვინო, კარგად განვითარებული ჯიშური არომატიანი.
3 ს. ვახისუბანი, ექსპერ. ბაზა, 1940 წ.	15/XII 1940	8,0	გამჭვირვალე, მუქი ჩალისფერი. გემო ნაზი, სრული ჰარმონიული, მალალხარისხოვანი ღვინო.
4 მევენ. ინსტიტუტის ნაკვეთი, 1941.	10/I 1942	7,0 *	კარგად დაწმენდილი, მოყვითალო ჩალისფერი, ნაზი, შინაარსიანი ღვინო, კარგად გამოსახული ჯიშური არომატიანი.
5 " " " " 1947 წელი	16/IV 1948	6,5 *	ჩალისფერი, სწეულიანი, მოტკბო. მიდრეკილება აქვს კახური ტიპის ღვინისადმი.

\* შეფასებულია რვაბალიანი სისტემით

სადეგუსტაციო კომისიის ზემომოყვანილი შეფასებების მიხედვით ქისი მალალხარისხოვანი ვახის ჯიშების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს. მშრალი სუფრის ღვინოების გარდა ქისისაგან მზადდება მალალი ღირსების უალოკოპოლო ყურძნის წვენი და გამოყენებულია აგრეთვე ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძნადაც. ქისი პერსპექტიულია აგრეთვე მაგარი და სადესერტო ღვინოების დასამზადებლად, რადგანაც, თუ რთველს

ჩვეულებრივ ვადებში ჩავატარებთ, მას თავისუფლად შეუძლია დააგროვოს 26 % და მეტიც შაქარის და ამასთან აქვს ძლიერი ჯიშური არომატი, რომელიც ისევეა საჭირო ამ ტიპის ღვინოებისათვის, როგორც მაღალი შაქრიანობა.

ქისის ღვინის ქიმიური ბუნების გასაცნობად ქვემოთ მოყვანილია თელავსა და ვახისუბანში კახური და ევროპული წესით დამზადებული ღვინოების ქიმიური ანალიზის შედეგები (იხ. ცხრილი 2)

**ქისის ღვინის ქიმიური შემადგენლობის მაჩვენებლები**

ქართული  
სსრკ-ის მეცნიერებათა  
აკადემიის მიწვევა № 2

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	წონაუბრი	ალკოჰოლი %ში	საერთო მკვ-ვიანობა	გრამები ლიტრში										
					ექსტრაქტი	ნაცარი	ნაცარი ტუ-ტიანობა	მქროლავი სიმწვე	ღვინის მწვე	შაქარი	გლიცერინი	ტანინი	არამქრო-ლავი	PH	
კახეთი															
1 ვახისუბნის ნაკვეთი . . .	1939	0,9926	11,4	6,9	22,4	2,71	3,38	0,66	2,7	1,3	7,15	0,58	6,18		
2 ვახისუბანი, ევროპ. წესით . . . . .	1940	0,9913	12,2	6,5	—	—	—	0,57	2,21	—	7,1	0,17	—	3,27	
3 „—“ კახური ღვინო . . . . .	1940	0,9956	12,05	5,63	—	—	—	0,43	2,16	—	6,25	2,12	—	3,14	
4 მგვენ. ინსტ-ტი. საკოლგ-ტვილი ნაკვეთი . . . . .	1941	0,9918	12,7	6,8	22,0	—	—	1,10	—	—	—	—	5,43	—	
5 . . . . .	1947	—	11,6	4,96	78,8	—	—	0,5	—	—	—	0,74	—	—	

ქისის ღვინის სადესერტაციო შეფასებები, ქიმიური ანალიზების შედეგები და ორგანოლექტიური დახასიათებები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქისი უდავოდ მაღალხარისხოვანი ჯიშია და გამოსადეგია, პირველ რიგში, მშრალი კახური ტიპის სუფრის ღვინოების დასამზადებლად.

**ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება**

ქისი ნაკლებ გავრცელებული, მაგრამ პერსპექტიული ვახის ჯიშია. იძლევა მაღალხარისხოვან თეთრ სუფრის ღვინოს. გარდა სუფრის ღვინისა მისგან მზადდება კარგი ღვინოების უაღკოპოლო ყურძნის წვენი, გამოსაყენებელია აგრეთვე ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძნადაც. ქისი პერსპექტიულია აგრეთვე მაგარი და სადესერტო ღვინის დამზადების თვალსაზრისითაც.

ქისის ღვინო მაღალი ღირებებისაა, იგი ღია ჩალისფერია და მოოქროსფრო იერი დაჰკრავს. არომატი თავისებური და სასიამოვნო, გემო ნაზი, ჰარმონიული აქვს. ქისის ღვინო კახური ტიპისა მუქი ჩისფერია, გემოთი იგი უფრო სრულქმნილია, ვიდრე ევროპული ტიპისა.

ჯიშის დადებითი თვისებებია: ღვინის მაღალი ხარისხი, მისი ვარგისობა როგორც კახური, ისე ევროპული და სადესერტო ტიპის ღვინისათვის, ხოლო ნაწილობრივ ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძნად და უაღკოპოლო ყურძნის წვენისათვის.

ჯიშის უარყოფითი თვისებებია: საშუალოზე მცირე მოსავლიანობა, ნაცრისა და მარცვლების სიღამპლის მიმართ სუსტი გამძლეობა, განსაკუთრებით წვიმებიან ამინდში.

ეს უარყოფითი თვისებები ღვინის მაღალ ხარისხთან შედარებით არსებითი არ არის და ადვილი გამოსასწორებელია ჯიშისათვის შესაფერი ფორმირების გამომუშავებითა და ვენახების დროულად და ხარისხოვნად მოვლა-დამუშავებით — მოწინავე აგროწესების სრული გამოყენებით. სოკოვან ავადმყოფობათა, განსაკუთრებით ნაცრის წინააღმდეგ, საჭიროა ერთი დამატებითი წამლობის ჩატარება ავადმყოფობის გავრცელების კრიტიკულ მომენტში.

ქისი უდავოდ პერსპექტიული ჯიშია. იგი 1950 წლიდან მრავლდება წარმოების პირობებში შესაბამისად. ამის შემდეგ იგი წარდგენილ იქნება კახეთის სარაიონო სტანდარტულ ასორტიმენტში შესატანად და წარმოებაში დასაწერად.

ამის პარალელურად ჯიში ყოველწლიურად გამრავლდება კახეთისა და ქართლის მთავარ რაიონებში გამოსაცდელად შემდგომში მისი უფრო გაბედულად გავრცელების მიზნით.

რადგან ქისი შედარებით ადრე მწიფდება, იგი პერსპექტიულია საქართველოს მაღლობი ზოლისათვის, სადაც ადგილობრივი ჯიშები წლების განმავლობაში სრულ სიმწიფეს ვერ აღწევს, და აგრეთვე საბჭოთა კავშირის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მევენახეობის რაიონებში გამოსაცდელად.



Ջոնո—Կիսի



## К И С И

**Лист.** Вполне развитые листья (9—12 узлов) средних размеров (18,5×17,0 см.). Листовая пластинка округлая с незначительным варьированием в сторону овальной формы. Листья темнозеленые, обычно трехлопастные встречаются, но реже, и пятилопастные листья. Поверхность листа сетчато-морщинистая, реже она мелкопузырчатая. Листовая пластинка воронковидно-желобчатая, преимущественно на листьях верхнего яруса.

Верхние вырезки мелкие и средних размеров. Форма вырезок варьирует от открытых лировидных, до открытых овальных с однозубчатым дном. Чаще всего встречаются лировидные вырезки с узким устьем и острым либо однозубчатым дном, реже встречаются лировидные вырезки с почти параллельными сторонами, а еще реже — в виде входящего угла.

Нижние вырезки обычно слабее выражены, в большинстве случаев они мелкие, либо совершенно отсутствуют. Вырезки имеют форму входящего угла или они щелевидные.

Черешковая выемка по форме слабо варьирует. В большинстве случаев она имеет лировидную форму с заостренным либо ограниченным нервами дном, реже встречаются также выемки сводчатой формы. Иногда выемки снабжены одним или двумя шпорцами.

**Зубцы.** Чаще всего встречаются треугольные зубцы с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже куволообразные, а еще реже встречаются трехугольные зубцы с закругленной вершиной. Краевые зубцы лопастей по форме менее варьируют, в основном, они вилковидные, односторонне-выпуклые либо округло-вилковидные, которые обычно чередуются меж собой.

Опушение нижней поверхности листа хорошо заметное, паутиновое, с подстилающим коротким щетинистым пушком средней густоты, в целом опушение листа средней густоты. Главные нервы и их разветвления также опушены паутиновым пушком.

Черешок листа короче длины главной жилки либо равен ему. Опушение черешка слабое, паутиновое окраска зеленая либо слабо розовая, в особенности у основания.

**Цветок.** Цветок нормального строения, обоеполый. Тычинки прямостоячие. Число тычинок в цветке равно 5, реже оно достигает 6. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,25, реже это отношение достигает 1,50. Пестик правильной бутылевидной, либо узкоконической формы, часто с двураздельным рыльцем, столбик хорошо выражен.

**Гроздь.** Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует от 12 до 24 см, при ширине 5—12 см. Размер средней грозди равен 18×10 см. По форме грозди незначительно варьируют. Чаще всего грозди имеют коническую форму, реже встречаются грозди цилиндро-конической формы. Иногда грозди снабжены крылом, часто доходящим до половины размера основной грозди. Обычно, грозди средне-плотные, реже встречаются рыхлые, а еще реже — очень плотные. Осыпание и горошение ягод в грозди не наблюдаются. Вес грозди варьирует от 80 до 450 гр. Средний вес грозди равен 120—160 гр. Количество ягод в грозди варьирует от 60 до 300. В средней полноценной грозди весом 365 граммов количество крупных ягод составило 106, а средних 90, всего 196 ягод на гроздь. Ножка деревянистая, по окраске светло-зеленая, переходящая в светло-каштановый цвет. Длина ножки варьирует от 1,0 до 2,4 см, составляя в среднем 1,5 см. Ножка ягоды светло-зеленая, длиной 0,6—0,8 см. Подушечка бородавчатая, широко-конической-дисковидной формы, реже она бывает и узко-конической формы.

**Ягода.** Ягоды средних размеров. Длина ягод варьирует от 1,5 до 1,85 см, при ширине 1,45—1,63 см. Размер средней ягоды равен 1,75×1,54 см. Форма ягод овальная, реже встречаются ягоды и округлой формы. Наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды округлен. Окраска ягод зелено-желтая; благодаря наличию довольно густого воскового налета на ягодах, она принимает нежный, слизый оттенок. Часто ягоды, обращенные к солнцу, покрываются коричневыми пятнами загара. Кожица тонкая, легко рвущаяся. Мякоть средне-сочная, растекающаяся. Пруин на ягодах хорошо выражен. Вкус приятный, гармоничный. Специфический сортовой аромат ягод хорошо выражен. Прочность прикрепления ягод к ножке средняя. Количество семян в ягоде варьирует от 1 до 3, составляя в среднем 1,30 на ягоду.

**Семя.** Тело семени желто-бурого цвета, продолговато-округлой формы. Длина семени равна 7 мм при ширине 3,5 мм. Длина клювика равна 2 мм, при ширине 1,0—1,2 мм. Халаза не резко выражена, лежит в верхней части тела семени, по форме она овальная, несколько вдавленная посередине. Брюшная сторона семени вилеватая. Брюшные бороздки по обе стороны, горбинки довольно глубокие, тянутся параллельно одна с другой и теряются в клювике. Клювик цилиндрической формы, усеченный, несколько загнут на брюшную сторону. Окраска клювика светло-желтая с оранжевым оттенком.

Кисл перспективный, сорт белых столовых вин Кахетии.

Вино из Киси высокого качества, оно светло-соломенного цвета с золотистым оттенком. Аромат приятный, сортовой. Вкус нежный, гармоничный.

В прошлом Киси был более распространен, из него готовили вина как в чистом виде, так и в смеси с сортами Мцване, Ркацители и Хихви. Слава ахметских, вистаурских и ивалтинских вин близка сортам Мцване, Киси и Хихви, которые как в чистом виде, так и в смеси с Ркацители давали высококачественные столовые вина.


К положительным свойствам сорта относятся: высокое качество продукции, пригодность для разных типов вин — кахетинского, европейского, десертного и частично в качестве безалкогольного сока и столового винограда местного значения.

К отрицательным свойствам сорта можно отнести — его низкую урожайность, чувствительность к оидиуму и виноградной гнили, в особенности в дождливую осень.

Указанные недостатки свободно могут быть устранены применением передовой агротехники закладки и ухода за виноградником.

Киси наиболее перспективный сорт для столового виноделия Кахетии. С будущего года будет заложен большой сортоиспытательный участок для проверки его хозяйственных и технологических свойств в производственных условиях в целях введения его в районный стандартный сортимент винограда Кахетии и дальнейшего распространения. Сорт можно рекомендовать для основных виноградных районов Кахетии и Карталинии, а также для среднегорной зоны Грузии и южных виноградных районов СССР.





### ჩიტისთვალა

ჩიტისთვალა ნაკლებგავრცელებული ადგილობრივი ვაზის ჯიშია. იგი იძლევა ხარისხოვან თეთრ სუფრის ღვინოს.

**სინონიმები.** ნაკლებ გავრცელების გამო ამ ჯიშის სხვა სახელწოდება არც ადგილობრივ მევენახეთა შორის და არც მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი არ არის.

**ჯიშის ისტორია.** ჩიტისთვალა წარმომდგარია კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოქმნის ადგილობრივი კერიდან. თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებებით იგი მეტად ახლოს დგას კახეთის მთავარ საწარმოო ვაზის ჯიშებთან. ფოთლისა და მტევნის ფორმით იგი რქაწითელს მოგვაგონებს, ფოთლის შებუსვითა და შეფერვით — მწვანეს, ხოლო მარცვლის ფორმითა და გემოთი — ხიხვს. შეიძლება დავუშვათ, რომ შორეულ წარსულში მწვანეს, ხიხვს, ჩიტისთვალას და რქაწითელს საერთო წინაპარი ჰყავდათ, რომლისაგანაც შემდგომში ცალკეული ჯიშები გამოიყო. ჯიშის ხნიერების საკითხის განსაზღვრისათვის საჭირო მასალები, კერძოდ, მატერიალური კულტურის ძეგლები არ მოიპოვება. ამიტომ ჯიშის ხნიერების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ მიახლოებით და ისიც მორფოლოგიური ნიშნების სიძველის განსაზღვრის საფუძველზე. ამ მხრივ ჩიტისთვალას მორფოლოგიური ნიშნები (ფოთლის ქვედა მხარის შებუსვა, მრგვალი, წვრილი მარცვალი და სხვ.) საფუძველს გვაძლევს იგი რქაწითელსა და მწვანეზე უფრო ძველ ჯიშად მივიჩნიოთ.

ამრიგად, ჩიტისთვალა ადგილობრივ უძველეს ჯიშთა ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს.

სახელწოდება „ჩიტისთვალა“ ჯიშს შერქმეული აქვს მარცვლის ფორმისა და სიდიდის გამო. ჩიტისთვალას მარცვალი სხვა ჯიშებთან შედარებით მართლაც ჩიტის თვალივით მრგვალი და წვრილი აქვს.

ამჟამად ჩიტისთვალა მოიპოვება კახეთში, ძირითადად გურჯაანის, თელავისა და სიღნაღის რაიონებში, უფრო ხშირად ნარევის სახით. კახეთის სხვა რაიონებში ჩიტისთვალა უფრო იშვიათია, გვხვდება თითო-ორი ძირი მწვანისა და რქაწითელის ნარგავებში.

თუ ხიხვი უმთავრესად რქაწითელთან ერთად გვხვდება ნარგავებში, ჩიტისთვალა უფრო ხშირად მწვანის თანამგზავრია. ახლაც ჩიტისთვალა როგორც ძველ, ისე ნაშენ ვენახებში მწვანესთან ერთად არის გავრცელებული. მაგალითად, მუკუზნის საბჭოთა მეურნეობაში იგი მწვანის ნაკვეთშია გამორეული რამდენიმე ათეული ძირის რაოდენობით; წინანდლის კოლმეურნეობის ვენახში იგი ნაზერვის ჯგუფში — მწვანის ნაკვეთებში გვხვდება. ვაზისუბანში ჩიტისთვალა გვხვდება მწვანის საცდელ ნაკვეთში ნარევის სახითვე. ჩიტისთვალას მწვანესთან ერთად გავრცელება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ალბათ, ჩიტისთვალა, აუზგობესებდა მწვანის ღვინის ხარისხს.

ძველად ჩიტისთვალა უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, იგი გვხვდებოდა არა მარტო სხვა ჯიშებთან ნარევის სახით, არამედ მისი ცალკე ვენახებიც მოიპოვებოდა. ფილოქსერის გავრცელების შემდეგ იგი სწრაფად გადაშენდა, რადგანაც ფილოქსერას ვერ უძლებდა.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიშის ბოტანიკური აღწერა შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე სოფ. ვაზისუბანში.

**ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ).** ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი ორი ჯერ კიდევ გაუშლილი ფოთოლაკითურთ შებუსუსებულია სქელი ქეჩისებრი აბლაბუდით, შეფერილია თეთრი ფლანელისფრად და სუსტი მოღვინისფრო არშია აქვს ფოთოლაკებისა და გვირგვინის ირგვლივ. მეორე იარუსის ფოთოლაკების ზედაპირი, შებუსუსების შემცირების გამო, იღებს

მოყვითალო-მწვანე ფერს და მოვარდისფრო იერი ახლავს, ხოლო ფოთოლაკების ქვედა მხარე შებუსუსების შენარჩუნების გამო, მორუხო-თეთრი ფერისაა და ვარდისფერი იერი ახლავს ფოთლების ირგვლივ.

ერთწლიანი რქა. შემოდგომით ერთწლიანი რქები მოწითალო-წაბლისფერია და მოვარდისფრო იერი აქვს. მუხლები უფრო მუქად არის შეფერილი, ვიდრე მუხლთაშორისები. მუხლთაშორისები საშუალო ზომისაა (8—10 სმ). ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ სუსტადაა გამოსახული. <sup>მარცხენა</sup> ფოთლის ფირფიტა

ფოთლო. შუა იარუსის ფოთლები (9—12) საშუალო ზომისაა (19,5 × 20,0). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, უფრო ხშირად იგი ოვალურია, მაგრამ ოდნავ განიერი, ვიდრე მთლად ოვალური. ფოთლი მუქი მწვანეა. უფრო ხშირად იგი სამნაკვეთიანია, უფრო იშვიათად ხუთნაკვეთიანი ან თითქმის მთლიანი—დაუნაკვეთავი. შუა ნაკვეთი ხშირად ბლაგვია. ფოთლის ზედაპირი წვრილობურთულებიანია, იშვიათად ბადისებრ-დანაოკებულიც. იგი ბრტყელია, ხოლო ნაკვეთების ნაპირები ოდნავ ძირსაა დახრილი, მათვარი ძარღვები შებუსუსებულია სუსტი აბლაბუდისებრი ბეწვებით და ღია მწვანედაა შეფერილი.

ზედა ამონაკვეთების სიღრმე ნაკლებ ცვალებადობს. ამონაკვეთები უფრო ხშირად ზეზეურია, იშვიათად გვხვდება ოდნავ ჩაჭრილი ან საშუალო სიღრმის ამონაკვეთებიც. ამონაკვეთების ფორმა, მათი სიღრმის შესაბამისად, ცვალებადია. გვხვდება ოდნავ შესამჩნევიც და დახურული, კვერცხისმაგვარ თვლიანი ამონაკვეთებიც. უფრო ხშირად ამონაკვეთები ვიწროდ შეჭრილია ან ჩანგისებრი ფორმისაა და ვიწრო ყელი ან თითქმის პარალელური გვერდები აქვს. ფუძე ამონაკვეთებისა ხშირად მახვილია. ხანდახან ამონაკვეთები ფოთლის მხოლოდ ცალ მხარეზეა განვითარებული.

ქვედა ამონაკვეთები, წესებრივ, ყოველთვის ნაკლებ ღრავს, ხშირად სულ არ არის გამოსახული. უფრო ხშირად ამონაკვეთები ოდნავ შესამჩნევი ან კუთხისებრმ შეჭრილია, იშვიათად კი ჩანგისმაგვარი და თითქმის პარალელური გვერდები და მახვილი ფუძე აქვს.


ყუნწის ამონაკვეთის ფორმა ცვალებადია. გვხვდება ღია ჩანგისებრი და დახურული, ნაპრაღისებრთვლიანი ამონაკვეთებიც. უფრო ხშირად გვხვდება ღია თლისებრი ფორმის ამონაკვეთები, იშვიათად მახვილფუძიანი ჩანგისებრიც. უფრო იშვიათად გვხვდება აგრეთვე ცალ ან ორდუზიანი ამონაკვეთი ყუნწისა.

ფოთლის მთავარი ნაკვეთები ბოლოვდება გუმბათის ფორმის ან, იშვიათად, გამოზნექილგვერდებიანი და მახვილწვერიანი სამკუთხედისებრი ფორმის კბილებით. გვერდითი კბილები წახრილია, ფორმით სამკუთხედისებრია, გამოზნექილგვერდებიანი და მახვილწვერიანი, იშვიათად ხერხკბილისებრიცაა.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება საშუალო სისქისაა. იგი შედგება აბლაბუდისებრი ბეწვებისაგან და თხელი ჯაგრისებრი ბუსუსებისაგან. ამის გამო იგი თითის გადასმით ადვილად არ გადადის.

ფოთლის ყუნწი შუა ნაკვეთის მთავარ ძარღვზე უგრძესია ან, იშვიათად, მისი სიგრძისაა. ყუნწი შიშველია და ბაცი ღვინისფერია.

ყვავილი. ყვავილი ორსქესიანია, ნორმალური აგებულებისაა. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში ხუთი მტვრიანაა, ზოგჯერ გვხვდება ექვსიც. მტვრიანათა ძაფი სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან უდრის 1,0-ს. იშვიათად ეს შეფარდება აღწევს 1,25-ს. ბუტკო მომრგვალო-კონუსისებრი ფორმისაა, კარგად გამოსახული სვეტი აქვს და პატარა მომრგვალო ღინგი.



სურ. 7. ჩიტისთვალას ყვავილი.

მტევანი. მტევნები საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე მერყეობს 12-დან 22 სმ-მდე, ხოლო სიგანე—6-დან 12 სმ-მდე. საშუალო მტევნის ზომა უდრის 17 × 8 სმ-ს, უფრო ხშირად მტევნები მზრიანია და ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმისა. ხშირად მზრების სიგრძე ძირითადი მტევნის სიგრძის ნახევარს აღწევს. უფრო იშვიათად კონუსისებრი ფორმის მტევნებიც აღწევს. უფრო იშვიათად კონუსისებრი ფორმის მტევნებიც

გვხვდება. უმეტეს შემთხვევებში გვხვდება საშუალო სიმკვრივის და მკვრივი მტევნები, იშვიათად მეჩხერი ან ძლიერ მკვრივი მტევნებიც. წვრილი მარცვლების რაოდენობა მტევანში უმნიშვნელოა. მტევნის საშუალო წონა მერყეობს 120-დან 160 გრამამდე, ცალკეული კარგად განვითარებული მტევნების წონა 250—300 გრამს აღწევს. მარცვლების რაოდენობა მტევანში მერყეობს 80-დან 225-მდე და საშუალოდ 120—150-ს უდრის. მტევნის ყუნწი მწვანეა, გაუხვევებელი. შუა ნაწილიდან ფუძისაკენ იგი ხევდება და რქის ფერს იღებს. ყუნწის სიგრძე იცვლება 2-დან 4 სმ-მდე და საშუალოდ უდრის 2,5—3,0 სმ-ს. მარცვლის ყუნწი ღია მწვანეა, მისი სიგრძე უდრის 5—6 მმ-ს მარცვლის საჯდომი ბალიში ხორკლიანია და ფორმით განიერკონუსისებრია.

მარცვალა. მარცვალი საშუალოზე მცირე ზომისაა. მისი სიგრძე მერყეობს 1,2-დან 1,5 სმ-მდე, განი—1,1-დან 1,45 სმ-მდე. საშუალო მარცვალი 1,3 X 1,25 სმ ზომისაა. მარცვალი მომრგვალოა, შუაში უფრო განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვალი მომწვანო-ყვითელი ფერისაა. მარცვლის კანი თხელი და გამჭვირვალეა და ადვილად შორდება რბილობს. რბილობი საშუალო სიმკვრივისაა, ადვილად არ დნება პირში, არც წიპწები ეცლება იოლად. წვენი ტკბილია, გემო ნაზი, ჰარმონიული აქვს, კარგად გამოსახული ჯიშური არომატიანი. მარცვალი უხვადაა დაფარული ცვილისებრი ფიფქით, რელიც აძლევს მარცვალს ნაზ მორუხო ფერს. გადამწიფებისას მარცვლები ადვილად ჩამიჩდება მარცვალში მაგრად არის მიმაგრებული ყუნწზე და მოკრეფისას ადვილად არ ცვივა. წიპწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 4-მდე; უფრო ხშირად მარცვალში ორი-სამი წიპწაა, საშუალოდ კი ორი წიპწა მოდის მარცვალზე.

წიპწა. წიპწის სხეული მომრგვალო-ოვალური ფორმისაა, მისი შეფერვა მოყვანისფერია. წიპწის სიგრძე ნისკარტიანად უდრის 6,5—7,0 მმ-ს, ხოლო განი—3—3,5 მმ-ს. ქალაქა კარგადაა გამოსახული და წიპწის ზედა ნაწილშია მოთავსებული. მისი ფორმა ოდნავ ოვალური და შეზნექილია შიგნით. ლარტაფები ქალაქიდან ნისკარტისაკენ და განსაკუთრებით სხეულის ზედა ნაწილისაკენ კარგადაა გამოსახული. წიპწის მუცლის მხარე ქედიანია. მუცლის მხარის ლარები ვიწრო და ღრმაა, პარალელურად მიემართება ნისკარტისაკენ; ლარის ფუძე ნარინჯისფერია. ნისკარტი ცილინდრული ფორმისაა, ხორკლიანია და გეზადაა წაქრილი, ნისკარტის სიგრძე უდრის 1,5—2,0 მმ-ს, იგი ღია ნარინჯისფერია.

**ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება**

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, სოფ. კურდღელაურში, რომელიც 4 კილომეტრით არის დაშორებული ქ. თელავიდან.

თელავში ჩიტისთვალას სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა თერთმეტი წლის მანძილზე წარმოებული დაკვირვების მიხედვით მერყეობს 129 დღიდან 157 დღემდე, საშუალო ხანგრძლიობა უდრის 147 დღეს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად ცვალებადია აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც. იგი იცვლება 2,639 გრადუსიდან 3,191 გრადუსამდე, ხოლო თერთმეტი წლის საშუალო უდრის 3,008 გრადუსს.

სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზების დადგომის ვადები წლის მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად საგრძნობლად მერყეობს.

ამ ცვალებადობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ცნობები სავეგეტაციო პერიოდის და მისი ცალკეული ფაზების მიმდინარეობის შესახებ ქ. თელავში წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით:

**ჩიტისთვალას სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობა**  
ცხრილი 1

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	დაკვირვების წელი	ფაზების დადგომის თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დღეებში	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი კვირტის გაშლიდან სრულ სიმწიფემდე	შენიშვნა
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			
კახეთი. საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტი, ქ. თელავი	1938	21.IV	3.IV	11.VIII	15.IX	147	3,108,4	
	1939	21.IV	30.V	12.VIII	20.IX	152	3,183,3	
	1940	15.IV	6.VI	20.VIII	10.IX	148	3,039,1	
	1941	6.IV	28.V	5.VIII	10.IX	157	3,213,7	
	1942	27.IV	9.VI	20.VIII	20.IX	146	3,150,1	
საშუალო . . .	5 წლის	18.IV	8.VI	14.VIII	15.IX	150	3,139,9	
კახეთი. მევენახეობის ინსტიტუტი, ქ. თელავი	1943	26.IV	7.VI	13.VIII	25.IX	152	3,024,2	
	1944	25.IV	5.VI	15.VIII	20.IX	148	2,941,8	
	1945	30.IV	10.VI	20.VIII	5.IX	129	2,639,3	
	1946	19.IV	8.VI	13.VIII	10.IX	144	2,831,7	
	1947	3.IV	7.VI	15.VIII	5.IX	156	2,934,7	
	1948	27.IV	6.VI	14.VIII	13.IX	140	2,953,7	
საშუალო . . .	5 წლის	21.IV	7.VI	15.VIII	13.IX	145	2,887,5	

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, პირველი—საწყისი ფაზა უფრო უარყოფით ფარგლებში მერყეობს, ეიდრე მომდევნო—ყველაობისა და სიმწიფის დასაწყისი. რაც შეეხება სრული სიმწიფის ფაზას, მისი დადგონის ვადა 10 დღის ფარგლებში მერყეობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1945 და 1947 წლებში მის მეტად ნაადრევად, ნ სექტემბერს, მომწიფებას.

ყურძნის სრული დამწიფების დროის მიხედვით ჩიტისთვალა სიმწიფის მეორე პერიოდის ვადაში ჯიშია.

კახეთის კლიმატურ პირობებში ჩიტისთვალას ერთწლიანი ნაზარდი ყურძნის სრული დამწიფების მომენტისათვის თავისუფლად ასწრებს მომწიფებას, უკვე კარგადაა შემოსული და გახვევებული ხვდება ზამთრის ყინვებს.

ზემომოყვანილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ ჩიტისთვალას ერთწლიანი ნაზარდი თავისუფლად შეიძლება მომწიფდეს თელავზე უფრო გრილპავიან ადგილებში, რადგან ზოგიერთ წელს ჩიტისთვალა 130—140 დღეში, ე. ი. მრავალწლიურ საშუალოზე 7—10 დღით უფრო მოკლე დროში ასწრებს გეტაციის დამთავრებას.

ჩიტისთვალა საშუალო სიძლიერის ზრდა ახასიათებს. თანაბარ ეკოლოგიურ პირობებში საკოლექციო და სარეპროდუქციო ნაკვეთებზე ჩიტისთვალას ზრდის სიძლიერე სხვა ჯიშებთან შედარებით საშუალოდაა მიჩნეული.

მოსავლიანობა. ჩიტისთვალა ადრე იძლევა პირველ მოსავალს. სარეპროდუქციო ნაკვეთზე ჩიტისთვალას ნამყენებმა დარგვიდან მესამე წელს მოგვცა პირველი მოსავალი—130 მტევანი 42 ძირ ვაზზე, ე. ი. ნორმალური მოსავლის დაახლოებით მესამედი. მომდევნო მეოთხე წელს იმავე 42 ძირ ვაზზე მან მოიხსა 424 მტევანი, ანუ 10 მტევანი ძირზე, ხოლო ერთ რქაზე საშუალოდ მოვიდა 1,34 მტევანი. ამრიგად, ჩიტისთვალა მე-4—მე-5 წლიდან უკვე სრულ მოსავალს იძლევა.

ჩიტისთვალამ კარგი მოსავალი იცის. სარეპროდუქციო და საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვებით, მას მოსავლიანობის მხრივ კარგი მაჩვენებლები აქვს. მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 1-დან 2-მდე, ხოლო საშუალოდ იგი უდრის 1,4—1,5 მტევანს რქაზე. მტევნის საშუალო წონაა 120—160 გრამი. ცალკეული კარგად განვითარებული მტევნები 250—300 გრამს იწონის. საწარმოო და სარეპროდუქციო ნაკვეთებზე წარმოებული აღრიცხვის თანახმად ჩიტისთვალა ძირზე 1-დან 3 კილოგრამამდე ყურძენს იხსამს. ნაზურვეში და მუკუხნის საბჭოთა მეურნეობაში ძველ პატარა კვების არეზე მან 1,5 კილოგრამი მოიხსა საშუალოდ ძირზე, რაც ჰექტრებში გადაყვანილი შეადგენს დაახლოებით 70 ცენტნერს. ინსტიტუტის სარეპროდუქციო ნაკვეთზე 1943 წელს ძირზე მოიხსა საშუალოდ 1,450 გრამი 1946 წელს—1,650 გრამი, ხოლო 1947 წელს—960 გრამი და 1948 წელს—1,400 გრამი. ჩიტისთვალას მოსავლიანობის დასახასიათებლად ქვემოთ მოგვყავს სარეპროდუქციო ნაკვეთზე, ჩიტისთვალას 40 ძირზე, ჩატარებული აღრიცხვის შედეგები.

ცნობები ჩიტისთვალას მსხმოიარობის შესახებ

შეგნაზეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წყაროიანი რქების პროცენტი				მტევნების რიცხვი ერთ მოსავლიან რქაზე	მტევნების საშუალო რაოდენობა ერთ რქაზე	მტევნის საშუალო წონა	1 რქის მოსავალი გრამებით	გაფურქნის შემდეგ დატოვებული რაოდენობის რქაზე	გამთვლილი მოსავლიანობა 1 ჰექტრზე
	1 მტევნიანი	2 მტევნიანი	3 მტევნიანი	სულ						
კახეთი	29,35	52,09	1,2	82,64	1,45	1,20	145,0	174,0	41,000	71,34
შეგნაზეობის ინსტიტუტის სარეპროდუქციო ნაკვეთი	26,29	62,23	—	88,52	1,70	1,51	140	211,0	35,000	74,0

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ჩიტისთვალასათვის საკმაოდ მაღალი მსხმოიარობაა დამახასიათებელი: ორმტევნიანი რქების რაოდენობა თითქმის ერთიორად აღემატება ერთმტევნიანი რქების რაოდენობას. ამასთან, ოც-ოც ვაზიანმა ორმა რიგმა სხვადასხვა რაოდენობით მოიხსა იმის მიხედვით, თუ როგორ იყო დატვირთული ცალკეული ვაზები ამ ორ მეზობელ რიგში. გადაანგარიშებული მოსავალი ამ ორი რიგიდან საშუალოდ შეადგენს 72,5 ცენტნერს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გადაანგარიშებით მიღებული რაოდენობა მუდამ მეტია ფაქტიურ მოსავალზე, მაშინ ჩიტისთვალას საშუალო მოსავლად უნდა ჩავთვალოთ 60—70 ცენტნერი ჰექტარზე.

საკავებლის ცალკეულ რქებზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ფუძიდან რქების დაშორებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს მათს მსხმოიარობაზე. მაგალითად, ფუძესთან ახლო განწყობილი რქებზე განვითარებული რქები მსხმოიარობით არ ჩამოუვარდება ფუძიდან დაშორებულ რქებს.

ამ მხრივ ჩიტისთვალა საგრძნობლად განსხვავდება გრძელმეტევიანასა და რიგ სხვა ჯიშებთან შედარებით უფრო მეტ ყურძენს იხსამენ ფუძიდან დაშორებულ რქებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩიტისთვალა ფართობის ერთეულზე მეტ მოსავალს იძლევა, როცა იგი შემქიდრობებულად არის დარგული. მაგალითად, ინსტიტუტის ნაკვეთებზე იგი უფრო მეტს იხსამს, როცა დარგულია 2,15 მ<sup>2</sup> კვების არეზე და უფრო ნაკლებ, როცა 3,0 მ<sup>2</sup> კვების არეზეა დარგული. ეს იმით აიხსნება, რომ ჩიტისთვალა საშუალო სიძლიერით იზრდება და გადადებულ კვების არეს ჩვენი ჰავისა და ნიადაგის პირობებში სრულად ვერ იყენებს. ამიტომ ჩიტისთვალას ახალი ვენახები შემცირებული კვების არით (1,5 × 1,5 ან 1,5 × 1,25 მეტრზე) უნდა გაშენდეს. ამის შესაბამისად ვაზი უნდა გაიხსლას ქართული წესით — ცალმხრივ ან ორმხრივ შპალერზე. დატოვებული კვირტების რაოდენობა ზუსტად უნდა ეფარებოდეს ვაზის ზრდის სიძლიერეს. უხვი მოსავლის მისაღებად აღნიშნულის გარდა საჭიროა ვენახების დროული და ხარისხოვანი დამუშავება ჩვენი მოწინავე აგროწესების სრული გამოყენებით.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. ჩიტისთვალა საკმაოდ კარგად უძლებს სოკოვან ავადმყოფობებს. საწარმოო და საცდელ ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით ჩიტისთვალას შედარებითი გამძლეობა ნაცრის მიმართ შეფასებულია საშუალოდ, ხოლო მილდიუმის მიმართ საშუალოზე მეტად. ფილოქსერას ჩიტისთვალა მეტად სუსტად უძლებს, ადგილობრივ მევენახეთა გადმოცემით იგი სხვა ჯიშებზე უფრო ადრე გადაშენდა ვენახებში. ამ მხრივ იგი კახურ საფერავს უახლოვდება, სხვა ავადმყოფობათაგან ან მავნებლებისაგან სამეურნეო მნიშვნელობის დაზიანება დაკვირვებების წარმოების განმავლობაში შემჩნეული არაა. აღსანიშნავია, რომ ჩიტისთვალამ მაინც და მაინც არ იცის მარცვლის ღებობა: წვიმებიან ამინდებშიაც კი იგი სხვა ჯიშებთან შედარებით ნაკლებ ზიანდება სიღამპლისაგან.

### ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

მტევნისა და მარცვლების გარეგნული შეხედულებით, მისი მექანიკური შემადგენლობისა და წვეწის ქიმიური შემცველობის მიხედვით ჩიტისთვალა უდავოდ საღვინე ჯიშია.

მექანიკური შემადგენლობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ჩიტისთვალას მტევნისა და მარცვლების მექანიკური ანალიზის შედეგები.

ჩიტისთვალას მტევნის მექანიკური ანალიზის შედეგები

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მტევნის ზონა	მტევნის საშ. წონა	მარცვლების რაოდენობა მტევანში	მტევნის შემადგენელი ნაწილები %/0-ით					100 მარცვლის წონა	100 წიპწის წონა
				წვეწი და რბილობი	კლერტი	მარცვლები	კანი	წიპწა		
კახეთი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტი, ქ. თელავი, 1940 წ.	დიდი	211,0	203,0	78,24	4,6	95,4	12,8	4,36	99,4	3,6
	საშუალო	138,0	126,0	76,41	4,02	95,98	14,51	5,06	104,5	3,7
	მცირე	84,0	88,0	75,7	3,81	96,19	16,17	4,32	92,6	3,6

ყურძნის ლაბორატორიულ პირობებში გადამუშავებისას წვეწის გამოსავალი მტევნის ზომის მიხედვით მერყეობს 75% — 78%-ს შორის, ხოლო ჭაჭისა (კლერტით, ჩენჩოთი და წიპწით) 22% — 25%-ს შორის. მტევნის შემადგენელი ნაწილების გამოსავლიანობის მერყეობა დიდია, მაგრამ იგი არ ცდება ჯიშებშორისი მერყეობის საზღვარს. ნახევრად წარმოების პირობებში წვეწის გამოსავლიანობა უდრის 76%-ს, ხოლო ჭაჭისა 24%-ს.

ყურძნის წვეწის ქიმიური შემადგენლობა. ჩიტისთვალა ხასიათდება ბევრი შაქრის დაგროვების უნარით და მყავიანობის ზომიერი შენარჩუნებით. რთვლის პერიოდში ჩატარებული ანალიზების

მიხედვით მისი შაქრიანობა, ცალკეული წლების მიხედვით, 18,3%-დან 22,4%-მდე მერყეობს, ხოლო მჟავიანობა - 5%-დან 10%-მდე.

ცალკეული წლებისა და ადგილების მიხედვით ჩიტისთვალას შაქრიანობა და მჟავიანობა შემდეგი ფარგლებში მერყეობს:

ჩიტისთვალას ყურძნის შაქრიანობა-მჟავიანობა რთვლის პერიოდში



№	მცენარეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	რთვლის თარიღი	შაქრიანობა %-ით	მჟავიანობა %-ით	შენიშვნა
	კახეთი					
1	ს. ვახისუბანი, ინსტიტუტის ნაკვეთი	1936	25/IX	21,48	6,11	
2	მუკუხნის მფურნეობა, ზეგნის ნაკვეთი	1940	12/IX	22,8	6,58	
3	წინანდლის მფურნეობა, ნახურევი . .	1942	9/IX	20,1	8,0	
4	თელავი, ინსტ-ტის ნაკვეთი . . . . .	1943	5/X	19,1	7,25	
5	თელავი, ინსტ-ტის სარეპროდუქციო ნაკვეთი . . . . .	1944	11/X	22,4	7,5	
6	" " " " " " " " " " " " . . . . .	1945	8/X	19,2	9,4	
7	" " " " " " " " " " " " . . . . .	1946	11/IX	20,4	6,39	
8	" " " " " " " " " " " " . . . . .	1947	10/IX	20,0	5,9	
9	" " " " " " " " " " " " . . . . .	1948	15/IX	18,3	4,53	

შაქრიანობისა და მჟავიანობის რაოდენობა და მათი ურთიერთშეფარდება თამამად უზრუნველყოფს ჩიტისთვალასაგან ხარისხოვანი ღვინის მიღებას. ზემომოყვანილი შაქრიანობა არ არის ჩიტისთვალისათვის ზღვრული. რთვლის უფრო გვიან ჩატარების გზით შესაძლებელია საგრძნობლად გადიდდეს შაქრიანობა. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გადამწიფებისას ჩიტისთვალას მარცვლები ადვილად ჩამოიშლება, კიდევ უფრო მეტად შეიძლება შაქრიანობის გაზრდა იმ მიზნით, რომ ჩიტისთვალასაგან მაგარი და სადესერტო ტიპის ღვინო იქნეს დამზადებული. კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონებში, სადაც ჰავის პირობები უფრო ხელსაყრელია შაქრის დიდი რაოდენობით დაგროვებისათვის და ამასთან ერთად უკეთესი პირობებია ვაზზე დატოვებული მტევნების გადამწიფების მისაღწევად, მიზანშეწონილი იქნებოდა ჩიტისთვალას გამოყენება მაგარი და სადესერტო ტიპის ღვინის დასამზადებლად.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. ჩიტისთვალას ყურძნისაგან მზადდება ძირითადად მშრალი სუფრის ღვინო. ჩვეულებრივად იგი მწვანესთან, იშვიათად რქაწითელთან ერთად, იყო ვენახებში გაშენებული და მათთან ერთად წურავდნენ. ჩიტისთვალა ცალკე უფრო იშვიათად ჰქონდათ გაშენებული და უფრო იშვიათად ამზადებდნენ მისგან წმინდა ღვინოს. გურჯაანის რაიონში ბევრს ჰქონდა ჩიტისთვალას ვენახები, კარგ ღვინოს აყენებდა მისგან რაყდენ ლოლაძე გურჯაანში. ამ უკანასკნელის გადმოცემით ჩიტისთვალა მაგარ, სასმელად სასიამოვნო ღვინოს იძლეოდა.

ჩიტისთვალასაგან დამზადებული საცდელი ღვინო კარგი ღირსებისაა. იგი ღია ჩალისფერია. სხეული საშუალო, არომატი თავისებური, ჯიშური აქვს, გემო ნაზი და ჰარმონიული. მეტწილად, როგორც ზემოთაქც იყო აღნიშნული, ჩიტისთვალა მწვანის, იშვიათად რქაწითელის, ნარგავებში გვხვდებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩიტისთვალა აყვებდა და აღამაზებდა მწვანესა და რქაწითელის ღვინოებს. იმის დასადგენად, თუ რა გავლენას ახდენდა ჩიტისთვალა მწვანესა და რქაწითელზე, საჭიროა დამზადდეს საცდელი ღვინოები მწვანისა და რქაწითელისაგან ჩიტისთვალას სხვადასხვა რაოდენობით მიმატებით. მხოლოდ ამ წესით შეიძლება დაგროვდეთ ჩიტისთვალას მათთან გაშენების მიზანშეწონილობაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივი — კახური — წესით დაყენებული ჩიტისთვალა ცნობილი იყო, როგორც ხარისხოვანი ღვინო. არანაკლები ღირსების ღვინოს იძლევა იგი ევროპულად დაყენებისასაც. საცდელი ღვინოები უმთავრესად ევროპული წესით არის დამზადებული და შეფასებებიც ამ ტიპის ღვინოს ედება. ძველად და ახლაც ჩიტისთვალა უფრო სრულ და არომატულ ღვინოს კახური წესით დაყენების დროს იძლეოდა. სამწუხაროდ, ნარგავების სიმცირის გამო, ჩიტისთვალა სათანადოდ არ არის





ქართული  
ბიბლიოთეკა



ჩიტისვალი — ЧИТИСВАЛА



ჩიტისთვალა ზოდბისხეური—Читиствала Бодбиехური

შესწავლილი და მისი ყველა დადებითი თვისება სრულად გამოკლინებული, არც საკუთრად დაყენებისა და არც სხვა ჯიშის ყურძნთან მიმატების შემთხვევაში.

ჩიტისთვალას ღვინის ნიმუშები მევენახეობის ინსტიტუტთან არსებულ ჯიშობრივი ღვინოების ხარისხის შემფასებელი სადევუსტაციო კომისიის სხდომებზე მუდამ მაღალ ნიშნებს იღებდა და მიჩნეული იყო ხარისხოვან კარგ სუფრის ღვინოდ.

ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები მევენახეობის ინსტიტუტთან არსებული სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.



**ამონაწერები სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან**

№№	მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	სადევუსტაციო კომ. სხდომის თარიღი	ბალი (ნიშანი)	ღვინის ორგანოლექტიკური შეფასება
1	კახეთი მუკუხნის მეურნეობა . . . . .	1940	25/XII 1940	7,5	კარგად დაწმენდილი, ღია ჩალისფერი, სრული, შინაარსიანი ღვინო. აკლია სიხალისე, ჯიშური არომატი სუსტია.
2	წინანდლის მეურნეობა „ნაზრევი“ . . . . .	— 1941	10/I 1942	— 6,9	ღია ჩალისფერი, კარგად დაწმენდილი, ნახი, ჰარმონიული ღვინო სასიამოვნო ბილის არომატით.
3	მევენახეობის ინსტიტუტის ნაკვეთი . . . . .	— 1947	12/VI 1948	— 7,2	ჩალისფერი, ნახი, ხალისიანი, საშუალო სხეულიანი ღვინო სასიამოვნო სიტკბოთი.
4	მევენახეობის ინსტიტუტის სარეპროდუქციო ნაკვეთი . . . . .	— 1947	16/IV 1948	— 7,3	ღია ჩალისფერი, ნახი, ჰარმონიული ვერძული ტიპის სუფრის ღვინო. ემჩნევა ნახშირწყავა გაზი და მცირე სიტკბო

აღნიშნული დახასიათებები ეხება ვერძული წესით დაყენებულ ღვინოს. 1942 წელს კანურად დაყენებულ ღვინოს ჩიტისთვალას ღვინო ინსტიტუტის ნაკვეთისა არ იყო წარდგენილი სადევუსტაციო კომისიის სხდომაზე. იგი ღია ჩალისფერი, სრული, საშუალო სხეულიანი ღვინო იყო, კარგად გამოსახული სასიამოვნო არომატით. 1943 წელს საცდელად დაყენებულ იქნა ჩიტისთვალასაგან პორტვეინის ტიპის ღვინო, მას უდავოდ კარგი, ტიპისათვის დამახასიათებელი თვისებები ჰქონდა, მასში ჯიშის სასიამოვნო არომატი ძლიერ იყო გამოსახული, მაგრამ ცდები ამ მიმართულებით შემდეგ წლებში არ გაგრძელდებოდა.

დასასრულ, ღვინის ხარისხზე სრული წარმოდგენის მისაღებად და მისი ქიმიური ბუნების ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ჩიტისთვალას ღვინის ანალიზის შედეგები.

**ჩიტისთვალას ღვინის ქიმიური ანალიზის შედეგები**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მოცულობით %/°-ში	გ რ ა მ ე ბ ი ე ლ ი ტ რ შ ი											
				მქტრაქტი	ნაცარი	ნაცრის ტუტინობა	საერთო სიმკვამე %/100	მქროლავი სიმკვამე	არამქროლავი	ღვინის სიმკვამე	შაქარი %/100	გლიცერინი	ტანინი	pH	
კახეთი															
1 მუკუხნის მეურნეობა, ზეგანის ზვარი . . . . .	1939	0,9918	12,5	20,87	1,42	3,81	4,60	0,65	4,80	3,18	—	6,08	0,67	—	
2 ზეგანის ზვარი. წესი ვერძული . . . . .	1940	0,9930	13,82	—	—	—	5,73	0,6	—	2,01	—	5,61	0,15	3,21	
3 ზეგანის ზვარი. წესი კახური . . . . .	1940	0,9938	13,63	—	—	—	5,64	0,56	—	2,3	—	4,92	1,23	5,34	
4 წინანდლის მეურნეობა, ნაზრევის ზვარი . . . . .	1941	0,9906	12,0	19,67	1,77	3,6	5,58	0,58	—	3,20	1,3	6,91	0,57	—	
5 მევენახეობის ინსტიტუტი, სარეპროდუქციო ნაკვეთი . . . . .	1947	—	12,2	32,34	—	—	4,27	0,46	—	—	—	—	—	0,89	—

მოყვანილი ორგანოლექტიკური და ქიმიური დახასიათებების მიხედვით ჩიტისთვალა უდავოდ პერსპექტიული ჯიშია. მას შეუძლია მოგვცეს არა მარტო მაღალი ღირსების სუფრის ღვინო, არამედ, თუ

დაგვიანებით მოიკრიფება, კარგი მასალაც მაგარ და სადესერტო ღვინისათვის, განსაკუთრებით გურჯაანისა და სიღნაღის რაიონის ჰაერის პირობებში. საამისო თვისებები ჯიშს უდავოდ აქვს. ესენია: შაქრის დიდი რაოდენობით დაგროვების უნარი, სასიამოვნო ჯიშური არომატი და მიდრეკილება ყურძნის ადვილად დაჩამიჩებისა.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება



ჩიტისთვალა ნაკლებ გავრცელებული, მაგრამ პერსპექტიული ჯიშია. იძლევა ხარისხიან ღვინო სუფრის ღვინოს. ჩიტისთვალას ღვინო კარგი ღირსებისაა, იგი ღია ჩალისფერია, გამჭვირვალე, ხარისხიანი სასიამოვნო, ჯიშური აქვს, გემო ნაზი, ჰარმონიული. ასევე კარგი ღირსების სუფრის ღვინოს იძლევა იგი კახური წესით დაყენების დროსაც. კახური ტიპის ღვინოს უფრო მეტი სხეული და არომატი აქვს.

ძველად ჩიტისთვალას იყენებდნენ სხვა თეთრი ღვინოების გასაუმჯობესებლად. იგი ხშირად მწვანესთან, იშვიათად რქაწითელთან, ერთად იყო გაშენებული და ღვინოც მათთან ერთად მზადდებოდა.

ჯიშის დადებით თვისებას წარმოადგენს საშუალოზე მეტი მოსავლიანობა, ღვინის კარგი ხარისხი, ყურძნის ვარგისობა სხვადასხვა ტიპის — ევროპული, კახური, ნაწილობრივ მაგარი და სადესერტო - ღვინისათვის, მილდიუმისა და მარცვლების სიდამბლის მიმართ შედარებით კარგი გამძლეობა და მიდრეკილება ყურძნის ადვილად დაჩამიჩებისა.

ჯიშის უარყოფითი თვისებებია: სუსტი გამძლეობა ფილოქსერისადმი და ისიც, რომ ნაცარს კარგად ვერ უძლებს.

ორივე ეს ნაკლოვანება ადვილად შეიძლება გამოსწორებულ იქნეს: პირველი ფილოქსერისგამძლე საძირებზე მყნობის საშუალებით, ხოლო მეორე — ერთი დამატებითი წამლობით ნაცრიან წლებში.

ჩიტისთვალა უდავოდ პერსპექტიული ჯიშია. იგი 1950 წლიდან გაშენდება წარმოების პირობებში შესამოწმებლად, რის შემდეგ წარდგენილი იქნება კახეთის სარაიონო სტანდარტულ ასორტიმენტში შესატანად და გასავრცელებლად.

ამის პარალელურად იგი ყოველწლიურად უნდა გამრავლდეს კახეთისა და ქართლის რაიონებში გამოსაცდელად. ჯიში, როგორც საადრეო, პერსპექტივის მქონე აგრეთვე მალეობ ზონებში და საბჭოთა კავშირის მევენახეობის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში გასავრცელებლად.

## ЧИТИСТАЛА

Лист. Вполне развитые листья средних размеров (19,5 × 20 см). Пластинка листа округлая с незначительным варьированием — чаще в сторону поперек — овальной, нежели овальной формы. Число основных лопастей три, реже встречаются пятилопастные и почти цельные листья. Оконечная лопасть большей частью тупая. Поверхность листа мелко пузырчатая, реже сетчато-морщинистая. Листовая пластинка плоская с отогнутыми вниз краями лопастей. Главные жилки листа опушены слабой паутиной и окрашены в светло-зеленый цвет. Окраска листа темно-зеленая.

Верхние вырезки по глубине рассеченности листа варьируют от едва намеченных до средних. Чаще всего встречаются мелкие вырезки, реже — едва намеченные и средние. Форма вырезок, в соответствии с глубиной рассеченности листа, варьирует от едва намеченных до закрытых с яйцевидным просветом и одноступчатим дном. Чаще всего вырезки щелевидные с узким устьем либо с параллельными сторонами, притом дно вырезок почти всегда заостренное. Нередко вырезки развиты только на одной стороне листа.

Нижние вырезки, как правило, всегда менее глубокие, иногда они совершенно отсутствуют. Обычно, вырезки имеют форму входящего угла или едва намеченные, реже они лировидные с почти параллельными сторонами и заостренным дном.

Черешковая выемка по форме варьирует от открытых лировидных до закрытых с щелевидным просветом. Чаще всего встречаются открытые, глубокие, сводчатые выемки, реже — лировидные с острым дном. Очень редко встречаются черешковые выемки с одним или двумя шпорцами.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей куполообразные с широким основанием, реже треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной. Краевые зубцы наклонные, треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже они округло-пиловидные.

Опушение нижней поверхности листа паутинистое, средней густоты с примесью редкого щетинистого пушка, благодаря чему опушение не легко стирается пальцем.

Черешок листа длиннее серединой жилки, реже равен ему. Черешок голый и окрашен в слабо вишневый или красный цвет.

Цветок. Цветы нормального строения, обоеполые. Тычинки прямостоячие. Число тычинок в цветке равно пяти, реже встречаются цветки с шестью тычинками. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,0, реже оно достигает 1,25. Пестик правильной округло-конической формы, с хорошо выраженным столбиком и маленьким округлым рыльцем.

Гроздь. Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует от 12 до 22 см, ширина 4—6 см. Размер средней грозди равен  $17 \times 8$  см. Основная форма гроздей цилиндрико-коническая, крылатая. Нередко крылья достигают до половины и более размера основной грозди. Реже встречаются грозди конической формы с более или менее разветвленными лопастями. В большинстве случаев грозди средне-плотные и пластные, реже встречаются очень плотные и рыхлые. Горошение ягод в грозди незначительное. Средний вес гроздей варьирует от 120 до 160 г, отдельные полноценные грозди свободно достигают веса 250—300 г. Количество ягод в грозди варьирует от 80 до 225, составляя в среднем 120—150 ягод. Ножка грозди травянистая, она деревенеет от середины к основанию и окрашивается в цвет чубука. Длина ножки колеблется от 2 до 4 см, составляя в среднем 2,5—3,0 см. Ножка ягоды светло-зеленая. Длина ножки в среднем равна 5—6 мм. Подушечка бороздчатая, широко конической формы.

Ягода. Ягоды ниже средних размеров. Длина ягод варьирует от 1,2 до 1,5 см, при ширине от 1,1 до 1,45 см. Размер средней ягоды равен  $1,3 \times 1,25$  см. Форма ягод округлая. Наибольшая ширина ягоды лежит по середине, конец ягоды закруглен. Окраска ягод нежна и зелено-желтая. Кожинка тонкая, но прочная, просвечивающаяся и легко отделяющаяся от мякоти. Мякоть средне-плотная, расплывающаяся, несколько тягучая. Семена нелегко отделяются от мякоти. Сок бесцветный, сладкий. Вкус приятный, гармоничный, с хорошо развитым сортовым ароматом. Восковой налет на ягодах обильный, придающий ягодам нежный, сероватый оттенок. Ягоды легко измяты. Прочность прикрепления ягод к ножке вполне достаточная. Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4, чаще встречаются ягоды с 2—3 семенами. В среднем на ягоду приходится 2 семени.

Семя. Тело семени продолговато-округлой формы. Окраска тела семени коричневатая. Длина семени с клювиком равна 6,5—7,0 мм, при ширине 3—3,5 мм. Халаза хорошо выражена и лежит в верхней части семени. Форма халазы слабо-овальная, вдавленная внутрь. Ложбинки от халазы к клювику, а в особенности к верхней части тела семени хорошо выражены. Брюшная сторона тела семени килеватая. Бороздки тянутся параллельно к клювику; они узкие, глубокие, дно окрашено в оранжевый цвет. Клювик цилиндрической формы, бородавчатый, косо-усеченный. Окраска клювика светло-оранжевая. Длина клювика равна 1,5—2 мм.

Чистивала—малораспространенный но перспективный сорт белых вин Кахетии. Вино из Чистивала высокого качества; оно светло-соломенного цвета, прозрачное. Аромат приятный, сортовой. Вкус нежный, гармоничный. Высокого качества вино получается и при кахетинском способе выделки, оно характеризуется большой полнотой и гармоничностью.

К положительным свойствам сорта относятся: хорошая урожайность, высокое качество вина, пригодность его для разных типов вин—европейского, кахетинского и десертного. Сорт характеризуется также хорошей устойчивостью против милдью и виноградной гнили и склонностью к легкому заизюмливанию ягод.


К отрицательным свойствам сорта относятся слабая устойчивость против филлоксеры и недостаточная устойчивость против оидиума. Эти недостатки легко могут быть устранены—первый, прививкой на филлоксероустойчивые подвой, а второй—одним дополнительным лечением серой против оидиума.

Сорт безусловно перспективен. С 1950 года закладывается большой сортоиспытательный участок для проверки его хозяйственных свойств в производственных условиях. После проверки он будет представлен для введения в районный стандартный сортимент винограда Кахетии для его широкого распространения в производстве.

Параллельно с этим сорт ежегодно будет размножаться для испытания в основных районах Кахетии и Карталинии.

Чистивала, как сравнительно ранний (2 эпохи) сорт, перспективен для более возвышенной зоны Грузии и южных виноградарственных районов СССР.





ქართული  
ბიბლიოთეკა

### შავი ბუდეშური

შავი ბუდეშური ადგილობრივი იშვიათი, მაგრამ პერსპექტიული ვაზის ჯიშია. იგი იძლევა კარგი ღირსების სადესერტო ყურძენს.

სინონიმები. შვეენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ შვეენახეთა შორის შავი ბუდეშური აგრეთვე წითელი ბუდეშურის სახელწოდებითაცაა ცნობილი (ი. ბახტაძე, 1887 წ.).

ჯიშის ისტორია. შავი ბუდეშური ადგილობრივი ვაზის ჯიშია, იგი წარმომდგარია კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოქმნის ადგილობრივი კერიდან. ძირითადი მორფოლოგიური ნიშნებით შავი ბუდეშური მკვეთრად განსხვავდება თეთრი ბუდეშურისაგან, იგი, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებული, დამოუკიდებელი ვაზის ჯიშია. ერთი და იგივე სახელწოდება „ბუდეშური“ მათ აღბათ შეერქვათ მარცვლის ერთნაირი - ოვალური - ფორმის გამო. მართლაც სიტყვა ბუდეშური სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში შემდეგნაირად აქვს განმარტებული: „ბუდეშური ყურძენი მოგრძე მარცვალი“. სხვა მორფოლოგიური ნიშნებით შავ ბუდეშურს საერთო თითქმის არაფერი აქვს თეთრ ბუდეშურთან.

ილია ბახტაძეს (1887 წ.) წითელი ბუდეშურის სახელწოდებით ეს ჯიში დასახელებულიაქვს დასავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშებს შორის, ხოლო აკად. ივანე ჯავახიშვილის ცნობით, იგი მესხეთშიაც ყოფილა გავრცელებული. მართალია, მესხეთში ახლაც თითო-ორი მალღარი ვაზის სახით გვხვდება ბუდეშური, ოღონდ იგი თეთრია და არა წითელი. შეიძლება ძველად იქ წითელი ბუდეშურიც იყო გავრცელებული, შემდეგ მოისპო ისევე, როგორც სხვა მრავალი ჯიშიც და ჩვენამდე არ მოღწეულა.

სულხან-საბა ორბელიანის, ილია ბახტაძისა და ივ. ჯავახიშვილის ცნობებზე დაყრდნობით ბუდეშური ვაზის ადგილობრივ ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს, იგი საკმაოდ ძველი ჯიში ჩანს, რადგანაც ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში კარგად ცნობილი და გავრცელებული ყოფილა. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ იგი რამდენიმე საუკუნით უფრო ადრეც იქნებოდა გავრცელებული.

ამჟამად შავი ბუდეშური მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად კახეთში, მოიპოვება და მისი გავრცელების არეალი უმთავრესად თელავისა და გურჯაანის რაიონებით იფარგლება. ამ რაიონებში იგი თითო-ორი ვაზის სახით ახლაც გვხვდება კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე.

ძველად წითელი ბუდეშურის გავრცელების არეალი ვაცილებით უფრო ფართო იყო; იგი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდებოდა. ილია ბახტაძეს იგი აღნიშნული აქვს ყოფილ შორაპნის მაზრაში, აკად. ივ. ჯავახიშვილს - მესხეთში, საბას - ალბათ ქართლში და ასე შემდეგ.

მიუხედავად ჯიშის ფართო გავრცელებისა, საფიქრებელია, რომ მას მაინც დიდი ფართობი არ ეჭირა და გვხვდებოდა პატარა ვენახების, უფრო ხშირად კი რამდენიმე ძირის სახით საკარმიდამო ნაკვეთებზე. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საყურძნე ჯიშებს ჩვენში სამრეწველო მნიშვნელობა არ ჰქონდა და რგავდნენ რამდენიმე ძირს საქმელი ყურძნის მისაღებად. აქედან წარმოდგა საყურძნე ჯიშების საერთო სახელწოდება „სათვალიო“ და „საგობე“. მეორე მხრით, საქართველოს თითქმის ყველა კუთხის მთავარი საწარმოო ვაზის ჯიშები კარგ საქმელ ყურძენსაც იძლეოდა და ამიტომ თავისუფლად ეწეოდნენ და ახლაც ეწევიან საყურძნე ჯიშების მაგივრობას, ასეთია აღმოსავლეთ საქართველოში რქაწითელი და მწვანე, ხოლო დასავლეთ საქართველოში - კრახუნა, ციცქა, კამური, თეთრი ალადასტური და სხვები. კარგი თვისებების გამო შავი ბუდეშური ამჟამად საკმაოდაა გაშენებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შვეენახეობის ინსტიტუტში, მის ფილიალში და დასაყრდენ პუნქტებზე. გაშენებულია იგი თელავში, საკოლექციო და სარეპროდუქციო ნაკვეთებზე (200 ძირი), ვაზისუბანში, ზესტაფონში, ბაკურციხეში, შაუმთანში და სხვაგან.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიშის ბოტანიკური აღწერა შესრულებულია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტული ბაზაზე ს. ვახიშვიანში (გურჯაანის რაიონი).

ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ). მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინისა და ბირველი ორი ჯერ კიდევ გაუშლელი ფოთოლაკით შებუსუსებულია ყოველი მხრიდან სქელი აბლაბუდისებრი ბეწვებით, შეფერილია თეთრი ფლანელისფერად და მოვარდისფრო არშია აქვს ფოთოლაკების ირგვლივ. მეორე იარუსის ფოთლები — დაწყებული მეოთხიდან — კარგავს ფოთლის ზედა მხრიდან შებუსუსებას და იღებს მოყვითალო-მწვანე ფერს და მოვარდისფრო იერი ახლავს, ხოლო ქვედა მხრიდან ინარჩუნებს შებუსუსებას და ამის გამო მორუხო-თეთრი ფერისაა.

ერთწლიანი რქა. შემოდგომით, ყურძნის სრული დამწიფების დროისათვის, ერთწლიანი რქები მოყვითალო-წითელი ფერისა ხდება და, ამასთან, მოვარდისფრო იერი ახლავთ. მუხლთაშორისების სიგრძე 10—12 სმ-ს უდრის. მუხლები კარგადაა გამოსახული და უფრო მუქი ფერისაა, ვიდრე მუხლთაშორისები. ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ კარგადაა გამოსახული.

ფოთოლი. შუა იარუსის (9—12) ფოთლები საშუალოზე უფროსია ზომით (22×20 სმ). ფოთლის საერთო მოხაზულობა მომრგვალოა. ფოთლის მოხაზულობა მცირედ ცვალებადია და უფრო ხშირად ოვალური ფორმისაა იხრება. ფოთლის ზედაბირი გლუვია. უფრო ხშირად ფოთლები სამნაკეთიანია (სამყურიანი), იშვიათად ხუთნაკეთიანი და კიდევ უფრო იშვიათად სრულიად მათლიანი (თითქმის დაუნაკეთავე) ფოთლებიც გვხვდება. ფოთლის ფირფიტა სწორია, იშვიათად განუსაზღვრელად მიხრილ-მოხრილიც. შუა ნაკეთის კუთხე მუდამ ბლაგვია.

ზედა ამონაკვეთები საშუალო სიღრმისაა, იშვიათად იგი ზეზეურიცაა. ხშირად ზედა ამონაკვეთები დახურულია, კვერცხისებრი ფორმისაა და მომრგვალო ფუძიანი. იშვიათად ფუძე ერთკბილიანიცაა.

ქვედა ამონაკვეთები, როგორც წესი, უფრო ნაკლებ არის განვითარებული, ხშირად ღიაა და ლანცეტის ან შეჭრილი კუთხის ფორმა აქვს, იშვიათად ჩანგისებრი ფორმის ვიწროყელიანი ამონაკვეთებიც გვხვდება ან ამონაკვეთები შეჭრილკუთხიანი ფორმისაა.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა ნაკლებ ცვალებადია, ხშირად იგი ღია თაღისებრი ან კვადრატული ფორმისაა და მომრგვალო ფუძიანი; იშვიათად იგი ჩანგისებრი ფორმისაა და გამახვილებულ ან მომრგვალო ფუძიანი.

ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება სამკუთხედისებრი მახვილწვერიანი, იშვიათად აგრეთვე მომრგვალებულწვერიანი კბილებით. გვერდითი კბილები სამკუთხედისებრია, გამოზნექილგვერდებიანი და მახვილწვერიანი ან ცალმხრივ ამოზნექილგვერდიანი.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება თხელია, იგი შედგება აბლაბუდისებრი ბეწვებისაგან და თხელი ჯაგრისებრი ბუსუსისაგან.

ფოთლის ყუნწი შიშველია და იშვიათად ოდნავ შესამჩნევი ბუსუსითაა დაფარული. ყუნწის სიგრძე უდრის ან ოდნავ მეტია ფოთლის შუა ძარღვის სიგრძეზე.


ყუნწი მუქი ღვინისფერია, ალაგ-ალაგ მწვანეც. ხშირად ფოთლის ფირფიტა ყუნწთან სწორ კუთხეს ქმნის.

ყვავილი. ყვავილი ორსქესიანია. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში ხუთი, იშვიათად ექვსიც მტვრიანაა. მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან უდრის 1,25-ს, იშვიათად ეს შეფარდება 1,50-საც აღწევს. ბუტკო მსხლისებრი ან სურისებრი ფორმისაა, კარგად აქვს გამოსახული სვეტი და ღინგი.

მტევანი. შავი ბუდეშურის მტევანი საშუალო სიდიდისაა, მისი სიგრძე საშუალოდ მერყეობს 14-დან 22 სმ-მდე, ხოლო სიგანე — 8-დან 13 სმ-დე. საშუალო სიდიდის მტევნების ზომა 18×10 სმ-ს უდრის. მტევნის ფორმაც საკმაოდ ცვალებადია. უფრო ხშირად მტევნებს კონუსისებრი ფორმა აქვს, იშვიათად იგი დატოტვილი და მეჩხერიცაა. ხშირად მტევნები მხრიანებია. მხრების სიგრძე ძირითადი მტევნის სიგრძის მესამედს, ზოგჯერ ნახევარსაც აღწევს. უფრო ხშირად მტევნები მეჩხერია ან საშუალოდ შეკრული. მტევანში წვრილი მარცვლების რაოდენობა უმნიშვნელოა: ცალკეული წლების მიხედვით წვრილი, განუვითარებელი მარცვლების რაოდენობა მტევანში 5—10<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ს აღწევს. მარცვლების რაოდენობა მტევანში ცვალებადობს 60-დან 200 ცალამდე. კარგად განვითარებულ, 515 გრამიან მტევანში მსხვილი მარცვლების რაოდენობა 150 ცალს უდრიდა, ხოლო საშუალო ზომის მარცვლებისა 85-ს. სულ მტე-

ვანში 185 მარცვალი იყო. მტევნის ყუნწი ბალახისებრია, შუა ადგილიდან ფუძისაკენ იგი ხვედება და რქისფერად იღებება. მისი სიგრძე მერყეობს 5-დან 7 სმ-მდე და საშუალოდ უდრის 5,5 — 6,0 სმ-ს. მარცვლის ყუნწის სიგრძე მერყეობს 0,6-დან 0,9 სმ-მდე. მარცვლის საჯდომი ბალიში ვიწრო კონუსისებრი და ხორკლიანია, იშვიათად მას განიერი კონუსისებრი ფორმაც აქვს.

მარცვალი. მარცვლები საშუალოზე უფრო მსხვილი ან საშუალო ზომისაა. მარცვლის სიგრძე საშუალოდ მერყეობს 1,6-დან 2,0 სმ-მდე, ხოლო განი — 1,25-დან 1,65 სმ-მდე.



სურ. 8. შავი ბუფეშურის ყვავილი.

მარცვლის ზომა შეადგენს 1,75 X 1,35 სმ. მარცვლის ფორმა ოვალურია, იშვიათად მოგრძოცაა. მარცვლები ჩვეულებრივ სიმეტრიულია და შუა ნაწილი განიერი, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვალი მუქი ვარდისფერია, გადამწიფებისას თითქმის შავია. კანი თხელი აქვს და ძნელად შორდება მარცვლის რბილობს. რბილობი მკვრივია, მასთან მდნარი. წვენი უფერულია. ცვილისებრი ფიფქი მარცვალზე საკმაოდ სქელია. გემო სასიამოვნო, ჰარმონიული აქვს და საკმაოდ ხალისიანი. ჯიშური არომატი საკმაოდაა გამოსახული. მარცვლები საკმაოდ მჭიდროდაა მიმაგრებული ყუნწზე. წიპწების რაოდენობა მარცვალში ცვალებადობს 1-დან 4-მდე. მსხვილ საშუალო ზომის მარცვლებზე — 1,5. საშუალოდ მარცვალზე

მარცვლებზე საშუალოდ 2,5 წიპწა მოდის, ორ-ორი წიპწა მოდის.

წიპწა. წიპწის სხეული მომრგვალო-ოვალურია, შეფერვა ღია წაბლისფერი აქვს და მოწითალო იერი ახლავს. ნისკარტი ნარინჯისფერია. წიპწის სიგრძე უდრის 7 მმ-ს, ხოლო განი — 4 მმ-ს. ნისკარტის სიგრძე 2,0 მილიმეტრია. ქალაძა წიპწის ზედა ნაწილშია მოთავსებული. იგი ოვალური ფორმისაა და შუაში ჩაზნექილი. ღარტაფი ქალაძიდან წიპწის ზედა ნაწილისაკენ საკმაო ღრმა და განიერია, ხოლო ნისკარტისაკენ ვიწროა, ოღონდ კარგად შესამჩნევი. წიპწის მუცლის მხარე ქედია. მუცლის ღარები საკმაოდ ღრმაა, პარალელურად მიემართება ნისკარტისაკენ და მის დასაწყისში ქრება. ღარების ფუძე (ძირი) ნარინჯისფერადაა შეფერილი. ნისკარტი ვიწრო კონუსის ფორმისაა, ხორკლიანია და წვერი წაკვეთილი აქვს.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებულთა საქართველოს მეც. აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე, ს. კურდღელაურში, 4 კილომეტრის დაშორებით ქ. თელავიდან.

აქ სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობა შემდეგი თავისებურებით ხასიათდება. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა კვირტის გაშლიდან ყურძნის სრულ სიმწიფემდე ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად მერყეობს 127-დან 159 დღემდე, ხოლო ჯამი აქტიური ტემპერატურებისა — 2,612 გრადუსიდან 3,327 გრადუსამდე. დანარჩენი ფაზების მერყეობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია მათი მსვლელობა 10 წლის მანძილზე (იხ. ცხრ. 1).

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ცალკეული ფაზების დადგომის ვადები ძლიერ მერყეობს ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად. საერთოდ, სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დიდადაა დამოკიდებული საწყისი ფაზის დადგომაზე. რაც უფრო ნაადრევად იწყება კვირტის გაშლა, მით უფრო გრძელია სავეგეტაციო პერიოდი და, პირუკუ, რაც უფრო გვიან იწყება კვირტის გაშლა, მით უფრო მოკლეა სავეგეტაციო პერიოდი და ამის შესაბამისად აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც. ეს აიხსნება იმით, რომ ყოველი ცალკეული ფაზის მსვლელობისათვის საჭიროა განსაზღვრული დონე ტემპერატურისა, ურომლისოდ ფაზის გავლა ბრკოლდება ან ქიანურდება. ასე, მაგალითად, როცა 1947 წელს კვირტის გაშლა დაიწყო 1 აპრილს და გაგრძელდა 5 სექტემბრამდე, საჭირო შეიქნა 158 დღე და 2,966 გრადუსი სითბო ყურძნის სრულად დამწიფებისათვის, ხოლო, როცა კვირტის გაშლამ ერთი თვით დაიგვიანა და დაიწყო 1 მაისს, ყურძენი მაინც 5 სექტემბრისათვის დამწიფდა და მომწიფებისათვის საკმარისი აღმოჩნდა 127 დღე და 2,612° სითბოს ჯამი. აქედან ცხადი ხდება, რომ 1947 წლის აპრილის ტემპერატურის დონე საკმარისი არ აღმოჩნდა მომდევნო ფაზის მსვლელობისათვის. შედარებით ნაკლებ ცვალებადია ბოლო —



სრული სიმწიფის — ფაზა. იგი უმეტეს შემთხვევაში დგება 10—15 სექტემბერს. ამ ფაზის დადგომას ვადის მიხედვით შავი ბუდეშური სიმწიფის II პერიოდის ვაზის ჯიშებს მიეკუთვნება.



შავი ბუდეშურის სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	დაკვირვების წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის ვადები				სრული სიმწიფე	სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა	აქტიური ტემპერატურების ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	შენიშვნა
		ვერტიკალის დასაწყისი	ჰორიზონტის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე				
კახეთი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი	1939	23/4	30/6	19/8	10/9	140	2,878,8		
	1940	13/4	5/6	14/8	15/9	152	3,182,1		
	1941	5/4	28/6	3/8	10/9	158	3,230,5		
	1942	24/4	9/6	15/8	30/9	159	3,337,1		
	საშ.	17/4	18/6	13/8	16/9	152	3,144,6		
	1943	24/4	6/6	11/8	20/9	149	2,968,4		
	1944	22/4	4/6	20/8	15/9	146	2,917,1		
	1945	2/5	12/6	10/8	5/9	127	2,612,0		
	1946	17/4	5/6	17/8	10/9	146	2,861,7		
1947	1/4	2/6	7/8	5/9	158	2,966,1			
1948	22/4	4/6	8/8	16/9	147	3,036,7			
საშუალო	—	19/4	5/6	12/8	11/9	145	2,813,6		

კახეთის ჰავის პირობებში შავი ბუდეშურის ერთწლიანი (ნაზარდი) რქები ყურძნის სრული დამწიფების დროისათვის თავისუფლად ასწრებს მომწიფებას და კარგად შემოსული და გახვევებული ხედება ზამთარს. კარგად შემოდის ბუდეშურის რქები იმ რაიონებშიაც, სადაც სავეგეტაციო პერიოდი უფრო მოკლეა, მაგალითად, მესხეთში. იქ ჯიშთა გამოცდის ნაკვეთზე, სხვილისში (ახალციხის რ.), მისი ერთწლიანი ნაზარდი კარგად ასწრებს მომწიფებას. ყოველივე ეს საფუძველს იძლევა რეკომენდებულ იქნეს შავი ბუდეშური იმ რაიონებისათვის, სადაც სავეგეტაციო პერიოდი უფრო მოკლეა, ოღონდ თუკი ყურძნის დამწიფება უზრუნველყოფილი იქნება აქტიურ ტემპერატურათა ჯამით.

შავი ბუდეშურის ზრდის დონე ცვალებადია ჰავისა და ნიადაგის პირობების მიხედვით. კახურ საწარმოო ვაზის ჯიშებთან შედარებით, ზრდა-განვითარების თანაბარ პირობებში, შავი ბუდეშური თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე საშუალოდ ან საშუალოზე ოდნავ ძლიერად იზრდება.

მოსავლიანობა. შავი ბუდეშური ქართული ვაზის სხვა ჯიშების მსგავსად ადრე იძლევა პირველსა და აგრეთვე სრულ მოსავალს. მისი ნამყენები დარგვიდან მესამე წელს იძლევა პირველ მოსავალს, ხოლო მეოთხე და მეხუთე წლიდან უკვე სრულ მოსავალს გვაძლევს.

თელავსა და ვაზისუბანში საკოლექციო და სარეპროდუქციო ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვებების და აღრიცხვების მიხედვით შავი ბუდეშური საშუალო მოსავლის მომცემი ვაზის ჯიშია. მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს საშუალოდ 0,70-სა და 2,0 შორის, ხოლო მტევნის საშუალო წონა 120—250 გრამს შორის, მსხმოიარობის საშუალო კოეფიციენტი უდრის 1,0-ს, ხოლო მტევნის საშუალო წონა უდრის 160 გრამს. თუ საშუალოდ ძირზე ვივარაუდებთ 10—12 რქას, მაშინ ძირის მოსავალი გამოვა 1600—1900 გრამი, ანუ ჰექტარზე გადაყვანით 52,8-დან 63,3 ცენტნერამდე ჰექტარზე. ჯიშის მსხმოიარობის უფრო დეტალურად დაზისათვისათვის მოგვყავს ჩატარებული აღრიცხვის შედეგები ნეკზე და საკავებელზე მოსხმული და მოუსხმელი რქების განლაგების შესახებ. ამ აღრიცხვის მიხედვით უნაყოფო რქების რაოდენობა ვაზზე საშუალოდ აღწევს 25% -ს, ერთმტევნიანი რქები შეადგენს 38% -ს, ორმტევნიანები — 35% -ს, ხოლო სამმტევნიანები — 2,0% -ს. ამ აღრიცხვის მიხედვით შავი ბუდეშურის მოსავლიანობა შემდეგია:

მონაცემები შავი ბუდეშურის მსხმოიარობის შესახებ

ცხრილი 2

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების აღვნიშნული	მოსავლის წელი	ნაკეთიანი ულორტების %	მტევნების რიცხვი ერთ მანძ. რქაზე	მტევნების რიცხვი ერთ რქაზე	მტევნის საშ. წონა	ერთი რქის მოსავლიანობა	რქების რაოდენობა	
							100 მანძ. ცვლის წონა	100 წიპის წონა გრ-ში
1. ინსტიტუტის ექსპერ. ბაზა, ს. ვაზისუბანი (გურჯაანის რაიონი) . . . . .	1939— —1940	80	1,50	1,25	140	175	40,000	70
1. ქ თელავი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო და სარეპროდუქციო ნაკვეთი	1939— —1940	76	1,20	1,0	160	160	85,000	56,0

ცხრილში მოყვანილი მონაცემების მიხედვით შავი ბუდეშურის გაანგარიშებული მოსავალი მერყეობს 56-სა და 70 ცენტნერს შორის ჰექტარზე. ფაქტიური მოსავალი სარეპროდუქციო ნაკვეთზე 1942 წელს ძირზე შეადგენდა 1,700 გრამს, ხოლო 1948 წელს — 1552 გრამს, რაც 3,300 ძირზე შეადგენს პირველ შემთხვევაში 56 ცენტნერს, ხოლო მეორე შემთხვევაში 51,2 ცენტნერს ჰექტარზე.

შავი ბუდეშურის მოსავლიანობაზე გავლენას ახდენს აგრეთვე დაყვავილების ხარისხი. ამ მხრივ 3 ძირზე (სულ 40 თანაყვავილებზე) ჩატარებულმა აღრიცხვამ დაგვანახვა, რომ კოკრების რაოდენობა ცალკეულ თანაყვავილებში საშუალოდ მერყეობს 130-სა და 561-ს შორის, ხოლო მარცვლების რიცხვი გამონასკვის შემდეგ 85-სა და 138-ს შორის. კოკრების მთელი რაოდენობიდან (13.425) გამოინასკვა 3786 მარცვალი ანუ 28,2%, ხოლო კოკრების 71,8% ჩამოცვივდა. ამ რაოდენობით გამონასკვის შემთხვევაში ბუდეშურისათვის დამახასიათებელ მეჩხერ მტევნებს ვიღებთ. მტევნების ძლიერი სიმეჩხერის შემთხვევაში საჭიროა ყვავილობის დაწყებამდე ან მის დასაწყისში მოზარდი ულორტების წვეროების წაწყვეტა დაყვავილების უნარიანობის გასაღიღებლად.

სოკოვან ავადმყოფობათა და ზამთრის ყინვებისადმი გამძლეობა. შავი ბუდეშური სოკოვან ავადმყოფობებს საშუალოდ უძლებს. მაგალითად, ვაზისუბნისა და თელავის საკოლექციო ნაკვეთებზე ჩატარებული აღრიცხვის მიხედვით შავი ბუდეშური მილდიუმს სხვა ჯიშებთან შედარებით საშუალოდ უძლებს, ხოლო ნაცარს საშუალოზე უკეთესად. კარგად უძლებს იგი ვაზისუბანში ყურძნის ქიასაც: 1932 წელს ვაზისუბანში იგი სხვა ჯიშებთან შედარებით თითქმის არ დაზიანებულა ყურძნის ქიასაგან.

ზამთრის ყინვებს შავი ბუდეშური საშუალოდ უძლებს. მაგალითად, 1939—1940 წლის ზამთარში, როცა ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი ვაზისუბანში — 16°-მდე დაეცა და ამასთან ვაზის რქები დაქირბლოლი იყო, მოყინული კვირტების რაოდენობამ 12%-ს მიაღწია. ამავე დროს რქაწითელი მხოლოდ 4,3%-ით დაზიანდა, ხოლო სხვა ჯიშების (მხარგრძელის, ჟღისა და სხვების) დაზიანებული კვირტების რაოდენობა 20%-ს აღწევდა. გვალვას თელავსა და ვაზისუბანში, სადაც ვენახები არ ირწყვება, შავი ბუდეშური საშუალოდ უძლებს, ხანგრძლივი გვალვების დროს იგი სხვა კახურ ჯიშებზე მეტად არ ზიანდება.

ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

მტევნისა და მარცვლების გარეგნული შეხედულება, მათი მექანიკური შემადგენლობა და აგრეთვე წვენის ქიმიური შემადგენლობა გარკვეულად მიგვითითებს შავი ბუდეშურის სადესერტო ყურძნად გამოყენების მიზანშეწონილობაზე.

ჯიშის მექანიკური შემადგენლობის დახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია თელავისა და ვაზისუბნის ნაკვეთების ყურძნის ანალიზის შედეგები.

შავი ბუდეშურის ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგები

ცხრილი 3

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების აღვნიშნული	მოსავლის წელი	მარცვლების რიცხვი ერთ მანძ. ცვლაზე	მტევნის საშუალო წონა	მტევნის შემადგენელი ნაწილები %-ით				წყენი და რბილობა	100 მანძ. ცვლის წონა	100 წიპის წონა გრ-ში
				კლერტი	მარცვალი	ძანი	წიპა			
ვაზისუბანი, გურჯაანის რაიონი, სოფ. ვაზისუბანი . . . . .	5 წლის საშუალო	70,0	165,25	3,16	96,84	9,3	2,11	85,43	227,5	3,11
თელავის რაიონი, ს. კურდღელაძის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი . . . . .	1947	84,0	154,00	4,3	95,7	10,25	2,80	82,65	—	—



შავი ბუდეშური — შავი Бუდეური





მც

წითელი ბუდეშური—Цители Будешури



ყურძნის წვენი ს ქიმიური შემადგენლობა. შავი ბუდეშური სასუფრე ვაზის სხვა ჯიშებთან შედარებით მაღალი შაქრიანობით ხასიათდება, ასეთი მაღალი შაქრიანობა, მეტადრე შაქრიანობის შეფარდება მჟავიანობასთან, არ არის დამაკმაყოფილებელი წესიერი სუფრის ღვინის მისაღებად. შავი ბუდეშურის მიერ შაქრის დაგროვების უნარიანობისა და ცალკეულ წლებში მისი ცვალებადობის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია მრავალი წლის განმავლობაში რთელის დროს მისი შაქრიანობა-მჟავიანობის მაჩვენებლები (იხ. ცხრ. 4).

საქართველოს  
სოციალისტური  
რევოლუციისათვის

**შავი ბუდეშურის წვენი შაქრიანობა-მჟავიანობა რთელის დროს**

ცხრილი 4

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	წელი	რთელის თარიღი	შაქარი %/‰-ში	მჟავიანობა %/‰-ში	შენიშვნა
კახეთი					
მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთი თელავსა და ვახისუბანში	1940	15/IX	18,0	4,66	ს. ვახისუბანი
	1941	10/IX	17,0	4,74	" "
	1942	30/IX	16,16	6,43	" "
	1943	20/IX	17,2	5,5	ქ. თელავი
	1944	28/IX	16,1	6,8	" "
	1945	10/X	18,8	4,68	" "
	1946	16/IX	18,5	5,15	" "
	1947	10/IX	17,5	5,2	" "
	1948	21/IX	17,0	4,0	" "

როგორც ცხრილიდან ჩანს, შავი ბუდეშურის შაქრიანობა მერყეობს 16%—18,8%-ს შორის, ხოლო მჟავიანობა 4‰-დან 6,8‰-მდე იცვლება.

შაქრის ეს რაოდენობა სავსებით საკმარისია სასუფრე ყურძნისათვის; ამ ჯიშების უმეტესი ნაწილის შაქრიანობა საშუალოდ 15—17%-ს შეადგენს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია რთელის რამდენიმე დღით დაგვიანებით შაქრიანობის გადიდება, მაგრამ მას მოსდევს შაქრიანობის დაცემა, რაც უდავოდ იმოქმედებს ყურძნის გემოვნებითს თვისებებზე, ეს კი სადესერტო ყურძნისათვის მთავარია.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. შავი ბუდეშურის ყურძენი იმპარება ძირითადად ადგილობრივად. იგი უდავოდ მაღალხარისხოვანი სადესერტო ყურძენია. და მართლაც, მისი მეჩხერი ან ოდნავ შეკრული მტევნების ღამაში გარეგნული შეხედულება, მარცვლების ოვალური ფორმა, მუქი ვარდისფერი შეფერვა და მისი მარცვლის ნაზი, ჰარმონიული გემო შავ ბუდეშურს კახეთის სასუფრე ჯიშებში პირველ ადგილზე აყენებს. მეტიც შეიძლება ითქვას, იგი გაცილებით უკეთესია დასავლეთ ევროპის რიგ სასუფრე ყურძნის ჯიშებზე და მსოფლიო ასორტიმენტის მხოლოდ რამდენიმე ჯიშს ჩამოუვარდება სამეურნეო ნიშან-თვისებათა კომპლექსის მიხედვით.

შავი ბუდეშური შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

1. მტევანი. კარგად განვითარებული მტევანი საშუალოზე დიდი ზომისაა. მისი სიგრძე უდრის 20 სმ-ს, ხოლო განი — 12 სმ-ს. მტევნის სიმეჩხრე, ღამაში გარეგნული შეხედულება, მსხვილი მარცვლების სიჭარბე საშუალოებთან შედარებით და წვრილი მარცვლების უმნიშვნელო რაოდენობა შავ ბუდეშურს მიმზიდველ ჯიშად ხდის.

2. მარცვალი. მარცვლების უმრავლესობა საშუალოზე მსხვილია, მარცვლის სიგრძე უდრის 1,75 სმ-ს, ხოლო განი — 1,35 სმ-ს. მისი ფორმა ოვალურია, იშვიათად მოგრძო მარცვლებიც გვხვდება. სავსებით მწიფე მარცვლები მუქი ვარდისფერია. მარცვლების არათანაბარ სიმწიფეს ერთგვარი სიჭრელე შეაქვს მტევნის მთლიან შეფერვაში, ხოლო თხელი ცვილისებრი ფიფქი ერთგვარ სინაზეს აძლევს მარცვლების ფერს. კანი თხელი აქვს, იგი ადვილად არ შორდება რბილობს, რბილობი მკვრივი ან საშუალო სიმკვრივისაა, მდნარი, წიბწა ადვილად ეცლება რბილობს. მარცვალში საშუალოდ 2 წიბწაა.

3. გემო. ბუდეშურის მარცვლებს მეტად სასიამოვნო და ჰარმონიული გემო აქვს. სადევუსტაციო კომისიის სხდომებზე იგი მუდამ მაღალ შეფასებას იღებს და მომხმარებელთა ვიწრო წრეში დიდ მოწონებას იმსახურებს. წვენი შაქრიანობა მერყეობს 16%—19%-ს შორის, ხოლო მჟავიანობა 4‰-დან 7,0‰-მდე იცვლება.

4. პრომატი ნაზი და სასიაზოვნო აქვს, იგი მკვეთრად არაა გამოსახული, მაგრამ საკმარისია ჯიშის დახურულად გამოსაცნობად.

5. ტრანსპორტაბელობა. ტრანსპორტის ამტანობის შესაფასებლად გარდა გამოცდის შედეგად მიღებული უშუალო შედეგებისა, მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, თუ რამდენად სწყდება მარცვლი ყუნწს და რამდენად იკვლიტება იგი. ამის გასარკვევად მოგვყავს ცნობები ცალკეული წლების მიხედვით.

უკრძნულო

**შავი ბუდეშურის მარცვლების წინააღმდეგობა მოწყვეტისა და გაქვლეტის მიმართ (გრამებით)**

№ რიგზე	მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მოწყვეტის წინააღმდეგობა გრამებით	გაქვლეტის წინააღმდეგობა გრამებით	№ რიგზე	მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მოწყვეტის წინააღმდეგობა გრამებით	გაქვლეტის წინააღმდეგობა გრამებით
	კახეთი								
1	გურჯაანის რაიონი . . . . .	1934	243	736	4	თელავის რაიონი . . . . .	1941	194	864
2	ს. ვახისუბანი . . . . .	1939	277	890	5	ს. კურდღელაური . . . . .	1942	180	765
3		1940	312	914					

1942 წელს ჩატარებული დაკვირვების მიხედვით მარცვლების წინააღმდეგობა მოწყვეტისადმი ცალკეული მარცვლებისათვის მერყეობდა 120 გრამიდან 256 გრამამდე და საშუალოდ 50 ცალ მარცვლისათვის უდრიდა 180 გრამს, ხოლო გაქვლეტის წინააღმდეგობა მერყეობდა 650 გრამიდან 945 გრამამდე და უდრიდა საშუალოდ 765 გრამს.

ყურძნის ტრანსპორტაბელობის დასადგენად 1938 წლის 23 სექტემბერს გადაგზავნილ იქნა 2 ყუთი შავი ბუდეშურის ყურძენი: პირველი 4,880 კგ წონისა, ხოლო მეორე 5,190 კგ წონისა ქ. კიროვბადაში მევენახეობის საცდელ სადგურზე. 27 სექტემბერს ყუთები მიიღეს კიროვბადაში. ერთი მათგანი გახსნეს იქვე და გაუკეთეს ანალიზი, მეორე კი უკანვე გადმოგზავნეს ქ. თელავში. თელავში ეს ყუთი მიიღეს 12 დღის შემდეგ, მიღებისთანავე გახსნეს და გაუკეთეს ანალიზი. შედეგები მოყვანილია ცხრილში.

**შავი ბუდეშურის ყურძნის ტრანსპორტის ამტანობის გამოკვლევის შედეგები**

	გაგზავნისა და მიღების ადგილი	გაგზავნის და მიღების თარიღი	ყუთის წონა კგ-ში	მოწყვეტის წინააღმდეგობა	გაქვლეტის გამძლეობა გრ-ში
1	ქ. თელავში გაგზავნის წინ . . . . .	1938 23, IX	4,880	171,0	70,9
2	ქ. კიროვბადაში მიღების შემდეგ დანაკარგები . . . . .	27, IX	4,710	136,0	563,0
		4 დღეში	170	35,0	146,0
3	ქ. თელავში გაგზავნის წინ . . . . .	23, IX	5,190	171,0	70,9
4	ქ. თელავში დაბრუნების შემდეგ დანაკარგები . . . . .	5, X	4,972,0	47	180
		12 დღეში	218,0	124	629

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, 12 დღის ტრანსპორტირების შემდეგ მკვეთრად შემცირდა მოწყვეტისა და გაქვლეტის წინააღმდეგობა. ამდენად ბუდეშურის ყურძენი შორეული ტრანსპორტისათვის გამოუსადეგარად უნდა იქნეს მიჩნეული.

6. შენახვის უნარიანობა. მტევნები ადგილობრივი წესით (ჯაგნებად სვეზე ან თოკზე ასხმული ან კიდევ ჩხების სახით აჭრილი) საკმაოდ დიდხანს და კარგად ინახება. ამ წესით შავი ბუდეშურის ყურძენი თავისუფლად ინახებოდა მეორე წლის გაზაფხულამდე, ზოგიერთ წლებში მაისამდეც კი. შავ ბუდეშურს შენახვის უნარიანობა უფრო მაღალი აღმოაჩნდა, ვიდრე ცნობილ სასუფრე ჯიშს შირაზულს (თავრიზს). თაროებზე დალაგებულმა და ისე შენახულმა შავმა ბუდეშურმა 44 დღის განმავლობაში დაკარგა წყლის აორთქლების გამო წონის 34,1%, ხოლო დამბალი მარცვლების გამოცდის გამო — 17,1%, სულ

51,2<sup>0</sup>/<sub>0</sub>., ამგვარადვე შენახულმა შირაზულმა 33 დღის განმავლობაში დაკარგა წყლის აორთქლების გამო 33,5<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ხოლო მარცვლების დაღობის გამო 19,7<sup>0</sup>/<sub>0</sub>, სულ 53,2<sup>0</sup>/<sub>0</sub>. ამის მიხედვით შავი ბუდეშური შენახვის შედეგებით კარგ უნარიანად უნდა ვცნოთ.

7. ჯიშის საერთო შეფასება. შავი ბუდეშური პერსპექტული სასუფრე ყურძნის ჯიშია. თავისი საგემოვნო თვისებებითა და მტევნებისა და მარცვლების სიდიდით იგი უახლოვდება კახეთის მარცვლების სახით გაშენებულ ჯიშს შირაზულს (თავრიზს). შირაზულს ის უპირატესობა აქვს, რომ უკეთ იტანს ტრანსპორტს და წვენიც უფრო მეტად შექრიანი აქვს. სხვა მხრივ შავი ბუდეშური სჯობნის შირაზულს. ჩვეულებრივი წესით გაშენებული (ცალმხრივ შპალერზე) შავი ბუდეშური გაცილებით მეტ მოსავალს იძლევა, შედეგებით უფრო ადრე მწიფდება, მის მტევანს წვერილმარცვლიანობა არ ახასიათებს, უფრო მეტი წვენი აქვს და უფრო ნაკლები მაგარი ნარჩენები (კლერტი, კანი, წიბწა). ყველა ამასთან შავი ბუდეშური უფრო სახალისო საქმელია და მარცვლების სიღამბლევ ნაკლებად იცის.

შავი ბუდეშური გამოცდილ იქნა აგრეთვე სუფრის ღვინის დასამზადებლად. არც კახური წესით და არც ევროპულად დაყენებული შავი ბუდეშურის ღვინო მაღალი ღირსებისა არ არის. ჭაჭაზე დაყენებული იგი სუსტად შეფერილი ვარდისფერია. არომატი სუსტად აქვს გამოსახული და ნაკლებმინაარსიანი, მცირესხეულიანი, ორდინარული ღვინოა. გამოსადეგია კუბაქისათვის ზედმეტსხეულიანი კახური ტიპის ღვინოების გასაუმჯობესებლად ან მეორე გადაღების შემდეგ სარეალიზაციოდ. ღვინის ქიმიური ბუნების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ანალიზის შედეგები.

**შავი ბუდეშურის ღვინის ქიმიური შემადგენლობა**

ღვინის დაყენების ადგილი და წესი	მოსავლის წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მოც. %/0-ში	გრამებში					
				საერთო სიმკვავე	მკროლავე სიმკვავე	ღვინის მკვავე	ტანინი	გლიცერინი	
კახეთი									
თელავი, ევროპული წესი . . . . .	1940	0,9927	8,9	5,08	0,54	1,05	0,17	4,25	3,21
თელავი, კახური წესი . . . . .	1940	0,9942	8,1	4,42	0,43	1,0	1,0	5,01	3,41

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ბუდეშურის ღვინო ალკოჰოლსა და სიმკვავეს მცირე რაოდენობით შეიცავს, მასთან, იგი მცირესხეულიანია. ამის გამო იგი არ გამოდგება დასაძველებლად ან ხანგრძლივად შესანახავად. იგი მოხმარებულ უნდა იქნას ახლობაში, მეორე გადაღებიდანვე.

**ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება**

შავი ბუდეშური ნაკლებ გავრცელებული, მაგრამ პერსპექტული ჯიშია. იგი იძლევა მაღალი ღირსების მქონე სუფრის ყურძენს. ყურძენს ლამაზი გარეგნული შეხედულება და ნაზი და სასიამოვნო გემო აქვს.

ჯიშის დადებითი თვისებებია: იგი საადრეოა, ყურძენი ადრე მწიფდება, ვაზი შედეგებით კარგად უძლებს სოკოვან ავადმყოფობებს, მტევნებსა და მარცვლებს ლამაზი გარეგნული შეხედულება აქვს, მაგარი ნარჩენები (კლერტი, კანი, წიბწა) მცირე რაოდენობით აქვს და ყურძენი კარგად ინახება.

ჯიშის უარყოფითი თვისებები შემდეგია: მოსავალი მხოლოდ საშუალო იცის, ყურძენი გადაზიდვას ცუდად იტანს, მარცვლები არათანაბრად მწიფდება. აღნიშნულ ნაკლოვანებებთან პირველი შედეგებით ადვილად შეიძლება გამოსწორებულ იქნეს ვენახის დროული და კარგი მოვლა-დამუშავებით და ჯიშისათვის შესაფერი გასხვლისა და ფორმირების წესის შემოღებით. მეორე ნაკლი თანამედროვე პირობებში, ტრანსპორტირების გაუმჯობესებასა და საავიაციო ხაზების გაფართოებასთან დაკავშირებით თავიდანაა აცილებული. ყურძნის სინაზე, პირიქით, დადებით თვისებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ტრანსპორტის ამტან ჯიშებს რბილობთან (ხორცთან) შეზრდილი სქელი კანი და მკვრივი, საღებუ, ნაკლებ სასიამოვნო რბილობი აქვს. არათანაბარი სიმწიფე მარცვლებისა მკვეთრად არა აქვს გამოსახული შავ ბუდეშურს. ამასთან, კარგად მომწიფებულ მტევანში ცოტაოდენი კარგად მოუწვეველი მარცვლების უფრო მეტი სიმკვავე ხშირად სასიამოვნოც კი არის.

უველა ამის გამო შავი ბუდეშური უდავოდ პერსპექტივიანი ვაზის ჯიშია. იგი გამოცდის გარდა შეიძლება დაინერგოს წარმოებაშიც. მომავალში იგი გაშენდება დიღმის საბჭოთა მეურნეობაში წარმოების პირობებში შესაძლებლად და შესაფასებლად.

ამის პარალელურად ინსტიტუტის ნარგავებიდან ყოველწლიურად უნდა დამზადდეს საკვირტე მასალა თითოპექტარიანი საცდელი ვენახების გასაშენებლად კახეთისა და ქართლის ძირითად რაიონებში. მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელი იქნება ჯიშის უფრო ზუსტი დარაიონება აღმოსავლეთ საქართველოს პირობებისათვის.

ჯიში პერსპექტულია აგრეთვე დასავლეთ საქართველოსათვის და საბჭოთა კავშირის მევენახეობის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონებისათვის.

## ШАВИ БУДЕШУРИ

Лист. Листья среднего (9—12) яруса крупных размеров (22×20). Очертание листовой пластинки в общем округлое, с незначительным колебанием, чаще в сторону овальной, нежели поперек-овальной формы. Поверхность листа обычно гладкая—признак, характерный для сорта. В большинстве случаев листья трехлопастные, реже встречаются пятилопастные, а еще реже почти цельные (листья). Угол оконечной лопасти, обычно, тупой. Листовая пластинка плоская, реже она имеет неопределенно-изогнутую форму.

Верхние вырезки средних размеров, реже они бывают мелкими. В большинстве случаев верхние вырезки бывают закрыты и имеют яйцевидную форму с округлым, реже однозубчатым дном. Очень редко встречаются также открытые лировидные вырезки с округлым дном.

Нижние вырезки обычно слабее выражены. Чаще всего они открытые, щелевидные, реже лировидные с узким устьем либо в виде входящего угла.

Черешковая выемка по форме слабо варьирует, обычно, черешковая выемка открытая, сводчатая либо квадратная с округлым дном, реже встречаются лировидные выемки с заостренным либо с округлым дном.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей, обычно, треугольные с острой вершиной, реже они бывают треугольные с закругленной вершиной. Краевые зубцы треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной либо односторонние выпуклые.

Опушение нижней поверхности листа слабое паутинистое с едва заметным редким щетинистым пушком.

Черешок листа голый, реже с едва заметным пушком. Длина черешка равна или несколько больше длины срединного нерва. Черешок окрашен в темно-виново-красный цвет с прозеленью. В большинстве случаев черешок образует с пластинкой листа прямой угол.

Цветок. Тип цветка нормальный, обоеполый. Тычинки прямостоячие. Количество тычинок в цветке пять, реже шесть. Отношение длины тычиночных нитей в высоте пестика составляет 1.25, реже это отношение достигает 1.50. Пестик правильной колбовидной формы с хорошо выраженным столбиком и рыльцем.

Гроздь. Грозди Шави будешури средних размеров. Длина гроздей в среднем варьирует от 14 до 22 см, а ширина от 8 мм до 13 см. За среднее можно принять гроздь размером 18×10 см. Форма грозди также варьирует. В большинстве случаев грозди имеют коническую форму, реже они ветвистые. Нередко конические грозди снабжены крыльями, которые достигают от одной трети до половины размера основной грозди. Обычно, грозди рыхлые либо они средней плотности. Осыпание и горошение ягод незначительное, в зависимости от метеорологических условий отдельных лет оно варьирует от 5 до 10%. Количество ягод в грозди варьирует от 100 до 200, в средней полноценной грозди весом в 515 гр крупных ягод сосчитано 100, а средних 85, всего на гроздь 185 ягод. Ножка грозди травянистая, с середины она деревенеет и окрашивается в цвет чубука. Длина ножки варьирует от 5 до 7 см, составляя в среднем 5,5—6 см. Длина ножки ягоды варьирует от 0,6 до 0,9 см. Подушечка узко-коническая, бородавчатая, реже она имеет широко-коническую форму.

Ягода. Обычно ягоды средних размеров, реже они бывают крупными. Длина ягод в среднем варьирует от 1,6 до 2,0 см, а ширина 1,25 до 1,65 см. За среднее можно принять ягоду размером 1,75×1,35 см. Форма ягод овальная, реже продолговатая. Обычно ягоды симметричные с наибольшей шириной посредине, конец ягоды закруглен. Цвет ягод темно-розовый, при перезревании почти черный. Кожица ягоды грубая, трудно отделяющаяся от мякоти. Мякоть плотная, расплывающаяся. Сок бесцветный, трудно выделяющийся. Восковой налет ягод довольно густой, хорошо выражен. Вкус—приятный, гармоничный, с достаточной свежестью. Сортовой аромат ягод достаточно выражен. Количество семян в ягоде варьирует



от 1 до 4. В крупных ягодах их по 2,5, в средних — 1,5, в общем на ягоду приходится около двух семян.

**С е м я.** Тело семени продолговато-округлой формы. Окраска тела семени желто-бурая с красноватым оттенком, клювик оранжевого цвета. Длина семени равна 7 мм, при ширине 4 мм; длина клювика равна 2 мм. Халаза расположена в верхней части тела семени, она имеет овальную форму и вдавлена посредине. Валик вокруг халазы хорошо выражен. Ложбинка от халазы к верхней части тела семени довольно глубокая и широкая, а к клювику она узкая, но хорошо выражена. Брюшная сторона семени килеватая; брюшные бороздки довольно глубокие, тянутся параллельно и сливаются в клювике. Дно бороздок оранжевого цвета. Клювик бородатчатый узкоконической формы, усеченный.

Шави будешури (черный) местный, малораспространенный, перспективный сорт столового винограда. Дает лучшего качества десертный виноград местного значения, он характеризуется красивым внешним видом гроздей, ягод и нежным приятным вкусом.


К положительным свойствам сорта относятся: сравнительно раннее (2 эпоха) созревание, относительно хорошая устойчивость против грибных болезней, красивый внешний вид гроздей и ягод, сравнительно хорошая лежкость при хранении и малый выход твердого остатка (гребни, кожица, семена).


К недостаткам сорта можно отнести: его среднюю урожайность, недостаточную транспортабельность и неравномерное созревание ягод. Первый недостаток легко может быть устранен подбором подходящей формировки и применением передовой сортовой агротехники ухода за виноградником. Недостаточную транспортабельность сорта при современных способах транспортировки и развития авиотранспорта уже нельзя считать недостатком, так как толстая кожица и плотная малосочная мягкость транспортабельных сортов не может удовлетворить вкус большинства потребителей, в особенности при наличии рядом сочных сортов. Третий недостаток — неравномерное созревание ягод в спелой грозди незначительно выражено.

Все вышеизложенное дает нам основание считать Шави будешури перспективным сортом и рекомендовать его для введения в стандартный ассортимент винограда Кахетии и Карталинии. С текущего года Шави будешури уже разводится в Дигомском виноградном совхозе Самтреста для широкого испытания и оценки его в производственных условиях.

Параллельно весь привойный материал будет передаваться колхозам и совхозам Кахетии и Карталинии для испытания и подбора более подходящих районов для его дальнейшего распространения.

Шави будешури можно рекомендовать основным виноградным районам СССР для широкого испытания, в особенности для его северных районов.





## სიმონასეული

სიმონასეული ნაკლებად გავრცელებული ადგილობრივი ვაზის ჯიშია, იძლევა კარგად შეფერილ სუფრის წითელ ღვინოს.

სიმონასეული, არც მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და არც ადგილობრივ მევენახეთა შორის სიმონასეულის სხვა სახელწოდება ცნობილი არაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ მას გურჯაანის რაიონში შეცდომით თავკვერს ეძახიან (აკად. ს. ჩოლოყაშვილი, 1939 წ.).

ჯიშის ისტორია. სიმონასეული ადგილობრივი ვაზის ჯიშია, იგი წარმომდგარია კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოქმნის ადგილობრივი კერიდან. თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით იგი მეტად ახლოს დგას კახეთის ვაზის ჯიშებთან. მარცვლის შავი შეფერვა და მისი მომრგვალო ან ოდნავ შეზნექილი ფორმა, ფოთლის ქვედა მხარის სუსტი შებუსუსება, მტევნებისა და მარცვლების საშუალო ზომა და სხვ., რაც სიმონასეულს ახასიათებს, საერთო დენასიათებელი ნიშნებია კახური ვაზის ჯიშებისა. სიმონასეულის წარმოშობის დროის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ზემომოყვანილი ძირითადი მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით იგი საკმაოდ ძველ ჯიშად უნდა მივიჩნიოთ.

ამჟამად, სიმონასეული კახეთის რაიონებშია გავრცელებული. უფრო ხშირად და უფრო მეტი რაოდენობით იგი გვხვდება გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში. იგი ამ რაიონებში გვხვდება პატარა ნაკვეთებისა და აგრეთვე საწარმოო ვენახებში მინარევის სახით. კახეთის სხვა რაიონებში იგი უფრო იშვიათია. გვხვდება თითო-ორი ძირი ძირითადად კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე.

თელავის რაიონში სიმონასეული გვხვდება მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო და სარეპროდუქციო ნაკვეთებზე, მცირე რაოდენობით (10—20 ძირი) მოიპოვება საქარის საცდელ სადგურშიც, ხოლო ბორჩალოში, რაქა-ლექსუმსა და მესხეთში ათ-ათი ძირია დარგული ჯიშთა პირველადი გამოცდის ნაკვეთებზე.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიშის ბოტანიკური აღწერა შესრულებულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე სოფ. კურდღელაურში, 4 კილომეტრის დაშორებით ქ. თელავიდან.

ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ). ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი ორი ჯერ კიდევ კარგად გაუშლელი ფოთოლაკითურთ შებუსუსებულია საშუალო სისქის აბლაბუდისებრი ბეწვებით, შეფერილია მორუხო-თეთრად და ვარდისფერი არშია აქვს ფოთოლაკების ირგვლივ და ფოთლების ყუნწების გასწვრივ. მეორე იარუსის ფოთლები (3—4) ზემოთა მხრიდან კარგავს შებუსუსებას, მოყვითალო ფერი აქვთ და მოვარდისფრო იერი დაჰკრავს.

ერთწლიანი რქა. კარგად მოწეული ერთწლიანი რქები შემოდგომით, ყურძნის სრული დამწიფებისას, მონაცრისრო იერის მქონე მოწითალო-წაბლისფრად იფერება. მუხლთაშორისები საშუალო ზომისაა, ზოლები არაა გამოსახული. მუხლების ფერი არ განსხვავდება მუხლთაშორისების ფერისაგან.

ფოთოლი. შუა იარუსის (9—12) ფოთლები საშუალო ზომისაა (17,0—16,5 სმ). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, მაგრამ ცოტაოდნად იხრება მოვალურთა ფორმისაკენ. ფოთლები ჩვეულებრივ ხუთნაკვეთიანია, იშვიათად სამნაკვეთიანი ფოთლებიც გვხვდება. მეორეული დანაკვეთვა ფოთოლს არ ახასიათებს. შუა ნაკვეთის წვერი სწორკუთხიანია, ოღონდ იშვიათად მახვილკუთხიანიცაა. ფოთლის ზედაპირი გლუვია, ხანდახან ბადისებრ დანაოჭებულიცაა, ნაკვეთის ბოლოები ოდნავ ძირს დახრილია. ფოთლის მთავარი ძარღვები შებუსუსებულია თხელი ჯაგრისებრი ბუსუსით და ღია მწვანე ფერისაა, ხოლო ფუძესთან მოწითალო-ღვინისფერია.

ფოთლის ზედა ამონაკვეთები უფრო ხშირად საშუალო სიღრმისაა, გვხვდება საშუალოზე ნაკლები სიღრმისა და საშუალოზე ღრმა ამონაკვეთებიც. ამონაკვეთების სიღრმის შესაბამისად ცვალებადია მათი ფორმაც. იგი იცვლება ღია ჩანგისებრიდან დახურულ ვიწრო ელიფსურთვლიან ამონაკვეთამდე. უფრო ხშირად გვხვდება ჩანგისებრი ამონაკვეთები, შევიწროებულყელიანი და მომრგვალოფუძიანი. უფრო ხანდახან ცალკბილიანია. იშვიათად გვხვდება აგრეთვე დახურული ამონაკვეთები სამკუთხედისებრი ან განიერი ელიფსური თვლით.

ქვედა ამონაკვეთები ნაკლებ ღრმაა და მკაფიოდ არაა გამოსახული, ხანდახან კი სუფთაა და უფრო სახული. ამონაკვეთების ფორმა ჩანგისებრია, პარალელურგვერდებიანი და მომრგვალოფუძიანი; იშვიათად ნაპრალისებრი ფორმისაა.


ყუნწის ამონაკვეთების ფორმა უმნიშვნელოდ ცვალებადობს. უფრო ხშირად ამონაკვეთი ღია ჩანგისებრი ფორმისაა და წამახვილებულფუძიანი ან დახურულია ვიწრო ელიფსური ფორმის თვლით.

ფოთლის მთავარი ძარღვები გამოხეტილგვერდებიანი და მახვილწვერიანი სამკუთხედისებრი ფორმის მსხვილი კბილებით ბოლოვდება, ან კიდევ ზოგჯერ იმავე ფორმისაა, ოღონდ ცალგვერდგამოხეტილი კბილები აქვს. გვერდითი კბილები მახვილწვერიანი სამკუთხედისებრი ფორმისაა ან ხერხისკბილისებრი ცალგვერდგამოხეტილებია.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება აბლაბუდისებრია. მის ქვეშ მოფენილია თხელი ჯაგრისებრი ბუსუსი. ფოთლის შებუსუსება სუსტია და ბუსუსი ადვილად ეცლება მასზე თითის გასმით.

ფოთლის ყუნწი შუა ძარღვზე მოკლეა ან იშვიათად მისი ტოლი. ყუნწი სუსტადაა შებუსუსებული და შეფერილია მოწითალო-ღვინისფრად.

ყვავილი. ყვავილი ორსქესიანია. ყვავილში ხშირად 6 მტვრიანაა, იშვიათად 5 ან 7. მტვრიანათა ძაფების სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან უდრის 1,0—1,25-ს, ბუტკოს კუდი განვითარების გამო იშვიათად ეს შეფარდება აღწევს 1,50-საც. ბუტკო კოლბისმაგვარი ფორმისაა და კარგად განვითარებული ყელი და შედარებით მსხვილი ღინგი აქვს.



სურ. 9. სიმონასეულის ყვავილი.

მტევანი. სიმონასეულის მტევნები საშუალო ან საშუალოზე დიდი ზომისაა. მათი სიგრძე მერყეობს 14-დან 23 სმ-მდე, ხოლო განი — 5-დან 10 სმ-მდე. საშუალო მტევნის სიგრძე-სიგანე უდრის 18×19 სმ-ს. მტევანს ძირითადად კონუსისებრი ან ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმა აქვს. მტევნები მხრიანია ჩვეულებრივ. ხშირად მხრები მტევნის ორივე მხარეზე ვითარდება და მტევანს აძლევს ჯვრის სახეს. მტევნები მეტწილად მკვრივია ან საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად ძლიერ მკვრივი მტევნებიც გვხვდება. მტევანში წვრილმარცვლიანობა შესამჩნევი არაა. მტევნების წონა ცვალებადობს 80-დან 400 გრ-მდე; საშუალოდ წონა უდრის 120—150 გრამს. მარცვლების რაოდენობა მტევანში მერყეობს 60-დან 200-მდე, ხოლო საშუალოდ მტევანში 100—120 მარცვლია. მტევნის ყუნწი მოკლეა: მისი სიგრძე 2,0—2,5 სმ-ს უდრის, იგი გახვეებულია და ღია ყავისფერია. მარცვლის ყუნწი ღია მწვანეა, სიგრძე 4—6 მმ აქვს. მარცვლის საჯდომი ბალიში ჩვეულებრივ ვიწრო კონუსისებრი, ხოლო იშვიათად განიერკონუსისებრი ფორმისაა.

მარცვალი. მარცვლები საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე მერყეობს 1,2-დან 1,5 სმ-მდე, ხოლო განი — 1,3-დან 1,5 სმ-მდე. საშუალო მარცვლის ზომა 1,3×1,35 სმ-ია, მარცვალი ძირითადად მომრგვალო ფორმისაა, მაგრამ გვხვდება შეზნექილი ფორმის მარცვლებიც ქართლური თავკვერის მსგავსად. მარცვალი შუაში განიერია, ხოლო ბოლო მომრგვალებული ან გაბრტყელებული აქვს. მარცვალი მუქი იისფერია, თითქმის შავი. მარცვლის კანი უხეშია, საკმაოდ მკვრივი. ხორციც საკმაოდ მკვრივია და წვნიანი. გემო უბრალო, სასიამოვნო, თავისებური სუსტად გამოსახული ჯიშური არომატიანი. მარცვალი დაფარულია სქელი ცვილისებრი ფიფქით. მარცვლები მჭიდროდაა მიმაგრებული ყუნწზე. წიპწების რაოდენობა მარცვალში იცვლება ერთიდან ოთხამდე, საშუალოდ მარცვალზე 2,2 წიპწა მოდის.

წიპწა. წიპწის სხეული მოოვალურ-მომრგვალოა, ფერით მოყვითალო ყავისფერია. წიპწის სხეულის სიგრძე ნისკარტიანად უდრის 6 მმ-ს, ხოლო განი — 3—4 მმ-ს. ნისკარტის სიგრძე 1,5—2,0 მმ-ს უდრის. ქალაქა წიპწის სხეულის შუაშია მოთავსებული. იგი ფორმით მომრგვალოა, სხეულიდან კარგად არის გამოყოფილი და ოდნავ ზევით არის წამოწეული, ხოლო შუაში ოდნავ ჩაზნექილია. ღარტაფები

ქალაქიდან ნისკარტისაკენ და ქალაქიდან სხეულის ზედა ნაწილისაკენ მკვეთრად არ არის გამოსახული. ლარტაფები ვიწრო და არაღრმაა, განსაკუთრებით ნისკარტის მიმართულებით. წიბწის მუცლის მხარე ოდნავ ქედანია, ზოგიერთი წიბწისა კი თითქმის ბრტყელი. ლარები მუცლის მხარეზე კარგადაა გამოსახული, საკმაოდ ღრმაა, მიემართება ერთმანეთის პარალელურად და იკარგება ნისკარტის არეში ლარების ფუძე ნარინჯის ფერია. ნისკარტი ფუძესთან დამეკვებულია, აღმაცერადაა გადაკვეთილი და მოწარინჯისფროა.

საქართველოს  
საბუნებისმეტყველო  
მეცნიერებათა ინსტიტუტი

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში სოფ. კურდღელაურში, 4 კილომეტრის დაშორებით ქ. თელავიდან.

ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 145 დღიდან 160 დღემდე და საშუალოდ 11 წლის მანძილზე შეადგენს 155 დღეს. შესაბამისად სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობისა, აქტიურ ტემპერატურების ჯამიც ცვალებადობს 2,848 გრადუსიდან 3,327 გრადუსამდე, საშუალოდ კი 11 წლის მანძილზე იგი შეადგენს 3,127,6 გრადუსს. უფრო ფართო მასშტაბით ცვალებადობს სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზები. მათი ცვალებადობის გასაცნობად ქვემოთ მოყვანილია ფენოდაკვირვების შედეგები 1938 წლიდან 1948 წლამდე (ამის ჩათვლით).

### სიმონასეულის სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	დაკვირვების წელი	სავეგეტაციო პერიოდის ფაზების დადგომის ვადები				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დღეებში	ჯამი აქტიური ტემპერატურებისა
		კვირტის გაშლა	ყვავილობა	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე		
კახეთი მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1938	23/4	8/6	17/8	20/9	150	3,185,7
	1939	20/4	3/6	15/8	15/9	148	3,009,5
	1940	13/4	8/6	20/8	20/9	160	3,260,0
	1941	4/4	30/6	8/8	10/9	159	3,245,7
	1942	24/4	12/6	22/8	30/9	159	3,337,1
	საშ. 5 წ.	17/4	12/6	16/8	19/9	155	3,208,8
კახეთი მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1943	24/4	12/6	22/8	30/9	159	3,141,4
	1944	24/4	8/6	30/8	25/9	154	3,086,5
	1945	2/5	14/6	23/8	25/9	146	2,964,3
	1946	18/4	9/6	21/8	10/9	145	2,848,9
	1947	1/4	4/6	15/8	15/9	168	3,134,5
	1948	24/4	6/6	14/8	23/9	152	3,153,8
	საშ. 6 წ.	20/4	8/6	20/8	21/9	154	3,046,5

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, სიმონასეულის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დიდადაა დამოკიდებული ვეგეტაციის დადგომის თარიღისაგან. რაც უფრო გვიან იწყება სავეგეტაციო პერიოდი, მით უფრო მოკლეა სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა და, პირიქით, რაც უფრო ადრე იწყება ვაზის ვეგეტაცია, მით უფრო ხანგრძლივია მისი სავეგეტაციო პერიოდი. მაგალითად, ყველაზე ნაადრევი კვირტის გაშლა აღნიშნულია 1947 წლის პირველ აპრილს. ამ წელს სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა უდრიდა 168 დღეს. ყველაზე ნაგვიანები კვირტის გაშლა აღნიშნულია 1945 წლის



საქართველოს  
ენციკლოპედია



სიმონხაველი — Симонасели



2 მაისს, ამ წელს სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა უდრიდა 146 დღეს. კვირტის გაშლის თითქმის ერთ თვეზე მეტით დაგვიანებამ სრული სიმწიფის დადგომა მხოლოდ 10 დღით გადასწია, ხოლო სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა 22 დღით შეამოკლა.

აღსანიშნავია სრული დამწიფების თარიღის ცვალებადობა წლების განმავლობაში. იგი 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე მერყეობს. თერთმეტი წლის მანძილზე იგი საშუალოდ 20 სექტემბერს დადგა. სიმწიფის ამ ვადის მიხედვით სიმონასეული უნდა მიეკუთვნოს სიმწიფის მესამე პერიოდის ვაზის ჯიშთა ჯგუფს.

სიმონასეულის ერთწლიანი ნაზარდი ყურძნის სრული დამწიფების დროისათვის თავისუფლად ასწრებს მომწიფებას და კარგად გახვევებული ხვდება ზამთრის დასვენების პერიოდს. საერთოდ კახეთის ჰავის პირობებში ყურძნის სრული სიმწიფე და ერთწლიანი ნაზარდის (რქების) სიმწიფე 120—130 სმ სიგრძეზე, რის შემდეგ ჩვეულებრივად ვაზს წვეროები ეჭრება, სავსებით ემთხვევა ერთმანეთს. აქედან, ზემოაღყვანილი მონაცემების გათვალისწინებით, ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ სიმონასეულის ერთწლიანი ნაზარდი თავისუფლად მოასწრებს მომწიფებას იმ რაიონებშიც, სადაც სავეგეტაციო პერიოდი უფრო ხანმოკლეა, მაგალითად, ქართლსა და მესხეთში. მართლაც, მესხეთის საცდელ ნაკვეთებზე, მაგალითად, სხვილისსა და კლდეში სიმონასეულის როგორც მტევნები, ისე რქები თავისუფლად ასწრებს მომწიფებას.

სიმონასეულის ვაზებს საშუალოზე ღონიერი ზრდა ახასიათებს. ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე, ზრდა-განვითარების თანაბარ ეკოლოგიურ პირობებში, სხვა ჯიშებთან შედარებით მისი ზრდა საშუალოზე ღონიერად არის შეფასებული, სარებროდუქციო ნაკვეთზედაც იგი საშუალოზე უფრო ღონიერად იზრდება.

აგრ. ზაქ. სიბაშვილის ცნობით, სიმონასეული სიღნაღის რაიონში ძლიერად იზრდება. ასევე კარგად იზრდება სიმონასეული მესხეთშიც, სხვილისისა და კლდის საცდელ ნაკვეთებზე.

მოსავლიანობა. სიმონასეული ადრე გვაძლმეს პირველ და აგრეთვე სრულ მოსავალს. მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე წარმოებული დაკვირვებით მოსავალს სიმონასეული იძლევა დარგვიდან მესამე წელს, ხოლო 4—5 წლიდან უკვე სრულ მოსავალს გვაძლევს.

სიმონასეულმა საშუალოზე მაღალი მოსავალი იცის უმთავრესად სიღნაღისა და გურჯაანის რაიონებში. ამ რაიონებში, აგრ. სიბაშვილისა და უფ. მეც. მუშაკ ლოლაძის დაკვირვებით, სიმონასეული უხვ მოსავალს იძლევა. თელავში, ჩვენი დაკვირვებით, როგორც საკოლექციო, ისე სარებროდუქციო ნაკვეთზე სიმონასეული საშუალო მოსავალს გვაძლევს. ეს აიხსნება იმით, რომ თელავში სიმონასეული დიდ (3 მ<sup>2</sup>) კვების არეზეა გაშენებული მაშინ, როდესაც კარდანახსა და გურჯაანში იგი 2,0 მ<sup>2</sup> და უფრო ნაკლებ კვების არეზეა გაშენებული. საერთოდ, სიმონასეულს მოსავლიანობის კარგი მაჩვენებლები აქვს. მაგალითად, მსხმოიარობის კოეფიციენტი 0,73-დან 1,26-მდე მერყეობს და საშუალოდ 1,0 უდრის, მტევნის საშუალო წონა დიდად არ მერყეობს, საშუალოდ იგი უდრის 140—160 გრამს, ცალკეული სრულად განვითარებული მტევნების წონა თავისუფლად 350—400 გრამს აღწევს. ამ მონაცემების მიხედვით საშუალო მოსავალი ინსტიტუტის ნაკვეთებზე შეადგენს 50—60 ცენტნერს. ფაქტიური მოსავალი სარებროდუქციო ნაკვეთზე ძირზე მერყეობს 650 გრამიდან 2,600 გრამამდე, ხოლო საშუალოდ ძირზე უდრის 1,600 გრამს, რაც ჰექტარზე გადაყვანილი შეადგენს 52,8 ცენტნერს. სიმონასეულის მსხმოიარობის უფრო დეტალურად გასაცნობად მოგვყავს ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთზე წარმოებული დაკვირვებებისა და აღრიცხვის შედეგები.

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მსხმოიარე რქების რაოდენობა %/6-ით			მტევნების რაოდენობა მსხმოიარე რქებზე	მტევნების რაოდენობა 1 რქაზე	მტევნის საშუალო წონა	ერთი რქის მოსმა გრ-ში	რქების რაოდენობა 1 ჰექტარზე	გამოთვლილი მოსავალი 1 ჰექტ-ზე
		ერთ-მტევნიანი	ორ-მტევნიანი	სულ						
კახეთი. მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთი	1941	38,88	24,45	63,33	1,39	0,83	204,0	179,52	30,000	53,85
	1943	48,85	11,37	60,28	1,20	0,73	218,0	159,14	29,400	46,8
სარებროდუქციო ნაკვეთი	1943	70,66	6,68	77,34	1,03	0,80	220,0	176,0	24,700	43,47

მოყვანილ ცხრილს რომ დაეუკვირდეთ, დაინახავთ, რომ მსხმოიარობის კოეფიციენტი ანუ მტვენების რაოდენობა საშუალოდ ერთ რქაზე შედარებით ნაკლებ მერყეობს, სახელდობრ, 0,73-დან 0,88-მდე.

ასევე მცირე ფარგლებში 204-დან 220 გრამამდე მერყეობს მტვენის საშუალო წონა. სამაგიეროდ ძლიერ მერყეობს მსხმოიარე რქების რაოდენობა. მაგალითად, სრულიად მოუსხმელი რქების რაოდენობა მერყეობს 22%-დან 40%-მდე, ხოლო მოსხმული რქებისა შესაბამისად 60,23%-დან 77,34 პროცენტამდე. აღსანიშნავია მოსხმულ რქებში ერთ და ორმტვენიანი რქების რაოდენობის ცვალებადობა. ერთმტვენიანი რქების რაოდენობა მერყეობს 39%-დან 71%-მდე, ხოლო ორმტვენიანი რქებისა — 7%-დან 24 პროცენტამდე. მსხმოიარე რქების ასეთი დიდი მერყეობა დამოკიდებული უნდა იყოს ძირითადად თვით ფაზების დატვირთვის ხარისხზე. პირველ შემთხვევაში, როცა ჰექტარზე 30,000 რქაა შენარჩუნებული, ანუ ერთ ძირზე 9 რქა, ერთმტვენიანი რქების რაოდენობა უდრის 39%-ს, ხოლო ორმტვენიანებისა — 24%-ს. მეორე შემთხვევაში, როცა ერთ ძირზე მოდის 8,8 რქა, ანუ 29,400 რქა ჰექტარზე, ერთმტვენიანი რქები შეადგენენ 49%-ს, ხოლო ორმტვენიანი რქები — 11%-ს. მესამე შემთხვევაში, როცა ერთ ვაზზე საშუალოდ 7,5 რქამდის მოდის, ანუ 24,700 რქა ერთ ჰექტარზე, ერთმტვენიანი რქების რაოდენობა იზრდება 71%-მდე, ხოლო ორმტვენიანი რქების რაოდენობა მცირდება 7 პროცენტამდე. ამრიგად, დატვირთვის შემცირებასთან დაკავშირებით დიდდება ერთმტვენიანი რქების რაოდენობა, რატომ უნდა, ორმტვენიანი რქების შემცირების ხარჯზე. დატვირთვის სიძლიერესთან დაკავშირებით იცვლება აგრეთვე უნაყოფო და ნაყოფიანი რქების პროცენტული შეფარდება, ერთ შემთხვევაში, დატვირთვის გადიდებასთან დაკავშირებით ოდნავ იზრდება მსხმოიარე რქების პროცენტი, ხოლო მეორე შემთხვევაში, დატვირთვის შემცირების გამო, მსხმოიარე რქების პროცენტი დიდდება. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ დატვირთვის სიდიდე არაა შეფარდებული კვების არესთან და ყველა მოყვანილ შემთხვევაში ვაზები დაუტვირთავია. თუმცა დატვირთვის გადიდებასთან დაკავშირებით მოსავალი დიდდება, მაგრამ იგი მაინც ვერ აღწევს სასურველ დონეს და მერყეობს 43 ცენტნერიდან 54 ცენტნერამდე ჰექტარზე, რადგან დატვირთვა კვების არესთან შეფარდებით არაა სრული და ნორმალური დატვირთვის მხოლოდ 60%-ს შეადგენს. ძირითადად ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შემცირებულ კვების არეზე (დაახლოებით 2,0 მ<sup>2</sup> როცა ვაზი იხველება საშუალოდ 10 კვირტზე და გვაძლევს საშუალოდ 50000 რქას ერთ ჰექტარზე), სიმონასეული გაცილებით მეტ მოსავალს — 70—80 ცენტნერს — იძლევა ჰექტარზე.

იქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ სიმონასეულის მოსავლიანობის გასადიდებლად საჭიროა ჯიშისათვის შესაფერი კვების არის და ფორმირების წესის დადგენა. დღემდე ჯიში გამოცდილია მხოლოდ ორი კვების არეზე და ცალმხრივი და ორმხრივი შბალერის წესით ფორმირების დროს. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, სიმონასეული უფრო მეტ მოსავალს იძლევა 2,15 მ<sup>2</sup> კვების არეზე, ვიდრე 3 მ<sup>2</sup>-ზე. რქის სიგრძის შესაბამისად ცალკეული რქების მოსავლიანობის შესწავლამ არ გვიჩვენა კანონზომიერი მატება მტვენებისა რქის ფუძიდან მოშორებულ რქებზე. როგორც ჩანს, სიმონასეული კარგად ეგუება როგორც გრძელ, ისე მოკლე გასხვლას. შესწავლიდან გამოიკვია აგრეთვე, რომ უნაყოფო ყლორტების მეტი რაოდენობა (27%-მდე) მოდის ნეკებზე და დიდ კვების არეზე მოკლედ გასხვულ ვაზებზე.

ამასთან დაკავშირებით სიმონასეულის მოსავლიანობის გასადიდებლად საჭიროა დაისახოს შემდეგი აგროტექნიკური ღონისძიებანი:

1. სიმონასეულისათვის შესაფერად უნდა იქნეს მიჩნეული 1,5 X 1,5 მეტრიანი კვების არე. ახალი საკოლმეურნეო ვენახები ამ კვების არეზე უნდა იქნეს გაშენებული.
2. კვების არის შესაბამისად ვაზს უნდა მიეცეს ცალმხრივი შბალერის ფორმა ან ცალმხრივი მოკლე კორდონი.
3. ვაზების გასხვლა უნდა წარმოებდეს ცალკეული ვაზების ძალ-ღონის მიხედვით. საშუალოდ ვაზზე უნდა იქნეს დატოვებული 2—3 კვირტიანი ნეკი და 6—8 კვირტიანი საკაეებელი იმ ვარაუდით, რომ ჰექტარზე საშუალოდ 40000—45000 კვირტი და მეტიც მოვიდეს.
4. მოსავლიანობის მუდმივობისა და მისი მაღალი დონის შენარჩუნების მიზნით საჭიროა ვენახებში ორგანული და მინერალური სასუქების მორიგეობით სისტემატურად შეტანა.

სოკოვან ავადმყოფობათა და ზამთრის ყინვებისადმი გამძლეობა. სიმონასეული საკმაოდ კარგად უძლებს სოკოვან ავადმყოფობებს. მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო და სარეპროდუქციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით მილდიუმსა და ნაცარს იგი საშუალოზე უკეთ უძლებს. ამასთან, იგი მილდიუმს უკეთ უძლებს, ვიდრე ნაცარს. სხვა ავადმყოფობებისა და მავნებლების

საგან სამეურნეო მნიშვნელობის დაავადება ან დაზიანება თელავში წარმოებული დაკვირვებების მიხედვით არ ყოფილა შენიშნული.

ზამთრის ყინვებს სიმონასეული კარგად უძლებს. 1935 და 1940 წლის ყინვიან ზამთარში, როცა ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი დაეცა 1936 წელს მინუს 16,5<sup>0</sup>-მდე, ხოლო 1940 წელს მინუს 17 გრადუსამდე, სიმონასეულის ვაზები თითქმის არ დაზიანებულა და შემდეგ წელს ნორმალური მოსავალი მოგვცა.

სიმონასეული  
გვიგობიძე

### ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

მტევნისა და მარცვლების გარეგნული შეხედულებისა, მათი მექანიკური შემადგენლობისა და წვნის ქიმიური შემადგენლობის მიხედვით სიმონასეული უდავოდ საღვინე ვაზის ჯიშია. მართლაც, წარმოებაში ძირითადად მისი გამოყენება ამ მიმართულებით შეიძლება.

ქვემოთ მოყვანილია სიმონასეულის მტევნისა და მარცვლების მექანიკური შემადგენლობის მაჩვენებლები.

### სიმონასეულის მექანიკური ანალიზის მონაცემები

მევენაზობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	საანალიზო მტევნის საშ. წონა	მარცვლების საშ. რაოდენობა მტევანში	მტევნის შემადგენლობა %/0-ით ყურძნის საერთო წონიდან					100 მარცვლის წონა	100 წიწის წონა
				მარცვლები	კლერტი	კანი	წიწა	რბილობი და წენი		
კახეთი, მევენაზობის ინსტიტუტი, საკოლექტო ვენახი, ქ. თელავი	1940	233,5	196	დიდი მტევანი					114,0	3,2
				95,54	4,46	5,74	5,96	83,84		
				საშუალო მტევანი						
"	"	142,0	120	95,99	4,01	5,74	5,96	84,29	114,0	3,2
"	"	91,6	66	96,51	3,49	10,48	6,49	79,54	184	3,2
"	1941	250	240	95,50	4,50	12,14	7,04	76,32	105,0	3,35

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ლაბორატორიულ პირობებში წვენის გამოსავალი მერყეობს 76%/0-დან 84%/0-მდე, ხოლო მაგარი ნაშთის რაოდენობა 16%/0-დან 24%/0-მდე. ნახევრად საწარმოო პირობებში წვენის გამოსავალი მერყეობს 12%/0-დან 15%/0-მდე, ხოლო ქაქისა—25%/0-დან 28%/0-მდე.


ყურძნის წვენის ქიმიური შემადგენლობა. სიმონასეულის ყურძნის წვენი საღვინე ჯიშისათვის დამახასიათებელი კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება. როგორც შაქრისა და მჟავიანობის რაოდენობა, ისე მათი შეფარდება ერთი ერთთან, საკმარისია მისგან ხარისხოვანი ღვინის მისაღებად.

ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების მიხედვით შაქრიანობა-მჟავიანობის ცვალებადობის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია ჩატარებული ანალიზების შედეგები. ამ მონაცემების მიხედვით სიმონასეულის შაქრიანობა მერყეობს 18%/0-დან 22,0%/0-მდე, ხოლო მჟავიანობა—7%/00-დან 11,0%/00-მდე.

ცალკეული წლების მიხედვით ყურძნის წვენის შაქრიანობა და მჟავიანობა შემდეგ ფარგლებში მერყეობდა.



სიმონასეულის შაქრიანობა-მეაფიანობის მაჩვენებლები

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების ადგილი	მოსავლის წელი	თარიღი ანალიზისა	შაქრიანობა %/0-ში	მეაფიანობა %/0-ში	შენიშვნა	
კახეთი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ფენაში, ქ. თელავი	1939	15/IX	21,5	7,20	 <p>სიმონასეული ინსტიტუტი</p>	
	1940	25/IX	22,0	7,73		
	1941	15/IX	19,2	7,72		
	1942	20/IX	20,25	8,15		
	1943	5/X	18,2	8,56		
	1944	22/IX	21,26	10,2		
	1945					
	1946	11/IX	19,4	11,0		
	1947					
	1948	21/IX	18,1	7,95		

ცხრილიდან ჩანს, რომ სიმონასეული საკმაოდ დიდი რაოდენობით აგროვებს შაქარს და შედარებით მაღალ მეაფიანობას ინარჩუნებს. რთვლის ვადის გადაწვევით შესაძლებელია შაქრიანობის უფრო მეტად გაზრდა მეაფიანობის შეუმცირებლად.

მოყვანილი მონაცემები საფუძველს გვაძლევს სიმონასეული ხარისხოვან ჯიშთა წყებას მივაკუთვნოთ.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება, სიმონასეულის ყურძნის ძირითადად მშრალი სუფრის ღვინის დასამზადებლად იხმარება. მისი ნაკლებად გავრცელების გამო, ჩვეულებრივ, იგი საფერავთან ერთად იწურება, მაგრამ იშვიათად მისგან ცალკეც მზადდება ღვინო. მევენახეობის ინსტიტუტი ცდის მიზნით მისგან ცალკე ამზადებს ღვინოს. სუფთად დაყენებული სიმონასეულის ღვინო კარგი ღირსებისაა. მას ინტენსიური შეფერვა, საშუალო სხეული, ჰარმონიული გემო და თავისებური ჯიშური არომატი აქვს. სადევუსტაციო კომისიების სხდომებზე სიმონასეულის ღვინომ კარგი შეფასება მიიღო და მიჩნეულ იქნა კარგი ხარისხის სუფრის ღვინოდ. 1931 წელს ევროპული წესით დამზადებული სიმონასეულის ღვინო წარდგენილ იქნა რაიონულ სასოფლო გამოფენაზე ქ. გურჯაანში, სადაც მან ექსპერტების კომისიის მიერ მაღალი შეფასება მიიღო. სიმონასეულის ღვინის საგემოვნო თვისებების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტთან არსებული სადევუსტაციო კომისიის სხდომის ოქმებიდან.

ამონაწერი სადევუსტაციო კომისიის სხდომის ოქმებიდან

ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური დახასიათება
კახეთი, მევენახეობის ინსტიტუტის სარეპროდუქციო ნაკვეთი, ქ. თელავი.	1937	15/XII 1937	6,8	კარგად დაწმენდილი, ინტენსიურად შეფერილი, საშუალოსაფეულიანი, ჰარმონიული, სასიამოვნო ღვინო.
" "	1940	25/XII 1940	7,5	მუქი, ინტენსიური შეფერვა, სრული, ნაზი ჰარმონიული ღვინო, კაბერნეს არომატით. ხარისხოვანი ღვინო.
" "	1941	10/I 1942	6,4	კარგად დაწმენდილი, ძლიერ შეფერილი, მციოესხეულიანი, სასიამოვნო ღვინო.

როგორც სადევუსტაციო კომისიის დახასიათებიდან ირკვევა, სიმონასეულს ძლიერი შეფერვა, საშუალო სხეული, ჰარმონიული გემო და თავისებური ჯიშური არომატი აქვს. თავისი ღირსებით იგი სჯობნის, საფერავისა და მისი ვარიაციების გარდა, კახეთის ყველა დანარჩენ წითელ ჯიშს. სიმონასეული მისი ძლიერი შეფერვის გამო, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა წითელი ჯიშების შესაფერად და გასაუმჯობესებლად. იგი გამოსადეგია აგრეთვე კუბაქში საფერავთან, ზოგჯერ მისი ზედმეტი სხეულიანობის შესამცირებლად. სხვა ტიპის ღვინის დასამზადებლად სიმონასეული გამოცდილი არ არის. სიმონასეულის ღვინის ქიმიური ბუნების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია მისი ღვინის ქიმიური შემადგენლობის მაჩვენებლები.

**სიმონასეულის ღვინის ქიმიური ანალიზის შედეგი**

მოსავლის წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მოცულობის %/მ-ით	გ რ ა მ ე ბ ი მ ი ტ რ შ ი									
			მატრახტი	ნატრი	ნატრის ტუტია-ნობა	საერთო მეფენია-ნობა	მქროლავი მეფენა	ღვინის მეფენა	შაქარი	გლიცერინი	ტანინი	არამქროლავი მეფენა
1940	0,9968	9,9	26,16	2,94	6,0	6,04	0,69	2,6	1,1	3,24	2,94	5,18
1941	0,9991	12,3	36,22	—	—	7,39	0,60	—	—	—	—	6,74

ზემომოყვანილი როგორც ორგანოლექტიკური, ისე ქიმიური მაჩვენებლები ადასტურებს სიმონასეულის ვარგისობას ხარისხოვანი წითელი სუფრის ღვინის დასამზადებლად. სხვა ტიპის ღვინისათვის სიმონასეული ნაკლებ გამოსადეგია, ასევე ნაკლებ გამოსადეგია იგი სადესერტო ყურძნად.

**ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება**

სიმონასეული ადგილობრივი, ნაკლებ გავრცელებული, მაგრამ პერსპექტული ვაზის ჯიშია. იგი იძლევა კარგი ღირსების წითელ სუფრის ღვინოს, რომელსაც ინტენსიური შეფერვა, თავისებური ჯიშური არომატი და სასიამოვნო ჰარმონიული გემო აქვს. ჯიშში გამოსადეგია თავისებური თვისების მქონე ღვინის დასაყენებლად და აგრეთვე როგორც კარგი საკუბაქე მასალა დიდსხეულიანი წითელი ღვინოების შესარბილებლად და ზოგიერთი წითელი ღვინის შეფერვის გასაძლიერებლად.

ჯიშის დადებითი თვისებებია: ღვინის კარგი ხარისხი, შედარებით კარგი გამძლეობა სოკოვანი ავადმყოფობებისა და ცუდი მეტეოროლოგიური პირობებისა.

ჯიშის უარყოფითი თვისებებია: შედარებით მცირე მოსავლიანობა და მხოლოდ სუფრის ღვინისათვის ვარგისობა.

კახურ წითელ ჯიშებს შორის საფერავის შემდეგ მას ღვინის ხარისხით პირველი ადგილი უჭირავს. ჯიშში პერსპექტივანია ქართლისა და კახეთის ზოგიერთი რაიონისათვის, სადაც საფერავი კარგ შედეგებს ვერ იძლევა.

ჯიშში რეკომენდებული უნდა იქნეს ახალი თავისებური ჯიშური ღვინის დასამზადებლად და აგრეთვე როგორც კარგი საკუბაქე მასალა სხვა ღვინოებისათვის შეფერვისა და სიმსუბუქის მისაცემ-დ. ამისათვის საჭიროა ჯიშში ფართოდ გამოიყენოს ქართლში და კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოსავლიანობისა და ღვინის ხარისხის დასადგენად და შემდეგ ფართოდ დაინერგოს წარმოებაში.

**СИМОНАСЕУЛИ**

Лист. Вполне развитые листья средних размеров (17,0 × 16,5 см). Листовая пластинка округлая с незначительным варьированием чаще в сторону овальной, нежели поперек — овальной формы. Число основных лопастей пять, очень редко встречаются и трехлопастные листья. Вторичные лопасти отсутствуют. Угол оконечной лопасти прямой, реже острый. Поверхность листа гладкая, реже сетчато-морщинистая. Пластинка листа плоская, реже воронковидная с несколько опущенный вниз краями. Глав-

ные нервы опушены слабой щетинкой и окрашены в светло-зеленый либо у основания — в винно-красный цвет.

Верхние вырезки в большинстве случаев средней глубины, реже встречаются менее и более глубокие вырезки. Форма вырезок варьирует от открытых лировидных до закрытых с узко-эллиптическим просветом. Чаще всего вырезки лировидные с суженным устьем и округлым, реже однозубчатым дном. Встречаются также закрытые вырезки с треугольным либо широко-эллиптическим просветом.

Нижние вырезки менее глубокие и менее развиты, иногда они совершенно отсутствуют. Форма вырезок лировидная с округлым дном и почти параллельными сторонами либо она щелевидная.

Черешковая выемка по форме незначительно варьирует. В большинстве случаев она открытая, лировидная, с заостренным дном, реже она закрытая с узко-эллиптическим просветом.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей крупные, выдающиеся, по форме треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже односторонне выпуклые с острой вершиной, краевые зубцы треугольные с острой вершиной либо пиловидные, односторонне выпуклые.

Опушение нижней поверхности листа слабое, паутинистое, с примесью негустого щетинистого пушка. В целом опушение слабое, легко стирающееся пальцем.

Черешок короче длины срединного нерва листа, реже равен ему. Опушение черешка слабое, окраска интенсивная винно-красная.

Цветок. Цветки нормального строения, обоеполые. Тычинки прямостоящие. Число тычинок в цветке шесть, реже 5 или 7. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,0—1,25, реже при недоразвитии пестика, это отношение достигает 1,5. Пестик правильной, кобевидной формы с хорошо развитым столбиком и довольно крупным рыльцем.

Гроздь. Грозди средних и вышесредних размеров. Длина гроздей варьирует от 14 до 23 см, ширина от 5 до 10 см. Размер средней грозди равен  $18 \times 9$  см. Основная форма грозди коническая и цилиндрико-коническая. Обычно грозди лопастые, причем лопасти развиваются по обе стороны грозди и придают ей крестообразный вид. В большинстве случаев грозди плотные и средние плотные, реже встречаются и очень плотные грозди. Осыпание и горошение в грозди не наблюдаются. Вес гроздей варьирует от 80 до 400 г, средний вес равен 120—150 г. Количество ягод в грозди варьирует от 60 до 200, а в среднем составляет 100—120. Ножка грозди короткая в среднем, 2,0—2,5 см длиной, деревянистая, светло-коричневого цвета. Ножка ягоды светло-зеленая, длиной 4—6 мм. Подушечка гладкая, узко-конической, реже широко-конической формы.

Ягода. Ягоды средних размеров. Длина ягод варьирует от 1,2 до 1,5 см, ширина 1,2 до 1,5 см. Размер средней ягоды равен  $1,3 \times 1,3$  см. Основная форма ягод округлая, реже сплюснутая. Наибольшая ширина ягод лежит посредине, конец ягоды округлен, реже притуплен. Окраска ягод темносиняя, почти черная. Кожица ягоды грубая, довольно прочная. Мякоть средней плотности, расплывающаяся. Вкус ягод приятный, простой. Сортной аромат ягод слабо выражен. Восковой налет на ягодах обильный.

Прочность прикрепления ягод к ножке достаточная. Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4, в среднем на ягоду приходится около 2,2 семени.

Семя. Тело семени округло-продолговатой формы. Окраска тела семени желто-коричневая. Длина тела семени с клювиком равна 6 мм, ширина 3—4 мм. Длина клювика равна 1,5—2 мм. Халаза лежит посредине тела семени, по форме она округлая, хорошо отграничена от тела семени и несколько выступает над ней, посредине она вогнута во внутрь. Ложбинки от халазы к клювику и к верхней части тела семени не резко выражены, они узкие и неглубокие, в особенности первая. Брюшная сторона тела семени несколько килеватая, хотя у некоторых семян она плоская. Бороздки по обе стороны семенного шва хорошо развиты, они довольно глубокие, тянутся параллельно и теряются в клювике. Дно бороздок окрашено в оранжевый цвет. Клювик у основания бородавчатый косочесный, и окрашен в оранжево-желтый цвет.

Симонасеули — местный — малораспространенный, перспективный сорт красных вин Кахетии. Вино Симонасеули хорошего качества. Оно интенсивно окрашено, аромат особый, сортной. Вкус приятный, гармоничный. Сорт распространен в Сигвахском и Гурджаанском районах Кахетии единичными кустами, реже в виде отдельных маленьких участков. Около 150 кустов имеются в г. Телави на коллекционном и репродукционном участках Института виноградарства.


К положительным свойствам сорта относятся хорошее качество вина и сравнительно хорошая устойчивость к грибным болезням и неблагоприятным метеорологическим условиям года.

К недостаткам сорта относятся его сравнительно невысокая урожайность и ограниченность его применения в основном на сухое столовое вино.

Среди кахетинских красных сортов винограда по качеству вина Симонасеули является лучшим после Саперави. Его можно использовать для приготовления своеобразного качественного красного вина, а также для купажа с другими сортами красных вин. Симонасеули может усилить окраску слабоокрашенных вин и смягчить вкус тяжелых абстрактных вин некоторых районов Кахетии.

Сорт перспективный, но недостаточно изучен в различных условиях Кахетии. После широкого испытания на урожайность и качество продукции сто можно рекомендовать для юго-восточной части Карталинки и для некоторых районов Кахетии, где Саперави по ряду причин не удастся—не дает качественного вина, а в остальных районах Кахетии—в качестве дополнительного сорта на небольших площадях.





## ბ უ ე რ ა

ბუერა ნაკლებ გავრცელებული ადგილობრივი ვაზის ჯიშია, იძლევა სუფრის თეთრ ღვინოს და ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძენს.

სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის ბუერას შემდეგი დამატებითი სახელწოდებებია ცნობილი: კახეთში — ბუერა, საჩურჩხლე, ბუერო და ბუერო ვაზი, საზღვარგარეთ *Bouerra vazı* (ბუერა-ვაზი) (ვიალა და ვერმორელის ამპელოგრაფიის მიხედვით).

ჯიშის ისტორია. ბუერა-ვაზი ადგილობრივი ვაზის ჯიშია, იგი წარმოშობილია კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოქმნის ალაზნის კერაში. თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშანთვისებებით მეტად ახლო დგას კახური ვაზის ჯიშებთან, მეტიც შეიძლება ითქვას, იგი პირდაპირი წარმომადგენელია ამ ჯგუფის ვაზებისა. ბუერას წარმოშობის პირვანდელი ადგილისა და დროის დადგენა მეტად გაძნელებულია სამეურნეო ისტორიის XIII საუკუნეზე ადრინდელი ძეგლების უქონლობის გამო. ყველა ამის გამო იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ მისი შეფარდებითი სიძველის დადგენით.

პირველად ბუერა მოხსენებულია აგრ. გეევსკისა და შარერის ნაშრომში 1886 წელს, მცდარად „ბურვაზის“ სახელწოდებით. შემდეგ იგი სწორი სახელწოდებით მოხსენებულია აგრ. ფირალოვისა და შვერდოვის ნაშრომში. არც ერთ ამ ავტორს ჯიში ამპელოგრაფიულად არ აუწერია. ამ ნაშრომებში ბუერა მხოლოდ მოკლედ და დახასიათებული სხვა ჯიშებთან ერთად, როგორც საღვინედ უვარვისი, მაგრამ მოსავლიანი ვაზის ჯიში, რომლისაგან სუსტი, წყალწყალა და არასურნელოვანი ღვინო დგება.

ამ გარემოებას ჩვენთვის ორგვარი მნიშვნელობა აქვს. პირველი ისაა, რომ ბუერა ვაზი მეცხრამეტე საუკუნეზე უფრო ადრეც საკმაოდ ცნობილი ჯიში ყოფილა და მეორეც ის, რომ ნამდვილი და სრული სახელწოდება ჯიშისა ყოფილა ბუერა-ვაზი და არა ბუერო და მისთანანი.

ამ სახელწოდების შერქმევით ადგილობრივი მევენახეების მიერ აღნიშნულია ჯიშის ბიოლოგიური თავისებურება. მისი თვისებაა გაიფარჩხოს, გაიბუროს ყლორტების განზე გაზრდით და ქვემოთ დაშვებითა რომ ჯიშს ასეთი თვისება ნამდვილად ახასიათებს, დასტურდება იქიდანაც, რომ მეზობელ აზერბაიჯანელ მევენახეებსაც კი შეუნიშნავთ ეს თვისება და მოყვანილი აქვთ ჯიშის ზოგადი დახასიათებისას (ი. პრინცი).

ამის საფუძველზე ბუერა უდავოდ ადგილობრივი წარმოშობის ვაზის ჯიშია, ხოლო წარმოშობის დროის მიხედვით საშუალო სიძველის ვაზის ჯიში უნდა იყოს.

ძველად, სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გავრცელებამდე, აღმოსავლეთ საქართველოში ბუერას საკმაოდ დიდი ფართობი ეჭირა. მაგრამ შემდგომ, რადგანაც შედარებით სუსტად უძლებს ფილოქსერასა და ნაწილობრივად აგრეთვე სოკოვან ავადმყოფობებს, მან ახალ ვენახებში ადგილი დაუთმო უფრო გამძლე ვაზის ჯიშებს. ამჟამად ჯიში ძირითადად გავრცელებულია კახეთში, ბოლნის-მარნეულის რაიონში, ქართლსა და საინგილოში.

1940 წლის ვაზების პასპორტიზაციისა და მთლიანი აღწერის მასალების მიხედვით ბუერა ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ცნობები ბუერას განლაგების შესახებ აღმოსავლეთ საქართველოს ადმინისტრაციულ რაიონებში.



ბუგრა — Буера

ბუერას ფართობების განლაგება აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში

№№ რიგ.	ადმინისტრაციული რაიონების დასახელება	ფართობი ჰექტ-ში	№№ რიგ.	ადმინისტრაციული რაიონების დასახელება	ფართობი ჰექტ-ში
ა. კახეთი			გ. ბოლნის-მარნეული		
1	გურჯაანის რაიონი . . . . .	1,53	1	ბოლნისის რაიონი . . . . .	157,28
2	თელავის რაიონი . . . . .	0,20	2	მარნეულის რაიონი . . . . .	1,50
3	საკარეჯოს რაიონი . . . . .	0,62	3	გარდაბნის რაიონი . . . . .	4,65
		ს უ ლ . . . .			ს უ ლ . . . .
		2,35			162,83
ბ. ქართლი			ს უ ლ აღმოსავლეთ საქართველოში . .		
1	თბილისის რაიონი . . . . .	0,08	195,60		
2	თეთრი წყაროს რაიონი . . . . .	30,34			
		ს უ ლ . . . .			
		30,42			

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბუერას ფართობები არათანაბრადაა განაწილებული აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებს შორის; იგი მხოლოდ ბოლნისისა და თეთრი წყაროს რაიონებშია ფართოდ გავრცელებული. კახეთში, ახალი მასალების მიხედვით, მას 16 ჰექტარი, ხოლო დანარჩენ რაიონებში მცირე, ზოგან უმნიშვნელო ფართობი უჭირავს.

საქართველოს საზღვრებს გარეთ ბუერა გავრცელებულია აზერბაიჯანში, უმთავრესად აქსტაფის, კახისა და კიროვანდის რაიონებში. ათიოდე ვაზის რაოდენობით ბუერა გვხვდება საბჭოთა კავშირის შექმნის თითქმის ყველა რაიონში, ძირითადად საკოლექციო ნაკვეთებზე.

ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიში აღწერილია მგვენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე სოფ. ვაზისუბანში.

ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ). მოხარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და ჯერ კიდევ გაუშლილი სამი ფოთლით შებუსუსებულია ორივე მხრიდან სუსტად, მორუხო-მწვანე ფერისა და სუსტი ვარდისფერი არშია აქვს ფოთოლაკების ირგვლივ. მეორე იარუსის ფოთლები თითქმის შიშველია, მომწვანო-ყვითელი ფერისა და მოღვინისფრო იერი აბლავს.

ერთწლიანი რქა. კარგად შენოსული ერთწლიანი რქა შემოდგომაზე წაბლისფერი ხდება და მოყვითალო იერი აქვს, თანაც, მუხლთაშორისების გასწვრივ მორუხო ფიფქის გაყოლების გამო, მონაცრისფრო იერი აბლავს. მუხლთაშორისები 10—12 სმ სიგრძისაა. მუხლები კარგადაა გამოსახული. ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ სუსტადაა გამოსახული.

ფოთოლი. შუა იარუსის (9—12) ფოთლები საშუალოზე დიდია ზომით (18×17,5 სანტიმეტრი). ფოთლის ფირფიტა მკვეთრად ფორმისაა, ოდნავ გადახრილი ოვალურისაკენ. ჩვეულებრივ ფოთოლი სამწაკეთიანია, იშვიათად მუთნაკეთიანებიც გვხვდება. საერთოდ ფოთლის ნაკვეთები მკაფიოდ არაა გამოსახული, რის გამო იგი პთლიანის, დაუნაკეთების შთაბეჭდილებას ტოვებს. ფოთლის ზედაპირი გლუვია. ეს ნიშანი ჯიშისათვის დამახასიათებელია. ამასთან ერთად, ფოთლის ფირფიტა თხელია, ნაზი და ადვილად ზიანდება მექანიკური შეხებისაგან. ხშირად ფოთლის ზედაპირი სწორია, იშვიათად სხვადასხვაგვარადაც არის მიხრილი, ფოთლის მთავარი ძარღვები შებუსუსებულია თხელი ჯაგრისებრი ბუსუსით და ფუძის სიახლოვეს ხშირად მოწითალო-ღვინისფერია.

ზედა ამონაკვეთების სიღრმე ფოთლის დანაკეთულობის შესაბამისად საგრძნობლად მერყეობს. უფრო ხშირად ამონაკვეთები ზეზეურია, იშვიათად საშუალო სიღრმისაა. დანაკეთულობის სიღრმის შესაბამისად იცვლება აგრეთვე ამონაკვეთების ფორმაც — ღია, ოდნავ შესამჩნევიდან — საკმაოდ ღრმა, დახურულ, 12. დ. ტაბიძე.

კვერცხისმაგვარ თელიან ამონაკვეთამდე. უფრო ხშირად გვხვდება ღია, ნაპრალისებრი ფორმისა და ელიფსასებრთულიანი დახურული ამონაკვეთები. უფრო იშვიათად გვხვდება ღია, მრგვალფუძიანი ჩანგისებრი ფორმის ამონაკვეთები.

ქვედა ამონაკვეთები, როგორც წესი, ნაკლებ ღრმაა და სუსტადაა გამოსახული. ხშირად ძირი ზე-ზეურია და ნაპრალისებრი ფორმა აქვთ. ძალიან იშვიათად გვხვდება ვიწროყელიანი და მრგვალფუძიანი ჩანგისებრი ფორმის ამონაკვეთებიც.


ყუნწის ამონაკვეთის ფორმა შედარებით ნაკლებ ცვალებადობს. უფრო ხშირად გვხვდება მრგვალ-ფუძიანი ჩანგისა და თაღისმაგვარი ფორმის ამონაკვეთები, იშვიათად შეილდისმაგვარი ფორმის ამონაკვეთებიც გვხვდება.

ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება გამოზნექილგვერდებიანი და მახვილწვერიანი სამკუთხედის-მაგვარი კბილებით ან მახვილფუძიანი სამკუთხედისებრი ფორმის კბილებით. ძალიან იშვიათად და ისიც შუა ნაკვთზე გუმბათისებრი ფორმის კბილებიც გვხვდება. გვერდითი კბილები ხერხისკბილისებრია და ცალმხრივ ან ორმხრივ გამოზნექილგვერდებიანი.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსება საგრძნობლად ცვალებადია. ვაზზე ვხვდებით როგორც ოდნავ ჯაგრისებრად შებუსებულ, ისე თითქმის სრულიად შიშველ და აგრეთვე სქელი ჯაგრისებრი ბუსუსით დაფარულ ფოთლებს. ასეთია ძირითადად ქვედა იარუსის ფოთლები. უფრო ხშირად ფოთლები შიშველია, თხელი ჯაგრისებრი ბუსუსებია შუა იარუსის ფოთლებზე და სქელი ჯაგრისებრი ბუსუსები—ქვედა იარუსის ფოთლებზე.

ფოთლის ყუნწი შიშველია, მისი სიგრძე ხშირად ფოთლის შუა ძარღვის სიგრძეს უდრის ან ოდნავ მასზე მოკლეა. ყუნწის შეფერვა მოღვინისფრო-წითელია, მაგრამ არათანაბარი, იშვიათად იგი ღია მწვანეცაა.

ყვავილი. ყვავილი ორსქესიანია, ნორმალური აგებულებისა. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში ხუთი-ექვსი მტვრიანაა. მტვრიანთა ძაფების სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან შეადგენს 1,5—1,75-ს, იშვიათად 2,0-საც აღწევს. ნასკვი მსხვილია, ბუტკო მომრგვალო, თითქმის ბურთისმაგვარი, ვიწროყელიანი და კარგად შესამჩნევ დინგიანი. ბუტკოს თითქმის ბურთისმაგვარი ფორმა დამახასიათებელია ჯიშისათვის.



სურ. 10. ბუერას ყვავილი.

მტევანი. მტევნები საკმაოდ დიდია, მათი სიგრძე მერყეობს 15-დან 24 სანტიმეტრამდე, ხოლო განი—8-დან 14 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის სიგრძე-სიგანე უდრის 18×10 სანტიმეტრს. მტევნების ძირითადი ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრია, იშვიათად კონუსისებრი ფორმის მტევნებიც გვხვდება.

მტევანი აღნაგობით საშუალო სიმკვრივისა და მკვრი-ვია. ძალიან იშვიათად გვხვდება მეჩხერი მტევნებიც. მტევნებს წვრილმარცვლიანობა არ ახასიათებს, ან წვრილი მარცვლები

უმნიშვნელო რაოდენობითაა. მტევნების წონა მერყეობს საშუალოდ 160 გრამიდან 500 გრამამდე. მტევნის საშუალო წონა უდრის 200 გრამს. მტევნის ყუნწი ბალახისებრია, შუა ადგილიდან ფუძისაკენ იგი ხვედება და იღებს რქის შეფერვას. ყუნწის სიგრძე მერყეობს 3 სანტიმეტრიდან 6,5 სანტიმეტრამდე, ხოლო საშუალოდ 4,5 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ყუნწი მწვანეა, სიგრძე აქვს 0,5-დან 0,8 სანტიმეტრამდე. მარცვლის საჯდომი ბალიში გლუვია ან ოდნავ ხორკლებიანი, ფორმით კონუსისებრი ან განივ-კონუსისებრია.

მარცვალი. მარცვლები მსხვილი და საშუალოზე მსხვილი ზომისაა. მარცვლის სიგრძე მერყეობს საშუალოდ 1,6-დან 2,0 სანტიმეტრამდე, ხოლო განი—1,5 სანტიმეტრიდან 1,8 სანტიმეტრამდე. მსხვი-ლი მარცვლების ზომა უდრის 2,24×1,92 სანტიმეტრს. მარცვლის ფორმა ოვალურია, წელში განიერი, ბოლო მომრგვალებული აქვს. იშვიათად აგრეთვე მრგვალი ფორმის მარცვლებიც გვხვდება. მარცვლები, მოწვანო-ყვითელი ფერისაა. კანი თხელი აქვს და ადვილად შორდება რბილობს. რბილობი ოდნავ მკვრივია, მდნარი. მარცვლები ტკბილია, ჩვეულებრივია ოდნავ მომყავო მარცვლებიც. მარცვლები მკვიდრადაა მიმაგრებული მარცვალზე. წიბწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს ერთიდან ოთხამდე, საშუალოდ მარცვალზე მოდის 1,85 წიბწა.



წიპწა. წიპწის სხეული მოგრძო-მოპრვალო ფორმისაა და თანდათან ვიწროვდება ნისკარტისაკენ. წიპწის სიგრძე ნისკარტთან ერთად შეადგენს 8 მმ-ს, განიკი 5 მმ-ს. ნისკარტის სიგრძე უდრის 3 მმ-ს. წიპწა მოარუხო-ყვითელი ფერისაა, ხოლო ნისკარტისაკენ მონარინჯისფერია. ქალაძის სხეულის შუაგულში მდებარეობს, ფორმით მოპრვალოა, შუაში შეზნექილი. ღარტაფი ქალაძიდან სხეულის ზედა ნაწილისაკენ ღრმა და ვიწროა. წიპწის მუცლის მხარე ქელიანია, ღარები მუცლის მხარეზე საკმაოდ ღრმა და შეზნექილი მართება ურთიერთპარალელურად ნისკარტისაკენ და მასთან მიახლოებისას ქრება. ღარების სიგრძე მონარინჯისფერია, ნისკარტი ვიწრო კონუსისებრი ფორმისაა, წვერი გადაკვეთილი აქვს.

**ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება**

დაკვირვება სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებულია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე ს. კურდღელაურში, 4 კილომეტრის დაშორებით ქ თელავიდან.

კურდღელაურის ეკოლოგიურ პირობებში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა, ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად, მერყეობს 138 დღიდან 164 დღემდე. შესაბამისად ცვალებადია აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც (2,804 გრადუსიდან 3,222 გრადუსამდე). საშუალოდ 11 წლის მანძილზე სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა უდრის 149 დღეს, ხოლო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3,013 გრადუსს.

ცალკეული ფაზების ცვალებადობის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია ცნობები ბუერას სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობის შესახებ.

**ბუერას სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა თელავში**

№№	მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღები					აქტიურ ტემპერატურათა ჯამი	ნალექი	
			კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის	სიმწიფის	სრული სიმწიფე	სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძ.		სანოტიონო პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში
I	კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავის მახლობლად.	1938	24/IV	10/VI	13/VIII	15/X	144	3,058.0	7,1	431,0
		1939	20/IV	2/VI	10/VIII	12/IX	145	2,952.8	65,5	513,0
		1940	14/IV	3/VI	15/VIII	13/IX	152	3,115,0	1,6	59,
		1941	4/IV	25/VI	17/VIII	15/IX	161	3,370.4	43,2	450,7
		1942	25/IV	13/VI	16/VIII	20/IX	149	3,182,5	144,4	518,5
		საშუალო .	—	17/IV	6/VI	14/VIII	15/IX	151	3,137.7	52,4
I	კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავის მახლობლად.	1943	26/IV	12/VI	16/VIII	25/IX	152	3,014.2	117,4	479,6
		1944	25/IV	7/VI	22/VIII	20/IX	148	2,941,8	69,0	396,1
		1945	2/IV	12/VI	17/VIII	15/X	138	2,804.8	48,5	347,1
		1946	20/IV	9/VI	31/VIII	20/X	153	3,013,8	0,7	554,0
		1947	2/IV	4/VI	10/VIII	30/IX	150	2,823,2	37,4	418,5
		1948	26/IV	7/VI	10/VIII	15/IX	142	2,918,6	134,2	525,4
საშუალო .	—	21/IV	8/VI	17/VIII	15/IX	147	2,914,4	67,8	460,1	

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მეტად საწყისი ფაზა — კვირტის გაშლის დასაწყისი — ცვალებადობს. მისი ცვალებადობის შესაბამისად სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობაც იცვლება. შედარებით ნაკლებ იცვლება სრული სიმწიფის ფაზა. იგი უმეტეს შემთხვევაში 10-სა და 20 სექტემბრის ფარგლებში მერყეობს და საშუალოდ 15 სექტემბერს დგება. ამის მიხედვით ბუერა მიეკუთვნება სიმწიფის მეორე პერიოდის ვაზის ჯიშებს. ცხადია, რაკი კახეთის პირობებში 15 სექტემბრიდან იწყება რაველი და იგი თითქმის ერთ თვეს გრძელდება, ამ ხნის მანძილზე შესაძლებელია, თუ ხელსაყრელი ამინდები იქნება, ბუერას გადამწიფება და მისგან ხარისხოვანი ღვინის დამზადება.

კახეთის ჰავის პირობებში ბუერას ერთწლიანი რქები ყურძნის სრული სიმწიფის მომენტისათვის თავისუფლად ასწრებს მომწიფებას და ზამთრის ყინვებს საკმაოდ გახევეებული ხვდება. კარგად მწიფდება ბუერას რქები ქართლშიაც — ასურეთში, მესხეთში, ე. ი. იქ, სადაც სავეგეტაციო პერიოდი შედარებით ხანმოკლეა. თელავშიაც ცალკეული წლების მანძილზე იგი მომწიფდა 138 და 143 დღის განმავლობაში 2,800—2,968 გრადუსი აქტიურ ტემპერატურათა ჯამის დროს. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბუერას რქების მომწიფება ხელს არ შეუშლის ჯიშის უფრო ჩრდილო და მაღალმთიან რაიონებში გავრცელებას.

ბუერამ საშუალოზე ღონიერი ზრდა იცის. ვაზისუბნისა და თელავის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით ბუერას ზრდის ღონე, თანაბარ ეკოლოგიურ პირობებში, კახეთის საწარმოო ვაზის ჯიშებთან შედარებით, საშუალოზე მაღალია. ასევე საკმაოდ ძლიერად იზრდება იგი მარნეულის რაიონში, ხოლო აზერბაიჯანში—აქსტაფაში—მას ღონიერი ზრდა ახასიათებს.

**მოსავლიანობა.** ბუერა პირველსა და სრულ მოსავალს ადრე იძლევა. კახეთში, ნიადაგის/სინო-ყვირისა და ნამყენების მოვლა-დამუშავების პირობების მიხედვით, ბუერას ნამყენები უკვე დაკვირვების მეორე წლიდან იძლევა პირველ ნიშნებს და მესამე წლიდან მთლიანი მოსავლის ნახევარს, ხოლო მეოთხე წლიდან უკვე სრულ მოსავალს გვაძლევს.

ბუერა მაღალმოსავლიანი ჯიშია. კახეთის ვაზის ჯიშებს შორის მოსავლიანობის მიხედვით მას ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი უკავია. იგი ხასიათდება მაღალი მსხმოიარობით. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე მრავალწლოვანი დაკვირვების მიხედვით მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს საშუალოდ 1,0-დან 2,0-მდე, ხოლო მტევნის საშუალო წონა 200 გრამიდან 600 გრამამდე. განსაკუთრებით მაღალ მოსავალს იძლევა ბუერა ვაზისუბანში. აქ მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი საშუალოდ 1,4-ს, ხოლო მტევნის საშუალო წონა 200 გრამს უდრის. თუ ვაზზე საშუალოდ 10 რქა დატოვებული და ჰექტარზე 5000 ვაზი, მისი მოსავალი ჰექტარზე 140 ცენტნერს აღწევს. ზოგიერთ წლებში ბუერას ფაქტიური მოსავალი ამაზე მეტია. მაგალითად, ვაზისუბანში 30 ძირი ბუერასაგან მიიღეს 10<sup>3</sup>,500 გრამი ყურძენი, რაც ძირზე შეადგენს 3,516 გრამს, ხოლო ჰექტარზე 176 ცენტნერს. თელავში მისი მოსავალი გაცილებით ნაკლებია. აქ მსხმოიარობის კოეფიციენტი 1,25, ხოლო მტევნის საშუალო წონა 180 გრამი, რაც, თუ ჰექტარზე 3,300 ვაზია და ვაზზე საშუალოდ 10 რქა, შეადგენს მოსავალს ჰექტარზე 74 ცენტნერს. ვაზის უფრო ნაკლები მოსავლიანობა თელავში გამოწვეულია უმთავრესად ნიადაგის სიღარიბით, რაც არ იძლევა ვაზის სათანადო დატვირთვის შესაბამისად გაზრდის საშუალებას. ჯიშის მსხმოიარობის უფრო დეტალურად დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ბუერას მსხმოიარობის მაჩვენებლები თელავსა და ვაზისუბანში.

**ბუერას მსხმოიარობის მაჩვენებლები**

№	მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	მსხმოიარო რქების პროცენტი	მტევნები ერთ მსხმოიარო რქაზე	მტევნები ერთ რქაზე	მტევნის საშუალო წონა	ერთი რქის მოსავლიანობა გრ-ში	რქების რაოდენობა ჰექტარზე	ცენტ-ში გაანგარიშებული მოსავალი
	კახეთი								
1	გურჯაანის რაიონი, ს. ვაზისუბანი . .	1940	91,8	1,52	1,4	252,6	35364	50,000	170,8
2	თელავის რაიონი, ს. კურდღელაური .	1941	92,78	1,8	1,2	240,0	2880	30,000	86,4
3	თელავის რაიონი, ს. კურდღელაური .	1942	90,2	1,48	1,32	215	523,4	40,000	129,3

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბუერამ საკმაოდ მაღალი მსხმოიარობა იცის. უნაყოფო რქების პროცენტი მერყეობს 3-დან 10-მდე. უნაყოფო რქების ეს რაოდენობა ძირითადად ნეკებზე მოდის. ბუერა ძველიანზეც კარგად ისხამს: საშუალოდ 2 რქაზე 1 მტევანს. დამახასიათებელია აგრეთვე მტევნების განაწილება რქებზე ანუ ცალკეული რქების მსხმოიარობა საკავებლის სიგრძეზე. ჩატარებული აღრიცხვის თანახმად, იგი შემდეგნაირად არის განაწილებული: უნაყოფო რქები შეადგენენ 3—10%-ს, ერთმტევნიანი რქები — 60—70%-ს, ორმტევნიანი რქები — 20—30%-ს, ხოლო სამმტევნიანი რქები ძალიან იშვიათად გვხვდება. ცხრილში მოყვანილი მონაცემების მიხედვით ჰექტარზე გაანგარიშებული მოსავალი ცალკეულ წლებსა და ადგილებში მერყეობს 86 ცენტნიერიდან 176,8 ცენტ-მდე. რადგანაც ფაქტიური მოსავალი თითქმის ყოველთვის ნაკლებია გაანგარიშებულზე, ამიტომ კახეთის პირობებში ბუერას საშუალო მოსავლად უნდა მივიღოთ 100—120 ცენტნიერი ყურძენი ერთ ჰექტარზე. ამაზე გაცილებით მეტ მოსავალს იძლევა ბუერა აზერბაიჯანში—აქსტაფისა და კაროვადის რაიონებში, და მარნეულ-ბოლნისის რაიონში. აღნიშნულ რაიონებში ბუერას მოსავალი თავისუფლად აღწევს 160 და მეტ ცენტნერს ჰექტარზე.

კახეთის პირობებშიაც, ჯიშის ბიოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინებითა და ვენახების კარგი

მოვლა-დამუშავების გზით, თავისუფლად შეიძლება 160 და მეტი ცენტნერი მოსავლის მიღება ჰექტარზე. ამისათვის საჭიროა შემდეგი აგროლონისძიებების ჩატარება:

1. ბუერა კვების არის ფორმირებისა და ნიადაგების სინოციერის შესაბამისად გრძლად უნდა გაი-სხლას. ვაზისუბანში შედარებით პატარა კვების არეზე (2,15 მ<sup>2</sup>) და საკმაოდ ნოყიერ დადიანადი კარბონატული ტიპის ნიადაგებზე ბუერა კარგად იზრდება, ადვილად იტანს დატვირთვას ჰექტარზე 50,000 კვირტის რაოდენობით და მაღალ მოსავალსაც იძლევა. თელავში, სადაც ძვირი ნიადაგი და მცირე ნიადაგი არე აქვს, კვირტების უფრო ნაკლები რაოდენობა მოდის ჰექტარზე და მოსავალსაც ნაკლებს იძლევა. თელავში სასუქების სისტემატურად შეტანის საშუალებით ამ დიდ კვების არეზე თავისუფლად შეიძლება ვაზების მოლონიერება და დატვირთვის გადიდება 60 - 80,000 კვირტამდე ჰექტარზე, ნაცვლად 30,000 - 40,000 კვირტისა, რომელიც ამჟამად აქვთ.

2. კახეთში ახალი ვენახების გაშენებისას ვაზებს საშუალო სიდიდის კვების არე (1,5 x 1,5 მეტრი) უნდა მიეცეს გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ახალი ვენახები ღონიერ ნიადაგებზე შენდება. საშუალო კვების არეზე ვაზების სრული დატვირთვა სავსებით უზრუნველყოფს მაღალი მოსავლის მიღებას.

3. კვების არის შესაბამისად ფორმირების ძირითად წესად მიღებულ უნდა იქნეს ცალმხრივი ან ორმხრივი შპალერი. პარალელურად უნდა გამოიყენოს აგრეთვე მოკლე კორდონიცისე, რომ ორივე კვების არისათვის სხვადასხვა რაოდენობის სასხლავი ობიექტები იქნეს დატოვებული.

4. სასუქების სისტემატურად შეტანა და ვენახების კარგი მოვლა-დამუშავება, განსაკუთრებით კი მილდიუმისა და ნაცრის წინააღმდეგ დროული და ხარისხოვანი წამლობის ჩატარება, აუცილებელ და წინასწარ პირობას წარმოადგენს მაღალი და მყარი მოსავლის მისაღებად.

სოკოვან ავადმყოფობათა და სხვა ფაქტორების მიმართ გამძლეობა. სოკოვან ავადმყოფობათა გამძლეობით ბუერა კახური ვაზის სხვა ჯიშებისაგან არ გამოირჩევა. მილდიუმს იგი საშუალოდ უძლებს, ამასთან, ფოთლები უფრო მგრძობიარეა მილდიუმისადმი, ვიდრე მტევნები. მტევნები ჩვეულებრივი წამლობის პირობებში თითქმის არ ზიანდება. უფრო მგრძობიარეა ბუერა ნაცრისადმი, ჩვეულებრივი სამგზისი წამლობის შემთხვევაში იგი სხვა ჯიშებზე უფრო მეტად ინაცრება. ი. პრინციის ცნობის მიხედვით, ასევე სუსტად უძლებს იგი ნაცარს აზერბაიჯანში — აქსტაფისა და კიროვანადის რაიონებში. მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის სოკის დასაყრდენ პუნქტზე, სადაც სოკოვან ავადმყოფობათა განვითარებისათვის ოპტიმალური პირობებია, ბუერა, ი. რომაშკას ცნობით, ძლიერ ზიანდება მილდიუმისაგან, მაგრამ 3 - 4 წამლობით მოსავლის გადარჩენა თავისუფლად შეიძლება. იმავე პუნქტში 4 წლის განმავლობაში (1937 - 1941 წ.) ბუერა არ დაზიანებულა ნაცრისაგან. კახეთის პირობებში ნაცრის წინააღმდეგ ერთი დამატებითი წამლობა აუცილებელია. ბუერა ფილოქსერას სუსტად უძლებს. იგი სხვა ჯიშებზე ადრე და მეტად მოისპო ვენახებში. ასევე სუსტად უძლებს ბუერა ფილოქსერას აზერბაიჯანშიც. ი. პრინციის ცნობით, ბუერა დაზიანებიდან მე-5 - მე-6 წელს იღუპება ფილოქსერისაგან.

ზამთრის ყინვებს ბუერა აგრეთვე სუსტად უძლებს. 1939 - 1940 წლის ყინვიან ზამთარში, როცა ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი დაეცა მინუს 16°-ზე ქვევით, ვაზის შეჭირვების პირობებში ბუერა კახეთის საწარმოო ვაზის ჯიშებთან შედარებით უფრო მეტად დაზიანდა: დაღუპული კვირტების პროცენტი 14-ს აღარებდა მაშინ, როდესაც კახეთის საწარმოო ვაზის ჯიშების კვირტების დაზიანების პროცენტი 2 - 5-ს არ ასცილებია. ასევე სუსტად უძლებს იგი ყინვებს აზერბაიჯანშიც; იქ იგი შირაზულთან, ბაიანშირვისთან და თავკვერთან ერთად მეტად სუსტი აღმოჩნდა ყინვის წინააღმდეგ.

გვალვას ბუერა კახეთში შედარებით კარგად უძლებს. ისიც უნდა ითქვას, რომ კახეთში გვალვები მოკლე ხნით იცის, რაც ნაკლებად იძლევა საშუალებას ჯიშის გვალვის გამძლეობის გამოსარკვევად. ამ მიზნით უფრო საიმედოა მონაცემები აზერბაიჯანიდან: აქსტაფის რაიონში ბუერა გვალვებს სუსტად იტანს.

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

მტევნებისა და მარცვლების გარეგნული შეხედულების, მათი მექანიკური შემადგენლობის მაჩვენებლების, წვეწის ქიმიური შემადგენლობისა და ყურძნის გემოვნებითი შეფასების საფუძველზე ბუერა როგორც საღვინე, ისე სასუფრე ჯიშია.

ბუერას მტევნებისა და მარცვლების მექანიკური შემადგენლობა შემდგენაირია:

**ბუერას მტევნებისა და მარცვლების მექანიკური შემადგენლობა**

წვეწახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მტევნის საშუალო წონა	მარცვლების რიცხვი მტევანში	მტევნისა და მარცვლის შემადგენელი ნაწილების პროცენტი					წენი და აბილობი	10 მარცვლის წონა	10 მარცვლის წონა
				მარცვლი	კლეტი	ქანი	წიპა	წენი და აბილობი			
კახეთი, გურჯაანის რაიონი ს. ვახუშტაძის, თელავის რაიონი ქ. თელავი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთი	5 წლის საშუალო	294,8	89	97,63	2,37	8,59	3,14	85,9	294,0	—	
	1940	261,5	87	98,1	1,9	10,27	3,34	84,49	296,0	—	
	1940	424	152	97,86	2,14	9,47	2,79	85,60	273,0	—	
	1940	170	62,0	97,41	2,59	9,12	3,88	84,11	267	—	

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ბუერას მტევნებისა და მარცვლების მექანიკური შემადგენლობა კარგია. ესაა: მტევნებისა და მარცვლების შედარებით დიდი წონა, წიპის მცირე რაოდენობა და წვენისა და რბილობის შედარებით კარგი გამოსავალი. ნახევრად წარმოების პირობებში წვენის გამოსავალი უფრო ნაკლებია. ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით წარმოებაში ბუერა ძირითადად მშრალი სუფრის ღვინის დასამზადებლად არის გამოყენებული.

ყურძნის წვენის ქიმიური შემადგენლობა. ბუერას არა აქვს შაქრის დაგროვების დიდი უნარი. იგი აგროვებს სუფრის ღვინისაჟვის შაქრის საკმაოდ რაოდენობას, ამასთან, ზომიერ მჟავიანობას ინარჩუნებს. წლების განმავლობაში რთელის დროს წარმოებული ანალიზების მიხედვით ბუერას შაქრიანობა იშვიათად აჭარბებს 20%-ს, უფრო ხშირად კი მისი შაქრიანობა უდრის 17—18%-ს, ხოლო მჟავიანობა 7,8‰-ს. ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად შაქრიანობა-მჟავიანობის ცვალებადობა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

**ბუერას წვენის შაქრიანობა-მჟავიანობა რთელის დროს**

№	მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	რთელის თარიღი	შაქრიანობა %/0-ში	მჟავიანობა %/0-ში	შენიშვნა	
1	კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთი ს. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 4 კმ დაშორებით	1937	10/IX	17,70	7,01		
		1940	22/IX	17,8	6,75		
		1941	15/IX	14,5	6,56		
		1942	20/IX	17,75	6,3		
		1943	—	—	—	—	
		1944	27/IX	20,9	11,0		
	კახეთი, თელავის რაიონი მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთი ს. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 4 კმ დაშორებით	1945	22/IX	15,1	9,9		
		1946	25/IX	20,1	6,3		
		1947	1/IX	19,0	7,83		
		1948	15/IX	18,2	4,77		

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ბუერას შაქრიანობა მისი ტექნიკური სიმწიფის დროს არ აღემატება 18%-ს, მჟავიანობა კი 7‰-ს. რთელის დაგვიანების შედეგად შაქრიანობა ადვილად აღწევს 20%-ს და მეტსაც, მაგრამ შაქრიანობის ზრდასთან ერთად კლებულობს მჟავიანობა, რაც, რა თქმა უნდა, აუარესებს ღვინის ხარისხს. ამიტომ ხარისხოვანი ღვინის მიღების მიზნით ბუერა უნდა მოიკრიფოს ტექნიკური სიმწიფის დროს.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. ბუერას ყურძენი ძირითადად მშრალი სუფრის ღვინის დასამზადებლადაა გამოსადგენი. ნაწილობრივ იხმარება საკმელადაც, ოღონდ ადგილზევე. მარნეულ-ბოლნისისა და თეთრი წყაროს რაიონებში მისგან წმინდა ჯიშის მშრალი

ბუერას მტევნებისა და მარცვლების მექანიკური შემადგენლობა შემდგენაირია:

**ბუერას მტევნებისა და მარცვლების მექანიკური შემადგენლობა**

წვეწახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსაულის წელი	მტევნის საშუალო წონა	მარცვლების რიცხვი მტევანში	მტევნისა და მარცვლის შემადგენელი ნაწილების პროცენტი					10 მარცვლის წონა	10 მტევნის წონა
				მარცვლი	კლეტი	ქანი	წიპა	წვენი და აბილობი		
კახეთი, გურჯაანის რაიონი ს. ვახუშტაძის, თელავის რაიონი ქ. თელავი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთი	5 წლის საშუალო	294,8	89	97,63	2,37	8,59	3,14	85,9	294,0	—
	1940	281,5	87	98,1	1,9	10,27	3,34	84,49	296,0	—
	1940	424	152	97,86	2,14	9,47	2,79	85,60	273,0	—
	1940	170	62,0	97,41	2,59	9,12	3,88	84,11	267	—



როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ბუერას მტევნებისა და მარცვლების მექანიკური შემადგენლობა კარგია. ესაა: მტევნებისა და მარცვლების შედარებით დიდი წონა, წიპის მცირე რაოდენობა და წვენისა და რბილობის შედარებით კარგი გამოსავალი. ნახევრად წარმოების პირობებში წვენის გამოსავალი უფრო ნაკლებია. ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით წარმოებაში ბუერა ძირითადად მშრალი სუფრის ღვინის დასამზადებლად არის გამოყენებული.

ყურძნის წვენის ქიმიური შემადგენლობა. ბუერას არა აქვს შაქრის დაგროვების დიდი უნარი. იგი აგროვებს სუფრის ღვინისაჟვის შაქრის საკმაოდ რაოდენობას, ამასთან, ზომიერ მჟავიანობას ინარჩუნებს. წლების განმავლობაში რთელის დროს წარმოებული ანალიზების მიხედვით ბუერას შაქრიანობა იშვიათად აჭარბებს 20%-ს, უფრო ხშირად კი მისი შაქრიანობა უდრის 17—18%-ს, ხოლო მჟავიანობა 7,8‰-ს. ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად შაქრიანობა-მჟავიანობის ცვალებადობა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

**ბუერას წვენის შაქრიანობა-მჟავიანობა რთელის დროს**

№	მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	რთელის თარიღი	შაქრიანობა %/0-ში	მჟავიანობა %/0-ში	შენიშვნა	
1	კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთი ს. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 4 კმ დაშორებით	1937	10/IX	17,70	7,01		
		1940	22/IX	17,8	6,75		
		1941	15/IX	14,5	6,56		
		1942	20/IX	17,75	6,3		
		1943	—	—	—	—	
		1944	27/IX	20,9	11,0		
	კახეთი, თელავის რაიონი მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთი ს. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 4 კმ დაშორებით	1945	22/IX	15,1	9,9		
		1946	25/IX	20,1	6,3		
		1947	1/IX	19,0	7,83		
		1948	15/IX	18,2	4,77		

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ბუერას შაქრიანობა მისი ტექნიკური სიმწიფის დროს არ აღემატება 18%-ს, მჟავიანობა კი 7‰-ს. რთელის დაგვიანების შედეგად შაქრიანობა ადვილად აღწევს 20%-ს და მეტსაც, მაგრამ შაქრიანობის ზრდასთან ერთად კლებულობს მჟავიანობა, რაც, რა თქმა უნდა, აუარესებს ღვინის ხარისხს. ამიტომ ხარისხოვანი ღვინის მიღების მიზნით ბუერა უნდა მოიკრიფოს ტექნიკური სიმწიფის დროს.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. ბუერას ყურძენი ძირითადად მშრალი სუფრის ღვინის დასამზადებლადაა გამოსადეგი. ნაწილობრივ იხმარება საკმელადაც, ოღონდ ადგილზევე. მარნეულ-ბოლნისისა და თეთრი წყაროს რაიონებში მისგან წმინდა ჯიშის მშრალი

სუფრის ღვინო მზადდება. კახეთში, მისი მცირედ გავრცელების გამო, მას რქაწითელთან ერთად წურავენ ღვინოდ. უნდა ითქვას, რომ მათი ერთად გადამუშავება მიზანშეწონილია რქაწითელის ღვინოს გაუმჯობესებისათვის. ინსტიტუტის საკოლექციო და სარებროდუქციო ნაკვეთების მოსავლიდან მზადდება ევროპული ტიპის სუფრის ღვინო. ბუერას ღვინო არაა მაღალი ღირსების, იგი ორდინარული საშუალო ღირსების ღვინოა. მისი თვისებები შემდეგია: იგი ღია ჩალისფერია, არა მკაფიო/სუსტად აქვს გამოსახული, გემო ნახი და ჰარმონიული აქვს ხალისიანი სიმკაფიო, სხეული მცირე/ღვინოა. შედარებით უკეთესი ხარისხის ღვინოს ბუერა იძლევა ბოლნისის რაიონში. პროფ. გოგოლიანოვის სკის საბჭოთა კავშირის თეთრი ხარისხოვანი ღვინოების დახასიათებისას ბოლნისის ბუერა ცალკე აქვს გამოყოფილი და დახასიათებული აქვს როგორც საყურადღებო, მსუბუქი თეთრი ღვინო. ბოლნისის მევენახეთა კოოპერაციული საზოგადოების „უნიონის“ ღვინო, მათივე დახასიათებით, ღია ყვითელი ფერისაა, მსუბუქი, საკმაო ჰარმონიული, სასიამოვნო სიხალისით; ამასთან ერთად, იგი მცირე სხეულით, დაბალი ალკოჰოლიანობითა და მცირე ექსტრაქტულობით ხასიათდება.

ახალგაზრდა ღვინოები დიდხანს ინარჩუნებს ნახშირმკაფა გაზს და ცქრიალებენ მოზელის ღვინოს მსგავსად. მცირესხეულიანობის მიუხედავად ღვინო კარგად ინახება კასრებში, საცობით გვერდზე, ინარჩუნებს სიხალისეს, სინაზეს, სუსტად გამოსახულ ბუეკტს და ოთხწლიანიც კი მხოლოდ ნიშნებს იჩენს მადერიზაციისას.

აზერბაიჯანშიც ბუერას ღვინო გამოირჩევა კარგი ღირსებით, მაგალითად, მთავარი საწარმოო ჯიშ ბოიან-შირვისთან შედარებით ბუერა გამოირჩევა მეტი სინაზით, სიმსუბუქითა და ჰარმონიულობით მიუხედავად იმისა, რომ ალკოჰოლიანობითა და ექსტრაქტულობით იგი მისგან თითქმის არ განირჩევა. გარდა ამისა, ბუერა გაცილებით უკეთეს ბუეკტს ივითარებს, ვიდრე ბოიან-შირვი (რუნდვაისი).

საუკეთესო საკუბაფე მასალას იძლევა ბუერა აგრეთვე მაღალალკოჰოლიანი, უხეში და მძიმე ღვინოების გასაუმჯობესებლად. სადევუსტაციო კომისიების სხდომებზე ბუერას ღვინო შეფასებულია, როგორც საშუალოხარისხოვანი, ორდინარული ღვინო. ღვინის ორგანოლეპტიკური თვისებების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები მევენახეობის ინსტიტუტის სადევუსტაციო კომისიის სხდომების ოქმებიდან.

**ამონაწერები მევენახეობის ინსტიტუტის სადევუსტაციო კომისიის სხდომის ოქმებიდან**

№	მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	სადევუსტ. კომისიის სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლეპტიკური შეფასება
1	თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი.	1936	5/XII 1937	6,2	გამჭვრავლედ, ღია ჩალისფერი, მცირე ხეულიანი და ალკოჰოლიანი, საკმაოდ ხალისიანი ორდინარული ღვინო.
2	თელავის რაიონი, საკოლექციო ვენახი.	1939	10/I 1940	6,0	კარგად დაწმენილი სუსტი თხოლესენკიით, საშუალო ექსტრაქტიანად, საკმაოდ ხალისიანი ორდინარული ღვინო.
	გურჯაანის რაიონი, ს. ვახისუბანი.	1941	10/I 1942	6,5	გამჭვრავლედ, მოჩალისფრო-ყვითელი, მსუბუქი, საშუალოსხეულიანი ხაზი, საკმაოდ ხალისიანი ღვინო.
	საკოლექციო ვენახი, თელავის რაიონი, საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი	1947	18/V 1948	6,8	ქარვისფერი, ზომიერსხეულიანი, ნაკლებ ჰარმონიული ღვინო.
	იმავე ადგილიდან	1948	11/II 1949	6,9	ჩალისფერი, მსუბუქი, ნაკლებ სხეულიანი სასიამოვნო ღვინო.

ბუერას ღვინის ქიმიური ბუნების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია მისი ქიმიური ანალიზების შედეგები.

გარდა სუფრის ღვინისა, ბუერა იძლევა კარგ მასალას უალკოჰოლო ყურძნის წვენის დასამზადებლად. ბუერას ყურძნის წვენი მისი ზომიერი შაქრიანობისა და მევენახეობის გამო მსუბუქია, ადვილი და სასიამოვნო სასმელია, გემოთი ოდნავ ხილის არომატიანია. მევენახეობის ინსტიტუტის სადევუსტაციო კომისიის სხდომებზე ბუერას ყურძნის წვენი ყოველთვის მაღალ შეფასებებს იღებდა.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ბუერა გამოსადეგია აგრეთვე, როგორც კარგი სადესერტო ყურძენი ადგილობრივ მოსახმარად. ამ მხრივ აღსანიშნავია მტევნებისა და მარცვლების ღამაში გარეგნული შეხედულება და მათი დიდი ზომა. კარგად განვითარებული მტევნების სიგრძე 26 სანტიმეტრს აღწევს, ხოლო სიგანე 12 სანტიმეტრს. მათი საშუალო წონა შეადგენს 250—260 გრამს, დიდი მტევ-

ნების წონა კი 600 გრამს უდრის. მარცვლი მსხვილია, ლაზი შეხედულებისა. მისი სიგრძე 2,24 სანტიმეტრს აღწევს, განი კი 1,92 სანტიმეტრს. მარცვლის ფერი ნაზი ყვითელია და მოვარდისფრო იერი დაჰკრავს. ფორმა ოვალური აქვს. მარცვლის წონა 3 გრამამდე აღწევს. გემო სასიამოვნო პარმონიული აქვს. რბილობი საშუალო სიმკვრივისაა, ოდნავ კრაბუნა. არომატი სუსტადაა გამოხატული. ბუერა ტრანსპორტს ცუდად იტანს. იგი შორეულ ტრანსპორტს ვერ იტანს, ხოლო მახლობელი სამრეწველო ცენტრებისა და დასასვენებელი სახლების ყურძნის მომარაგების მიზნით იგი საესებით გამოსადგენია.

ბუერა ტრანსპორტი  
ბიზნისთვის

**ბუერას ღვინის ქიმიური ანალიზების შედეგები**

მღვინახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	კურობის წონა	ალკოჰოლის მოცულობის %-ში	გრამები ლიტრში												
				ნატირბი	ნატირბი	ნატირბი	ნატირბი	ნატირბი	ნატირბი	ნატირბი	ნატირბი	ნატირბი	ნატირბი	ნატირბი	ნატირბი	
კახეთი, გურჯაანის რაიონი, ს. ვახუშტის საკოლექციო ვეზი კახეთი, გურჯაანის რაიონი, ს. ვახუშტის საკოლექციო ვეზი გურჯაანის რაიონი, ს. ვახუშტის რაიონი, ქ. თელავი, საკოლექციო ვეზი გურჯაანის რაიონი, ს. ვახუშტის რაიონი, ქ. თელავი, საკოლექციო ვეზი	1929	0,9922	10,5	18,4	—	—	6,6	—	—	—	—	—	—	—	—	3,21
	1930	0,9939	10,35	17,3	—	—	7,67	—	—	—	—	—	—	—	—	3,22
	1940	0,9912	11,4	19,44	1,81	1,98	4,75	0,49	1,9	0,6	6,8	0,27	4,15	18,84	—	—
	1940	0,9927	10,5	17,20	2,08	2,7	4,48	0,81	1,91	0,64	5,97	0,25	3,47	16,6	—	—
	1941	0,9911	12,3	18,76	—	—	4,87	0,93	—	—	—	—	—	3,71	—	—
	1947	—	10,4	16,72	—	—	5,24	0,51	—	—	—	—	0,83	—	—	—

**ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება**

ბუერა ადგილობრივი პერსპექტიული ვახის ჯიშია. იგი იძლევა ევროპული ტიპის მშრალ სუფრის ღვინოს და ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძენს. ჯიშის გავრცელების ძირითად ადგილებში — ბოლნისისა და თეთრი წყაროს რაიონებში — მისგან მზადდება მშრალი სუფრის ღვინო, ხოლო კახეთში მას რქაწითელთან ერთად წურავენ. ბუერას ღვინო ღია ჩალისფერია, ნაზია, მსუბუქი, პარმონიული და სასიამოვნო სიხალისე ახასიათებს. ამასთან ერთად, იგი მცირეალკოჰოლიანია, მცირეექსტრაქტიანი და ატარასხეულიანი. შენახვისას უმჯობესდება: ივითარებს სუსტ, მაგრამ სასიამოვნო ბუეტს. კარგი ღირსების ღვინოს იძლევა ბუერა აზერბაიჯანშიაც. აქ მისგან გაცილებით უფრო ნაზი და არომატული ღვინო მზადდება, ვიდრე მთავარი საწარმოო ჯიშის ბოიან-შირვისაგან. საერთოდ კი ღვინის დანარჩენი თვისებებით ბუერა თითქმის არ განსხვავდება ბოიან-შირვისაგან.

ჯიშის დადებითი თვისებებია: უხვმოსავლიანობა, მისი ვარგისობა როგორც მშრალი სუფრის ღვინოსათვის, ისე უალკოჰოლო მაღალი ღირსების ყურძნის წვენისათვის და ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძნად. ჯიში იძლევა აგრეთვე კარგ მასალას მაღალალკოჰოლიანი მძიმე ღვინოების გასაუმჯობესებლად და ხარისხოვანი კონიაკების დასამზადებლად.

ჯიშის უარყოფითი თვისებებია: პროდუქციის არამაღალი ხარისხი, სოკოვან ავადმყოფობათა — ძირითადად მილდიუმის — მიმართ სუსტი გამძლეობა, წვიმებიან შემოდგომაზე მარცვლების სიდამპლე და სუფრის ყურძნისათვის ზედმეტად მკვრივი მტვეანი.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ბუერა, როგორც მაღალმოსავლიანი ჯიში, შეიძლება რეკომენდებული იქნეს ალაზნის მარცხენა მხარეზე, ძირითადად ხარისხოვანი საკონიაკე მასალის დასამზადებლად, ხოლო გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში მთელი ფართობის 10—15 პროცენტზე გასაშენებლად, როგორც მსუბუქი, ხალისიანი ღვინოების დამზადების მიზნით, ისე ადგილობრივი მაღალალკოჰოლიანი და მძიმე სუფრის ღვინოების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ბუერას პერსპექტივა აქვს აგრეთვე საბჭოთა კავშირის მღვინახეობის სხვა ძირითად რაიონებშიც, როგორც მაღალმოსავლიან, მრავალმხრივ გამოსაყენებელ და შედარებით საადრეო ვახის ჯიშს.

## Б У Е Р А

**Л и с т.** Вполне развитые листья средних размеров (18—17,5). Листовая пластинка округлая с незначительным колебанием в сторону овальной формы. Листья чаще трехлопастные, реже они пятилопастные. Обычно лопасти выражены слабо, благодаря чему лист кажется цельным. Поверхность листьев в большинстве случаев гладкая, что можно считать довольно типичным признаком для сорта. Пластинка листа тонкая, нежная, легко повреждаемая от разных причин, обычно, она плоская или неопределенно изогнутая. Главные нервы опушены слабым щетинистым пушком и часто у основания окрашены в тускло-красный цвет.

Верхние вырезки, в зависимости от глубины рассеченности листовой пластинки, заметно варьируют. В большинстве случаев вырезки бывают мелкими, реже они достигают средней глубины. Форма вырезок, в зависимости от глубины рассеченности листа, варьирует от открытых, едва намеченных, до закрытых с янцевидным просветом вырезок. В большинстве случаев, встречаются как открытые щелевидные, так и закрытые вырезки с широко эллиптическим просветом. Сравнительно реже попадаются открытые лировидные вырезки с округлым дном.

Нижние вырезки, как правило, слабее выражены и менее глубоки. Обычно, они мелки, едва намечены, либо имеют щелевидную форму. Очень редко вырезки имеют лировидную форму с узким устьем и округлым дном.

Черешковая выемка по форме слабо варьирует. В большинстве случаев встречаются вырезки лировидной и сводчатой формы с округлым дном, стрелчатой формы.

Зубцы лопастей, обычно, треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной, либо треугольные с острой вершиной, очень редко встречаются и куполообразные зубцы, в особенности на средней лопасти. Краевые зубцы, обычно, пиловидные с выпуклыми сторонами, либо односторонне выпуклые.

Опушение нижней поверхности листа значительно варьирует от почти голых, с едва заметным щетинистым пушком, до довольно густого щетинистого опушения на нижнем ярусе. В большинстве случаев листья голые, с редкими щепилками на листьях среднего яруса и довольно густым пушком на листьях нижнего яруса.

Черешок голый, в большинстве случаев равен длине срединного нерва, реже несколько короче его. Окраска черешка, обычно, винно-красная, неравномерная, реже она зеленая.

**Ц в е т о к.** Тип цветка нормальный, обоеполый. Тычинки прямостоячие. Количество тычинок в цветке 5—6. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,4—1,75, изредка оно достигает 2. Завязь крупная, пестик округлой, почти шаровидной формы с тонким столбиком и хорошо заметным рыльцем. Почти шаровидная форма пестика характерна для сорта.

**Г р о з д ь.** Грозди довольно крупных размеров. Длина гроздей варьирует в среднем от 15 до 24 см, при ширине 8—14 см. Размер средней грозди равен  $18 \times 10$  см. Форма гроздей цилиндрическая и цилиндроконическая, реже встречаются грозди и конической формы. Грозди в большинстве случаев средне-плотные и плотные. Осыпание и горошение ягод не заметно либо очень незначительное. Вес грозди варьирует от 160 гр до 500 гр. Средний вес грозди равен 200 гр. Ножка грозди травянистая, деревенеющая у основания. Длина ножки варьирует от 3 до 6,5 см, составляя в среднем 4—5 см. Ножка ягоды зеленая, от 0,5 до 0,8 см длины. Подушечка гладкая либо несколько бородавчатая, конической либо дисковидной формы.

**Я г о д а.** Ягоды выше средних и крупных размеров. Длина ягод в среднем варьирует от 1,6 до 2,0 см, при ширине 1,5—1,8 см. Отдельные полноценные ягоды достигают размеров  $2,24 \times 1,92$  см. Форма ягод овальная, с наибольшей шириной ягод посередине. Конец ягоды закруглен. Очень редко встречаются также ягоды округлой формы. Окраска ягод зелено-желтая. Кожица тонкая, мякоть средне-плотная, расплывающаяся. Вкус ягод приятный, слегка кисловатый. Прочность прикрепления ягод к ножке большая.

Количество семян в ягоде варьирует от одного до четырех, составляя в среднем на ягоду 1,85 семени.

**С е м я.** Тело семени округло-продолговатой формы, постепенно суживающееся к клювику. Длина тела семени с клювиком равна 8 мм, при ширине 5 мм. Длина клювика равна 3 мм. Окраска тела семени желтобурная, у перехода к клювику оранжевая. Халаза лежит в верхней части тела семени, по форме она округлая, вдавленная посередине. Ложбинка от халазы к верхней части тела семени узкая, но глубокая. Брюшная сторона семени килеватая. Брюшные бороздки глубокие, тянутся параллельно друг к другу и теряются в клювике. Дно бороздки оранжевого цвета. Клювик узкоконической формы, усеченный.

Буера, местный, переспективный сорт винограда, используется, в основном, для приготовления сухого столового вина и в качестве десертного винограда местного значения. Сорт распространен на значительной площади в Болнисском, Тетрицкарройском и Гардабанском районах и на незначительной площади и в виде примеси в Гурджаанском, Телавском, Марнеульском и в др. районах Грузии. Вино из Буера со-




ломленно-желтое, легкое, довольно гармоничное, приятно-освежающее, одновременно с этим оно слабоградусное, малотельное и малоэкстрактивное. Хорошего качества вино получается и в Азербайджане, в Акстафинском районе. Вино Буера гораздо нежнее и ароматичнее, нежели вино основного промышленного сорта Воян-Ширея, а по остальным свойствам они почти не отличаются друг от друга.


К положительным свойствам сорта относятся:—его высокая урожайность, пригодность для сухого столового вина, в качестве материала для качественного безалкогольного сока и десертного винограда местного значения. Сорт пригоден также для улучшения качества высокоалкогольных и тяжелых вин и для приготовления материалов для качественных коньяков.

К отрицательным свойствам сорта относятся:—невысокое качество продукции, относительно слабая устойчивость против грибных болезней, в особенности оидиума, склонность к гниению ягод в дождливую осень и излишняя для столового винограда плотность грозди.

Несмотря на указанные недостатки его, как высокоурожайного сорта, можно рекомендовать для столового вина в районах Болнисском, Тетрицкаройском и в западной полосе Кахетии для приготовления качественных коньяков, в остальных районах Кахетии, в основном в Гурджаанском и Сигнахском, на небольшой площади (10—15%) для получения легких столовых вин и улучшения качества высокоалкогольных и тяжелых местных вин.

Как высокоурожайный, сравнительно ранний сорт—годный для различных видов переработки, он является также перспективным для многих виноградных районов СССР.





## უ ბ ა კ ლ უ რ ი

უბაკლური ადგილობრივი ნაკლებ გავრცელებული ვაზის ჯიშია. იგი იძლევა თეთრ სუფრის ღვინოს და ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძენს.

**სინონიმები.** მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და აგრეთვე ადგილობრივ მევენახეთა შორის უბაკლური ცნობილია ობაყლურის სახელწოდებითაც (ს. ჩოლოყაშვილი, 1939 წ.).

**ჯიშის ისტორია.** უბაკლური ადგილობრივი ვაზის ჯიშია. იგი წარმომდგარია კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოქმნის ადგილობრივი კერიდან. იგი თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით კახური მწვანის ჯგუფს უახლოვდება. ჯიშის წარმოშობის დროისა და ადგილის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, უბაკლური სიღნაღის რაიონიდან უნდა იყოს წარმოშობილი. სიღნაღში ახლაც არის ადგილი, რომელსაც „ობაყალს“ ეძახიან და სადაც ვენახებია გაშენებული. ჯიშიც ამ ადგილიდან უნდა იყოს გავრცელებული და სახელწოდებაც ობაყლური, ანუ უბაკლური ამ ადგილის სახელის მიხედვით უნდა ჰქონდეს შერქმეული. უბაკლური ერთადერთი ჯიშია ქართულ ვაზის ჯიშებს შორის, რომელსაც სრული სიმწიფის პერიოდში სუსტი მუსკატისებრი არომატი აქვს. უბაკლური მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით საშუალო ხნიერების ვაზის ჯიში უნდა იყოს.

უბაკლური გავრცელებული იყო ძირითადად ქიზიყში, აგრეთვე გურჯაანის რაიონში, ძირითადად თითო-ორი ვაზისა და პატარა ნაკვეთების სახით, კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ვენახებში. უფრო მეტად უბაკლური ტიბათსა და მის მეზობელ სოფლებში იყო გავრცელებული. კახეთის დანარჩენ რაიონებში უბაკლური თითქმის არ გვხვდებოდა. ძველად უბაკლური უფრო ფართოდ ყოფილა ცნობილი, მაგრამ ფილოქსერისა და სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელების შემდეგ მოსახლეობა რქაწითელის გარდა სხვა ჯიშების გაშენებას გაურბოდა, ამიტომ ეს მეტად საინტერესო ჯიში მხედველობიდან გამორჩა.

ამჟამად უბაკლური მევენახეობის ინსტიტუტსა, მის ფილიალსა და დასაყრდენ პუნქტებშია დარგული რამდენიმე ათეული ძირი შესწავლისა და გამოცდის მიზნით. მარტო თელავსა და ვაზისუბანში 50—60 ძირზე მეტია გაშენებული. განზრახულია მისი უფრო ფართო მასშტაბით შესწავლა-გამოცდა კახეთისა და ქართლის რაიონებში.


### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიშის ბოტანიკური აღწერა ჩატარებულია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე ს. ვაზისუბანში.

**ახალგაზრდა ყლორტი.** ახალგაზრდა მოხარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი 2—3 ჯერ კიდევ გაუშლელი ფოთოლაკით შებუსუსებულია ყოველი მხრიდან ქეჩისებრი ბეწვებით, შეფერილია თეთრი ფლანელისფრად და მოვარდისფრო არშია აქვს ფოთოლაკებისა და გვირგვინის ირგვლივ. ქვედა იარუსის (4—5) ფოთოლაკებზე ზემო მხრიდან შებუსუსება მკირდება და შეფერვა მომწვანო-ყვითელი ხდება, თანაც მოწითალო-მოდვინისფრო იერი დაჰკრავს. ფოთლების ქვედა მხრიდან შებუსუსება დაცულია და ფერიც მორუხო-თეთრი რჩება.

**ერთწლიანი რქა.** კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მორუხო იერთან მოყვითალო-წითელ ფერს იღებს. მუხლები მუქადაა შეფერილი. მუხლთაშორისები მოკლეა (6—8 სმ), იშვიათად მათი სიგრძე 10 სანტიმეტრსაც აღწევს. მუხლთაშორისების გასწვრივ ზოლები ცუდადაა გამოხატული.

**ფოთოლი.** კარგად განვითარებული (9—12) ფოთლები საშუალო ზომისაა (17×16 სმ). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, უმნიშვნელოდ გადახრილი ოვალური ფორმისაა. ფოთოლი ხუთნაკეთი-



## უ ბ ა კ ლ უ რ ი

უბაკლური ადგილობრივი ნაკლებ გავრცელებული ვაზის ჯიშია. იგი იძლევა თეთრ სუფრის ღვინოს და ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძენს.

**სინონიმები.** მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და აგრეთვე ადგილობრივ მევენახეთა შორის უბაკლური ცნობილია ობაყლურის სახელწოდებითაც (ს. ჩოლოყაშვილი, 1939 წ.).

**ჯიშის ისტორია.** უბაკლური ადგილობრივი ვაზის ჯიშია. იგი წარმომდგარა კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოქმნის ადგილობრივი კერიდან. იგი თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით კახური მწვანის ჯგუფს უახლოვდება. ჯიშის წარმოშობის დროისა და ადგილის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, უბაკლური სიღნაღის რაიონიდან უნდა იყოს წარმოშობილი. სიღნაღში ახლაც არის ადგილი, რომელსაც „ობაყალს“ ეძახიან და სადაც ვენახებია გაშენებული. ჯიშიც ამ ადგილიდან უნდა იყოს გავრცელებული და სახელწოდებაც ობაყლური, ანუ უბაკლური ამ ადგილის სახელის მიხედვით უნდა ჰქონდეს შერქმეული. უბაკლური ერთადერთი ჯიშია ქართულ ვაზის ჯიშებს შორის, რომელსაც სრული სიმწიფის პერიოდში სუსტი მუსკატისებრი არომატი აქვს. უბაკლური მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით საშუალო ხნიერების ვაზის ჯიში უნდა იყოს.

უბაკლური გავრცელებული იყო ძირითადად ქიზიყში, აგრეთვე გურჯაანის რაიონში, ძირითადად თითო-ორი ვაზისა და პატარა ნაკვეთების სახით, კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ვენახებში. უფრო მეტად უბაკლური ტიბათისა და მის მეზობელ სოფლებში იყო გავრცელებული. კახეთის დანარჩენ რაიონებში უბაკლური თითქმის არ გვხვდებოდა. ძველად უბაკლური უფრო ფართოდ ყოფილა ცნობილი, მაგრამ ფილოქსერისა და სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელების შემდეგ მოსახლეობა რქაწითელის გარდა სხვა ჯიშების გაშენებას გაურბოდა, ამიტომ ეს მეტად საინტერესო ჯიში მხედველობიდან გამოჩნდა.

ამჟამად უბაკლური მევენახეობის ინსტიტუტსა, მის ფილიალსა და დასაყრდენ პუნქტებშია დარგული რამდენიმე ათეული ძირი შესწავლისა და გამოცდის მიზნით. მარტო თელავსა და ვაზისუბანში 50—60 ძირზე მეტია გაშენებული. განზრახულია მისი უფრო ფართო მასშტაბით შესწავლა-გამოცდა კახეთისა და ქართლის რაიონებში.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიშის ბოტანიკური აღწერა ჩატარებულია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე ს. ვაზისუბანში.

**ახალგაზრდა ყლორტი.** ახალგაზრდა მოხარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი 2—3 ჯერ კიდევ გაუშლელი ფოთოლაკით შებუსუსებულია ყოველი მხრიდან ქეჩისებრი ბეწვებით, შეფერილია თეთრი ფლანელისფრად და მოვარდისფრო არშია აქვს ფოთოლაკებისა და გვირგვინის ირგვლივ. ქვედა იარუსის (4—5) ფოთოლაკებზე ზემო მხრიდან შებუსუსება მცირდება და შეფერვა მომწვანო-ყვითელი ხდება, თანაც მოწითალო-მოდვინისფრო იერი დაჰკრავს. ფოთლების ქვედა მხრიდან შებუსუსება დაცულია და ფერიც მორუსო-თეთრი რჩება.

**ერთწლიანი რქა.** კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მორუსო იერთან მოყვითალო-წითელ ფერს იღებს. მუხლები მუქადაა შეფერილი. მუხლთაშორისები მოკლეა (6—8 სმ), იშვიათად მათი სიგრძე 10 სანტიმეტრსაც აღწევს. მუხლთაშორისების გასწვრივ ზოლები ცუდადაა გამოხატული.

**ფოთოლი.** კარგად განვითარებული (9—12) ფოთლები საშუალო ზომისაა (17×16 სმ). ფოთლის ფირფიტა მამრგვალოა, უმნიშვნელოდ გადახრილი ოვალური ფორმისაა. ფოთოლი ხუთნაკეთი-

ანია, ძალიან იშვიათად გვხვდება სამნაკეთიანი ფოთლები. ფოთლის მეორეული დანაკეთვა კარგადაა გამოსახული, რის გამოც ფოთლები შეიძლება წყვილად იყოს. ფოთლის ხედაპირი ბადისებრ დანაკეთებულია, იშვიათად იგი წყვილბურთულეებიანია. ფოთლის ფირფიტა დაბრისებრად ან გაურკვევლად ირის მიხრილ-მოხრილი. ფირფიტის ბოლოები ძირსაა დაბრისი. ფოთლის მთავარი ძარღვები მწვანე ფერისაა და აბლაბუდისებრადაა შებუსუსებული.

ზედა ამონაკვეთები სიღრმის მიხედვით ცვალებადია საშუალოდან ღრმამდე. უფრო ღრმად ამონაკვეთები საშუალო სიღრმისაა. ამონაკვეთები უფრო ხშირად დახურულია კვერცხისმაგვარი ფორმის მრგვალფუძიანი თვლით. იშვიათად ამონაკვეთის ფუძე ცალკებილიანია.

ქვედა ამონაკვეთები ნაკლებ ღრმაა. უფრო ხშირად იგი ღიაა, ფორმით ჩანგისებრია, ვიწრო-ყელიანი და მომრგვალო ან წამახვილებულფუძიანი. იშვიათად გვხვდება ღია გაშლილი ჩანგისმაგვარი ამონაკვეთებიც ცალკებილიანი ფუძით.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა დიდად არ მერყეობს. უფრო ხშირად გვხვდება დახურული ყუნწის ამონაკვეთები, ელიფსური ან კვერცხისმაგვართვლიანი და წამახვილებული ან მომრგვალოფუძიანი. იშვიათად გვხვდება ღია ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვეთებიც, მომრგვალო ან წამახვილებულფუძიანი. ყუნწის ამონაკვეთი წესებრივად ცალ ან წყვილდენიანია.

ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება მახვილწვერიანი სამკუთხედისებრი კბილებით ან ნემსისებრი წაწვეტილებულწვერიანი სამკუთხედისებრი კბილებით. გვერდითი კბილები სამკუთხედისებრია, ოდნავ განობერილგვერდებიანი და მახვილწვერიანი და ხერხისკბილისებრ ცალგვერდგამობერილია.


ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია საშუალო სისქის აბლაბუდისებრი ბეწვებით, რომლის ქვეშ მოფენილია თხელი, ჯაგრისებრი ბუსუსი.

ფოთლის ყუნწი შუა ძარღვის ტოლია ან ოდნავ მასზე მოკლე. ყუნწი შეფერილია მოწითალო-ღვინისფრად და მომწვანო ზოლები დაყვება.

ყვავილი. ყვავილი ორსქესიანი, ნორმალური აგებულებისაა. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში 5, იშვიათად 6 მტვრიანაა. მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან შეადგენს

1,25-ს, იშვიათად იგი 1-საც უდრის. ბუტკო მომრგვალო კონუსისებრი ფორმისაა და კარგად გამოსახული ყელი და კარგად მოზრდილი ორად გაყოფილი დინგი აქვს.

მტევანი. მტევნები საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე მერყეობს 10-დან 20 სმ-მდე, ხოლო განი—8-დან 12 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის ზომა უდრის 16×9 სანტიმეტრს. მტევნის ძირითადი ფორმა განიერკონუსისებრია, დატოტვილი, იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმისაც, ხოლო მტევნის ტოტების არათანაბარი ზრდის გამო, ხანდახან უფორმო მტევნებიც გვხვდება. მტევნების აღნაგობა უფრო ხშირად



სურ. 11. უბაკლურის ყვავილი.

მკვრივია, იშვიათად ძალზე მკვრივიც, ხოლო საშუალო სიმკვრივის მტევნები თითქმის არ გვხვდება. მტევანს უმნიშვნელო წვრილმარცვლიანობა ახასიათებს. მტევნების საშუალო წონა მერყეობს 100 გრამიდან 350 გრამამდე და საშუალოდ უდრის 150—200 გრამს. ცალკეული კარგად განვითარებული მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 500—600 გრამს. მარცვლების რაოდენობა მტევანში მერყეობს 120-დან 220-მდე. კარგად განვითარებულ 430 გრამიან მტევანში აღმოჩნდა 203 მარცვალი. ამათგან 92 მსხვილი, ხოლო დანარჩენი 111 საშუალო და საშუალოზე წვრილი ზომისა იყო. მტევნის ყუნწი გაუხვიებელია, იგი ხვედება მხოლოდ შუა ადგილიდან ფუძისაკენ და იფერება რქისფრად. ყუნწის სიგრძე საშუალოდ შეადგენს 3,5—4 სანტიმეტრს. მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე 6—8 მმ-ს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში განიერკონუსისებრია და ბორკლებითაა დაფარული.

მარცვალი. უბაკლურის მარცვლები საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე მერყეობს 1,5-დან 2,0 სმ-მდე, ხოლო განი—1,4-დან 1,9 სმ-მდე. მარცვლის საშუალო ზომა შეადგენს 1,85×1,70 სანტიმეტრს. მარცვლის ფორმა მომრგვალოა, იშვიათად იგი მოოვალურიცაა, რადგანაც მტევნის სიმკვრივის გამო მარცვლები ხშირად იცვლის ფორმას—გრძელდება და მსხვილდება ბოლოსაკენ. მარცვალი შუაში განიერია, ბოლო კი მომრგვალებული აქვს. მარცვალი მომწვანო-ყვითელი ფერისაა. მისი კანი თხელია, მაგრამ მკვრივი და ადვილად შორდება რბილობს. რბილობი საშუალო სიმკვრივისაა და მდნარი. მარცვლის გემო სასიამოვნო, მარმონიულია, კარგადაა გამოსახული ჯიშური არომატი, რომელშიაც მკაფიოდ

ანია, ძალიან იშვიათად გვხვდება სამსაკეთიანი ფოთლები. ფოთლის მეორეული დანაკეთვა კარგადაა გამოსახული, რის გამოც ფოთლები შეიძენაკეთიანი ხდება. ფოთლის ხედაპირი ბადისებრ დანაკეთებულია, იშვიათად იგი წყრილობურთულებიანიცაა. ფოთლის ფირფიტა დაბრისებრად ან გაურყვევლად არის მიხრულ-მოხრული. ფირფიტის ბოლოები ძირსაა დაბრული. ფოთლის მთავარი ძარღვები მწვანე ფერისაა და აბლაბუდისებრადაა შებუსუსებული.

ხედა ამონაკვეთები სიღრმის მიხედვით ცვალებადია საშუალოდან ღრმამდე. უჭიმბრ-მშახმდ ამონაკვეთები საშუალო სიღრმისაა. ამონაკვეთები უფრო ხშირად დახურულია კვერცხისმაგვარი ფორმის მრგვალოფუძიანი თვლით. იშვიათად ამონაკვეთის ფუძე ცალკებილიანია.

ქვედა ამონაკვეთები ნაკლებ ღრმაა. უფრო ხშირად იგი ღიაა, ფორმით ჩანგისებრია, ეიწრო-ყელიანი და მომრგვალო ან წამახვილებულფუძიანი. იშვიათად გვხვდება ღია გაშლილი ჩანგისმაგვარი ამონაკვეთებიც ცალკებილიანი ფუძით.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა დიდად არ მერყეობს. უფრო ხშირად გვხვდება დახურული ყუნწის ამონაკვეთები, ელიფსური ან კვერცხისმაგვართვლიანი და წამახვილებული ან მომრგვალოფუძიანი. იშვიათად გვხვდება ღია ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვეთებიც, მომრგვალო ან წამახვილებულფუძიანი. ყუნწის ამონაკვეთი წესებრივად ცალ ან წყვილდენიანია.

ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება მახვილწვერიანი სამკუთხედისებრი კბილებით ან ნემსისებრი წაწვეტებულწვერიანი სამკუთხედისებრი კბილებით. გვერდითი კბილები სამკუთხედისებრია, ოდნავ განობერილგვერდებიანი და მახვილწვერიანი და ხერხისკბილისებრ ცალგვერდგამობერილია.


ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია საშუალო სისქის აბლაბუდისებრი ბეწვებით, რომლის ქვეშ მოფენილია თხელი, ჯაგრისებრი ბუსუსი.

ფოთლის ყუნწი შუა ძარღვის ტოლია ან ოდნავ მასზე მოკლე. ყუნწი შეფერილია მოწითალო-ღვინისფრად და მომწვანო ზოლები დაყვება.

ყვავილი. ყვავილი ორსქესიანი, ნორმალური აგებულებისაა. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში 5, იშვიათად 6 მტვრიანაა. მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმალლესთან შეადგენს

1,25-ს, იშვიათად იგი 1-საც უდრის. ბუტკო მომრგვალო კონუსისებრი ფორმისაა და კარგად გამოსახული ყელი და კარგად მოხრდილი ორად გაყოფილი დინგი აქვს.

მტევანი. მტევნები საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე მერყეობს 10-დან 20 სმ-მდე, ხოლო განი—8-დან 12 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის ზომა უდრის  $16 \times 9$  სანტიმეტრს. მტევნის ძირითადი ფორმა განიერკონუსისებრია, დატოტვილი, იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმისაც, ხოლო მტევნის ტოტების არათანაბარი ზრდის გამო, ხანდახან უფორმო მტევნებიც გვხვდება. მტევნების აღნაგობა უფრო ხშირად



სურ. 11. უბაკლურის ყვავილი.

მკვრივია, იშვიათად ძალზე მკვრივიც, ხოლო საშუალო სიმკვრივის მტევნები თითქმის არ გვხვდება. მტევანს უმნიშვნელო წვრილმარცვლიანობა ახასიათებს. მტევნების საშუალო წონა მერყეობს 100 გრამიდან 350 გრამამდე და საშუალოდ უდრის 150—200 გრამს. ცალკეული კარგად განვითარებული მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 500—600 გრამს. მარცვლების რაოდენობა მტევანში მერყეობს 120-დან 220-მდე. კარგად განვითარებულ 430 გრამიან მტევანში აღმოჩნდა 203 მარცვალი. ამათგან 92 მსხვილი, ხოლო დანარჩენი 111 საშუალო და საშუალოზე წვრილი ზომისა იყო. მტევნის ყუნწი გაუხევებელია, იგი ხევდება მხოლოდ შუა ადგილიდან ფუძისაკენ და იფერება რქისფრად. ყუნწის სიგრძე საშუალოდ შეადგენს 3,5—4 სანტიმეტრს. მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე 6—8 მმ-ს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში განიერკონუსისებრია და ბორკლებითაა დაფარული.

მარცვალი. უბაკლურის მარცვლები საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე მერყეობს 1,5-დან 2,0 სმ-მდე, ხოლო განი—1,4-დან 1,9 სმ-მდე. მარცვლის საშუალო ზომა შეადგენს  $1,85 \times 1,70$  სანტიმეტრს. მარცვლის ფორმა მომრგვალოა, იშვიათად იგი მოოვალუროცაა, რადგანაც მტევნის სიმკვრივის გამო მარცვლები ხშირად იცვლის ფორმას—გრძელდება და მსხვილდება ბოლოსაკენ. მარცვალი შუაში განიერია, ბოლო კი მომრგვალებული აქვს. მარცვალი მომწვანო-ყვითელი ფერისაა. მისი კანი თხელია, მაგრამ მკვრივი და ადვილად შორდება რბილობს. რბილობი საშუალო სიმკვრივისაა და მდნარი. მარცვლის გემო სასიამოვნო, მარმონიულია, კარგადაა გამოსახული ჯიშური არომატი, რომელშიაც მკაფიოდ

უბაკლურს ზრდის საშუალო ღონე აქვს. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით, ზრდა-განვითარების შედარებით თანაბარ პირობებში, კახური ვაზის სხვა ჯიშებთან შედარებით უბაკლურის ზრდის ღონე საშუალოდ შეფასებული.

**მოსავლიანობა.** უბაკლური შედარებით ადრე იძლევა როგორც პირველ, ისე სრულ მოსავალს, დარგვიდან მესამე წელს იგი მთლიანი მოსავლის თითქმის ნახევარს იძლევა, ხოლო მე-4 წლიდან იგი უკვე სრულ მოსავალს გვაძლევს. საერთოდ, უბაკლურმა საკმაო მაღალი მოსავალი და ვაზისუბნის საკოლექციო ვენახებში წარმოებული ადრიცხვის მიხედვით მისი მოსავალი უბაკლურზე საგრძნობლად მაღალია და გამოანგარიშებით ჰექტარზე 60—100 ცენტნერამდე აღწევს (ვაზისუბანში).

უბაკლურს მსხმოიარობის მაღალი მაჩვენებლები ახასიათებს. მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 0,6-დან 1,75-მდე და საშუალოდ 1,30-ს უდრის. მტვენის საშუალო წონა 100-დან 300 გრამამდე მერყეობს, საშუალოდ კი 160—200 გრამია, ხოლო კარგად განვითარებული მტვენების წონა თავისუფლად აღწევს 500—600 გრამს. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება საკმაო სიზუსტით იქნეს გამოანგარიშებული მისი მოსავალი ჰექტარზე. მაგალითად, როცა მსხმოიარობის კოეფიციენტი არის 1,3, ანუ ერთ რქაზე მოდის საშუალოდ 1,3 მტვეანი, ხოლო ვაზზე საშუალოდ 10 რქაა განვითარებული და მტვენის საშუალო წონა შეადგენს 160—200 გრამს, მაშინ ძირის მოსავალი იქნება 2-დან 2,6 კილოგრამამდე, ხოლო, თუ ჰექტარზე 3,330 ძირი ვაზია, ჰექტარის მოსავალი იქნება 69-დან 86,5 ცენტნერამდე. ასეთ მოსავალს იძლევა ჯიში დაახლოებით თელავსა და ვაზისუბანში. ვაზისუბანში ჩატარებული ადრიცხვის მიხედვით, უბაკლურის 26 ვაზზე მოიკრიფა 224 მტვეანი, რომელთა საერთო წონა იყო 51,2 კილოგრამი, ანუ საშუალოდ ძირზე მიღებულ იქნა 2 კილოგრამი ყურძენი, რაც, რაკი ჰექტარზე 5000 ძირი ვაზია, შეადგენს 100 ცენტნერს ჰექტარზე. თელავში უბაკლურის მოსავალი უფრო ნაკლებია: საშუალო მოსავალი ძირზე 1500—1800 გრამს აღწევს, რაც, რაკი ჰექტარზე 3,330 ძირი ვაზია, შეადგენს 50—60 ცენტნერს ჰექტარზე.

ამრიგად, უბაკლურის საშუალო მოსავლად კახეთში უნდა მიჩნეულ იქნეს საშუალოდ ჰექტარზე 80—100 ცენტნერი.

**სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა.** ვაზისუბნისა და თელავის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით უბაკლურის გამძლეობა სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ შეფასებულია საშუალოდ. ამასთან, იგი მილდიუსს უკეთ უძლებს, ვიდრე ნაცარს, თელავში ნაკლებ ზიანდება. ვაზისუბანში უბაკლურს ისევე, როგორც სხვა ძველი ვაზისუბნის ჯიშებს აზიანებს აგრეთვე ყურძნის ქია. თელავში ყურძნის ქია გავრცელებული არაა და უბაკლურს, ამდენად, მისგან საშიშროება არ მოელოს. სამეურნეო მნიშვნელობის დაზიანება სხვა ავადმყოფობათაგან და მავნებლებისაგან თელავსა და ვაზისუბანში წარმოებული დაკვირვების შედეგად 12—15 წლის მანძილზე აღნიშნული არ ყოფილა.

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

მტვენებისა და მარცვლების გარეგნული შეხედულებით და ყურძნის მექანიკური და ქიმიური შემადგენლობის მიხედვით უბაკლური საღვინე ჯიშია. წარმოებაშიაც იგი ძირითადად ამ მიმართულებით არის გამოყენებული. ყურძნის მექანიკური და ქიმიური შემადგენლობის გასაცნობად ქვემოთ მოყვანილია ჩატარებული ანალიზის შედეგები:

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	წელი	მტვენის საშ. წონა	მარცვლების რიცხვი მტვეანში	ყურძნის შემადგენელი ნაწილების პროცენტი				100 მარცვლის წონა	100 წიპწის წონა
				წყენი და რბილობი	კლერტი	კანი	წიპწა		
კახეთი, თელავის რაიონი (მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი) სოჭის რაიონი „იაკორნაია ჩელი“	1937	145,4	54,0	83,97	4,09	8,76	3,18	29,7	4,50
	1940	258,74	134	85,8	2,85	9,20	2,15	186,4	4,26
	1940	219	114	83,0	3,40	10,1	3,50	170,0	4,30

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, უბაკლურის ყურძენში წვენი და რბილობი საკმაოდ დიდი, ხოლო მაგარი ნარჩენები (კლერტი, ქაჭა, წიპწა) შედარებით მცირე რაოდენობითაა. ყურძნის ვადამუშა.

ვების ნახევრად საწარმოო პირობებში წვეწის გამოსავლიანობა შედარებით ნაკლებია და შეადგენს საშუალოდ 72,6%-ს, ხოლო ჭაჭისა 27,4%-ს. ამ მონაცემების მიხედვითაც უბაკლურს საღვინე ვაზის ჯიშის თვისებები ახასიათებს.

წვეწის ქიმიური შემადგენლობა. უბაკლურს შაქრის დაგროვების საკმაოდ მაღალი უნარი აქვს. წლების განმავლობაში რთელის პერიოდში ჩატარებული ანალიზების მიხედვით უბაკლურის შაქრიანობა 18%-სა 21%-ს შორის მერყეობს, ხოლო მჟავიანობა 7—8<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ს შორის. შეიძლება ვთქვათ, რომ შაქრიანობისა და მჟავიანობის ნაჩვენები რაოდენობა და მათი ურთიერთშეთარდება სასურველ ველუოფს ხარისხოვანი სუფრის ღვინის მიღებას. შაქრიანობა-მჟავიანობის ცალკეულ წლების მიხედვით მერყეობის გასაცნობად ქვემოთ მოყვანილია 1937 წლიდან 1948 წლამდე წარმოებულ ანალიზების შედეგები.

**უბაკლურის ყურძნის შაქრიანობა-მჟავიანობის ცვალებადობა ცალკეული წლების მიხედვით**

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	წელი	რთელის თარიღი	შაქარი %/100-ში	სიმჟავე %/100-ში	შენიშვნა
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ფენარი, ქ. თელავი, სოფ. კურდღელაური.	1937	25/IX	20,9	8,3	1937 და 1940 წლის მოსავლის ანალიზები გაცემებულია სოფ. ვაზისუბანში
	1940	23/IX	19,4	7,0	
	1941	24/IX	21,0	6,8	
	1943	22/IX	18,2	8,06	
	1944	4/IX	18,0	11,4	
	1945	—	—	—	
	1946	23/IX	21,3	6,64	
	1947	22/IX	20,0	7,43	
	1948	26/IX	18,0	6,04	

ყურძნის წვეწის უფრო სრული დახასიათებისათვის ქვემოთ მოყვანილია მისი ქიმიური შემადგენლობის მაჩვენებლები.

წვეწის შემადგენელი ნივთიერებები	საერთო შემცობა	შაქარი	ფრუქტოზა	გლუკოზა	საერთო სიმჟავე	ღვინის სიმჟავე	ვაშლის სიმჟავე	ტანიინი	ნატარი
%/100-ში	21,95	20,09	9,87	10,22	8,3	4,04	4,26	0,15	1,47

მოყვანილი მონაცემები ადასტურებს უბაკლურის საღვინე ჯიშად გამოყენების უპირატესობას; ამავე მონაცემების მიხედვით იგი უდავოდ ნამდვილი სუფრის ღვინის მომცემი ჯიშია.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის ხარისხი. უბაკლურის ყურძნისაგან ძირითადად მშრალი სუფრის ღვინო მზადდება. წარმოების პირობებში, ჯიშის ნაკლებ გავრცელების გამო, უფრო ხშირად იგი სხვა ჯიშებთან—ძირითადად რქაწითელთან—ერთად იწურება. ძალიან იშვიათად მისგან ცალკეც მზადდება ღვინო. ამჟამად მისგან მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება საცდელი ღვინოები. წმინდა უბაკლურის ღვინოს კარგი თვისებები აქვს. უბაკლურის ღვინის საცდელი ნიმუშები, დამზადებული ვაზისუბნისა და თელავის საკოლექციო ნაკვეთების მოსავლისაგან, საშუალო და საშუალოზე მაღალი ხარისხისაა. უბაკლურის ღვინო ღია ჩალისფერია, აქვს კარგად გამოსახული ჯიშური არომატი. გემოთი ნაზია და პარმონიული. საერთოდ იგი საშუალო სხეულიანი და პარმონიული დგება. მევენახეობის ინსტიტუტის საღვინესტაციო კომისიის სხდომებზე უბაკლურის ღვინო ყოველ წელს კარგ ნიშნებს იღებდა, როგორც საშუალო ღირსების კარგი სუფრის ღვინო.

ნათქვამის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები ჯიშობრივი ღვინოების ხარისხის შემფასებელი სადგესტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	წელი	სადგესტაციო კომისიის სხდომის თარიღი	ბალი	საქდელი ღვინოების ორგანოლექტიკური შეფასება
კახეთი. გურჯაანის რაიონი, ს. ვახისუბანი, საკოლექციო ვენახი	1936	20/1 1937	6,0	კარგად დაწმენდილი, მოჩაღისფრო-ყვითელი, საშუალო სხეულისანი, სუფრის ღვინო.
კახეთი. გურჯაანის რაიონი, ს. ვახისუბანი, საკოლექციო ვენახი	1940	25/XII 1940	7,3	ღია ჩალისფერი, კარგად დაწმენდილი. არომატი ჯიშური აქვს და კარგად გამოსაბუდი, გემო სრული მარძონიული.
თელავის რაიონი, ქ. თელავი, მევენახეობის ინსტ-ტის საკოლექციო ვენახი ს. კურდღელაჯრში	1941	12/1 1942	6,9	მოჩაღისფრო-ყვითელი, კარგად დაწმენდილი. სასიამოვნო ჯიშური არომატიანი; გემო სრული, სასიამოვნო კახური ტიპის ღვინო.
თელავის რაიონი, ქ. თელავი, მევენახეობის ინსტ-ტის საკოლექციო ვენახი ს. კურდღელაჯრში	1947	16/V 1948	7,3	ღია ჩალისფერი, კარგად დაწმენდილი, არომატი ნახი; სასიამოვნო, საშუალო სხეულიანი ვერძული ტიპის ღვინო. გემო სასიამოვნო, მარძონიული.
თელავის რაიონი, ქ. თელავი, მევენახეობის ინსტ-ტის საკოლექციო ვენახი ს. კურდღელაჯრში	1948	11/11 1949	7,2	ჩალისფერი, ჯიშური არომატიანი, ხომიერსხეულიანი და ხალისიანი მჟავიანობით.

როგორც მოყვანილი დახასიათებიდან ირკვევა, უბაკლურის ღვინოს კარგი საგემოვნო თვისებები აქვს. უბაკლურის ღვინოზე სრული წარმოდგენის მისაღებად ქვემოთ მოყვანილია მისი ქიმიური შემადგენლობის მაჩვენებლები. საანალიზო ნიმუშები დამზადებულია ს. ვახისუბანში, საკოლექციო ვენახის მოსაველიდან.

**უბაკლურის ღვინის ქიმიური შემადგენლობა**

მოსაველის წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მოცულობით % ში	გ რ ა მ ე ზ ბ ი ლ ი ტ რ შ ი									
			მსტრაქტი	ნაცარი	ხაყის ტუღიანობა	საერთო სიმკვლე	მქოლავი სიმკვლე	ღვინ ს მკვლე	შაქარი	გლიცერინი	ტანინი	არამკვლევი სიმკვლე
1940	0,9921	11,25	19,44	2,14	3,16	6,78	0,79	3,2	1,2	5,09	0,39	5,82
1941	0,9913	12,0	21,64	—	—	6,29	0,46	5,71	—	—	—	—

მოყვანილი მაჩვენებლების მიხედვით უბაკლურის ღვინო კარგი, საშუალო ღირსების სუფრის ღვინოა.

გარდა სუფრის ღვინისა, უბაკლური იძლევა მაღალი ღირსების ყურძნის წვენს. მისგან დამზადებული საქდელი ნიმუშები მეტად კარგი თვისებისაა. სასიამოვნო ხილის არომატი და მჟავიანობა მას აძლევს თვისებას, რაც საშუალებას იძლევა უფრო დიდ ხანს შეინახოს, ვიდრე მაღალ შაქრიანი და მკირე მჟავიანი ყურძნის წვენი. ჯიში ამ მიმართულებით უდავოდ პერსპექტიულია.

უბაკლური გამოსადგეია აგრეთვე ადგილობრივი მომხარების სადესერტო ყურძნადაც. თავისებური, ნაზი არომატი, სასიამოვნო და ხალისიანი გემო მას უდავოდ მიმზიდველს ხდის მომხმარებლისათვის. მაგრამ ამ მიმართულებით მის უართოდ გამოყენებას ხელს უშლის მტვენების სიმკვრივე, რაც უდავოდ უარყოფითად მოქმედებს მომხმარებელზე.

კარგ შედეგს უნდა ველოდეთ უბაკლურისაგან აგრეთვე კახეთის უფრო მშრალ და თბილ რაიონებში, ძირითადად სიღნაღისა და გურჯაანის რაიონებში, სადაც ბუნებრივი პირობები უფრო უწყობს ხელს მეტი შაქრის დაგროვებას და ამდენად მისგან მაგარი და სადესერტო ტიპის ღვინოების დამზადებას. ამ მიმართულებით ჯიშის გამოცდის პერსპექტიულობას ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ უბაკლურს აქვს საკმაოდ ძლიერი ჯიშური არომატი, რომელსაც მუსკატის იერი ახლავს.

**ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება**

უბაკლური ადგილობრივი ნაკლებ გავრცელებული ვახის ჯიშია. იგი იძლევა კარგი ღირსების თეთრ სუფრის ღვინოს და იხმარება ადგილზე სადესერტო ყურძნადაც. გვადდება ძირითადად სიღნაღის, გურჯაანისა და თელავის რაიონებში თიხო-ოროლა ვახის სახით საწარმოო ვენახებში და, იშვიათად,



საქართველოს  
საბავშვო



უბაკლური—Убаклури



საკარმიდამო პატარა ნაკვეთების სახითაც. ჯიშის იშვიათობის გამო მისგან წმინდა ღვინოს არ ამზადებენ და იგი სხვა ჯიშებთან — ძირითადად რქაწითელთან — ერთად იწურება. უბაკლურისაგან წმინდა ჯიშური ღვინო ამჟამად მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. უბაკლურის ღვინო ადრე და კარგად იწმინდება, ღია ჩალისფერია და სასიამოვნო ჯიშურ არომატთან ერთად ნაზი, ჰარმონიული გემო აქვს. უბაკლური საშუალოსხეულიან, ზომიერ ალკოჰოლიან, ხალისიან, საშუალო ღირსების ღვინოს იძლევა.

ჯიშის დადებითი თვისებებია: მისი შედარებით მაღალი მოსავლიანობა და ვარგისობა როგორც მშრალი სუფრის ღვინოების, ისე უალკოჰოლო წვენისა და, კახეთის შედარებით უფრო თბილ რაიონებში, სადესერტო და მაგარი ღვინის დასამზადებლად.

ჯიშის უარყოფითი თვისებებია: პროდუქციის არამაღალი ხარისხი და მტევნების ზედმეტი სიმკვრივე, რაც ხელს უშლის ჯიშის ფართოდ გამოყენებას ადგილობრივი მოხმარების სადესერტო უფრძნად.

აღნიშნული ნაკლის მიუხედავად, უბაკლური, როგორც შედარებით მაღალმოსავლიანი და კარგი ღირსების ღვინის მომცემი ჯიში, პერსპექტიულია კახეთის ზოგიერთი რაიონისათვის.

იგი შეიძლება რეკომენდებულ იქნას მთლიანი ფართობის 10—15 პროცენტზე მისი პირვანდელი გავრცელების რაიონებში — სიღნაღის, გურჯაანისა და თელავის რაიონებში — ძირითადად, ნაზი, ვერობული ტიპის სუფრის ღვინის, უალკოჰოლო წვენის დასამზადებლად, აგრეთვე სხვა ჯიშების საგემოვნო თვისებების გასაუმჯობესებლად და, ნაწილობრივად, ბაკურციხე-კარდანახის მიკრორაიონშიც სადესერტო ტიპის ღვინის დასამზადებლად.

უბაკლური პერსპექტიულია აგრეთვე ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და საბჭოთა კავშირის სამხრეთ რაიონებში გამოსაცდელად და გასავრცელებლად.

## УБАКЛУРИ

Лист. Вполне развитые листья средних размеров (17×16). Листовая пластинка округлая, с незначительным варьированием, в сторону овальной. Число основных лопастей пять, трехлопастные листья почти не встречаются. Вторичные лопасти хорошо выражены, благодаря чему листья становятся семилопастными. Поверхность листа сетчатоморщинистая, реже она мелкоузурчатая. Листовая пластинка воронковидная, либо она неопределенно изогнутая. Края пластинки отогнуты вниз. Главные нервы светлозеленые и опушены паутинисто.

Верхние вырезки варьируют от средних до глубоких; чаще вырезки бывают средних размеров. Основная форма вырезов закрытая, с яйцевидным просветом и округлым дном, реже дно выемки однозубчатое.

Нижние вырезки несколько менее глубоки. Основная форма вырезов лировидная с узким устьем и округлым либо заостренным дном, реже встречаются открытые лировидные вырезки с однозубчатым дном.

Черешковая выемка по форме незначительно варьирует. Чаще встречаются закрытые черешковые выемки с эллиптическим или яйцевидным просветом и с заостренным или округлым дном. Реже встречаются открытые лировидные выемки с округлым либо несколько заостренным дном. Как правило, выемки снабжены одним или двумя шпорцами.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей треугольные, крупные, с острой вершиной и узко-треугольные, оттянутые в острый вершиной. Краевые зубцы треугольные с несколько выпуклыми сторонами и острой вершиной и пилевидно-треугольные, односторонне-выпуклые, обычно крупные и мелкие зубцы правильно чередуются меж собой.

Опушение нижней поверхности листа паутинистое средней густоты с примесью редкого щетинистого пушка.

Черешок равен или несколько короче длины срединного нерва листа. Окраска черешка винно-красная с прозеленью.

Цветок. Цветок нормального строения, обоенный. Тычинки прямостоячие. Число тычинок в цветке 5, реже 6. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,25, реже 1,0. Пестик правильно округло-конической формы с хорошо выраженным столбиком и сравнительно большим двураздельным рыльцем.

Гроздь. Грозди средних размеров, длина гроздей варьирует от 10 до 20 см, при ширине 8—12 см. Размер средней грозди равен 16×9 см. Основная форма гроздей широко-коническая лопастная, реже встре-

чаются цилиндрико-конические и, ввиду разрастания лопастей, бесформенные грозди. В большинстве случаев грозди плотные и очень плотные, средне-плотные грозди почти не встречаются. Горючение ягод в грозди незначительное. Средний вес гроздей варьирует от 100 до 350 гр, составляя в среднем на гроздь 150—200 гр. Отдельные крупные грозди свободно достигают веса 500—600 гр. Количество ягод в грозди варьирует от 120 до 220. В полноценной грозди весом 430 гр было сосчитано 92 крупных и 111 средних ягод—всего 203 ягоды. Ножка грозди зеленая, травянистая, деревенеющая у основания. Длина ножки в среднем равна 3,5—4 см. Ножка ягоды зеленая, длиной 6—8 мм. Подушечка бородавчатая, дисковидная.

Ягода. Ягоды средних размеров, длина ягод варьирует от 1,5 до 2,0 см, при ширине 1,4—1,9 см. Размер ягод в среднем равен  $1,85 \times 1,70$  см; форма ягод округлая, реже она овальная. Ввиду различной плотности грозди ягоды сильно меняют форму, вытягиваясь к основанию ягоды. Наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды закруглен. Окраска ягод зелено-желтая. Кожица ягоды тонкая, легко отделяющаяся от мякоти. Мякоть плотная, расплывающаяся. Вкус приятный, гармоничный, с характерным сортовым ароматом, напоминающим мускатные тона. Восковой налет на ягодах довольно обильный. Прочность прикрепления ягод к ножке средняя. Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4, составляя в среднем 1,84 семени на ягоду.

Убаклури—местный малораспространенный сорт Кахетии, дает легкие средне-экстрактивные столовые вина европейского типа и отчасти используется в качестве десертного винограда местного значения. Сорт распространен в Сигнахском, Гурджаанском и Телавском районах Кахетии, в основном в виде отдельных кустов на производственных участках колхозов, реже в виде маленьких участков на приусадебных участках колхозников. Ввиду малого распространения сорта, его в производственных условиях колхозов перерабатывают вместе с другими сортами винограда. Чистосортное вино из Убаклури готовится только в Институте виноградарства, оно своеобразное, довольно хорошего качества. Цвет вина светло-соломенный, аромат приятный, сортовой, вкус нежный, гармоничный. Легкое, средне-экстрактивное, свежее вино европейского типа.


К положительным свойствам сорта относятся—его сравнительно высокая урожайность и пригодность его в качестве материала для сухих столовых вин, безалкогольных соков, для слабиривания вкуса тяжелых грибных вин и отчасти в более теплых уголках Кахетии—для крепких и десертных вин.

К недостаткам сорта относятся недостаточно высокое качество его продукции и чрезмерная плотность грозди значительно суживающая его применение в качестве десертного винограда местного значения.

Несмотря на указанные недостатки, его, как урожайный среднекачественный сорт, можно рекомендовать для восстановления примерно на 10—15% площади в районах его первичного распространения—Сигнахском, Гурджаанском и Телавском—для приготовления легких, сухих столовых вин европейского типа, качественных безалкогольных соков и отчасти для крепких и десертных вин в основном Вавурцixe-Карданахском микрорайоне.

Сорт перспективен также для юго-восточной части Картли и южных виноградарских районов Союза.





## ინგილოური

ინგილოური ადგილობრივი, ნაკლებ გავრცელებული ვახის ჯიშია. იძლევა ვერძული ტიპის თეთრ სუფრის ღვინოს.

**სინონიმები.** ს. იყალთოში (თელავის რაიონი) ადგილობრივ მევენახეთა შორის ინგილოური მკვარტლას სახელწოდებითაც არის ცნობილი.

**ჯიშის ისტორია.** ინგილოური ადგილობრივი ვახის ჯიშია, იგი წარმოშობილია კულტურული ვახის ჯიშების ფორმათა წარმოქმნის ადგილობრივი კერიდან. თავისი მორფოლოგიური ნიშნებით (ფოთლის ქვედა მხარის საკმაო სქელი შებუსვა, მომრგვალო-მოოვალურო მარცვალი და სხვა) იგი მეტად ახლო დგას კახეთის თეთრ ჯიშებთან. პირდაპირი ცნობები ინგილოურის წარმოშობის ადგილისა და დროის შესახებ არ მოგვეპოვება. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ინგილოური“ სადაურობის მაუწყებელი სახელების ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს. ამავე დროს, აკად. ივ. ჯავახიშვილს იგი ჰერეთის (ახლანდელი საინგილოს) ვახის ჯიშთა სიაში აქვს მოყვანილი. ამჟამად ინგილოური გვხვდება თითო-ორიოდა ძირის სახით ძირითადად თელავისა და ახმეტის რაიონებში, იყალთოში, რუისპირში ქისტაურსა და სხვა სოულებში. ზოგიერთი ცნობით იგი გარეკახეთშიაც – ს. თაბლიაურში – ყოფილა. 20 – 30 ძარი ინგილოური მევენახეობის ინსტიტუტისა და მისი ქსელის საცდელ ნაკვეთებზედაც არის დარგული.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიშის ბოტანიკური აღწერა შესრულებულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში სოფ. კურდღელთაურში, ქ. თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით. ვენახი გაშენებულია ცივ-გომბორის სუსტად დაქანებულ ფერდობზე. ვახები გაბმულია სარ-მავითულზე ქართული ორმბრივი წესით. კვების არე უდრის 3 მ<sup>2</sup>-ს. ვენახი გაშენებულია 1934 წელს.

**ახალგაზრდა ყლორტი.** ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი ორი-სამი ჯერ კიდევ გაუშლელი ფოთოლაკით შებუსუსებულია სქელი ქეჩისებრი ბუსუსით, შეფერილია თეთრი ფლანელისფრად და ღია ვარდისფერი არშია აქვს ფოთოლაკების ირგვლივ და ყუნწის გასწვრივ. მეორე იარუსის ფოთლები მომწვანო-ყვითელია და მორუხო იერი დაჰკრავს. ფოთლის ქვედა მხარე მოვერცხლისფრო თეთრია.

**ერთწლიანი რქა.** კარგად მოწეული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მორუხო-წითლად იფერება. მუხლთაშორისები საშუალო ზომისაა. მუხლები მუქადაა შეფერილი.

**ფოთოლი.** საშუალო იარუსის ფოთლები (9—12) სამნაკეთიანია, საშუალო ზომისა (17×17 სმ), ფორმა მომრგვალო აქვს და მუქი მწვანე ფერისაა. იშვიათად ხუთნაკეთიანი ფოთლებიც გვხვდება. ფოთლის ზედაპირი ბადისებრ დანაოქებულია, ზოგჯერ იგი წვრილბურთულებიანია. ფოთლის ფირფიტა მიხრილ-მოხრილია, ნაკვეთების ბოლოები ოდნავ ზემოთაა წამოწეული.

ზედა ამონაკვეთები ზეზეურია, იშვიათად საშუალო სიღრმესაც აღწევს. ამონაკვეთები ღიაა, ფორმით ჩანგისებრია, მახვილფუძიანი და შევიწროებულყელიანი. იშვიათად ნაპრალისებრიცაა ან შეჭრილი კუთხისმაგვარია, უფრო იშვიათად დახურულია და კვერცხისმაგვარი ფორმის თელიანი.

ქვედა ამონაკვეთები სუსტადაა გამოსახული, ჩვეულებრივ, ზეზეურია ან სულ არაა გამოსახული.


ყუნწის ამონაკვეთის ფორმა ნაკლებ ცვალებადია. უფრო ხშირად იგი ღიაა, ჩანგისებრი ფორმისა, მომრგვალო ან მახვილფუძიანი. იშვიათად იგი დახურულია კვერცხისმაგვარი თელით.

ფოთლის მთავარი ნაკვთები ბოლოვდება გამოზნექილგვერდებიანი მახვილწვერიანი სამკუთხედი-  
სებრი კბილებით. იშვიათად კბილები გუმბათისმაგვარიცაა, გვერდითი კბილები ხერხის კბილისებრია,  
ოდნავ გამოზნექილგვერდებიანი და მახვილწვერიანი.

ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია საშუალო სისქის აბლაბუდისებრი ბეწვებით, რომლის ქვეშ  
მოფენილია სქელი ჯაგრისებრი ბუსუსი. საერთოდ, ფოთლის შებუსუსება საშუალო სისქისაა და ზემო-  
დან ქვევით მატულობს. ბიზ.ლიტ.მ.ს.ს.

ფოთლის ყუნწი მის შუა ძარღვზე უფრო მოკლეა, მოყვითალო-მწვანე ფერისაა და შებუსუსებულია  
სუსტი აბლაბუდისებრი ბეწვებით.

ყვავილი. ყვავილი ნორმალური აგებულებისაა, ორსქესიანი. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილ-  
ში ექვსი მტვრიანაა, იშვიათად გვხვდება ხუთ- და შვიდმტვრიანანი ყვავილებიც. მტვრიანათა ძაფების  
სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან შეადგენს 1,0—1,25-ს.  
ბუტკო განიერ კონუსისებრი ფორმისაა, მოკლეყელიანი და  
თითქმის მჯდომარე, ხშირად ორად გაყოფილდინგიანი.



სურ. 12. ინგილოურის ყვავილი.

მტევანი. მტევნები საშუალო ზომისაა. მტევნების სიგრძე  
მერყეობს 10-დან 20 სანტიმეტრამდე, ხოლო განი—6-დან 10  
სანტიმეტრამდე. საშუალო ზომის მტევნის სიგრძე-სიგანე უდრის  
16 X 6 სანტიმეტრს. მტევნის ძირითადი ფორმა კონუსისებრი  
ან ცილინდრულ-კონუსისებრია. იშვიათად ცილინდრული ფორ-  
მის მტევნებიც გვხვდება. ხშირად მტევნები მხრიანია. მხრე-  
ბის სიგრძე აღწევს ძირითადი მტევნის სიგრძის ორ მესამედს.

უფრო ხშირად მტევნები საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად მეჩხერი მტევნებიც გვხვდება. მტევნის საშუა-  
ლო წონა მერყეობს 100 გრამიდან 270 გრამამდე, საშუალოდ 120—140 გრამს უდრის. მარცვლების  
რაოდენობა მტევანში მერყეობს 50-დან 100-მდე, საშუალოდ მტევანზე 60—80 მარცვალია. მტევნის  
ყუნწი ბალახისებრია. შუა ნაწილიდან მტევნის ფუძისაკენ იგი ხევდება და იღებება რქისფრად. ყუნ-  
წის სიგრძე დიდად არ მერყეობს, საშუალოდ მისი სიგრძე უდრის 2,5—3,0 სანტიმეტრს. მარცვლის  
ყუნწი ღია მწვანეა, მისი სიგრძე მერყეობს 0,4-დან 0,8 სანტიმეტრამდე. მარცვლის საჯდომი ბალიში  
განიერ კონუსისებრია, იშვიათად იგი ვიწრო კონუსისებრ ფორმასაც იღებს.

მარცვალი. ინგილოურის მარცვლები საშუალო და საშუალოზე ოდნავ მეტი სიდიდისაა. მარ-  
ცვლების სიგრძე მერყეობს 1,55-დან 1,80 სანტიმეტრამდე, ხოლო განი—1,59-დან 1,72 სანტიმეტრამ-  
დე. საშუალო მარცვლის სიგრძე-სიგანე შეადგენს 1,70 X 1,60 სანტიმეტრს. მარცვლის ფორმა ოდნავ  
ოვალურია, იშვიათად იგი მომრგვალოცაა; საშუალო და წვრილი მარცვლების ფორმა უფრო ხშირად  
მომრგვალოა. მარცვლები ყუნწზე საკმაოდ მკვიდრად სხედან. მარცვალი მოჭარვისფრო-ყვითელია და  
ოდნავ მოვარდისფრო იერი დაჰკრავს სრული სიმწიფის დროს. ცვილისებრი ფიფქი მარცვალზე კარ-  
გადაა გამოსახული. მარცვლის კანი თხელია, იგი ადვილად შორდება რბილობს. მარცვალი წვნიანია,  
ოდნავ მკვრივი, მარცვლებიდან ძნელად გამოსაშორებელი რბილობი აქვს. მარცვლების გემო ტკბილი და  
სასიამოვნოა. მარცვლის არომატი კარგადაა გამოსახული, იგი მოგვაგონებს ქისის არომატს. წიბების  
რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 4-მდე, საშუალოდ მარცვალზე მოდის 2,05 წიბა.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდზე და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე ჩატარდა მევე-  
ნახეობის ინსტიტუტის საკოლეგციო ვენახში, რომელიც მდებარეობს სოფ. კურდღელაურში, თელავი-  
დან 4 კილომეტრის დაშორებით.

კურდღელაურის ეკოლოგიურ პირობებში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 138-სა და  
157 დღეს შორის და საშუალოდ 146 დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის შესაბამისად მერყეობს  
აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,775 გრადუსსა და 3,066,7 გრადუსს შორის, ხოლო საშუალოდ  
2,897,8 გრადუსს შეადგენს. დანარჩენი ფაზების მერყეობა ცალკეული წლების მიხედვით მოცემულია  
ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ინგილოურის სავეგეტაცია პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობა

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წლები	ფაზების დადგომის თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი	ნალექი	
		კვირტის გაწლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარეპროდუქციული	სავეგეტაციო
კახეთი, თელავის რაიონი, ს.კ. მევენახეობათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი	1937	24/4	9/6	14/8	15/9	145	2967,5	—	—
	1938	22/4	4/6	7/8	10/9	141	2986,2	—	—
	1939	26/4	31/5	18/8	15/9	143	2930,0	—	—
	1940	14/4	4/6	14/8	15/9	155	3160,2	—	—
	1941	7/4	28/5	6/8	10/9	157	3199,0	—	—
	1942	27/4	8/6	19/8	20/9	147	3150,1	—	—
	საშუალო . . . . .	—	20/4	4/6	12/8	14/9	148	3065,5	—
საშუალო . . . . .	1943	27/4	8/6	14/8	20/9	146	2,932,5	117,4	479,6
	1944	24/4	5/6	19/8	20/9	149	2,956,2	69,4	393,4
	1945	4/5	12/6	22/8	20/9	140	2,850,0	47,3	346,3
	1946	25/4	5/6	16/8	10/9	138	2,775,0	6,5	541,1
	1947	3/4	2/6	9/8	30/8	149	2,806,8	31,6	547,7
	1948	24/4	4/6	9/8	18/9	147	3,066,7	62,4	472,2
	საშუალო . . . . .	—	22/4	6/6	14/8	14/9	145	2,897,8	62,4

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ცალკეული ფაზების დადგომის თარიღები საგრძნობლად მერყეობს ცალკეული წლების მეტეოროლოგიურ პირობებთან დაკავშირებით. ყველაზე მეტად მერყეობს პირველი ანუ საწყისი ფაზა. მისი მერყეობის ფარგლები ერთ თვეს სცილდება (3 აპრილი 1947 წელს და 5 მაისი 1945 წ.). ამასთან დაკავშირებით ცვალებადობს სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობაც. შედარებით უფრო ნაკლებ ცვალებადობს დასასრული ფაზა — ყურძნის სრული სიმწიფე, მისი მერყეობის ფარგალი 10 დღეს არ სცილდება. იგი დგება უფრო ხშირად 10 სექტემბრიდან 20 სექტემბრამდე. ამ ვადების მიხედვით ინგილოური სიმწიფის მეორე პერიოდის ვაზის ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს.

ინგილოურის ერთწლიანი რჩები კახეთის ჰავის პირობებში თავისუფლად ასწრებს მომწიფებას ყურძნის სრულად დამწიფების მომენტისათვის. როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ირკვევა, ინგილოური ზოგიერთ წელს (1946) 138 დღის განმავლობაში ამთავრებს სავეგეტაციო პერიოდს, ხოლო ყურძნის სრული დამწიფება აგვისტოს ბოლო რიცხვებშიაც კი ხდება (1947 წ.). ყველა ამის გამო ინგილოური შეუძლია თავისუფლად მომწიფდეს ერთწლიანი ნახარდითურთ არა მარტო თელავში, არამედ მასზე გაცილებით უფრო გრილპაგიან ადგილებშიაც, როგორიცაა: მესხეთი, დუშეთი, თიანეთი და სხვ.

ინგილოურმა ღონიერი ზრდა არ იცის. მისი ზრდის ღონე კახურ სხვა ჯიშებთან შედარებით, ზრდა-განვითარების შედარებით თანაბარ ეკოლოგიურ პირობებში, შეფასებულია საშუალოდ. ასეთივეა მისი ზრდა იმ სოფლებშიაც, რომლებიც მისი გავრცელების ძირითად ადგილებად ითვლება — რუისპირსა და იყალთოში.

მოსავლიანობა. კახეთის მთავარი საწარმოო ვაზის ჯიშების მსგავსად, ინგილოური ადრე იძლევა პირველსა და სრულ მოსავალს. დარგვიდან მესამე წელს იგი იძლევა მთლიანი მოსავლის თითქმის ნახევარს, ხოლო მეოთხე-მეხუთე წლიდან უკვე სრულ მოსავალს გვაძლევს.

ინგილოური უხვმოსავლიანი ჯიშია. მისი მოსავლიანობა კახეთის მთავარ საწარმოო ვაზის ჯიშებთან შედარებით საშუალოა ან საშუალოზე ოდნავ ქარბი. ძირის მოსავალი საკოლექციო ნაკვეთის ოცდაათ ვაზზე საშუალოდ წლების მანძილზე მერყეობს 1,200 გრამიდან 1,800 გრამამდე, რაც ჰექტარზე გადაყვანით შეადგენს 40—60 ცენტნერ ყურძენს.

ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით ინგილოურს მსხმოიარობის კარგი მაჩვენებლები ახასიათებს. მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 1,04-დან 1,78-მდე და 12 წლის მანძილზე საშუალოდ შეადგენს 1,48-ს. მტევნის საშუალო წონა მერყეობს 89—300 გრამს შორის, ხოლო საშუალოდ შეადგენს 120—140 გრამს. თუ ვივარაუდებთ საშუალოდ ერთ ვაზზე 10 რქას, მაშინ ძირის მოსავალი იქნება 1,780—2,070 გრამი, რაც ჰექტარზე გადაყვანით შეადგენს 56—68 ცენტნერს. ინგილოურის მოსავლიანობის უფრო დეტალურად დახასიათებისათვის ქვემოთ მოყვანილია მისი მოსავლიანობის მაჩვენებლები 1942 და 1948 წლის მონაცემების მიხედვით.

**ინგილოურის მსხმოიარობის მაჩვენებლები**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოებლის ადგილი	წელი	მოსავლიანი რქების %				მტვენების რაოდენობა მოსავლიან რქაზე	მტვენების რაოდენობა 1 რქაზე	მტვენის საშუალო წონა	მოსავალი ერთ რქაზე გრამში	რქების რაოდენობა ჰექტარზე	მევენახეობის ფართობი ჰექტარზე
		1 მტვენიანი	2 მტვენიანი	3 მტვენიანი	სულ						
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტ-ტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი	1942	48,38	32,26	14,52	95,16	1,81	1,72	120,0	206,4	31,350	64,58
	1948	30,37	47,4	11,85	89,62	1,82	1,63	115,0	187,4	39,600	74,96



როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ინგილოურს მოსავლიანი რქების დიდი რაოდენობა ახასიათებს (89 — 95%), ხოლო უნაყოფო რქების რაოდენობა შესაბამისად მცირეა და 5 — 10%-ს შეადგენს. აღსანიშნავია აგრეთვე საკმაოდ დიდი რაოდენობა (12 — 14) სამმეტევნიანი რქებისა, რაც უდავოდ მაჩვენებელია კარგი მსხმოიარობისა. საკავებლის სიგრძეზე ცალკეული რქების მოსავლიანობაზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ორ და სამმეტევნიანი რქები უფრო ხშირად საკავებლის მეოთხე რქიდან წვერისაკენ არიან განლაგებული. მოყვანილი მონაცემების მიხედვით ინგილოურის გადაანგარიშებული მოსავალი ჰექტარზე 30,000 — 40,000 კვირტიით დატვირთვის შემთხვევაში მერყეობს 56 ცენტერიდან 75 ცენტერამდე. ცხადია, ასეთი დატვირთვა 3,0 მ<sup>2</sup> კვების არეზე მეტად მცირეა და იგი ვაზების მიერ სრულად არ არის გამოყენებული. ნათქვამის გათვალისწინებით ინგილოური, როგორც საშუალო ღონის ზრდის ვაზი, უნდა გაშენდეს საშუალო სიდიდის — 1,5 × 1,5 მეტრიან — კვების არეზე, რითაც საშუალება მოგვეცემა დატვირთვის თითქმის გაორკეცებისა ჰექტარზე და მოსავლის საგრძნობი გადიდებისა.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა, ინგილოური სოკოვან ავადმყოფობებს საშუალოდ უძლებს. ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით მისი გამძლეობა მილდიუმის მიმართ შეფასებულია საშუალოდ, ხოლო ნაცრის მიმართ საშუალოზე მცირედ. იოდოჰმიან წლებში ინგილოური საგრძნობლად ზიანდება ნაცრისაგან. ამის გამო ერთი დამატებით წამლობა ნაცრის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ავადმყოფობის მოსალოდნელი განვითარების წინ, აუცილებელია. სამეურნეო მნიშვნელობის სხვა დაავადება ან მავნებლებისაგან დაზიანება 12 წლის დაკვირვების მანძილზე აღნიშნული არ ყოფილა.

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

მტვენებისა და მარცვლების გარეგნული შეხედულებით და მათი მექანიკური შემადგენლობისა და წვენის ქიმიური შემადგენლობის მიხედვით ინგილოური ძირითადად საღვინე ჯიშია. წარმოებაშიაც იგი ძირითადად ამ მიმართულებით არის გამოყენებული. საგემოვნო თვისებების მიხედვით ინგილოური გამოსადგვია აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის სასუფრე ყურძნადაც.

ჯიშის მექანიკური თვისებების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია მტვენისა და მარცვლის მექანიკური ანალიზის შედეგები.

**ინგილოურის ყურძნის მარცვლის მექანიკური შემადგენლობა**

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მტვენის საშუალო წონა	მარცვლების რაოდენობა მტვენში	მტვენისა და მარცვლის შემადგენელი ნაწილები %/ო-ში					100 მარცვლის წონა	100 წიწის წონა გრ-ში
				მარცვლი	კლერტი	კანი	წიწა	წვენი და რბილობი		
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტ-ტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი	1940	115,8	55	96,29	3,71	7,31	3,60	85,3	203	3,63
	1941	125,0	65	95,52	4,48	12,26	4,64	78,62	180	2,96

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ინგილოურის ყურძენს გადაშეშავების ლაბორატორიულ პირობებში წვენის გამოსავლიანობის საკმაოდ მაღალი პროცენტი ახასიათებს.

ნახევრად წარმოების პირობებშიაც მისი გამოსავლიანობა საკმაოდ მაღალია და შეადგენს წვენისათვის 76%-ს, ხოლო ქაქისათვის 24%-ს.

წვენის ქიმიური შემადგენლობა, ინგილოურს საკმაოდ მაღალი შაქრიანობა და ზომიერი მჟავიანობა ახასიათებს. წლების განმავლობაში ჩატარებული ანალიზების მიხედვით მისი შაქრიანობა უფრო ხშირად 18-დან 20%-მდე მერყეობს, ხოლო მჟავიანობა 6<sup>0</sup>/<sub>100</sub>-დან 9<sup>0</sup>/<sub>100</sub>-მდე.

ქვემოთ მოყვანილია ცნობები შაქრიანობა-მჟავიანობის ცვალებადობის შესახებ რთვლის პერიოდში ცალკეული წლების მიხედვით.



**ინგილოურის წვენის შაქრიანობა-მჟავიანობის მაჩვენებლები**

№ №	რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	შოსაქლის წელი	რთვლის თარიღი	შაქრიანობა %/100-ში	მჟავიანობა %/100-ში	შენიშვნა
	კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი	1940	20/IX	21,5	5,96	
		1941	20/IX	20,7	6,0	
		1942	15/IX	18,8	7,0	
		1943	1/X	19,2	8,25	
		1944	27/IX	21,2	11,7	
	იგრი	1945	25/IX	8,2	9,6	
	"	1946	19/IX	20,4	6,77	
	"	1947	2/IX	17,6	8,7	
	"	1948	20/IX	18,1	5,98	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ზოგიერთ წლებში რთვლის პერიოდში ინგილოურის წვენი საკმაოდ მაღალი შაქრიანობითა და ოდნავ დაბალი მჟავიანობით ხასიათდება. როცა კი შაქრიანობა 20%-ს სცილდება, მისი მჟავიანობა უკვე საკმარისი აღარ არის მაღალი ხარისხის ღვინის მისაღებად. პირიქით, როცა შაქრიანობა მეტეოროლოგიური პირობების გამო 18%-სა და ქვევით ეცემა, მაშინ მისი მჟავიანობა შაქრიანობასთან შედარებით მაღალია და მაღალი ღირსების ღვინოს მაინც ვერ მოგვცემს. საუკეთესო შედეგად შაქრიანობა-მჟავიანობას შორის ჩვენ გვაქვს მაშინ, როცა წვენის შაქრიანობა 18-დან 20%-მდე მერყეობს. ამ შემთხვევაში არსებობს შესაძლებლობა მაღალი ხარისხის ღვინის მიღებისა. საერთოდ ინგილოურს მეტი პერსპექტივა აქვს მაგარი და სადესერტო ტიპის ღვინის დასამზადებლად გამოყენების მხრივ.

რადგანაც მას ცოტა დაგვიანებით მოკრეფის შემთხვევაში შეუძლია დიდი რაოდენობით დააგროვოს შაქარი და ამასთან ერთად ჯიშის სპეციფიკური არომატი უკეთ გამოიყენოს, ამიტომ ამ მიმართულებით ცდების ჩატარება სასურველია.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. ინგილოურისაგან ძირითადად მზადდება მშრალი სუფრის ღვინო, ნაწილობრივ იგი გამოსადეგია აგრეთვე ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძნად. ძველად ინგილოური უფრო ფართოდ იყო გავრცელებული და მისგან წმინდა ჯიშის ღვინოები მზადდებოდა. ამჟამად, რადგან იგი მცირე რაოდენობით მოიპოვება და ამასთან ნარევის სახით მწვანისა და რქაწითლის ნარგავებში, მისგან წარმოების პირობებში წმინდა ღვინო არ მზადდება. მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტი ამზადებს მისგან წმინდა ჯიშის ღვინოს. ღვინის საცდელი ნიმუშები კარგი თვისებებით ხასიათდება. ღვინო ქარვისფერია, გამჭვირვალე, არომატი ჯიშური, სასიამოვნო აქვს, გემო—ნაზი, პარმონიული; მსუბუქი, ევროპული ტიპის ღვინოა. კახური წესით დაყენება ჯერ არ უცდიათ. სასურველია აგრეთვე ჩატარდეს ცდები მისგან მაგარი და სადესერტო ღვინის დასამზადებლად, რადგან, რაკი ჯიში საადრეოა, რთვლის ჩვეულებრივ ვადებში ჩატარების საშუალებით თავისუფლად შეიძლება დაგროვდეს დიდი რაოდენობით შაქარი და ამასთან სასიამოვნო ჯიშური არომატი უფრო მკვეთრად გამოვლინდეს. საერთოდ, ინგილოური არ იძლევა მაღალი ხარისხის სუფრის ღვინოს, მისი ღვინო საშუალო ღირსების ევროპული ტიპისაა. ზოგიერთ წლებში მისგან შეიძლება მაღალხარისხოვანი ღვინოც დადგეს, რომ ამას სხეულის სიმცირე არ უშლიდეს ხელს. მევენახეობის ინსტიტუტის სადევუსტაციო კომისიის სხდომებზე ინგილოური კარგ ნიმუშებს იღებდა, მისი საგემოვნო თვისებების დასახასიათებლად მოგვყავს ამონაწერები სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.



**ინგილოურის მსხმოიარობის მაჩვენებლები**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	მოსავლიანი რქების %				მტევნების რაოდ. მოსავლიან რქებზე	მტევნების რაოდენობა 1 რქაზე	მტევნის საშუალო წონა	მოსავალი ერთ რქაზე გრამში	რქების რაოდენ. ტექტარზე	წარმოებული მსხმოიარობის რაოდენობა ტექტარზე
		1 მტევნიანი	2 მტევნიანი	3 მტევნიანი	სულ						
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტ-ტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი	1942	48,38	32,26	14,52	95,16	1,81	1,72	120,0	206,4	31,350	64,58
	1948	50,37	47,4	11,85	89,62	1,82	1,63	115,0	187,4	39,600	74,98

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ინგილოურს მოსავლიანი რქების დიდი რაოდენობა ახასიათებს (89 — 95%), ხოლო უნაყოფო რქების რაოდენობა შესაბამისად მცირეა და 5 — 10%-ს შეადგენს. აღსანიშნავია აგრეთვე საკმაოდ დიდი რაოდენობა (12 — 14) სამმტევნიანი რქებისა, რაც უდავოდ მაჩვენებელია კარგი მსხმოიარობისა. საკავებლის სიგრძეზე ცალკეული რქების მოსავლიანობაზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ორ და სამმტევნიანი რქები უფრო ხშირად საკავებლის მეოთხე რქიდან წვერისაკენ არიან განლაგებული. მოყვანილი მონაცემების მიხედვით ინგილოურის გადაანგარიშებული მოსავალი ტექტარზე 30,000 — 40,000 კვირტით დატვირთვის შემთხვევაში მერყეობს 56 ცენტნიდან 75 ცენტნიამდე. ცხადია, ასეთი დატვირთვა 3,0 მ<sup>2</sup> კვების არეზე მეტად მცირეა და იგი ვაზების მიერ სრულად არ არის გამოყენებული. ნათქვამის გათვალისწინებით ინგილოური, როგორც საშუალო ღონის ზრდის ვაზი, უნდა გაშენდეს საშუალო სიდიდის — 1,5 × 1,5 მეტრიან — კვების არეზე, რითაც საშუალება მოგვეცემა დატვირთვის თითქმის გაორკეცებისა ტექტარზე და მოსავლის საგრძნობი გადიდებისა.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. ინგილოური სოკოვან ავადმყოფობებს საშუალოდ უძლებს. ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით მისი გამძლეობა მილდიუმის მიმართ შეფასებულია საშუალოდ, ხოლო ნაცრის მიმართ საშუალოზე მცირედ. იოდოლუმთან წლებში ინგილოური საგრძნობლად ზიანდება ნაცრისაგან. ამის გამო ერთი დამატებით წამლობა ნაცრის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ავადმყოფობის მოსალოდნელი განვითარების წინ, აუცილებელია. სამეურნეო მნიშვნელობის სხვა დაავადება ან მავნებლებისაგან დაზიანება 12 წლის დაკვირვების მანძილზე აღნიშნული არ ყოფილა.

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

მტევნებისა და მარცვლების გარეგნული შეხედულებით და მათი მექანიკური შემადგენლობისა და წვენის ქიმიური შემადგენლობის მიხედვით ინგილოური ძირითადად საღვინე ჯიშია. წარმოებაშიაც იგი ძირითადად ამ მიმართულებით არის გამოყენებული. საგემოვნო თვისებების მიხედვით ინგილოური გამოსადგვია აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის სასუფრე ყურძნადაც.

ჯიშის მექანიკური თვისებების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია მტევნისა და მარცვლის მექანიკური ანალიზის შედეგები.

**ინგილოურის ყურძნის მარცვლის მექანიკური შემადგენლობა**

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მტევნის საშუალო წონა	მარცვლების რაოდენობა მტევანში	მტევნისა და მარცვლის შემადგენელი ნაწილები %/ო-ში					100 მარცვლის წონა	100 წიპწის წონა გრ-ში
				მარცვალი	კლურტი	კანი	წიპწა	წვენი და რბილობი		
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტ-ტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი	1940	115,8	55	96,29	3,71	7,31	3,60	85,3	203	3,66
	1941	125,0	65	95,52	4,48	12,26	4,64	78,62	180	2,86

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ინგილოურის ყურძენს გადამუშავების ლაბორატორიულ პირობებში წვენის გამოსავლიანობის საკმაოდ მაღალი პროცენტი ახასიათებს. ნახევრად წარმოების პირობებშიაც მისი გამოსავლიანობა საკმაოდ მაღალია და შეადგენს წვენისათვის 76%-ს, ხოლო ჯაჭისათვის 24%-ს.

წვენი ს ქიმიური შემადგენლობა. ინგილოურს საკმაოდ მაღალი შაქრიანობა და ზომიერი მჟავიანობა ახასიათებს. წლების განმავლობაში ჩატარებული ანალიზების მიხედვით მისი შაქრიანობა უფრო ხშირად 18-დან 20%-მდე მერყეობს, ხოლო მჟავიანობა 6<sup>0</sup>/<sub>100</sub>-დან 9<sup>0</sup>/<sub>100</sub>-მდე.

ქვემოთ მოყვანილია ცნობები შაქრიანობა-მჟავიანობის ცვალებადობის შესახებ რთელის პერიოდში ცალკეული წლების მიხედვით.



ინგილოურის წვენი შაქრიანობა-მჟავიანობის მაჩვენებლები

№ №	რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	რთელის თარიღი	შაქრიანობა %/100-ში	მჟავიანობა %/100-ში	შენიშვნა
	კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი	1940	20/IX	21,5	5,96	
		1941	20/IX	20,7	6,0	
		1942	15/IX	18,8	7,0	
		1948	1/X	19,2	8,25	
	იგივე	1944	27/IX	21,2	11,7	
	"	1945	25/IX	8,2	9,6	
	"	1946	19/IX	20,4	6,77	
	"	1947	2/IX	17,6	8,7	
	"	1948	20/IX	18,1	5,96	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ზოგიერთ წლებში რთელის პერიოდში ინგილოურის წვენი საკმაოდ მაღალი შაქრიანობითა და ოდნავ დაბალი მჟავიანობით ხასიათდება. როცა კი შაქრიანობა 20%-ს სცილდება, მისი მჟავიანობა უკვე საკმარისი აღარ არის მაღალი ხარისხის ღვინის მისაღებად. პირიქით, როცა შაქრიანობა მეტეოროლოგიური პირობების გამო 18<sup>0</sup>/<sub>100</sub>-სა და ქვევით ეცემა, მაშინ მისი მჟავიანობა შაქრიანობასთან შედარებით მაღალია და მაღალი ღირსების ღვინოს მაინც ვერ მოგვცემს. საუკეთესო შეფარდება შაქრიანობა-მჟავიანობას შორის ჩვენ გვაქვს მაშინ, როცა წვენი 18-დან 20%-მდე მერყეობს. ამ შემთხვევაში არსებობს შესაძლებლობა მაღალი ხარისხის ღვინის მიღებისა. საერთოდ ინგილოურს მეტი პერსპექტივა აქვს მაგარი და სადესერტო ტიპის ღვინის დასამზადებლად გამოყენების მხრივ.

რადგანაც მას ცოტა დაგვიანებით მოკრეფის შემთხვევაში შეუძლია დიდი რაოდენობით დააგროვოს შაქარი და ამასთან ერთად ჯიშის სპეციფიკური არომატი უკეთ გამოიყენოს, ამიტომ ამ მიმართულებით ცდების ჩატარება სასურველია.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. ინგილოურისაგან ძირითადად მზადდება მშრალი სუფრის ღვინო, ნაწილობრივ იგი გამოსადევია აგრეთვე ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძნად. ძველად ინგილოური უფრო ფართოდ იყო გავრცელებული და მისგან წმინდა ჯიშის ღვინოები მზადდებოდა. ამჟამად, რადგან იგი მკირე რაოდენობით მოიპოვება და ამასთან ნარევის სახით მწვანისა და რქაწითლის ნარგავებში, მისგან წარმოების პირობებში წმინდა ღვინო არ მზადდება. მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტი ამზადებს მისგან წმინდა ჯიშის ღვინოს. ღვინის საცდელი ნიმუშები კარგი თვისებებით ხასიათდება. ღვინო ქარვისფერია, გამჭვირვალე, არომატი ჯიშური, სასიამოვნო აქვს, გემო—ნაზი, მარმონიული; მსუბუქი, ევროპული ტიპის ღვინოა. კახური წესით დაყენება ჯერ არ უცდიათ. სასურველია აგრეთვე ჩატარდეს ცდები მისგან მაგარი და სადესერტო ღვინის დასამზადებლად, რადგან, რაკი ჯიში საადრეოა, რთელის ჩვეულებრივ ვადებში ჩატარების საშუალებით თავისუფლად შეიძლება დაგროვდეს დიდი რაოდენობით შაქარი და ამასთან სასიამოვნო ჯიშური არომატი უფრო მკვეთრად გამოვლინდეს. საერთოდ, ინგილოური არ იძლევა მაღალი ხარისხის სუფრის ღვინოს, მისი ღვინო საშუალო ღირსების ევროპული ტიპისაა. ზოგიერთ წლებში მისგან შეიძლება მაღალხარისხიანი ღვინოც დადგეს, რომ ამას სხეულის სიმკირე არ უშლიდეს ხელს. მევენახეობის ინსტიტუტის სადგეუსტაციო კომისიის სხდომებზე ინგილოური კარგ ნიშნებს იღებდა, მისი საგემოვნო თვისებების დასახასიათებლად მოგვეყავს ამონაწერები სადგეუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.

**ამონაწერი სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მო-საფლ. წელი	სადევუსტაციო კომისიის სხდომის თარიღი	ბალი	ინგილოური ღვინის ორგანოლექტიკური შეფასება
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი	1947	28/V 1948	7,7	ქარვისფერი, სასიამოვნო ჯიშური არომატიანი, ნაზი, ჰარმონიული, ევროპული ტიპის ხალისიანი ღვინო, ოდნავ მცირე სხეულით.
იგივე	1948	10/II 1949	7,0	ბაცი ჩაისფერი, ჯიშური არომატით, ნაკლებ ჰარმონიული, ოდნავ უხეში გემოს მქონე.



ინგილოურის ღვინის ქიმიური ბუნების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია მისი ქიმიური შემადგენლობის მაჩვენებლები.

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მოცულობით %/100-ში	საერთო სიმ-ვაფე გრამ ლიტრზე	მკურაქტი გრამ ლიტრზე	ტანინი გრამ ლიტრზე	მკროლაფი სიმ-ვაფე გრამ ლიტრზე
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი	1940	0,9911	12,6	5,66	21,9	—	0,75
	1947	—	10,2	8,95	28,10	0,36	0,22
	1948	—	12,40	5,17	18,35	0,18	0,4

როგორც ორგანოლექტიკური, ისე ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით ინგილოური კარგი საღვინე ჯიშია. იგი გამოსადეგია როგორც მშრალი სუფრის ღვინის, ისე მაგარი და სადესერტო ღვინის დასამზადებლად. მაგრამ უფრო რაციონალური იქნება მისი სხვა ჯიშებთან, ძირითადად რქაწითელთან ერთად გადამუშავება უკანასკნელის საგემოვნო თვისებების გასაუმჯობესებლად, მისი სინაზისა და არომატულობის გასადიდებლად. უნდა ვიფიქროთ, რომ ძველად იგი ამ მიზნით ირგვებოდა ჩვენს ვენახებში. გარდა ამისა, რაკი იგი შედარებით საადრეო ჯიშია, ამასთან მეჩხერმტევნიანი და შედარებით მსხვილმარცვლიანი, იგი გამოსადეგია ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძნად და უალკოჰოლო ყურძნის წვენის დასამზადებლად.

**ჯიშის შეფასება და დარაიონება**

ინგილოური ნაკლებ გავრცელებული ადგილობრივი ჯიშია. იგი იძლევა ევროპული ტიპის ნაზ, მცირესხეულიან თეთრ სუფრის ღვინოს, რომელსაც საკმაოდ ძლიერი ჯიშური არომატი აქვს. სხვა მიმართულებით ჯიში გამოცდილი არ არის, მაგრამ მასზე მრავალი წლის დაკვირვების შედეგად და წარმოებული ანალიზისა და საცდელი ღვინოების შეფასების საფუძველზე გარკვეულია, რომ იგი გამოსადეგია მაგარი და სადესერტო ღვინოების დასამზადებლად, რადგანაც იგი საადრეო ჯიშია, რომელსაც რთულის ჩვეულებრივ ვადებში ჩატარების შემთხვევაში ადვილად შეუძლია დააგროვოს დიდი რაოდენობით შაქარი და შეინარჩუნოს და გაავითაროს ჯიშური არომატი. იგი გამოსადეგია აგრეთვე ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძნად, რადგანაც ნაადრევად მწიფდება. მას თხელი მტევნები და საშუალოზე მსხვილი მოქარვისფრო მარცვლები აქვს. დასასრულ, ინგილოურის გამოყენება მიზანშეწონილია აგრეთვე სხვა ჯიშების, ძირითადად რქაწითელის ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მათი სინაზისა და არომატულობის გასადიდებლად.

ჯიშის დადებითი თვისებებია: საშუალოზე მეტი მოსავლიანობა, მისი ვარგისობა სხვადასხვა ტიპის ღვინის მისაღებად, სუფრის სადესერტო ყურძნად და უალკოჰოლო ყურძნის წვენისათვის და სხვა ჯიშებთან ერთად ხარისხიანი ღვინის დასამზადებლად. ჯიშის უარყოფითი თვისებებია: ღვინის არამალალი ხარისხი და ნაცრის მიმართ საშუალოზე სუსტი გამძლეობა.

აღნიშნული ნაკლის მიუხედავად ჯიში პერსპექტიულია აღმოსავლეთ საქართველოს მაღლობი ზონისათვის, სადაც ადგილობრივი ვაზის სტანდარტული ჯიშები სრულად ვერ მწიფდება, და მაღალმთიან გრილშავიან ადგილებისათვის—მესხეთის, დუშეთის, თიანეთისა და სხვა რაიონებისათვის. ჯიში ფართოდ უნდა გამოიყენოს გორულ მწვანესთან და მუხრანულთან (ალიგოტესთან) ერთად ქართლის ძირითად



ინგილოური — ინგილოური

რაიონებში მისი მოსავლიანობისა და პროდუქციის ხარისხის შესასწავლად და შემდგომში გასავრცელებლად. კახეთში ჯიშის აღდგენა სასურველია იმ რაიონებში, სადაც იგი ძველად იყო გავრცელებული — თელავ-ახმეტის ზოლზე. აქ სასურველია მისი გაშენება ვენახების მთლიანი ფართობის 5—10% ზე როგორც ცალკე წმინდა ჯიშის ღვინისათვის, ისე რქაწითელთან ერთად, ამ უკანასკნელის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ჯიში პერსპექტიულია აგრეთვე საბჭოთა კავშირის მევენახეობის სამხრეთ რაიონებში, როგორც საადრეო და სხვადასხვა მიმართულებით გამოსაყენებელი პროდუქციის მომცემი ჯიში.

## ИНГИЛОУРИ

**Лист.** Листья среднего яруса (9—12) темно-зеленого цвета средних размеров (17×17), по форме округлые. Листья чаще слабо-трехлопастные, реже встречаются и пятилопастные листья. Поверхность листьев сетчато-морщинистая, реже она бывает мелко пузырчатой. Пластинка листа неопределенно изогнутая, края лопастей приподняты вверх.

Верхние вырезки мелкие, реже — средних размеров. Форма вырезок лировидная с острым дном и суженным устьем, реже вырезки щелевидные или имеют форму входящего угла, еще реже они бывают закрытые, яйцевидной формы с округлым дном.

Нижние вырезки слабо выражены, обычно они мелкие или совсем отсутствуют.

Черешковая выемка по форме слабо варьирует, в большинстве случаев она открытая, по форме лировидная, с округлым, или заостренным дном, реже она закрытая с яйцевидным просветом.

Зубцы хорошо выражены, чаще они треугольные, с выгнутыми сторонами и острой вершиной, реже они кнулообразные.

Опушение нижней поверхности листьев среднего яруса паутиновое, средней густоты, с примесью довольно густого щетинистого пушка.

Черешок по длине короче срединного нерва листа, окрашен в желто-зеленый цвет и опушен слабой паутиной.

Осенняя окраска листьев обычная, светло-желтая.

**Цветок.** Цветки обоеполе, нормального строения. Тычинки прямостоячие. Число тычинок 6, реже встречаются цветки с пятью и семью тычинками. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,0—1,25. Пестик широко-конической формы, с коротким столбиком и почти сидячим, часто с двураздельным рыльцем.

**Гроздь.** Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует от 10 до 20 см, при ширине 6—10 см. Средний размер грозди равен 16×6 см. Основная форма грозди коническая и цилиндро-коническая, реже она бывает цилиндрической. Обычно грозди крылатые, длина крыльев достигает до двух третьей длины основной грозди. Чаще встречаются грозди средней плотности, реже они (бывают) рыхлые. Ножка грозди по длине мало варьирует, его длина равна в среднем 2,5—3,0 см, она травянистая и только со середины деревенеет и принимает цвет чубука. Ножка ягоды светло-зеленая, по длине она варьирует от 0,4 до 0,8 см. Подушечка бородавчатая, чаще она широко-конической, реже бывает и узко-конической формы.

**Ягода.** Ингилоури характеризуется средними размерами ягод, реже они бывают выше средних размеров. Длина ягод варьирует от 1,55 до 1,80 см, при ширине ягод 1,50—1,72 см. За среднее можно принять ягоду размером 1,70×1,60 см, форма ягод слабо-овальная, реже округлая, у средних и мелких ягод она чаще округлая. Ягоды довольно прочно висят на ножках гребней. Окраска ягод янтарно-желтая, со слабо розовым оттенком, при их полной зрелости. Пруин на ягодах хорошо выражен. Кожица ягод тонкая, легко отделяющаяся от мякоти. Ягода сочная, расплывающаяся с несколько тягучей, нелегко отделяющейся от семян мякотью. Вкус ягод приятный. Сортовой аромат ягод хорошо выражен. По аромату ягод Ингилоури напоминает сорт Киси. Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4.

Ингилоури — местный, малораспространенный сорт белых столовых вин Кахетии. До появления грибных болезней и филлоксеры он значительно более был распространен в районах Кахетии. В настоящее время сорт встречается единичными кустами, в основном, в Телавском и Ахметском районах.

Сорт размножен на опытных участках Института виноградарства, из него готовят сухое столовое вино. Вино из Ингилоури соломенно-желтое, прозрачное. Аромат сортовой, приятный. Вкус нежный, гармоничный, нехватает полноты тела. Для других типов вин сорт не испытан. Однако, на основе изучения химического состава сока и опытных образцов вин, его, как раннего сорта (2 эпохи созревания), легко накапливающего большое количество сахаров, целесообразнее использовать для приготовления крепких и

десертных вин. Помимо указанного, сорт годен в качестве десертного винограда местного значения, для приготовления безалкогольных виноградных соков и для улучшения качества вин других белых сортов винограда.


К положительным свойствам сорта относятся вышесредняя урожайность, пригодность сорта для приготовления разных типов вин и в качестве столового винограда местного значения.

К недостаткам сорта относятся не высокое качество вина и недостаточная устойчивость против оидиума.

Несмотря на указанные недостатки, Ингилоури является перспективным для высокогорных виноградных зон Восточной Грузии — Месхетии, Тианетского, Душетского и др. районов, где местные стандартные сорта винограда не всегда и полностью вызревают. После предварительного испытания на урожайность и качество продукции его можно рекомендовать для основных виноградных районов Картлинии и Юго-Осетии.

Сорт является перспективным также для северных и горных районов СССР.





## კახური მცვივანი

მცვივანი ადგილობრივი ნაკლებ გავრცელებული ვაზის ჯიშია, იგი იძლევა თეთრ სუფრის ღვინოს.

სინონიმები. ადგილობრივ მევენახეთა შორის და მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში მცვივანი ცნობილია აგრეთვე მამალი მცვივანის, დედალი მცვივანის (ზ. ჯორჯაძე, 1876 წ.), მცვივანეს (გვევსკი და შარერი, 1886 წ.), ცვივანის (ი. ბახტაძე, 1887 წ.) სახელით.

ჯიშის ისტორია. მცვივანი კახური ვაზის ჯიშია. იგი წარმოშობილია კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოქმნის ადგილობრივი კერიდან. თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებებით მცვივანი მეტად ახლოს დგას ადგილობრივ ვაზის ჯიშებთან და მათთან ერთად ერთ მთლიან ჯგუფს შეადგენს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მცვივანის სახელწოდებით საქართველოში გავრცელებულია და ცნობილია ოთხი სხვადასხვა ჯიში, სახელდობრ: ა) კახური მცვივანი. მისი სინონიმებია: მამალი მცვივანი და დედალი მცვივანი (ზ. ჯორჯაძე 1876 წ.) და მცვივანე, რაც მცვივანის დამახინჯებულ სახელწოდებას წარმოადგენს (გვევსკი და შარერი, 1886 წ.); ბ) რაჭული მცვივანი. მისი სინონიმია ცვივანი (ი. ბახტაძე, 1887 წ.); გ) ყვითელი მცვივანი, რომელიც იშვიათად შესახვედრი კახური ჯიშია და დ) გურიის მცვივანი, რომლის სინონიმია საფერავი (მ. რამიშვილი, 1948 წ.). ეს უკანასკნელი დანარჩენთაგან განსხვავებით წითელი ჯიშია. ყველა ეს ჯიში ადგილობრივი წარმოშობისაა და თავიანთი მორფოლოგიური ნიშნებით—ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსებით, მტევნის სიდიდით, მარცვლის ფორმით და შეფერვითაც (უკანასკნელის გამოკლებით)—ზოგადად წაგავენ ერთმანეთს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ოთხივე მცვივანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სხვადასხვა ჯიშია და საკმაოდ მკვეთრად განსხვავდებიან ურთიერთისაგან. ასე, კახური მცვივანი ორსქესიანი ჯიშია, რაჭული მცვივანი ფუნქციონალურად მდედრობითია, გურიული მცვივანი ყველასაგან განსხვავებით წითელი ჯიშია და კახური ყვითელი მცვივანი ორსქესიანი ვაზის ჯიშია და ამასთან ერთად მეტად იშვიათიცაა. ჩამოთვლილი ჯიშებიდან მხოლოდ უკანასკნელი, ყვითელი მცვივანი, ამართლებს თავის სახელწოდებას; მას სიმწიფის დროს უბრალოდ გარხვეითაც კი სცივია მარცვლები. დანარჩენ ჯიშებს ეს ცუდი თვისება არა აქვს და, მაშასადამე, ამ სახელწოდებას არ ამართლებენ. რაც შეეხება რაჭულ მცვივანს, მას მარცვლების ცვენა არ ახასიათებს, მაგრამ, როგორც მდედრობითი სქესის ვაზმა დიდი ყვავილცვენა იცის და ისიც წმინდა ნარგავებში. ცხადია, უდავოდ იქნებოდა ისეთი ჯიშები, რომლებშიაც ეს თვისება მკვეთრად იყო გამოხატული. შეიძლება ზოგ ჯიშს ეს სახელწოდება შეერქვა ზედმეტი ყვავილცვენის გამო, ისიც სიმწიფის პერიოდში. კახეთში მართლაც არსებობს ჯიში, ყვითელი მცვივანის სახელწოდებით, რომელიც ძალიან იშვიათია და რომელსაც მეტად მკაფიოდ ახასიათებს მარცვლების ცვენა ყურძნის სრული სიმწიფისას. მცვივანის წარმოშობის დროის განსაზღვრისათვის მასალები არ მოიპოვება. ძველი ლიტერატურული წყაროების მიხედვით XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე კარგად ცნობილი ჯიში ყოფილა. ამის საფუძველზე იგი საშუალო ხნიერების ვაზის ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს.

მცვივანი კახეთის რაიონებში გვხვდება მინარევის სახით, იშვიათად პატარა ნაკვეთების სახითაც. ძველად, ფილოქსერისა და სოკოვან ავადმყოფობათა გაჩენამდე, იგი უფრო გავრცელებული იყო, მაგრამ ფილოქსერის სუსტი გამძლეობის გამო იგი აღრე გადაშენდა. ამჟამად უფრო მეტად მცვივანი გვხვდება ალაზნის მარცხენა მხარეზე, ძირითადად ყვარელისა და თელავის რაიონებში. ყვარელში მცვივანი ახლაც საკმაოდ, ძირითადად ძველ ვენახებში, რქაწითელთან ერთად. აქ მისი საერთო ფართობი დაახლოებით 3,0 ჰექტარს უდრის, ხოლო თელავის რაიონში 2,9 ჰექტარს. სულ მთელი ფართობი შეადგენს 5 ჰექტარს.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიშის ბოტანიკური აღწერა ჩატარებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების, ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე სოფ. ვახისუბანში.



ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ). ახალგაზრდა ყლორტების წვეროები ვერტიკულურად პირველ ორ, ჯერ კიდევ გაუშლელ ფოთოლაკთან ერთად შებუსუსებულია ყოველი მხრიდან სქელი ქეჩის-მაგვარი ბეწვებით და შეფერილია თეთრ ფლანელისფრად, თანაც მორუხო იერი დაჰკრავს. ფოთოლაკებს ირგვლივ შემოვლებული აქვს ოდნავ შესამჩნევი ბაცი ვარდისფერი არშია. მეორე იარუსის ფოთლები ზემო მხრიდან კარგავს შებუსუსებას, იფერება მოყვითალო-მწვანედ და მორუხო იერი ახლავს. ფოთლების ქვედა მხარე საკმაოდ სქელი შებუსუსების გამო მოვერცხლისფრო-თეთრი ფერისაა.

ერთწლიანი რქა. შემოდგომაზე კარგად გახევებული და შემოსული რქები ღია მიხაკისფრად იფერება, თანაც მორუხო იერი დაჰკრავს. რქები წვრილია და არასწორად იზრდება. მუხლთაშორისები მოკლეა (7—8 სმ), მუხლები კარგადაა გამოსახული და უფრო მუქადაა შეფერილი. ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ მკვეთრად გამოსახული არაა.

ფოთოლი. შუა იარუსის (9—12) ფოთლები საშუალოზე უფრო მცირე ზომისაა (16X15 სმ) ფოთლის ფირფიტის მოხაზულობა მომრგვალოა, იშვიათად იგი სიგრძეზეა გაწეული და ოდნავ ოვალურ ფორმას იღებს. უფრო ხშირად ფოთლები სამნაკვთიანია, იშვიათად გვხვდება თითქმის მთლიანი ან ოდნავ დანაკვთული ფოთლებიც. ფოთლის შუა ნაკვთი ბოლოვდება ბლაგვი კუთხით, მეორეული დანაკვთვა მას არ ახასიათებს. ფოთლის ზედაპირი წვრილობურთულებიანია, იშვიათად გლუვიცაა. ფოთლის ფირფიტა სწორია, იშვიათად კი სხვადასხვაგვარად მიხრილ-მოხრილიც. ფოთლის მთავარი ძარღვები შებუსუსებულია სუსტი აბლაბუდისებრი ბეწვებით და ღია მწვანე ფერისაა.

ფოთლის ზედა ამონაკვეთები დანაკვთვის სიღრმის მიხედვით იცვლება ოდნავ შესამჩნევიდან საშუალო სიღრმის ამონაკვეთამდე. უფრო ხშირად დანაკვთვის სიღრმე მცირეა და თვით ამონაკვეთები ზეზეური. ფორმა ამონაკვეთებისა მერყეობს ოდნავ შესამჩნევიდან მრგვალფუძიან ჩანგისმაგვარამდე. უფრო ხშირად გვხვდება შექრილი კუთხისმაგვარი, იშვიათად თითქმის პარალელურგვერდებიანი და მახვილფუძიანი ფორმის ამონაკვეთებიც.

ქვედა ამონაკვეთები წესბრივად ნაკლებადაა გამოსახული ან სულ არაა განვითარებული. უფრო ხშირად გვხვდება შექრილი კუთხისმაგვარი ან, იშვიათად, მახვილფუძიანი, თითქმის პარალელურგვერდებიანი ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვეთები.

ყუნწის ამონაკვეთი უფრო ფართოდ ცვალებადობს. უფრო ხშირად ამონაკვეთის ფორმა ჩანგისმაგვარია და მახვილფუძიანი. იშვიათად გვხვდება უფრო ღრმა, ასო V-ს მაგვარი ფორმის ამონაკვეთებიც. კიდევ უფრო იშვიათად, და ისიც ქვედა იარუსის ფოთლებზე, გვხვდება დახურული ყუნწის ამონაკვეთები, ვიწრო ელიფსურთვლიანი.


ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება სამკუთხედისმაგვარი გამოხეტილგვერდებიანი და მახვილწვერიანი კბილებით (ნიკბებით) ან სამკუთხედისმაგვარი მახვილწვერიანი კბილებით. გვერდითი კბილები ხერხის კბილისებრ ცალგვერდ გამოხეტილია, ან ხერხის კბილისებრ სამკუთხედისებრია.

ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია საშუალო სისქის აბლაბუდისებრი ბეწვებით, რომლის ქვემოდან მოფენილია თხელი ჯაგრისებრი ბუსუსი. საერთოდ, ფოთლის შებუსუსება საშუალო სისქისაა. ქვედა იარუსის ფოთლებზე შებუსუსება ძლიერდება და იგი საკმაოდ სქელი აბლაბუდისებრ ჯაგრისებრი ხდება.

ფოთლის ყუნწი შებუსუსებულია ძლიერ სუსტი აბლაბუდით და შეფერილია მოღვინისფრო-წითლად, მაგრამ არა მთლიანად, არამედ ზოლებად. ჩვეულებრივ, ყუნწი ფოთლის მთავარ ძარღვზე უფრო მოკლეა, იშვიათად კი იგი მისი სიგრძისაა.



ყვავილი. ყვავილი ნორმალური, ორსქესიანი აქვს. ყვავილში ხუთი მტვრიანაა, იშვიათად ექვსიც. მტვრიანები სწორმდგომია. მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან შეადგენს 1,25—1,50-ს, იშვიათად ეს შეფარდება აღწევს 2,0-საც. ბუტკო მომრგვალო კონუსისებრი ფორმისაა, კარგად გამოსახულ ყელიანი და პატარა დინგიანი.



სურ. 13. კახური მტვენიანის ყვავილი.

მტვენი. მტვენი საშუალო და საშუალოზე მცირე ზომისაა, მათი სიგრძე მერყეობს 12-დან 18 სმ-მდე, ხოლო სიგანე—7,5-დან 10 სმ-მდე. საშუალო მტვენის სიდიდე უდრის 15,0×8 სმ-ს. მტვენის ძირითადი ფორმა კონუსისებრი და ცილინდრულ-კონუსისებრია, იშვიათად გვხვდება აგრეთვე ცილინდრული ფორმის მტვენებიც. ხშირად მტვენები მბრიანია. მტვენის აგებულება ხშირად მკვრივი და საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად გვხვდება აგრეთვე ძალზე მკვრივი და მცხერი მტვენებიც. ჯიში წვრილმარცვლიანობით არ ხასიათდება, ძალიან იშვიათად ზოგიერთ მტვეანზე რამდენიმე პარტენოკარტიულად განვითარებული წვრილი მარცვალი გვხვდება. მტვენის საშუალო წონა მერყეობს ვახისუბანში 120-დან 150 გრამამდე, ხოლო თელავში 100-დან 160 გრამამდე. საშუალოდ იგი უდრის 140—160 გრამს. ცალკეული კარგად განვითარებული მტვენების წონა თავისუფლად აღწევს 300—400 გრამს. მარცვლების რაოდენობა მტვეანში მტვენების სიდიდის შესაბამისად მერყეობს 80-დან 160-მდე. 218 გრამიან საშუალო ზომის მტვეანში იყო 53 მსხვილი და 73 საშუალო ზომის მარცვალი, სულ 126 ცალი მტვეანზე. მტვენის ყუნწი მოკლეა, მისი სიგრძე მერყეობს 1,5-დან 3,0 სმ-მდე, ხოლო საშუალოდ უდრის—2,0—2,5 სმ-ს. მტვენის ყუნწი გაუხვევებელი და ღია მწვანეა, მხოლოდ შუა ადგილიდან ფუძისაკენ იგი ხევდება და იფერება რქისფრად. მარცვლის ყუნწი ღია მწვანე ფერისაა და მოკლეა. მისი სიგრძე მერყეობს საშუალოდ 0,6-დან 0,8 სმ-მდე. მარცვლის საჯდომი ბალიში განიერ კონუსისებრი ფორმისაა.

მარცვალი. მტვენიანის მარცვლები საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე მერყეობს 1,45-დან 1,70 სმ-მდე, ხოლო განი—1,4-დან 1,65 სმ-მდე. საშუალო ზომის მარცვლის სიგრძე-სიგანე შეადგენს 1,50×1,45 სმ-ს. მარცვლის ფორმა მომრგვალოა, ოდნავ გადახრილი ოვალური ფორმისაკენ. მარცვალი შუაში განიერია, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვლები მომწვანო-ყვითელი ფერისაა მონაცრისფრო იერიანი. მარცვალზე მონაცრისფრო-რუხი წინწკლები დამახასიათებელია ჯიშისათვის. კანი თხელი, გამჭვირვალე აქვს, მაგრამ საკმაო მკვრივი. რბილობი წვნიანია, მარცვლის მოწყვეტის დროს მასზე წვეთები გამოიყოფა. წვენი უფერულია, გემო ჩვეულებრივ ტკბილი, ჯიშური სუსტი არომატი აქვს. ცვილისებრი ფიფქი მარცვალზე საკმაოდ სქელია. მარცვლები ყუნწზე საკმაოდ მკვიდრადაა მიმაგრებული. წიბწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 4-მდე, იშვიათად ხუთწიბწიანი მარცვლებიც გვხვდება. საშუალოდ მარცვალზე 1,56 წიბწა მოდის.

წიბწა. წიბწის სხეული მოოვალურო-მომრგვალოა, ღია წაბლისფერი. წიბწის სიგრძე ნისკარტიან ერთად უდრის 6,5—7 მმ-ს, განი კი 3,5-4,0 მმ-ს. ნისკარტის სიგრძე უდრის 1,5—2,0 მმ-ს. ქალაქ სხეულის ზემო ნაწილში მდებარეობს, იგი მოოვალურო ფორმისაა და შუაგულში შეზნექილია. ღარტაფი ქალაქიდან ნისკარტისაკენ სუსტადაა გამოსახული, თითქმის შეუმჩნეველია, მაშინ როდესაც წიბწის სხეულის ზედა ნაწილისაკენ იგი ღრვაა და ყოფს მას ორ თანაბარ ნაწილად. წიბწის მუცლის მხარე ოდნავ ქედანია. მუცლის მხარის ღარები იწყება სხეულის ზედა ნაწილში და მიემართება ერთმანეთის პარალელურად ნისკარტისაკენ. ღარები ვიწროა, მაგრამ საკმაოდ ღრმა. ღარის ფუძე ნარინჯისფერია. ნისკარტი ცილინდრული ფორმისაა, წვერი წაკვეთილი აქვს და ღია ყვითელი ფერისაა.

ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდზე და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე ჩატარებულია მევენახეობის ინსტიტუტის მთავარ საკოლექციო ნაკვეთზე სოფ. კურდღელაურში, თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით. ფენოფაზების მსვლელობა დაკავშირებულია იქვე მოწყობილი მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებთან. დასახელებული ადგილის ეკოლოგიურ პირობებში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს ცალკეული წლების მიხედვით 146-დან 175 დღემდე, ხოლო საშუალოდ უდრის

157 დღეს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად ცვალებადია აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც (3,036,0 გრადუსიდან 3,554,2 გრადუსამდე). ცალკეული ფაზების მსვლელობაც, სხვადასხვა წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად, საგრანობლად ცვალებადობს. აღნიშნული ცვალებადობის გასაცნობად ქვემოთ მოყვანილია ცნობები სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობის შესახებ 11 წლის მანძილზე. დაკვირვებები ჩატარებულია ქ. თელავში.

ქ. თელავში  
მ. ცვიფანი

**მცვიფანის სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობა**

მეფენახუობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	დაკვირვების წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დღეებში
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე	
კახეთი, მეფენახურის ინსტიტუტის მთავარი საკოლექციო ნაკვეთი, ქ. თელავი	1938	22/4	1/6	3/8	15/9	146
	1939	20/4	29/5	14/8	25/9	158
	1940	14/4	4/6	16/8	25/9	163
	1941	6/4	29/5	26/8	28/9	175
	1942	23/4	5/6	25/8	20/9	150
საშუალო . . . . .	—	17/4	2/6	18/8	23/9	153
იგივე	1943	26/4	8/6	22/8	30/9	153
	1944	25/4	5/6	27/8	30/9	159
	1945	4/5	13/6	25/8	30/9	150
	1946	24/4	7/6	26/8	20/9	150
	1947	4/4	2/6	19/8	15/9	165
	1948	27/4	4/6	19/8	28/9	155
	საშუალო . . . . .	—	23/4	6/6	23/8	25/9

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, სავეგეტაციო პერიოდის დაწყება დიდძალი დამოკიდებულია ცალკეული წლების მეტეოროლოგიურ პირობებზე. ასე, მაგალითად, პირველი ფაზა—კვირტის გაშლის დასაწყისი—შერყვობს 4 აპრილიდან 4 მაისამდე, ანუ ერთი თვის ფარგლებში. შედარებით ნაკლებ ცვალებადობს დამთავრებითი ფაზა—ყურძნის სრული სიმწიფე. იგი ცვალებადობს 15 დღის ფარგლებში—15 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე. ამ ფაზების დადგომასთან დაკავშირებით იცვლება სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობაც 146 დღიდან 175 დღემდე. რაც უფრო ადრე იწყება პირველი ფაზა, მით უფრო ხანგრძლივდება მთლიანად სავეგეტაციო პერიოდი. ამ მონაცემების მიხედვით, ძირითადად სრული სიმწიფის დადგომის ვადების მიხედვით, მცვიფანი ყურძნის სიმწიფის მესამე პერიოდის ჯიშებს მიეკუთვნება.

კახეთის შავს პირობებში მცვიფანის ერთწლიანი რქები ყურძნის სრული სიმწიფის დროისათვის თავისუფლად ასწრებს მომწიფებას და კარგად გახვეებული ხვდება. ზოგიერთ წლებში მცვიფანი ვეგეტაციას ამთავრებს გაცილებით უფრო მოკლე დროის განმავლობაში და აქტიურ ტემპერატურათა ჩვეულებრივზე უფრო მცირე ჯამის გამოყენებით, რაც დაგვაშვებინებს უფრო გრილშავიან რაიონებში მომწიფების შესაძლებლობას როგორც ყურძნისას, ისე ერთწლიანი ნაზარდისასაც, რადგანაც გრილშავიან რაიონებში ყურძნისა და რქის სიმწიფე ხშირად ერთმანეთს ემთხვევა.

მცვიფანის ზრდის ღონე მისი გავრცელების ძირითად რაიონში—ყვარელში—საშუალოა. ზრდა-განვითარების თანაბარ ეკოლოგიურ პირობებში—ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში—მისი ზრდის ღონე სხვა ჯიშებთან შედარებით საშუალოზე დაბალია. ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთზე მისი ზრდა უფრო ღონიერია, ვიდრე თელავში, მაგრამ სხვა ჯიშებთან შედარებით იგი მაინც საშუალოზე სუსტია. საერთოდ, მცვიფანი დიდი ზრდის ღონით არ ხასიათდება: კახური ვაზის სხვა ჯიშებთან შედარებით მისი ზრდის ღონე საშუალოზე სუსტია.

მოსავლიანობა: მცვიფანი შედარებით ადრე იძლევა როგორც პირველ, ისე სრულ მოსავალს.

მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე ჩატარებული დაკვირვების მიხედვით მცვივანი პირველ მოსავალს დარგვიდან მესამე წელს იძლევა, ხოლო სრულს — მეოთხე და მეხუთე წლიდან. ასე, მაგალითად, საკოლექციო ნაკვეთზე მცვივანის ათ ვახს, დარგვიდან მესამე წელს, ოცდაათი მტევანი ესხა და თითოეულ რქაზე 0,48 მტევანი მოდიოდა, ხოლო მეოთხე წელს მისი მოსავალი ნორმალური იყო. კახეთში მცვივანმა საშუალო მოსავალი იცის მეტიც, ზოგიერთ რაიონში, კერძოდ ყვარლის რაიონში, იგი უხვ მოსავალს იძლევა. ვაზისუბანშიაც იგი საშუალოზე მაღალ მოსავალს იძლევა. ასე, მაგალითად, საკოლექციო ნაკვეთის 20 ძირზე მან 33,200 გრამი ყურძენი მოიხსა, რაც ძირზე 1,660 გრამს, ხოლო ჰექტარზე გადაყვანით 80 ცენტნერს შეადგენს. თელავში მისი მოსავალი საგრძნობლად ნაკლებია. ეს გამოწვეულია იმით, რომ თელავში მას დიდი კვების არე (3 მ<sup>2</sup>) უჭირავს და ვაზი ამ არეს სრულად ვერ იყენებს. ამის შედეგად მცვივანის მოსავალი თელავში ჰექტარზე 50 — 60 ცენტნერს არ აღემატება. თელავსა და ვაზისუბანში ჩატარებულ დაკვირვებათა და აღროცხვების მიხედვით მცვივანს მსხმოიარობის კარგი მაჩვენებლები აქვს. მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს საშუალოდ 0,67-დან 1,54-მდე და საშუალოდ შეადგენს 1,12-ს ანუ 1,12 მტევანს ვაზის თითოეულ რქაზე. მტევანის საშუალო წონა ვაზისუბანში მერყეობს 120-დან 180 გრამამდე, ხოლო თელავში 100-დან 160 გრამამდე, საშუალოდ კი უდრის 140 — 160 გრამს. საკვებლის სიგრძეზე ცალკეული რქების მსხმოიარობაზე დაკვირვებამ არ მოგვცა მსხმოიარობის კონკრეტული მატება საკვებლის ფუჭიდან წვერისაკენ განლაგებულ რქებზე. მისი მოსავლიანობის დასახასიათებლად ქვემოთმოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია მცვივანის მსხმოიარობის მაჩვენებლები თელავსა და ვაზისუბანში.

**მცვივანის მსხმოიარობა**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მსხმოიარე რქების პროცენტი			მტევანების რაოდენობა 1 მოსავალზე	მტევანის რიცხვი ერთ რქაზე	მტევანების წონა	ერთი რქის მოსავალი გრამებში	დაჯიშვებული რქების რაოდენობა 1 ჰექტარზე	განთვლილი მოსავალი
		1	2	სულ						
კახეთი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთი, თელავი, იგივე ვაზისუბანში	1941	6,11	22,22	83,33	1,26	1,05	206,0	236,3	25,500	60,12
	1943	64,44	17,78	82,22	1,26	1,00	186,0	186,0	30,000	55,81
	1940	—	—	—	—	1,21	215,7	215,7	40,000	86,28

მოყვანილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ კახურ მცვივანს მსხმოიარე რქების საკმაოდ დიდი რაოდენობა ახასიათებს (82 — 83%), უნაყოფო რქები მხოლოდ 17 — 18%-ს შეადგენს, ორმტევნიანი რქების რაოდენობა თელავის პირობებში შედარებით მცირეა და მერყეობს 18 — 22%-ს შორის, ხოლო სამმტევნიანი რქები სულ არ არის. ვაზისუბანსა და ყვარელში ორმტევნიანი რქების რაოდენობა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე თელავში. ერთ რქაზე ვაზისუბანში საშუალოდ მოდის 1,21, მაშინ როდესაც თელავში იგი საშუალოდ 1,0 უდრის. ამ მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული მოსავალი შეადგენს თელავისათვის 55 — 60 ცენტნერს, ხოლო ვაზისუბანისათვის 86 ცენტნერს ჰექტარზე. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გამოთვლილი მოსავალი მუდამ ნაკლებია ფაქტიურზე, მაშინ მცვივანის საშუალო მოსავლად თელავსა და ვაზისუბანში უნდა ვივარაუდოთ 60 — 70 ცენტნერი ყურძენი.

ასეთი განსხვავება მოსავლის მხრივ თელავსა და ვაზისუბანს შორის გამოწვეულია კვების სხვადასხვა არითა და ფორმირების განსხვავებული წესებით. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მცვივანი შესწავლილია მხოლოდ ორი სხვადასხვა ფორმირებისა და ორი სხვადასხვა კვების არეზე თელავსა და ვაზისუბანში. ასე, მაგალითად, ვაზისუბანში მცვივანი იცდება 2,15 მ<sup>2</sup> კვების არეზე და ცალმხრივი შპალერის წესით, ხოლო თელავში 3,0 მ<sup>2</sup> კვების არეზე და ორმხრივი შპალერის წესით. მაგრამ, როგორც მოყვანილი ცხრილიდან დავინახეთ, დატვირთვა ვაზებისა ჰექტარზე უფრო მეტია (40,000 რქა) პატარა კვების არეზე, ვიდრე თელავში დიდი კვების არეზე (30,000). ამის შესაბამისად მოსავლიანობაც გაცილებით მეტია დიდი დატვირთვის შემთხვევაში ს. ვაზისუბანში, ვიდრე თელავში. ეს გარემოება იმითაა გამოწვეული, რომ მცვივანი, როგორც საშუალოზე მცირე ღონის ზრდის ვაზი, სრულად ვერ ითვისებს იმ დიდი კვების არეს, რომელიც, მისი მოთხოვნილებების წინააღმდეგ, მას უკავია. ყველა ამის გამო მცვივანის მოსავლიანობის გასადიდებლად შემდგომში საჭიროა შემდეგი აგროლონისძიებების ჩატარება:

1. ფორმირების წესი და კვების არის სადიდვე შეფარდებული უნდა იყოს რაიონის ჰაერისა, ნიადაგის პირობებსა და ჯიშის თავისებურებებთან. საშუალოზე მცირე ღონის ზრდის მცვივანისათვის თელავის, გურჯაანისა და ყვარლის რაიონების ჰაერისა და ნიადაგების პირობებში შესაფერისად უნდა მივიჩნიოთ ცალმხრივი შპალერის წესი 1,5X1,5 მეტრიან ან 1,5X1,25 მეტრიან კვების არეზე.

2. ვაზების დატვირთვა კვირტებით და გასხლის სიგრძე შებამებული უნდა იყოს ცალკეული ვაზების ზრდის ღონესთან. ჩვეულებრივ პირობებში 2,25 მ<sup>2</sup> კვების არეზე ვაზს უნდა მიეცეს ერთი 2-3 კვირტიანი ნეკი და 7-8 კვირტიანი საკავებელი.

3. მოსავლიანობის მაღალი ღონის შენარჩუნებისა და მისი შემდგომი გადიდების მიზნით საჭიროა მორიგეობით ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა.

სოკოვან ავადმყოფობათა და ზამთრის ყინვების მიმართ გამძლეობა. ვაზისუბნისა და თელავის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით და ადგილობრივ მეცენახეთა გამოკითხვით კახური მცვივანი სოკოვან ავადმყოფობებს კარგად უძლებს. მილდიუმის მიმართ მისი გამძლეობა საშუალოა, ხოლო ნაცრის მიმართ საშუალოზე მაღალი ან უკეთესი. შეიძლება აღინიშნოს, რომ კახეთის თეთრ ჯიშებს შორის მცვივანი ყველაზე უფრო მეტად გამძლეა ნაცრისა. ალბად, ამით უნდა აიხსნას მისი შედარებით უფრო გავრცელება ყვარლის სარწყავ ვენახებში. ფილოქტერის მიმართ მისი შედარებით გამძლეობა საშუალოა. იგი უფრო გამძლეა, ვიდრე საფერავი და ნაკლებ გამძლე, ვიდრე მწვანე და რქაწითელი. სამეურნეო მნიშვნელობის დაზიანებანი სხვა ავადმყოფობათა და მავნებლებისაგან 16 წლის დაკვირვების მანძილზე ვაზისუბანსა და თელავში არ ყოფილა.

მცვივანი კარგად უძლებს აგრეთვე ზამთრის ყინვებს. 1935 წლის ყინვიან ზამთარში, როცა ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი თელავში ერთ დღეს დაეცა მინუს 16,5<sup>0</sup>-მდე და მის წინა და მომდევნო დღეებში კი მერყეობდა მინუს 14<sup>0</sup>-სა და მინუს 14,5<sup>0</sup>-ის ფარგლებში, მცვივანი ამ ყინვებისაგან არ დაზიანებულა და მომდევნო წელს ნორმალური მოსავალი მოგვცა. 1940 წლის ზამთარში, როცა ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი სოფ. ვაზისუბანში დაეცა 16 გრადუსამდე და ვაზებზე ღირხლი იყო მოდებული, მცვივანის დაზიანებული კვირტების პროცენტი არ ასცილებია 2,2-ს და ჯიშმა საშუალო ადგილი დაიკარა რქაწითელსა და საფერავს შორის. რქაწითელთან შედარებით მცვივანი გვალვის მიმართ უფრო მგრძობიარეა და განსაკუთრებულ ნიადაგს არ მოითხოვს. კარგად უძლებს მცვივანი აგრეთვე მარცვლის სიღამპლეს: ძლიერი წვიმებისას შემოდგომაზე იგი სხვა ჯიშებზე ნაკლებ ზიანდება.

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დაზისათება**

მტევნებისა და მარცვლების გარეგნული შეხედულებით, მათი მექანიკური შემადგენლობითა და აგრეთვე წვენის ქიმიური შემადგენლობის მიხედვით მცვივანი წმინდა საღვინე ვაზის ჯიშია.

ნათქვამის დასადასტურებლად ქვემოთ მოყვანილია მცვივანის მტევნისა და მარცვლების მექანიკური ანალიზის შედეგები:

**მცვივანის მტევნებისა და მარცვლების მექანიკური შემადგენლობა**

მეცენახეთის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მტევნის საშ. წონა	მარცვლების რაოდენობა მტევანში	მტევნის შემადგენელი ნაწილები %%-ში					100 მარცვლის წონა	100 წიბის წონა
				წვენი და რბილობი	მარცვლები	კლერტი	კანი	წიპა		
კახეთი, მეცენახეთის ინსტ-ტი, ვაზისუბანა, იგივე ქ. თელავი	4 წლის საშ. 1940	173,8	100	83,22	96,91	3,09	9,2	4,49	168,5	4,79
		160,5	92	82,45	96,73	3,27	10,42	3,85	169,2	4,68

როგორც მოყვანილი ანალიზებიდან ჩანს, ყურძნის გადამუშავების ლაბორატორიულ პირობებში მცვივანს წვენის უბვი გამოსავლიანობა აქვს და კლერტისა და ჭაჭის პროცენტი მასში მცირეა. ნახევრად წარმოების პირობებში წვენის გამოსავალი ცოტათი უფრო ნაკლებია და შეადგენს საშუალოდ 80%-ს, ხოლო ჭაჭისა—20%-ს. კახურ ჯიშებში მცვივანს თითქმის ყველაზე მეტი გამოსავალი აქვს წვენისა-



კახური მცვივანი—Мциვანი Кахური



სწავლული მევენახე, კახური ჯიშების დიდი მკოდნე ზ. ჯორჯაძე (1876) მცვივანს, წვენის გამო-სავლიანობის მიხედვით, კახურ ჯიშებში პირველ ადგილზე აყენებს. ყველა ამ მონაცემის მიხედვით, მცვი-ვანი წმინდა საღვინე ვაზის ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს.

ყურძნის წვენის ქიმიური შემადგენლობა. მცვივანი საკმაო დიდი რაოდენობით აგროვებს შაქარს ზომიერი მჟავიანობის შენარჩუნებით. მრავალი წლის მონაცემების მიხედვით, ღვლე-სა და ვაზისუბანში მისი შაქრიანობა რთვლის დროს უმეტესად 18%-სა და 20%-ს უმეტეს შემთხვევებში ხოლო მჟავიანობა 6,5%-სა და 9,2%-ს შორის. ცალკეული წლების მიხედვით, მისი მჟავიანობა-შაქრიანობის მერყეობა მოცემულია ცხრილში.

**მცვივანის შაქრიანობა-მჟავიანობის მაჩვენებლები რთვლის პერიოდში**

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავ-ლის წელი	რთვლის თარიღი	შაქრია-ნობა %/ც-ში	მჟავია-ნობა %/სს-ში	შენიშვნა	
კახეთი (გურჯაანის რ.), მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთი ს. ვაზის-უბანში.	1929	—	18,8	6,95		
	1930	—	20,2	6,3		
	1939	26/IX	10,6	7,0		
	1940	25/IX	19,6	6,5		
	1941	8/IX	17,5	7,3		
	1942	—	—	—	—	
	1943	5/X	18,7	8,08		
	1944	3/X	21,0	6,8		
	1945	5/X	27,7	11,4		
	1946	25/IX	19,2	9,2		
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთი ქ. თე-ლავეში	1947	20/IX	20,0	6,78		
	1948	5/X	17,1	6,33		

მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ მცვივანი საკმაო რაოდენობით აგროვებს შაქარს და ზომიერი რაოდენობით მჟავას, ამასთან, მას მჟავიანობა-შაქრიანობის კარგი შეფარდება ახასიათებს. ცხრილში მოცემული ოდენობა შაქრიანობა-მჟავიანობისა მცვივანისათვის არ არის ზღვრული და ზოგიერთ წელს იგი 27%-მდეც კი აღწევს. რთვლის უფრო გვიან ჩატარებით შეიძლება მისი შაქრიანობის გადიდება მჟავიანობის სასურველი დონის შენარჩუნებით.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. მცვივანის ყურძენს იყენებენ ძირითადად მშრალი სუფრის ღვინის დასამზადებლად. უფრო ხშირად მცვივანს რქაწითელთან ერთად კრეფენ და მასთან ერთად წურავენ. იშვიათად მისგან ცალკეც მზადდება ღვინო. ყვარლის თეთრი ღვი-ნოების სინაზე და სასიამოვნო გემო გამოწვეული იყო რქაწითელთან მცვივანის მიმატებით, ზოგჯერ ერთი მეოთხედისა და მეტი რაოდენობითაც. ცალკე დაყენებული მცვივანის ღვინო კარგი ღირსებისა დგება. იგი ხასიათდება თავისებური ჯიშური არომატით, ნაზი და ჰარმონიული გემოთი. მას აკლია სხე-ული და სისრულე იმისათვის, რომ იგი მაღალხარისხიან ღვინოდ მივიჩნიოთ. საერთოდ, მცვივანის ღვინო ევროპული წესის მიხედვით დაყენებული სჯობიან კახური წესით დაყენებულს.

კახური ღვინოების კარგი მკოდნე ზ. ჯორჯაძე (1876 წ.) მცვივანის ღვინოს ახასიათებს როგორც საინტერესო, ნაზ, კარგ სუფრის ღვინოს, მაგრამ იგი მას თავ ღვინოდ არ მიაჩნია. ალბათ, ამით უნდა აიხსნას მცვივანის არა დამოუკიდებლად, არამედ ნარევის სახით გაერცელება რქაწითელის ვენახებში მევენახეობის ინსტიტუტის სადგენსტაციო კომისიის სხდომებზე მცვივანის ღვინოს შედარებით კარგი შეფასება ეძლეოდა, როგორც ხარისხიან თეთრ სუფრის ღვინოს. ნათქვამის დასადასტურებლად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები სადგენსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.

ამონაწერი სადგურსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან

ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	სადგურსტაციო სხდომის თარიღი	ნიშანი	ღვინის ორგანოლექტიური შეფასება
გურჯაანის რაიონი, ს. ვახიშუბანი	1936	20/1 1937	7,4	გამჭირვალე. მოყვანილი ჯიშისა, ნაზი, მსუბუქი. ჰარმონიული და კარგად გამოსხული არომატიანი ჯიშისა და კარგად დამზადებული ღვინო, სპეციფიკური ჯიშის არომატიანი
გურჯაანის რაიონი, ს. ვახიშუბანი	1940	24/XII 1940	6,5	

მცვივანის ღვინის ქიმიური ბუნების გასაცნობად ქვემოთ მოყვანილია ქიმიური ანალიზის შედეგები მთავარი შემადგენელი ნაწილების ჩვენებით.

მცვივანის ღვინის ქიმიური შემადგენლობა

ღვინის დამზადების ადგილი და წელი	მოსავლის წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მოც. %-ში	გრამები ლიტრზე						
				საერთო სიმწვანე	მჭრობა სიმწვანე	ღვინის მწვანე	ექსტრაქტი	ტანინი	გლიცერინი	
გურჯაანის რ., ვახიშუბანი. ევროპული წესით	1940	0,9920	10,4	6,02	0,57	1,94	—	0,19	7,25	3,21
	1940	0,9940	10,05	5,8	0,8	2,0	—	2,05	6,14	3,13
	1929	0,9920	10,35	6,87	—	—	18,3	—	—	3,21
	1929	0,9940	10,15	5,8	—	—	24,0	—	—	3,13
	1930	0,9917	11,59	6,17	—	—	17,8	—	—	3,19

როგორც ზემოთ მოყვანილი ორგანოლექტიური და ქიმიური დახასიათებიდან ირკვევა, მცვივანის ღვინო უნდა მიეკუთვნოს საშუალო ხარისხის ევროპული ტიპის სუფრის ღვინოთა რიგს. სხვა მიმართულებით, გარდა კახური წესით დაყენებისა, მცვივანი გამოცდილი არაა. ადგილობრივი მოხმარების საქმელ უფრო ძლიერად მცვივანი ნაკლები გამოხატულია. უალკოჰოლო ყურძნის წვენისათვის მცვივანი უდავოდ პერსპექტიულია როგორც შაქრიანობა მუყაფიანობის შეფარდების, ისე მასობრივად მისი დამზადების შესაძლებლობის გამო. პერსპექტივანია აგრეთვე მცვივანი ხარისხოვანი საკონიაკე მასალის დასამზადებლად.

მაგრამ მცვივანის ძირითადი დანიშნულება, რისთვისაცაა იგი ძველთაგანვე შერჩეული და გამოვლინებული, მდგომარეობს მისი სხვა ჯიშებთან ერთად გამოყენების უპირატესობაში. მისი ნაზი, ნაკლებ სხეულიანი და არომატიული ღვინო აუმჯობესებდა ზედმეტსხეულიან ღვინოებს, მატებდა მათ სინაზესა და არომატიულობას.

ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

კახური მცვივანი ადგილობრივი, ნაკლებად გავრცელებული ჯიშია. იგი იძლევა საშუალო ღირსების თეთრ, მშრალ სუფრის ღვინოს. მცვივანის ღვინო ღია-ჩალისფერია, გამჭვირვალე. არომატი ჯიშური, სასიამოვნო აქვს. გემო ჰარმონიული აქვს; მცირესხეულიანი, საშუალო ღირსების ღვინოა. ძველად მცვივანი ძირითადად რქაწითელის ნარგავებში იყო გავრცელებული, უმთავრესად ყვარლისა და თელავის რაიონებში და მასთან ერთად იწურებოდა. მცვივანის მიმატების უპირატესობა მდგომარეობს რქაწითელის მოსავლიანობის, ღვინის გამოსავლიანობის გადიდებაში და მისთვის სინაზის მიმატებაში, მისი არომატიულობისა და საგემოვნო თვისებების გაუმჯობესებაში.

ჯიშის დადებითი თვისებებია: შედარებით მაღალმოსავლიანობა, სოკოვან ავადმყოფობათა, განსაკუთრებით ნაცრის მიმართ კარგი გამძლეობა, ყინვების მიმართ გამძლეობა და ყურძნიდან ღვინის შედარებით მაღალი გამოსავალი.

ჯიშის უარყოფითი თვისებებია: სხეულის სიმკირე, რომელიც ართმევს მას მაღალხარისხიან ღვინოდ მიჩნევის უფლებას, მისი გამოუსადეგობა სხვა ტიპის ღვინოსათვის და სასურვე უფროხად და გვაღვისადმი ზედმეტი მგრძობიარობა.

აღნიშნული ნაკლის მიუხედავად, მცვივანი უდავოდ საყურადღებოა, როგორც მაღალმოსავლიანი, ნაზი, არომატული, მსუბუქი ღვინის მომცემი ჯიში. განსაზღვრული პროცენტი ასეთი ჯიშებისა ძალიან სასურველია კახეთის მევენახეობის რაიონებში ნაზ, ჰარმონიულ, ევროპული ტიპის ღვინის ექსპორტად და აგრეთვე როგორც საკუბავე მასალა რქაწითელის ღვინოებისათვის ზედმეტი სხეულისა და მსუბუქი სიმწარის შესარბილებლად.

ყველა ამის გამო, მცვივანი პერსპექტიული ჯიშია. სასურველია ამ ჯიშის ძირითადად ალაზნის მარცხენა მხარეზე — თელავისა და ყვარლის რაიონებში — აღდგენა-გავრცელება ამ რაიონების მთლიანი ფართობის 10—15%-ზე როგორც ნაზი, ევროპული ტიპის სუფრის ღვინოების დასამზადებლად, ისე რქაწითელთან მისამატებლად ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

სასურველია ჯიში გამოიყენოს ფართო მასშტაბით ლავოდების რაიონში, როგორც სოკოვან ავადმყოფობათა კარგად გამძლე, და ნაწილობრივ ქართლის სამხრეთ რაიონში ღვინის ხარისხის შესამოწმებლად.

## მცვივანი—კახური

Лист. Вюжные развитые листья ниже средних размеров (16×15). Очертание листовой пластинки округлое, с более частым колебанием в сторону овально-почковидной формы. В большинстве случаев листья слабо трехлопастные, реже встречаются также почти цельные листья. Угол оконечной лопасти тупой, вторичные лопасти отсутствуют. Поверхность листа мелкопузырчатая, реже она бывает гладкой. В большинстве случаев пластинка листа плоская, реже она неопределенно изогнута. Главные нервы опушены слабой паутилкой и окрашены в светлозеленый цвет.

Верхние вырезки, по глубине расщепленности листовой пластинки, варьируют от мелких до средних. В большинстве случаев вырезки мелкие. Форма вырезок варьирует от едва намеченной до лировидной с округлым дном. Чаще всего встречаются вырезки в виде входящего угла, либо лировидные с почти параллельными сторонами и острым дном.

Нижние вырезки, как правило, менее глубоки или совершенно отсутствуют. Вырезки в большинстве случаев имеют форму входящего угла, реже они лировидные с почти параллельными сторонами и острым дном.

Черешковая выемка по форме значительно варьирует. В большинстве случаев выемки имеют лировидную форму с острым дном, реже встречаются глубокие v образные выемки. Очень редко, преимущественно на нижнем ярусе, встречаются также закрытые выемки с узко-эллиптическим просветом.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей чаще треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже треугольные с острой вершиной. Краевые зубцы шлоvidные, односторонне-выпуклые либо шлоvidно-треугольные. В целом зазубренность листовой пластинки мелкая.

Опушение нижней поверхности листа паутинистое средней густоты с примесью редкого щетинистого пушка. На листьях нижнего яруса опушение значительно усиливается до густого паутинисто-щетинистого.

Черешок листа опушен очень слабой паутилкой и окрашен в слабо вишне-красный цвет с розоватостью. Обычно черешок короче длины срединного нерва листа, реже равен ему по длине.

Цветок. Цветок нормального строения, обоеполый. Тычинки прямостоячие. Число тычинок в цветке равно пяти, реже встречаются цветки с шестью тычинками. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика равно 1,25—1,50, реже это отношение достигает 2,0. Пестик округло-конической формы с хорошо выраженным столбиком и маленьким рыльцем.

Гроздь. Грозди средних и ниже средних размеров. Длина гроздей варьирует от 12 см до 18 см, при ширине 7,5—10 см. Размер средней грозди равен 15,2×8 см. Основная форма гроздей коническая и цилиндрико-коническая. Реже встречаются грозди цилиндрической формы. Сравнительно часто грозди лопастные, реже встречаются и крылатые грозди. В большинстве случаев грозди средние плотные и плотные, реже встречаются рыхлые и очень плотные. Осыпание и горошение ягод не наблюдаются, очень редко, а то на некоторых гроздях, можно встретить незначительное количество партенокарпичных ягод. Средний



вес гроздей варьирует—по Вазисубани' от 120 до 180 граммов, а по Телави—от 100 до 160 гр, составляя в среднем на гроздь 140—160 граммов. Отдельные полноценные грозди свободно достигают веса 300—400 и более граммов. Количество ягод в грозди, в зависимости от их размера, варьирует от 80 до 160 штук. В средней, полноценной грозди весом 218 гр, количество крупных ягод составило 53, а средних размеров 73, и всего на гроздь 126 ягод. Ножка грозди короткая. Длина ножки варьирует от 1,5 до 3,0 см, составляя в среднем 2,0—2,5 см. Ножка грозди травянистая, зеленая, и только со середины она окрашивается в цвет чубука. Ножка ягоды зеленая, короткая. Длина ножки в среднем равна 0,6—0,8 см. Подушечка бородавчатая, ширококонической формы.

Ягода. Ягоды средних размеров. Длина ягод варьирует от 1,45 до 1,70 см, при ширине 1,4—1,65 см. Размер средней ягоды равен 1,50×1,45 см. Форма ягод округлая, с незначительным варьированием в сторону овальной. Наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды закруглен и снабжен пупком. Окраска ягод зелено-желтая с свинцовым оттенком. Характерно на ягодах наличие серо-бурых точек, рассеянных по всей поверхности ягод. Кожура тонкая, просветляющаяся, но довольно прочная. Мякоть сочная, водянистая, при отрывании ягод выступают капельки сока, сок бесцветный. Вкус без особого сортового аромата. Восковой налет на ягоды довольно густой. Прочность прикрепления ягод к ножке достаточная.

Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4, редко до 5, составляя в среднем на ягоду 1,56 семени.

Семя. Тело семени продолговато-округлой формы светло каштанового цвета. Длина семени с клювиком равна 6,5—7 мм при ширине 3,4—4,0 м. Длина клювика равна 1,5—2,0 мм. Халаза лежит в верхней части тела семени. По форме она слабо овальная, вогнутая внутрь. Ложбинка от халазы к клювику слабо выражена, почти не заметна, а в верхней части тела семени, наоборот, довольно глубокая и хорошо заметна, разделяя верхнюю часть тела семени на две половины. Брюшная сторона тела семени слабо-волнистая. Брюшные бороздки начинаются в верхней трети тела семени и тянутся к клювику. Бороздки узкие, но довольно глубокие. Дно бороздки окрашено в оранжевый цвет. Клювик цилиндрической формы, усеченный. Окраска клювика светло-желтая.


Мцвивани-Кахури—местный, малораспространенный сорт белых вин Кахетии. Мцвивани дает качественное столовое вино европейского типа, при кахетинском способе выделки он менее интересен. Вино Мцвивани светло-соломенного цвета, прозрачное. Аромат приятный, сортовой, вкус гармоничный, в целом мало-экстрактивное средне-качественное вино. В прошлом Мцвивани был значительно более распространен, в основном, в западной части Кахетии в районах Телавском и Кварельском. Преимущественно сорт встречался в смеси с Ркацители и перерабатывался вместе с ним. Выгоды совместного распространения заключались в увеличении урожайности и выхода сусла, с одной стороны, и в улучшении качества—в устранении некоторой горечи свойственной винам Ркацители в молодости—с другой. В данный момент Мцвивани встречается вместе с Ркацители в Телавском районе—около 2 га и в Кварельском районе—около 3 га, всего около 5 га уплотненной площади.


К положительным свойствам сорта относится его сравнительно высокая урожайность, относительно хорошая устойчивость против грибных болезней, в особенности против оидиума и сравнительно высокий выход сусла с тонны винограда.

К недостаткам сорта относятся невысокое качество вина, малая пригодность для других типов вин и в качестве столового винограда местного значения.

Несмотря на указанные недостатки, Мцвивани является перспективным сортом, заслуживает внимания и дальнейшего распространения. Его можно рекомендовать в западной полосе—Телавском и Кварельском районах для приготовления нежных столовых вин европейского типа и улучшения качества вин Ркацители путем устранения некоторой горечи, свойственной молодым винам Ркацители.

Поэтому некоторый процент сорта Мцвивани в количестве 10—15 от всей площади виноградников для указанных районов Кахетии крайне желателен. Мцвивани, как сравнительно устойчивый сорт против грибных болезней, нужно рекомендовать для Лагодехского района Кахетии и южных районов Карталинии с предварительным испытанием его на качество вина в указанных районах.





## ს ა ზ ე ნ ა

საფენა ადგილობრივი იშვიათი ვაზის ჯიშია; იგი იძლევა ხარისხიან თეთრ სუფრის ღვინოს.

სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში საფენას სინონიმები აღნიშნული არ არის.

ჯიშის ისტორია. საფენა ადგილობრივი ჯიშია. თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით საფენა კახურ მწვანეს წააგავს და უფრო ხშირად მის ნარგავებში გვხვდება მინარევის სახით. სწავლული მევენახე ზ. ჯორჯაძე (1876 წ.) საფენას აიგივებს მწვანესთან; მისი სიტყვით, მწვანეს „ზოგნი უწოდებენ მქენარასა და ზოგნი საფენასა“. რადგანაც საფენა ძირითადად მწვანის ნარგავში იყო გავრცელებული და ამასთან იგი ოდნავ წააგავდა მწვანეს, ადვილი შესაძლებელია მას მწვანესაც ეძახოდნენ. სინამდვილეში კი ის მწვანისაგან საგრძნობლად განსხვავდება და მისგან დამოუკიდებელი ცალკე ჯიშია. წარმოშობით იგი მწვანეზე ძველი უნდა იყოს, მისი ყვავილის მდებარეობით ტიპი იმაზე მიგვითითებს, რომ იგი უშუალოდ გარეული ვაზებიდან უნდა იყოს შერჩეული და შემდეგ გაუმჯობესებული.

ამჟამად საფენა გავრცელებულია კახეთში, უფრო მეტად ალაზნის მარცხენა მხარეზე. ძირითადად იგი გვხვდება თითო-ორი ვაზის სახით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ძველ ვენახებში. ცალკე ნაკვეთების სახით საფენა ძველადაც არ იყო გავრცელებული, რადგანაც იგი, როგორც ფუნქციონალურად მდებარეობით სქესის ყვავილის მქონე ჯიში, მოსავალს ვერ შეინარჩუნებდა.

ძველად საფენა უფრო ფართოდ იყო გავრცელებული და გვხვდებოდა ძირითადად ალაზნის მარცხენა მხარის სოფლებში: ფშაველში, ართანაში, სანიორეში, ნაფარეულში, ენისელში, შილდაში და სხვაგან, უმეტეს შემთხვევაში მინარევის სახით მწვანისა და რქაწითელის ვენახებში. უკანასკნელ წლებამდე იგი გვხვდებოდა ნაფარეულის ძველ ვენახებში. აქედან საფენა წამოიღეს შესასწავლად ვაზისუბნისა და თელავის საკოლექციო ნაკვეთებზე. ამჟამად საფენა (10-15 ძირი) დარგულია მევენახეობის ინსტიტუტისა და მისი ქსელის დასაყრდენ პუნქტებში შესწავლის მიზნით.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

საფენა ბოტანიკურად აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის სოფ. ვაზისუბნის საკოლექციო ვენახში.

ახალგაზრდა ყლორტი (15-20 სმ). ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი ორი-სამი ფოთოლაკით შებუსუსებულია ყოველი მხრიდან ქეჩისებრი ბეწვებით, შეფერილია თეთრი ფლანელისფრად და მოვარდისფრო იერი ეტყობათ ფოთოლაკების ირგვლივ და ყუნწის გასწვრივ. მეორე იარუსის ფოთლები (4-5) ზედა მხრიდან შებუსუსებას კარგავს და მოყვითალო-მწვანე ფერისა ხდება, თანაც მოვარდისფრო იერი დაკრავს, ხოლო ქვედა მხრიდან ინარჩუნებს შებუსუსებას და მოვერცხლისფრო-თეთრი ფერისაა.

ერთწლიანი რქა. კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომამდე მოწითალო-რუხი ფერისა ხდება. მუხლები ფერის მხრივ არ განირჩევა მუხლთაშორისებისაგან. მუხლთაშორისები საშუალო სიგრძისაა (8-10 სმ). ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ სუსტადაა გამოსახული.

ფოთოლი. კარგად განვითარებული ფოთლები (9-12) საშუალო ზომისაა (16,5 x 16,0 სმ). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, იშვიათად ოდნავ ოვალური ფორმისაკენაც იხრება, ფოთლები ხუთნაკვეთიანია. ნაკვეთები კარგადაა გამოსახული, იშვიათად სამნაკვეთიანი ფოთლებიც გვხვდება. ფოთოლს ახასიათებს მეორეული დანაკვეთვა, რაც უფრო ხშირად ქვედა ნაკვეთებზე გვხვდება. შუა ნაკვეთის ბოლო მუ-

დამ ბლაგვია, ფოთლის ზედაპირი გლუვია, იშვიათად (ისიც ქვედა იარუსის ფოთლებისა) წვრილობურთულეობიანიცაა. ფოთლის ფირფიტა სხვადასხვაგვარად მიხრილი-მოხრილია.

ზედა ამონაკვეთები კარგადაა გამოსახული, ხშირად საშუალო ზომისაა, იშვიათად კი უფრო ღრმა-ცაა. ამონაკვეთების ფორმა მკირედ ცვალებადობს; უფრო ხშირია დახურული ამონაკვეთები კვერცხისებრი ან სამკუთხედისებრი მრგვალოფუძიანი თვლით, იშვიათად დახურული სამკუთხედისებრი ფორმის ამონაკვეთებიც გვხვდება ცალკილიანი ფუძით.

ქვედა ამონაკვეთები კარგადაა გამოსახული, მხოლოდ ზედა ამონაკვეთებთან შედარებით უფრო მკირედ დახურულია. ამონაკვეთები ძირითადად კვერცხისებრი ან სამკუთხედისებრი ფორმისაა და მომრგვალოფუძიანი, იშვიათად ღია ჩანგისებრი ფორმისა და შევიწროებულყელიანი ამონაკვეთებიც გვხვდება.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა საგრძნობლად ცვალებადობს. უფრო ხშირად გვხვდება მომრგვალოფუძიანი ჩანგისებრი ფორმის ძარღვისაგან შემდგარი ამონაკვეთი ან თალისებრი ფორმის მრგვალოფუძიანი ამონაკვეთები. იშვიათად სწორკვეთებიანი მშვილდისმაგვარი ფორმის წამახვილებულფუძიანი ამონაკვეთებიც გვხვდება. ზოგჯერ ყუნწის ამონაკვეთს თან სდევს ერთი ან ორი დეზი.


ფოთლის მთავარი ნაკვეთები ბოლოვდება გამობერილგვერდებიანი მახვილწვერიანი სამკუთხედისებრი ფორმის კბილებით, იშვიათად სამკუთხედისებრი ფორმის მახვილწვერიანი კბილებიც გვხვდება. გვერდითი კბილები მახვილწვერიანი სამკუთხედისებრია ან ხერხის კბილისებრ სამკუთხედისებრია და ცალგვერდგამობერილი.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება საშუალო სისქისაა, იგი აბლაბუდისებრია და ამ აბლაბუდის ქვეშ მოფენილია სქელი ჯაგრისებრი ბუსუსი. მთლიანად შებუსუსება გარუამავალი ტიპისაა — აბლაბუდისებრიდან ქეჩისებურისაკენ.

ფოთლის ყუნწი შიშველია ან ოღნავ შებუსუსებული თხელი აბლაბუდით. შეფერვა მოწითალო ღვინისფერია, მხოლოდ იგი ყოველთვის არ გვხვდება და თანაბრად არაა გავრცელებული ყუნწის მთელ სიგრძეზე. ყუნწი ფოთლის მთავარ ძარღვზე უფრო მოკლეა ან მისი სიგრძისაა.

ჯიშისათვის დამახასიათებელია ქვედა ნაკვეთების ღრმა მეორეული დანაკვეთვა და შუა ნაკვეთის ბლაგვი წვერი.

ყვავეილი. ყვავეილი ფუნქციონალურად მდედრობითია. მტერიანები ძირს დახრილებია. ყვავეილში ნ ან, იშვიათად, ნ მტერიანია. მტერიანათა ძაფების სიგრძე ნაკლებია ბუტკოს სიმაღლეზე. მათი შეფარდება უდრის 0,8-ს. ბუტკო მომრგვალო კონუსისებრი ფორმისაა, მოკლეყელიანი და კარგად განვითარებულ დინგიანი.



სურ. 14. საფენას ყვავეილი.

მტევნები. საფენას მტევნები საშუალო სიდიდისაა. მათი სიგრძე მერყეობს 14 სანტიმეტრიდან 20 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 7-დან 12 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის ზომა 16,5 × 10,0 სანტიმეტრს უდრის. მტევნის ძირითადი ფორმა განიერ კონუსისებრია, დატოტვილი. ხანდახან მტევანი მხრიანია. მხარის სიგრძე ძირითადი მტევნის სიგრძის ნახევრამდე აღწევს. იშვიათად გვხვდება აგრეთვე ცილინდრულ-კონუსისებრი მტევნებიც. უფრო ხშირად მტევნები საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად იგი მეჩხერიცაა. წვრილ-

მარცვლიანობა დამახასიათებელია ჯიშისათვის. მტევნის წონა საშუალოდ მერყეობს 80-დან 200 გრამამდე. ცალკეული კარგად განვითარებული მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 400 გრამს. კარგად განვითარებული მტევანი შეიცავდა 161 მარცვალს. მათში 79 მსხვილი იყო, ხოლო 82 საშუალო და საშუალოზე მკირე ზომისა.

მტევნის საშუალო წონა 120—150 გრამს უდრის. მტევნის ყუნწი ბალახისებრია, შუა ადგილიდან ფუძისაკენ იგი ხევდება და რქის ფერისა (მოყავისფრო) ხდება. ყუნწის სიგრძე ცვალებადობს 3-დან 6 სანტიმეტრამდე და საშუალოდ 4—4,5 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე 4—6 მმ-ს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში ხორკლიანია, განიერ კონუსისებრი, იშვიათად იგი ვიწრო კონუსისებრი ფორმისაა.

მარცვალი. მარცვალი საშუალო და საშუალოზე მსხვილია. მისი სიგრძე მერყეობს 1,4-დან 1,8 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 1,4-დან 1,75 სანტიმეტრამდე. მარცვლის საშუალო ზომა 1,75 × 1,65 სანტიმეტრია. მარცვალი მომრგვალოა, იშვიათად გვხვდება შეხნეკილი და მოოვალურო ფორმის მარცვლე-

ბიკ. მარცვალი წელში განიერია, ხოლო ბოლო მოპრგვალეული აქვს. მარცვალი ყვითელია და მოვარდისფრო იერი დაჰკრავს. კანი თხელი და საკმაოდ მკვრივია. რბილობი საშუალო სიმკვრივისაა, მდნარი. მარცვალი საკმაოდ სქელი ცვილისებრი ფიფქითაა დაფარული. გემო სასიამოვნო, ჰარმონიული აქვს, კარგად გამოსახული ჯიშურ არომატიანი. მარცვლები საკმაოდ მკვიდრადაა მიმაგრებული ყუნწზე, მარცვალში წიპწების რაოდენობა მერყეობს ერთიდან სამამდე, საშუალოდ მარცვალზე 1,2 წიპწა მოდის.

ქართული  
ბიზნისი

**ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება**

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდზე და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე ჩატარებულია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე ს. კურდღელაურში, 4 კილომეტრის დაშორებით ქ. თელავიდან.

კურდღელაურის ეკოლოგიურ პირობებში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 133-დან 158 დღემდე, ხოლო საშუალოდ 11 წლის განმავლობაში იგი უდრის 145 დღეს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად იცვლება აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,647,6-დან 3,207 გრადუსამდე, ხოლო 11 წლის საშუალო შეადგენს 2,960 გრადუსს. უფრო ფართო მასშტაბით მერყეობს სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზები. ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად მათი ცვალებადობის გასაცნობად ქვემოთ მოცემულია ფენოდაკვირვებების შედეგები სავეგეტაციო ფაზების მსვლელობის შესახებ.

**საფენას სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა თელავში**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღები					აქტიურ ტემპერატურათა ჯამი	ნალექები	
		კვირტის გაშლის	ყვავილობის	სიმწიფის	სრული სიმწიფე	სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა		სარბროდუნდო	სავეგეტაციო პერიოდში
<b>დასაწყისი</b>									
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ს. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით	1938	24/4	7/6	13/8	15/9	144	3,058,0	—	—
	1939	24/4	8/6	24/8	20/9	149	3,057,1	—	—
	1940	13/4	7/6	19/8	10/9	150	3,072,1	—	—
	1941	5/4	26/5	5/8	10/9	153	3,204,4	—	—
	1942	30/4	12/6	20/8	15/9	138	2,997,3	—	—
<b>საშუალო</b>	—	19/4	5/6	16/8	14/9	148	3,082,0	—	—
"	1943	23/4	11/6	14/8	30/9	156	3,091,1	17,4	479,6
	1944	25/4	5/6	16/8	17/9	144	2,711,1	27,7	349,6
	1945	3/5	13/6	16/8	15/9	155	2,780,7	48,5	346,3
	1946	26/4	9/6	10/8	5/8	133	2,617,6	5,6	539,9
	1947	5/4	4/6	10/8	30/8	148	2,772,4	31,4	469,4
	1948	27/4	7/6	9/8	8/9	135	2,815,0	84,5	414,9
<b>საშუალო</b>	—	24/4	8/6	12/8	11/9	141	2,839,6	52,5	443,2

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მეტად ცალკეული წლების მიხედვით ცვალებადობს დასაწყისი ფაზა — კვირტის გაშლის დასაწყისი, მისი მერყეობის ფარგალი თითქმის ერთ თვეს აჭარბებს. ასევე ფართო მასშტაბით მერყეობს სრული სიმწიფის ფაზაც. ეს ფაზა კახეთში უმეტეს შემთხვევაში (თერთმეტიდან 7 წლის განმავლობაში) დგება 10 — 15 სექტემბერს. ამ ვადის მიხედვით საფენა შეიძლება მიეკუთვნოს სიმწიფის მეორე პერიოდის ვაზის ჯიშებს. აღსანიშნავია ზოგჯერ (1947 წელს) მისი მეტად ნაადრევად (აგვისტოს ბოლოს) დამწიფება (148 დღის განმავლობაში), ხოლო 1946 წელს იგი უფრო მოკლე ხანში, 133 დღის განმავლობაში, დამწიფდა აქტიურ ტემპერატურათა ყველაზე მცირე ჯამის (2,647,6<sup>0</sup>) მოხმარებით. მისი ასე ნაადრევად დამწიფება შეიძლება სიმწიფის პერიოდში ძლიერი გვალვების გამო მოხდეს.

კახეთის ჰავის პირობებში საფენას ერთწლიანი რქები თავისუფლად ასწრებს მომწიფებას ყურძნის სრულად დამწიფების მომენტისათვის. ზემოთ მოყვანილი მონაცემები სავეგეტაციო ფაზების მსვლელობის შე-

სახებ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საფენა შედარებით უფრო გრილპაეიან რაიონებშიაც შეიძლება დაწიფდეს.

ზრდა-განვითარების თანაბარ ეკოლოგიურ პირობებში როგორც თელავის, ისე ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე სხვა კახურ ჯიშებთან შედარებით საფენას ვაზებს საშუალო ზრდა ახასიათებს.

მოსავლიანობა. საფენა კახეთის საწარმოო ვაზის ჯიშების მსგავსად შედარებით ადრე იძლევა პირველსა და სრულ მოსავალს. დარგვის მესამე წლიდან იგი უკვე პირველ მოსავალს იძლევა, ხოლო მეოთხე-მეხუთე წლებიდან სრულ მოსავალს გვაძლევს. საფენამ კარგი მოსავალი იცის, ვაზისუბნისა და თელავის საკოლექციო ნაკვეთებზე ჩატარებული დაკვირვების მიხედვით, საფენას მოსავლიანობა საშუალოზე უკეთესადაა შეფასებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საფენას, როგორც ფუნქციონალურად მდებარებითი ვაზის ჯიშის მოსავლიანობა დიდადაა დამოკიდებული გამამტვრიახების სიხლოვეზე და მეტეოროლოგიურ პირობებზე. მწვანის ნარგავებში საფენა უფრო კარგად მტვრიანდება და მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე რქაწითელის ნარგავში. გაბმული წვიმები ყვავილობის დროს საგრძნობლად ამცირებს ნორმალური მარცვლების გამონასკვას და ადიდება გაუნაყოფიერებელი წვრილი მარცვლების (ე.წ. პარტენოკარპიული მარცვლების) რაოდენობას მტვეანში. ნორმალურ პირობებში, როცა საფენას გვერდში ან მახლობლად უდგას ისეთი ვაზი, რომელიც მასთან ერთად ან ორიოდე დღით უფრო ადრე ან გვიან იწყებს ყვავილობას, მისი მოსავალი უზრუნველყოფილია. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე საფენას მსხმოიარობა კარგია. აქ მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 0,78-დან 1.53-მდე, ხოლო საშუალოდ 1,2-ს უდრის. ასევე ცვალებადია მტვენის საშუალო წონაც: იგი მერყეობს 80—200 გრამს შორის, საშუალოდ კი 120—150 გრამს უდრის. ამ მონაცემების საფუძველზე 1 რქის მოსავალი 144-დან 180 გრამამდე მერყეობს. საშუალოდ ვაზზე 10 რქის დატოვებისას ძირის მოსავალი აღწევს 1,440—1,800 გრამს ძირზე და შესაბამისად 48—60 ცენტნერს უდრის ჰექტარზე. ვაზისუბანში, სადაც ჰექტარზე 3.330 ვაზის ნაცვლად 5400 ძირი ვაზია, საფენას მოსავლიანობა მეტია და 94.8 ცენტნერს აღწევს.


საფენას მსხმოიარობის მონაცემები

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	ნაყოფიანი ყლორტების %			მტვენების რაოდენობა მსხმოიარე რქებზე	მტვენების საშუალო რიცხვი 1 რქაზე	მტვენის საშუალო წონა	ერთი რქის მსხმოიარობა გრამებში	რქების რაოდენობა ჰექტარზე	განგარიშებული მოსავალი
		1	2	სულ						
		მ ტ ვ ე ნ ი თ								
				სულ						
გურჯაანის რაიონი, ს. ვაზისუბანი ინსტ-ტის საკოლექციო ვენახი	1940	—	—	—	—	1,50	158,0	237,0	40,000	94,80
	1941	52,0	40,0	92,0	1,65	1,53	102,0	247,8	30,000	74,34
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტ-ტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1943	57,5	32,5	90,0	0,94	0,85	183,0	155,6	35,000	58,48

მოყვანილი ცნობებიდან ირკვევა, რომ საფენას მსხმოიარობა საკმაოდ კარგია. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ნაყოფიანი რქების დიდი რაოდენობა (90—92%), მსხმოიარობის საკმაოდ მაღალი კოეფიციენტი და მტვენის დიდი საშუალო წონა. ამ მაჩვენებლების მიხედვით საფენას გადაანგარიშებული მოსავალი ჰექტარზე 53,0-დან 94,8 ცენტნერამდე აღწევს. ვაზისუბნის ნაკვეთზე საფენა, რომ უფრო მეტ მოსავალს იძლევა, აინსნება ჰექტარზე ვაზების მეტი რაოდენობით. ამის გათვალისწინებით საჭიროა საფენას ახალი ვენახები გაშენდეს საშუალო სიდიდის კვების არეზე, სახელობრ—1,5 X 1,5 მეტრზე, რაც საშუალებას მისცემს ჯიშს უკეთ გამოიყენოს კვების არე და გააძლიეროს მოსავალი. მეორე პირობა, რომლის დაცვა აუცილებელია ახალი ვენახების გაშენებისას, არის შერჩევა იმ ჯიშებისა, რომლებიც საფენასთან ერთად ან ცოტა უფრო ადრე ან გვიან ყვავის. ასეთი ჯიშებია პირველ რიგში მწვანე და ხიხვი და შემდგომ რქაწითელი.




საფენა — Сапена



საფენა — Сафена

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. საფენა სოკოვან ავადმყოფობებს კარგად უძლებს. თელავისა და ვახისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე ჩატარებულ დაკვირვებათა მიხედვით მილდრუმის მიმართ საფენას გამძლეობა შეფასებულია საშუალოდ, ხოლო ნაცრის მიმართ საშუალოზე მეტად. სხვა სამეურნეო მნიშვნელობის დაავადებანი ან დაზიანებანი ავადმყოფობათაგან ან მავნებლებისაგან ბუბის წარმოების პერიოდში შენიშნული არ ყოფილა.



**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

მტევნისა და მარცვლების გარეგნული შეხედულებით, მათი მექანიკური შემადგენლობის და აგრეთვე წვეწვის ქიმიური შემადგენლობის მიხედვით საფენა საღვინე ჯიშია. წარმოებაშიაც მას ძირითადად ამ მიზნით იყენებდნენ.

საფენას მტევნებისა და მარცვლების მექანიკური შემადგენლობის დახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია მექანიკური ანალიზის შედეგები.

**საფენას ყურძნის მექანიკური შემადგენლობის მაჩვენებლები**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	მტევნის საშუალო წონა	მარცვლების საშუალო რაოდენობა მტევანზე	ყურძნის შემადგენლობა %/0-ში საერთო წონიდან				100 მარცვლის წონა	100 წიქის წონა	შენიშვნა
			წიქა და რბილობი	მარცვალი	კლერტი	კანი			
კახეთი, გურჯაანის რაიონი, საკოლექციო ვენახი ს. ვახისუბანში, 1940 წ. მოსავალი	288,5	142,0	80,18	96,08	3,92	12,88	3,52	155,0	5,3
	157,7	382,0	84,98	96,93	3,07	9,45	2,50	178,0	5,9
	100,0	46,0	80,75	97,15	2,85	12,85	3,55	210,0	5,5


როგორც ცხრილიდან ჩანს, საფენას წვეწვის კარგი გამოსავლიანობა ახასიათებს. სხვა საღვინე ვახის ჯიშების მსგავსად ლაბორატორიულ პირობებში ყურძნის გადამუშავებისას წვეწვის გამოსავლიანობა 80-დან 84,9%-მდე მერყეობს. ნახევრად საწარმოო პირობებში წვეწვის გამოსავლიანობა დაბალია და შეადგენს 74,6%-ს, ხოლო ჭაჭისა 25,4%-ს.

წვეწვის ქიმიური შემადგენლობა. საფენას დამახასიათებელია ბევრი შაქრის დაგროვების უნარი. მისი წვეწვი მაღალ შაქრიანობასთან ერთად ზომიერ მჟავიანობას ინარჩუნებს. წლების განმავლობაში რთვლის პერიოდში ჩატარებული ანალიზების მიხედვით მისი წვეწვის შაქრიანობა მერყეობდა 17,5-დან 22,7%-მდე, ხოლო მჟავიანობა 5,78-დან 14%-მდე. 10 წლის დაკვირვების მანძილზე მისი შაქრიანობა პირველ 3 შემთხვევაში იყო 19,5%, მეორე ორ შემთხვევაში — 20,3%, მესამე სამ შემთხვევაში — 21,3%, ხოლო ერთ შემთხვევაში შაქრიანობა დაეცა 17,5%-მდე და ერთ შემთხვევაში კიდევ მან მიაღწია 22,7%-ს. ამრიგად, 10 წლის მანძილზე მისი შაქრიანობა საშუალოდ შეადგენდა დაახლოებით 20%-ს, ხოლო მჟავიანობა 8,3%-ს. ცალკეული წლების მიხედვით შაქრიანობა-მჟავიანობის ცვალებადობა წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

**საფენას წვეწვის შაქრიანობა-მჟავიანობა რთვლის პერიოდში**

რაიონის დასახელება და ანალიზების წარმოების ადგილი	წელი	რთვლის თარიღი	შაქარი %/0-ში	მჟავიანობა %/0	შენიშვნა
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1939	20.9	21,2	6,2	
	1940	10.9	19,5	6,65	



რაიონის დასახელება და ანალიზების წარმოების ადგილი	წელი	რთალის თარიღი	შაქარი %ში	მყავიანობა %ში	შენიშვნა
ქ. თელავი. გურჯაანის რაიონი, ს. ვახისტბანი თელავის რაიონი, ქ. თელავი, საკოლექციო ვენახი	1941	25/9	21,1	5,78	 ქართული ვინიკულტურის ინსტიტუტი
	1942	20/9	19,5	8,1	
	1943	5/10	20,2	8,06	
	1944	27/9	22,7	11,0	
	1945	22/9	21,6	14,0	
	1946	9/9	20,4	9,29	
	1947	4/9	17,5	7,74	
	1948	11/9	19,5	6,36	
საშუალო	—	—	20,32	8,32	

როგორც მოყვანილი ანალიზებიდან ჩანს, საფენას საკმაო მაღალი შაქრიანობა და ზომიერი მყავიანობა ახასიათებს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს შაქრიანობა-მყავიანობის კარგი შეფარდება, რასაც თავისუფლად შეუძლია უზრუნველყოს ხარისხოვანი ღვინის მიღება.


ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. საფენას ყურძენს ძირითადად მშრალი სუფრის ღვინის დასამზადებლად იყენებენ. ჩვეულებრივ იგი მწვანესთან და რქაწითელთან ერთად იწურებოდა, ხოლო მისგან წმინდა ღვინო იშვიათად მზადდებოდა, რადგანაც საფენას ცალკე ნარგავები არ მოიპოვებოდა. მევენახეობის ინსტიტუტში წლების განმავლობაში მზადდება წმინდა საფენასაგან ღვინო. საფენა იძლევა საინტერესო, მაღალი ღირსების ღვინოს. იგი ღია ჩალისფერია, გამჭვირვალე, აქვს სასიამოვნო ჯიშური არომატი, გემო აქვს ნაზი, სრული, ჰარმონიული. იგი საშუალო სხეულიანი ევროპული ტიპის კარგი ღვინოა. უნდა ვიფიქროთ, რომ ღვინის ამ თვისების გამო იყო იგი საკმაოდ ფართოდ გავრცელებული მწვანისა და რქაწითელის ნარგავებში მათი, განსაკუთრებით უკანასკნელის, ხარისხის გასაუმჯობესებლად. სადგუსტაციო კომისიების მთელ რიგ სხდომებზე, რომლებიც ეწყობოდა მევენახეობის ინსტიტუტში ჯიშობრივი ღვინოების ხარისხის შესამოწმებლად, საფენას ღვინო მაღალ შეფასებას იღებდა. იგი მიჩნეული იყო ხარისხოვან სუფრის ღვინოდ.

ნათქვამის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები სადგუსტაციო კომისიის სხდომების ოქმებიდან.

**ამონაწერი სადგუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან**

გავრცელების რაიონი და ღვინის დაყენების ადგილი	მოსავლის წელი	სადგუსტაციო კომისიის სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური შეფასება
გურჯაანის რაიონი, ს. ვახისტბანი, საკოლექციო ვენახი	1936	20/I 1937 წ.	7,0	ღია ჩალისფერი, გამჭვირვალე, საკმაოდ ხალისიანი, ნაზი, სასიამოვნო ღვინო. გამოსადეგია შამპანური მასალისათვის.
" " "	1937	15/XII 1937 წ.	7,6	ღია ჩალისფერი, კარგად დაწმენდილი, ნაზი, საშუალო სხეულიანი, ძეტად სასიამოვნო ღვინო. სავსებით ვარგისია ევროპული ტიპისათვის.
" " "	1939	10/I 1940 წ.	6,5	კარგად დაწმენდილი, ღია ჩალისფერი, ოდნავ უხეში ღვინო, მაღალი ალკოჰოლიანობა არღვევს ღვინის ჰარმონიულობას. გვიან დაკოფილია.
" " "	1940	23/XII 1940 წ.	7,5	ღია ჩალისფერი, გამჭვირვალე, ნაზი საშუალო სხეულიანი ღვინო, სასიამოვნო სიმკვრივე და კარგად გამოთავსებული ჯიშური არომატიანი.
თელავის რაიონი, თელავი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1941	10/I 1942 წ.	6,7	ღია ჩალისფერი, მოპქროსფრო იერიანი, გამჭვირვალე, ნაზი, მკირვე-სხეულიანი, საკმაოდ ჰარმონიული, სასიამოვნო ღვინო.

გავრცელების რაიონი და ღვინის დაყენების ადგილი	მოსავლის წელი	სადეგუსტაციო კომისიის სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური შეფასება
თელავის რაიონი, თელავი, ჭვენაბეობის ინსტიტუტის საკოლექციო კენაბი	1947	16·VI 1948 წ.	7,3	ქარვისფერი, დაშენდილი, სასიამოვნო, ნახი, სასიამოვნო მჭობე მოტკბო ღვინო. გამოიკადოს პორტვინის ტიპის ღვინისთვის.
" " "	1948	29·X 1948 წ.	7,2	ღია ჩაღისფერი, დაშენდილი, სხეულისი, კარგი ღვინო. უმჯობესია კახური ტიპისათვის.



როგორც ორგანოლექტიკური დახასიათებიდან ჩანს, საფენა თითქმის ყოველწლიურად კარგი ღვინის ღვინოს იძლევა. მისი ქიმიური ბუნების ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია საფენას ღვინის ქიმიური ანალიზის შედეგები:

### საფენას ღვინის ქიმიური შემადგენლობის მაჩვენებლები

მოსავლის წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მოცულობის %-ში	გ რ ა მ ე ბ ი ლ ი ტ რ შ ი									
			ექსტ. საქტი	ნაცარი	ნაცრის ტუტიანობა	საერთო სიმკვავე	მკროლ-ღვი სიმკვავე	ღვინის მკვავე	შაქარი	გლიცერინი	ტანიინი	არამკროლავი სიმკვავე
1940	0,9903	12,3	18,68	1,69	1,65	5,65	0,69	3,8	0,6	5,58	0,27	4,79
1941	0,9888	14,2	19,26	—	—	5,04	0,55	—	—	—	—	4,35

ზემოთ მოყვანილი ორგანოლექტიკური და ქიმიური დახასიათების საფუძველზე საფენა თამამად შეიძლება მიეკუთვნოს ხარისხოვან ვაზის ჯიშთა ჯგუფს.

ღვინოდ დაყენების გარდა, საფენას ყურძენი გამოკდილ იქნა აგრეთვე უალკოჰოლო ყურძნის წვენის დასამზადებლად. ყურძნის წვენის საცდელი ნიმუშები მეტად მაღალი ღვინის დგება. საფენას ყურძნის წვენს მაღალ შაქრიანობასთან ერთად საკმაო სიხალისე და სასიამოვნო ჯიშური არომატი ახასიათებს.

საფენა გამოსადეგია აგრეთვე ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძნად, თუმცა ამ მხრივ იგი კახეთის მთავარ საწარმოო ვაზის ჯიშებს — რქაწითელსა და მწვანეს — საგრძობლად ჩამორჩება.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ძველად საფენას დიდი გამოყენება ჰქონდა და იწურებოდა სხვა ჯიშებთან, ძირითადად მწვანესთან და რქაწითელთან ერთად, მაღალი ღვინის მისაღებად. ამ მიმართულებით ცდები ამჟამად არ ჩატარებულა. საჭიროა ახლო მომავალში შესწავლილ იქნას ეს საკითხი იმის გამოსარკვევად, თუ რომელ სტანდარტულ ჯიშთან ერთად იძლევა იგი უკეთეს შედეგს. ამ მხრივ ეს საკითხი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ საფენა, როგორც მდებრობითი სქესის ჯიში, შესაძლებელია მხოლოდ სხვა ჯიშებთან ერთად გაშენდეს, რომ მაღალი და მყარი მოსავალი იქნეს მიღებული.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

საფენა ადგილობრივი ნაკლებად გავრცელებული ჯიშია. იგი იძლევა თეთრ ხარისხოვან სუფრის ღვინოს. ძველად იგი უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, ძირითადად მწვანესთან და რქაწითელთან ერთად ნარევის სახით და მათთან ერთად იწურებოდა მშრალ სუფრის ღვინოდ. მისი ნარევის სახით გავრცელება გამოწვეული იყო მისი ყვავილის აგებულებით. საფენა, როგორც მდებრობითი სქესის ჯიში, წმინდა ნარევაში მოსავალს არ იძლეოდა; ამიტომ იგი საინტერესოა ჯიში რომ არ ყოფილიყო, ჩვენ დრომდე ვერ მოაღწევდა.

მევენახეობის ინსტიტუტი წლების განმავლობაში ამზადებს მისგან საცდელ ღვინოს. საფენას ღვინო უფრო ვერძული ტიპისაა, იგი ღია ჩალისფერია, გამჭვირვალე, არომატი ნაზი, სასიამოვნო აქვს, გემო ნაზი და პარმონიული, ღვინო საკმაო სხეულიანი და სრულია. ზოგ წლებში იგი კახური ტიპისავენ იჩენს მიღრეკილებას, ხასიათდება სისრულით, სხეულით და მაღალი ალკოჰოლიანობით.

გარდა ღვინისა, საფენა იძლევა მაღალი ღირსების უალკოჰოლო ყურძნის წვენს და ნაწილობრივ გამოსადეგია ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძნად.



ჯიშის დადებითი თვისებებია: საშუალოზე მაღალი მოსავლიანობა, პროდუქციის კარგი ხარისხი და ვარგისობა სწავდასხვა დანიშნულებებისათვის.

ჯიშის უარყოფითი თვისებებია: ჯერ ერთი, ფუნქციონალურად მდებრობითი სქესის ყვავილის ქონა, რის გამოც მისი მოსავლიანობა უზრუნველყოფილი შეიძლება იყოს მხოლოდ შერეულ ნარგავებში ისეთ ჯიშებთან, რომლებიც მასთან ერთად ყვავიან, და მეორე, ნაცრის მიმართ საშუალოზე სუსტი გამძლეობა.

აღნიშნული ნაკლის მიუხედავად, რაკი საფენა შედარებით მაღალმოსავლიანი და ხარისხოვანი ვაზის ჯიშია, იგი პერსპექტიულია რქაწითელთან ერთად გასაშენებლად მისი მოსავლიანობისა და ხარისხის გასადიდებლად.

ამ მიმართულებით საჭიროა საწარმოო ხასიათის ცდების ფართოდ დაყენება და მიღებული შედეგების შეფასების საფუძველზე მისი რეკომენდება საწარმოო სტანდარტულ ასორტიმენტში შესატანად.

### С А П Е Н А

Лист. Вполне развитые (9—12) листья средних размеров (16,5×16 см). Листовая пластинка округлая с незначительным варьированием. Число основных лопастей пять, реже встречаются и трехлопастные листья. Лопости хорошо выражены. На нижних лопастях почти всегда развиваются вторичные лопасти. Угол оконечной лопасти всегда тупой. Поверхность листа гладкая, реже мелкопузырчатая, в основном, на листьях нижнего яруса. Листовая пластинка неопределенно изогнутая. Главные нервы листа светло-зеленые, опушены слабой паутиной, в особенности на нижнем ярусе.

Верхние вырезки хорошо выражены. В большинстве случаев они средних размеров, реже—глубокие. Форма вырезов незначительно варьирует, чаще всего встречаются закрытые вырезки с яцевидным или треугольным просветом и с заостренным или округлым дном, реже встречаются закрытые, треугольной формы с однозубчатым дном.

Нижние вырезки также хорошо выражены, но, в сравнении с верхними, несколько менее глубоки. Основная форма вырезов закрытая, с треугольным либо яцевидным просветом и округлым дном, реже встречаются лировидные выемки с суженным устьем.

Черешковая выемка по форме значительно варьирует. Чаще всего встречаются лировидные с округлым дном и со скелетом из четырех нервов либо сводчатые, квадратные выемки с округлым дном. Реже встречаются стрельчатые равносторонние выемки с заостренным дном. Изредка черешковая выемка снабжена одним или двумя шпорцами.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной либо они треугольные с острой вершиной, последние встречаются сравнительно реже. Краевые зубцы треугольные, с острой вершиной либо треугольно-пиловидные, реже встречаются также пиловидные односторонне-выпуклые зубцы.

Опушение нижней поверхности листа паутиноистое средней густоты, с подстилающим густым щетинистым пушком. В общем опушение можно характеризовать как переходное от паутиноистого к войлочному.

Черешок голый либо опущен слабой паутиной. Окраска непостоянная, слабо винно-красная. Черешок короче, реже он равен длине срединного нерва листа.

Характерным для сорта является глубокая вторичная рассеченность нижних лопастей и тупой угол оконечной лопасти листа.

Цветок. Тип цветка функционально женский. Тычинки сгибаются под пестик. Число тычинок в цветке пять, реже шесть. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 0,8. Пестик округло-конической формы, с коротким столбиком и хорошо развитым рыльцем.

**Гроздь.** Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует от 14 до 20 см, при ширине 7—12 см. Размер средней грозди равен  $16,5 \times 10$  см. Основная форма грозди широко-коническая, лопастная, реже встречаются и цилиндро-конические грозди. Иногда гроздь снабжена крылом, достигающим до одной трети, реже до половины размера основной грозди. В большинстве случаев грозди средне-плотные, реже они рыхлые. Горшение и осыпание ягод характерно для сорта. Вес гроздей в среднем варьирует от 80 до 200 граммов. Отдельные полноценные грозди свободно достигают веса 400 граммов и более. В полноценной грозди весом в 370 гр количество ягод составляет 161, из них—79 крупных и 82 средних и мелких средних размеров. Средний вес грозди равен 120—150 гр. Ножка грозди травянистая, деревенеющая у основания. Окраска ножки коричневая. Длина ножки варьирует от 3 до 6 см, составляя в среднем 4—4,5 см. Ножка ягоды зеленая, длиной 4—6 мм. Подушечка бородавчатая, широко-конической, реже узко-конической формы.

**Ягода.** Ягоды средних и выше средних размеров. Длина ягод варьирует от 1,4 до 1,8 см, при ширине ягод от 1,4 до 1,75 см. Размер средней ягоды равен  $1,75 \times 1,65$  см. Основная форма ягод округлая, норяду с ней реже встречаются также ягоды сплюснутой и овальной формы. Наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды закруглен. В большинстве случаев ягоды слабо ассиметричны. Окраска ягод желтая, с розоватым оттенком. Кожица тонкая, но довольно прочная. Мякоть средне-плотная, расплывающаяся. Восковой налет на ягодах обильный. Вкус ягод приятный, гармоничный, со слабо выраженным сортовым ароматом. Прочность прикрепления ягод к ножке хорошая. Число семян в ягоде варьирует от 1 до 3, составляя в среднем 1,2 семени на ягоду.

Сапена-местный, малораспространенный сорт белых столовых вин Кахетии. Сорт распространен в левобережной части Кахетии в сёлах Напареула, Артана, Саниоре и др. единичными кустами в смеси с сортами Миване и Ркацители. Сапена, как сорт с функционально женским типом цветка, чистыми насаждениями не встречается. На вино он перерабатывался вместе с Миване и Ркацители. Чистосортное вино из Сапена готовится в Институте виноградарства, оно получается довольно высоких качеств, в особенности при европейском способе выделки. Вино характеризуется светло-соломенным цветом, прозрачностью, приятным сортовым ароматом и нежным гармоничным вкусом. В некоторые годы, в особенности при поздних сборах, Сапена дает полные экстрактивные вина, приближающиеся к вину кахетинского типа.


Помимо вина, из Сапена получается высококачественный виноградный сок и используется отчасти как десертный виноград местного значения.


К положительным свойствам сорта относятся сравнительно высокая урожайность при хорошем качестве продукции и пригодность сорта на разные виды переработки.

К отрицательным свойствам сорта относятся функционально женский тип цветка, требующий подбора подходящих опылителей и совместной с ней культуры и сравнительно слабая устойчивость к оидиуму.

Несмотря на указанные недостатки, Сапена, как сравнительно урожайный и качественный сорт, все же является перспективным в условиях совместной культуры с Ркацители для увеличения его урожайности и качества последнего.

Необходимо заложить широкие производственные опыты по совместной культуре Сапена и Ркацители (ряд Сапена, ряд Ркацители), и после положительной хозяйственной оценки результатов его можно рекомендовать для введения в порайонный стандартный ассортимент винограда Кахетии.





## კახური ცხენისძეძუ

ცხენისძეძუ ადგილობრივი მცირედ გავრცელებული ვაზის ჯიშია, იგი იძლევა კარგი ღირსების სადესერტო ყურძენს და საშუალო ღირსების თეთრ სუფრის ღვინოს.

სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის ცხენისძეძუ სხვა სახელწოდებით ცნობილი არ არის. კახეთის ზოგიერთ რაიონში (მაგ., გურჯაანის) მას შეედომით გრძელმარცვალა ქისს, ხოლო ზოგან კიდევ ყვითელ ცხენისძეძუსაც ეძახიან.

ჯიშის ისტორია. ცხენისძეძუ ადგილობრივი წარმოშობის კახური ვაზის ჯიშია. პირველად იგი ვაზისუბნის საკოლექციო ვენახში იპოვეს სხვა ჯიშებთან ნარევის სახით. ვაზისუბნის მევენახეები, ქისტან მსგავსების გამო, მას გრძელმარცვალა ქისს უწოდებენ. მართლაც, ფოთლების შეფერვითა და საერთო მოყვანილობით, აგრეთვე მარცვლების გემოთი და შეფერვით ცხენისძეძუ ძალიან წააგავს ქისს. ცხენისძეძუ განსხვავდება ქისისაგან ძირითადად იმით, რომ ფოთლის ქვედა ნაბრის უფრო სქელი შებუსუსება და უფრო გრძელი მარცვლები აქვს.

1933 წელს, ქართული ვაზის ჯიშების მთლიანი აღწერის და შევროვების დროს, გრძელმარცვალა ქისი საკმაოდ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა როგორც გურჯაანის, ისე სიღნაღის რაიონში. იქ იგი ცხენისძეძუს სახელწოდებით იყო ცნობილი. ამრიგად იქნა დადგენილი და აღდგენილი ჯიშის ნამდვილი სახელწოდება.

ვინაიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცხენისძეძუს სახელწოდებით რამდენიმე სხვადასხვა ჯიშია ცნობილი, ამიტომ კახეთში გავრცელებულ ცხენისძეძუს მათგან განსხვავებით კახური ცხენისძეძუ ეწოდა. როგორც ირკვევა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცხენისძეძუს სახელწოდებით გავრცელებული ჯიშები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან როგორც მორფოლოგიური, ისე სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებებით და ურთიერთისაგან დამოუკიდებელ ჯიშებს წარმოადგენენ. საერთო სახელწოდება მათ მარცვლის ფორმის მიხედვით უნდა შერქმეოდეს. ცხენისძეძუს ყურძნის მარცვალი ადგილობრივ მევენახეებს ცხენის ძეძუსათვის მიუხვავსებით. მართლაც, აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ცხენისძეძუ — მესხური და კახური — თეთრი ფერისაა და საგრძნობლად განსხვავდებიან როგორც ურთიერთისაგან, ისე დასავლეთ საქართველოში გავრცელებული აქარული და აფხაზური (აჩიკი) წითელი ცხენისძეძუსაგან.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, თეთრი შეფერვის ცხენისძეძუ, ხოლო დასავლეთში ორი, ერთიმეორისაგან განსხვავებული, შავი ცხენისძეძუა გავრცელებული.

კახური ცხენისძეძუ ანეამად გავრცელებულია უმთავრესად გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში და გვხვდება ძირითადად ნარევის სახით კოლმეურნეობების ძველ ვენახებში ან პატარ-პატარა ნარგავების სახით საკარმიდამო ნაკვეთებზე.

ათიოდე ძირი, შესწავლისა და გამოცდის მიზნით, დარგულია მევენახეობის ინსტიტუტის, მისი ფილიალისა და დასაყრდენი პუნქტების საკოლექციო ვენახებში.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ცხენისძეძუს ბოტანიკური აღწერა ჩატარებულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაში, სოფ. ვაზისუბანში.

ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ). ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი სამი ფოთოლაკიანად ყოველი მხრიდან შებუსუსებულია სქელი აბლაბუდისებრი ბუსუსით, უფრო ინტენსიურად კი ფოთლების ქვედა მხრიდან, შეფერილია თეთრი ფლანელისფრად და მკვეთრი ვარდისფერი იერი ახლავს ფოთოლაკების ირგვლივ. მეორე იარუსის ფოთლებზე (4—5) ზემო

მზრიდან ბუსუსები ქრება ან ძლიერ შემცირებულია, რის გამო ფოთლები მორუხო-მოყვითალო ფერს იღებს, თანაც მოღვინისფრო წითელი ფერი დაჰკრავს, ხოლო ფოთლების ქვედა მხარე მოვერცხლისფრო-თეთრია.

ერთწლიანი რქა. კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომით მორუხო-ყვითელი ფერისა ხდება, თანაც მოვარდისფრო იერი აქვს. მუხლთაშორისების სიგრძე 5-დან 12 სანტიმეტრამდე მერყეობს და საშუალოდ კი 8—10 სანტიმეტრს უდრის. მუხლების ფერი მუხლთაშორისების ფერისაგან განსხვავდება. ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ არ შეინჩნევა.

ფოთლო. კარგად განვითარებული ფოთლები (9—12) საშუალო ზომისაა (18,5 × 18,0 სმ). ფოთლის ფირფიტის მოხაზულობა მომრგვალოა ან ოდნავ გადაბრილი განიერ-ოვალურისავენ. უფრო ხშირად ფოთლო სანაკვეთიანია, იშვიათად ხუთნაკვეთიანი, ან კიდევ თითქმის დაუნაკვეთავი ფოთლებიც გვხვდება. ფოთლების მეორეული დანაკვეთვა ჯიშისათვის დამახასიათებელი არაა. შუანაკვეთი ხშირად ბლაგვკუთხიანია, იშვიათად სწორი და მახვილკუთხიანი ნაკვეთებიც გვხვდება. ფოთლის ზედაპირი ბადისებრ დანაკვეთულია, იშვიათად, უმთავრესად ქვედა იარუსის ფოთლებზე, იგი წვრილბურთულებიანიცაა. ფოთლის ფირფიტა ბრტყელია (სწორია), ხოლო ნაკვეთების ბოლოები განუსაზღვრელად მობრილია. ფოთლის მთავარი ძარღვები ღია მწვანე ფერისაა და შებუსუსებულია ჯაგრისებრი ბუსუსით.

ზედა ამონაკვეთების სიღრმე ნაკლებად ცვალებადია. უფრო ხშირად გვხვდება საშუალო სიღრმის ამონაკვეთები, იშვიათად ზეზეური ამონაკვეთებიც კი. ამონაკვეთების ფორმა უფრო მეტად ცვალებადია, სახელობრ, გვხვდება ოდნავ შესამჩნევადან დახურულ ოვალურ თვლიანამდე. უფრო ხშირად გვხვდება ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვეთები, შევიწროვებულყელიანი და მომრგვალო, იშვიათად ცალკბილიანი ფუძიანიც ან ჩანგისმაგვარი წამახვილებულფუძიანი ამონაკვეთები, იშვიათად ნაპრალისებრი ფორმის ამონაკვეთებიც გვხვდება.

ქვედა ამონაკვეთები ნაკლებ ღრმა და ნაკლებ გამოსახულია. ზოგიერთ ფოთალზე იგი სრულებით არაა განვითარებული. ქვედა ამონაკვეთები უფრო ხშირად ოდნავ შესამჩნევია ან კიდევ მათ შექრილკუთხისებრი ფორმა აქვთ.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა საგრძნობლად ცვალებადია. გვხვდება როგორც დახურული და ვიწრო ელიფსისებურთვლიანი, ისე ღია, განიერი თალისებრი ფორმის ამონაკვეთები, ამასთან შეიმჩნევა ყველა გარდამავალი საფეხურიც. მაინც უფრო ხშირია ღია ჩანგისმაგვარი ფორმისა და მომრგვალო ან წამახვილებულფუძიანი და დახურული ელიფსისებურთვლიანი ამონაკვეთები. იშვიათად დეზიანი ამონაკვეთებიც გვხვდება.


ფოთლის მთავარი ნაკვეთები ბოლოვდება მახვილწვერიანი და სწორი ან გამობერილგვერდებიანი სამკუთხედისებრი ფორმის კბილებით, იშვიათად მომრგვალებულწვერიანი კბილებიც გვხვდება. გვერდითი კბილები ხერბისკბილისებრია — ცალგვერდამოხნეკილი და მახვილწვერიანი, ფორმით სამკუთხედისებრია.

ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია საშუალო სისქის აბლაბუდასებრი ბეწვებით, რომელთაც თან ერთვის სქელი ჯაგრისებრი ბუსუსები. საერთოდ, ფოთლის შებუსუსება საშუალო სისქისაა და იგი აბლაბუდასებრი-ჯაგრისებრია.

ფოთლის ყუნწი ფოთლის მთავარი (შუა) ძარღვის სიგრძისაა ან მასზე უფრო გრძელია. ყუნწი მოღვინისფრო-წითელი ან მუქი მწვანე ფერისაა. ყუნწი შიშველია ან ოდნავ შებუსუსებულია თხელი აბლაბუდასებრი ბეწვებით.

ყვავილი. ყვავილი ნორმალური აგებულებისა, ორსქესიანია. ყვავილში ხუთი, იშვიათად ექვსი, მტკრიანაა. მტკრიანათა ძაფების სიგრძის შეუარდება ბუტკოს სიმაღლესთან უდრის 1,0—1,25-ს. ბუტკო მომრგვალო ფორმისაა, კარგად გამოსახული სვეტი და ხანდახან ორად გაყოფილი დინგი აქვს.

მტევანი. მტევნები საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე მერყეობს 14-დან 22 სმ-მდე, ხოლო განი 12 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის ზომა უდრის 17 × 8 სმ-ს, მტევნის ძირითადი ფორმა კონუსისებრია, იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრი და კიდევ უფრო იშვიათად დატოტვილი ან მზრიანი მტევნებიც გვხვდება. მტევნები საშუალო სიმკვრივის, იშვიათად მეჩხერიცაა. მტევნის საშუალო წონა ცვალებადობს 100-დან 250 გრამამდე და წლების განმავლობაში საშუალოდ უდრის 160—180 გრ-ს. კარგად განვითა-



სურ. 15. კახური ცხენისძუძუს ყვავილი.

რებული ცალკეული მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 250—300 გრამს. მარცვლების რაოდენობა მტევანში ცვალებადობს 60-დან 120-მდე და საშუალოდ 70—80-ს უდრის. კარგად განვითარებულ 220 გრამიან მტევანში დათვლილ იქნა 113 მარცვალი, მათგან 48 მსხვილი, ხოლო 65 საშუალო ზომისა. საშუალო მტევნის ყუნწის სიგრძე ცვალებადობს 4 დან და საშუალოდ 6—7 სანტიმეტრს უდრის. ყუნწი შუა ნაწილიდან ფუძისაკენ ხვედება და რქის ფერს იღებს. მარცვლის ყუნწი მწკნანა, მისი სიგრძე 0,6—0,8 სმ-ს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში ვიწრო კონუსისებრი, იშვიათად კი განიერკონუსისებრი ფორმისაა.

მარცვალი. მარცვლები უფრო ხშირად მსხვილია, იშვიათად საშუალო სიმსხოს მარცვლებიც გვხვდება. მარცვლების სიგრძე ცვალებადობს 1,6-დან 2,2 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 1,3-დან 1,80 სანტიმეტრამდე. საშუალო მარცვლის ზომა უდრის  $1,8 \times 1,45$  სანტიმეტრს. მარცვლების ფორმა ოვალურია, იშვიათად მარცვლები მოგრძობცაა. მარცვალი შუაში განიერია, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვლები მომწვანო-ყვითელი ფერისაა და მზისკენ მიქცეულ მხარეზე დაფარულია სილამწერის მოყავისფრო ლაქებით. კანი თხელი აქვს, იგი ადვილად შორდება რბილობს. რბილობი წვნიანია, ადვილად არ დნება, კრახუნობს ქამის დროს, მარცვალი უხვადაა დაფარული ცვილისებრი ფიფქით. გემო სასიამოვნო, ჰარმონიული აქვს, არომატი ძლიერი, ჯიშური. მარცვლები საკმაო მკიდროდაა მიმაგრებული ყუნწზე. წიბწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს ერთიდან სამამდე. საშუალოდ მარცვალზე 1,52 წიბწა მოდის.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე ჩატარებულია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში სოფ. კურდღელაურში, 3—4 კილომეტრის დაშორებით ქ. თელავიდან.

კურდღელაურის ეკოლოგიურ პირობებში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 140 დღიდან 156 დღემდე და საშუალოდ კი 150 დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად მერყეობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,823 გრადუსიდან 3,182,8 გრადუსამდე და შეადგენს საშუალოდ 2,973,1 გრადუსს. სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზების ცვალებადობის დახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ცხენისძუძუს სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე დაკვირვების შედეგები.

### ცხენისძუძუს სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა ქ. თელავში

მვენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომა თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნალექები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	ს-მწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარებრო-ღუმქოლო პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში
კახეთი.	1943	28/IV	28/VI	20/VIII	30/IX	156	3,091.1	115,9	479.6
ქ. თელავი (თელავის რაიონი).	1944	26/IV	4/VI	18/VIII	25/IX	154	3,063	75.1	396.8
მვენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1945	4/V	12/VI	20/VIII	20/IX	140	2,854.0	47.3	346.3
სოფ. კურდღელაურში	1946	21/IV	6/VI	21/VIII	10/IX	143	2,823.7	—	553.3
ქ. თელავის მახლობლად.	1947	6/V	3/VI	15/VIII	5/IX	153	2,885.2	46.6	497.2
	1948	27/IV	2/VI	19/VIII	28/IX	155	3,182.8	84.5	474.9
საშუალო	—	24/IV	9/VI	19/VIII	20/IX	150	2,973.1	61.5	458.0

როგორც ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, სავეგეტაციო პერიოდის ძირითადი ფაზების მსვლელობა დამოკიდებულია ცალკეული წლების მეტეოროლოგიურ პირობებზე. ამის შესაბამისად სავეგეტაციო პერიოდის საწყისი ფაზა — კვირტის გაშლის დასაწყისის დადგომა — ერთი თვის ფარგლებში მერყეობს. მისი ყველაზე ნაადრევი დადგომა აღნიშნულია 6 აპრილს, ხოლო ყველაზე ნაგვიანები 4 მაისს. დანარჩენი ფაზების დადგომის ვადები შედარებით ნაკლებ ცვალებადობს, მათ შორის კი ყველაზე ნაკლებ ყვავილობის ფაზის დაწყების ვადა. სრული სიმწიფის დადგომის ფაზა ოცი დღის ფარგლებში მერყეობს. მისი დადგომის ვადაზე გავლენას ახდენს როგორც საწყისი ფაზის დადგომის ვადა, ისე ნალექების



ქახური ცხენისძე — Цхениძეზუდაუ Кахური





რაოდენობა სარეპროდუქციო და სავეგეტაციო პერიოდების განმავლობაში. საერთოდ, რაც უფრო ადრე იწყება სავეგეტაციო პერიოდი და რაც ცოტა ნალექი მოვა ამ პერიოდში, მით უფრო ადრე მწიფდება ყურძენი. სრული სიმწიფის დადგომის ვადების მიხედვით ცხენისძუძუ ყურძნის სიმწიფის მესამე პერიოდის ვაზის ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს.

კახეთის ჰავის პირობებში ცხენისძუძუს ერთწლიანი რქა თავისუფლად ასწრებს მომწიფებას ყურძნის სრული სიმწიფის მომენტისათვის და კარგად შემოსული და გახვევებული ხედება ზამთრის პერიოდში.

ცხენისძუძუს ზრდის საშუალო ღონე ახასიათებს. თელავის და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით, მისი ზრდის ღონე, კახური ვაზის სხვა ჯიშებთან შედარებით, საშუალოდაა შეფასებული.

მოსავლიანობა. ცხენისძუძუ კახეთის სხვა ჯიშების მსგავსად ადრე იხამს. დარგვიდან მესამე წელს იგი იძლევა პირველ მოსავალს, ხოლო მეოთხე-მეხუთე წლიდან უკვე სრულ მოსავალს გვაძლევს. ცხენისძუძუ საშუალო მოსავლის მომცემი ჯიშების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს. ჯიშს მსხმოიარობის კარგი მაჩვენებლები ახასიათებს. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებული აღრიცხვების მიხედვით, მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი მრყეობს 0,6-დან 1,5-მდე და საშუალოდ 0,8 — 1,0-ს უდრის. მტვენის საშუალო წონა მერყეობს 100-დან 250 გრამამდე და საშუალოდ 160 — 180 გრამს უდრის. ამ მონაცემების მიხედვით გაანგარიშებული მოსავალი შეადგენს 52 — 59 ცენტნერს ჰექტარზე. ჯიშის მსხმოიარობის უფრო სრულად დასაბასიათებლად ქვემოთ მოყვანილია სათანადო დაკვირვებათა და აღრიცხვების შედეგები.

**მონაცემები ცხენისძუძუს მოსავლიანობის შესახებ**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	მოსავლიანი რქების %			მტვენების საშუალო რაოდენობა ერთ რქაზე	მტვენების რაოდენობა მსხმოიარო რქებზე	მტვენის საშუალო წონა გრამებში	მოსავალი 1 რქაზე გრამებში	დატვირთული რქების რაოდენობა ჰექტარზე	განგარიშებული მოსავალი 1 ჰ.კ. რაოდენობა ცენტნერებში
		1 მტვენით	2 მტვენით	სულ						
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1947	70,88	10,12	81,0	0,97	1,20	178,0	173,0	36,000	51,9
	1948	53,24	27,66	80,90	1,0	1,3	170,0	170,0	32,000	54,0

როგორც ცხრილში მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ცხენისძუძუს უნაყოფო რქების რაოდენობა აღწევს 20%-ს. გაანგარიშებული მოსავალი ჰექტარზე კ. თელავში აღწევს 51 — 54 ცენტნერს. ვაზისუბანში მისი მოსავალი გაცილებით მეტია და აღწევს 60 — 80 ცენტნერს ჰექტარზე. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ვაზისუბანში ვაზები უფრო მეტი რაოდენობითაა ჰექტარზე, ვიდრე თელავში, მაშინ როდესაც ვაზების რქებით დატვირთვა თითქმის თანაბარია, რაც ჰექტარზე გაანგარიშებით დიდ განსხვავებას იძლევა. თელავში ჰექტარზე საშუალოდ 3,000 ძირი ვაზია, ხოლო ვაზისუბანში 5,000 ძირი მოდის, რაც ვაზების თითქმის თანაბარი დატვირთვის დროს იძლევა 20 — 30 ცენტნერით განსხვავებას შვიდრო ნარგავის სასარგებლოდ.

ამრიგად, ცხენისძუძუს საშუალო მოსავლად კახეთის პირობებისათვის უნდა მივიჩნიოთ 60 — 70 ცენტნერი ყურძენი. ჯიშის მოსავლიანობის გასადიდებლად საჭიროა ახალი ვენახების გაშენება შემჭიდროებულ კვების არეზე (1,8 — 2,0 მ<sup>2</sup>) და ვაზების დატვირთვა მათი ზრდის ღონის შესაფერისად.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვების მიხედვით ცხენისძუძუს შედარებითი გამძლეობა სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ შეფასებულია საშუალოდ. იგი შედარებით უფრო კარგად უძლებს მილდიუმს, ვიდრე ნაცარს. სხვა დაავადებანი დაკვირვებათა წარმოების განმავლობაში აღნიშნული არ ყოფილა.

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

მტვენების გარეგნული შეხედულების მიხედვით, ცხენისძუძუ სადესერტო ჯიშების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს, მაგრამ წვენის ქიმიური შემადგენლობით იგი საღვინე ჯიშებისადმი წაყენებულ მოთხოვნილებასაც სავსებით აკმაყოფილებს როგორც შაქრის დაგროვების მიხედვით, ისე შაქრიანობა-მჟავიანობის

ურთიერთშეფარდების მხრივ. ამის მიხედვით ცხენისძუძუს სადესერტო და სალვინე ჯიშად უნდა იქნას მიჩნეული.

წვეწვანის ქიმიური შემადგენლობა. ცხენისძუძუს შაქრის საკმაოდ დიდი რაოდენობით დაგროვების უნარი ახასიათებს. წარმოებული დაკვირვებების მიხედვით, ჯიშის შაქრიანობა მერყეობს 18%<sup>0</sup>-დან 24%<sup>0</sup>-მდე, ხოლო მჟავიანობა — 7%<sup>0</sup>-დან 14%<sup>0</sup>-მდე. ჯიშის შაქრიანობა-მჟავიანობის დაგროვების უნარიანობის უფრო სრული დახასიათებისათვის ქვემოთ მოყვანილია წვეწვანის ქიმიური ანალიზის შედეგები რთელის პერიოდში.

შედეგები  
წვეწვანის ქიმიური ანალიზის

მწვეწვანობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	რთელის თარიღი	შაქარი %-ბით	მჟავიანობა % <sup>0</sup> -ბით	შენიშვნა
კახეთი. თელავის რაიონი. მწვეწვანობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1943	7/X	20,0	10,0	
	1945	25/IX	20,7	14,5	
	—	5/X	23,0	13,8	
	1946	19/IX	21,5	9,96	
	—	26/IX	24,3	8,47	
	1947	12/IX	19,0	8,43	
	—	15/IX	19,5	8,0	
1948	11/IX	18,3	6,75		

როგორც ცხრილში წარმოდგენილი მაჩვენებლებიდან ჩანს, ცხენისძუძუს შაქრის დაგროვების დიდი უნარი აქვს. მაღალ შაქრიანობასთან ერთად იგი დიდი რაოდენობით ინარჩუნებს მჟავიანობასაც. შაქრიანობისა და მჟავიანობის შეფარდება ყურძნის წვენში მეტწილად სავსებით საკპარისია მისგან ხარისხოვანი სუფრის ღვინის მისაღებად. შაქრიანობა-მჟავიანობის ასეთი შეფარდება ძალიან სასურველია აგრეთვე უალკოჰოლო ყურძნის წვენისათვის, რადგანაც ჯიშის ძლიერ არომატთან ერთად მეტად სასიამოვნო და ხალისიან სასმელად ხდის მას.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. ცხენისძუძუს ყურძენს ძირითადად ადგილობრივ იყენებენ საქმელად ან გააქვთ მახლობელ ქალაქებში გასაყიდად. ზოგიერთი მეურნე ცხენისძუძუსაგან ცალკე ან სხვა ჯიშებთან ერთად სუფრის ღვინოსაც ამზადებს.

ჯიშის მკირედ ვაჭრელების გამო მას უმთავრესად ადგილზევე საქმელ ყურძნად იყენებენ. როგორც სადესერტო ყურძენს, ცხენისძუძუს შემდეგი თვისებები ახასიათებს:

მტევანი საშუალო ზომისაა, მაგრამ კარგად განვითარებული მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 250—300 გრამს. უფრო ხშირად მტევნები საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად მეჩხერი მტევნებიც გვხვდება. მტევნები საკმაოდ ლამაზი და მიწხიდველია.

მარცვლი მსხვილია, იშვიათად საშუალო ზომის მარცვლებიც გვხვდება. კარგად განვითარებული მარცვლების სიგრძე 2 სანტიმეტრსა და მეტსაც აღწევს. მარცვლების ფორმა ოვალურია ან, უფრო იშვიათად, მოგრძობა. მარცვლები მომწვანო-ყვითელი ფერისაა და ხშირად ყვესფერი ლაქებითაა დაფარული მზისკენ მიქცეულ მხარეზე. რბილობი საკმაოდ მკერივი და ხორციანია, კანი თხელია და ცვილისებრი ფიფქითაა დაფარული. გემო სასიამოვნო, ჰარმონიული აქვს; ჯიშური არომატი ძლიერი და თავისებურია. სასიამოვნო გემოსა და ნაზი არომატის გამო მარცვლები მეტად მიწხიდველია საქმელად.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ჯიშის მკირედ ვაჭრელების გამო, მისგან ღვინოს ცალკე იშვიათად ამზადებენ. უფრო ხშირად იგი სხვა ჯიშებთან ერთად იწურება ადგილობრივი ტიპის თეთრი სუფრის ღვინის დასამზადებლად. ცხენისძუძუსაგან წმინდა ჯიშობრივი ღვინო მხოლოდ მწვეწვანობის სუფრის ღვინის დასამზადებლად. ცხენისძუძუს ღვინო ხშირად საკმაოდ მაღალი ღირსებისაა. იგი მოყვითალო-ჩაინსტიტუტში მზადდება. ცხენისძუძუს ღვინო ხშირად საკმაოდ მაღალი ღირსებისაა. იგი მოყვითალო-ჩაინსტიტუტში მზადდება. ცხენისძუძუს ღვინო ხშირად საკმაოდ მაღალი ღირსებისაა. იგი მოყვითალო-ჩაინსტიტუტში მზადდება. ცხენისძუძუს ღვინო ხშირად საკმაოდ მაღალი ღირსებისაა. იგი მოყვითალო-ჩაინსტიტუტში მზადდება. ცხენისძუძუს ღვინო ხშირად საკმაოდ მაღალი ღირსებისაა. იგი მოყვითალო-ჩაინსტიტუტში მზადდება.

ამონაწერები სადევუსტაციო კომისიის სხდომების ოქმებიდან

მევენახეობის რაიონი და ღვინის დაგენების ადგილი	მოსავლის წელი	სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური დახასიათება
კახეთი, გურჯაანის რაიონი, სოფ. ვახისუბანი, მევენახეობის ინსტიტუტის ნაკვეთი.	1940	25/XII 1940	7,6	კარგად დაწმენდილი, ჩალისფერი სრულსხეულიანი, ჰარმონიული ღვინო, კარგად გამოსახული ჯიშური არომატით.
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკულტურო ვენახი, ქ. თელავი	1947	12/VI 1948	7,2	ჭარვისფერი, კარგად დაწმენდილი, ნაზი, ხალისიანი, საშუალო სხეულიანი, ჰარმონიული ღვინო.



როგორც მოყვანილი დახასიათებიდან ჩანს, ცხენისძუძუს ღვინო საკმაოდ კარგი ღირსებისაა. მასზე სრული წარმოდგენის მისაღებად ქვემოთ მოყვანილია მისი ღვინის ქიმიური შემადგენლობის მაჩვენებლები.

ცხენისძუძუს ღვინის ქიმიური შემადგენლობის მაჩვენებლები

მოსავლის წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი	გ რ ა მ ე ბ ი ლ ი ტ რ უ ბ ი									
			მეტრაქტმ-ნი გრამობით	ნაცარი	ნაცრის ტუტანობა	საერთო სიმკვლე	მკროლოცი სიმკვლე	ღვინის მჟავა	შაქარი	ვლიცერინი	ტანინი	არამქრო-ლავი მჟავა
1940	0,9911	14,5	21,11	2,4	4,0	7,48	0,18	3,5	1,4	6,06	0,59	7,26

ცხენისძუძუ ძალიან პერსპექტიულია აგრეთვე ხარისხოვანი უალკოჰოლო ყურძნის წვეწის დასამზადებლად. ამ მხრივ მას ხელს უწყობს ჯიშის სპეციფიკური არომატი და შედარებით მაღალი შაქრიანობა მაღალ მჟავიანობასთან ერთად, რაც ყურძნის წვეწს უფრო ხალისიან და სასიამოვნო სასმელად ხდის. იგი მალე არ ბეზრდება მომხმარებელს და დიდი რაოდენობითაც შეიძლება მოხმარებულ იქნას სიხალისის გამო, რასაც მას შედარებით მაღალი მჟავიანობა სძენს.

ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

ცხენისძუძუ ადგილობრივი მცირედ გავრცელებული ჯიშია. იძლევა კარგი ღირსების სადესერტო ყურძენს და საშუალო ხარისხის თეთრ სუფრის ღვინოს. გავრცელებულია ძირითადად კახეთში — გურჯაანის, სიღნაღისა და თელავის რაიონებში — მეტწილად ნარევის სახით ძველ საწარმოო ვენახებში და იშვიათად პატარა ნაკვეთების სახითაც საკარმიდამო ნაკვეთებზე. ჯიშის მცირედ გავრცელების გამო, ყურძენი ადგილზევე იხმარება საკმელად ან მახლობელ ქალაქებში მიაქვთ გასაყიდად. რადგან ცხენისძუძუ სადესერტო ყურძენია, მისგან იშვიათად ამზადებენ სუფრის ღვინოს. როგორც სადესერტო ყურძენი, ცხენისძუძუ შემდეგი თვისებებით ხასიათდება: მტევანი საშუალო ზომისა და მკნხერი ან საშუალო სიმკვრივისა აქვს, მარცვალი მსხვილი, ოვალური ან მოგრძო ფორმისა, მოქარვისფერია. გემო ნაზი, ჰარმონიული აქვს კარგად განვითარებული და გამოსახული ჯიშური არომატით.

ცხენისძუძუსაგან წმინდა ჯიშური ღვინო მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. მას აქვს კარგად გამოსახული ჯიშური არომატი, მოქარვისფერო-ყვითელი ფერი, ზომიერი სხეული, სისრულე და ჰარმონიული გემო. გარდა ღვინისა, ჯიში პერსპექტიულია აგრეთვე ხარისხოვანი უალკოჰოლო ყურძნის წვეწის დასამზადებლად.

ჯიშის დადებითი თვისებებია შემდეგი: იგი ვარგისია როგორც სადესერტო, ისე სუფრის ღვინის დასამზადებლად, კარგი ღირსების პროდუქციას იძლევა და სოკოვან ავადმყოფობებს შედარებით კარგად უძლებს. ჯიშის უარყოფითი თვისებებია: საშუალო მოსავლიანობა და ტრანსპორტის სუსტი ამტანობა.

ცხენისძუძუ, როგორც კარგი ღირსების სადესერტო ყურძნისა და საშუალო ღირსების სუფრის ღვინის მომცემი ჯიში, პერსპექტიულია ვახეთის ზოგიერთ რაიონში გასავრცელებლად. იგი შეიძლება ვურჩიოთ, ძირითადად, სამრეწველო ცენტრების, სამკურნალო და დასასვენებელი საბლების მოსამრავლებლად ახლადმოკრეფილი ყურძნით და, ნაწილობრივ, უაღკაპოლო ყურძნის წვენისა და სუფრის ღვინის დასამზადებლად.

ამ მიზნით ჯიში შეიძლება რეკომენდებულ იქნას გურჯაანის, სიღნაღისა და <sup>სამცხე-ჯავახეთის</sup> რაიონებში გასავრცელებლად, სიდაც იგი ამჟამად გვხვდება.

ჯიში პერსპექტიულია აგრეთვე მევენახეობის სხვა რაიონებსათვისაც და თავისუფლად შეიძლება რეკომენდებული იქნეს გამოსაცდელად როგორც სადესერტო ყურძნის, ისე სუფრის ღვინოების დამზადების მიზნით.

### ЦХЕНИСДЗУДЗУ-КАХУРИ

Лист. Вполне развитые листья (9—12) средних размеров (18,5×10,0). Очертание листовой пластинки округлое, с незначительным варьированием в сторону поперек-овальной формы. Обычно листья трехлопастные, реже встречаются пятилопастные, а еще реже—почти цельные листья. Вторичные лопасти не развиты.

Угол оконечной лопасти тупой, реже встречаются остро и прямоугольные лопасти. Поверхность листа сетчато-морщинистая, реже она мелкопузырчатая, преимущественно на нижних листьях. Пластинка листа плоская, края лопастей неопределенно изогнутые. Главные перья листа опушены паутиновым пушком, по окраске они светло-зеленые.

Верхние вырезки по глубине рассеченности незначительно варьируют, чаще всего встречаются вырезки средней глубины, реже—менее глубокие. Форма вырезок варьирует от едва намеченных до закрытых с овальным просветом (грушевидных). Чаще всего встречаются лировидные вырезки с суженным устьем, либо параллельными сторонами с округлым, либо с однозубчатым дном, реже встречаются вырезки щелевидной формы.

Нижние вырезки менее глубоки и слабее развиты, на некоторых листьях они совершенно отсутствуют. Большой частью вырезки едва намечены либо имеют форму входящего угла.

Черешковая выемка варьирует от закрытых с узкоэллиптическим просветом до открытых сводчатых. Чаще всего встречаются лировидные вырезки с эллиптическим просветом. Очень редко встречаются черешковые выемки со шпорцами.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей треугольные, с острой вершиной либо треугольные с выпуклыми сторонами и закругленной вершиной. Боковые зубцы треугольно-пиловидные и односторонне выпуклые с острой вершиной.

Опушение нижней стороны листа паутиновое средней густоты с примесью густого щетинистого пушка, в целом опушение листа паутиново-щетинистое средней густоты.

Черешок листа длиннее среднего пера, реже равен ему по длине. Окраска черешка слабо вишневая, реже темно-зеленая. Черешок голый, реже опушен слабой паутиной.

Цветок. Цветок нормального строения, обоеполый. Количество тычинок в цветке пять, реже их шесть. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,0—1,25.

Пестик продолговато-округлой формы, с хорошо выраженным столбиком, иногда двураздельным рыльцем.

Гроздь. Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует от 14 до 22 см, при ширине 5—12 см. Размер средней грозди равен 17×8 см. Основная форма грозди коническая, реже встречаются и цилиндрические грозди, а еще реже ветвистые либо крылатые грозди. Обычно грозди среднеплотные, реже они рыхлые. Средний вес грозди варьирует от 100 до 250 грамм и составляет в среднем за ряд лет 160—180 грамм. Отдельные полноценные грозди свободно достигают веса 250—300 грамм. Количество ягод в грозди варьирует от 60 до 120 и составляет в среднем 70—80 ягод на гроздь. В хорошо развитой грозди весом 220 грамм было сосчитано 113 ягод, при чем 48 из них были крупных и 65 средних размеров. Длина ножки у гроздей средней величины, варьирует от 4 до 8 см и составляет в среднем 6—7 см. Ножка грозди от середины к основанию деревенеет и окрашивается в цвет чубука. Ножка ягоды зеленая, длиной 0,6—0,8 см.

Подушечка бородавчатая, узко-конической, реже широко-конической формы.

Ягода. Чаще ягоды бывают крупных, реже средних размеров. Длина ягод варьирует от 1,60 до 2,2 см, а ширина 1,30 до 1,80 см, размер средней ягоды равен  $1,80 \times 1,40$  см. Форма ягод овальная, реже она продолговатая. Наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды закруглен. Окраска ягод зелено-желтая, часто с коричневыми пятнами загара с солнечной стороны. Кожина тонкая, легко отделяющаяся от мякоти. Мякоть сочная, трудно расилывающаяся, несколько хрустящая. Восковой налет на ягодах обильный. Вкус приятный, гармоничный, аромат сильный, своеобразный, сортовой. Ягоды прочно сидят на ножках. Количество семян в ягоде варьирует от одного до трех и составляет в среднем на ягоду 1,5—2 семени.

Цхенисдзудзу (лошадиные сосцы) — местный, кахетинский сорт винограда. Дает качественный столовый виноград и средне-качественное столовое вино. Распространен в Гурджаанском и Сигнахском районах Кахети, в основном, на приусадебных участках колхозников, реже в виде примеси на промышленных виноградниках колхозов. Ввиду незначительного распространения сорта, его урожай используется на местах в свежем виде, часть вывозится в ближайшие города для реализации либо сохраняется на зиму, реже из него готовят вино. Опытное вино из Цхенисдзудзу получается довольно хорошего качества. Вино характеризуется янтарно-желтой окраской, мягкостью, приятным сортовым ароматом, средней экстрактивностью и гармоничным вкусом. Продукцию более высокого качества он дает в виде десертного винограда. Сорт характеризуется средне-плотными красивыми гроздьями. Ягоды крупные, овальной либо продолговатой формы, при перезревании — янтарно-желтые. Вкус приятный, гармоничный. Аромат сильный, сортовой.

К положительным свойствам сорта относятся красивый внешний вид гроздей и приятный вкус его ароматичных ягод, пригодность его в качестве винного сорта, достаточно хорошее качество продукции и относительно хорошая устойчивость против грибных заболеваний. К недостаткам сорта относятся его недостаточно высокая урожайность и недостаточная устойчивость ягод при транспортировке на дальние расстояния.

Цхенисдзудзу как качественный сорт перспективен для виноградных районов Кахети, а основным, в качестве десертного винограда для снабжения ближайших промышленных центров, курортов и домов отдыха свежим столовым виноградом.

Для этой цели его можно рекомендовать в первую очередь для Гурджаанского, Телавского и Сигнахского районов Кахети в качестве десертного винограда и отчасти для приготовления безалкогольных соков и столовых вин.

Сорт перспективен для широкого испытания в качестве десертного и винного сорта в южных виноградных районах СССР.





## ს ი რ გ უ ლ ა

სირგულა ადგილობრივი მცირედ გავრცელებული ჯიშია, იძლევა ხარისხოვან სადესერტო ყურძენს. სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის სირგულა სხვა სახელწოდებით ცნობილი არ არის. კახეთის ზოგიერთ რაიონში (საგარეჯოს რაიონი) მას შეცდომით ცხენისძუძუს ეძახიან.

ჯიშის ისტორია. სირგულა ადგილობრივი წარმოშობის ჯიშია. თავისი ძირითადი მორფოლოგიური ნიშნებით იგი მეტად ახლოს დგას აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ჯიშებთან და მათთან ერთად ერთ მთლიან ჯგუფს შეადგენს.

ძირითადი მორფოლოგიური ნიშნების სიძველის მიხედვით (ოვალური თეთრი მარცვალი, შიშველი ფოთოლი და სხვა) იგი საშუალო ხნიერების ვაზის ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს. ამას ადასტურებს მისი გავრცელების შედარებით მცირე არეალიც.

ამჟამად ჯიში გავრცელებულია ძირითადად კახეთში, სხვაგან იგი თითქმის არსად არ გვხვდება. სირგულა მოიპოვება უმთავრესად გურჯაანის, სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონებში და ძირითადად გვხვდება ცალკე მდგომი ვაზების სახით (ხეივანი, ტალავერი) ან, იშვიათად, ნარევის სახით კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე. ცალკე ნაკვეთების სახით იგი თითქმის არ გვხვდება. რამდენიმე ათეული ძირი სირგულა შესწავლისა და გამოცდის მიზნით დარგულია მევენახეობის ინსტიტუტში და მის ფილიალებსა და დასაყრდენ პუნქტებში.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიში აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე სოფ. ვაზისუბანში.

ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ). ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინიდან დაწყებული პირველ-ორ-სამ ფოთოლაკამდე შებუსუსებულია აბლაბუდისებრი ბეწვებით, შეფერილია მონაცრისფრო-თეთრ ფერად და სუსტი, მოწითალო-ღვინისფერი არშია აქვს შემოვლებული ფოთოლაკების ირგვლივ. მეორე იარუსის ფოთლებზე (4—5) ზემოთა მხრიდან შებუსუსება ქრება, ფოთლები მომწვანო-ყვითელი ფერისა ხდება და მოღვინისფრო-წითელი იერი (ნარინჯისფერი) ახლავს. ახალგაზრდა ყლორტი გვირგვინამდე მოყვითალო-მწვანე ფერისაა.

ერთწლიანი რქა. კარგად მოწეული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მოყვითალო-წითელი ფერისა ხდება და თანაც მონაცრისფრო იერი დაჰკრავს. მუხლები უფრო მუქია, ვიდრე მუხლთაშორისები. მუხლთაშორისები საშუალო ზომისაა (10—12 სმ). ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ კარგადაა გამოსახული.

ფოთოლი. კარგად განვითარებული შუა იარუსის ფოთლები (9—12) საშუალო სიდიდისაა (18 × 17,5 სმ). ოდნავ ოვალური ფორმის ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა. ფოთოლი ხუთნაკვეთიანია. ზოგჯერ გვხვდება სამნაკვეთიანი ფოთლებიც. ფოთლის შუა ნაკვეთი ბლაგვკუთხიანია, იშვიათად სწორკუთხოვანი ნაკვეთებიც გვხვდება. მეორეული დანაკვეთვა სუსტადაა გამოსახული და იშვიათიკაა. ფოთლის ზედაპირი გლუვია, იშვიათად ბადისებრ დანაოჭებულიც. იგი სწორია ან ოდნავ ძაბრისებურადაა მოხრილი. ფოთლის მთავარი ძარღვები შიშველია და ღია მწვანე ფერისაა.

ზედა ამონაკვეთები უმეტეს შემთხვევაში საშუალო სიღრმისაა. მისი ფორმა საგრძნობლად ცვალებადია. უფრო ხშირად გვხვდება მომრგვალოფუძიანი ჩანგისა და ლანცეტისმაგვარი ფორმის ამონაკვეთები. იშვიათად გვხვდება დახურული, მომრგვალოფუძიანი, განიერ ელიფსისებურთვლიანი და კიდევ უფრო იშვიათად დახურული, ცალკილიანი ფუძიანი ამონაკვეთებიც.

ქვედა ამონაკვეთები ნაკლებ ღრმა და ნაკლებ გამოსახულია, ხანდახან კი სულაც არაა განვითარებული. უმეტეს შემთხვევაში ამონაკვეთები ღიაა, ფორმით მომრგვალოფუძიანი და ჩანგისმაგვარია და შევიწროებული ან პარალელურგვერდებიანი ყელი აქვს.


ყუნწის ამონაკვეთის ფორმა საგრძნობლად მერყეობს. უფრო ხშირად ყუნწის ამონაკვეთის ფორმა ღიაა, ჩანგისმაგვარი, წამახვილებულფუძიანი. იშვიათად გვხვდება დაბურული ამონაკვეთებიც, ეფორმისაა მისი ან ვიწრო ელიფსისმაგვარი თვლიანი. კიდევ უფრო იშვიათად მშვილდისმაგვარი ფორმისა და სწორკუთხა ან წვეილდისმაგვარი ამონაკვეთებიც გვხვდება.

ფოთლის მთავარი ნაკვეთები მახვილწვერიანი და გამოხეტილგვერდებიანი ან მახვილწვერიანი და ცალგვერდამოხეტილი სამკუთხედისმაგვარი კბილებით ბოლოვდება. გვერდითი კბილები ბერხისკბილებისებრია, ცალგვერდამოხეტილი და მახვილწვერიანი.

ფოთლის ქვედა მხარე შიშველია და მოფენილია ძალიან თხელი ჯაგრისებრი ბუსუსებით. შებუსუსება ქვედა იარუსის ფოთლებზე ძლიერდება და საშუალო სისქისა ხდება.

ფოთლის ყუნწი შიშველია. ჩვეულებრივ, იგი ფოთლის შუა ძარღვზე უმოკლესია, იშვიათად მისი სიგრძისაა. ყუნწი შეფერილია მოწითალო-ღვინისფრად და სიგრძეზე მწვანე ზოლები აქვს დაყოლებული.

ყვავილი. ყვავილი ნორმალური აგებულებისაა — ორსქესიანია. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში ნ, იშვიათად მ მტვრიანაა. ბუტკოს სიმაღლესთან მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება უდრის 1,0—1,25-ს, იშვიათად 1,5-საც აღწევს. ბუტკო მოგრძო-მომრგვალო ფორმისაა, კარგად გამოსახული სვეტი და დიდი, ხშირად ორად გაყოფილი, დინგი აქვს.



სურ. 16. სირგულას ყვავილი.

მტევანი. მტევნები საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე მერყეობს 12-დან 18 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 5-დან 10 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის ზომა უდრის 16 X 8

სანტიმეტრს. მტევნის ძირითადი ფორმა ცილინდრულ-კონუსისებრი და ცილინდრულია. ხშირად მტევნებს თან ახლავს მარები, რომელთა სიგრძე ძირითადი მტევნის ერთ მესამედს აღწევს. ძალიან იშვიათად დატოტილი მტევნებიც გვხვდება. მტევნები საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად კუმსი მტევნებიც გვხვდება. სიმეჩხრე და წვრილმარცვლიანობა მტევნებს არ ახასიათებს. მტევნების წონა მერყეობს 80-დან 250 გრამამდე და საშუალოდ 120—150 გრამს უდრის. მარცვლების რაოდენობა მტევანში მერყეობს 60-დან 120-მდე, საშუალოდ კი მტევანზე 82 მარცვალი მოდის. ერთ-ერთ კარგად განვითარებულ 200 გრამიან მტევანში 50 მსხვილი და 54 საშუალო ზომის მარცვალი იყო. მტევნის ყუნწი რუხი მწვანე ფერისაა და გაუხვევებელია, მაგრამ შუა ნაწილიდან ფუძისაკენ ხევდება და რქის ფერს იღებს.

მტევნის ყუნწის სიგრძე მერყეობს 3,5-დან 7 სანტიმეტრამდე, საშუალოდ კი 5—6 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ყუნწი მწვანეა. მისი სიგრძე 0,6—1,0 სანტიმეტრია. მარცვლის საჯდომი ბალიში ვიწრო კონუსისებრი, იშვიათად განიერ კონუსისებრი ფორმისაა და ხორკლებითაა დაფარული.

მარცვალი. მარცვალი საშუალო და საშუალოზე დიდი ზომისაა. მისი სიგრძე 1,75-დან 1,95 სანტიმეტრამდე მერყეობს, ხოლო განი 1,50-დან 1,65 სანტიმეტრამდე. საშუალო მარცვლის ზომა უდრის 1,85 X 1,65 სანტიმეტრს. მარცვლის ფორმა ოვალურია, მაგრამ იშვიათად მომრგვალო ფორმის მარცვლებიც გვხვდება. მარცვალი შუაში განიერია, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვალი ღია ყვითელი ფერისაა და ზოგჯერ სიღამწვრის ლაქებითაა დაფარული. კანი თხელია, იგი საკმაოდ მკვრივია და ადვილად არ ეცლება რბილობს. რბილობი მკვრივია, მდნარი და ოდნავ კრახუნა. მარცვლის გემო სასიამოვნო, პარმონიულია, სუსტად გამოსახული, მაგრამ შესამჩნევი ჯიშური არომატი აქვს. მარცვლები თხელი ცვილისებრი ფიფქითაა დაფარული. მარცვლები მჭიდროდაა მიმაგრებული ყუნწზე. წიპწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 4-მდე. საშუალოდ მარცვალზე მოდის 1,9 წიპწა.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავვეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებულია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში სოფ. კურდღელაურში, 4 კილომეტრის დაშორებით ქ. თელავიდან.

კურდღელაურის ეკოლოგიურ პირობებში სირგულას სავეგეტაციო ფაზის ხანგრძლიობა მერყეობს 130 დღიდან 171 დღემდე და საშუალოდ 11 წლის განმავლობაში 153 დღეს შეადგენს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობასთან დაკავშირებით იცვლება აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,633 გრადუსიდან 3,514 გრადუსამდე და საშუალოდ 11 წლის მანძილზე 3114 გრადუსს შეადგენს.

არა ნაკლებ ცვალებადია სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზებიც. ცალკეულ წლებში მათი ცვალებადობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვების შედეგები.

**სირგულას სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა ქ. თელავში**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დღეებში	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნალექები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარბობ-დუქიან პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვეზი, სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავის მახლობლად.	1938	24/IV	8/VI	15/VIII	15/IX	145	3,075,2	—	—
	1939	25/IV	5/VI	10/VIII	20/IX	148	3,069,7	—	—
	1940	16/IV	11/VI	22/VIII	25/IX	152	3,176	—	—
	1941	7/IV	29/VI	12/VIII	25/IX	171	3,514,6	—	—
	1942	29/IV	14/VI	25/VIII	5/X	159	3,311,2	—	—
	საშუალო	20/IV	7/VI	17/VIII	24/IX	157	3,251,6	—	—
•	1943	26/IV	10/VI	22/VIII	2/IX	130	2,633,6	41,5	405,2
	1944	24/IV	7/VI	21/VIII	25/IX	155	3,033,5	72,6	397,0
	1945	28/IV	16/VI	23/VIII	20/IX	146	2,821,9	47,3	347,1
	1946	20/IV	10/VI	30/VIII	25/IX	159	3,148,1	9,8	563,1
	1947	4/IV	4/VI	20/VIII	15/IX	165	3,083,7	71,5	540,1
	1948	27/IV	6/VI	14/VIII	18/IX	145	3,032,4	134,2	578,6
საშუალო	21/IV	8/VI	17/VIII	17/IX	150	2,976,3	62,8	471,8	

ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზები საგრძნობლად მერყეობს. მათში ყველაზე მეტად პირველი, საწყისი ფაზა მერყეობს. შედარებით ნაკლებ მერყეობს ყვავილობის დასაწყისი, ხოლო სიმწიფის დასაწყისსა და სრული სიმწიფის დადგომის საშუალო ადგილი უჭირავს. სრული სიმწიფის დადგომის ვადაზე დიდ გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად ნალექების ჯამი. რაც უფრო მცირე რაოდენობით მოდის ნალექი სიმწიფის პერიოდში, მით უფრო ადრე მწიფდება ყურძენი. სრული სიმწიფის დადგომის ვადის მიხედვით სირგულა მიეკუთვნება ყურძნის სიმწიფის III პერიოდის ჯიშების ჯგუფს.

კახეთის ჰავის პირობებში სირგულას ერთწლიანი რქები თავისუფლად ასწრებს სრულ შემოსვლამონწიფებას ყურძნის სრული სიმწიფის დროისათვის და კარგად გახევებული და შემოსული ხვდება ზამთრის ყინვებს.

სირგულას თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით ზრდის საშუალო ღონე ახასიათებს.

მოსავლიანობა. სირგულა ადგილობრივი ვაზის ჯიშების მსგავსად ადრე იძლევა პირველსა და სრულ მოსავალს. თელავში წარმოებული დაკვირვების მიხედვით, მისი ნამყენი დარგვიდან მესამე წელს ისხამს პირველად, მეოთხე-მეხუთე წლიდან კი სრულ მოსავალს გვაძლევს.

თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებული აღრიცხვების მიხედვით სირგულას მოსავლიანობა საშუალოდაა შეფასებული. ჯიშს მსხმოიარობის კარგი მაჩვენებლები აქვს. მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 0,51-დან 1,65-მდე და საშუალოდ 1,0-ს შეადგენს. ვაზისუბანში მსხმოიარობის კოეფიციენტი უფრო მაღალია და უდრის 1,2-ს. მტენის საშუალო წონა მერყეობს 80—250 გრამს შორის და საშუალოდ 120—150 გრამს უდრის. ამ მხრივ ჯიშის უფრო სრული დახასიათებისათვის ქვემოთ მოყვანილია დაკვირვება-აღრიცხვათა შედეგები სირგულას მსხმოიარობის შესახებ.






სირგულა—Сиргула

**მონაცემები სირგულას მსხმოიარობის შესახებ**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	მსხმოიარე რქების პროცენტი			მტვენების რიცხვი I მსხმოიარე რქაზე	მტვენების საშუალო რიცხვი I რქაზე	მტვენის საშუალო წონა გრამებში	I რქის საშუალო მოსავალი გრამებით	დალოცვილი რქების რაოდენობა სპექტარზე	მოსავალი
		ერთ-მტვენიანი	ორ-მტვენიანი	სულ						
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში.	1911	51,04	18,75	69,79	1,26	0,89	148,0	131,7	32,000	42,14
	1913	48,11	44,35	92,46	1,47	1,36	140	190,4	34,000	64,78



როგორც ცხრილიდან ჩანს, სირგულას მსხმოიარე რქების რაოდენობა საკმაოდ მაღალია (70—92%). ამ მონაცემების მიხედვით გაანგარიშებული მოსავალი თელავში მერყეობს 42-დან 65 ცენტერამდე ჰექტარზე. სირგულა გაცილებით მეტ მოსავალს იძლევა ვაზისუბანში. იქ წარმოებული აღრიცხვების მიხედვით ძირის მოსავალი საშუალოდ 1,400—1,600 გრამს უდრის, რაც ჰექტარზე (5,000 ძირზე) გადაყვანით შეადგენს 70—80 ცენტერს, ხოლო თელავში მისი მოსავალი საშუალოდ შეადგენს ძირზე 1,800—2,00 კილოს, რაც ჰექტარზე (3,000 ძირზე) გადაყვანით შეადგენს 54—66 ცენტერ ყურძენს. ამის მიხედვით სირგულას საშუალო მოსავლად კახეთში უნდა მივიჩნიოთ 50—60 ცენტერი ყურძენი ჰექტარზე.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. სოკოვან ავადმყოფობათა გამძლეობის მიხედვით სირგულას საშუალო ადგილი უკავია. ვაზისუბნისა და თელავის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვების მიხედვით სირგულას გამძლეობა მილდიუმის მიმართ შეფასებულია საშუალოდ, ხოლო ნაცრის მიმართ გამძლეობა სირგულას საშუალოზე ნაკლები აქვს. სხვა ავადმყოფობათაგან სამეურნეო მნიშვნელობის დაავადებანი დაკვირვებათა წარმოების პერიოდში აღნიშნული არ არის.

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

მტვენების გარეგნული შეხედულებით და ყურძნის მექანიკური და წვენის ქიმიური შემადგენლობის მიხედვით სირგულა სადესერტო ყურძნის ჯიშია. სირგულას ყურძნის მექანიკური შემადგენლობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია მისი მტვენებისა და მარცვლების მექანიკური ანალიზის შედეგები.

**სირგულას ყურძნის მექანიკური ანალიზის მაჩვენებლები**

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მტვენის საშუალო წონა	მარცვლების საშ. რაოდენ. მტვეანში	ყურძნის შემაჯგნელი ნაწილების პროცენტი				100 მარცვის წონა	100 წაპწის წონა
				წვენი და რბილობი	კლერტი	კანი	წიპწა		
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1939	149,4	95	81,06	2,51	12,29	4,14	160	4,23
	1940	146,0	82	80,88	2,78	12,41	3,93	180	4,58
	1942	154	84	77,26	3,57	14,30	4,87	178	5,32

ყურძნის ლაბორატორიული გადამუშავებისას წვენის და რბილობის ნაჩვენები გამოსავლიანობა (77—81%) უფრო დამახასიათებელია სასუფრე ყურძნის ჯიშებისათვის. ნახევრად წარმოების პირობებში წვენის გამოსავლიანობა კიდევ უფრო ნაკლებია და საშუალოდ 71—72%-ს აღწევს. მოყვანილი მონაცემებისა და წვენის ქიმიური შემადგენლობის მიხედვით სირგულა სადესერტო ყურძნის ჯიშების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს.

წვენის ქიმიური შემადგენლობა. სირგულას არახასიათებს შაქრის დავროვების მაღალი უნარიანობა. მისი წვენის შაქრიანობა-მკაფიანობა სავსებით დამაკმაყოფილებელია სადესერტო ყურძნის ჯიშისათვის, ხოლო საღვინე ვაზის ჯიშებისათვის იგი უდავოდ დაბალია.

წლების განმავლობაში რთვლის პერიოდში წარმოებული ანალიზების მიხედვით სირგულას შაქრიანობა საშუალოდ შეადგენს 17—18%-ს, ხოლო მეფეიანობა 5—7%-ს. იშვიათად, მხოლოდ ზოგიერთ წელს მისი შაქრიანობა 20-სა და მეტ პროცენტს აღწევს.

წლების განმავლობაში წვეწის ქიმიური შემადგენლობის ცვალებადობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია სირგულას შაქრიანობა-მეფეიანობის მაჩვენებლები რთვლის პერიოდში.



სირგულას ყურძნის წვეწის შაქრიანობა-მეფეიანობა რთვლის პერიოდში

მეფეიანობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	რთვლის თარიღი	შაქრიანობა %-ში	მეფეიანობა %-ში	შენიშვნა
კახეთი, თელავის რაიონი, მეფეხაბეობის ინსტიტუტის საკულტურო ვეჯახი სოფ. კურდღელაუოში, ქ. თელავის მახლობლად	1938	15/IX	18,75	5,06	
	1939	20/IX	18,2	6,45	
	1940	25/IX	18,0	5,20	
	1941	25/IX	17,75	5,65	
	1942	5/X	19,5	4,45	
	1943	21/IX	17,0	6,45	
	"	5/X	20,2	5,6	
	1945	11/X	17,9	12,7	
	1947	21/IX	17,0	4,96	
	1948	20/IX	17,0	3,97	

ყურძნის წვეწის ქიმიური შემადგენლობის უფრო სრულად დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ანალიზის შედეგები.

სირგულას ყურძნის წვეწის ქიმიური შემადგენლობა

მთავარი შემადგენელი ნაწილების %	საერთო ექსტრაქტი	შაქრიანობა	გლუკოზა	ფრუქტოზა	საერთო მეფეა	ღვინის მეფეა	ვაშლის მეფეა	მთრიმ-ლაკი ნიტოერებანი	ნაცარი
	20,99	18,76	9,50	9,26	0,506	2,64	2,42	0,18	1,48

ასეთი ქიმიური შემადგენლობა, კერძოდ, ასეთი შაქრიანობა-მეფეიანობა და მათი შეფარდება არ არის საკმარისი კარგი სუფრის ღვინის მისაღებად მაშინ, როდესაც თავისუფლად აკმაყოფილებს სადესერტო (სუფრის) ყურძნის მოთხოვნებს. ამის გამო სირგულა სადესერტო ჯიშთა ჯგუფზეა მიკუთვნებული.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დასახასიათებელი. სირგულას მოსავალს ადგილზე იყენებენ საკმელოდ ან გააქვთ მახლობელ ქალაქებში გასაყიდად, ნაწილობრივ მას საზამთროდაც ინახავენ. ჯიშის მკირედ გავრცელების გამო მის პროდუქციას ფართო გამოყენება არა აქვს და უმთავრესად ადგილზევე იხმარება ყურძნად. როგორც სადესერტო ყურძენი, სირგულა შემდეგი თვისებებით ხასიათდება:

მტევნები საშუალო ზომისაა (16 × 8 სმ), ცალკეული კარგად განვითარებული მტევნების ზომა აღწევს 18 × 10 სმ-ს. მტევნის საშუალო წონა უდრის 120—150 გრამს, ხოლო სრული, კარგად განვითარებული მტევნებისა — 250—300 გრამს. მარცვლების შედარებით თანაბარი ზომა, თანაბარი სიმწიფე და მტევნების ლამაზი გარეგნობა სირგულას მომხმარებლისთვის მიმზიდველს ხდის.

მარცვლები საშუალო და საშუალოზე დიდი ზომისაა. კარგად განვითარებული მარცვლების ზომა აღწევს 1,85 × 1,65 სმ-ს, ხოლო მსხვილი მარცვლების დიამეტრი 2 სანტიმეტრია. მარცვლები ოვალური ფორმის და ღია ყვითელი ფერისაა, კანი თხელი და მკვრივია, იგი ადვილად არ შორდება საკმაოდ მკვრივ რბილობს. რბილობი მკვრივია და ჭამის დროს ოდნავ კრახუნობს. მარცვლები ყუნწზე მკიდროდ სხედან. წიბწები ადვილად ეცლება რბილობს. მარცვალში საშუალოდ წიბწების რიცხვი 2-მდე აღწევს.

გემო სასიამოვნო, მარმონიული აქვს. ჯიშური არომატი სუსტად აქვს გამოხატული. შაქრიანობა საშუალოდ მერყეობს 16—18%-ს შორის, ხოლო მეფეიანობა — 5—7%-ს შორის. ყურძნის ტრანსპორტის ამტანობის უნარის დასახასიათებლად მოვიყვანო დაცვენისა და გაკულეტისადმი მარცვლების გამძლეობის მაჩვენებელი.

ლებს. მრავალწლოვანი დაკვირვების თანახმად მარცვლის მოწყვეტისადმი წინააღმდეგობა, გამოხატული გრამებში, მერყეობს 164-დან 210-მდე. ხოლო გაქვლეტისადმი წინააღმდეგობა 791-დან 882 გრამამდე. ამ მაჩვენებლების მიხედვით ტრანსპორტის ამტანიანობა სირგულასი შეიძლება შეფასებული იქნეს საშუალოდ. ყურძენი თავისუფლად შეიძლება გამოყენებული იქნეს მახლობელი ქალაქების ახალი ყურძენით მოსამზარებლად.

შედარებით კარგად ინახება სირგულას ყურძენი ჩვეულებრივი წესით. სხვა ჯიშებთან შედარებით იგი ყველაზე ნაკლებ ღებება და პირვანდელი წონის 50%-ს ინარჩუნებს დაახლოებით 50 დღის განმავლობაში. სირგულას ნაწილობრივ სუფრის ღვინის დასამზადებლადაც იყენებენ. წარმოების პირობებში იგი სხვა ჯიშებთან ერთად იწურება თეთრი სუფრის ღვინის დასამზადებლად. წმინდა ჯიშის ღვინო მისგან მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. სირგულას ღვინის საცდელი ნიმუშები მაღალი ღირსების არ არის. ჩვეულებრივ, მისგან ორდინარული საშუალო ღირსების ღვინო დგება. იგი მოყვითალო-ჩალისფერია, სუსტად განვითარებული ჯიშური არომატი აქვს და სასიამოვნო გემო, აკლია სხეული, შინაარსი, მისი ალკოჰოლიანობა და მჟავიანობა დაბალია. მევენახეობის ინსტიტუტის ჯიშური ღვინოების სადგენსტაციო კომისიის სხდომებზე სირგულას ღვინო დახასიათებულია, როგორც ორდინარული საშუალო ღირსების ღვინო. ღვინის უფრო სრული ორგანოლექტიკური დახასიათებისათვის ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები ზემოთ დასახელებული სადგენსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.

**ამონაწერები სადგენსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	წელი	სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური დახასიათება
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1936	21/I 1937	6,1	მოყვითალო-ჩალისფერი, კარგად დაწმენდილი, ჰარმონიული, მცირე-სხეულიანი ორდინარული ღვინო.
	1937	15/XII 1937	5,6	კარგად დაწმენდილი, ყვითელი ფერისა, მცირე ექსტრაქტული, უშინაარსო ღვინო.
	1947	16/V 1948	7,2	ღია ჩალისფერი, სასიამოვნო არომატიანი, მცირე-სხეულიანი, სასიამოვნო მჟავიანობის შემცველი ღვინო.

ღვინის ქიმიური ბუნების სრული დახასიათებისათვის ქვემოთ მოყვანილია მისი ქიმიური შემადგენლობის მაჩვენებლები.

**სირგულას ღვინის ქიმიური შემადგენლობა**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მოცულობით %-ობით	საერთო მჟავიანობა	მქროლავი მჟავიანობა	ღვინის მჟავა	ექსტრაქტი	მორიმ-ლავი ნივთიერება	გლიცერინი	პროცენტი
კახეთი, სოფ. ვახისუბანი, გუჯარაის რაიონი (კახური წესით)	1940	0,9921	11,0	6,32	0,64	2,05	—	0,21	5,21	3,21
	1940	0,9945	10,8	5,96	0,70	2,11	—	1,35	6,01	3,18

ღვინის ორგანოლექტიკური და ქიმიური დახასიათება საფუძველს გვაძლევს სირგულას ორდინარული ღვინის მომცემ ჯიშთა ჯგუფს მივაკუთვნოთ.

**ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება**

სირგულა ადგილობრივი ჯიშია. იგი იძლევა ხარისხიან სადესერტო ყურძენს და თეთრ ორდინარულ ღვინოს. გვხვდება თითო-ორი ვაზის სახით, იშვიათად პატარა ნაკვეთების სახითაც — ძირითადად სიღნა-

ლის, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებში. ჯიშის მკირედ გავრცელების გამო მის ყურძენს ადგილზევე ხმარობენ სადესერტოდ, იშვიათად კი გააქვთ მახლობელ ქალაქებში გასაყიდად ან ინაბავენ საზამთროდ. სირგულას ყურძენი კარგი ღირსებისაა, მტევნები საშუალო ზომისა და ლამაზი გარეგნობისა აქვს. მარცვლები მომსხო, ოვალური ფორმისა, ღია ყვითელი ფერისაა; გემო სასიამოვნო, ჰარმონიული აქვს, სუსტად გამოსახული ჯიშურ არომატიანი; შექრიანობა-მყავიანობა ზომიერი აქვს. მახლობელ მხარეებზე გადახიდვას კარგად იტანს. ვარგისია მახლობელი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მახლობელ ახალი მოკრეფილი ყურძნით და აგრეთვე საზამთროდ შესანახად. საღვინედ იგი ნაკლებ გამოსადეგია, რადგან იგი უბრალო ორდინარულ ღვინოს იძლევა, მხოლოდ ზოგიერთ წლებშია მოსალოდნელი მისგან საშუალო ღირსების ორდინარული ღვინის მიღება.

ჯიშის დადებითი თვისებებია: მტევნების ლამაზი გარეგნული შეხედულება და სასიამოვნო, ჰარმონიული გემო, მისი ვარგისობა გადასატანად და საზამთროდ შესანახად და გარემო პირობებისადმი შედარებით კარგი შეგუების უნარი. უარყოფითი თვისებებია: მკირე მოსავლიანობა და ღვინის დაბალი ხარისხი. მისი მოსავლიანობა შეიძლება გადიდებული იქნას შესაფერი გასხვლისა და კარგი მოვლა-დამუშავების საშუალებით.

სირგულა, როგორც კარგი ღირსების სადესერტო ყურძნის მომცემი ჯიში, შეიძლება რეკომენდებული იქნას ძირითადად კახეთის იმ რაიონებისათვის, სადაც იგი ამჟამადც გვხვდება, ე. ი. სიღნაღის, გურჯაანის, თელავისა და საგარეჯოს რაიონებისათვის უმთავრესად ადგილზე მოსამარად და მახლობელი დასახლებული ადგილების სადესერტო ყურძნით მოსამარაგებლად.

ადგილზე წინასწარი გამოცდის შემდეგ ჯიში შეიძლება რეკომენდებული იქნას ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებისათვის, ძირითადად ქ. თბილისის მოსამარაგებლად ყურძნით.

**ს ი რ გ უ ლ ა**

Лист. Вполне развитые листья средних размеров (18×17,5 см). Пластинка листа округлая, с незначительным варьированием чаще в сторону овальной. Число основных лопастей пять, встречаются и трехлопастные листья. Угол оконечной лопасти тупой, реже он прямой. Вторичные лопасти редко встречаются и слабо выражены. Поверхность листа гладкая, реже сетчато-морщинистая. Листовая пластинка плоская, либо воронковидно изогнута. Главные нервы листа голые, по окраске светлозеленые.

Верхние вырезки, по глубине рассеченности листа, слабо варьируют. Чаще всего они средней глубины. Форма вырезок значительно более варьирует. Чаще всего встречаются открытые лировидные выемки с суженным устьем и щелевидные с округлым дном, реже встречаются закрытые вырезки с широко-эллиптическим просветом и округлым дном, а еще реже с однозубчатым дном.

Нижние вырезки обычно менее глубоки и менее развиты нередко они совершенно отсутствуют. В большинстве случаев они открытые, по форме лировидные с суженным устьем либо с параллельными сторонами и округлым дном.

Черешковая выемка по форме варьирует от закрытой, с узко-эллиптическим просветом, до широкой стрельчатой. Чаще всего черешковая выемка открытая, лировидная, с заостренным дном, реже встречаются выемки со шпорцами.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей треугольные, с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже они треугольные, односторонние. Оконечные зубцы лопастей шиловидные, односторонние выпуклые с острой вершиной.

Опушение нижней стороны листа голое, с редким щетинистым пушком. На листьях нижнего яруса щетинистый пушок усиливается до средней густоты.

Черешок листа голый, обычно он короче длины срединного нерва, реже равен ему. Окраска черешка слабо вишне-красная с прозеленью.

Цветок. Цветок нормального строения, обоеполый. Тычинки прямостоячие. Число тычинок в цветке 5, реже их 6. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,0 – 1,25, изредка это отношение достигает 1,5. Пестик продолговато-округлой формы, часто с большим двураздельным рыльцем и хорошо выраженным столбиком.

Гроздь. Грозди средних размеров, их длина варьирует от 12 до 18 см, при ширине 5 – 10 см. Размер средней грозди равен 16×8 см. Основная форма грозди цилиндрико-коническая и цилиндрическая.

Часто грозди снабжены крыльями, достигающими до одной трети размера основной грозди, очень редко встречаются также и лопастные грозди. Обычно грозди среднеплотные, реже они плотные. Осыпание и горошение ягод в грозди не наблюдаются. Вес гроздей варьирует от 80 до 250 гр. составляя в среднем 120—150 гр. Количество ягод в грозди варьирует от 60 до 120 и составляет в среднем на гроздь 82 ягоды. В средней полноценной грозди весом в 200 гр. число крупных ягод было 50, а средних — 54, всего 104 ягоды. Ножка грозди травянистая, деревянеющая со средине к основанию. Окраска ножки бурозеленая, у основания она переходит в цвет чубука. Длина ножки варьирует от 3,5 до 7 см. в среднем 5—6 см. Ножка ягоды зеленая, длиной 6—10 мм. Подушечка буро-красная, узкоконической, реже ширококонической формы.

Ягода. Ягоды средних и выше средних размеров. Длина ягод варьирует от 1,75 до 1,95 см. при ширине 1,50—1,65 см. Размер средней ягоды равен 1,85×1,65 см. Форма ягоды обычно овальная, реже встречаются ягоды округлой формы. Наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды закруглен. Окраска ягоды светло-желтая, иногда на ягодах развиваются пятна загара. Кожица тонкая, но довольно прочная, она трудно отделяется от мякоти. Мякоть плотная, расплывающаяся, несколько хрустящая. Вкус ягод приятный, гармоничный, со слабо развитым ароматом. Восковой палет на ягодах не густой, тонкий. Прочность прикрепления ягод к ножкам значительная. Количество семян в ягодах варьирует от 1 до 4, составляя в среднем 1,9 семени на ягоду.

Сиргула — местный, малораспространенный сорт столового винограда Кахети. Дает качественный, десертный виноград и отчасти ординарное белое столовое вино.

Распространен преимущественно в Гурджаанском, Сигнахском и Сагареджинском районах Кахети, в виде отдельно стоящих кустов (хеивани, талавери), реже в виде примеси на старых корнесобственных виноградниках колхозов и колхозников.

Ввиду малого распространения сорта, его продукция потребляется в свежем виде на местах, часть вывозится в ближайшие города для реализации либо сохраняется на зиму. Изредка его вместе с другими сортами перерабатывают на обычное белое столовое вино. Виноград Сиргула отличается следующими качествами: грозди средних размеров, внешне довольно красивые, ягоды в грозди почти одинакового размера и одновременно созревают, горошения и осыпания ягод в грозди не наблюдается. Ягоды овальные, средних и выше средних размеров, окраска ягод светло-желтая, довольно красивая. Вкус приятный, гармоничный, со слабо развитым сортовым ароматом. В целом Сиргула дает качественный десертный виноград довольно привлекательной внешности.


Изредка Сиргула используется для приготовления вина. Опытные образцы вин из Сиргула, приготовленные Институтом виноградарства и виноделия, не отличаются высоким качеством. Вино светло-желтого цвета, легкое, малосодержательное, ординарное со слабо развитым сортовым ароматом и нейтральным вкусом.

К положительным свойствам сорта относятся красивый внешний вид гроздей и приятный гармоничный вкус его ягод, пригодность винограда для близкой транспортировки и недолгого хранения и сравнительно хорошая приспособляемость сорта к экологическим условиям среды. К недостаткам сорта можно отнести невысокую его урожайность и низкое качество вина. Однако его урожайность значительно можно повысить путем правильной формировки кустов и надлежащего ухода за насаждением.

Сиргула, как качественный сорт десертного винограда, может быть рекомендован, в первую очередь, для районов его современного распространения — Сигнахского, Гурджаанского и Телавского, в основном, для снабжения местного населения и ближайших промышленных центров, санаториев и домов отдыха свежим десертным виноградом.

После предварительного широкого испытания на местах, его можно рекомендовать и для юго-восточных районов Картлинии, в основном, для снабжения гор. Тбилиси свежим виноградом.





## თეთრი კუმსი

თეთრი კუმსი ადგილობრივი იშვიათი ვაზის ჯიშია. იგი იძლევა თეთრ სუფრის ღვინოს და ადგილობრივ მოსახმარებელ სადესერტო ყურძენს.

სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში თეთრი კუმსი სხვა სახელწოდებით ცნობილი არ არის, ხოლო ადგილობრივ მევენახეთა შორის, განსაკუთრებით სიღნაღის რაიონის სოფლებში — ძველ ანაგაში, საჭობოში და სხვაგან — თეთრი კუმსი მწვანეს სახელითაც არის ცნობილი.

ჯიშის ისტორია. თეთრი კუმსი ადგილობრივი წარმოშობის ჯიშია. სახელწოდება შერქმეული აქვს ჯიშისათვის დამახასიათებელი შეკრული, კუმსი მტევნების მიხედვით. მორფოლოგიური ნიშნებით, როგორცაა: ფოთლის ქვედა მხარის სქელი ქეჩისებრი შებუსება, მარცვლების მრგვალი ფორმა და საშუალო ზომის მტევნები — იგი დასავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშებს უფრო ენათესავება, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოსას. ჯიშის წარმოების პირვანდელი ადგილისა და დროის შესახებ ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ ჯიშის გავრცელება კახეთის თითქმის ყველა რაიონში და ის ფაქტი, რომ ჯიში მოხსენებულია თითქმის ყველა ძველ აგრონომიულ ნაშრომში, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ XVIII საუკუნის პირველი ნახევრიდან თეთრი კუმსი საკმაოდ ცნობილი ჯიში ყოფილა და, ამდენად, იგი შეიძლება საშუალო ხნიერების ვაზის ჯიშების ჯგუფს მივაკუთვნოთ.

ამჟამად თეთრი კუმსი კახეთის თითქმის ყველა მევენახეობის რაიონში გვხვდება, რატომ უნდა, თითო-ორიოდა ძირი კოლმეურნეობების ვენახებში და იშვიათად ბატარა ვენახების სახითაც საკარმიდამო ნაკვეთებზე. მაგრამ უფრო ხშირად თეთრი კუმსი გვხვდება სიღნაღისა და გურჯაანის რაიონებში როგორც ნარევის, ისე ბატარა ნაკვეთების სახითაც, ძირითადად, ძველ უმყენ ვენახებში. საწარმოო ვენახებს გარდა რამდენიმე ათეული ძირი თეთრი კუმსი მოიპოვება მევენახეობის ინსტიტუტისა და მისი ფილიალისა და დასაყრდენი პუნქტების საკოლექციო ვენახებში. ამ ჯიშის მთელი ფართობი კახეთში სულ 4—5 ჰექტარს არ აღემატება.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიშის ბოტანიკური აღწერა შესრულებულია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე სოფ. ვაზისუბანში.


ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ). ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და ორი-სამი ჯერ კიდევ გაუშლელი ფოთოლაკითურთ ყოველი მხრიდან შებუსუსებულია სქელი ქეჩისებრი ბეწვებით, და შეფერილია თეთრ ფლანელისფრად და მკვეთრი ვარდისფერი არშია აქვს ფოთოლაკების ნაპირების ირგვლივ და ყუნწის გასწვრივ. ზემო მხრიდან შებუსუსება საგრძნობლად კლებულობს. ამის გამო მეორე იარუსის ფოთლები (4—5) — მარუხო-მოყვითალო ფერისაა და მოწითალო ელფერი დაჰკრავს, ხოლო ფოთლების ქვედა მხარე შებუსუსების გამო მოვერცხლისფრო-თეთრია.

ერთწლიანი რქა. კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მოყვითალო-რუხი ფერის (ღია წაბლისფერი) ხდება. მუხლები ოდნავ მუქია, ვიდრე მუხლთაშორისები. მუხლთაშორისები საშუალო სიგრძისაა (8—10 სანტიმეტრი). ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ გამოსახული არაა.

ფოთოლი. შუა იარუსის (9—12) ფოთლები საშუალო ზომისაა (16,5 × 17,0 სმ). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, ოდნავ ოვალური ფორმის. უფრო ხშირად გვხვდება ხუთნაკვეთიანი ფოთლები, იშვიათად სამნაკვეთიანებიც. ზოგერთ ფოთალზე, განსაკუთრებით მათ ქვედა ნაკვეთებზე, შესამჩნევია მეორეული დანაკვეთვა. ფოთლის ზედაპირი გლუვია, ნაკვეთების ბოლოები ოდნავ ზევითაა

წამოწეული. ფოთლის ქვედა მხარეზე მთავარი ძარღვები შებუსუსებულია თხელი აბლაბუდითა და ჯავრი-სებრი ბუსუსით. ფოთლის შუა ნაკვეთი სწორი, იშვიათად მახვილკუთხიანიცაა.

ხედა ამონაკვეთები საკმაოდ ღრმაა, იშვიათად საშუალო სიღრმისაა. ამონაკვეთები სხვადასხვაგვარი ფორმისაა: გვხვდება ყველა ცვალებადობა დახურული ნაპრალისებურთვლიანი ამონაკვეთიდან ღია, ბრტყელფუძიანი ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვეთამდე. უფრო ხშირად გვხვდება ბრტყელფუძიანი და ვიწრო ყვე-ლიანი ჩანგისმაგვარი ფორმისა და დახურული, ბრტყელფუძიანი სამკუთხედისებურთვლიანი ამონაკვეთები, იშვიათად ცალკბილიანი ამონაკვეთებიც გვხვდება.



ქვედა ამონაკვეთები ნაკლებ განვითარებული და ნაკლებ ღრმაა. ხშირად ამონაკვეთები საშუალო ან საშუალოზე ნაკლები სიღრმისაა. უფრო ხშირად მრგვალფუძიანი ღია ჩანგისებრი და შეკრილკუთხისე-ბრი ფორმის ამონაკვეთები გვხვდება, იშვიათად კი მრგვალფუძიანი ნაპრალისებრი ფორმის ამონაკვე-თებიც.


ყუნწის ამონაკვეთების ფორმაც საგრძნობლად ცვალებადობს. უფრო ხშირად გვხვდება მახვილ ან მრგვალფუძიანი ჩანგისებრი ფორმის და მრგვალფუძიანი განიერთალისებრი ფორმის ამონაკვეთები. იშვიათად გვხვდება დახურული თათისტარისებურთვლიანი და მახვილფუძიანი ისრისმაგვარი ფორმის ამო-ნაკვეთებიც.

ფოთლის მთავარი ძარღვები ნემსისებრ მახვილწვერიანი სამკუთხედისებრი ფორმის ან მახვილწვე-რიანი სამკუთხედისმაგვარი კბილებითა ბოლოვდება. გვერდითი კბილები მახვილწვერიანი და ხერხის კბილი-სებრ სამკუთხედისებრი ან ხერხის კბილისებრ ცალგვერდგანოზნექილია. აღსანიშნავია მახვილწვერიანი მსხვილი კბილებისა და ცალგვერდგანოზნექილი წვრილი კბილების მორიგეობითი განლაგება.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება სქელი ქეჩისებრია. იგი შედგება სქელი აბლაბუდისებრი ბეწვებისა და მის ქვეშ მოფენილი ჯავრისებრი ბუსუსებისაგან.

ფოთლის ყუნწი მის შუა ძარღვზე უფრო მოკლეა. იგი შებუსუსებულია თხელი აბლაბუდისებრი ბუსუსით და მორუხო-მწვანე ფერისაა.

ყვავილი. ყვავილი ორსქესიანია, ნორმალური აგებულე-ბისა. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში 5 მტვრიანაა, ძალიან იშვიათად გვხვდება ექვსიც. მტვრიანათა ძაფების შეფარდება ბუტ-კოს სიმაღლესთან უდრის 1,25 — 1,50-ს, იშვიათად აღწევს 1,75-საც. ბუტკო მომრგვალო კონუსისებრი ფორმისაა, კარგად გამოსახულ სვეტიანი და ხშირად ორად გაყოფილ დინგიანი.



სურ. 17. თეთრი კუმის ყვავილი.

მტევანი. კუმის მტევნები საშუალო სიდიდისაა. მტევ-ნების სიგრძე მერყეობს 13-დან 17 სმ-მდე, ხოლო განი 6,5-დან 10 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის ზომა უდრის 15 X 9 სმ-ს. მტევნების ფორმა კონუსისებრი და ცილინდ-რულ-კონუსისებრია, იშვიათად დატოტვილი მტევნებიც გვხვდე-ბა. მტევნები უმეტეს შემთხვევებში მკერიცა, იშვიათად ძალზე მკერიცაა, გვხვდება აგრეთვე საშუალო სიმკერიცის მტევნები. მარცვლების რაოდენობა მტევანში მერ-ყეობს 50-დან 200-მდე, ხოლო საშუალოდ უდრის 100-ს. მტევნის საშუალო წონა მერყეობს 85-დან 220 გრამამდე, საშუალო წონა უდრის 150 - 160 გრამს. ცალკეული კარგად განვითარებული მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 400 გრამს და შეიცავს 184 მარცვალს. მტევნის ყუნწი ბალახისებრი, გაუბე-ვებელია, მაგრამ შუა ნაწილიდან ფუქისაგან ხვედება და რქის ფერისა ხდება. ყუნწის სიგრძე მერყეობს 3,5-დან 6,0 სანტიმეტრამდე, საშუალოდ უდრის 4 — 4,5 სანტიმეტრს. მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე 0,4 — 0,5 სანტიმეტრია. მარცვლის საჯდომი ბალიში განიერკონუსისებრია, იშვიათად ვიწრო კონუსისებრი ფორმისაა.

მარცვალი. მარცვალი საშუალო ზომისაა. მისი სიგრძე მერყეობს 1,6-დან, 1,8 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 1,5-დან 1,7 სანტიმეტრამდე. საშუალო მარცვლის ზომა უდრის 1,7 X 1,65 სმ-ს. მარცვა-ლი მომრგვალო ფორმისაა, იშვიათად ოვალური ფორმის მარცვლებიც გვხვდება. მარცვალი შუაში გა-ნიერია, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვალი ღია-ყვითელი ფერისაა, კანი თხელი და გამჭვირვალეა, იგი ადვილად შარდება რბილობს. რბილობი საშუალო სიმკერიცისაა, მდნარი, წვენი უფროულია, ტკბილი. ჯიშური პრომატი თითქმის არ არის გამოსახული, იგი შეუმჩნე-ველია. ცვილისებრი ფიფქი მარცვლებზე კარგადაა გამოსახული. მარცვლები ყუნწზე აგრეთვე კარ-

მარცვალი. მარცვალი საშუალო ზომისაა. მისი სიგრძე მერყეობს 1,6-დან, 1,8 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 1,5-დან 1,7 სანტიმეტრამდე. საშუალო მარცვლის ზომა უდრის 1,7 X 1,65 სმ-ს. მარცვა-ლი მომრგვალო ფორმისაა, იშვიათად ოვალური ფორმის მარცვლებიც გვხვდება. მარცვალი შუაში გა-ნიერია, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვალი ღია-ყვითელი ფერისაა, კანი თხელი და გამჭვირვალეა, იგი ადვილად შარდება რბილობს. რბილობი საშუალო სიმკერიცისაა, მდნარი, წვენი უფროულია, ტკბილი. ჯიშური პრომატი თითქმის არ არის გამოსახული, იგი შეუმჩნე-ველია. ცვილისებრი ფიფქი მარცვლებზე კარგადაა გამოსახული. მარცვლები ყუნწზე აგრეთვე კარ-



გადაა მიმაგრებული. წიპწების რაოდენობა მარცვალში 1-დან 3-მდე მერყეობს, საშუალოდ ერთ მარცვალზე მოდის 1,39 წიპწა.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, რომელიც მდებარეობს ცივგომბორის სუსტად დაქანებულ ფერდობზე, სოფ. კურდღელაურში, 4 კილომეტრის დაშორებით ქ. თელავიდან.

კურდღელაურის ეკოლოგიურ პირობებში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 144 დღიდან 168 დღემდე და 11 წლის მანძილზე საშუალოდ 153 დღეს შეადგენს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად მერყეობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,940 გრადუსიდან 3,443 გრადუსამდე და საშუალოდ შეადგენს 3,108 გრადუსს. ქვემოთ მოყვანილია ცნობები ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზების მსვლელობის შესახებ თელავში.

### თეთრი კუმის სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა თელავში

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დღეებში	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნალექები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარეპროდუქციო პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავის მახლობლად.	1938	24/IV	7/VI	13/VIII	15/IX	144	3,056,0	—	—
	1939	23/IV	1/VI	17/III	20/IX	150	3,044,6	—	—
	1940	14/IV	5/VI	14/VIII	15/IX	154	3,160,2	—	—
	1941	5/IV	2/V	11/VIII	20/IX	168	3,403,1	—	—
	1942	24/IV	12/VI	30/VIII	6/X	164	3,434,7	—	—
საშუალო	18/IV	5/VI	17/VIII	21/IX	156	3,231,7	—	—	
" " " " " "	1943	28/IV	10/VI	14/VIII	30/IX	156	3,091,1	117,4	479,6
	1944	24/IV	6/VI	11/VIII	20/IX	150	2,953,5	83,5	393,4
	1945	4/V	10/VI	30/VIII	25/IX	145	2,940,4	471,3	343,3
	1946	27/IV	9/VI	19/VIII	20/IX	147	2,950,8	0,7	540,6
	1947	4/IV	9/VI	28/III	15/IX	165	3,085,7	64,7	540,1
	1948	26/IV	4/VI	8/VIII	18/IX	146	3,045,7	134,2	525,4
საშუალო	24/IV	8/VI	17/VIII	21/IX	151	3,012,2	74,6	470,9	

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ცალკეული ფაზების დადგომის ვადები წლების მანძილზე საგრძნობლად მერყეობს. ასე, მაგალითად, პირველი ფაზა — კვირტის გაშლის დასაწყისი — ყველაზე მეტად მერყევია. ცალკეული წლების მიხედვით იგი ხან ერთი თვით აღრე ან გვიან ღვება; მეორე ფაზა — ყვავილობის დასაწყისი — ყველაზე ნაკლებ ცვალებადია. მისი მერყეობა 15 დღის ფარგლებს არ სცილდება, ხოლო სიმწიფის დასაწყისი და სრული სიმწიფის დადგომა 20 დღის ფარგლებში მერყეობს. აღსანიშნავია, საწყისი ფაზის გავლენა სავეგეტაციო ფაზის ხანგრძლიობაზე; რაც უფრო აღრე იწყება პირველი ფაზა, მით უფრო ხანგრძლივია სავეგეტაციო პერიოდი. ნალექების რაოდენობასაც გავლენა აქვს სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობაზე; რაც უფრო ცოტა მოდის ნალექები სარეპროდუქციო და სავეგეტაციო პერიოდში, მით უფრო მოკლეა სავეგეტაციო პერიოდი. უკანასკნელი ფაზის — სრული სიმწიფის — დადგომის საშუალო თარიღის მიხედვით თეთრი კუმი სიმწიფის მესამე პერიოდის დასაწყისის ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს.

კახეთის შავის პირობებში, კერძოდ თელავის პირობებში, თეთრი კუმის ერთწლიანი რქები ყურძნის სრული სიმწიფის მომენტისათვის თავისუფლად ასწრებს შემოსვლას და საკმაოდ გახვევებული ხვდება ზამთრის ყინვებს. ზემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თეთრი კუმის შეუძლია მოამწიფდეს უფრო მოკლე სავეგეტაციო პერიოდის მქონე რაიონში, ვიდრე თელავი.



თეთრი კუმსი—Кумси Тетри



თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით, ზრდა-განვითარების შედეგებით თანაბარ პირობებში—კახეთის სხვა ვაზის ჯიშებთან შედარებით—თეთრი კუმსი ზრდის საშუალო ღონით ხასიათდება.

მოსავლიანობა. თეთრი კუმსი, ისევე როგორც სხვა მრავალი ადგილობრივი ვაზის ჯიშის მსგავსად, დარებით ადრე იხსამს და სრულ მოსავალსაც ადრე იძლევა. თელავის საკოლექციო და სარებროდუქციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით თეთრი კუმსის ნაყენებმა დარგვიდან მესამე წელს მოსახა 10 ვაზზე 22 მტევანი, ხოლო დარგვიდან მეოთხე წელს 10 ძირმა მოისხა 120 მტევანი და საშუალოდ ერთ რქაზე მოდიოდა 1,37 მტევანი. შემდეგი წლიდან მან უკვე სრული მოსავალი მოგვცა.

თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო და სარებროდუქციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით თეთრი კუმსი კარგი მოსავლიანი ჯიშია. მისი მოსავლიანობა კახურ სტანდარტულ ვაზის ჯიშებთან შედარებით შეფასებულია საშუალოზე მეტად. რიგი ავტორების (გევესკი და შარერი, ფირალოვი და შავერდოვი) ცნობით, თეთრი კუმსი მაღალმოსავლიან ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება. მართლაც, თეთრი კუმსის მსხმოიარობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები ახასიათებს. მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 0,75-დან 1,5-მდე და საშუალოდ უდრის 1,25-ს, ხოლო მტევნის საშუალო წონა მერყეობს 100-დან 400 გრამამდე და საშუალოდ უდრის 150—200 გრამს. ამ მონაცემების მიხედვით ერთი რქა იხსამს 187,5—250 გრამს. თუ ვივარაუდებთ ჰექტარზე საშუალოდ 30,000 რქას, მაშინ ჰექტარზე კუმსის მოსავალი გამოვა 56 ცენტნიდან 75 ცენტნამდე.

თეთრი კუმსის მოსავლიანობის უფრო დეტალურად დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ცნობები მისი მოსავლიანობის შესახებ ოთხი წლის მანძილზე.

თეთრი კუმსის მსხმოიარობის მონაცემები

წევნაეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	მსხმოიარე რქების პროცენტი			სულ	მტევნების რაოდენობა ერთ მოსავლან რქაზე	საშ. რაოდენობა მტევანი რქაზე	მტევნის საშუალო წონა	მოსავალი ერთი რქისა ჯრამებში	დაუთვლებელი რქების რაოდენობა ჰექტარზე	იახვ რიზებში მოსავალი ჰექტარზე
		1	2	3							
კახეთი, თელავის რაიონი, წევნაეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვინახი ს. კარდღელაურში, კ. თელავის მახლობლად	1941	45,9	40,98	—	86,88	1,47	1,27	156,6	198,1	35,000	69,31
	1942	44,2	42,3	—	86,5	1,31	1,20	202,0	242,4	33,000	80,0
	1943	42,30	39,42	—	81,72	1,17	0,98	185,0	181,8	30,000	54,80
	1948	55,72	22,39	1,99	80,10	1,32	1,06	182,0	192,9	35,000	67,5

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, თეთრი კუმსი ნაკოლექციო ულორტების საკმაოდ მაღალი პროცენტით ხასიათდება. უნაყოფო ულორტების პროცენტი 16—20%—ის ფარგლებში მერყეობს. აქ მოყვანილი მაჩვენებლების საფუძველზე გადაანგარიშებული მოსავალი 54 ცენტნიდან 70 ცენტნამდე გამოდის ჰექტარზე. ეს მოსავალი თეთრი კუმსისათვის არ არის მაღალი, რადგან, როგორც აქ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ჰექტარზე 30,000—35,000 რქა 3 კვ. მეტრ კვების არეზე დატვირთული ვაზებისათვის უდავოდ მცირედ უნდა ჩაითვალოს. დატვირთვის გადიდებით შესაძლებელია მოსავლის საგრძნობი გადიდება. საკავებლის სიგრძეზე განწყობილი ცალკეული რქების მსხმოიარობაზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ თეთრი კუმსი გრძელი გასხვლის მოყვარული ჯიშია. მაგალითად, ნეკებსა და საკავებლის პირველ 3—4 რქაზე უნაყოფო რქების დიდი რაოდენობაა და მცირედ მოსხმა (თითო მტევანი) იცის, ხოლო 4—5 რქიდან იზრდება ორ და სამმტევნიანი რქები და ამასთან დაკავშირებით მოსავალიც. ეს გარემოება გათვალისწინებული უნდა იქნეს ვენახების გასხვლისა და ფორმირების დროს.

თეთრი კუმსის მოსავლიანობის გადიდების მიზნით მისი ახალი ვენახები უფრო შემჭიდროებულ კვების არეზე უნდა გაშენდეს. თეთრი კუმსი, როგორც ზრდის საშუალო ღონის მქონეს, უნდა მიეცეს 2,25 კვ. მეტრიანი კვების არე (1,5 × 1,5 მეტრზე). ამ შემთხვევაში მისი მოსავლიანობა საგრძნობლად შეიძლება გადიდდეს და ჰექტარზე 80—100 ცენტნი ურძენი მივიღოთ.

საკოვან ავადმყოფობათა და მავნებლების მიმართ გამძლეობა. თეთრი კუმსი საკოვან ავადმყოფობებს კარგად უძლებს. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო და სარებროდუქციო

თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით, ზრდა-განვითარების შედარებით თანაბარ პირობებში—კახეთის სხვა ვაზის ჯიშებთან შედარებით—თეთრი კუმის ზრდის საშუალო ღონით ხასიათდება.

მოსავლიანობა. თეთრი კუმის, ისევე როგორც სხვა მრავალი ადგილობრივი ვაზის ჯიშის შედარებით ადრე ისხამს და სრულ მოსავალსაც ადრე იძლევა. თელავის საკოლექციო და სარეპროდუქციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით თეთრი კუმის ნამყენებმა დარგვიდან მესამე წელს მოსახა 10 ვაზზე 22 მტევანი, ხოლო დარგვიდან მეოთხე წელს 10 ძირმა მოისხა 120 მტევანი და საშუალოდ ერთ რქაზე მოდიოდა 1,37 მტევანი. შემდეგი წლიდან მან უკვე სრული მოსავალი მოგვცა.

თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო და სარეპროდუქციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით თეთრი კუმის კარგი მოსავლიანი ჯიშია. მისი მოსავლიანობა კახურ სტანდარტულ ვაზის ჯიშებთან შედარებით შეფასებულია საშუალოზე მეტად. რიგი ავტორების (გევესკი და შარერი, ფირალოვი და შავერდოვი) ცნობით, თეთრი კუმის მაღალმოსავლიან ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება. მართლაც, თეთრი კუმის მსხმოიარობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები ახასიათებს. მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 0,75-დან 1,5-მდე და საშუალოდ უდრის 1,25-ს, ხოლო მტევნის საშუალო წონა მერყეობს 100-დან 400 გრამამდე და საშუალოდ უდრის 150—200 გრამს. ამ მონაცემების მიხედვით ერთი რქა ისხამს 187,5—250 გრამს. თუ ვივარაუდებთ ჰექტარზე საშუალოდ 30,000 რქას, მაშინ ჰექტარზე კუმის მოსავალი გამოვა 56 ცენტნერიდან 75 ცენტნერამდე.

თეთრი კუმის მოსავლიანობის უფრო დეტალურად დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ცნობები მისი მოსავლიანობის შესახებ ოთხი წლის მანძილზე.

თეთრი კუმის მსხმოიარობის მონაცემები

შეგნახულობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	მ.ხმოიარე რქების პროცენტი				სულ	მტევნების რაოდენობა ერთ მოსავლან რქაზე	საშ. რაოდენ. მტევნებისა ერთ რქაზე	მტევნის საშუალო წონა	მოსავალი ერთი რქისა გრამებში	დაჯამებული რქების რაოდენობა ჰექტარზე	ჯამებრივი მოსავალი ჰექტარზე
		1	2	3								
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ს. კორდულაურში, ქ. თელავის მახლობლად	1941	45,9	40,98	—	86,88	1,47	1,27	156,6	198,1	35,000	69,34	
	1942	44,2	42,3	—	86,5	1,31	1,20	202,0	242,4	33,000	60,0	
	1943	42,30	39,42	—	81,72	1,17	0,98	185,0	181,3	30,000	54,30	
	1945	55,72	22,39	1,99	80,10	1,32	1,06	182,0	192,9	35,000	67,5	

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, თეთრი კუმის ნაყოფიანი ყლორტების საკმაოდ მაღალი პროცენტით ხასიათდება. უნაყოფო ყლორტების პროცენტი 16—20%-ის ფარგლებში მერყეობს. აქ მოყვანილი მაჩვენებლების საფუძველზე გადაანგარიშებული მოსავალი 54 ცენტნერიდან 70 ცენტნერამდე გამოდის ჰექტარზე. ეს მოსავალი თეთრი კუმისათვის არ არის მაღალი, რადგან, როგორც აქ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ჰექტარზე 30,000—35,000 რქა 3 კვ. მეტრ კვების არეზე დატვირთული ვაზებისათვის უდავოდ მცირედ უნდა ჩაითვალოს. დატვირთვის გადიდებით შესაძლებელია მოსავლის საგრძნობი გადიდება. საკავებლის სიგრძეზე განწყობილი ცალკეული რქების მსხმოიარობაზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ თეთრი კუმის გრძელი გასხვლის მოყვარული ჯიშია. მაგალითად, ნეკებსა და საკავებლის პირველ 3—4 რქაზე უნაყოფო რქების დიდი რაოდენობაა და მცირედ მოსხმა (თითო მტევანი) იცის, ხოლო 4—5 რქიდან იზრდება ორ და სამმტევნიანი რქები და ამასთან დაკავშირებით მოსავალიც. ეს გარემოება გათვალისწინებული უნდა იქნეს ვენახების გასხვლისა და ფორმირების დროს.

თეთრი კუმის მოსავლიანობის გადიდების მიზნით მისი ახალი ვენახები უფრო შემჭიდროებულ კვების არეზე უნდა გაშენდეს. თეთრი კუმის, როგორც ზრდის საშუალო ღონის მქონეს, უნდა მიეცეს 2,25 კვ. მეტრიანი კვების არე (1,5 × 1,5 მეტრზე). ამ შემთხვევაში მისი მოსავლიანობა საგრძნობლად შეიძლება გადიდდეს და ჰექტარზე 80—100 ცენტნერი ყურძენი მივიღოთ.

სოკოვან ავადმყოფობათა და მავნებლების მიმართ გამძლეობა. თეთრი კუმის სოკოვან ავადმყოფობებს კარგად უძლებს. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო და სარეპროდუქციო

ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით თეთრი კუმსი კარგად უძლებს მილდიუმს და საშუალოდ — ნაცარს, საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კახურ ვაზის ჯიშებში კუმსი განსაკუთრებით გამოირჩევა ამ მხრივ. ფილოქსერასაც საშუალოდ უძლებს, რქაწითელსა და მწვანეს თეთრი კუმსი ამ მხრივ ჩამორჩება, მაგრამ საფერავთან შედარებით იგი გაცილებით უფრო გამძლეა, სამეურნეო მნიშვნელობის დაზიანებანი ან დაავადებანი დაკვირვებათა პერიოდში აღნიშნული არ ყოფილა.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

თეთრი კუმსი საღვინე ჯიშია. მისი მტევნებისა და მარცვლების გარეგნული შეხედულება, მათი მექანიკური შემადგენლობა და აგრეთვე წვენის ქიმიური შემადგენლობა უფრო შეფერვა საღვინე ვაზის ჯიშს, ვიდრე სადესერტო ყურძნისას. ამის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია თეთრი კუმსის ყურძნის მექანიკური ანალიზების შედეგები.

**თეთრი კუმსის მექანიკური ანალიზის მონაცემები**

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	წელი	მტევნის საშუალო წონა	მარცვლების ს.შ. რაოდენ. მტევანში	მტევნის შემადგენელი ნაწილები პროცენტებში					100 მარცვლი წონა	100 წიპის წონა
				მარცვალი	კლერტი	კანი	წიპა	წვენი და თიხილობი		
გურჯაანის რაიონი, ს. ვაზისუბანი, თელავის რაიონი, ს. კურდღელაური (ქ. თელავის მახლობლად)	მ წლის საშ.	206,88	114	97,14	2,83	8,79	4,05	84,3	176,8	510
	1940	192,5	106	97,47	2,58	10,56	3,33	83,58	179,2	400

მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ ყურძნის გადამუშავების ლაბორატორიულ პირობებში კუმსს წვენის საკმაოდ მაღალი გამოსავლიანობა აქვს. ნახევრად წარმოების პირობებში წვენის გამოსავლიანობა შედარებით დაბალია, ხოლო მაგარი ნარჩენისა (კლერტი, კანი, წიპა) — შედარებით მაღალი. ამ პირობებში წვენის გამოსავლიანობა აღწევს 73,8%-ს, ხოლო მაგარი ნარჩენებისა — 26,2%-ს.

წვენის ქიმიური შემადგენლობა. კუმსს შაქრის დაგროვების მაღალი უნარიანობა არ ახასიათებს, ამასთან მისი მჟავიანობა ზომიერია. წლების განმავლობაში დაკვირვებათა მიხედვით მისი შაქრიანობა 16%-დან 20%-მდე მერყეობს, ხოლო მჟავიანობა — 6<sup>0</sup>/<sub>100</sub>-დან 10<sup>0</sup>/<sub>100</sub>-მდე. შაქრიანობის საშუალო პროცენტად შეიძლება მივიღოთ 18, ხოლო საშუალო მჟავიანობად — 7<sup>0</sup>/<sub>100</sub>. ცალკეული წლების მიხედვით შაქრიანობა-მჟავიანობის მერყეობის გასაცნობად ქვემოთ მოყვანილია რთვლის პერიოდში წარმოებული ანალიზების შედეგები.

**თეთრი კუმსის წვენის შაქრიანობა-მჟავიანობა რთვლის პერიოდში**

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	რთვლის თარიღი	შ.ქრიანობა %-ში	მჟავიანობა %-ში	შენიშვნა
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, სოფ. კურდღელაური (ქ. თელავის მახლობლად)	1938	26 IX	18,0	7,0	
	1939	20 IX	17,6	6,7	
	1940	21 IX	19,4	5,95	
	1941	20 IX	18,6	6,6	
	1942	10 IX	18,3	7,0	
	1913	5 X	18,7	6,8	
	1945	27 IX	17,7	10,8	
	1946	24 IX	21,3	8,4	
	1947	18 IX	20,5	6,78	
	1948	20 IX	16,1	5,64	

ყურძნის წვენი ქიმიური შემადგენლობის უფრო ზუსტი დახასიათებისათვის ქვემოთ მოყვანილია სრული ქიმიური ანალიზების შედეგები.

წელი	თარიღი	შაქარი %-ში	გლუკოზა	ფრუქტო- ზა	საერთო სიჭავე	ღვნი- ს შავე	ვაშლის სიძვე	მთრიშ- ლა- ნივთიერე ბ.ნი	ნაცარი
1937	15/IX	18,80	9,70	9,10	7,17	3,72	3,45	0,14	1,34



როგორც მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, კუმის ყურძნის წვენში შაქრიანობა-მევიანობის შეფარდება კარგია. შაქრიანობისა და მევიანობის ნაჩვენები რაოდენობა წვენში საკმარისია საშუალო ღირსების ღვინის მისაღებად, ხოლო ზოგიერთ წლებში შაქრიანობა-მევიანობის რაოდენობა საკმარისია ხარისხოვანი ღვინის მისაღებად.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. თეთრი კუმის ყურძენს იყენებენ ძირითადად სუფრის ღვინის დასამზადებლად, ხოლო ნაწილობრივ ხმარობენ საქმელად ჯიშის მკირედ გავრცელების გამო იგისხვა ჯიშებთან — რქაწითელთან და მწვანესთან — ერთად იწურება სუფრის ღვინოდ. იშვიათად მისგან ცალკეც ამზადებენ ღვინოს თეთრი კუმისაგან სუფთა სუფრის ღვინო მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. თეთრი კუმის ღვინო საშუალო ღირსებისა დგება, ძირითადად იგი ორდინარულია, ხოლო ზოგიერთ წლებში მისგან ხარისხოვანი ღვინოც კი მზადდება.

კუმის ღვინო ღია ჩალისფერია, სუსტად განვითარებული არომატიანი. მისი დამახასიათებელია საშუალოზე მკირე ალკოჰოლიანობა და სხეული, სასიამოვნო გემო და ხარისხიანი მევიანობა. ღვინის ღირსებით თეთრი კუმის საკრძობლად ჩამორჩება კახეთის საწარმოო ვაზის ჯიშებს — რქაწითელს, მწვანეს და სხვებს.

ჯიშობრივი ღვინოების ხარისხის შემმოწმებელი სადეგუსტაციო კომისიის სხდომებზე კუმის ღვინო შეფასებულია, როგორც საშუალო ღირსების სუფრის ღვინო, რომელსაც არავითარი ჯიშობრივი თავისებურება არ ახასიათებს.

ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები სადეგუსტაციო კომისიის სხდომების ოქმებიდან.

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	სადეგუსტაციო კომისიის სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიური შეფასება
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკულექციო ვენახი	1937	15/XII 1937	6,0	გამჭირვალე, მოკრთალოვანი ღვინო, ნაკლებ შინაარსიანი, ორდინარული ღვინო.
	1939	19/I 1940	6,2	ღია ჩალისფერი, საკმაოდ დაშენდილი, საშუალო ექსტრაქტიანი, ხალისიანი ღვინო.
ს. კურდღელაური (ქ. თელავის ძაბლობადად)	1940	25/XII 1940	7,0	კარგად დაშენდილი. ღია ჩალისფერი, საკმაოდ სხეულიანი, კარმოთიული ღვინო.
" "	1941	10/I 1942	6,1	ღია ჩალისფერი, გამჭირვალე, მკირესხეულიანი, საკმაოდ ხალისიანი, ორდინარული ღვინო. ჯ. შუაში პრომატი სუსტად გამოთავილია.
თელავის რაიონი, ქ. თელავი, საკულექციო ვენახი	1947	20/V 1948	6,9	ღია ჩალისფერი, საკმაოდ დაშენდილი. მკირესხეულიანი, დენი ღვინო. ემჩნევა სიკბო. ძომავალში სასუროველია დამზადდეს კახური წესით.

მოყვანილი ორგანოლექტიური შეფასების გარდა, ღვინის ხარისხის სრული შეფასებისათვის ქვემოთ მოყვანილია კუმის ღვინის ქიმიური ანალიზის მაჩვენებლები.

ღვინო დამზადებულია თელავის საკოლექციო ნაკვეთების მოსავლიდან

მოსავლის წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მოცულობით %/6-ში	გ რ ა მ ე ბ ი ლ ი ტ რ შ ი									
			საერთო სიმწვევე	ექსტრაქტი	ბაცარი	ნაჭრის ტუტანობა	ღვინის მკვება	მკროლავი სიმწვევე	არამკროლავი მკვება	შაქარი	გლიცერინი	ტანიმი
1939	0,9946	9,8	6,99	21,13	1,85	2,33	2,67	1,15	5,59	1,6	5,13	0,22
1940	0,9919	10,3	4,1	17,04	1,97	1,9	2,3	0,69	3,24	0,6	5,6	0,2
1941	0,9935	10,1	6,21	18,9	—	—	—	0,89	5,13	—	—	—
1947	—	10,6	5,7	21,8	—	—	—	0,69	—	—	—	0,39



მოყვანილი ორგანოლექტიკური დახასიათების და ქიმიური მაჩვენებლების საფუძველზე კუმსის ღვინო შეიძლება მივაკუთვნოთ ორდინარულ ღვინოთა ჯგუფს. კახეთის საწარმოო ვაზის ჯიშებს შორის კუმსი, როგორც საღვინე ჯიში, საყურადღებო არ არის.

ღვინის გარდა თეთრი კუმსის ყურძენი გამოსადეგია აგრეთვე ყურძნის უალკოჰოლო წვეენისა და ხარისხოვანი კონიაკების დასამზადებლად. ყურძნის წვეენი საკმაოდ მაღალი ღირსების დგება, ხოლო საკონიაკე მასალად მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაიწყეს კუმსის გამოცდა. თეთრი კუმსი ნაწილობრივ გამოსადეგია ადგილობრივ მოსახმარ საღვინეო ყურძნად.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

თეთრი კუმსი ადგილობრივი საღვინე ვაზის ჯიშია. იგი იძლევა სუფრის ორდინარულ ღვინოს. ჯიში მოიპოვება კახეთის რაიონებში თითო-ოროლა ძირის, იშვიათად პატარა ნაკვეთებადაც კოლმეურნეობების ვენახებში და კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე. უფრო მეტად კუმსი გავრცელებულია სიღნაღისა და გურჯაანის რაიონებში ძირითადად ნარევის სახით, იშვიათად პატარა ნაკვეთებადაც.

ჯიშის მკირედ გავრცელების გამო იგი სხვა ჯიშებთან ერთად იწურება ჩვეულებრივი ღვინის დასამზადებლად. წარმოების პირობებში მისგან წმინდა ღვინო იშვიათად მზადდება. კუმსისაგან სუფთა ღვინოს მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში ამზადებენ. კუმსის ღვინო მაღალი ღირსებისა არაა, იგი საშუალო ღირსების ორდინარული ღვინოა, მაგრამ ზოგიერთ წლებში მისგან ხარისხოვანი ღვინოც დგება. გარდა სუფრის ღვინისა, კუმსი გამოსადეგია ხარისხოვანი უალკოჰოლო ყურძნის წვეენისა და საკონიაკე მასალის დასამზადებლად.

ჯიშის დადებითი თვისებებია: საშუალოზე მაღალი მოსავლიანობა, სოკოვან ავადმყოფობათა, განსაკუთრებით მილდიუმის მიმართ, კარგი გამძლეობა და აგრეთვე გარემო პირობებისადმი ადვილად შეგუების უნარი.

ჯიშის უარყოფითი თვისებებია: პროდუქციის (ღვინის) არამაღალი ხარისხი და მტევნების ზედმეტი სიმკვრივე, რაც ხელს უშლის ადგილობრივ მოსახმარებელ საღვინეო ყურძნად მის ფართოდ გამოყენებას. კახეთის მეღვინეობის რაიონებში სუფრის ღვინის დასამზადებლად თეთრი კუმსის გაშენება მიზანშეწონილი არაა, რადგანაც იგი ყველა პირობებში ღვინის ხარისხით საგრძნობლად ჩამორჩება რქაწითელს. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ჯიშის შედარებით მაღალმოსავლიანობას, სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ მის შედარებით კარგ გამძლეობას, იგი პერსპექტიულად შეიძლება მივიჩნიოთ ძირითადად ალაზნის მარცხენა მხარეზე გასაშენებლად — მისგან უმთავრესად ხარისხოვანი საკონიაკე მასალის და ხარისხოვანი უალკოჰოლო ყურძნის წვეენის დამზადების მიზნით.

ჯიშის ამ მხრივ ფართოდ გამოცდის შემდეგ იგი შეიძლება რეკომენდებული იქნეს სიღნაღის, გურჯაანისა და თელავის რაიონებში განსაზღვრულ ფართობზე გასაშენებლად.

ჯიშის მილდიუმის მიმართ შედარებით კარგი გამძლეობისა და კარგი მოსავლიანობის გამო იგი პერსპექტიულია აგრეთვე სასელექციო მუშაობაში გამოსაყენებლად.

## КУМСИ ТЕТРИ

**Лист.** Вполне развитые листья средних размеров ( $16,5 \times 17$ ). Очертание листовой пластинки округ-  
 лое, с незначительным колебанием в сторону поперек-овальной формы. Обычно листья пятилопастные,  
 очень редко, но встречаются и трехлопастные. На нижних лопастях некоторых листьев иногда развиваются  
 вторичные лопасти. Поверхность листа гладкая, края лопастей приподняты вверх. Главные ~~нервные жилки~~  
 опушены слабой паутиной со щетинистым пушком. Угол окопечной лопасти обычно прямой, реже  
 острый.

Верхние вырезки довольно глубокие, реже бывают средних размеров. Форма вырезок варьирует от  
 закрытых щелевидных до открытых лировидных вырезок с плоским дном и суженным устьем. Чаще всего  
 встречаются лировидные вырезки с узким устьем и плоским дном и закрытые с треугольным просветом и  
 плоским дном, реже встречаются вырезки с однозубчатым дном.

Нижние вырезки менее развиты и менее глубоки. Обычно вырезки бывают средних размеров, либо  
 они мелкие. Чаще всего встречаются открытые лировидные вырезки с округлым дном и в виде входящего  
 угла, реже щелевидные с округлым дном.

Черешковая выемка по форме значительно варьирует. Чаще всего встречаются лировидные вырезки  
 с острым либо с округлым дном и широкие сводчатые, также с округлым дном. Реже встречаются закры-  
 тые черешковые выемки с веретеновидным просветом и незначительным наложением лопастей и глубокие  
 стрельчатые вырезки с острым дном.

**Зубцы.** Окопечные зубцы лопастей треугольные, с оттянутой в острие вершиной либо треугольные  
 с острой вершиной. Краевые зубцы треугольно-пиловидные с острой вершиной либо пиловидные односто-  
 ронне-выпуклые. Краевые зубцы неодинаково развиты, обычно крупные вытянутые зубцы чередуются с  
 мелкими односторонне выпуклыми зубцами.

Опушение нижней стороны листа войлочное, состоящее из довольно густого паутинистого пушка и  
 подстилающих его коротких щетинок.

Черешок короче длины срединного нерва, опушен слабым паутинистым пушком и окрашен в буро-  
 вато-зеленый цвет.

**Цветок.** Цветок нормального строения, обоеполюй. Тычинки прямостоячие. Число тычинок в цвет-  
 ке 5. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет  $1,25-1,50$ , реже это отношение  
 достигает  $1,75$ . Пестик правильной округло-конической формы, рыльце глубоко-двураздельное.

**Гроздь.** Кумси тетри характеризуется средними размерами гроздей. Длина гроздей в среднем варьи-  
 рует от 13 до 17 см, при ширине  $6,5-10$  см. Размер средней грозди равен  $15 \times 9,0$  см. Форма грозди  
 коническая и цилиндро-коническая, реже встречаются и лопастные грозди. В большинстве случаев грозди  
 плотные, реже средние и очень плотные, в последнем случае ягоды деформируются. Горошение и осыпа-  
 ние ягод в грозди не наблюдаются. Количество ягод в грозди варьирует от 50 до 200, составляя в сред-  
 нем на гроздь около 100 ягод. Вес грозди варьирует от 85 до 220 гр, составляя в среднем на гроздь  
 $150-160$  гр. Отдельные полноценные грозди свободно достигают веса 400 гр и содержат 184 ягоды.  
 Ножка грозди травянистая, со середины к основанию она деревенеет и окрашивается в цвет чубука. Длина  
 ножки варьирует от 3,5 до 6 см, составляя в среднем  $4-4,5$  см. Ножка ягоды зеленая, длиной  $0,4-0,5$   
 см. Подушечка бородавчатая, дисковидной, реже узко-конической формы.

**Ягода.** Ягоды средних размеров. Длина ягод варьирует от 1,6 до 1,8 см, при ширине  $1,5-1,7$  см.  
 Размер средней ягоды равен  $1,7 \times 1,65$  см. Форма ягод округлая, реже встречаются ягоды овальной формы.  
 Наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды закруглен. Окраска ягод светло-желтая. Кожица  
 тонкая, просвечивающаяся. Мякоть средне-плотная, распыляющаяся. Сок бесцветный, приятный, без осо-  
 бого сортового аромата. Пруин на ягодах хорошо заметен. Прочность прикрепления ягод к ножке средняя.  
 Количество семян в ягоде варьирует от 1 до 3, составляя в среднем на ягоду 1,39 семени.

Кумси тетри — местный, малораспространенный сорт белых столовых вин Кахети. Распространен  
 более всего в Сягнахском и Гурджаанском районах Кахети, в основном, в виде примеси и маленьких  
 участков на старых производственных виноградниках колхозов и приусадебных участках колхозников, в  
 остальных районах Кахети сорт встречается в виде единичных кустов на старых корнесобственных вино-  
 градниках.

Ввиду незначительного распространения сорта, его урожай перерабатывается вместе с основными  
 сортами винограда на обычное столовое вино. Чистосортные вина из Кумси тетри готовятся лишь на  
 опытных участках Института виноградарства. Вино из Кумси не обладает высокими достоинствами; оно  
 соломенно-желтого цвета, легкое, малоэкстрактивное, ординарное вино, без особых сортовых достоинств,  
 только в некоторые годы оно получается довольно хорошего качества. Помимо вина, сорт пригоден для при-  
 готовления качественных коньяков и безалкогольных соков.




К положительным свойствам сорта относятся его сравнительно высокая урожайность и довольно хорошая относительная устойчивость против грибных болезней, в особенности против мильдю.


К недостаткам сорта относятся невысокое качество его продукции (вина) и большая плотность грозди, ограничивающая его применение в качестве столового винограда местного значения.

В качестве самостоятельного винного сорта в винодельческих районах Кахети сорт не заслуживает внимания. Однако, принимая во внимание сравнительно высокую урожайность и хорошую относительную устойчивость против грибных болезней, его можно считать перспективным для западной полосы Кахети в основном — для приготовления качественных коньяков, безалкогольных соков и в качестве высушенного материала.

После широкого испытания сорта в указанных направлениях, его можно рекомендовать для промышленной культуры в Сигнахском, Гурджаанском и Телавском районах на соответствующей пасадке.

Ввиду хорошей относительной устойчивости сорта против мильдю, он является перспективным также для селекционных работ.





## მხარგრძელი

მხარგრძელი ადგილობრივი იშვიათი ჯიშია; იგი იძლევა საშუალო ღირსების თეთრ სუფრის ღვინოს. სინონიმები. არც მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და არც ადგილობრივ მევენახეთა შორის ეს ჯიში სხვა სახელწოდებით ცნობილი არ არის.

ჯიშის ისტორია. მხარგრძელი ადგილობრივ წარმოშობილი ვაზის ჯიშია. სახელწოდება მიღებული აქვს ჯიშისათვის დამახასიათებელი გრძელი მტევნების მიხედვით. ამ ნიშნის — მტევნის სიგრძის — მიხედვით იგი საგრძნობლად გამოირჩევა კახეთის დანარჩენი ჯიშებისაგან, სხვა ნიშნებით კი იგი მათთან შეტად ახლო დგას. მთავარი მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით — მდებრობითი ტიპის ყვავილით, მრგვალი მარცვლით, ფოთლის საკმაო სქელი შებუსუსებით და სხვ. მხარგრძელი ადგილობრივი ფლორის წარმომადგენელია, იგი გარეული ჯიში ჩანს, შემდგომ გაუმჯობესებული. ამის მიხედვით მხარგრძელი საკმაოდ ძველ ჯიშად უნდა მივიჩნიოთ. რადგანაც მას ყვავილი მდებრობითი სქესისა აქვს, იგი მინარევის სახითაა გავრცელებული, რაც ადასტურებს ჯიშის საკმაო სიძველეს და მის ადგილობრივ წარმოშობას. ამჟამად მხარგრძელი კახეთში მევენახეობის თითქმის ყველა რაიონშია გავრცელებული. ძირითადად იგი გვხვდება ძველ ვენახებში მინარევის სახით. მხარგრძელის ცალკე წმინდა ნარგავებად გაშენება, მისი ყვავილის ერთსქესიანობის (მდებრობითი) გამო, არ იყო მიღებული, რადგან მხარგრძელის წმინდა ნარგავები ნოსავალს არ იძლეოდა. ჯიშის გავრცელებას მისი კარგი სამეურნეო თვისებების გარდა ხელს უწყობდა მტევნების ღამაში გარეგნული შესედულებაც. მხარგრძელს დიდი, თხელი მტევნები და საშუალო სიდიდის მარცვლები აქვს.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიშის ბოტანიკური აღწერა შესრულებულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე სოფ. ვაზისუბანში (გურჯაანის რაიონი).

ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ). ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და ჯერ კიდევ კარგად გაუშლელი პირველი 2—3 ფოთოლაკით შებუსუსებულია ყოველი მხრიდან ქეჩისებრი ბეწვებით, შეუფრილია მოთეთრო ფერით და სუსტი ვარდისფერი არშია აქვს ფოთოლაკების ირგვლივ და ყუნწების გასწვრივ. მეორე იარუსის ფოთოლაკებზე (4—5) ზემო მხრიდან ბუსუსები თანდათან ქრება და ფოთოლაკები ბაცი-მოყვითალო ფერისა ხდება, თანაც მოვარდისფრო იერი დაჰკრავს ფოთლების ნაპირების ირგვლივ. ჰვემო მხრიდან ფოთოლაკებზე საკმაო შებუსუსება რჩება, რის გამო ფოთოლაკები ინარჩუნებს ბაცი-მოვერცხლისფრო ფერს და მოვარდისფრო იერი გასდევს ფოთოლაკების ირგვლივ.

ერთწლიანი რქა. კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე ღია ყავისფერი ხდება. მუხლთაშორისები საშუალო სიგრძისაა (8—10 სმ), მუხლები მუხლთაშორისებზე უფრო მუქი ფერისაა. ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ სუსტადაა გამოსახული.

ფოთოლი. კარგად განვითარებული ფოთლები (9—12) საშუალო ზომისაა (16,0×17,0 სმ). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, ოდნავ მოოვანო ფორმის. ფოთოლი ხუთნაკვეთიანია, დანაკვეთვად რმა, ნაკვეთები კარგადაა გამოსახული. მეორეული დანაკვეთვა აგრეთვე კარგადაა გამოსახული, განსაკუთრებით მეორე იარუსის ფოთლებზე. ფოთლის შუა ნაკვეთი ბლაგვკუთხიანია, იშვიათად მახვილკუთხიანიც. ფოთლის ზედაპირი გლუვია, მაგრამ იშვიათად ბადისებრ დანაოჭებულიც. ფოთლის ფირფიტა ძაბრისებრ მოხრილია ნაკვეთის ბოლოების ოდნავ ზევით წანოწვევის გამო. ფოთლის მთავარი ძარღვები სუსტადაა შებუსუსებული აბლაბუდისებრი ბეწვებით და მოღვინისფრო-წითელი ფერისაა, განსაკუთრებით ფუძესთან.

ზედა ამონაკვეთების სიღრმე საგრძნობლად მერყეობს: საშუალოდან ძლიერ ღრმა ამონაკვეთამდე. უფრო ხშირად ამონაკვეთები ღრმაა, იშვიათად საშუალო სიღრმისაა. ამონაკვეთების ფორმა, სიღრმის შესა-

ბამისად დახურულია და კვერცხისმაგვარი მომრგვალო ან წამახვილებულფუძიანი თვლიანი, ამონაკვეთები ღია ნაპრალისებრი ან შეკრიბულსებრი ფორმისაა იშვიათად.


ქვედა ამონაკვეთები უფრო ნაკლები სიღრმისაა, ჩვეულებრივ საშუალო სიღრმის, ამონაკვეთების ფორმა ჩანგისმაგვარია და პარალელურგვერდებიანი, ან ჩანგისმაგვარია და ვიწროყელიანი და მახვილფუძიანი.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა უმნიშვნელოდ ცვალებადობს. უფრო ხშირად იგი ჩანგის ან თაღის მაგვარია, ან კიდევ კვადრატისმაგვარია და მომრგვალო ან წამახვილებულფუძიანი. იშვიათად, უმთავრესად ქვედა იარუსის ფოთლებზე, გვხვდება ელიფსისებრი თვლიანი ფორმის დახურული ამონაკვეთები.

ფოთლის მთავარი ძარღვები ჩვეულებრივ სამკუთხედისმაგვარი, გამოხეტილგვერდებიანი და მახვილფეხიანი, ან გუმბათისმაგვარი კბილებით თავდება. გვერდითი კბილები ხერხის კბილისებრია გამოხეტილგვერდებიანი და მახვილფუძიანი, ან კიდევ ხერხისკბილისებრია და მომრგვალო გვერდიანი.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება საშუალო სისქისაა. იგი შედგება აბლაბუდისებრი ბეწვებისა და მათ ქვემოთ მოფენილი ჯაგრისებრი ბუსუსებისაგან. საერთოდ ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება საკმაოდ სქელია და, ამასთან, იგი აბლაბუდისებრი ჯაგრისებრია.

ფოთლის ყუნწი შებუსუსებულია აბლაბუდისებრად და მოწითალო-ღვინისფერია. ყუნწი ფოთლის შუა ძარღვის სიგრძისაა ან ოდნავ მასზე მოკლეა.



სურ. 18. მარგრძელის ყვავილი.

ყვავილი. ყვავილის ტიპი ფუნქციონალურად მდებრობითია, მას ბუტკოს ქვემოთ შემოხრილი მტვრიანები აქვს. ყვავილში ხუთი-ექვსი მტვრიანია, იშვიათად შვიდმტვრიანი ყვავილებიც გვხვდება. მტვრიანათა ძაფების სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან უდრის 0,6—0,8-ს. ბუტკო წესიერი, მომრგვალო კონუსისებრი ფორმისაა მოკლე ყელიანი და კარგად განვითარებულ ღინგიანი.

მტევანი. მხარგრძელის მტევანი გრძელი ან საშუალოზე გრძელია. მტევანების სიგრძე მერყეობს 16-დან 40-ზე მეტ სანტიმეტრამდე, ხოლო განი 8-დან 14 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევანის ზომა 32 × 12 სანტიმეტრს

უდრის. მტევანის ძირითადი ფორმა კონუსისებრია, ხშირად იგი დატოტვილია და მხრიანი. ზოგჯერ მხრების სიგრძე აღწევს ძირითადი მტევანს ერთ მეოთხედს, ზოგჯერ მის ნახევარსაც. ჩვეულებრივ ტოტები ძირსაა ჩამოშვებული და მტევანი დატოტვილ ფორმას იღებს. მტევანები მომეტებულ შემთხვევაში მეჩხერი, იშვიათად ძალიან მეჩხერი და საშუალო სიმკვრივის მტევანებიც გვხვდება. წვრილმარცვლიანობა მტევანში უმნიშვნელოა. ხშირად ნასკვი არ ვითარდება მარცვლად და იგი მწვანე, განვითარებული რჩება მტევანზე. მტევანის საშუალო წონა მერყეობს 80-დან 300 გრამამდე, ხოლო საშუალოდ 180—200 გრამს უდრის. ცალკეული კარგად განვითარებული მტევანების წონა თავისუფლად აღწევს 400—600 გრამს. საშუალო, კარგად განვითარებულ მტევანში, რომლის წონა 340 გრამს უდრის, 100 მსხვილი და 106 საშუალო ზომის მარცვალი იყო. მტევანის ყუნწი გახვეებულია, იგი მუქი მწვანე ფერისაა, ფუძისაკენ კი რქის ფერს იღებს. ყუნწის სიგრძე მერყეობს 6-დან 12 სანტიმეტრამდე, ხოლო საშუალოდ შეადგენს 7—8 სანტიმეტრს. მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე 0,6—0,9 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში განიერ კონუსისებრია, ოდნავ დახორკლილი.

მარცვალი. მარცვალი საშუალო ზომისაა, მისი სიგრძე მერყეობს 1,62-დან 1,85 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 1,42-დან—1,75 სანტიმეტრამდე. საშუალო მარცვლის ზომა 1,65 × 1,55 სანტიმეტრია. მარცვალი მომრგვალოა, იშვიათად მოოვალო ფორმის მარცვლებიც გვხვდება. მარცვალი შუაში განიერია, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვლები მომწვანო-ყვითელი ფერისაა, კანი თხელი, მაგრამ საკმაოდ მკვრივი აქვს. რბილობი საშუალო სიმკვრივისაა, მდნარი. მარცვლებზე ცვილისებრი ფიფქი თხელია, მაგრამ კარგად შესამჩნევი. მარცვლის გემო სასიამოვნო, ჰარმონიულია. ჯიშური არომატი სუსტადაა გამოსახული. წიბწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 4-მდე, ხოლო საშუალოდ მარცვალზე მოდის 1,62 წიბწა.

**ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება**

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებული შეკვანახების ინსტიტუტის მთავარ საკოლექციო ვენახში, სოფ. კურდღელაურში, 4 კილომეტრის დაშორებით ქ. თელავიდან.



მხარგრძელი—მხარგრძელი

კურდღელაურის პირობებში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 136 დღიდან 176 დღემდე და შეადგენს საშუალოდ 151 დღეს. შესაბამისად მერყეობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,888-დან 3,268 გრადუსამდე, ხოლო საშუალოდ შეადგენს 3,069 გრადუსს. ცალკეული ფაზების მსვლელობა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

მდინარეების რაიონი და დაკარგების წარმოების აღკვეთის	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნალექები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარეპროდუქციო პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში
კახეთი, თელავის რაიონი, მდინარეების ნატიტუტის საკოლექციო ენაბი, სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავის მახლობლად	1938	24/IV	10/V I	10/VIII	20/IX	149	3,168,5	—	—
	1939	22/IV	4/VI	15/VIII	25/IX	156	3,172,9	—	—
	1940	14/IV	12/VI	18/VIII	16/IX	155	3,179,5	—	—
	1941	7/IV	30/V	5/VIII	10/IX	156	3,199,0	—	—
	1942	27/IV	12/VI	24/VIII	25/IX	151	3,233,0	—	—
საშუალო	19/IV	14/VI	15/VIII	19/IX	153	3,190,5	—	—	
" "	1943	27/IV	11/VI	17/VIII	20/IX	147	2,942,5	117,4	479,6
	1944	25/IV	7/VI	20/VIII	20/IX	149	2,941,8	69,0	393,4
	1945	3/V	10/VI	24/VIII	25/IX	146	2,954,1	47,3	346,3
	1946	21/IV	8/VI	20/VIII	10/IX	143	2,823,7	—	553,3
	1947	3/IV	4/VI	28/VIII	25/IX	176	3,268,3	64,7	540,1
	1948	26/IV	3/VI	9/VIII	8/IX	156	2,883,2	55,7	475,7
საშუალო	22/IV	7/V	19/VIII	18/IX	149	2,968,1	59,0	464,7	

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, სავეგეტაციო პერიოდის ფაზები ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად საგრძნობლად ცვალებადობს. ასე, მაგალითად, პირველი, საწყისი, ფაზის დადგომა ყველაზე მეტად ცვალებადობს; მისი დადგომის ვადის მერყეობის ფარგლები ცალკეული წლების მიხედვით ერთ თვეს აღწარბებს, ყვავილობის დასაწყისის ფაზის მერყეობის ფარგალი 12 დღეს არ სცილდება, ხოლო სიმწიფის დასაწყისისა და სრული სიმწიფის დადგომის ფაზა 15—20 დღის ფარგალში მერყეობს. სრული სიმწიფის დადგომის ვადების მიხედვით მხარგრძელი თავისუფლად შეიძლება მიეკუთვნოს ყურძნის სიმწიფის მესამე პერიოდის, ანუ, უფრო სწორად, სიმწიფის მესამე პერიოდის დასაწყისის ვაზის ჯიშებს.

კახეთის ჰავის პირობებში, სადაც ჰაერის სადღეღამისო საშუალო ტემპერატურა თითქმის 10 ნოემბრამდე 10°-ზე ქვევით არ ჩამოდის, ყველა პირობაა მოცემული ერთწლიანი რქების სრული მომწიფებისათვის. მართლაც, მხარგრძელის ერთწლიანი ნაზარდი უკვე ყურძნის სრული სიმწიფის მომენტისათვის ასწრებს სრულ მომწიფებას და კარგად შემოსული და გახვევებული ხედება ზამთარს.

თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით ვაზის ზრდა-განვითარების შედარებით თანაბარ პირობებში მხარგრძელს ზრდის საშუალო ღონე ახასიათებს სხვა ჯიშებთან შედარებით.

მოსავლიანობა. მხარგრძელი აღრე იძლევა როგორც პირველ, ისე სრულ მოსავალს. თელავში წარმოებული დაკვირვების მიხედვით მხარგრძელის ნამყენებმა დარგვიდან მესამე წელს მოიხა 30 მტევანი ათ ძირზე, საშუალოდ ერთ რქაზე 0,37 მტევანი, ხოლო მომდევნო, ე. ი. დარგვიდან მეოთხე წელს, თითქმის ნორმალური მოსავალი მოგვცა — 10 ვაზზე 114 მტევანი, რაც საშუალოდ 1 რქაზე შეადგენდა 1,12 მტევანს.

თელავისა და ვაზისუბნის ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვებების მიხედვით მხარგრძელმა საშუალო და საშუალოზე მაღალი მოსავალი იცის. მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი 0,47-დან 1,5-მდე მერყეობს, ხოლო მრავალწლიური საშუალო 0,8—1,2-ს არ სცილდება. მტევნის საშუალო წონაც საკმაოდ დიდ ფარგლებში მერყეობს: საშუალოდ 150 გრამიდან 250 გრამამდე. მხარგრძელის მსხმოიარობაზე უფრო სრული წარმოდგენის მისაღებად ქვემოთ მოყვანილია თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვებების მონაცემები.

მონაცემები მხარგრძელის მსხმოიარობის შესახებ

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	უნაყოფიანი ყლორტების პროცენტი			მტევნების რიცხვი 1 მსხმოიარე რქაზე	მტევნების საშუალო რიცხვი 1 რქაზე	მტევნის საშუალო წონა გრამებში	1 რქის საშუალო მოსავალი ცენტრებით	მტევნების რიცხვი 1 ჰექტარზე	მტევნების საშუალო წონა ცენტრებით
		ერთ-მტევნიანი	ორ-მტევნიანი	სულ						
კახეთი გურჯაანის რაიონი, სოფ. ვახისუბანი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკულექციო ვენახი სოფ. აურდულაორში, კ. თელავის მახლობლად	1940	—	—	—	—	1,02	206,0	210,12	42,000	88,2
	1941	62,5	16,25	78,75	1,2	0,95	184,2	175,0	32,000	76,00
	1943	28,82	20,59	79,41	1,04	0,82	196,0	160,7	34,000	54,64
	1948	44,25	13,61	57,86	1,0	0,57	204,0	116,28	40,000	46,51

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, მხარგრძელის უნაყოფო ყლორტების რაოდენობა საკმაოდ დიდია. იგი ცალკეული წლების მიხედვით 20%-დან 42%-მდე მერყეობს. ეს გამოწვეულია ვახების არასრული დატვირთვით. ვახისუბანში, 2,25 კვ. მეტრიან კვების არეზე, მხარგრძელი ნორმალურად არის დატვირთული და მოსავალიც შესაბამისად მაღალია. თელავში, 3,0 კვ. მეტრიან კვების არეზე, ნიადაგის სიმწარის გამო ვახები უფრო ნაკლებ დატვირთულია და მოსავალიც გაცილებით უფრო ნაკლებია. საკავებლის სიგრძეზე ცალკეული რქების მსხმოიარობაზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ყველაზე დიდი პროცენტი (70%) უნაყოფო ყლორტებისა მოდის ნექებზე, შემდეგ საკავებლის პირველ 3-4 რქაზე. მე-4—მე-5 რქიდან უნაყოფო რქების რაოდენობა მცირდება და შესაბამისად იზრდება ორმტევნიანი რქების პროცენტიც.

აქედან სასვებით გასაგებია მხარგრძელის შედარებით მცირემოსავლიანობა თელავის ნაკვეთებზე. მისი მოსავლიანობის გაზრდა შესაძლებელია ნიადაგის სისტემატურად და უხვად გაპატივებისა და შესაბამისად ვახების გრძლად გასხვლის საშუალებით. ასეთ პირობებში მხარგრძელს შეუძლია კახეთში თავისუფლად მოგვეცეს ჰექტარზე საშუალოდ 70—80 ცენტნერი ყურძენი. ჯიშის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის საჭიროა მხარგრძელისათვის შეიარჩეს შესაფერი გამანაყოფიერებელი ჯიში, რომელიც მასთან ერთად იწყებს ყვავილობას და რიგგამოშვებით დაირგოს მასთან ერთად ვენახში. ამასთან ერთად საჭიროა, მხარგრძელს, როგორც ზრდის საშუალო ღონის მქონე ვახს, მიეცეს შესაფერი კვების არე. ჯიშისათვის სასვებით საკმარისი იქნება 1,5 X 1,5 მეტრი, ანუ 2,25 კვ. მეტრი კვების არე. ამ კვების არეზე ნიადაგის განაყოფიერებისა და ვენახის კარგად მოვლა-დამუშავებისას მხარგრძელმა თავისუფლად შეიძლება მოგვეცეს 80—100 ცენტნერი ყურძენი 1 ჰექტარზე.

სოკოვან ავადმყოფობათა და მავნებლების მიმართ გამძლეობა. მხარგრძელის შედარებითი გამძლეობა სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ საშუალოა. საკოლექციო და სარეპროდუქციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით ჯიშის შეფარდებითი გამძლეობა მილდიუმის მიმართ საშუალოა, ხოლო ნაცრის მიმართ საშუალოზე მცირე. ვახისუბანში მხარგრძელი ყურძნის ჭიას კარგად უძლებს. ფილოქსერის მიმართ გამძლეობა რქაწითელთან შედარებით სუსტი აქვს. სხვა ავადმყოფობათა და მავნებლების მიერ სამეურნეო მნიშვნელობის დაზიანებანი დაკვირვებათა წარმოების განმავლობაში აღნიშნული არ ყოფილა.

ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

მხარგრძელი საღვინე ვახის ჯიშია. იგი გამოსადეგია აგრეთვე ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძნადაც. მტევნებისა და მარცვლების გარეგნული შეხედულებით, მათი მექანიკური შემადგენლობით და აგრეთვე ყურძნის წვენის ქიმიური შემადგენლობით მხარგრძელი უფრო მეტად საღვინე ჯიშია, ვიდრე სადესერტო. ნათქვამის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია მხარგრძელის ყურძნის მექანიკური შემადგენლობის მაჩვენებლები.

**მხარგრძელის მტვენის მექანიკური შემადგენლობა**

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მტვენის საშუალო წონა	მარცვლებს სამ. რაოდ. მტვენში	მტვენის შემადგენელ ნაწილები პროცენტებში					100 მარცვლის წონა გრამებში	100 წიწის წონა გრამებში
				კლერტი	მარცვლი	კანი	წიპა	წვენი და რბილობი		
კაბეთი, გურჯაანის რაიონი, ს. ვაზისუბანი, საკოლექციო ნაკვეთი	მ წლის საშუალო	294,35	141	4,49	95,51	9,79	5,12	80,6	164,7	7,8
თელავის რაიონი, ქ. თელავი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1940	230,5	103	4,65	95,35	10,56	6,25	78,54	216,2	5,46



როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ყურძნის ლაბორატორიული ვადამუშავების პირობებში მხარგრძელს ყურძნის წვენის საკმაოდ მაღალი, ხოლო მაგარი ნარჩენების (კლერტი, ჩენჩო, წიპა) შედარებით მცირე გამოსავლიანობა აქვს. ყურძნის ნახევრად საწარმოო პირობებში ვადამუშავების დროს წვენის გამოსავლიანობა ნაკლებია და შეადგენს საშუალოდ 70—71,0%-ს, ხოლო მაგარი ნარჩენები 29—30%-ია. ამ მონაცემების მიხედვით მხარგრძელი საღვინე ვაზის ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს.

ყურძნის წვენის ქიმიური შემადგენლობა. მხარგრძელის ყურძნის წვენს საკმაოდ მაღალი შაქრიანობა და ზომიერი მჟავიანობა ახასიათებს. თელავსა და ვაზისუბანში წარმოებული დაკვირვებების მიხედვით წვენის შაქრიანობა რთვლის დროს მერყეობს 18%-დან, 21%-მდე, ზოგიერთ წლებში იგი 23,6%-საც კი აღწევს, ხოლო მჟავიანობა მერყეობს 6-დან 9,0%-მდე. ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად საგრძნობლად იცვლება შაქრიანობა-მჟავიანობა და მათი ურთიერთშეთარდება. ამ ცვალებადობის გასაცნობად ქვემოთ მოყვანილია წლების განმავლობაში წარმოებული ანალიზების შედეგები.

**მხარგრძელის ყურძნის წვენის შაქრიანობა-მჟავიანობა რთვლის პერიოდში**

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	რთვლის თარიღი	შაქრიანობა %-ში	მჟავიანობა %-ში	შენიშვნა
გურჯაანის რაიონი, სოფ. ვაზისუბანი, საკოლექციო ვენახი.	1929	20/IX	23,6	5,78	
	1930	15/IX	21,5	6,31	
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1939	20 IX	21,2	6,9	
	1940	21/IX	21,24	6,3	
	1942	20/IX	20,0	5,69	
	1943	5 X	21,2	5,59	
	1944	27/IX	22,2	9,1	
	1945	27 IX	17,2	7,3	
	1946	13 IX	20,5	5,89	
	1947	1 IX	20,0	5,65	
1948	11/IX	18,3	4,53		

როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, მხარგრძელი საკმაოდ დიდი რაოდენობით აგროვებს შაქარს მაშინ, როდესაც მისი მჟავიანობა შაქრიანობასთან შეუარდებით საკმარისი არაა წესიერი ხარისხიანი სუფრის ღვინის მისაღებად. მხოლოდ ზოგიერთ წლებში ხდება შაქრიანობა-მჟავიანობის შეუარდება ნორმალური და იმ წლებში ღვინოც ხარისხიანი ღვება.

**მხარგრძელის ყურძნის წვენი ქიმიური ბუნების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია მისი წვენი სრული ანალიზის შედეგები**

წელი	საერთო ექსტრაქტი	შაქარი	გლუკოზა	ფრუქტოზა	საერთო სიმჟავე	ღვინის სიმჟავე	ვაშლის სიმჟავე	მთრიმ-ლავი ნივთიერებანი	ნაცარი
1937	19,91	17,70	8,92	8,78	6,62	3,13	3,29	0,19	1,92

მოყვანილი მაჩვენებლების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მხარგრძელის შაქრიანობა-მკაფიანობა საფსებით საკმარისია მისგან კარგი ღირსების სუფრის ღვინის მისაღებად, ხოლო ზოგიერთ წლებში მაღალი ღირსების სუფრის ღვინის მიღებაც უზრუნველყოფილია.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. მხარგრძელის ყურძნისაგან მზადდება მშრალი სუფრის ღვინო, ჯიშის მცირედ გავრცელების გამო მისგან ღვინოს ცალკე არ ამზადებენ, იგი მთავარ საწარმოო ჯიშებთან ერთად იწურება. მხარგრძელისაგან სუფთა ჯიშობრივი ღვინო მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. ჩვეულებრივ ღვინო საშუალო ღირსებისაა, ზოგიერთ წლებში კი ძალიან კარგი და ხარისხოვანი ღვინოც დგება. მხარგრძელის ღვინო ღია ჩალისფერია, კარგად დაწმენდილი. ჯიშური არომატი სუსტად აქვს გამოსახული. გემო ნაზი, ჰარმონიული აქვს. სხეული საკმარისია, განსაკუთრებით ევროპული ტიპის ღვინისათვის. ჯიშობრივი ღვინოების ხარისხის შემფასებელი სადეგუსტაციო კომისიის სხდომებზე მევენახეობის ინსტიტუტში მხარგრძელის ღვინო ხშირად მაღალ შეფასებას იღებდა, როგორც კარგი ხარისხის ევროპული ტიპის სუფრის ღვინო.

ნათქვამის დასადასტურებლად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები სადეგუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.

**ამონაწერი სადეგუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	წელი	სადეგუსტაციო კომისიის სხდომის თარიღი	ბალი (ნიშანი)	ღვინის ორგანოლექტიური შეფასება
კახეთი. გურჯაანის რაიონი, ს. ვახის-უბანი, საკოლექციო ვენახი	1936	20/I-1937	7,0	ღია ჩალისფერი, კარგად დაწმენდილი, სრული, ჰარმონიული ღვინო, სუსტად გამოსახულ ჯიშურ არომატიანი.
კახეთი. თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტ-ტის საკოლექციო ვენახი	1940	25/XII 1940	6,5	ღია ჩალისფერი, კარგად დაწმენდილი, სრული შინაარსიანი ღვინო. შთაბეჭდილებას აფუჭებს მუხის გემო.
" "	1940	9/I 1941	6,4	კარგად დაწმენდილი, ჩალისფერი, სრული შინაარსიანი ღვინო. გემოს ჰარმონიულობას არღვევს მუხის კურკლისაგან შეძენილი სიმწარე.

მხარგრძელის ღვინის ხარისხის სრული დახასიათების წარმოსადგენად ქვემოთ მოყვანილია აგრეთვე მხარგრძელის ღვინის ქიმიური ანალიზების შედეგები.



მხარგრძელის ღვინის ქიმიური შემადგენლობა

წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მოცულობ. %-ში	გ რ ა მ ე ბ ი ლ ი ტ რ შ ი									
			საერთო მჟავანობა	მქროლავი მარცვლიანობა	ღვინის მჟავა	მეტრაქტი	ტანინი	გლიცერინი	ნაცარი	ნაცრის ტუტიანობა	შაქარი	
1930	0,9970	12,05	6,12	—	—	32,8	—	—	—	—	—	3,01
1939	0,9924	12,4	5,81	—	—	25,6	—	—	—	—	—	3,15
1939	0,9956	12,05	5,63	—	—	30,08	—	—	—	—	—	3,27
1940	0,9930	12,01	6,04	0,73	3,05	—	0,21	6,71	—	—	—	3,16
1940	0,9956	12,05	5,63	0,64	2,71	—	2,24	5,4	—	—	—	3,27
1941	0,9937	10,0	6,04	1,0	2,80	17,89	0,53	5,28	2,03	2,63	0,7	—



1930 წლის მოსავლის ღვინო დამზადებულია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე, სოფ. ვაზისუბანში, ევროპული წესით, ხოლო 1929 და 1940 წელს ღვინოები დამზადებულია როგორც ევროპული, ისე კახური წესით იმავე ვაზისუბანში. 1941 წლის მოსავლის ღვინო დამზადებულია ევროპული წესით ქ. თელავში საკოლექციო ნაკვეთის მოსავლიდან.

სადეგუსტაციო კომისიის ზემოთ მოყვანილი შეფასებისა და ღვინის ქიმიური ბუნების მაჩვენებლების გათვალისწინებით მხარგრძელის ღვინო თავისუფლად შეიძლება მიჩნეულ იქნას კარგი ღვინის ევროპული ტიპის სუფრის ღვინოდ.

ღვინის გარდა მხარგრძელის ყურძენი გამოსადეგია აგრეთვე უალკოჰოლო ყურძენის წვენის დასამზადებლად და ნაწილობრივ ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძნადაც. იგი ხასიათდება შემდეგი თვისებებით:

მტევანი გრძელი და თხელი აქვს, ზომით 26 X 30 სანტიმეტრი. ზოგიერთი მტევნის სიგრძე აღწევს 50 სანტიმეტრს. მტევნების გარეგნული შეხედულება ლამაზი და მიმზიდველია.

მარცვლიანი ზომით საშუალო და საშუალოზე მსხვილია. მარცვლების ფორმა მომრგვალოა ან ოდნავ ოვალური. ფერი მომწვანო-ყვითელია. მარცვლები ყუნწზე საკმაოდ მჭიდროდაა მიმაგრებული. მარცვლის ყუნწიდან მოწყვეტის წინააღმდეგობა უდრის 183,7 გრამს, ხოლო გაქვლეტის წინააღმდეგობა 364 გრამს.

გემო სასიამოვნო, საკმაოდ ჰარმონიული აქვს. სპეციფიკური ჯიშური არომატი მარცვლებში სუსტადაა გამოხატული.

ტრანსპორტის ამტანობა სუსტა აქვს. მხარგრძელის ყურძენი გამოსადეგია მხოლოდ ადგილობრივ მოსახმარად და, იშვიათად, მახლობელი დასახლებული ადგილების — სამრეწველო ცენტრების, დასავლენებელი სახლებისა და კურორტების — მოსამარაგებლად ახალმოკრეფილი ყურძნით. შორეული ტრანსპორტისათვის მხარგრძელის ყურძენი გამოსადეგი არაა.

ყურძენი კარგად არ ინახება. ჩვეულებრივ ხის თაროებზე დალაგებული წონის ნახევარს კარგავს 40 დღის განმავლობაში. ამ წესით შენახვისას წყლის აორთქლების გამო დანაკარგი შეადგენს 50,5%-ს, მარცვლების ღვინის გამო დანაკარგი — 5,4%-ს, სულ — 55,9%-ს. გაცილებით უკეთესად ინახება მხარგრძელის ყურძენი ადგილობრივი წესით; ჯაგნებად სვეზე ან ჩვეულებრივ წვრილ თოჯნე ასხმული და შემდეგ გრილ შენობებში — მარანში, სხვენზე და სხვაგან — ჩამოკიდებული თითქმის ერთიორად მეტ ხანს ძლებს, ვიდრე თაროზე დალაგებული.

ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

მხარგრძელი ადგილობრივი, იშვიათი ჯიშია. იძლევა კარგი ღვინის ევროპული ტიპის მშრალ სუფრის ღვინოს. ჯიში გავრცელებულია კახეთის თითქმის ყველა რაიონში უმთავრესად მინარევის — რამდენიმე ძირის სახით კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ძველ ვენახებში. იმის გამო, რომ მისი ყვავი-

ლი ფუნქციონალურად მდებრობითი სქესისაა, ჯიშის სუფთა ნარგავები არ გვხვდება. მცირედ და უმთავრესად მინარევის სახით გავრცელების გამო მხარგრძელისაგან წმინდა ღვინო არ მზადდება, მისი ყურძენი სხვებთან ერთად იწურება ჩვეულებრივი კახური ტიპის ღვინის დასამზადებლად. მხარგრძელის ჯიშობრივი ღვინო მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. მხარგრძელის ღვინო ღია ჩალისფერია, კრიალა. გემო სასიამოვნო, ჰარმონიული აქვს. საშუალო სხეულიანი, ევროპული ტიპის ღვინოა, სუსტად გამოსახული ჯიშურ არომატიანი.

ჯიშის დადებითი თვისებებია: ღვინის კარგი ღირსება, სოკოვან ავადმყოფობათა მტკიცე მტაცებლობისადმი შედარებით კარგი გაძლეობა — შეგუება და ჯიშის ვარგისობა სუფრის ღვინის დასამზადებლად და ადგილობრივ მოსახმარებელ სადესერტო ყურძნად.

ჯიშის უარყოფითი თვისებები: ფუნქციონალურად მდებრობითი სქესის ყვავილი და არამალაი მოსავლიანობა.

კახური ვაზის ჯიშების სიმდიდრისა და მრავალფეროვნების გამო მხარგრძელი ღიდად საყურადღებო ჯიში არაა. ჯიშის შედარებით კარგი მოსავლიანობისა და ღვინის კარგი ღირსების მიუხედავად, ყვავილის მდებრობითობის გამო, შეუძლებელია მისი რეკომენდება საწარმოო სტანდარტული ასორტიმენტის შესატანად.

ჯიში ფართოდ უნდა გამოიყენოს რიგ კარგ გამანაყოფიერებელთან ერთად მოსავლიანობისა და ღვინის ხარისხის შესწავლის მიზნით. ამის შემდეგ უნდა შეირჩეს ისეთი გამანაყოფიერებელი ჯიში, რომელიც მხარგრძელთან ერთად უზრუნველყოფს ყურძნის კარგ მოსავალს და ღვინის მაღალ ხარისხს. მხოლოდ ასეთი გამანაყოფიერებლის გამონახვის შემდეგ შეიძლება მხარგრძელის რეკომენდება სარაიონო სტანდარტულ ასორტიმენტში შესატანად.

მხარგრძელს, როგორც გრძელ და დიდმტევენთან და ამასთან ხარისხოვან ჯიშს, პერსპექტივა აქვს სელექციურ მუშაობაში გამოსაყენებლად ვაზის მაღალმოსავლიანი და ხარისხოვანი ახალი ჯიშების გამოსაყვანად.

საბჭოთა კავშირის სხვა მევენახეობის რაიონებისათვის მისი რეკომენდება ყვავილის არანორმალური აგებულების გამო შეუძლებელია. იგი გამოსადეგია მხოლოდ სხვა ჯიშებთან ერთად გამოსაყვანად და სელექციური მუშაობისათვის.

### МХАРГРДЗЕЛИ

Лист. Вполне развитые листья (9—12) средних размеров (16×17 см). Форма листовой пластинки округлая, с незначительным варьированием в сторону поперек-овальной. Листья пятилопастные, сильно рассеченные. Вторичные лопасти хорошо выражены, в особенности, на листьях нижнего яруса. Оконечная лопасть тупая, реже она бывает острой.

Поверхность листа гладкая, реже сетчато-морщинистая. Листовая пластинка воронковидно-желобчатая, с несколько приподнятыми краями вверх. Главные нервы опушены слабой паутиной и окрашены в слабо винно-красный цвет, в особенности у основания.

Верхние вырезки по глубине рассеченности листа варьируют от средних до очень глубоких. В большинстве случаев вырезки глубокие, реже они средних размеров. Форма вырезок закрытая, с яйцевидным просветом, с округлым либо с заостренным дном. Реже встречаются открытые щелевидные вырезки входящего угла.

Нижние вырезки несколько менее глубоки, в большинстве случаев они средних размеров. Форма вырезок лировидная, с почти параллельными сторонами или лировидные с у-ким устьем и острым дном.

Черешковая выемка по форме незначительно варьирует. В большинстве случаев она лировидная или сводчатая, квадратная с округлым либо заостренным дном. Редко встречаются и закрытые выемки с эллиптическим просветом, в основном, на листьях нижнего яруса.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей обычно треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной или куполообразные. Краевые зубцы пиловидные, с выпуклыми сторонами и острой вершиной и округло-пиловидные.

Опушение нижней поверхности листа паутиновое, с примесью щетинистого пушка средней густоты. В целом опушение довольно густое, паутиново-щетинистое.

Черешок листа опушен паутиново и окрашен в винно-красный цвет. Черешок несколько короче или равен длине срединного нерва листа.

**Цветок.** Цветок функционально женский, с закручивающимися под пестик тычинками. Число тычинок в цветке 5—6, реже встречаются цветы с семью тычинками. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика равно 0,6—0,8. Пестик правильной округло-конической формы с коротким столбиком и хорошо развитым рыльцем.

**Гроздь.** Грозди выше средних размеров и длинные. Длина гроздей варьирует от 16 до 40 и более см, при ширине 8—14 см. Размер средней грозди равен  $32 \times 12$  см. Форма грозди коническая, часто с крылом или лопастью. Крылья свободно достигают  $\frac{1}{4}$ — $\frac{1}{2}$  размера основной грозди. Обычно лопасти свисают вниз и придают грозди висячую форму. В большинстве случаев грозди рыхлые, реже встречаются очень рыхлые и средней плотности. Горошение незначительное, причем горошащиеся завязи не развиваются в ягоды, а остаются зелеными. Средний вес гроздей варьирует от 80 до 300 гр, составляя в среднем на гроздь 180—200 гр. Отдельные крупные грозди свободно достигают веса 400—600 гр. Средняя полноценная гроздь весом 340 гр содержит 100 крупных и 106 средних ягод, всего 206 ягод на гроздь. Ножка грозди деревянистая, темно-зеленого цвета, у основания окрашивается в цвет чубука. Длина ножки варьирует от 6 до 12 см, составляя в среднем 7—8 см. Ножка ягод зеленая, длиной 0,6—0,9 см. Подушечка бородавчатая широко-конической формы.

**Ягода.** Ягоды средних размеров. Длина ягоды варьирует от 1,62 до 1,85 см, при ширине 1,42—1,75 см. Размер средней ягоды равен  $1,65 \times 1,55$  см. Основная форма ягод округлая, реже встречаются ягоды и овальной формы. Наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды округлен. Окраска ягод зелено-желтая. Кожица тонкая, но довольно прочная. Мякоть средне-плотная, расплывающаяся. Восковой налет на ягодах тонкий, но хорошо выражен. Вкус ягод приятный, гармоничный. Прочность прикрепления ягоды к ножке средняя.

Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4, составляя в среднем на ягоду 1,62 семени.

**Мхаргрдзели**—местный, малораспространенный сорт белых вин Кахети, дает качественные столовые белые вина и отчасти десертный виноград местного значения. Распространен почти во всех районах Кахети преимущественно в виде примеси на старых производственных виноградниках колхозов и колхозников. Отдельные участки Мхаргрдзели, в связи с наличием у сорта функционально женского типа цветка, почти не встречаются. Ввиду незначительного распространения сорта, чистосортные вина Мхаргрдзели в производственных условиях колхозов не готовятся, а урожай вместе с основным сортом идет на приготовление обычного кахетинского вина. Сортное вино из Мхаргрдзели готовится лишь с опытных участков Института виноградарства. Вино из Мхаргрдзели получается довольно высокого качества, оно светло-соломенного цвета, средне-экстрактивное, довольно гармоничное, со слабо выраженным сортовым ароматом.


К положительным свойствам сорта относятся сравнительно хорошая урожайность и хорошее качество вина, а также относительно хорошая устойчивость против грибных болезней.


К недостаткам сорта относятся не совсем высокое качество вина и функционально женский тип цветка, ограничивающий его распространение в чистом виде.

При богатом разнообразном сортовом составе винограда в Кахети Мхаргрдзели большого внимания не заслуживает. Несмотря на сравнительно хорошую урожайность и хорошее качество продукции, ввиду наличия у сорта функционального женского типа цветка, его трудно рекомендовать для включения в стандартный ассортимент винограда Кахети.

Однако Мхаргрдзели следует испытать вместе с лучшими опылителями на урожайность и качество продукции для подбора наиболее подходящего сорта опылителя для совместной культуры с Мхаргрдзели в целях улучшения качества вина и повышения его урожайности. При удачном разрешении этой задачи, Мхаргрдзели, совместно с сортом опылителем, можно рекомендовать для промышленной культуры.

Мхаргрдзели, как длинно-гроздный и качественный сорт винограда, перспективен также для селекционных целей при выведении новых сортов винограда.





ქართული  
ენის ინსტიტუტი

### ყვითელი მხარგრძელი

ყვითელი მხარგრძელი ადგილობრივი ვაზის ჯიშია, იძლევა საშუალო ღირსების თეთრ სუფრის ღვინოს და ადგილობრივ მოსახმარებელ სადესერტო ყურძენს.

**სინონიმები.** მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში ყვითელი მხარგრძელი სხვა სახელწოდებით ცნობილი არაა. მევენახეობის ზოგიერთ რაიონში (მაგ., სიღნაღის რაიონში) ადგილობრივი მევენახეები მას გრძელმტევანას ეძახიან.

**ჯიშის ისტორია.** ყვითელი მხარგრძელი ადგილობრივი ჯიშია. თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით იგი მეტად ახლოს დგას სხვა კახურ ჯიშებთან. პირველად ჯიში იპოვნეს ვაზისუბნის საკოლექციო ვენახში უბაკლოურის რიგში მინარევის სახით, სულ 4 ძირი. კახური ვაზის ჯიშების შეგროვებისა და აღწერის დროს (1933 წელი) ყვითელი მხარგრძელი საკმაოდ გავრცელებული ჯიში აღმოჩნდა. ზოგიერთ სოფლებში, მაგალითად სოფ. ნანიანში, მას გრძელმტევანას უწოდებენ. თავისი მორფოლოგიური ნიშნებით — ფოთლის დანაკვეთით, შებუსუსებით, მტევნის სიდიდით, მარცვლის ფორმით — ყვითელი მხარგრძელი ძალიან წააგავს ჩვეულებრივ მხარგრძელს, რომლისაგან განსხვავდება ძირითადად მარცვლების მოქარვისფრო-ყვითელი ფერითა და ყვავილის ტიპით.

ამჟამად ყვითელი მხარგრძელი ძირითადად სიღნაღის, გურჯაანის და საგარეჯოს რაიონებშია გავრცელებული. კახეთის დანარჩენ რაიონებში იგი შედარებით ნაკლებად გვხვდება.

რამდენიმე ათეული ძირი ყვითელი მხარგრძელი გაშენებულია მევენახეობის ინსტიტუტის, მისი ფილიალისა და დასაყრდენი პუნქტების საკოლექციო ნაკვეთებზე.

ჯიშის ბოტანიკური აღწერა წარმოებულია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე სოფ. ვაზისუბანში.

**ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ).** ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი 2—3 ფოთოლაკით შებუსუსებულია ყოველი მხრიდან სქელი ქეჩისებრი ბეწვებით, შეფერილია მოთეთრო ფერით და თანაც მკვეთრი მოვარდისფრო არშია აქვს შემოვლებული ფოთოლაკების ნაპირებისა და გვირგვინის ირგვლივ. მეორე იარუსის მე-4—მე-5 ფოთლებზე შებუსუსება ფოთლების ზედა მხრიდან ქრება და შეფერვა მოყვითალო-მწვანე ხდება, ხოლო ფოთლების ქვედა მხრიდან შებუსუსება მკირდება და შეფერვა მორუხო-თეთრი ხდება, თანაც მოვარდისფრო იერი გადაჰკრავს ფოთოლაკების ნაპირების ირგვლივ.

**ერთწლიანი რქა.** კარგად შემოსული ერთწლიანი რქა შემოდგომაზე ბაცი მოყვითალო-წითელი ფერისა ხდება. მუხლთაშორისების სიგრძე საშუალოდ 7—8 სმ-ს უდრის. მუხლების ფერი არ განსხვავდება მუხლთაშორისების ფერისაგან. ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ სუსტადაა გამოსახული.

**ფოთოლი.** საშუალო იარუსის (9—12) ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალოზე დიდი ზომისაა. ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, იგი ბუთნაკვეთიანია. ფოთლის ზედაპირი ბადისებრ დანაკლებულია, ხოლო ქვედა იარუსის ფოთლები წვრილბურთულეებიანია. ფოთლის ფირფიტა ჩვეულებრივ სწორია, ან გაურკვევლად მიხრილ-მოხრილი. ფოთოლი ღრმადაა დანაკვეთული და ამასთან მას მეორადი დანაკვეთაც აქვს. ეს ნიშნები დამახასიათებელია ჯიშისათვის.

ზედა ამონაკვეთები საკმაოდ ღრმაა. ჩვეულებრივ იგი დახურულია და სამკუთხედისმაგვარი თვალი და ბრტყელი ან ცალკბილიანი ფუძე აქვს. იშვიათად ღია ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვეთებიც გვხვდება, შევიწროებულყვითელი და მრგვალფუძიანი.

ქვედა ამონაკვეთები ჩვეულებრივ ნაკლებ ღრმაა და ნაკლებ განვითარებულია. ქვედა ამონაკვეთები უმეტეს შემთხვევაში ღიაა და ჩანგისმაგვარი ფორმისაა, შევიწროებულ ან პარალელურგვერდებიან ყვითელი და მომრგვალო ან ბრტყელძირიანი.



უვითელი მხარგრძელი—ჩვითელი მხარგრძელი!

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა საკმაოდ ცვალებადობს. უფრო ხშირია ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვეთები, ძარღვებით შემოფარგლულფუძიანი. იშვიათად თალისმაგვარი ფორმის ან კვადრატული მომრგვალოფუძიანი ამონაკვეთებიც გვხვდება, ხოლო ქვედა იარუსის ფოთლებზე გვხვდება დახურული ყუნწის ამონაკვეთები კერცხისმაგვარი თვლით.

ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია აბლაბუდისებრი ბეწვებით, რომელთაც ერთვის საკმაოდ სქელი ჯავრისებრი ბუსუსი, რის გამო შებუსუსება საკმაოდ სქელია.

ფოთლის მთავარი ნაკვეთები ბოლოვდება სამკუთხედისმაგვარი გვერდებამოზნექილი წვერიანი კბილებით. გვერდითი კბილები ხერხისკბილისებრ ცალგვერდებამოზნექილია.

ფოთლის ყუნწი ხშირად მის მთავარ ძარღვზე მოკლეა, იშვიათად მისი სიგრძისაა ან უფრო გრძელი მასზე. ყუნწი შებუსუსებულია თხელი აბლაბუდისებრი ბეწვებით და მოწითალო-ღვინისფერია, თანაც მწვანე ზოლები აქვს ჩართული.

ყვავილი. ყვავილი ორსქესიანია. ყვავილში ხუთი, იშვიათად ექვსი მტვრიანაა. მტვრიანათა ძაფების სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმალესთან შეადგენს 1,0—1,25-ს, იშვიათად იგი აღწევს 1,5-საც. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილთუნები დიდი ზომისაა, ბუტკო მომრგვალო-კონუსისებრი ფორმისაა და კარგად გამოსახული სვეტი და დიდი, ხშირად ორად გაყოფილი დინგი აქვს.



მტევანი. მტევნები გრძელია, მათი სიგრძე მერყეობს 12-დან 26 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 6-დან 12 სანტიმეტრამდე. საშუალო სურ. 19. ყვითელი მხარგრძელის ყვავილი. მტევნების ზომა აღწევს 17 X 8 სანტიმეტრს, ხოლო კარგად განვითარებული მტევნისა 24 X 10 სანტიმეტრსაც. მტევნის ფორმა კონუსისებრი და მხრიანია, ან ცილინდრულ-კონუსისებრი. მტევანი მეჩხერი აგებულებისაა, ზოგჯერ ძალიან მეჩხერიც. მტევნის საშუალო წონა მერყეობს 100-დან 200 გრამამდე და საშუალოდ 140—160 გრამს უდრის. მტევნის ყუნწის სიგრძე საშუალოდ 6—8 სანტიმეტრს უდრის. იგი გახევებულია და განტოტების ადგილიდან ფუძისაკენ რქის ფერისაა. მარცვლის ყუნწის სიგრძე საშუალოდ 0,4—0,6 სანტიმეტრს უდრის. ყუნწი ღია მწვანე ფერისაა. მარცვლის საჯდომში ბალიში ხორკლიანია და ვიწრო კონუსისებრი ფორმა აქვს.

მარცვალი. მარცვლები საშუალო ზომისაა, მათი სიგრძე მერყეობს 1,4-დან 1,6 სმ-მდე, ხოლო განი 1,3-დან, 1,65 სმ-მდე. საშუალო მარცვლის ზომა 1,50 X 1,50 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ფორმა მომრგვალოა ან ოდნავ შეზნექილი. მარცვლის განი სქარბობს სიგრძეს. მარცვალი შუაში გაწივრია, ბოლო მომრგვალებული აქვს. აგებულებით მარცვალი საკმაოდ სიმეტრიულია. მარცვალი ყვითელია, სიმწიფისას მოქარვისფერია და ღია ვარდისფერი იერი დაჰკრავს. ხანდახან მარცვლებზე შეიმჩნევა რუხი წინწკლები. მარცვალზე ცვილისებრი ფიფქი კარგადაა შესამჩნევი. კანი სქელია და ადვილად ეცლება წენიან რბილობს. ჯიშური არომატი სუსტადაა გამოსახული; გემო ნაზი, სასიამოვნო აქვს. მარცვლები ყუნწზე საკმაოდ მკვიდრადია მიმაგრებული.

წიპწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს ერთიდან ოთხამდე, საშუალოდ კი მარცვალზე 2 წიპწა მოდის.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებულია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, რომელიც მდებარეობს სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით.

კურდღელაურში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 131 დღიდან 152 დღემდე და 6 წლის მანძილზე საშუალოდ 139 დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად იცვლება აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,670 გრადუსიდან 2,988 გრადუსამდე და საშუალოდ 2,787 გრადუსს შეადგენს. შესაბამისად ცვალებადია სავეგეტაციო პერიოდის დანარჩენი ფაზების ხანგრძლიობაც. ცალკეული წლების მიხედვით მათი ცვალებადობის დახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია წარმოებული დაკვირვებების შედეგი.

ყვითელი მხარგრძელის სავეგეტაციო ფაზების მიმდინარეობა ქ. თელავში

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დღეებში	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნალექები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარეპროდუქციო პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, სოფ. კურდღელაუონი, ქ. თელავის მახლობლად	1943	27/IV	11/VI	11/VIII	4/IX	131	2,670,8	55,5	405,2
	1944	22/IV	6/VI	22/VIII	20/IX	152	2,988,4	69,0	594,4
	1945	4/V	11/VI	15/VIII	10/IX	130	2,682,5	42,5	297,1
	1946	22/IV	7/VI	16/VIII	5/IX	137	2,700,3	5,6	553,3
	1947	2/IV	2/VI	15/VIII	30/IX	151	2,733,3	17,9	475,5
	1948	26/IV	5/VI	4/VIII	8/IX	136	2,883,3	87,5	475,7
	საშუალო	22/IV	7/VI	13/VIII	7/IX	139	2,787,2	46,3	433,5

როგორც ცხრილში მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზების დადგომა და ხანგრძლიობა ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად სავარაუდოდ მერყეობს. ყველაზე მეტად პირველი — საწყისი — ფაზა მერყეობს. დანარჩენი ფაზები შედარებით ნაკლებ მერყეობს. სრული სიმწიფის დადგომის ფაზა 20 დღის ფარგლებში მერყეობს. მის დადგომაზე გავლენას ახდენს რიგი ფაქტორები, მათ შორის ვეგეტაციის დასაწყისი, ტემპერატურის დონე და ნალექების ჯამი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. რაც უფრო ადრე იწყება კვირტის გაშლა და რაც უფრო მაღალია საშუალო სადღეღამისო ტემპერატურათა დონე და რაც უფრო ნაკლებია ნალექების ჯამი სარეპროდუქციო და სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, მით უფრო ადრე მწიფდება ყურძენი. სრული სიმწიფის დადგომის ვადის მიხედვით ყვითელი მხარგრძელი უნდა მიეკუთვნოს სიმწიფის მეორე პერიოდის ჯიშების ჯგუფს.

კახეთის ჰავის პირობებში ყვითელი მხარგრძელის ერთწლიანი რქები ყურძნის სრული სიმწიფის მომენტისათვის თავისუფლად ასწრებს მომწიფებას და კარგად შემოსული და გახვეებული ხვდება ზამთრის ყინვებს.

მოსავლიანობა. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებული აღრიცხვების და დაკვირვებათა მიხედვით ყვითელი მხარგრძელი საშუალო მოსავლის მომცემი ჯიშების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს. ჯიშს მსხმოიარობის კარგი მაჩვენებლები ახასიათებს. მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი ცალკეული წლების მიხედვით მერყეობს 0,5-დან 2,2-მდე და წლების განმავლობაში საშუალოდ 0,8 — 1,0-ს უდრის. მტევნის საშუალო წონა მერყეობს 100-დან 200 გრამამდე, საშუალოდ 140—160 გრამს უდრის. ერთი რქის მოსხმა ამ გაანგარიშების მიხედვით იქნება 112—160 გრამი, რაც იმ შემთხვევაში, თუ ძირზე საშუალოდ 10 რქაა, შეადგენს 1,120—1,600 გრამს. წარმოებული აღრიცხვების მიხედვით ფაქტიური მოსავალი ძირზე შეადგენდა თელავში 1359 გრამს, ხოლო ვაზისუბანში 1,360 გრამს, რაც ჰექტარზე გადაყვანილი შეადგენს თელავისათვის 45 ცენტნერს, ხოლო ვაზისუბნისათვის, სადაც ნარგავი უფრო მჭიდროა, 68 ცენტნერს. ამრიგად, ყვითელი მხარგრძელის მოსავალი კახეთის პირობებში უნდა ვივარაუდოთ 50—60 ცენტნერი 1 ჰექტარზე.

მისი მოსავლიანობის შემდგომი გადიდების მიზნით საჭიროა შემცირებულ იქნას ვაზის კვების არე მისი უკეთ გამოყენებისა და უფრო მეტი მოსავლის მიღების მიზნით.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებულ აღრიცხვა-დაკვირვებების მიხედვით ყვითელი მხარგრძელის გამძლეობა მილდიუსის და ნაცრის მიმართ საშუალოდაა შეფასებული. დაკვირვებების წარმოების განმავლობაში სხვა დაავადებები და მავნებლებისაგან დაზიანება აღნიშნული არ ყოფილა.

ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

ყვითელი მხარგრძელის წვენი ჭიმბური შემადგენლობა, აგრეთვე ყურძნის მექანიკური შემადგენლობა იმაზე მიგვითითებს, რომ მიზანშეწონილია მისი უპირატესად ლეინისათვის გამოყენება, ყურძნის გარგნული შეხედულება — მეჩხერი, გრძელი, დატოტვილი მტევნები და მრგვალი, საშუალო სიმსხოს

ქობრისფრო მარცვლები კი იმაზე, რომ იგი სრულიად ვარგისია ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძნად.

წვენიის ქიმიური შემადგენლობა. ყვითელ მხარგრძელს შაქრიანობა-მეაფიანობის კარგი მაჩვენებლები ახასიათებს. მისი შაქრიანობა წლების განმავლობაში მერყეობს 16<sup>0</sup>/<sub>0</sub>-დან 22<sup>0</sup>/<sub>0</sub>-მდე. უმეტეს შემთხვევაში მისი შაქრიანობა 18—19<sup>0</sup>/<sub>0</sub> უდრის, ხოლო მეაფიანობა შესაბამისად 6—8<sup>0</sup>/<sub>00</sub>-ია. წლების განმავლობაში შაქრიანობა-მეაფიანობის ცვალებადობის საჩვენებლად ქვემოთ მოყვანილია ქ. თელავში წარმოებული ანალიზების შედეგები.

ქ. თელავში  
საქონლის  
შეფასების

**ყვითელი მხარგრძელის შაქრიანობა-მეაფიანობა რთვლის პერიოდში**

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	რთვლის თარიღი	შაქრიანობა % <sup>0</sup> -ში	მეაფიანობა % <sup>00</sup> -ში	შენიშვნა
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი	1943	7/IX	18,5	8,02	
	1944	20/IX	20,2	7,8	
	1945	2/IX	19,2	8,0	
	1946	9/IX	22,3	6,64	
	1947	2/IX	16,1	6,09	
" "	1948	11/IX	19,3	4,89	

როგორც ცხრილში მოყვანილი ცნობებიდან ირკვევა, ყვითელი მხარგრძელი ზომიერი რაოდენობით აგროვებს შაქარსა და სიმეაფეს, რაც სავსებით საკმარისია საშუალო ღირსების სუფრის ღვინის მისაღებად. ზოგიერთ წლებში მისი შაქრიანობა-მეაფიანობა სავსებით აკმაყოფილებს იმ კონდიციებს, რომლებიც დაწესებულია ხარისხოვანი სუფრის ღვინის მისაღებად.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. ყვითელი მხარგრძელის პროდუქციას ძირითადად მშრალი სუფრის ღვინის დასამზადებლად და ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძნად იყენებენ. ამჟამად ჯიშის მცირედ გავრცელების გამო მისი პროდუქცია გამოყენებულია ან სხვა ჯიშებთან ერთად ჩვეულებრივი თეთრი ღვინის დასამზადებლად, ან სადესერტო ყურძნად. წარმოების პირობებში მისგან წმინდა ჯიშის ღვინოს არ ამზადებენ. ასეთი ღვინო მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება.

ყვითელი მხარგრძელის ღვინის საცდელი ნიმუშები კარგი ღირსებისაა, ღვინო ჩალისფერია და კარგად გამოსახული ჯიშური არომატი, საშუალო სხეული, სინაზე და ჰარმონიული გემო აქვს.

ყვითელი მხარგრძელის საცდელმა ნიმუშებმა მევენახეობის ინსტიტუტის ჯიშობრივი ღვინოების ხარისხის შემფასებელი სადევუსტაციო კომისიის სხდომებზე კარგი შეფასება მიიღო.

ქვემოთ მოყვანილია ამონაწერი აღნიშნული სადევუსტაციო კომისიის სხდომის ოქმიდან.

**ამონაწერი სადევუსტაციო კომისიის სხდომის ოქმიდან**

მევენახეობის რაიონი და ნიმუშის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	სხდომის თარიღი	ბალი	ნიმუშის ორგანოლექტიკური შეფასება
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1947	16/V 1948	7,3	კარგად დაწმენდილი, ჩალისფერი, სასიამოვნო არომატიანი, ნაზი, ჰარმონიული ღვინო, ემჩნევა სიტკბო.

ზემოთ მოყვანილი მონაცემების — წვენიის შაქრიანობა-მეაფიანობის მაჩვენებლების და საცდელი ღვინის ორგანოლექტიკური შეფასების — საფუძველზე ყვითელი მხარგრძელი თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ საშუალო ღირსების სუფრის ღვინის მომცემ ჯიშად.



გარდა ღვინისა, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ყვითელი მხარგრძელი იძლევა ადგილობრივ მოსახმარ საშუალო ღირსების სადესერტო ყურძენსაც. მტევნების სიმკვხრის, სიღიღისა და ლამაზი მოქარვისფრო მარცვლების წყალობით იგი საკმაოდ მიმზიდველია მომხმარებლისათვის. ჯიში პერსპექტიულია აგრეთვე უალკოჰოლო ყურძნის წვენის დასამზადებლად.



### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

ყვითელი მხარგრძელი ადგილობრივი, ნაკლებად გავრცელებული ჯიშია. იგი იძლევა საშუალო ღირსების თეთრ სუფრის ღვინოს და ადგილობრივი მნიშვნელობის სადესერტო ყურძენს. ჯიში გავრცელებულია ძირითადად მინარევის ან ცალკე მდგომი ვაზების სახით გურჯაანის, სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონებში.

ჯიშის მცირედ გავრცელების გამო მისი პროდუქცია იწურება სხვა ჯიშებთან — ძირითადად რქაწითელთან — ერთად ადგილობრივი ტიპის სუფრის ღვინის დასამზადებლად და იხმარება სადესერტო ყურძნად ადგილობრივ, ან გააქვთ მახლობელ ქალაქებში. ჯიშობრივი ღვინო მისგან მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. ღვინო მოყვითალო-ჩალისფერია და საყურადღებოა ნაზი ჯიშური არომატით, სიმსუბუქითა და ჰარმონიული გემოთი. ჯიშობრივი ღვინოების სადევუსტაციო კომისიის მიერ ყვითელი მხარგრძელის ღვინის ნიმუში შეფასებულია როგორც საშუალო ღირსების სუფრის ღვინო. გარდა სუფრის ღვინისა, ყვითელი მხარგრძელის პროდუქცია გამოსადეგია ხარისხოვანი უალკოჰოლო ყურძნის წვენის დასამზადებლად და ადგილობრივი მნიშვნელობის სადესერტო ყურძნად.

ჯიშის დადებითი თვისებებია: მისი ვარგისობა როგორც ღვინის დასაყენებლად, ისე სადესერტო ყურძნად, და სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ შედარებით კარგი გამძლეობა. ჯიშის უარყოფითი თვისებებია: შედარებით მცირე მოსავლიანობა და პროდუქციის (ღვინო, ყურძენი) საშუალო ღირსება. ჯიშისათვის შესაფერისი კვების არისა, ფორმირების შერჩევისა და მოწინავე აგროწესების გამოყენების გზით შესაძლებელია მისი მოსავლიანობის საგრძნობი გადიდება.

კახეთში, კახური მდიდარი ჯიშების გვერდით, ყვითელი მხარგრძელი სამრეწველო მიზნით ფართოდ გავრცელების თვალსაზრისით ყურადღების ღირსი არ არის. როგორც შედარებით საადრეო, იგი შეიძლება რეკომენდებულ იქნას დამატებით ჯიშად ძირითადად სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონების შემადგენულ ადგილებში გასავრცელებლად.

ჯიში პერსპექტიულია აგრეთვე საქართველოსა და საბჭოთა კავშირის შედარებით გრილჰავიან რაიონებში გამოსაცდელად.

### КВИТЕЛИ-МХАРГРДЗЕЛИ

Лист. Вполне развитые листья (9—12) выше средних размеров. Листья пятилопастные, по очертаниям листовой пластинки округлые. Поверхность листа сетчато-морщинистая, на листьях нижнего яруса она мелко пузырчатая. Глубокая рассеченность листа и наличие вторичных лопастей характерны для сорта.

Верхние вырезки глубокие. По форме они чаще всего закрытые, с треугольным просветом и округлым либо плоским, реже однозубчатым дном. Реже встречаются открытые вырезки лировидной формы с узким устьем и округлым дном.

Нижние вырезки менее глубокие и слабее выражены. Чаще всего они имеют лировидную форму с суженным устьем либо с параллельными сторонами и округлым или плоским дном.

Черешковая выемка по форме значительно варьирует, чаще всего встречаются лировидные вырезки с дном, ограниченным нервами, реже сводчатые и квадратные вырезки с округлым дном, а еще реже, преимущественно на листьях нижнего яруса, встречаются закрытые вырезки с яйцевидным просветом.

Оконечные зубцы лопастей треугольные, с выпуклыми сторонами и острой вершиной. Боковые зубцы односторонне выпуклые, пиловидные, с острой вершиной.

Опушение нижней поверхности листа паутинозное с примесью густого щетинистого пушка, в целом опушение листа довольно густое, паутинозо щетинистое.

Черешок листа короче длины срединного нерва либо равен или несколько длиннее его. Черешок опушен паутинозным пушком и окрашен в винно-красный цвет с прозеленью.

**Цветок.** Цветки нормального строения, обоюполюе Тычинки прямостоячие. Число тычинок в цветке пять, реже их шесть. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,0 - 1,25, реже это отношение достигает 1,5. Бутоны крупных размеров Пестик правильной округло-конической формы с хорошо выраженным столбиком и часто двураздельным рыльцем.

**Гроздь.** Грозди длинные, их длина варьирует от 12 до 26 см, а ширина от 6 до 12 см. Размер средней грозди равен  $17 \times 8$  см, а полноценный —  $24 \times 10$  см. Форма гроздей коническая, крылатая либо она цилиндрико-коническая. Грозди рыхлые либо среднеплотные, реже очень рыхлые. Средний вес гроздей варьирует от 100 до 200 и составляет 140—160 граммов. Ножка грозди деревянистая и окрашена от середины к основанию в цвет чубука. Длина ножки в среднем равна 6—8 см. Ножка ягоды светло-зеленая, длиной 0,4—0,8 см. Подушечка узко-конической формы (бородавчатая).

**Ягода.** Ягоды средних размеров; длина ягод варьирует от 1,4 до 1,6 см, а ширина от 1,3 до 1,65 см, средний размер ягод равен  $1,50 \times 1,50$  см. Форма ягод округлая либо несколько сплюснутая; наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды закруглен. Окраска ягод желтая, при полной зрелости — янтарная с светло-розовым оттенком. Восковой налет на ягодах хорошо выражен. Кожица тонкая легко отделяющаяся от сочной мякоти. Аромат ягод слабо выражен, вкус приятный, гармоничный.

Прочность прикрепления ягод к ножке достаточная. Количество семян в ягоде варьирует от одного до четырех и составляет в среднем на ягоду 2 семени.

**Квители-мхаргрдзели (желтый длинноплечий)** — местный, малораспространенный сорт белых столовых вин Кахетии. Распространен единичными кустами, реже в виде маленьких участков в Гурджаанском, Сигнахском и Сагареджинском районах Кахети.

Ввиду незначительного распространения сорта, его продукция используется на месте в свежем виде либо перерабатывается вместе с Ркацители на обычное столовое вино. Чистосортное вино из Квители-Мхаргрдзели готовят, в основном, в Институте виноградарства. Опытное вино из Квители-Мхаргрдзели получается довольно хорошего качества, оно соломенно-желтого цвета, средне экстрактивное, мягкое, легкое, гармоничное, с хорошо выраженным сортовым ароматом. На заседании дегустационной комиссии по оценке сортовых вин, опытный образец вина из Мхаргрдзели был оценен баллом 7,3 и охарактеризован как средне-качественное столовое вино.

Кроме вина, сорт перспективен для приготовления качественных безалкогольных соков и в качестве десертного винограда местного значения. Сорт характеризуется длинными, рыхлыми гроздьями и округлыми ягодами светло-янтарного цвета.


К положительным свойствам сорта относится пригодность его в качестве винного и десертного сорта и сравнительно хорошая устойчивость против грибных болезней. К недостаткам сорта относятся его невысокая урожайность и среднее качество продукции (вино, виноград).

В виноградных районах Кахети, при его богатом сортовом составе, Квители-Мхаргрдзели в качестве промышленного сорта внимания не заслуживает.

Его, как сравнительно рано созревающий, можно рекомендовать в качестве дополнительного сорта для распространения на возвышенных местах Сагареджинского и Сигнахского районов Кахети.

Сорт перспективен для широкого испытания в высокогорных виноградарских районах Грузии и в южных и юго-восточных районах СССР.





## წობენურა

წობენურა ადგილობრივი, იშვიათი ჯიშია. იგი იძლევა საშუალო ღირსების თეთრ სუფრის ღვინოს და ნაწილობრივ აგრეთვე ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძენს.

სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის წობენურა ცნობილია აგრეთვე წობანურის (აკად. ი. ჯავახიშვილი, 1934 წ.), ღზობენურის, ღზობენურის (Очерк виноделия Кавказа. Сбор. свед. по В. и В. Т. III), წობენურის (აკად. ს. მ. ჩოლოყაშვილი 1939 წ.) სახელწოდებით.

ჯიშის ისტორია. წობენურა ადგილობრივი წარმოშობის ვახის ჯიშია. თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებებით იგი მეტად ახლოს დგას კახეთის მთავარ ვახის ჯიშებთან, ყველაზე მეტად კი იგი კახურ მწვანეს ემსგავსება. ჯიშის წარმოშობის დროისა და ადგილის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. აკად. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, წობენური ადგილის მაუწყებელი სახელი უნდა იყოს. ძველად კახეთში, ერწოს ჩრდილო-დასავლეთით, მდებარეობდა სოფელი და თემი, რომელსაც „წობენი“ ერქვა. გარდა ამისა, იმავე ავტორის ცნობით, წობანი და წობანის მთა ხუთვერსიან რუკაზეც არის აღნიშნული დუშეთის გასწვრივ, მარჯვენა, არაგვსა და იორს შუა, ამრიგად, სახელწოდება „წობენური“ ერთ-ერთი ამ ადგილის სახელისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. ჯიშის მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით წობენურა საშუალო ხნიერების ჯიშად უნდა იქნას მიჩნეული.

ამჟამად წობენურა გავრცელებულია კახეთში, ძირითადად, გურჯაანის, თელავისა და საგარეჯოს რაიონებში, სადაც იგი თითო-ორიოლა ძირის სახით გვხვდება კოლმეურნეობების საწარმოო ვენახებში და იშვიათად პატარა ნაკვეთების სახითაც კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებულ ძველ ვენახებში. ძველად იგი უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, განსაკუთრებით გურჯაანის რაიონში — ბაკურციხე-კარდანახისა და მათ მახლობელ სოფლებში. რამდენიმე ათეული ძირი წობენურა გვხვდება მევენახეობის ინსტიტუტსა, მის ფილიალსა და დასაყრდენ პუნქტებზე როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიშის ბოტანიკური აღწერა შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, სოფ. კურდღელაურში, 4 კილომეტრის დაშორებით ქ. თელავიდან.

ახალგაზრდა ყლორტი. მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი ორი ფოთოლაკით შებუსუსებულია ორივე მხრიდან ქეჩისებრი ბეწვებით, შეფერილია თეთრი ფლანელისფრად და სუსტი ვარდისფერი არშია აქვს შემოვლებული ფოთოლაკების ირგვლივ.


მეორე იარუსის ფოთლები (4—5) ზემო მხრიდან შებუსუსების გაქრობის გამო მომწვანო-ყვითელი ფერის ხდება და მოწითალო იერი დაჰკრავს, ხოლო ქვემოთა მხრიდან, შებუსუსების შენარჩუნების გამო, მორუხო-თეთრია.

ერთწლიანი რქა. კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მორუხო-წითელი ფერისაა და მოვარდისფრო იერი დაჰკრავს. მუხლთაშორისები საშუალო სიგრძისაა (8—9 სანტიმეტრი). მუხლები უფრო მუქია, ვიდრე მუხლთაშორისები. ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ გამოსახული არაა.

ფოთოლი. შუა იარუსის (9—12) ფოთლები საშუალო ზომისაა (18 × 17 სმ). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, ოდნავ ოვალური ფორმის. ფოთლები უფრო ხშირად სამნაკვეთიანია, იშვიათად ხუთნაკვეთიანი ფოთლებიც გვხვდება. ფოთლის ზედაპირი ბადისებრ დანაოქებულია, იშვიათად კი წვრილობურთულებიანიც. ფოთლის მოხაზულობა ხშირად ძაბრისებრია, იშვიათად გაურკვეველად მიხრილ-მოხრილიც. ნაკვეთების ბოლოები ძირსაა დახრილი, ფოთლის მთავარი ძარღვები დაფარულია თხელი აბლაბუდისებრი ბუსუსით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთების სიღრმე ცვალებადობს ზეზეურიდან საშუალომდე. უფრო ხშირად ამონაკვეთები ზეზეურია ან ოდნავ შესამჩნევი. ამონაკვეთები ღიაა, ფორმით ოდნავ შესამჩნევი ან ნაპრალისებრი. იშვიათად ჩანგისმაგვარი მახვილფუძიანი ამონაკვეთებიც გვხვდება.

ქვედა ამონაკვეთები ნაკლებ ღრმაა, ზეზეურია, იშვიათად სულაც არაა გამოსახული. ღიაა, ოდნავ შესამჩნევი ნაპრალისებრი ან შეკრილი კუთხისმაგვარი ფორმისა. საერთოდ ქვედა ამონაკვეთები სუსტადაა გამოსახული.




ყუნწის ამონაკვეთის ფორმა დიდად არ მერყეობს. უფრო ხშირად იგი დახურულია და თითისტარისებურ თელიანი. იშვიათად ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვეთებიც გვხვდება, ცალ ან წყვილდებიანი. ძალიან იშვიათად სრულიად დახურული უთვლო ამონაკვეთებიც გვხვდება.

ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება სამკუთხედისებრი ფორმის ოდნავ გამოზნექილგვერდებიანი კბილებით. გვერდითი კბილებიც სამკუთხედისებრია, გამოზნექილგვერდებიანი ან გუმბათისმაგვარი ფორმისა.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება საშუალო სისქისაა. იგი შედგება თხელი აბლაბუდისებრი ბეწვებისაგან და მის ქვემოთ მოფენილ საშუალო სისქის ჯაგრისებრი ბუსუსებისაგან, ორივე ერთად ქმნის საშუალო სისქის შებუსუსებას. თითის გასმით აბლაბუდა ადვილად შორდება ფოთლის ფირფიტას, ხშირად მექანიკური შეხებითაც იგი ფიფქის სახეს იღებს.

ყუნწი. ყუნწი ფოთლის მთავარ ძარღვზე უფრო მოკლეა ან მისი სიგრძისაა. იგი შებუსუსებულია თხელი ფიფქისებრი ბეწვებით. ყუნწი ღია მწვანე ფერისაა.

ყვავილი. ყვავილი ორსქესიანია. მისი აგებულება ნორმალურია. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში მეტწილად ხუთი მტვრიანაა. მტვრიანათა ძაფების სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან აღწევს 1,25-ს, იშვიათად იგი 1,0-ს უდრის. ბუტკო სწორი, მომრგვალო კონუსისებრი ფორმისაა, კარგად გამოსახულ ყელიანი და მომრგვალო ღინგიანი.



სურ. 20. წობენურას ყვავილი.

მტევანი. მტევნები საშუალო სიდიდისაა. მტევნების სიგრძე მერყეობს 16-დან 20-სანტიმეტრამდე, ხოლო განი 8-დან 10 სანტიმეტრამდე. მტევნის საშუალო ზომა 18 X 9 სანტიმეტრს უდრის. მტევნის ფორმა კონუსისებრი ან ცილინდრულ-კონუსისებრია, იშვიათად იგი კონუსისებრია და მხრიანიცაა. მტევნები საშუალო სიმკვრივისაა. მტევნის საშუალო წონა ცვალებადობს 100-დან 150 გრამამდე. ცალკეული კარგად განვითარებული მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 180—200 გრამს. მარცვლების რაოდენობა მტევანში მერყეობს 82-დან 200-მდე, ხოლო საშუალოდ 128-ს უდრის. მტევნის ყუნწი ბალახისებრია, იგი შუა ნაწილიდან ფუძისაკენ ხევდება და რქის ფერს იღებს. ყუნწის სიგრძე საშუალოდ 2 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე 5—6 მილიმეტრს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში ხორკლიანია და განიერ კონუსისებრი ფორმა აქვს.

მარცვალი. წობენურას მარცვლები საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე ცვალებადობს 1,2-დან 1,5 სმ-მდე, ხოლო განი 1,25-დან 1,5 სმ-მდე. საშუალო მარცვლის ზომა 1,40 X 1,45 სანტიმეტრია. მარცვალი მომრგვალოა, იშვიათად მრგვალიც. მარცვალი წელში განიერია, ბოლო მომრგვალებული, იშვიათად კი შეზნექილიც აქვს. მარცვალი მომწვანო-ყვითელი ფერისაა და სიღამწვრის ლაქები ამჩნევია მზისკენა მხარეზე. კანი თხელი აქვს და ადვილად შორდება რბილობს.

რბილობი საშუალო სიმკვრივისაა, მდნარი. მარცვლები საკმაოდ სქელი ცილისებრი ფიფქითაა დაფარული. მარცვალს სასიამოვნო, მარმონიული, სუსტად გამოსახული ჯიშურ არომატიანი გემო აქვს. მარცვლები ყუნწზე საკმაოდ მჭიდროდაა მიმაგრებული. წიბების რაოდენობა მარცვალში ცვალებადობს 1-დან 3-მდე, საშუალოდ ერთ მარცვალზე 1,25 წიბწა მოდის.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებულია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, რომელიც მდებარეობს სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით.

კურდღელაურში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 129 დღიდან 156 დღემდე და საშუალოდ 6 წლის განმავლობაში უდრის 145 დღეს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად მერყეობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2, 639 გრადუსიდან 3,024 გრადუსამდე და საშუალოდ



წიბურა—Цобенура



წაბეზურა—Цобенура

როგორც ცხრილიდან ჩანს, მსხმოიარე რქების რაოდენობა მერყეობს 82<sup>0</sup>/<sub>0</sub>-დან 92,5<sup>0</sup>/<sub>0</sub>-მდე, ხოლო მოსავლიანობა 46,5 ცენტნიერიდან 79,2 ცენტნიერამდე ჰექტარზე. ამ მონაცემების მიხედვით წობენურა კარგი მოსავლის მომცემ ჯიშთა ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს. თელავში მისთვის შეუფერებელ დიდ კვების არეზე მისი საშუალო მოსავალი 60—70 ცენტნერს შეადგენს ჰექტარზე.

ავადმყოფობათა და მავნებლების მიმართ გამძლეობა. მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციონაკვეთზე წარმოებული დაკვირვებების მიხედვით წობენურა საკმაოდ კარგად უძლებს სოკოვან/ავადმყოფობებს. კერძოდ, მისი გამძლეობა მილდიუმისა და ნაკრის მიმართ შეფასებულია საშუალოდ, საქმელ/წიშენელობის მქონე სხვა დაავადებანი ან მავნებლებისაგან დაზიანება დაკვირვებათა წარმოების (15/4/20) წლის) განმავლობაში შემჩნეული და აღრიცხული არ ყოფილა.

### ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

წობენურას მტევნების და მარცვლების გარეგნული შეხედულება, მათი მექანიკური შემადგენლობა და აგრეთვე წვენი კიმიური შემადგენლობა იმაზე მიგვიითითებს, რომ მისი ყურძნის გადამუშავება უმთავრესად მშრალ სუფრის ღვინოდაა მიზანშეწონილი. და მართლაც, როგორც წარმოების, ისე ცდების პირობებში გადამუშავებისას წობენურას მოსავალი გამოყენებულია მშრალი სუფრის ღვინის მისაღებად. მხოლოდ ნაწილობრივ იხარჯება წობენურას მოსავალი საქმელ ყურძნად ადგილობრივ.

წობენურას ყურძნის მექანიკური შემადგენლობის მაჩვენებლების გასაცნობად ქვემოთ მოყვანილია ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგები.

### წობენურას ყურძნის მექანიკური შემადგენლობა

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	წელი	მტევნის საშ. წონა	მარცვლების რაოდენობა მტევანში	მტევნის შემადგენელი ნაწილების პროცენტი				100 მარცვლის წონა გრამებში	100 წიპწის წონა გრამებში
				წვენი და რბილობი	კლერტი	კანი	წიპწა		
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციონ ვენახი ქ. თელავი	1941	143,0	128	80,29	3,21	12,15	4,34	110,0	4,32
	1949	178,5	123	8,12	4,36	10,16	5,36	132,0	4,0

ყურძნის ლაბორატორიულ პირობებში გადამუშავებისას, როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, წვენისა და რბილობის გამოსავლიანობა საკმაოდ მაღალია, ხოლო მაგარი ნაშთისა (კლერტი, ჩენჩო, წიპწა) საკმაოდ დაბალი.

ნახევრად წარმოების პირობებში გადამუშავებისას წვენი გამოსავლიანობა ნაკლებია და 74<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს, აღწევს, ხოლო მაგარი ნარჩენებისა—26<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს. ამ მონაცემების საფუძველზე წობენურა საღვინე ვაზის ჯიშად უნდა ვცნოთ.

წვენი კიმიური შემადგენლობა. წობენურას შაქრის დაგროვების საკმაოდ დიდი უნარი აქვს, ხოლო მისი მჟავიანობის შეფარდება შაქრის ოდენობასთან საკმარისია. წლების განმავლობაში ჩატარებული ანალიზების შედეგად გამორკვეულია, რომ წობენურას შაქრიანობა მერყეობს 18-დან 21 და მეტ პროცენტამდე, ხოლო მჟავიანობა 6-დან 8<sup>0</sup>/<sub>00</sub>-მდე. ცალკეული წლების მიხედვით შაქრიანობა-მჟავიანობის ცვალებადობის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია წობენურას ყურძნის წვენი ანალიზის შედეგები.

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	რთელის თარიღი	შაქრიანობა % <sup>0</sup> -ში	მჟავიანობა % <sup>00</sup> -ში	შენიშვნა
კახეთი, თელავის რაიონი, ქ. თელავი; მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციონ ვენახი	1943	13/IX	17,2	8,06	
	1944	11/IX	22,4	10,5	
	1945	8/IX	19,3	9,40	
	1946	11/IX	20,4	6,31	
	1947	10/IX	20,0	5,9	
	1948	15/IX	18,3	4,5	
"	1949	13/IX	20,0	7,5	

ანალიზების შედეგებიდან ირკვევა, რომ წობენურას შაქრის დაგროვების საკმაოდ მაღალი უნარი აქვს, მასთან მისი მჟავიანობა შაქრის რაოდენობასთან შეფარდებით უმეტეს შემთხვევაში საკმარისია წესიერი სუფრის ღვინის დასამზადებლად. რთვლის ნაადრევად ჩატარება ამცირებს ყურძნის წვენი შაქრიანობას. ამიტომ ყურძენი მხოლოდ სავსებით მწიფეუნდა მოიკრიფოს. ყურძენი სავსებით მწიფეა მაშინ, როცა შეფარდება შაქრიანობა-მჟავიანობას შორის არის 3:1; შაქრიანობა-მჟავიანობის ასეთი შეფარდების დროს უფრო უზრუნველყოფილია ხარისხოვანი ღვინის მიღება.

ყურძნის გამოყენება და პოდუქციის დახასიათება. წობენურას ყურძენს ძირითადად მწიფე ღვინის დასამზადებლად იყენებენ. ჯიშის მცირედ გავრცელების გამო წარმოების პირობებში დამუშავებისას იგი სხვა ჯიშებთან ერთად იწურება თეთრი სუფრის ღვინოების დასამზადებლად. მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება მისგან წმინდა ჯიშის სუფრის ღვინო. კარგი წლის წობენურას ღვინო ქარვისფერია, საშუალო სხეული და ხალისიანი მჟავიანობა აქვს.

წობენურას ღვინის დასახასიათებლად მოგვყავს აკად. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის მიხედვით (1934 წ.) უცნობი ავტორის მიერ მოცემული დახასიათება. ეს პირი ამიერკავკასიის მეღვინეობის მიმოხილვისას აღნიშნავს, რომ წობენურას ვაზი ძლიერად იზრდება, გავრცელებული იყო კარდანახსა და მის მახლობელ სოფლებში და იძლეოდა დაბალი ხარისხის ღვინოს. ი. მჭედლიშვილის მიერ სოფ. კახეთში (გარე-კახეთში) შეკრებილი ცნობების თანახმად, წობენურამ „მწვანის ყაიდის მტევნები იცის და წვრილ, თეთრ მარცვალს იხსამს. საჭმელად ძალიან ტკბილია. თავგვერის შემდეგ იწვევა და იძლევა კარგ ღვინოს“. აღვლილ შესაძლებელია, რომ წობენურა, როგორც შედარებით საადრეო ჯიშში, უფრო შეგუებული იყო გარე-კახეთის პირობებთან და იქ კარგი ღვინოს იძლეოდა, ხოლო კარდანახში მცირე მჟავიანობისა და მაღალი ალკოჰოლიანობის გამო მისი ღვინო დაბალი ხარისხის დგებოდა. თელავში ცალკეული წლების შესაბამისად ხან კარგი ღვინოს იძლეოდა, ხან კიდევ მცირე მჟავიან ნაკლებ ჰარმონიულ ღვინოს იძლეოდა. წობენურას ღვინის ორგანოლექტიკური თვისებების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები მევენახეობის ინსტიტუტის სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.

**ამონაწერი სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	წელი	სადევუსტაციო კომისიის სხდომის თარიღი	ნიშანი	ღვინის ორგანოლექტიკური შეფასება
კახეთი, თელავის რაიონი, ქ. თელავი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1941	10/I 1942	6,1	კარგად დაწმენდილი, ღია ხვითელი ფერის, საშუალო სხეულიანი, ნაკლებ ჰარმონიული ღვინო. ქარვისფერი, კარგად დაწმენდილი, სხეულიანი, ხალისიანი სიმკვრივით. კარგი მასალაა კახური ტიპისათვის.
	1947	29/XII 1948	7,3	

წობენურას ღვინის ქიმიური ბუნების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია საცდელი ღვინის ქიმიური ანალიზის შედეგები.

**წობენურას ღვინის ქიმიური ანალიზი**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	კუთრი წონა	ალკოჰოლის მოცულობა პროცენტში	გრამები ლიტრში			
			ექსტრაქტი	საერთო სიმჟავე	მქროლავი სიმკვრივე	არამქროლავი სიმკვრივე
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	0,9919	12,1	20,48	7,2	1,4	5,45
	—	11,1	18,93	7,6	0,36	—

ამრიგად, როგორც ორგანოლექტიკური და ქიმიური დახასიათებებიდან ირკვევა, წობენურას ღვინო საშუალო ღვინისაა.

კარგი ხარისხის ღვინის მისაღებად საჭიროა ყურძენი მოიკრიფოს ისეთ დროს, როცა დაცული იქნება შაქრიანობა-მჟავიანობის სასურველი შეფარდება.



გარდა სუფრის ღვინისა, წობენურა ნაწილობრივ გამოდგება ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძნად და უალკოჰოლო ყურძნის წვენის დასამზადებლად. როგორც სუფრის ყურძენი, წობენურა მაღალი ღირსებისა არ არის: მტენების პატარა ზომა და შედარებით წვრილი მარცვალი საგრძობლად ამცირებს მისი ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას. გაცილებით უფრო მიზანშეწონილია წობენურას გამოყენება უალკოჰოლო ყურძნის წვენის დასამზადებლად. თუ ყურძენი 18—20% შაქრიანობისა და 8—9% მჟავიანობის დროს მოიკრიფება, უზრუნველყოფილი იქნება მაღალი ღირსების ხალისიანი უალკოჰოლო ყურძნის წვენის მიღება.

უალკოჰოლო  
შინაურიება

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

წობენურა ადგილობრივი, იშვიათი ჯიშია. იგი იძლევა საშუალო ღირსების სუფრის ღვინოს და, ნაწილობრივ, ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძენს. ჯიში გავრცელებულია თითო-ორი ვაზის, იშვიათად პატარა ნაკვეთების სახითაც საგარეჯოს, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების საკოლმეურნეო და კოლმეურნეთა საკარმიდამო ვენახებში. ჯიშის მცირედ გავრცელების გამო მისგან ღვინო ცალკე არ მზადდება, იგი სხვა ადგილობრივი საწარმოო ვაზის ჯიშებთან ერთად იწურება ჩვეულებრივი სუფრის ღვინის დასამზადებლად. წობენურისაგან წმინდა ჯიშის ღვინო მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება.

წობენურას ღვინო საშუალო ღირსებისაა. იგი მოყვითალო-ჩალისფერია, აქვს სუსტად გამოსახული ჯიშური არომატი, საშუალო სხეული და სასიამოვნო გემო. ძირითადად იგი ევროპული ტიპის ღვინოა. ზოგიერთ წელს წობენურასაგან მაღალი ღირსების ღვინოც დგება, მაშინ მას საკმაო სხეული და პარმონიული გემო აქვს.

ჯიშის დადებითი თვისებები შემდეგია: იგი შედარებით კარგად უძლებს სოკოვან ავადმყოფობებს და ვარგისია სწვადასხვაგვარი პროდუქციის მისაღებად (სუფრის ღვინო, უალკოჰოლო წვენი და ადგილობრივ მოსახმარებელი სადესერტო ყურძენი).

ჯიშის უარყოფითი თვისებებია არამაღალი მოსავლიანობა და პროდუქციის საშუალო ხარისხი.

კახეთის პირობებისათვის წობენურა, როგორც ცალკე, დამოუკიდებელი ჯიში ფართო გავრცელებისათვის ინტერესს მოკლებულია. ჯიში შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილზე წინასწარ გამოცდის შემდეგ საგარეჯოსა და თელავის რაიონის შემალლებული ადგილებისათვის მცირე ფართობზე, როგორც დამატებითი ჯიში მსუბუქი სუფრის ღვინოების დასამზადებლად.

წობენურა პერსპექტიულია ქართლის, მესხეთის, სამხრეთ-ოსეთისა და სხვა რაიონების შემალლებულ ადგილებში. იგი აგრეთვე პერსპექტიულია საბჭოთა კავშირის მევენახეობის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებისათვისაც.

აღნიშნულ ადგილებში ჯიშის ფართოდ გამოცდის შემდეგ იგი შეიძლება რეკომენდებულ იქნეს წარმოების პირობებში გასავრცელებლად.

### ЦОБЕНУРА

Лист. Вполне развитые листья средних размеров (18×17 см). Пластика листа округлая с незначительным варьированием в сторону овальной формы. Число основных лопастей три, реже встречаются и пятилопастные листья. Поверхность листа мелкопузырчатая, реже сетчато-морщинистая. Листовая пластинка воронковидно-желобчатая, реже — неопределенно изогнутая. Края лопастей отогнуты вниз. Главные нервы опушены слабым паутиновым пушком.

Верхние вырезки варьируют от мелких до средних, чаще всего они мелкие, реже — едва намеченные. Форма вырезов открытая, щелевидная либо едва намеченная, реже лировидная с острым дном.

Нижние вырезки менее глубокие, едва намеченные, иногда они совершенно отсутствуют. Форма вырезов едва намеченная, щелевидная либо вырезки имеют форму входящего угла, в целом форма вырезов слабо выражена.

Черешковая выемка по форме слабо варьирует. Чаще всего выемки закрытые с яйцевидным либо веретеновидным просветом, реже встречаются открытые лировидные выемки с одним или двумя шпорцами. Очень редко встречаются также совершенно закрытые выемки.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей треугольные со слабо выпуклыми сторонами. Краевые зубцы треугольные также со слабо выпуклыми сторонами либо они сводчатые с закругленной вершиной.

Опушение нижней поверхности листа слабое, паутинистое, с подстилающим щетиноватым пушком средней густоты. В целом опушение средней густоты, от трения легкое сбивающееся в хлопья.

Черешок короче длины главного нерва листа, реже равен ему. Опушение слабое, едва заметное. Окраска черешка светло-зеленая.

Цветок. Цветки нормального строения, обоеполые. Тычинки прямостоячие. Число тычинок в цветке пять. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,00, реже 1,25. Пестик правильный, округло-конической формы, с хорошо развитым столбиком и округлым рыльцем.

Гроздь. Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует от 16 до 20 см. Форма грозди коническая либо цилиндро-коническая, реже коническая с крылом. По строению грозди средние-плотные. Средний вес гроздей варьирует от 100 до 150 гр. Отдельные полноценные грозди свободно достигают веса 180—200 гр. Количество ягод в грозди варьирует от 82 до 200, составляя в среднем на гроздь 128 ягод. Ножка грозди травянистая, у основания деревенеет и окрашивается в цвет чубука. Длина ножки в среднем равна 2 см. Ножка ягоды зеленая, длиной 5—6 мм. Подушечка бородавчатая, ширококонической формы.

Ягода. Ягоды средних размеров. Длина ягод варьирует от 1,2 до 1,50, ширина от 1,25 до 1,5 см. Размер средней ягоды равен  $1,40 \times 1,450$ . Форма ягод округлая, реже сплюснутая. Ягоды посередине шире, конец ягоды округлен, реже притуплен. Окраска ягод зелено-желтая, с коричневыми пятнами загара с солнечной стороны. Кожича тонкая, легко отделяющаяся от мякоти. Мякоть средне-плотная, распыляющаяся. Восковой налет на ягодах обильный. Вкус ягод приятный, гармоничный, со слабо выраженным сортовым ароматом. Прочность прикрепления ягод к ножке достаточная. Количество семян в ягоде варьирует от 1 до 3, составляя в среднем—1,25 семени на ягоду.

Цобенура—местный, малораспространенный сорт белых столовых вин Кахетии; распространен в Гурджаанском, Сигнахском и Сагареджинском районах Кахетии, в основном, в виде единичных кустов на производственных виноградниках колхозов, очень редко сорт встречается также в виде маленьких участков на приусадебных участках колхозников. Ввиду малого распространения сорта, отдельно из него вина не готовят, а перерабатывают его вместе с основными сортами винограда. Чистосортное вино из Цобенура готовится в Институте виноградарства.

Вино получается европейского типа посредственного качества. Оно соломенно-желтого цвета, со слабо развитым сортовым ароматом и приятным вкусом. В иные годы Цобенура дает довольно интересное средне-экстрактивное качественное вино гармоничного вкуса.

К положительным свойствам сорта относятся относительно хорошая устойчивость к грибным болезням и пригодность сорта для столового вина, безалкогольного сока и в качестве десертного винограда местного значения.


К отрицательным свойствам сорта относятся недостаточно высокая урожайность и не совсем высокое качество продукции.

В условиях Кахети Цобенура в качестве стандартного сорта внимания не заслуживает. После основательного испытания Цобенура можно рекомендовать в качестве дополнительного сорта для более возвышенных местностей Сагареджинского и Телавского районов Кахетии на небольшой площади (5—10%), в основном для получения легких столовых вин европейского типа.

Сорт перспективен также для районов Карталинии, Месхетии, Юго-Осетии и других высотных зон Грузии и южных и юго-восточных виноградных районов СССР.

После широкого испытания сорта в указанных районах параллельно с местными стандартами, в зависимости от полученных результатов, его можно рекомендовать для промышленной культуры.





### ოქროულა

ოქროულა ადგილობრივი, იშვიათი ჯიშია. იგი იძლევა თეთრ სუფურის ღვინოს და ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძენს.

სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში ოქროულას სინონიმები ცნობილი არ არის. ქისტაურელ (თელავის რაიონი) მევენახეთა შორის ოქროულა ცნობილია აგრეთვე ბუა ყურძნის სახელწოდებით.

ჯიშის ისტორია. ოქროულა ადგილობრივი წარმოშობის ჯიშია. თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით იგი ძალიან ახლო დგას აღმოსავლეთ-საქართველოს ვახის ჯიშებთან. სახელწოდება მიღებული აქვს ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროების ფერის მიხედვით, რომელთაც მართლაც ოქროსფერი იერი გადაჰკრავს. ადგილობრივ ჯიშთაგან იგი ყველაზე მეტად ჩინურს უახლოვდება თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებების მიხედვით და მასთან ერთად საკმაოდ ძველი ჯიშია.

ჯიში გავრცელებულია გურჯაანის, თელავის, სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონებში და გვხვდება ძირითადად თითო-ორი ძირი, იშვიათად პატარა ვენახის სახითაც კოლმეურნეობების და კოლმეურნეთა ვენახებში. რამდენიმე ათეული ძირი ოქროულა დარგულია მევენახეობის ინსტიტუტისა და მისი დასაყრდენი პუნქტების საკოლექციო ნაკვეთებზედაც.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიშის ბოტანიკური აღწერა შესრულებულია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე სოფელ ვახისუბანში.

ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ). ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი ორი ფოთოლაკითურთ შებუსუსებულია ორივე მხრიდან აბლაბუდისებრი ბეწვებით, მორუხო-თეთრი ფერისაა და მოწითალო-ღვინისფერი არშია აქვს შემოვლებული ფოთოლაკების ირგვლივ. მეორე იარუსის ფოთლები (3, 4, 5) თითქმის კარგავს შებუსუსებას და იფერება ინტენსიურად—მოწითალო-ღვინისფრად მოოქროსფრო იერით.

ერთწლიანი რქა. კარგად შემოსული ერთწლიანი რქები მოწითალო-ყვითელი ფერისაა და მოვარდისფრო იერი დაჰკრავს. მუხლთაშორისების სიგრძე 8—10 სანტიმეტრს უდრის. მუხლები უფრო მუჭი ფერისაა, ვიდრე მუხლთაშორისები. ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ სუსტადაა გამოსახული.

ფოთოლი. კარგად განვითარებული (9—12) ფოთოლი საშუალო ზომისაა (18×18 სმ). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, ოღნავ შებრუნებულ-ოვალური ფორმის. ფოთოლი სამ, იშვიათად ხუთნაკვეთიანია. ფოთლის მეორეული დანაკვეთა ჯიშს არ ახასიათებს. შუა ნაკვეთი ბლაგვკუთხიანია; ეს ნიშანი დამახასიათებელია ჯიშისათვის. ფოთლის ზედაპირი წვრილბურთულეობიანია, ხოლო ნაკვეთები უწყისოდ მიხრილ-მოხრილი. ფოთლის მთავარი ქარღვები შებუსუსულია თხელი ჯაგრისებრი ბუსუსით და განტოტების ადგილას მოწითალო-ღვინისფერია.

ზედა ამონაკვეთების სიღრმე ცვალებადობს ზეზეურიდან საკმაოდ ღრმამდე. უფრო ხშირად ამონაკვეთები არაღრმა ან საშუალო სიღრმისაა. ამონაკვეთები დახურულია, კვერცხისმაგვარი ან ელიფსური ფორმის თვლით. იშვიათად იგი ღიაა, ფორმით ჩანგისებრი, შევიწროებულ ან პარალელურგვერდებიანი ყვლით. უფრო იშვიათად ნაპრაღისებრი ფორმის ამონაკვეთებიც გვხვდება.

ქვედა ამონაკვეთები ყოველთვის ნაკლებ გამოსახული და ზეზეურია, ხანდახან სულაც არაა განვითარებული. უფრო ხშირად ამონაკვეთები ზეზეურია და იშვიათად აღწევს საშუალო სიღრმეს. ფორმით ოღნავ შექრილი ლანცეტისებრი ან ნაპრაღისებრია.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა საგრძნობლად ცვალებადობს. უფრო ხშირად ყუნწის ამონაკვეთი ღია ჩანგისებრი ფორმისაა და გამსხვილებულფუძიანი, ან კიდევ ღრმა თაღისებრი ფორმის, იშვიათად,


უმთავრესად ქვედა იარუსის ფოთლებზე, გვხვდება დახურული ვიწრო-ელიფსურ თელიანი ამონაკვთებიც.

ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება გამობერილგვერდებიანი და მახვილწვერიანი სამკუთხედისმაგვარი კბილებით, იშვიათად კბილები გუმბათისმაგვარიცაა. გვერდითი კბილები ხერხისკბილისებრი სამკუთხედისებრი ან ცალგვერდგამობერილია.

ფოთლის ქვედა მხარე შიშველია, ან დაფარულია თხელი ჯაგრისებრი ბუსუსით, იარუსის ფოთლებზე სქელი ჯაგრისებრი ბუსუსით იცვლება.

ფოთლის ყუნწი შებუსუსებულია თხელი ჯაგრით და შეფერილია მოწითალო-ღვინისფრად. ყუნწის სიგრძე უდრის ფოთლის შუა ძარღვის სიგრძეს, ან ოდნავ მოკლეა მასზე.

ყვავილი. ყვავილი ნორმალური აგებულებისაა, ორსქესიანი. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში ექვსი მტვრიანაა, იშვიათად 5 და 7 მტვრიანაც გვხვდება. მტვრიანების ძაფის სიგრძის შეფარდება



სურ. 21. ოქროულას ყვავილი.

ბუტკოს სიმაღლესთან უდრის 1,0—1,25-ს. იშვიათად ეს შეფარდება 1,50-ს და მეტსაც აღწევს. ბუტკო კონუსისებრი მომრგვალო ფორმისაა, კარგად გამოსახული ყელი და ორად გაყოფილი დიდი დინგი აქვს.

მტევანი. მტევანი საშუალო ზომისაა. მტევნების სიგრძე მერყეობს 13-დან 20 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 6-დან 10 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის ზომა 15×6 სანტიმეტრს უდრის. მტევნის ძირითადი ფორმა კონუსისებრია, იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმის მტევნებიც გვხვდება. ხანდახან მტევანი მხრიანია, მხარის სიგრძე ძირითადი მტევნის ერთ მესამედს აღწევს.

მტევნები მეტწილად საშუალო სიმკვრივისა და მკვრივია, იშვიათად მეჩხერი ან ძლიერ მკვრივი მტევნებიც გვხვდება. წვრილმარცვლიანობა და მეჩხერმტევნიანობა ოქროულას არ ახასიათებს. მტევნის საშუალო წონა მერყეობს 100-დან 200 გრამამდე. მსხვილი მტევნის წონა 400 გრამამდე აღწევს. კარგად განვითარებულ მტევანში, რომლის წონა 310 გრამს უდრიდა, 71 მსხვილი და 120 წვრილი და საშუალო ზომის მარცვალი აღმოჩნდა. სულ მტევანში 191 მარცვალი იყო. მტევნის ყუნწი გახვეებულია, მოკლეა, მისი სიგრძე საშუალოდ 3—4 სანტიმეტრს უდრის. იგი რუხი მწვანე ფერისაა და მხოლოდ შუა ადგილიდან დაწყებული ფუძისაკენ იღებს რქის ფერს. მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე 6—8 მილიმეტრს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში განიერ-კონუსისებრი ფორმისაა და ოდნავ ხორკლიანი.

მარცვალი. მარცვალი საშუალო და საშუალოზე დიდი ზომისაა. მარცვლების სიგრძე მერყეობს 1,7-დან 2,0 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 1,6-დან 1,9 სანტიმეტრამდე. საშუალო მარცვლის ზომა 1,85×1,75 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ძირითადი ფორმა მომრგვალოა, იშვიათად ოდნავ ოვალური ფორმის მარცვლებიც გვხვდება. მარცვალი შუაზე განიერია, ხოლო ბოლო მომრგვალო აქვს. მარცვალი მოქარვისფრო-ყვითელი ფერისაა. კანი თხელია და საკმაოდ მკვრივი. რბილობი საშუალო სიმკვრივისაა, მდნარი, წიპწებთან შემაგრებული. გემო სასიამოვნო, ჰარმონიული აქვს. მარცვლები ყუნწზე საკმაოდ მკვრივადაა მიმაგრებული. მარცვალში წიპწების რაოდენობა ცვალებადობს 1-დან 4-მდე, ხოლო საშუალოდ მარცვალზე 1,64 წიპწა მოდის.

**ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება**

ფენოდაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებულია მევნახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთებზე სოფ. კურდღელაურში, 4 კილომეტრის დაშორებით ქ. თელავიდან.

კურდღელაურის ეკოლოგიურ პირობებში ოქროულას სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა ცალკეული წლების მიხედვით მერყეობს 140 დღიდან 175 დღემდე და 11 წლის განმავლობაში საშუალოდ 155 დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად ცვალებადობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 3 036,1 გრადუსიდან 3,426 გრადუსამდე და 11 წლის განმავლობაში საშუალოდ 3,141,7 გრადუსს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზების დადგომის ვადებიც საგრძნობლად

მერყეობს. ქვემოთ მოყვანილია სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მიმდინარეობა თელავის ჰავის პირობებში.

**ოქროულას სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა თელავში**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წლები	სავეგეტაციო ფაზების დადგომის ვადები					სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნალოები	
		კვირტის გაშლის დასაწყ.ს	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე	სარეარტული			სავეგეტაციო	
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი სოფ. კურდღელაურში, 4 კმ დაშორებით ქ. თელავიდან.	1938	24/IV	7/VI	12/VIII	12/IX	141	2,992,1	—	—	
	1939	26/IV	1/VI	19/VIII	25/IX	152	3,125,0	—	—	
	1940	16/IV	8/VI	24/VIII	15/IX	152	3,124,7	—	—	
	1941	6/IV	30/V	13/VIII	20/IX	167	3,446,3	—	—	
	1942	30/IV	12/VI	26/VIII	10/X	163	3,341,9	—	—	
საშუალო . . . . .	—	20/IV	6/VI	19/VIII	22/IX	155	3,207,0	—	—	
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი სოფ. კურდღელაურში, 4 კმ დაშორებით ქ. თელავიდან.	1943	29/IV	10/VI	20/VIII	30/IX	155	3,072,0	115,9	479,6	
	1944	25/IV	6/VI	25/VIII	30/IX	159	3,102,0	71,7	397,3	
	1945	4/V	11/VI	28/VIII	30/X	150	3,026,1	47,3	346,3	
	1946	24/IV	7/VI	21/VIII	10/IX	140	2,789,7	—	541,1	
	1947	4/IV	2/VI	24/VIII	25/IX	175	3,251,1	68,3	540,1	
	1948	28/IV	6/VI	21/VIII	5/X	161	3,308,6	138,7	498,0	
საშუალო . . . . .	—	24/IV	7/VI	23/VIII	26/X	156	3,093,2	73,6	467,0	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე დიდ მერყეობას განიცდის საწყისი ფაზა — კვირტის გაშლის დასაწყისი. ყველაზე მცირედ ყვავილობის დასაწყისის ფაზა მერყეობს. სრული სიმწიფის დადგომის ფაზაც ცალკეული წლების მიხედვით საკმაოდ მერყეობს. ზღვრო ხშირად იგი 20 სექტემბრის შემდეგ დგება, საშუალოდ კი 11 წლის მანძილზე იგი 24 სექტემბერს დადგა. ამ ვადის დადგომის მიხედვით ოქროულა მიეკუთვნება სიმწიფის მესამე პერიოდის ვაზის ჯიშების ჯგუფს.

კახეთის ჰავის პირობებში ოქროულას ერთწლიანი რქები თავისუფლად ასწრებს მომწიფებას ყურძნის სრული სიმწიფის მომენტისათვის. ზოგიერთ წლებში ოქროულა 140 დღის განმავლობაში აქტიურ ტემპერატურათა შედარებით მცირე ჯამით — 2,789,7<sup>0</sup>-ით — კმაყოფილდება. ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ოქროულას შეუძლია მომწიფდეს კახეთზე უფრო გრილჰავიან რაიონებშიაც, მით უმეტეს, რომ კახეთში ყურძნის სავსებით დამწიფების შემდეგაც თითქმის ერთი თვის განმავლობაში საშუალო სადღეღამისო ტემპერატურა 10 გრადუსზე ზევით დგას.

მოსავლიანობა. ოქროულა ადრე იძლევა როგორც პირველ, ისე სრულ მოსავალს. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ვენახებში წარმოებული დაკვირვებების მიხედვით ოქროულა დარგვიდან მესამე წელს იძლევა პირველ მოსავალს, ხოლო მე-4—5 წლიდან უკვე სრულ მოსავალს გვაძლევს.

ოქროულა უდავოდ მოსავლიანი ჯიშია. ვაზისუბნისა და თელავის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვებების მიხედვით მისი მოსავლიანობა საშუალოზე მეტია და აღწევს ჰექტარზე ვაზისუბანში 88 ცენტნერამდე, ხოლო თელავში — 72 ცენტნერამდე. ოქროულას მსხმოიარობის კარგი მაჩვენებლები ახასიათებს. მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 0,80-დან 1,96-მდე, ხოლო მტევნის საშუალო წონა 100-დან 200 გრამამდე.

**ოქროულას მსხმოიარობის მაჩვენებლები თელავში**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	მსხმოიარე რქების პროცენტი			მტევნების რაოდენობა ერთ მსხმოიარე რქაზე	მტევნების რაოდენობა ერთ რქაზე	მტევნების საშუალო წონა	1 რქის მოსავლიანობა გრამებში	დატოვებული რქების რაოდენობა ჰექტარზე	განვარდნილი მოსავალი ჰექტარზე
		ერთ მტევნიანი	ორ მტევნიანი	სულ						
კახეთი, თელავის რაიონი, საკოლექციო ვენახი ს. ვაზისუბანში	1941	61,0	33,2	94,2	1,35	1,27	192,0	243,8	30,000	73,14
	1943	69,5	24,5	94,0	1,25	1,18	186,5	219,5	33,000	72,2

მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ ოქროულას მსხმოიარე რქების რაოდენობა საკმაოდ დიდია. ასევე დიდია შედარებით მსხმოიარობის კოეფიციენტი და მტევნის საშუალო წონა. ამ მონაცემების მიხედვით გაანგარიშებული მოსავალი თელავში შეადგენს 72—73 ცენტნერს ჰექტარზე.

ფაქტიური მოსავალი გაანგარიშებულზე ნაკლებია. წარმოებული აღრიცხვების მიხედვით წლების განმავლობაში მოსავალი ძირზე საშუალოდ მერყეობს 1430 გრამიდან 1840 გრამამდე, რაც 3330 ძირ ვაზზე შეადგენს 47,62 ცენტნერიდან 61,2 ცენტერამდე ჰექტარზე. ვაზისუბანში ოქროულას მოსავალი მეტია: იქ საშუალოდ ძირზე 1600 გრამიდან 1800 გრამამდე მოდის, რაც 5400 ძირ ვაზზე შეადგენს 86-დან 97 ცენტერამდე ყურძენს ჰექტარზე. ამ მონაცემების საფუძველზე კახეთის პირობებში ოქროულას მოსავლად უნდა მივიჩნიოთ 70—80 ცენტერი ყურძენი ჰექტარზე.

მოსავლის შემდგომი გადიდებისათვის ოქროულას ახალი ვენახები უნდა გაშენდეს საშუალო სიდიდის კვების არეზე, სახელდობრ, 1,5×1,5 მეტრზე. ვაზისუბანში ოქროულას უფრო მეტი მოსავლიანობა გამოწვეულია შემცირებული კვების არით, რაც საშუალებას აძლევს ვაზებს უკეთ გამოიყენოს იგი მოსავლიანობის გასაღებლად.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. ვაზისუბნისა და თელავის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით, ვაზების ზრდა-განვითარების შედარებით თანაბარ პირობებში, ოქროულას გამძლეობა სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ სხვა ჯიშებთან შედარებით საშუალოდ შეფასებული. ამასთან, მისი გამძლეობა მილდიუმის წინააღმდეგ გაცილებით უკეთესია, ვიდრე ნაცრის მიმართ, ნაცრის მიმართ საშუალოზე სუსტად უნდა ჩაითვალოს. სამეურნეო მნიშვნელობის სხვა დაავადება და სხვა ავადმყოფობათაგან ან მაჩვენებლებისაგან დაზიანება დაკვირვებათა წარმოების პერიოდში აღნიშნული არ ყოფილა.

### ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

მტევნებისა და მარცვლების გარეგნული შეხედულებით, ყურძნისა და მისი წვეწვის მექანიკური და ქიმიური შემადგენლობით ოქროულა როგორც სასუფრე, ისე საღვინე მიმართულების ჯიშთა წევბას უნდა მიეკუთვნოს. და მართლაც, როგორც ქვემოთ მოყვანილი ცნობები დაგვარწმუნებს, ოქროულას მიერ დაგროვილი შაქრისა და სიმეავის რაოდენობა არ არის საკმარისი მისგან ხარისხოვანი ღვინის დასამზადებლად, ხოლო მტევნებისა და მარცვლების გარეგნული შეხედულებით იგი უფრო საღვინე-ყურძნის ჯიშია, ვიდრე საღვინე ყურძნისა. მტევნისა და მარცვლების მექანიკური შემადგენლობის გასაცნობად ქვემოთ მოყვანილია ანალიზის შედეგები.

### ოქროულას ყურძნის მექანიკური შემადგენლობის მაჩვენებლები

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	მტევნის საშუალო წონა	მარცვლების რაოდენობა მტევანში	ყურძნის შემადგენელი ნაწილების პროცენტები					100 მარცვლის წონა გრამებში	100 წიპწის წონა გრამებში
				წვეწვი და რბილობი	მარცვალი	კლერტი	კანი	წიპწა		
გურჯაანის რაიონი, ს. ვაზისუბანი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთი, ქ. თელავი.	მ წლის საწ.	202,98	92	81,38	95,68	4,32	10,33	3,97	211,06	5,12
	1956	160,0	44	77,57	95,73	4,27	14,02	4,14	226,65	5,00

ყურძნის ლაბორატორიულ პირობებში გადამუშავებისას რბილობისა და წვეწვის გამოსავლიანობა 77—80%-ს აღწევს, ხოლო მაგარი ნაშთისა—20—22%-ს. ნახევრად წარმოების პირობებში ყურძნის გადამუშავების დროს წვეწვის გამოსავალი ნაკლებია, ხოლო ქაჭისა მეტი და უდრის—წვეწვისა 71,8%-ს, ხოლო ქაჭისა 28,2%-ს. ასეთი შედარებით დაბალი გამოსავალი წვეწვისა მიგვითითებს იმაზე, რომ ოქროულას გამოყენება მიზანშეწონილია უფრო სასუფრე ყურძნად, ვიდრე საღვინედ.



ოქროსფერა — Okroula



ყურძნის წვენი კიმიური შემადგენლობა. ოქროულას ყურძნის წვენი შაქრის დაგროვების დიდი უნარიანობით არ ხასიათდება. წლების მანძილზე წარმოებული ანალიზების მიხედვით მისი შაქრიანობა მერყეობს 16-სა და 18<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს შორის და მხოლოდ ზოგიერთ წლებში აღწევს 20<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს. მჟავიანობაც შაქრიანობის შესაბამისად დაბალი აქვს და მერყეობს 5 — 8<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ის ფარგლებში. ცალკეული წლების მიხედვით ოქროულას წვენში შაქრიანობა-მჟავიანობა შემდეგ ფარგლებში მერყეობს:

საქართველოს  
საბუნებისმეტყველო  
მეცნიერებათა აკადემია

**ოქროულას ყურძნის შაქრიანობა-მჟავიანობა რთვლის პერიოდში**

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	წელი	ანალიზის თარიღი	შაქრიანობა % <sup>0</sup> / <sub>0</sub> -ში	მჟავიანობა % <sup>0</sup> / <sub>100</sub> -ში	შენიშვნა
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი.	1940	16/IX	18,6	5,3	
	1941	24/IX	17,1	5,33	
	1942	25/IX	16,6	6,68	
	1943	6/X	17,1	5,59	
	1944	2/X	20,0	8,2	
	1945	3/X	17,2	9,6	
	1946	13/IX	20,5	6,89	
	1947	25/IX	18,8	5,6	
	1948	7/X	17,0	6,36	

ყურძნის წვენის კიმიური მაჩვენებლების მიხედვით ოქროულა ხასიათდება შაქრიანობისა და მჟავიანობის დაგროვების სუსტი უნარით. ნაჩვენები რაოდენობა შაქრისა და მჟავასი საკმარისი არ არის მისგან მყარი, ხარისხოვანი ღვინის მისაღებად. ამ მაჩვენებლების მიხედვით ოქროულა უფრო გამოსადეგია სუფრის ყურძნად და უაღკოპოლო წვენიანობის, ვიდრე სუფრის ღვინისათვის.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. ოქროულას ყურძენი ძირითადად იხმარება ადგილზე საჭმელად, იშვიათად, როცა იგი ბლომად არის, რქაწითელთან ერთად იწურება სუფრის ღვინის დასამზადებლად. ოქროულა ძირითადად სასუფრე ყურძენია და მას ამ მხრივ შემდეგი თვისებები ახასიათებს:

**მტევანი.** მტევანი დიდი ან საშუალოზე დიდი ზომისა და საშუალო სიმკვრივისაა. გარეგნული შეხედულებით მტევანი საკმაოდ ლამაზი და მიმზიდველია. კარგად განვითარებული მტევნების ზომა 20×8 სანტიმეტრს უდრის. მტევნის საშუალო წონა აღწევს 160—200 გრამს, ხოლო კარგად განვითარებული მტევნებისა — 400—500 გრამს. წვრილმარცვლიანობა ოქროულას მტევანს არ ახასიათებს.

**მარცვალი.** მარცვალი საშუალო სიდიდისაა ან მასზე მსხვილი, მისი სიგრძე 2,0 და მეტ სანტიმეტრს აღწევს. მარცვლის ფორმა მომრგვალოა ან ოდნავ ოვალური. მარცვლების შეფერვა ლამაზია, მოყვითალო-ქარვისფერი, მზისკენ მიმართულ გვერდზე აქვს მოკარდისფრო სიღამწერის ლაქები, კანი თხელი და მკვრივი აქვს, რბილობი საკმაოდ ხორციანი, მდნარი. წიბწების რაოდენობა მარცვალში 2-ს იშვიათად აჭარბებს.

**გემო.** მარცვლის გემო სასიამოვნოა, საკმაოდ პარმონიული, ჯიშური არომატი ძლიერ სუსტადაა გამოსახული. შაქრის რაოდენობა მარცვალში საშუალოდ მერყეობს 16-სა და 18<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს შორის, ხოლო მჟავიანობა 5—8<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ს შორის.

**ტრანსპორტის ამტანობა.** ოქროულას მტევნები შორეულ ტრანსპორტს ვერ იტანს, იგი გამოსადეგია ახლო მანძილზე გადასატანად და არა ხანგრძლივად შესანახავად. ტრანსპორტის ამტანობაზე წარმოდგენას გვაძლევს მარცვლების მოწყვეტისა და გაქყლეტის მიმართ წინააღმდეგობა, გამოხატული გრამებში: მოწყვეტის წინააღმდეგ გამძლეობამ შეადგინა საშუალოდ 233,5—261,0 გრამი, ხოლო გაქყლეტის წინააღმდეგ გამძლეობამ — საშუალოდ 875,4—1,031 გრამი. ოქროულას მტევნები დიდხანს არ ინახება. 1936 წელს იგი შეინახა 44 დღე. ამ ხნის განმავლობაში მან დაკარგა თავისი პირვანდელი წონის 50<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ხოლო 1947 წელს იგი უკეთ იქნა შენახული: 60 დღე, მან აშრობისა და მარცვლების დაღობის შედეგად დაკარგა წონის მხოლოდ 16,3<sup>0</sup>/<sub>0</sub>. ამრიგად, ოქროულას ყურძენი კარგად არ ინახება.



ოქროულას ყურძენს იყენებენ აგრეთვე სუფრის ღვინის დასამზადებლად. წარმოების პირობებში იგი რქაწითელთან ერთად იწურება, ხოლო მევენახეობის ინსტიტუტში მისგან ცალკეც მზადდება საცდელი ღვინო. მარტო ოქროულასაგან დამზადებული წმინდა ჯიშის ღვინო მაღალი ღირსების არ არის. იგი ღია მოყვითალო-ჩალისფერია, მკირესხელიანი, ძლიერ სუსტად გამოასახულ არომატიანი და სასიამოვნო გემოსი. ზოგიერთ წლებში მისგან შედარებით კარგი ღირსების ღვინო დგება. საერთოდ კი ოქროულა მაღალი ღირსების ღვინოს არ იძლევა და მისი გამოყენება ცალკე ღვინის დასამზადებლად მიზანშეწონილი არაა. ოქროულას ღვინის ორგანოლექტიკური თვისებების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები ჯიშობრივი ღვინოების ხარისხის შემფასებელი სადეგუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.

**ამონაწერი მევენახეობის ინსტიტუტის სადეგუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დაყენების ადგილი	წელი	დეგუსტაციის სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური შეფასება
კახეთი. გურჯაანის რაიონი, სოფ. ვახისუბანი.	1936	20/I 1937	6,1	კარგად დაწმენდილი, ღია ჩალისფერი, მსუბუქი, მკირესხელიანი, ორდინარული სუფრის ღვინო უკეთესი იქნებოდა ყურძენის წვეთად.
" "	1940	25/I 1940	5,5	ჩალისფერი, მომწვანო. კარგად დაწმენდილი, მსუბუქი, უშინაარსო ღვინო, არასასიამოვნო მაღალი მთავიანობით
" "	1941	1/I 1942	6,7	ღია ჩალისფერი, მოყვითალოიერიანი, კარგად დაწმენდილი, საკმაოაზრულიანი, ნაზი, მარძონიული გემოსი.

როგორც მოყვანილი დახასიათებიდან ირკვევა, ოქროულას ღვინო მაღალი ღირსების არაა. ღვინის ქიმიური ბუნების გასაცნობად ქვემოთ მოყვანილია ოქროულას ღვინის ანალიზების შედეგები.

**ოქროულას ღვინის ქიმიური ანალიზების შედეგები**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დაყენების ადგილი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მთლიანობით %-ში	გრამები ლიტრში									
			მატრაქტი	ნაცარი	ნაცრის ტუტი-ასობა	საერთო სიმკვვე	მქროლავი სიმკვვე	ღვინის მკვება	შაქარი	გლიცერინი	ტანინი	
კახეთი. გურჯაანის რაიონი, სოფ. ვახისუბანი 1929 წ.	0,9921	10,5	20,5	—	—	5,81	—	—	—	—	—	—
ს. ვახისუბანი კახური წესით 1940 წ.	0,9939	10,1	30,1	—	—	4,98	—	—	—	—	—	—
ქ. თელავი 1940 წ.	0,9940	8,8	16,50	1,88	1,9	6,20	0,94	3,3	0,7	4,74	0,28	
ვახისუბანი 1940 წ.	0,9927	9,8	13,28	1,86	2,72	6,36	0,46	2,9	0,5	5,5	0,26	

როგორც ზემოთ მოყვანილი ორგანოლექტიკური და ქიმიური დახასიათებიდან ჩანს, ოქროულა საშუალო ხარისხის ორდინარული ღვინოა. ღვინის გარდა ოქროულა იძლევა კარგი ღირსების მქონე ყურძენის წვენს. მევენახეობის ინსტიტუტის სადეგუსტაციო კომისიის სხდომაზე ოქროულას ყურძენის წვენმა მაღალი შეფასება მიიღო: 3,3 ბალით შეფასდა ნიმუშების ხუთბალიანი სისტემით შეფასების დროს.

ოქროულა კარგ საკუბაყე მასალას იძლევა აგრეთვე მაღალალკოჰოლიანი და ექსტრაქტით მდიდარი ღვინოების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება



ოქროულა ადგილობრივი, იშვიათი ჯიშია, იგი იძლევა ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძენს, ხარისხოვან უალკოჰოლო წვეწვს და ორდინარულ საშუალო ღირსების სუფრის ღვინოს. წარმოების პირობებში, ჯიშის მკირედ გავრცელების გამო, იგი ადვილზე იხმარება, როგორც სადესერტო ყურძენი ან სხვა ჯიშებთან ერთად იწურება სუფრის ღვინის დასაყენებლად. ოქროულასაგან წმინდა სუფრის ღვინო მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. მას ახასიათებს ღია-ჩალისფერი, სუსტად გამოსახული ჯიშური არომატი, მკირე სხეული და სასიამოვნო გემო. თავისი ღირსებით იგი ორდინარული, საშუალო ხარისხის ღვინოა. მას აკლია სხეული, ექსტრაქტი და ალკოჰოლი, რაც აუცილებელია მაღალხარისხოვანი ღვინისათვის. გარდა ღვინისა ოქროულასაგან მზადდება კარგი ღირსების უალკოჰოლო ყურძენის წვეწვი.

ჯიშის დადებითი თვისებებია: საშუალოზე მაღალი მოსავლიანობა და მისი ვარგისობა სუფრის ღვინოდ, ხარისხოვანი უალკოჰოლო წვეწვისათვის და ადგილობრივი მოხმარების სადესერტო ყურძნად.

ჯიშის უარყოფითი თვისებებია: მისი პროდუქციის დაბალი ხარისხი და ნაცრის მიმართ შედარებით სუსტი გამძლეობა.

კახეთისათვის ოქროულა, როგორც საღვინე ჯიში, საყურადღებო არაა. როგორც მაღალმოსავლიანი ჯიში, იგი საყურადღებოა, ძირითადად, ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძნად გამოსაყენებლად, ხარისხოვანი უალკოჰოლო ყურძენის წვეწვის დასამზადებლად და როგორც მასალა მაღალალკოჰოლიანი დიდსხეულიანი ღვინოების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ მიმართულებით ჯიშის ფართო მასშტაბით გამოცდის შემდეგ შეიძლება ვურჩიოთ კახეთის ზოგიერთ რაიონში მისი გაშენება განსაზღვრულ ფართობზე. ასეთ რაიონებად შეიძლება მივიჩნიოთ ძირითადად გურჯაანისა და სიღნაღის რაიონები.

### ОКРОУЛА

Лист. Вполне развитые листья средних размеров (18×18). Листовая пластинка округлой формы с незначительным варьированием в сторону поперек-овальной формы. Число основных лопастей три, реже их пять. Вторичные лопасти отсутствуют. Оконечная лопасть тупая, — признак довольно характерен для сорта. Поверхность листа мелкопузырчатая, листовая пластинка неопределенно изогнутая. Главные нервы опушены редкой щетинкой и у основания окрашены в вишне-красный цвет.

Верхние вырезки, по глубине рассеченности листа, варьируют от мелких до глубоких. Обычно вырезки мелкие, либо они средних размеров. Форма вырезок закрытая, с эллиптическим просветом и округлым дном, реже она лировидная с суженным устьем или параллельными сторонами, а еще реже она щелевидная.

Нижние вырезки, как правило, менее глубоки и менее развиты, иногда они совершенно отсутствуют. Обычно они мелкие, реже достигают средних размеров. Форма вырезок также слабо варьирует, обычно она едва намечена или щелевидная.

Черешковая выемка по форме значительно варьирует. Чаще всего она имеет лировидную форму с заостренным дном либо она сводчатая, глубокая. Реже, преимущественно на листьях нижнего яруса, встречаются закрытые черешковые выемки со значительным налеганием лопастей и с узко-эллиптическим просветом.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей треугольные, с вышуклыми сторонами и острой вершиной. Реже они куполообразные. Краевые зубцы пиловидно-треугольные либо пиловидные — односторонне вышуклые.

Опушение нижней поверхности листа голое, с редким щетинистым пушком, переходящим на листьях нижнего яруса в щетинистый пушок средней густоты.

Черешок листа опушен слабым щетинистым пушком и окрашен в вишне-красный цвет. Черешок по длине равен или несколько короче длины срединного нерва листа.

**Цветок.** Цветок нормального строения, обоеполюй. Тычинки примостоячие. Число тычинок в цветке 6, реже встречаются цветки с 5 и 7 тычинками. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,0—1,25, редко это отношение достигает 1,50. Пестик округло-конической формы, с хорошо выраженным столбиком и довольно большим лопастным рыльцем.

**Гроздь.** Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует от 13 до 20 см. Основная форма грозди коническая, реже встречаются грозди и цилиндро-конической формы. Нередко грозди снабжены на основании крылом, достигающим до одной трети размера основной грозди. В большинстве случаев грозди среднеплотные и плотные, реже встречаются несколько рыхлые и очень плотные. Горошение и осыпание ягод в грозди не наблюдаются. Ножка грозди деревянистая, короткая. Длина ножки в среднем равна 3—4 см. Окраска ножки грозди буро-зеленая, и только у основания она окрашивается в цвет чубука. Ножка ягоды зеленая, длиной 6—8 мм. Подушечка бородавчатая, широко конической формы.

**Ягода.** Ягоды средних и выше средних размеров. Длина ягод варьирует от 1,7 до 2,0 см. при ширине 1,6—1,9 см. Размер средней ягоды равен  $1,85 \times 1,75$  см. Основная форма ягод округлая либо слабо овальная, встречаются также ягоды овальной формы. Наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды округлен. Окраска ягод светложелтая, янтарная. Кожица тонкая, довольно прочная. Мякоть среднеплотная, распыляющаяся. Вкус приятный, гармоничный. Прочность прикрепления ягод к ножке достаточная.

Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4, составляя в среднем на ягоду 1,64 семени.

Окроула — местный, малораспространенный сорт Кахетии, он используется в основном как десертный виноград местного значения, реже из него готовят в смеси с другими сортами сухое столовое вино. Сорт распространен в основном в Телавском, Гурджаанском, Сигнахском районах Кахетии единичными кустами, реже маленькими участками на производственных виноградниках колхозов и колхозников. На местах, ввиду его малого распространения, он используется в качестве десертного винограда, реже перерабатывается вместе с другими сортами на вино. В Институте виноградарства из Окроула готовят сухое столовое вино, виноградный сок и изучают способы хранения винограда. Столовое вино Окроула не высоких качеств, оно светло-соломенного цвета, прозрачное. Аромат сорта очень слабо выражен. Вкус приятный, гармоничный, в нем нехватает экстракта, крепости и тела. Поэтому оно может быть оценено как среднекачественное, ординарное вино.


К положительным свойствам сорта относятся его сравнительно высокая урожайность, пригодность для приготовления качественного виноградного сока, ординарного столового вина и в качестве десертного винограда местного значения.

К недостаткам сорта относятся невысокое качество винной продукции и слабая устойчивость против оидиума.

В условиях Кахетии, в качестве винного сорта, Окроула не заслуживает внимания, но он, как урожайный сорт, может быть рекомендован в качестве столового винограда местного значения и для приготовления качественных виноградных соков; отчасти его можно использовать в качестве купажного материала для сдобривания вкуса тяжелых, экстрактивных вин.

После соответствующего испытания сорта в указанных направлениях его можно рекомендовать для Гурджаанского и Сигнахского районов Кахетии на небольшой площади, в основном, в качестве десертного винограда, приготовления качественных безалкогольных соков и улучшения качества некоторых грубых вин.





საქართველოს  
ბიბლიოთეკა

### კ უ რ კ ე ნ ა

კურკენა ადგილობრივი, იშვიათი ჯიშია. იგი იძლევა ორდინარულ სუფრის ღვინოს.

სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის კურკენა ცნობილია აგრეთვე კურკიანის სახელწოდებით (ს. ჩოლოყაშვილი, 1939 წ.).

ჯიშის ისტორია. კურკენა ადგილობრივი წარმოშობის ჯიშია. თავისი მორფოლოგიური ნიშნებით იგი მეტად ახლოს დგას კახეთის საწარმოო ვაზის ჯიშებთან. ცნობები ჯიშის წარმოშობის დროისა და ადგილის შესახებ არ მოიპოვება. მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით იგი საშუალო ხნიერების ვაზის ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს. სახელი ჯიშს შერქმეული უნდა ჰქონდეს მარცვალში წიპწების (კურკების) სიმრავლის გამო, თუმცა ამ მხრივ კურკენა არ განსხვავდება სხვა ჯიშებისაგან, პირიქით, ზოგიერთ ჯიშს (მაგალითად, ღრუბელას, ელიასა და სხვებს) გაცილებით მეტი წიპწა აქვს მარცვალში, ვიდრე კურკენას.

კურკენას თანამედროვე გავრცელების არეალი შემოფარგლულია კახეთის რაიონებით. ყველაზე უფრო კურკენა გავრცელებულია თელავის, გურჯაანისა და ყვარლის რაიონებში, სადაც იგი რამდენიმე ძირის სახით გვხვდება კოლმეურნეობების ძველ ვენახებში და იშვიათად პატარა ვენახების სახითაც კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე. რამდენიმე ათეული ძირი კურკენა გაშენებულია მევენახეობის ინსტიტუტის, მისი ფილიალისა და დასაყრდენი პუნქტების საკოლექციო ვენახებში მისი შესწავლისა და გამოყენების მიზნით.

#### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური თვალსაზრისით კურკენა აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე, სოფ. ვაზისუბანში.

ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ). ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინიდან მესამე ფოთოლაკამდე (უკანასკნელის ჩათვლით) შებუსუსებულია სქელი ქეჩისებრი ბეწვებით (უფრო ძლიერ ფოთლის ქვედა მხრიდან) და თეთრი ფერისაა. ფოთოლაკების ნაპირების ირგვლივ დაჰყვება მოღვინისფრო-წითელი არშია, ხოლო უნწის გასწვრივ იმავე ფერის ზოლები. მეორე იარუსის ფოთლები (4—5—6) ზემო მხრიდან მომწვანო-ყვითელი ფერისაა და ყოლოსფერი იერი გადაჰკრავს, ხოლო ფოთლების ქვემო მხრიდან შებუსუსების შენარჩუნების გამო შენარჩუნებული აქვს მონაცრისფრო-თეთრი ფერი და მოვარდისფრო იერი ფოთლების ნაპირების ირგვლივ. ახალგაზრდა ყლორტი თავის ულვაშებიანად მოწითალო-ღვინისფერია.

ერთწლიანი რქა. ერთწლიანი კარგად შემოსული რქები შემოდგომაზე მოკვითალო-წითელი ფერის ხდება, თანაც მონაცრისფრო იერი დაჰკრავს. მუხლები უფრო მუქი ფერისაა, ვიდრე მუხლთაშორისები. მუხლთაშორისები საშუალო სიგრძისაა. ზოლები მათ გასწვრივ სუსტადაა გამოსახული, იგი უფრო შესამჩნევია რქის ქვედა ნაწილში.

ფოთლი. ზრდადამთავრებული საშუალო იარუსის ფოთლები საშუალო სიდიდისაა (16,5 X 15,5). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, ოდნავ გადაბრილი მოოვალო ფორმისაა. ფოთლი ხუთნაკვეთიანია, იშვიათად სამნაკვეთიანი ფოთლებიც გვხვდება. ნაკვეთები კარგადაა გამოსახული. ზოგჯერ ფოთლის ქვედა ნაკვეთებზე ვითარდება დამატებითი (მეორეული) ნაკვეთები. ფოთლის შუა ნაკვეთის წვერი ბლაგვკუთხიანია, მაგრამ იშვიათად იგი სწორკუთხიანიცაა. ფოთლის ზედაპირი წვრილბურთულეობიანია, იშვიათად ბადისებრ დანაოჭებულიც. ფოთლის ფირფიტა სწორი ან გაურკვევლად მიხრილ-მოხრილია. ფოთლის მთავარი ძარღვები შებუსუსებულია აბლაბუდისებრი ბეწვებით და ღია მწვანე ფერისაა.

ფოთლის ზედა ამონაკვეთები საშუალო ზომისაა, იშვიათად ღრმა ამონაკვეთებიც გვხვდება. ამონაკვეთების ფორმა საგრძნობლად ცვალებადობს. უფრო ხშირად გვხვდება დახურული, კვერცხის ან სამკუთხე-

დისმაგვართვლიანი და წამახვილებულ ან მომრგვალოფუძიანი ამონაკვეთები. იშვიათადვე გვხვდება წამახვილებულფუძიანი ღია ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვეთები, კიდევ უფრო იშვიათად — ცალკილიანფუძიანი ამონაკვეთები.


ქვედა ამონაკვეთები უფრო ნაკლებ განვითარებული და ნაკლებ ღრმაა. ამონაკვეთების ფორმა ნაკლებად ცვალებადობს. უფრო ხშირად გვხვდება ღია ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვეთები შეფერილობითი ყელითა და მახვილი ფუძით, იშვიათად სამკუთხედისმაგვართვლიანი დახურული ამონაკვეთებიც გვხვდება.

ყუნწის ამონაკვეთი ცვალებადობს ვიწროელიფსისებურთვლიანი ფორმიდან ღია თაღისებურ ამონაკვეთამდე. უფრო ხშირად გვხვდება ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვეთები ძარღვებით შემოფარგლული მომრგვალო ფუძით ან კიდევ წამახვილებულფუძიანი ჩანგისმაგვარი ამონაკვეთები. იშვიათად ყუნწის ამონაკვეთის ფუძე ცალ ან წყვილ დეზიანია.

ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება მახვილწვერიანი და გამოზნექილგვერდებიანი სამკუთხედი-სებრი კბილებით, იშვიათად კბილების ფორმა სამკუთხედისებურიცაა და მომრგვალებულწვერიანი. გვერდითი კბილები ხერხისკბილისებრ ცალგვერდამოზნექილია ან სამკუთხედისებრია და მახვილი წვერი და გამოზნექილი გვერდები აქვს.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება თხელი აბლაბუდისებრია, აბლაბუდის ქვეშ მოფენილია სქელი ჯაგრისებრი ბუსუსი. საერთოდ, შებუსუსება საკმაო სქელია და შეიძლება თხელ ქეჩისებრ შებუსუსებად იქნეს მიჩნეული.

ფოთლის ყუნწი მის მთავარ ძარღვზე უფრო მოკლეა, იგი მოწითალო-ღვინისფერია და ოდნავ შესამჩნევი ჯაგრისებრი ბუსუსითაა შებუსუსებული.



სურ. 22. კურკენას ყვავილი.

ყვავილი. ყვავილი ნორმალური აგებულებისაა, ორსქესიანი. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში ხშირად ხუთი მტვრიანაა, იშვიათად ექვსიც გვხვდება. მტვრიანათა ძაფის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან უდრის 1,25 — 1,50-ს. ბუტკო სწორი კონუსისებრი ფორმისაა და კარგად განვითარებული სვეტი და ღინგი აქვს. ხანდახან ღინგი ორად არის გაყოფილი — ორნაკვეთიანია.

მტევანი. მტევნები საშუალო ზომისაა, მათი სიგრძე მერყეობს 15-დან 18 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 6-დან 8 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის ზომა 16 X 7 სანტიმეტრს უდრის მტევნის ძირითადი ფორმა კონუსისებრი ან ცილინდრულ-კონუსისებრია, იშვიათად დატოტვილი განიერ კონუსისებრი მტევნებიც გვხვდება. ზოგიერთი ტოტის სიგრძე ხანდახან ძირითადი მტევნის სიგრძის ნახევარს აღწევს. მტევნები უფრო ხშირად საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად ამაზე უფრო მეჩხერი მტევნებიც გვხვდება. წვრილმარცვლიანობა მტევანში უნიშვნელოა. მტევნის ყუნწი გახვევებულია და მუქი მწვანე ფერისაა, ხოლო შუა ნაწილიდან იგი რქის ფერს იღებს. ყუნწის სიგრძე მერყეობს 3-დან 6 სანტიმეტრამდე, საშუალოდ კი 4 5 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ყუნწი საშუალოდ უდრის 0,8 სანტიმეტრს. ყუნწი მწვანე ფერისაა მარცვლის საჯდომი ბალიში ხორკლიანია, ფორმა კონუსისებრი აქვს.

მარცვალი. მარცვლები საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე მერყეობს 1,55-დან 1,80 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 1,45-დან 1,65 სანტიმეტრამდე. მარცვლის საშუალო ზომა 16,5 X 1,45 სანტიმეტრს უდრის. მარცვლები მომრგვალო ფორმისაა, ოდნავ გადახრილი მოოვალე ფორმისაა. მარცვალი შუაში განიერია, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვალი მომწვანო-ყვითელი ფერისაა და მონაკრისფრო იერი დაჰკრავს, კანი თხელია და ადვილად იხვევა, რბილობი წვნიანი და წყალწყალაა, მარცვლის გემო უბრალო, ნეიტრალურია, ჯიშური არომატი სუსტადაა გამოსახული. მარცვალი დაფარულია საკმაოდ თხელი ცვილისებრი ფიფქით. მარცვლები ყუნწზე სუსტად, არადაჰაკმაყოფილებლადაა მიმაგრებული. წიპწების რაოდენობა მარცვალში 1-დან 3-მდე მერყეობს, საშუალოდ კი მარცვალზე 1,26 წიპწა მოდის.

**ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება**

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებულია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, სოფ. კურდღელაურში, 4 კილომეტრის დაშორებით ქ. თელავიდან.

კურდღელაურში კურკენას სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 137 დღიდან 164 დღემდე, ხოლო საშუალოდ 6 წლის განმავლობაში 150 დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად იცვლება აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,791·7-დან 3,212 გრადუსამდე და შეადგენს საშუალოდ 2,970 გრადუსს. ცალკეული წლების განმავლობაში სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების ცვალებადობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ქ. თელავში წარმოებული დაკვირვებების შედეგები.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**კურკენას სავეგეტაციო პერიოდის მსვლელობა ქ. თელავში**

მცენახვობის რაიონი და დაკვირვების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღები				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დღეებში	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნალექი	
		კვირტის გაწლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			პარპროდუქციის პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში
კახეთი, თელავის რაიონი, მცენახვობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1943	25/IV	11/VI	12/VIII	5/X	161	3.212,0	131,6	481,3
	1944	23/IV	7/VI	22/VIII	25/X	156	3.051,5	72,6	397,0
	1945	2/V	14/VI	13/VIII	15/IX	137	2.791,7	65,4	347,1
	1946	22/IV	8/VI	28/VIII	10/IX	142	2.811,1	0,0	553,3
	1947	2/IV	11/VI	10/VIII	30/IX	151	2.823,2	31,4	475,5
	1948	26/IV	5/VI	4/VIII	23/IX	151	3.132,8	137,2	515,4
საშუალო	—	21/IV	9/VI	14/VIII	18/IX	150	2,970,3	87,6	461,6

მოყვანილი ცხრილის მიხედვით ყველაზე მეტად მერყეობს პირველი ანუ საწყისი ფაზა; მისი მერყეობის ფარგლები ერთ თვეს აღწევს, სამაგიეროდ მეორე ფაზა — ყვავილობის დასაწყისი — ყველაზე ნაკლებ მერყეობს. დანარჩენ ფაზებს მერყეობის მხრივ საშუალო ადგილი უჭირავს. ცხრილიდან ჩანს, რომ ყველაზე მოკლე სავეგეტაციო პერიოდი კურკენას ჰქონდა 1945 წელს. ამ წელს კურკენამ ყველა წელზე გვიან დაიწყო ვეგეტაცია და თითქმის ყველა წელზე ადრე დაამთავრა იგი. მეორე გარემოება, რომელიც ასევე კარგად ჩანს ცხრილიდან, არის ნალექების სიმცირის გავლენა სიმწიფის დაჩქარებაზე. ყველაზე მცირენალექიან წლებში ყურძნის სრული სიმწიფე უფრო ადრე დგება სხვა წლებთან შედარებით. წლების განმავლობაში სრული სიმწიფის დადგომის ვადების მიხედვით კურკენა მიეკუთვნება სიმწიფის III პერიოდის დასაწყისის ვაზის ჯიშების ჯგუფს. კახეთის ჰავის პირობებში კურკენას ერთწლიანი რქები ყურძნის სრული სიმწიფის მომენტისათვის თავისუფლად ასწრებს მომწიფებას და კარგად შემოსული და გახვეებული ხვდება ზამთრის ყინვებს. სავეგეტაციო ფაზების მსვლელობაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ კურკენას თავისუფლად შეუძლია მომწიფდეს კახეთზე უფრო გრილჰავიან რაიონებში, სადაც კი აქტიური ტემპერატურების ჯამი 2,700—2,800 გრადუსს აღწევს.

კურკენას ვაზებს ზრდის საშუალო ღონე აქვს. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ვენახებში წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით, ზრდა-განვითარების შედარებით თანაბარ პირობებში, კურკენას ვაზების ზრდის ღონე, სხვა კახურ ჯიშებთან შედარებით, შეფასებულია საშუალოდ. ასევე საშუალო ზრდით ხასიათდება იგი ყვარლის რაიონშიც.

მოსავლიანობა. ქართული ვაზის ჯიშების უმრავლესობის მსგავსად კურკენა ადრე იძლევა პირველსა და სრულ მოსავალს. თელავის საკოლექციო ვენახებში წარმოებული დაკვირვებების მიხედვით კურკენას ნამყენები დარგვიდან მესამე წელს იხსამს პირველად, ხოლო მე-4—მე-5 წლიდან უკვე ნორმალურ, სრულ მოსავალს გვაძლევს. კურკენა საშუალოზე მაღალი მოსავლის მომცემი ჯიშია. მას ახასიათებს მოსავლიანობის კარგი მაჩვენებლები, მსხმოიარობის მაღალი კოეფიციენტი და შედარებით დიდი საშუალო წონა მტევნისა. მსხმოიარობის კოეფიციენტი ვაზისუბნის ნაკვეთზე 0,75-დან 1,75-მდე მერყეობს და საშუალოდ 1,3-ს უდრის, ხოლო მტევნის საშუალო წონა 120—250 გრამს შორის მერყეობს და საშუალოდ 160—170 გრამს უდრის, ამასთან, ზოგიერთი კარგად განვითარებული მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 300—350 გრამს.

მსხმოიარობის თვალსაზრისით ჯიშის უფრო სრულად დახასიათებისათვის ქვემოთ მოყვანილია მონაცემები კურკენას მოსავლიანობის შესახებ თელავსა და ვაზისუბანში.

კურკენას მსხმოიარობა

მევენახეობის რაიონი და დაკვირვებათა წარმოების ადგილი	წელი	ნაყოფიანი ყლორტების პროცენტი				მტევნების რიცხვი ერთ მსხმოიარე რქაზე	მტევნების რიცხვი ერთ რქაზე	მტევნის საშუალო წონა გრამებში	ერთი რქის მოსავალი გრამებში	დატოვებული რქების რაოდენობა ჰექტარზე	განმარტებული მსხმოიარე რქების რაოდენობა ჰექტარზე
		ერთმეტე-ნიანი	ორმეტე-ნიანი	სამეტე-ნიანი	სულ						
თელავი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1941	52,14	32,02	5,2	59,36	1,27	1,15	171,5	197,2	32,000	68,10
თელავი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1943	54,34	34,80	—	89,14	1,05	0,93	162,5	151,12	36,000	54,4
გურჯაანის რაიონი, ს. ვაზისუბანი	1940	—	—	—	—	—	1,30	168,0	218,4	40,000	87,36

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოანგარიშებული მოსავალი ჰექტარზე თელავში მერყეობს 54,4-დან 63,10 ცენტერამდე, ხოლო ვაზისუბანში საგრძნობლად მეტია და შეადგენს ჰექტარზე 87 ცენტერს. ვაზისუბანში კურკენას საგრძნობლად მეტი მოსავლიანობა ძირითადად კვების არის გავლენის შედეგია: კურკენა, როგორც ზრდის საშუალო ღონის მქონე ვაზი, უკეთ იტვირთება და მეტს ისხამს 2,0 კვადრ. მეტრიან კვების არეზე ვაზისუბანში, ვიდრე 3,0 კვად. მეტრიან კვების არეზე და მწირ ნიადაგზე თელავში. ამ მონაცემებზე დაყრდნობით კურკენას საშუალო მოსავლად კახეთის პირობებში უნდა მივიჩნიოთ 60 — 80 ცენტერი ყურძენი ჰექტარზე.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ კურკენას შედარებითი გამძლეობა საშუალოა. თელავისა და ვაზისუბანის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით, კურკენას გამძლეობა ჭრაქის მიმართ შეუასებელია საშუალოდ, ხოლო ნაცრის მიმართ საშუალოზე სუსტად. სხვა ავადმყოფობათაგან და მავნებლებისაგან სამეურნეო ღირებულების მქონე დაზიანებანი დაკვირვებათა მანძილზე აღნიშნული არ ყოფილა.

ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

მტევნებისა და მარცვლების გარეგნული შეხედულებით, მათი მექანიკური და წვენის ქიმიური შემადგენლობითა და გემოთი კურკენა უდავოდ საღვინე ჯიშია. ნათქვამის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია კურკენას ყურძნის მექანიკური და ქიმიური ანალიზის შედეგები, მიღებული მევენახეობის ინსტიტუტის მიერ წლების განმავლობაში წარმოებული მუშაობის შედეგად.

კურკენას ყურძნის მექანიკური შემადგენლობა

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	მტევნის საშ. წონა გრამებით	მარცვლების საშუალო რაოდენობა მტევანში	მტევნის შემადგენლობა პროცენტობით					100 მარცვლის წონა გრამებით	100 წიპწის წონა გრამებით
				კანი	მარცვალი	კანი	წიპწა	წვენი და რბილობი		
გურჯაანის რაიონი, ს. ვაზისუბანი	1940	115,7	84,0	3,52	96,48	9,80	3,75	82,93	132,0	4,7
თელავის რაიონი, ს. კურდღელაური თელავის მახლობლად	1943	162,5	92,0	3,50	96,50	12,74	4,62	79,14	181,0	4,3

ყურძნის ლაბორატორიულ პირობებში გადამუშავებისას, როგორც ეს მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, კურკენას წვენის გამოსავლიანობა საკმაოდ მაღალია, ხოლო მაგარი ნარჩენებისა (კანი, კლერტი, წიპწა) შესაბამისად დაბალი. ამ მაჩვენებლების მიხედვით კურკენას უფრო საღვინე ვაზის ჯიშის თვისებები ახასიათებს.

წვენის ქიმიური შემადგენლობა. კახურ საწარმოო ვაზის ჯიშებთან შედარებით კურკენა შაქარს საშუალოზე მცირე რაოდენობით, ხოლო საერთო მჟავას საშუალოზე მეტი რაოდენობით აგროვებს.



ქართული  
ენციკლოპედია



კურკენა—Куркена





რთვლის პერიოდში წარმოებული ანალიზების მიხედვით კურკენას შაქრიანობა საშუალოდ 16-დან 18%-მდე, ხოლო მყავიანობა 7-დან 10%-მდე მერყეობს.

იშვიათად მისი შაქრიანობა 20 და მეტ % -ს აღწევს და მყავიანობაც შედარებით მაღალი რჩება.

ცალკეული წლების მიხედვით შაქრიანობა-მყავიანობის მერყეობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია რთვლის პერიოდში წარმოებული ანალიზების შედეგები.



### კურკენას შაქრიანობა მყავიანობა რთვლის პერიოდში

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	ანალიზის თარიღი	შაქრი % - ბით	მყავიანობა % - ბით	შენიშვნა
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი	1943	16/X	17,2	8,86	
	1944	5/X	16,0	—	
	1945	22/IX	19,6	12,3	
	1946	14/IX	21,5	10,57	
	1947	4/IX	16,5	7,65	
	1948	26/IX	17,0	7,39	
საშუალო . . .	—	—	17,95	9,31	

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, შაქრიანობა საშუალოდ შეადგენს 18%-ს, ხოლო მყავიანობა 9,3%-ს. მიღებული რაოდენობა შაქრისა და მისი შეფარდება მყავიანობასთან არ არის საკმარისი ხარისხიანი სუფრის ღვინის მისაღებად.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. კურკენას მოსავალი ძირითადად სუფრის ღვინის დასამზადებლად გამოიყენება. ჯიშის მცირედ გავრცელების გამო იგი სხვა ჯიშებთან — ძირითადად რქაწითელთან — ერთად იწურება მშრალი სუფრის ღვინის დასამზადებლად. წმინდა ჯიშის ღვინო კურკენასაგან მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. კურკენას ღვინო მაღალი ღირსების არ არის. ჩვეულებრივ კურკენა ორდინარულ ღვინოს იძლევა. მისი ღვინის დამახასიათებელია საშუალო სხეული, დაბალი ალკოჰოლიანობა, საკმაოდ განვითარებული ჯიშური არომატი და ხალისიანი სიმკვავე. ზოგიერთ წლებში კურკენა საკმაოდ კარგი ღირსების ღვინოს იძლევა. ჯიშობრივი ღვინოების ხარისხის შემფასებელი სადევუსტაციო კომისიის სხდომებზე კურკენას ღვინო შეფასებული იყო, როგორც საშუალო ღირსების ორდინარული ღვინო. ღვინის ორგანოლექტიკურ თვისებებზე უფრო სრული წარმოდგენის მისაღებად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.

### ამონაწერები სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური შეფასება
გურჯაანის რაიონი, ს. ვაზისუბანი	1936	20/I 1937	6,0	მოყვითალო-ჩალისფერი, საკმაოდ დაწმენდილი, მსუბუქი, მცირესხეულიანი ღვინო ჭარბი მყავიანობით, კარგი მასალა კონიაკისათვის.
იგივე	1940	20/XII 1940		კარგად დაწმენდილი, მოყვითალო-ჩალისფერი, შინაარსიანი, მაგრამ ნაკლებ ჭარმონიული ღვინო.
"	1940			
"	1939	10/I 1940		მოყვითალო-ჩალისფერი, კარგად დაწმენდილი, მცირესხეულიანი ორდინარული ღვინო საკმაოდ სინალისით.
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1947	10/VI 1948	7,2	ქარვისფერი, სასიამოვნო არომატიანი, ნახი, ჭარმონიული, ოდნავ მოტკბო ღვინო.

კურკენას ღვინის უფრო სრული დახასიათებისათვის ქვემოთ მოყვანილია ცნობები მისი ქიმიური შემადგენლობის შესახებ.

**კურკენას ღვინის ქიმიური შემადგენლობა**

წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მაც. % - ბით	გრამები ლიტრში									
			საერთო სიმკვლე	ექსტრაქტი შაქრით	ნაცარი	ნაცრის ტუტინობა	მკროლაფი სიმკვლე	ღვინის მჟავა	შაქარი	ვლიცინი	პროტეინი	მინარაქტი სიმკვლე
1946	0,9049	11,15	7,25	22,48	2,07	4,29	0,69	2,69	2,2	5,05	0,54	6,39
1947	—	7,4	9,3	49,14	—	—	0,45	—	—	—	0,59	—

როგორც ორგანოლექტიკური შეფასებიდან და ღვინის ქიმიური შემადგენლობის დახასიათებიდან ირკვევა, კურკენას ღვინო (როგორც დამოუკიდებელი სუფრის ღვინო) საყურადღებო არ არის, მაგრამ ჯიში უდავოდ საყურადღებოა, როგორც კარგი საკუბაყე მასალა ზოგიერთი ჯიშის ღვინოების ხარისხის გასაუმჯობესებლად — მათთვის სინსუბუქისა და ხალისიანობის მისაცემად. ჯიში პერსპექტიულია ხარისხოვანი საკონიაკე მასალის მისაღებად. მისი შედარებით მაღალი მჟავიანობა საშუალოზე მცირე ალკოჰოლიანობასთან ერთად ფართო პერსპექტივას უქმნის ამ მიმართულებით მის გამოყენებას. კურკენას მინარევის სახით გავრცელება ყვარლის რაიონში რქაწითელთან ერთად შესაძლებელია გამოწვეული იყოს ჯიშების ურთიერთზე კარგი გავლენით — ყურძნის მოსავლიანობის და ღვინის გამოსავლიანობის გადიდებით და, რაც მთავარია, ღვინის საგემოვნო თვისებების გაუმჯობესებით. ამ მხრივ ჯიში შესწავლილი არაა, საჭიროა კურკენას ამ თვისებებურებასაც მიექცეს სათანადო ყურადღება. იგი ფართოდ უნდა გამოიყენოს აგრეთვე უალკოჰოლო ყურძნის წვეწის დასამზადებლად.

**ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება**

კურკენა ადგილობრივი, იშვიათი ჯიშია. იგი იძლევა ძირითადად თეთრ ორდინარულ სუფრის ღვინოს და ნაწილობრივ გამოსადეგია ადგილობრივ მოსახმარებელ სადესერტო ყურძნადაც. კურკენა გავრცელებულია ძირითადად თელავის, ყვარლისა და გურჯაანის რაიონების ძველ ვენახებში უმთავრესად თეთრ საწარმოო ვაზის ჯიშებში მინარევის სახით.

ჯიშის მცირედ და ამასთან მინარევის სახით გავრცელების გამო წარმოების პირობებში იგი რქაწითელთან ერთად იწურება კახური ტიპის თეთრი სუფრის ღვინის დასამზადებლად. წმინდა ჯიშობრივი ღვინო კურკენასაგან მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. კურკენას ღვინო მაღალი ლირსების არაა. ჩვეულებრივ კურკენა საშუალო ლირსების ორდინარულ ღვინოს იძლევა, იშვიათად მისგან კარგი ლირსების ორდინარული ღვინოც დგება. კურკენას ღვინო მოყვითალო ჩალისფერია, სუსტად გამოსახული თვისებური ჯიშური არომატი აქვს, ახასიათებს სიმსუბუქე, მცირე სხეული და სიხალისე. გემო დიდად ჰარმონიული არა აქვს. როგორც მშრალი სუფრის ღვინო, იგი საინტერესო არაა. ჯიში უფრო საინტერესოა, როგორც მასალა ხარისხოვანი კონიაკებისათვის. მისი მაღალი მჟავიანობა საშუალოზე დაბალ ალკოჰოლიანობასთან ერთად ფართო პერსპექტივას უქმნის ჯიშს ამ მიმართულებით. ჯიში გამოსადეგია აგრეთვე საკუბაყე მასალად: როგორც ყურძნად, ისე ღვინოდ საწარმოო ჯიშების ღვინოების ხარისხის გასაუმჯობესებლად. დასასრულ, კურკენა ძალან კარგია აგრეთვე უალკოჰოლო ყურძნის წვეწის დასამზადებლად: მისი ზომიერი შაქრიანობა ნორმალურზე მომეტებულ მჟავიანობასთან ერთად მას მეტად სასიამოვნო სასმელად აქცევს.

ჯიშის დადებითი თვისებებია მისი შედარებით კარგი მოსავლიანობა და ვარგისობა სხვადასხვა მიმართულებით გამოსაყენებლად.

ჯიშის უარყოფითი თვისებებია: ღვინის დაბალი ხარისხი და არასაკმარისი გამძლეობა ნაცრისა. კახეთის ცენტრალურ რაიონებში მშრალი სუფრის ღვინის დასამზადებლად კურკენა ნაკლებ პერსპექტიულია. სამაგიეროდ ჯიში პერსპექტიულია საკონიაკე მასალის, უალკოჰოლო ყურძნის წვეწის და მასობრივი საკუბაყე მასალის დასამზადებლად.

წინასწარ გამოცდის შემდეგ კურკენა შეიძლება რეკომენდებულ იქნეს ალაზნის მარცხენა მხარისათვის პირველ რიგში ხარისხოვანი საკონიაკე მასლის და უაღკოპოლო ყურძნის წვენის დასამზადებლად. გარდა ამის, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კარგი ღირსების ორდინარული ღვინოების და სხვა ჯიშებთან (რქაწითელთან) ერთად მსუბუქი მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინოების დასამზადებლად.



## КУРКЕНА

**Лист.** Вполне развитые листья средних размеров (16×15,5). Листовая пластинка округлая, с незначительным варьированием в сторону овальной формы. Обычно листья пятилопастные, реже встречаются также и трехлопастные листья. Лопости хорошо выражены. Иногда на листьях, в особенности нижних, развиваются дополнительные лопасти. Угол оконечной лопасти тупой, реже он бывает прямым. Поверхность листа мелкопузырчатая, реже она бывает сетчато-морщинистой. Листовая пластинка плоская либо она неопределенно изогнутая. Главные нервы листа светлозеленые, паутинисто-опушенные.

Верхние вырезки обычно средней глубины, (реже встречаются и довольно глубокие вырезки). Форма вырезок варьирует от закрытых с яйцевидным просветом до открытых лировидных с острым дном. Чаще встречаются закрытые вырезки с яйцевидным либо треугольным просветом с заостренным или округлым дном. Реже встречаются открытые лировидные вырезки с заостренным дном, а еще реже выемки с однозубчатым дном.

Нижние вырезки, обычно, менее развиты и менее глубоки. Форма вырезок менее варьирует. Чаще всего встречаются открытые, лировидные вырезки с суженным устьем и заостренным дном, реже — закрытые с треугольным просветом.

Черешковая выемка по своей форме варьирует от закрытой с узко-эллиптическим просветом до открытой, сводчатой. Чаще встречаются лировидные выемки с округлым дном, ограниченными нервами, либо лировидные выемки с заостренным дном. Иногда черешковая выемка снабжена одним или двумя шпорцами.

**Зубцы.** Оконечные зубцы лопастей в большинстве случаев треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже они треугольные с закругленной вершиной. Краевые зубцы пиловидные, односторонне-выпуклые и треугольные, с выпуклыми сторонами и острой вершиной.

Опушение нижней стороны листа слабое, паутинистое, с примесью густого щетинистого пушка, в общем, опушение довольно густое, переходящее в слабо-войлочное.

Черешок короче длины главного нерва листа. Окраска черешка слабо вишне-красная, с едва заметным щетинистым пушком.

**Цветок.** Цветок нормального строения, обоеполый. Тычинки прямостоячие. Число тычинок в цветке равно пяти, реже шести. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика равно 1,25—1,50. Пестик правильной округло-конической формы, с хорошо развитым столбиком и рыльцем. Иногда рыльцо двураздельное.

**Гроздь.** Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует от 15 до 18 см, при ширине 6—9 см. Размер средней грозди равен 16×7 см. Основная форма гроздей коническая, реже встречаются широко-конические, лопастные грозди. Длина верхних лопастей достигает до одной трети размера основной грозди. Обычно грозди средне-плотные, реже они рыхлые. Осыпание и горошение ягод в грозди незначительное. Ножка грозди деревянистая, темно-зеленого цвета, у основания окрашивается в цвет чубука. Длина ножки гроздей варьирует от 3 до 6 см, составляя в среднем 4—5 см. Длина ножки ягоды в среднем равна 0,8 см. Окраска ножки зеленая. Подушечка бородавчатая, узко-конической формы.

**Ягода.** Ягоды средних размеров. Длина ягод варьирует от 1,55 до 1,80 см, при ширине 1,45—1,65 см. Размер средней ягоды равен 1,65×1,45. Форма ягод округлая, с незначительным варьированием в сторону овальной. Наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды закруглен. Окраска ягод зелено-желтая с свинцовым оттенком. Кожица тонкая, легко рвущаяся. Мякоть сочная, водянистая. Восковой налет на ягодах хорошо выражен.

Прочность прикрепления ягод к ножке обычно слабая, недостаточная.

Количество семян в ягоде варьирует от 1 до 3, составляя в среднем на ягоду 1,26 семени.

Куркена — местный, малораспространенный сорт белых вин Кахетии, дает ординарное столовое вино и отчасти десертный виноград исключительно местного значения.

Распространен в районах Кахетии, преимущественно в Телавском, Кварельском и Гурджаанском, в основном в виде примеси на старых корнесобственных виноградниках колхозов, реже в виде маленьких виноградников на приусадебных участках колхозников. В связи с незначительным распространением сорта в производстве он перерабатывается вместе с Ркацитли на обычное столовое вино.

Очень возможно, что преимущественное распространение Куркена в виде примеси к Ркацители в Кварельских виноградниках вызвано выгодой от совместной их культуры (увеличение урожайности и улучшение качества вина). Чистосортное вино из Куркена готовят в Институте виноградарства. Вино получается невысокого качества, оно соломенно-желтого цвета, с слабо развитым сортовым ароматом, легкое, слабоградусное, малоэкстрактивное, ординарное вино с приятной свежестью. В некоторые годы из Куркена получается ординарное вино довольно хорошего качества.

В качестве самостоятельного винного сорта Куркена не заслуживает внимания, он является более перспективным для получения коньячного материала, безалкогольных соков и массового пищевого материала. Его относительно высокая кислотность при умеренной сахаристости более отвечает для указанных направлений, нежели для столового виноделия.

К положительным свойствам сорта относятся его выше средняя урожайность и пригодность его для разных видов переработки. К недостаткам сорта относятся низкое качество вина и недостаточная устойчивость против оидиума.

В центральных районах Кахетии Куркена для приготовления столовых вин не заслуживает внимания. Его, как сравнительно урожайный сорт, после предварительного испытания на местах, можно рекомендовать для распространения в Заазаганской полосе Кахетии, в первую очередь для приготовления качественных коньяков и безалкогольных соков, а в дальнейшем для качественных ординарных вин и легких, качественных столовых вин вместе с сортом Ркацители.





## მ ი რ ზ ა ნ უ ლ ი

მირზანული ადგილობრივი იშვიათი ჯიშია, იძლევა თეთრ ორდინარულ სუფრის ღვინოს. სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში მირზანული ცნობილია აგრეთვე მირზანის თეთრის სახელწოდებით (ს. ჩოლოყაშვილი 1939 წ.).

**ჯიშის ისტორია.** მირზანული ადგილობრივი ვაზის ჯიშია. თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით იგი ახლოს დგას კახეთის ძირითად ჯიშებთან და მათთან ერთად საერთო წარმოშობისა უნდა იყოს. სიღნაღის რაიონის მევენახეთა გადმოცემით, მირზანული მათ რაიონში სოფ. მირზანიდან შემოაუტანიათ, ხოლო თუ საიდანაა შეტანილი იგი მირზანში ან რა სახელწოდებით, ჯერ დადგენილი არ არის.

ამჟამად ჯიში გვხვდება სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში, ძირითადად თითო-ორი ვაზის სახით კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ძველ ვენახებში, იშვიათად მირზანული პატარა ვენახებადაც გვხვდება კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე. კახეთის დანარჩენ რაიონებში მირზანული ძალიან იშვიათია. თელავის რაიონში რამდენიმე ათეული ძირი მირზანული მოიპოვება მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში და აგრეთვე ინსტიტუტის ფილიალისა და დასაყრდენი პუნქტების საკოლექციო ნაკვეთებზე.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

**ბოტანიკური თვალსაზრისით** მირზანული აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით.

**ახალგაზრდა ნაზარდი** (15—20 სმ). მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი ორი-სამი ჯერ კიდევ კარგად გაუშლელი ფოთოლაკითურთ შებუსუსებულია ყოველი მზრიდან საკმაოდ სქელი აბლაბუდისებრი ბეწვებით, მორუხო-თეთრი ფერისაა და სუსტი ვარდისფერი არშია აქვს შემოვლებული ფოთოლაკების ნაპირების ირგვლივ და ყუნწის გასწვრივ. მეორე იარუსის ფოთლების (4—5) ზედა მხარეზე შებუსუსება მცირდება და ფოთლები მომწვანო-ყვითელი (მონარინჯო) ფერისა ხდება, ხოლო ქვედა მხარეზე შებუსუსება შენარჩუნებულია და ფოთოლი მოვერცხლისფრო-თეთრი რჩება, თანაც ოდნავ ვარდისფერი იერი დაჰყვება ძირითადად ფოთლების ნაპირების ირგვლივ.

**ერთწლიანი რქა.** კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მოვარდისფრო-ყვითელი ფერისაა და მოწითალო იერი დაჰკრავს. მუხლთაშორისები საშუალო ზომისაა. მუხლების ფერი არ განსხვავდება მუხლთაშორისების ფერისაგან. ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ გამოსახული არაა.

**ფოთოლი.** კარგად განვითარებული ფოთლები (9—12) საშუალო ზომისაა (18 × 17 სანტიმეტრი). ფოთლის ფირფიტის მოხაზულობა მომრგვალოა, უფრო ხშირად გადახრილი ოვალური ფორმისაა. უფრო ხშირად ხუთნაკვეთიანი ფოთლები გვხვდება, იშვიათად სამნაკვეთიანებიც არის. მეორეული დანაკვეთვა ფოთოლს არ ახასიათებს. შუა ნაკვეთის წვერი სწორკუთხოვანია. ფოთლის ზედაპირი გლუვი ან ბადისებრ დანაოჭებულია. ფოთლის ფირფიტა სწორი ან გაურკვეველად მიხრილ-მოხრილია. ფოთლის კალთები ზევითაა წამოწეული. ფოთლის მთავარი ძარღვები ღია მწვანე ფერისაა და შებუსუსებულია თხელი აბლაბუდისებრი ბეწვებით.

ფოთლის ზედა ამონაკვეთები საშუალო სიღრმისაა, იშვიათად ღრმა და ზეხეურამონაკვეთებიანი ფოთლებიც გვხვდება. ამონაკვეთების ფორმა ჩანგისმაგვარი და შევიწროებულყელიანი ან პარალელურგვერდებიანია. ამონაკვეთის ფუძე ხშირად ცალკბილიანია. იშვიათად დახურული ამონაკვეთებიც გვხვდება სამკუთხედისებრი ან განიერ ელიფსური თვლით.

ქვედა ამონაკვეთები, როგორც წესი, ნაკლებ ღრმაა, უფრო ხშირად მათ შეჭრილ კუთხისებრი ფორმა აქვთ, ან კიდევ ამონაკვეთები ოდნავ შესამჩნევია, იშვიათად ჩანგისმაგვარი, თითქმის პარალელურგვერდებიანი ამონაკვეთებიც გვხვდება.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა საგრძნობლად ცვალებადობს. უფრო ხშირად გვხვდება კვერცხის ან ელიფსისმაგვართვლიანი ფორმის დახურული ამონაკვეთები და ღია მახვილფუძიანი ჩანგისმაგვარი ან იშვიათად თაღისმაგვარი კვადრატული ფორმის ამონაკვეთებიც.

ფოთლის მთავარი ძარღვები მსხვილი მომრგვალებულწვერიანი ან მახვილწვერიანი სუსტად გამოხეჩილგვერდებიანი სამკუთხედისებრი კბილებით ბოლოვდება. გვერდითი კბილები მახვილწვერიანი სამკუთხედისებრი ან ხერხისკბილისებრი ცალგვერდგამოხეჩილია. მსხვილი და წვერილი კბილების მორიგეობა კარგადაა წარმოდგენილი ფოთლის მთელი ფირფიტის ირგვლივ.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება შედგება საშუალო სისქის აბლაბუდისებრი ბეწვებისაგან და საკმაოდ სქელი ჯაგრისებრი ბუსუსისაგან. საერთოდ, ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება საკმაოდ სქელია, იგი გარდამავალი სახისაა აბლაბუდისებრიდან ქეჩისებრისაკენ.

ფოთლის ყუნწი შიშველია, ფერად ღია მწვანეა. ჩვეულებრივ იგი ფოთლის შუა ძარღვზე ოდნავ მოკლეა ან მისი ტოლია.

**მტევანი.** მტევნები საშუალო ან საშუალოზე დიდი ზომისაა. მტევნების სიგრძე მერყეობს 13-დან 22 სმ-მდე, ხოლო სიგანე 9-დან 15 სმ-მდე. საშუალო მტევნის ზომა უდრის  $18 \times 12$  სმ-ს. ზოგიერთი მსხვილი მტევნების ზომა აღწევს  $24,5 \times 14,5$  სანტიმეტრს. მტევნების ფორმა კონუსისებრი და ცალინდრულ-კონუსისებრია, იშვიათად უფორმო მტევნებიც გვხვდება. ხშირად მტევნები მხრიანია. ცალკეული მხრების სიგრძე აღწევს ძირითადი მტევნის ნახევარს. მტევნები ხშირად მკვრივია (კუმსია), იშვიათად ძალზე კუნსი და მეჩხერი მტევნებიც გვხვდება. მარცვალცვენა და წვერილმარცვლიანობა ჯიშს არ ახასიათებს. მარცვლების რაოდენობა მტევანში მერყეობს 80-დან 200-მდე, საშუალოდ მტევანში 100—120 მარცვალია. მტევნის საშუალო წონა მერყეობს 120-დან 300 გრამამდე, საშუალოდ კი 180—200 გრამს უდრის. მტევნის ყუნწი გახვეებულია და ფუძისაკენ რქის ფერისაა. ყუნწის სიგრძე საშუალოდ 3—4 სანტიმეტრს უდრის, საერთოდ კი სიგრძე 2,5-დან 6 სმ-მდე მერყეობს. მარცვლის ყუნწის სიგრძე უდრის 4—6 მმ-ს, იგი მწვანე ფერისაა.

მარცვლის საჯდომი ბალიში დახორკლილია. ფორმით იგი განიერ კონუსისებრია, იშვიათად ვიწრო კონუსისებრი ფორმისაც გვხვდება.

**მარცვალი.** მირზანულის მარცვლები საშუალო და საშუალოზე მსხვილია. მარცვლების სიგრძე მერყეობს 1,6-დან 2,2 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 1,5-დან 2 სანტიმეტრამდე. საშუალო მარცვლის ზომა  $1,85 \times 1,70$  სანტიმეტრს უდრის. მარცვლების ფორმა მომრგვალო ან ოდნავ მოოვალურია. მარცვალი შუაში განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვლები მომწვანო-ყვითელი, ხოლო გადამწიფებისას ყვითელი ფერისაა და სიღამწვრის მოვარდისფრო ხალები აყრია მზისაკენ მიქცეულ გვერდზე. მარცვლის კანი თხელია, მაგრამ საკმაოდ მკვრივი. იგი ადვილად შორდება რბილობს. რბილობი ოდნავ მკვრივი და წვნიანია. მარცვალს უბრალო, ნეიტრალური გემო აქვს, ჯიშური არომატი შეუმჩნეველია. მარცვლები დაფარულია საკმაოდ სქელი ცვილისებრი ფიფქით. მარცვლები სუსტადაა მიმაგრებული ყუნწზე. წიპწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 4-მდე, ხოლო საშუალოდ მარცვალზე 1,65 წიპწა მოდის.

**ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება**

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებულია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, ს. კურდღელაურში, 4 კილომეტრის დაშორებით ქ. თელავიდან.

კურდღელაურის ეკოლოგიურ პირობებში მირზანულის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 138 დღიდან 182 დღემდე და შეადგენს საშუალოდ 150 დღეს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად ცვალებადობს ვაზის ზრდა-განვითარებისა და ყურძნის მომწიფებისათვის საჭირო აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,736,3 გრადუსიდან 3,354 გრადუსამდე, ხოლო საშუალოდ შეადგენს 2,964,1 გრადუსს. სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზების ცვალებადობის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია ქ. თელავში წლების განმავლობაში წარმოებული დაკვირვების შედეგები.

### მირზანულის სავეგეტაციო პერიოდის მსვლელობა ქ. თელავში

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღები				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დღეებში	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნალექები	
		კვირტის გაშლის	ყვავილობის	სიმწიფის	სრული სიმწიფე			მაისი	ივნისი
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ს. კურდღელაურში, ქ. თელავის მახლობლად	1943	27/IV	12/VI	17/VIII	20/IX	147	2,930,5	117,4	479,4
	1944	25/V	5/VI	20/VIII	20/IX	149	2,941,8	69,0	393,4
	1945	3/IV	12/VI	23/VIII	20/IX	141	2,868,7	47,3	539,9
	1946	26/IV	8/VI	21/VIII	10/IX	138	2,786,8	—	539,9
	1947	2/IV	2/VI	10/VIII	30/IX	182	3,354,9	121,8	565,9
	1948	26/IV	6/VI	14/VIII	13/IX	141	2,958,8	150,2	524,4
საშუალო	—	23/IV	7/VI	17/VIII	18/IX	150	2,964,1	81,0	476,0

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზები საგრძნობლად მერყეობს. მათში ყველაზე მეტად პირველი, საწყისი ფაზა მერყეობს. მისი მერყეობა ცალკეული წლების მიხედვით ერთ თვეს აღწევს. მის მერყეობაზე დიდადა დამოკიდებული მთელი სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობაც. ასე, მაგალითად, 1945 წელს, როცა კვირტის გაშლა დაიწყო 3 მაისს, სავეგეტაციო პერიოდი დასრულდა 141 დღეში, ხოლო 1947 წელს კვირტის გაშლა დაიწყო 2 აპრილს და სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობაც შესაბამისად 182 დღემდე გაგრძელდა. დანარჩენი ფაზები შედარებით ნაკლებ ცვალებადობს. მაგალითად, ყვავილობის დასაწყისი 10 დღის, სიმწიფის დასაწყისი 12 დღის, ხოლო სრული სიმწიფე 20 დღის ფარგლებში მერყეობს. სრული სიმწიფის დადგომის ვადაზე გავლენას ახდენს აგრეთვე ნალექების რაოდენობა სარგებროდუქციო და სავეგეტაციო პერიოდების განმავლობაში. რაც უფრო მცირეა ამ ხნის განმავლობაში ნალექების რაოდენობა, მით უფრო ადრე მწიფდება ყურძენი. სრული სიმწიფის დადგომის ფაზების მიხედვით მირზანული სიმწიფის III პერიოდის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის.

თელავსა და ბოდბისხევში წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით კახეთის ჰავის პირობებში მირზანულის ერთწლიანი რქები ყურძენის სრული სიმწიფის მომენტისათვის თავისუფლად ასწრებს მომწიფებას და კარგად შემოსული და გახვეებული ხვდება ზამთრის ყინვებს.

მირზანულის ვაზებს კარგი ზრდის ღონე ახასიათებს. თელავის საკოლექციო ნაკვეთზე წარმოებული დაკვირვების შედეგად მისი ზრდის ღონე, სხვა ჯიშებთან შედარებით, შეფასებულია საშუალოდ, ხოლო სიღნაღის რაიონში სოფ. ბოდბისხევში მირზანულის ვაზები უმკენ ვენახებში საკმაოდ ძლიერად იზრდება.

მოსავლიანობა. მირზანული მალაღმოსავლიანი ჯიშია. მას ახასიათებს მსხმოიარობის მაღალი მაჩვენებლები და მტევნის საკმაოდ დიდი საშუალო წონა. საკოლექციო ნაკვეთზე წარმოებული დაკვირვებების მიხედვით მირზანულის მსხმოიარობის კოეფიციენტი 1-დან 3,0-მდე მერყეობს. საშუალოდ იგი 1,50—1,60-ს შეადგენს, ანუ ერთ რქაზე მოდის საშუალოდ 1,50—1,60 მტევანი. ბოდბისხევში კი 1 რქაზე საშუალოდ 12 მტევანი მოდის. მტევნის საშუალო წონა მერყეობს 100-დან 300 გრამამდე, ხოლო საშუალოდ 80—200 გრამს უდრის. ზოგიერთი მსხვილი მტევნის წონა თავისუფლად აღწევს 500—600 გრამს. მირზანულის მოსავლიანობის უფრო დეტალურად დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია თელავში მსხმოიარობაზე დაკვირვების შედეგები.

### მირზანულის მსხმოიარობის მაჩვენებლები თელავში

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	მსხმოიარე რქების პროცენტი				მტევნების რაოდ. 1 მსხმოიარე რქაზე	მტევნების საშ. რაოდენ. 1 რქაზე	მტევნის საშუალო წონა	ერთი რქის მოსავალი გრამებით	დატვირთული რქების რაოდენობა ერთ ჰექტარზე	განვარდნილი მოსავალი 1 ჰექტარზე
		1 მტევი-ნიით	2 მტევი-ნიით	3 მტევი-ნიით	სულ						
კახეთი, თელავის რაიონი, ქ. თელავი, საკოლექციო ვენახი	1941	28,82	64,40	1,7	91,92	1,72	1,62	180,0	291,6	34,000	99,14
	1943	44,0	44,0	4,0	92,0	1,46	1,40	200	280	30,000	84,0
	1948	42,85	33,32	4,76	80,93	1,52	1,23	165,0	203,0	35,000	71,0

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, მირზანულის ნაყოფიანი ყლორტების პროცენტი საკმაოდ მაღალია. უნაყოფო ყლორტების რაოდენობა 5-დან 20%-მდე მერყეობს. აღსანიშნავია ორმეტევიანი რქების საკმაოდ დიდი რაოდენობა და ისიც, რომ სამმეტევიანი რქებიც აქვს 5%-მდე. მოყვანილი მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული მოსავალი თელავში მერყეობს 71-დან 100,0 ცენტნერამდე, ხოლო საშუალოდ 84 ცენტნერს შეადგენს. ფაქტიური მოსავალი ძირზე თელავში საშუალოდ 2,400—2,600 გრამს უდრის, რაც ჰექტარზე გადაყვანით 80—86 ცენტნერს შეადგენს, გაცოლებით მეტევიან რქების მირზანულმა იქ, სადაც იგი ძირითადად გაერცელებული — სიღნაღის რაიონში, სოფ. ბოდბისხევში, იქ მისი მოსავალი 100—150 ცენტნერს და ზოგჯერ მეტსაც აღწევს ჰექტარზე. საშუალოდ კახეთის პირობებისათვის მირზანულის მოსავალი უნდა ვივარაუდოთ 100—120 ცენტნერი ჰექტარზე.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. თელავში, საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვების მიხედვით, მირზანულის გამძლეობა სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ შეფასებულია საშუალოდ, ხოლო ბოდბისხევში მისი გამძლეობა იმავე ავადმყოფობათა მიმართ საშუალოზე მაღალია. ინსტიტუტში წარმოებული დაკვირვებით მირზანული მილდიუმს შედარებით უფრო უძლებს, ვიდრე ნაცარს. უკანასკნელის მიმართ მირზანული უფრო მგრძობიარეა. მირზანულმა აგრეთვე მარცვლის სიღამბლე იცის, განსაკუთრებით თუ შემოდგომა წვიმებიანია.

### ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

მირზანული საღვინე ვაზის ჯიშია. როგორც მტევნებისა და მარცვლების გარეგნული შეხედულება, ისე მათი მექანიკური შემადგენლობა და აგრეთვე წვენის ქიმიური შემადგენლობა მიგვითითებს მირზანულის გამოყენების მიზანშეწონილობაზე უპირატესად მშრალი სუფრის ღვინის დასამზადებლად. წარმოების პირობებშიაც მირზანულისაგან სუფრის ღვინოს ამზადებენ, მხოლოდ ნაწილობრივ იყენებენ მას ალგილობრივ საქმელ ყურძნად. ძირითადად მირზანული საღვინე ვაზის ჯიშია.

ნათქვამის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია მირზანულის ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგები.

### მირზანულის ყურძნის მექანიკური შემადგენლობის მაჩვენებლები

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	წელი	მტევნის საშუალო წონა	მარცვლების საშუალო რაოდენობა მტევანში	მტევნისა შემადგენელი ნაწილების %/0-ბი					100 მარცვლის წონა გრამებში	100 წიპწის წონა გრამებში
				კლერტი	მარცვალი	კანი	წიპწა	წვენი და რბილობა		
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ს. კურდღელაურში, ქ. თელავის მახლობლად	1940	286,6	135	2,13	97,87	10,33	3,21	84,33	208,0	4,0
	1940	224,7	106	2,46	97,54	9,93	3,68	83,98	208,0	4,1
	—	167,9	84	2,32	97,68	11,73	4,25	81,70	195,0	5,1
	1943	200,0	140	3,40	96,60	12,4	4,9	79,3	174,5	4,5

ცხრილიდან ჩანს, რომ ყურძნის ლაბორატორიულ პირობებში გადამუშავების დროს მირზანულის მაგარი ნაწილების (კლერტი, კანი, წიპწა) შედარებით მცირე (13—17%), ხოლო წვენის შედარებით მაღალი (79—84%) გამოსავლიანობა აქვს. ყურძნის ნახევრად საწარმოო პირობებში გადამუშავების დროს წვენის გამოსავლიანობა შედარებით მცირდება, ხოლო მაგარი ნაწილების გამოსავლიანობა მატულობს, რა თქმა უნდა, ყურძნის არასათანადოდ გამოწურვის გამო და შესაბამისად შეადგენს 75% და 25%-ს.

ყურძნის წვენის ქიმიური შედგენილობა. მირზანულს არ ახასიათებს შაქრის დაგროვების დიდი უნარი. მისი ყურძნის წვენის შაქრიანობა შედარებით მცირეა, მკევიანობა — ზომიერი. რვა წლის მანძილზე წარმოებული დაკვირვებების მიხედვით მისი შაქრიანობა 14-დან 16,5%-მდე მერყეობს და იშვიათად 17 და მეტ პროცენტს აღწევს, ხოლო მკევიანობა 6-დან 7,5%-მდე მერყეობს და იშვიათად 10%-მდეც აღწევს. ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად მირზანულის ყურძნის წვენის შაქრიანობა-მკევიანობა სავარაუდოდ ცვალებადობს.

ამ ცვალებადობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია მირზანულის წვენის შაქრიანობა-მკევიანობის მაჩვენებლები, მიღებული 8 წლის მანძილზე წარმოებული დაკვირვებების შედეგად.






მირზანული თეთრა—Мирзанули Тетра



**მირზანულის შაქრიანობა-მეჯავიანობა რთვლის პერიოდში**

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	რთვლის თარიღი	შაქარი % <sup>o</sup> -ში	მეჯავიანობა % <sup>o</sup> -ში	შენიშვნა
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ს. კურდღელაურში, ქ. თელავის მახლობლად	1941	29/IX	16,0	5,87	 ქართული მეცნიერებათა აკადემია
	1942	5/X	16,2	7,2	
	1943	8/X	16,5	7,0	
	1944	29/IX	18,1	10,2	
	1945	27/IX	13,1	10,7	
	1946	20/IX	21,1	6,31	
	1948	13/IX	13,5	4,77	

მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ ცალკეულ წლებშიაც კი, ვარდა 1946 წლისა, მირზანულის შაქრიანობა ვერ აღწევს იმ ნორმალურ დონეს, რომელიც აუცილებელია ხარისხოვანი სუფრის ღვინის დასამზადებლად. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რთვლის კარგა დაგვიანებით ჩატარებისასაც კი მირზანულის ყურძნის შაქრიანობა მაინც დაბალი რჩება. ამ ნიშნის მიხედვით მირზანული სუფრის ჯიშებს ემსგავსება, მაგრამ ზომიერი მეჯავიანობით საღვინე ჯიშებს უახლოვდება. წესიერი სუფრის ღვინის მიღების მიზნით მირზანული რაც შეიძლება გვიან უნდა დაიკრიფოს, რომ მისი შაქრიანობა გადიდდეს და ღვინო უკეთესი დადგეს.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. მირზანულის ყურძნს ძირითადად იყენებენ მშრალი სუფრის ღვინის დასამზადებლად და ნაწილობრივ ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძნადაც. უმეტეს შემთხვევაში მირზანული სხვა ჯიშის ყურძნთან ერთად იწურება სუფრის ღვინის დასამზადებლად. ძველად მას ცალკე აყენებდნენ. ამჟამად მირზანულისაგან წმინდა ჯიშური ღვინო მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. მირზანულის ღვინო მაღალი ღირსებისა არაა. ჩვეულებრივად იგი ღია ჩალისფერია, არომატი ძლიერ სუსტად აქვს გამოსახული. იგი სასიამოვნო გემოს მქონე, მსუბუქი, მკირესხეულიანი ორდინარული ღვინოა. ღვინის თვისებების უფრო დეტალურად დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები მევენახეობის ინსტიტუტის ჯიშობრივი ღვინოების ხარისხის შემფასებელი სადგურსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.

**ამონაწერები სადგურსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	წელი	სადგურსტაციო კომისიის სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური შეფასება
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1941	10/1 1942	6,3	ღია ჩალისფერი, კარგად დაწმენდილი, მსუბუქი, საკმაო მარმონიული, ორდინარული ღვინო.

მირზანულის ღვინის თვისებებზე უფრო სრული წარმოდგენის მისაღებად ქვემოთ მოყვანილია მისი ღვინის ქიმიური ანალიზის შედეგები.

**მირზანულის ღვინის ქიმიური შედეგნილობა**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მთლიანობით % <sup>o</sup> -ში	გ რ ა მ ე ბ ი ლ ი ტ რ შ ი				
				საერთო მეჯავიანობა	ექსტრაქტი	მკროლავი სიმკავე	არამკროლავი მეჯავა	ტანინი
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტი ქ. თელავში	1941	0,9953	8,0	6,74	18,53	1,0	5,49	—
	1947	0,9948	9,1	6,2	19,6	0,6	—	0,12

როგორც ორგანოლებტიკური, ისე ქიმიური თვისებების მიხედვით მირზანულის ღვინო ორდინარულ ღვინოთა წყებას უნდა მიეკუთვნოს.

გარდა ღვინისა, მირზანულს იყენებენ ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძნადაც. მტვენებისა და მარცვლების გარეგნული შეხედულება — მათი სიდიდე და სიმსხო — მიზანშეწონილს ხდის ყურძნის ამ მიზნით გამოყენებას.

მირზანული უფრო პერსპექტიულია ხარისხოვანი კონიაკის დასამზადებლად. ამას ხელს უწყობს ღვინის დაბალი ალკოჰოლიანობა და მასთან შედარებით მაღალი მჟავიანობა.

მირზანული გამოსადეგია აგრეთვე უალკოჰოლო ყურძნის წვენის დასამზადებლად. მკირე შაქრიანობისა და ზომიერი მჟავიანობის გამო იგი მიმზიდველი და სასიამოვნო სასმელია.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

მირზანული ადგილობრივი იშვიათი ჯიშია. იძლევა თეთრ ორდინარულ სუფრის ღვინოს, იზმარება საქმელადაც.

ჯიში გვხვდება თითო-ორი ვაზის, იშვიათად აგრეთვე პატარა ნაკვეთების სახით ძირითადად სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში. კახეთის დანარჩენ რაიონებში იგი თითქმის არ მოიპოვება, გარდა თელავისა, სადაც რამდენიმე ათეული ძირია გაშენებული მევენახეობის ინსტიტუტის ვენახში. ჯიშის მკირედ გავრცელების გამო იგი სხვა ჯიშებთან ერთად იწურება სუფრის ღვინის დასამზადებლად. ძველად იგი ცალკეც იწურებოდა ჯიშური ღვინის დასაყენებლად. ამჟამად მირზანულისაგან წმინდა ჯიშური ღვინო მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. მირზანულის ღვინო კარგად იწმინდება, ღია ჩალისფერია, ჯიშური არომატი ძლიერ სუსტად აქვს გამოსახული. გემო კარგი, პარმონიული აქვს. საერთოდ, მირზანულის ღვინო მსუბუქი, მკირესხულიანი და ორდინარული დგება.

ჯიშის დადებითი თვისებებია: შედარებით მაღალი მოსავლიანობა, ვარგისობა ორდინარული სუფრის ღვინის, უალკოჰოლო ყურძნის წვენისა და საკონიაკე მასალისათვის.

ჯიშის უარყოფითი თვისებებია: პროდუქციის (ღვინო) დაბალი ხარისხი, ნაცრისადმი მგრძნობიარობა და მარცვლების ღობა, განსაკუთრებით წვიმიან შემოდგომით.

ხარისხოვანი მეღვინეობის რაიონებში სუფრის ღვინის დასაყენებლად ჯიში პერსპექტიული არაა. მირზანული, როგორც მაღალმოსავლიანი ჯიში, შეიძლება რეკომენდებულ იქნეს სიღნაღისა და წითელწყაროს ნაცად რაიონებში ფართობის განსაზღვრულ ნაწილზე გასაშენებლად, მისგან ხარისხოვანი საკონიაკე მასალისა და უალკოჰოლო ყურძნის წვენის დასამზადებლად და, ნაწილობრივ, სადესერტო ყურძნად გამოსაყენებლად.

ჯიშის ფართოდ გამოცდის შემდეგ შეიძლება კახეთის დანარჩენ რაიონებშიაც გამოვლინდეს ჯიშისათვის გამოსადეგი მიკროუბნები ხარისხოვანი პროდუქციის მიღებისა და ჯიშის შემდგომი გავრცელების მიზნით.

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მევენახეობის დანარჩენი რაიონებისათვის მირზანული შეიძლება ეურჩიოთ მხოლოდ ფართოდ გამოსაცდელად და შესასწავლად. მირზანული, როგორც მაღალმოსავლიანი ჯიში, პერსპექტიულია აგრეთვე სელექციურ მუშაობაში გამოსაყენებლად.

### МИРЗАУЛИ

Лист. Вполне развитые листья средних размеров (18×17 см). Очертание листовой пластинки округлое, с более частым колебанием в сторону овальной формы. Число основных лопастей 5, реже встречаются и трехлопастные листья. Вторичные лопасти отсутствуют. Угол оконечной лопасти обычно прямой. Поверхность листа гладкая либо сетчато-морщинистая, в редких случаях она бывает мелкопузырчатой. Листовая пластинка плоская, либо неопределенно-изогнутая с приподнятыми краями вверх. Главные первы светло-зеленые и опушены слабой паутиной.

Верхние вырезки обычно средней глубины, реже встречаются листья с более глубокими либо мелкими вырезками. Форма вырезок ланцетная с суженным устьем либо с параллельными сторонами. Часто дно вырезки однозубчатое. Реже встречаются закрытые вырезки с треугольным либо широко эллиптическим просветом.

Нижние вырезки, как правило, менее глубоки и слабее выражены. В большинстве случаев они имеют форму входящего угла либо едва намечены, реже встречаются лировидные вырезки с почти параллельными сторонами.

Черешковая выемка по форме значительно варьирует. Чаще всего встречаются закрытые черешковые выемки с яйцевидным или эллиптическим просветом, либо открытые лировидные выемки с острым концом, реже встречаются выемки и сводчатой формы.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей довольно крупные, по форме они треугольные с закругленной вершиной или треугольные со слабо выпуклыми сторонами и острой вершиной. Краевые зубцы, с острой вершиной и пилевидные, односторонне-выпуклые. Чередование крупных зубцов с мелкими хорошо заметно по всей периферии пластинки листа.

Опушение нижней поверхности листа паутиновое средней густоты с примесью довольно густого щетинистого пушка. В целом опушение листа довольно густое, переходящее в слабо войлочное.

Черешок голый, светло-зеленого цвета. Обычно он несколько короче длины среднего пера листа, реже равен ей по длине.

Гроздь. Грозди средних и выше средних размеров. Длина гроздей варьирует от 13 до 22 см, при ширине 9—15 см. Размер средней грозди равен 18×12 см. Отдельные крупные грозди свободно достигают размеров 24,5×14,5 см. Форма гроздей коническая и цилиндроконическая, реже встречаются и бесформенные грозди. Часто грозди снабжены лопастями, причем лопасти иногда достигают до половины размера основной грозди. В большинстве случаев грозди плотные, реже встречаются рыхлые и очень плотные. Осыпание и горошение ягод в грозди не наблюдаются. Количество ягод в грозди варьирует от 80 до 200, составляя в среднем 100—120 ягод на гроздь. Средний вес гроздей варьирует от 100 до 300 гр, составляя в среднем на гроздь 180—200 гр. Ножка грозди деревянистая, у основания окрашивающаяся в цвет чубука. Длина ножки в среднем равна 3—4 см, при варьировании ее от 2,5 до 6 см. Длина ножки ягоды равна 4—5 мм, по окраске она зеленая. Подушечка бородавчатая, широко конической формы, реже встречаются и узко конические подушечки.

Ягода. Ягоды средних и выше средних размеров. Длина ягод варьирует от 1,6 до 2,2 см, при ширине 1,5—2 см. Размер средней ягоды равен 1,85×1,70 см. Форма ягод округлая либо слабо овальная. Наибольшая ширина ягод лежит по середине, конец ягоды закруглен. Окраска ягод зелено-желтая, при перезревании желтая с розовыми пятнами загара. Кожица тонкая, довольно прочная. Мякоть средне сочная, рассмывающаяся. Вкус ягод нейтральный, простой. Аромат сорта незаметен. Восковой налет ягод довольно густой. Прочность прикрепления ягод к ножке недостаточная. Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4, составляя в среднем на ягоду 1,65 семени.

Мирзанули (Мирзаанский) — местный, малораспространенный сорт белых столовых вин Кахетии, дает ординарные столовые вина и отчасти десертный виноград местного значения. Распространен в Сигнахском и Цителцкарской районах Кахетии единичными кустами, реже отдельными участками на старых корнесобственных виноградниках колхозов и колхозников. В остальных районах Кахетии Мирзанули почти не встречается, за исключением Телавского района, где он растет в количестве 10 кустов на коллекционном участке Института виноградарства. В виду незначительного распространения сорта, его урожай не убирается отдельно, а перерабатывается вместе с основным сортом на обычное столовое вино. Чистосортное вино из Мирзанули готовится лишь в Институте виноградарства. Вино из Мирзанули получается невысокого качества, оно светло-соломенного цвета, хорошо очищенное, легкое, малоэкстрактивное, довольно гармоничного вкуса.

В целом вино ординарное, среднего качества.

К положительным свойствам сорта относятся его сравнительно высокая урожайность и пригодность его в качестве столового вина, безалкогольных соков коньячного материала и десертного винограда местного значения.


К недостаткам сорта относятся не высокое качество его продукции (вина), чувствительность к оидиуму и склонность к гниению ягод, в особенности в дождливую осень.

В качественных районах Кахетии для целей виноделия Мирзанули не заслуживает внимания.

Как урожайный сорт, его можно рекомендовать для восстановления и распространения на небольших площадях в районах бывшего распространения — Сигнахском и Цителцкарской, в основном, для приготовления коньяков, безалкогольных соков и частично в качестве десертного винограда местного значения. Для остальных виноградных районов СССР, в том числе и Грузии, его можно рекомендовать для изучения и широкого испытания на урожайность и качество продукции.

Сорт перспективен также для селекционных целей в качестве высокоурожайного компонента в скрещиваниях винограда.





### შ ა ვ თ ხ ი ლ ა

შავთხილა ადგილობრივი მცირედ გავრცელებული ჯიშია. იგი იძლევა ორდინარულ სუფრის ღვინოს და ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძენს.

სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის შავთხილა სხვა სახელწოდებით ცნობილი არაა.

ჯიშის ისტორია. შავთხილა ადგილობრივი წარმოშობის ვაზის ჯიშია. თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით იგი ახლოს დგას კახურ ვაზის ჯიშებთან და მათთან ერთად საერთო კერიდან უნდა იყოს წარმოშობილი. სახელწოდება მიღებული აქვს მარცვლის მიხედვით, რომელიც ძალიან მიაგავს თხილის მარცვალს.

გავრცელებულია კახეთში, უფრო მეტად ყვარლის რაიონში, სადაც იგი გვხვდება ძირითადად მინარევის სახით ძველ ვენახებში. რამდენიმე ათეული ძირი შავთხილა გაშენებულია საქართველოს მევენახეობის ინსტიტუტსა, მის ფილიალსა და დასაყრდენ პუნქტებზე ჯიშის შესწავლის მიზნით.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური თვალსაზრისით შავთხილა აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე სოფ. ვაზისუბანში.

ახალგაზრდა ყლორტები. ახალგაზრდა ყლორტების წვეროები გვირგვინითა და ჯერ კიდევ გაუშლელი პირველი ორი-სამი ფოთოლაკით შებუსუსებულია სქელი ქეჩისებრი ბეწვებით და მორუხო თეთრი ფერისაა, ხოლო ფოთოლაკების ნაპირების ირგვლივ და ყუნწის გასწვრივ გადაპკრავს მკრთალი ვარდისფერი იერი. მეორე იარუსის ფოთლებზე ზემო მხრიდან ბუსუსი ქრება და ეს მხარე მოყვითალო-მწვანე ფერისაა და თანაც მუქი მოვარდისფრო იერი დაპკრავს, ხოლო ქვედა მხრიდან ბუსუსები შენარჩუნებულია და ეს მხარე მორუხო თეთრი ფერისა რჩება.

ერთწლიანი რქა. კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მოყვითალო წითელი ფერისა ხდება, თანაც მონაცრისფრო იერი აქვს. მუხლთაშორისები საშუალო ზომისაა (8—10 სმ). მუხლები ფერით არ განსხვავდება მუხლთაშორისებისაგან. ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ ნაკლებად გამოსახული.

ფოთოლი. კარგად განვითარებული (9—12) შუა იარუსის ფოთლები საშუალო ზომისაა. ფოთლების ფირფიტა მომრგვალოა ან ოდნავ მოოვალურო ფორმისაა, იშვიათად განიერ-ოვალური ფორმის ფოთლებიც გვხვდება. ფოთლი ხუთნაკვეთიანია. ჯიშისათვის დამახასიათებელია ფოთლის მეორადი დანაკვეთვა. ფოთლის შუა ნაკვეთი ხშირად სწორკუთხოვანია. ფოთლის ზედაპირი ბადისებრ დანაოკებული ან წვრილბურთულებიანია და უმეტეს შემთხვევაში სწორი. ფოთლის მთავარი ძარღვები მომწვანო-ყვითელია და შებუსუსებულია თხელი აბლაბუდისებრი ბეწვებით.

ზედა ამონაკვეთები საშუალო სიღრმისაა. გვხვდება ღრმა ამონაკვეთებიც. ამონაკვეთები ხშირად დახურულია სამკუთხედისებრი ან განიერ ელიფსისებრი თვლით. ამონაკვეთების ფუძე მომრგვალო ან ბრტყელია, იშვიათად ვიწროყელიანი და მომრგვალოფუძიანი, ღია ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვეთებიც გვხვდება.

ქვედა ამონაკვეთები ნაკლები სიღრმისაა. უმეტეს შემთხვევაში ამონაკვეთები დახურულია სამკუთხედის ან კვერცხისმაგვარი თვლით, რომლის ფუძე ხშირად მომრგვალოა. იშვიათად ვიწროყელიანი და მომრგვალოფუძიანი, ჩანგისმაგვარი ფორმის ღია ამონაკვეთებიც გვხვდება.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა უმნიშვნელოდ ცვალებადობს. უფრო ხშირია კვადრატული ფორმის მრგვალოფუძიანი ამონაკვეთები, იშვიათად ჩანგისმაგვარი და განიერი, მშვილდისმაგვარი ფორმის ამონაკვეთებიც გვხვდება.


ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება ნემსისებურად წაწვეტებულწვერიანი ვიწრო სამკუთხედისებრი ფორმის წინ წამოწეული ან ვიწრო სამკუთხედისებრი ფორმის მახვილწვერიანი კბილებით. გვერდითი კბილები ხერხის კბილებისებრია ან მახვილწვერიანი და ცალგვერდგამოხსნეკილი. ფოთოლი კარგადაა დაკბილული.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება თბელი აბლაბუდისებრია. ამ აბლაბუდის ქვეშ მოფენილია საშუალო სისქის ჯაგრისებრი ბუსუსი. საერთოდ ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება თბელი ქერისებრია.

ფოთლის ყუნწი მის შუა ძარღვზე უფრო გრძელია, იშვიათად კი მისი ტოლია. იგი თხლადაა შებუსუსებული, ბაცი მოღვინისფრო-წითელი ფერისაა და მომწვანო ზოლები დაჰყვება სიგრძეზე.

ყვავილი. ყვავილი ნორმალური აგებულებისაა, ორსქესიანია, მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში მტვრიანათა რაოდენობა მერყეობს ხუთიდან შვიდამდე, უფრო ხშირად გვხვდება ექვს-, ხოლო იშვიათად ხუთ და შვიდმტვრიანიანი ყვავილები.

მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან შეადგენს 1,25 — 1,50-ს, იშვიათად ეს შეფარდება 1,75-საც აღწევს. ბუტკო მომრგვალო კონუსისებრი, თითქმის ბურთისმაგვარი ფორმისაა, კარგად აქვს გამოსახული სვეტი და ხშირად ორად გაყოფილი დინგი.



სურ. 23. შავთხილას ყვავილი.

მტევანი. მტევნები საშუალო ზომისაა, მათი სიგრძე მერყეობს 10-დან 18 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 4-დან 8 სმ-მდე. საშუალო მტევნის ზომა 16 X 6 სანტიმეტრს უდრის. მტევანი ვიწრო კონუსისებრია, მხრიანი, იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრიც. მტევნის მხრები ხშირად ძირითადი მტევნის სიგრძის ნახევარი და მეტიცაა. მტევანი ხშირად საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად ამაზე უფრო მკვრივი მტევნებიც გვხვდება. მტევნის საშუალო წონა მერყეობს 120-დან 160 გრამამდე. ცალკეული კარგად განვითარებული მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 300—400 გრამს.

მარცვლების რაოდენობა მტევანში მერყეობს 80-დან 200-მდე, ხოლო საშუალოდ მტევანზე 100 — 120 მარცვალი მოდის.

მტევნის ყუნწი ბალახისებრია. იგი შუა ნაწილიდან ფუძისაკენ ხვედება და რქის ფერს იღებს. ყუნწის სიგრძე მერყეობს 1,5-დან 3,0 სანტიმეტრამდე, ხოლო საშუალო სიგრძე 2,0—2,5 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე 5—8 მმ-ს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში ძლიერ დახორკლილია და განიერ კონუსისებრი ფორმისაა, იშვიათად ვიწრო კონუსისებრიცაა.

მარცვალი. მარცვლები საშუალო ზომისაა, მათი სიგრძე მერყეობს 1,5-დან 1,7-მდე ხოლო განი 1,4-დან 1,6 სანტიმეტრამდე. საშუალო მარცვლის ზომა 1,50 X 1,35 სანტიმეტრს უდრის. მარცვლების ფორმა ოვალურია, გვხვდება მომრგვალო ფორმის მარცვლებიც. მარცვლები მუქი იისფერი, თითქმის შავია; კანი უხეში, საკმაოდ მაგარი აქვს; რბილობი მკვრივი, კნატუნაა (კრაზუნაა). მარცვლები უხვადაა დაფარული ცვილისებრი ფიფქით. მარცვლის გემო სასიამოვნო, ჰარმონიულია. წვენი უფერული ან ოდნავ მოვარდისფროა. მარცვლები ყუნწზე საკმაოდ მკვიდრადაა მიმაგრებული.

წიპების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 4-მდე, უფრო ხშირად გვხვდება 2—3 წიპიანი მარცვლები. საშუალოდ მარცვალზე 2,3 წიპა მოდის.

**ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება**

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებულია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით.

კურდღელაურში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 132-დან 167 დღემდე და საშუალოდ შეადგენს 147 დღეს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად მერყეობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,678,9<sup>0</sup>-დან 3.426,3 გრადუსამდე, ხოლო საშუალოდ 2,996 გრადუსს შეადგენს. წლების განმავლობაში სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების ცვალებადობის დახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ქ. თელავში წარმოებულ დაკვირვებათა შედეგები.

შავთხილას სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა ქ. თელავში

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	ფაზების დადგომის თარიღები				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნალექები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარეპროდუქციო	სავეგეტაციო
თელავის რაიონი, ქ. თელავი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1939	24/IV	1/VI	20/VIII	25/IX	154	3,132,9	—	—
	1940	14/IV	5/VI	13/VIII	15/IX	154	3,160,2	—	—
	1941	15/IV	30/V	3/VIII	20/IX	167	3,328,1	—	—
	1942	28/IV	8/VI	13/VIII	20/IX	145	3,134,6	—	—
	საშუალო . . . . .	—	20/IV	4/VI	12/VIII	20/IX	155	3,788,9	—
თელავის რაიონი, ქ. თელავი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1943	26/IV	7/VI	13/VIII	20/IX	148	2,927,0	129,9	479,6
	1944	27/IV	4/VI	10/VIII	10/IX	137	2,742,0	39,6	346,3
	1945	4/V	11/VI	16/VIII	15/IX	155	2,767,0	48,5	346,4
	1946	23/IV	7/VI	11/VIII	5/IX	135	2,678,9	10,1	541,1
	1947	4/IV	2/VI	8/VIII	30/IX	149	2,789,6	31,4	475,5
	1948	26/IV	5/VI	9/VIII	4/IX	132	2,821,9	83,1	474,3
საშუალო . . . . .	—	23/IV	6/VI	11/VIII	9/IX	139	2,787,7	57,1	447,2

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ყველაზე ფართოდ პირველი, საწყისი ფაზა მერყეობს. მისი მერყეობის ფარგალი ერთ თვეს აღწევს. ყველაზე მცირედ მეორე ფაზა მერყეობს, ხოლო დანარჩენი ფაზების მერყეობა საშუალოა. წლის მეტეოროლოგიური პირობების გავლენა ყველა ფაზაზე მკვეთრად შესამჩნევია.

შესამჩნევია აგრეთვე ნალექების რაოდენობის გავლენა სრული სიმწიფის დადგომაზე. რაც უფრო ნაკლებია ნალექები სარეპროდუქციო და სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, მით უფრო ადრე მწიფდება ყურძენი. ყურძნის სრული სიმწიფის დადგომის ვადის მიხედვით შავთხილა სიმწიფის II პერიოდის ვაზის ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს.

მოსავლიანობა. შავთხილა საშუალო მოსავლიანი ვაზის ჯიშია. თელავის და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით ჯიშს მსხმოიარობის კარგი მაჩვენებლები ახასიათებს. მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი 0,8-დან 1,4-მდე მერყეობს და საშუალოდ რქაზე 1,12 მტევანს შეადგენს. მტევანის საშუალო წონა მერყეობს 120—160 გრამამდე და მრავალი წლის მანძილზე საშუალოდ 140—150 გრამს შეადგენს. ამ მაჩვენებლების მიხედვით გაანგარიშებული მოსავალი, როცა ჰექტარზე დათვებულია 40,000 კვირტი, 62—67 ცენტნერს შეადგენს ჰექტარზე. დაახლოებით ასეთია თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე მისი საშუალო მოსავალი, ძირობრივი აღრიცხვის შედეგად მიღებული. ცალკეულ წლებში მისი მოსავალი ვაზისუბანში გაცილებით მეტია. ასე, მაგალითად, 1939 წელს შავთხილას 20 ძირ ვაზზე მოიკრიფა 205 მტევანი, რომელთა წონა 29,600 გრამს უდრიდა. საშუალო მოსავალი ძირზე 1,480 გრამი მოგვცა. ზოგიერთ ძირზე 2,0-დან 2,5 კილოგრამამდე ყურძენი მოიკრიფა. ძირზე 800 გრამზე უფრო ცოტა ყურძენი არ მოკრეფილა. ამ მოსავლის ჰექტარზე გადაყვანისას (ვაზისუბანში ჰექტარზე საშუალოდ 5,000 ძირია) მივიღებთ 74 ცენტნერს, რაც ვაზისუბნის პირობებისათვის ნორმალურად უნდა ჩაითვალოს. თელავში იმის გამო, რომ ვაზებს დიდი კვების არე უჭირავს (ჰექტარზე საშუალოდ 3,000 ძირ ვაზზე მეტი არ არის) და იმის გამო, რომ ეს ვაზები, მათი საშუალო ზრდის მიხედვით, კვების არის შესაბამისად ვერ არიან სრულად დატვირთული, მოსავალი ჰექტარზე ვაზისუბანთან შედარებით ნაკლებია. თელავში ცალკეული ძირების მოსავლიანობა საშუალოდ ერთი კილოდან 3 კილომდე მერყეობს და ძირზე საშუალოდ 1,600 გრამს უდრის, რაც ჰექტარზე გადაყვანისას 48 ცენტნერს შეადგენს. ამ მონაცემების გათვალისწინებით შავთხილას საშუალო მოსავლად კახეთის პირობებში უნდა მივიჩნიოთ 55—65 ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე.

სოკოვანი ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. შავთხილას საკმაოდ კარგი შედარებითი გამძლეობა ახასიათებს სოკოვანი ავადმყოფობისა. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით მისი შეფარდებითი გამძლეობა მილდიუმის მიმართ შეფასებულია საშუალოზე მეტად, ხოლო ნაცრის მიმართ საშუალოდ. სხვა ავადმყოფობათაგან დაზიანება თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე აღნიშნული არ ყოფილა.

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

ყურძნის გარეგნული შეხედულებით, მისი მტევნებისა და მარცვლების მექანიკური და ქიმიური შემადგენლობით, აგრეთვე მარცვლების გემოთი შავთხილა უფრო სასუფრე ყურძნის ჯიშია. წარმოების პირობებში მას იყენებენ სუფრის ყურძნადაც და ღვინოდაც აყენებენ. მისი მტევნების მექანიკური შემადგენლობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგები.

ქ. რ. მ. მ. მ. მ.  
გ. ი. მ. მ. მ. მ.

**შავთხილას მტევნის მექანიკური შემადგენლობა**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მარცვლების რაოდენობა მტევანში	მტევნის საშუალო წონა	მტევნის შემადგენელი ნაწილები %-ობით					100 მარცვლის წონა გრამებით	100 წიპწის წონა გრამებით
				კლერტი	მარცვალი	კანი	წიპწა	წვენი და რბილობი		
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავი	1940	257,0	191,0	4,01	85,99	17,50	4,49	74,0	129,0	3,4
	1940	148	103,0	4,21	95,71	17,77	5,83	72,69	136,0	3,6
	1940	80,2	71,0	4,74	95,26	14,96	4,98	75,32	107,0	3,6

ყურძნის ლაბორატორიულ პირობებში ვადამუშავებისას, როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, წვენის გამოსავალი მტევნის სიდიდის მიხედვით მერყეობს 72%-დან 75%-მდე, ხოლო მავარი ნარჩენებისა (კლერტი, წიპწა, კანი) 25%-დან 28%-მდე. წვენის არამალალი გამოსავალი და ყურძნის უბეში კანი და კრატუნა ხორცი გვიკარნახებს შავთხილას სასუფრე ყურძნად გამოყენების უპირატესობაზე.

წვენის ქიმიური შემადგენლობა. შავთხილას წვენს ზომიერი შაქრიანობა და მჟავიანობა ახასიათებს. მისი შაქრიანობა საშუალოდ 18—19%-ს შეადგენს, ხოლო მჟავიანობა 7—8%-ს. ზოგიერთ წლებში მისი შაქრიანობა 20 და მეტ პროცენტსაც აღწევს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში შაქრიანობასა და მჟავიანობას შორის დაცული არაა ხარისხოვანი ღვინის მისაღებად საჭირო შეფარდება. ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად შაქრიანობა-მჟავიანობის ცვალებადობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია რთვლის პერიოდში წარმოებულ ანალიზების შედეგები.

**შავთხილას შაქრიანობა-მჟავიანობა რთვლობას**

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	რთვლის თარიღი	შაქარი %-ობით	მჟავიანობა %-ობით	შენიშვნა
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1943	2/V	19,0	6,45	
	1944	12/IX	20,3	10,6	
	1945	22/IX	17,5	10,2	
	1946	9/IX	20,3	7,93	
	1947	4/IX	19,0	7,92	
	1948	4/IX	16,5	5,24	
საშუალო . . . . .	—	—	18,8	8,1	

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, შავთხილას შაქრიანობა-მჟავიანობის საკმაოდ კარგი მაჩვენებლები აქვს. წვენში ორივე კომპონენტი ზომიერი რაოდენობით არის წარმოდგენილი, დარღვეულია მხოლოდ შაქრიანობა-მჟავიანობის შეფარდება. კარგი ხარისხის ღვინის მისაღებად საჭიროა, რომ შაქარი დაახლოებით სამჯერ მეტი იყოს მჟავიანობაზე. როცა ასეთი შეფარდება დაცულია მიახლოებით მაინც და თანაც სხვა პირობებიც არსებობს, შესაძლებელია კარგი ღვინის სუფრის ღვინის მიღება.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. შავთხილას ყურძენს ძირითადად ადგილობრივ იყენებენ საქმელად. იშვიათად მისგან სხვა ჯიშებთან ერთად წითელ სუფრის ღვინო-



საც ამზადებენ. წმინდა ჯიშური ღვინო შავთხილასაგან მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. მისი ღვინო არაა მაღალი ღირსებისა. იგი ალუბლისფერია, არომატი სუსტად აქვს გამოსახული, გემო სასიამოვნო აქვს, უფრო ხშირად მისგან მცირესხეულიანი ორდინარული ღვინო დგება. ჯიშობრივი ღვინოების ხარისხის შემფასებელ სადევუსტაციო კომისიის სხდომაზე შავთხილას ღვინო 1948 წლის 1/8 მაისს შეფასებული იყო 6,7 ბალით. იგი დახასიათებულ იქნა, როგორც „შინდისფერი, მცირესხეულიანი, პატარა ღვინო“. როგორც საღვინე ჯიში, შავთხილა საყურადღებო არაა, იგი უფრო გამოსადეგია სადესერტო ყურძნად. შავთხილას ყურძენს შემდეგი მაჩვენებლები ახასიათებს: მტევანი საშუალო სიდიდისაა (1,5 × 1,5 სმ); გარეგნულად საკმაოდ მიმზიდველია. მტევნის ღირსებად უნდა მივიჩნიოთ საშუალო სიმკვრივე, მარცვლების თანაბრივობა, მათი ერთდროულად დამწიფება და წვრილმარცვლიანობის უქონლობა.

მარცვლი საშუალო ზომისაა (1,50 × 1,35), ოვალური ფორმისა, მუქი ლურჯი ფერისა, საკმაოდ ლამაზი, კანი სქელია, ძნელად შორდება რბილობს, რბილობი მკვრივი და კნატუნაა. მარცვლი ყუნწზე საკმაოდ მაგრადაა მიმაგრებული. წიბწა ადვილად ეცლება რბილობს. გემო სასიამოვნო, პარმონიული აქვს. ჯიშური არომატი სუსტადაა გამოსახული.

ჯიში შორეულ ტრანსპორტს ვერ იტანს, მაგრამ მახლობელი სამკურნალო დაწესებულებების, სამრეწველო ცენტრებისა და დასასვენებელი სახლების მოსამარაგებლად ახალმოკრეფილი ყურძნით სავსებით გამოსადეგია.

შავთხილა სასურველია გამოიყენოს უაღკოპოლო ყურძნის წვეწის დასამზადებლად. მისი ამ მხრივ გამოყენება გამართლებულია ზომიერი, სავსებით საკმარისი შაქრიანობით (18—19%) და შაქრიანობასთან შედარებით ოდნავ ქარბი მკვანიანობით, რაც სასიამოვნო სიხალისეს მისცემს ყურძნის წვეწს და გახდის მას უფრო სასიამოვნო სასმელად. ჯიში ფართოდ უნდა გამოიყენოს ამ მხრივ.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

შავთხილა ადგილობრივი იშვიათი ჯიშია. იგი იძლევა ორდინარულ წითელ სუფრის ღვინოს და საშუალო ღირსების ადგილობრივ მოსამარ სადესერტო ყურძენს. თავისი სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებებით იგი არაფრით არ ჩამოუვარდება საზოგადოდ ცნობილ სადესერტო ყურძნის ჯიშს შასლას, გარდა იმისა, რომ ერთი პერიოდით (10—15 დღით) მასზე უფრო გვიან მწიფდება. შავთხილა გვხვდება უმთავრესად თელავის, ყვარლისა და გურჯაანის რაიონებში. იგი ძირითადად მინარევის სახით გვხვდება კოლმეურნეობების ძველ ვენახებში. იშვიათად გვხვდება პატარა ვენახების სახითაც კოლმეურნეთა საკარშიდამო ნაკვეთებზე. ჯიშის მცირედ გავრცელების გამო მის ყურძენს ადგილზევე იყენებენ საკმელად, იშვიათად სხვა ჯიშებთან ერთადაც წურავენ ადგილობრივი ტიპის წითელი ღვინის დასამზადებლად. წმინდა ჯიშის ღვინო შავთხილასაგან მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. იგი ალუბლისფერია, მსუბუქი, ხალისიანი ღვინოა, სუსტად გამოსახული ჯიშური არომატიანი. შავთხილას ღვინო საშუალო ღირსებისაა, იგი უფრო ხშირად ორდინარულია. შავთხილა ძირითადად გამოყენებულ უნდა იქნეს სადესერტო ყურძნად და ნაწილობრივ ხარისხოვანი ყურძნის წვეწის დასამზადებლად.

ჯიშის დადებით თვისებას წარმოადგენს საშუალოზე მეტი მოსავლიანობა და ნაადრევი სიმწიფე, ხოლო უარყოფით თვისებას — ღვინის დაბალი ხარისხი.

როგორც საღვინე ჯიში, შავთხილა კახეთის პირობებში პერსპექტიული არაა. როგორც საკმაოდ მოსავლიანი, შედარებით საადრეო და საშუალო ღირსების სადესერტო ყურძნის მომცემი ჯიში, იგი შეიძლება რეკომენდებულ იქნეს ძირითადად თელავის, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებში გასავრცელებლად სამრეწველო ცენტრების, საკურორტო ადგილებისა და დასასვენებელი სახლების ახლად მოკრეფილი ყურძნით მომარაგების მიზნით.

ჯიში პერსპექტიულია აგრეთვე ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილისათვის და საქართველოს მაღალმთიანი რაიონებისათვის. ჯიშის ადგილებზე წინასწარ გამოცდის შემდეგ იგი შეიძლება რეკომენდებულ იქნეს აღნიშნულ რაიონებში ფართობის განსაზღვრულ ნაწილზე გასავრცელებლად.

### ШАВТХИЛА

Лист. Вполне развитые листья (9—12) средних размеров (15—14 см). Листовая пластинка округлая, с более частым колебанием в сторону овальной, нежели поперек-овальной формы. Листья, в основном, атилопастные. Наличие вторичных лопастей характерно для сорта. Угол оконечной лопасти прямой.



შავთხილა — შავთხილა

Поверхность листа сетчато-морщинистая либо она бывает мелкопузырчатой. Листовая пластинка плоская. Главные нервы зеленые, они опушены паутиной средней густоты.

Верхние вырезки варьируют от средних до глубоких. Форма вырезок чаще закрытая, с треугольным либо широкоэллиптическим просветом, дно вырезки плоское либо округлое. Реже встречаются открытые ланцетовидные вырезки с узким устьем и округлым дном.

Нижние вырезки несколько менее глубоки. Форма вырезок закрытая, с треугольным или ланцетовидным просветом и округлым дном, реже встречаются открытые ланцетовидные вырезки с узким устьем и округлым дном.

Черешковая выемка по форме незначительно варьирует. Чаще всего встречаются квадратные выемки с округлым дном, реже—ланцетовидные с округлым дном, а еще реже—широкие стрелчатые выемки.

Зубцы. Оконечные зубцы ланцетовидные узко-треугольные с оттянутой в острие вершиной либо треугольные с острой вершиной. Краевые зубцы треугольно-ланцетовидные, реже односторонне-выпуклые. В целом зубчатость листьев хорошо выражена.

Опушение нижней стороны листа слабое, паутинистое, с примесью щетинистого пушка средней густоты. В целом опушение слабоволокнистое.

Черешок листа длиннее его срединного нерва, реже равен ему.

Черешок опушен слабо и окрашен в слабо вишневый-красный цвет с прозеленью.

Цветок. Цветок нормального строения, обоеполый. Тычинки прямостоячие. Число тычинок в цветке варьирует от 5 до 7; чаще всего встречаются цветки с шестью тычинками, реже с 5 и 7. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,25—1,50, реже оно достигает 1,75. Пестик округло-конической, почти шаровидной формы, с хорошо выраженным столбиком и часто двураздельным рыльцем.

Гроздь. Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует от 10 до 18 см, а ширина от 6 до 8 см. Размер средней грозди равен 16×6 см. Основная форма грозди узкоконическая, крылатая, реже встречаются и цилиндро-конической формы. Крылья гроздей свободно достигают веса 300—400 гр. Количество ягод в грозди варьирует от 80 до 200, составляя в среднем 100—120 ягод на гроздь. Пожка грозди травянистая, с середины она деревенеет и окрашивается в цвет чубука. Длина ножки варьирует от 1,5 до 3 см, у гроздей средних размеров она составляет 2,0—2,5 см. Пожка ягоды зеленая, длиной 5—8 мм. Подушечка сильно бородавчатая, чаще ширококонической, реже узкоконической формы.

Ягода. Ягоды средних размеров. Длина ягод варьирует от 1,5 до 1,7 см, при ширине 1,4—1,6 см. Размер средней ягоды равен 1,50×1,35 см. Форма ягод овальная, реже она округлая. Окраска ягод темно-синяя, почти черная. Кожица грубая, довольно прочная. Мякоть плотная, хрустящая. Восковой налет на ягодах обильный. Вкус ягод приятный, гармоничный. Сок бесцветный либо слабо розовый. Прочность прикрепления ягод к ножке достаточная.

Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4, чаще встречаются ягоды с 2—3 семенами. Среднее количество семян в ягоде равно 2,30.


Шавтхила—местный, малораспространенный сорт Кахетии. Дает ординарное столовое красное вино и десертный виноград местного значения. Распространен преимущественно в Телавском, Кварельском и Гурджаанском районах Кахетии, в основном, в виде примеси на старых корнесобственных виноградниках колхозов, реже в виде отдельных кустов на приусадебных участках колхозников. Ввиду малого распространения сорта, его урожай используется на местах в свежем виде либо перерабатывается на обычное красное столовое вино. Чистосортное вино из Шавтхила готовят в Институте виноградарства. Вино получается ординарное, посредственного качества, вишневого цвета, со слабо развитым сортовым ароматом, легкое, малоконцентрированное, с приятной свежестью. Сорт более перспективен в качестве десертного винограда и приготовления безалкогольных соков, нежели на сухое столовое вино.

К положительным свойствам сорта относятся его вышесредняя урожайность и сравнительно раннее созревание, а к недостаткам сорта—низкое качество его вина.

В условиях Кахетии, в качестве винного сорта, Шавтхила внимания не заслуживает. Его, как урожайный, сравнительно ранний, среднечастотный столовый сорт, можно рекомендовать для Телавского, Гурджаанского и Сагареджинского районов Кахетии, в основном, для снабжения промышленных центров, санаторий и домов отдыха свежим виноградом.

Сорт перспективен также для юго-восточной части Карталинии, в основном, для пригородных районов Тбилиси и высокогорных виноградных районов Грузии. После предварительного испытания на местах, его можно рекомендовать для распространения в указанных районах Грузии на соответствующей сорту площади.





## მალრანული

მალრანული ადგილობრივი მცირედ გავრცელებული ჯიშია, იძლევა ხარისხოვან თეთრ სუფრის ღვინოს.

**სინონიმები.** ადგილობრივ მევენახეთა შორის მალრანული ცნობილია ძირითადად ქისის სახელწოდებით (მალრანსა, ბაბანურსა და სხვაგან).

**ჯიშის ისტორია.** მალრანული ადგილობრივი თეთრი ჯიშია. თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით იგი ახლოს დგას სხვა ადგილობრივ ჯიშებთან. ფოთლის საერთო მოხაზულობით იგი წააგავს თეთრ კუმსს, ხოლო მტევნის აგებულებით, მარცვლის ფორმითა და გემოთი — მწვანეს. მალრანული ამ ორი ჯიშის ბუნებრივი ჰიბრიდი უნდა იყოს, რადგან მათთან ბევრი საერთო ნიშან-თვისება აქვს. ამ ნიშნების მიხედვით იგი ადგილობრივი საკმაოდ ძველი ჯიშების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს.

მალრანული გავრცელებულია თელავის რაიონში, ძირითადად ალაზნის მარცხენა ნაპირას მდებარე სოფლებში. უფრო ხშირად იგი გვხვდება მალრანში, არგოხში, ფიჩხოვანსა და მათ მახლობელ სოფლებში უმთავრესად რჭაწითელისა და მწვანის ნარგავებში მინარევის სახით და იშვიათად ცალკე პატარა ვენახების სახითაც კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მალრანული არსებითად განსხვავდება ქისისაგან, რომელიც თელავის რაიონის გამოღმა მხარის სოფლებში: იყალთოში, ოჭიოში, რუისპირში, ქისტაურსა და სხვაგანაა გავრცელებული. ამისდა მიუხედავად, როგორც ზემოთაა აღნიშნული, ალაზნის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფლებში მალრანული ქისის სახელწოდებითაა ცნობილი. სწორედ ამის გამო ამ ორი სხვადასხვა ჯიშის ურთიერთისაგან განსხვავების მიზნით ალაზნის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფლებში გავრცელებულ ჯიშს ჩვენ მალრანული ვუწოდეთ.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიში აღწერილია სოფ. ბაბანურში (თელავის რაიონი), რჩეულიშვილის ვენახში, 1949 წელს. ვენახი ძველია, უმყნობი, გაშენებულია სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე, გასხლული და გაფორმებულია კახური წესით ქივოზე.

**ფოთოლი.** ფოთლის ფირფიტის მოხაზულობა მომრგვალოა ან ოდნავ მოგრძო. ფოთოლი საშუალო ზომისაა: მისი სიგრძე 13,5—16 სანტიმეტრია, ხოლო განი 13—14,5 სანტიმეტრი. ფოთოლი მუქი მწვანე ფერისაა. მისი ზედაპირი გლუვი ან ბაღისებრ დანაოჭებულია. უფრო ხშირად ფოთოლი ხუთნაკვეთიანია. ნაკვეთები კარგადაა გამოსახული. ზედა ამონაკვეთები საშუალო სიღრმისაა, იშვიათად ღრმაც. ამონაკვეთები დახურულია, მათი ფორმა კვერცხისმაგვარია, ფუძე მომრგვალოა, ხანდახან ცალკბილიანია, იშვიათად ღია ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვეთებიც გვხვდება.

ქვედა ამონაკვეთები ნაკლებადაა განვითარებული. უფრო ხშირად გვხვდება საშუალო სიღრმისა და ზეზეური ამონაკვეთები. ამონაკვეთების ფორმა ჩანგისმაგვარია ხშირად.


ყუნწის ამონაკვეთი ღიაა, უფრო ხშირად იგი თლისმაგვარია, მაგრამ იშვიათად ჩანგისმაგვარი ფორმისაა. ამონაკვეთის ფუძე შემოთარგლულია ფოთლის მთავარი ძარღვებით.

მთავარი კბილანები სწორი სამკუთხედისმაგვარია, გვერდითი ნიკბები სამკუთხედისებრი და ვიწრო სამკუთხედისებრია.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება ქეჩისებრია. იგი შედგება საშუალო სისქის აბლაბუდისა და სქელი ჯაგრისებრი ბუსუსებისაგან. ყუნწი მეტწილად ფოთლის მთავარ ძარღვზე უფრო მოკლეა. იგი მომწვანო ფერისაა.

ყვავილი. მალრანულის ყვავილი ნორმალური აგებულებისა, ორსქესიანია. აქვს სწორმდგომი მტვრი-  
ანები და კარგად განვითარებული ბუტკო.

მტევანი. მტევანი საშუალო ზომისაა, მისი სიგრძე მერყეობს 14-დან 18 სმ-მდე, ხოლო განი 8-დან 12 სმ-  
მდე. საშუალო მტევნის ზომა 16 X 10 სანტიმეტრია. მტევ-  
ნის ფორმა კონუსისებრია, იშვიათად ცილინდრულ-კონუს-  
ისებრი ფორმის მტევნებიც გვხვდება. მტევნები მეტწილად  
საშუალო სიმკვრივისაა, მაგრამ იშვიათად მეჩხერი და სა-  
შუალოზე მკვრივი მტევნებიც გვხვდება. მტევნის ყუნწი  
ფუძესთან გახევებულია და რქის ფერისაა. ყუნწის სიგრძე  
მერყეობს 1,5-დან 3,5 სმ-მდე, უფრო ხშირად კი 2,5 სანტი-  
მეტრია.



სურ. 21. მალრანულის ყვავილი.

მარცვალი. მარცვალი საშუალო ზომისაა, მისი სიგრძე მერყეობს 1,25-დან 1,65 სმ-მდე, ხო-  
ლო განი 1,1-დან 1,55-სმ-მდე. საშუალო მარცვლის ზომა 1,55 X 1,45 სმ-ს უდრის.

მარცვალი მომრგვალო ან, იშვიათად, ოდნავ ოვალური ფორმისაა და სიმეტრიულია: შუაში განიე-  
რია, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვალი მომწვანო-ყვითელი ფერისაა, კანი თბელია და აღ-  
ვილად შორდება ხორცს; რბილობი წვნიანია, გემო სასიამოვნო აქვს, კარგად გამოსახული ჯიშურ არო-  
მატიანი. წიპწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 4-მდე, საშუალოდ მარცვალზე 2 წიპწა მო-  
დის. მალრანული სიმწიფის საშუალო პერიოდის მქონე ვაზის ჯიშია. კახეთში იგი მწიფდება სექტემბრის  
პირველ ნახევარში, რქაწითელზე ცოტათი უფრო ადრე.

### ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

მალრანულმა კარგი მოსავალი იცის. სოფ. ბაბანეურში ჩატარებული აღრიცხვის თანახმად ჯიშის  
მსხმოიარობის კოეფიციენტი 1,65-ს უდრის, ხოლო მტევნის საშუალო წონა 120 გრამს. კარგად გან-  
ვითარებული დიდი მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 300—400 გრამს. ვაზის საშუალო (8—10 კვირ-  
ტით) დატვირთვის დროს მისი მოსავალი ძირზე უდრის 1,600—2,000 გრამს, რაც ჰექტარზე გადაყვა-  
ნისას (5.000 ძირზე) შეადგენს 80—100 ცენტნერს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ 1949 წელს  
უხვი მოსავალი იყო და იმასაც, რომ გადაანგარიშებით მიღებული მოსავალი მუდამ მეტია ფაქტიურზე,  
მალრანულის საშუალო მოსავლად უნდა ვივარაუდოთ 60—70 ცენტნერი ჰექტარზე.

ადგილობრივი მევენახეების თქმით, მალრანულმა კარგი მოსავალი იცის. ამ მხრივ იგი დიდად არ ჩა-  
მოუვარდება რქაწითელს, ხოლო ზოგიერთ წლებში კიდევაც სჯობნის მას. სოკოვან ავადმყოფობებს მალრა-  
ნული შედარებით კარგად უძლებს, ამასთან ღვინოც კარგი ხარისხისა დგება. ყველაფერმა ამან ხელი შე-  
უწყო სტანდარტული ჯიშების შემდეგ მის შედარებით ფართოდ გავრცელებას თელავის რაიონში, ალაზ-  
ნის მარცხენა ნაპირზე.

ჯიშის დანიშნულება და ღვინის ხარისხი. მალრანული მტევნების გარეგნული შეხედუ-  
ლებით, აგებულებით და მარცვლების საგემოვნო თვისებებით და ქიმიური შედგენილობის მიხედვით სა-  
ღვინე ჯიშია. წარმოების პირობებშიაც მოსახლეობა მას ძირითადად სუფრის ღვინის დასაყენებლად იყე-  
ნებს და საჭმელ ყურძნად ძლიერ იშვიათად ხმარობს. მისგან დაყენებული ღვინო კარგი ღირსებისაა. იგი  
ნაზია, ჰარმონიული, საშუალო სხეულიანი, ევროპული ტიპისაა, ჯიშური არომატი კარგად აქვს გამოსა-  
ხული. მალრანულის ღვინის ნიმუში, დაყენებული კახური წესით ს. მალრანში ასპირანტ ი. ფეიქრიშვილის  
მიერ 1949 წლის მოსავლიდან, ღიაჩალისფერი, საშუალო სხეულიანი, ჯიშურ არომატიანი და ჰარმონი-  
ული გამოვიდა. ჯიში ნაზ ევროპული ტიპის ღვინოსაც იძლევა. ჯიში შეიძლება გამოყენებულ იქნეს რქა-  
წითელის ღვინოების გასაუმჯობესებლადაც.

ადგილობრივი მევენახეების გადმოცემით, მალრანულის ღვინო ყოველთვის გამოირჩეოდა სხვა ჯიშის  
თეთრი ღვინოებისაგან თავისი სინაზით, საშუალო სხეულითა და არომატულობით. ალაზნის გაღმა სოფ-  
ლებში მალრანული ცვლიდა მწვანეს, რომელიც ამ მხარეში არ იყო გავრცელებული. კარგ შედეგებს  
იძლევა მალრანული რქაწითელთან ერთადაც: იგი საგრძნობლად აუმჯობესებს რქაწითელის ღვინის საგე-  
მოვნო თვისებებს, მატებს მას სინაზეს, სიმსუბუქესა და არომატულობას. ამ ჯიშის ძველი ღვინოები ცნო-  
ბილი არაა, საჭიროა ღვინის შესწავლა იმ მხრივაც, თუ როგორ იცვლის იგი თავის თვისებებს, რამდე-

ნად უმჯობესდება ღვარგებისა და დაძველებისას. საჭიროა მაღრანული გამოიყოს მსუბუქი, ნაზი, ევროპული ტიპის სუფრის ღვინის მარკის შესაქმნელად.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

მაღრანული ადგილობრივი საინტერესო და პერსპექტიული თეთრი ჯიშია, იძლევა კარგი ღვინის სუფრის ღვინოს, რომელსაც ახასიათებს სინაზე, საშუალო სხეული და ძლიერი ჯიშური კონსისტენცია. ჯიში გვხვდება მცირე ფართობზე თელავის რაიონში, ალაზნის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფლებში, როგორც პატარა ვენახების, ისე რქაწითელის ვენახებში მინარევის სახითაც. ადგილობრივ მევენახეთა შეფასებით მაღრანულმა კარგი მოსავალი იცის და ავადმყოფობებსაც შედარებით კარგად უძლებს. ღვინის ღირსებითაც იგი საგრძნობლად გამოირჩევა სხვა ჯიშებისაგან და მოსახლეობაში ხარისხოვანი ჯიშის სახელი აქვს მოპოვებული. ამისდა მიუხედავად ჯიში მაინც არ არის ფართოდ გავრცელებული წარმოებაში და ძირითადად მხოლოდ კოლმეურნეთა ძველ საკარმიდამო ვენახებში გვხვდება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კახეთში მაღრანული მხოლოდ თელავის რაიონის მარცხენა მხარეშია გავრცელებული. ძველად იგი უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული, ხოლო ახალ ვენახებში ნაკლებად იკიდებს ფეხს. ამის მიზეზი უმთავრესად ჯიშის შეუფასებლობაში უნდა ვეძიოთ. ამ ჯიშზე წარმოებული მცირეოდენი დაკვირვების შედეგად იგი პერსპექტიული ჩანს პირველ რიგში თელავის რაიონის ორივე მხარეში გამოსაცდელად, რამდენადაც ამ მხარის ბუნებრივ პირობებთან შეგუებული, მოსავლიანი და კარგი ღირსების ღვინის მომცემი ჯიშია. ახლო მომავალში განზრახულია ამ ჯიშის სხვა ხარისხოვან პერსპექტიულ ვაზის ჯიშებთან ერთად შედარებითი გამოცდა მოსავლის რაოდენობისა და ღვინის ხარისხის შესწავლის მიზნით. მიღებული შედეგების შესაბამისად გამოვლინებული იქნება მისი გავრცელების მასშტაბი და მისთვის შესაფერისი რაიონები, ამ ჯიშის წარმოების პირობებში დანერგვის მიზნით.

### МАГРАНУЛИ

Лист. Листья средних размеров (15×14 см), округлые, реже они овальные. Окраска темно-зеленая. Поверхность листа гладкая, реже сетчато-морщинистая. Листья пятилопастные, средне рассеченные, лопасти хорошо выражены.

Верхние вырезки средние, реже глубокие. Обычно вырезки закрытые, яйцевидной формы, реже встречаются и открытые, лировидной формы. Иногда две вырезки однозубчатые.

Нижние вырезки менее выражены, по глубине рассеченности листа они средние либо мелкие. Чаще всего открытые, лировидной формы, реже щелевидные.

Черешковая выемка открытая, чаще глубокая, сводчатая, реже лировидная. Дно выемки ограничено нервами.

Крайние зубчики прямые, треугольные, оконечные узкотреугольные и треугольные.

Опушение нижней стороны листа войлочное, состоящее из тонкого паутинистого пушка и густых щетинистых волосков.

Черешок листа короче главного нерва листа, реже равен ему по длине.

Цветок нормального строения, обоеполый, с прямостоячими тычинками и хорошо развитым пестиком.

Гроздь. Грозди средних размеров (16×10 см). Форма грозди коническая, реже цилиндро-коническая. Чаще всего грозди средне плотные, реже встречаются рыхлые и плотные. Ножка грозди деревянистая и окрашена у основания в цвет чубука, длина ножки варьирует от 1,5 до 3,5 см, чаще равна 2,5 см.

Ягода. Ягоды средних размеров (1,55×1,45 см). Форма ягод округлая, реже слабо-овальная. Окраска ягод зеленовато-желтая. Кожица тонкая, легко отделяющаяся от средне плотной раскисляющейся мякоти. Вкус приятный, с хорошо выраженным сортовым ароматом. Количество семян в ягоде в среднем равно двум. Сорт начала III периода созревания.

Магранули - местный, малораспространенный сорт белых столовых вин Кахетии.

Распространен в Телавском районе в его левобережной части. Встречается, в основном, на приусадебных участках колхозников в виде малевых виноградников, реже в виде примеси на производственных виноградниках колхозов.



მაღრანული — Магранули



Магранули дает легкое, среднеэкстрактивное, мягкое столовое вино европейского типа. Вино из Магранули качественное. Магранули с успехом может быть использован в купаже с Ркацители в целях улучшения качества последнего, для придания ему легкости, мягкости и аромата.


Магранули средне-урожайный сорт, относительно хорошо устойчив против грибных болезней — милдью и оидиума. Созревает несколько ранее Ркацители.

Сорт перспективный, в первую очередь его можно рекомендовать для широкого испытания в западной полосе Бахетии для создания типа легких, нежных столовых вин европейского типа, а также для улучшения качества вин Ркацители.

Магранули перспективен также для горных районов Грузии.







ქვემოთაა  
ბიზლითქა

### ადრეულა მცვივანი

ადრეულა მცვივანი ადგილობრივი იშვიათი ჯიშია, იგი იძლევა საშუალო ღირსების თეთრ სუფრის ღვინოს.

**სინონიმები.** მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში, ჯიშის მცირედ გავრცელების გამო, ადრეულა მცვივანის სინონიმები ცნობილი არაა. ჯიშის გავრცელების ძირითად რაიონში (ყვარელში) მას დედალ მცვივანს უწოდებენ.

**ჯიშის ისტორია.** ადრეულა მცვივანი ადგილობრივი ვაზის ჯიშია, იგი წარმოშობილია ფორმათა წარმოქმნის ადგილობრივ კერაში. თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით იგი მეტად ახლოს დგას კახეთის საწარმოო ვაზის ჯიშებთან. სახელწოდება „მცვივანი“ მიღებული უნდა ჰქონდეს ყვავილების კარბად ცვენის გამო. ჩვეულებრივი მცვივანისაგან იგი, მიუხედავად იმისა, რომ სახელწოდებაც საერთო აქვს და გავრცელების რაიონიც, საკმაოდ განსხვავდება როგორც მორფოლოგიური, ისე სამეურნეო ნიშან-თვისებებით. ამიტომ მისთვის ნამდვილი მცვივანისაგან განსხვავებით დედალი მცვივანი შეურქმევიათ (ალბათ მეჩხერი მტევნების გამო). თელავის ჰაეის პირობებში მას არ ახასიათებს გადაკარბებული ყვავილცვენა და მტევნების ძლიერი სიმეჩხრე, სამაგიეროდ იგი იქ შედარებით ნაადრევად მწიფდება.

ჩვეულებრივი მცვივანისაგან განსხვავებით მას ადრეულა მცვივანი ეწოდა.

ამჟამად ჯიში გავრცელებულია ალაზნის მარცხენა ნაპირზე და გვხვდება ძირითადად მინარევის ან ცალკეული ვაზების სახით ყვარლის რაიონის ძველ ვენახებში. კახეთის დანარჩენ რაიონებში ადრეულა მცვივანი ძლიერ იშვიათია. ამჟამად შესწავლის მიზნით რამდენიმე ათეული ძირი ადრეულა მცვივანი დარგულია მევენახეობის ინსტიტუტის, მისი ფილიალისა და დასაყრდენი პუნქტების საკოლექციო ვენახებში. 1949 წლიდან იგი, როგორც შედარებით საადრეო ჯიში, მრავლდება მევენახეობის ინსტიტუტის სარეპროდუქციო ნაკვეთებზე უფრო დეტალურად შესასწავლად და საქართველოს გრილპეიან (მთიან) რაიონებში ფართოდ გამოსაცდელად.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიშის ბოტანიკური აღწერა შესრულებულია საქართველოს მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში სოფ. კურდღელაურში, 4 კილომეტრის დაშორებით ქალ. თელავიდან.

**ახალგაზრდა ყლორტი.** ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინისა და პირველი ორი-სამი ფოთოლიაკის ჩათვლით შებუსუსებულია სქელი აბლაბუდისებრი ბეწვებით და მორუხო თეთრი ფერისაა. თვით ყლორტი მორუხო მწვანე ფერისაა. მეორე იარუსის ფოთლებზე ზემო მხრიდან შებუსუსება ქრება და ეს მხარე მომწვანო ფერისა ხდება, თანაც მოღვინისფრო-წითელი იერი დაჰკრავს; ფოთლების ქვემო მხრიდან მორუხო თეთრი ფერი შენარჩუნებულია, ხოლო ქვემო იარუსის ფოთლები ბრქვეილა მუქ მწვანე ფერს იღებს.

**ერთწლიანი რქა.** კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომით ბაცი მოვარდისფრო-წითელი ფერისა ხდება. მუხლები უფრო მუქი ფერისაა. მუხლთაშორისები საშუალო სიგრძისაა. ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ გამოსახული არაა.

**ფოთოლი.** ზრდადამთავრებული ფოთოლი (9—12) საშუალო ზომისაა. ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, ხშირად ოვალური ფორმისაკენ გადახრილი. ფოთოლი სამ-, იშვიათად ხუთნაკვეთიანია. ფოთლის დანაკვეთვა ზეზეურია ან საშუალო სიღრმისა. ფოთლის ზედაპირი ბადისებრ დანაოჭებული, მაგრამ იშვიათად წვრილბურთულეობიანიცაა. ფოთლის ზედაპირი სწორია ან ოდნავ მიხრილ-მოხრილი, ფოთლის მთავარი ძარღვები მწვანეა.

ხედა ამონაკვეთები ზეზეურია, ხოლო იშვიათად საშუალო სიღრმისაა. ამონაკვეთების ფორმა ხშირად შექრილი კუთხისმაგვარი ან ლანცეტისებრია. იშვიათად სრულიად დახურული და ნაპრაღისებრი ან ოვალურთვლიანი ამონაკვეთებიც გვხვდება.

ქვედა ამონაკვეთები ნაკლებ ღრმაა, ხშირად სულ არაა განვითარებული. ამონაკვეთების ფორმა/უფრო ხშირად შექრილი კუთხისებრია, იშვიათად ნაპრაღისებრი ან ლანცეტისებრიც.

ყუნწის ამონაკვეთების ფორმა ნაკლებად ცვალებადობს. უფრო ხშირად იგი ღიაა და ჩანკისმაგვარი ან შეილდისებრი ფორმისაა, მომრგვალო ან წამახვილებულ ფუძიანი. იშვიათად დახურულმაგვარიც გვხვდება.


ფოთლის მთავარი ნაკვეთი ბოლოვდება სამკუთხედისებრი მახვილწვერიანი ან სამკუთხედისებრი გამოზნექილგვერდებიანი და მახვილწვერიანი კბილებით. გვერდითი კბილები ხერხის კბილისებრ ცალგვერდ გამოზნექილია. დაკბილვა არაა ღრმა.

ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია თხელი აბლაბუდისებრი ბეწვებით. ჯაგრისებრი ბუსუსი შეიმჩნევა მხოლოდ ძარღვების გასწვრივ, რის გამოც ხშირად აბლაბუდისებრი ბეწვები მცირეოდენი შენების შედეგად ფიფქის სახეს იღებს.

ფოთლის ყუნწი შიშველია და მწვანე ფერისაა. ყუნწი ოდნავ მოკლეა ფოთლის მთავარ ძარღვზე ან მისი ტოლია.

ყვავილი. ყვავილი ორსქესიანია. ყვავილში ხუთი, იშვიათად ექვსი, მტვრიანაა. მტვრიანათა ძაფების სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან შეადგენს 1,25—1,50-ს. ბუტკო მომრგვალო კონუსისებრი ფორმისაა და კარგად გამოსახული სვეტი და ღინგი აქვს.

მტევანი. მტევნები საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე მერყეობს 10-დან 18 სმ-მდე, ხოლო განი 4-დან 8 სმ-მდე. საშუალო მტევნის ზომა 13 X 7 სმ-ს უდრის. მტევნები უფრო ხშირად საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად მეჩხერი მტევნებიც გვხვდება. მტევნების ფორმა კონუსისებრი და ცილინდრულ-კონუსისებრია. მტევნები ხშირად მხრიანია. მტევნის საშუალო წონა მერყეობს 150-დან 200 გრამამდე და საშუალოდ 160 — 180 გრამს უდრის. კარგად განვითარებული მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 300 — 400 გრამს. მტევნის ყუნწი საშუალო სიგრძისაა, შუა ნაწილიდან ფუძისაკენ იგი ხევდება და რქის ფერს იღებს. მარცვლის ყუნწი მწვანეა. მისი სიგრძე საშუალოდ 0,6 — 0,8 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში განიერ კონუსისებრია, იშვიათად ვიწრო კონუსისებრი ფორმისაა. იგი საკმაოდ დახორკლილია.



სურ. 25. ადრეულა მკვიანის ყვავილი.

მარცვალი. მარცვალი საშუალო ზომისაა. მისი სიგრძე მერყეობს 1,5 სანტიმეტრიდან 1,75 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 1,35-დან 1,55 სმ-მდე. საშუალო მარცვლის ზომა 1,54 X 1,40 სმ-ს უდრის. მარცვალი მომრგვალო ან ოდნავ ოვალური ფორმისაა, მაინც უფრო ხშირად ოდნავ ოვალური ფორმის მარცვლები გვხვდება. მარცვალი შუაში განიერია, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს. კანი თხელი და გამჭვირვალეა. იგი ადვილად ეცლება რბილობს. რბილობი წვნიანია, წყალწყალა, წვენი უფერული აქვს, ხორცი წიბწების ირგვლივ შემკვრივებულია და ადვილად არ ეცლება წიბწებს. მარცვალი მოყვითალო ფერისაა და ღრუბლისფერი იერი დაჰკრავს. მარცვალი უხვადაა დაფარული ცვილისებრი ფიფქით, რომელიც მას ღრუბლისფერ იერს აძლევს. ჯიშური არომატი სუსტად აქვს გამოსახული. გემო ოდნავ მწკლარტე, მაგრამ ტკბილი და სასიამოვნო აქვს.

წიბწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს ერთიდან ოთხამდე. საშუალოდ მარცვალზე მოდის 2,2 წიბწა.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებულია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, რომელიც მდებარეობს სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით.

კურდღელაურის ეკოლოგიურ პირობებში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 144 დღიდან 155 დღემდე და წლების განმავლობაში საშუალოდ უდრის 148 დღეს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად ცვალებადობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,947 გრადუსიდან 3,101 გრადუსამდე და შეადგენს საშუალოდ 3,018°-ს. საგრძნობლად ცვალებადობს სავეგეტაციო პერიოდის დანარჩენი ფაზებიც. აღრეულა მცვივანის სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია წარმოებულ დაკვირვებათა შედეგები.

**აღრეულა მცვივანის სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა ქ. თელავში**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი
		კვირტის გაშლა	ყვავილობა	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე		
კახეთი, თელავის რაიონი, სოფ. კურდღელაური, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1943	26/IV	8/VI	20/VIII	20/IX	148	3,018,2
	1944	25/IV	5/VI	25/VIII	25/IX	154	3,062,0
	1945	4/V	13/VI	20/VIII	25/IX	144	2,986,1
	1946	24/IV	7/VI	16/VIII	15/IX	145	2,949,7
	1947	16/IV	2/VI	10/VIII	5/IX	155	2,995,7
	1948	27/IV	4/VI	19/VIII	18/IX	145	3,101,5
საშუალო	—	23/IV	4/VI	18/VIII	17/IX	148	3,018,8

როგორც ცხრილში მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზები საგრძნობლად მერყეობს. მათში ყველაზე მეტად პირველი, საწყისი ფაზა მერყეობს. დანარჩენი ფაზები მასთან შედარებით ნაკლებ იცვლება. სრული სიმწიფის დადგომის თარიღიც საკმაოდ ცვალებადია წლების მიხედვით, სახელდობრ, იგი მერყეობს 5 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე. ამ თარიღის მიხედვით აღრეულა მცვივანი სიმწიფის მეორე პერიოდის ვაზის ჯიშების ჯგუფს მიეკუთვნება.

კახეთის ჰავის პირობებში აღრეულა მცვივანის ერთწლიანი რქები ყუნწის სრული სიმწიფის მომენტისათვის თავისუფლად ასწრებს მომწიფებას და კარგად შემოსული და გახევებული ხედემა ზამთრის ყინვებს.

თელავში აღრეულა მცვივანს, კახეთის საწარმოო ვაზის ჯიშებთან შედარებით, საშუალო ზრდის ღონე ახასიათებს.

**მოსავლიანობა.** აღრეულა მცვივანი კახეთის სხვა ჯიშების მსგავსად აღრე ისხამს და სრულ მოსავალსაც აღრე იძლევა. იგი დარგვიდან მესამე წელს მთლიანი მოსავლის ნახევარს ისხამს, ხოლო მეოთხე-მეხუთე წლიდან უკვე სრულ მოსავალს გვაძლევს. მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე წარმოებული დაკვირვებებისა და აღრიცხვების მიხედვით აღრეულა მცვივანს მოსავლიანობის კარგი მაჩვენებლები აქვს. ჯიშის მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 0,8-დან 2,4-მდე, ხოლო საშუალოდ 1,0—1,2-ს უდრის. მტევნის საშუალო წონა მერყეობს 140-დან 200 გრამამდე, საშუალო წონა 160—180 გრამია. ამ მონაცემების საფუძველზე ძირის მოსავალი იმ შემთხვევაში, თუ ვაზზე საშუალოდ 10—12 რქაა, უდრის 1,870—2,245 გრამს, ხოლო ჰექტარზე 74 ცენტნერამდე აღწევს. ჯიშის მსხმოიარობის დამახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია 1948 წელს ჩატარებული აღრიცხვის შედეგები.

**აღრეულა მცვივანის მსხმოიარობის მაჩვენებლები 1948 წელს**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	ნაყოფიანი ყლორტების %				მტევნების საშ. რაოდენობა ერთ რქაზე	მტევნების რაოდენობა ნაყოფიან რქაზე	მტევნის საშ. წონა	ერთი რქის მოსავალი გრამებით	დატოვებული რქების რაოდენ. 1 ჰექტარზე	გაზარდიანებული მოსავალი 1 ჰექტარზე
	ერთმეტევიანი	ორმეტევიანი	სამმეტევიანი	სულ						
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	42,96	27,40	1,50	71,86	1,02	1,42	180,0	184,0	44,500	81,9 ც



ადრეულა მცვივანი—მცვივანი ადრეულა

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ადრეულა მცვივანი საკმაოდ მაღალ მოსავალს იძლევა. მისი მოსავალი მოყვანილი გაანგარიშების მიხედვით 82 ცენტნერს აღწევს ჰექტარზე. ჯიშის ფაქტიური მოსავალი 1948 წელს გაანგარიშებულზე მეტი აღმოჩნდა. ძირობრივი აღრიცხვის შედეგად ძირზე საშუალოდ მიღებულ იქნა 2,596 გრამი ყურძენი, რაც ჰექტარზე გადაყვანისას (3,300 ძირი ვაზის შენახვაში) შეადგენს 85,6 ცენტნერს.

ამ მონაცემების საფუძველზე ადრეულა მცვივანის მოსავლად კახეთის პირობებში უნდა ჩიქნაქლოთ საშუალოდ 80—85 ცენტნერი ჰექტარზე.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. თელავის საკოლექციო ვენახში წარმოებულ დაკვირვებათა და აღრიცხვების მიხედვით ადრეულა მცვივანის გამძლეობა სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ შეფასებულია საშუალოდ. ამასთან, ჯიშში მილდიუმს უკეთ უძლებს, ვიდრე ნაცარს. სხვა დაავადებანი და დაზიანებანი მავნებლებისაგან, დაკვირვებათა წარმოების განმავლობაში, აღნიშნული არ ყოფილა.

### ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

მტევნებისა და მარცვლების გარეგნული შეხედულებისა და წვეწის ქიმიური შედგენილობის მიხედვით ადრეულა მცვივანი საღვინე ვაზის ჯიშია. გამონაკლისის სახით იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე, მხოლოდ ადგილზე მოსახმარ სადესერტო ყურძნად, მაგრამ ამ მხრივ იგი გაცილებით ნაკლებ პერსპექტიულია.

წვეწის ქიმიური შედგენილობა. ადრეულა მცვივანს შაქრის დაკროვების მაღალი უნარი არა აქვს მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ წელს შაქრიანობამ 22%-ს მიაღწია. შაქრიანობის შესაბამისად მას ზომიერი მჟავიანობა ახასიათებს. ანალიზებმა გვიჩვენა, რომ მისი შაქრიანობა-მჟავიანობა ცალკეულ წლებში საგრძობლად მერყეობს. მისი შაქრიანობა მეტწილად 17,5—18,0%-ს არ აღემატება, მჟავიანობა კი ზომიერი აქვს. წლების განმავლობაში ამ მერყეობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ადრეულა მცვივანის ტკბილის შაქრიანობა-მჟავიანობა რთვლის პერიოდში.

მკვლევების რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	წელი	რთვლის თარიღი	შაქრიანობა %/100-ში	მჟავიანობა %/100-ში	შენიშვნა
კახეთი, თელავის რაიონი, მკვლევების ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი სოფ. კურდღელაურში, კ. თელავის მახლობლად	1943	25/IX	17,5	6,8	
	1944	28/IX	22,19	12,4	
	1945	25/IX	19,2	11,0	
	1947	2/IX	20,0	6,0	
	1948	11/IX	18,8	5,56	

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ზოგიერთ წელს ადრეულა მცვივანს შაქრიანობა-მჟავიანობის შედარებით კარგი მაჩვენებლები აქვს. ასეთ წლებში მისგან კარგი ღირსების თეთრი სუფრის ღვინის მიღებაა შესაძლებელი.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. ადრეულა მცვივანის მოსავალს ძირითადად ადგილობრივი ტიპის სუფრის ღვინის დასამზადებლად იყენებენ. მცირედ გავრცელების გამო წარმოების პირობებში ადრეულა მცვივანს უმთავრესად რქაწითელთან ერთად წურავენ ჩვეულებრივი ღვინის დასამზადებლად. წმინდა ჯიშურ ღვინოს ადრეულა მცვივანისაგან მევენახეობის ინსტიტუტში ამზადებენ საცდელად. მცვივანის ღვინის საცდელი ნიმუშები საშუალო ღირსებისაა. ღვინო მსუბუქია, საშუალო-სხეულიანი, გემო ჰარმონიული აქვს და ჯიშური არომატი საკმაოდ გამოსახული. უფრო ხშირად მცვივანის ღვინო ორდინარულია, მხოლოდ ზოგიერთ წელს მისგან ხარისხოვანი ღვინოც დგება.

როგორც მოყვანილი დახასიათებებიდან ჩანს, მცვივანი იძლევა მსუბუქ ორდინარული ტიპის სუფრის ღვინოს. ხარისხოვანი ღვინის მიღება მისგან მხოლოდ ზოგიერთ წლებშია მოსალოდნელი, ჩვეულებრივ კი მისი ღვინო საშუალო ღირსებისაა. ადრეულა მცვივანის ღვინის ქიმიური თვისებების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ანალიზის შედეგები ღვინის ქიმიური შედგენილობის ძირითადი ელემენტების მიხედვით. ღვინის საანალიზო ნიმუში დამზადებულია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე მიღებული მოსავლისაგან.

საქართველოს  
მევენახეობის  
ინსტიტუტი

### ადრეულა მცვივანის ღვინის ქიმიური შედგენილობა

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	ალკოჰოლი მც. %-ში	გრამი ლიტრში			
			საერთო სიმცხე	მქროლავი სიმცხე	ტანინი	მსტრატე
კახეთი, თელავის რაიონი, მცვენახეობის ინსტიტუტი, ქ. თელავი	1948	10,5	6,1	0,32	0,48	17,160

როგორც ანალიზიდან ჩანს, ადრეულა მცვივანის ღვინოს არ ახასიათებს დიდი სხეული და ალკოჰოლიანობა, მევენახეობა ცხადყოფს ზომიერი აქვს. ღვინის ანალიზის შედეგები კარგად ეთანხმება ზემოთ მოყვანილ ორგანოლექტიურ დახასიათებას.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

ადრეულა მცვივანი ადგილობრივი, მცირედ გავრცელებული ჯიშია. იგი იძლევა თეთრ სუფრის ღვინოს. გავრცელებულია ალაზნის მარცხენა მხარეზე, ძირითადად ყვარლის რაიონში და მახლობელ სოფლებში, უფრო ხშირად იგი გვხვდება მინარევის სახით ძველ ვენახებში, იშვიათად პატარა ნაკვეთების ან ცალკე ვაზების სახითაც.

ჯიშის მცირედ გავრცელების გამო მისი ურძენი ძირითადად რქაწითელთან ერთად იწურება ადგილობრივი ტიპის სუფრის ღვინის დასამზადებლად. იშვიათად მისგან ცალკეც ამზადებენ ღვინოს. ადრეულა მცვივანის სუფთა ჯიშური ღვინო მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. იგი მომწვანო-ჩალისფერია, მცირესხეულიანი, მსუბუქი, ჰარმონიული გემოსი და მცირედ გამოსახული ჯიშური არომატის მქონე. ჩვეულებრივ, ადრეულა მცვივანისაგან საშუალო ღირსების ორდინარული ღვინო დგება. მცვივანი, როგორც ადგილობრივ მოსახმარებელი სადესერტო ურძენის მომცემი ჯიში, ნაკლებ საინტერესოა. იგი სასურველია გამოიყენოს უალკოჰოლო ურძენის წვენისა და საკონიაკე სპირტის დასამზადებლად.

ჯიშის დადებითი თვისებებია მისი მაღალი მოსავლიანობა და ავადმყოფობათა შედარებით კარგი ამტანობა. უარყოფითი მხარეა მისი პროდუქციის (ურძენი, ღვინო) არამაღალი ხარისხოვნობა. კახეთში ხარისხოვანი მეღვინეობის რაიონებში, ადრეულა მცვივანი, როგორც დამოუკიდებელი, სტანდარტული ჯიში, ურძედების ღირსი არ არის. ამავე დროს, რაკი მაღალმოსავლიანია, ზოგიერთ რაიონებში იგი შეიძლება რეკომენდებულ იქნეს, როგორც დამხმარე (დამატებითი) ჯიში დიდსხეულიანი და მძიმე ღვინოების შესამსუბუქებლად.

ჯიში პერსპექტიულია აგრეთვე უალკოჰოლო ურძენის წვენისა და საკონიაკე სპირტის დასამზადებლად. ამ მიზნით იგი ფართოდ უნდა გამოიყენოს მეღვინეობის მეორეხარისხოვან და გრილჰაიან რაიონებში მოსავლიანობისა და პროდუქციის ხარისხის დასადგენად.

### МЦВИВАНИ АДРЕУЛА

Лист. Вполне развитые листья (9—12) средних размеров. Счертавшие листовой пластинки округлое с более частым колебанием в сторону овальной, нежели поперек-овальной формы. Обычно листья трехлопастные, реже встречаются и пятилопастные. Поверхность листа чаще сетчато-морщинистая, реже она (бывает) мелко-пузырчатая. Листовая пластинка плоская, реже она бывает неопределенно изогнутой. Главные нервы листа голые, светло-зеленого цвета.

Верхние вырезки мелкие, реже они достигают средних размеров. Форма вырезов незначительно варьи-

рует, чаще всего вырезки имеют форму входящего угла, либо они ланцетовидные, реже встречаются закрытые вырезки с овальным или щелевидным просветом.

Нижние вырезки менее глубоки, часто они совершенно отсутствуют. Более часто вырезки имеют форму входящего угла, реже они ланцето или щелевидные.

Черешковая выемка по форме незначительно варьирует. Чаще всего встречаются открытые вырезки ланцетовидной, либо стрелчатой формы с округлым, реже заостренным дном. Менее часто встречаются закрытые вырезки с яйцевидным просветом.

Оконечные зубцы лопастей треугольные с острой вершиной либо треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной. Боковые зубцы щелевидные, односторонне выпуклые. Зазубренность листа не глубокая.

Опушение нижней стороны листа слабое, паутинозное, щетинистый пушок заметен лишь у разветвления главных перьев. Ввиду отсутствия щетинистого пушка, паутинозный пушок от трения легко сбивается в хлопья.

Черешок листа голый, светло-зеленого цвета. Черешок несколько короче или равен длине срединного нерва листа.

Цветок. Цветок нормального строения, обоеполый. Количество тычинок в цветке пять, реже шесть. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,25—1,50. Пестик округло-конической формы с хорошо выраженным столбиком и рыльцем.

Гроздь. Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует от 10 до 18 см, а ширина от 4 до 8 см. Размер средней грозди составляет 13×7 см. Грозди в большинстве случаев средне-плотные, реже встречаются и рыхлые грозди. Форма грозди коническая и цилиндро-коническая, часто грозди крылатые. Средний вес гроздей варьирует от 150 до 200 граммов и составляет в среднем за ряд лет 160—180 граммов. Хорошо развитые полноценные грозди свободно достигают веса 300—400 граммов. Ножка грозди средней длины, от середины к основанию она деревянеет и окрашивается в цвет чубука. Ножка ягоды зеленая, длина ножки в среднем равна 0,6—0,8 см. Подушечка широко-конической формы, бородавчатая.

Ягода. Ягоды средних размеров. Длина ягод варьирует от 1,5 до 1,75 сантиметров, а ширина от 1,35 до 1,55 см. Размер средней ягоды равен 1,54×1,40. Форма ягод округлая либо слабо овальная, последняя встречается чаще. Ягоды симметричные, наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды закруглен. Кожица тонкая, просвечивающаяся. Мякоть сочная, водянистая, с комом вокруг семян. Семена не легко отделяются от мякоти. Окраска ягод желтоватая, с дымчатым оттенком. Восковой налет на ягодах обильный, он придает ягодам сизый, дымчатый оттенок. Сортовой аромат слабо выражен. Вкус ягод несколько вяжущий, но довольно приятный.

Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4, составляя в среднем на ягоду 2,2 семени.

Мцвивани адреула (в переводе осыпавшийся ранний) — местный, малораспространенный сорт винограда: дает белое столовое вино.

Распространен в левобережной части Кахетии, в основном, в Кварельском районе и близких к Кварели селах. Сорт встречается преимущественно в виде примеси на старых промышленных виноградниках, реже в виде отдельно стоящих кустов либо в виде маленьких участков. Ввиду незначительного распространения сорта, его продукция (виноград) перерабатывается вместе с основным сортом Ркацителю на обычное столовое вино, реже из него готовят чистосортное вино. Чистосортные вина из Мцвивани адреула готовятся в Институте виноградарства. Вино Мцвивани отличается зеленовато-желтоватым цветом, легкостью, малым содержанием экстракта, гармоничным вкусом и слабо выраженным сортовым ароматом. В целом Мцвивани адреула дает среднечастное, ординарное вино.

В качестве десертного винограда местного значения Мцвивани мало интересен. Сорт перспективен для приготовления качественного безалкогольного сока и материала для качественных коньяков.


К положительным свойствам сорта относятся его высокая урожайность и относительно хорошая устойчивость против грибных болезней.

К недостаткам сорта относится невысокое качество продукции (вино, виноград).

В качественных районах Кахетии, как промышленный (основной) сорт, Мцвивани адреула внимания не заслуживает. Однако ввиду высокой урожайности, его можно рекомендовать в некоторых районах Кахетии в качестве дополнительного сорта для улучшения (смягчения) качества грубых, тяжелых вин некоторых районов Кахетии.

Сорт перспективен также для испытания в сравнительно холодных и второстепенных районах Грузии для приготовления безалкогольных соков и коньячного спирта.





## კახური ღრუბელა

კახური ღრუბელა იშვიათი ვაზის ჯიშია. იგი იძლევა ორდინარულ სუფრის ღვინოს და ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძენს.

**სინონიმები.** მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის ღრუბელა ცნობილია აგრეთვე ღრუბელა ყურძნის სახელწოდებით. ვიალასა და ვერმორელის ფრანგულ ამპელოგრაფიაში მოკლედ აღწერილია იგი ღრუბელასავე (Groubela) სახელწოდებით.

**ჯიშის ისტორია.** კახური ღრუბელა ადგილობრივი წარმოშობის ჯიშია. მას კახური დამატებით იმიტომ ეწოდა, რომ, ჯერ ერთი, იგი კახური წარმოშობისაა და, მეორე, ღრუბელას სახელწოდებით საქართველოში ჯერჯერობით 4 სხვადასხვა ღრუბლისფერი ჯიშია ცნობილი, სახელად: კახური ღრუბელა, იმერული ღრუბელა, ქართლური ღრუბელა და შიშველფოთლიანი ღრუბელა. ყველა ამათ, უკანასკნელის გამოკლებით, ფოთლის ქვედა მარცხე შებუსუსებული აქვთ ბუსუსით — აბლაბუდისებრი და წყებული და ქეჩისებრი და მთავრებული; გარდა ამისა, ყველას მომრგვალო ან ოდნავ შეზნექილი მარცვალი და საშუალო ზომის მტევნები და მარცვლები აქვს. ვიალასა და ვერმორელის ფრანგული ამპელოგრაფიის VII ტომში მოკლედ აღწერილი ღრუბელა უფრო შიშველფოთლიანს უახლოვდება. ყველა ეს ჯიში ინვენტარიზებული და გაშენებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის მთავარსაკოლექციო ნაკვეთზე. მათი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებების შეპირისპირებით გამოირკვა, რომ ოთხივე ჯიში ერთმანეთისაგან საგრძობლად განსხვავდება. მათ აერთებს მხოლოდ საერთო სახელწოდება, მიღებული მარცვლების რუხი, მტრედისფერი შეფერვის გამო. კახური და ქართლური ღრუბელა შედარებით უფრო ახლო დგანან ურთიერთთან, ვიდრე დანარჩენები. ღრუბელას წარმოშობის დროისა და ადგილის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

ღრუბელა მოიპოვება უმთავრესად საგარეჯოს რაიონში. აქ იგი გვხვდება თითო-ორი ვაზის სახით ძირითადად კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ძველ ვენახებში. ამ რაიონში ყველაზე მეტად ღრუბელა მოიპოვება სოფ. ზანავში, სადაც იგი პატარა ნაკვეთების სახითაც გვხვდება. თელავის რაიონში ღრუბელა მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტის ნაკვეთზე 80-100 ძირია გაშენებული.

## ჯიშის ბოტანიკური აღწერა

მორფოლოგიური თვალსაზრისით ჯიში აღწერილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავის მახლობლად.

**ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ).** მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინისა და პირველი 2—3 ფოთოლაკის ჩათვლით შებუსუსებულია ყოველი მხრიდან სქელი აბლაბუდისებრი ბეწვებით, შეფერილია თეთრი ფლანელისფრად და სუსტი მოვარდისფრო არშია აქვს შემოვლებული ფოთოლაკების ნაპირების ირგვლივ. მეორე იარუსის ფოთლები ზემო მხრიდან შებუსუსების შემცირების გამო მომწვანონაკვეთელ ფერს იღებს, თანაც მოვარდისფრო იერი დაჰკრავს ფოთლების ნაპირებზე. ქვედა მხრიდან ფოთლები ინარჩუნებს შებუსუსებას და იღებს მოვერცხლისფრო თეთრ ფერს.

**ერთწლიანი რქა.** კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მოწითალო იერის მქონე ღრუბელა ყვითელ ფერს იღებს. მუხლთაშორისების სიგრძე ცვალებადობს 6-დან 12 სანტიმეტრამდე, საშუალოდ კი 8—10 სმ-ს უდრის. მუხლები ფერით არ გამოირჩევა მუხლთაშორისებისაგან. მუხლთაშორისების გასწვრივ ზოლები არაა გამოსახული.

**ფოთოლი.** კარგად განვითარებული ფოთლები საშუალო ზომისაა (17 × 15 სმ). ფოთლას ფირფიტა მომრგვალო ან ოდნავ ოვალურია. ფოთოლი ხუთნაკვეთიანია, ნაკვეთები კარგად არის გამოსახული. ფოთლების მეორეული დანაკვეთვა დამახასიათებელია ჯიშისათვის. ფოთლის ფირფიტა გლუვია, იშვიათად,



ძირითადად ქვედა იარუსის ფოთლებზე იგი ბადისებრ დანაოქებულიცაა. ფოთლის ფორფიტა სწორია ან მიხრილ-მოხრილია და ძირს დაშვებულ ნაკვთებიანი. ფოთოლი ღია მწვანე ფერისაა.

ზედა ამონაკვეთები უმეტეს შემთხვევაში საშუალო ზომისაა; იშვიათად უფრო ღრმა ამონაკვეთებიც გვხვდება. უფრო ხშირად ამონაკვეთები დახურულია განიერ ელიფსისებრი თვლით, იშვიათად ღია; შევიწროებულყელიანი ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვეთებიც გვხვდება. ხანდახან დახურული, ელიფსისებრი განიერ ელიფსისებრი ფორმის ამონაკვეთებიც მოიპოვება.



ქვედა ამონაკვეთები ყოველთვის ნაკლებ განვითარებული და ნაკლებ ღრმაა. ჩვეულებრივად მწვანე-ყვითელი ზეზეურია ან საშუალო სიღრმისაა. ამონაკვეთები ღიაა და ჩანგისმაგვარი ფორმისაა. იშვიათად ელიფსისებრთვლიანი დახურული ამონაკვეთებიც გვხვდება.


ყუნწის ამონაკვეთი თითქმის მუდამ ღიაა. იგი ძირითადად ჩანგისმაგვარია და მომრგვალო ფუძიანი. იშვიათად თაღისმაგვარი ფორმის მრგვალოფუძიანი ამონაკვეთებიც გვხვდება. ჩანგისმაგვარი ამონაკვეთები უფრო ხშირად შუა იარუსის ფოთლებზეა, ხოლო თაღისმაგვარი — ქვედა იარუსის ფოთლებზე.

ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება მახვილწვერიანი და გამოხეტილგვერდებიანი სამკუთხედისმაგვარი, იშვიათად გუმბათისმაგვარი კბილებით. გვერდითი კბილები ხერხის კბილისებრია, გამოხეტილგვერდებიანი და მახვილწვერიანი.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება აბლაბუდისებრია. აბლაბუდის ქვეშ მოფენილია საშუალო სისქის ჯაგრისებრი ბუსუსი. ქვედა იარუსის ფოთლებზე ჯაგრისებრი ბუსუსი საგრძნობლად მატულობს და შებუსუსებაც სქელი ქეჩისებრი ხდება.

ფოთლის ყუნწი ფოთლის შუა ძარღვზე უფრო მოკლეა ან მისი ტოლია. იგი მიშველია ან დაფარულია ჯაგრისებრი თხელი ბუსუსით (განსაკუთრებით ქვედა იარუსის ფოთლებზე). ყუნწი მუქი მწვანეა ან მოწითალო-ღვინისფერია ძარღვების განტოტების ადგილთან.

ყვავილი. ყვავილი ორსქესიანია. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში 5, იშვიათად 6, მტვრიანაა. მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან უდრის 1,5 — 2,0-ს, იშვიათ შემთხვევაში ეს შეფარდება 2,5-საც კი აღწევს. ბუტკო კოლბისმაგვარი ფორმისაა, აქვს წვრილი სვეტი და კარგად განვითარებული ორად გაყოფილი დინგი.



სურ. 26. კახური ღრუბელას ყვავილი.

მტევანი. მტევნები საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე მერყეობს 12-დან 18 სმ-მდე, ხოლო განი — 8-დან 12 სმ-მდე. საშუალო მტევნის ზომა უდრის 16 × 9 სანტიმეტრს. მსხვილი, კარგად განვითარებული მტევნების ზომა აღწევს 20 × 12 სანტიმეტრს. მტევანი განიერ კონუსისებრი ფორმისაა ხშირად დატოტვილი. იშვიათ შემთხვევაში ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმის მტევნებიც გვხვდება. მტევნები უფრო ხშირად საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათ შემთხვევაში უფრო კუმსი მტევნებიც გვხვდება. წვრილმარცვლიანობა და მარცვალცვენა ჯიშს არ ახასიათებს. მტევნის საშუალო წონა 170 — 180 გრამს უდრის. ცალკეული დიდი მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 650 გრამს და მეტსაც. მარცვლების რაოდენობა მტევანში მერყეობს 100-დან 225 ცალამდე და საშუალოდ 150-ს უდრის. მტევნის ყუნწი ბალახისებრია, შუა ადგილიდან ფუძისაკენ იგი ხევდება და რქის ფერს იღებს. ყუნწის სიგრძე მერყეობს 3-დან 5 სანტიმეტრამდე, ხოლო საშუალოდ 3,5 — 4,0 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ყუნწი მწვანეა. მისი სიგრძე საშუალოდ 4—5 მილიმეტრს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში ჩვეულებრივად ხორკლიანებია, იშვიათ შემთხვევაში კი დაუბორკლავიცაა. ბალიშის ფორმა განიერ კონუსისებრი, ბადრისნაგვარია.

მარცვალი. მარცვლები საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე 1,55 — 1,70 სანტიმეტრს უდრის, ხოლო განი 1,50 — 1,75 სანტიმეტრს. მარცვლები მომრგვალოა და ოდნავ შეზნექილი. ოდნავ შეზნექილი მარცვლების რაოდენობა ქარბობს მომრგვალო მარცვლებისას. მარცვლები ლევა-მტრედისფერია, მოიისფრო იერიანი. კანი თხელია, მაგრამ საკმაოდ მკერძო. რბილობი წვნიანია და მდნარი. მარცვლები დაფარულია საკმაოდ სქელი ცვილისებრი ფიფქით, გემო ნახი და სასიამოვნო აქვს. ჯიშური არომატი სუსტადაა გამოსახული. მარცვლები საკმაოდ მჭიდროდაა მიმაგრებული ყუნწზე. წიბების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 4-მდე, საშუალოდ კი მარცვალზე 2,4 წიბოა მოდის.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე ჩატარებულია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში სოფ. კურდღელაურშია, ქ. თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით.

კურდღელაურის ეკოლოგიურ პირობებში ღრუბელას სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 128 დღიდან 168 დღემდე, წლების განმავლობაში საშუალოდ კი უდრის 149 დღეს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად მერყეობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,667 გრადუსიდან 3,389 გრადუსამდე, ხოლო საშუალოდ 3,055 გრადუსს შეადგენს. სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზებიც საკმაოდ ფართო ფარგლებში მერყეობს, განსაკუთრებით აღსანიშნავია სავეგეტაციო პერიოდის პირველი, საწყისი ფაზის ცვალებადობა. წლების განმავლობაში ამ ფაზების მერყეობის დახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ს. კურდღელაურში ღრუბელას სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე დაკვირვების შედეგები.

**ღრუბელას სავეგეტაციო პერიოდის მსვლელობა ქ. თელავში**

მვენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღები					სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა	ჯამი აქტიური ტემპერატურებისა სავეგეტაციო პერიოდში	ნაღებები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე	სარეზერვუალო პერიოდში			სავეგეტაციო პერიოდში	
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავის მახლობლად	1938	26/IV	8/VI	9/VIII	20/IX	147	3,134,8	10,4	431,0	
	1939	22/IV	8/VI	9/VIII	15/IX	146	2,978,2	65,5	543,0	
	1940	15/IV	10/VI	18/VIII	30/IX	168	3,409,3	62,6	596,9	
	1941	5/IV	31/V	5/VIII	10/IX	159	3,230,4	54,5	450,7	
	1942	26/IV	12/VI	18/VIII	20/IX	147	1,166,7	144,4	558,5	
საშუალო . . . . .	—	19/IV	7/VI	19/VIII	19/IX	153	3,183,8	67,5	525,8	
"	1943	27/IV	12/VI	19/VIII	25/IX	151	3,011,5	117,4	479,6	
"	1944	24/IV	7/VI	18/VIII	20/IX	149	2,958,2	71,5	392,5	
"	1945	5/V	14/VI	18/VIII	10/IX	128	2,667,0	41,8	339,6	
"	1946	22/IV	9/VI	22/VIII	10/IX	141	2,911,1	—	553	
"	1947	4/IV	5/VI	15/VIII	5/IX	154	2,917,4	53,8	511,6	
"	1948	26/IV	9/VI	12/VIII	28/IX	155	3,214,8	135,3	526,4	
საშუალო . . . . .	—	23/IV	9/VI	17/VIII	16/IX	146	2,946,6	70,0	467,1	

სავეგეტაციო ფაზებიდან ყველაზე მეტად ვეგეტაციის საწყისი ფაზა — კვირტის გაშლის დასაწყისი — მერყეობს. მისი მერყეობის ფარგალი ერთ თვემდე აღწევს. ამ ფაზის დასაწყისზეა ძირითადად დამოკიდებული სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობაც. რაც უფრო ადრე იწყება კვირტის გაშლა, მით უფრო გრძელია სავეგეტაციო პერიოდი და, პირიქით, რაც უფრო გვიან დაიწყება კვირტის გაშლა, მით უფრო მოკლე დროში მწიფდება ყურძენი. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ 1945 და 1947 წლის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა კვირტის გაშლის დაწყებასთან დაკავშირებით. შედარებით ნაკლებ მერყეობს ყვავილობისა და სიმწიფის დასაწყისი: მათი მერყეობა 10—12 დღის ფარგლებს არ სცილდება. მათზე უფრო მეტად ცალკეული წლების მიხედვით მერყეობს სრული სიმწიფის დადგომის ვადა. ცალკეულ წლებში ამ ფაზის დადგომის მიხედვით ღრუბელა მიეკუთვნება სიმწიფის II პერიოდის (ბოლო ვადის) ვაზის ჯიშებს.

თელავის ჰავის პირობებში, სადაც საშუალო დღელამური ტემპერატურა 10<sup>0</sup>-ს ზევით დგას საშუალოდ ნოემბრის თვემდე, ღრუბელას ერთწლიანი რქები თავისუფლად ასწრებს მომწიფებას და კარგად შემოსული და გახვეებული ხდება ზამთრის ყინვებს. არა თუ თელავში, საგარეჯოს რაიონშიც, სადაც შედარებით უფრო გრილი ჰავაა, ღრუბელას რქები თავისუფლად ასწრებს მომწიფებას.

ღრუბელას ვაზებს თელავისა და მანაყის პირობებში კახურ ძირითად ვაზის ჯიშებთან შედარებით საშუალო სიმძლავრის ზრდა ახასიათებს.

**მოსავლიანობა.** ღრუბელა, კახურ ძირითად ვაზის ჯიშების მსგავსად, ადრე იძლევა რიგობრივ პირველ, ისე სრულ მოსავალს. თელავის საკოლექციო ნაკვეთზე ჩატარებული დაკვირვებით ღრუბელას ნამყენებმა დარგვის მესამე წლიდან მოიხზა პირველად, ხოლო მეოთხე წლიდან თითქმის ნორმალური მოსავალი მოგვცა. ასე, მაგალითად, დარგვიდან მეოთხე წელს (1936 წ.) ღრუბელას 10 ძირ ვაზზე მიღებული იქნა 57 მტევანი, ხოლო საშუალოდ 1 რქაზე მოდიოდა 0,75 მტევანი, 1943 წელს კი იმავე ასაკის ვაზებმა სარებროდუქციო ნაკვეთზე მოგვცა რქაზე 0,61 მტევანი, რაც ჯიშისათვის ნორმალურად უნდა ჩაითვალოს, მეხუთე წლიდან ღრუბელა ნორმალურ ანუ სრულ მოსავალს იძლევა.

ღრუბელა მოსავლიანი ვაზის ჯიშია. საგარეჯოს რაიონში, სადაც ძირითადადაა გაერცვლებული, მან კარგი მოსავალი იცის. თელავში საკოლექციო ნაკვეთზე ჩატარებული დაკვირვებების მიხედვით მისი მოსავალი საშუალოზე მცირე აღმოჩნდა. 1940 წელს ჯიში დაშენილ იქნა რიპარია X ბერლანდიერი 5 ბბ საძირზე და დაირგო სარებროდუქციო ნაკვეთზე შედარებით უფრო ნოყიერ ნიადაგზე. ამან საგრძნობლად გაადიდა ღრუბელას მოსავლიანობა.

საერთოდ, ჯიში მსხმოიარობის მაღალ მაჩვენებლებს არ იძლევა, მისი მოსავლიანობის კოეფიციენტი წლების მანძილზე 0,24-დან 0,75-მდე მერყეობს და საშუალოდ უდრის 0,5 მტევანს რქაზე. მტევნის საშუალო წონაც დიდ ფარგლებში მერყეობს: 80 გრამიდან 700 გრამამდე, ხოლო საშუალოდ 170—180 გრამს უდრის, ჯიშის ძირითადი ნაკლი ისაა, რომ ჩვეულებრივი აგროტექნიკის პირობებში მას უნაყოფო ყლორტების მეტად დიდი პროცენტი ახასიათებს, რაც საგრძნობლად ამცირებს მის მოსავალს. ჯიშის მსხმოიარობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია თელავში ღრუბელას საკოლექციო და სარებროდუქციო ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვების შედეგები.

**მონაცემები ღრუბელას მსხმოიარობის შესახებ**

მყენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	ნაყოფიანი ყლორტების პროცენტი			მტევნების რიცხვი 1 ნაყოფიან ყლორტზე	მტევნების საშუალო რაოდენობა 1 რქაზე	მტევნის საშუალო წონა გრამობით	1 რქის მოსავლიანობა გრამობით	დატოვებული რქების რაოდენ. ჰექტარზე	გაანგარიშებული მოსავალი მთლიანად ჰექტარზე
		ერთ-მტევნიანი	ორ-მტევნიანი	სულ						
კახეთი, თელავის რაიონი, საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1942	—	—	64,3	1,21	0,64	192,2	122,8	33,000	40,52
	1943	—	—	53,2	1,28	0,67	220,0	147,4	32,000	47,16
სარებროდუქციო ნაკვეთი, დარგული 1940 წელს საკოლექციო ვენახი	1943	—	—	50,0	1,22	0,61	200,0	122,0	30,000	36,6
	1948	31,39	5,81	37,20	1,15	0,43	226,0	972,0	36,000	36,6

ცხრილში ნაჩვენებია უნაყოფო ყლორტების დიდი პროცენტი. ეს საგრძნობლად ამცირებს ჯიშის მსხმოიარობის კოეფიციენტს და მოსავლიანობას. გადაანგარიშებული მოსავალი ჰექტარზე შეადგენს 35—47 ცენტნერს, რაც თელავის პირობებისათვის საშუალოდ და საშუალოზე მცირედაც უნდა იქნეს მიჩნეული. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ღრუბელას ვაზი უფრო მეტს ისხამს ფუძიდან მოშორებულ რქებზე. ნეკები და საკავებლის პირველი 4—5 რქა ჩვეულებრივ ნაკლებ მსხმოიარეა. ასე, მაგალითად, ნეკებზე მოსავლიანობის კოეფიციენტი 0,3-ს არ აღემატება, ხოლო ძველიანიდან ამონაყარი თითქმის უნაყოფოა. მტევნების განაწილება რქებზე საშუალოდ შემდეგნაირია: უნაყოფო ყლორტები შეადგენს 40%-ს, ერთ-მტევნიანი რქები — 46%-ს, ორმტევნიანები — 14%-ს, ხოლო სამმტევნიანები იშვიათად გვხვდება. მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ რაიონში მიღებული აგროტექნიკის პირობებში ჯიში ვერ ამჟღავნებს თავის პოტენციურ შესაძლებლობებს და საშუალო და საშუალოზე დაბალ მოსავალს იძლევა. ჯიშის მოსავლიანობის გასაძლიერებლად, მისი ბიოლოგიური თვისებების გათვალისწინებით, საჭიროა ფორმირების შეცვლა იმგვარად, რომ შესაძლებელი შეიქნეს ვაზის დატვირთვის საგრძნობი გადიდება, ვაზის გრძელი გასხვლის საშუალებით. ამისათვის საჭიროა 2 სამკვირტიანი ნეკის და ვაზის ღონის შესაბამისად 2 რვან ათკვირტიანი საკავებლის დატოვება და კორდონის ფორმირების შემოღება 2 ან 3 სასხლავი ელემენტის მიცემით.

ახალი ვენახების გაშენებისას, ჯიშის ზრდის სიმძლავრის შესაბამისად, მას არ უნდა მიეცეს ორ კვადრატულ მეტრზე მეტი კვების არე, რადგან ამ კვების არეზე, რაიონში მიღებული აგროწესების გამოყენებით თავისუფლად შეიძლება მისი სრული დატვირთვა და ამით მოსავლიანობის გადიდება.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა, კახური ღრუბელა სოკოვან ავადმყოფობებს საკმაოდ კარგად უძლებს. თელავის საკოლექციო ვენახში ჯიშზე მრავალი წლის განმავლობაში დაკვირვებების შედეგად მისი შედარებითი გამძლეობა სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ შემცირებულია. შესაძლებელია, ამასთან, იგი ნაცარს საშუალოზე უკეთ უძლებს.

კარგად უძლებს ღრუბელა ნაცარს საგარეჯოს რაიონშიაც, სადაც ეს ავადმყოფობა ძალიან გავრცელებულია. მომეტებულად ამ რაიონში გავრცელება ღრუბელასი ნაწილობრივ შეიძლება ნაცრის კარგი გამძლეობით აიხსნას.

სხვა ავადმყოფობათაგან სამეურნეო მნიშვნელობის დაზიანება დაკვირვებათა წარმოების პერიოდში შემჩნეული არ ყოფილა. შედარებით კარგად უძლებს ღრუბელა ზამთრის ყინვებსაც.

### ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

ყურძნის მექანიკური შედგენილობა, მისი საგემოვნო თვისებები, აგრეთვე ყურძნის წვენის ქიმიური შედგენილობა იმაზე მიგვითითებს, რომ ღრუბელას მოსავალი მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს მშრალ სუფრის ღვინოდ და სადესერტო ყურძნად.

ამის დასადასტურებლად ქვემოთ მოყვანილია ღრუბელას ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგები.

### ღრუბელას ყურძნის მექანიკური შედგენილობა

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მტვერის საშუალო წონა	მარცვლების რიცხვი მტვერში	ყურძნის შემადგენელი ნაწილები პროცენტებით					100 მარცვლის წონა გრამებით	100 წიპწის წონა გრამებით
				კლერტი	მარცვლი	კანი	წიპწა	წვენი და რბილობი		
კ. ზეთი, თელავის რაიონი, კ. თელავის საკოლექციო ვენახი	1940	108	70	3,83	96,17	10,36	4,45	81,36	152,0	2,9
	1940	17,40	95	3,46	96,54	8,48	3,45	84,61	172,0	2,7
	1940	55,87	62	6,68	93,32	13,31	3,16	76,85	83,0	1,8
		170	150	3,50	96,5	12,5	5,5	78,5	112,2	2,5

მექანიკური შედგენილობა, წვენის საკმაოდ მაღალი გამოსავლიანობა და მაგარი ნარჩენების (კანი, კლერტი, წიპწა) შედარებით მცირე რაოდენობა მიგვითითებს ღრუბელას ღვინოდ დაყენების მიზანშეწონილობაზე. ამავე დროს წვენის ქიმიური შედგენილობის მიხედვით ღრუბელა უფრო სადესერტო ყურძნის ჯიშებს უახლოვდება. ამ ორი მხარის გათვალისწინებით ღრუბელა საღვინე-სადესერტო ყურძნის ჯიშად უნდა მივიჩნიოთ.

წვენის ქიმიური შედგენილობა. ღრუბელას ყურძნის წვენს საშუალო შაქრიანობა და შედარებით დაბალი მკვების ახასიათებს.

რთელის პერიოდში მრავალი წლის მანძილზე ჩატარებული დაკვირვებების მიხედვით მისი შაქრიანობა მერყეობს 15%-დან 20 პროცენტამდე და საშუალოდ 17—18%-ს შეადგენს, ხოლო მკვების ახასიათება 3<sup>0</sup>/<sub>100</sub>-დან 7<sup>0</sup>/<sub>100</sub>-მდე მერყეობს და საშუალოდ 5—6<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ა.

შაქრისა და მკვების არც აბსოლუტური რაოდენობა და არც მათი შეფარდება ურთიერთთან არ არის დამაკმაყოფილებელი რიგიანი სუფრის ღვინის მისაღებად. ამ მაჩვენებლების მიხედვით, ისე როგორც ყურძნის აგრეთვე გარეგნული შეხედულებით, ღრუბელა უფრო სადესერტო ჯიშია, ვიდრე საღვინე. ცალკეული წლების მიხედვით შაქრიანობა-მკვების მერყეობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ქიმიური ანალიზების შედეგები.



კახური ღრუბელა—Грубела Кахури

საქართველოს სსრ-ის  
საბუნებისმეტყველო  
მეცნიერებათა აკადემიის  
ბიბლიოთეკის  
სტამბა

ღრუბელას შაქრიანობა-მყავიანობა რთვლის პერიოდში

მევენახეობის რაიონი და ან. ღვინის წარმოების ადგილი	წელი	რთვლის თარიღი	შაქარი გრამით	მყავიანობა %	შენიშვნა
კაზეთი.	1937	4/IX	15,5	6,8	
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში (სოფ. კვრდელაჯრი).	1938	20/IX	19,24	5,0	
	1939	15/IX	17,8	5,6	
	1940	30/IX	19,8	5,7	
	1941	10/IX	20,0	4,6	
	1942	20/IX	18,0	5,2	
	1944	26/IX	17,1	5,8	
	1945	11/IX	15,2	5,8	
	1948	16/IX	17,2	3,13	



მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ ცალკეულ წლებში რთვლის ცოტა დაგვიანებით ჩატარების საშუალებით მიღწეულია შაქრიანობის საგრძნობი გადიდება, მაგრამ ამავე დროს მყავიანობის საგრძნობი შემცირება ხელს უშლის ღრუბელასაგან კარგი ღვინის ღვინის მიღებას.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება, ღრუბელას მოსავალს იყენებენ ძირითადად მშრალი სუფრის ღვინის დასამზადებლად და ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძნად. რადგანაც ჯიში გავრცელებული არაა, წარმოებაში მისგან ცალკე ღვინო არ მზადდება, იგი სხვა ჯიშებთან ერთად იწურება ჩვეულებრივი სუფრის ღვინის დასამზადებლად. ღრუბელას წმინდა ღვინო მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. ღრუბელას ღვინო არაა მაღალი ღვინის. იგი მომწვანო-ჩალისფერია მსუბუქი და მცირესხეულიანია. ჯიშური არომატი სუსტად აქვს გამოხატული, გემო სასიამოვნო აქვს, საერთო შეფასებით იგი ორდინარული, საშუალო ღვინის ღვინოა. მის უფრო ვრცლად დახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები ჯიშობრივი ღვინოების ხარისხის შემფასებელი სადევუსტაციო კომისიის სხდომების ოქმებიდან. ამ კომისიის სხდომები ყოველწლიურად იმართება მევენახეობის ინსტიტუტში ჯიშობრივი ღვინოების ხარისხის შეფასების მიზნით.

ამონაწერი სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური შეფასება
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1941	10/I 1942	6,8	კარგად დაწმენდილი, ღია ჩალისფერი, მსუბუქი, მცირესხეულიანი, ორდინარული ღვინო.
"	1947	13/V 1948	7,2	კარგად დაწმენდილი, მკრთალი მოვარდისფრო, ნახ არომატიანი, ხალისიანი, მცირესხეულიანი, მსუბუქი ღვინო. გემოში ვმჩნევა სასიამოვნო სიტკბო.

ღრუბელას ღვინის უფრო სრული დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია მისი ქიმიური შედგენილობის მაჩვენებლები.

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	ალკოჰოლი მოცულობით %/ც	საერთო მჟავიანობა გრამით	ლიტრზე	მკრთალე მყავიანობა გრამით	ლიტრზე	მსტრაქტი შაქრით გრამით	ლიტრზე	ტანინი გრამით	ლიტრზე	კუთრი ღონა
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავში	1947	7,2	5,9	0,33	61,616	0,41	—	—	—	—	—
	1940	11,5	7,29	1,62	16,76	—	—	—	—	—	0,9919

ღვინოდ დაყენების გარდა ღრუბელას იყენებენ ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძნად. იგი შემდეგი თვისებებით ხასიათდება:

ა. მტვევანი. მტვევის გარეგნული შეხედულება, მომსხო და თავისებური ღევა მტვევისფერი მარცვლები მიმზიდველს ზღის მას მომხმარებლისათვის. კარგად განვითარებული მტვევების წონა 600—800 გრამს აღწევს, ფორმით განიერი კონუსისებრი, დატოტვილია, საშუალო სიმკვრივისაა.

ბ. მარცვალი. მარცვალი მომრგვალო ფორმისაა ან ოდნავ შეზნექილია, საშუალო სიმკვრივისა და საშუალოზე მომსხოა, შეფერვა ლამაზი და მიმზიდველი აქვს; მარცვლები თითქმის ყველა თანაბარი ზომისაა. ცვილისებრი ფიფქი საკმაოდ სქლად აყრია მარცვლებს.

გემო. გემო ნაზი და ჰარმონიული აქვს; ჯიშური არომატი სუსტადაა გამოხატული; კანი თხელია და ადვილად შორდება რბილობს. რბილობი წვნიანი, ადვილად მდნარია. მარცვლები ადვილად არ ღებება და გადამწიფებისას ჩამიჩდება.

ტრანსპორტის ამტანობა. ჯიში ადგილობრივი მნიშვნელობისაა, იგი დიდ მანძილზე რკინიგზით გადატანას ვერ უძლებს, მაგრამ მახლობელი კურორტების, სამრეწველო ცენტრებისა და დასასვენებელი სახლების ახალმოკრეფილი ყურძნით მოსამარაგებლად სავსებით გამოსადეგია.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

კახური ღრუბელა ადგილობრივი, იშვიათი ვაზის ჯიშია, იგი იძლევა მშრალ, ორდინარულ სუფრის ღვინოს და ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძენს; გავრცელებულია ძირითადად გარეკახეთში. მეტწილად იგი გვხვდება საგარეჯოს რაიონის სოფ. მანავში, უმთავრესად თითო-ორი კოლმეურნეობების ვენახებში, იშვიათად პატარა ვენახების სახითაც კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე. ჯიშის გაუვრცელებლობის გამო წარმოების პირობებში მისგან ღვინო ცალკე არ მზადდება, მას სხვა ჯიშებთან ერთად წურავენ ჩვეულებრივი სუფრის ღვინის დასამზადებლად. წმინდა ჯიშური ღვინო ღრუბელასაგან მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. ეს ღვინო კარგი ღირსებისა არ გამოდის. მისი დამახასიათებელია მომწვანო-ყვითელი ფერი, სუსტი, სასიამოვნო არომატი და ჰარმონიული გემო. ხარისხოვან ღვინოსთან შედარებით მას აკლია სხეული, ექსტრაქტი, ალკოჰოლი და შესაბამისი მჟავიანობა. საერთო შეფასებით იგი ორდინარული, საშუალო ღირსების ღვინოა. ამის გამო ღრუბელა წმინდა საღვინე ვაზის ჯიში არ არის. ჯიშის საერთო მაჩვენებლების — მტვევების გარეგნული შეხედულების, ყურძნის გემოს, მექანიკური შედგენილობისა და აგრეთვე წვენის ქიმიური შედგენილობის მიხედვით ღრუბელა უფრო სასუფრე (სადესერტო) ყურძნის ჯიშია, ვიდრე საღვინე მიმართულებისა. და მართლაც, მას საშუალო ღირსების ადგილობრივ მოსახმარი სადესერტო ყურძნის თვისებები ახასიათებს და ყურძნის ღირსებით იგი საერთოდ ცნობილ შასლას არ ჩამოუვარდება.

ჯიშის დადებით თვისებათა რიცხვს მიეკუთვნება ის, რომ იგი, ერთი მხრით, ორდინარული საღვინე ვაზის ჯიშია, ხოლო, მეორე მხრივ, ვარგა ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძნად, აგრეთვე ის, რომ სოკოვან ავადმყოფობებს და ღებობას კარგად უძლებს და გარემო პირობებსაც კარგად ეგუება.

ჯიშის უარყოფით თვისებას, საერთო აგროტექნიკის პირობებში, წარმოადგენს ის, რომ მან საშუალო და საშუალოზე დაბალი მოსავალი იცის და მისი ღვინო არ დგება მაღალი ღირსებისა, აგრეთვე ჩვეულებრივზე დაბალია შაქრიანობა-მჟავიანობა. მისი მოსავლიანობის გაზრდა ადვილად შეიძლება იმით, რომ ვაზს უნდა მიეცეს შესაფერი კვების არე, შესაფერი ფორმირება და უნდა გაისხლას.

კახეთის ხარისხოვანი მევენახეობის რაიონებისათვის ღრუბელა პერსპექტიული არ არის. რაკი იგი შედარებით საადრეო ჯიშია, შეიძლება რეკომენდებული იქნეს საქართველოს მაღალმთიან ზოლში — ხაშურის, თიანეთისა და დუშეთის რაიონებში და აგრეთვე მესხეთში და დანარჩენი რაიონების მაღლობ ზოლში, სადაც ადგილობრივი სტანდარტული ვაზის ჯიშები მთლიანად ვერ მწიფდება. ამ რაიონებში ღრუბელას გავრცელებას წინ უნდა უსწრებდეს მისი ყურძნისა და ღვინის ხარისხის ფართო საწარმოო გამოცდა.

## ГРУБЕЛА КАХУРИ

**Лист.** Более развитые листья средних размеров (17×15). Листовая пластинка по форме округлая либо несколько овальная. Листья пятипластные, лопасти хорошо выражены. Наличие на листьях вторичных лопастей характерно для сорта. Поверхность листа гладкая, реже она сетчато-морщинистая, в основном, на листьях нижнего яруса. Листовая пластинка плоская, реже она неопределенно изогнутая с округлыми краями вниз. Окраска пластинки листа светлозеленая.

Верхние вырезки в большинстве случаев средних размеров, реже встречаются и более глубокие вырезки. Вырезки обычно закрытые с широко эллиптическим просветом, реже встречаются открытые ланцетовидные вырезки с узким устьем. Иногда встречаются широко эллиптические закрытые вырезки с однозубчатым дном.

Нижние вырезки как правило менее развиты и менее глубоки. Обычно они мелкие, либо средних размеров. Форма вырезок обычно открытая, ланцетовидная, встречаются реже также закрытые вырезки с эллиптическим просветом.

Черешковая выемка почти всегда открытая, по форме она ланцетовидная, с округлым дном, реже встречается сводчатая выемка с округлым дном. Ланцетовидные выемки обычно преобладают на среднем ярусе, а на нижнем — сводчатые.

**Зубцы.** Оконечные зубцы лопастей обычно треугольные, с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже они бывают куполообразные. Краевые зубцы лопастей ланцетовидные, с выпуклыми сторонами и острой вершиной.

Опушение нижней стороны листа слабое, паутинистое, с подстилающим щетинистым пушком средней густоты. На листьях нижнего яруса щетинистый пушок значительно усиливается, и опушение листа становится густым.

Черешок листа короче длины срединного нерва, реже равен ему. Черешок голый, иногда с редкими щетинками на листьях нижнего яруса. Окраска черешка темно-зеленая или слабо винно-красная у места расхождения главных нервов.

**Цветок.** Цветки нормального строения, обоеполые. Тычинки прямостоячие, число их в цветке 5, реже 6. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,5—2,0, реже это отношение достигает 2,5. Пестик колбовидной формы с тонким столбиком и хорошо выраженным двухраздельным рыльцом.

**Гроздь.** Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует в среднем от 12 до 18 см при ширине 8—12 см. Длина средней грозди равна 16×9 см. Крупные, полноценные грозди свободно достигают размера 20×12 см. Форма грозди широко коническая, лопастная, реже встречаются и грозди цилиндрико-конические, лопастные. В большинстве случаев грозди средней плотности, реже встречаются плотные грозди. Горошение и осыпание ягод в грозди не наблюдаются. Средний вес грозди равен 170—180 гр. Отдельные крупные грозди свободно достигают веса 650 гр и более. Количество ягод в грозди варьирует от 100 до 225, составляя в среднем на гроздь 150 ягод. Ножка грозди травянистая, деревенеет у основания и окрашивается в цвет чубука. Длина ножки варьирует от 3 до 5 см, составляя в среднем 3,5—4 см. Ножка ягоды зеленая. Длина ножки в среднем равна 4—5 мм. Подушечка бородавчатая, реже она бывает и гладкой. Форма подушечки ширококоническая, дисковидная.

**Ягода.** Ягоды средних размеров. Длина ягод варьирует от 1,55 до 1,70 см, при ширине 1,50—1,75 см. Форма ягод круглая, несколько сплюснутая, при чем последняя преобладает над первой. Окраска ягод серо-голубая с фиолетовым оттенком. Кожица тонкая, но прочная. Мякоть сочная, расплывающаяся. Прunii на ягодах обильный. Вкус нежный, приятный, без особого сортового аромата. Ягоды прочно прикреплены к ножке. Число семян в ягоде варьирует от 1 до 4, составляя в среднем на ягоду 2,4 семени.

Грубела Кахури местный, малораспространенный сорт Кахетии, дает ординарное столовое вино и десертный виноград местного значения.

Распространена в районах Кахетии, преимущественно в Сагареджинском, в сел. Манави. Сорт встречается в основном в виде примеси на производственных участках колхозов, реже в виде маленьких виноградников на приусадебных участках колхозников.

В виду незначительного распространения сорта, его перерабатывают вместе с основными сортами винограда на обычное столовое вино, либо потребляют на местах в свежем виде.

Чистосортное столовое вино из Грубела готовят в Институте виноградарства. Вино получается среднечастотное, ординарное, оно характеризуется приятным, слабо выраженным сортовым ароматом легкостью, малым содержанием алкоголя и экстракта и нежным, гармоничным вкусом.

Помимо вина, Грубела используется на местах и качестве десертного винограда. Виноград характеризуется хорошим вкусовым качеством и в этом отношении не уступает общепризнанному сорту Шахла.



## ГРУБЕЛА КАХУРИ

**Л и с т.** Вполне развитые листья средних размеров (17×15). Листовая пластинка по форме округлая либо несколько овальная. Листья пятилопастные, лопасти хорошо выражены. Наличие на листьях вторичных лопастей характерно для сорта. Поверхность листа гладкая, реже она сетчато-морщинистая, в основном, на листьях нижнего яруса. Листовая пластинка плоская, реже она неопределенно изогнута с загнутой краями вниз. Окраска пластинки листа светлозеленая.

Верхние вырезки в большинстве случаев средних размеров, реже встречаются и более глубокие вырезки. Вырезки обычно закрытые с широко эллиптическим просветом, реже встречаются открытые ланцетовидные вырезки с узким устьем. Иногда встречаются широко эллиптические закрытые вырезки с однозубчатым дном.

Нижние вырезки как правило менее развиты и менее глубоки. Обычно они мелкие, либо средних размеров. Форма вырезок обычно открытая, ланцетовидная, встречаются реже также закрытые вырезки с эллиптическим просветом.

Черешковая выемка почти всегда открытая, по форме она ланцетовидная, с округлым дном, реже встречается сводчатая выемка с округлым дном. Ланцетовидные выемки обычно преобладают на среднем ярусе, а на нижнем — сводчатые.

**З у б ц ы.** Оконечные зубцы лопастей обычно треугольные, с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже они бывают куполообразные. Краевые зубцы лопастей ланцетовидные, с выпуклыми сторонами и острой вершиной.

Опушение нижней стороны листа слабое, паутинистое, с подстилающим щетинистым пушком средней густоты. На листьях нижнего яруса щетинистый пушок значительно усиливается, и опушение листа становится густым.

Черешок листа короче длины срединного нерва, реже равен ему. Черешок голый, иногда с редкими щетинками на листьях нижнего яруса. Окраска черешка темно-зеленая или слабо винно-красная у места расхождения главных нервов.

**Ц в е т о к.** Цветки нормального строения, обоеполые. Тычинки прямостоячие, число их в цветке 5, реже 6. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,5—2,0, реже это отношение достигает 2,5. Пестик колбовидной формы с тонким столбиком и хорошо выраженным двухраздельным рыльцем.

**Г р о з д ь.** Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует в среднем от 12 до 18 см при ширине 8—12 см. Длина средней грозди равна 16×9 см. Крупные, полноценные грозди свободно достигают размера 20×12 см. Форма грозди широко коническая, лопастная, реже встречаются и грозди цилиндрико-конические, лопастные. В большинстве случаев грозди средней плотности, реже встречаются плотные грозди. Горшечные и осыпанные ягоды в грозди не наблюдаются. Средний вес грозди равен 170—180 гр. Отдельные крупные грозди свободно достигают веса 650 гр и более. Количество ягод в грозди варьирует от 100 до 225, составляя в среднем на гроздь 150 ягод. Пожка грозди травянистая, деревенеет у основания и окрашивается в цвет чубука. Длина ножки варьирует от 3 до 5 см, составляя в среднем 3,5—4 см. Пожка ягоды зеленая. Длина ножки в среднем равна 4—5 мм. Подушечка бородавчатая, реже она бывает и гладкой. Форма подушечки ширококоническая, дисковидная.

**Я г о д а.** Ягоды средних размеров. Длина ягод варьирует от 1,55 до 1,70 см, при ширине 1,50—1,75 см. Форма ягод круглая, несколько сплюснутая, при чем последняя преобладает над первой. Окраска ягод серо-голубая с фиолетовым оттенком. Кожица тонкая, но прочная. Мякоть сочная, расплывающаяся. Пруны на ягодах обильный. Вкус нежный, приятный, без особого сортового аромата. Ягоды прочно прикреплены к ножке. Число семян в ягоде варьирует от 1 до 4, составляя в среднем на ягоду 2,4 семени.

Грубела Кахури местный, малораспространенный сорт Кахетии, дает ординарное столовое вино и десертный виноград местного значения.

Распространена в районах Кахетии, преимущественно в Сагареджинском, в сел. Манави. Сорт встречается в основном в виде примеси на производственных участках колхозов, реже в виде маленьких виноградников на приусадебных участках колхозников.

В виду незначительного распространения сорта, его перерабатывают вместе с основными сортами винограда на обычное столовое вино, либо потребляют на местах в свежем виде.

Чистосортное столовое вино из Грубела готовят в Институте виноградарства. Вино получается среднекачественное, ординарное, оно характеризуется приятным, слабо выраженным сортовым ароматом легкостью, малым содержанием алкоголя и экстракта и нежным, гармоничным вкусом.

Помимо вина, Грубела используется на местах в качестве десертного винограда. Виноград характеризуется хорошим вкусовым качеством и в этом отношении не уступает общепризнанному сорту Шахла.

## ГРУБЕЛА КАХУРИ

**Л и с т.** Вполне развитые листья средних размеров (17×15). Листовая пластинка по форме округлая либо несколько овальная. Листья пятилопастные, лопасти хорошо выражены. Наличие на листьях вторичных лопастей характерно для сорта. Поверхность листа гладкая, реже она сетчато-морщинистая, в основном, на листьях нижнего яруса. Листовая пластинка плоская, реже она неопределенно изогнута с округлыми краями вниз. Окраска пластинки листа светлозеленая.

Верхние вырезки в большинстве случаев средних размеров, реже встречаются и более глубокие вырезки. Вырезки обычно закрытые с широко эллиптическим просветом, реже встречаются открытые лировидные вырезки с узким устьем. Иногда встречаются широко эллиптические закрытые вырезки с однозубчатым дном.

Нижние вырезки как правило менее развиты и менее глубоки. Обычно они мелкие, либо средних размеров. Форма вырезок обычно открытая, лировидная, встречаются реже также закрытые вырезки с эллиптическим просветом.

Черешковая выемка почти всегда открытая, по форме она лировидная, с округлым дном, реже встречается сводчатая выемка с округлым дном. Лировидные выемки обычно преобладают на среднем ярусе, а на нижнем — сводчатые.

**З у б ц ы.** Оконечные зубцы лопастей обычно треугольные, с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже они бывают куполообразные. Краевые зубцы лопастей лировидные, с выпуклыми сторонами и острой вершиной.

Опушение нижней стороны листа слабое, паутинистое, с подстилающим щетинистым пушком средней густоты. На листьях нижнего яруса щетинистый пушок значительно усиливается, и опушение листа становится густым.

Черешок листа короче длины срединного нерва, реже равен ему. Черешок голый, иногда с редкими щетинками на листьях нижнего яруса. Окраска черешка темно-зеленая или слабо винно-красная у места расхождения главных нервов.

**Ц в е т о к.** Цветки нормального строения, обоеполые. Тычинки прямостоячие, число их в цветке 5, реже 6. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,5—2,0, реже это отношение достигает 2,5. Пестик колбовидной формы с тонким столбиком и хорошо выраженным двухраздельным рыльцем.

**Г р о з д ь.** Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует в среднем от 12 до 18 см при ширине 8—12 см. Длина средней грозди равна 16×9 см. Крупные, полноценные грозди свободно достигают размера 20×12 см. Форма грозди широко коническая, лопастная, реже встречаются и грозди цилиндрико-конические, лопастные. В большинстве случаев грозди средней плотности, реже встречаются плотные грозди. Горшечие и осыпание ягод в грозди не наблюдаются. Средний вес грозди равен 170—180 гр. Отдельные крупные грозди свободно достигают веса 650 гр и более. Количество ягод в грозди варьирует от 100 до 225, составляя в среднем на гроздь 150 ягод. Пожка грозди травянистая, деревенеет у основания и окрашивается в цвет чубука. Длина ножки варьирует от 3 до 5 см, составляя в среднем 3,5—4 см. Пожка ягоды зеленая. Длина ножки в среднем равна 4—5 мм. Подушечка бородавчатая, реже она бывает и гладкой. Форма подушечки ширококоническая, дисковидная.

**Я г о д а.** Ягоды средних размеров. Длина ягод варьирует от 1,55 до 1,70 см, при ширине 1,50—1,75 см. Форма ягод круглая, несколько сплюснутая, при чем последняя преобладает над первой. Окраска ягод серо-голубая с фиолетовым оттенком. Кожица тонкая, но прочная. Мякоть сочная, расплывающаяся. Пруни на ягодах обильный. Вкус нежный, приятный, без особого сортового аромата. Ягоды прочно прикреплены к ножке. Число семян в ягоде варьирует от 1 до 4, составляя в среднем на ягоду 2,4 семени.

Грубела Кахури местный, малораспространенный сорт Кахетии, дает ординарное столовое вино и десертный виноград местного значения.

Распространена в районах Кахетии, преимущественно в Сагареджинском, в сел. Манави. Сорт встречается в основном в виде примеси на производственных участках колхозов, реже в виде маленьких виноградников на приусадебных участках колхозников.

В виду незначительного распространения сорта, его перерабатывают вместе с основными сортами винограда на обычное столовое вино, либо потребляют на местах в свежем виде.

Чистосортное столовое вино из Грубела готовят в Институте виноградарства. Вино получается среднекачественное, ординарное, оно характеризуется приятным, слабо выраженным сортовым ароматом легкостью, малым содержанием алкоголя и экстракта и нежным, гармоничным вкусом.

Помимо вина, Грубела используется на местах в качестве десертного винограда. Виноград характеризуется хорошим вкусовым качеством и в этом отношении не уступает общепризнанному сорту Шасля.

К положительным свойствам сорта относится пригодность его в качестве винного и десертного сорта, относительно хорошая устойчивость к грибным болезням и виноградной гнили и приспособляемость к экологическим условиям среды.


К недостаткам сорта относятся, в условиях обычной агротехники, его недостаточно высокая урожайность и неудовлетворительное качество вина.

В качественных районах Кахетии сорт не заслуживает внимания. Его, как сравнительно ранний сорт, можно рекомендовать для горных районов Грузии — Душетского, Топетского, Хашурского, районов в целом для Месхетии и высокогорных зон Кахетии, где местные стандартные сорта винограда не всегда и не полностью вызревают.

Предварительное испытание сорта в указанных районах на качество вина и винограда нужно признать необходимым.

Сорт заслуживает испытания также в южных и юго-западных виноградных районах СССР.





## შავი კუმის

შავი კუმის ადგილობრივი იშვიათი ვაზის ჯიშია, იგი იძლევა ორდინარულ წითელ სუფრის ღვინოს.

**სინონიმები.** არც მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და არც ადგილობრივ მევენახეთა შორის შავი კუმის სინონიმები ცნობილი არაა.

**ჯიშის ისტორია.** შავი კუმის ადგილობრივი ჯიშია. თავისი მორფოლოგიური ნიშნებით (ფოთლის სქლად შებუსუსება, პატარა ზომის მტევნები) იგი უფრო დასავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშებს უახლოვდება, ვინემ აღმოსავლეთისას. კუმის სახელწოდებით კახეთში სამი ცალკეული ჯიშია წარმოდგენილი: თეთრი კუმის, შავი კუმის და ყვითელი კუმის. პირველი ორი თავიანთი მორფოლოგიური ნიშნითვისებებით უფრო დასავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშებთან არის ახლო, ხოლო ყვითელი კუმის ტიპური წარმომადგენელია აღმოსავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშებისა. სახელწოდება მიღებული აქვთ კუმის მტევნების გამო. ამ ნიშნის გარდა ამ სამ ჯიშს სხვა საერთო არაფერი აქვს და ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებულ ჯიშებს წარმოადგენენ.

შავი კუმის წარმოშობის დროისა და ადგილის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. მისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშნისებების მიხედვით იგი საშუალო ხნოვანების ვაზის ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს.

ძველად ეს ჯიში, რა თქმა უნდა, უფრო ფართოდ იყო გავრცელებული. ახლა იგი გვხვდება კახეთის მევენახეობის რაიონებში ძარითადად თითო-ორი ძირი, იშვიათად პატარა ნაკვეთებადაც კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ძველ ვენახებში. უფრო მეტად შავი კუმის თელავისა და გურჯაანის რაიონებში მოიპოვება, იშვიათად კახეთის სხვა რაიონებშიაც გვხვდება.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკურად ჯიში აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტულ ბაზაზე სოფ. ვაზისუბანში.

**ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ).** ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი ორი ჯერ კიდევ გაუშლილი ფოთოლაკითურთ ყოველი მზრიდან შებუსუსებულია სქელი აბლაბუდით, შეფერილია თეთრი ფლანელისფრად და სუსტი ვარდისფერი არშია აქვს შემოვლებული ფოთოლაკების ნაპირების ირგვლივ. მეორე იარუსის ფოთლებზე (4—5) ზემო მზრიდან შებუსუსება ქრება ან მცირდება და ფოთლები მუქი ვარდისფერი იერის მქონე მომწვანო-ყვითელ ფერს იღებს, ხოლო ფოთლების ქვედა მხარე იმის გამო, რომ მათი შებუსუსება ძლიერდება, მოვერცხლისფრო-თეთრად იფერება, თანაც მოვარდისფრო იერი დაჰკრავს ფოთოლაკების ნაპირის ირგვლივ. თვით ყლორტი მუქი მოღვინისფროა.

**ერთწლიანი რქა.** კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მონაცრისფრო იერის მქონე მოყვითალო-წითელ ფერს იღებს. მუხლები და მუხლთაშორისები უფრო მუქი ფერისაა. მუხლთაშორისების სიგრძე საშუალოდ 10—11 სანტიმეტრს უდრის. მუხლთაშორისების გასწვრივ ზოლები მკვეთრად არაა გამოსახული, ჩვეულებრივ ზოლები ვიწროა და შედარებით უფრო მუქი წითელი ფერისაა.

**ფოთლი.** კარგად განვითარებული ფოთლები (9—12) საშუალო ზომისაა ან ცოტა ამაზე პატარა (17×17,5 სმ). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, ოდნავ გადახრილი, მეტწილად განიერი ოვალის ფორმისაა. ფოთლები ჩვეულებრივ ხუთნაკვეთანია, იშვიათ შემთხვევაში სამნაკვეთიანი ფოთლებიც გვხვდება. ფოთლის მეორეული დანაკეთვა სუსტადაა გამოსახული და იშვიათადაც გვხვდება.

შუა ნაკვეთის კუთხე ხშირად სწორკუთხიანია. ფოთლის ზედაპირი გლუვია, მაგრამ იშვიათად იგი ბადისებრ დანაოჭებულიცაა. ფოთლის ფირფიტა ან გაურკვეველადაა მიხრილ-მოხრილი, ან ძაბრისებრადაა მოხრილი. ფოთლის მთავარი ძარღვები უკანა მხრიდან დაფარულია სუსტი აბლაბუდისებრი ბეწვებით და საშუალო სისქის ჯაგრისებრი ბუსუსით და ძარღვების განტოტების ადგილთან ღია ვარდისფერია.

ფოთლის ზედა ამონაკვეთები საშუალო სიღრმისაა ან ღრმაა. ამონაკვეთების ფორმა დიდად არ მერყეობს. ჩვეულებრივ ამონაკვეთები დახურულია განიერ ელიფსისებრი ან გარდისებრი ფორმის ტყეფით. უფრო ხშირად ამონაკვეთებს კვერცხისებრი ფორმა აქვს, მომრგვალო ფუძიანია, იშვიათად ღია ჩანგისებრი ფორმის ვიწროყელიანი და მომრგვალოფუძიანი ამონაკვეთებიც გვხვდება.


ქვედა ამონაკვეთები ნაკლებ ღრმაა, უფრო ხშირად საშუალო ან ამაზე ნაკლები სიღრმისაა. ამონაკვეთების ფორმა ნაკლებ ცვალებადობს. უფრო ხშირად გვხვდება ჩანგისმაგვარი ფორმის ვიწროყელიანი და მრგვალი ან ბრტყელფუძიანი ამონაკვეთები, იშვიათად კი ამონაკვეთები ჩანგისმაგვარი ფორმისაა და თითქმის პარალელურგვერდებიანი.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა საგრძნობლად მერყეობს. უფრო ხშირია ღია, ჩანგისმაგვარი ფორმის მომრგვალო ან ბრტყელფუძიანი ამონაკვეთები, იშვიათად გვხვდება დახურული, კვერცხისმაგვარი ფორმის მომრგვალო ან წამახვილებულფუძიანი ამონაკვეთებიც. ხშირად ამონაკვეთების ფუძე ძარღვებითაა შემოფარგლული.

ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება მახვილწვერიანი სამკუთხედისმაგვარი ფორმის კბილებით ან მახვილწვერიანი გამოზნექილგვერდებიანი სამკუთხედისმაგვარი კბილებით. გვერდითი კბილები ხშირად ხერხის კბილისებრი, სამკუთხედისებრი ფორმისაა, გამოზნექილგვერდებიანი და მახვილწვერიანი, იშვიათად იგი ხერხის კბილისებრი, სამკუთხედისებრი ფორმისაა.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება საკმაოდ სქელია, იგი შედგება საშუალო სისქის აბლაბუდისებრი ბეწვებისაგან და სქელი ჯაგრისებრი ბუსუსისაგან.

ფოთლის ყუნწი ოდნავაა შებუსუსებული და მოალუბლისფრო წითლადაა შეფერილი. ყუნწი ფოთლის შუა ძარღვის სიგრძისაა, ან ოდნავ მასზე მოკლეა.



სურ. 27. შავი კუმის ყვავილი.

ყვავილი. ყვავილი ორსქესიანია, ნორმალური აგებულებისა. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში 5 ან 6 მტვრიანაა. მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან უდრის 1,25 ს. იშვიათად ეს შეფარდება 1,50-საც აღწევს. ბუტკო მომრგვალო კონუსისებრი ფორმისაა, აქვს კარგად გამოსახული ყელი და დინგი. ყვავილის კოკრები საკმაოდ დიდი ზომისაა.

მტევანი. მტევნები საშუალოზე ნაკლები ზომისაა ან პატარა. მტევნების სიგრძე მერყეობს 8-დან 15 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 4-დან 9 სმ-მდე. საშუალო მტევნის ზომა უდრის 12 X 6 სანტიმეტრს. მტევნების ფორმა საკმაოდ ცვალებადობს. უფრო ხშირად მტევნები მოკლე კონუსისებრია, იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმისაა, ძალიან იშვიათად ცილინდრული ფორმის მტევნებიც გვხვდება. მტევნები მომეტებული შემთხვევაში მკვრივია და ძლიერ მკვრივი, რის გამო ხშირად მარცვლები ფორმას კარგავს.

მტევნის საშუალო წონა მერყეობს 80-დან 220 გრამამდე და საშუალოდ 100 — 120 გრამს უდრის. ცალკეული კარგად განვითარებული დიდი მტევნების წონა 350 — 400 გრამს აღწევს. მარცვლების რაოდენობა მტევანში მერყეობს 80-დან 200 ცალამდე და საშუალოდ 120 — 150-ს უდრის. მტევნის ყუნწი ბალახისებრია, შუა ნაწილიდან ფუძისაკენ იგი ხვედება და მოწითალო ფერს იღებს. საშუალო მტევნების ყუნწის სიგრძე უდრის 3 — 4 სანტიმეტრს. მარცვლის ყუნწი მოწითალო ფერისაა მისი სიგრძე საშუალოდ 6 — 8 მილიმეტრს უდრის. მარცვლის საჯღოში ბალიში 6 — 8 მილიმეტრს უდრის. მარცვლის საჯღოში ბალიში განიერ კონუსისებრი ფორმისაა, ხორკლებიანი.

მარცვალი. მარცვალი საშუალო ზომისაა. მარცვლების სიგრძე 1,4 — 1,7 სანტიმეტრს უდრის, ხოლო განი — 1,35 — 1,65 სანტიმეტრს. საშუალო მარცვლის ზომა 1,5 X 1,4 სანტიმეტრს უდრის. მარცვალი მომრგვალო ფორმისაა, შუაში განიერია, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვალი მუქი ლურჯია (შავია). მარცვლის კანი თხელია და ადვილად შორდება რბილობს. რბილობი წვნიანია, მდნარი. ცვილისებრი ფიფქი მარცვლებზე კარგადაა გამოსახული. წვენი ღია ვარდისფერია. გემო სასიამოვნო, პარმონიული აქვს. თავისებური ჯიშური არომატი სუსტადაა გამოსახული. მარცვლები საკმაოდ მაგრადაა

მარცვალი. მარცვალი საშუალო ზომისაა. მარცვლების სიგრძე 1,4 — 1,7 სანტიმეტრს უდრის, ხოლო განი — 1,35 — 1,65 სანტიმეტრს. საშუალო მარცვლის ზომა 1,5 X 1,4 სანტიმეტრს უდრის. მარცვალი მომრგვალო ფორმისაა, შუაში განიერია, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვალი მუქი ლურჯია (შავია). მარცვლის კანი თხელია და ადვილად შორდება რბილობს. რბილობი წვნიანია, მდნარი. ცვილისებრი ფიფქი მარცვლებზე კარგადაა გამოსახული. წვენი ღია ვარდისფერია. გემო სასიამოვნო, პარმონიული აქვს. თავისებური ჯიშური არომატი სუსტადაა გამოსახული. მარცვლები საკმაოდ მაგრადაა

მიმაგრებული ყუნწზე. წიპწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან—3-მდე, საშუალოდ კი მარცვალზე 1,6 წიპწა მოდის.

**ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება**

დაკვირვებანი სავეგეტაციო ფაზების მსვლელობაზე ჩატარებულია მევენახეობის ინსტიტუტის სკოლა-ლექცია ვენახში სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით.

კურდღელაურის ეკოლოგიურ პირობებში ჯიშის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 135 დღიდან 175 დღემდე, საშუალოდ კი 146 დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად ცვალებადობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,791,7 გრადუსიდან 3,238 გრადუსამდე, ხოლო საშუალოდ 2,968,8 გრადუსს შეადგენს. სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზების მსვლელობა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

**შავი კუმის სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა ქ. თელავში**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო პერიოდის დადგომის თარიღი				სრული სიმწიფე	სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნალექები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე				სარგებროდ უცხო პერიოდში	სამშობლოში
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავის მახლობლად	1938	21/IV	7/VI	9/VIII	6/IX	135	2,886,9	—	—	
	1939	22/IV	1/VI	4/VIII	10/IX	141	2,886,7	—	—	
	1940	15/IV	8/VI	12/VIII	5/IX	143	2,943,8	—	—	
	1941	6/IV	28/V	5/VIII	12/IX	159	3,258,3	—	—	
	1942	26/IV	11/VI	18/VIII	10/IX	137	2,934,4	—	—	
საშუალო . . . . .	—	19/IV	6/VI	10/VIII	9/IX	143	2,977,2	—	—	
	1943	23/IV	8/VI	10/VIII	20/IX	146	2,918,1	129,9	479,5	
	1944	24/IV	4/VI	18/VIII	20/IX	150	2,958,2	71,5	393,4	
	1945	2/IV	8/VI	15/VIII	15/IX	137	2,791,7	49,2	347,1	
	1946	23/IV	9/VI	22/VIII	15/IX	147	2,923,7	—	553,3	
	1947	4/IV	2/VI	5/VIII	25/IX	175	3,251,7	104,9	540,1	
	1948	27/IV	6/VI	14/VIII	18/IX	145	3,031,8	134,2	530,9	
საშუალო . . . . .	—	22/IV	6/VI	14/VIII	18/IX	150	2,979,2	81,7	474,2	

მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს სავეგეტაციო პერიოდის მთავარი ფაზების საგრძნობ ცვალებადობას ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად. ყველაზე მეტად, როგორც საერთოდ, პირველი, საწყისი, ფაზა მერყეობს. იგი ცალკეული წლების მიხედვით ერთი თვით ადრე ან გვიან შეიძლება დაიწყოს. მის დასაწყისს უდავოდ დიდი გავლენა აქვს ჯიშის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობაზე. რაც უფრო ადრე იწყება კვირტის გაშლა, მით უფრო მეტია იმ წელს სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა. ყვავილობისა და სიმწიფის დასაწყისი ორი კვირის ფარგლებში მერყეობს, ხოლო სრული სიმწიფის პერიოდი ხან ერთი კვირით ადრე, ხან ერთი კვირით გვიან დგება. მრავალი წლის მანძილზე ამ ფაზის დადგომის მიხედვით (13/9) შავი კუმი სიმწიფის II პერიოდის ვაზის ჯიშებს ეკუთვნის.

შავი კუმის ერთწლიანი რქები კახეთის პირობებში ყურძნის სრული სიმწიფის მომენტისათვის თავისუფლად ასწრებს შემოსვლას და კარგად გახვეებული ხვდება ზამთრის ყინვებს. მესხეთშიც, სადაც შედარებით გრილი ჰავაა, კუმის ერთწლიანი ნახარდი თავისუფლად ასწრებს ყურძნის სრული სიმწიფის მომენტისათვის კარგად შემოსვლას და გახვევას მოელ სიგრძეზე (დაახლოებით 110—120 სმ სიგრძეზე), რის შემდეგაც მას წვეროები წაჭრილი აქვს.

შავ კუმს თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვების მიხედვით კახეთის დანარჩენ ჯიშებთან შედარებით საშუალოზე მცირე ზრდა ახასიათებს.



შავი კუმსი—კუმსი შავი

ეროვნული ბიბლიოთეკა  
სამეცნიერო ბიბლიოთეკა

შავი კუმის მტევნის მექანიკური შედგენილობა

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	წელი	მტევნის საშუალო წონა	მარცვლების რაოდენობა მტევანში	მტევნის შემადგენელი ნაწილების პროცენტები					100 მარცვლის წონა მტევანში	100 მარცვლის წონა მტევანში
				კლუბი	მარცვლი	წვენი და რბილობი	კანი	წიპა		
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, სოჩის რაიონი, იაკორნაია შენი	1940	149,4	100	2,51	97,49	81,06	12,29	4,14	138,4	3,4
	1941	171,9	140	3,52	96,48	78,82	12,54	5,12	143,5	3,85
	1939	130,0	121	2,58	97,42	77,88	13,89	5,65	120,5	4,12

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყურძნის ლაბორატორიული გადამუშავების შემთხვევაში წვენის გამოსავლიანობა საკმაოდ მაღალია და შეადგენს 78—81%-ს, ხოლო ნახევრად წარმოების პირობებში ყურძნის გადამუშავებისას მისი გამოსავლიანობა ნაკლებია და შეადგენს 72,0—75%-ს, ხოლო ჭაჭა 25—28%-ს. ამ მაჩვენებლების მიხედვით კუმის საღვინე ვაზის ჯიშია.

ყურძნის წვენის ქიმიური შედგენილობა. შავი კუმის ყურძნის წვენს შაქრის ზომიერი დაგროვება და საკმაოდ მაღალი მჟავიანობა ახასიათებს. მრავალი წლის დაკვირვების მიხედვით, რომლებიც ჩატარებულია თელავსა და ვაზისუბანში, კუმის შაქრიანობა 16,2%-დან 20,8%-მდე მერყეობს, ხოლო მჟავიანობა 6,9%-დან 9%-მდე. ამ მონაცემების საფუძველზე მის საშუალო შაქრიანობად უნდა მივიღოთ 18—19%, ხოლო მჟავიანობად 7—8%.

წვენის ქიმიური ბუნების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია მისი შედგენილობის სრული ანალიზი.

შავი კუმის ყურძნის წვენის სრული ქიმიური ანალიზის შედეგები

წელი	საერთო ექსტრაქტი	შაქარი	გლუკოზა	ფრუქტოზა	სიმჟავის საერთო რაოდ.	ვაშლის მჟავა	ღვინის მჟავა	პირიმლავი ნივთიერებანი	ნაცარი
25/IX 1937	24,64	22,27	10,44	11,83	9,56	4,50	5,06	0,25	1,1

ცალკეული წლების მიხედვით ყურძნის წვენის შედგენილობის ცვალებადობის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია მისი შაქრიანობა-მჟავიანობის მაჩვენებლები 13 წლის განმავლობაში.

ყურძნის წვენის შაქრიანობა-მჟავიანობის მაჩვენებლები თელავში

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	წელი	თარიღი ანალიზისა	შაქრიანობა %/0-ში	მჟავიანობა %/00-ში	შენიშვნა	
კახეთი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ს. კურდღელაურში, თელავის რაიონი იგივე	1936	11/IX	19,1	7,79		
	1937	4/IX	19,5	7,30		
	1938	16/IX	19,0	9,0		
	1939	10/IX	18,0	8,7		
	1940	6/IX	18,6	8,8		
	1941	12/IX	20,8	6,9		
	1942	25/IX	18,5	7,3		
	1943	20/IX	16,2	8,06		
	სოჩა-ადღერის რაიონი, ქ. სოჩა, იაკორნაია შენი	1945	17/IX	19,0	13,4	
		1947	1/X	19,0	7,4	
1948		20/IX	17,5	7,95		
1938		29/VIII	16,5	12,2		
1939		9/IX	20,0	11,2		



როგორც მოყვანილი ცხრალიდან ჩანს, შავი კუმის კახეთის პირობებში ვერ აგროვებს საჭირო რაოდენობით შაქარს მიუხედავად იმისა, რომ მას სრული სიმწიფის დროს კრეფენ. შაქრიანობასთან შედარებით მეაფიანობა მას მაღალი აქვს. კახეთის პირობებში შავი კუმის ერთი ან ორი კვირით გვიან უნდა დაიკრიფოს შაქრიანობასა და მეაფიანობას შორის კარგი შეფარდების მიღწევის მიზნით.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. შავი კუმის ყურძნიდან ძირითადად სუფრის ღვინო მზადდება. ჩვეულებრივად იგი სხვა ჯიშებთან ერთად იწურება ჯიშის მცირედ გავრცელების გამო მისგან ღვინო ცალკე არ მზადდება. ძველად, ალბათ, არაა გამოცდილი იყო, როგორც სამაჟრე ჯიში, რომ მოსახლეობას საშემოდგომო სამუშაოების დროს ჰქონოდა სახმარი ღვინო და რადგან კუმის შედარებით ადრე მწიფდება, იგი ამ მიზნით სავსებით გამოსადეგი იყო, მანამ რქაწითელი და საფერავი დაღვინდებოდა. მართლაც, კუმის ღვინო მაღალი ღირსებისა არ ღგება. შავი კუმისაგან წმინდა ღვინო ამჟამად მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. მას სუსტი შეფერვა, საშუალო სხეული და დაბალი ალკოჰოლიანობა ახასიათებს. გემო საკმაოდ ჰარმონიული აქვს, არომატი ძლიერ სუსტად აქვს გამოსახული. უფრო დეტალური დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები მევენახეობის ინსტიტუტის ჯიშური ღვინოების შემფასებელი სადგეუსტაციო კომისიის სხდომის ოქმებიდან.

**ამონაწერები სადგეუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დაყენების ადგილი	მ. სავლის წელი	სადგეუსტაციო კომისიის სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური შეფასება
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთი.	1937	20 I 1937	6,0	კარგად დაწმენდილი, ღია ბროწეულის ფერი, მსუბუქი, მცირესხეულიანი, სასიამოვნო ღვინო.
გურჯაანის რაიონი, ს. ვახუშტის რაიონი.	1940	29/XII 1940	6,5	გამკვრვალე, მთაღებლისფრო წითელი, მსუბუქი, საშუალო ექსტრაქტიანი, სასიამოვნო ღვინო, საკმაოდ სიხალისის მქონე
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტი, საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1947	12/VI 1948	7,1	დაწმენდილი, ბროწეულის ფერი, ხალისიანი, მცირესხეულიანი ღვინო, ოდნე ტკბილი.

შავი კუმის ღვინის სრული დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია მისი ქიმიური ანალიზის შედეგები.

**1940 წლის მოსავლის კუმის ღვინის ქიმიური შედეგნილობა**

კუმის წონა	ალკოჰოლი მოც. %-ში	გ რ ა მ ე ბ ი ლ ი ტ რ ხ ე										
		მქსტრაქტი	ნაცარი	ნატრის ტუტია-ნობა	საერთო სიმჟავე	მქროლავე სიმჟავე	ღვინის მჟავე	შაქარი	გლიცერინი	ტანიინი	არამქროლავე მჟავე	შეფარდებითი მქსტრაქტი
0,9968	10,4	27,04	3,69	5,1	6,86	0,5	2,31	1,3	6,88	1,36	6,24	25,74

როგორც მოყვანილი ორგანოლექტიკური და ქიმიური დახასიათებიდან ირკვევა, შავი კუმის ღვინო შეიძლება შეფასებულ იქნეს, როგორც კარგი ღირსების ორდინარული ღვინო. გარდა ღვინისა შავი კუმის ყურძენი, როგორც საადრეო, ნაწილობრივ გამოსადეგია ადგილობრივ მოსახმარებელ სასუფრე ყურძნად და უაღკოპოლო ყურძნის წვენის დასამზადებლად.

**ჯიშის საერთო შეფასება და დარა-ონება**

შავი კუმის ადგილობრივი მცირედ გავრცელებული ვახის ჯიშია. იგი გავრცელებულია თითო-ორიოლა ვახის სახით კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ძველ ვენახებში კახეთის თითქმის ყველა რაიონში. მეტწილად იგი გვხვდება გურჯაანისა და თელავის რაიონებში. ჯიშის მცირედ გავრცელების გამო ამჟამად მისგან ღვინო ცალკე არ მზადდება და იგი სხვა ჯიშებთან ერთად იწურება ჩვეულებრივი სუფრის ღვინის დასამზადებლად. ძველად იგი ცალკე ნაკვეთებადაც იყო გაშენებული და მისგან სამაჟრე ღვინოს ამზადებდნენ, რომელსაც ხმარობდნენ რქაწითელისა და საფერავის დაღვინებამდე. ამჟამად შავი კუმისაგან ღვინო ცალკე მხოლოდ ინსტიტუტში მზადდება. შავი კუმის ღვინო მცირე შეფერვისაა,

მოაღებლისფრო-წითელია, კარგად იწმინდება, ჯიშური არომატი ძალიან სუსტად აქვს გამოსახული. გემო სასიამოვნო, ჰარმონიული აქვს. მსუბუქი, მცირესხეულიანი ღვინოა. ღვინო ორდინარულია, მაგრამ კარგი ღირსებისაა.

ჯიშის დაღებიანი თვისებები შემდეგია: საკმაოდ კარგი მოსავალი იცის, ნაადრევად მწიფდება, აქვს ავადმყოფობებს, ძირითადად მარცვლების სიღამბლეს საშუალოდ უძლებს და მიდრეკილება აქვს მარცვლების ნოლად დაჩამიჩებისა.

ჯიშის უარყოფითი თვისებები შემდეგია: ღვინო არ დგება მაღალი ხარისხის, ნაცრისაღში სეზონობიარეა და მტევნების ზედმეტი სიმკვრივე ახასიათებს, რაც ხელს უშლის მის ფართოდ გამოყენებას სადესერტო ყურძნად.

კახეთის ხარისხიანი მეღვინეობის რაიონებისათვის შავი კუმსი პერსპექტიული არ არის. როგორც შედარებით საადრეო ვაზის ჯიში, ამასთან, შედარებით კარგმოსავლიანი, იგი, სასურველია, გამოიყენოს საბჭოთა კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში და საქართველოს შემოღლებულ ადგილებში: მაღალმთიან მესხეთში და დუშეთის, თიანეთის, ხაშურისა და სხვა გრილპავიან რაიონებში ძირითადად სუფრის ღვინის, უალკოჰოლო წვენისა და საკონიაკე მასალის დასამზადებლად.

მიღებული შედეგების მიხედვით იგი შეიძლება რეკომენდებული იქნეს სარაიონო-სტანდარტულ ასორტიმენტში შესატანად მისთვის შესაფერი რაიონებისათვის.

### К У М С И Ш А В И

Лист. Виолне развитые листья (9—12) средних и нижесредних размеров (17×17,5). Листовая пластинка округлая, с незначительным варьированием чаще в сторону поперек-овальной формы. Листья обычно пятилопастные, реже встречаются и трехлопастные. Вторичные лопасти редко встречаются, они слабо выражены. Угол оконечной лопасти чаще прямой. Поверхность листа гладкая, реже сетчато-морщинистая. Листовая пластинка неопределенно изогнутая либо слабо воронковидно-желобчатая. Главные нервы листа опушены слабым паутинистым пушком с примесью щетинистого пушка средней густоты и окрашены у места расхождения главных нервов в светло-розовый цвет. Верхние вырезки обычно средних размеров либо они глубокие. Форма вырезов не сильно варьирует, обычно вырезки закрытые, с широко-эллиптическим либо поперек-эллиптическим просветом. Чаще всего вырезки имеют яйцевидную форму с округлым дном, реже встречаются открытые вырезки лировидной формы с узким устьем и округлым дном.

Нижние вырезки обычно менее глубоки, они мелкие либо средних размеров. По форме вырезки менее варьируют. Чаще всего встречаются лировидные вырезки с узким устьем и округлым либо плоским дном, реже встречаются лировидные вырезки с почти параллельными сторонами.

Черешковая выемка по форме значительно варьирует. Чаще всего встречаются открытые лировидные вырезки с округлым либо с плоским дном, реже встречаются закрытые яйцевидные вырезки с округлым либо заостренным дном. Часто дно выемки ограничено нервами.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей хорошо выражены, обычно они треугольные с острой вершиной либо треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной. Боковые зубцы чаще имеют треугольно-пиловидную форму с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже они треугольно-пиловидной формы.

Опушение нижней стороны листа довольно густое, состоящее из паутинистого пушка средней густоты и густого щетинистого покрова. Черешок листа опушен слабо и окрашен в слабо вишнево-красный цвет. Черешок равен или несколько короче длины срединного нерва.

Цветок. Цветок нормального строения, обоеполый. Тычинки прямостоячие. Число тычинок в цветке 5—6. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,25, реже это отношение достигает 1,50. Пестик правильной округло-конической формы с хорошо выраженным столбиком и рыльцем. Цветочные бутоны довольно крупных размеров.

Гроздь. Грозди ниже средних размеров. Длина гроздей варьирует в среднем от 8 до 15 см, при ширине 4—9 см. Размер средней грозди равен 12×6 см. Форма гроздей значительно варьирует. Чаще всего встречаются коротко-конические, реже цилиндро-конические грозди, а еще реже и цилиндрические. Часто грозди лопастные, реже они снабжены крылом. В большинстве случаев грозди плотные и очень плотные, благодаря чему ягоды часто деформированы, реже встречаются средне плотные грозди. Вес грозди варьирует от 80 до 220 гр, составляя в среднем 150—160 гр. Отдельные крупные, полноценные грозди свободно достигают веса 350—400 гр. Количество ягод в грозди варьирует от 80 до 200, составляя в среднем на гроздь 120—150 ягод. Ножка грозди травянистая, красноватая, деревенющая у

основания. Длина ножки у гроздей средних размеров составляет 3—4 см. Ножка ягоды окрашена в красноватый цвет. Длина ножки в среднем равна 6—8 см. Подушечка бородавчатая; широко-конической формы.

Ягода. Ягоды средних размеров. Длина ягод варьирует от 1,4 до 1,7 см, при ширине их 1,35—1,65 см. Размер средней ягоды равен 1,5×1,4 см. Форма ягод округлая, с наибольшей шириной по середине. Конец ягоды закруглен. Окраска ягод темносиняя (черная). Ягоды довольно прочно сидят на ножках. Кожичка тонкая, легко отделяющаяся от мякоти. Мякоть сочная, рассыпающаяся. Восковой налет на ягодах хорошо выражен. Сок окрашен в слабо-розовый цвет. Вкус приятный, гармоничный, без особого сортового аромата. Ягоды довольно прочно сидят на ножках. Количество семян в ягоде варьирует от 1 до 3, составляя в среднем на ягоду 1,6 семени.

Кумси Шави — местный, малораспространенный сорт красных ординарных вин Кахетии. Распространен единичными кустами почти во всех районах Кахетии, преимущественно на старых кооперативных виноградниках колхозов и колхозников. Чаще и больше всего Кумси шави встречается в Гурджаанском и Телавском районах Кахетии.

В прошлом он, как сравнительно ранний сорт, имел большое распространение для приготовления маджари-вина, вынуждаемого в период его замедленного брожения, когда сбор других сортов еще не начинали. В данный момент чистосортное вино из Кумси готовится лишь в Институте виноградарства. Вино из Кумси невысокого качества, оно слабо окрашено в вишнево-красный цвет, легко осветляется. Сортовой аромат очень слабо выражен, вкус довольно приятный, гармоничный. По содержанию оно легкое, малоэкстрактивное, ординарное вино хорошего качества.


К положительным свойствам сорта относятся его сравнительно хорошая урожайность, раннее созревание, относительно хорошая устойчивость против грибных болезней, в особенности против гниения ягод и склонность сорта к легкому заизюмливанию ягод.

К недостаткам сорта относятся невысокое качество продукции, слабая устойчивость к оидиуму и излишняя плотность грозди, ограничивающая его применение в качестве столового винограда местного значения.

В районах качественного виноделия Кахетии Кумси шави не заслуживает внимания. Его, как достаточно урожайный и сравнительно ранний сорт, можно рекомендовать для широкого испытания в южных и юго-восточных районах СССР и возвышенных местностях Грузии — нагорной Месхетии и в районах с более прохладным климатом — в Хашурском, Душетском и Тианетском.

В зависимости от полученных результатов его можно рекомендовать в порайонный стандартный ассортимент винограда в указанных районах.





საქართველოს  
განათლების  
მინისტროს

### ყვითელი კუმსი

ყვითელი კუმსი ადგილობრივი მცირედ გავრცელებული ვაზის ჯიშია. იგი იძლევა ადგილობრივ მოსახმარებელ სადესერტო ყურძენს და ორდინარულ თეთრ სუფრის ღვინოს.

სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის ყვითელი კუმსის სინონიმები ცნობილი არ არის, მხოლოდ სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგაში ეძახიან მას ყვითელ უბაკლურს.

ჯიშის ისტორია. ყვითელი კუმსი ადგილობრივი ვაზის ჯიშია. იგი თავისი მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით მეტად ახლო დგას კახური ვაზის ჯიშებთან და მათთან ერთად წარმოშობის საერთო კერა აქვს. კახეთში კუმსის სახელწოდებით სამი სხვადასხვა ჯიშია გავრცელებული: თეთრი კუმსი, შავი კუმსი და ყვითელი კუმსი. მათ საერთო მხოლოდ მტევნის აღნაგობა აქვთ. მათი მტევნები კუმსია, შეკრული, დანარჩენი ნიშნების მიხედვით ისინი ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან და დამოუკიდებელ ჯიშებს წარმოადგენენ. მათგან უფრო მკვეთრად ყვითელი კუმსი გამოირჩევა. მისი ფოთლების შებუსუსება თხელი ჯაგრისებრია, მაშინ როდესაც თეთრი და შავი კუმსი სქელი აბლაბუდისებრი შებუსუსებით ხასიათდებიან. მორფოლოგიურ ნიშნებზე დაყრდნობით ყვითელი კუმსი უფრო ახალი წარმოშობისაა, ვინემ თეთრი ან შავი კუმსი.

ამჟამად ყვითელი კუმსი ძირითადად სიღნაღისა და გურჯაანის რაიონებშია გავრცელებული. ძალიან იშვიათად იგი კახეთის სხვა რაიონებშიაც გვხვდება, უმთავრესად საწარმოო ვენახებში მინარევის სახით. სიღნაღის რაიონში ყვითელი კუმსი უფრო ფართოდაა გავრცელებული და მისი ცალკე პატარა ვენახებიც გვხვდება, ძირითადად საკარმიდამო ნაკვეთებზე. რამდენიმე ათეული ძირი ყვითელი კუმსი გაშენებულია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთებზე თელავსა და ვაზისუბანში. იგი შესწავლისა და გამოცდის მიზნით გაშენებულია აგრეთვე მევენახეობის ინსტიტუტის ფილიალში—საქარის საცდელ სადგურში და დასაყრდენი პუნქტების საკოლექციო ნაკვეთებზე.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური თვალსაზრისით ჯიში აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაში, სოფ. ვაზისუბანში.

ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ). ახალგაზრდა მოზარდი ყლორტის წვეროები გვირგვინიდან დაწყებული მე-2—მე-3 ფოთოლაკის ჩათვლით შებუსუსებულია თხელი აბლაბუდისებრი ბუსუსით (უფრო ინტენსიურად ფოთლების ქვედა მხრიდან), შეფერილია მოყვითალო-ლიმონისფრად და მოღვინისფრო-წითელი რშია აქვს ფოთოლაკების ირგვლივ. მეორე იარუსის ფოთლები (4—5) ზემო მხრიდან თითქმის შიშველია, ხოლო ქვემო მხრიდან შებუსუსებულია საშუალო სისქის აბლაბუდისებრი ბეწვებით, შეფერილია მომწვანო-ყვითლად და მოწითალო-ღვინისფერი იერი აქვს. ქვედა იარუსის ფოთლები მომწვანო-ყვითელია და ბრინჯაოსფერი იერი ახლავს.

ერთწლიანი რქა. კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომით მონაცრისფრო იერის მქონე მორუხო-ყვითელ ფერს იღებს. მუხლთაშორისების სიგრძე მერყეობს 8-დან 12 სანტიმეტრამდე, საშუალოდ კი 10 სანტიმეტრს უდრის. მუხლები შეფერვის მხრივ არ გამოირჩევა მუხლთაშორისებისაგან. მუხლთაშორისების გასწვრივ ზოლები გამოსახული არაა.

ფოთოლი. ზრდადამთავრებული, კარგად განვითარებული ფოთლები (9—12) საშუალო ზომისაა (16,5×17 სმ). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, ოდნავ გადახრილი განიერ-ოვალური ფორმისაა. ფოთოლი ხუთნაკვეთიანია, აქვს კარგად გამოსახული მეორეული დანაკვეთვა. ფოთლის შუა ნაკვეთი ჩვეულებრივ ბლავია, იშვიათად სწორკუთხოვანიცაა. ფოთლის ზედაპირი გლუვია ან ბადისებრ დანაო-

ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებები სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით.

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 138 დღიდან 170 დღემდე (11 წლის მანძილზე) 15<sup>ა</sup> დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად იცვლება აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,758 გრადუსიდან 3,392 გრადუსამდე, ხოლო საშუალოდ 3,162 გრადუსს უდრის.

ცალკეული წლების განმავლობაში სავეგეტაციო ფაზების დადგომის ვადების ცვალებადობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ქ. თელავში ყვითელი კუმის სავეგეტაციო ფაზების მსვლელობაზე წარმოებული დაკვირვებების შედეგები.

ყვითელი კუმის სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა ქ. თელავში

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის ვადები					სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნაღებები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე	სარეპროდუქციო პერიოდში			სავეგეტაციო პერიოდში	
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავში.	1938	24/IV	6/VI	13/VIII	20/IX	149	3,168,5	—	—	
	1939	23/IV	4/VI	19/VIII	25/IX	155	3,192,0	—	—	
	1940	15/IV	8/VI	19/VIII	25/IX	163	3,317,6	—	—	
	1941	7/IV	19/V	17/VIII	18/IX	164	3,392,4	—	—	
	1942	30/IV	12/VI	13/VIII	30/IX	153	3,247,3	—	—	
საშუალო . . . . .	—	20/IV	6/VI	16/VIII	24/IX	157	3,257,5	—	—	
ოგოვე	1943	29/IV	11/VI	22/VIII	10/X	165	3,230	147,3	511,0	
	1944	25/IV	7/VI	25/VIII	20/IX	149	3,041,8	67,8	393,4	
	1945	4/V	13/VI	26/VIII	30/IX	150	3,036,1	47,3	346,3	
	1946	26/IV	9/VI	24/VIII	10/IX	138	2,758,4	0,0	539,9	
	1947	4/IV	3/VI	15/VIII	20/IX	170	3,165,4	82,5	540,3	
	1948	30/IV	6/VI	24/VIII	28/IX	152	3,168,2	52,4	413,5	
საშუალო . . . . .	—	24/IV	8/VI	22/VIII	24/IX	154	3,066,6	66,2	457,7	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ცალკეული ფაზების დადგომის ვადები საგრძობლად იცვლება წლის მეტეოროლოგიური პირობების მიხედვით. მათში ყველაზე მეტი ცვალებადობა ახასიათებს პირველ ანუ საწყის ფაზას, ყველაზე ნაკლები მომდევნო — ყვავილობის დასაწყისის — ფაზას. წლების მანძილზე სიმწიფის დასაწყისისა და სრული სიმწიფის დადგომის მიხედვით ყვითელი კუმი მიეკუთვნება სიმწიფის III პერიოდის ვაზის ჯიშებს.

კახეთის ჰავის პირობებში ყვითელი კუმის ერთწლიანი რქები თავისუფლად ასწრებს მომწიფებას ყურძნის სავსებით დამწიფების მომენტისათვის და ხამთარს კარგად გახვევებული ხედება. ყვითელი კუმის ვაზებს, თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვებების მიხედვით, საშუალო სიმძლავრის ზრდა ახასიათებს.

მოსაველიანობა. ყვითელი კუმი ადრე იძლევა როგორც პირველ, ისე სრულ მოსავალს. ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით ყვითელი კუმის ნამყენები დარგვიდან მესამე წელს ისხამს პირველად, ხოლო მეოთხე-მეხუთე წლიდან უკვე სრულ მოსავალს იძლევა. ასე, მაგალითად, დარგვიდან მესამე წელს ყვითელი კუმის მსხმოიარობის კოეფიციენტი 0,6-ს უდრიდა, ხოლო შემდეგ (1936) წელს 1,37-ს და ესხა 10 ვაზზე 127 მტევანი, რომელთაგან 116 იყო საშუალო ზომისა, ხოლო დანარჩენი მსხვილი და წვრილი ზომისა. საერთოდ ყვითელმა კუმმა კარგი მოსავალი იცის. კახეთის სტანდარტული ვაზის ჯიშებთან შედარებით მისი მოსაველიანობა საშუალოდ უნდა ჩაითვალოს.

ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება



დაკვირვებები სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე მევენახეობის ინსტიტუტის საკოლეჯიო ვენახში, სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 3 კმ. დაშორებით.

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 138 დღიდან 170 დღემდე და საშუალოდ (11 წლის მანძილზე) 153 დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად იცვლება აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,758 გრადუსიდან 3,392 გრადუსამდე, ხოლო საშუალოდ 3,162 გრადუსს უდრის.

ცალკეული წლების განმავლობაში სავეგეტაციო ფაზების დადგომის ვადების ცვალებადობის დახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ქ. თელავში ყვითელი კუმის სავეგეტაციო ფაზების მსვლელობაზე წარმოებულ დაკვირვებების შედეგები.

ყვითელი კუმის სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა ქ. თელავში

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის ვადები				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნალექები	
		ვერტიკალის დასაწყისი	ყვითლობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარეპროდუქციო პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლეჯიო ვენახი, ქ. თელავში.	1938	24/IV	6/VI	13/VIII	20/IX	149	3,168,5	—	—
	1939	23/IV	4/VI	19/VIII	25/IX	155	3,192,0	—	—
	1940	16/IV	8/VI	19/VIII	25/IX	163	3,317,6	—	—
	1941	7/IV	9/V	17/VIII	18/IX	164	3,392,4	—	—
	1942	30/IV	12/VI	13/VIII	30/IX	153	3,247,3	—	—
საშუალო . . . . .	—	20/IV	6/VI	16/VIII	24/IX	157	3,257,5	—	—
იგივე	1943	29/IV	11/VI	22/VIII	10/X	165	3,230	147,3	511,0
	1944	25/IV	7/VI	25/VIII	20/IX	149	3,041,8	67,8	393,4
	1945	4/V	13/VI	26/VIII	30/IX	150	3,036,1	47,3	346,3
	1946	26/IV	9/VI	24/VIII	10/IX	138	2,758,4	0,0	539,9
	1947	4/IV	3/VI	15/VIII	20/IX	170	3,165,4	82,5	540,3
	1948	30/IV	6/VI	24/VIII	28/IX	152	3,168,2	52,4	413,5
საშუალო . . . . .	—	24/IV	8/VI	22/VIII	24/IX	154	3,066,6	66,2	457,7

როგორც ცხრილიდან ჩანს, ცალკეული ფაზების დადგომის ვადები საგრძობლად იცვლება წლის მეტეოროლოგიური პირობების მიხედვით. მათში ყველაზე მეტი ცვალებადობა ახასიათებს პირველ ანუ საწყის ფაზას, ყველაზე ნაკლები მომდევნო — ყვითლობის დასაწყისის — ფაზას. წლების მანძილზე სიმწიფის დასაწყისისა და სრული სიმწიფის დადგომის მიხედვით ყვითელი კუმი მიეკუთვნება სიმწიფის III პერიოდის ვაზის ჯიშებს.

კახეთის ჰავის პირობებში ყვითელი კუმის ერთწლიანი რქები თავისუფლად ასწრებს მომწიფებას ყურძნის სავსებით დამწიფების მომენტისათვის და ზამთარს კარგად გახევებული ხვდება.

ყვითელი კუმის ვაზებს, თელავისა და ვაზისუბნის საკოლეჯიო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებების მიხედვით, საშუალო სიმძლავრის ზრდა ახასიათებს.

მოსავლიანობა. ყვითელი კუმი აღრე იძლევა როგორც პირველ, ისე სრულ მოსავალს. ინსტიტუტის საკოლეჯიო ნაკვეთზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით ყვითელი კუმის ნამყენები დარგვიდან მესამე წელს ისნამს პირველად, ხოლო მეოთხე-მეხუთე წლიდან უკვე სრულ მოსავალს იძლევა. ასე, მაგალითად, დარგვიდან მესამე წელს ყვითელი კუმის მსხმოიარობის კოეფიციენტი 0,6-ს უდრიდა, ხოლო შემდეგ (1936) წელს 1,37-ს და ესა 10 ვაზზე 127 მტევანი, რომელთაგან 116 იყო საშუალო ზომისა, ხოლო დანარჩენი მსხვილი და წვრილი ზომისა. საერთოდ ყვითელმა კუმმა კარგი მოსავალი იცის. კახეთის სტანდარტული ვაზის ჯიშებთან შედარებით მისი მოსავლიანობა საშუალოდ უნდა ჩაითვალოს.

მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 0,58-დან 1,52-მდე, ხოლო საშუალოდ 1,0—1,2-ს უდრის. მტვენების საშუალო წონა მერყეობს 140-დან—300 გრამამდე, საშუალოდ კი 160—180 გრამს უდრის. ცალკეული კარგად განვითარებული მტვენების წონა თავისუფლად აღწევს 350—400 გრამს. ჯიშის მსხმოიარობის უფრო სრულად დაბასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია აღრიცხვა-დაკვირვების შედეგები:

ეროვნული  
ბიზნისმეცნიერება

### მონაცემები ყვითელი კუმის მსხმოიარობის შესახებ

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	მსხმოიარე ყლორტების პროცენტი				მტვენების რაოდენობა ერთ ხაყოფიან რქებზე	მტვენების საშ. რაოდენ. 1 რქაზე	მტვენის საშუალო წონა	1 რქის მოსავალი გრამებით	დატოვებული რქების რაოდენობა 1 ჰექტარზე	მოსავალი ცენტნერებით
		ერთმტვენიანი	ორმტვენიანი	სამმტვენიანი	სულ						
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენი ქ. თელავში	1941	37,5	34,46	1,79	93,75	1,67	1,52	178,2	271,0	37,000	100,8
	1943	47,5	36,25	—	83,75	1,43	1,20	182,5	218	23,000	61,0
	1948	47,03	31,0	0,80	78,83	1,4	1,11	180,5	200,35	35,000	70,1

როგორც ცხრილში მოყვანილი ცნობებიდან ირკვევა, უნაყოფო ყლორტების რაოდენობა საკმაოდ მერყეობს (6-დან 21%-მდე). ერთმტვენიანი რქების რაოდენობა 37-დან 47%-მდე მერყეობს, ორმტვენიანი რქებისა — 31%-დან 54%-მდე, ხოლო სამმტვენიანი რქების რაოდენობა უმნიშვნელოა. ამ მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული მოსავალი 60-დან 100 ცენტნერამდე მერყეობს ერთ ჰექტარზე. ვინაიდან ფაქტიური მოსავალი მუდამ ნაკლებია გაანგარიშებულზე, ამიტომ ყვითელი კუმის საშუალო მოსავლიანობად კახეთის პირობებისათვის უნდა მივიჩნიოთ ჰექტარზე საშუალოდ 60—70 ცენტნერი ყურძენი.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. ყვითელი კუმი საკმაოდ კარგად უძლებს სოკოვან ავადმყოფობებს. თელავსა და ვახისუბანში წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით მისი შედარებითი გამძლეობა მილდიუმისა და ნაცრისადმი საშუალოდაა შეფასებული, ამასთან ჯიშის ნაცრის უკეთ უძლებს, ვინემ მილდიუმს. სხვა ავადმყოფობათაგან სამეურნეო მნიშვნელობის დაზიანებანი დაკვირვების წარმოების განმავლობაში შემჩნეული არ ყოფილა.

### ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დაბასიათება

მტვენის გარეგნული შეხედულებისა და ყურძნის მექანიკური და ქიმიური შედგენილობის მიხედვით ყვითელი კუმი სადესერტო ყურძნის ჯიშია. მისი მექანიკური და წვენი ქიმიური შედგენილობის საჩვენებლად ქვემოთ მოყვანილია სათანადო ცნობები.

### ყურძნის მექანიკური შედგენილობა

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	მტვენის საშ. წონა	მარცვლების რაოდენობა მტვენი	მტვენის შემადგენელი ნაწილები %-ით				100 მარცვლის წონა	100 წიპწის წონა გრამებით
				წვენი და რბილობი	კლერტი	კანი	წიპწა		
კახეთი, თელავის რაიონი, ქ. თელავი. გურჯაანის რაიონი, სოფ. ვახისუბანი	1940	166,3	79	75,03	3,13	18,30	3,54	206	3,9
	3 წლის საშუალო	228,4	108	75,46	3,40	17,65	3,49	203,78	4,42

ლაბორატორიულ პირობებში ყურძნის გადამუშავებისას ყვითელი კუმის წვენი გამოსავლიანობა 75%-ს შეადგენს, ხოლო მაგარი ნარჩენებისა (კლერტი, კანი, წიპწა) 25%-ს. ასეთი შედარებით დაბალი გამოსავლიანობა წვენისა და თვით მტვენის გარეგნული შეხედულება მიუთითებს მის სადესერტო ყურძნად გამოყენების უპირატესობაზე.




ყვითელი კუმსი—Кумси Квитელი





წვენიის ქიმიური შედგენილობა. ყვითელ კუმს შაქრის დაგროვების დიდი უნარი ახასიათებს. ჯიშის შაქრიანობა-მეაფიანობა სადესერტო ყურძნისათვის სავსებით ზომიერად უნდა ჩაითვალოს. მისი შაქრიანობა წლების მანძილზე საშუალოდ 16%-დან 18%-მდე მერყეობს, ხოლო ზოგიერთ წელს იგი 20%-სა და მეტსაც აღწევს; მეაფიანობა მერყეობს 5%-დან 7%-მდე და მხოლოდ იშვიათად აღწევს 10%-მდე.

ცალკეულ წლებში შაქრიანობა-მეაფიანობის ცვალებადობის საჩვენებლად ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ანალიზის შედეგები.



**ყვითელი კუმის შაქრიანობა-მეაფიანობა რთვლის პერიოდში**

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	წელი	ანალიზის ჩატარების თარიღი	შაქარი %-ბით	მეაფა %-ბით	შენიშვნა
ქაზეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1937	18/X	15,49	5,3	
	1938	11/IX	18,0	5,7	
	1940	25/IX	18,5	6,75	
	1941	18/IX	18,08	4,8	
	1943	5/X	16,2	6,45	
	1944	26/IX	23,1	9,9	
	1945	2/X	19,3	9,5	
	1946	24/IX	20,3	5,4	
	1947	25/IX	19,0	6,70	
	1948	1/X	14,0	5,08	

მოყვანილი ცნობები შაქრიანობა-მეაფიანობის შესახებ საფუძველს გვაძლევს ყვითელი კუმი სადესერტო ყურძნის ჯიშებს მივაკუთვნოთ, რადგან შაქრიანობისა და მეაფიანობის ნაჩვენები რაოდენობა და მათი ურთიერთშეთარღობა ვერ უზრუნველყოფს მისგან სუფრის ხარისხოვანი ღვინის მიღებას.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. ყვითელი კუმის ყურძენს ადგილზევე იყენებენ საკმელად ან გააქვთ მახლობელ ქალაქებში გასაყიდად. უფრო იშვიათად მას სწორავენ ცალკე ან სხვა ჯიშებთან ერთად თეთრი სუფრის ღვინის დასამზადებლად. სუფთა ჯიშური ღვინო ყვითელი კუმისაგან მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. იგი მოყვითალო-ქარვისფერი, მცირესხეულიანი, მსუბუქი, ორდინარული ღვინოა, სუსტად გამოხატული ჯიშური არაომატის მქონე. ღვინის საცდელი ნიმუშები მევენახეობის ინსტიტუტის ჯიშური ღვინოების ხარისხის შემფასებელი სადეგუსტაციო კომისიის სხდომებზე საშუალო ნიშნებს იღებდა და ფასდებოდა, როგორც საშუალო ღირსების ორდინარული ღვინო. ორგანოლექტიკური თვისებების მხრივ ღვინის უფრო სრულად დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები სადეგუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.

**ამონაწერები სადეგუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	წელი	სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური შეფასება
თელავის რაიონი, ქ. თელავი	1936	20/I 1937	6,0	კარგად დაწმენდილი, მოყვითალო-ჩალისფერი, მსუბუქი, მცირე ექსტრაქტული ორდინარული ღვინო.
გურჯაანის რაიონი, ს. გურჯაანი	1940	25/XII 1940	6,2	ღია ჩალისფერი, გამჭვირვალე, მსუბუქი, მცირესხეულიანი, ორდინარული ღვინო.
თელავის რაიონი, ქ. თელავი	1947	8/VI 1948	7,0	სასიამოვნო ხილის არაომატი ახლავს გემოს. ჩალისფერი, კარგად დაწმენდილი მცირეშინაარსიანი ზედმეტად ბალისიანი გემოს მქონე ღვინო.

ყვითელი კუმის ღვინის უფრო სრული დახასიათების მიზნით და მისი ქიმიური ბუნების გასაცნობად ქვემოთ მოყვანილია ცნობები ღვინის ქიმიური შედგენილობის შესახებ.

**ყვითელი კუმის ღვინის ქიმიური შედგენილობა**



მცენახვობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მოც. % ში	გ რ ა მ ე ბ ი ლ ი ტ ბ რ ა ქ მ ა ნ უ ლ ი ბ რ ა ქ მ ა ნ უ ლ ი						
				ექსტრაქტი	ნაცარი	საერთო მჟავა	მჭროლავი მჟავა	შაქარი	გლაიცერინი	ტანინი
გურჯაანის რაიონი, სოფ. ვახიშტანი	1940	0,9984	10,3	18,14	1,88	4,57	0,49	0,9	6,41	0,09
იგივე	1939	0,9929	9,95	17,4	—	5,21	—	—	—	—
თელავის რაიონი, ქ. თელავი	1947	—	8,7	16,24	—	7,46	0,59	—	—	0,15

როგორც ორგანოლექტიკური, ისე ღვინის ქიმიური თვისებების მიხედვით ყვითელი კუმი უფრო სადესერტო ყურძნის ჯიშია, ვინემ საღვინე.

როგორც სადესერტო ყურძნის ჯიშს, ყვითელ კუმს შემდეგი თვისებები აქვს:

მტევანი საშუალო და საშუალოზე მცირე ზომისაა. მსხვილი, კარგად განვითარებული მტევნების ზომა თავისუფლად აღწევს 19×9 სანტიმეტრს. მისი ღია ქარვისფერმარცვლებიანი მტევნები გარეგნულად საკმაოდ ლამაზი და მიმზიდველია. მტევნების ზედმეტი სიმკვრივე უდავოდ აუარესებს ყურძნის ხარისხს.

მარცვალი საშუალო და საშუალოზე მსხვილია. კარგად განვითარებული მარცვლების ზომა 1,71×1,59 სანტიმეტრს უდრის. მარცვლები მომრგვალო ფორმისაა, ღია ქარვისფერია. მარცვლები თითქმის თანაბარი ზომისაა და ერთნაირად მწიფდება. წვრილმარცვლოვანობა და ყვავილცვენა ჯიშს არ ახასიათებს.

გემო მარცვლისა ჰარმონიულია, ჯიშური არომატი ძლიერ სუსტადაა გამოსახული. მისი შაქრიანობა საშუალოდ შეადგენს 16—18%-ს, ხოლო მჟავიანობა 6—7‰-ს. კანი სქელია და ადვილად შორდება რბილობს. რბილობი მკვრივია, ოდნავ კნატუნა. წიბოები ადვილად ეცლება რბილობს, მათი რაოდენობა მარცვალში საშუალოდ 1,26-ს უდრის.

მახლობელი დასახლებული ადგილების, სამრეწველო ცენტრების, სანატორიუმებისა და დასაცენებელი სახლების მოსამარაგებლად თავისუფლად გამოსადეგია და მოკლე მანძილზე გადაზიდვასაც თავისუფლად იტანს, ხოლო შორეულ მანძილზე გადაზიდვას ვერ იტანს და ხანგრძლივადაც არ ინახება. ამის მიხედვით ყვითელი კუმი საშუალო ღირსების სიდესერტო ყურძნის ჯიშად უნდა იქნეს მიჩნეული.

**ჯიშის საერთო შეფასება და დაზიანება**

ყვითელი კუმი ადგილობრივი, მცირედ გავრცელებული ვაშის ჯიშია. იგი იმდენად საშუალო ღირსების სადესერტო ყურძენს და ორდინარულ თეთრ სუფრის ღვინოს. გავრცელებულია ძირითადად სიღნაღისა და გურჯაანის რაიონებში, სადაც გვხვდება უმთავრესად პატარა ვენახებად კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე ან მინარევის სახით კოლმეურნეობათა ძველ ვენახებში. კახეთის დანარჩენ რაიონებში იგი მხოლოდ თითო-ორჯერ ძირი გვხვდება კოლმეურნეთა ვენახებში. ყვითელი კუმის ყურძენს ადგილობრივ იყენებენ საჭმელად ან გააქვთ მახლობელ ქალაქებში გასაყიდად. იშვიათად მისგან ცალკე ან სხვა ჯიშებთან ერთად თეთრ სუფრის ღვინოსაც ამზადებენ. როგორც სადესერტო ყურძენი, ყვითელი კუმი საშუალო ღირსებისაა. იგი საკმაოდ ლამაზ საშუალო სადიდის მტევნებს იხამს, საკმაოდ მსხვილია და ღია ქარვისფერი მარცვლები აქვს. ამ ღირსებებს ამცირებს მტევნების ზედმეტი სიმკვრივე.

ღვინის დაყენების თვალსაზრისით იგი ნაკლებ საყურადღებოა. მისი ღვინო ორდინარული დგება. იგი მოყვითალო-ჩალისფერია, სუსტად განვითარებული ჯიშური არომატით, სიმსუბუქით, მცირე სხეულით და დაბალი ალკოჰოლიანობით ხასიათდება.

ჯიშის დადებითი თვისებები შემდეგია: იგი შედარებით კარგად უძლებს სოკოვან ავადმყოფობებს, გარეგნობით ლამაზი მტევნები აქვს, მარცვლები თანაბარი სიდიდისაა და თანაბრადვე მწიფდება.

ჯიშის უარყოფითი თვისებები შემდეგია: კარგი მოსავალი არ იცის, ზედმეტად მკვრივი მტევნები აქვს. წვიმებიან შემოდგომაზე მარცვლები სიღამისაგან უზიანდება და ღვინო დაბალი ღირსების დგება.

კახეთის პირობებში ყვითელი კუმსი, როგორც სამრეწველო ჯიში, საყურადღებო არაა. იგი როგორც საშუალო მოსავლიანი და საშუალო ღირსების სადესერტო ყურძნის ჯიში შეიძლება რეკომენდებული იქნეს ძირითადად სიღნაღის რაიონისათვის ადგილობრივ მოსახმარებელ სუფრის ყურძნის მტევნების დამატებით ჯიშად. უფრო ფართოდ გასავრცელებლად იგი შეიძლება რეკომენდებული იქნეს ზნობის რაიონებშიც, ძირითადად საკარმიდამო ნაკვეთებზე გასაშენებლად, მოსახლეობის საკმელი ყურძნით უზრუნველყოფის მიზნით.

## КУМСИ КВИТЕЛИ

Лист. Вполне развитые листья ниже средних размеров (16,5 × 17 см). Листовая пластинка округлая, с незначительным варьированием в сторону поперек-овальной формы. Листья пятилопастные, с хорошо выражеными вторичными лопастями. Угол оконечной лопасти обычно тупой, реже он прямой. Поверхность листа гладкая, либо слабо сетчато-морщинистая. Изогнутость листовой пластинки воронковидно-желобчатая либо пластинка листа неопределенно изогнута. Главные нервы листа спущены редким щетинистым пушком и окрашены в светло-зеленый цвет.

Верхние вырезки в большинстве случаев бывают средних размеров, реже они глубокие. Форма вырезок незначительно варьирует, обычно встречаются закрытые яйцевидные вырезки с заостренным либо округлым дном. Реже встречаются вырезки с однозубчатым дном и открытые лировидные с заостренным дном.

Нижние вырезки несколько менее глубоки, обычно они около средних размеров. Форма вырезок открытая, лировидная, с узким устьем и округлым дном, реже встречаются лировидные вырезки почти с параллельными сторонами и округлым либо заостренным дном.

Черешковая выемка по форме слабо варьирует, чаще всего встречаются лировидные выемки с заостренным дном, реже сводчато-квадратные, а еще реже закрытые выемки с обратно-яйцевидным просветом.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей узко-треугольные, оттянутые в острие, реже они треугольные с острой вершиной. Краевые зубцы пилевидные односторонне-выпуклые и треугольно-пилевидные. По размерам они не одинаковые, обычно крупные односторонне-выпуклые зубцы чередуются с мелкими треугольно-пилевидными зубцами.

Опушение нижней стороны листа щетинистое средней густоты, усиливающееся на листьях нижнего яруса до густого щетинистого пушка.

Черешок листа голый. По длине он равен или несколько короче длины срединного нерва. Окраска черешка слабо вишнево-красная.

Цветок. Цветок нормального строения, обоеполый. Тычинки прямостоячие. Число тычинок в цветке 5 — 6. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,0 — 1,25. Пестик правильной колбевидной формы с хорошо выраженным столбиком. Рыльце двухраздельное, реже оно цельное либо трехлопастное.

Гроздь. Грозди ниже средних размеров. Длина гроздей варьирует от 12 до 16 см, при ширине 6 — 8 см. Размер средней грозди равен 14 × 8. Основная форма гроздей цилиндрическая, реже встречаются и цилиндрико-конические, крылатые грозди. Часто грозди от неравномерного развития несколько изогнуты по середине. В большинстве случаев грозди плотные и очень плотные, реже встречаются грозди средней плотности. Вес грозди варьирует от 140 до 300 граммов, составляя в среднем на гроздь 160 — 180 гр. Отдельные, полноценные грозди свободно достигают веса 350 — 400 гр. Среднее число ягод в грозди составляет 80 — 100. Ножка грозди деревянистая, окрашенная в цвет побега. Длина ножки варьирует от 1,5 до 2,5, составляя в среднем 2 см. Ножка ягоды зеленая, длиной 4 — 6 мм. Подушечка бородавчатая, широко-конической формы.

Ягода. Ягоды средних и выше средних размеров. Длина ягод варьирует от 1,55 до 1,85 см, при ширине 1,5 — 1,80. Средний размер ягоды равен 1,75 × 1,60. Основная форма округлая, с наибольшей шириной ягод посередине. Однако, благодаря чрезмерной плотности гроздей, ягоды часто деформируются, вытягиваясь в длину, перемещая наибольшую ширину ближе к концу ягоды. Окраска ягод желтая, с янтарным оттенком. Кожица грубая, отделяющаяся от мякоти. Мякоть плотная, расплывающаяся. Восковой налет на ягодах слабо выражен.


Количество семян в ягоде варьирует от 1 до 3, составляя в среднем 1,26 семени на ягоду.

Кумси-квители (плотный желтый) местный, малораспространенный сорт винограда. Дает среднекачественный десертный виноград местного значения и ординарное белое столовое вино. Распространен, в основном, Сигнахском и Гурджаанском районах Кахетии в виде маленьких участков, либо в виде примеси на старых корнесобственных виноградниках колхозов и колхозников. В остальных районах Кахетии сорт встречается в виде единичных кустов на приусадебных участках колхозников. Ввиду незначительного распространения сорта, его виноград потребляется на месте в свежем виде либо вывозится в ближайший город для реализации, реже отдельно или вместе с другими сортами перерабатывается на столовое белое вино. Чистосортное вино из Кумси готовят в Институте виноградарства. Оно соломенно-желтое, легкое, малосодержательное и слабоградусное, со слабо развитым сортовым ароматом. В целом вино ординарное, посредственного качества. Сорт более интересен в качестве столового винограда, он характеризуется красивыми, светло-янтарными гроздьями ниже среднего размера и довольно крупными округлыми ягодами, гармоничного вкуса. Чрезмерная плотность гроздей снижает его качество.

К положительным свойствам сорта относятся его сравнительно хорошая устойчивость к грибным болезням, красивый внешний вид гроздей, одновременное созревание ягод и отсутствие горошения и мелкочагодности. К недостаткам сорта относятся его невысокая урожайность, чрезмерная плотность гроздей и склонность ягод гниению в дождливую осень.

В условиях Кахетии, в качестве промышленного сорта, Кумси-квители не заслуживает внимания. Его, как среднеурожайный и среднекачественный сорт, можно рекомендовать в качестве дополнительного столового сорта для Сигнахского и Гурджаанского районов Кахетии, в основном, для удовлетворения разнообразного вкуса потребителей свежим виноградом.





## თეთრი ხარისთვალა

თეთრი ხარისთვალა ადგილობრივი მცირედ გავრცელებული ვაზის ჯიშია, იძლევა ადგილობრივ მუსახმარ სადესერტო ყურძენს.

სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის თეთრი ხარისთვალას სინონიმები ცნობილი არაა.

ჯიშის ისტორია. თეთრი ხარისთვალა ადგილობრივი ვაზის ჯიშია, იგი წარმოქმნილია კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოშობის ადგილობრივი კერიდან. თეთრი ხარისთვალა აღმოსავლეთ საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ჯიშია, იგი მცირე რაოდენობით თითქმის ყველა რაიონში გვხვდება. ძირითადად იგი მოიპოვება საკარმიდამო ნაკვეთებზე, იშვიათად მინარევის სახითაც გვხვდება საწარმოო ვენახებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კახეთში ხარისთვალა თეთრიც გვხვდება და შავიც. თუმცა ეს ორი ჯიში ზოგადად ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ ურთიერთისაგან საკმაოდ განსხვავებული ჯიშებია. თეთრი ხარისთვალა ოვალურმარცვლიანია, ხოლო შავი — მრგვალმარცვლიანი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხარისთვალას სახელწოდებით სხვადასხვა ჯიშია გავრცელებული. აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთში გავრცელებული თეთრი და შავი ხარისთვალა შიშველგოთლიანებია და მკვეთრად განსხვავდებიან დასავლეთ საქართველოს ხარისთვალასაგან. დასავლეთ საქართველოში მარტო შავი ხარისთვალაა გავრცელებული. მისი თეთრი სახესხვაობა ჯერ ცნობილი არ არის. რაჭაში, იმერეთსა და სამეგრელოში გავრცელებული ხარისთვალა მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახშია დარგული. იქ წარმოებული დაკვირვებების შედეგად სამივე ერთი და იგივე ჯიში აღმოჩნდა. იგივე ხარისთვალა აღმოჩნდა ინგლისში „გროკოლმანის“ სახელწოდებით ცნობილი ჯიში, რომელიც ინგლისიდან ყირიმში იქნა შემოტანილი, ხოლო ყირიმიდან ჩვენში შემოიტანეს „დოდრელიაბის“ სახელწოდებით. როგორც ეს ჩვენი გამოკვლევებით დადასტურდა, ხარისთვალა ოცდახუთ სხვა ვაზის ჯიშთან ერთად დასავლეთ საქართველოდან მოხვდა საფრანგეთში აჯამეთის ფერმის გამგის ლონგელის საშუალებით. იქიდან იგი გავრცელდა ბელგიაში, ინგლისში და იქიდან ახალი სახელწოდებებით დაბრუნდა უკან ჩვენში, როგორც საუკეთესო სუფრის ჯიში. ამის გამო დასავლეთ საქართველოს ხარისთვალა აღწერილია და დახასიათებულია ჩვენ მიერ კოლხური ხარისთვალას სახელწოდებით. იგი მკვეთრად განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოს შავ ხარისთვალასაგან იმით, რომ ფოთლების სქელი, ქერისებრი შებუსუსება და უფრო მსხვილი მარცვლები აქვს.

ჯიშის ხნიერების საკითხის განსაზღვრისათვის მეტად საინტერესო ცნობა აქვს მოყვანილი აკად. ივანე ჯავახიშვილს. იგი შემდეგს წერს: „საქართველოში და ძველ ქართლში . . ხარისა და ძროხის მაშინდელი სახელი, როგორც დასაბუქდად დამხადებულ ქართველი ერის ისტორიის შესავალ წიგნში მაქვს გამოკვეთილი. სწორედ სიმსხოს გამომხატველი იყო. ამიტომ ხარისთვალა ყურძნის ჯიშის ძველ ქართულ სახელად უნდა იქნეს მიჩნეული“.

რაკი გამოირკვა, რომ ხარისთვალა საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და კანეთშიც მოიპოვებოდა, თანაც ძველი ქართული სახელია, თურქთა შორის კი ყურძნის ჯიშის ასეთი სახელი სრულებით არ მოიპოვებოდა, სომეხთა მოსახლეობაშიც მას შედარებით ნაკლები არე ჰქონდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ჯიში სომეხთა შორის საქართველოთაგან უნდა იყოს შეტანილი“. და მართლაც, სომხურ ამპელოგრაფიაში (1848 წ.) ეხანაჩკის სახელწოდებით აღწერილი და დახასიათებული ჯიში ნამდვილი შავი ხარისთვალაა — კახეთიდან სხვა ჯიშებთან ერთად შეტანილი.

თეთრი ხარისთვალა მცირე რაოდენობით კახეთის თითქმის ყველა რაიონში გვხვდება. უფრო ხშირად იგი გვხვდება საკარმიდამო ნაკვეთებზე თალარებად და ხეივნებად, იშვიათად მინარევის სახითაც

კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ძველ ვენახებში. რამდენიმე ათეული ძირი ხარისავალა მოიპო-  
ვება მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო და სარებროდუქციო ნაკვეთებზე და ინსტიტუტის ფი-  
ლიალისა და დასაყრდენი პუნქტების საკოლექციო ვენახებში.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა



ჯიში აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე სოფ. ვახისტყაში. ახალგაზრდა ყლორტი. ახალგაზრდა მოხარდი ყლორტები გვირგვინიდან პირველი ორი ფო-  
თოლაკის ჩათვლით შებუსუსებულია ძალიან თხელი აბლაბუდისებრი ბუსუსით, მორუხო-თეთრი ფერისაა  
და მოწითალო-ღვინისფერი იერი გადაჰკრავს ფოთოლაკების ირგვლივ. მეორე იარუსის ფოთლები შიშვე-  
ლია, ნარინჯისფერია და მოწითალო იერი გადაჰკრავს. ყლორტის წვერო ბრწყინებინად მოწითალო-  
ღვინისფერია.

ერთწლიანი რქა. კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მორუხო იერის მქონე  
მოწითალო-ყვითელ ფერს იღებს. მუხლები უფრო მუქია, ვინემ მუხლთაშორისები. მუხლთაშორისები სა-  
შუალო სიგრძისაა (10 – 15 სმ). მუხლთაშორისების გასწვრივ ზოლები კარგადაა გამოსახული. რქები  
მონაცრისფრო ფიფქითაა დაფარული.

ფოთოლი. კარგად განვითარებული, ზრდადამთავრებული (9—12) ფოთლები დიდი ზომისაა  
(20×19,5 სმ). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა და უფრო ხშირად განიერ-ოვალური ფორმისაა იხრება,  
ვინემ ოვალურისაა. ფოთალი ხუნთვითიანია, მეორეული დანაკვეთა ზეზეურია და მხოლოდ ზოგიერთ  
ფოთოლზე გვხვდება. შუა ნაკვეთი ბოლოვდება ბლაგვი კუთხით. ფოთლის ზედაპირი წვრილობურთულე-  
ბიანია, იშვიათად ბადისებრ დანაოქებულიც. ფოთლის ფირფიტა სწორი არაა, ხშირად იგი მოხრილია  
განუსაზღვრელი მიმართულებით, ხან კიდევ ძაბრისებრ ფორმას იღებს. ფოთლის ნაკვეთების ბოლოები  
ძირსაა დახრილი. ფოთლის მთავარი ძარღვები შიშველია და მხოლოდ მათი განტოტების ადგილთანაა შე-  
ბუსუსებული ჯაგრისებრი ბუსუსით. ფოთლის მთავარი ძარღვები ზემოთა მხრიდან მოწითალო-ღვინისფერია.

ზედა ამონაკვეთები ღრმა ან საშუალო სიღრმისაა, უკანასკნელი უფრო ხშირად გვხვდება. ამონაკვეთების  
ფორმა საგრძობლად ცვალებადობს. გვხვდება როგორც ღია, მრგვალი ან მახვილფუძიანი ჩანგისმაგვარი  
ფორმის, ისე დახურული, კვერცხისმაგვართვლიანი ამონაკვეთები. უფრო ხშირად გვხვდება კვერცხისმა-  
გვართვლიანი მრგვალფუძიანი და დახურული, იშვიათად კი ღია ჩანგისმაგვარი ფორმის ვიწროყელიანი და  
მრგვალფუძიანი ამონაკვეთები.


ქვედა ამონაკვეთები ნაკლებ ღრმაა, უფრო ხშირად ზეზეურია, იშვიათად საშუალო სიღრმისაა.  
ამონაკვეთების ფორმა ჩანგისმაგვარია, თითქმის პარალელურგვერდებიანი და მომრგვალო ან მახვილფუძიანი,  
იშვიათად ლანცეტისმაგვარი ფორმების ამონაკვეთებიც გვხვდება.

ყუნწის ამონაკვეთიც საკმაოდ სხვადასხვაგვარია. გვხვდება როგორც მახვილფუძიანი, თლისმაგვარი  
ფორმის, ისე დახურული, ოვალურთვლიანი ამონაკვეთები. უფრო ხშირად გვხვდება ჩანგისმაგვარი ფორმის  
მახვილფუძიანი ამონაკვეთები, ცალ ან წყვილღვინიანი.

ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება მახვილწვერიანი, ოდნავ გამოზნექილგვერდებიანი, სამ-  
კუთხედისმაგვარი ფორმის კბილებით, იშვიათად მახვილწვერიანი სამკუთხედისმაგვარი კბილებითაც. გვერ-  
დითი კბილები მახვილწვერიანი და გამოზნექილგვერდებიანია, იშვიათად ხერხის კბილისებრ ცალგვერდგა-  
მოზნექილებიცაა, საერთოდ კბილები მსბვილია და კარგადაა გამოსახული.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება ძალიან თხელი ჯაგრისებრია და კარგად შესამჩნევია მთავარი  
ძარღვების განტოტების ადგილას. ქვედა იარუსის ფოთლებზე ჯაგრისებრი ბუსუსი შეიმჩნევა ფოთლის  
ფირფიტაზედაც. მთლიანად ფოთლის შებუსუსება ძლიერ სუსტია — ფოთალი თითქმის შიშველია.

ფოთლის ყუნწი მისი შუა ძარღვის სიგრძისაა ან მასზე უფრო მოკლეა. ყუნწი შიშველია და  
მოწითალო-ღვინისფერადაა შეფერილი.



სურ. 29. თეთრი ხარისავალაჲ ყვ ვ ლი.

ყვავილი. ყვავილი ფუნქციურად მდედრობითია. მტვრი-  
ანები ბუტკოს ქვეშაა მოხრილი. ყვავილში 5, იშვიათად 6  
მტვრიანაა

მტვრიანათა ძაფის შეფარდება ბუტკოს სიმაღლისთან მერ-  
ყობს 0,6-დან 1,0-მდე, საშუალოდ კი 0,8-ს უდრის. ბუტკო  
მომრგვალო კონუსისებრი ფორმისაა (ბოთლისმაგვარია) და შე-  
დარებით გრძელი სვეტი და კარგად განვითარებული დინგი  
აქვს.

მტევანი. მტევანი საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე მერყე-  
ობს 14-დან 26 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 6-დან 16 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის ზომა 18 × 7 სან-

ტიმეტრს უდრის. მტევნის ძირითადი ფორმა ცილინდრულია, იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმის მტევნებიც გვხვდება. მტევნები ხანდახან მბრიანი, იშვიათად კი დატოტვილია. მტევნები მკვრივია, იშვიათად საშუალო სიმკვრივისაა. წვრილმარცვლიანობა დამახასიათებელია ჯიშისათვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ყვავილობის დროს გაბმული წვიმები მოდის. მტევნების წონა მერყეობს 80-დან 500 გრამამდე და მრავალი წლის მანძილზე საშუალოდ 250—300 გრამს უდრის. მარცვლების რაოდენობა მტევნებში მერყეობს 52-დან 120 ცალამდე და საშუალოდ 60—80-ს უდრის. მტევნის ყუნწი გახეებულა და რქსფრადაა შეფერილი. მისი სიგრძე მერყეობს 2-დან 3,5 სანტიმეტრამდე, ხოლო საშუალოდ 2,5—3,0 სანტიმეტრს უდრის.

მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე 4—5 მილიმეტრს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში კონუსისებრი ფორმისაა.

მარცვალი. მარცვლები მსხვილია, მათი სიგრძე მერყეობს 1,8-დან 2,2 სანტიმეტრამდე. საშუალო მარცვლის ზომა უდრის  $2,0 \times 1,86$  სანტიმეტრს. მარცვლის ფორმა ოვალურია, იშვიათად იგი მომრგვალოცაა. მსხვილი მარცვლები უფრო ხშირად მომრგვალოა. მარცვალი შუაში განიერია, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვლები ყვითელი ფერისაა, კანი თხელია და ძნელად შორდება რბილობს. რბილობი მკვრივი, კნატუნა, გემო სასიამოვნო, ჰარმონიული აქვს, ჯიშური არაშატი სუსტადაა გამოსახული. ცვილისებრი ფიფქი მარცვალზე აგრეთვე სუსტადაა გამოსახული.

მარცვლები ყუნწზე საკმაოდ მკიდროდაა მიმაგრებული. წიპწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 3-მდე, საშუალოდ ერთ მარცვალზე 1,6 წიპწა მოდის.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო ფაზების მსვლელობაზე ჩატარებულია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში ს. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით.

კურდღელაურის ეკოლოგიურ პირობებში თეთრი ხარისთვალას სავეგეტაციო პერიოდის სანგრძლიობა მერყეობს 135 დღიდან 175 დღემდე და საშუალოდ 150 დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად მერყეობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,767 გრადუსიდან 3,553 გრადუსამდე, ხოლო საშუალოდ 3,057 გრადუსს უდრის. ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად ცვლება სავეგეტაციო ფაზების დადგომის ვადებიც. ამ ცვალებადობის ჩვენების მიზნით ქვემოთ მოყვანილია ქ. თელავში თეთრი ხარისთვალას სავეგეტაციო პერიოდის მსვლელობაზე დაკვირვებების შედეგები.

### თეთრი ხარისთვალას სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა

მვენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	დაკვირვების წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის სანგრძლიობა დღეებში	აქტიური ტემპერატურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნალექები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარბო-დუქვი პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1938	24/IV	7/VI	6/VIII	20/IX	149	3,168,5	—	—
	1939	27/IV	31/V	24/VIII	15/IX	146	2,978,1	—	—
	1940	14/IV	9/VI	14/VIII	15/IX	154	3,160,2	—	—
	1941	7/IV	30/V	15/VIII	29/IX	175	3,563,2	—	—
	1942	26/IV	9/VI	20/VIII	20/IX	147	3,163,7	—	—
	საშუალო	19/IV	5/VI	16/VIII	20/IX	154	3,207,3	—	—
	1943	25/IV	10/VI	10/VIII	25/IX	154	3,035,2	129,9	479,6
	1944	22/IV	7/VI	16/VIII	15/IX	147	2,917,2	27,7	349,6
	1945	4/V	14/VI	20/VIII	15/IX	135	2,767,0	47,3	346,3
	1946	19/IV	8/VI	25/VIII	10/IX	145	2,842,8	—	553,3
1947	2/IV	3/VI	11/VIII	5/IX	157	2,951,0	59,2	503,3	
1948	27/IV	7/VI	14/VIII	18/IX	145	3,032	134,2	524,6	
საშუალო	21/IV	8/VI	16/VIII	14/IX	147	2,942,2	63,4	459,4	

მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ ცალკეული ფაზების დადგომის ვადები საგრძნობლად იცვლება წლების მანძილზე. ფაზების ცვალებადობა თანაბარი არაა. ყველაზე მეტად საწყისი ფაზის დადგომის დროა მერყევი, ყველაზე ნაკლებ ყვავილობის ფაზისა, სიმწიფის დადგომის ფაზეს ამ მხრივ შუათანა ადგილი უჭირავს, მათი დადგომის ვადებზე სხვა ფაქტორებთან ერთად დიდი გავლენა აქვს ნალექების რაოდენობას. სიმწიფის პერიოდში ნალექების დიდი რაოდენობა აგვიანებს ყურძნის სავსებით დამწიფებას. წლების განმავლობაში დაკვირვების მიხედვით თეთრი ხარისთვალა სავსებით მწიფდება ვაზების სიმწიფის III პერიოდის დასაწყისში.

კახეთის ზომიერი თბილი ჰავის პირობებში თეთრი ხარისთვალას ერთწლიანი რქები თავისუფლად ასწრებს მომწიფებას ყურძნის სრულად დამწიფების დროისათვის და კარგად შემოსული და გახვეებული ხდება ზამთარს.

თეთრი ხარისთვალას ვაზებს, თელავისა და ვაზისუბნის საცდელ ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით, საკმაოდ მძლავრი ზრდა ახასიათებს. კახეთის ვაზის ჯიშებთან შედარებით თეთრი ხარისთვალა საშუალოზე უფრო მძლავრად იზრდება.

მოსავლიანობა. თეთრი ხარისთვალა ქართული ვაზის ჯიშების მეტი წილის მსგავსად ადრე იწყებს მოსხმას, მისი ნამყენები დარგვიდან მესამე წელს უკვე იხმას, ხოლო მე-4—მე-5 წლიდან უკვე სრულ მოსავალს იძლევა.

თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო და სარეპროდუქციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით თეთრი ხარისთვალა საშუალოზე მაღალი მოსავლის მომცემი ჯიშია. მისი მოსავლიანობა ცალკეულ წლებში ძალზე მერყეობს. ეს მერყეობა იმითაა გამოწვეული, რომ ჯიშს ფუნქციურად მდებრობითი ტიპის ყვავილი აქვს, რომლის დამტვერვა ამინდის პირობებზეა დამოკიდებული. თავისთავად ჯიში მსხმოიარობის საკმაოდ მაღალ მაჩვენებლებს იძლევა. მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 0,52-დან 1,2-მდე, წლების განმავლობაში კი საშუალოდ 0,76-ს უდრის, მტვერის საშუალო წონა 250—300 გრამია. ამის მიხედვით გაანგარიშებული მოსავალი ერთ რქაზე 190—228 გრამს უდრის, ხოლო ჰექტარზე, თუ საშუალოდ 30,000 რქაა დატოვებული, 57-დან 68 ცენტნერამდე აღწევს. ჯიშის მსხმოიარობის უფრო სრულად დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია დაკვირვებისა და აღრიცხვის შედეგები.

**მონაცემები თეთრი ხარისთვალას მსხმოიარობის შესახებ**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	მსხმოიარე რქების პროცენტი			მტვერების რაოდენობა ერთ რქაზე იან რქაზე	მტვერების რაოდენობა ერთ რქაზე საშუალოდ	მტვერის საშ. წონა გრ-ბით	ერთი რქის მოსავალი გრ-ბით	დატოვებული რქების რაოდენობა I ჰექტარზე	მოსავალი ცენტნერობით
		1 მტვე-ნიანი	2 მტვე-ნიანი	სულ						
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1941	53,25	11,69	64,94	1,22	0,79	265,0	209,4	24,500	51,51
	1945	63,96	0,90	64,86	1,01	0,65	284,6	185,0	35,500	65,67

აქედან ჩანს, რომ თეთრი ხარისთვალას უნაკოფო ყლორტების რაოდენობა საკმაოდ დიდია (35%), ამასთან ორმეტენიანი რქების რაოდენობა მცირეა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჯიშში არასაკმარისადაა დატვირთული, მისი ზრდის სიმძლავრესთან და კვების არესთან (3,0 მ<sup>2</sup>) შეფარდებით 25—35 ათასი რქა ჰექტარზე ძალიან ცოტაა. ჯიშის მოსავლიანობის გასადიდებლად საჭიროა ვაზებს კარგი კვების პირობები შეეუქმნათ (დამუშავება, სასუქები) და გავადიდოთ მისი დატვირთვა. ამით შესაძლებელი გახდება მისი მოსავლიანობის საგრძნობლად გადიდება — ჰექტარზე საშუალოდ 70—80 ცენტნერი ყურძნის მიღება.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. თეთრი ხარისთვალა სოკოვან ავადმყოფობებს საშუალოდ უძლებს. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით მისი გამძლეობა მილდიუმის მიმართ საშუალოდაა შეფასებული, ხოლო ნაცრის მიმართ საშუალოზე მცირეა. ზოგიერთ წლებში ვაზისუბანში ხარისთვალას მტვერები საგრძნობლად ზიანდება ყურძნის ქიისაგან. სხვა დაავადებანი დაკვირვების წარმოების განმავლობაში შემჩნეული არ ყოფილა.





თეთრი ხარისთვლა — Хариствала Тетри



**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

მტვენების და მარცვლების გარეგნული შეხედულებისა და ყურძნის მექანიკური და წვენის ქიმიური შედგენილობის მიხედვით თეთრი ხარისთვალა სადესერტო ყურძნის ჯიშია.

ქვემოთ მოყვანილია ცნობები ყურძნის მექანიკური და მისი წვენის ქიმიური შედგენილობის შესახებ.



**თეთრი ხარისთვალას ყურძნის მექანიკური შედგენილობა**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	მტვენის საშუალო წონა	მარცვლების რაოდენობა მტვერში	მტვენის შემადგენელი ნაწილები %-ებით				100 მარცვლის წონა	100 წიპწის წონა	შენიშვნა
				წვენი და რბილობი	კლერტი	კანი	წიპწა			
კახეთი, გურჯაანის რაიონი, ს. ვახისუბანი.	5 წლის საშ.	272,07	79	85,01	3,57	8,41	3,01	333,2	5,76	—
თელავის რაიონი, ქ. თელავი, ინსტიტუტის ნაკვეთი	1941	252,0	84,0	82,24	4,12	10,52	3,12	829,6	4,96	—

როგორც ცხრილში მოყვანილი ცნობებიდან ირკვევა, ყურძნის ლაბორატორიულად გადამუშავებისას წვენის და რბილობის გამოსავლიანობა 82—85%-ს აღწევს, ხოლო მაგარი ნარჩენები 15—18%-მდე. წარმოების პირობებში წვენის გამოსავლიანობა ნაკლებია და დამოკიდებულია გამოწნების პირობებზედაც.

წვენის ქიმიური შედგენილობა, თეთრ ხარისთვალას სადესერტო ყურძნისათვის ზომიერი, ხოლო ღვინისათვის შედარებით დაბალი შაქრიანობა-მეაფიანობა ახასიათებს. რთვლის დროს ჩატარებული ანალიზების შედეგად გამოირკვა, რომ მისი შაქრიანობა მერყეობს 16<sup>1</sup>/<sub>2</sub>-დან 19% პროცენტამდე, ხოლო მეაფიანობა 4,5<sup>0</sup>/<sub>100</sub>-დან 7<sup>0</sup>/<sub>100</sub>-მდე. მხოლოდ ზოგიერთ წლებში მისი შაქრიანობა აღწევს 20%-ს, ხოლო მეაფიანობა 10<sup>0</sup>/<sub>100</sub>-მდე აღის. ცალკეული წლების განმავლობაში შაქრიანობა-მეაფიანობის ცვალებადობის დამახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია თეთრი ხარისთვალას წვენის ანალიზის შედეგები, ანალიზები გაკეთებულია რთვლის დროს.

**თეთრი ხარისთვალას წვენის შაქრიანობა-მეაფიანობა რთვლის პერიოდში**

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	წელი	რთვლის თარიღი	შაქრიანობა %-ით	მეაფიანობა %-ით	შენიშვნა
გურჯაანის რაიონი, ს. ვახისუბანი	1936	10/IX	17,94	6,72	
	1940	15/IX	18,5	6,5	
	1941	9/IX	16,5	6,0	
	1942	15/IX	16,4	4,8	
	1943	1/X	18,2	4,5	
	1944	23/IX	20,6	7,3	
	1945	17/IX	18,5	9,8	
	1947	11/IX	18,0	7,0	
	1948	20/IX	16,1	5,33	
	საშუალო . . .	—	—	17,86	6,44

ყურძნის წვენის ასეთი შაქრიანობა-მეაფიანობა სავსებით დამაკმაყოფილებელია სუფრის ანუ სადესერტო ყურძნისათვის, ხოლო ხარისხოვანი ღვინის მისაღებად არც რაოდენობისა და არც ურთიერთშეფარდების მხრივ საკმარისი არაა. მხოლოდ 1944 წელს ჰქონდა თეთრ ხარისთვალას სუფრის ღვინისათვის სასურველი შაქრიანობა-მეაფიანობა.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. თეთრი ხარისთვალას ყურძენს იყენებენ ძირითადად ადგილობრივ მოსახმარად და საზამთროდ შესანახად, იშვიათად მას კიდევაც სწორავენ სხვა ჯიშებთან ერთად ჩვეულებრივი ღვინის დასაყენებლად. თეთრი ხარისთვალა ადგილობ-

რეგ მოსახმარ საშუალო ღირსების სადესერტო ყურძენია. მას შემდეგი თვისებები ახასიათებს: მისი მტევანი საშუალო და საშუალოზე დიდი ზომისაა, საკმაოდ მკვრივი აღნაგობისაა, თითქმის თანაბარი ზომის მარცვლებისაგან შედგება და თანაბრადაა მწიფდება. გარეგნულად მტევანი საკმაოდ ლამაზი და მიმზიდველია, თუმცა მტევნების სიმკვრივე რამდენადმე მაინც უკარგავს მას მიმზიდველობას.

მარცვალი მსხვილია, ოვალური ფორმისა. ფერი ყვითელი აქვს, თანაც მოქარვისფრო იერი დაპკრავს. დაფარულია თხელი ცვილისებრი ფიფქით. გემო სასიამოვნო, პარმონიული აქვს. მტკნურ-მკვრივ-მკვრივია-ნობის ოდენობა და ურთიერთთან შეფარდება სავსებით საკმარისია სადესერტო ჯიშის მსხვილ კანი თხელი აქვს, იგი ძნელად შორდება საკმაოდ მკვრივ რბილობს (ხორცს). რბილობი ნაკლებ წვნიანი, კნატუნაა, წიპწები ადვილად ეცლება რბილობს. მარცვალში საშუალოდ 1,5 — 1,7 წიპწაა.

მტევანში მარცვლები საკმაოდ მკვრივია და გადაზიდვას იტანს. მარცვლის მოწყვეტის წინააღმდეგობა საშუალოდ უდრის 209 გრამს, ხოლო გაქყლევების მიმართ წინააღმდეგობა საშუალოდ 1,076 გრამს აღწევს. ინახება კარგად — პირვანდელი წონის 50%-ის დაკარგვამდე 30 — 40 დღეს. შორ მანძილზე გადასახიდად და ხანგრძლივად შენახვისათვის ჯიში ნაკლებ გამოსადევია.

სუფრის ღვინის დასამზადებლად თეთრი ხარისთვალა ნაკლებ გამოსადევია. მისი ღვინის ნიმუშები საშუალო ღირსებისაა. ღვინო მცირესხეულიანია, სუსტად გამოსახული ჯიშური არომატი აქვს და დაბალი ალკოჰოლიანობა ახასიათებს. იგი ორდინარული და საშუალო ღირსებისაა.

ღვინის საგემოვნო თვისებების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.

**ამონაწერები სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დაყენების ადგილი	წელი	სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური დახასიათება
გურჯაანის რაიონი, სოფ. ვახისუბანი, საკოლექციო ვენახი.	1940	10/XII 1940	6,5	მომწვანო-ჩალისფერი, კარგად დაწმენდილი, მსუბუქი, მცირესხეულიანი ევროპული ტიპის ორდინარული ღვინო.
თელავის რაიონი, საკოლექციო ვენახი, ქ. თელავში	1947	18/V 1948	7,1	ქარვისფერი, საკმაოდ დაწმენდილი მოტკბო, ხილის სასიამოვნო გემოს მქონე ევროპული ტიპის სუფრის ღვინო.

მევენახეობის ინსტიტუტში ჯიშური ღვინოების ხარისხის შემფასებელ სადევუსტაციო კომისიის მიერ თეთრი ხარისთვალას ღვინის საცდელი ნიმუშები შეფასებულია, როგორც საშუალო ღირსებისა, ორდინარული. ქვემოთ მოყვანილია ღვინის ქიმიური მაჩვენებლები.

**თეთრი ხარისთვალას ღვინის ქიმიური შედგენილობა**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დაყენების ადგილი	წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მოცულობით %-ით	ექსტრაქტი შაქრით	საერთო მჟავიანობა	მკროლაფი მჟავა	ტანიინი	pH
გურჯაანის რაიონი, ს. ვახისუბანი	1930	0,9919	8,6	15,5	4,90	—	—	3,65
	1940	0,9926	10,01	—	6,7	0,42	—	3,55
თელავის რაიონი, ქ. თელავი, მევენახეობის ინსტიტუტის ნაკვეთი	1947	—	9,6	40,92	6,5	0,34	0,2	—

მოყვანილი მონაცემები მიგვიჩვენებს, რომ თეთრი ხარისთვალას გამოყენება უფრო მიზანშეწონილია სადესერტო ყურძნად. თეთრი ხარისთვალას ყურძენს ძირითადად სწორედ ამ მიზნით იყენებენ.

**ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება**

თეთრი ხარისთვალა ადგილობრივი ჯიშია, იძლევა ადგილობრივ მოსახმარ საშუალო ღირსების სადესერტო ყურძენს. გავრცელებულია სხვა ჯიშებთან მდგომი ვაზების სახით (ხეივანი ტალავერი) კახეთის

თითქმის ყველა რაიონში, იშვიათად იგი მინარევადაც გვხვდება კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ძველ ვენახებში. ჯიშის მოსავალს ადგილზევე იყენებს მოსახლეობა საქმელად, იშვიათად იგი მახლობელ ქალაქებშიაც გააქვთ გასაყიდად. როგორც სადესერტო ყურძენი, იგი საშუალო ღირსებისაა. შეკრული დიდი მტევნები და ოვალური ფორმის მსხვილი, ზორციანი მარცვლები აქვს. მახლობელ ქალაქებში გადასაგზავნად და შესანახად თავისუფლად გამოდგება, ამასთან, გემოც სასიამოვნო და პარმონიტულია. მევენახეობის ინსტიტუტში თეთრი ხარისთვალასაგან დამზადებული ღვინის ნიმუშები არაა მაღალი ღირსებისა. მისი ღვინო ორდინარული, საშუალო ღირსებისაა. ღია ჩალისფერია, სუსტად გამოსახული ჯიშური არომატი, სიმსუბუქე, მცირესხეულიანობა, დაბალი ალკოჰოლიანობა ახასიათებს და ნაკლებ პარმონიული გემო აქვს.

ჯიშის დადებითი თვისებებია: დიდი ზომის მტევნები, მსხვილი მარცვალი, საშუალოზე მაღალი მოსავლიანობა და მცირე მანძილზე გადაზიდვის ამტანობა.

ჯიშის უარყოფითი თვისებებია: მდებრობითი სქესის ყვავილის ქონა და ამასთან დაკავშირებით განაყოფიერების სიძნელე, სუსტი გამძლეობა ნაცრისა და ყურძნის სიღამბლის მიმართ და მდარე ხარისხის ღვინო.

კახეთის რაიონებში თეთრი ხარისთვალას გაშენება სამრეწველო მიზნით სასურველი არაა. ძნელია მისი რჩევა მევენახეობის სხვა რაიონებისათვისაც, რადგან ის ფაქტი, რომ მას ფუქციურად მდებრობითი ტიპის ყვავილი აქვს და პროდუქციაც შედარებით მდარე ხარისხისაა, ასეთი ნაბიჯის საწინააღმდეგოდ ლაბარაკობს.

თეთრი ხარისთვალა, როგორც მოსავლიანი და საშუალო ღირსების სადესერტო ყურძნის მომცემი ჯიში, შეიძლება რეკომენდებული იქნეს სხვა ჯიშებთან ერთად საკარმიდამო ნაკვეთებზე გასაშენებლად. ჯიში საინტერესოა სასელექციო მუშაობაში გამოყენების თვალსაზრისითაც.

## ХАРИСТВАЛА ТЕТРИ

Лист. Вполне развитые листья (9 — 12) крупных размеров (20 × 19,5 см.). Листовая пластинка округлой формы, с более частыми колебаниями в сторону поперек-овальной, нежели овальной формы. Листья пятилопастные, вторичные лопасти мелкие, они встречаются лишь на некоторых листьях. Угол оконечной лопасти тупой. Поверхность листа мелко-пузырчатая, реже она сетчато-морщинистая. Листовая пластинка чаще неопределенно изогнутая, реже она воронковидно-желобчатой формы. Края лопастей отогнуты вниз. Главные нервы голые, с пучком щетинистых волосков лишь у места их расхождения. Окраска главных нервов с верхней стороны листа винно-красная.

Верхние вырезки глубокие и средних размеров, последние встречаются чаще. Форма вырезок варьирует от открытых лировидных с округлым, реже заостренным дном — до закрытых с яйцевидным просветом и округлым дном, чаще встречаются закрытые вырезки с яйцевидным просветом и округлым дном, реже лировидные — с узким устьем и округлым дном.

Нижние вырезки менее глубоки, они мелкие, реже средних размеров. Форма вырезок открытая, лировидная почти с параллельными сторонами и округлым, реже заостренным дном. Встречаются также вырезки ланцетовидной формы.

Черешковая выемка по форме варьирует от сводчатой с острым дном через лировидную с острым дном — до закрытой с остроовальным просветом. Чаще всего встречаются лировидные выемки с заостренным дном, реже с одним или двумя шпорцами.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей чаще прямые, равнобедренные, с несколько округлыми сторонами и острой вершиной, реже они треугольные с острой вершиной. Краевые зубцы треугольные с вышуклыми сторонами и острой вершиной, реже пиловидные, односторонне-выпуклые. В общем зубцы крупные, с широким основанием, хорошо выраженные.

Опушение нижней стороны листа редкое, щетинистое, заметное лишь в местах разветвления главных нервов. На листьях нижнего яруса щетинистый пушок переходит и на пластинку листа. В целом опушение очень слабое, лист почти голый.

Черешок листа короче, реже равен длине главного нерва. Черешок голый, окрашен в винно-красный цвет.

Цветок. Тип цветка функционально-женский. Тычинки закручиваются под пестик. Число тычинок в цветке пять, реже шесть. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика варьирует от

0,6 до 1,0, а в среднем составляет 0,8. Пестик округло-конической формы (бутылковидный), с длинным столбиком и хорошо развитым рыльцем.

Гроздь. Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует от 14 до 26 см., ширина от 6 до 16 см. Размер средней грозди равен  $18 \times 7$  см. Форма грозди цилиндрическая, реже встречаются и пиллиндрико-конические грозди. Иногда грозди снабжены крыльями, реже они лопастные. В большинстве случаев грозди плотные, реже средне-плотные. Горюшние и осыпание ягод характерны для сорта, в особенности при плохом опылении. Вес гроздей варьирует от 80 до 500 г, а в среднем за ряд лет составляет 250 — 300 г.

Количество ягод в грозди варьирует от 52 до 120, составляя в среднем 60 — 80 ягод на гроздь.

Ножка грозди деревянистая, красновато-желто-бурая. Длина ножки варьирует от 2 до 3,5 см, составляя в среднем 2,5 — 3 см. Ножка ягоды зеленая, длиной 4 — 5 мм. Подушечка бородавчатая, широко-конической формы.

Ягода. Ягоды крупных размеров. Длина ягод варьирует от 1,8 до 2,0 см, при ширине 1,6 — 2,2 см. Размер средней ягоды равен  $2,0 \times 1,86$  см. Форма ягод овальная, реже округлая, крупные ягоды обычно имеют округлую форму. Наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды закруглен. Окраска ягод желтая. Кожица тонкая, трудно отделяющаяся от мякоти. Мякоть плотная, хрящеватая. Вкус ягод приятный, гармоничный, без особого сортового аромата. Пруин на ягодах слабо выражен. Прочность прикрепления ягод к ножке достаточная. Количество семян в ягоде варьирует от 1 до 3, составляя в среднем 1,5 — 1,7 семени на ягоду.

Хариствала тетри — местный, малораспространенный сорт столового винограда. Дает средне-качественный десертный виноград местного значения. Распространен почти во всех районах Кахетии в виде группы отдельностоящих кустов (хеввани, талавери), реже в виде примеси на старых корнесобственных виноградниках колхозов и колхозников. Ввиду малого распространения сорта, его продукция потребляется на местах либо реализуется на рынках ближайших городов в свежем виде, реже его хранят на зиму. В качестве десертного винограда сорт заслуживает внимания красивым внешним видом гроздей, крупными овальными, желто-янтарными ягодами и приятным, гармоничным вкусом. Сорт хорошо выдерживает транспортировку на близкое расстояние, для дальней транспортировки и долгого хранения сорт мало пригоден.

Опытные образцы вин, приготовленные в Институте виноградарства, из Хариствала тетри не заслуживают внимания. Вино соломенно-желтого цвета, легкое, малосодержательное, слабоградусное, без особых вкусовых достоинств. На заседаниях дегустационных комиссий по оценке качества сортовых вин — вино Хариствала было оценено как ординарное, посредственного качества.


К положительным свойствам сорта относятся его вышесредняя урожайность, крупные размеры гроздей и ягод и довольно хорошие показатели прочности на отрыв и раздавливание ягод. К недостаткам сорта относятся функционально женский тип цветка, недостаточная устойчивость против оидиума и виноградной гнили и малая пригодность его в качестве винного сорта.

В районах Кахетии, в качестве промышленного сорта, Хариствала тетри внимания не заслуживает. Его, в связи с наличием функционально-женского типа цветка и невысокого качества продукции, трудно рекомендовать и для других виноградных районов Союза.

Однако, как средне-качественный и урожайный сорт, Хариствала тетри заслуживает распространения (в форме хеввани) вместе с другими сортами на приусадебных участках для удовлетворения разнообразного вкуса потребителей свежим виноградом.

Сорт перспективен также в качестве исходного материала при селекционных работах с виноградом





## შავი ხარისთვალა

შავი ხარისთვალა ადგილობრივი მცირედ გავრცელებული ჯიშია, იგი იძლევა ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძენს.

**სინონიმები.** მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის საქართველოში შავი ხარისთვალას სინონიმები ცნობილი არაა. სომხეთში შავი ხარისთვალა ეწინააჩქის (ხარისთვალას) სახელწოდებითაა ცნობილი (სომხეთის ამპელოგრაფია, 1948 წ.).

**ჯიშის ისტორია.** შავი ხარისთვალა წარმოქმნილია კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოების ადგილობრივი კერიდან. ბოტანიკური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით მას ძალიან ბევრი აქვს საერთო ადგილობრივ კახურ ვაზის ჯიშებთან. შავი ხარისთვალა თეთრი ხარისთვალასაგან მარტო ფერით არ განსხვავდება, როგორც ვთქვით, თეთრი და შავი, არამედ მისგან სხვა ნიშნების მხრივაც საკმაოდ განსხვავებული ჯიშია. ჯიშის წარმოშობის დროისა და ადგილის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ამისდა მიუხედავად აკად. ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ხარისთვალა ყურძნის ჯიშის ძველი ქართული სახელწოდებაა. ამის მიხედვით შავი ხარისთვალა ვაზის უძველეს ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს.

შავი ხარისთვალა ფართოდ გავრცელებული ვაზის ჯიშია, თუმცა მეტად მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. იგი გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში. უფრო მეტად იგი გავრცელებულია კახეთში, სადაც იგი ტალავერებად და ხეივნებად გვხვდება ან მინარევის სახითაა წარმოდგენილი კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ვენახებში. რამდენიმე ათეული ძირი შავი ხარისთვალა გვხვდება აგრეთვე მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო და სარეპროდუქციო ნაკვეთებზე და ინსტიტუტის ფილიალისა და დასაყრდენი ბუნქტების საკოლექციო ვენახებში.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური თვალსაზრისით ჯიში აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე სოფ. ვაზისუბანში.

**ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ).** ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინიდან პირველი ორი ფოთოლაკის ჩათვლით შებუსუსებულია საშუალო სისქის აბლაბუდისებრი ბეწვევით და მორუხო-თეთრი ფერისაა. მეორე იარუსის ფოთლები (3—5) ორივე მხრიდან შებუსუსებულია, მომწვანო-ყვითელი ფერისაა და მოწითალო-ღვინისფერი იერი გადაჰკრავს. მზისკენ მიქცეული მხარე ყლორტისა მოღვინისფრო-წითელი ფერისაა.

**ერთწლიანი რქა.** კარგად შემოსული ერთწლიანი რქები იფერებიან შემოდგომაზე, მონაცრისფრო იერის მქონე მოწითალო ღვინისფერს იღებს. მუხლები ფერით არ გამოირჩევა მუხლთაშორისებისაგან. ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ ოდნავ შეიმჩნევა, რქები საკმაოდ სქელია. მუხლთაშორისების სიგრძე 6—8 სანტიმეტრს უდრის.

**ფოთოლი.** კარგად განვითარებული ზრდადამთავრებული ფოთლები (9—12) მოზრდილია (18,5 X 20,0 სმ). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, უფრო ხშირად გარდიგარდმო ოვალური, იშვიათად მოოვალურიც. ფოთლი სამნაკვეთიანია, იშვიათად ხუთნაკვეთიანი და თითქმის დაუნაკვეთი ფოთლებიც მოგვეხვდება. ფოთლის შუა ნაკვეთი წინაა წამოწეული და ყოველთვის მახვილია, ეს დამახასიათებელია ჯიშისათვის. ფოთლის ზედაპირი გლუვია ან ოდნავ ბადისებრ დანაოჭებული; იგი სწორი არაა და ხშირად მიხრილ-მოხრილია გაურკვეველი მიმართულებით. ფოთლის მთავარი ძარღვები განტოტების ადგილთან შებუსუსებულია ჯაგრისებრი ბუსუსით და ხშირად მოწითალო-ღვინისფერია.

ზედა ამონაკვეთები ზეზეურია, იშვიათად საშუალო სიღრმისაა. ამონაკვეთები უფრო ხშირად დახურულია, კვერცხის ან ელიფსისმაგვართვალისა და მომრგვალო ძირიანი, იშვიათად მას შეჭრილი კუთხის ფორმაც აქვს.


ქვედა ამონაკვეთები, როგორც წესი, ნაკლებ ღრმა და ნაკლებ გამოსახულია. ხშირად იგი/კონსტანტის ან შეჭრილი კუთხისმაგვარი ფორმისაა; იშვიათად ამონაკვეთები სულ არ ვითარდება. კუნწის ამონაკვეთის ფორმა საგრძნობლად სხვადასხვაგვარია. გვხვდება სრულიად დახურული და უთვლო, დახურული და ელიფსისმაგვარი თვლიანი და ღია ჩანგისმაგვარი ფორმის მახვილფუძიანი ამონაკვეთები/კონსტანტის ხშირად დახურული, ელიფსისებრი ფორმის თვლიანი და ღია, მახვილფუძიანი ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვეთები გვხვდება.

ფოთლის მთავარი ძარღვები ნემსისებრ წაწვეტებულწვერიანი ვიწრო სამკუთხედისმაგვარი და, იშვიათად, მახვილფუძიანი სამკუთხედისმაგვარი ფორმის კბილებით ბოლოვდება. გვერდითი კბილები მახვილწვერიანი სამკუთხედისმაგვარია, გამობერილი გვერდები აქვს, იშვიათად ხერხის კბილისებრ ცალგვერდგამობერილიცაა. კბილების ფორმა თავისებურია და დამახასიათებელია ჯიშისათვის.

ფოთლის ქვედა მხარე შიშველია, მალოვ ოდნავ შესამჩნევი აბლაბუდისებრი ბეწვები აქვს და ძარღვების განტოტების ადგილთან თხელი ჯაგრისებრი ბუსუსითაა დაფარული. ქვედა იარუსის ფოთლებზე ოდნავ სქელდება.

ყუნწი ფოთლის მთავარ ძარღვზე უფრო მოკლეა. ყუნწი გლუვია, მოწითალო-ღვინისფერია და მომწვანო ზოლები დაჰყვება.

ყვავილი. ყვავილი ფუნქციურად მდედრობითია. მტვრიანები ბუტკოს ქვეშაა შემოხრილი. ყვავილში 6 მტვრიანაა, იშვიათად 5 და 7 მტვრიანაც გვხვდება. მტვრიანების ძაფის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან 0,6—0,8-ს უდრის. ბუტკო მომრგვალო-კონუსისებრი ფორმისაა და დაღარულია. სვეტი მოკლეა და კარგად განვითარებული მოზრდილი დინგი აქვს.



სურ. 30. შავი ხარისთვალას ყვავილი.

მტევანი. მტევნები საშუალო და საშუალოზე დიდი ზომისაა. მტევნების სიგრძე მერყეობს 16-დან 22 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 8-დან 12 სანტიმეტრამდე. მტევნის საშუალო ზომა 18×18 სანტიმეტრს უდრის. მტევანი კონუსისებრი ფორმისაა, იშვიათად განიერ-კონუსისებრი ფორმისაა, დატოტვილია. მტევანი მკვრივი აღნაგობისაა, იშვიათად საშუალო სიმკვრივის მტევნებიც გვხვდება. მტევნების წონა მერყეობს 100 გრამიდან 450 გრამამდე და საშუალოდ 160—240 გრამს უდრის. მარცვლების რაოდენობა მტევანში მერყეობს 60-დან 120 ცალამდე და საშუალოდ 50—70-ს უდრის. მტევნის ყუნწი გახევებულია და შუა ნაწილიდან ფუძისაკენ რქისფრადაა შეფერილი. საშუალო სიდიდის მტევნების ყუნწის სიგრძე 7—8 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ყუნწი მწვანეა, 0,6—0,8 სანტიმეტრის სიგრძისაა. მარცვლის საჯდომი ბალიში განიერ კონუსისებრი ფორმისაა.

მარცვალი. მარცვალი საკმაოდ მსხვილია. მისი სიგრძე მერყეობს 1,9-დან 2,4 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 2,0-დან 2,3 სანტიმეტრამდე. მარცვლების ფორმა სხვადასხვაგვარია: შეხნეკილიდან ოვალურამდე. ძირითადად მარცვალი მომრგვალო ფორმისაა. მარცვლის შუა ნაწილი განიერია, ბოლო შეხნეკილი აქვს, იშვიათად მომრგვალებულიც. მარცვალი მუქი ლურჯი, თითქმის შავი ფერისაა. კანი საკმაოდ სქელი აქვს და ადვილად არ შორდება რბილობს. რბილობი მკვრივი, ოდნავ ჩონჩხიანია და ამასთან მდნარი. მარცვალი უხვად არის დაფარული ცვილესებრი ფიფქით. მარცვალი წყლიანია და სასიამოვნო გემო აქვს. მარცვლები საკმაოდ მჭიდროდაა მიმაგრებული ყუნწზე. წიპწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 4-მდე. საშუალოდ მარცვალზე 1,8 წიპწა მოდის.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებდა მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავის მახლობლად.

კურდღელაურში შავი ხარისთვალას სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 134 დღიდან 185 დღემდე და საშუალოდ 11 წლის მანძილზე 150 დღეს უდრის.

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად მერყეობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,734,5 გრადუსიდან 3,553,1 გრადუსამდე, ხოლო საშუალოდ 11 წლის მანძილზე 3,046 გრადუსს უდრის. ცალკეული წლების მანძილზე სავეგეტაციო ფაზების ცვალებადობის ჩვენების მიზნით ქვემოთ მოყვანილია შავ ხარისთვალაზე წარმოებული ფენო დაკვირვების შედეგები.



**შავი ხარისთვალას სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა ქ. თელავში**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა	ჯამი აქტიური ტემპერატურებისა სავეგეტაციო პერიოდში	მსვლელობის ნაღველები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარეპროდუქციო პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ფენახი, სოფ. კერძიდელაურში, ქ. თელავის მახლობლად.	1938	25/IV	7/VI	7/VIII	10/IX	138	2,914,6	—	—
	1939	22/IV	31/V	12/VIII	10/IX	141	2,859,7	—	—
	1940	14/IV	8/VI	9/VIII	15/IX	154	3,160,2	—	—
	1941	7/IV	29/V	12/VIII	29/IX	175	3,563,2	—	—
	1942	26/IV	12/VI	23/VIII	25/IX	152	3,250,6	—	—
საშუალო	19/IV	5/VI	13/VIII	18/IX	152	3,155,6	—	—	
"	"	"	"	"	"	"	"	"	"
" " " " " "	1943	24/IV	8/VI	12/VIII	14/IX	144	2,895,8	110,5	460,2
	1944	20/IV	6/VI	11/VIII	10/IX	144	2,940,0	39,6	350,0
	1945	30/IV	12/VI	12/VIII	10/IX	134	2,734,5	58,0	340,4
	1946	17/IV	7/VI	16/VIII	5/IX	142	2,750,9	5,6	553,7
	1947	30/III	3/VI	6/VIII	30/IX	135	3,398,9	121,8	492,6
	1948	26/IV	6/VI	13/VIII	13/IX	141	2,967,0	130,6	520,5
საშუალო	19/IV	5/VI	11/VIII	13/IX	148	2,947,8	77,6	452,9	

ცხრილში მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ სავეგეტაციო ფაზები ცალკეული წლების მიხედვით საგრძნობლად მერყეობს, განსაკუთრებით იცვლება პირველი — კვირტის გაშლის დასაწყისის ფაზა, დანარჩენი ფაზები, გარდა სრული სიმწიფის ფაზისა, შედარებით ნაკლებ იცვლება. სრული სიმწიფის ფაზის დადგომის ვადა 25 დღის ფარგლებში იცვლება. ამ ფაზის დადგომაზე დიდი გავლენა, სხვა ფაქტორებთან ერთად, ნალექების რაოდენობას აქვს სარეპროდუქციო და სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. რაც უფრო მეტია ნალექების რაოდენობა ყურძნის სიმწიფის პერიოდში, მით უფრო გვიან მწიფდება ყურძენი. ყურძნის სრული სიმწიფის ფაზის დადგომის ვადის მიხედვით შავი ხარისთვალა მიეკუთვნება სიმწიფის II პერიოდის ვაზის ჯიშებს.

კახეთის ჰავის პირობებში შავი ხარისთვალას ერთწლიანი რქები თავისუფლად ასწრებს მომწიფებას ყურძნის სრულად დამწიფების დროისათვის და კარგად შემოსული და გახვეებული ხვდება ზამთარს.

შავი ხარისთვალას ვაზებმა საშუალოზე მძლავრი ზრდა იცის. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ენახებში წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით შავი ხარისთვალას ზრდის სიმძლავრე, შედარებით თანაბარ ეკოლოგიურ პირობებში, საშუალოზე ღონიერადაა შეფასებული სხვა კახურ ვაზის ჯიშებთან შედარებით.

მოსავლიანობა. შავი ხარისთვალა კახური სხვა ვაზის ჯიშების მსგავსად ადრე იძლევა როგორც პირველ, ისე სრულ მოსავალს. თელავისა და ვაზისუბნის ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვებების მიხედვით მისი ნამყენები დარგვიდან მესამე წელს უკვე ისხამს, ხოლო მე-4—მე-5 წლიდან სრულ მოსავალს გვაძლევს. ამავე ნაკვეთებზე წარმოებული აღრიცხვის მიხედვით შავი ხარისთვალას მოსავლიანობა საშუალოზე მეტადაა შეფასებული. ჯიშს მოსავლიანობის კარგი მაჩვენებლები აქვს. მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 0,57-დან 1,42-მდე, ხოლო საშუალოდ წლების განმავლობაში 0,8-ს უდრის. მტევნის საშუალო წონა მერყეობს 160-დან 240 გრამამდე, საშუალოდ კი 200 გრამს უდრის. ამ მაჩვენებლების მიხედვით ერთი რქის მოსავალი შეადგენს 160 გრამს, ძირისა (თუ ძირზე საშუალოდ 12 რქაა დატოვებული) 1,920 გრამს, ხოლო ჰექტარისა შესაბამისად 64 ცენტნერს უდრის. ჯიშის მოსავლიანობის უფრო სრულად დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია ქ. თელავში წარმოებული დაკვირვება-აღრიცხვის შედეგები.



**ცნობები შავი ხარისთვალას მოსავლიანობის შესახებ**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვებათა წარმოების ადგილი	წელი	მსხმოიარე ყლორტების პროცენტი				მტევნების რაოდენ. ერთ მსხმოიარე ოქაზე	მტევნების რაოდენ. ერთ ოქაზე	მტევნის საშუალო წონა გრამებში	ერთი ოქის მოსავალი გრამებში	დატვირთვითი რქები და დატვირთვითი რქები	მტევნების რაოდენობა ერთ ოქაზე
		ერთმეტე-ნიანი	ორმეტე-ნიანი	სამმეტე-ნიანი	სულ						
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1941	53,64	17,22	—	70,86	1,22	0,86	204,0	175,4	48,200	84,5
	1943	49,20	19,05	—	68,25	1,23	0,85	216,0	183,6	40,000	73,44
	1948	44,25	19,86	2,12	66,23	1,36	0,90	200,0	180,0	40,000	72,00

აქედან ჩანს, რომ შავი ხარისთვალას უნაკოფო ყლორტების რაოდენობა საკმაოდ დიდია. გარდა ამისა, რაც უფრო მატულობს დატვირთვა, მით უფრო იზრდება მსხმოიარე რქების რაოდენობაც. აღსანიშნავია აგრეთვე ორმეტენიანი რქების მცირე რაოდენობა (17—20%) და ისიც, რომ სამმეტენიანი რქები ძლიერ იშვიათია. ცხრილში ნაჩვენებია მოსავლიანობა არაა დიდი ხარისთვალასათვის, თუ სათანადოდ გავადიდებთ მის დატვირთვას, შესაძლებელია მოსავლიანობის კიდევ უფრო გაზრდა. ამის თავდებია ჯიშის შედარებით ღონიერი ზრდა, რომელიც შესაბამისად დიდ დატვირთვას მოითხოვს. ამის საფუძველზე შავი ხარისთვალას საშუალო მოსავლიანობად კახეთში უნდა მივიღოთ 70—80 ცენტნერი ჰექტარზე.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. შავი ხარისთვალა შედარებით დამაკმაყოფილებლად უძლებს სოკოვან ავადმყოფობებს. ჩატარებული დაკვირვების შედეგად მისი გამძლეობა მილდიუსის მიმართ საშუალოდაა შეფასებული, ხოლო ნაცრის მიმართ საშუალოზე ნაკლებად. ზოგიერთ წლებში შავ ხარისთვალას ვაზისუბანში საგრძნობლად აზიანებს ყურძნის ქია. სხვა ავადმყოფობათაგან დაზიანება შემჩნეული არაა.

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

მტევნებისა და მარცვლების გარეგნული შეხედულებისა და ყურძნის მექანიკური და ქიმიური შედგენილობის მიხედვით შავი ხარისთვალა სადესერტო ყურძნის ჯიშებს მიეკუთვნება. მისი ყურძნის მექანიკური შედგენილობის ჩვენების მიხედვით ქვემოთ მოყვანილია ანალიზის შედეგები.

**ცნობები შავი ხარისთვალას ყურძნის მექანიკური შედგენილობის შესახებ**

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მტევნის საშ. წონა	მარცვლების საშ. რაოდენობა მტევანში	მტევნის შემადგენელი ნაწილები %-ბით				100 მარცვლის წონა	100 წიბის წონა	შენიშვნა
				წვენი და რბილობი	კლერტი	კანი	წიბა			
კახეთი, თელავის რაიონი, ქ. თელავი	5 წ. საშ. 1942	216,69	67	83,5	4,0	9,82	2,68	309,4	5,24	
		212,0	78	82,0	4,0	11,4	2,60	300,2	4,98	

ყურძნის ლაბორატორიულ პირობებში გადამუშავებისას წვენის გამოსავლიანობა საკმაოდ მაღალია, ხოლო მაგარი ნარჩენები (კლერტი, წიბა, კანი) შესაბამისად ცოტაა. ნახევრად წარმოების პირობებში გადამუშავებისას წვენის გამოსავლიანობა შედარებით დაბალია და 75%-ს უდრის, ხოლო ჭაჭისა 25%-ს.

წვენის ქიმიური შედგენილობა. შავი ხარისთვალას წვენის შაქრიანობა, ისე როგორც სადესერტო ვაზის ჯიშების მომეტებული ნაწილისა, არაა მაღალი. მრავალი წლის განმავლობაში დაკვირვების შედეგად გამოირკვა, რომ შავი ხარისთვალას შაქრიანობა მერყეობს საშუალოდ 15%-დან 18%-მდე, ხოლო მჟავიანობა 5,5%-დან 8%-მდე, იშვიათად მხოლოდ ზოგიერთ წლებში აღწევს მისი შაქრიანობა 20%-ს და მეტსაც, საშუალოდ კი 16—17%-ს უდრის, ხოლო მჟავიანობა 6—7%-ს.



შავი ხარისხვლა — Хариствала Шави



ქვემოთ მოყვანილია ანალიზის შედეგები წლების მიხედვით.

**შავი ხარისთვალას შაქრიანობა-მუავიანობა რთვლის პერიოდში**



მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	წელი	რთვლის თარიღი	შაქრიანობა %/ბით	მუავიანობა %/ბით	შენიშვნა
გურჯაანის რაიონი, სოფ. ვახისუბანი, მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალური ბაზა	1930	—	18,4	5,40	
	1936	10/X	17,76	6,75	
	1940	17/IX	17,3	5,75	
	1941	9/IX	16,5	5,4	
	1942	8/IX	15,0	6,8	
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1943	1/X	16,7	7,65	
	1944	11/IX	21,4	10,3	
	1945	4/IX	15,3	8,2	
	1946	9/IX	16,3	7,88	
	1947	2/IX	15,0	8,52	
	1948	18/IX	16,2	5,56	

მოყვანილი მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ შავი ხარისთვალას არც შაქრიანობა და არც მისი შეფარდება მუავიანობასთან არაა საკმარისი იმისათვის, რომ მისგან ხარისხოვანი ღვინო მივიღოთ. ამ მაჩვენებლების მიხედვით იგი სადესერტო ყურძნის ჯიშია.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. შავი ხარისთვალას ყურძენს ძირითადად ადგილზე იყენებენ ხილად. იშვიათად მას კიდევ წურავენ სხვა ჯიშებთან ერთად ჩვეულებრივი წითელი ღვინის დასამზადებლად. საცდელი მიზნით მისგან წმინდა ღვინოს მევენახეობის ინსტიტუტში ამზადებენ. შავი ხარისთვალას საცდელი ღვინოები მაღალი ღირსებისა არაა, ჩვეულებრივად მისგან საშუალო ღირსების ორდინარული ღვინო დგება. იგი სუსტი შეფერვით, სიმსუბუქით, მცირე სხეულითა და დაბალი ალკოჰოლიანობით ხასიათდება. მევენახეობის ინსტიტუტის ჯიშობრივი ღვინოების შემფასებელი სადევუსტაციო კომისიის სხდომებზე შავი ხარისთვალას ღვინო შეფასებულია როგორც უბრალო, ორდინარული შინამოხმარების ღვინო. შავი ხარისთვალას ღვინის ნიმუშების უფრო სრული დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.

**ამონაწერები სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	წელი	სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური დახასიათება
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი.	1947	16/V 1948	6,5	საკმაოდ დაწმენდილი, შვინდისფერი სასიამოვნო ნახარომატიანი, მცირე შინაარსიანი, ორდინარული ღვინო.
ქ. თელავი, მევენახეობის ინსტიტუტის სარეპროდუქციო ნაკვეთი.	1947	2/VI 1948	6,9	კარგად დაწმენდილი, ვარდისფერი, მცირესხეულიანი, ნაზი გემოსმქონე, ნაკლებ შინაარსიანი, ხალისიანი ღვინო.

შავი ხარისთვალას ღვინის სრულად დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია ცნობები მისი ქიმიური შედგენილობის შესახებ.

**შავი ხარისთვალას ღვინის ქიმიური შედგენილობა**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მთლულ. %/ბით	გრამები ლიტრში						
				საერთო მუავა	მსტრაქტი	მქროლავე მუავა	ღვინის მუავა	ტანინი	გლიცერინი	
გურჯაანის რაიონი, სოფ. ვახისუბანი, საკოლექციო ვენახი	1929	0,9935	9,7	4,31	19,4	—	—	—	—	3,71
	1929	0,9940	6,9	4,35	18,3	—	—	—	—	3,78
	1940	0,9960	9,3	6,18	—	0,78	1,17	1,13	5,21	3,54

მოყვანილი მონაცემების (ღვინის საგემოვნო თვისებებისა და ქიმიური შედგენილობის) საფუძველზე შავი ხარისთვალა საშუალო ღირსების სადესერტო ყურძნის ჯიშია, ხოლო მეღვინეობისათვის ნაკლებ გამოსადეგია. როგორც სადესერტო ყურძენს, მას შემდეგი თვისებები ახასიათებს:

მისი მტევანი საშუალო და საშუალოზე დიდი ზომისაა, საშუალო სიმკვრივისა ან ოდნავ ხრტილის მკვრივია, მარცვლი მსხვილი და მრგვალია, გემო უბრალო, მაგრამ სასიამოვნო აქვს.

მარცვლი მუქი ლურჯი ფერისაა, კანი საკმაოდ სქელი აქვს, რბილობი ოდნავ მკვრივი და მკაფიო ტუნა. წიბწები ადვილად ეცლება რბილობს. მტევანი საერთო გარეგნული შეხედულებით მსხვილი და მკაფიოა. შორეულ მანძილზე გადასაზიდად და ხანგრძლივად შესანახად ჯიში ნაკლებ გამო-სადეგია. მახლობელი დასახლებული ადგილების, სამრეწველო ცენტრების, კურორტებისა და დასასვენებელი სახლების ახალი ყურძნით მოსამარაგებლად თავისუფლად გამოდგება. მისი მარცვლების მოწყვეტის წინააღ-მდეგობა მერყეობს 130 გრამიდან 200 გრამამდე და შეადგენს საშუალოდ 200 — 250 გრამს, ხოლო გაქულებების მიმართ მისი წინააღმდეგობა გამოიხატება 832 — 1,047 გრამით. შენახვის უნარიანობა დიდი არა აქვს. თა-როზე ჩვეულებრივად დალაგებულმა ყურძენმა 70 დღის განმავლობაში დაკარგა პირვანდელი წონის 65% ან დაწკარავის 60% მარცვლების ლპობის შედეგია, ხოლო დანარჩენი 40% წყლის აორთქლებისა.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

შავი ხარისთვალა ადგილობრივი, იშვიათად გავრცელებული ჯიშია. იგი იძლევა ადგილობრივ მოსა-ხმარ საშუალო ღირსების სადესერტო ყურძენს და ნაწილობრივ ორდინარულ წითელ სუფრის ღვინოს. გავრცელებულია კახეთის რაიონებში ცალკეული ვაზებისა და აგრეთვე მინარევის სახით კოლმეურ-ნეობებისა და კოლმეურნეთა ვენახებში. საცდელად მისგან ღვინო მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. შავი ხარისთვალა სუსტად შეფერილ, მკირესხეულიან, ნაკლებ შინაარსიან ორდინარულ ღვინოს იძლევა.

ჯიშის დადებითი თვისებაა ის, რომ შედარებით კარგი მოსავალი იცის, საკმაოდ ღამაში გარეგნული შეხედულების მტევნები აქვს და პროდუქციას (ყურძენს) საშუალო ხარისხისას იძლევა.

ჯიშის უარყოფითი თვისებაა ის, რომ ფუნქციურად მდებრობითი ტიპის ყვავილი აქვს და ამასთან დაკავშირებით არათანაბარი მოსავალი იცის, ახასიათებს მარცვლების ლპობა, მტევნები მკვრივი აქვს და ღვინო დაბალი ხარისხისა დგება.

კახეთის მევენახეობის რაიონებში გასაშენებლად შავი ხარისთვალა ყურადღების ღირსი არაა, არც სხვა რაიონებისათვის შეიძლება მისი რეკომენდება.

ჯიში გამოსადეგია საკარმიდამო ნაკვეთებზე სხვა ჯიშებთან ერთად გასაშენებლად (ტალავერი, ხეივა-ნი) საკმელი ყურძნისადმი მშრომელების მრავალფეროვანი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით და სელექციურ მუშაობაში გამოსაყენებლად.

### ХАРИСТВАЛА ШАВИ

Лист. Вполне развитые листья (9 — 12) крупных размеров (18,5 × 20 см). Пластинка листа округ-лая, с более частым варьированием в сторону поперек-овальной, нежели овальной формы. Листья трехлопа-стые, реже встречаются пятилопастные и почти цельные. Угол оконечной лопасти острый, вытянутый. Этот признак довольно характерен для сорта. Поверхность листа гладкая, либо слабо сетчато морщинистая. Пластинка листа неопределенно изогнутая. Главные нервы у места расхождения опушены щетинистым пуш-ком и иногда оврашены в вино-красный цвет.

Верхние вырезки обычно мелкие, реже они средних размеров. Вырезки чаще закрытые с яйцевидным или эллиптическим просветом и округлым дном, реже они имеют форму входящего угла.

Нижние вырезки, как правило, менее глубоки и менее развиты, чаще всего они имеют форму вхо-дящего угла или щелевидную, реже вырезки совершенно отсутствуют.

Черешковая выемка варьирует от совершенно закрытых — через закрытые с эллиптическим просветом — до открытых лировидных выемок с острым дном. Чаще всего встречаются закрытые черешковые выем-ки с эллиптическим просветом и открытые лировидные с острым дном.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей резко выделяются по своей форме. Обычно они узкотреугольные с оттянутой в острие вершиной, реже встречаются треугольные зубцы с острой вершиной. Краевые зубцы

лопастей треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже они пилевидные, односторонне-выпуклые.

Нижняя сторона листа голая, со следами паутинок и слабого щетинистого пушка у места расхождения главных нервов. На листьях нижнего яруса, главным образом, вдоль разветвлений главных нервов, щетинистый пушок несколько усиливается.

Черешок голый, короче длины срединного нерва листа. Окраска черешка вишне-красная с прозеленью.

Цветок. Тип цветка функционально женский. Тычинки закручиваются под пестиком. Число тычинок в цветке 6, реже 5 и 7. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 0,6 — 0,8. Пестик округло-конической формы, ребристый, с коротким столбиком и хорошо выраженным рыльцем.

Гроздь. Грозди средних и вышесредних размеров. Длина гроздей варьирует от 16 до 22 см, ширина от 8 до 12 см. Средний размер грозди равен  $18 \times 18$  см. Форма гроздей коническая, реже широко-коническая, лопастная. Чаще всего грозди плотные, реже они средне-плотные.

Вес гроздей варьирует от 100 до 450 гр. Средний вес составляет 160 — 240 гр. Количество ягод в грозди варьирует от 60 до 120, составляя в среднем на гроздь 50 — 70 ягод. Ножка грозди деревянистая и от середины к основанию окрашивается в цвет чубука. Длина ножки в среднем равна 7 — 8 см. Ножка ягоды зеленая, длиной 6 — 8 мм. Подушечка широко-конической, дисковидной формы.


Ягода. Ягоды крупных размеров. Длина ягод варьирует от 1,9 до 2,4 см, ширина от 2,0 до 2,3 см. Форма ягод варьирует от сплюснутой до овальной. Основная форма ягод — округлая. Наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягод притуплен, реже он округлен. Окраска ягод темносиняя, почти черная. Кожица грубая, трудно отделяющаяся от мякоти. Мякоть плотная, расплывающаяся, несколько хрящеватая. Восковой налет на ягодах обильный. Вкус ягод приятный, посредственный. Ягоды довольно прочно сидят на ножках.


Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4, составляя в среднем 1,8 семени на ягоду.

Хариствала шави — местный, малораспространенный сорт столового винограда. Дает средне-качественный десертный виноград местного значения и отчасти ординарное, красное столовое вино посредственного качества. Распространен почти во всех районах Кахетии в виде отдельных кустов и приреси на колхозных и приусадебных старых виноградниках. Ввиду незначительного распространения сорта, он потребляется на местах в свежем виде, реже вместе с другими красными сортами перерабатывается на обычное столовое вино. Чистосортное вино из Хариствала шави готовится в Институте виноградарства. Вино из Хариствала шави слабо окрашенное, легкое, малосодержательное, слабо-градусное, ординарное, среднего качества. В качестве десертного винограда он более интересен — сорт характеризуется довольно крупными средне-плотными, реже плотными гроздями и крупными округлыми, темносиними ягодами. Внешне грозди довольно красивы и привлекательны. Вкус ягод простой, приятный, сортовой, аромат слабо выражен. Для дальнейшей транспортировки и долгого хранения сорт мало пригоден, он с успехом может быть использован для снабжения ближайших населенных пунктов — промышленных центров, курортов и домов отдыха свежим виноградом.

К положительным свойствам сорта относятся его сравнительно высокая урожайность и пригодность сорта в качестве десертного винограда местного значения. К недостаткам сорта относятся функционально-женский тип цветка и связанное с ним неустойчивое урожая и низкое качество продукции (вина).

В условиях Кахетии — сорт не заслуживает внимания, трудно рекомендовать его и для других виноградных районов Союза. Сорт пригоден в смеси с другими сортами для разведения на приусадебных участках (хеивани, талавери) для удовлетворения разнообразного вкуса потребителей свежим виноградом и в качестве исходного материала при селекционных работах.





## კახური თითა

ნამდვილი თითა ადგილობრივი, იშვიათად გავრცელებული ვაზის ჯიშია, იგი იძლევა საშუალო ღირსების სადესერტო ყურძენს.

**სინონიმები.** მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის თითას სახელწოდებით რამდენიმე სხვადასხვა ჯიშია ცნობილი (თეთრი თითა, შავი თითა, შირაზული, ქართლის თითა და სხვ.). ამათგან განსასხვავებლად კახეთში გავრცელებულ თითას ეწოდა ნამდვილი.

**ჯიშის ისტორია.** ნამდვილი თითა კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოქმნის ადგილობრივ კერაშია აღმოცენებული. თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით მას საშუალო ადგილი უჭირავს დასავლეთის და აღმოსავლეთის ვაზის ჯიშების ჯგუფთა შორის. ამ მხრივ ის მეტად საინტერესო ჯიშია და ჰიბრიდული წარმოშობისა ჩანს. საერთოდ აღმოსავლეთის ჯგუფის ჯიშებს, მაგალითად, შუა აზიისას, ირანისას და აზერბაიჯანისას, ახასიათებს მოგრძო მარცვალი და შიშველი, შეუბუსუსებელი ფოთლები, მათში არ მოიპოვება არც ერთი გრძელმარცვლიანი და აბლაბუდისებრად შებუსუსებული ფოთლის მქონე ჯიში. ნამდვილ თითას მათგან განსხვავებით ახასიათებს ერთდროულად გრძელი მარცვლისა და შებუსუსებული ფოთლების ქონა.

საქართველოში თითას სახელწოდებით მრავალი ჯიშია ცნობილი, სახელდობრ: მესხეთში—თითა ყურძენი, კახეთში—თეთრი თითა და შავი თითა, იმერეთში—თითა, გურიაში—თითა ყურძენი, რაჭა-ლეჩხუმში—თითა, ქართლში—თითა და სამეგრელოში—დედოფლის კიბი. ამასთან, თითას სახელწოდებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ვაზის ჯიშები არ წარმოადგენენ ერთსა და იმავე ჯიშს, ისინი უდავოდ სხვადასხვა ჯიშებია, რომელთათვისაც სახელი ხალხს მარცვლის მოყვანილობის მიხედვით დაურქმევია. უდავოა, რომ ყველა იმ ჯიშს, რომლებსაც თითისმაგვარი გრძელი და მრგვალი მოყვანილობის მარცვალი ესხა, თითას სახელწოდება მიუღია. ამაში ჩვენ ვრწმუნდებით დღემდე თითას სახელწოდებით შემორჩენილი ჯიშების ურთიერთთან შედარებით. მაგალითად, ამჟამად კახეთში შეცდომით თითას სახელწოდებით გავრცელებული ჯიში განჯური (შირაზული) სრულიად განსხვავდება კახეთის ნამდვილ თითასგან, ხოლო კახეთის თითა მკვეთრად განსხვავდება ქართლის თითასგან და უკანასკნელი მესხურ თითა ყურძენისაგან, თუმცა ყველა მათგანი ოვალურ ან მოგრძო მარცვალს იხამს.

აღნიშნულ ჯიშთაგან ჩვენში უფრო მეტად გავრცელებულია განჯური (შირაზული) და ქართლის თითა, ხოლო ნამდვილი თითა მათთან შედარებით უფრო იშვიათად გვხვდება. ქართლის თითა და განჯური შიშველფოთლიანია ან თხელი ჯაგრისებრი შებუსუსება აქვთ, ხოლო ნამდვილ თითას საშუალო სისქის აბლაბუდისებრი ბეწვები და ჯაგრისებრი ბუსუსი აქვს, რითაც იგი მეტად ახლო დგას ძირითად ქართულ ვაზის ჯიშებთან.

ამჟამად ეს ჯიში მოიპოვება ძირითადად თელავის რაიონში ძველ საწარმოო ვენახებში და საკარმიდამო ნაკვეთებზე რამდენიმე ძირი. პირველად ნამდვილი თითა აღმოჩენილი იქნა თელავის რაიკომბინატის ვენახში— აბაშიძისეულ ნაკვეთში, სულ ხუთი ძირის რაოდენობით. შემდეგ კი შესწავლის მიზნით გამრავლებულ იქნა ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე ქ. თელავში, კახეთის სხვა რაიონებში ჯიში მეტად იშვიათად გვხვდება. მხოლოდ რამდენიმე ძირი მოიპოვება ყვარლის რაიონში საკარმიდამო ნაკვეთებზე.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიში ბოტანიკური თვალსაზრისით აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით.

**ახალგაზრდა ყლორტი.** ახალგაზრდა 10—12 სმ სიგრძის ყლორტების წვეროები გვირგვინით და პირველი ორი-სამი ფოთოლაკის ჩათვლით ყოველი მხრიდან ქეჩისებრი ბუსუსითაა შებუსუსებული,

შეფერილია თეთრი ფლანელისფრად და ვარდისფერი არშია აქვს ფოთლების ირგვლივ. მეორე იარუსის ფოთლები (4—5) ხეშო მხრიდან შედარებით უფრო თხლადაა შებუსუსებული და ნარინჯისფერი იერის მქონე მოყვითალო ფერი აქვს, ხოლო ქვემო მხრიდან, უფრო ინტენსიური შებუსუსების გამო, მოკუხო-თეთრი ფერისაა და მოვარდისფრო იერი ახლავს ფოთლების ბოლოების გასწვრივ.

ერთწლიანი რქა. კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მოწითალო იერის მქონე ღია ყვითელი ფერისა ხდება. მუხლები უფრო მუქია, ვიდრე მუხლთაშორისები. მუხლები მუხლთაშორისების სიგრძე 8—10 სანტიმეტრს უდრის. ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ სუსტადაა გამოსახული.

ფოთოლი. შუა იარუსის კარგად განვითარებული ფოთლები საშუალო ზომისაა (16,5 X 17,0 სმ). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა და უფრო ხშირად გარდიგარდმო ოვალური ფორმისაქნ იხრება, ვიდრე ოვალურისაქნ. უფრო ხშირად ფოთლები ხუთნაკვეთიანია, იშვიათად სამნაკვეთიანი ფოთლებიც გვხვდება, ხოლო ქვემო იარუსზე თითქმის მთლიანი ფოთლებიც მოიპოვება. შუა ნაკვეთის ბოლო ბლაგვია, იშვიათად სწორიცაა. ფოთლის ზედაპირი ბადისებრ დანაოჭებულია, იშვიათად გლუვიცაა. ფოთლის ფირფიტის მოხრილობა ძაბრის ან ლარისმაგვარია. ფოთლის მთავარი ძარღვები აბლაბუდისებრი ბეწვებით და ჯაგრისებრი ბუსუსითაა დაფარული და ფუძესთან მოწითალო-ღვინისფერია.

ფოთლის ზედა ამონაკვეთების სიღრმე უფრო ხშირად საშუალოა, იშვიათად ამაზე უფრო ღრმა ამონაკვეთებიც გვხვდება. ამონაკვეთების ძირითადი ფორმა ჩანგისმაგვარია, ვიწრო ყელი და მახვილი ან მომრგვალო ფუძე აქვს. იშვიათად გვხვდება დახურული, განიერ ელიფსისებრთვლიანი და მომრგვალო ფუძის მქონე ამონაკვეთებიც, უფრო იშვიათად კიდევ ცალკილიანი ფუძის მქონე ამონაკვეთებიც გვხვდება.

ქვედა ამონაკვეთები უფრო ნაკლებ ღრმაა. ამონაკვეთების ძირითადი ფორმა ლანცეტისებრია, იშვიათად იგი ჩანგისმაგვარიცაა, პარალელურგვერდებიანი და მომრგვალო ან ოდნავ წამახვილებულფუძიანი.


ყუნწის ამონაკვეთის ფორმა უმნიშვნელოდ ცვალებადობს. უფრო ხშირად ამონაკვეთის ფორმა ჩანგისმაგვარია, მომრგვალო ფუძიანი; იშვიათად იგი თალისმაგვარი ან კვადრატულიცაა და ბრტყელი ფუძე აქვს.

ფოთლის მთავარი ნაკვეთები გამოხეტილგვერდებიანი და მახვილწვერიანი სამკუთხედისმაგვარი ან გუმბათისმაგვარი კბილებით ბოლოვდება. გვერდითი კბილები სამკუთხედისებრია, გამოხეტილგვერდებიანი და მახვილწვერიანი, იშვიათად იგი ხერხის კბილისებრ ცალგვერდგამოხეტილიცაა.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება საშუალო სისქისაა. იგი აბლაბუდისებრი ბეწვებისაგან და მის ქვეშ მოფენილი სქელი ჯაგრისებრი ბუსუსებისაგანაა შემდგარი. საერთოდ შებუსუსებასაკმაოდ სქელია და თითის გასმით ადვილად არ შორდება ფოთოლს.

ყუნწი ფოთლის მთავარ ძარღვზე უფრო მოკლეა, იშვიათად მისი ტოლია. ყუნწი თხელი ჯაგრისებრი ბუსუსითაა შებუსუსებული და მოღვინისფრო-წითელი ფერისაა.

ყვავილი. ყვავილი ფუნქციურად მდებრობითია. მტვრიანები მოხრილია და ერთ სიბრტყეშია განლაგებული. ყვავილში ხუთი, იშვიათად ექვსი მტვრიანაა. მტვრიანათა ძაფების სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან 0,8-ს უდრის. ბუტკო მომრგვალო-კონუსისებრი ფორმისაა, გრძელი სვეტი და კარგად განვითარებული, ხშირად ორად გაყოფილი დინგი აქვს.



სურ. 31. კახური თითას ყვავილი.

მტევანი. მტევნები საშუალო ზომისაა. მტევნის სიგრძე მერყეობს 12-დან 20 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 7-დან 10 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის სიგრძე 15 X 7 სანტიმეტრს უდრის. მტევნები ცილინდრისებრი ფორმისაა, დატოტვილი, ან ცილინდრულ-კონუსისებრია. იშვიათად კონუსისებრი მტევნებიც გვხვდება. მტევნები მეტწილად თხელია, მაგრამ იშვიათად ძალიან თხელი ან კიდევ საშუალო სიმკვრივის მტევნებიც გვხვდება. მტევნების წონა მერყეობს 100-დან 350 გრამამდე, ხოლო საშუალოდ 140—160 გრამს უდრის. ცალკეული კარგად განვითარებული მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 270—300 გრამს. მარცვლების რაოდენობა მტევანში ცვალებადობს 50-დან 100 ცალამდე და საშუალოდ 65-ს უდრის. მტევანში მუდამაა განუვითარებელი მწვანე მარცვლები, რაც დამახასიათებელია ჯიშისათვის. მტევნის ყუნწი წვრილია, ბალახისებრი. შუა ნაწილიდან ფუძისაკენ იგი ხევდება და რქის ფერს იღებს. მტევნის ყუნწის სიგრძე საშუალოდ 4—5 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე მერყეობს 0,6-დან 1,1 სანტიმეტრამდე, ხოლო

საშუალოდ 0,7—0,8 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში განიერ კონუსისებრი ან, იშვიათად, ვიწრო კონუსისებრი ფორმისაა და ხორკლებითაა დაფარული.

მარცვალი. მარცვალი მსხვილია, მათი სიგრძე მერყეობს 2,5-დან 3,0 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 1,3-დან 1,75-მდე. მარცვლები მოგრძო ან გრძელია. მარცვლის ფორმა საკმაოდ ცვალებადია: ჩვეულებრივ მარცვალი კვერცხისმაგვარია, ოღონდ უფრო წაგრძელებული, იშვიათად ეგვიმოხრილია ოღნავ, მარცვალი შუაში განიერია, იშვიათად იგი ფუძისაკენაც განიერდება. მარცვლის ციფრული მარცვლებულია. მარცვლების წონა მერყეობს 2,2-დან 5,4 გრამამდე და საშუალოდ 2,58 გრამს უდრის. მარცვლები მომწვანო-ყვითელი ფერისაა და მოქარვისფრო იერი სძლევს გადამწიფებისას. კანი თხელია და გამჭვირვალე, მაგრამ საკმაოდ მკვრივი. კანი ადვილად არ სცილდება რბილობს. რბილობი მკვრივია, კნატუნა, ნაკლებ წყლიანი, გემო სასიამოვნო, პარმონიული აქვს. ჯიშური არომატი აქვს, მაგრამ სუსტად განვითარებული. მარცვალი თხელი ცვილისებრი ფიფქითაა დაფარული. მარცვლები ყუნწზე საკმაოდ მაგრადაა მიმაგრებული.

წიბწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 3-მდე. საშუალოდ მარცვალზე 1,2 წიბწა მოდის.

**ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება**

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებდა მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, სოფ. კურდღელაურში, ქალ. თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით.

კურდღელაურის პირობებში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა ცვალებადობს 143-დან 171 დღემდე და საშუალოდ 156 დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობასთან დაკავშირებით იცვლება ეფექტურ ტემპერატურათა ჯამიც 2,871,0<sup>0</sup>-დან 3,431,7<sup>0</sup>-მდე, ხოლო საშუალოდ მრავალი წლის მანძილზე 3,180 გრადუსს უდრის.

სავეგეტაციო პერიოდის დანარჩენი ფაზებიც საგრძნობლად მერყეობს ცალკეული წლების მიხედვით. მათი მერყეობის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია თითას სავეგეტაციო პერიოდისა და მის ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებული დაკვირვებების შედეგები.

**თითას სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა ქ. თელავში**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნალექები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარგრო-დუქვი პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავის მახლობლად	1938	27/IV	7/VI	25/VIII	20/IX	146	3,118,1	—	—
	1939	26/IV	31/V	29/VIII	30/IX	157	3,200,6	—	—
	1940	16/IV	5/VI	14/VIII	25/IX	162	3,307,7	—	—
	1941	7/IV	28/V	10/VIII	20/IX	166	3,431,7	—	—
	1942	26/IV	12/VI	25/VIII	30/IX	157	3,308,2	—	—
	საშუალო	20/IV	5/VI	21/VIII	25/IX	157	3,273,0	—	—
	1943	28/IV	10/VI	25/VIII	10/IX	166	2,249,1	105,8	511,0
	1944	25/IV	8/VI	30/VIII	20/IX	149	2,941,8	43,9	393,4
	1945	6/V	14/VI	30/VIII	5/X	155	3,084,6	55,3	348,7
	1946	25/IV	9/VI	26/VIII	15/IX	143	2,871,0	—	539,9
1947	8/IV	7/VI	18/VIII	25/IX	171	3,193,6	74,5	534,0	
1948	25/IV	6/VI	24/VIII	28/IX	154	2,187,9	133,8	519,0	
საშუალო	25/IV	8/VI	23/VIII	22/IX	156	3,088,0	63,8	474,5	

როგორც ცხრილში მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ყველაზე მეტად ცალკეული წლების განმავლობაში მერყეობს სავეგეტაციო პერიოდის საწყისი ფაზა. მასთან შედარებით დანარჩენი ფაზები ნაკლებად იცვლება. სრული სიმწიფის დადგომის ვადების მიხედვით ნამდვილი თითას სიმწიფის III პერიოდის ვაზის ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს.



კახეთის ჰავის პირობებში თითას ერთწლიანი რქები ყურძნის სრულად დამწიფების დროისათვის თავისუფლად ასწრებს მომწიფებას და კარგად შეზუსტებული და გახვევებული ხვდება ზამთრის ყინვებს.

თითას ვაზებს თელავის რაიკომბინატის ვენახებში და საკოლექციო ნაკვეთზე ჩატარებული დაკვირვებების მიხედვით კახურ ვაზის ჯიშებთან შედარებით საშუალო სიმძლავრის ზრდა ახასიათებს.

მოსავლიანობა. ნამდვილი თითა თავისუფლად შეიძლება მიეკუთვნოს მაღალმოსავლიანობის ჯიშების ჯგუფს. თელავის რაიკომბინატისა და მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებული აღრიცხვისა და დაკვირვებების მიხედვით თითას მოსავლიანობა შეფასებულია საშუალოზე მეტად. ჯიშს მსხმოიარობის მაღალი მაჩვენებლები აქვს. მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 1-დან 2-მდე და წლების განმავლობაში საშუალოდ 1,4-ს უდრის, მტევნის საშუალო წონა შეადგენს 140—160 გრამს. ამ მაჩვენებლების მიხედვით გაანგარიშებული მოსავალი ერთ რქაზე შეადგენს 182—224 გრამს, ოლო ჰექტარზე საშუალოდ 35,000 (საკოლექციო ვენახი) ან 50,000 (რაიკომბინატის ვენახი) რქის დატოვების შემთხვევაში შეადგენს პირველისათვის 64—78 ცენტნერს, ხოლო მეორისათვის 91—112 ცენტნერს. ფაქტიური მოსავალი დიდად არ განსხვავდება გაანგარიშებულსაგან. საშუალო მოსავალი ძირზე საკოლექციო ნაკვეთზე უდრის 2,0—2,5 კილოს, რაც ჰექტარზე შეადგენს 64—80 ცენტნერს. ჯიშის მსხმოიარობის უფრო სრულად დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია აღრიცხვა-დაკვირვების შედეგები.

მევენახეობის რაიონი და დაკვირვებათა წარმოების ადგილი	წელი	მსხმოიარე რქების პროცენტი				მტევნების რაოდენობა ერთ რქაზე	მტევნების რაოდენობა ერთ რქაზე	მტევნის საშუალო წონა	1 რქის მოსავალი გრამებით	დატოვებული რქების რაოდენობა ჰექტარზე	გაანგარიშებული მოსავალი ცენტნერში
		ერთ მტევნიანი	ორ მტევნიანი	სამ მტევნიანი	სულ						
კახეთი,	1941	47,62	52,38	—	100	1,52	1,52	142	215,8	68,000	146,7
თელავის რაიონი,	1943	66,66	33,34	—	100	1,34	1,34	158	211,7	48,000	101,6
მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1948	23,34	50,0	16,64	90	1,92	1,73	150	259,5	45,000	116,7

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ნამდვილ თითას მოსავლიანი რქების მეტად დიდი რაოდენობა ახასიათებს (97—100%), ამასთან ერთად მაღალია მისი მოსავლიანობის კოეფიციენტიც (1,34—1,73). ამის შედეგად ჰექტარზე გაანგარიშებული მისი მოსავალი მერყეობს 100-დან 146 ცენტნერამდე. ვინაიდან ფაქტიური მოსავალი ჩვეულებრივ მუდამ ნაკლებია გაანგარიშებულზე, თითას საშუალო მოსავლად კახეთის პირობებში უნდა მივიჩნიოთ 80—120 ცენტნერი ყურძენი 1 ჰექტარზე.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთზე და რაიკომბინატის ვენახში ჩატარებულ დაკვირვებათა მიხედვით თითა მილდიუმს საშუალოდ ხუჭდება, ხოლო ნაცარს საშუალოზე სუსტად. ერთი დამატებითი წამლობა ნაცრის წინააღმდეგ აუცილებელია იმისათვის, რომ ჯიშისაგან საღი ყურძენი მივიღოთ. სხვა სახის დაავადებანი თელავში ჩატარებული დაკვირვებების მიხედვით შემჩნეული არ ყოფილა.

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

მტევნების გარეგნული შეხედულება: ყურძნის მექანიკური და წვენი კიმიური შედგენილობა მიგვითითებს ჯიშის სადესერტო ყურძნად გამოყენების მიზანშეწონილობაზე. ნათქვამის დასადასტურებლად ქვემოთ მოყვანილია ცნობები ნამდვილი თითას ყურძნის მექანიკური შედგენილობის შესახებ.

**ნამდვილი თითას ყურძნის მექანიკური შედგენილობა**

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	წელი	მტევნის საშუალო წონა	მარცვლების საშ. რაოდენ. მტევანში	მტევნის შემადგენელი ნაწილები				100 მარცვლის წონა გრამობით	100 წიპწის წონა გრამობით
				წვენი და რბილობი	კლერტი	კანი	წიპწა		
კახეთი,	1941	142,3	52	82,85	2,65	12,32	2,18	270	4,51
თელავის რაიონი,	1943	158,4	60	83,16	3,05	11,74	2,05	258	4,58

როგორც ცხრილში მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ყურძნის ლაბორატორიულ პირობებში გადამუშავების შემთხვევაში წვეწვისა და რბილობის გამოსავლიანობა 83% -ს აღწევს, ხოლო მაგარი ნარჩენებისა (კანი, კლერტი, წიბწა) 17% -ს. ყურძნის ნახევრად წარმოების პირობებში გადამუშავებისას წვეწვის გამოსავლიანობა ნაკლებია და 76% -ს აღწევს, ხოლო ჭაჭისა 24% -ს.

ყურძნის წვეწვის ქიმიური შედგენილობა. ნამდვილ თითას შაქრის დაგროვების მაქსიმალური ანალოგი მალაღობის მისი მყავიანობაც შესაბამისად დაბალია. ნამდვილი თითას შაქრიანობა წლების განმავლობაში მერყეობს საშუალოდ 16% -დან 18% -მდე, ხოლო მყავიანობა 4,8% -დან 7% -მდე წლების განმავლობაში შაქრიანობა-მყავიანობის ცვალებადობის დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია რთვლის პერიოდში ჩატარებული ანალიზის შედეგები.

ნამდვილი თითას შაქრიანობა-მყავიანობა რთვლის პერიოდში

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	რთვლის თარიღი	შაქრიანობა % -ბით	მყავიანობა % -ბით	შენიშვნა
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენაში,	1943	8/X	16,0	5,6	
	1944	—	—	—	
	1945	—	—	—	
	1946	25/IX	19,0	6,8	
	1947	6/X	20,5	8,0	
	1948	25/IX	15,0	4,35	

ცხრილში მოყვანილი ცნობების მიხედვით თითას შაქრიანობა-მყავიანობა და მათი ურთიერთშეფარდება სავსებით დამაკმაყოფილებელია სადესერტო ჯიშისათვის, ხოლო საღვინე ჯიშისათვის ხარისხოვანი ღვინის მისაღებად, ასეთი შაქრიანობა-მყავიანობა, არც რაოდენობისა და არც ურთიერთშეფარდების მხრივ, დამაკმაყოფილებელი არაა.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. თითას მოსავალს ძირითადად სადესერტო ყურძნად იყენებენ, ჯიშის მცირედ გავრცელების გამო მას ადგილზევე იყენებენ საქმელად, ნაწილს ინახავენ საზამთროდ, ან გააქვთ მახლობელ ქალაქებში გასაყიდად. მევენახეობის ინსტიტუტში მისგან საცდელად დააყენეს ღვინო, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, დაბალი ღირსების გამოვიდა. მას ახასიათებდა დაბალი ალკოჰოლიანობა, მცირე სხეული და ნეიტრალური გემო. ჯიშობრივი ღვინოების შემფასებელი სადევუსტაციო კომისიის სხდომაზე თითას ღვინო შეფასებულ იქნა როგორც უბრალო, ყოველგვარ ჯიშობრივ თვისებას მოკლებული, ორდინარული ტიპის ღვინო.

ნამდვილი თითა მხოლოდ სადესერტო ყურძნის ჯიშია და შემდეგი თვისებები ახასიათებს:

მტევანი საშუალო ზომისაა, თხელი, თანაბარი ზომის მარცვლების მქონეა. მტევნის გარეგნული შეხედულების მხრივ ძალიან ლამაზი არაა, მაგრამ მეჩხერი, გრძელი, მსხვილი მარცვლები აქვს და ამის გამო უდავოდ მიმზიდველია. მარცვლები მსხვილია, მათი სიგრძე 3 სანტიმეტრამდე აღწევს, ხოლო ცალკეული მარცვლების წონა 5 გრამსა და მეტსაც უდრის. მარცვლები სხვადასხვანაირი ფორმისაა: უფრო ხშირად გრძელი კვერცხისმაგვარია, ან ოდნავ მოხრილი. ხშირად მარცვლები ფუძისაკენ უფრო განიერია, ვინემ შუა ან ბოლო ნაწილში, მომწვანო-ყვითელი ფერისაა და მოქარვისფრო იერი დაჰკრავს. ხორცი მკვრივი, კნატუნა აქვს. გემო სასიამოვნო, ჰარმონიული, სუსტად გამოსახული ჯიშური არომატი ახლავს.

ტრანსპორტის ამტანობა, თუ მას შევაფასებთ მარცვლების წინააღმდეგობით მოწყვეტისა და გაქვლეტვის მიმართ, თითას საკმაოდ კარგი აქვს. მარცვლების წინააღმდეგობა მოწყვეტის მიმართ მერყეობს 245-დან 315 გრამამდე და საშუალოდ 275 გრამს უდრის, ხოლო გაქვლეტის მიმართ წინააღმდეგობა მერყეობს 850-დან 1,370 გრამამდე და საშუალოდ 1,283 გრამს შეადგენს.

შენახვის უნარიც კარგი აქვს. 1943 წელს ყურძენი აღებული იქნა შესანახად 5 ოქტომბერს და შეინახა პირვანდელი წონის ნახევრის დაკარგვამდე 15/XII-მდე. ამ ხნის, ე. ი. 70 დღის განმავლობაში, მან დაკარგა პირვანდელი წონის 42%. ამ დანაკარგიდან მხოლოდ 8% მოდიოდა მარცვლების დაღობაზე, დანარჩენი წყლის აორთქლებაზე დაიკარგა. ყურძენი შენახული იყო ჩვეულებრივ ოთახში, სადაც იგი დალაგებული იყო ხის თაროებზე ერთმეორისაგან დაშორებით.



ქართული  
ენციკლოპედია



კახური თიბა—Тита Кахური



### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

ნამდვილი თითა ადგილობრივი ვაზის ჯიშია, იგი კარგი ღირსების სადესერტო ყურძენს იძლევა. მოიპოვება ძირითადად თელავის, გურჯაანისა და ყვარლის რაიონებში უმთავრესად მინარევის საბით ძველ საკლმეურნეო და საკარმიდამო ვენახებში.

ჯიშის მცირედი გავრცელების გამო მის ყურძენს ადგილზევე იყენებენ საქმელად, ნაწილს ინახავენ საზამთროდ ან გააქვთ მახლობელ ქალაქებში გასაყიდად. მევენახეობის ინსტიტუტში ჩატარებულმა კვლევებმა ამ ყურძენისგან სუფრის ღვინის დამზადების მიზნით, უშედეგო აღმოჩნდა. თითას ღვინო მომწვანო-ჩალისფერი იყო, მცირესხეულიანი, დაბალი ალკოჰოლიანობისა და ნეიტრალური გემოსი. სადესერტო-ყო კომისიის მიერ იგი შეფასებულ იქნა როგორც უბრალო, ყოველგვარ კარგ ჯიშურ თვისებას მოკლებული ორდინარული ღვინო.

ჯიში გაცილებით უკეთეს შედეგს იძლევა, როგორც სადესერტო ყურძენი, მას ახასიათებს თბელი, საშუალო ზომის, საკმაოდ კარგი გარეგნობის მტევნები. მარცვლები მსხვილი და გრძელი აქვს. ცალკეული მარცვლების სიგრძე 3 სანტიმეტრს, ხოლო წონა 5 გრამსა და მეტსაც აღწევს. გემო სასიამოვნო, ჰარმონიული აქვს, ახლავს სუსტად გამოსახული ჯიშური არომატი. შაქრიანობა-მჟავიანობა სავსებით აკმაყოფილებს სადესერტო ყურძენისათვის დაწესებულ კონდიციებს. ახლო მანძილზე გადატანას კარგად იტანს და საკმაოდ ხანგრძლივადაც ინახება.

ჯიშის დადებითი თვისებებია: ჯიშის მაღალი მოსავლიანობა, მტევნების თბელი აგებულება და მარცვლების დიდი სიმსბო და სიგრძე, რაც მას ლამაზ გარეგნობას აძლევს და მიმზიდველს ხდის მომხმარებლისათვის. ჯიშის უარყოფითი თვისებებია: ფუნქციურად მდებრობითი აგებულების ყვავილის ქონა, ნაცრის მიმართ შედარებით სუსტი გამძლეობა და შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქცია.

რამდენადაც კახეთი ვაზის ჯიშებით მდიდარია, იქ ნამდვილ თითას, როგორც სამრეწველო ჯიშს, მნიშვნელობა არა აქვს. რამდენადაც იგი უხვ მოსავალსა და კარგი ღირსების სადესერტო ყურძენს იძლევა, შეიძლება რეკომენდებულ იქნეს სხვა ჯიშებთან შერეულად საკარმიდამო ნაკვეთებზე გასაშენებლად ქალაქის მცხოვრებთა მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ადგილზე მოსახმარად.

### ТИТА КАХУРИ

Лист. Вполне развитые листья (9—12) средних размеров (16,5×17,0 см). Листовая пластинка округлая с незначительным варьированием чаще в сторону понерек овальной, реже овальной формы. Листья пятилопастные, реже встречаются трехлопастные листья, а еще реже на нижнем ярусе куста и почти цельные листья. Угол оконечной лопасти тупой, реже он прямой. Обычно поверхность листа сетчато-морщинистая, реже она гладкая. Изогнутость листовой пластинки воронковидно-желобчатая. Главные нервы опушены паутиново-щетинистым пушком и окрашены у основания в винно-красный цвет.

Верхние вырезки по глубине рассеченности листа варьируют от средних до глубоких, чаще всего они средних размеров. Основная форма вырезок лировидная с узким устьем и острым либо округлым дном. Реже встречаются также закрытые вырезки, с широко-эллиптическим просветом и округлым дном, а изредка вырезки с однозубчатым дном.

Нижние вырезки несколько менее глубоки. Основная форма вырезок щелевидная, реже она бывает лировидной с почти параллельными сторонами. Дно вырезки округлое, или несколько заостренное.

Черешковая выемка по форме незначительно варьирует. Чаще всего она лировидная с округлым дном, реже сводчатая, квадратная с плоским дном.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей треугольные, с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже куполообразные. Краевые зубцы треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже пиловидные, односторонне-выпуклые.

Опушение нижней поверхности листа паутиновое средней густоты, с подстилающим более густым щетинистым пушком. В целом опушение довольно густое, трудно стирающееся от трения.

Черешок листа короче длины срединного нерва, реже он равен ему по длине. Черешок опушен слабым щетинистым пушком и окрашен в винно-красный цвет.

**Цветок.** Тип цветка функционально-женский. Тычинки загнуты и расположены колесообразно в одной плоскости. Число тычинок в цветке 5, реже их 6. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 0,8. Пестик округло-конической формы с длинным столбиком и хорошо развитым, часто двураздельным рыльцем.

**Гроздь.** Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует от 12 до 20 см, при ширине 7—10 см. Размер средней грозди равен 15×7 см. Форма грозди цилиндрическая с крыльями, либо она цилиндрико-коническая, реже встречаются грозди конической формы. В большинстве случаев грозди рыхлые, очень рыхлые, реже они средне-плотные. Вес гроздей варьирует от 100 до 350 гр. Средний вес грозди равен 140—160 гр. Вес отдельных полноплодных гроздей свободно достигает 270—300 гр. Количество ягод в грозди варьирует от 50 до 100 и составляет в среднем 65 ягод. Наличие в грозди не развившихся зеленых ягод характерно для сорта. Ножка грозди тонкая, травянистая, деревенеет от середины к основанию и окрашивается в цвет чубука. Длина ножки в среднем равна 4—5 см. Ножка ягоды варьирует по длине от 0,6 до 1,1 см, в среднем составляет 0,7—0,8 см. Окраска ножки зеленая. Подушечка бородавчатая, широко-конической формы.


**Ягода.** Ягоды очень крупные. Длина ягод варьирует от 2,5 до 3,0 см, при ширине 1,3—1,75 см. Ягоды длинные, реже продолговатые. По форме они значительно варьируют. Обычно они продолговато-яйцевидные, иногда серповидно-изогнутые, с наибольшей шириной посередине, реже ближе к основанию. Конец ягоды округлен. Вес ягод варьирует от 2,2 до 5,4 гр, составляя в среднем 2,58 гр. Окраска ягод зеленовато-желтая с янтарным оттенком при перезревании. Кожица тонкая, просвечивающаяся, но довольно прочная. Кожица трудно отделяется от мякоти. Мякоть плотная, хрящеватая, мало сочная. Вкус ягод приятный, гармоничный, со слабым развитым сортовым ароматом. Пруин на ягодах слабо выражен. Ягоды прочно сидят на ножке. Количество семян в ягоде варьирует от 1 до 3, составляя в среднем 1,2 семени на ягоду.


**Тхитха** намдвили местный, малораспространенный сорт винограда. Дает качественный, десертный виноград местного значения. Распространен, в основном, в Телавском, Кварельском и Гурджаанском районах Кахети преимущественно в виде примеси на старых корпесобственных участках колхозов и колхозников.

Ввиду незначительного распространения сорта, его продукция используется на местах в свежем виде частично ее вывозят в ближайшие города для реализации либо сохраняют на зиму. Опыты Института виноградарства по приготовлению из Тхитха столового вина не дали положительных результатов. Вино из Тхитха получилось зеленовато-желтое, слабоградусное, малоэкстрактивное, нейтрального вкуса, без особых сортовых достоинств. Дегустационной комиссией Института оно было оценено как простое, ordinарное столовое вино. Значительно лучшего качества продукцию Тхитха дает в виде десертного винограда. Грозди средних размеров довольно рыхлые. Ягоды длинные, крупные, достигают длины 3 см, а веса 5 и более граммов. Форма ягод продолговатая, яйцевидная, окраска зелено-желтая, с янтарным оттенком при полной зрелости. Вкус приятный, гармоничный, со слабо развитым сортовым ароматом, сахаристость и кислотность вполне удовлетворяют существующие для столовых сортов кондиции. Ввиду рыхлого строения грозди и наличия крупных длинных ягод, они внешне довольно привлекательны для потребителя.

К положительным свойствам сорта относятся его сравнительная высокая урожайность и довольно привлекательный внешний вид гроздей при хороших вкусовых качествах ягод. К недостаткам сорта можно отнести функционально женский тип цветка, сравнительно слабую устойчивость против оидиума и невысокое качество продукции (винограда и вина).

В условиях Кахети, при ее богатом сортовом составе, в качестве промышленного сорта Тхитха намдвили внимания не заслуживает. Его, как урожайный и качественный десертный сорт, можно рекомендовать для распространения в смеси с другими сортами на приусадебных участках для удовлетворения многообразного вкуса потребителей свежим виноградом.





## პატალანთეული თავკვერი

პატალანთეული თავკვერი ადგილობრივი იშვიათი ჯიშია. იგი იძლევა ორდინარულ წითელ სუფრის ღვინოს.

სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის პატალანთეული თავკვერის სინონიმები ცნობილი არაა.

ჯიშის ისტორია. პატალანთეული თავკვერი ადგილობრივი ვაზის ჯიშია. იგი გავრცელებულია მინარევის სახით ს. ვაზისუბნის საწარმოო ვენახებში. კახეთის საცდელი სადგურის ტერიტორიაზე მისი რამდენიმე ძირი აღმოჩენილ იქნა პირველად პატალანთეულის ნაკვეთზე საფერავის ვენახში. ამ ჯიშის ნამდვილი სახელწოდების დადგენამდე მას, რადგანაც მრგვალი, შეზნექილი მარცვლები ჰქონდა, საცდელი სადგურის თანამშრომლებმა პატალანთეული თავკვერი შეარქვეს. ეს სახელი მას დღემდე შეერჩა, რადგან მისი სწორი სახელწოდების დადგენა ვერ მოხერხდა.

ჯიში თავისი მორფოლოგიური ნიშნებით ძლიერ ახლო დგას კახეთის ვაზის ჯიშებთან და მათთან წარმოშობის საერთო კერა უნდა ჰქონდეს.

ამჟამად ეს ჯიში მოიპოვება უმთავრესად გურჯაანის რაიონში, ძირითადად ძველ საწარმოო ვენახებში მინარევის სახით. კახეთის დანარჩენ რაიონებში ეს ჯიში არ გვხვდება, ან თითო-ოროლა ძირიღაა. რამდენიმე ათეული ძირი მოიპოვება მევენახეობის ინსტიტუტისა, მისი ფილიალისა და დასაყრდენი პუნქტების საკოლექციო ვენახებში, სადაც შესწავლისა და გამოცდის მიზნითაა დარგული.

## ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური თვალსაზრისით ჯიში აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტარულ ბაზაზე, ს. ვაზისუბანში.

ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ). ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი ორი ჯერ კიდევ გაუშლელი ფოთოლაკითურთ ყოველი მზრიდან სქელი აბლაბუდისებრი ბეწვებითაა შებუსუსებული. შეფერილია თეთრი ფლანელისფრად და მოვარდისფრო არშია აქვს ფოთლების ნაპირების ირგვლივ და გვირგვინისა და ყუნწების გასწვრივ. მეორე იარუსის (3—5) ფოთლების ზედა მხარეზე ბუსუსები ქრება და ამის გამო ფოთლის ეს ნაწილი მომწვანო-მოყვითალო ფერის ხდება, ხოლო ფოთლის ქვედა მხარე ჯერ კიდევ საკმაო სისქის მქონე შებუსუსების გამო მორუხო-თეთრი ფერისაა.

ერთწლიანი რქა. კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მურაყვითელი ფერისა ხდება. მუხლთაშორისები უფრო მუქია. მუხლთაშორისები საშუალო სისქისაა (8—10 სმ), ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ სუსტადაა გამოსახული.

ფოთოლი. ზრდადამთავრებული, კარგად განვითარებული ფოთლები (9—12) საშუალო ზომისაა (17,5×170 სმ). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, უფრო ხშირად ოვალური ფორმისაა, ვიდრე განიერ-ოვალური. ფოთოლი ხუთნაკვეთიანია, ნაკვეთები კარგადაა გამოსახული. ფოთლის შუა ნაკვეთი სწორკუთხიანია, იშვიათად ბლაგვკუთხიანიც გვხვდება. ფოთლის ზედაპირი ბადისებრ დანაოჭებულია ან (ქვემო იარუსის ფოთლებზე) წვრილბურთულეობიანია. ფოთლის ფირფიტა ძაბრისებრადაა მოხრილი ან კიდევ მისი მოხრილობა გაურკვეველი ფორმისაა.

ზედა ამონაკვეთების სიღრმე ზეზეურიდან ღრმამდე ცვალებადობს. უფრო ხშირად ზედა ამონაკვეთები საშუალო სიღრმისაა ან ოდნავ ამაზე ღრმაა. ამონაკვეთების ფორმა მერყეობს ოდნავ შესამჩნევ ლანცეტისმაგვარიდან დახურულ, მომრგვალოფუძიან, კვერცხისმაგვარ თვლიან ამონაკვეთამდე, უფრო

ხშირად მახვილი ან მომრგვალოფუძიანი კვერცხისმაგვარ თვლიანი ფორმის დახურული ამონაკვეთები გვხვდება.



ქვედა ამონაკვეთები ნაკლებ ღრმაა; ჩვეულებრივ ისინი საშუალო სიღრმისაა ან ზეზეურია. ამონაკვეთების ფორმა უფრო ხშირად ჩანგისმაგვარია, ვიწროყელიანი და მომრგვალო ან წამახვილებულფუძიანი, იშვიათად კვერცხისმაგვარ თვლიანი დახურული ამონაკვეთებიც გვხვდება.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა უმნიშვნელოდ ცვალებადობს. უფრო ხშირად ან თიხაქმის მსგავსი ფორმისაა და მომრგვალო ან წამახვილებულფუძიანი. თუ ფართოლი თავისუფალ მდგომარეობაშია, ქვედა ნაკვეთების ზევით წამოწევის გამო ამონაკვეთი დახურულად გვეჩვენება, ხოლო ფოთლის გასწორებისას იგი ღია ჩანგისმაგვარია. იშვიათად და ისიც ქვედა იარუსის ფოთლებზე ელიფსისებრ თვლიანი დახურული ამონაკვეთებიც გვხვდება.

ფოთლის მთავარი ძარღვები მსხვილი მახვილწვერიანი სამკუთხედისმაგვარი კბილებით ბოლოვდება. გვერდითი კბილები ხერხის კბილისებრ სამკუთხედისებრია ან ცალკვერდგამოზნექილი სამკუთხედისებრი. მსხვილი და წვრილი კბილები საკმაოდ წესიერად ენაცვლება ერთმანეთს.

ფოთლის ქვედა მხარის შეზუსტება თხელი აბლაბუდისებრია, რომელსაც ზედ ერთვის თხელი, ჯავრისებრი ბუსუსი, განსაკუთრებით ქვედა იარუსის ფოთლებზე.

ფოთლის ყუნწი მის მთავარ ძარღვზე უფრო მოკლეა. ყუნწი მოწითალო-ღვინისფერია და მწვანე ზოლები დაჰყვება სიგრძეზე.



სურ. 32. პატალანთეული თავკვერის ყვავილი.

ყვავილი. ყვავილი ნორმალური აგებულებისა — ორსქესიანია. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში ექვსი მტვრიანაა, იშვიათად აგრეთვე ხუთ და შვიდმტვენიანი ყვავილებიც გვხვდება. მტვრიანათა ძაფების სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან 1,0 — 1,25-სმ უდრის. იშვიათად ეს შეფარდება 1,5-საც აღწევს. ბუტკო მომრგვალო კონუსისებრი ფორმისაა, კარგად გამოსახული სვეტი და შედარებით დიდი, ხშირად ორად გაყოფილი დინგი აქვს.

მტევანი. მტევნები საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე მერყეობს 10-დან 16 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 8-დან 12 სანტიმეტრამდე

საშუალო მტევნის ზომა 14×10 სანტიმეტრს უდრის, მტევანი ძირითადად კონუსისებრი ფორმისაა იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმის მტევნებიც გვხვდება. ძალიან ხშირად მტევნებს ტოტები სიმეტრიულად უვითარდება მოპირისპირე მხარეებზე და მტევანს ჯვრისებრ ფორმას აძლევს, იშვიათადვე მტევანში მესამე ტოტიც ვითარდება და მაშინ იგი უფორმო ხდება.

მტევნები უფრო ხშირად მკვრივი აღნაგობისაა, იშვიათად მასზე (საშუალოზე) თხელი და ძლიერ მკვრივი მტევნებიც გვხვდება. მტევანში წვრილმარცვლიანობა სუსტად არის გამოსახული. მტევნის წონა მერყეობს საშუალოდ 100-დან 300 გრამამდე. ცალკეული, კარგად განვითარებული მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 500—600 გრამს, ხოლო მტევნის საშუალო წონა 150—200 გრამს უდრის. მარცვლების რაოდენობა მსხვილ მტევნებში მერყეობს 100-დან 250 ცალამდე, ხოლო საშუალო ზომის მტევნებში 60-დან 120 ცალამდე. სრულ, კარგად განვითარებულ მტევანში, რომლის წონა 346 გრამს უდრიდა, 94 მსხვილი და 132 საშუალო ზომის მარცვალი იყო, სულ 226 ცალი. მტევნის ყუნწი გაბეჭვებულია და შუა ადგილიდან ფუძისაკენ რქის ფერს იღებს. საშუალო ზომის მტევნების ყუნწის სიგრძე 3—4 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე საშუალოდ 0,6—1,0 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში ხორკლიანია და ფორმით განიერ კონუსისებრი.

მარცვალი. მარცვლები საშუალო ზომისაა, მათი სიგრძე მერყეობს 1,2-დან 1,6 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 1,3-დან 1,7 სანტიმეტრამდე. საშუალო მარცვლის ზომა 1,43×1,52 სანტიმეტრს უდრის. მარცვალი ძირითადად შეზნექილი ფორმისაა, იშვიათად მომრგვალო ფორმის მარცვლებიც გვხვდება. მარცვალი შუაში განიერია, ბოლო შეზნექილი ან, იშვიათად, მომრგვალებული აქვს. მარცვლები მუქი წითელი ფერისაა, ხოლო, როცა სავსებით დამწიფდება, მუქ ლურჯ ფერს იღებს. კანი თხელი აქვს, იგი ადვილად შორდება რბილობს (ხორცს). რბილობი წვნიანია, მდნარი. ცვილისებრი ფიფქი მარცვალზე კარგადაა გამოსახული. მარცვალს უბრალო გემო აქვს. ჯიშური არომატი ძლიერ სუსტადაა გამოსახული, შეუჩინეველია.

მარცვლები ყუნწზე მკიდროდაა მიმაგრებული. წიბების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 4-მდე. საშუალოდ მარცვალზე 2,25 წიბვა მოდის.

ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვება სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებდა მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით.

კურდღელაურის ეკოლოგიურ პირობებში პატალანთეული თავკვერის სავეგეტაციო ხანგრძლიობა მერყეობს 136 დღიდან 177 დღემდე და 11 წლის განმავლობაში საშუალოდ 155 დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად იცვლება აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2754 გრადუსიდან 3525 გრადუსამდე, ხოლო საშუალოდ 11 წლის მანძილზე 3,127,6 გრადუსს უდრის. სხვადასხვა წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად იცვლება სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაც. ამ ცვალებადობის საჩვენებლად ქვემოთ მოყვანილია ქ. თელავში პატალანთეულ თავკვერზე წარმოებული დაკვირვების შედეგები.

პატალანთეული თავკვერის სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა ქ. თელავში

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დღეებში	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნალექები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარეზერვუარიო ნალექები	სავეგეტაციო პერიოდში
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავის მახლობლად	1938	23/IV	7/VI	15/VIII	15/IX	145	3,075,2	—	—
	1939	22/IV	31/V	13/VIII	20/IX	151	3,073,0	—	—
	1940	15/IV	14/VI	19/VIII	20/IX	158	3,233,0	—	—
	1941	5/IV	30/V	13/VIII	25/IX	173	3,545,3	—	—
	1942	21/IV	6/VI	19/VIII	15/IX	148	3,115,5	—	—
	საშუალო	17/IV	5/VI	16/VIII	25/IX	155	3,208,4	—	—
" " "	1943	21/IV	8/VI	15/VIII	10/IX	170	3,299,4	148,8	510,9
	1944	22/IV	6/VI	18/VIII	20/IX	152	2,988,1	71,5	393,4
	1945	28/IV	12/VI	16/VIII	10/IX	136	2,754,4	41,8	340,4
	1946	18/IV	7/VI	22/VIII	15/IX	151	2,961,5	0,0	553,3
	1947	1/IV	4/VI	15/VIII	20/IX	173	3,182,5	82,5	496,3
	1948	29/IV	4/VI	9/VIII	23/IX	148	3,095,2	134,2	496,3
	საშუალო	20/IV	6/VI	17/VIII	21/IX	155	3,016,8	79,8	472,4

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, თითქმის ყველა ფაზა საგრძნობლად მერყეობს. მათგან მეტი ცვალებადობით გამოირჩევა პირველი ანუ საწყისი ფაზა, რომლის დადგომაზეა დამოკიდებული სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობაც. ყველაზე ნაკლებ ყვავილობის ფაზა ცვალებადობს. მისი დადგომისათვის მუდამ საკმარისია ტემპერატურის დონე. დასასრულ, ყურძნის სიმწიფის ფაზებიც საკმაოდ მერყეობს. მათ დადგომაზე სხვა ფაქტორებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სავეგეტაციო და სარეზერვუარიო პერიოდებში მოსული ნალექების რაოდენობას. სრული სიმწიფის ფაზა მით უფრო ადრე დგება, რაც უფრო ნაკლებია ნალექების რაოდენობა სიმწიფის პერიოდში.

სრული სიმწიფის დადგომის ვადების მიხედვით პატალანთეული თავკვერი თავისუფლად შეიძლება მიეკუთვნოს სიმწიფის III პერიოდის ვაზის ჯიშებს.

კახეთის ჰავის პირობებში პატალანთეული თავკვერის ერთწლიანი ნაზარდი 100—120 სანტიმეტრის სიგრძისა თავისუფლად ასწრებს მომწიფებას და კარგად შემოსული და გახვევებული ხელება ზამთრის ყინვებს. პატალანთეული თავკვერის ფაზები, ვაზისუბნისა და თელავის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით, სხვა კახურ ვაზის ჯიშებთან შედარებით საშუალო სიმძლავრით იზრდება.

მოსავლიანობა. პატალანთეული თავკვერი ადრე იხმამს პირველად და სრულ მოსავალსაც ადრე იძლევა. მისი ნამყენები მესამე წლიდან თითქმის ნორმალური მოსავლის ნახევარს იძლევა, ხოლო მეოთხე-მეხუთე წლიდან უკვე სრულ მოსავალს გვაძლევს. ჯიშმა უხვი მოსავალი იცის. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ვენახებში ჩატარებული აღრიცხვის მიხედვით მისი მოსავალი მუდამ საშუალოზე მეტია. პატა-



ლანთეულ თავკვერს მსხმოიარობის კარგი მაჩვენებლები აქვს: მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი 0,72-დან 1,60-მდე მერყეობს და წლების განმავლობაში საშუალოდ 1,2-ს უდრის. მტევნის საშუალო წონა ცვალებადობს 150-დან 200 გრამამდე. ამ მაჩვენებლების მიხედვით ერთი რქის მოსავალი (1,2 X 150—200 გ) 180—300 გრამს უდრის და იმ შემთხვევაში, თუ ძირზე საშუალოდ 10 რქა დატოვებული, 1,8—3,0 კილოგრამამდე შეადგენს, ხოლო შესაბამისად ჰექტარზე 64—100 ცენტნერამდე აღის.

ჯიშის მსხმოიარობის უფრო სრულად დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ცნობები ჯიშის მსხმოიარობის შესახებ.

### პატალანთეული თავკვერის მსხმოიარობა

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	მოსავლიანი რქების რაოდენობა			მტევნების რაოდენობა 1 მსხმოიარე რქაზე	მტევნების საშუალო რაოდენობა 1 რქაზე	მტევნის საშუალო წონა	ერთი რქის მოსავალი გრამებში	დატოვებული რქების რაოდენობა 1 ჰექტარზე	განგარიშებული მოსავალი
		ერთ-მტევნიანი	ორ-მტევნიანი	სულ						
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1911	68,66	11,94	80,60	1,14	0,92	252,0	232,0	25,000	57,0 ც.
	1913	66,04	18,87	84,91	1,22	1,03	244,0	251,3	43,000	108,0 ც.

მოყვანილი ცნობების მიხედვით ჯიშს მოსავლიანი რქები შედარებით დიდი რაოდენობით აქვს (80—85%). ამისდა მიუხედავად მერყეობა წლების განმავლობაში საგრძნობლად დიდია და, როგორც ცხრილიდანვე ჩანს, გამოწვეულია ვაზების არათანაბარი დატვირთვით. 1941 წელს საშუალოდ ვაზზე მოდიოდა 7,5 რქა, ხოლო 1943 წელს 13 რქა. დატვირთვის გადიდებასთან ერთად გაიზარდა მსხმოიარე და ორმტევნიანი რქების რაოდენობა, რამაც თითქმის ერთიორად გაადიდა მოსავალი.

ვაზისუბანში ჯიში გაცილებით მეტ მოსავალს იძლევა. ძირების მიხედვით აღრიცხვის თანახმად პატალანთეულის თავკვერის 21 ძირიდან მოკრეფილ იქნა 200 მტევანი, რომელთა წონა 32,200 გრამს უდრიდა, რაც საშუალოდ ძირზე შეადგენს 2,175 გრამს, ხოლო ჰექტარზე (5,000 ძირის შემთხვევაში) 108,7 ცენტნერ ყურძენს. ვაზისუბანში ჯიშის მაღალი მოსავალი შედეგია იმისა, რომ ჰექტარზე ვაზები უფრო მეტი რაოდენობითაა და შესაბამისად მეტია დატვირთვა.

ამ მონაცემების გათვალისწინებით პატალანთეულის თავკვერის საშუალო მოსავლად კახეთის პირობებისათვის უნდა მივიჩნიოთ 80—100 ცენტ. ყურძენი 1 ჰექტარზე.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა, პატალანთეული თავკვერის საშუალო გამძლეობას იჩენს. სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ, რეტროვიზა და ვაზისუბნის საკოლექციო ვენახებში ჩატარებული დაკვირვების მიხედვით მისი გამძლეობა მილდიუმის მიმართ შეუფასებელია საშუალოდ, ხოლო ნაცრის მიმართ საშუალოზე სუსტად. სხვა ავადმყოფობათაგან სამეურნეო მნიშვნელობის დაავადებანი დაკვირვების წარმოების განმავლობაში შენიშნული არ ყოფილა.

### ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

ყველა მაჩვენებლის მიხედვით მტევნის გარეგნული შეხედულებით, ყურძნის მექანიკური და ქიმიური შედგენილობითა და მარცვლების გემოს თვალსაზრისით შეფასებითაც—პატალანთეული თავკვერის სადენე ვაზის ჯიშია. მისი მექანიკური შედგენილობის და აგრეთვე წვენის ქიმიური შედგენილობის საჩვენებლად ქვემოთ მოყვანილია ანალიზის შედეგები.



პატალანთეული თავკვერი — Паталантеული Тавквери



დება მცირე სხეულით, სიმსუბუქითა და სასიამოვნო გემოთი. ზოგიერთ წლებში მისგან კარგი ღირსების ორდინარული სუფრის ღვინო დგება. ჩვეულებრივ კი მისგან უბრალო ორდინარული ღვინო დგება. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება ჯიშის ფართოდ გამოცდა სხვა მიმართულებითაც, სახელობრ, უალკოჰოლო ყურძნის წვენისა და ხარისხოვანი საკონიაკე მასალის დასამზადებლად.

ჯიშის დადებით თვისებებს წარმოადგენს მისი შედარებით მაღალი მოსავლიანობა, მილდიუმის შედარებით კარგი გამძლეობა და გარემო პირობებისადმი კარგი შეგუება, ხოლო უარყოფით თვისებებს მიეკუთვნება მისი პროდუქციის (ღვინის) არამაღალხარისხოვნება და ნაცრისა და მარცვლების სიძველის მიმართ შედარებით სუსტი გამძლეობა.

კახეთში, ხარისხოვანი მეღვინეობის რაიონებში, პატალანთეული თავკვერი ყურადღების ღირსი არაა. როგორც მაღალმოსავლიანი ჯიში, ადგილებზე წინასწარ გამოცდის შემდეგ, იგი შეიძლება რეკომენდებულ იქნეს კახეთის დანარჩენ რაიონებში (ალაზნის მარცხენა მხარეზე) ძირითადად საკონიაკე და მასობრივი საკუბაჟე მასალის, აგრეთვე შეფერილი უალკოჰოლო წვენის დასამზადებლად. პატალანთეული თავკვერი, როგორც მაღალმოსავლიანი ჯიში, პერსპექტიულია აგრეთვე სასელექციო მუშაობაში გამოსაყენებლად. ფართოდ გამოცდის მიზნით იგი შეიძლება რეკომენდებულ იქნეს აგრეთვე ქართლის რაიონებისათვის ძირითადად უალკოჰოლო ყურძნის წვენისა და ხარისხოვანი საკონიაკე მასალის დასამზადებლად.

### ПАТАЛАНТЕУЛИ ТАВКВЕРИ

Лист. Виолне развитые листья средних размеров (17,5×17 см). Листовая пластинка округлая, с незначительным колебанием в сторону овальной, реже почти овалной формы. Листья пятилопастные, лопасти хорошо выражены. Угол оконечной лопасти прямой, реже он тупой. Поверхность листа сетчато-морщинистая, реже мелко-пузырчатая на нижних листьях. Изогнутость листовой пластинки воронковидная, реже она неопределенная.

Верхние вырезки варьируют от мелких до глубоких, чаще всего она средних размеров либо несколько глубокие. Форма вырезок варьирует от едва намеченных щелевидных до закрытых с округлым дном и яйцевидным просветом. Чаще всего встречаются закрытые вырезки с яйцевидным просветом и с заостренным либо с округлым дном.

Нижние вырезки менее глубоки, обычно они средних размеров и мелкие. Форма вырезок чаще открытая, ланцетовидная, с узким устьем и округлым либо заостренным дном, реже встречаются закрытые вырезки с яйцевидным просветом.

Черешковая выемка по форме незначительно варьирует. В большинстве случаев выемка открытая, ланцетовидная с заостренным либо округлым дном. В свободном состоянии, ввиду приподнятости нижних лопастей, черешковая выемка кажется закрытой. Очень редко, и то лишь на листьях нижнего яруса, она закрытая с эллиптическим просветом.

Зубцы. Оконечные зубцы довольно крупные, треугольные, с острой вершиной. Краевые зубцы треугольно-шиловидные, односторонне-выпуклые. Чередование крупных с мелкими зубцами обычно правильное.

Опушение нижней стороны листа слабое, паутинистое, с примесью редкого щетинистого пушка, в особенности на листьях нижнего яруса. Слабый паутинистый пушок можно заметить и на верхней стороне листьев.

Черешок короче длины главного нерва листа. Окраска черешка слабо вишне-красная с прозеленью:

Цветок. Цветки нормального строения, обоеполые. Тычинки прямостоячие. Число тычинок в цветке 6, реже встречаются цветки с 5 и 7 тычинками. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1—1,25, реже это отношение достигает 1,5. Пестик округло-конической формы, с хорошо выраженным столбиком и сравнительно большим двураздельным рыльцем.

Гроздь. Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует от 10 до 16 см, при ширине 8—12 см. Размер средней грозди равен 14×10 см. Форма грозди коническая, реже цилиндро-коническая. В большинстве случаев грозди снабжены двумя симметрично торчащими по обе стороны лопастями, реже их в грозди три. Обычно грозди плотные, реже средне-плотные и очень плотные. Горошение ягод в грозди незначительное. Вес грозди варьирует в среднем от 100 до 300 гр, отдельные полноценные грозди свободно достигают веса 500—600 гр, за среднее за ряд лет можно принять 150—200 гр. Количество ягод в грозди варьирует: в крупных от 100 до 250, а средних от 60 до 120 ягод на гроздь. В полноценной грозди весом 346 гр сосчитано 94 крупных и 132 средних ягод, всего 226 ягод на гроздь. Ножка грозди деревянистая, от середины к основанию она окрашивается в цвет чубука. Длина ножки у гроздей средней

величины равна 3—4 см. Ножка ягоды зеленая, 6—10 мм длины. Подушечка бородавчатая, широко конической формы.

Ягода. Ягоды средних размеров. Длина ягод варьирует от 1,2 до 1,6 см, при ширине ягод 1,3—1,7 см. Размер средней ягоды равен  $1,43 \times 1,52$  см. Основная форма ягод сплюснутая, реже встречаются ягоды округлой формы. Наибольшая ширина лежит посередине, конец ягоды притуплен, реже округлен. Окраска ягод темно-красная, при созревании ягод — темно-синяя. Кожица тонкая, легко отделяющаяся от мякоти. Мякоть сочная, расплывающаяся. Восковой налет на ягодах хорошо выражен. Вкус ягод простой, без особого сортового аромата. Прочность прикрепления ягод к ножке достаточная. Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4, составляя в среднем 2,25 семени на ягоду.

Паталантеули Тавквери — местный, малораспространенный сорт красных ординарных столовых вин Кахетии.

Распространен в Гурджаанском районе, преимущественно в виде отдельно стоящих кустов и примеси на старых производственных виноградниках колхозов и колхозников. В остальных районах Кахетии встречается еще реже и в основном в виде отдельно стоящих кустов на приусадебных участках колхозников.

Ввиду незначительного распространения сорта, его урожай перерабатывается, в смеси с другими сортами винограда, на обычное красное вино. Чистосортное вино из паталантеули Тавквери готовят в Институте виноградарства.

Вино получается ординарное, посредственного качества и характеризуется очень слабо развитым сортовым ароматом, легкостью, малым содержанием экстракта и довольно приятным вкусом. В иные (некоторые) годы, при более поздних сборах, из него получается качественное ординарное вино приятного вкуса. Сорт является более перспективным для приготовления окрашенных безалкогольных соков и качественных коньяков. Широкие опыты в этом направлении крайне необходимы.


К положительным свойствам сорта относятся его относительно высокая урожайность, хорошая устойчивость против мильдю и неблагоприятных климатических условий, к недостаткам же невысокое качество продукции (вина) и относительно слабая устойчивость против оидиума и виноградной гнили.

В качественных районах Кахетии, при ее разнообразном сортовом составе, паталантеули Тавквери внимания не заслуживает. Его, как высокоурожайный сорт, с предварительным испытанием на местах, можно рекомендовать для остальных районов Кахетии, в основном, для приготовления окрашенных виноградных соков и качественного материала для коньяков и массовых купажей.

Сорт, как высокоурожайный, перспективен также в качестве исходного материала при селекционных работах.

В порядке широкого испытания его можно рекомендовать для виноградных районов Карталинии, в основном, для приготовления окрашенных безалкогольных соков и качественных коньяков.





საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
საგარეო უწყობის  
საგარეო უწყობის

## საფერავისებრი თავკვერი

საფერავისებრი თავკვერი ადგილობრივი იშვიათი ვაზის ჯიშია. იგი იძლევა საშუალო ღირსების ორდინარულ წითელ ღვინოს და ასეთივე ხარისხის ადგილობრივ მოსახმარებელ სადესერტო ყურძენს.

სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის საფერავისებრი თავკვერის სინონიმები ცნობილი არაა.

ჯიშის ისტორია. საფერავისებრი თავკვერი ადგილობრივი ვაზის ჯიშია. იგი თავისი მორფოლოგიური ნიშნებით ენათესავება კახეთის მთავარ საწარმოო ჯიშებს. სახელწოდება მიღებული უნდა ჰქონდეს თავკვერსა და საფერავთან შორეული მსგავსების გამო. ფოთლის საერთო ნიშნებით თავკვერსა ჰგავს, ხოლო მარცვლების ფორმითა და ფერით—საფერავს. მსგავსება, რა თქმა უნდა, შორეულია.

ჯიშის წარმოშობის ადგილისა და დროის შესახებ ცნობები არ მოიპოვება, დღევანდელი მისი გავრცელების არე მეტად ვიწროა. ჯიში ძირითადად გვხვდება გურჯაანის რაიონში, სადაც იგი უმთავრესად მინარევის სახითაა ძველ ვენახებში და აგრეთვე თითო-ორი ძირი მოიპოვება საკარმიდამო ნაკვეთებზე. კახეთის დანარჩენ რაიონებში იგი ძალიან იშვიათია და თითო-ორი ძირი მოიპოვება უმთავრესად საკარმიდამო ნაკვეთებზე. რამდენიმე ათეული ძირი საფერავისებრი თავკვერი გაშენებულია მევენახეობის ინსტიტუტის, საქარის მევენახეობის საცდელი სადგურისა და დასაყრდენი პუნქტების საკოლექციო ვენახებში შესწავლისა და გამოცდის მიზნით. ოცდაათორმეტი ძირი საფერავისებრი თავკვერი გაშენებულია ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე ს. ვაზისუბანში.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური თვალსაზრისით ჯიში აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე ს. ვაზისუბანში.

ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ). ახალგაზრდა მოზრდილი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი ორი ფოთოლაკითურთ შებუსუსებულია თხელი აბლაბუდისებრი ბეწვებით, მორუხო-თეთრი ფერისაა და სუსტი მოღვინისფრო არშია აქვს შემოვლებული ფოთოლაკების ნაპირების ირგვლივ.

მეორე იარუსის ფოთლებზე ზემო მხრიდან შებუსუსება ქრება და ფოთლები ღვინისფერი იერის მქონე მომწვანო-მოყვითალო ფერს იღებს. ფოთლების ქვედა მხარე თხელი აბლაბუდისებრი ბეწვებითაა შებუსუსებული, მორუხო-მწვანე ფერისაა და მოწითალო-ღვინისფერი იერი აქვს ფოთლების ნაპირების ირგვლივ.

ერთწლიანი რქა. კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე ვარდისფერი იერის მქონე მოყვითალო-წითელ ფერს იღებს. მუხლები არ გამოირჩევა ფერის მხრივ მუხლთაშორისებისაგან. მუხლთაშორისების სიგრძე საშუალოზე მეტია (10—12 სმ). ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ არაა გამოსახული.

ფოთლი. ზრდადამთავრებული, კარგად განვითარებული ფოთლები (9—12) საშუალო ზომისაა (16,5 × 17,5 სმ). ფოთლის ფირფიტა მომრგვალო და ოდნავ განიერ-ოვალური ფორმისაა. ფოთლი მეტწილად ხუთნაკვეთიანი და სამნაკვეთიანია, იშვიათად სრულიად დაუნაკვეთი ფოთლებიც გვხვდება. ფოთლის მეორეული დანაკვეთა ჯიშს არ ახასიათებს. ფოთლის ზედაპირი გლუვია, ხოლო ქვედა იარუსის ფოთლებზე პადისებრ დანაკვეთიანი. ფოთლის ფირფიტა სწორია და ნაკვეთების ბოლოები ძირსაა დახრილი. ფოთლის მთავარი ძარღვები დაფარულია თხელი ჯაგრისებრი ბუსუსით და ძარღვები განტოტების ადგილთან მკრთალი ვარდისფერია.

ზედა ამონაკვეთები ზეზეურია, იშვიათად საშუალო სიღრმისა. ამონაკვეთების ფორმა ძალიან მერყეობს. უფრო ხშირად ამონაკვეთები ლანცეტისმაგვარი ან შექრილი კუთხისმაგვარი ფორმისაა, იშვიათად ვიწროყელიანი ჩანგისმაგვარი ფორმისაა, ან კიდევ ოდნავ შესამჩნევია.


ქვედა ამონაკვეთები თითქმის ყოველთვის ნაკლებ ღრმა და ფორმის მხრივაც ნაკლებ გამოსახულია, ხანდახან ამონაკვეთები სულ არაა განვითარებული. მომეტებულ შემთხვევაში ამონაკვეთების ფორმა შექრილი კუთხისმაგვარია, იშვიათად ლანცეტისმაგვარი ფორმისაა.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა საგრძნობლად მერყეობს; იგი იწყება მახვილფუძიანი ჩანგისმაგვარიდან და მთავრდება განიერი მშვილდისმაგვარი ფორმის ამონაკვეთით. უფრო ხშირად გვხვდება მრგვალფუძიანი ჩანგის ან თაღისმაგვარი ამონაკვეთები, იშვიათად თანაბარგვერდებიანი მშვილდისებრი ფორმისაა.

ფოთლის მთავარი ძარღვები მახვილწვერიანი გამოზნექილგვერდებიანი სამკუთხედისა და გუმბათისმაგვარი ფორმის კბილებით ბოლოვდება. გვერდითი კბილები სამკუთხედისებრია და ხერხისკბილისებრი ცალგვერდ გამოზნექილი. დაკბილვა მკვეთრი არაა, კბილები საშუალო ზომისაა.

ფოთლის ქვედა მხარე თითქმის შიშველია, იგი ოდნავაა შებუსუსებული ძლიერ თხელი აბლაბუდისებრი ბეწვებით, რომელთა ქვეშ მეტად თხლად მოფენილია ჯაგრისებრი ბუსუსები, რომლებიც ქვედა იარუსის ფოთლებზე საგრძნობლად სქელდება.

ფოთლის ყუნწი ერთი მესამედით უფრო გრძელია ფოთლის შუა ძარღვზე. ყუნწი მკრთალი ვარდისფერია და მწვანე ზოლები დაჰყვება ყუნწის სიგრძეზე.



სურ. 33. საფერავისებრი თავგვერდის ყვავილი.

ყვავილი, ყვავილი ნორმალური აგებულებისა ორსქესიანი აქვს. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში ჩვეულებრივ ხუთი მტვრიანაა. მტვრიანათა ძაფის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან 1,0—1,5-ს უდრის. ბუტკო სწორი, მომრგვალო-კონუსისებრი ფორმისაა და კარგად განვითარებული სვეტი და მსხვილი, ხშირად ორად გაყოფილი ღინგი აქვს.

მტევანი. მტევანი სიდიდით საშუალოზე დიდი და გრძელია. მტევნების სიგრძე მერყეობს 18-დან 28 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 6-დან 10 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის ზომა 25×8 სანტიმეტრს უდრის. მტევნის ძირითადი ფორმა ვიწრო

კონუსისებრი და ცილინდრულ-კონუსისებრია, იშვიათად უფორმო მტევნებიც გვხვდება. მტევნები დატოტვილია ხშირად, იშვიათად მხრიანიც. ტოტები ძირსაა დაშვებული. ზომა ხშირად ძირითადი მტევნის მეოთხედს უდრის. მტევნები თხელი აღნაგობისაა, იშვიათად ძალიან თხელი მტევნებიც მოიპოვება. მტევანში წვრილი მარცვლები უმნიშვნელო რაოდენობითაა. მტევნის საშუალო წონა მერყეობს 150-დან 200 გრამამდე. ზოგიერთი კარგად განვითარებული მტევნის წონა თავისუფლად აღწევს 300—400 გრამს. მარცვლების რაოდენობა მტევანში მერყეობს 60-დან 200 ცალამდე, ხოლო საშუალოდ 80—100-ს უდრის. მტევნის ყუნწის სიგრძე მერყეობს 6-დან 12 სანტიმეტრამდე და საშუალოდ 6—8 სანტიმეტრია. მტევნის ყუნწი გახვევებულია, მწვანე ფერისაა და მხოლოდ შუა ადგილიდან იღებს რქის ფერს. მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე მერყეობს 1,0-დან 1,5 სანტიმეტრამდე, ხოლო საშუალოდ 1,2 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში ხორკლებიანია, განიერ კონუსისებრი, იშვიათად ვიწრო კონუსისებრი ფორმისა.

მარცვალი. მარცვალი საშუალო და საშუალოზე დიდი ზომისაა. მარცვლის სიგრძე მერყეობს 1,6-დან 1,9 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 1,4-დან 1,6 სანტიმეტრამდე. საშუალო მარცვლის ზომა 1,7×1,5 სანტიმეტრს უდრის. მარცვალი ძირითადად ოვალური ფორმისაა, მაგრამ იშვიათად მომრგვალო და მოგრძო მარცვლებიც გვხვდება. მარცვალი შუაში განიერია, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს. მომრგვალო ფორმის მარცვლები ოდნავ შეზნექილია. მარცვლები მუქი იისფერია, თითქმის შავი, კანი ოდნავ უხეში აქვს, რბილობს ადვილად არ შორდება, რბილობი (ხორცი) საშუალო სიმკვრივისაა და მდნარი. წვენი ღია ვარდისფრადაა შეფერილი. მარცვალი უხვადაა დაფარული ცვილისებრი ფიფქით. მარცვალს გემო სასიამოვნო, მარმონიული აქვს, ჯიშური არომატი სუსტადაა გამოსახული. მარცვლები საკმაოდ მჭიდროდაა მიმაგრებული ყუნწზე.

წიპწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 4-მდე. უფრო ხშირად გვხვდება 2—3 წიპწიანი მარცვლები. მარცვალზე საშუალოდ 1,45 წიპწა მოდის.

**ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება**

დაკვირვება სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებდა მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავიდან 4 კილომეტრის დაშორებით.

კურდღელაურის პირობებში საფერავისებრი თავკვერის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობის განმავლობაში მერყეობს 138 დღიდან 160 დღემდე, ხოლო საშუალოდ 11 წლის მანძილზე დადგინდა 141 დღეს უდრის.

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობის შესაბამისად მერყეობს აგრეთვე ჯამი აქტიური ტემპერატურებისა 2819 გრადუსიდან 3,283 გრადუსამდე და 11 წლის მანძილზე შეადგენს საშუალოდ 3,071,6 გრადუსს. ცალკეული წლების განმავლობაში სავეგეტაციო ფაზების მსვლელობის ჩვენების მიზნით ქვემოთ მოყვანილია ქ. თელავში ჩატარებული დაკვირვების შედეგები.

**საფერავისებრი თავკვერის სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა ქ. თელავში**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	ფაზების დადგომის თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში	ჯამი აქტიური ტემპერატურებისა სავეგეტაციო პერიოდში	ნალექები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარეპროდუქციო პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში
კახეთი. თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ს. კურდღელაურში, თელავის მახლობლად	1938	27/IV	7/VI	16/VIII	15/IX	141	2,983,5	—	—
	1939	24/IV	31/V	20/VIII	25/IX	154	3,131,9	—	—
	1940	16/IV	7/VI	22/VIII	20/IX	157	3,200,9	—	—
	1941	8/IV	10/VI	10/VIII	15/IX	160	3,283,7	—	—
	1942	1/V	12/VI	22/VIII	5/X	157	3,270,1	—	—
საშუალო . . . . .	—	21/IV	7/VI	18/VIII	22/IX	154	3,174,2	—	—
კახეთი. თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ს. კურდღელაურში, თელავის მახლობლად	1943	30/IV	11/VI	21/VIII	5/X	159	3,138,4	117,6	481,0
	1944	25/IV	7/VI	20/VIII	20/IX	149	2,941,8	69,0	393,4
	1945	6/V	15/VI	28/VIII	20/IX	138	2,819,5	47,3	345,8
	1946	27/IV	9/VI	26/VIII	15/IX	142	2,854,4	—	539,9
	1947	6/IV	4/VI	15/VIII	10/IX	158	2,965,9	82,5	534,0
1948	29/IV	8/VI	19/VIII	23/IX	148	3,091,2	134,2	496,3	
საშუალო . . . . .	—	27/IV	9/VI	21/VIII	20/IX	149	2,949,2	75,0	465,0

როგორც ცხრილიდან ჩანს, სავეგეტაციო პერიოდის ფაზები ცალკეული წლების განმავლობაში საგრძნობლად იცვლება. ყველაზე მეტად პირველი ფაზა, ხოლო ყველაზე ნაკლებ მეორე ფაზა მერყეობს. სიმწიფის დასაწყისისა და სრული სიმწიფის ფაზა შედარებით ნაკლებ მერყეობს. სიმწიფის დასაწყისში და სრული სიმწიფის დადგომაზე დიდი გავლენა აქვს ნალექების რაოდენობას და აქტიურ ტემპერატურათა ჯამს. წლების მანძილზე სრული სიმწიფის დადგომის ვადების მიხედვით საფერავისებრი თავკვერის სიმწიფის III პერიოდის ვაზის ჯიშებს მიეკუთვნება.

საფერავისებრი თავკვერის ერთწლიანი ნახარდი კახეთის ჰავის პირობებში ყურძნის სრულად დამწიფების დროისათვის თავისუფლად ასწრებს შემოსვლას და კარგად მომწიფებული და გახვეებული ხედება ზამთარს.

საფერავისებრი თავკვერის ვაზები მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახებში ჩატარებული დაკვირვების თანახმად კახურ ვაზის ჯიშებთან შედარებით საშუალო სიმძლავრით იზრდება.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. საფერავისებრი თავკვერის სოკოვან ავადმყოფობებს საკმაოდ კარგად უძლებს. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ვენახებში წარმოებული დაკვირვების თანახმად მისი გამძლეობა მილდიუმისა და ნაცრის მიმართ საშუალოა, სხვა ავადმყოფობათაგან სამეურნეო მნიშვნელობის დაზიანება დაკვირვების პერიოდში შემჩნეული არ ყოფილა.

მოსავლიანობა. საფერავისებრი თავკვერის შედარებით ადრე იხსამს პირველად და სრულ მოსავალსაც ადრე იძლევა. დაკვირვების მიხედვით მისი ნამყენები დარგვიდან მესამე წელს უკვე გვარიანად იხსამს, ხოლო მეოთხე-მეხუთე წლიდან სრულ მოსავალს გვაძლევს. მაგალითად, დარგვიდან მესამე წელს მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი უფრო მაღალი იყო, ვინემ მომდევნო წლებში. საფერავისებრმა თავ-

ყურძნის ლაბორატორიულ პირობებში გადამუშავებისას წვეწის გამოსავალი 82—85%-ს აღწევს. ყურძნის ნახევრად საწარმოო პირობებში გადამუშავებისას წვეწის გამოსავლიანობა უფრო ნაკლებია და შეადგენს 77%-ს ხოლო მაგარი ნაწილები 23%-ს. ამ მონაცემების მიხედვით იგი საღვინე ვაზის ჯიშებს უახლოვდება.

წვეწის ქიმიური შედგენილობა. საფერავისებრ თავკვერს შაქრის დაგროვების საშუალო და საშუალოზე დაბალი უნარი აქვს. ამასთან, იგი ზომიერ მჟავიანობას ინარჩუნებს. რთვლის, მერყეობის, მტვერისა და მტვერის ანალიზის მიხედვით მისი შაქრიანობა საშუალოდ 16-დან 21%-მდე მერყეობს და საშუალოდ 18—19%-ს უდრის. მჟავიანობა კი 5,6%-დან 12,3%-მდე მერყეობს და საშუალოდ 7—8%-ს უდრის. ცალკეული წლების განმავლობაში რთვლის პერიოდში შაქრიანობა-მჟავიანობის მერყეობის ჩვენების მიზნით ქვემოთ მოყვანილია თელავსა და ვაზისუბანში ჩატარებული ანალიზის შედეგები.

**საფერავისებრი თავკვერის შაქრიანობა-მჟავიანობა რთვლის პერიოდში**

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	წელი	რთვლის თარიღი	შაქარი %-ბით	მჟავიანობა %%-ბით	შენიშვნა
კახეთი, გურჯაანის რაიონი, სოფ. ვაზისუბანი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1929	—	18,3	5,6	
	1930	—	16,3	6,1	
	1937	—	21,28	8,07	
	1941	28/IX	18,2	7,48	
	1942	26/IX	19,4	7,50	
	1943	5/X	18,2	7,25	
	1944	27/IX	20,2	11,7	
	1945	25/IX	18,1	12,8	
	1948	26/IX	17,0	6,20	
საშუალო . . . . .	—	—	18,52	8,07	

ყურძნის წვეწის ქიმიური შედგენილობის უფრო სრულად ჩვენების მიზნით ქვემოთ მოყვანილია სათანადო ცნობები.

**წვეწის ქიმიური შედგენილობა**

წვეწის შემადგენელი ნაწილები	საერთო ექსტრაქტი	შაქარი %-ბით	ფრუქტოზა %-ბით	გლუკოზა %-ბით	საერთო მჟავიანობა	ღვინის სიმჟავე	ვაშლის სიმჟავე	მთრიმლაკი ნივთიერებანი	ნაცარი
%	23,6	21,28	10,94	10,34	8,07	3,77	4,30	0,31	1,33

მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ საფერავისებრი თავკვერის წვეწის ქიმიური შედგენილობა შედარებით კარგია. ამ მაჩვენებლების მიხედვით საფერავისებრი თავკვერი საშუალო ღირსების სადესერტო ყურძნისა და სუფრის ღვინის მომცემ ჯიშად უნდა მივიჩნიოთ.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. საფერავისებრ თავკვერს იყენებენ ძირითადად ადგილობრივ მნიშვნელობის სადესერტო ყურძნად. იშვიათად მას სხვა ჯიშებთან ერთად სუფრის ღვინის დასაყენებლადაც წურავენ. როგორც სადესერტო ყურძენი, იგი შემდეგი თვისებებით ხასიათდება.

მტევანი. მტევნები საშუალოზე დიდი ზომისა აქვს. კარგად განვითარებული მტევნების სიგრძე 30 სანტიმეტრს აღწევს, ხოლო განი 10—12 სანტიმეტრს. მტევნები თხელი ან ძლიერ თხელია. წვრილი მარცვლები მტევანში უმნიშვნელო რაოდენობითაა. მარცვლები არათანაბრად მწიფდება. მტევნების გარეგნობა საკმაოდ მიმზიდველია.



მარცვალი საშუალოზე დიდი ზომისაა, მისი სიგრძე 2,0 სანტიმეტრამდე აღწევს. მარცვალი ოვალური ფორმისაა, მუქი იისფერი, თითქმის შავია და დაფარულია საკმაოდ სქელი ცვილისებრი ფიფქით. მარცვალი საკმაოდ მკიდროდაა მიმაგრებული გრძელ (1,0—1,5 სმ) ყუნწზე.

გემო სასიამოვნო, ჰარმონიული აქვს, ახლავს სუსტად გამოსახული ჯიშური არომატი. რბილობი საშუალო სიმკვრივისაა, მდნარია. შაქრიანობა საშუალოდ 18,6%-ს უდრის, ხოლო მკვრივანობა 8,0%-ს, ტრანსპორტის ამტანი არ არის. ყურძენი გამოუსადეგარია შორეულ მანძილზე გადამზადებას. მარცვლების მოწყვეტის წინააღმდეგობა საშუალოდ 220 გრამს უდრის, ხოლო გაქცეუტისა 862 გრამს. 50 დღის განმავლობაში შენახულმა ყურძენმა დაკარგა წყლის აშრობის გამო 46,3%, ხოლო ობის მიზეზით 4,8%. ამრიგად, პირვანდელი წონის 50% დაკარგვამდე ყურძენი ინახება 49 დღის განმავლობაში. ამის შემდეგ ყურძენის შენახვა ეკონომიური თვალსაზრისით არაა ხელსაყრელი. ყველა ეს მაჩვენებლები საბაზს გვაძლევს მივიჩნიოთ იგი საშუალო ღირსების სადესერტო ყურძენად.

საფერავისებრი თავკვერის ყურძენს იყენებენ მშრალი სუფრის ღვინის დასამზადებლად. ამ ჯიშის ღვინის ზოგიერთი წლის საცდელი ნიმუშები მუქი ვარდისფერი იყო, ექსტრაქტის ზომიერი შემცველი და ღვინის შემადგენელი ნაწილები ჰარმონიულად შეხავებული მასში. ჩვეულებრივ კი ჯიში საშუალო ღირსების ორდინარულ მშრალ სუფრის ღვინოს იძლევა. ღვინის ორგანოლექტიკური თვისებების უკეთ საჩვენებლად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები მევენახეობის ინსტიტუტის ჯიშობრივი ღვინოების ხარისხის შემფასებელი სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.

**ამონაწერი სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური შეფასება
გურჯაანის რაიონი, სოფ. ვაზისუბანი.	1936	20/I 1937	6,1	მუქი ვარდისფერი, კარგად დაწმენდილი, მუბუქი, საშუალო ექსტრაქტიანი, ნაკლებ ჰარმონიული ღვინო.
გურჯაანის რაიონი, ს. ვაზისუბანი	1940	25/XII 1940	6,5	კარგად დაწმენდილი, მუქი წითელი ფერის, საკმაოდ ექსტრაქტიანი, შინაარსიანი ღვინო, სასიამოვნო შეავიანობის მქონე

ღვინის ხარისხის უფრო სრულად დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია მისი ქიმიური შედგენილობის მაჩვენებლები.

**საფერავისებრი თავკვერის ღვინის ქიმიური შედგენილობა**

მოსავლის წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლის მოცულობა %-ბით	გრამები ლიტრში									
			ექსტრაქტი	ნაცარი	ნაცრის ტუტია-ნობა	საერთო მჟავიანობა	მჭროლავი მჟავა	არა-მჭროლავი მჟავა	ღვინის მჟავა	შაქარი	გლიცერინი	ტანიინი
1940	0,9364	8,9	22,47	2,43	4,5	7,02	0,40	6,52	4,0	0,7	4,62	1,53
1929	0,9978	9,34	29,5	—	—	5,46	—	—	—	—	—	—
1930	0,9989	9,57	30,5	—	—	5,63	—	—	—	—	—	—

საფერავისებრი თავკვერის ღვინის ორგანოლექტიკური თვისებები და ქიმიური ბუნება ნათლად გვიჩვენებს, რომ ეს ღვინო არაა მაღალი ღირსების. ჩვეულებრივი თავკვერისაგან საშუალო ღირსების ორდინარული ღვინო დგება, ზოგიერთ წლებში კი მისი ღვინო კარგი ღირსებისაა, მას საშუალო სხეული და ჰარმონიული გემო აქვს. სასურველია გამოსაცდელად მისგან შეფერილი უალკოჰოლო წვეწის დამზადება. თავისი მაჩვენებლებით იგი ამ მიმართულებით უფრო შესაფერი უნდა აღმოჩნდეს.



საფერავისებრი თავკვერი—Сеправисебри Тавквери

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

საფერავისებრი თავკვერი ადგილობრივი, იშვიათი ვაზის ჯიშია. იგი იძლევა კარგი ღირსების ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე სადესერტო ყურძენს და საშუალო ღირსების ორდინარულ წითელ სუფრის ღვინოს.

ჯიში მოიპოვება ძირითადად გურჯაანის რაიონში და გვხვდება უმთავრესად ცალკეულ მუხლებად ან, უფრო იშვიათად, პატარა ვენახებად კოლმეურნეობების და კოლმეურნეთა ფართობებზე. რაიონებში ჯიში ძალიან იშვიათად გვხვდება და ისიც თითო-ორი ძირი საკარმიდამო ნაკვეთებზე. ჯიშის მცირე გაერთიანების გამო მის მოსავალს ადგილზევე ხარჯავენ ან სხვა ჯიშებთან ერთად წურავენ ჩვეულებრივი სუფრის ღვინის დასამზადებლად. სუფთა ჯიშური ღვინო მისგან მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. იგი მუქი ვარდისფერი საშუალო ღირსების ორდინარული ღვინოა. სხეული საკმაო აქვს, გემო — პარმონიული, მყავიანობა — ზომიერი. ზოგიერთ წელს მისგან უფრო მაღალი ღირსების ღვინო დგება. ჯიში ძირითადად სადესერტო ყურძნის მიმართულებითაა. აქვს გრძელი, თხელი მტევნები, საშუალოზე მსხვილი, მუქად შეფერილი, სასიამოვნო გემოს მქონე მარცვლები. გარეგნულად მისი მტევნები უდავოდ მიმზიდველია და ამასთან შინაარსითაც დამაკმაყოფილებელი. კარგად — პირვანდელი წონის 50%-ის დაკარგვამდე — ინახება 2 თვემდე.

ჯიშის დადებითი თვისებებია: სოკოვან ავადმყოფობათა და მარცვლების სიღამბლის მიმართ შედარებით კარგი გამძლეობა, მისი ეარჯისობა სადესერტო ყურძნად და სუფრის ღვინის დასაყენებლად. ჯიშის უარყოფითი თვისებებია: არამაღალი მოსავლიანობა და ღვინის არამაღალი ხარისხი.

კახეთისათვის, როგორც საწარმოო ჯიში, საფერავისებრი თავკვერი ყურადღების ღირსი არაა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ იგი შედარებით კარგი ღირსების სადესერტო ყურძენს იძლევა, შეიძლება რეკომენდებულ იქნეს ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მახლობელ სოფლებში პატარა ნაკვეთებზე გასაშენებლად. ძირითადად სადესერტო ყურძნისათვის და უაღკოპოლო ყურძნის წვენის დამზადების მიზნით.

ჯიში შეიძლება რეკომენდებულ იქნეს თბილისის გარეუბნებში გასაშენებლადც ქალაქის მოსახლეობის კიდევ ერთი ახალი ჯიშის სადესერტო ყურძნით მომარაგების მიზნით.

### САПЕРАВИСЕБРИ ТАВКВЕРИ

Лист. Вполне развитые листья (9—12) средних размеров (16,5×17,5 см). Пластинка листа округлая, с незначительным варьированием в сторону поперек-овальной формы. Листья трех и пятилопастные, реже встречаются и почти цельные листья. Вторичные лопасти отсутствуют. Угол оконечной лопасти тупой. Поверхность листа гладкая, а на листьях нижнего яруса она сетчато-морщинистая. Листовая пластинка плоская, с отогнутыми вниз краями. Главные первы листа опушены слабым щетинистым пушком и у места расхождения главных нервов окрашены в слабо розовый цвет.

Верхние вырезки мелкие, реже они достигают средних размеров. Форма вырезок незначительно варьирует. Обычно вырезки щелевидные и в виде входящего угла, реже лировидные с узким устьем и еще реже встречаются едва намеченные вырезки.

Нижние вырезки менее глубоки, слабее выражены, и нередко совершенно отсутствуют. В большинстве случаев вырезки имеют форму входящего угла, реже они щелевидные.

Черешковая выемка по своей форме варьирует от лировидных с острым дном до широких стрельчатых. Чаще всего встречаются лировидные и сводчатые вырезки с округлым дном, реже равнобедренные вырезки.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей треугольные, с выпуклыми сторонами и острой вершиной и куполообразные. Краевые зубцы треугольные и пиловидные, односторонне-выпуклые. Зазубренность не резкая, зубцы средних размеров.

Опушение нижней стороны листа очень слабо выражено, лист голый, с паутинистым пушком и примесью редкого щетинистого пушка, рассеянного по всей нижней стороне листа, включая и главные нервы. Щетинистый пушок усиливается на листьях нижнего яруса.

Черешок листа длиннее середины первого, в среднем на одну треть его длины. Окраска черешка слабо-розовая с прозеленью.

Цветок. Цветок нормального строения, обоюдолюй. Тычинки прямостоячие. Число тычинок в цветке пять. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,0—1,25. Пестик правильной округло-конической формы с хорошо развитым столбиком и крупным, часто двураздельным рыльцем.

Гроздь. Грозди выше средних размеров и длинные. Длина гроздей варьирует от 18 до 28 см, ширина от 6 до 10 см. Размер средней грозди равен  $25 \times 8$  см. Форма грозди цилиндрико-коническая и узкоконическая, реже встречаются и бесформенные. Часто грозди лопастные, реже крылатые. Лопастные висятые, нередко они достигают до одной четверти длины основной грозди. В большинстве случаев грозди рыхлые, реже очень рыхлые. Осыпание и горошение ягод в грозди незначительное. Средний вес грозди варьирует от 150 до 200 граммов. Отдельные полноценные грозди достигают веса 300—400 гр. Количество ягод в грозди варьирует в среднем от 60 до 200, составляя в среднем за ряд лет 80—100 ягод. Ножка грозди варьирует по длине от 6 до 12 см, у гроздей средних размеров ее длина составляет 6—8 см.

Ножка грозди деревянистая, зеленая и только со середины к основанию она окрашивается в цвет чубука. Ножка ягоды зеленая. Длина ножки варьирует от 10 до 15 мм, а в среднем составляет 12 мм. Подушечка бородавчатая, широко-конической формы, реже узко-коническая.

Ягода. Ягоды средних и выше средних размеров. Длина ягод варьирует от 1,6 до 1,9 см, а ширина от 1,4 до 1,6 см. Размер средней ягоды равен  $1,7 \times 1,5$  см. Форма ягод овальная, реже встречаются ягоды округлой и слабо продолговатой формы. Наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды закруглен, а у округлых ягод притуплен. Окраска ягод темно-синяя, почти черная. Кожица грубая, нелегко отделяющаяся от мякоти. Мякоть средне-плотная, расплывающаяся. Сок окрашен в слабо-розовый цвет. Восковой налет на ягодах обильный. Вкус приятный, гармоничный. Сортовой аромат слабо выражен. Прочность прикрепления ягод к ножке средняя. Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4, чаще встречаются ягоды с 2—3 семенами. Среднее количество семян в ягоде равно 1,45.

Саперависебри Тавквери—местный, малораспространенный сорт столово-винного направления. Продукция сорта используется, в основном, в качестве десертного винограда местного значения и отчасти для приготовления сухого столового красного вина.

Сорт распространен преимущественно в Гурджаанском районе Кахетии, в основном, в виде отдельно стоящих кустов, реже в виде маленьких виноградников на производственных участках колхозов и колхозников. В остальных районах Кахетии сорт встречается реже, в основном, на приусадебных участках колхозников в виде единичных кустов. Ввиду незначительного распространения сорта, его урожай используется на месте в свежем виде, реже он перерабатывается, вместе с другими сортами, на обычное столовое вино.


Чистосортное вино из Саперависебри Тавквери готовят в Институте виноградарства, оно среднечастичное, ординарное, характеризуется темно-розовой окраской, средним содержанием экстракта и довольно приятным вкусом. Как столовое вино, в условиях Кахетии не заслуживает внимания. Сорт более интересен в качестве десертного винограда, он характеризуется длинными, рыхлыми, декоративными гроздьями и довольно крупными, овальными темно-синими красивыми ягодами приятного вкуса.

К положительным свойствам сорта относятся его относительная хорошая устойчивость против грибных болезней, виноградной гнили и пригодность его в качестве десертного и винного сорта. К недостаткам сорта относятся его невысокая урожайность и посредственное качество вина.

В условиях Кахетии в качестве промышленного сорта Саперависебри Тавквери не заслуживает внимания.

Сорт может быть рекомендован в качестве дополнительного столового сорта вблизи крупных городов и промышленных центров для удовлетворения разнообразного вкуса потребителей свежим виноградом.





## დიდმარცვალა თავკვერი

დიდმარცვალა თავკვერი ადგილობრივი, მცირედ გავრცელებული ჯიშია, იგი იძლევა ორდინარულ წითელ სუფრის ღვინოს.

**სინონიმები.** მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის დიდმარცვალა თავკვერის სინონიმები ფართოდ ცნობილი არაა. ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში შედარებისა და ადგილებზე შემოწმების შედეგად დადასტურებულია დიდმარცვალა თავკვერის იგივეობა მარნეულ-ბოლნისის რაიონში ლაყის (ლაკის), სიღნაღის რაიონში (სოფ. ვაჭირში) ლექური ყურძნის და სოფ. ანაგაში ძალიარქამას სახელწოდებით გავრცელებულ ჯიშებთან.

**ჯიშის ისტორია.** დიდმარცვალა თავკვერი ადგილობრივი ვაზის ჯიშია. თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით იგი მეტად ახლო დგას ადგილობრივი ვაზის ჯიშებთან და წარმოშობის კერაც მათთან საერთო აქვს. სახელწოდება ჯიშს მიღებული უნდა ჰქონდეს ქართლის თავკვერთან ზრდის ღონის, მტევნების სიღიღისა და საერთო მსგავსების გამო. უფრო სწორი იქნებოდა, რომ მისთვის დიდმარცვალას ნაცვლად დიდმტევანა თავკვერი დაერქმიათ. ჯიშის წარმოშობის პირვანდელი ადგილისა და დროის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. საფიქრებელია, რომ დიდმარცვალა თავკვერი საკმაოდ ძველი წარმოშობისა იყოს, რადგან იგი აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში გვხვდება ერთეული ვაზების სახით და, იშვიათად, პატარა ნაკვეთებადაც.

ამჟამად ჯიში მოიპოვება აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში. იგი გვხვდება ქართლში, ბოლნის-მარნეულის რაიონში და კახეთში. მას დიდი ფართობი არსად არ უჭირავს, იგი მოიპოვება — ძირითადად მინარევის სახით თითო-ორი ძირი, ძალიან იშვიათად იგი გვხვდება პატარა ვენახებადაც უმთავრესად საკარმიდამო ნაკვეთებზე. რამდენიმე ათეული ძირი გაშენებულია მევენახეობის ინსტიტუტის საქარის მევენახეობის სადგურის და დასაყრდენი პუნქტების საკოლექციო ვენახებში ადგილზე შესწავლისა და გამოყენების მიზნით.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური თვალსაზრისით ჯიში აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე ს. ვაზისუბანში (გურჯაანის რაიონი).

**ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ).** ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი ორი-სამი ფოთოლაკითურთ შებუსუსებულია სქელი აბლაბუდისებრი ბეწვებით და შეფერილია თეთრი ფლანელის მსგავსად. ფოთოლაკების ნაპირების ირგვლივ, იშვიათად გვირგვინის ირგვლივაც, შემოვლებული აქვს მკრთალი ვარდისფერი არშია. მეორე იარუსის ფოთლებზე (4—5) ზემოთა მხრიდან შებუსუსება ქრება და ფოთლები მომწვანო-მოყვითალო ფერს იღებს, ხოლო ფოთლების ქვედა მხარე საკმაოდ სქელი შებუსუსების გამო მოვერცხლისფრო-თეთრი ფერისაა.

**ერთწლიანი რქა.** კარგად მოწიფებული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მოწითალო-რუხი ფერის ხდება და მონაცრისფრო იერი გადაჰკრავს. მუხლთაშორისების სიგრძე საშუალოა (9—13 სმ). ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ არ შეიმჩნევა. მუხლები ფერის მხრივ არ გამოირჩევა მუხლთაშორისებისაგან.

**ფოთოლი.** კარგად განვითარებული შუა იარუსის (9—12) ფოთლები დიდი ზომისაა (19,0×20,0 სმ). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, უფრო ხშირად კი განიერ-ოვალური ფორმის. ფოთლები უფრო ხშირად ხუთნაკვეთიანია, იშვიათად სამნაკვეთიანი ფოთლებიც გვხვდება. ფოთლების მეორეული დანაკვეთვა სუსტადაა გამოსახული. ფოთლის შუა ნაკვეთი მთავრდება ბლაგვი კუთხით. ფოთლის ზედაპირი გლუვია, იშვიათად ბადისებრ დანაოჭებულიცაა, ხოლო ქვედა იარუსის ფოთლები წვრილობურთულე-ბიანია. ფოთლის ფირფიტა ხშირად ძაბრისებრ მოხრილია ან, უფრო იშვიათად, გაურკვეველად მიხრილ-მოხრილი. ფოთლის მთავარი ძარღვები შებუსუსებულია თხელი აბლაბუდისებრი ბეწვებით და ფუძესთან მოწითალო-ღვინისფერია.

ზედა ამონაკვეთები უფრო ხშირად ზეზეურია ან საშუალო სიღრმისაა, ფორმის მხრივ მერყეობს ღია ლანცეტისმაგვარსა და დახურულ კვერცხისებურს შორის. უფრო ხშირად გვხვდება ოვალურთვლიანი დახურული ამონაკვეთები, იშვიათად ღია ჩანგისმაგვარი შევიწროებულყელიანი და კიდევ უფრო იშვიათად ვიწრო ლანცეტისმაგვარი ამონაკვეთებიც გვხვდება.


ქვედა ამონაკვეთები უფრო ნაკლები სიღრმისაა, ხშირად ზეზეურია, იშვიათად ოდნავ დახრილი ან სრულიად არაა განვითარებული. ამონაკვეთები პარალელურგვერდებიანი ჩანგისმაგვარი ლანცეტისმაგვარია, იშვიათად შეკრილი კუთხისმაგვარი ან ოდნავ შესამჩნევი ამონაკვეთებიც გვხვდება.

ყუნწის ამონაკვეთი ფორმის მხრივ მერყეობს დახურულ ელიფსისებრთვლიანსა და ღია მშვილდისებრ ამონაკვეთს შორის. უფრო ხშირად გვხვდება მახვილფუძიანი, ჩანგისმაგვარი და დახურული ვიწრო ელიფსისებრთვლიანი ამონაკვეთები. უფრო იშვიათად თაღისებრი და შვილდისებრი ამონაკვეთებიც გვხვდება.

ფოთლის მთავარი ძარღვები მთავრდება მახვილწვერიანი, გამოზნექილგვერდებიანი ან მახვილწვეტიანი სწორი სამკუთხედისებრი კბილებით. გვერდითი კბილები მახვილწვერიანი, სამკუთხედისებრია, ან ხერხისკბილისებრ ცალგვერდგამოზნექილი. მსხვილი და წვრილი კბილების მორიგეობა არათანაბარ-ზომიერია.

ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია თხელი აბლაბუდისებრი ბეწვებით, რასაც ქვემოდან ერთვის ჯაგრისებრი ბუსუსები. მთლიანად შებუსუსება ნაინც თხელია და ადვილად შორდება თითის გასმის შედეგად.

ფოთლის ყუნწი თხელი ჯაგრისებრი ბუსუსითაა დაფარული ფუძესთან და აბლაბუდისებრი ბეწვებითაა შებუსუსებული. ყუნწი ფოთლის შუა ძარღვის ოდენაა; მასზე ოდნავ გრძელია. ყუნწი მოწითალო ღვინისფერია.



სურ. 34. დიდმარცვალთა თაგვერის ყვავილი.

ყვავილი. ყვავილი ნორმალური აგებულებისაა, ორსქესიანი. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში ხუთი მტვრიანაა, იშვიათად ოთხმტვრიანიანი ყვავილებიც გვხვდება. ბუტკო მომრგვალოა, თითქმის ბურთისმაგვარი და ოდნავ დაღარული. სვეტი მოკლეა, ღინგი — დიდი, ხანდახან ორად გაყოფილი, მტვრიანათა ძაფების სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან 1,25—1,50-ს უდრის, იშვიათად ეს შეფარდება ორამდე აღწევს. ყვავილის კოკორი წვრილია, იშვიათად იგი ზევიდან იხსნება.

მტევანი. მტევანი საშუალო და საშუალოზე დიდია. მტევნების სიგრძე მერყეობს 16-დან 25 სანტიმეტრამდე, ხოლო სიგანე 8-დან 12 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის ზომა 19X12 სანტიმეტრს უდრის. მტევნების ფორმა საგრძნობლად სხვადასხვაგვარია, უფრო ხშირად განიერ კონუსისებრი ფორმის დატოტვილი, იშვიათად ძლიერ დატოტვილი, უფორმო მტევნებიც გვხვდება. ხანდახან ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმის მტევნებიც მოიპოვება. მტევნები მკვრივია, იშვიათად საშუალო სიმკვრივის მტევნებიც გვხვდება. მტევნის ოდნავი წვრილმარცვლიანობა დამახასიათებელია ჯიშისათვის. მტევნის საშუალო წონა უდრის 250-300 გრამს. ცალკეული, კარგად განვითარებული მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 600—800 გრამს და მეტსაც. მარცვლების რაიადენობა მტევანში მერყეობს 120-დან 180-მდე. საშუალო, კარგად განვითარებულ 430 გრამიან მტევანში 132 მსხვილი და 92 საშუალო და წვრილი მარცვალი აღმოჩნდა. მტევნის ყუნწი გაბეჭეებულია და რქის ფერისაა. საშუალო მტევნების ყუნწის სიგრძე 4—5 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე 6—9 მილიმეტრს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში ვიწრო კონუსისებრი ფორმისაა, იგი უხვადაა დაფარული ხორკლებით.

მარცვალი. მარცვალი საშუალო და საშუალოზე დიდი ზომისაა. მარცვლების სიგრძე მერყეობს 1,65-დან 1,85 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 1,5-დან 1,7 სანტიმეტრამდე.

საშუალო მარცვლის ზომა უდრის 1,76X1,70 სანტიმეტრს. მარცვლები მომრგვალოა, იშვიათად მოოვალურიც. მარცვალი შუაში განიერია, ბოლო მომრგვალებული აქვს, იშვიათად ოდნავ შეზნექილიცაა. მარცვალი მუქი ლურჯი, თითქმის შავია. მარცვლები არათანაბრად მწიფდება. ერთსა და იმავე მტევანში სრულიად მოწეული მუქი ლურჯი ფერის მარცვლებთან ერთად მოვარდისფრო და სრულიად მწვანე დაუსრულებელი მარცვლებიც გვხვდება, მარცვლის კანი უხეში, მკვრივია. რბილობი

საშუალო სიმკვრივისაა და მდნარი. მარცვალს გემო უბრალო აქვს. სპეციფიკური ჯიშური არომატი სუსტადაა გამოხატული. მარცვალი უხვადაა დაფარული ცვილისებრი ფიფქით. მარცვლები საკმაოდ მკვიდრადაა მიმაგრებული ყუნწზე.

წიპწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 4-მდე. ხშირად მარცვალში 2—3 წიპწაა. საშუალოდ მარცვალზე 2,18 წიპწა მოდის.



**ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება**

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებდა შევნიშვნების ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, სოფ. კურდღელაურში, 4 კილომეტრის დაშორებით ქ. თელავიდან.

კურდღელაურში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 143 დღიდან 172 დღემდე, ხოლო საშუალოდ 154 დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობასთან ერთად იცვლება აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,887 გრადუსიდან 3,500 გრადუსამდე და საშუალოდ 3,124 გრადუსს შეადგენს. არანაკლებ ცვალებადობს სავეგეტაციო პერიოდის დანარჩენი ფაზებიც. მათი ცვალებადობა განსაკუთრებით შესამჩნევია ცალკეული წლების მეტეოროლოგიურ პირობებთან დაკავშირებით. ამ ცვალებადობის დახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია დიდმარცვალს თავკვერის ფაზების მსვლელობაზე დაკვირვების შედეგები ქ. თელავში.

**დიდმარცვალი თავკვერის სავეგეტაციო პერიოდის მსვლელობა ქ. თელავში**

შევნიშვნების რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წლები	ფაზების დადგომის თარიღები				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა	აქტიური ტემპერატურების ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნალექები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარეპროდუქციო პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში
კახეთი, თელავის რაიონი, შევნიშვნების ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, ქ. თელავში	1938	23/IV	7/VI	13/VIII	16/IX	145	3,051,1	—	—
	1939	22/IV	29/IV	19/VIII	20/IX	151	3,065,5	—	—
	1940	15/IV	9/VI	19/VIII	10/IX	158	3,217,8	—	—
	1941	7/IV	30/V	10/VIII	25/IX	171	3,500	—	—
	1942	24/IV	9/VI	28/VIII	25/IX	154	3,263,9	—	—
საშუალო . . . . .	—	18/IV	5/VI	18/VIII	21/IX	156	3,217,7	—	—
იგრი	1943	26/IV	9/VI	23/VIII	25/IX	153	3,024,2	85,4	479,1
	1944	27/IV	7/VI	24/VIII	25/IX	152	2,995,8	71,4	394,1
	1945	1/V	12/VI	25/VIII	20/IX	143	2,887,8	47,3	347,1
	1946	21/IV	7/VI	28/VIII	20/IX	153	3,032,7	0,7	554,0
	1947	2/IV	6/VI	19/VIII	20/IX	172	3,199,0	74,5	540,1
	1948	26/IV	6/VI	16/VIII	18/IX	146	3,044,2	134,2	525,4
საშუალო . . . . .	—	22/IV	7/VI	22/VIII	21/IX	153	3,030,6	68,9	473,3

მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ცალკეული ფაზების საგრძნობ ცვალებადობას მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად. ყველაზე ფართო მასშტაბით იცვლება პირველი, ანუ საწყისი ფაზა. მისი ცვალებადობის ფარგალი თითქმის ერთ თვეს აღწევს. ყველაზე ნაკლებ მეორე—ყვავილობის—ფაზა მერყეობს, ხოლო სიმწიფისა და სრული სიმწიფის ფაზებს საშუალო ადგილი უჭირავს. სრული სიმწიფის ფაზის დადგომის თარიღზე დიდი გავლენა აქვს ვეგეტაციის დაწყების ვადას და სავეგეტაციო და სარეპროდუქციო პერიოდის განმავლობაში მოხუდი ნალექების რაოდენობას. შემჩნეულია, რომ რაც უფრო ადრე იწყება ვეგეტაცია, მით უფრო განგრძლივებულია სავეგეტაციო პერიოდი და რაც უფრო მეტი მოდის ნალექები სიმწიფისა და ვეგეტაციის პერიოდში, მით უფრო გვიან მწიფდება ყურძენი. სრული სიმწიფის დადგომის ვადების მიხედვით დიდმარცვალი თავკვერის სიმწიფის III პერიოდის ვაზის ჯიშებს მიეკუთვნება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა ცალკეული წლების მანძილზე ერთი თვის ფარგლებში მერყეობდა, მაშინ როდესაც სრული სიმწიფის დადგომის ვადები დაკვირვების იმავე პერიოდში 15 დღეს არ გადასცილებია.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. დიდმარცვალა თავკვერის გამძლეობა სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ საშუალოა. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე ჩატარებული დაკვირვების მიხედვით მილდიუმის მიმართ გამძლეობა შეფასებულია საშუალოდ, ხოლო წაცრის მიმართ გამძლეობა—საშუალოზე სუსტად. სხვა ავადმყოფობათაგან ან მავნებლებისაგან სამეურნეო მნიშვნელობის დაზიანება დაკვირვების წარმოების პერიოდში შემჩნეული არ ყოფილა.

ერეკენული

**მოსავლიანობა.** დიდმარცვალა თავკვერი პირველსა და სრულ მოსავალს შედარებით ნაკლებად ჩვეულებრივ, მისი ნამყენები დარგვის მესამე წელს უკვე იხამს, ხოლო მეოთხე-მეხუთე წლიდან სრულ მოსავალს გვაძლევს. თავკვერის მოსავლიანობა მაღალია. მას მსხმოიარობის მაჩვენებლებიც საკმაოდ მაღალი აქვს. საკოლექციო ნაკვეთებზე ჩატარებული აღრიცხვის მიხედვით დიდმარცვალა თავკვერის მოსავლიანობის კოეფიციენტი ცვალებადობს 0,65-დან 1,2-მდე და წლების განმავლობაში საშუალოდ 0,82-ს უდრის. მტევნის საშუალო წონა 250-დან 300 გრამამდე მერყეობს, ხოლო მსხვილი, კარგად განვითარებული მტევნების წონა 600—800 გრამს აღწევს. ამ მონაცემების საფუძველზე ერთი რქის მოსავალი 205—246 გრამს შეადგენს, ხოლო, თუ საშუალოდ ვაზზე 10 რქა დატოვებული, ე. ი. ჰექტარზე 32.000 რქა, მისი მოსავალი ჰექტარზე 66,0—79 ცენტნერს მიაღწევს. ძირების მიხედვით აღრიცხვით მიღებული მონაცემების შედეგად მისი მოსავლიანობა მეტი გამოდის გამოანგარიშებულზე. ასე, მაგალითად, ვაზის უბანში 30 ძირ ვაზზე მოკრიფეს 230 მტევანი, რომელთა საერთო წონა 58,600 გრამს უდრიდა, ანუ 1,954 გრამს ერთ ძირზე, რაც, თუ ჰექტარზე საშუალოდ 5,000 ძირი ვაზია, 98,0 ცენტნერს შეადგენს. თელავში ათ ძირ ვაზზე მოკრიფილ იქნა 84 მტევანი, რომელთა საერთო წონა 19,670 გრამს უდრიდა, ანუ 1,967 გრამს ძირზე, რაც, თუ ჰექტარზე საშუალოდ 3,300 ძირი ვაზია, 65 ცენტნერს შეადგენს. თელავში მისი შედარებით ნაკლები მოსავლიანობა იმის შედეგია, რომ კვების არე დიდია და, ვაზი შესაბამისად ვერ იტვირთება ნიადაგის სიმწირის გამო. ჯიში გაცილებით მეტ მოსავალს იძლევა მარნეულ-ბოლნისის რაიონის სოფელ შაუმიანში და სიღნაღის რაიონში, ხირსის საბჭოთა მეურნეობაში. აქ რაკი შედარებით ღონიერი ნიადაგია და ამასთან შედარებით ირწყვება, მისი მოსავალი გადაანგარიშებით თავისუფლად შეადგენს 100—150 ცენტნერს და მეტსაც ჰექტარზე. დიდმარცვალა თავკვერის ვაზები თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე, ვაზის ზრდა-განვითარების შედარებით თანაბარ პირობებში, მძლავრად იზრდება. სხვა ჯიშებთან შედარებით თავკვერის ვაზები საშუალოზე მძლავრად იზრდებიან საერთოდ. კიდევ უფრო მძლავრად იზრდება ჯიში შაუმიანში და ხირსის საბჭოთა მეურნეობაში. საერთოდ ყოველგვარ პირობებში დიდმარცვალა თავკვერის ვაზები სხვა კახური ვაზის ჯიშებთან შედარებით უფრო მძლავრად იზრდება.

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

მტევნისა და მარცვლების გარეგნობის მიხედვით დიდმარცვალა თავკვერი სადესერტო ვაზის ჯიშია თითქმის, მაგრამ მისი საგემოვნო თვისებებით და ყურძნის მექანიკური და მისი წვენი ქიმიური შედგენილობის მიხედვით იგი საღვინე ვაზის ჯიშს წარმოადგენს.

ნათქვამის დასადასტურებლად ქვემოთ მოყვანილია ცნობები დიდმარცვალა თავკვერის ყურძნის მექანიკური და მისი წვენი ქიმიური შედგენილობის შესახებ.

**დიდმარცვალა თავკვერის მექანიკური შედგენილობა**

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	წელი	მტევნის საშუალო წონა	მარცვლების რაოდენობა მტევანში	მტევნის შემადგენელი ნაწილები პროცენტულად				100 მარცვლის წონა	100 წიბის წონა
				წყვი და რბილობი	კლერტი	კანი	წიფა		
კახეთი, გურჯაანის რაიონი, ს. ვაზისუბანი	3 წლის საშ.	350,76	165,0	82,5	4,41	8,82	4,7	203,6	5,25
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტი, ქ. თელავი	1940	342,0	133,0	81,09	4,93	9,36	4,62	134,0	5,32



ყურძნის ლაბორატორიულ პირობებში გადამუშავებისას წვეწვანის გამოსავალი 81—82 % -ს აღწევს, ხოლო მაგარი ნაშთი (კანი, კლერტი, წიპწა) 19—18-% -ს. ნახევრად საწარმოო პირობებში გადამუშავებისას წვეწვანის გამოსავალი ამაზე ცოტა ნაკლებია და 80 % -ს უდრის, ხოლო ჭაჭა 20 % -ია.

წვეწვანის ქიმიური შედგენილობა. დიდმარცვალა თავკვერი ვერ აგროვებს წვეწვანში შაქარს დიდ რაოდენობით. მისი შაქრიანობა საშუალო ან საშუალოზე დაბალია, ხოლო მჟავიანობა ზოგიერთ შემთხვევაში ლავსა და ვახისუბანში ჩატარებული ანალიზის მიხედვით მისი შაქრიანობა საშუალოდ 6,5—7,5 % -ს უდრის.

დიდმარცვალა თავკვერის შაქრიანობა-მჟავიანობა რთვლის პერიოდში

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	წელი	რთვლის თარიღი	შაქარი პროცენტულად	მჟავიანობა % -ით	შენიშვნა	
კახეთი, გურჯაანის რაიონი, ს. ვახისუბანი თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1929	—	21,6	8,42		
	1930	—	20,7	7,4		
	1942	20/IX	18,4	6,5		
	1943	5/X	17,2	5,9		
	1944	2/X	19,0	10,6		
	1945	25/IX	15,2	9,5		
	იგივე	1946	23/IX	20,4	8,47	
		1947	30/IX	14,0	7,38	
		1948	21/IX	15,0	5,88	
		საშუალო . . . . .	—	—	17,9	7,7

როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, წლების განმავლობაში შაქრიანობა-მჟავიანობა საკმაოდ ფართოდ მერყეობს. დასახელებული წლების განმავლობაში თავკვერის შაქრიანობა საშუალოდ 18 % -ს უდრის, ხოლო მჟავიანობა 7,7 % -ს. მიუხედავად იმისა, რომ შაქრიანობა-მჟავიანობა ზოგიერთ წლებში საკმაოდ მაღალია, დიდმარცვალა თავკვერისაგან ხარისხოვანი ღვინო მაინც არ დგება. ამის მიზეზი შაქრიანობა-მჟავიანობას შორის არასასურველ შეფარდებასა და თვით ყურძნის წვეწვანის ქიმიური ბუნების თავისებურებაში მდგომარეობს.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. დიდმარცვალა თავკვერის ყურძნისგან ძირითადად წითელ სუფრის ღვინოს აყენებენ. ჯიშის მცირედ გავრცელების გამო, მას სხვა წითელ ჯიშებთან, კერძოდ საფერავთან ერთად წურავენ წითელი სუფრის ღვინის დასამზადებლად. წმინდა ჯიშური ღვინო თავკვერისაგან მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. ღვინის საცდელი ნიმუშები მაღალი ღირსებისა არ არის. ჩვეულებრივ, თავკვერის ღვინო ორდინარულია. იგი ვარდისფერია, თხელი, მცირესხეულიანი, მსუბუქი, ნაკლებ საინტერესო. მევენახეობის ინსტიტუტის ჯიშური ღვინოების ხარისხის შემფასებელი სადგეუსტაციო კომისიის სხდომებზე თავკვერის ღვინო მუდამ დაბალ შეფასებას და ბალს იღებდა, როგორც უბრალო ორდინარული ღვინო. ღვინის ორგანოლექტიკური თვისებების დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები სადგეუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან (იხ. გვ. 376).

როგორც მოყვანილი დახასიათებიდან ჩანს, დიდმარცვალა თავკვერი დაბალი ღირსების ღვინოს იძლევა. მისი უფრო სრულად დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია ღვინის ქიმიური ანალიზის შედეგები (იხ. გვ. 376).

ღვინის ორგანოლექტიკური და ქიმიური დახასიათების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ დიდმარცვალა თავკვერი დაბალი ღირსების ღვინის მომცემ ვახის ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება.

ღვინის გარდა დიდმარცვალა თავკვერს იყენებენ ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძნადაც, მაგრამ მტვერისა და მარცვლების გარეგნობის გარდა სხვა მიმზიდველობა დიდმარცვალა თავკვერის ყურძენს არა აქვს. ამ მხრივ იგი კახეთის თითქმის ყველა ვახის ჯიშზე დაბლა დგას.

ამონაწერი სადგურსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	წელი	სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიური შეფასება
კახეთი გურჯაანის რაიონი, ს. ვახისუბანი	1936	20/I 1937	5,5	კარგად დაწმენდილი, შეფერვა არასაკმარისი, ვარდისფერი, მცირე შინაარსიანი, უბრალო, ორდინარული ღვინო.
გურჯაანის რაიონი, ს. ვახისუბანი	1939	19/I 1940	5,6	ვარდისფერი, კარგად დაწმენდილი, მცირესხეულიანი, ხალისიანი, პატარა ღვინო.
" " "	1940	20/XII 1940	6,5	ვარდისფერი, მცირესხეულიანი, მსუბუქი ღვინო, სასიამოვნო სიტკბო აქვს.
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტი, ქ. თელავი	1947	8/VI 1948	6,1	ვარდისფერი, ლეკის სუნისანი, თხელი, უშინაარსო ღვინო, ხედმეტი სიხალისე აქვს.



დიდმარცვალა თავკვერის ღვინის ქიმიური შედგენილობა

წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მოცულ. %-ით	გრამები ლიტრში									
			მსტრაქტი	ნაცარი	ნაცრის ტუტანობა	საერთო მუყაისობა	ღვინის მუყა	შაქარი	გლიცერინი	ტანი	არამქოლ-ლაგი მუყა	მქოლავი
1939	0,9959	8,9	23,77	2,69	4,0	5,58	1,54	0,97	7,19	1,35	3,98	1,29
1940	0,9949	9,5	21,86	2,58	4,57	5,38	2,68	0,7	7,15	1,41	3,76	1,30
1930	0,9971	9,09	24,3	—	—	6,71	—	—	—	—	—	—

ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

დიდმარცვალა თავკვერი ადგილობრივი, მცირედ გავრცელებული ვახის ჯიშია. იგი იძლევა ორდინარულ სუფრის ღვინოს და მხოლოდ ნაწილობრივ იყენებენ მას საკმელ ყურძნად. ჯიშის მცირედი გავრცელების გამო, მას სხვა ჯიშებთან, ძირითადად საფერავთან, ერთად წურავენ ადგილობრივი წითელი ღვინის დამზადების მიზნით. დიდმარცვალა თავკვერისაგან მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში ამზადებენ საცდელ ღვინოებს. თავკვერის ღვინო თავისი ბუნებით უაღრესად ორდინარულია. იგი ვარდისფერი, მსუბუქი, მცირესხეულიანი, ნაკლებ შარმონიული ღვინოა. წლების განმავლობაში მისგან არც ერთ წელს არ დამდგარა საინტერესო ღვინო. ნაკლებ საინტერესოა იგი აგრეთვე, როგორც ადგილობრივ მოსახმარებელი სადესერტო ყურძენი. ჯიშისაგან უაღკოპოლო ყურძნის წვენისა და საკონიაკე მასალის დამზადება არ უცდიათ. შესაძლებელია მისგან მისაღები საკონიაკე ღვინის მასალა დამზადდეს.

ჯიშის დადებითი თვისებებია: უხვი მოსავალი, მძლავრი ზრდა და გარემო პირობებთან ადვილად შეგუების უნარი.

ჯიშის უარყოფითი თვისებებია: ღვინის დაბალი ხარისხი, არასაკმარისი შედარებითი გამძლეობა ნაცრისა და ისიც, რომ სუფრის ყურძნადაც არ არის ვარგისი.

კახეთის ხარისხოვანი მეღვინეობის რაიონებისათვის, სადაც მრავალფეროვანი ჯიშებია გავრცელებული, დიდმარცვალა თავკვერი ყურადღების ღირსი არაა.

რადგან ჯიში უხვ მოსავალს იძლევა, სასურველია გამოიყენოს იგი მეღვინეობის მეორეხარისხოვან რაიონებში (მარნეულ-ბოლნისის რაიონებში და კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში) ძირითადად საკონიაკე ღვინო-მასალის დასამზადებლად. მიღებული შედეგების შესაბამისად უნდა გადაწყდეს მისი შემდგომი გავრცელების საკითხიც.



დიდმარცვალა თავკვერი—Дидмарцвала Тавკвери



## ДИДМАРЦВАЛА ТАВКВЕРИ

**Лист.** Вполне развитые листья крупных размеров (19,0×20,0 см). Форма листовой пластинки округлая, с незначительными колебаниями чаще в сторону поперек-овальной, нежели овальной формы. В большинстве случаев листья пятилопастные, реже встречаются и трехлопастные листья. Вторичные лопасти едва намечены. Угол средней, оконечной лопасти тупой. Поверхность листа гладкая, реже она сетчато-морщинистая, а на листьях нижнего яруса она мелкопузырчатая. Листовая пластинка чаще воронковидная, реже она имеет неопределенно-изогнутую форму. Главные нервы опушены слабой паутиной и окрашены у основания в винно-красный цвет.

Верхние вырезки мелки либо средней глубины. Форма вырезок варьирует от открытых, ланцетовидных, до закрытых, с яйцевидным просветом. Чаще всего встречаются закрытые вырезки с остроовальным просветом, реже открытые, лировидные, с суженным устьем, а еще реже узкие ланцетовидные вырезки.

Нижние вырезки менее глубокие, часто они мелкие, реже едва намечены или вовсе отсутствуют. Форма вырезок открытая, лировидная с параллельными сторонами либо ланцетовидная, реже встречаются вырезки в виде входящего угла и едва намеченные.

Черешковая выемка по своей форме варьирует от закрытой с эллиптическим просветом до открытой стрельчатой. Чаще всего встречаются лировидные выемки с острым дном и закрытие с узкоэллиптическим просветом, сравнительно реже встречаются также выемки сводчатой и стрельчатой формы.

**Зубцы.** Оконечные зубцы лопастей треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже они треугольные, прямые, с острой вершиной. Краевые зубцы треугольные, с острой вершиной, и пиловидные односторонне-выпуклые. Крупные и мелкие зубцы неравномерно чередуются меж собой.

Опушение нижней стороны листа слабое, паутиностое, с примесью щетинистого пушка средней густоты. В целом опушение слабое, легко стирающееся пальцем.

Черешок листа опушен редким щетинистым пушком и паутиной у основания. Черешок равен или несколько длиннее срединного нерва листа. Окраска черешка винно-красная.

**Цветок.** Цветок нормального строения, обоеполый. Тычинки прямостоящие. Число тычинок цветка пять, нередко 4. Пестик округлой, почти шаровидной формы, бугристый. Столбик короткий, рыльце крупное, иногда явно двураздельное. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,45—1,50, изредка оно достигает 2,0. Завязь мелкая, цветочные колпачки иногда открываются сверху.

**Гроздь.** Грозди средних и выше средних размеров. Длина гроздей варьирует от 16 до 25 см, при ширине 8—12 см. Размер средней грозди равен 19×12 см. Форма гроздей значительно варьирует. Чаще всего встречаются широко-конические лопастные, реже бесформенные, с сильно развитыми лопастями. Изредка встречаются также грозди-цилиндро-конической и конической формы. В большинстве случаев грозди плотные, реже средне-плотные. Незначительное горошение ягод в грозди характерно для сорта. Средний вес грозди равен 250—300 гр. Отдельные крупные грозди достигают веса 600—800 и более гр. Количество ягод варьирует от 120 до 180 на гроздь. В средней полноценной грозди весом 430 гр. было сосчитано 132 крупных и 92 средних и мелких, всего 224 ягод. Пожка грозди деревянистая, по окраске краснобурая. Средняя длина пожки равна 4,5 см. Пожка ягоды зеленая, 6—9 мм длиной. Подушечка бокодавчатая, узко-конической формы.

**Ягоды.** Ягоды средних и выше средних размеров. Длина ягод варьирует от 1,65 до 1,85 см, ширина—от 1,3 до 1,7 см. Размер средней ягоды равен 1,76×1,70 см. Форма ягод округлая, реже слабо-овальная. Наибольшая ширина ягод лежит посередине, концы ягоды закруглен, реже он притуплен. Окраска ягод черная. Ягоды в грозди созревают неравномерно, наряду с совершенно спелыми темно-синими ягодами в одной и той же грозди можно встретить розовые и совершенно зеленые недоразвитые ягоды. Кожица ягоды грубая, прочная. Мякоть средне-плотная, расплывающаяся. Вкус ягод простой, без специфического сортового аромата. Восковой налет на ягодах обильный. Прочность прикрепления ягод к пожке достаточная.

Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4, чаще встречаются 2—3 семени в ягоде. Среднее количество семян в ягоде равно 2,18.

Дидмарцвала Тавквери (крупноягодный Тавквери)—местный, малораспространенный сорт красных вин Казети. Дает ординарное красное столовое вино посредственного качества и столовый виноград местного значения. Свое название получил по общему сходству с сортом карталинским Тавквери.

Распространен почти во всех районах Восточной Грузии, в основном, в виде небольшой примеси единичных кустов, реже в виде маленьких участков на старых производственных виноградниках колхозов и колхозников. Ввиду незначительного распространения сорта, его урожай перерабатывается вместе с промышленным сортом Сацерави. Чистосортное вино из Дидмарцвала Тавквери готовится в Институте виноградарства.

Вино из Дидмарцвала Тавквери розовое, легкое, малоактивное, ординарное, негармоничного вкуса. На другие виды переработки—безалкогольные соки—копьячный материал сорт не испытан. Необходи-


димо его испытать в указанных направлениях для выявления его возможных преимуществ перед столовым вином.

К положительным свойствам сорта относятся его сравнительно высокая урожайность, сильный рост и хорошая приспособляемость к экологическим условиям среды, к недостаткам же — низкое качество вина, сравнительно слабая устойчивость против оидиума и малая его пригодность в качестве десертного винограда местного значения.

В качественных винодельческих районах Кахети, при её разнообразном сортовом составе, Дидмаривала Таввери не заслуживает внимания. Его, как урожайный сорт, желательно испытать во второстепенных винодельческих районах (Болнискском, Марнеульском, Лагодехском и др.), в основном, для производства материала качественных коньяков.

В зависимости от значимости полученных результатов, сорт может быть рекомендован для промышленного распространения в указанных районах, в основном, для получения качественных коньяков.





## შავი ყურძენი

შავი ყურძენი ადგილობრივი, მცირედ გავრცელებული ვაზის ჯიშია. იძლევა ორდინარულ წითელ სუფრის ღვინოს.

**სინონიმები.** მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში შავი ყურძენის სინონიმები ცნობილი არაა, ხოლო ბოლნის-მარნეულის რაიონის მევენახეთა შორის შავი ყურძენი ცნობილია ბორჩალოს სახელწოდებით.

**ჯიშის ისტორია.** შავი ყურძენი ადგილობრივი წარმოშობის ვაზის ჯიშია. იგი თავისი მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით (ფოთლის სქელი შებუსუსება, მრგვალი მარცვალი და სხვ.) უფრო დასავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშებთან დგას ახლოს. ჯიშის წარმოშობის დროისა და ადგილის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. მორფოლოგიური ნიშან-თვისებების მიხედვით იგი საკმაო ხნოვანების ვაზის ჯიშთა ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს.

ამჟამად ჯიში მოიპოვება კახეთში, ძირითადად გურჯაანისა და თელავის რაიონებში, და ქვემო ქართლში, ბოლნის-მარნეულის რაიონში. ჯიში ძირითადად გამოჩენილია ძველ საწარმოო ვენახებში, მაგრამ იშვიათად იგი პატარა ვენახებადაც გვხვდება საკარმიდამო ნაკვეთებზე. შავი ყურძენი უფრო ბოლნის-მარნეულის რაიონშია გავრცელებული, ვინემ კახეთში. რამდენიმე ათეული ძირი შავი ყურძენი მოიპოვება აგრეთვე მევენახეობის ინსტიტუტის, მისი ფილიალისა და დასაყრდენი პუნქტების საკოლექციო ნაკვეთებზე ჯიშის შესწავლისა და გამოცდის მიზნით.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური თვალსაზრისით ჯიში აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე სოფ. ვაზისუბანში.

**ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ).** ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინიდან დაწყებული პირველი ორი-სამი ფოთოლაკის ჩათვლით ყოველი მხრიდან სქელი აბლაბუდისებრი ბეწვებითაა შებუსუსებული და შეფერილია თეთრი ფლანელის მსგავსად და ღია ვარდისფერი არშია აქვს შემოვლებული ფოთოლაკების ნაპირების ირგვლივ და ყუნწის გასწვრივ. მეორე იარუსის ფოთლებზე ზემოთა მხრიდან შებუსუსება ქრება და ფოთლები მოღვინისფრო იერის მქონე მომწვანო-ყვითელ ფერს იღებს, ხოლო ქვემოთა მხრიდან მოვერცხლისფრო-მოთეთრო ფერს ინარჩუნებს.

**ერთწლიანი რქა.** კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მონაცრისფრო იერის მქონე მოყვითალო-მოწითალო ფერს იღებს. მუხლები ფერით არ განსხვავდება მუხლთაშორისებისაგან. მუხლთაშორისები საშუალო სიგრძისაა (10—12 სმ), ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ არაა მკვეთრად გამოსახული.

**ფოთლი.** კარგად განვითარებული შუა იარუსის (9—12) ფოთლები საშუალო ზომისაა (18,5 X 17,5 სმ.). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, უფრო ხშირად ოვალური ფორმის. ფოთალი ხუთნაკვეთიანია. მეორეული დანაკვეთვა კარგადაა გამოსახული. იგი გვხვდება როგორც ზედა, ისე ქვედა ნაკვეთებზე, რის გამოც ფოთალი 7—9 ნაკვეთიანი ხდება. ფოთლის შუა ნაკვეთი უფრო ხშირად მახვილია, იშვიათად სწორკუთხოვანიც. ფოთლის ზედაპირი ბადისებრ დანაოქებულია, იშვიათად იგი წვრილბურთულეობიანია. ფოთლის მთავარი ძარღვები ჯაგრისმაგვარადაა შებუსუსებული. ფოთლის ზედაპირის გაურკვეველი მიმართულებით მოხრილობა და ფოთლის ძლიერი დანაკვეთვა დამახასიათებელია ჯიშისათვის.

ფოთლის ზედა ამონაკვეთების სიღრმე საგრძნობლად მერყეობს. გვხვდება როგორც ზეზეური, ისე

ძლიერ ღრმა ამონაკვეთები. უფრო ხშირად ამონაკვეთები ღრმა ან საშუალო სიღრმისაა. ამონაკვეთების ფორმა ც საგრძობლად მერყეობს. უფრო ხშირად ღია ჩანგისმაგვარი ვიწროყელიანი და ცალ ან წყვილკბილიანი ფუძის მქონე ამონაკვეთები გვხვდება. იშვიათად ოვალური ან კვერცხისმაგვარ თელიანი დახურული ამონაკვეთებიც გვხვდება.


ფოთლის ქვედა ამონაკვეთები ნაკლებ ღრმაა, ფორმით ჩანგისმაგვარია, ვიწროყელიანი და მომრგვალო ან მახვილი ფუძის მქონე. იშვიათად დახურული კვერცხისმაგვარ თელიანი ამონაკვეთებიც გვხვდება.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა საგრძობლად ცვალებადობს. უფრო ხშირად მახვილფუძიანი ჩანგისმაგვარი ამონაკვეთები გვხვდება. იშვიათად მახვილფუძიანი თლისმაგვარი და დახურული კვერცხისმაგვარ თელიანი ამონაკვეთებიც მოიპოვება. ქვედა იარუსის ფოთლები ნაკლებ დანაკეთულია და მათი ყუნწის ამონაკვეთიც მთლიანად დახურული, უთვალთა, ფოთლის მთავარი ნაკვეთები მახვილწვერიანი გამოხეტილგვერდებიანი სამკუთხედისებრი ან წინ წამოწეული ნემსისებრ მახვილწვერიანი ვიწრო სამკუთხედისებრი ფორმის კბილებით ბოლოვდება. გვერდითი კბილები მახვილწვერიანი, გამოხეტილგვერდებიანი ვიწრო სამკუთხედისებრია, იშვიათად ხერხის კბილისებრ ცალგვერდგამოხეტილიცაა. მსხვილი და წვრილი კბილების მონაცვლეობა კარგად ჩანს

ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია სქელი აბლაბუდისებრი ბეწვებით, რომლებშიც ბლომადაა შერეული მოკლე ჯაგრისებრი ბუსუსები, რის გამო შებუსუსება სქელი ქეჩისმაგვარი ხდება.

ყუნწი ფოთლის შუა ძარღვზე უფრო მოკლეა ან, იშვიათად, მისი სიგრძისაა. ყუნწი ფუძესთან დაფარულია მოკლე ჯაგრისებრი ბუსუსით, მწვანე ფერისაა და მუქი წინწკლები აყრია.

ყვავილი. ყვავილი ნორმალური აგებულებისა, ორსქესიანია. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში ხუთი მტვრიანაა. მტვრიანათა ძაფების შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან 1,25-ს უდრის. ბუტკო მომრგვალო კონუსისებრი ფორმისაა, აქვს კარგად გამოსახული სვეტი და ხშირად ორად გაყოფილი ღინგი.



სურ. 35. შავი ყურძენის ყვავილი.

მტევანი. მტევნები საშუალო ზომისაა, მათი სიგრძე მერყეობს 14-დან 18 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 10-დან 13 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის ზომა 15×10 სანტიმეტრს უდრის. მტევანი განიერ კონუსისებრი, მხრიანია, იშვიათად, ძლიერ დატოტვილი და ხანდახან უფორმოც. ხშირად მხარის სიგრძე ძირითადი მტევნის სიგრძის ნახევარია და მეტიც. უფრო ხშირად მტევნები საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად საშუალოზე უფრო მკვრივი ან უფრო თხელი მტევნებიც გვხვდება. მტევნის საშუალო წონა მერყეობს 120-დან 240 გრამამდე, ცალკეული კარგად განვითარებული მტევნების წონა 300—500 გრამამდე აღწევს.

მარცვლების რაოდენობა მტევანში 70-დან 260 ცალამდე მერყეობს, ხოლო საშუალოდ 100—160-ს უდრის. მტევნის ყუნწი გახვეებულია და მოწითალო-მოყვითალო ფერისაა. ყუნწის სიგრძე საშუალოდ 2,5—3,5 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე 0,5—0,6 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში ოდნავ დახორკლილია, ფორმით ვიწრო კონუსისებრი, იშვიათად, განიერ კონუსისებრიც.

მარცვალი. მარცვლები საშუალო და საშუალოზე მსხვილია. მათი სიგრძე მერყეობს 1,6-დან 1,9 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 1,5-დან 1,7 სანტიმეტრამდე. საშუალო მარცვლის ზომა 1,8×1,70 სანტიმეტრს უდრის. მარცვლები მომრგვალოა, იშვიათად მოოვალური. მარცვალი შუაში განიერია, ბოლო მომრგვალო აქვს. მარცვალი მუქი ლურჯი, თითქმის შავია, კანი თხელი აქვს და ადვილად შორდება რბილობს. რბილობი ოდნავ მკვრივი, მდნარია. მარცვალი თხელი ცვილისებრი ფიფქითაა დაფარული.

მარცვლები ყუნწზე არაა მჭიდროდ მიმაგრებული. წიბების რაოდენობა მარცვალში ერთიდან ოთხამდე მერყეობს, საშუალოდ კი მარცვალზე 1,67 წიბა მოდის.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებდა მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში სოფ. კურდღელაურში, 4 კილომეტრის დაშორებით ქ. თელავიდან.

კურდღელაურში შავი ყურძნის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 141 დღიდან 175 დღემდე, ხოლო საშუალოდ 152 დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად მერყეობს სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,775 გრადუსიდან 3,251 გრადუსამდე და საშუალოდ 2,927,6 გრადუსს შეადგენს. ასევე მერყეობს სავეგეტაციო პერიოდის სხვა ფაზებიც. მათი ცვალებადობის ჩვენების მიზნით ქვემოთ მოყვანილია შავ ყურძენზე ქ. თელავში წარმოებული დაკვირვების შედეგები.

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების

**შავი ყურძნის სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა ქ. თელავში**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დღეებში	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი	ნალექები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარეპროდუქციო პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ს. კურდღელაურში, ქ. თელავის მახლობლად	1943	28/IV	8/VI	10/VIII	20/IX	146	2,918,1	129,9	479,6
	1944	24/IV	4/VI	7/VIII	15/IX	145	2,823,2	49,6	389,5
	1945	2/V	11/VI	13/VIII	20/IX	141	2,802,0	46,2	347,9
	1946	22/IV	5/VI	11/VIII	10/IX	142	2,775,3	10,1	553,3
	1947	4/V	4/VI	16/VIII	25/IX	175	3,251,1	94,2	540,1
	1948	27/IV	3/VI	13/VIII	20/IX	166	2,995,9	133,7	515,4
საშუალო	—	22/IV	5/VI	11/VIII	18/IX	152	2,927,6	77,3	470,9

როგორც ცხრილიდან ჩანს, თითქმის ყველა ფაზა საგრძნობლად მერყეობს ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად. განსაკუთრებით მკვეთრად წლის მეტეოროლოგიური პირობები პირველი ფაზის დადგომაზე ახდენს გავლენას, შედარებით ნაკლებ ცვალებადობს ყვავილობის ფაზა. სრული სიმწიფის დადგომის მიხედვით შავი ყურძენი მიეკუთვნება ყურძნის სიმწიფის მესამე პერიოდის ვაზის ჯიშებს.

თელავში შავი ყურძნის ერთწლიანი რქები თავისუფლად ასწრებს მომწიფებას ყურძნის სრული სიმწიფის დროისათვის.

შავი ყურძნის ვაზები თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ვენახებში წარმოებული დაკვირვებების მიხედვით საშუალო სიძლიერით იზრდება.

მოსავლიანობა. შავი ყურძენი მოსავლიანი ვაზის ჯიშია. თელავის საკოლექციო ნაკვეთზე წარმოებული დაკვირვებით მისი მოსავლიანობა საშუალოზე მაღალია, ხოლო ს. ვაზისუბანსა და ს. შაუმიანში იგი მაღალ მოსავალს იძლევა. საერთოდ, ჯიშს მსხმოიარობის მაღალი მაჩვენებლები აქვს. მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 0,8-დან 1,6-მდე და შეადგენს საშუალოდ 1,06-ს. მტევნების საშუალო წონა მერყეობს 120—240 გრამს შორის და საშუალოდ 200 გრამს უდრის. ამის მიხედვით მისი მოსავალი ჰექტარზე, იმ შემთხვევაში თუ ჰექტარზე 40,000 რქაა დატოვებული, 80 ცენტნერს შეადგენს, დაახლოებით ამდენივე და კიდევ მეტიც არის მიღებული ვაზისუბანში. უკანასკნელ წლებში ჩატარებული აღრიცხვის მიხედვით ძირის საშუალო მოსავალი 1,850 გრამს აღწევს, რაც იმ შემთხვევაში, თუ ჰექტარზე 5,000 ძირი ვაზია 92,5 ცენტნერს შეადგენს ჰექტარზე, ხოლო ბოლნის-მარნეულის რაიონში, სოფ. შაუმიანში, შავი ყურძნის მოსავალი 100—120 ცენტნერს აღწევს.

ამ მონაცემების საფუძველზე შავი ყურძნის საშუალო მოსავლად კახეთის პირობებში 70—80 ცენტ. ყურძენი უნდა ვივარაუდოთ ჰექტარზე.

სოკოვანი ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. შავი ყურძენი შედარებით კარგად უძლებს სოკოვან ავადმყოფობებს. ვაზისუბნისა და თელავის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვებით იგი მილდიუმს საშუალოზე უკეთესად უძლებს, ხოლო ნაცარს საშუალოდ. სხვა დაავადება დაკვირვების წარმოების განმავლობაში შემჩნეული არ ყოფილა.

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

მტევნებისა და მარცვლების გარეგნული შეხედულება და ყურძის მექანიკური და ქიმიური შედგენილობა ჯიშის საღვინე მიმართულებით გამოყენების უპირატესობაზე მიგვითითებს. ყურძნის მექანიკური შედგენილობის ჩვენების მიზნით ქვემოთ მოყვანილია ანალიზის შედეგები.



შავი ყურძნის მტევნებისა და მარცვლების მექანიკური შედგენილობა

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	წელი	მტევნის საშუალო წონა	მარცვლების საშუალო რაოდენობა მტევანში	მტევნის შემადგენელი ნაწილები პროცენტობით				100 მარცვლის წონა	100 წიბის წონა	შენიშვნა
				წვენი და რბილობი	კლერტი	კანი	წიპა			
კახეთი გურჯაანის რაიონი, ს. ვახისუბანი	1940	265,7	197	80,35	3,95	11,55	3,91	129,0	3,7	დიდი საშუალო მცირე მტევანი
	1940	160,1	123	82,49	3,46	10,4	3,66	123,0	3,6	
საკოლექციო ვენახი სოხა-ადღერის რაიონი იაკორნაია შჩელი	1940	110,7	81	84,23	2,93	9,98	3,70	132,0	3,6	
	1940	153,3	56	83,4	3,6	10,0	3,0	150	3,2	

ყურძნის ლაბორატორიულ პირობებში გადამუშავებისას წვენისა და რბილობის გამოსავალი მტევნის სიდიდის მიხედვითაც კი მერყეობს 80-დან 84%-მდე. უფრო მეტი მერყეობაა მოსალოდნელი ცალკეული წლების მიხედვით. მოყვანილი გამოსავლიანობა ნაჩვენებია ცვალებადობის ფარგლებშიაც დამახასიათებელია საღვინე ვახის ჯიშებისათვის. წარმოების პირობებში გადამუშავებისას გამოსავლიანობა წვენისა ჩვეულებრივზე ნაკლებია, ხოლო მაგარი ნარჩენები მეტია ზემოთ მოყვანილთან შედარებით.

ყურძნის წვენის ქიმიური შედგენილობა. შავი ყურძნისათვის ზომიერი შაქრიანობა და ზომიერზე ნაკლები მჟავიანობაა დამახასიათებელი, წლების განმავლობაში წარმოებული დაკვირვების მიხედვით მისი შაქრიანობა 18—20%-ის, ხოლო მჟავიანობა 5—7%-ის ფარგლებში მერყეობს. წლების მიხედვით შაქრიანობა-მჟავიანობის მერყეობის საჩვენებლად ქვემოთ მოყვანილია რთვლის პერიოდში ყურძნის წვენის ანალიზის შედეგები.

შავი ყურძნის წვენის შაქრიანობა-მჟავიანობა რთვლის პერიოდში

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	წელი	რთვლის თარიღი	შაქარი %-ბით	საერთო მჟავა %/100-ბით	შენიშვნა
გურჯაანის რაიონი, სოფ. ვახისუბანი	1929	—	21,0	4,9	
	1940	22/IX	20,0	6,9	
	1938	8/IX	20,5	7,6	
სოხა-ადღერის რაიონი, იაკორნაია შჩელი	1939	10/IX	15,1	4,1	
	1940	14/IX	20,0	11,2	
	1942	22/IX	19,6	6,45	
	1943	21/IX	18,0	8,9	
თელავის რაიონი, ქ. თელავი, მევენახეობის ინსტიტუტი	1945	9/IX	20,5	7,2	
	1947	2/X	18,0	9,14	
	1948	4/IX	18,5	5,24	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჯიშის შაქრიანობა-მჟავიანობა როგორც შაქრისა და მჟავას რაოდენობის ისე მათი შეფარდების მხრივ ძალიან მერყევია წლების მიხედვით. ამის გამო, მხოლოდ ზოგიერთ წლებში იძლევა ჯიში საჭირო რაოდენობით შაქარსა და მჟავას იმისათვის, რომ კარგი ღირსების ღვინო იქნეს დაყენებული.

ჯიშის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. შავ ყურძენს ძირითადად წითელი სუფრის ღვინის დასამზადებლად იყენებენ. რადგანაც შავი ყურძნის ვახები მცირე რაოდენობით მოიპოვება, მას საფერავთან ან სხვა წითელ ჯიშთან ერთად წურავენ წითელი სუფრის ღვინის დასამზადებლად. შავი ყურძნისაგან ჯიშობრივი წმინდა ღვინო მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. შავი ყურძნისაგან საშუალო ღირსების ორდინარული ღვინო დგება. იგი მუქი ვარდისფერია, მცირესხეულიანი და სუსტად გამოსახული არომატი აქვს. ზოგიერთ წელს მისგან საშუალოსხეულიანი, საკმაოდ შეფერილი, სასიამოვნო, პატარა ღვინო დგება. ღვინის საცდელი ნიმუშები ჯიშური ღვინოების ხარისხის შეფასებელი სადევუსტაციო კომისიის სხდომებზე მიჩნეულია საშუალო ღირსების ორდინარულ ღვინოდ. ღვინის ორგანოლექტიკური თვისებების უფრო სრულად დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები მევენახეობის ინსტიტუტის სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.

ამონაწერები სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	წელი	სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიური შეფასება
გურჯაანის რაიონი, სოფ. ვახისუბანი, საკოლექციო ვენახი	1936	20/I 1937	6,1	კარგად დაწმენდილი, მუქი ვარდისფერი, მსუბუქი, მცირესხეულიანი, ჰარმონიული, სასიამოვნო ღვინო.
გურჯაანის რაიონი, ს. ვახისუბანი საკოლექციო ვენახი	1939	19/I 1940	5,8	ვარდისფერი, კარგად დაწმენდილი, მცირესხეულიანი თხელი, ორდინარული ღვინო.
" "	1940	29/XII 1940	6,5	მუქი ვარდისფერი, კარგად დაწმენდილი, საშუალო სხეულიანი, მსუბუქი ჰარმონიული ღვინო, აქვს სპეციფიკური გემო.



ქვემოთ მოყვანილია შავი ყურძნის ღვინის ქიმიური ანალიზის შედეგები.

შავი ყურძნის ღვინის ქიმიური შედეგნილობა

მოსავლის წელი	კუარი წონა 15°C	ალკოჰოლი მოცულობით	გრამები ლიტრში									
			მსტრაქტი	ნაცარი	ნაცრის ტუტი-ახობა	საერთო მჟავიანობა	მქროლავი მჟავა	არამქროლავი მჟავა	ღვინის მჟავა	შაქარი	გლიცერინი	ტანი
1929	0,9954	10,1	29,5	—	—	4,65	—	—	—	—	—	—
1940	0,9963	10,0	27,7	4,12	6,69	5,85	0,42	5,33	2,2	1,0	6,05	2,07

შავი ყურძნის ღვინის ორგანოლექტიური თვისებები და მისი ქიმიური ბუნება საშუალებას გვაძლევს მივაკუთვნოთ იგი საშუალო ღვინის ორდინარულ წითელ ღვინოთა კატეგორიას.

ღვინის დაყენების გარდა შავი ყურძენი ნაწილობრივ სადესერტოდაც შეიძლება იქნეს გამოყენებული. დიდი მტვენები და მომსხო მარცვალი და საკმაოდ მაღალი შაქრიანობა მიმზიდველს ხდის მას მომხმარებლისათვის, მაგრამ მას არამაღალი საგემოვნო თვისებები აქვს და გადაზიდვასაც ვერ უძლებს. ეს ზღუდავს მის მოხმარებას და იგი ადგილზე მოსახმარ ყურძნის ჯიშად უნდა მივიჩნიოთ.

გაცილებით უფრო პერსპექტიულად შეიძლება იქნეს მიჩნეული შავი ყურძენი უალკოჰოლო ყურძნის წვენის დასამზადებლად. ვარდისფერი შეფერვა, საკმაოდ მაღალი შაქრიანობა და ზომიერი მჟავიანობა საკმაოდ მიმზიდველს ხდის მას მომხმარებლისათვის.

ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

შავი ყურძენი ადგილობრივი, მცირედ გავრცელებული ვახის ჯიშია. იგი იძლევა ორდინარულ წითელ სუფრის ღვინოს და ნაწილობრივ ადგილობრივ მოსახმარ სუფრის ყურძენსაც. გავრცელებულია კახეთში, ძირითადად გურჯაანისა და თელავის რაიონებში, და ქვემო ქართლში, ბოლნის-მარნეულის რაიონებში. გვხვდება უმათერესად მინარევის სახათ ძველ საწარმოო ვენახებში, იშვიათად მისი პატარა ვენახებიც გვხვდება საკარმიდამო ნაკვეთებზე. უფრო მეტად ჯიში ბოლნის-მარნეულის რაიონებშია გავრცელებული, ვინემ კახეთში. მცირედი გავრცელების გამო მას სხვა ჯიშებთან ერთად წურავენ ჩვეულებრივი წითელი ღვინის დასამზადებლად ან ადგილზე ხმარობენ საკმელად. ჯიშისაგან წმინდა ღვინო მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. იგი მუქი ვარდისფერია, სიმსუბუქე, მცირე სხეული და სასიამოვნო გემო ახასიათებს. ზოგიერთ წლებში მისგან მუქად შეფერილი, საშუალოსხეულიანი, ჰარმონიული, კარგი ღვინის ორდინარული ღვინო დგება. უფრო მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული მისგან უალკოჰოლო ყურძნის წვენის დამზადება.

ჯიშის დადებითი თვისებებია შედარებით მაღალი მოსავალი და ავადმყოფობების მიმართ შედარებით კარგი გამძლეობა. ჯიშის უარყოფით მხარეს წარმოადგენს მისი პროდუქციის (ყურძენი, ღვინო) შედარებით დაბალი ღირსება.

კახეთისათვის, სადაც მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი ვაზის ჯიშებია გავრცელებული, შავი ყურძენი პერსპექტიული არაა.

შავი ყურძენი, როგორც უხვმოსავლიანი და სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლე ჯიში, შეიძლება რეკომენდებულ იქნეს ბოლნის მარნეულის რაიონისათვის ძირითადად ხარისხოვანი უალკოჰოლო წვენის, ორდინარული წითელი სუფრის ღვინის და ნაწილობრივ საკონიაკე მასალის დასამზადებლად.

ჯიშის ადგილებზე წინასწარ გამოცდის შემდეგ იგი შეიძლება რეკომენდებულ იქნეს მევენახეობის სხვა რაიონებისათვის მიღებული შედეგების შესაბამისად.

## ШАВИ КУРДЗЕНИ

**Л и с т.** Вполне развитые листья выше средних размеров (18,5×17,5 см). Листовая пластинка округлой формы, с более частыми колебаниями в сторону овальной, нежели попереk-овальной формы. Число основных лопастей пять. Вторичные лопасти встречаются как на нижней, так и на верхней лопастях, благодаря чему иногда листья становятся 7—9 лопастными. Угол оконечной лопасти чаще острый, реже он прямой. Поверхность листа сетчато-морщинистая, реже она мелко-пузырчатая. Главные нервы зеленые и опушены щетинистым пушком. Листовая пластинка неопределенно изогнутая. Этот признак с сильной изрезанностью листовой пластинки является характерным для сорта.

Верхние вырезки по глубине рассеченности листовой пластинки варьируют от мелких до очень глубоких. Чаще всего они средних размеров и глубокие. Форма вырезов варьирует от открытых к выходу суженных с плоским одно, реже двухзубчатым дном—до закрытых с яйцевидным либо овальным просветом. Чаще всего встречаются открытые лировидные вырезки с узким устьем и с одним, реже с двумя зубчиками на дне вырезки.

Нижние вырезки менее глубокие. По форме они открытые, лировидные с узким устьем и с округлым либо заостренным дном, реже они закрытые, с яйцевидным просветом.

Черешковая выемка по форме варьирует от сводчатой с заостренным дном—через лировидную—до закрытой с веретеновидным просветом. Чаще всего встречаются лировидные выемки с острым дном. Листья нижнего яруса менее рассеченные и характеризуются наглухо закрытой черешковой выемкой.

**З у б ц ы.** Оконечные зубцы лопастей треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже они узко-треугольные вытянутые в острие. Боковые зубцы треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной либо пиловидные, односторонне выпуклые. Чередование крупных зубцов с мелкими хорошо выражено.

Опушение нижней стороны листа густое, паутинистое, с примесью густого щетинистого пушка, в целом опушение войлочное средней густоты.

Черешок короче длины срединного нерва листа, реже равен ему. Черешок у ссисвания опушен щетинистым пушком и окрашен в зеленый цвет с бурыми пятнами.

**Ц в е т о к.** Цветки нормального строения, обоеполые. Тычинки прямостоячие. Число тычинок в цветке 5. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,25. Пестик правильной, округло-конической формы с маленьким двураздельным рыльцем и хорошо выраженным столбиком.

**Г р о з д ь.** Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует от 14 до 18 см, ширина от 10 до 13 см. Размер средней грозди равен 15×10 см. Форма грозди широко-коническая, крылатая, реже сильно лопастная, бсформенная. Крыло хорошо развито, нередко оно достигает до половины и более размера основной грозди. В большинстве случаев грозди средне-плотные, реже они бывают рыхлыми и плотными. Средний вес гроздей варьирует от 120 до 240 гр, а отдельные полноценные грозди достигают веса 300—500 гр. Количество ягод в грозди варьирует от 70 до 260, в среднем составляет 100—160 ягод на гроздь. Ножка грозди деревянистая, желтовато-красная. Длина ножки в среднем равна 2,5—3,5 см. Ножка ягоды зеленая, слабо бородавчатая. Длина ножки в среднем равна 5—6 мм. Подушечка слабо бородавчатая, узкоконической, реже ширококонической формы.

**Я г о д а.** Ягоды средних и вышесредних размеров. Длина ягод варьирует от 1,6 до 1,9 см, а ширина от 1,5 до 1,7 см. Размер средней ягоды равен 1,8×1,70 см. Форма ягод округлая, реже она слабо овальной формы. Наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды округлен. Окраска ягод темно-синяя, почти черная. Кожица тонкая, легко отделяющаяся от мякоти. Мякоть средне-плотная расплываю-



შავი ყურძენი—შავი კურძენი

საქართველოს  
სოფლისმეურნეობის  
ინსტიტუტი


шаяся. Восковой налет на ягодах хорошо выражен. Прочность прикрепления ягод к ножке слабая. Число семян в ягоде варьирует от одного до 4, составляя в среднем 1,67 семени на ягоду.


Шави курдзени—местный, малораспространенный винный сорт винограда. Дает ordinарное красное столовое вино и отчасти десертный виноград местного значения. Распространен в Гурджаанском и Телавском районах Кахети и в Болнисси-Марнеульском районах Нижней Карталинии, в основном в виде примеси на старых производственных виноградниках колхозов, реже в виде маленьких виноградников на приусадебных участках колхозников. Ввиду малого распространения сорта, его урожай, вместе с другими сортами, перерабатывается на обычное столовое красное вино либо потребляется на месте, в свежем виде. Чистосортное вино из Шави курдзени готовят в Институте виноградарства. Вино из Шави курдзени не отличается высокими достоинствами. Оно темно-розовой окраски, легкое, малоэкстрактивное, ordinарное, посредственного качества. В отдельные годы из него получается ordinарное вино хорошего качества более темной окраски, средне-экстрактивное, гармоничного вкуса. Судя по приведенному выше химическому составу сусла, Шави курдзени является более подходящим для приготовления безалкогольного виноградного сока. Его темно-розовая окраска, достаточно высокая сахаристость и умеренная кислотность делают его довольно приятным и привлекательным напитком для потребления.

К положительным свойствам сорта относятся его высокая урожайность и относительно хорошая устойчивость против грибных болезней. К недостаткам сорта относится сравнительно низкое качество его продукции (вино, виноград).

В условиях Кахети, при ее богатом сортовом составе, Шави курдзени внимания не заслуживает. Его как урожайный и относительно устойчивый сорт, можно рекомендовать в качестве дополнительного сорта в Болнисском, Гардабанском и Марнеульском районах нижней Карталинии для приготовления безалкогольных соков, ordinарных вин и отчасти коньячного материала.

После предварительного испытания на местах его можно рекомендовать для южных виноградных районов СССР в качестве винного либо столового сорта в зависимости от результатов испытания.





## ვარდისფერა

ვარდისფერა ადგილობრივი, იშვიათი ჯიშია, იძლევა კარგი ხარისხის სადესერტო ყურძენს.

სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის ვარდისფერას სინონიმები ცნობილი არაა.

ჯიშის ისტორია. ვარდისფერა ადგილობრივი წარმოშობის კახური ვაზის ჯიშია. იგი პირველად აღმოჩენილ იქნა მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე სოფ. ვაზისუბანში, საკოლექციო ნაკვეთში, ჯიშ კურკენას რიგში გამორეული სულ ორი ძირი. შემდეგ ჯიში გაამრავლეს და გააშენეს თელავის საკოლექციო ვენახში მისი უკეთ შესწავლის მიზნით.

უკანასკნელ წლებში ვარდისფერა იზოვებს ავრეთვე ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობაში კაკლის ნაკვეთში გამორეული 15—20 ძირი. როგორც ჩანს, ვარდისფერას თითო-ოროლა ვაზი კახეთის ვენახებში ბევრგან მოიპოვება.

თავისი მორფოლოგიური ნიშნებით იგი კახური ვაზის ჯიშებს უახლოვდება. მისი წარმოშობის ადგილისა და დროის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

ამჟამად ვარდისფერა მოიპოვება გურჯაანის, თელავისა და სიღნაღის რაიონებში უმთავრესად ძველ და ახალ საწარმოო ვენახებში გამორეული.

## ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური თვალსაზრისით ვარდისფერა აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე სოფ. ვაზისუბანში.

ახალგაზრდა ყლორტი. ახალგაზრდა, მოხარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი ორი ჯერ კიდევ გაუშლილი ფოთოლაკითურთ ყოველი მხრიდან თხელი აბლაბუდისებრი ბეწვებითაა შებუსუსებული და მოწითალო იერის მქონე მომწვანო-მოყვითალო ფერისაა. მეორე იარუსის ფოთლები (3—4) ორივე მხრიდან შიშველია ოქროსფერი იერის მქონე მომწვანო-მოყვითალო ფერისა.

ერთწლიანი რქა. კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მოყვითალო-მოწითალო ფერისა ხდება. მუხლები ოდნავ უფრო მუქია. მუხლთაშორისების სიგრძე საშუალოდ 8—10 სანტიმეტრს უდრის, ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ არ შეიმჩნევა.

ფოთოლი. შუა იარუსის კარგად განვითარებული (9—12) ფოთლები დიდი ზომისაა (20×22 სმ). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა და უფრო ხშირად გარდივარდმო-ოვალურ ფორმისაქნ იხრება. ფოთლის ზედაპირი გლუვი და ზემო მხრიდან ოდნავ ბრჭყვიალაა, ქვემო იარუსის ძველი ფოთლების ზედაპირი ბადისებრ დანაოჭებულია. ფოთლები უფრო ხშირად სამნაკვეთიანია, იშვიათად ხუთნაკვეთიანი ფოთლებიც გვხვდება. დანაკვეთვა ჩვეულებრივ სუსტადაა გამოსახული. შუა ნაკვეთი უფრო ხშირად ბლაგვკუთხიანია. მეორეული დანაკვეთვა ფოთოლს არ ახასიათებს. ფოთლის ფირფიტა იშვიათადაა სწორი, უფრო ხშირად იგი გაურკვევლად მიხრილ-მოხრილია. ფოთლის მთავარი ძარღვები მათი განტოტების ადგილთან შებუსუსებულია ჯაგრისებრი თხელი ბუსუსით და ბაცი ვარდისფერია.

ფოთლის ზედა ამონაკვეთების სიღრმე მერყეობს ზეზეურიდან საშუალომდე, უფრო ხშირად ამონაკვეთები საშუალო სიღრმისაა და ხშირად დაბურული. ამონაკვეთები განიერ-ელიფსური, მომრგვალოა, იშვიათად ღია, მახვილფუძიანი ლანცეტისმაგვარი ამონაკვეთებიც გვხვდება.

ქვედა ამონაკვეთები ჩვეულებრივ ნაკლებ განვითარებულია, ზეზეურებია. ამონაკვეთები ლანცეტისმაგვარია, ან შექრილი კუთხისმაგვარი, ხანდახან ამონაკვეთები სულ არაა განვითარებული.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა ჩვეულებრივ ნაკლებ იცვლება. ამონაკვეთების ძირითადი ფორმა კვადრატული, თაღისებრი ან განიერ თაღისებრია. იშვიათად მშვილდისმაგვარი ამონაკვეთებიც გვხვდება.

ფოთლის ფირფიტის დაკბილვა დამახასიათებელია ჯიშისათვის. მთავარი ნაკვეთები გრძელი (2 სმ), წაწვეტებული, ვიწრო, სამკუთხედისებრი ან მახვილფუძიანი სამკუთხედისებრი კბილებით ბოლოვდება. გვერდითი კბილები ხერხის კბილისებრი ცალგვერდგამოხნეკილი და მახვილწვერიანია.


ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე სრულიად შიშველია. მხოლოდ ზოგიერთ, უმთავრესად ქვედა იარუსის ფოთლებზე შეიმჩნევა აბლაბუდისებრი ან უფრო ხშირად ჯაგრისებრი ბუსუსი, ძირითადად მთავარი ძარღვების განტოტების გასწვრივ.



ფოთლის ყუნწი გრძელია, იგი შიშველია (შეუბუსუსებელია) და საგრძნობლად უფრო გრძელია ფოთლის შუა ძარღვზე. ყუნწი ბაცი ღვინისფერია.

ყვავილი. ყვავილი ნორმალური აგებულებისა, ორსქესიანია. ყვავილში ხშირად ხუთი, იშვიათად ექვსი მტვრიანაა. მტვრიანები სწორმდგომია. მტვრიანათა ძაფების სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან 1,0—1,25-ს უდრის.

მტევანი. მტევნები საშუალო ზომისაა, მათი სიგრძე ცვალებადობს 14-დან 20 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 6-დან 10 სანტიმეტრამდე. მსხვილი, კარგად განვითარებული მტევნების ზომა თავისუფლად აღწევს 23×16 სანტიმეტრს. მტევანი ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმისაა, ხშირად მხრიანი. იშვიათად კონუსისებრი ფორმის მტევნებიც გვხვდება. ჩვეულებრივ მტევნები საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად უფრო მკვრივი მტევნებიც მოიპოვება. ყვავილცვენა და წვრილმარცვლიანობა ჯიშს არ ახასიათებს ან ძლიერ უმნიშვნელოა. მტევნის ყუნწი სქელია, გახვეებული და რქის ფერისაა. საშუალო ზომის მტევნების ყუნწის სიგრძე 3,5 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ყუნწი ღია მწვანეა, მისი სიგრძე მერყეობს 0,5-დან 0,8 სანტიმეტრამდე, ხოლო საშუალოდ 0,65 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში გლუვი ან, იშვიათად, ოდნავ დახორკლილია. ბალიში ვიწრო კონუსისებრი ფორმისაა.



სურ. 36. ვარდისფერას ყვავილი.

მარცვალი. მარცვლები საშუალოზე მსხვილი ზომისაა. მარცვლების სიგრძე საშუალოდ ცვალებადობს 1,7-დან 2,0 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 1,5-დან 1,7 სანტიმეტრამდე. მარცვლის საშუალო ზომა 1,8×1,6 სანტიმეტრია. მარცვლები ოვალური ფორმისაა, იშვიათად მომრგვალო მარცვლებიც გვხვდება. მარცვლები შუაში განიერია, ხოლო ბოლო წამახვილებული ან მომრგვალო აქვს. მარცვლის შეფერვა ღია ვარდისფერია. კანი უხეშია და ძნელად სცილდება რბილობს. რბილობი მკვრივია, ხორციანი. მარცვალი ნაკლებ წვნიანია, წვენი უფერულია, გემო სასიამოვნო, ჰარმონიული აქვს. მარცვალი საშუალო სისქის ცვილისებრი ფიფქითაა დაფარული. მარცვლები საკმაოდ მჭიდროდაა მიმაგრებული ყუნწზე.

წიპწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს ერთიდან ოთხამდე. საშუალოდ მარცვალზე ორი წიპწა მოდის.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებდა მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახებში სოფ. კურდღელაურში, 4 კილომეტრის დაშორებით ქ. თელავიდან.

კურდღელაურში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა ცალკეული წლების განმავლობაში მერყეობს 141-დან 172 დღემდე, საშუალოდ კი 160 დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად ცვალებადობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,983,8 გრადუსიდან 3,215 გრადუსამდე და საშუალოდ 3,122,4 გრადუსს შეადგენს. წლების განმავლობაში სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზების მსვლელობის დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია ვარდისფერაზე ჩატარებული დაკვირვებების შედეგები.

ცხრილიდან ჩანს (იხ. გვ. 388), რომ ცალკეული ფაზების დადგომის ვადები წლის მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად საგრძნობლად იცვლება. ყველაზე მეტად პირველი, კვირტის გაშლის დასაწყისის ფაზა მერყეობს. დანარჩენი ფაზები მასთან შედარებით ნაკლებ იცვლება. სრული სიმწიფის დადგომის ვადის მიხედვით ვარდისფერა შეიძლება მიეკუთვნოს სიმწიფის III პერიოდის ვაზის ჯიშებს. კახეთის ჰავის პირობებში ვარდისფერას ერთწლიანი რქები ყურძნის სრული სიმწიფის მომენტისათვის თავისუფლად ასწრებს მომწიფებას და კარგად შემოსული და გახვეებული ხვდება ზამთარს.

ვარდისფერას სავეგეტაციო პერიოდის მსვლელობა

მცენახვობის რაიონი და დაკვირვების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დასაწყისი				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში	ნალექები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარეგულაციო პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში
კახეთი, თელავის რაიონი, მცენახვობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1943	16/IV	10/VI	20/VIII	22/IX	160	3,083,2	115,9	483,6
	1944	7/IV	12/VI	23/VIII	25/IX	172	3,215,9	71,9	409,7
	1945	27/IV	19/VI	27/VIII	5/IX	162	3,210,2	55,3	368,9
	1946	23/IV	17/VI	26/VIII	30/IX	158	3,147,7	56,7	593,6
	1947	9/IV	11/VI	17/VIII	20/IX	165	3,093,8	75,5	533,8
	1948	28/IV	10/VI	14/VIII	16/IX	141	2,963,8	134,2	517,9
საშუალო . . . . .	—	19/IV	13/VI	21/VIII	20/IX	160	3,122,4	84,9	484,1

ვარდისფერას ვაზები მძლავრად იზრდება. ზრდა-განვითარების შედარებით თანაბარ პირობებში საკოლექციო ვენახებში ვარდისფერას ვაზები მკვეთრად გამოირჩევა მძლავრი ზრდითა და განვითარებით. იგი უახლოვდება თეთრ ხარისთვალას, შირაზულს და ამ ჯგუფის სხვა მძლავრად მოზარდ ვაზის ჯიშებს.

მოსავლიანობა. ვარდისფერა საშუალო მოსავლის მომცემ ვაზების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს იმის მიუხედავად, რომ ვაზისუბნის ნაკვეთზე მისთვის შეუფერებელ მცირე კვების არეზე და სუსტი დატვირთვის პირობებში მისი მოსავლიანობა მცირეა. ამის გამო საჭიროა ჯიშის ახალ ფართობებზე გაშენებისას მხედველობაში იქნეს მიღებული მისი ზრდის ღონე და შესაბამისად დიდი კვების არე მიეცეს მას მისი შესაფერად დატვირთვის მიზნით. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ვარდისფერა თავისი ზრდის ღონით შირაზულს უახლოვდება და მასავით მცირემოსავლიანია ქართული წესით ფორმირების დროს. ამიტომ ჯიშის მოსავლიანობის გადიდების მიზნით კვების არის გადიდებასთან ერთად საჭიროა მიეცეს მას შესაფერისი ფორმირება (ორმხრივი კორდონი), რათა სათანადოდ იქნეს დატვირთული. შესაფერისი აგროტექნიკის გამომუშავების საშუალებით ვარდისფერას მოსავლიანობა ერთიორად და მეტად შეიძლება გადიდდეს.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვებების შედეგად ვარდისფერას გამძლეობა სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ საშუალოდაა შეფასებული. მილდიუმის მიმართ ჯიშის გამძლეობა საშუალოა, ხოლო ნაცრის მიმართ საშუალოზე ძლიერი: ჩვეულებრივი წამლობის დროს იგი ნაცრისაგან სრულებით არ ზიანდება. სხვა დაავადებანი დაკვირვებათა წარმოების განმავლობაში შემჩნეული არ ყოფილა.

ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

მტევნების გარეგნული შეხედულება, ყურძნის მექანიკური შედგენილობა და აგრეთვე მისი წვენის ქიმიური შედგენილობა მიგვიჩვენებენ ჯიშის სასუფრე ყურძნად გამოყენების უპირატესობაზე. და მართლაც, ვარდისფერას მარცვალი, რომელსაც ხორციან შეზრდილი სქელი კანი და მკვრივი, მცირეწვნიანი რბილობი აქვს, უდავოდ, სადესერტო ყურძნის ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება.

ჯიშის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. ვარდისფერას მოსავლის ნაწილს ადგილზევე იყენებენ ყურძნად, ნაწილი გააქვთ მახლობელ ქალაქებში გასაყიდად ან საზამთროდ ინახავენ. ძალიან იშვიათად მისგან სუფრის ღვინოსაც ამზადებენ. ცდები ამ მიმართულებით არ უწარმოებიათ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი, როგორც საღვინე ჯიში, ინტერესს არ იწვევს. როგორც სადესერტო ყურძნის ჯიში ვარდისფერა უდავოდ საინტერესოა და შემდეგი თვისებებით ხასიათდება.

მტევანი. მტევნის გარეგნული შეხედულება საკმაოდ დეკორაციულია. მტევნები საშუალო და საშუალოზე დიდი ზომისა აქვს. მტევანი საშუალო სიმკვრივისაა. მარცვლები მტევანში თანაბრად მწიფდება. მარცვალი საშუალოზე მსხვილია. მარცვლების შეფერვა ღია ვარდისფერია, გადამწიფებისას კი მუქი ვარდისფერი ხდება. მარცვლები ოვალური ფორმისაა. კანი სქელი აქვს; ძნელად შორდება რბილობს. რბილობი მკვრივი, ხორციანი, მცირე წვნიანია. მარცვალი უხვადაა დაფარული ცვილისებრი ფიფქით.

გემო სასიამოვნო, ჰარმონიული აქვს. შაქრიანობა საშუალოდ შეადგენს 17—18% -ს, ხოლო მჟივანობა 6—7% -ს.





ვარდისფერა—Вардиспера

არმატი სუსტადაა გამოსახული, მაგრამ თავისებური, ჯიშურია. ტრანსპორტს ჯიში კარგად იტანს; მისი გადაზიდვა დიდ მანძილზედაც კი შეიძლება თავისუფლად. ამას ხელს უწყობს მისი საკმაოდ სქელი კანი შეზრდილი მკერვი, ხორციან რბილობთან, და ისიც, რომ მარცვლები მკვიდრადაა მიმაგრებული ყუნწზე. ადგილობრივ სასუფრე ჯიშებს შორის ვარდისფერა ყველაზე უფრო გამოსადეგია შორეულ მანძილზე გადასაზიდად. შენახვითაც კარგად ინახება როგორც ჯაგნებად, ისე თაროზე თავისუფლად დაწყობილი.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

ვარდისფერა ადგილობრივი, იშვიათი ვაზის ჯიშია. იგი იძლევა კარგი ღირსების სადესერტო ყურძენს. ჯიში მოიპოვება ძირითადად თელავის, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში უმთავრესად საწარმოო ვენახებში გამორეული, იშვიათად მისი ცალკე მდგომი ვაზებიც გვხვდება საკარმიდამო ნაკვეთებზე.

ჯიშის მკირედ გავრცელების გამო ყურძენს ადგილზევე იყენებენ საქმელად ან ინახავენ საზამთროდ, იშვიათად მახლობელ ქალაქებშიაც გააქვთ გასაყიდად.

ამის გამო მისგან ღვინო არ დამზადებულა და მისი ღვინის ხარისხი გამორკვეული არაა. ჯიშის შაქრიანობა-შეავიანობას თუ გავითვალისწინებთ, უნდა დავასკვნათ, რომ მისგან ხარისხოვანი ღვინო არ უნდა დადგეს.

ჯიშის დადებითი თვისებებია: კარგი ხარისხის ყურძენი, მტევნების ღამაში გარეგნობა და სასიამოვნო, პარმონიული გემო; მისი ვარგისობა გადასაზიდად, შესანახად და ნაცრის კარგი გამძლეობა. ჯიშის უარყოფით თვისებას წარმოადგენს ის, რომ მკირემოსავლიანია და შედარებით დაგვიანებით მწიფდება.

მისი შედარებით მკირემოსავლიანობა გამოწვეულია მისთვის შეუფერებელი ფორმირებით, კორდონის წესით ფორმირებისა და დიდი დატვირთვის შემთხვევაში მისი მოსავლიანობა შეიძლება ერთიორად გადიდდეს.

ნათქვამის მხედველობაში მიღებით ჯიში შეიძლება რეკომენდებულ იქნეს თელავის, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში გასავრცელებლად ძირითადად სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის კარგი ღირსების სადესერტო ყურძენით მომარაგების მიზნით.

წინასწარ გამოცდის შემდეგ იგი შეიძლება რეკომენდებული იქნეს თბილისის გარეუბნებისათვისაც.

### ВАРДИСПЕРА

Лист. Вполне развитые листья, довольно крупные (20×22 см.). Очертание листовой пластинки округлое, с более частыми колебаниями в сторону поперек-овальной формы. Поверхность листа гладкая, несколько блестящая с верхней стороны, на старых листьях нижнего яруса она сетчато-морщинистая. В большинстве случаев листья трехлопастные, реже встречаются и пятилопастные листья. Обычно лопасти слабо выражены. Угол оконечной лопасти часто тупой. Листовая пластинка неопределенно изогнутая, реже она бывает плоской. Главные нервы листа у места их расхождения опушены слабым щетиновым пушком и обращены в светло-розовый цвет.

Верхние вырезки по глубине рассеченности листа варьируют от мелких до средних размеров. Обычно они средних размеров, часто закрытые. Форма вырезов широко-эллиптическая, округлая, реже встречаются и открытые щелевидные вырезки с острым дном.

Нижние вырезки обычно менее развиты, они мелкие, щелевидные, либо имеют форму входящего угла, иногда вырезки совершенно отсутствуют.

Черешковая выемка по форме менее варьирует. Основная форма выемки сводчатая, квадратная либо широкая, сводчатая, реже встречаются выемки стрелчатой формы.

Зазубренность лопастей пластинки характерная. Оконечные зубцы длинные (2 см), узкотреугольные, оттянутые в острие, реже они треугольные с острой вершиной. Краевые зубцы пиловидные, односторонне-выпуклые с острой вершиной.

Опушение нижней стороны листа совершенно голое. Лишь на некоторых листьях, преимущественно нижнего яруса, заметны следы паутинки и щетиноватого пушка, в особенности вдоль разветвления главных нервов.

Черешок длинный, голый, он значительно длиннее срединного нерва листа. Окраска черешка слабо винно-красная.

Цветок. Цветки нормального строения, обоеполые. Число тычинок в цветке 5, реже 6. Тычанка прямостоячая, отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,0—1,25.

Гроздь. Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует в среднем от 14 до 20 см, при ширине 6—10 см. Крупные полноценные грозди свободно достигают размера 23×16 см; форма грозди цилиндрико-коническая, часто лопастная, реже встречаются грозди конической формы. Обычно грозди средней плотности, реже они бывают плотными. Осыпание и горошение ягод незаметно или весьма незначительно. Ножка грозди деревянистая, толстая и окрашена в цвет чубука. Длина ножки у гроздей средней величины равна 3,5 см. Ножка ягоды светло-зеленая, длина ножки варьирует от 0,5 до 0,8 см и составляет в среднем 6,5 см. Подушечка гладкая, реже она несколько бородавчатая. Форма подушечки узко-коническая.

Ягода. Ягоды выше средних размеров. Длина ягод варьирует в среднем от 1,7 см до 2,0 см, при ширине 1,5—1,7. Размер средней ягоды равен 1,8×1,6 см. Форма ягод овальная, реже встречаются ягоды округлой формы. Наибольшая ширина ягод лежит посередине. Конец ягоды заострен, реже он закруглен. Окраска ягод светло-розовая. Кожица грубая, трудно отделяющаяся от мякоти. Мякоть плотная, хрящеватая. Сок трудно выдавливается, бесцветный. Вкус приятный, гармоничный. Прочность прикрепления ягод к ножке значительная.

Количество семян в ягоде варьирует от одного до четырех, составляя в среднем 2 семени на ягоду. Вардиспера (Розовый) — местный, малораспространенный сорт столового винограда. Дает качественный десертный виноград, годный для транспортировки на сравнительно дальние расстояния.

Сорт распространен в Гурджаанском, Телавском и Сягнахском районах Кахети, встречается единичными кустами на производственных виноградниках, реже в виде отдельно стоящих кустов на приусадебных участках.


Ввиду незначительного распространения сорта, его продукция большей частью используется на местах в свежем виде, реже сохраняется на зиму либо вывозится в соседние города для реализации. Опыты по приготовлению вина из Вардиспера не проводились. Судя по химическому составу сусла, Вардиспера может дать ординарное вино среднего качества.


К положительным свойствам сорта относятся хорошее качество винограда, красивый внешний вид гроздей и приятный, гармоничный вкус его ягод, пригодность винограда для транспортировки и хранения и относительно хорошая устойчивость против оидиума. К недостаткам сорта относятся низкая урожайность и сравнительно позднее созревание его ягод.

Однако его сравнительно низкая урожайность вызвана неподходящей формировкой и недостаточной нагрузкой кустов. При применении передовой агротехники и подборе подходящей кордонной формировки с подобающей нагрузкой кустов, его урожайность значительно можно повысить.

С учетом указанного сорт можно рекомендовать для Телавского, Гурджаанского районов Кахети для снабжения промышленных центров и населенных пунктов свежим десертным виноградом.

После предварительного испытания на местах Вардиспера можно рекомендовать для пригородных районов гор. Тбилиси, для снабжения горожан свежим столовым виноградом.





## ქ ლ ი ა

ქლია ადგილობრივი, მცირედ გავრცელებული ჯიშია, იგი იძლევა მოვარდისფრო ორდინარულ სუფრის ღვინოს.

**სინონიმები.** მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის ქლია სხვა სახელწოდებებითაცაა ცნობილი. ეს სახელწოდებებია: ხიტერი, ბელია (იმერეთში), აქლემისთვალა (საინგილოში), მელრია (კახეთში) (გეევსკი და შარერი 1885 წ., ივ. ჯავახიშვილი 1934 წ. ს. ჩოლოყაშვილი 1939 წ.). ვიალა და ვერმორელის (1901—1910 წ.) მიხედვით იგი ქლიად (Jgua) იწოდება.

**ჯიშის ისტორია.** ქლია ადგილობრივი ვაზის ჯიშია. იგი გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. აკად. ივ. ჯავახიშვილი ჯიშის სახელწოდების ენობრივი ანალიზის საფუძველზე და აგრეთვე შავშეთ-კლარჯეთში მისი გავრცელების გამო ქლიას უძველეს ვაზის ჯიშთა ჯგუფს აკუთვნებს. საქარის საცდელი სადგურის (ზესტაფონის რ.) საკოლექციო ვენახში ხითერის სახელწოდებით დარგული ჯიში ჩვენს მიერ ქლიად იქნა მიჩნეული. მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში დარგულ ქლიას ვაზებთან მისი შედარების შედეგად ჩვენი ვარაუდი გამართლდა.

ქლია მოიპოვება კახეთში, მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში, და ზემო იმერეთში, ძირითადად საჩხერისა და ზესტაფონის რაიონებში. იგი გვხვდება ძირითადად კოლმეურნეობების ძველ ვენახებში მინარევის სახით, იშვიათად პატარა ვენახებადაც როგორც იმერეთში, ისე კახეთში კოლმეურნეთა ნაკვეთებზე. ძველად ქლია უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ სამრეწველო მნიშვნელობა არასდროს არ ჰქონია. მას ძირითადად აშენებდნენ როგორც დამხმარე ჯიშს სხვა ძლიერ შეფერილ ჯიშებთან ერთად მოსავლიანობის გასაღიძვლებლად და ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად — სიმსუბუქის მისაცემად, ამჟამად ქლიას გავრცელების ძირითადი რაიონებია: კახეთში საგარეჯოს რაიონი, შემდეგ თელავის, გურჯაანისა და სიღნაღის; იმერეთში: ზესტაფონის და საჩხერისა. კახეთში ქლიას ფართობი 12, 48 ჰექტარს უდრის.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ჯიში ბოტანიკური თვალსაზრისით აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე ს. ვაზისუბანში.

**ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ).** მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი 2—3 ფოთოლაკითურთ თეთრი ფერის აბლაბუდისებრი ბეწვებითაა შებუსუსებული. ქვედა მხრიდან ფოთოლაკები თავის ძარღვებიანად უფრო ინტენსიურად — ქერისებრად — არის შებუსუსებული. თვით გვირგვინი ყლორტის წვერითა და პირველი ფოთლით ისე სქლადაა შებუსუსებული, რომ თეთრი ფლონელისაგან გამოჭრილსა ჰგავს. ყლორტის წვერო მეოთხე ფოთლამდე სქელი ბეწვებითაა დაფარული და ოდნავ გვერდზეა გადახრილი. მეორე იარუსის (4—6) ფოთლები ზემო მხრიდან მომწვანო-მოყვითალოა, ქვემო მხრიდან ყუნწიანად სქლადაა შებუსუსებული და მორუხო-თეთრი ფერისაა.

**ერთწლიანი რქა.** კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მორუხო-მოყვითალო ფერისა ხდება, მუხლები მოყავისფრო-მოყვითალოა. ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ სუსტადაა გამოსახული. მუხლთაშორისების სიგრძე საშუალოდ 10 სანტიმეტრს უდრის.

**ფოთოლი.** კარგად განვითარებული ფოთლები (9—12) საშუალოზე დიდია (20 × 18 სმ). ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, უფრო ხშირად მოოვალურა ფორმისაკენაა გადახრილი. ფოთოლი სამნაკვეთიანია, იშვიათად ხუთნაკვეთიანი და თითქმის მთლიანი (დაუნაკვთავი) ფოთლებიც გვხვდება. ფოთლის ზედაპირი გლუვი ან ბადისებრ დანაოკებულია. ფოთლის ფირფიტა სწორია, იშვიათად იგი ერთ-ერთ მხარეზეა მიხრილი. ფოთლის შუა ნაკვეთი წინაა წამოწეული და თითქმის ყოველთვის მახვილია, ეს ნიშანი დამახასიათებელია ჯიშისათვის.

ზედა ამონაკვეთები ჩვეულებრივ ზეზეურია, იშვიათად საშუალო სიღრმისა. ხშირად ამონაკვეთების ფორმა შექრილ კუთხისებრი ან ნაპრაღისებრია. იშვიათად აგრეთვე კვერცხისმაგვარი ფორმის, ცალკილიანი ფუძის მქონე ამონაკვეთებიც გვხვდება.


ქვედა ამონაკვეთები სუსტადაა გამოსახული, ზეზეურია და მომეტებულ შემთხვევებში ქვემო იარუსის ფოთლებზე გვხვდება. საშუალო იარუსის ფოთლებს ამონაკვეთები ხშირად არ უვითარდებიან. ხშირად ამონაკვეთების ფორმა შექრილ კუთხისებრია.

ყუნწის ამონაკვეთების ფორმა ნაკლებ იცვლება. უფრო ხშირად ისრისმაგვარი ფორმის მახვილფუძიანი ამონაკვეთები გვხვდება. იშვიათად ამონაკვეთები განიერი კვადრატული ფორმისაა, წამახვილებულ ფუძიანი. ხშირად ამონაკვეთები ცალ- ან წყვილდენიანია.

ფოთლის მთავარი ძარღვები ვიწრო სამკუთხედისებრი ნემსისებრ წაწვეტებულწვერიანი ან სამკუთხედისებრი წამახვილებულწვერიანი კბილებით ბოლოვდება. გვერდითი კბილები ხერხისებრია და ნემსისებრ წაწვეტებულწვერიანი ან ხერხის კბილისებრ ცალგვერდგამოხსნილი.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება საშუალო სისქისაა, იგი აბლაბუდისებრია, ხოლო მის ქვეშ მოფენილია თხელი ჯაგრისებრი ბუსუსი. ხშირად ფოთლების ხახუნის შედეგად აბლაბუდა ფიფქებად იყრის თავს.

ფოთლის ყუნწი მის მთავარ ძარღვზე უფრო მოკლეა, მკრთალი ვარდისფერია და მომწვანო ხოლოები აქვს გავლებული სიგრძეზე. ყუნწი თხელი აბლაბუდიტაა შებუსუსებული, განსაკუთრებით შუა იარუსის ფოთლებზე.



სურ. 37. ჟღიას ყვავილი.

ყვავილი. ყვავილი ნორმალური აგებულებისა, ორსქესიანია. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში 5, იშვიათად 6 მტვრიანაა. მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან იცვლება 1,25-დან 1,75-მდე, იშვიათად ეს შეფარდება 2,0-ს აღწევს. ბუტკო ბოთლისებრი ფორმისაა, კარგად გამოსახული სვეტი და დიდი, დანაკეთული დინგი აქვს. იშვიათად განუვითარებელბუტკოიანი ყვავილებიც გვხვდება.

მტევანი. მტევნები საშუალო ზომისაა. მტევნების სიგრძე მერყეობს 12-დან 20 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 7-დან 12 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის ზომა 18×10 სანტიმეტრს უდრის. მტევნები კონუსისებრი ფორმისაა, მზრიანი. იშვიათად ცილიდრულ-კონუსისებრი ფორმის მტევნებიც გვხვდება. მტევნები ჩვეულებრივ საშუალო სიმკვრივისა და თხელია. მარცვალცვენისა და წვრილმარცვლიანობის სიმკირე დამახასიათებელია ჯიშისათვის.

მტევნის საშუალო წონა 150—200 გრამს უდრის. მსხვილი, კარგად განვითარებული მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 300—400 გრამს. მარცვლების საშუალო რაოდენობა მტევანში 120—150 ცალს აღწევს. კარგად განვითარებული, 310 გრამიანი მტევანი შეიცავდა 212 მარცვალს, რომელთაგან 115 მსხვილი იყო. მტევნის ყუნწი მწვანეა, შუა ადგილიდან იგი ხევდება და რქის ფერს იღებს. ყუნწის სიგრძე მერყეობს 6-დან 12 სანტიმეტრამდე, ხოლო საშუალოდ 8—10 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე 4—6 მილიმეტრს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში ხორკლიანია და განიერ კონუსისებრი ფორმისა.

მარცვალი. ჟღიას მარცვლები საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე მერყეობს 1,2-დან 1,5 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 1,16-დან 1,40 სანტიმეტრამდე. საშუალო მარცვლის ზომა 1,42×1,35 სანტიმეტრს უდრის. მარცვალი შუაში განიერია, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვლები მუქი ვარდისფერია, მაგრამ მარცვლების არათანაბრად დამწიფების გამო მტევანი ჭრელია, მხოლოდ მარცვლების სავსებით დამწიფების დროს იგი მუქი ვარდისფერი ხდება, თითქმის შავი ფერისა. კანი თხელი აქვს, რბილობი წვნიანი, ადვილად მდნარი. წვენი უფერულია. მარცვალი დაფარულია ძალიან თხელი ცვილისებრი ფიფქით. გემო უბრალო, ოდნავ მომყავო აქვს, ჯიშური არომატი შეუმჩნეველია. მარცვლები საკმაოდ კარგადაა მიმაგრებული ყუნწზე. წიპწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 4-მდე. 212 მარცვლიდან 482 წიპწა გამოიღეს, ასე რომ მარცვალზე საშუალოდ 2,27 წიპწა მოდის.



ქლია—Жига

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, ს. კურდღელაურში, დაახლოებით 4 კილომეტრის დაშორებით ქ. თელავიდან.

კურდღელაურში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად მერყეობს 150-დან 175 დღემდე, ხოლო საშუალოდ 11 წლის განმავლობაში 158 დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად ცვალებადობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,955 გრადუსიდან 3,561 გრადუსამდე, ხოლო საშუალოდ 3,203,7 გრადუსს შეადგენს.

სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზებიც საგრძნობლად მერყეობს. აქ მკვეთრად ჩანს წლის მეტეოროლოგიური პირობების გავლენა სავეგეტაციო პერიოდის დაწყებისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე. ქვემოთ მოყვანილია დაკვირვებების შედეგები ჟღიას სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე ქ. თელავში.

**ჟღიას სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობა**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო პერიოდის დადგომის თარიღები				სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა დღეებში	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სავეგეტ. პერიოდში	ნალექები	
		კვირტის გაშლის დასაწყისი	მწველობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარეპროდუქციო პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1938	23/IV	6/VI	11/VIII	20/IX	150	3,185,7	—	—
	1939	20/IV	30/V	14/VIII	25/IX	158	3,204,3	—	—
	1940	12/IV	6/VI	21/VIII	30/IX	171	3,455,7	—	—
	1941	3/IV	26/V	16/VIII	25/IX	175	3,575,9	—	—
	1942	24/IV	9/VI	28/VIII	30/IX	159	3,337,1	—	—
საშუალო . . . . .	—	16/IV	4/VI	18/VIII	26/IX	163	3,351,7	—	—
კახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი ქ. თელავში	1943	25/IV	7/VI	22/VIII	25/IX	154	3,036,0	115,9	479,6
	1944	23/IV	5/VI	19/VIII	20/IX	151	2,973,2	69,4	391,3
	1945	30/IV	10/VI	20/VIII	30/IX	154	3,088,1	47,3	347,1
	1946	19/IV	7/VI	22/VIII	15/IX	150	2,955,4	—	553,8
	1947	1/IV	30/V	15/VIII	10/IX	153	3,046,9	82,5	540,8
	1948	26/IV	6/VI	19/VIII	20/IX	148	3,079,1	134,2	525,4
	საშუალო . . . . .	—	20/IV	5/VI	19/VIII	20/IX	153	3,029,7	74,8

ცხრილიდან ჩანს, რომ ყველაზე ფართო ფარგლებში მერყეობს პირველი ანუ ვეგეტაციის საწყისი ფაზა. იგი ცალკეული წლების მიხედვით 1 თვით ადრე ან გვიან დგება. შედარებით ნაკლებ მერყეობს ყვავილობისა და სიმწიფის დასაწყისის ფაზების დადგომა. ყურძნის სრული სიმწიფის ფაზის დადგომას მერყეობის მხრივ საშუალო ადგილი უჭირავს. მისი მერყეობა ძირითადად დამოკიდებულია როგორც საწყისი ფაზის დადგომაზე, ისე სიმწიფის დასაწყისის დადგომასა და ვეგეტაციის პერიოდში მოსული ნალექების რაოდენობაზე. რაც უფრო ადრე იწყება პირველი ფაზა, მის შესაბამისად ადრე არ მწიფდება ყურძენი, და რაც უფრო მეტი მოდის ნალექები სიმწიფისა და ვეგეტაციის პერიოდში, მით უფრო გვიან მწიფდება ყურძენი. სიმწიფის დადგომის მიხედვით ჟღია მიეკუთვნება სიმწიფის III პერიოდის ვაზის ჯიშებს.

კახეთის ჰავის პირობებში ჟღიას ერთწლიანი რქები ყურძნის სრული სიმწიფის მომენტისათვის, თელავისა და ვაზისუბნის ნაკვეთებზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით, თავისუფლად ასწრებს 110—120 სანტიმეტრის სიგრძეზე (რომლის შემდეგ ჩვეულებრივ რქებს თავი ექრება) სრულ მომწიფებას დაკარგად შემოსული და გახვეებული ხვდება ზამთრის ყინვებს.

ჟღიას ვაზები მძლავრად არ იზრდება, შედარებით თანაბარ ეკოლოგიურ პირობებში — თელავისა და ვაზისუბნის ნაკვეთებზე — წარმოებული დაკვირვების მიხედვით ჟღიას ვაზების ზრდის ღონე, სხვა კახურ ვაზის ჯიშებთან შედარებით, საშუალო ან საშუალოზე ნაკლებია.

მოსავლიანობა. ჯლია ადრე ისხამს და სრულ მოსავალსაც ადრევე იძლევა. მისი ნამყენები, თელავში წარმოებული დაკვირვებების მიხედვით, დარგვიდან მესამე წელს იძლევა ნორმალური მოსავლის წახევარს, ხოლო მეოთხე-მეხუთე წლიდან უკვე სრულ მოსავალს გვაძლევენ.

ჯლია უხვმოსავლიანი ვაზის ჯიშია, მისი უხვმოსავლიანობა დადასტურებულია ადგილობრივი მევენახეების დაკვირვებებითაც და ლიტერატურული წყაროებითაც. მართლაც, ჯლიას მსხმოიარობის მაღალი მაჩვენებლები აქვს. მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი, თელავში წარმოებული აღრიცხვის მიხედვით, 0,84-დან 1,66-მდე მერყეობს და საშუალოდ უდრის 1,36 მტევანს რქაზე. ვაზისუბანში მერყეობს 1,0-დან 2,2-მდე, საშუალოდ კი 1,65-ს უდრის. მტევნის საშუალო წონა მერყეობს 100 გრამიდან 500 გრამამდე, ხოლო საშუალოდ 180—200 გრამს უდრის. ცალკეული კარგად განვითარებული მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 350—400 გრამს. თ. კვარაცხელიას ცნობით, იმერეთში, საჩხერის რაიონში, მტევნის საშუალო წონა 250—300 გრამს უდრის, ხოლო დიდი მტევნისა 450—500 გრამს. ჯიში მსხმოიარობის მხრივ შემდეგი თავისებურებით ხასიათდება: უნაყოფო ყლორტების რაოდენობა მეტად მცირეა. უნაყოფო ყლორტები არის უმთავრესად ნეკზე და საკავებლის პირველ ოთხ რქაზე, შემდეგ კი მათი რიცხვი ერთიორად კლებულობს და ბოლოს ასეთ ყლორტებს აღარ ვხვდებით. მტევნების რაოდენობა საკავებელზე მისი ფუძიდან წვერისაკენ მატულობს დაახლოებით 9—10 რქამდე, ხოლო შემდეგ ისევ კლებულობს. სამმტევნიანი რქები უფრო ხშირად საკავებელზე გვხვდება მეექვსედან მეცხრემდე. ამ მონაცემების მიხედვით ჯლია ზომიერი გასხვლის ჯიშია. ზომიერად ისხამს მოკლე გასხვლის დროს და გაცილებით მეტს საშუალო გასხვლის დროს (8—10 კვირტზე). ჯიშის მსხმოიარობის უფრო დეტალურად დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია აღრიცხვის შედეგები.

**ჯლიას მსხმოიარობა**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მსხმოიარე რქების რაოდენობა პროცენტულად				სულ	მტევნების რაოდენობა ერთ მოსავლიან რქაზე	მტევნების საშუალო რაოდენობა 1 რქაზე	მტევნის საშუალო წონა	ერთი რქის მოსავლიანობა გრამებში	დატოვებული რქების რაოდენობა ჰექტარზე	განვითარებული მოსავალი ჰექტარზე
		1	2	3	სულ							
		<b>მ ტ ე ვ ნ ი თ</b>										
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტი ქ. თელავი.	1941	44,45	41,12	3,74	89,42	1,54	1,37	230	315,1	30,000	94,53	
გურჯაანის რაიონი, ს. ვაზისუბანი.	1942	30,0	57,50	6,25	93,75	1,74	1,85	200	330,0	50,000	165,0	
თელავი, მევენახეობის ინსტიტუტი.	1943	41,13	53,2	3,54	97,87	1,60	1,57	220	345,0	35,00	120,89	
საჩხერის რაიონი, ს. ჩიხა თელავი, მევენახეობის ინსტიტუტი	1942	27,78	63,67	2,23	96,68	1,73	1,61	200	322,0	60,000	193,2	
	1947	28,96	55,86	4,82	89,64	1,72	1,55	214	332	3,2000	106,0	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჯლიას ახასიათებს მსხმოიარე რქების დიდი რაოდენობა (89—98%), მსხმოიარობის საკმაოდ მაღალი კოეფიციენტით და მტევნის საშუალო წონით. ამ მონაცემების მიხედვით განვითარებული მოსავალი თელავსა და ვაზისუბანში მერყეობს 94-დან 165 ცენტნერამდე ჰექტარზე, უფრო მაღალ მოსავალს იძლევა ჯლია (ხითერი) საჩხერის რაიონში.

მეცნ. კანდ. თეოდანე კვარაცხელიას ცნობით, ხიტერის (ჯლია) მოსავალი 3,0—3,5 კილოგრამს უდრის ძირზე და ზოგიერთ შემთხვევებში 5 კილოგრამამდეც კი აღწევს, რაც გადაყვანით (5,000 ძირი) 150—175 ცენტნერს შეადგენს. ჯლიას მოსავლიანობა თელავში ვაზისუბანთან და ჩიხასთან შედარებით მცირეა და გამოწვეულია ჯიშისათვის შეუფერებელი დიდი კვების არით. მოსავლიანობის შემდგომი გაზრდის მიზნით ჯლიას ახალი ვენახები პატარა—2მ<sup>2</sup>—კვების არეზე უნდა გაშენდეს, რომ ჯიში ზრდის შესაბამისად სათანადოდ დაიტვირთოს და მაღალი მოსავალი მოგვცეს.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. ჯლია კარგად უძლებს სოკოვან ავადმყოფობებს. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით მისი გამძლეობა მილდიუმის მიმართ შეფასებულია საშუალოდ, ხოლო ნაცრის მიმართ საშუალოზე კარგად. კახურ ვაზის ჯიშებს შორის ჯლია ყველაზე უკეთ უძლებს ნაცარს: იგი მისგან თითქმის არ ზიანდება. სამეურნეო მნიშვნელობის დაზიანება სხვა სოკოვან ავადმყოფობათაგან დაკვირვებების წარმოების განმავლობაში შენიშნული არ ყოფილა.



**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

ელის მტევნებისა და მარცვლების გარეგნობა, მისი ყურძნის მექანიკური და ქიმიური შედგენილობა პირდაპირ მიგვიჩვენებს მისი მოსავლის ღვინოდ გადამუშავების მიზანშეწონილობაზე. და მართლაც, ელია საღვინე ვაზის ჯიშია, თავისი საგემოვნო თვისებებით იგი სადესერტო ყურძნად ნაკლებ გამოსადგენი, გარეგნობითაც არაა მიმზიდველი.

ქვემოთ მოყვანილია ელიას ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგები.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**ელის მტევნების და მარცვლების მექანიკური შედგენილობა**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მტევნის საშუალო წონა	მარცვლების რაოდენობა მტევანში	მტევნის შემადგენელი ნაწილები პროცენტულად					100 მარცვლის წონა	100 წიპის წონა
				კლერტი	მარცვლი	კანი	წიპა	რბილობი და წვენი		
გურჯაანის რაიონი, სოფ. ვაზისუბანი,	5 წლის საშუალო	189,80	140,0	3,68	96,32	10,58	4,96	80,73	—	—
საჩხერის რაიონი, ს. ჩიხა.	1940	161,27	94,0	2,86	97,14	9,96	4,44	82,74	—	—
ზესტაფონის რაიონი, საქარის საცდელი სადგური	1940	262,7	126,0	3,13	96,87	13,26	3,77	79,34	—	—
"	1941	159,13	92,0	1,67	93,33	6,77	4,30	87,26	—	—

როგორც ცხრილიდან ჩანს, ელიას წვენის გამოსავალი ყურძნის ლაბორატორიულ პირობებში გადამუშავებისას საკმაოდ მაღალია. თელავში იგი 80—81%-ს, ხოლო ზესტაფონში 80—87%-ს შეადგენს. შესაბამისად ნაკლებია მაგარი ნარჩენების (კლერტი, წიპა, კანი) რაოდენობა. ყურძნის ნახევრად საწარმო პირობებში გადამუშავების დროს წვენის გამოსავლიანობა შედარებით ნაკლებია და ცალკეული წლებისა და აგრეთვე ადგილების მიხედვით იგი 76—78%-ს შორის მერყეობს. საერთოდ ელიას სხვა ჯიშებთან შედარებით წვენის შედარებით მაღალი გამოსავალი აქვს.

წვენის ქიმიური შედგენილობა. ელიას ყურძნის წვენი საშუალოზე მაღალი მეთიანობის და შედარებით დაბალი შაქრიანობის შემცველია. წლების განმავლობაში რთვლის პერიოდში ჩატარებული ანალიზის მიხედვით ელიას შაქრიანობა იშვიათად აღწევდა 20%-ს. ჩვეულებრივ ელიას შაქრიანობა საშუალოდ 16—17,5%-ს შორის მერყეობს, ხოლო მეთიანობა 7—8%-ს შორის. შედარებით უფრო მაღალია ელიას შაქრიანობა საჩხერისა და ზესტაფონის რაიონში. ცალკეული წლების მიხედვით შაქრიანობისა და მეთიანობის ცვალებადობის დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია კახეთისა და იმერეთის პირობებში რთვლის პერიოდში ჩატარებული ანალიზის შედეგები.

**ელის ყურძნის წვენის შაქრიანობა-მეთიანობა რთვლის პერიოდში**

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	ანალიზის წარმოების თარიღი	შაქარი %-ბით	მეთა 100-ბით	შენიშვნა
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტი, ქ.თელავი	1938	13/X	19,3	8,6	
	1940	18/IX	16,9	9,0	
	1941	20/IX	16,5	8,4	
	1942	20/IX	17,0	7,8	
	1943	28/IX	16,5	8,25	
	1943	5/X	18,0	7,2	
	1944	26/IX	14,6	6,8	
	1945	1/X	17,2	9,6	
	1946	20/IX	17,1	8,05	
	1947	13/IX	17,0	9,13	
საჩხერის რაიონი, ს. ჩიხა ს. არგვეთა	1940	20/IX	19,4	5,9	
	1940	23/X	19,8	6,9	
ზესტაფონის რაიონი, ქ. ზესტაფონი	1940	24/IX	20,4	5,2	
საქარის საცდელი სადგური	1941	3/X	17,8	4,88	

როგორც ანალიზის შედეგებიდან ჩანს, ჯლიას არა აქვს შაქრის დაგროვების დიდი უნარი. იმერეთში მისი ოდნავ მეტი შაქრიანობა იმითაა გამოწვეული, რომ ყურძენი გვიან იკრიფებოდა, ძირითადად ოქტომბერ-ნოემბერში, ამიტვე აიხსნება უმთავრესად წვეწის დაბალი შეფიანობა, რაც სუფრის ღვინისათვის სასურველი არაა.

ყურძენის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. ჯლიას მოსავლისაგან სუფრის ღვინო მზადდება, ძალიან იშვიათად მას საქმელადაც ხმარობენ. ჯიშის მცირედ გავრცელებას გამოწვეული წარმოების პირობებში სხვა ჯიშებთან ერთად იწურება ჩვეულებრივი სუფრის ღვინის დასამზადებლად. მევენახეობის ინსტიტუტში ჯლიასაგან წმინდა ჯიშური ღვინო მზადდება. ჯლიას ღვინო მაღალი ღირსებისა არაა, საშუალო ღირსების ორდინარული ღვინოა. ღვინო ხასიათდება ვარდისფერი შეფერვით, დაბალი ალკოჰოლიანობით, მცირე სხეულით და სასიამოვნო, ხალისიანი გემოთი. მეცნ. კანდ. ვარლამ დემეტრძის ცნობით, იმერეთშიც ხითერი (ჯლია) იძლევა არამაღალი ღირსების უბრალო სუფრის ღვინოს. ჯლიას ღვინის ორგანოლექტიკური თვალსაზრისით უფრო სრულად დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები მევენახეობის ინსტიტუტთან არსებული სადგეუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან.

### ამონაწერები სადგეუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური დახასიათება
თელავის რაიონი, ქ. თელავი, მევენახეობის ინსტიტუტი.	1939	19/1 1940	6,2	კარგად დაწმენდილი, მუქი ვარდისფერი, მსუბუქი, ორდინარული ღვინო.
გურჯაანის რაიონი, ს. ვაზისუბანი ექსპერიმენტალური ბაზა.	1937	20/XII 1937	6,5	ვარდისფერი, კარგად დაწმენდილი, მსუბუქი, ხალისიანი ღვინო, ხილის არომატით.
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტი, ქ. თელავი	1940	25/XII 1940	6,0	მუქი ვარდისფერი, მცირე ექსტრაქტიანი, ხალისიანი, ორდინარული ღვინო. გამოსადეგია საკონიაკე მასალად.
	1947	18/V 1948	7,0	ვარდისფერი, მცირესხეულიანი, ნაზი გემოსი, ზომიერი სიმჟავით. საკონიაკე მასალა.
	1948	11/II 1949	7,0	ღია ხალისფერი, მჩატე, ნაკლებ ჰარმონიული, ორდინარული ღვინო, კარგი მასალაა კონიაკისათვის.

ჯლიას ღვინის სრულად დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია შედეგები გურჯაანის, თელავისა და საჩხერის რაიონში დამზადებული ღვინოების ქიმიური ანალიზისა.

### ჯლიას ღვინის ქიმიური შედეგნილობა

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	კუთრი წონა	ალკოჰოლი მცხობით %	გ რ ა მ ე ბ ი ლ ი ტ რ შ ი							
				საერთო სიმჟავე	მკროლავი სიმჟავე	ექსტრაქტი	ნაცარი	ნაცრის ტუტია-ნობა	შაქარი	გლიცერინი	ტანიინი
გურჯაანის რაიონი, სოფ. ვაზისუბანი	საშ.	0,9949	10,4	6,76	—	—	—	—	—	—	—
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტი ქ. თელავში	1940	0,9969	9,65	6,68	0,89	23,98	2,70	5,5	1,2	4,74	1,17
საჩხერის რაიონი, ს. ჩინა	1941	0,9940	9,57	4,67	—	15,94	1,48	3,04	0,57	5,47	0,96
თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტი	1947	—	9,8	5,0	0,84	23,192	—	—	—	—	0,89

როგორც მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ქლიასაგან როგორც კახეთის, ისე იმერეთის პირობებში საშუალო ღირსების ორდინარული ღვინო დგება. ამავე მონაცემების საფუძველზე იგი ყველაზე მეტად შესაფერი და გამოსადეგია ხარისხოვანი კონიაკების დასამზადებლად. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს მისი შედარებით დაბალი ალკოჰოლიანობა და შესაბამისად მაღალი მჟავიანობა.

უალკოჰოლო წვენის დასამზადებლად და ადგილობრივ მოსახმარებელ სუფრის ყურძნად იგი ნაკლებ გამოსადეგია, რადგან ჯიშს ამ მიმართულებით დაბალი მაჩვენებლები აქვს.



### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

ქლია ადგილობრივი, მცირედ გავრცელებული ვაზის ჯიშია. იძლევა ორდინარულ ვარდისფერ სუფრის ღვინოს და ნაწილობრივ ადგილობრივ მოსახმარებელ სუფრის ყურძენს.

მოიპოვება კახეთის თითქმის ყველა კუთხეში, უმთავრესად კი საგარეჯოს, თელავის, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში, ხოლო იმერეთში საჩხერისა და ზესტაფონის რაიონებში. აღნიშნულ რაიონებში ჯიში მოიპოვება უმთავრესად თითო-ორი ვაზის სახით კოლმეურნეობების ძველ ვენახებში, ხოლო პატარა ვენახებად კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზედაც.

ჯიშის მცირედ გავრცელების გამო წარმოების პირობებში მას სხვა ჯიშებთან ერთად წურავენ ჩვეულებრივი სუფრის ღვინის დასამზადებლად. ქლიას წმინდა ჯიშობრივი ღვინო მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. ქლიას ღვინო მაღალი ღირსებისა არ არის, ჩვეულებრივად იგი ვარდისფერია, სუსტად განვითარებული არომატი აქვს, მსუბუქი, ნაზი, მცირესხეულიანი სასიამოვნო გემოს ორდინარული ღვინოა. ასეთივე თვისებებით ხასიათდება იგი იმერეთის პირობებშიაც. ღვინის ორგანოლექტიური თვისებებისა და ქიმიური შედგენილობის მიხედვით ქლია უფრო საკონიაკე მასალის მომცემი ჯიშია. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე მასობრივ საკუბაჟე მასალად ზოგიერთი რაიონის მძიმე, დიდსხეულიანი, ტლანქი ღვინოებისათვის სიმსუბუქის მიცემის მიზნით და ზოგიერთ წლებში უალკოჰოლო ყურძნის წვენის დასამზადებლადაც.

ჯიშის დადებითი თვისებებია: მისი მაღალი მოსავლიანობა, სოკოვან ავადმყოფობათა, განსაკუთრებით ნაცრის მიმართ გამძლეობა და მისი კარგი შეგუება გარემო პირობებისადმი. ჯიშის უარყოფითი თვისებებია მისი პროდუქციის, ძირითადად ღვინის, დაბალი ხარისხი.

კახეთისა და იმერეთის ხარისხოვანი მეღვინეობის რაიონებში ქლია სუფრის ღვინოების დასამზადებლად პერსპექტიული არაა. იგი, როგორც მაღალმოსავლიანი და გამძლე ჯიში, შეიძლება რეკომენდებულ იქნას კახეთისა და იმერეთის ზოგიერთ რაიონებში ძირითადად ხარისხოვანი საკონიაკე მასალის დასამზადებლად და კარგი მასობრივი საკუბაჟე მასალის მისაღებად. ხარისხოვანი საკონიაკე მასალის მისაღებად პირველ რიგში შეიძლება რეკომენდებულ იქნას იგი კახეთში — ალაზნის მარცხენა მხარეზე, თელავისა და ყვარლის რაიონის ზოგიერთ სოფლსაბჟოებში, და ლაგოდეხის რაიონში, ხოლო იმერეთში — ძირითადად ქიათურა-საჩხერის რაიონის ზოგიერთ სოფლსაბჟოებში.

ჯიში პერსპექტიულია აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიისათვის და საბჭოთა კავშირის მევენახეობის ზოგიერთ რაიონში გამოსაცდელად. ჯიში საინტერესოა აგრეთვე სელექციურ მუშაობაში გამოყენების თვალსაზრისითაც.

### Ж Г И А

Лист. Вполне развитые листья выше (9—12) средних размеров (20×18 см). Листовая пластинка округлая, с более частым колебанием в сторону овальной формы. Листья трехлопастные, реже встречаются пятилопастные и почти цельные листья. Поверхность листа гладкая либо она сетчато-морщинистая. Листовая пластинка неопределенно изогнутая, реже она бывает плоской. Угол оконечной лопасти вытянутый и почти всегда острый. Этот признак характерен для сорта.

Верхние вырезки обычно мелкие, реже они достигают средних размеров. Чаще всего вырезки имеют форму входящего угла либо они щелевидные. Реже встречаются яйцевидные вырезки с однозубчатым дном.

Нижние вырезки мелкие, слабо выражены и встречаются, в основном, на листьях нижнего яруса: на листьях среднего яруса они часто отсутствуют. Вырезки в большинстве случаев имеют форму входящего угла.

Черешковая выемка по форме слабо варьирует. Чаще всего встречаются вырезки стрельчатой формы с острым дном, реже — широкие, квадратные вырезки с заостренным дном. Часто вырезки снабжены одним либо двумя шпорцами.

**Зубцы.** Оконечные зубцы лопастей узко-треугольные, оттянутые в острие, реже они треугольные с острой вершиной. Красные зубцы пилевидные с оттянутой в острие вершиной либо пилевидные, односторонне-выпуклые.

Опушение нижней поверхности листа паутиновое средней густоты, с подстилающим, жестким редким щетинистым пушком. Передко от трения листьев паутинки сбиваются в хлопья.

Черешок листа короче длины главного нерва и окрашен в слабо-розовый цвет с прозеленью. Опушение черешка слабое, паутиновое, в особенности на листьях среднего яруса.

**Цветок.** Цветки нормального строения, обоеполые, тычинки прямостоячие. Число тычинок в цветке 5, реже 6. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика варьирует от 1,25 до 1,75, изредка это отношение достигает 2,0. Пестик правильной бутылчатой формы с большим лопастным рыльцем. Встречаются также цветы с недоразвитым пестиком.

**Гроздь.** Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует от 12 до 20 см, при ширине 7—12 см. Размер средней грозди равен 18×10 см. Форма грозди коническая, крылатая, реже встречаются грозди цилиндрико-конической формы. Обычно грозди средне-плотные и рыхлые. Горошение и мелкоягодность в небольшой степени характерны для сорта. Средний вес грозди равен 150—200 гр. Крупные грозди свободно достигают веса 300—400 гр. Количество ягод в грозди равно 120—150. Отдельная полноценная гроздь весом в 310 граммов, содержит 212 ягод, из них 115 крупных размеров. Ножка грозди зеленая, травянистая, у основания она деревенеет и окрашивается в цвет чубука. Длина ножки варьирует от 6 до 12 см, составляя в среднем 8—10 см. Ножка ягоды зеленая, длиной 4—6 мм. Подушечка бородавчатая, широко-конической формы.

**Ягода.** Ягода средних размеров. Длина ягод варьирует от 1,2 до 1,5 см, при ширине 1,16—1,40 см. Размер средней ягоды равен 1,42×1,35 см. Форма ягод округлая, с наибольшей шириной ягод посередине. Конец ягоды округлен. Окраска ягод темно-розовая, но в связи с неравномерным созреванием ягод в грозди, она неравномерная, пестрая, лишь при полном созревании ягод она принимает темно-розовую, почти черную окраску. Кожница тонкая, легко рвущаяся. Мякоть сочная, расплывающаяся. Сок не окрашен. Пруин на ягодах слабо выражен. Вкус ягод простой, несколько кисловатый, без особого сортового аромата. Прочность прикрепления ягод к ножке достаточная. Число семян в ягодах варьирует от 1 до 4. Из 212 ягод было извлечено 482 семени, что составляет на ягоду 2,27 семени.

**Жгя** — местный, малораспространенный сорт винограда дает ординарное, розовое столовое вино и отчасти десертный виноград местного значения. Единичными кустами он распространен почти во всех районах Кахетии и Верхней Имеретии. Основными районами его распространения являются: в Кахетии — Телавский, Гурджаанский и Сигнахский, а в Имеретии — Сачхерский, Чиатурский и Зестафонский, в последних он известен под названием Хитери (синоним сорта Жгя). В указанных районах сорт встречается, в основном, в виде примеси, реже отдельных участков на старых корнесобственных виноградниках колхозов и колхозников. На производстве, ввиду его малого распространения, его урожай перерабатывается вместе с другими красными сортами винограда.


Чистосортное вино из Жгя готовят в Институте виноградарства. Оно характеризуется розовой окраской, слабо развитым сортовым ароматом, легкостью и приятной свежестью.


В целом вино ординарное, слабоградусное, малотельное, легкое, но довольно свежее. По приведенным данным органолептической и химической характеристики сорт наиболее подходит в качестве материала для приготовления качественных коньяков и отчасти в качестве массового купажного материала.

К положительным свойствам сорта относятся его сравнительно высокая урожайность и хорошая относительная устойчивость против грибных болезней, в особенности против оидиума. К недостаткам сорта относятся невысокое качество его продукции, в основном, вина.

В качественных районах Кахетии Жгя в качестве винного сорта не заслуживает внимания. Его с успехом можно рекомендовать для заазиатской полосы Кахетии и Чиатура-Сачхерского районов Имеретии в качестве материала для качественных коньяков и массовых купажных вин.

Сорт в порядке широкого испытания перспективен также для некоторых виноградных районов СССР, в основном, для районов Северного Кавказа. Его, как высокоурожайный и устойчивый сорт, можно рекомендовать в качестве исходного материала для селекционных работ.





## ფაჩხა საფერავი

ფაჩხა საფერავი ადგილობრივი, იშვიათი ვახის ჯიშია, იძლევა წითელ ორდინარულ სუფრის ღვინოს სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის ფაჩხა საფერავის სინონიმები ცნობილი არაა.

**ჯიშის ისტორია.** ფაჩხა საფერავი ადგილობრივი ვახის ჯიშია. თავისი მორფოლოგიური ნიშნებით იგი ყველაზე ნაკლებ წააგავს საფერავს. საფერავის სახელწოდება მას მიღებული უნდა ჰქონდეს წვენის ღია ვარდისფერი შეფერვის გამო, თუმცა ღვინის შეფერვის სიძლიერით იგი საგრძნობლად ჩამორჩება საფერავს, ხოლო ფაჩხა—მტვენების გაფაჩხული ფორმის გამო. ამრიგად, ფაჩხა საფერავს ძალიან შორეული მსგავსება აქვს ნამდვილ საფერავთან, ისინი მხოლოდ ერთი ეკოლოგიური ჯგუფის ვახებად შეიძლება მივიჩნიოთ. მასალა ჯიშის წარმოშობის ადგილისა და დროის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. მისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებების სიძველის ზოგადი შეფასების საფუძველზე იგი ადგილობრივ საშუალო ხნიერების ვახად შეიძლება მივიჩნიოთ.

ჯიშის გავრცელების თანამედროვე არალი ისაზღვრება კახეთის რაიონებით. ყველაზე მეტად ფაჩხა საფერავი გურჯაანის, სიღნაღისა და თელავის რაიონებში მოიპოვება. აღნიშნულ რაიონებში იგი ამკამად თითო-ორი ძირი გვხვდება ძირითადად კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ვენახებში. ფაჩხა საფერავის რამდენიმე ათეული ძირი მოიპოვება მევენახეობის ინსტიტუტის, მისი ფილიალისა და დასაყრდენი პუნქტების საკოლექციო ვენახებში.

## ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური თვალსაზრისით ჯიში აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე სოფ. ვახისუბანში.

**ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ).** ახალგაზრდა მოხარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი ორი-სამი ჯერ კიდევ გაუშლელი ფოთოლაკითურთ ყოველი მხრიდან სქელი აბლაბუდისებრი ბეწვებითაა შებუსუსებული, შეფერილია თეთრი ფლანელის მსგავსად და მკვეთრი ვარდისფერი არაა აქვს შემოვლებული ფოთოლაკების ნაპირების ირგვლივ. მეორე იარუსია ფოთლებზე (4—5—6) ზემოთა მხრიდან შებუსუსება ქრება და ეს მხარე ფოთლისა მომწვანო-მოყვითალო ფერისაა, თანაც ვოლოსფერი არაა დაჰყვება ფოთოლაკების ნაპირების ირგვლივ. ფოთლების ქვედა მხარეზე შებუსუსება შენარჩუნებულია და გამკვრივებულიც, ამის გამო ფოთლის ეს მხარე მოვერცხლისფრო-თეთრი ფერისაა. თვით ყლორტი, გვირგვინის ქვემოთ მდებარე მესამე ფოთლიდან დაწყებული, თხელი აბლაბუდისებრი ბეწვებითაა შებუსუსებული და მუქი მოწითალო-ღვინისფერია.

**ერთწლიანი რქა.** კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მოწითალო-მოპინაკისფერია. მუხლთაშორისები საშუალო სიგრძისაა (10—12 სმ). მუხლები ფერის მხრივ არ გამოირჩევა მუხლთაშორისებისაგან. ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ სუსტადაა გამოსახული.

**ფოთლი.** კარგად განვითარებული ფოთლები (9—12) საშუალო ზომისაა. ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა და უფრო ხშირად ოვალური ფორმისაა კენაა გადახრილი, ვინემ განიერ-ოვალურისაა. ფოთოლი ხუთნაკვეთიანია. ნაკვეთები კარგადაა გამოსახული. მეორეული დანაკვეთვა სუსტადაა გამოსახული და იშვიათადაც გვხვდება. შუა ნაკვეთის წვერის კუთხე სხვადასხვაგვარია—მახვილიდან სწორამდე. უფრო ხშირად შუა ნაკვეთი მახვილკუთხიანია. ფოთლის ზედაპირი ბადისებრ დანაკვეთილია, ქვედა იარუსის ფოთლებზე კი წვრილბურთულბადიანია. ფოთლის ფირფიტა ძაბრისებრადაა მოხრილი, მისი ნაკვეთების ბოლოები ზემოთაა წამოწეული.

მთავარი ძარღვები ფოთლის უკანა მხარეზე ღია მწვანე ფერისაა, განტოტების ადგილთან თხელი აბლაბუდითაა შებუსუსებული და სუსტადაა შეფერილი მოწითალო-ღვინისფერად. ფოთლები ღია მწვანეა.

ზედა ამონაკვეთები ღრმა, იშვიათად ძალიან ღრმა და საშუალო სიღრმის ამონაკვეთებიც გვხვდება. ამონაკვეთების ფორმა საგრძნობლად მერყეობს: გვხვდება ამონაკვეთები დაწყებული ღია მრგვალი ან მახვილფუძიანი შევიწროებულყელიანი ჩანგისმაგვარი ამონაკვეთიდან და გათავებული დახურული მომრგვალო ან ბრტყელფუძიანი კვერცხისმაგვარ თელიანი ამონაკვეთით, მათ შორის ყველა გარდამავალი ფორმის ჩათვლით. უფრო ხშირად კვერცხის ან სამკუთხედისმაგვარ თელიანი წამახვილებული ან მომრგვალო ფუძის მქონე ამონაკვეთები გვხვდება. ზოგიერთ ფოთლებზე ამონაკვეთების ფუძე ცალკბილიანია.

ქვედა ამონაკვეთები ხშირად ნაკლებ ღრმაა. ამონაკვეთების ფორმა მერყეობს მომრგვალო (იშვიათად ბრტყელ ან წამახვილებულ) ფუძიანი, შევიწროებულყელიანი ჩანგისებრი ამონაკვეთიდან დახურულ, მომრგვალო (იშვიათად ბრტყელ ან წამახვილებულ) ფუძიან სამკუთხედისებრ თელიან ამონაკვეთამდე. უფრო ხშირად გვხვდება შევიწროებულყელიანი, ჩანგისმაგვარი ამონაკვეთები, მომრგვალო ან წამახვილებული ფუძიანი. ზოგიერთ ფოთლებზე ხანდახან ამონაკვეთის ფუძე ცალკბილიანია.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა მერყეობს მახვილფუძიან თალისმაგვარიდან დახურულ მახვილფუძიან განიერ ელიფსისებრ თელიან ამონაკვეთამდე. უფრო ხშირად მახვილფუძიანი ჩანგისმაგვარი და თალისმაგვარი ფორმის ამონაკვეთები გვხვდება. ზოგიერთ ფოთლებზე გვხვდება ცალ, იშვიათად წყვილღვინიანი ამონაკვეთები.


ფოთლის მთავარი ნაკვეთები უფრო ხშირად მახვილწვერიანი, გამოზნექილგვერდებიანი კბილებით ბოლოვდება, იშვიათად კბილების ფორმა გუმბათისმაგვარიცაა. გვერდითი კბილები ხერხის კბილებისმაგვარად ცალმხრივ გამოზნექილია ან სამკუთხედისებრია და მახვილწვერიანი და გამოზნექილგვერდებიანი.

ფოთლის ქვედა მხარეზე შებუსუსება საშუალო სისქისაა, იგი აბლაბუდისებრი ბეწვებისა და გრძელი, დახრილი, საშუალო სისქის ჯაგრისებრი ბუსუსებისაგან შედგება.

ფოთლის ყუნწი შიშველია ან (ფუძესთან) თხლადაა შებუსუსებული. ყუნწი ფოთლის შუა ძარღვის ტოლია ან მასზე ოდნავ უფრო გრძელია. ფოთლის ყუნწი მოწითალო-ღვინისფერია ალაგ-ალაგ მომწვანო ზოლები დაჰყვება.

ყვავილი. ყვავილი ნორმალური აგებულებისა, ორსქესიანია. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში ხუთი, იშვიათად ექვსიც, მტვრიანაა, მტვრიანათა ძაფების სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან

1,25—1,50-ს უდრის. ბუტკო მომრგვალო კონუსისებრი ფორმისაა და კარგად განვითარებული ყელი და ორად გაყოფილი ღინგი აქვს.



სურ. 38. ფაჩხა საფერავის ყვავილი.

მტევანი. ფაჩხა საფერავის მტევნები საშუალო ზომისაა. მტევნების სიგრძე მერყეობს 13 სანტიმეტრიდან 22 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 9-დან 13 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის ზომა 18×10 სანტიმეტრს უდრის. უფრო ხშირად მტევნები ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმისაა, იშვიათად იგი კონუსისებრიცაა ან მთლად უფორმოა. მომეტებულ შემთხვევებში მტევნები მხრიანი და დატოტილია, მხრები ხშირად მთავარი მტევნის სიგრძისაა. მტევნები საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად მტევნები თხელიცაა. წვრილმარცვლიანობა ჯიშს საკმაოდ ახასიათებს. განუვითარებელი (დაუსრულებელი) მწვანე მარცვლების ქონა მცირე რაოდენობით თითქმის ყველა მტევანში აგრეთვე დამახასიათებელია ჯიშისათვის.

მტევნის საშუალო წონა მერყეობს 100 გრამიდან 300 გრამამდე, რიგი წლების განმავლობაში მტევნის საშუალო წონა 190—200 გრამს უდრის. ცალკეული კარგად განვითარებული მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 400—500 გრამს. მარცვლების რაოდენობა მტევანში ცვალებადობს 78-დან 134 ცალამდე. სრულ, კარგად განვითარებულ მტევანში, რომელიც 362 გრამს იწონიდა, სულ 213 მარცვალი იყო, ამათში 123 ცალი იყო მსხვილი, ხოლო 90 საშუალო და წვრილი. მტევნის ყუნწი შუა ადგილიდან ფუძისაკენ გახვევებულია და რქის ფერისაა. მტევნის ყუნწის სიგრძე მერყეობს 2,5 სანტიმეტრიდან 4 სანტიმეტრამდე, ხოლო საშუალოდ 3—3,5 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე 5—7 მმ-ს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში დახორკლილია და განიერ-კონუსისებრი ფორმისაა.

მარცვალი. ფაჩხა საფერავის მარცვლები საშუალო ზომისაა. მარცვლების სიგრძე ცვალებადობს 1,4-დან 1,6 სანტიმეტრამდე, ხოლო განი—1,3-დან 1,5 სანტიმეტრამდე. საშუალო მარცვლის ზომა



ფაჩხა საფერავი—Пачха Саперави



1, 55 1, 45 სანტიმეტრია. მარცვლები მომრგვალოა, იშვიათად მოოვალურია. მარცვალი შუაში განი-  
ერია, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს, საკმაოდ სიმეტრიულია.

მარცვლები მუქი ლურჯია, თითქმის შავი. კანი თხელი აქვს და ადვილად შორდება რბილობს, რბილობი  
ძალიან წვნიანია. წვენი ღია ვარდისფერია, გემო მარტივი აქვს, ჯიშური არომატი სუსტადაა გამოხატული.  
მარცვალი თხელი ცვილისებრი ფიფქითაა დაფარული. მარცვლები ყუნწზე საკმაოდ მჭიდროდაა მიმაგრე-  
ბული. წიპწების რაოდენობა მარცვალში ერთიდან 4-მდე მერყეობს, ხოლო საშუალოდ მარცვალში 1, 37  
წიპწა მოდის.

ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებდა მევენ-  
ნახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში სოფ. კურდღელაურში, 4 კილომეტრის დაშორებით  
ქ. თელავიდან.

კურდღელაურში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მერყეობს 132 დღიდან 181 დღემდე, ხო-  
ლო საშუალოდ 157 დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად ცვალებადობს  
ყურძნის მომწიფებისათვის საჭირო აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,838,7 გრადუსიდან 3,531,4 გრა-  
დუსამდე და საშუალოდ 3,153,2 გრადუსს შეადგენს. წლების განმავლობაში ცალკეული ფაზების ცვალე-  
ბადობის დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია ქ. თელავში ჩატარებული დაკვირვების შედეგები.

ფაჩხა საფერავის სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა ქ. თელავში

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღები				სავეგეტაციო პე- რიოდის ხანგრძლი- ობა დღეებში	აქტიურ ტემპერა- ტურათა ჯამი	ნალექები		
		ყურძნის გამოს დასაწყისი	ყვეილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმ- წიფე			სიმწიფის პე- რიოდში	სავეგეტაციო პერიოდში	
ვახეთი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი, სოფ. კურდღელაურში, ქ. თელავის ძალიან დაბლობად იგივე	1938	21/IV	6/VI	15/VIII	20/IX	149	3,147,9	-	-	
	1939	22/IV	3/VI	19/VIII	15/IX	146	2,978,1	-	-	
	1940	18/IV	8/VI	14/VIII	20/IX	160	3,266,0	-	-	
	1941	5/IV	30/V	4/VIII	25/X	173	3,546,0	-	-	
	1942	20/IV	11/VI	19/VIII	5/X	168	3,423,7	-	-	
	საშუალო	-	17/IV	6/VI	14/VIII	23/IX	159	3,272,3	-	-
იგივე	1943	24/IV	10/VI	15/VIII	5/X	164	3,124,2	119,1	481,3	
	1944	22/IV	6/VI	19/VIII	20/IX	152	2,983,1	69,5	393,4	
	1945	25/IV	11/VI	17/VIII	30/IX	159	3,139,6	48,5	367,6	
	1946	18/IV	7/VI	16/VIII	10/IX	146	2,848,9	5,6	553,3	
	1947	3/IV	3/VI	10/VIII	30/IX	181	3,337,6	121,8	565,9	
	1948	30/IV	3/VI	9/VIII	8/X	132	2,838,7	84,5	449,5	
	საშუალო	-	20/IV	6/VI	14/VIII	22/IX	155	3,046,1	74,8	467,9

ცხრილი გვიჩვენებს ცალკეული ფაზების დადგომის ვადების საგრძნობ ცვალებადობას ცალკეული  
წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად.

ამავე ცხრილიდან ჩანს, რომ პირველი (საწყისი) ფაჩხა გაცილებით უფრო ცვალებადობს, ვინემ და-  
ნარჩენი ფაჩხები, ამასთან, ამ ფაჩხის დასაწყისზე დიდადაა დამოკიდებული სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიო-  
ბა; რაც უფრო ადრე იწყება კვირტის გაშლა, მით უფრო მეტია სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა  
და პირიქით. ეს ნათლად ჩანს 1947 და 1948 წლების მაგალითებზე. შემდეგ, ყურძნის სიმწიფის  
ფაჩხის დადგომას და სავეგეტაციო პერიოდში მოსული ნალექების რაოდენობას დიდი გავლენა აქვს ყურ-  
ძნის სავსებით დამწიფებაზე, სახელდობრ, თანაბარ პირობებში რაც უფრო მეტია ნალექების რაოდენობა  
ყურძნის დამწიფებისა და აგრეთვე სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, მით უფრო გვიან დგება  
ყურძნის სრული სიმწიფის ფაჩხა და პირიქით. ყურძნის სრული სიმწიფის ფაჩხის დადგომაც საკმაოდ ცვა-  
ლებადობს. წლების განმავლობაში ამ ფაჩხის დადგომის საშუალო თარიღის მიხედვით ფაჩხა საფერავი სიმ-  
წიფის III პერიოდის ვაჩხის ჯიშების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს.



ფაჩხა საფერავის ერთწლიანი რქები კახეთის ჰაერის პირობებში თავისუფლად ასწრებს 110—120 სანტიმეტრის სიგრძეზე მოაწიფებას ყურძნის სრული სიმწიფის მომენტისათვის. თელავის საკოლექციო ნაკვეთზე ჩატარებული დაკვირვების მიხედვით ფაჩხა საფერავი თავისუფლად შეიძლება დამწიფდეს იმ რაიონებშიაც, სადაც სავეგეტაციო პერიოდი უფრო მოკლეა.

ფაჩხა საფერავი მძლავრად არ იზრდება. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე ჩატარებული დაკვირვებების მიხედვით ვაზის ზრდა-განვითარების თანაბარ პირობებში სხვა რქებისაგან განსხვავებით ფაჩხა საფერავის ზრდის ღონე საშუალოა და შეფასებული.

მოსავლიანობა. ფაჩხა საფერავი უხვმოსავლიანი ვაზის ჯიშია. ვაზისუბნისა და თელავის საკოლექციო ნაკვეთებზე ჩატარებული დაკვირვებების მიხედვით მისი მოსავლიანობა საშუალოზე მაღალია. ჯიშს მსხმოიარობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები აქვს. მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 0,6-დან 1,8-მდე, ხოლო წლების განმავლობაში საშუალოდ უდრის 1,2 მტევანს რქაზე. მტევნის საშუალო წონა მერყეობს 100 გრამიდან 300 გრამამდე და საშუალოდ 190—200 გრამს უდრის. ჯიშის მსხმოიარობის უფრო ზუსტად დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია ქ. თელავსა და ს. ვაზისუბანში წარმოებული დაკვირვებების შედეგები.

**ცნობები ფაჩხა საფერავის მსხმოიარობის შესახებ**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მსხმოიარე რქების რაოდენობა				მტევნების რაოდენობა მსხმოიარე რქაზე	მტევნების საშ. რაოდენ. 1 რქაზე	მტევნის საშუალო წონა	ერთი რქის მსხმოიარობა გრამებით	დატოვებული რქების რაოდენობა 1 ჰექტარზე	განმარტებული მოსავლის პროცენტობა
		ერთმეტე-ნიანი	ორმეტე-ნიანი	სამმეტე-ნიანი	სულ						
თელავის რაიონი, საკოლექციო ცენაზი ქ. თელავში	1941	55,55	22,23	—	77,78	1,64	1,27	182,0	231,14	23,000	64,72
იგივე	1943	53,45	37,91	1,72	93,11	1,44	1,34	202,0	270,68	23,500	77,14
გურჯაანის რაიონი, ს.ოფ. ვაზისუბანი	1942	—	—	—	—	—	1,30	172,0	223,6	43,200	98,83

როგორც ცხრილიდან ჩანს, ფაჩხა საფერავის მსხმოიარე რქების რაოდენობა საკმაოდ დიდია. თელავის პირობებში მისი მოსავლიანობა მერყეობს 64,7-დან 77,1 ცენტნერამდე, ხოლო ვაზისუბანში მისი მოსავლიანობა გაცილებით უფრო დიდია და აღწევს 98,8 ცენტნერს ჰექტარზე. ეს ძირითადად იმით აიხსნება, რომ ვაზისუბანში ვაზების რაოდენობა ჰექტარზე თითქმის ერთიორად უფრო მეტია, ვინემ თელავში და ამასთან ფაჩხა საფერავი, როგორც საშუალო ზრდის ვაზი, ვერ ითვისებს დიდ კვების არეს (3,0 მ<sup>2</sup>), სათანადოდ ვერ იტვირთება და ამიტომ მოსავალსაც შედარებით ნაკლებს იძლევა.

1939 წელს ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთზე ძირების მიხედვით აღრიცხვის შედეგად ფაჩხა საფერავის 31 ძირიდან მიღებული იყო 435 მტევანი, რომელთა წონა 92 კილოგრამს უდრიდა, ე. ი. საშუალოდ ერთ ძირზე 3 კილოგრამამდე. მტევნების რაოდენობა თითო ძირზე მერყეობდა 7-დან 29-მდე, საშუალოდ კი ერთ ძირზე მოდიოდა 14 მტევანი. მტევნის საშუალო წონა უდრიდა 212 გრამს. ამრიგად, თუ ჰექტარზე საშუალოდ 5,000 ძირს ვიანგარიშებთ, მაშინ ჰექტარის მოსავალი 150 ცენტნერს შეადგენს. ამრიგად, ფაჩხა საფერავის საშუალო მოსავლად კახეთის პირობებში (თელავსა და ვაზისუბანში მიღებული მოსავლის მიხედვით) უნდა ვივარაუდოთ 70—80 ცენტნერი ყურძენი 1 ჰექტარიდან.

საკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. საკოვან ავადმყოფობებს ფაჩხა საფერავი კარგად უძლებს. თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვებების მიხედვით მისი გამძლეობა მილდიუმის და ნაცრის მიმართ შეფასებულია საშუალოზე მეტად. განსაკუთრებით კარგად უძლებს ფაჩხა საფერავი ნაცარს. დაკვირვებების წარმოების განმავლობაში სხვა ავადმყოფობათაგან სამეურნეო მნიშვნელობის დაავადება ან დაზიანება შენიშნული არ ყოფილა.

**ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება**

ფაჩხა საფერავი ძირითადად საღვინე ჯიშია, მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება გამოყენებულ იქნას იგი ადგილობრივ მოსახმარებელ სადესერტო ყურძნად. თხელი, მოზრდილი მტევნების გარდა მას ამ მხრივ მიმზიდველი სხვა არაფერი აქვს. ყურძნის მექანიკური და ქიმიური შედგენილობისა და მარცვლის

გემოს მიხედვით ფაჩხა საფერავი საღვინე ვაზის ჯიშია. ნათქვამის დასადასტურებლად ქვემოთ მოყვანილია მტევნის მექანიკური ანალიზის შედეგები.

**ფაჩხა საფერავის მტევნისა და მარცვლის მექანიკური შედეგნილობა**

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	წელი	მტევნის საშუალო წონა	მარცვლების საშ. რაოდენ. მტევანში	ყურძნის შემადგენელი ნაწილები პროცენტობით					100 მარცვლის წონა გრამობით	100 წიწისწონა გრამობით
				მარცვლი	კლერტი	კანი	წიწა	წვენი და რაბილობი		
გურჯაანის რაიონი, სოფ. ვაზისუბანი, თელავის რაიონი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	საშ. 5 წლის	171,8	108	94,12	5,88	10,15	4,17	79,80	149,4	4,2
	1940	201,0	128	94,10	5,90	10,46	4,42	141,9	79,22	4,42

ყურძნის ლაბორატორიულ პირობებში გადამუშავებისას, როგორც მექანიკური ანალიზის შედეგები გვიჩვენებს, ყურძნის წვენის გამოსავლიანობა საკმაოდ მაღალია (აღწევს 80%-ს), ხოლო მაგარი ნარჩენები (კლერტი, კანი, წიწა) შესაბამისად ცოტაა. ყურძნის ნახევრად საწარმოო პირობებში გადამუშავებისას წვენის გამოსავლიანობა შეადგენს 75,24%-ს, ხოლო კაქისა—24, 76%-ს. ასეთი მონაცემები დამახასიათებელია საღვინე ვაზის ჯიშისათვის.

წვენის ქიმიური შედეგნილობა. ფაჩხა საფერავის ყურძნის წვენს არ ახასიათებს შაქრის და გროფების დიდი უნარიანობა, მას კახეთის პირობებში საშუალოზე დაბალი შაქრიანობა და საშუალოზე მაღალი მჟავიანობა ახასიათებს. წლების განმავლობაში ჩატარებული ანალიზის შედეგების მიხედვით მისი შაქრიანობა მერყეობს 16%—19%-ს შორის და იშვიათად 20%-ს აღწევს, ხოლო მჟავიანობა 7%—დან 10%—მდე იცვლება. კახეთის პირობებში ფაჩხა საფერავის შაქრიანობა საშუალოდ 17—18%-ს უდრის, ხოლო მჟავიანობა 8—9%—ს. ცალკეული წლების მიხედვით შაქრიანობა-მჟავიანობის ცვალებადობის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია ყურძნის წვენის ქიმიური ანალიზის შედეგები.

**ფაჩხა საფერავის წვენის შაქრიანობა-მჟავიანობა რთვლის პერიოდში**

მევენახეობის რაიონი და ანალიზის წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	რთვლის თარიღი	შაქრიანობა %-ბით	მჟავიანობა %-ბით	შენიშვნა
გურჯაანის რაიონი, ს. ვაზისუბანი.	1929	—	15,0	10,23	
	1930	—	18,3	8,3	
თელავის რაიონი, ქ. თელავი, მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახი	1939	15/IX	17,6	8,1	
	1940	20/IX	16,6	7,44	
იგივე	1942	5/X	18,0	9,45	
	1943	6/X	18,2	10,0	
	1944	27/IX	20,2	11,7	
	1945	5 X	18,5	13,1	
	1946	14/IX	18,5	10,8	
	1947	4/IX	18,5	7,23	
	1948	11/IX	15,3	8,63	

შაქრიანობა-მჟავიანობის არც ასეთი რაოდენობა და არც მათი შეფარდება არ არის საკმარისი ხარისხიანი ღვინის მისაღებად. რთვლის დაგვიანებით ჩატარების შემთხვევაშიაც კი შაქრიანობა-მჟავიანობის შეფარდება ვერ აღწევს სასურველ დონეს. ამ მაჩვენებლების მიხედვით ჯიშში ორდინარული ან კარგი საკონიაკე მასალის მომცემ ჯიშთა ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს.

ყურძნის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. ფაჩხა საფერავის ყურძნიდან ძირითადად მშრალი სუფრის ღვინო მზადდება. ჯიშის მცირედ გავრცელების გამო წარმოების პირობებში

მისგან ღვინო ცალკე არ მზადდება და იგი საფერავთან ერთად იწურება წითელი სუფრის ღვინის დასამზადებლად. ფაჩხა საფერავისაგან ჯიშური ღვინო მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება. ფაჩხას ღვინო არ არის მაღალი ღირსებისა. იგი შეიძლება დახასიათებულ იქნას, როგორც საკმაოდ შეფერილი, საშუალო ექსტრაქტული, ნაკლებ ჰარმონიული, ხალისიანი ღვინო. საცდელი ღვინის ნიმუშები წარმოდგენილი იყო მევენახეობის ინსტიტუტის ჯიშობრივი ღვინოების ხარისხის შემფასებელი სადეგუსტაციო კომისიის სხდომებზე და იგი შეფასებულ იქნა, როგორც საშუალო ღირსების ორდინარული ღვინო. შემდგომში შეფასებისათვის ამონაწერი სადეგუსტაციო კომისიის სხდომის ოქმიდან.

**ამონაწერი სადეგუსტაციო კომისიის სხდომის ოქმიდან**

მევენახეობის რაიონი და ღვინის დამზადების ადგილი	მოსავლის წელი	სადეგუსტაციო კომისიის სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური შეფასება
გურჯაანის რაიონი, სოფ. ვახაშუბანი	1940	25/XII 1940	6,0	საკმაოდ შეფერილი, კარგად დწენდილი, საშუალო ექსტრაქტულ, არასა-სამოკმოს მაღალი მკვებლობის მქონ ღვინო.

ფაჩხა საფერავის უფრო სრულად დასახასიათებლად ქვემოთ მოყვანილია მისი ღვინის ქიმიური შედგენილობის მაჩვენებლები.

**ფაჩხა საფერავის ღვინის ქიმიური შედგენილობა**

მოსავლის წელი	კუთრი წანა	ალკ-პო-ლი %/ს რით (მოცულობით)	გ რ ა მ ე ბ ი ლ ი ტ რ შ ი								ნაცარი
			საერთო მკვ-ვა	ექსტრაქტა	მქროლავი მკვ-ვა	ღვინის მკვ-ვა	შაქარი	გლიცერინი	ტანინი	ა. მქროლავი მკვ-ვა	
1939	0,9958	7,8	7,17	23,08	0,89	—	0,79	6,48	1,52	—	2,73
1940	0,9987	7,9	8,19	24,08	0,4	4,74	0,7	5,08	2,14	7,69	1,85

ღვინის ორგანოლექტიკური დახასიათების და ქიმიური შედგენილობის მიხედვით ფაჩხა საფერავი შეიძლება საშუალო ღირსების ორდინარული სუფრის ღვინოების მომცემ ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნოს.

სუფრის ღვინის გარდა ფაჩხა საფერავი გამოსადეგია უმთავრესად ხარისხოვანი კონიაკის დასამზადებლად. ყურძნის წვენი ქიმიური შედგენილობის მიხედვით საკონიაკე მასალა ფაჩხასაგან უთუოდ კარგი უნდა მივიღოთ, მისი შედარებით მაღალი მკვებანობა და დაბალი ალკოჰოლიანობა ამის საწინდარია.

**ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება**

ფაჩხა საფერავი ადგილობრივი, მცირედ გავრცელებული ვაჩის ჯიშია, იგი იძლევა ორდინარულ წითელ სუფრის ღვინოს. ჯიში გვხვდება უმთავრესად სიღნაღისა და გურჯაანის რაიონებში თითო-ორლა ძირის სახით, იშვიათად პატარა ნაკვეთებადაც კოლმეურნეობების ვენახებში და კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე. ჯიშის მცირედი გავრცელების გამო წარმოების პირობებში მისგან ცალკე არ ამზადებენ ღვინოს, მას სტვა ჯიშებთან — ძირითადად საფერავთან — ერთად წურავენ ჩვეულებრივი წითელი ღვინის დასამზადებლად. წმინდა ჯიშურ ღვინოს ფაჩხასაგან მხოლოდ მევენახეობის ინსტიტუტში ამზადებენ.

იგი საკმაოდ შეფერილი, საშუალოსხეულიანი, ნაკლებ ჰარმონიული, ოდნავ უხეში, ხალისიანი ღვინოა. თავისი ღირსებების მიხედვით იგი ორდინარული, საშუალო ხარისხის ღვინოა. გარდა ღვინისა, ჯიში პერსპექტიულია ხარისხოვანი საკონიაკე მასალისათვისაც.

ჯიშის დადებითი თვისებებია: მისი შედარებით მაღალი მოსავლიანობა და სოკოვან ავადმყოფობათა, განსაკუთრებით ნაცრის შედარებით კარგი გამძლეობა.

ჯიშის უარყოფითი თვისებებია: მისი პროდუქციის (ღვინის) დაბალი ხარისხი და შაქრის დაგროვების სუსტი უნარი.

კახეთის ხარისხოვანი მელვინეობის რაიონებში, როგორც საღვინე ჯიში, ფაჩხა საფერავი პერსპექტიული არაა. იგი შეიძლება რეკომენდებულ იქნას ძირითადად სიღნაღისა და გურჯაანის რაიონებისათვის, სადაც იგი წინათ იყო გავრცელებული, ძირითადად ხარისხოვანი საკონიაკე მასალის და საკუპავე ღვინის დასამზადებლად და მძიმე, ტლანქი ღვინოებისათვის სიხალისის მოსაცემად.

მევენახეობის დანარჩენი რაიონებისათვის ჯიში შეიძლება რეკომენდებულ იქნას მხოლოდ უმცირეს შემთხვევებში წინასწარ შესწავლისა და გამოცდის შემდეგ მიღებული შედეგების შესაბამისად.

რამდენადაც ჯიში მაღალმოსავლიანია, იგი პერსპექტიულია აგრეთვე სელექციურ მუშაობაში გამოსაყენებლად.

## ПАЧХА САПЕРАВИ

Лист. Вполне развитые листья выше средних размеров (20×5). Листовая пластинка округлой формы, с более частыми колебаниями в сторону овальной, нежели поперек-овальной формы. Лист пятилопастный. Лопастия хорошо выражены. Вторичные лопастия слабо выражены и встречаются редко. Угол оконечной лопасти варьирует от острого до прямого, в большинстве случаев он острый. Поверхность листа сетчато-морщинистая, на листьях нижнего яруса она мелкопузырчатая. Изогнутость листовой пластинки воронковидная с приподнятыми краями вверх, реже изогнутость воронковидно желобчатая. Главные нервы светло-зеленые, а у основания (места расхождения) они опушены слабой паутиной и окрашены в слабо винно-красный цвет. Окраска листьев светло-зеленая.

Верхние вырезки глубокие, реже они средних размеров и очень глубокие. Форма вырезок варьирует от открытых лировидных с суженным устьем, с острым либо округлым (реже плоским) дном до закрытых, с яйцевидным просветом и с заостренным либо округлым дном. Чаще всего вырезки закрытые, с яйцевидным или треугольным просветом и заостренным либо округлым дном. На некоторых листьях встречаются выемки с однозубчатым дном.

Нижние вырезки обычно менее глубоки. По форме они варьируют от открытых лировидных с суженным устьем и с округлым (реже плоским или заостренным) дном до закрытых треугольных с округлым (реже плоским и заостренным) дном. Чаще встречаются открытые лировидные вырезки с суженным устьем и округлым либо заостренным дном. Иногда дно вырезки однозубчатое.

Черешковая выемка по форме варьирует от св-дчатой, с острым дном, до закрытой, с широко эллиптическим просветом и острым дном. Чаще всего встречаются лировидные и сводчатые выемки с острым дном. На некоторых листьях иногда встречаются выемки с одним, реже с двумя шпорцами.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже они куполообразные. Краевые зубцы пиловидные, односторонне-выпуклые либо треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной.

Опушение нижней стороны листа паутинистое, с примесью мягких волосовидных щетинок средней густоты.

Черешок листа голый либо у основания слабо опушен. Черешок равен или несколько длиннее среднего нерва листа. Окраска черешка винно-красная с прозеленью.

Цветок. Цветок нормального строения, обоеполый. Тычинки прямостоячие. Число тычинок в цветке 5, реже их 6. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,25—1,50. Пестик правильной, округло-конической формы с хорошо развитым столбиком и двураздельным рыльцем.

Гроздь. Гроздь средних размеров. Длина гроздей варьирует от 13 до 22 см, при ширине 9—13 см. Размер средней грозди равен 18×10 см. Форма гроздей цилиндрикоконическая, реже она коническая и бесформенная. В большинстве случаев грозди лопастные и крылатые (крылья развиваются часто до вторичных гроздей). В большинстве случаев грозди средней плотности, реже они рыхлые с горошающимися ягодами. Наличие, почти на всех гроздях, небольшого количества недоразвившихся зеленых ягод характерно для сорта. Средний вес гроздей варьирует от 100 до 300 граммов, составляя в среднем за ряд лет 190—200 гр. Отдельные полноценные грозди свободно достигают веса 400—500 гр. Количество ягод в грозди варьирует от 78 до 134 шт. В полноценной грозди весом 362 гр было насчитано 123 крупных и 90 средних и мелких ягод, всего 213 ягод. Ножка грозди от середины к основанию деревянистая, окрашена в цвет чубука (в красновато-желто-бурый цвет). Длина ножки варьирует от 2,5 до 4 см, составляя в среднем 3—3,5 см. Ножка ягоды зеленая, длиной 5—7 мм. Подушечка бородавчатая, широко-конической формы.

Ягода. Ягоды средних размеров. Длина ягод варьирует от 1,4 до 1,6 см, при их ширине 1,3—1,5 см. Размер средней ягоды равен 1,55×1,45 см. Форма ягод округлая, реже она слабо овальная. Наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды закруглен. Ягоды довольно симметричные. Окраска ягод черная, темно-синяя. Кожица тонкая. Мякоть сочная, водянистая. Сок слабо-розового цвета. Вкус простой,

კახეთის ხარისხოვანი მელვინეობის რაიონებში, როგორც საღვინე ჯიში, ფაჩხა საფერავი პერსპექტიული არაა. იგი შეიძლება რეკომენდებულ იქნას ძირითადად სიღნაღისა და გურჯაანის რაიონებისათვის, სადაც იგი წინათ იყო გავრცელებული, ძირითადად ხარისხოვანი საკონიაკე მასალის და საკუბაყე ღვინის დასამზადებლად და მძიმე, ტლანქი ღვინოებისათვის სიხალისის მოსაცემად.

მევენახეობის დანარჩენი რაიონებისათვის ჯიში შეიძლება რეკომენდებულ იქნას მხოლოდ უმცირეს შემთხვევებში წინასწარ შესწავლისა და გამოცდის შემდეგ მიღებული შედეგების შესაბამისად.

რამდენადაც ჯიში მაღალმოსავლიანია, იგი პერსპექტიულია აგრეთვე სელექციურ მუშაობაში გამოსაყენებლად.

## ПАЧХА САПЕРАВИ

*Лист.* ~~Велико развитые листья~~ выше средних размеров (20×5). Листовая пластинка округлой формы, с более частыми колебаниями в сторону овальной, нежели поперек-овальной формы. Лист пятилопастный. Лопастии хорошо выражены. Вторичные лопасти слабо выражены и встречаются редко. Угол оконечной лопасти варьирует от острого до прямого, в большинстве случаев он острый. Поверхность листа сетчато-морщинистая, на листьях нижнего яруса она мелкопузырчатая. Изогнутость листовой пластинки воронковидная с приподнятыми краями вверх, реже изогнутость воронковидно желобчатая. Главные нервы светло-зеленые, а у основания (места расхождения) они опушены слабой паутиной и окрашены в слабо вишневый цвет. Окраска листьев светло-зеленая.

Верхние вырезки глубокие, реже они средних размеров и очень глубокие. Форма вырезов варьирует от открытых лировидных с суженным устьем, с острым либо округлым (реже плоским) дном до закрытых, с яйцевидным просветом и с заостренным либо округлым дном. Чаще всего вырезки закрытые, с яйцевидным или треугольным просветом и заостренным либо округлым дном. На некоторых листьях встречаются выемки с однозубчатым дном.

Нижние вырезки обычно менее глубоки. По форме они варьируют от открытых лировидных с суженным устьем и с округлым (реже плоским или заостренным) дном до закрытых треугольных с округлым (реже плоским и заостренным) дном. Чаще встречаются открытые лировидные вырезки с суженным устьем и округлым либо заостренным дном. Иногда дно вырезки однозубчатое.

Черешковая выемка по форме варьирует от свдчатой, с острым дном, до закрытой, с широко эллиптическим просветом и острым дном. Чаще всего встречаются лировидные и свдчатые выемки с острым дном. На некоторых листьях иногда встречаются выемки с одним, реже с двумя шпорцами.

Зубцы. Оконечные зубцы лопастей треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной, реже они куполообразные. Краевые зубцы пиловидные, односторонне-выпуклые либо треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной.

Опушение нижней стороны листа паутиноистое, с примесью мягких волосовидных щетинок средней густоты.

Черешок листа голый либо у основания слабо опушен. Черешок равен или несколько длиннее срединного нерва листа. Окраска черешка вишневая с прозеленью.

Цветок. Цветок нормального строения, обоюполюй. Тычинки прихлостоячие. Число тычинок в цветке 5, реже их 6. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет 1,25—1,50. Пестик правильной, округло-конической формы с хорошо развитым столбиком и двураздельным рыльцем.

Гроздь. Гроздь средних размеров. Длина гроздей варьирует от 13 до 22 см, при ширине 9—13 см. Размер средней грозди равен 18×10 см. Форма гроздей цилиндрикоконическая, реже она коническая и бесформенная. В большинстве случаев грозди лопастные и крылатые (крылья развиваются часто до вторичных гроздей). В большинстве случаев грозди средней плотности, реже они рыхлые с горошающимися ягодами. Наличие, почти на всех гроздях, небольшого количества недоразвившихся зеленых ягод характерно для сорта. Средний вес гроздей варьирует от 100 до 300 граммов, составляя в среднем за ряд лет 190—200 гр. Отдельные полноценные грозди свободно достигают веса 400—500 гр. Количество ягод в грозди варьирует от 78 до 134 шт. В полноценной грозди весом 362 гр было насчитано 123 крупных и 90 средних и мелких ягод, всего 213 ягод. Ножка грозди от середины к основанию деревянистая, окрашена в цвет чубука (в красновато-желто-бурый цвет). Длина ножки варьирует от 2,5 до 4 см, составляя в среднем 3—3,5 см. Ножка ягоды зеленая, длиной 5—7 мм. Подушечка бородавчатая, широко-конической формы.

Ягода. Ягоды средних размеров. Длина ягод варьирует от 1,4 до 1,6 см, при их ширине 1,3—1,5 см. Размер средней ягоды равен 1,55×1,45 см. Форма ягод округлая, реже она слабо овальная. Наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды закруглен. Ягоды довольно симметричные. Окраска ягод черная, темно-синяя. Кожица тонкая. Мякоть сочная, водянистая. Соки слабо-розового цвета. Вкус простой,

без особого сортового аромата. Восковой налет на ягодах хорошо выражен. Прочность прикрепления ягоды к ножке достаточная. Количество семян в ягоде варьирует от 1 до 4, составляя в среднем 1,37 семени на ягоду.

Пачха саперави — местный, малораспространенный сорт красных вин Кахетии. Название «Саперави» сорт получил, видимо, по слабо-розовой окраске сока, а «Пачха» по раскидистой форме гроздей. Распространен преимущественно в Сигнахском и Гурджаанском районах Кахетии, в основном, в виде единичных кустов, реже маленьких участков на производственных виноградниках колхозов и приусадебных участках колхозников. Ввиду незначительного распространения сорта, чистосортное вино из него не готовят, виноград перерабатывается вместе с другими сортами, в основном, с Саперави на обычное красное вино. Чистосортное вино из Пачха саперави готовят в Институте виноградарства. Вино характеризуется достаточной окраской, средней экстрактивностью и повышенной свежестью. Вкус вина не гармоничный, с некоторой грубостью. В целом вино ординарное, среднего качества. Основываясь на химическом составе сусла Пачха-саперави, его нужно признать более подходящим для приготовления качественных коньяков.

К положительным свойствам сорта относятся его сравнительно высокая урожайность и относительно хорошая устойчивость против грибных болезней.


К недостаткам сорта относятся невысокое качество продукции (вина) и недостаточная сахаристость его сусла.

Сорт можно рекомендовать, в основном, для Сигнахского и Гурджаанского районов Кахетии (районы преимущественного распространения сорта в прошлом), в основном, для приготовления материала для качественных коньяков и в качестве купажного материала для смягчения качества вин других сортов.

Для других виноградных районов СССР, в том числе для Кахетии, Карталинии и других зон, сорт может быть рекомендован после широкого испытания на количество и качество продукции в конкретных условиях той местности, для которой он предназначается по предварительным данным.

Как высокоурожайный сорт, Пачха-саперави перспективен также для селекционных работ в качестве компонента при скрещиваниях.





## ძ ა ლ ლ ი ა რ ჭ ა მ ა

ძალლიარჭამა ადგილობრივი, მცირედ გავრცელებული ვაზის ჯიშია, იგი იძლევა ორდინარულ თეთრ სუფრის ღვინოს.

სინონიმები. მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში და ადგილობრივ მევენახეთა შორის ძალლიარჭამას სხვა სახელწოდება ცნობილი არაა. კახეთის ზოგიერთ რაიონში ამ სახელწოდებას დაბალი ხარისხის ვაზის ჯიშებისათვის იყენებენ. მაგალითად, სიღნაღის რაიონში დიდმარცვალა თავკვერს ძალლიარჭამას ეძახიან.

ჯიშის ისტორია. ძალლიარჭამა ადგილობრივი ვაზის ჯიშია, გავრცელებულია ძირითადად კახეთის ცენტრალურ რაიონებში და სხვაგან არსად გვხვდება. პირველი ცნობა ძალლიარჭამას გავრცელების შესახებ და ჯიშის ძალიან მოკლე დახასიათება მოყვანილია ა. ფირალოვისა და ს. შავერდოვის შრომაში. ძალლიარჭამა მოხსენებულია აგრეთვე რ. ერისთავის ბოტანიკურ ლექსიკონში და იქვე მოცემულია მისი მარცვლების მოკლე დახასიათება. ასეთი უცნაური სახელწოდება ჯიშს მიღებული აქვს მისი პროდუქტის დაბალი ხარისხის გამო. მისი ყურძენი მართლაც დაბალი ხარისხისაა, თუმცა მტევნისა და მარცვლის გარეგნული შეხედულება (დიდი, კონუსისებრი მტევანი, მსხვილი, მრგვალი, სიმწიფისას მკრთალი მოვარდისფრო მარცვალი) მას მიმზიდველს ხდის მომხმარებლისათვის. მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშანთვისებების მიხედვით ჯიში ახლო დგას სხვა კახურ ვაზის ჯიშებთან და მათთან ერთად საერთო წარმოშობისაა.

ძალლიარჭამა მცირედ გავრცელებული ჯიშია, მისი მცირე გავრცელება ძირითადად იმის შედეგია, რომ მარცვლებს არასასიამოვნო გემო აქვს. ამჟამად ძალლიარჭამას თითო-ოროლა ვაზი მოიპოვება გურჯაანის, თელავისა და საგარეჯოს რაიონში, უმთავრესად ძველ უმყნობ ვენახებში.

რამდენიმე ათეული ძირი ძალლიარჭამა გვხვდება მევენახეობის ინსტიტუტის, მისი ფილიალისა და დასაყრდენი პუნქტების საკოლექციო ვენახებში, სადაც იგი დარგულია შესწავლისა და გამოცდის მიზნით.

### ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური თვალსაზრისით ჯიში აღწერილია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე სოფ. ვაზისუბანში.

ახალგაზრდა ყლორტი (15—20 სმ). ახალგაზრდა მოზარდი ყლორტების წვეროები გვირგვინითა და პირველი ორი ფოთოლაკითურთ სქელი აბლაბუდისმაგვარი ბეწვებითაა შებუსუსებული (უფრო ძლიერად ფოთოლაკების ქვემო მხრიდან) და მორუხო-თეთრი ფერისაა. მეორე იარუსის ფოთლები ზემო მხრიდან მონარინჯისფრო-ყვითელია, ხოლო ქვედა მხრიდან — მორუხო-თეთრი. ახალგაზრდა ყლორტი მოწითალო-ღვინისფერია.

ერთწლიანი რქა. ქარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომაზე მორუხო-ყვითელი ფერისა ხდება. რქები წვრილია, მუხლები უფრო მუქადაა შეფერილი. მუხლთაშორისების სიგრძე საშუალოდ 8—10 სანტიმეტრს უდრის. ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ სუსტადაა გამოსახული.

ფოთოლი. კარგად განვითარებული ფოთლები (9—12) საშუალო ან საშუალოზე მცირე ზომისაა (16,5 × 15,5). ფოთლის ფირფიტა ძირითადად მომრგვალოა, ოდნავ გადახრული უფრო ხშირად მოოვალურა, ვინემ განიერ ოვალური ფორმისაა. ფოთლები ხუთნაკვეთიანია, იშვიათად სამნაკვეთიანი ფოთლებიც გვხვდება. ფოთლის ზედაპირი გლუვია, იშვიათად ბადისებრ დანაოჭებულიც. ფირფიტა ძაბრისებრ-ღარისებრადაა მოხრილი. ფოთლის შუა ნაკვეთი მახვილი ან ბლაგვკუთხიანია.

ზედა ამონაკვეთები ცვალებადობს ზეზეურიდან ღრმამდე, ჩვეულებრივ კი საშუალო სიღრმისაა. ხშირად ამონაკვეთების ფორმა ჩანგისმაგვარია, ვიწროყელიანი და მომრგვალოფუძიანი, ან ჩანგისმაგვარია, ცალკილიანი ფუძის მქონე, იშვიათად ნაპრალისებრი და შექრილი კუთხისმაგვარი ამონაკვეთებიც გვხვდება.

ქვედა ამონაკვეთები, როგორც წესი, უფრო ნაკლებ განვითარებული და ნაკლებ ღრმაა, უფრო ხშირად ჩანგისმაგვარი ფორმისაა, ვიწროუცლიანი და მომრგვალოფუძიანი ან ნაპრალისებრია. იშვიათად ჩანგისებრი ამონაკვეთებიც გვხვდება, ცალკილიანი ფუძის ან ოდნავ ჩაქრილი ლანცეტის ფორმის ამონაკვეთის მქონე.


ყუნწის ამონაკვეთის ფორმა საკმაოდ იცვლება. უფრო ხშირად იგი ჩანგისმაგვარია ან ასო V-ს მაგვარია, ან კიდევ მშვილდისებრი ფორმისაა. იშვიათად დახურული ვიწრო ელიფსისებრ-თვლიანი ან ღია დეზებიანი ამონაკვეთებიც გვხვდება.

ფოთლის მთავარი ძარღვები ნემსისებრ წაწვეტებული, სამკუთხედისმაგვარი და, უფრო იშვიათად, გამოხნეჭილგვერდებიანი მახვილწვერიანი ფორმის კბილებით ბოლოვდება. გვერდითი კბილები ხერხის კბილებისებრია ან ცალგვერდგამოხნეჭილი.

ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება თხელი აბლაბუდისებრია. მის ქვეშ მოფენილია საშუალო სისქის ჯაგრისებრი ბუსუსი. საერთოდ შებუსუსება საშუალო სისქისაა.

ფოთლის ყუნწი ფოთლის შუა ძარღვზე მოკლეა, იშვიათად მისი სიგრძისაა. ყუნწი შიშველია და მკრთალი ვარდისფერია, ალაგ-ალაგ მომწვანო ზოლები აქვს ჩართული.

ყვავილი. ყვავილი ნორმალური აგებულებისაა, ორსქესიანი. მტვრიანები სწორმდგომია. ყვავილში 5 ან 6 მტვრიანაა. მტვრიანების ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმალლესთან საშუალოდ 1,25-ს უდრის. ბუტკო კოლბისმაგვარი (კულისმაგვარი) ფორმისაა, კარგად გამოსახული სვეტი და ღინგი აქვს.



სურ. 39. ძალღიარჭამას ყვავილი.

მტევანი. მტევნები საშუალო და საშუალოზე დიდი ზომისაა, მათი სიგრძე მერყეობს საშუალოდ 14-დან 20 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 12-დან 16 სანტიმეტრამდე. საშუალო მტევნის ზომა 18,5×12,5 სანტიმეტრს უდრის. მტევნის ფორმა საგრძობლად იცვლება. უფრო ხშირად განიერ კონუსისებრი და უფორმო მტევნები გვხვდება, იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრი და დატოტვილიც. მტევნის საშუალო წონა 250—300 გრამს უდრის. ცალკეული კარგად განვითარებული მტევნების წონა თავისუფლად აღწევს 700—800 გრამს. მარცვლების რაოდენობა კარგად განვითარებულ მტევანში 310 ცალს აღწევს,

მათში 140 მსხვილი და 170 საშუალო და წვრილია. მტევნები უფრო ხშირად საშუალო სიმკვრივისაა. იშვიათად უფრო მკვრივი ან უფრო თხელი მტევნებიც გვხვდება. მკირეოდენი წვრილმარცვლიანობა დამახასიათებელია ჯიშისათვის. მტევნის ყუნწი მწვანეა, ბალახისებრი, შუა ნაწილიდან ფუძისაკენ იგი ხევდება და რქის ფერს იღებს. მტევნის ყუნწის სიგრძე საშუალოდ 6—7 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის ყუნწი შეფერილია, მისი სიგრძე 0,6—0,8 სანტიმეტრს უდრის. მარცვლის საჯდომი ბალიში განიერ კონუსისებრი ფორმისაა.

მარცვალი. მარცვალი მსხვილი და საშუალოზე მსხვილია, მარცვლის სიგრძე საშუალოდ 1,8-დან 2,0 სანტიმეტრამდე, ხოლო განი—1,85-დან 2,05 სანტიმეტრამდე მერყეობს. საშუალო მარცვლის ზომა 1,9×1,95 სანტიმეტრს უდრის. მარცვალი მომრგვალოა ან ოდნავ შეხნეჭილი. ორივე ფორმის მარცვლები თანაბრად გვხვდება. მარცვალი შუაში განიერია და ბოლო მომრგვალებული აქვს. სავსებით დაწეფებულ ყურძენს მარცვლები ღია ვარდისფერი აქვს. კანი უხეშია და ადვილად შორდება რბილობს. რბილობი ოდნავ მკვრივი, მდნარია. წვენი უფერულია, გემო უბრალო, ნეიტრალური აქვს. მარცვალი თხელი ცვილისებრი ფიფქითაა დაფარული. მარცვლები საკმაოდ მაგრადაა მიმაგრებული ყუნწზე.

წიპწების რაოდენობა მარცვალში ცვალებადობს 1-დან 4-მდე, საშუალოდ მარცვალზე 1,34 წიპწა მოდის.

**ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება**

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებდა მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, სოფ. კურდღელაურში.

კურდღელაურში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა ცალკეული წლების მიხედვით მერყეობს 148 დღიდან 169 დღემდე, ხოლო საშუალოდ 157 დღეს უდრის. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა-





ბაღლიარკმა—Дзаглиარჩაма

ბის შესაბამისად ცვალებადობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2,823,2 გრადუსიდან 3,426 გრადუსამდე, ხოლო საშუალოდ 3,178,5 გრადუსს შეადგენს.

სავეგეტაციო პერიოდისა და მისი მთავარი ფაზების, ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების მიხედვით ცვალებადობის ნათელსაყოფად ქვემოთ მოყვანილია ქ. თელავში წარმოებული დაკვირვების შედეგები.

ეროვნული  
მეტეოლოგიური

**ძალღიარჭამას სავეგეტაციო პერიოდის მსვლელობა ქ. თელავში**

მვეწნახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	წელი	სავეგეტაციო ფაზების დადგომის თარიღი				სავეგეტაციო პერიოდის დღეები	აქტიურ ტემპერატურათა ჯამი	ნ. ლექები	
		ქორტის დასაწყისი	ვევილობის დასაწყისი	სიმწიფის დასაწყისი	სრული სიმწიფე			სარეპროდუქციო პერიოდში	სავეგეტაციო პერიოდში
კახეთი, ქ. თელავი, მვეწნახეობის ინსტიტუტის საკვლეტციო ვ. ნახი	1938	25/IV	6/VI	15/VIII	20/IX	148	3,150,0	—	—
	1939	25/IV	5/VI	20/VIII	25/IX	153	3,139,5	—	—
	1940	14/IV	9/VI	25/VIII	30/IX	169	3,425,9	—	—
	1941	6/IV	3/V	10/VIII	20/IX	168	3,446,4	—	—
	1942	22/IV	14/VI	21/VIII	25/IX	156	3,295,6	—	—
საშუალო . . .	—	18/IV	7/VI	19/VIII	24/IX	159	3,297,4	—	—
"	1913	26/IV	14/VI	18/VIII	10/X	169	3,276,2	148,8	511,0
"	1946	29/IV	14/VI	25/VIII	30/IX	155	3,098,7	47,3	347,1
"	1946	18/IV	10/VI	22/VIII	20/IX	155	3,057,9	0,7	554,0
"	1947	2/IV	5/VI	10/VIII	30/VI I	151	2,823,2	17,9	475,7
"	1948	24/IV	10/VI	14/VIII	18/IX	148	3,067,1	134,2	525,4
საშუალო . . .	—	20/IV	10/VI	17/VIII	21/IX	155	3,064,6	69,7	482,2

როგორც ცხრილიდან ჩანს, სავეგეტაციო პერიოდის ცალკეული ფაზები საგრძნობლად მერყეობს. ყველაზე მეტად საწყისი ფაზა მერყეობს, ყველაზე ნაკლებ — ვევილობის დასაწყისის ფაზა. საშუალო ადგილი უკავია სიმწიფის დასაწყისის და სრული სიმწიფის დადგომის ფაზებს. ამ უკანასკნელის დადგომის ვადის მიხედვით ძალღიარჭამა სიმწიფის III პერიოდის ვაზის ჯიშებს ეკუთვნის.

კახეთის ჰავის პირობებში ძალღიარჭამას ერთწლიანი რქევი ყურძნის სრული სიმწიფის მომენტისათვის თავისუფლად ასწრებენ მომწიფებას და კარგად შემოსული და გახვეებული ხელები ზამთრის ყინვებს. ზემოთ მოყვანილი ფენოლოგიური მონაცემების მიხედვით ძალღიარჭამა თავისუფლად მოასწრებს შემოსულს კახეთზე უფრო გრილჰავიან რაიონებშიაც.

ძალღიარჭამას ვაზების ზრდის ღონე თელავისა და ვაზისუბნის ნაკვეთებზე წარმოებული დაკვირვებების მიხედვით კახეთის სხვა ვაზის ჯიშებთან შედარებით შეფასებულია საშუალოზე სუსტად. სიღნაღის რაიონშიც იგი საშუალოზე სუსტად იზრდება.

**მოსავლიანობა.** ძალღიარჭამამ საკმაოდ მაღალი მოსავალი იცის. აგრონომ ა. ფირალოვისა და ს. შავერდოვის დაკვირვების მიხედვით ძალღიარჭამა მოსავლიან ჯიშებს განეკუთვნება. თელავისა და ვაზისუბნის საკვლეტციო ვენახებში წარმოებული დაკვირვებების მიხედვით ძალღიარჭამას მსხმოიარობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები აქვს. მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი 0,3-დან 1,2-მდე მერყეობს, ხოლო საშუალოდ 0,5—0,6-ს უდრის. მტევნის წონა იცვლება 200-დან 800 გრამამდე, ხოლო საშუალოდ 250—300 გრამს უდრის. ჯიშის მსხმოიარობის უფრო დეტალურად დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია აღრიცხვის შედეგები.

როგორც ცხრილიდან ჩანს (იხ. გვ. 410), გაანგარიშებული მოსავალი მერყეობს 68 ცენტნერსა (თელავში) და 80 ცენტნერს შორის (ვაზისუბანში). ვაზისუბანში უფრო მეტი მოსავლიანობა გამოწვეულია იმით, რომ ვაზების რაოდენობა ჰექტარზე მეტია. ჯიშის მოსავლიანობის შემდგომი გადიდების მიზნით ძალღიარჭამას ვაზებს სუსტი ზრდის შესაბამისად უნდა მიეცეს მცირე კვების არე, ამით ვაზები ზომიერად დაიტვირთება და ნორმალურ ზრდასთან ერთად მისი მოსავლიანობაც გადიდდება. სათანადო მონაცემებისა და მოსავ-

ცნობები ძალღიარქამას მსხმოიარობის შესახებ

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მსხმოიარე ყლორტების %	მტვენების რაოდენობა ერთ მსხმოიარე რქაზე	მტვენების საშუალო რაოდენობა რქაზე	მტვენის საშ. წონა	ერთი რქის მოსავალი გო მებში	დატოვებული რქების რაოდენობა 1 ჰექტარზე	კანადარიშხული ტონაჟი 1 ჰექტარზე
გურჯაანის რაიონი, ს. ვაზისუბანი.	1940	78,0	0,61	0,50	400	200	40,000	80,0
ქ. თელავის მევენახეობის ინსტიტუტი	1942	80,0	0,72	0,6	380	228,0	30,000	68,4



ლის ძირების მიხედვით აღრიცხვის საფუძველზე ძალღიარქამას საშუალო მოსავლად კახეთში უნდა მივიღოთ 70—80 ცენტ. ყურძენი ჰექტარზე.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა, თელავისა და ვაზისუბნის საკოლექციო ვენახებში წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით ძალღიარქამას გამძლეობა სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ კახეთის სხვა ვაზის ჯიშებთან შედარებით, საშუალოდ არის შეფასებული. სხვა ავადმყოფობათაგან სამეურნეო მნიშვნელობის დაზიანებანი დაკვირვების წარმოების განძველობაში შენიშნული არ ყოფილა.

ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

ყურძენის გარეგნობისა და მისი მექანიკური და ქიმიური შედგენილობის მიხედვით ძალღიარქამა როგორც საღვინე, ისე სასუფრე ვაზის ჯიშია.

ძალღიარქამას ყურძენის მექანიკური შედგენილობა ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ძალღიარქამას ყურძენის მექანიკური შედგენილობა

მევენახეობის რაიონი და ანალიზების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	მტვენის საშ. წონა	მარცვლების რაოდენობა მტვერში	ყურძენის შემადგენელი ნაწილები %-ით					100 მარცვლის წონა გრამებით	100 წ. აწის წონა გრამებით
				კლერტი	მარცვლი	კანი	წიწა	რბილობა და წვენი		
კახეთი,	1940	484,3	201	2,8	97,2	8,4	2,2	86,6	233,0	2,86
გურჯაანის რაიონი, სოფ. ვაზისუბანი	1940	741,9	290	2,9	97,1	8,2	1,8	87,1	248,0	3,26
	1940	210,2	57	3,0	97,0	8,0	2,2	86,8	257	2,80

ყურძენის ლაბორატორიულ პირობებში გადამუშავებისას წვენის გამოსავლიანობა საკმაოდ მაღალია, ხოლო მაგარი ნარჩენები (კლერტი, წიწა, კანი) შედარებით ცოტა. ამ მონაცემების მიხედვით ძალღიარქამა საღვინე ჯიშია, ხოლო მტვენების გარეგნობით იგი სადესერტო ყურძენის ჯიშებს უახლოვდება.

ყურძენის გამოყენება და პროდუქციის დახასიათება. ძალღიარქამას მოსავალს იყენებენ მშრალი სუფრის ღვინის დასამზადებლად და ნაწილობრივ ადგილობრივ მოსახმარ სადესერტო ყურძენად. ჯიშის მცირედ გავრცელების გამო წარმოების პირობებში მას სხვა ჯიშებთან ერთად წურავენ. იშვიათად მისგან ცალკეც აყენებენ ღვინოს. ძალღიარქამასაგან სუფთა ჯიშობრივი ღვინო მზადდება მევენახეობის ინსტიტუტში. იგი ორდინარულ, დაბალი ღირსების ღვინოს იძლევა. აგრ. ა. ფირალოვისა და ს. შავერდოვის დახასიათებით ძალღიარქამა სუსტ, წყალწყალა ღვინოს იძლევა. ძალღიარქამას ღვინის საცდელი ნიმუშები მევენახეობის ინსტიტუტის ჯიშობრივი ღვინოების ხარისხის შემფასებელი სადგეუსტაციო კომისიის სხდომებზე მუდამ დაბალ შეფასებას იღებდა. ღვინის ორგანოლექტიკური თვისებების ნაჩვენებლად ქვემოთ მოყვანილია ამონაწერები სადგეუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან (იხ. გვ. 411).

ძალღიარქამას ღვინის უფრო სრულად დახასიათების მიზნით ქვემოთ მოყვანილია ცნობები მისი ქიმიური შედგენილობის შესახებ. ღვინო დამზადებულია მევენახეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზაზე სოფ. ვაზისუბანში.

**ამონაწერები სადევუსტაციო კომისიის სხდომათა ოქმებიდან**

მევენახეობის რაიონი და დაკვირვების წარმოების ადგილი	მოსავლის წელი	სადევუსტაციო კომისიის სხდომის თარიღი	ბალი	ღვინის ორგანოლექტიკური დახასიათება
გურჯაანის რაიონი, ს. ვახუშტაძე	1936	20 I 1937	5,2	მოყვითალო-ჩალისფერი, მცირესხეულიანი, ორდინარული ღვინო
იგივე	1940	25/XI 1940	5,5	კარგად დაწმენდილი, მოყვითალო-ჩალისფერი ღვინო, მოქუთოსკერო იერთ. მცირესხეულიანი, არაპარმონიული, ნეიტრალური ღვინო



**ძალღიარჭამას ღვინის ქიმიური შედგენილობა**

მოსავლის წელი	წონაკუთრი	ალკოჰოლი მოც. % ბით	გრამები ლიტრში									
			საერთო სიმკვავე	ექსტრაქტი	ნაცარი	ნაცრის ტიტრანობა	მქოლავი სიმკვავე	ღვინის ზეჟა	შაქარი	გლიცერინი	ტანიინი	არამქოლავი სიმკვავე
1939	0,9952	7,0	4,95	17,36	1,76	2,94	1,08	2,13	1,68	5,04	0,25	3,60
1940	0,9944	9,9	5,58	18,26	2,77	4,2	0,36	2,5	1,0	5,29	0,37	5,13

ორგანოლექტიკური დახასიათება და ღვინის ქიმიური შედგენილობა ადასტურებს ძალღიარჭამას ღვინის დაბალ ღირსებას. სუფრის ღვინისათვის ჯიში გამოსადეგი არაა, რომ მისი ყურძნის წვეწვს ოდნავ მეტი მკვავიანობა ჰქონდეს. იგი პერსპექტიული იქნებოდა საკონიაკე მასალისათვის. ამ მიმართულებით ჯიშის გამოცდა მაინც საჭიროდ უნდა იქნეს მიჩნეული.

**ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება**

ძალღიარჭამა ადგილობრივი, მცირედ გავრცელებული ჯიშია. იგი იძლევა ორდინარულ სუფრის ღვინოს და ნაწილობრივ ადგილობრივ მოსახმარებელ სუფრის ყურძენს. ჯიში მოიპოვება გურჯაანის, თელავისა და საგარეჯოს რაიონებში თითო-ორი ვაზის სახით უმთავრესად ძველ ვენახებში.

ჯიშის მცირედ გავრცელების გამო მას სხვა ჯიშებთან ერთად წურავენ ჩვეულებრივი სუფრის ღვინის დასამზადებლად. წმინდა ჯიშიური ღვინო ძალღიარჭამასაგან მევენახეობის ინსტიტუტში მზადდება.

ძალღიარჭამას ღვინო მოყვითალო-ჩალისფერია, არმატი ძლიერ სუსტად აქვს გამოსახული, ხოლო გემო ნეიტრალური, ნაკლებ პარმონიული აქვს. ორდინარული ღვინოა, დაბალალკოჰოლიანი და მცირესხეულიანი, გამოსადეგია საკუბაყე და საკონიაკე მასალად.

ჯიშის დადებით თვისებას წარმოადგენს შედარებით მაღალი მოსავლიანობა და სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ შედარებით კარგი გამძლეობა. ჯიშის უარყოფითი თვისებაა მისი პროდუქციის, ძირითადად ღვინის დაბალი ხარისხი.

კახეთის ხარისხიანი მევენახეობის რაიონებში, სადაც მდიდარი და მრავალფეროვანი ჯიშებია გავრცელებული, ძალღიარჭამა მეტად უპერსპექტიუო ჩანს. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ მის შედარებით მაღალმოსავლიანობას და ავადმყოფობათა მიმართ შედარებით კარგ გამძლეობას, იგი შეიძლება რეკომენდებულ იქნას ფართოდ გამოცდის მიზნით ალაზნის მარცხენა მხარეზე, საკონიაკე მასალის მისაღებად.

რადგანაც ჯიში მაღალმოსავლიანია, თანაც დიდი და ლამაზი მტევნები და საშუალოზე მსხვილი, ღია ვარდისფერი მარცვლები აქვს, შეიძლება გამოყენებულ იქნას სასელექციო მუშაობაში, ძირითადად საღვინე და სადესერტო ყურძნის ახალი ჯიშების მიღების მიზნით.

## ДЗАГЛИАРЧАМА



**Лист.** Вполне развитые листья (9—12) средних размеров (17,5×16,5). Листовая пластинка в форме округлая с незначительным колебанием чаще в сторону свальной, нежели поперек - овальной формы. Листья пятилопастные, реже (ни трехлопастные). Лопастни хорошо выражены. Поверхность листа гладкая, реже она бывает сетчато-морщинистой. Листовая пластинка воронковидно-желобчатая с неопределенно-изогнутыми краями. Угол оконечной лопасти острый либо тупой.

Верхние вырезки по глубине рассеченности листовой пластинки варьируют от мелких до глубоких, обычно они бывают средних размеров. Форма вырезок лировидная с узким устьем и округлым дном либо лировидная с однозубчатым дном, реже встречаются вырезки щелевидные либо в виде входящего угла.

Нижние вырезки обычно более мелкие и слабее выражены. В большинстве случаев вырезки имеют лировидную форму, с узким устьем и с округлым дном, либо они щелевидные. Реже встречаются вырезки едва намеченные и лировидные с однозубчатым дном.

Черешковая выемка по форме варьирует от закрытой, с узкоэллиптическим просветом, через стрельчатую, до открытых выемок со шпорцами. Чаще всего встречаются лировидные выемки с заостренным дном, либо V-образные и стрельчатой формы.

**Зубцы.** Оконечные зубцы лопастей по форме треугольные, вытянутые в острие, и треугольные с выпуклыми сторонами и острой вершиной, причем, чаще встречается первая форма, чем вторая. Краевые зубцы треугольно-лировидные либо односторонне-выпуклые.

Опушение нижней поверхности листа слабое, паутинистое с подстилающим щетинистым пушком средней густоты.

Черешок обычно короче, реже равен длине среднего пера. Черешок голый, окраска слабо-розовая с прозеленью.

**Цветок.** Цветки нормального строения, обоюполые. Тычинки прямостоячие. Число тычинок в цветке 5—6. Отношение длины тычиночных нитей к высоте пестика составляет в среднем 1,25. Пестик правильной, колбовидной формы, с хорошо выраженным столбиком и рыльцем.

**Гроздь.** Грозди средних размеров. Длина гроздей варьирует в среднем от 14 до 20 см при ширине 12—16 см. Размер средней грозди равен 18,5×12,5 см. Форма грозди значительно варьирует. Чаще всего встречаются широко-конические и бесформенные грозди, реже цилиндрико-конические и лопастные. Средний вес грозди равен 250—300 гр. Отдельные полноценные грозди свободно достигают веса 700—800 граммов. Число ягод в полноценной грозди равно 310, причем из них 140 крупных и 170 средних размеров. В большинстве случаев грозди средней плотности, реже встречаются более плотные и рыхлые. Наличие небольшого процента горошащихся ягод в грозди характерно для сорта. Ножка грозди травянистая, зеленая, с середины она деревенеет и окрашивается в цвет чубука. Длина ножки грозди в среднем равна 6—7 см. Ножка ягоды обращена, длина ножки равна 0,6—0,8 см. Подушечка широко-коническая, диско-видная.

**Ягода.** Ягоды выше средних размеров либо крупные. Длина ягод варьирует, в среднем от 1,8 до 2,0 см, при ширине 1,85—2,05 см. Размер средней ягоды равен 1,9×1,95 см. Форма ягод круглая либо несколько сплюснутая, обе формы одинаково часто встречаются. Наибольшая ширина ягод лежит посередине, конец ягоды округлен. Окраска ягод светло-розовая. Кожица грубая, легко отделяющаяся от мякоти. Мякоть средней плотности, расплывающаяся. Сок бесцветный. Вкус ягод нейтральный, простой. Прочность прикрепления ягод к ножке средняя. Число семян в ягоде варьирует от 1 до 4, составляя в среднем на ягоду 1,84 семени.

Дзаглиарчама — местный, малораспространенный сорт белых столовых вин Кахетии. Дает простое ординарное столовое вино и отчасти используется на месте в качестве десертного винограда. Название получил в связи с низким качеством его продукции («Дзаглиарчама» в переводе на русский язык означает «собака не ест»). Распространен единичными кустами на старых корнесобственных виноградниках Кахетии, в основном, в районах Телавском, Гурджаанском, Сигнахском и Сагарелжинском.

Ввиду его незначительного распространения, он перерабатывается вместе с другими сортами на обычное столовое вино, чистосортные вина из Дзаглиарчама готовят в Телави в Институте виноградарства.


Вино из Дзаглиарчама соломенно-желтого цвета, сортовой аромат очень слабо развит. Вкус нейтральный, негармоничный. В целом вино слабоградусное, малозэкстрактивное, простое, ординарное.

К положительным свойствам сорта относятся его сравнительно высокая урожайность и относительно хорошая устойчивость против грибных болезней, к недостаткам же — низкое качество его продукции, в основном вина.

В качественных районах Кахетии, при ее богатом и разнообразном сортовом составе, Дзагниарчама не заслуживает внимания. Его, как сравнительно урожайный и устойчивый сорт, после широкого испытания на местах, можно рекомендовать для западной полосы Кахетии для получения коньячного материала и массовых купажных вин.

Как сравнительно урожайный, крупноплодный сорт, с довольно красивыми крупными розоватыми ягодами, он перспективен при скрещиваниях в качестве исходного материала для получения новых сортов винограда.





ამ წიგნში დაწვრილებით აღწერილ 40 ჯიშს გარდა კახეთში გვხვდება აგრეთვე შემდეგი ვაზის ჯიშები:

1. კახური-ქროლა. მოიპოვება თითო-ორიოლა ძირი გურჯაანისა და თელავის რაიონებში. ახასიათებს შემდეგი მორფოლოგიური და სამეურნეო თვისებები: ფოთოლი მომრგვალო, სამნაკვეთიანი აქვს; იშვიათად თითქმის დაუნაკვეთავი ფოთლებიც გვხვდება. ზედა ამონაკვეთები ლანცეტის ან ჩანგისმაგვარი ფორმისაა, ცალკბილიან ფუჩიანი, ყუნწის ამონაკვეთი განიერი, თალისმაგვარი ფორმისაა. ფოთლის ქვედა მხარე შეუბუსუსებელი — შიშველია. ყვავილი მდედრობითი სქესისაა, ჰორიზონტურად, ბორბლის სოლებით განწყობილი მტვრიანების მქონე. მტევანი საშუალო ზომისაა ( $12 \times 8$  სმ), კონუსისებრი ან ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმისაა, ხშირად თხელი ან ძლიერ თხელი, ამასთან, წვრილმარცვლებიანი. მარცვლი საშუალო ზომისაა ( $1,65 \times 1,70$  სმ), შეხნილი ფორმის, იშვიათად მომრგვალოც, მომწვანო-ყვითელი ფერისა. წვიმიან ამინდში იგი აღვილად ზიანდება და ლბება. სამეურნეო თვალსაზრისით ჯიშში საინტერესო არაა; იგი მცირემოსავლიანია და პროდუქციაც დაბალი ღირსებისა აქვს.

2. პატალანთელი მცვივანი (ყვითელი მცვივანი). აღმოჩენილ იქნა პირველად 1939 წელს ვაზისუბნის საკოლექციო ვენახში მწვანის რიგში ერთი ძირი. ადგილობრივი მევენახეების გადმოცემით, წინათ იგი მინარევად გვხვდებოდა პატალანთელ ძველ ვენახში. ჯიშს შემდეგი ნიშან-თვისებები ახასიათებს: ფოთოლი მომრგვალო აქვს, სამ და, იშვიათად, ხუთნაკვეთიანი. ზედა ამონაკვეთები დახურულია, კვერცხისმაგვარ თელიანი; გვხვდება ღია, ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვეთებიც, შევიწროებული ყელის მქონე. ყუნწის ამონაკვეთი ღია ჩანგისმაგვარი ფორმისაა, იშვიათად იგი დახურულია კვერცხისმაგვარი თელით. ფოთლის ქვედა მხარე შეუბუსუსებელია თხელი აბლაბუდისებრი ბეწვებით, რასაც ერთვის საშუალო სისქის ჯაგრისებრი ბუსუსი.

ყვავილი ორსქესიანი აქვს. მტევნები საშუალო ზომისაა ( $16 \times 8$  სმ), კონუსისებრი ფორმისა, მხრიანი, იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმის მტევნებიც გვხვდება. მტევანი საშუალო სიმკვრივისაა. მარცვლი საშუალო ზომისაა ( $1,60 \times 1,50$  სმ), მომრგვალოა, ფერი მორუბო. ყვითელი აქვს, კანი — თხელი და გამჭვირვალე, რბილობი — წვნიანი და წყალ-წყალა. სიმწიფისას მარცვლები აღვილად ცვავა. საკმარისია ვაზის შერხევა, რომ მარცვლები გაცვივდეს. ჯიშში მალაღმოსავლიანია. გამოსადეგია უბრალო ორდინარული ღვინოების ან საკონიაკე სპირტის დასამზადებლად. ამჟამად 10 ძირი დარგულია თელავის საკოლექციო ნაკვეთზე მისი უკეთ შესწავლის მიზნით.

3. ვარდისფერი ყურძენი. ეს ჯიშში პირველად იპოვეს 1932 წელს ქართული ვაზის ჯიშების შეგროვება-ინვენტარიზაციის დროს სოფ. ზემო ხოდაშენში. ამჟამად 10 ძირი დარგულია თელავის საკოლექციო ვენახში.

ჯიშს ახასიათებს ძლიერ დანაკვეთული ფოთლები; მისი ფოთოლი ხუთ, შვიდ და, იშვიათად, ცხრანაკვეთიანია. მეორეული დანაკვეთვა დამახასიათებელია ჯიშისათვის. ზემო ამონაკვეთები დახურულია და კვერცხისმაგვარი თელიანი ან ღია ჩანგისმაგვარია და მომრგვალო ან ბრტყელძირიანი. ყუნწის ამონაკვეთი ჩანგის ან თალისმაგვარი ფორმისაა, მომრგვალოფუძიანი. ფოთლის ქვედა მხარე შეუბუსუსებელია თხელი აბლაბუდისებრი ბეწვებით, ხოლო მის ქვეშ საშუალო სისქის ჯაგრისებრი ბუსუსია მოფენილი. კბილები დიდი, წაწვეტებული, სამკუთხედისებრია. ყვავილი ორსქესიანი აქვს. მტევნების სიგრძე 25 სანტიმეტრს აღწევს, მისი საშუალო ზომა კი  $16 \times 15$  სანტიმეტრს უდრის. მტევნები ცილინდრული ფორმისაა, იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმის მტევნებიც გვხვდება. მტევანი უფრო ხშირად საშუალო სიმკვრივისაა. მარცვლი მომრგვალოა, საშუალო ზომისა. ფერი მუქი ვარდისფერი, თითქმის შავია. კანი თხელი აქვს, რბილობი — მდნარი, წვნიანი. ცვილისებრი ფიფქი საკმაოდ ფარავს მარცვალს. ვარდის-

ფერი ყურძენი საშუალომოსავლიანი ჯიშია. გამოსადეგია სასუფრე ყურძნად და ორდინარული ღვინის მისაღებად. ადრე შემოდის. იგი სიმწიფის მეორე პერიოდის ვაზის ჯიშია. ჯიში პერსპექტიულია გრილპავიან რაიონებში მოსავლიანობისა და ღვინის ხაუნის თვალსაზრისით გამოსაცდელად.

4. თეთრი მსხვილთვალა. გავრცელებულია გარეკახეთში — საგარეჯოს რაიონში. გაშენებულია ინსტიტუტის საკოლექციო და სარებროდუქციო ნაკვეთებზე 50—60 ძირის რაოდენობით.

ფოთოლი დიდი ( $24 \times 23$  სმ), მომრგვალო ფორმისა, ხუთნაკვეთიანი აქვს. ზედა ამონაკვეთები საშუალო სიღრმისაა, ფორმით ლანცეტის ან ჩანგისმაგვარია. ყუნწის ამონაკვეთი ხშირად ღვეტილდისებრი ფორმისაა, იშვიათად იგი დახურულიცაა კვერცხისმაგვარი თვლით. ფოთლის ქვედა მხარე შიშველია ან ძლიერ სუსტი, ჯაგრისებრი ბუსუსითაა დაფარული. ყვავილი ორსქესიანია. მტევანი საშუალო ზომისაა ( $16 \times 6$  სმ). დიდი მტევნების ზომა 24—26 სანტიმეტრს აღწევს. მტევანი ცილინდრული ფორმისაა, იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრისა. წვრილმარცვლიანობა ჯიშს არ ახასიათებს. მარცვალი მსხვილია და ოვალური ფორმისა, გვხვდება მომრგვალო მარცვლებიც. საშუალო მარცვლის ზომა  $2,05 \times 1,80$  სანტიმეტრს უდრის, დიდი მარცვლისა —  $2,23 \times 1,92$  სანტიმეტრს. კანი თხელი აქვს, ხორციან შეზრდილი; რბილობი მკვრივი, კნატუნა, მკირეწვნისაა. მარცვლები მომწვანო ყვითელი ფერისაა. თეთრი მსხვილთვალა საშუალო მოსავლიანი ჯიშია, იგი სასუფრე მიმართულებისაა. მის ყურძენს კარგი გარეგნული შეხედულება აქვს, ხოლო ხარისხით საშუალო ღირსებისაა. მარცვალი ადვილად ლბება, განსაკუთრებით წვიმებიან ამინდში, რაც უკარგავს ჯიშს ფართო გავრცელების პერსპექტივას.

5. ღვინის თეთრი. მოიპოვება თითო-ორი ძირი გურჯაანის რაიონში. 10 ძირი დარგულია ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში. საადრეო ჯიშია, ადგილობრივი ვაზის ჯიშებისაგან საგრძნობლად განსხვავდება. მისი წარმოშობა გაურკვეველია.

ფოთოლი გულისმაგვარი ფორმისა, სამნაკვეთიანი აქვს. დანაკვეთა სუსტია. ვაზის ქვედა იარუსზე გვხვდება თითქმის სრულად დაუნაკვეთავი ფოთლებიც. ყუნწის ამონაკვეთი ღიაა, მშვილდისებრი ფორმისა. ფოთლის ქვედა მხარე შეუბუსუსებელი — შიშველია, მაინც ოდნავ შექმნევა ჯაგრისებრი ბუსუსი, განსაკუთრებით ქვედა იარუსის ფოთლებზე. ყვავილი ორსქესიანი აქვს. მტევანი საშუალოზე პატარა ზომისაა, ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმისა. მარცვალი საშუალო ზომისაა, მომრგვალო ფორმისა, მარცვალი მოქარვისურო-ყვითელია. ადრე მწიფდება. სიმწიფის მეორე პერიოდის ვაზის ჯიშია. მოსავლიანობა კარგი აქვს. ზიანდება ნაცრისაგან. საღვინე ვაზის ჯიშია. იძლევა საშუალო ღირსების თეთრ სუფრის ღვინოს. ჯიში პერსპექტიულია მევენახეობის მთიან რაიონებში გასავრცელებლად. სასურველია გამოიკადოს საბჭოთა შამპანურის დამზადების მიზნით მისთვის შესაფერ რაიონებში.

6. წნორის თეთრი. ჯიში მოიპოვება წნორის-წყალის ვენახებში მინარევის სახით. 10 ძირი გაშენებულია თელავის საკოლექციო ვენახში.

ფოთოლი საშუალო ზომისა, ხუთნაკვეთიანია. ამონაკვეთები დახურულია, თვალი კვერცხისმაგვარი ფორმისა აქვს, იშვიათად იგი ღია ჩანგისმაგვარია და შევიწროვებულყელიანი. ყუნწის ამონაკვეთი ჩანგის ან თალისმაგვარია და წამახვილებულყელიანი. ფოთლის ქვედა მხარე შიშველია, ყვავილი ორსქესიანია. მტევანი საშუალო სიმკვრივისაა, ცილინდრული ან, იშვიათად, ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმისა. მტევნის სიგრძე 20 სანტიმეტრს აღწევს. საშუალო მტევნის ზომა  $17 \times 8$  სანტიმეტრს უდრის. მარცვალი საშუალო ზომისაა ( $1,8 \times 1,6$  სმ) მომრგვალო ან ოდნავ ოვალური. მარცვალი მომწვანო-ყვითელი ფერისაა, სიღამწერის წინწკლები აქვს მზისკენ მიქცეულ მხარეზე. კანი თხელი, მაგრამ მკვრივია, რბილობი საკმაოდ მკვრივი, კნატუნა აქვს, გემო — ჰარმონიული. საშუალო მოსავლიანი ჯიშია. სოკოვან ავადმყოფობებს შედარებით კარგად უძლებს. წურავენ რქაწითელთან ერთად სუფრის ღვინის დასამზადებლად. გამოსადეგია აგრეთვე ადგილობრივ მოსახმარებელ სადესერტო ყურძნადაც. ჯიში შეიძლება რეკომენდებულ იქნეს ფართო შესწავლა-გამოცდის მიზნით კახეთის რაიონებში.

7. ზაქათლის შავი. ჯიში აღწერილია ზაქათლის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ვენახში. იგი იქ გვხვდება მინარევის სახით. ვინაიდან საინგილოს და კახეთის ვაზის ჯიშები საერთო წარმოშობისაა, მათი აღწერა-დახასიათება კახურ ჯიშებთან ერთად არის მოცემული.

ჯიშს ახასიათებს ფოთლების ძლიერი დანაკვეთა და ფირფიტის ბოლოების ძირს დახრა. ვაზი მძლავრად იზრდება. ფოთოლი საშუალო სიდიდისა, ხუთი ან, იშვიათად, შვიდაკვეთიანი აქვს. მეორეული დანაკვეთა დამახასიათებელია ჯიშისათვის. ფოთლის ზედა ამონაკვეთები დახურული, ოვალურთვლიანია, იშვიათად ღია, ჩანგისმაგვარი ფორმისაა. ყუნწის ამონაკვეთი ჩანგის ან თალისმაგვარია, იშვიათად იგი



დახურულია ოვალური თვლით. ფოთლის ქვედა მხარე აბლაბუდისებრადაა შებუსუსებული. ყვავილი ორსქესიანი აქვს. მტევანი თხელი, კონუსისებრი ფორმისა, დატოვილი აქვს, მისი სიგრძე 26 სანტიმეტრს აღწევს. საშუალო მტევნის ზომა  $19 \times 12$  სანტიმეტრს უდრის. მარცვლი საშუალოზე მსხვილი ზომისაა ( $2,0 \times 1,90$ ), მომრგვალო ფორმისა. მარცვლი მუქი იისფერი, თითქმის შავია, კანი თხელი აქვს, რბილობი — წვნიანი. მოსავლიანობა საშუალოა. ჯიში საღვინეა, შეიძლება რეკომენდებულ იქნას ფართოდ გამოსაცდელად კახეთის რაიონებში სუფრის ღვინის და უალკოჰოლო წვენის დასამზადებლად.

8. ზაქათლის თეთრი. მოიპოვება მინარევის სახით ზაქათლის ვენახებში, რამდენიმე მარცვლიდან <sup>შეგულიანო</sup> გულია თელავის საკოლექციო ვენახში.

ჯიში ხასიათდება საშუალო ზომის, სუსტად დანაკეთული გულისმაგვარი ფორმის ფოთლებით. ფოთოლი სამნაკეთიანია, იშვიათად იგი თითქმის მთლიანიცაა. ამონაკეთები ზეზეურია, ლანცეტისებრი ან შეკრილი კუთხისმაგვარი. ყუნწის ამონაკეთი ჩანგისმაგვარია, წამახვილებულფუძიანი და შევიწროებულიყელიანი, იშვიათად იგი დეზიანიცაა. ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია საკმაოდ სქელი ჯაგრისებრი ბუსუსით.

ყვავილი მდებრობითი სქესისაა. მტევანი მეჩხერია, ახასიათებს მარცვალცვენა და წვრილმარცვლიანობა. მტევანი საშუალოზე მცირე ზომისაა, კონუსისებრი ან ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმისა. მარცვლი საშუალო ზომისაა ( $1,8 \times 1,8$  სმ), მომრგვალო. მარცვლი ღია-ყვითელია და მომწვანო იერი დაჰკრავს. კანი თხელი აქვს. რბილობი ლორწოვანია, წიბწები ადვილად არ ეცლება. გემო მომწკლარტო, მაგრამ სასიამოვნო აქვს. ჯიში საშუალოზე მცირემოსავლიანია.

9. კახის თეთრი. გვხვდება თითო-ორჯოლა ძირი კახის რაიონში და ნაწილობრივ მარნეულ-ბოლნისის რაიონშიც (ქვემო ქართლი), რამდენიმე ძირი დარგულია თელავის საკოლექციო ვენახში. ფოთოლი მუქი მწვანე ფერისაა, სამ- ან ხუთნაკეთიანი. ზედა ამონაკეთები დახურულია, ოვალური ფორმის თელიანი, ან ღიაა, ლანცეტისმაგვარი ფორმისა. ყუნწის ამონაკეთი დახურულია, კვერცხისმაგვარი ფორმის თელიანი, იშვიათად იგი ღიაცაა, ჩანგისმაგვარი ფორმისა. ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია თხელი აბლაბუდისებრი ბეწვებით და საკმაოდ სქელი, ჯაგრისებრი ბუსუსით. ყვავილი მდებრობითია. მტევანი თხელი, განიერ კონუსისებრი ფორმისაა. გვხვდება ძლიერ დატოვილი უფორმო მტევნებიც. მარცვლი საშუალოზე მსხვილია, მომრგვალო ან ოდნავ ოვალური ფორმისა. ფერი ყვითელი აქვს, კანი თხელი, რბილობი მკვრივი, კნატუნა აქვს. ძირითადად ღვინისა და საღვინეო მიმართულების ყურძნის ჯიშია. მოსავალი საშუალოზე მცირე იცის.

10. კახის წითელი. ნაპოვნია საინგილოში, სოფ. კახში, ერთი ძირი. ამჟამად გავრცელებულია მევენახეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში.

ფოთოლი საშუალო სიდიდისა, მომრგვალო, ხშირად სამნაკეთიანია, იშვიათად ხუთნაკეთიანიც. ზედა ამონაკეთები საშუალო სიღრმისაა, ხშირად დახურულია უთელოდ, იშვიათად ნაპრალისებრი ან შეკრილკუთხისებრია. ყუნწის ამონაკეთი ჩანგისებრია, წამახვილებულფუძიანი. ზოგჯერ ყუნწის ამონაკეთი დეზიანია. ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია საკმაოდ სქელი აბლაბუდისებრი ბეწვებით, რომელთაც ერთვის სქელი ჯაგრისებრი ბუსუსი და ორივე ერთად ქმნის საკმაოდ სქელ ქეჩისებრ შებუსუსებას. ყვავილი მდებრობითი სქესისაა. მტევნები საშუალო ზომისაა. მტევნები კონუსისებრი ან ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმისაა. მტევნები საშუალო სიმკვრივისაა, მარცვლები საშუალო ზომისა. მარცვლები მომრგვალო ან სუსტი ოვალურია. მარცვალს მუქი წითელი ფერი აქვს, კანი — სქელი, რბილობი — ოდნავ მკვრივი, წვნიანი. ჯიში საღვინე და საღვინეო მიმართულებისაა. მოსავალი საშუალოზე მცირე იცის, პროდუქციის ხარისხი კარგი აქვს. შაქარს 20%-მდე აგროვებს 7-8% მეფიანობის დროს.

11. ბეგლარის ყურძენი. მოიპოვება თითო-ორჯოლა ძირი საინგილოში, ძირითადად სოფ. კახში. იგი ძირი დარგულია ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში.

ფოთოლი საშუალო ზომისა აქვს, სამ ან ხუთნაკეთიანი, მომრგვალო. ფოთლების დანაკეთვა ღრმაა. ყუნწის ამონაკეთი ჩანგისებრი ფორმისაა, იშვიათად იგი მშვილდისებრიცაა. ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია თხელი აბლაბუდისებრი ბეწვებით, რასაც საკმაოდ სქელი ჯაგრისებრი ბუსუსი ერთვის. ყვავილი ორსქესიანი აქვს. მტევნები დიდი ზომისა აქვს ( $20 \times 10$  სმ), კონუსისებრი ან ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმისა, მკვრივი ან საშუალო სიმკვრივისა. მცირეოდენი წვრილმარცვლიანობა დამახასიათებელია ჯიშისათვის. მარცვლი საშუალოზე მსხვილი ზომისაა, მომრგვალო ფორმისა. მარცვლები ყუნწზე



პატალანთეული მცვივანი — Паталантеули Мцвивани

ქვეშ მოფენილია თხლად ჯაგრისებრი ბუსუსი. ყვავილი ორსქესიანი აქვს. მტევნები დიდი, დატოტვილი აქვს, საშუალო სიმკვრივისა, იშვიათად თხელიც. მარცვლი მსხვილი, მომრგვალო ფორმისა აქვს. მარცვლი მუქი წითელია. მარცვლის საჯდომი ბალიში ყუნწიანად წითლადაა შეფერილი. მარცვალი წვნიანია, წყალწყალა. გემო ტკბილი, სასიამოვნო აქვს. უბნომოსავლიანი ჯიშია, იძლევა ნაკლებ შეფერილ შენდისფერ, მკირესხეულიან, მაღალსიმკვრივიან დაბალი ღირსების ღვინოს. ჯიში პერსპექტიულია საკონიაკე მასალის დასამზადებლად და ამ მიმართულებით სასურველია მისი ფართოდ გამოცდა.

16. შავი ჩიტის თვალია. გავრცელებულია კახეთის თითქმის ყველა რაიონის საწარმოო ვენახებში თითო-ორიოლა ძირის სახით. 10 ძირი დარგულია ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში.

ფოთოლი საშუალო ზომისაა, მომრგვალო, უფრო ხშირად სამნაკვეთიანი, იშვიათად როგორც ხუთნაკვეთიანი, ისე სრულიად დაუნაკვეთი ფოთლებიც გვხვდება. ზედა ამონაკვეთები ზეზეური ან საშუალო სიღრმისაა, ღია ჩანგისებრი ფორმისა, ვიწროყელიანი, იშვიათად დახურულიც, ოვალურთვლიანი. ყუნწის ამონაკვეთი ხშირად დახურულია, განიერ-ელიფსისებრი ფორმის თვლიანი, იშვიათად ჩანგისმაგვარი ფორმისაც, მომრგვალოფუძიანი, ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია აბლაბუდისებრი ბეწვებით, რასაც ერთვის სქელი, ჯაგრისებრი ბუსუსი. ყვავილი ორსქესიანია. მტევნები საშუალო ზომისაა (16×7), კონუსისებრი ან ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმისა, მხრიანი. მტევნები უფრო ხშირად საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად უფრო მკვრივი მტევნებიც გვხვდება. მარცვალი მრგვალი ან ოდნავ შეზნექილია, საშუალო ან საშუალოზე მკირე ზომისა. მარცვლის ფერი მუქი წითელი, თითქმის შავი აქვს. რბილობი მკვრივია, კანი ადვილად არ ეცლება რბილობს. გემო ტკბილი, სასიამოვნო აქვს. ჯიში საღვინეა. იძლევა საშუალო ღირსების, საკმაოდ შეფერილ, საშუალოსხეულიან და ზომიერმკვრივიან მსუბუქ წითელ ღვინოს. შედარებით მკირემოსავლიანობის გამო ჯიშმა ფართო გავრცელება ვერ მოიპოვა.

17. მკვრივი ყურძენი. გავრცელებულია თითო-ორიოლა ვაზის სახით სოფ. ნაფარეულში. იშვიათად გვხვდება პატარა ნაკვეთებადაც. ფოთოლი ხუთნაკვეთიანია. დანაკვეთა საშუალო სიღრმისაა. ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა. ზედა ამონაკვეთები ზეზეურია, ფორმის მხრივ შეჭრილი კუთხის ან ჩანგისმაგვარია, მსხვილფუძიანი. ქვედა ამონაკვეთები ნაკლებ განვითარებულია, ლანცეტისმაგვარი ფორმისაა. ყუნწის ამონაკვეთი ღია ჩანგისმაგვარი ფორმისაა, იშვიათად იგი დახურულია, ოვალურთვლიანი, ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია აბლაბუდისებრი ბეწვებით, რომელთაც ერთვის საშუალო სისქის ჯაგრისებრი ბუსუსი. ყვავილი ნორმალური აგებულებისა, ორსქესიანი აქვს. მტევანი ცილინდრული, იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმისაა. მტევნის სიგრძე 20 სმ-ს აღწევს. საშუალო მტევნის ზომა 16×8 სმ-ს უდრის. მტევნები ძლიერ მკვრივი აქვს. მარცვლები საშუალო სიმსხოსია, 1,6×1,5 სმ ზომისა, მომრგვალოა, კანი თხელი აქვს, რბილობი — წვნიანი, მდნარი. მარცვალი მომწვანო-ყვითელი ფერისაა, მოსავლიანი ჯიშია. სოკოვან ავადმყოფობებს — მილდიუმსა და ნაცარს — კარგად უძლებს. გვიან შემოდის. ორდინარული ღვინის ჯიშია. სასურველია გამოიკადოს საკონიაკე მასალის დასამზადებლად.

18. დედათ ყურძენი. გვხვდება ყვარლის რაიონში მინარევის სახით. ფოთოლი საშუალოზე დიდი ზომისაა, მომრგვალო ან ოდნავ წაგრძელებული, ხუთნაკვეთიანი. დანაკვეთა ღრმაა, ზედა ამონაკვეთი ხშირად ჩანგისმაგვარია, ვიწროყელიანი და ბრტყელ ან მომრგვალოფუძიანი, იშვიათად დახურულია და კვერცხისებრი თვლიანი, ქვედა ამონაკვეთები უფრო ნაკლებ ღრმაა, ფორმის მხრივ თითქმის იმგვარივეა. ყუნწის ამონაკვეთი კვადრატული ან თალისმაგვარი ფორმისაა, ფუძე მომრგვალებული აქვს ან შემოფარგლულია მთავარი ძარღვებით. ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია აბლაბუდისებრი ბეწვებით, რომელთაც ერთვის ჯაგრისებრი ბუსუსი. საერთოდ შებუსუსება საშუალო სისქისაა.

ყვავილი ორსქესიანი აქვს. მტევნები საშუალო სიმკვრივისაა, ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმისა, მტევნის სიგრძე 24 სანტიმეტრს აღწევს. საშუალო მტევნის ზომა 18×8 სანტიმეტრს უდრის. მარცვალი საშუალო ზომისაა, მისი სიგრძე მერყეობს 1,6-დან 1,8 სანტიმეტრამდე, ხოლო განი 1,5-დან 1,7 სანტიმეტრამდე. საშუალო მარცვლის ზომა 1,65×1,45 სმ-ს უდრის. მარცვალი ოვალური ფორმისაა, იშვიათად მომრგვალოც. მარცვლები მომწვანო-ყვითელი ფერისაა და უზედაა დაფარული ცვილისებრი ფიფქით. ჯიში საღვინე მიმართულებისაა, საშუალო მოსავლიანი. შედარებით ადრე მწიფდება. იძლევა კარგი ღირსების სუფრის ღვინოს. სასურველია გამოიკადოს კახეთის მევენახეობის მთავარ რაიონებში მოსავლიანობისა და აგრეთვე პროდუქციის ხარისხის შესამოწმებლად.

19. ვაზისუბნის წითელი. მისი გავრცელების არეალი უცნობია. ჯიში პირველად აღმოჩენილი იქნა ვაზისუბნის საკოლექციო ვენახში მინარევის სახით შავი ხარისთვალას რიგში 4 ძირის რაოდენობით.

ფოთოლი სამნაკვეთიანია, ან თითქმის მთლიანი - დაუნაკვეთავი. ზედა ამონაკვეთები ზეზეურია, ლანცეტისებრი ან შეჭრილ კუთხისმაგვარი ფორმისა, იშვიათად ჩანგისმაგვარიცაა და მომრგვალოფუძიანი. ქვედა ამონაკვეთები შეჭრილ კუთხისმაგვარია ან ხშირად სულ არაა განვითარებული. ყუნწის ამონაკვეთი ღრმაა, მწვილდისებრი ფორმისა და წამახვილებულფუძიანი. ფოთლის ქვედა მხარე შიშველია, მაგრამ ქვედა იარუსის ფოთლები საკმაოდ სქელი ჯაგრისებრი ბუსუსითაა დაფარული, ყვავილი ორსქესიანია. მტევანი საშუალო სიდიდისაა ( $14 \times 6$  სმ), ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმისა და ტოტვილი. მტევანი საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად თხელიც. მარცვალი საშუალო ზომისაა ( $1,54 \times 1,54$ ), მომრგვალო, მუქი ლურჯი ფერის, თითქმის შავი, კანი თხელია და ადვილად შორდება წვნიან რბილობს. ჯიშის საშუალო მოსავლიანია. პროდუქციას საშუალო ღირებებისა იძლევა. აგროვებს  $18-20\%$  შაქარს  $7-8\%$  მჟავიანობის დროს. პერსპექტიული ჯიშია. საჭიროა წარმოების პირობებში ფართოდ გამოცდა მოსავლიანობის და ღვინის ხარისხის დასადგენად და შესამოწმებლად.

20. ახმეტური შავი. გავრცელებულია ახმეტისა და თელავის რაიონების ვენახებში მინარევის სახით. ჯიშის წამოღებულია ახმეტიდან 10 ძირი და 10 ძირი დარგულია ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში. ფოთოლი საშუალო სიდიდისა, ხუთნაკვეთიანი აქვს, მეორეული დანაკვეთვა სუსტადაა გამოსახული. ზედა ამონაკვეთები ღია ჩანგისებრი ფორმისაა, იშვიათად გვხვდება დახურული ამონაკვეთებიც ოვალური თვლით. ქვედა ამონაკვეთები მუდამ ღიაა და ლანცეტისმაგვარი ფორმისა. ყუნწის ამონაკვეთი ღიაა და ჩანგისმაგვარი. იშვიათად თალისმაგვარი და დახურული ოვალურთვლიანი ამონაკვეთებიც გვხვდება. ფოთლის ქვედა მხარე შებუსუსებულია თხელი აბლაბუდისებრი ბეწვებით, რომლებიც თითის გასმით ადვილად ითელება და ფიფქებად იშკვება. ყვავილი ორსქესიანია. მტევანი საშუალო ზომისაა ( $15 \times 12$  სმ). მტევანი კონუსისებრი ფორმისაა, დატოტვილი. იშვიათად ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმის მტევნებიც გვხვდება. მტევნები საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად თხელიც. მარცვალი საშუალო ზომისა ( $1,6 \times 1,45$  სმ), ოვალური ფორმის, მუქი წითელი ფერისაა, თითქმის შავი. კანი მკვრივია, რბილობი—წვნიანი. საშუალო მოსავლიანი ჯიშია. პროდუქციის ხარისხი საშუალო ღირებებისა აქვს, აგროვებს  $18-19\%$  შაქარს  $7-8\%$  მჟავიანობის დროს. პერსპექტიულია შესწავლისათვის და ფართო გამოცდისათვის კახეთის რაიონებში.

Броме указанных сортов, в Кахетии произрастают также следующие сорта винограда:

1. Чрога-Кахური (Пестрый-кахетинский). Встречается единичными кустами в Сигнахском и Гурджаанском районах Кахетии.  
Листья округлые, трехлопастные; реже встречаются и почти цельные листья. Верхние вырезки ланцетовидной либо лировидной формы с однозубчатым дном. Черешковая выемка широкая, сводчатой формы. Нижняя сторона листа голая. Цветок функционально женского типа колесообразно расположенными тычинками. Грозди средних размеров ( $12 \times 8$  см), конической либо цилиндро-конической формы. По строению грозди рыхлые, или очень рыхлые с горошающимися ягодами. Ягоды средних размеров ( $1,65 \times 1,70$  см). Форма ягод сплюснутая, реже округлая, окраска ягод зеленовато-желтая. В дождливую погоду ягоды легко гниют и портятся. С хозяйственной точки зрения сорт не интересен — характеризуется малой урожайностью и низким качеством продукции.
2. Мцвивანი-паталантеული (синоним, Квители Мцвивани) (Осыпавшийся—паталантеулский). Впервые этот сорт был обнаружен в Вазисубани в количестве одного куста, как примесь к сорту Мцване на коллекционном участке. По данным местных виноградарей, этот сорт встречался в виде примеси на участке Паталантеули.  
Листья округлые, трех-реже пятилопастные. Верхние вырезки закрытые, с яйцевидным просветом, реже открытые, лировидные, с суженным устьем. Черешковая выемка открытая, лировидной формы, реже она закрытая, с овальным просветом. Опушение нижней стороны листа редкое паутинозное с примесью щетинистого пушка средней густоты. Цветок нормального строения, обоеполый. Грозди средних размеров ( $16 \times 8$  см), конической формы с крылом, реже цилиндро-конической формы. Часто встречаются среднетплотные грозди. Ягоды средних размеров ( $1,6 \times 1,5$  см), по форме округлые. Окраска ягод серо-желтая, свинцовая. Кожица тонкая, провечивающаяся. Мякоть сочная, водянистая. При полной зрелости ягоды легко осыпаются — они очень непрочны сидят на ножках. Сорт урожайный, винный, дает ординарное вино и материал для коньячного спирта. Размножен в количестве 10 кустов для более детального изучения. В условиях Кахетии сорт мало перспективен.
3. В ар ди с п е р и - к у р ღ ზ ე ნ ი (Розовый виноград). Впервые этот сорт был найден в 1932 г. в селе Земеходашени при сборе и инвентаризации грузинских сортов винограда. В данный момент сорт растет на коллекционном винограднике Института в количестве 10 кустов.

Сорт характеризуется сильно рассеченными листьями. Ввиду сильного развития вторичных долей, получаются пяти, семи и даже девятилопастные листья. Верхние вырезки обычно закрытые с яйцевидным просветом, реже они открытые лировидной формы с округлым либо плоским дном. Черешковая выемка лировидной либо сводчатой формы с округлым дном. Нижняя сторона листа опушена редким пятилистным пушком с примесью щетинистого пушка средней густоты. Зубцы крупные, треугольные, выпуклые в острие.

Цветок нормального строения, обоеполый. Грозди достигают до 25 см длины, размер **средних гроздей** равен  $16 \times 5$  см. Форма грозди цилиндрическая, реже она цилиндро-коническая. По строению грозди чаще всего среднеплотные. Ягоды средних размеров, по форме округлые. Окраска ягод темно-розовая, почти черная. Кожича тонкая, мякоть сочная, распыляющаяся. Восковой налет на ягодах хорошо выражен. Сорт средне-урожайный столово-винного направления. Дает обычное розовое вино и десертный виноград местного значения. Сорт сравнительно ранний, созревает в конце второй эпохи. Ввиду раннего созревания, его можно рекомендовать для испытания в сравнительно холодных районах виноградарства на урожайность и качество продукции.

4. Мекхвильтвала тетри (Крупногодный белый). Встречается в Гаре-Кахетии, в основном, в Сагарджинском районе. Размножен на опытных участках Института в количестве 50 — 60 кустов.

Листья крупные ( $24 \times 23$  см), округлые, пятилопастные. Верхние вырезки средней глубины ланцетовидной либо лировидной формы. Черешковая выемка часто открытая, стрелчатая, реже она закрытая с яйцевидным просветом. Нижняя сторона листьев голая либо покрыта редким щетинистым пушком. Цветки обоеполые. Грозди средних размеров ( $16 \times 6$  см). Размер полноценных гроздей достигает 24 — 26 см длины. Форма грозди цилиндрическая, реже она цилиндро-коническая. Ягоды крупные, овальные, достигающие размера  $2,23 \times 1,92$  см, размер средних ягод равен  $2,05 \times 1,80$  см. Кожича тонкая, трудно отделяющаяся от плотной, хрустящей, малосочной мякоти. Окраска ягод зеленовато-желтая, беловатая. Сорт среднеурожайный, столового направления. Грозди внешне довольно декоративны, среднекачественны. Дает десертный виноград местного значения. Ягоды легко гниют, в особенности в дождливую погоду, что значительно сокращает ареал его распространения. Его можно рекомендовать в качестве дополнительного сорта для сравнительно сухих виноградных районов (Тбилиси) для снабжения населения свежим десертным виноградом.

5. Гвинис тетри (Винный белый). Встречается в Гурджаанском районе в виде примеси на старых виноградниках. Размножен на коллекционном винограднике Института в количестве 10 кустов. Сорт ранний, мало походит на местные сорта винограда, происхождение не установлено.

Листья почковидные, трехлопастные. На нижнем ярусе куста встречаются почти цельные листья. Черешковая выемка открытая, стрелчатой формы. Нижняя сторона листа голая, с едва заметным щетинистым пушком на листьях нижнего яруса. Цветок обоеполый. Грозди ниже средних размеров цилиндрической либо цилиндро-конической формы. Ягоды средних размеров, округлые. Окраска ягод желто-янтарная. Сорт ранний. Урожайность хорошая но поражается оидиумом. Сорт винный, дает среднекачественное столовое вино. Перспективен для широкого испытания в сравнительно холодных районах виноградарства на урожайность и качество продукции.

6. Цнорис тетри (Цнорский белый). Встречается единичными кустами на виноградниках Цнорикали. Сорт размножен на коллекционном винограднике Института в количестве 10 кустов.

Листья средних размеров, пятилопастные. Верхние вырезки чаще закрытые, с яйцевидным просветом, реже они открытые, лировидные, с суженным устьем. Черешковая выемка лировидная, либо сводчатая с заостренным дном. Нижняя сторона листьев голая. Цветок обоеполый. Грозди средних размеров ( $17 \times 8$  см) цилиндрической, реже цилиндро-конической формы. Отдельные полноценные грозди достигают 20 см длины. По строению грозди среднеплотные. Ягоды средних размеров ( $1,8 \times 1,6$  см) округлые или несколько овальные. Окраска ягод зеленовато-желтая, с коричневыми пятнами загара с солнечной стороны. Кожича тонкая, но довольно прочная. Мякоть средне-плотная, хрустящая. Вкус приятный, гармоничный. Сорт средне-урожайный, характеризуется относительно хорошей устойчивостью против грибных болезней. Сорт винный, средне-качественный, на местах частично используется в качестве десертного винограда местного значения.

Сорт можно рекомендовать для широкого испытания в основных районах Кахетии на урожайность и качество продукции.

7. Закаталис шави (Закаталский черный). Сорт описан на винограднике Закаталского сельскохозяйственного техникума. Краткое описание сортов с хозяйственной характеристикой Саингило (быв. Закаталского округа) приводится вместе с кахетинскими сортами ввиду их общего происхождения и почти идентичного сортового состава.

Листья средних размеров, пятилопастные, сильно рассеченные, загнутыми вниз краями долей. Ввиду сильного развития вторичных долей, иногда встречаются и семилопастные листья. Верхние вы-

резки часто закрытые, с овальным просветом, реже они открытые, лировидные. Черешковая выемка лировидной, либо сводчатой формы, реже она закрытая, с овальным просветом. Опушение нижней стороны листа паутинистое. Цветок обоеполый. Грозди средних размеров (19 × 12 см) крупные, полноценные грозди достигают 26 см длины.

Грозди конической формы, рыхлые, лопастные. Ягоды средних размеров (2,0 × 1,9 см) округлой формы, окраска ягод темно-синяя, почти черная. Кожица тонкая, мякоть сочная. Урожайность средняя, сорт винный. Сорт может быть рекомендован для некоторых районов Кахетии для приготовления <sup>кабачков</sup> вин и безалкогольных соков.

8. **Закаталис тетри** (Закатальский белый). Встречается единичными кустами на Закатальских виноградниках. Размножен в количестве 10 кустов на коллекционном участке Института.

Листья средних размеров почковидной формы, слабо рассеченные. Чаще она трехлопастные, реже встречаются почти цельные листья. Верхние вырезки мелкие, щелевидные либо имеют форму входящего угла. Черешковая выемка лировидная, с суженным устьем и заостренным дном, редко выемки снабжены шпорцами. Опушение нижней стороны листа довольно густое, щетинистое. Цветки функционально женского типа с закрученными под ностию тычинками. Грозди ниже средних размеров, рыхлые, горошащиеся. Форма грозди коническая, реже цилиндро-коническая. Ягоды средних размеров (1,8 × 1,8 см) округлые. Окраска ягод светло-желтая с зеленоватым оттенком. Кожица тонкая, семена нелегко отделяются от плотной, несколько тягучей мякоти. Вкус несколько вяжущий, но приятный, гармоничный. Сорт ниже средней урожайности винного направления. В условиях Кахетии сорт мало перспективен.

9. **Кахис тетри** (Кахский белый). Встречается единичными кустами в Кахском районе и отчасти в Марнеули-Болнцеском районе. Разведен в количестве 10 кустов на коллекционном участке Института виноградарства.

Листья темно-зеленые, трех либо пятилопастные. Верхние вырезки закрытые, с треугольным просветом, реже открытые, щелевидные. Черешковая выемка закрытая, с овальным просветом, реже она открытая лировидной формы. Опушение нижней стороны листа редкое, паутинистое, с примесью довольно густого щетинистого пушка. Цветки функционально женского типа. Грозди средних размеров (16 × 8 см), рыхлые, широко-конической формы, реже встречаются сильно лопастные, почти бесформенные. Ягоды выше средних размеров (1,6 × 1,5 см) округлые, реже несколько овальные. Окраска ягод зелено-желтая, беловатая. Кожица тонкая, мякоть плотная, хрустящая. Сорт вино-столового направления. Урожайность ниже среднего. Для виноградных районов Кахетии сорт мало перспективен.

10. **Бегларис курдzeni** (Беглара-виноград). Встречается единичными кустами в районах Санигило, в особенности в сел. Кахи. Разведен в количестве 10 кустов на коллекционном винограднике Института.

Листья средних размеров, округлые, трех, либо пятилопастные. Листовая пластинка глубоко рассеченная. Черешковая выемка лировидной, реже она стрелчатой формы. Опушение нижней стороны листа редкое, паутинистое, с примесью довольно густого щетинистого пушка. Цветки обоеполые. Грозди довольно крупные (20 × 10 см), конической, реже цилиндро-конической формы. Грозди плотные, реже они среднеплотные. Ягоды выше средних размеров, по форме округлые. Кожица тонкая, легко отделяется от среднеплотной, несколько хрустящей, рассылающейся мякоти. Окраска ягод желтая, с розовым оттенком, свинцовая. Вкус приятный, освежающий. Ягоды очень прочно сидят на ножках. Сорт поздний, начала четвертой эпохи созревания. Урожайность средняя. Сорт более перспективен для Западной Грузии, нежели для виноградных районов Кахетии.

11. **Кахис цители** (Кахский красный). Встречается единичными кустами в районах Санигило, в сел. Кахи он найден в количестве одного куста. Сорт репродуцирован на коллекционном участке Института в количестве 10 кустов.

Листья средних размеров, округлые, трех, реже пятилопастные. Верхние вырезки средней глубины, часто они закрытые без просвета, реже они щелевидные либо имеют форму входящего угла. Черешковая выемка лировидная с заостренным дном, редко встречаются выемки со шпорцами. Опушение нижней стороны листа довольно густое, паутинистое, с примесью густого щетинистого пушка, в целом опушение слабо-войлочное.

Цветок функционально женского типа. Грозди средних размеров, среднеплотные, конической либо цилиндро-конической формы. Ягоды средних размеров, округлые либо несколько овальные. Окраска ягод темно-красная. Кожица толстая, мякоть несколько плотная, рассылающаяся. Сорт столово-винного направления. Урожайность ниже среднего. Качество винограда хорошее — накопляет до 20% сахара при кислотности сока 7 — 8%. В хозяйственном отношении сорт мало перспективен.

12. **Мцкларта** (Вяжущий). Встречается единичными кустами в Сигнахском районе Кахетии, в основном, в селе Цпорис-Цвали. Разведен в количестве 10 кустов на коллекционном участке Института. Листья трехлопастные, почковидные, слабо рассеченные. Черешковая выемка открытая, сводчатая, реже

она лировидная с округлым дном. Опушение нижней стороны листа редкое, паутиновое, с примесью густого щетиноватого пушка. Зубцы узкотриугольные, с острой вершиной. Цветки обоеполые. Грозди средних размеров (16 × 10 см), узкоконической формы, часто с крылом. По строению грозди довольно плотные. Ягоды средних размеров, округлые. Окраска ягод темно-синяя, почти черная. Кожица грубая, отделяющаяся от плотной, несколько хрустящей мякоти. Вкус обычный, приятный. Урожайность ниже среднего, сорт винный, дает простое ординарное вино. Для виноградных районов Кахетии сорт мало перспективен.

13. Кистаурули цители (Кистаурский красный). Встречается в Ахметском и Телавском районах Кахетии единичными кустами или в виде примеси на старых виноградниках. Разведен в количестве 10 кустов на коллекционном винограднике Института виноградарства.

Листья средних размеров, рассеченные, пятилопастные. Верхние вырезки закрытые, с яйцевидным просветом, реже они лировидные, с суженным устьем. Черешковая выемка открытая, лировидной, реже сводчатой формы. Опушение нижней поверхности листа редкое, паутиновое, с примесью редкого щетиноватого пушка, которые от трения легко сбиваются в хлопья.

Цветок обоеполый. Грозди средних размеров (18,0 × 8,0 см), конической, реже цилиндрической формы. Часто грозди среднеплотные, реже они более плотные. Ягоды средних размеров (1,6 × 1,4 см), овальной формы, реже они округлые. Окраска ягод темносиняя, почти черная. Вкус приятный, гармоничный. Сорт винный, урожайный. Дает достаточно окрашенное легкое ординарное вино с хорошо выраженным сортовым ароматом. Сорт может быть рекомендован для западной полосы Кахетии в качестве дополнительного сорта для приготовления вспячного материала и безалкогольных соков.

14. Чакмашура (Чакмашский). Встречается единичными кустами в Сигнахском районе Кахетии. Сорт описан в сел. Бодбисхеви на винограднике Т. Нацвлишвили.

Листья округлые либо несколько овальные, слабо рассеченные, трехлопастные, реже встречаются и почти цельные листья. Верхние вырезки мелкие, они имеют форму входящего угла. Черешковая выемка чаще сводчатая, реже встречаются выемки лировидной, реже стрелчатой формы. Опушение нижней поверхности листа редкое, паутиновое. Цветки обоеполые. Грозди цилиндрической формы, рыхлые, реже они среднеплотные, достигающие длины 22 см. Размер средней грозди равен 18 × 7 см. Ягоды средних и выше средних размеров, 1,5 × 1,3 см и 2,0 × 1,5 см (соответственно). Форма ягод овальная, окраска ягод темно-синяя, почти черная. Кожица среднеплотная, мякоть несколько плотная, расплывающаяся. Сорт столового направления. Грозди внешне довольно привлекательные. Наличие мелких, недоразвитых ягод в грозди характерно для сорта. Урожайность сорта ниже среднего. Дает десертный виноград местного значения с довольно красивыми гроздьями и ягодами приятного, гармоничного вкуса. Его можно рекомендовать для распространения на приусадебных участках для удовлетворения разнообразного вкуса потребителей свежим виноградом.

15. Гвиние цители (Винный красный). Встречается в виде примеси в Сагареджинском районе, Кахетия на старых производственных виноградниках. Разведен в количестве 10 кустов на коллекционном участке Института виноградарства.

Листья крупные, рассеченные, округлой формы, пятилопастные. Верхние вырезки довольно глубоко закрытые, с эллиптическим просветом. Черешковая выемка лировидной, реже сводчатой формы. Опушение нижней поверхности листа редкое, паутиновое, с примесью редкого щетиноватого пушка. Цветок обоеполый. Грозди крупные, лопастные, среднеплотные, реже они рыхлые. Ягоды крупные, округлой формы. Окраска ягод темно-красная. Подушечка с ножкой, ягоды окрашены в красный цвет. Кожица тонкая, мякоть сочная, водянистая. Вкус приятный, сладкий. Сорт урожайный, дает слабо-окрашенное малоекстрактивное, свежее, простое вино. Сорт можно рекомендовать для испытания в качестве коньячного сорта.

16. Чистивала шави (Чистивала черный). Встречается отдельно стоящими кустами и в виде примеси почти во всех районах Кахетии. Разведен в количестве 10 кустов на коллекционном участке Института.

Листья округлые, средних размеров, трехлопастные, реже встречаются пятилопастные и почти цельные. Верхние вырезки мелкие либо средних размеров, по форме они открытые лировидные, с суженным устьем, реже они закрытые, с овальным просветом. Черешковая выемка чаще закрытая с широко-эллиптическим просветом, реже лировидная с округлым дном.

Опушение нижней стороны листа паутиновое, с примесью густого щетиноватого пушка. Цветки обоеполые. Грозди средних размеров (16 × 7 см), конические либо цилиндрические, крылатые. Часто грозди среднеплотные, реже встречаются и более плотные грозди. Ягоды округлые либо несколько сплюснутые, они среднего и ниже среднего размера. Окраска ягод темно-красная, почти черная. Семена легко отделяются от несколько плотной, тягучей мякоти. Вкус сладкий, приятный. Сорт винный, вино получается средне-экстрактивное, достаточно окрашенное, легкое, столовое. Сорт ниже-средней урожайности. Для качественных винодельческих районов Кахетии сорт мало перспективен.

17. Мквриви курдзени. Встречается единичными кустами и редко отдельными участками в западной полосе Кахетии в сел. Напареули.

Листья округлые, рассеченные, пятилопастные. Верхние вырезки мелкие, лировидные с заостренным дном, реже они имеют форму входящего угла. Нижние вырезки менее глубокие, по форме ланцетовидные. Черешковая выемка открытая, лировидной формы, реже она закрытая, с овальным просветом. Опушение нижней стороны листа паутинистое, с примесью щетиного пушка средней густоты. Цветки обоеполые. Грозди средних размеров ( $16 \times 8$  см), крупные, полноценные грозди свободно достигают 20 см длины. Грозди цилиндрической, реже цилиндро-конической формы, по строению плотные и очень плотные. Ягоды средних размеров ( $1,6 \times 1,5$  см). Кожица тонкая, мякоть сочная, расщепляющаяся. Окраска ягод зеленовато-желтая. Сорт урожайный, относительно хорошо устойчив против грибных болезней. Сорт позднего созревания, конца 3 го периода. Дает ординарное столовое вино. Сорт перспективен для коньячного производства.

18. Дедат-курдзени. Встречается в виде примеси в западной полосе Кахетии, в сел. Кварели. Листья выше средних размеров, округлые или несколько овальные, пятилопастные, глубоко рассеченные. Верхние вырезки лировидные, с суженным устьем и плоским либо округлым дном, реже они закрытые, с яйцевидным просветом. Нижние вырезки менее глубокие, по форме почти те же самые. Черешковые вырезки квадратные либо сводчатой формы, с округлым дном, реже дно вырезки ограничено главными нервами. Опушение нижней стороны листа паутинистое, с примесью щетиного пушка, в целом опушение довольно густое. Цветок обоеполый. Грозди среднеплотные, цилиндрической либо цилиндро-конической формы. Размер гроздей средний  $18 \times 8$  см, отдельные полноценные грозди достигают длины 24 см-ов. Ягоды средних размеров ( $1,65 \times 1,45$  см) овальной, реже округлой формы. Окраска ягод зеленовато-желтая. Восковой налет на ягодах обильный. Урожайность сорта средняя. Созревает сравнительно рано. Сорт винный, вино получается довольно хорошего качества. Его можно рекомендовать для широкого испытания в основных виноградных районах Кахетии на количество и качество урожая.

19. Вазисубнис цители (Вазисубанский красный). Ареал распространения сорта не установлен. Сорт был выявлен в Вазисубани на коллекционном винограднике Института как примесь к сорту Хариствала шави, взятого из села Кандоли (Телавский район).

Листья слабо рассеченные, трехлопастные либо почти цельные. Верхние вырезки мелкие, ланцетовидные либо имеют форму входящего угла, реже они лировидные с округлым дном. Нижние вырезки мелкие, имеют форму входящего угла, часто они совершенно отсутствуют. Черешковая выемка глубокая, стрелчатая с заостренным дном. Нижняя сторона листьев голая, лишь на листьях нижнего яруса она опушена довольно густым щетиным пушком. Цветок обоеполый. Грозди средних размеров ( $14 \times 6$  см), лопастные, цилиндрической, реже цилиндро-конической формы. По строению грозди средне-плотные, реже они рыхлые. Ягоды средних размеров ( $1,54 \times 1,54$  см), округлые. Окраска ягод темно-синяя, почти черная. Кожица тонкая, она легко отделяется от сочной мякоти. Урожайность сорта средняя, качество продукции среднее, накапливает сахара до  $18 - 20\%$ , при кислотности  $7 - 8\%$ . Перспективен для испытания в производственных условиях на урожайность и качество продукции.

20. Ахметури шави (Ахметский черный). Встречается в Ахметском и Телавском районах в виде примеси на старых корнесобственных виноградниках. Разведен на коллекционном участке Института в количестве 10 кустов.

Листья средних размеров, пятилопастные. Вторичные лопасти слабо выражены. Верхние вырезки открытые, лировидной формы, реже они закрытые, с овальным просветом. Нижние вырезки открытые, щелевидной формы. Черешковая выемка открытая, лировидной, реже сводчатой формы, либо закрытая с овальным просветом. Опушение нижней поверхности листа паутинистое, которое от трения легко сбивается в хлопья. Цветки обоеполые. Грозди средних размеров ( $15 \times 12$  см), лопастные, конической, реже цилиндро-конической формы. По строению грозди среднеплотные, реже они рыхлые. Ягоды средних размеров ( $1,6 \times 1,45$  см) по форме овальные. Окраска ягод темно-красная, почти черная. Кожица плотная, мякоть сочная.

Урожайность средняя, качество продукции хорошее, накапливает сахара до  $18 - 19\%$ , при кислотности  $7 - 8\%$ . Его можно рекомендовать для широкого испытания на урожайность и качество продукции в основных виноградных районах Кахетии.







### გამოყენებული ლიტერატურა

ვახუშტი—საქართველოს გეოგრაფია. ქ. თბილისი, 1941 წ.

ალ. ჯავახიშვილი—საქართველოს გეოგრაფია ტ. I, გეომორფოლოგია. თბილისი, 1926 წ.

ივ. ჯავახიშვილი—საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტფილისი, 1934 წ.

ნ. კეცხოველი—საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები. ქ. თბილისი, 1935 წ.

ნ. კეცხოველი—საქ. მცენარეული საფარი ვახუშტის მიხედვით. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები ტ. I, თბილისი, 1947 წ.

ლ. ჯორჯაძე—მევენახეობა და ღვინის დაყენება, კეთება და გაუმჯობესება. ქ. თბილისი, 1876 წელი.

მ. პეტრიაშვილი—მეღვინეობა, ქ. თბილისი, 1895 წელი.

ს. ჩოლოყაშვილი—მევენახეობის სახელმძღვანელო. წიგნი II. ამპელოგრაფია. ქ. თბილისი, 1939 წელი.

ს. ჩოლოყაშვილი და ჩახნაშვილი—მასალები ქართული ვახის ჯიშების შესწავლისათვის. ექსპ. აგრონომიის მოამბე, წიგნი I. თბილისი, 1929 წ.

ა. ხომეხურაშვილი და ელ. ერისთავი—საქართველოს ადგილობრივი ხილის ჯიშები, ქ. თბილისი, 1939 წ.

ბ. მახარაძე—ვახის ზოგიერთი ჯიშების ფილოქსერის წინააღმდეგ სწავდასხვა გამძლეობის დამოკიდებულება ფესვთა სისტემის ანატომიური აგებულებისაგან. ექსპ. აგრო. მოამბე. თბილისი, 1929 წ.

კ. მოდებაძე—„მეღვინეობა“ წიგნი I, ქ. თბილისი, 1948 წ.

კ. მოდებაძე—საქართველოს მეღვინეობის რაიონები, ექსპერიმენტი. აგრონომიის ინსტიტუტის მოამბე. წიგნი B. ქ. თბილისი, 1929 წ.

ს. დურმიშიძე—ტანინის განსახლება წითელ ყურძენსა და ღვინოში“ მევენახეობის ინსტიტუტის შრომები, ტომი IV, 1948 წელი.

ვ. დემეტრაძე—მასალები დასავ. საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის მრეწველობის დარაიონებისა და სპეციალიზაციისათვის, ქ. ქუთაისი 1936 წ.

ვ. ქანთარია და მ. რამიშვილი—მევენახეობის სახელმძღვანელო. სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოცემა. ტექნიკა და შრომა. თბილისი, 1948 წ.

მ. რამიშვილი—გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვახის ჯიშები. ტექნიკა და შრომა, ქ. თბილისი, 1948 წელი.

დ. ტაბიძე—ვახის ჯიშები საბჭოთა შამპანურისათვის. ქ. თბილისი, 1941 წ.

დ. ტაბიძე—საქართველოს ვახის ჯიშების სტანდარტული ასორტიმენტი და მისი დადგენა-დაზუსტების წესები. მევენ-მეღვინეობის ინსტიტუტის შრომები, ტომი IV, ქ. თბილისი, 1948 წელი.

ალ. შირთაძე—რაქა-ღვინის ვახის ჯიშები. ქ. თბილისი, 1939 წ.

ვ. ლოლაძე—ვახის საწარმოო ვახის ჯიშების კვლევები. მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, ქ. თბილისი, 1946 წელი.

ბ. დომბროვსკი—ვახის კლიმატური მემოხილვა, ქ. თბილისი, 1929 წ.

ი. ჭახეჩილაძე—კლიმატოლოგია, ნაწილი I. ქ. თბილისი, 1934 წ.

მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი. ინსტიტუტის მუშაობის წლიური ანგარიშები, 1930-1949 წელი, თელავი. ხელნაწერი.

ქ. შარდენი—მოგზაურობა საქართველოში 1672-1678 წლებში. ვ. ბარნოვის თარგმანი. სახელგამო, 1935 წელი.

Коллектив авт. Ампеლოграфия СССР, Пищепромиздат, Москва 1946 г.

Абесады К. В., Макаревская Е. В., Цхакая К. Е.—Зависимость различной степени филлоксероустойчивости грузинских сортов виноградных лоз от развития анатомической структуры их корневой системы. Записки научно-прикл. отделов Тифлис. ботанич. сада выпуск VIII, Тифлис, 1920 г.

Аверкин П.—Ампеლოграфическое описание некоторых сортов винограда. Вестник виноделия № 8, 1902 г.

Андрюшков И. З.—Отчет о деятельности Кав. филлоксерного Комитета в 1890 г. Тифлис, 1891 г.

Биласс М.—Виноделие в России. Историко-стат. отчет за 1895 г. (Черноморский округ), СПб 1895 г.

Болгарев П. Т. проф. и Рубина В. А.—О морозоустойчивости некоторых сортов винограда в условиях предгорья Крыма. Виноделие и Виноградарство СССР, № 5, 1889 г.

Бузин Н. П. и Кавтария В. И.—Влияние зеленых операций на уменьшение осыпания цвета и ягод и повышение урожайности винограда. Труды Зак. Ин-та Вин, том I. Тбилиси 1936 г.

Бурджанадзе В. Ф.—Увографическая характеристика кахетинских сортов винограда. Телав, 1937 г. (рукопись).

Геевский В. К. и Шарер—Краткий очерк садоводства Закавказья. Труды Кавк. об-ва сельхоз. Тифлис, 1885 г.

Герасимов М. А. проф.—Виноделие. Пищепромиздат. Москва, 1942 г.

Герасимов М. А. проф.—Опытное виноделие в Магараче. Вест. вин Украины № 11, Одесса, 1928 г.

Гидрометиздат—Мировой агрономический справочник. Москва—Ленинград, 1928 г.

Гоголь-Яновский Г. И. проф.—Руководство по виноградарству, Москва—Ленинград, 1928 г.

Гусаков А.—Методы подрезки, ускоряющие восстановление и плодоношение винограда, сильно пострадавшего от морозов. Кировабад, 1936 г.

Давитая Ф. Ф.—Климатические зоны винограда СССР. Гидрометиздательство, Москва—Ленинград, 1938 г.

Егоров А. А.—Откровение о кахетинском вине. Сборник посвященный В. Таврову. Одесса, 1925 г.

- Егоров А. А.—Вина Кахетии. Вестник виноделия Украины № 8, 1926 г.  
Зиссерман—25 лет на Кавказе. СПб, 1879 год.  
Канделаки В. А.—„Грузинские вина“ газ. Заря Востока от 28/III 1937 г. Тбилиси.  
Кантария В. И.—Хирургия плод. виноградного куста в развитии теории и практики (рукопись, 1949 г.).  
Кандуралов П. Г.—Очерк виноградарства и виноделия в Карталинни. Тифлис, 1897 г.  
Кварацхелия Ф. К.—Западно-грузинские сорта винограда. Кутаиси, 1936 г.  
Кварцани С.—Виноградарство и виноделие в Тифлисском уезде. Кавк. сельхоз. 1895 г. № 63 Тифлис.  
Кварцани С.—Болезни винограда. Кавк. об. с. хоз-ва № 84, Тифлис, 1895 г.  
Коржинский С. И. акад.—Ампелография Крыма, СПб, 1912 г.  
Лазаревский М. А.—Методика ампелографических описаний. Издание Закавказ. ин-та Вино, Тбилиси, 1936 г.  
Лысенко Т. Д. акад.—Агробиология. Москва, Сельхозизд. 1949 г.  
Леонов—Виноград в исторические времена, „Русский винодел“ № 10-11, 1887 г. СПб.  
Мичурин И. В.—Итоги шестидесятилетних работ. Огиз-Сельхозгиз, Москва, 1936 г.  
Модебадзе К. проф.—Анализы вин Кахетии. Труды лаборатории при Сакарском питомнике амер. лозы. Вып. VII, Тифлис 1914 г.  
Мержанян А. С.—Виноградарство—Огиз-Сельхозгиз. Москва, 1939 г.  
Негруль А. М.—Сортовое районирование виноградарства СССР. Вопросы виноградарства. Труды ВАСХНИЛ, Москва, 1936 г.  
Негруль А. М.—Эволюция культурных форм винограда. Доклады Акад. Наук, том XVIII, № 8, 1938 г.  
Пиралов А. С. и Шавердов С. Б.—Очерк виноградарства и виноделия Кахетии. Сб. свед. по вин. и винод. на Кавказе, вып. VII, 1896 г. Тифлис.  
Сабашвили М. Н.—Почвы Грузии. Из-во АН Груз. ССР, Тбилиси, 1948 г.  
Саникидзе А. С.—Почвы Кахетии, Тбилиси, 1941 г.  
Селянинов Г. Т. проф.—Климат. хар-ка субтропических многолетников. Материалы по агро-климат. районир. субтропиков СССР. Ленинград, 1936 г.  
Табидзе Д. И.—Районы виноградарства Кахетии. Тбилиси, 1940 г.  
Табидзе Д. И.—Сортовой состав виноградных насаждений Грузинской ССР. 1936 г. (Рукопись).  
Ховренко М. А.—Общее виноделие. Комитет вин. Московского о-ва сельск. хоз-ва, Москва, 1909 г.  
Шатский А. Л.—Материалы к познанию климата бассейна реки Алазани ч. I, Кахетия, Тифлис, 1934 г.  
Келенджеридзе К.—Климатический очерк Кахетии, Тифлис, 1936 г. (Рукопись).  
Чолокашвили С. М.—К перспективам развития виногр. и виноделия в Грузии. Экономист Грузии, 1929 г.



რედაქტორისაგან . . . . .	1
წინასიტყვაობა . . . . .	3
შესავალი . . . . .	9
კახეთი . . . . .	13
კახეთის ვახის ჯიშების დარაიონება და რაიონების სპეციალიზაცია ყურძნის მონარება-გადამუშავების ძამაროულების მიხედვით . . . . .	41
საფერავი . . . . .	69
რქაწითელი . . . . .	83
კახური მწვანე . . . . .	103
ნიბვი . . . . .	116
ინატიტუტის გრძელმტევანა . . . . .	127
ქისი . . . . .	137
ჩიტისთვალა . . . . .	146
შავი ბუდეშერი . . . . .	156
სიმონასეული . . . . .	166
ბურა . . . . .	176
უბაკლური . . . . .	187
ინგილოური . . . . .	195
კახური მკვიდანი . . . . .	203
საფენა . . . . .	213
კახური ცხენისძეძე . . . . .	222
სირგულა . . . . .	230
თეთრი კუმსი . . . . .	238
მზარგრძელი . . . . .	247
ყვითელი მზარგრძელი . . . . .	256
წიბნური . . . . .	262
ოქროული . . . . .	269
კურკენა . . . . .	277
მარხანული . . . . .	285
შავთხილა . . . . .	292
მალრანული . . . . .	298
აღრეულა მკვიდანი . . . . .	302
კახური ღრუბელი . . . . .	308
შავი კუმსი . . . . .	317
ყვითელი კუმსი . . . . .	325
თეთრი ხარისთვალა . . . . .	333
შავი ხარისთვალა . . . . .	341
კახური თათა . . . . .	348
პატალანოვული თავკერი . . . . .	355
საფერავისებრი თავკერი . . . . .	363
დიდმარცვალა თავკერი . . . . .	371
შავი ყურძენი . . . . .	379
ვარდისფერა . . . . .	386
ქლია . . . . .	391
ფაჩა საფერავი . . . . .	399
ძალღარკმა . . . . .	407
მცირედ გავრცელებული ჯიშები . . . . .	414
გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	424

От редактора . . . . .	стр. 2
Предисловие . . . . .	6
Краткий очерк виноградарства Кахетии . . . . .	55
Саперави . . . . .	84
Ркацителა . . . . .	101
Мцване-Кахური . . . . .	114
Хихვი . . . . .	125
Грძელმთვანა ისტაგულა . . . . .	135
ქისი . . . . .	145
Читистვალა . . . . .	154
შავი ბუდეშური . . . . .	164
Симонасеული . . . . .	173
Буера . . . . .	185
Убаклური . . . . .	193
Ингилоური . . . . .	201
Мцванანი Кахური . . . . .	211
Сапена . . . . .	220
Цхენისვუდუ Кахური . . . . .	228
Сиргула . . . . .	236
Кумси Тетри . . . . .	245
Мхарგრძელი . . . . .	254
Квитელი-Мхарგრძელი . . . . .	260
Цобенურა . . . . .	267
Окроლა . . . . .	275
Куркена . . . . .	283
Мирзანული . . . . .	290
Шавтხილა . . . . .	293
Магранული . . . . .	300
Мцванანი Адреულა . . . . .	306
Грубела Кахური . . . . .	315
Кумси Шავი . . . . .	323
Кумси Квитელი . . . . .	331
Харистვალა Тетри . . . . .	339
Харистვალა Шавი . . . . .	346
Тита Кахური . . . . .	353
Паталантеული Тавквери . . . . .	361
Саперавისებრი Тавквери . . . . .	369
დიდმარცვალა Тавкერი . . . . .	377
შავი ბურძენი . . . . .	384
Вардисპერა . . . . .	389
Жгია . . . . .	397
Пачха Саперави . . . . .	405
Дзаглиარчама . . . . .	412
Малораспространенные сорта . . . . .	414





ქართული  
ბიბლიოთეკა

გამომც. რედაქტორი დ. კაკაბაძე  
ტიქრედაქტორი დ. შივიძე  
გარეკანი მხატვ. ა. კანდელაკის

№ 11122

შევ. № 1843

ტირაჟი 3000

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23 XII-53 წ. ანაწილის ზომა 10×15, ქალაქის ზომა 70×92. სასტამბო ფურცელთა რაოდენობა 28.5, საავტორო ფურცელთა რაოდენობა 54,46. საგ.-სააღრ. ფურცელთა რაოდენობა 55.

ფასი 19 მან. 50 კაპ.

აიწყო და დაიბეჭდა „ზარია ვოსტოკა“ სტამბაში, თბილისი, რუსთაველის პრ., 42  
ილუსტრაციები დაიბეჭდა ფოტოკინოგრაფიაში, თბილისი, პლექანოვის პრ., 50  
წიგნი აიკინდა № 2 სტამბაში, თბილისი, ფურცელაძის, 5

Набрано и отпечатано в типографии „Заря Востока“, Тбилиси, проспект Руставели, 42  
Иллюстрации отпечатаны в фотокинографии, Тбилиси, проспект Плеханова, 50  
Переплетные работы выполнены в типографии № 2, Тбилиси, ул. Пурцеладзе, 5